საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ეკონომიკის ინსტიტუტი

პ. გ. გუგუშვილი

საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX საუკუნეებში

მონოგრაფიები

ტომი მესამე

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო"
თბილისი
1959

შინაარსი

სარჩევი	V
წინასიტყვაობა .	XI
შემოკლებათა განმარტება	XXIII

სოფლის მეურნეობა

ნაწილი პირველი

სოფლის მეურნეობის ტექნიკა

I. მიწათმოქმედების ტექნიკა	3—125
I. ძველი და ახალი	3
II. გუთნეული	18
1. გუთნეულის ცნება და ორგანიზაცია	18
2. ალო (თაობა, მოდგამი)	24
3. გუთნეულის ნამუშევრის განაწილება	29
4. გუთნის-დედა . .	38
5. ალოს ნორმათა საწყისებისა და ეკვივალენტურობისათვის	41
III. ქარხნული გუთნების საჯარო გამოცდები 1880-იან წლებიდან	47
IV. სოფლის მეურნეობის სხვა იარაღ-მანქანები	55
V. ახალი კონსტრუქციის იარაღთა დანერგვის პიროგები	71
1. უცხოური იარაღი და ტრადიცია	71
2. ბატონყმურ ურთიერთობათა გადანაშთები	76
3. მიმწოდებელ-გამსაღებელი ქსელი	89
4. შინამრეწველური რემონტი და წარმოება	96

VI. გაუმჯობესებული იარაღ-მანქანების შემოზიდვა და გავრცელება 104
VII. პირველი ტრაქტორი კავკასიაში 114
VIII. საბოლოო შედეგები 117

II. ირიგაცია 127—204

I. ირიგაციის საერთო მდგომარეობისა და მნიშვნელობისათვის 127
II. სარწყავი წყლით სარგებლობის წესები 143
III. გატონყმობის გადანაშთები სარწყავი წყლის მფლობელობაში 160
IV. სარწყავი წყლით სარგებლობის ინტენსიოვებისათვის 172
V. ირიგაციის საკითხთა შესწავლა-მოწესრიგების შესახებ 178
VI. ინჟინერული საირიგაციო ნაგებობანი 196

ნაწილი მეორე

მემინდვრეობა

III. მარცვლეულის მეურნეობა 207—436

I. შესავალი 207
II. ხორბალი 218
III. სიმინდი 256
IV. ბრინჯი 295
V. ცალკე მარცვლეულთა ადგილი და როლი 314
VI. მემინდვრეობის ზოგადი საკითხები 334
1. ნიადაგის ნაყოფიერება 334
2. თესლბრუნვა 363
VII. პურ-ფურაჟის ბალანსისათვის 376
VIII. ამიერკავკასიის მარცვლეულის მეურნეობა მარცვლეულის რუსეთისა და მსოფლიო მეურნეობის ასპექტში 398
IX. მარცვლეულის მეურნეობის დაცემა 1914 — 1920 წწ. 419

ნაწილი მესამე

მეცხოველეობა

IV. მეცხოველეობის განვითარება 437—848

I. შესავალი 437

II. საკვები ბაზა 454

1. საზაფხულო და საზამთრო საბალახოების ზოგადი დახასიათება 454
2. საბალახოების სიდიდე, გაადგილება და დატვირთულობა 458
3. საბალახოებით სარგებლობის წესები და გადასახდელები 462
4. ფიზლადან ფალალისაკენ და პირუკუ მიმოძრაობა 477
5. მომთაბარეთა ცხოვრება 484
6. მომთაბარეობიდან მიწათმოქმედებაზე გადასვლის ტენდენციის გაძლიერება 492
7. საკვები ბაზის სიმცირე 498

III. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 506

1. მეძროხეობა 506
2. მეკამეჩეობა 529

IV. მეცხენეობა და მეაქლემეობა 533

1. მეცხენეობა 533
2. მეაქლემეობა 551

V. მუშაპირუტყვი 554

VI. წვრილი რქიანი პირუტყვი 571

1. მეცხვარეობა 571
2. მეთხეობა 603

VII. მელორეობა 607

VIII. მეფრინველეობა 619

IX. მეაბრეშუმეობა 652

1. ზოგადი ცნობები 652
2. მეაბრეშუმეობა მე-19 ს. პირველ ნახევარში 655
3. მეაბრეშუმეობა მე-19 ს. მეორე ნახევრიდან 688
4. ღონისძიებანი მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის 706

ა. კავკასიური სოფლის მეურნეობის საზოგადოება 706
ბ. კავკასიური მეაბრეშუმეობის სადგური 709

გ. მეაბრეშუმეთა ყრილობები, კოოპერაციული გაერთიანებანი . . . 714
5. გრენაჟი. — მეაბრეშუმეთა გრენით მომარაგება. 717
6. თუთისხის კულტურა . 733
7. აბრეშუმის პარკის რეალიზაცია 745
X. მონაცემები მეცხოველეობის დინამიკის შესახებ 767
XI. მეცხოველეობის პროდუქცია 775
1. მატყლი 780
2. რძე 792
3. ხორცი . 799
4. მეცხოველეობის დანარჩენი პროდუქტები 803
5. მეცხოველეობის პროდუქციის საერთო მასა ფიზიკურ და ღირებულებრივ გამოსახულებაში 804
XII. მეცხოველეობა მსოფლიო და სამოქალაქო ომის პერიოდში 814
XIII. დ ა მ ა ტ ე ბ ა. მეცხოველეობის სტატისტიკა 827
V. საძიებლები 847 — 877
ა. საკუთარ სახელთა 847
ბ. გეოგრაფიული 855
გ. საგნობრივი 865

СОДЕРЖАНИЕ

Оглавление V
Предисловие XI
Список сокращений XXIII

СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО

Часть первая

СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННАЯ ТЕХНИКА

I. ЗЕМЛЕДЕЛЬЧЕСКАЯ ТЕХНИКА 3 — 125

1. Старое и новое 3
2. Супряга плуга 18
3. Публичные испытания заводских плугов с 80-ых годов 47
4. Другие сельскохозяйственные орудия 55
5. Попытки внедрения с. х. орудий новой конструкции 71
6. Ввоз и распространение усовершенствованных машин и орудий 104
7. Первый трактор на Кавказе 114
8. Окончательные итоги 117

II. ИРРИГАЦИЯ 127 — 204

1. Общее положение и значение ирригации 127
2. Правила пользования оросительной водой 143
3. Пережитки крепостничества в владении оросительной водой 160

4. Об интенсивности пользования оросительной водой 177
5. Об изучении и урегулировании вопросов ирригации 178
6. Инженерные ирригационные сооружения 196

Часть вторая

ПОЛЕВОДСТВО

III. ЗЕРНОВОЕ ХОЗЯЙСТВО 207 — 436

1. Введение 207
2. Пшеница 218
3. Кукуруза 255
4. Рис 295
5. Место и роль отдельных зерновых 314
6. Общие вопросы полеводства 334
7. К хлебо-фуражному балансу 376
8. Зерновое хозяйство Закавказья в аспекте российского и мирового зернового хозяйства 398
9. Упадок зернового хозяйства в 1914 — 1920 гг 419

Часть третья

ЖИВОТНОВОДСТВО

IV. РАЗВИТИЕ ЖИВОТНОВОДСТВА 437 — 818

1. Введение 437
2. Кормовая база 451
3. Крупный рогатый скот 506
4. Коневодство и верблюдоводство 533
5. Рабочий скот 554
6. Мелкий рогатый скот 571
7. Свиноводство 607
8. Птицеводство 619
9. Шелководство 659

10. Данные о динамике животноводства 767
11. Продукция животноводства 775
12. Животноводство в период мировой и гражданской войн 814
Приложение: статистика животноводства 827

V. УКАЗАТЕЛИ (собственных имен, географический, предметный) 847 — 877

წინასიტყვაობა

მონოგრაფიების, — „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს.“, — საერთო გეგმის (შინაარსის) შესახებ მკითხველთა შეკითხვებზე აქამდე პასუხი არ გამიცია.

აქ უწინარეს უნდა აღინიშნოს, რომ ავტორისაგან დამოუკიდებელი მიზეზებისა გამო „მონოგრაფიების“ როგორც პირველი (იგი გამომცემლობას გადაეცა ჯერ კიდევ 1938 წ., გამოიცა 1949 წ.), ისე მეორე ტომის (მზად იყო დასაბეჭდად 1951 წ., გამოიცა კი — 1956 წ.) დასტამბვა ფრიად გაჭიანურდა. ამ გარემოებას, ცხადია, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა გეგმის თავდაპირველ ჩანაფიქრზე.

ჩემი მასწავლებლების ნ. ნიკოლაძის, ივ. ჯავახიშვილისა და ფ. გოგიჩაიშვილის შთამაგონებელ ვარემოცვაში უკვე 1926 — 1928 წლებში თანდათანობით მომწიფდა იდეა წამომეწყო 1801 — 1921 წწ., ე. ი. რუსეთთან შეერთებიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ასოცწლიან პერიოდში საქართველოსა და ამიერკავკასიის მეურნეობრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შესწავლა — უპირატესად კაპიტალისტური წარმოების წესის ისტორიის განმსაზღვრელი მოვლენების მეცნიერული ანალიზის მიზნით.

ამ გეგმით ნავარაუდევი იყო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი მომენტების მთლიანად, ხოლო კულტურული ცხოვრებიდან იდეოლოგიური თვალსაზრისით ძირითადის, სახელდობრ საზოგადოებრივი აზრის ისტორიის გაშუქება.

ეკონომიკური ყოფის ისტორიის შესწავლა იმთავითვე წარიმართა როგორც მატერიალური წარმოების ფორმებისა და დარგების, ასევე მთლიანად ქვეყნის სახალხომეურნეობრივი განვითარების ზოგად კანონზომიერებათა და ტენდენციების ახსნისაკენ მიმართული ცდებით, ხოლო საზოგადოებრივი ცნობიერების ევოლუციის გაშუქებისათვის დაიწყო ქართული ბეჭდვითი სიტყვის, განსაკუთრებით ჟურნალისტიკის ისტორიის შესწავლა. რამდენადაც იმ ეპოქაში საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრი აქ უმთავრესად პუბლიცისტიკაში ვლინდებოდა.

დასახელებულ პრობლემებზე „მონოგრაფიების“ პირველი ტომის დაბეჭდვამდე გამოქვეყნებულ ნაშრომთაგან საჭიროა აქ დავასახელო, ერთი მხრით, „კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ (1941, 470 გვ.), ხოლო მეორე მხრით, „ქართული წიგნი 1629-1929 წწ“ (სტატისტიკური გამოკვლევა, 1929, 384 გვ.) და „ქართული ჟურნალისტიკა“, ტ. I (1941, 480 გვ.), როგორც მათი გამოქვეყნების დროისათვის ორივე მიმართულებით წარმოებული მეცნიერული კვლევა-ძიების ერთგვარი შემაჯამებელი ნაშრომები.

ახლა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ნავარაუდევი ტემპითა და გეგმით საქმის შესრულებას დიდად ართულებდა საქართველოსა და ამიერკავკასიის სახალხომეურნეობრივი განვითარების შესწავლისათვის საჭირო მასალისა და კერძოდ პირველწყაროების გამოვლინებისა და მობილიზაციის სიძნელე. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სახელმწიფო არქივსაცავებში ამ მიზნით ამონაკრები დოკუმენტების ნაწილი ამჟამად უკვე გამოქვეყნებულიც არის (უკანასკნელთაგან უმთავრესია ჩვენი პუბლიკაციის „Экономическая история Грузии и Закавказья 1801 — 1921 гг.“ სერია: „Сельское хозяйство и аграрные отношения“, т. I, 1937, 730 стр.; — т. II, 1950, 726 стр.; — т. IV, 1955, 854 стр.).

საერთოდ დასახელებული პრობლემების შესწავლა და კერძოდ ამ წყაროების გამოვლინება-ამოკრება და გამოცემა

ავტორმა დაიწყო სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1926 წ., — როდესაც იგი სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტი იყო. და ეს მუშაობა გრძელდებოდა თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში.

თბილისის უნივერსიტეტში პოლიტიკური ეკონომიის, ტექნიკის ისტორიის, განსაკუთრებით საზღვარგარეთის ქვეყნებისა და სსრკ სახალხო მეურნეობის ისტორიის სისტემატური კურსის მეოთხედი საუკუნის მანძილზე კითხვამ, რა თქმა უნდა, გამოიწვია აუცილებლობა ამ პრობლემებზე ინტენსიური მუშაობისა, მით უფრო, რომ ამ სასწავლო დისციპლინებში სახელმძღვანელოები არც რუსულ და არც ქართულ ენაზე არ მოიპოვებოდა. ამ ვითარებაში გამოიცა: ლექციები — „სახალხო მეურნეობის ისტორია“ (ექვს ნაკეთად), ქრესტომათია „სახალხო მეურნეობის წარმოშობა და განვითარება“ (სამ ტომად), სამი წიგნი ტექნიკის ისტორიისა და რამდენიმე ნაშრომი პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე.

დასახელებულ პრობლემებზე სისტემატურმა მუშაობამ, თავის მხრივ, დადებითად იმოქმედა კერძოდ საქართველოსა და ამიერკავკასიის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების საკითხთა ფართო სოციოლოგიურ ასპექტში, — შესაბამისი პერიოდის მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიის თვალთახედვით გააზრების მისწრაფებაზე.

1944 წ. დაარსებულმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტმა ხელი შეუწყო დასახული მიმართულებით მუშაობის პირობების შემდგომ გაუმჯობესებას.

1941 წ. „ქართული ჟურნალისტიკის“ პირველი ტომისა და 1949 წ. „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების“ პირველი ტომის გამოცემის შემდეგ ამ პრობლემების შესწავლა, ბუნებრივია, ძირითადად უნდა წარმართულიყო დასახელებულ სამუშაოთა ბოლომდე შესრულების მიმართულებით.

ახლა, თუ მოვლენებს გავუსწრებთ და „სამუშაოთა ბო-

ლომდე შესრულების“ ვარაუდებზე ვილაპარაკებთ „ქართული ჟურნალისტიკის“ მეორე ტომი, ვფიქრობ, სასტამბოდ გავამზადო მომავალ წელს.

რაც შეეხება საკუთრად „მონოგრაფიებს“—მეოთხე ტომში[1] შევა ტექნიკური კულტურები, მერმე დაიბეჭდება მრავალწლიანი ნარგავები; — ვაჭრობა და კრედიტი; — მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი. მრეწველობის საკითხებისადმი მიძღვნილ გამოკვლევათაგან ერთი ნაწილი, რუსულ ენაზე, უკვე გამოიცა ცალკე წიგნად — „Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX-XX вв.“. т. I, 1957. საოჯახო მრეწველობის, ხელოსნობის, შინამრეწველობისა და მანუფაქტურული წარმოების შესახებ აქ დაბეჭდილი ნაშრომები შეადგენენ „მონოგრაფიების“ შემდგომ ტომს, რასაც მიყვება გამოკვლევები ფაბრიკულ-ქარხნული წარმოებისა და სამთამადნო მრეწველობის საკითხებზე. უკანასკნელი ტომი, დასკვნითი ნაწილის სახით, უნდა შეადგინოს წიგნმა „კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში“, რაც ამ მიზნით არსებითად ახლად დაიწერება.

ჩემი კრიტიკოსები მისაყვედურებენ (ეს საყვედურები საერთოდ ბევრნაირია, რომლებიც შესაფერ პასუხსა და განმარტებებს იმსახურებენ), რომ „მონოგრაფიებში“ საკითხთა ჯეროვანი თანმიმდევრობა არაა დაცულიო. მე ვფიქრობ აქ მხრივ ჯეროვანი თანმიმდევრობის დაცვა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას მერმე, რაც ყველა საკითხი იქნება შეწავლილი. ვინ უწყის, იქნებ ეს ახალი თაობის საქმეც იყოს, როდესაც ამ საკითხების კიდევ სხვადასხვა ასპექტში გააზრება და განხილვა გახდება შესაძლებელი.

მკითხველები და სპეციალისტები საჭიროდ სცნობენ ად-

---

[1] პირველსა და მეორე ტომში მოთავსებულია გამოკვლევები შესახებ საქართველოსა და ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთებისა, კოლონიზაციის, ვაჭრობის, ფულის მიმოქცევის და კრედიტისა რეფორმამდელ პერიოდში და აგრარულ ურთიერთობათა ევოლუციისა თბილისი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

რე გამოქვეყნებული ნაშრომების, რომლებიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად გადაიქცნენ, მეორედ გამოცემას. მაგრამ თითქმის ყველა ისინი, — მხედველობაშია განსაკუთრებით „ქართული წიგნი 1629 — 1929 წწ.“, „ქართული ჟურნალისტიკა“ (ტ. I), „კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ და თვით „მონოგრაფიების“ პირველი ტომი, — ამჟამად მნიშვნელოვან შესწორებას და დამატებას მოითხოვენ და, სამწუხაროდ, ჯერჯერობით საამისო დრო არ გამაჩნია.

მონოგრაფიების მესამე ტომში მოთავსებული გამოკვლევები დაწერილია უმთავრესად 1942 — 1949 წწ.. ზოგიერთი მათგანი მთლიანად ან ნაწილობრივად გამოქვეყნებული იყო. ასეთებია, მაგალითად, „გუთნეულის ეკონომიკური ორგანიზაცია“ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1944, ტ. V, № 3), „ირიგაცია საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ (სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1946 წ., ტ. XXVII), „მიწათმოქმედების გაუმჯობესებული იარაღები საბჭოთამდელ ამიერკავკასიაში“ (ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, 1947 წ., ტ. II).

მემინდვრეობის, კერძოდ მარცვლეულის მეურნეობის შესახებ მონოგრაფიებიდან, უწინარეს, 1946 წ., დაისტამბა „სიმინდის მეურნეობა ამიერკავკასიაში“, ქართულ და რუსულ ენაზე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 4).

მეცხოველეობის განვითარების შესახებ მონოგრაფიები, გარდა „ცეფრინველეობისა“, რაც 1948 წ. გამოქვეყნდა თბილისის უნივერსიტეტის შრომებში (ტ. XXXIV), პირველად იბეჭდება.

ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს, რომ როგორც დასტამბული, ასევე აქამდე გამოუქვეყნებელი გამოკვლევებიც, მო-

ნოგრაფიათა ამ, მესამე, ტომში შევიდა უკანასკნელი წლების განმავლობაში შევსებულ-შესწორებული და ზოგიერთი კიდევ სავსებით ახლად დაწერილი სახით. ავტორმა, რა თქმა უნდა, შეძლებისამებრ გაითვალისწინა გამოქვეყნებული ნაშრომების შესახებ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და სურვილები.

დასასრულ, აქ მადლობა უნდა მოვახსენო პროფ. ნ. იაშვილს, პროფ. შ. მესხიას, პროფ. ვ. ჩანტლაძეს, დოც. ა. კაკაბაძეს, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატებს მ. ასათიანს და ბ. ხასიას, რომელთაც მონოგრაფიების II ტომზე გამოქვეყნებული რეცენზიებით (იხ. ჟურნ. „მნათობი“, 1958 წ., № 1, გვ. 180-183; გაზ. „Заря Востока“, 1958, № 118) თავიანთი მოსაზრებანი და კრიტიკული შენიშვნები გამოთქვეს.

მადლობელი ვარ ცნობილი რუსი მეცნიერის პ. მასლოვისა და ჩეხი მეცნიერის ზ. ურბანოვასი, რომელთაც მრეწველობის შესახებ მონოგრაფიების ზემოხსენებულ რუსულ გამოცემაზე ვრცელი და საქმიანი რეცენზიები გამოაქვეყნეს, — პირველმა ჟურნ. „Литературная Грузия“ 1958, № 6, გვ. 116-118; ხოლო მეორემ ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოში „Politická Ekonomie“, 1958, № 9, გვ. 801-805.

მონოგრაფიების წინამდებარე ტომის სასტამბოდ მომზადების საქმეში დიდი დახმარება გამიწია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა კოლექტივმა.

30. 7. 59
თბილისი

ПРЕДИСЛОВИЕ

На вопросы читателей об общем плане (содержании) моих монографий — «Экономическое развитие Грузии и Закавказья в XIX — XX вв.» — я до сих пор не ответил.

Здесь прежде всего следует отметить, что по независящим от автора обстоятельствам, печатание как первого тома монографии (он был сдан издательству еще в 1938 г. — издан в 1949 г.), так и второго тома (подготовлен к печати в 1951 г. — издан 1956 г.) крайне затянулось. Это обстоятельство, конечно, не могло не повлиять на первоначальный замысел плана.

В вдохновляющем окружении моих учителей Н. Я. Николадзе, И. А. Джавахишвили, и Ф. Г. Гогичайшвили, у меня еще в 1926 — 1928 гг. постепенно созрела идея предпринять изучение развития хозяйственной и общественной жизни Грузии и Закавказья за 1801 — 1921 гг., т. е. за стодвадцатилетний период от присоединения к Росии до установления советской власти, — преимущественно с целью научного анализа явлений, определяющих историю капиталистического способа производства.

Этот план предусматривал всестороннее освещение важнейших моментов экономического развития, а из культурной жизни основного с идеологической точки зрения, а именно истории общественной мысли.

Изучение истории экономического быта с самого же начала выразилось в попытках, направленных к объяснению как форм и отраслей материального производства,

так и общих закономерностей и тенденций народнохозяйственного развития страны в целом, а для освещения эволюции общественного сознания было начато изучение грузинской печати, особенно истории журналистики, поскольку в ту эпоху общественно-экономическая мысль здесь проявлялась преимущественно в публицистике.

Из трудов, посвященных указанным проблемам и вышедших в свет до первого тома «Монографий», следует назвать, с одной стороны, «Возникновение и развитие капитализма в Грузии и Закавказье» (1941 г., 470 стр.), а с другой, «Грузинская книга 1629 — 1929 гг.», статистическое исследование (1929 г., 384 стр.) и «Грузинская журналистика», т. I (1941 г., 480 стр.), которые ко времени их опубликования являлись своего рода итоговыми работами научных исследований в обоих направлениях.

Здесь же следует сказать, что выполнение намеченного плана и темпа работ крайне осложнялось затруднениями в деле выявления и мобилизации необходимых материалов, в частности, первоисточников для изучения народнохозяйственного развития Грузии и Закавказья. Часть документов, извлеченных с этой целью из различных государственных архивохранилищ Советского Союза, в настоящее время уже издана (из них главное — серия «Сельское хозяйство и аграрные отношения», т. I, 1937 г., 730 стр.; т. II, 1950 г., 726 стр.; т. IV, 1955 г., 854 стр., — из нашей публикации «Экономическая история Грузии и Закавказья 1801 — 1921 гг.»).

Вообще к изучению указанных проблем и в частности, выявлению, подбору и изданию первоисточников автор приступил в Тбилисском государственном университете им. Сталина в 1926 г., — будучи студентом социально-экономического факультета, и эта работа продолжалась в течение почти тридцати лет.

Чтение систематического курса лекций в Тбилисском

университете в продолжение четверти века по политической экономии, истории техники, в особенности же по истории народного хозяйства зарубежных стран и СССР, конечно, вызвало необходимость интенсивной работы по этим проблемам, тем более, что по названным дисциплинам не имелось учебников ни на русском, ни на грузинском языках. В таких условиях были изданы: лекции «История народного хозяйства» (в шести выпусках), хрестоматия «Возникновение и развитие народного хозяйства» (в трех томах), три книги по истории техники и несколько работ по вопросам политической экономии.

Систематическая работа по указанным проблемам в свою очередь, положительно повлияла, в частности, на стремление осмыслить вопросы общественно-экономического развития Грузии и Закавказья в широком социологическом аспекте, — под углом зрения истории мировой цивилизации соответствующего периода.

Институт экономики Академии наук Грузинской ССР, основанный в 1944 г., способствовал в намеченном направлении дальнейшему улучшению условий работы.

После выхода в свет в 1941 г. первого тома «Грузинской журналистики» и в 1949 г. первого тома «Экономического развития Грузии и Закавказья» изучение этих проблем, естественно, должно было быть направлено в основном в сторону доведения до конца упомянутых работ.

Теперь, если, опережая события, будем говорить о предположениях «доведения работ до конца», предполагаю в будущем году подготовить к печати второй том «Грузинской журналистики».

Что же касается собственно «Монографий», то в чет-

вертый том[1] войдут технические культуры, далее следуют многолетние насаждения; торговля и кредит; средства сообщения и связи. Одна часть исследований по вопросам промышленности уже вышла отдельным изданием на русском языке — «Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX — XX вв.», т. I, 1957 г. Вошедшие сюда работы о домашней промышленности, ремесленном производстве, кустарной промышленности и мануфактурном производстве составят следующий том «Монографий», за которым последуют исследования о фабрично-заводском производстве и о горной промышленности. Последний том, в виде заключительной части, составит книга «Возникновение и развитие капитализма в Грузии и Закавказье», которая с этой целью по существу будет написана заново.

Критики упрекали меня (эти упреки вообще многообразны и заслуживают соответствующего ответа и разъяснений), что в «Монографиях» не соблюдена надлежащая последовательность в изложении рассматриваемых вопросов. Полагаю, что соблюдение надлежащей последовательности станет возможным после того, как будут изучены все вопросы. Кто знает, быть может, это дело молодого поколения, которому представится возможность осмысливать и рассматривать эти вопросы еще и в других различных аспектах.

Читатели и специалисты считают необходимым выпустить вторым изданием ранее опубликованные мои труды, ставшие библиографической редкостью. Но они — имеются в виду особенно «Грузинская книга 1629 — 1929», «Грузинская журналистика» (т. I), «Воз-

---

[1] В первый и во второй томы включены исследования о присоединении Грузии и Закавказья к России, колонизации, торговли, денежном обращении и кредите в дореформенный период и эволюции аграрных отношений вплоть до установления советской власти

никновение и развитие капитализма в Грузии и Закавказье» и первый том «Монографий» — в настоящее время требуют значительных исправлений и дополнений. К сожалению, пока не располагаю для этого необходимым временем.

*
* *

Исследования, вошедшие в третий том монографии, написаны в основном в 1942 — 1949 гг. Некоторые из них полностью или частично были уже изданы. Таковы, например, «Экономическая организация супряги грузинского плуга» (Известия АН ГССР, 1944, т. V, № 3), «Ирригация в Грузии и Закавказье» (Труды Тбилисского государственного университета им. Сталина, 1946 г. т. XXVII), «Усовершенствованные земледельческие орудия в досоветском Закавказье» (Труды Института экономики АН Грузинской ССР, 1947, т. II).

Из монографии по полеводству, в частности по зерновому хозяйству, прежде всего, в 1946 г., было напечатано «Кукурузное хозяйство в Закавказье», — на грузинском и русском языках (Известия АН ГССР, т. VII, № 4).

Монографии о развитии животноводства, помимо «Птицеводства», опубликованного в 1948 г. в Трудах Тбилисского университета (т. XXXIV), печатаются впервые.

Вместе с тем необходимо отметить, что как ранее напечатанные, так и неопубликованные до сего времени исследования, в настоящий, третий, том вошли в дополненном и исправленном за последние годы виде, а некоторые из них написаны совершенно заново. При этом автор, конечно, по возможности учел критические замечания и пожелания, высказанные по поводу опубликованных работ.

В заключение должен выразить благодарность проф. Ш. Месхиа, проф. В. Чантладзе, проф. Н. Яшвили, доц. А. Какабадзе, кандидатам экономических наук М. Асатиани и Б. Хасиа, которые в рецензиях на II том «Монографий» (см. журн. «Мнатоби», 1958 г., № 1, стр. 180 — 183; газ. «Заря Востока», 1958 г., № 118) высказали свои соображения и критические замечания.

Признателен известному русскому ученому П. Маслову и чешскому ученому З. Урбановой, которые опубликовали пространные и деловые рецензии на упомянутые выше монографии о промышленности, изданные на русском языке,—первый в журн. «Литературная Грузия», 1958 г., № 6, стр. 116 — 118; а вторая в органе Чехословацкой Академии наук, — «Politicka Ekonomie», 1958 г., № 9, стр. 801 — 805.

В подготовке к печати настоящего тома монографии большую помощь оказывал автору коллектив сотрудников Института экономики Академии наук Грузинской ССР.

30. 7. 59
Тбилиси

შემოკლებათა განმარტება

მია — მთავარი ისტორიული არქივი
მსკი — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის
სმკს (ასმს) — სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოება
სსმმ — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე
სცსს — საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო

АВПКБ — Архив внутренней политики, культуры и быта СССР
АНХ — Архив народного хозяйства СССР
АПГА — Археологическое путешествие по Гурии и Аджаре
АСКАК — Акты, собранные Кавказской археографической комиссией
ГИА — Главный исторический архив
ДГЗАЗ — Доклады губернских и областных земских агрономов Закавказья
ЗКОРГО — Записки Кавказского отд. русского географического общества
ЗКОРТО — Записки Кавказского отд. русского технического общества
ЗКОСХ — Записки Кавказского общества сельского хозяйства
ИКОРГО — Известия Кавказского отд. русского географического общества
ИКШС — Известия Кавказской шелководственной станции
КВПС — Журн. «Кавказский вестник практического садоводства»
КК — Кавказский календарь
КПК — Кустарная промышленность на Кавказе
ККПУ — Кавказская краевая продовольственная управа
КС — Кавказский сборник
КСХ — Журн. «Кавказское сельское хозяйство»
КХ — Журн. «Кавказское хозяйство»
ЛОЦИА — Ленинградское отделение центрального исторического архива
МВВУЗ — Материалы по вопросу о введении земских учреждений в Закавказье

МИГК — Материалы по истории Грузии и Кавказа
МИЭБГКЗК — материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края
МУКЛЗПИСК — Материалы для устройства казенных летних и зимних пастбищ и изучения скотоводства на Кавказе
НХЗ — Народное хозяйство Закавказья в цифрах
ОДККК — Отчет о деятельности Кавказского кустарного комитета и учреждений по кустарной промышленности на Кавказе
ОДКШС — Отчет о деятельности Кавказской шелководственной станции
ОРВЗ — Обозрение российских владений за Кавказом
ОСЭСХС — Отделение сельской экономии и сельскохозяйственной статистики
ОФЗБГ — Обзор фабрик и заводов Бакинской губернии
ОФЗЗК — Обзор фабрик и заводов Закавказского края
ОФК — Отчет о деятельности Кавказского филоксерного комитета
ПСЗРИ — Полное собрание законов Российской империи
РТКЭЖД — Район Тифлисско-Карсско-Эриванской железной дороги
СВРЗК — Справочник по водным ресурсам СССР, т: XI, Закавказье
ССВВК — Сборник сведений по виноградарству и виноделию на Кавказе
ССКЦРК — Сборник сведений по культуре ценных растений на Кавказе
ССОМПК — Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа
СССЗК — Сборник статистических сведений по Закавказскому краю
СССК — Сборник статистических сведений о Кавказе
СССОУР — Сборник сведений о сельскохозяйственных опытных учреждениях в России
ТЗСТ — Труды Закавказского совещания по табакаводству
ТЗСШ — Труды Закавказского совещания по шерсти
ТКОСХ — Труды Кавказского общества сельского хозяйства
ТКШС — Труды Кавказской шелководственной станции
ТМКСХП — Труды местных комитетов сельскохозяйственной промышленности
ТОПКП — Труды общекавказского продовольственного комитета
ТПКССХ — Труды первого Кавказского съезда сельских хозяев
ТПСДКПК — Труды первого съезда деятелей по кустарной промышленности Кавказа
ТПСНКЗЗ — Труды первого съезда НКЗ ЗСФСР

ТСВВК — Труды съезда виноградовладельцев и виноградарей Кахетии
ТСДЧПК — Труды съезда деятелей черноморского побережья Кавказа
ТССМХ — Труды съезда по скотоводству и молочному хозяйству
ТЗЭС — Труды Закавказского экономического совещания
УЦГАЛ — Управление центральных государственных архивов в Ленинграде
Ф. ВОТГП — Фонд ветеринарного отделения Тифлисского губернского правления
Ф. ГКК — Фонд государственной коммерц-коллегии
Ф. ДУСХК — Фонд департамента управления сельским хозяйством и колониями
Ф. ЗАУ — Фонд Закавказского акцизного управления
Ф. ККН — Фонд канцелярии Кавказского наместника
Ф. МФ — Фонд Министерства финансов
Ф. УГЗК — Фонд уполномоченного главноуправляющего землеустройства и земледелия на Кавказе
Ф. УИВК — Фонд управления инспектора вод на Кавказе
Ф. КГГ — Фонд канцелярии главноуправляющего Грузией
Ф. МЗГИ — Фонд Министерства земледелия и государственных имуществ
ЦАУГ — Центральное Архивное управление ГССР
ЦСУ — Центральное статистическое управление
ЭВЗ — Журн. «Экономический Вестник Закавказья»
ЭО — Журн. «Этнографическое обозрение»
ЭТЗ — Экспортные товары Закавказья
SC — Scythica et Caucasica

სოფლის მეურნეობა

ნაწილი პირველი

სოფლის მეურნეობის ჯექნიკა

I

მიწათმოქმედების ტექნიკა

1. ძველი და ახალი

მე-19 ს. დამდეგისათვის ამიერკავკასიაში გაბატონებული იყო მიწათმოქმედების არქაული ტექნიკა. მე-13 საუკუნიდან მოყოლებული, როგორც საერთოდ სოფლის მეურნეობა, ისე კერძოდ მიწათმოქმედების ტექნიკა, უმეტესწილად დაქვეითებას განიცდიდა ანდა, ევოლუციის თვალსაზრისით, არსებითად გაქვავებული იყო.

ამიერკავკასიის ზოგიერთ კუთხეში, მართალია, მსგავსად ოაზისისა, დაეტყობოდა მოსახლეობის კულტურულ-ეკონომიკური აღორძინება, რაც უწინარეს სოფლის მეურნეობის ერთგვარ აღმავლობაში აისახებოდა ხოლმე. მაგრამ ასეთი ბედნიერი პერიოდები მხოლოდ რამოდენიმე ათეულ წლობით თუ გრძელდებოდა. საერთოდ კი კაცობრიობის ისტორიის ახალი ხანის დასაწყისმა, თვით მე-17—18 საუკუნეებმაც ისე გაიარეს, რომ მათ ამიერკავკასიის სახალხომეურნეობრივ განვითარებაში, გარდა უმნიშვნელო გამონაკლისისა, არსებითი, თვისობრივი ცვლილებები არ მოყოლია. ასეთი ძვრები აქ მხოლოდ მე-19 საუკუნიდან დაიწყო.

ჩვენ მიზნად არ ვისახავთ თვით მე-19 საუკუნეში მიწათმოქმედების ტექნიკის ს ა ე რ თ ო მდგომარეობის გაშუქებას, რამდენადაც ამ დროსაც აქ გაბატონებული იყო შუასაუკუნეობრივი წარმოების იარაღები. ამ საკითხის — ფეოდალური ეპოქის სოფლისმეურნეობრივი ტექნიკის ისტორიის — შესახები მასალა თავმოყრილი და სისტემატიზე-

ბულია აკად. ი. ა. ჯავახიშვილის მიერ თავის კაპიტალურ გამოკვლევაში — „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ (ტ. I).

ჩვენ განვიხილავთ უმთავრესად იმ ცვლილებებს, რაც ამ მხრივ დაიწყო მე-19 საუკუნიდან. სხვა სიტყვებით, ჩვენი კვლევის საგანია ამ დროიდან საერთოდ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ახალ ეკონომიკურ მოვლენებთან, სახელდობრ კაპიტალისტური მეწარმეობის განვითარებასთან დაკავშირებით მიწათმოქმედების ტექნიკაში მომხდარი ძვრების გაშუქება.

ძველ საქართველოში, სახელდობრ მე-5 — 11 საუკუნეებში, როგორც ეს დადგენილი და გამოკვლეული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს, გაბატონებულ სახვნელ იარაღს ერქუანი წარმოადგენდა[1].

ქართული გუთანი, როგორც უფრო გაუმჯობესებული სახვნელი, ყალიბდება მე-11—12 სს.. შუასაუკუნეებრივი დას. ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელებულ სახვნელ იარაღებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა ნათელყო, რომ ქართული გუთანი იმ დროისათვის წარმოადგენდა საერთოდაც ერთ-ერთ ყველაზე სრულქმნილ იარაღს[2].

ამავე დროს ივ. ჯავახიშვილმა ერთხელ კიდევ და საბოლოოდ დაადგინა სპეციალისტთა შორის მანამდეც აღიარებული შეხედულება, რომ, მეტნაკლები ზომით, ქართული გუთნის კონსტრუქციის სახვნელი იარაღი საქართველოდან გავრცელდა როგორც ამიერ, ისე იმიერკავკასიის ხალხებში, რომელთაც გადაიღეს თვით ქართული სახელწოდებაც ამ იარაღისა. აფხაზური — „კოთენ“, ჩაჩნური და ინგუშური — „გოთან“, ლეკური — „კუთენ“, ტაბასარანული —

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, ტ. I, გვ. 203 — 204.

[2] იქვე, გვ. 220 — 231, 246 — 249, 265 — 267.

„ქუთან“, ოსური — „გოტუნ“ („გოტან“), სომხური — „გუთან“, („კრე-გუთან“), აზერბაიჯანული — „ქოთან“ („გერა ქოთან“, „დირჩაკ-ქოთან“) და სხვ. სულ ქართული გუთანიდან წარმოებული ტერმინებია[3].

როგორც აღვნიშნეთ, კავკასიაში გავრცელებულ გუთნის ქართული წარმომავლობა ცნობილი იყო ივ. ჯავახიშვილის ხსენებულ გამოკვლევამდეც, მაგრამ არა იმდენად ამ გუთნის გავრცელების არეალის ისტორიულ-შედარებითი და ლინგვისტიკური შესწავლის მეოხებით, რამდენადაც თბილისის გუბერნიაში გაბატონებული სახვნელისაგან კავკასიის სხვადასხვა რაიონში მეტნაკლები ზომით გავრცელებული ანალოგიური იარაღის კონსტრუქციული დანოკიდებულების დადგენის საფუძველზე.

ამ მხრივ. აღსანიშნავია, მაგალითად. გასული საუკუნის 60-იან წლებში კავკასიაში განთქმული აგრონომის ი. სერებრიაკოვის ნაშრომი, გამოქვეყნებული აოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოების (სმკს) ორგანოში 1861 წელს. ი. სერებრიაკოვის სტატიაში, სხვათა შორის. ვკითხულობთ: „გუთანი. სახელდობრ ის გუთანი, რომელიც ამიერკავკასიაში ცნობილია ქართული გუთნის სახელწოდებით... აქ (ელისავეტპოლის მაზრაში — ბ. გ.) ისევე ძძიმე და მოუხერხებელია, ისევე ბრავალ ხუშაძალს მოითხოვს, როგორც კახეთსა და ქართლში; ელისავეტპოლისა და ალექსანდროპოლის (გუმბრის) მაზრებში ყოფნისას არაერთგზის გვქონდა შემთხვევა დაკვირვებულიყავით იმაში, რომ ქართული გუთანი უფრო მეტ ხუშაძალს მოითხოვს. ვინემ მსოფლიოში ყოველგვარი სხვა მისი მსგავსი იარაღი“[4].

ექვსიოდე წლის შემდეგ ივანე სერებრიაკოვი წერდა.

---

[3] ივ. ჯავახიშვილი. „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, ტ. I, გვ. 232 — 252.

[4] П. Серебряков. „Сельское хозяйство в Елисаветпольском уезде“ (ЗКОСХ, 1861, стр. 91, 130—136); П. Гугушвили. „Сельское хозяйство и аграрные отношения“, т. I, стр. 16—17.

რომ „ჩერქეზული გუთანი ქართულის მინაგვარია“ და მხოლოდღა უმნიშვნელო განსხვავებით განირჩევაო[5].

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამიერკავკასიის რიგ ხალხში, მაგალითად, ინგუშეთში ქართული გუთნის სახით საერთოდ გაუმჯობესებულ სახვნელ იარაღს გულისხმობდნენ[6].

ამავე დროს უკვე 1860-იანი წლების პრესაში ქართულ გუთანს „წარღვნამდელი სახვნელი იარაღი“ შეარქვეს. როგორც უკვე ითქვა, იგი მართლაც ძლიერ ძველი იარაღია. იგი თაობიდან თაობას, მოხუცებული მამა-პაპათა ხელიდან, ყოველგვარი კონსტრუქციული ცვლილებების გარეშე, გადაეცემოდა შვილებს, რომლებიც სტერეოტიპულად აგრძელებდნენ, როგორც ამ სახვნელის წარმოებაში გამოყენების, ისე თვით იარაღის განახლების (კეთების) ხერხებსა და ჩვევებს. გუთნის კონსტრუქცია დაცული იყო განმტკიცებული შარავანდედმოსილი ტრადიციით, მასში რაიმე არსებითი ცვლილების შეტანა არავის შეეძლო.

ხალხური რწმენით გუთნის ამგვარი კონსტრუქცია ზეციური ძალებისაგან იყო დადგენილი. პროფ. გ. ჩიტაიას, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ეთნოგრაფიულ მასალათა მიხედვით ქართული და კავკასიური სახვნელი იარაღების შესწავლის საქმეში, ჩაწერილი აქვს, მაგალითად ფიტარეთელ ოსთა შორის დაცული ხალხური გადმოცემა, რის თანახმადაც, გუთანი, როგორც გაუმჯობესებული სახვნელი იარაღი, ადამიანმა ღმერთისაგან მიიღო: „ციდან გუთნის სურათი ჩამოვარდა, ის ქართველმა ნახა; გააკეთა იმგვარი გუთანი და მისგან სხვებმაც ისწავლეს“[7].

---

[5] И. Серебряков, „Сельскохозяйственные условия С-З. Кавказа“ (ЗКОСХ, 1867, № 1-2, отд. II, стр. 31).

[6] Гепко, „Из культурного прошлого Ингушетии“ (Записки коллегии Востоковедов, т. V).

[7] გ. ჩიტაია, „ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში“ (საქ. მუზეუმის მოამბე, 1928, IV, გვ. 222).

უაღრესი ინტერესის შემცველია ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ ჰ ე რ ო დ ო ტ ე ს (484 — 425) მიერაა ჩაწერილი, და ისიც როგორც უ ძ ვ ე ლ ე ს ი სკვითური თქმულება, რომ ზეციდან ჩამოვარდნილი ოქროს გუთანი ქართველთა ერთ-ერთი ტომის, კოლაელთა (კოლაქსაის) მამამთავარს ჰქონდა ნაპოვნი[8]. როგორც ცნობილია ძველ ბერძენ მწერალთა, მა-გალითად, პ ი ნ დ ა რ ი ს (522 — 442)[9], ა პ ო ლ ო ნ რ ო დ ო-ს ე ლ ი ს (მე-3 ს. ჩვ. ხანამდე) და სხვ. თხზულებებშიც აღ-ნიშნულია კოლხეთში (ლაზიკაში) არაჩვეულებრივი, ძლიე-რი, მეტალის (ფოლადის) სახვნელი იარაღის ხმარება[10].

ამგვარად, მე-19 საუკუნეშიაც გაბატონებული ქართუ-ლი გუთანი კავკასიის მოსახლეობას ზეციურ ძალთაგან მი-ღებულ იარაღად ჰქონდა მიჩნეული და, ცხადია, მასში რაი-მეგვარი ცვლილების შეტანა დაუშვებლადაც მიაჩნდათ.

სწორედ ამიტომ, საერთოდ ფეოდალური ეპოქის რუ-ტინული ტექნიკის პირობებში გუთანმა ადამიანის ხელით ნაგები მატერიალური კულტურის ყოველგვარ ძეგლზე უკეთ გაუძლო საუკუნეთა ქარიშხალს, როგორც წარმოებრივ ურ-თიერთობათა იმ ფორმამაც, რომელშიაც იგი ჩამოყალიბდა და კონსტრუქციულად, ეტყობა, ფრიად უმნიშვნელო ცვლი-ლებებით თვით ჩვენს დრომდე მოაღწია.

ქართული გუთანი სწორედ იმ სახით, როგორადაც იგი გავრცელებული იყო მე-19 ს. კავკასიაში აღწერილია მე-18 ს. დასაწყისს ვ ა ხ ტ ა ნ გ VI მიერ[11]. როგორც მე-18 ს. და უფრო ადრეც, ისე მე-19 ს. ქართულ გუთანს, როგორც გინდ ძლიერი არ ყოფილიყო გამწევი პირუტყვი, მაინც 8-10 უღე-ლი ხარი სჭირდებოდა.

ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე წერდა (1882 წ.) „...ერთს დღიურს

---

[8] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქარ-თველოს შესახებ", 1936, ტ. III, გვ. 51.

[9] SC, 1947 — 1949, გვ. 57.

[10] იქვე, გვ. 283.

[11] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, „დასტურლამალი", პ. უმიკაშვილის რედაქციით, 1886, გვ. 35.

მიწის მოხვნას... უნდება არა ნაკლებ რვა უღელი ხარ-კამეჩი. ესეც მაშინ, როცა ხარ-კამეჩი კარგს ჯანზეა, თუ არა და ათი უღელი უნდა. ამას სჭირდება ერთი გუთნის-დედა და ოთხიდამ ხუთ კაცამდე მეხრე"[12].

შესაბამელის სიმრავლე, ცხადია, აიხსნება არა იმ გარემოებით, რომ ადგილობრივი პირუტყვი „ტანმორჩილი, მჭლე და დაუძლურებული იყო განუწყვეტელი მუშაობისაგან", — როგორც ამას ზოგიერთი არაადგილობრივი დამკვირვებელი ფიქრობდა; — შეაბამელთა რაოდენობა უპირატესად თვით გუთნის კონსტრუქციისა და მისი საწყისი მომენტის, სახელდობრ სახვნელი ნიადაგის ფიზიკური და მექანიკური თვისებებით განისაზღვრებოდა.

ი. სერებრიაკოვის მიერ 1860-იან წლებში წარმოებული შედარება-გაანგარიშების მიხედვით ქართულ გუთანს 3,5-ჯერ მეტი გამწევი ძალა სჭირდებოდა, ვინემ დომბალის სისტემისას[13]. ევროპული, ე. ი. გაუმჯობესებული კონსტრუქციის ახალ (ქარხნულ) გუთნებთან შედარებით ქართული (შუასაუკუნეებრივი) გუთანი, ცხადია, ჩამორჩენილ სახვნელ იარაღს წარმოადგენდა.

---

[12] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VI, გვ. 239.

[13] ი. სერებრიაკოვი წერდა: „Проходя по пашням, обработанным грузинским плугом, можно иногда встретить поле вспаханное совершенно удовлетворительно... Не выдавший самого процесса пахания, можно приписать это превосходству орудия, которым вспахано поле; стоит только посмотреть раз, как пашут, чтобы тотчас узнать в чем дело. Грузинский плуг не мог бы перевернуть пласты земли, несмотря на длину своего отвала, выскакивая часто из борозды, не мог бы он отделять равномерный пласт, если бы не пособлял ему сам пахарь, то придавливая ногою заднюю часть подошвы плуга, то поднимая его рукояткою, то наклоняя весь плуг направо или отпыхивая ногой пласт земли, чтобы предупредить обратное падение его в борозду. И сколько трудов, сколько усилий стоит это пахарю! Сколько он должен иметь терпения и физической силы, чтобы хорошо вспахать землю! После этого не удивительно, что хорошо вспаханное поле здесь редкость" (ЗКОСХ, 1861, стр. 135—136).

მაინც ქართული გუთანი კავკასიაში გავრცელებულ ყველა სხვა სახის ადგილობრივ სახვნელთან შედარებით უჭკობესი იარაღი იყო. მაგალითად, კავი. რომელსაც 1820-იან წწ. ქუთაისის მაზრაში გამბა აგვიწერს მთლიანად ხისა იყო. კავს ზოგან რკინის სახნისიც არ ჰქონდა.[14] ანალოგიური იყო მეტნაკლები განსხვავებით საქართველოს სხვადასხვა რაიონში გავრცელებული ჩუთი, ჯილღა, აჩაჩი[15], ოგაფა, ოქოქა[16]; სომხური — არორ, ეორწენ, სარვაზ და ალაი[17]; აზერბაიჯანული — ჩუთ, ალათ, ხიშ, ვესკი და სხვ.[18]. ამ სახვნელ იარაღებს, მსგავსად კავისა უმეტეს შემთხვევაში ჰქონდათ რკინის სახნისი, მაგრამ გუთანთან შედარებით ყველა ესენი ბევრად უფრო მარტივ იარაღებს წარმოადგენდნენ და, ცხადია, მიწასაც ვერ ამუშავებდნენ ისე, როგორც გუთანი.

ამიერკავკასიის უდიდეს ნაწილში თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, სხვადასხვა რაიონის ბუნებრივ-ისტორიული პირობების შესაბამისად ძველებურად გავრცელებული იყო ოდითგანვე ჩამოყალიბებული სხვადასხვა ფორმის კავი.

პროფ. პეტროლდი. რომელიც 1863 წელს სპეციალური მოწვევით გაეცნო აღმ. ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობას წერს. რომ აქ „ნიადაგის დასაბუშა-

---

[14] Gamba, „Voyage...", II, 118; Р. Эристов, „Очерк Имеретии в сельск.-хоз. отношений", 1876, стр. 8—10.

[15] გ. ჩიტაია, „ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან...", გვ. 213—215; მისივე „მესხური ჯილღა" (საქ. მეზ. მოამბე, 1930, V, 270); ს. მაკალათია, „ხევსურეთი", 1935, გვ. 58 — 59.

[16] ს. მაკალათია, „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია", 1941, გვ. 187; მისივე, „თუშეთი", 1933, გვ. 46 — 48; ე. გაბლიანი, „ძველი და ახალი სვანეთი". 174; Э. Кальвейт, „Очерк с. х. верхней Сванетии", 1911, стр. 11—12; Н. Фон-Дервиз, „Сухумский округ", 1906, стр. 31—32.

[17] МНЭБГКЗК, I, 36;—IV, I, 8; РТКЭКД. 638 — 639; С. Заваров, „Опыт...", 195—196.

[18] МНЭБГКЗК, II, II, 155—156; — IV, I, 80, 136;—VI, I, 68; — VII, 89; Х. Вермишев, „Земледелие...", 254—255.

ვებლად ხმარებული ყველა იარაღი, ...გამონაკლისს გარეშე, ირის უხეში და მძიმე და ნაწილობრივ მოგვაგონებს სოფლის მეურნეობის მდგომარეობის პირველყოფილ პერიოდს. ეს იარაღები ამასთანავე მოითხოვენ ცხოველთა უზომოდ დიდ გამწევ ძალას და ფრიად დიდი დროის ხარჯვასო"[19].

მაგრამ სოფლის მოსახლეობის ძირითადი მასებისათვის, გლეხებისათვის, დიდ სიძნელეს წარმოადგენდა მიწათმოქმედების ასეთი უხეში იარაღების გაწყობაც-კი. კავისათვის საჭირო რკინის სახნისისა და თვით ხის ნაწილების შეძენაც დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული[20].

მე-19 საუკუნიდან იმთავითვე მნიშვნელოვანი ძვრების მომასწავებელი პერიოდი იწყება ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიაში, რაც ამიერიდან ისე წარიმართა, რომ ქ. თბილისი დარჩა და, ბევრად მეტი ზომით, ვინემ უახლოეს წინა საუკუნეებში, გადაიქცა ამიერკავკასიისა და მთელი კავკასიის, როგორც კულტურულ-ეკონომიკურ ისე, განსაკუთრებით. ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ცენტრად.

ამიტომ, ამიერიდან ამიერკავკასიაში ახალი წამოწყებანი, ევროპელ ხალხთა შესაბამისი მიღწევების გადმონერგვა და გავრცელება უპირატესად თბილისიდან, თბილისის გუბერნიიდან, იწყებოდა. და ეს ითქმის არა მხოლოდ ისეთ გაუმჯობესებათა და მიღწევათა შესახებ, რომელიც რუსეთიდან ან რუსეთის მეშვეობით შემოდიოდა, არამედ ხშირად ისეთზედაც, რომელიც უშუალოდ დას. ევროპიდან და ამერიკიდან (შავი ზღვით) შემოდიოდა და როგორც ასეთი უწინარეს ქუთაისის გუბერნიაში უნდა გაჩენილიყო.

თბილისის გუბერნიაში ჩნდებოდა და, მაშასადამე, ცდილობდნენ დაენერგათ სოფლის მეურნეობის ზოგიერთი ისეთი ახალი კულტურაც, რომელსაც ბუნებრივი პირობების

---

[19] ЗКОСХ, 1864, № 1, стр. 4.

[20] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება მე-19 — 20 სს.", 1956, მონოგრაფიები, ტ. II, გვ. 755—857, 882—891.

მიხედვით ბევრად უფრო შეესაბამებოდა ამიერკავკასიის რომელიმე სხვა გუბერნია — აღმოსავლეთით ან დასავლეთით.

ცხადია, მიწათმოქმედების ახალი, გაუმჯობესებული იარაღებიც, როგორც წესი, ქ. თბილისიდან ვრცელდებოდა ამიერკავკასიაში. ამ გარემოებას, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა ისიც, რომ სოფლის მეურნეობის პირველი უცხოური იარაღ-მანქანების შემოტანის პერიოდში, 1850-იან წლებში, ჯერ კიდევ თვით თბილისშივე „წარმატებით წარმოებდა“ ამ იარაღების პრაქტიკული გამოყენება: კუკიაში, როგორც საერთოდ სოფელში, დიდი ადგილი ეჭირა ჰურის ყანებს; სოლოლაკი „მთლიანად დაფარული იყო ხეხ-ლისა და ვენახის ბაღებით“.

* * *

მე-19 ს. პირველ ნახევარში, ცარიზმის ბიუროკრატია უმეტესწილად გულგრილად უცქერდა ამიერკავკასიაში, როგორც საერთოდ „განაპირა ქვეყნებში“, მიწათმოქმედების ჩამორჩენილობას. მაგალითად, იმპერიის ფინანსთა მინისტრი გრაფი კანკრინი 1828 წ. წერდა, რომ ამიერკავკასიაში „გაბატონებულია რა, ძველი დროიდანვე ფესვგადგმული რუტინა“ საეჭვოა, რომ საერთოდაც „მოხერხდეს მიწის დამუშავების ევროპული წესების დანერგვა“-ო[21].

მაგრამ, ცხადია, მეტროპოლიის ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ეს შეხედულებები იცვლებოდა. უკვე 1850 წ. თბილისში წარმოქმნილ სოფლის მეურნეობის კავკასიურ საზოგადოებას (სმკს — KOCX) თავის ერთ-ერთ ამოცანად მიაჩნდა ამიერკავკასიაში გაუმჯობესებული გუთნების გავრცელება.

სწორედ იმავე 1850 წ. სმკს-მ თბილისის ფერმაში, ავ-

[21] АСКАК, VII, № 119, стр. 160.

ლაბარში, მოაწყო პირველი საჯარო გამოცდა: დომბალის, ინგლისური, კოლონისტური და კიდევ რამდენიმე სხვა ევროპული, ე. ი. ქარხნული სისტემის გუთნისა, რომელთა გვერდით, შედარების თვალსაჩინობის მიზნით, ამუშავებდნენ ქართულ გუთანს.

გუთნების ამ დემონსტრაციას, გარდა გლეხებისა, დაესწრნენ ადგილობრივი საერო და სასულიერო ხელისუფალთა უმაღლესი წარმომადგენლებიც თვით სმკს პრეზიდენტის, კავკასიის ნამესტნიკის მ. ს. ვორონცოვის მეთაურობით.

დემონსტრაციის მიზანი იყო ეჩვენებია „ევროპული კონსტრუქციის გუთნების უპირატესობანი ადგილობრივ გუთნებთან შედარებით“ [22]. ქართულ გუთანს ეწეოდა 8 უღელი, დომბალისას — 4, კოლონისტურს — 4, ინგლისურს — 2 უღელი შესაბმელი და ა. შ.

გამოცდის შედეგებმა საქმის ხელმძღვანელები ვერ მიიყვანა საბოლოოდ გარკვეულ დასკვნამდე; მათ აღიარეს, რომ ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხისათვის — ნიადაგისა და კლიმატურ პირობათა შესაბამისად — საჭიროა სხვადასხვანაირი გუთანი, ხოლო კერძოდ დაბლობი და მშრალი, მძიმენიადაგიანი რაიონებისათვის ქართული გუთანი უბადლოა. ამიტომაც დასახულ იქნა ღონისძიება და დაინიშნა პრემია ქართული და კოლონისტური გუთნის გაუმჯობესებისა — რათა მათ ნაკლები გამწევი დასჭირვებოდათ[23].

ამგვარად, ამ გამოცდამ, სრული საფუძვლები გვაქვს განვაცხადოთ, უპირატესობა ქართულ გუთანს არგუნა; მით უმეტეს, რომ ე. წ. კოლონისტური გუთანი არსებითად იყო რამდენიმედ სახეშეცვლილი ქართული გუთანი; იგი სოფ. ვორონცოვკაში (ბორჩალოს მაზ.) რუს კოლონისტთათვის მთავრობისაგან მივლენილმა სპეციალისტმა გააკეთა და, როგორც ქართულ გუთანს, მძიმე ნიადაგზე, მასაც 6 — 10 უღელი შესაბმელი სჭირდებოდა, რომ არა ვთქვათ რა იმის შესა-

[22] ОДКОСХ, 1901, I, 36—37.
[23] АСКАК, X, 884.

ხებ, რომ „კოლონისტური გუთანი“ ორჯერ მეტი ღირდა, ვინემ ქართული[24]. სიძვირე უნდა მივიჩნიოთ უპირატეს მიზეზად იმისა, რომ გამოცდების შემდეგ ევროპული გუთნების შეძენა „ფიქრადაც არავის მოსვლია“[25].

მაგრამ, ცხადია, იყო სხვა მიზეზიც, რაც ხელს უშლიდა საერთოდ ახალი სისტემის იარაღ-მანქანათა შემოღებას სოფლის მეურნეობაში. ეს იყო ფეოდალური ურთიერთობანი და მისი დამახასიათებელი რუტინიზმი, რაზედაც სპეციალურად ქვემოთ შევჩერდებით.

ვაუმჯობესებული იარაღ-მანქანების შემოღება-გავრცელების ეს დამაბრკოლებელი მიზეზები, მით უფრო ურყევ კედლებად იდგნენ, რომ ჯერ კიდევ სუფევდა ბატონყმობა და, ამგვარად, სოფლის მეურნეობის უშუალო მწარმოებელთა ბასა მოკლებული იყო თავისუფალი მეურნეობრივი თაოსნობისა და ინდივიდუალური ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობას, რომ არა ვსთქვათ რა იმის შესახებ, რომ მძიმე ბატონყმური და კოლონიური ექსპლუატაციის პირობებში გლეხის ოჯახს არავითარი მარაგები არ გააჩნდა, რათა ეზრუნა თავისი მეურნეობის ამა თუ იმ სახით გაუმჯობესებისათვის, ახალი იარაღების შეძენისა და ახალი კულტურის დანერგვისათვის.

*

* *

ყირიმის ომის წლებში გაუმჯობესებული გუთნების გავრცელებისათვის ზრუნვის საკითხი დავიწყებას მიეცა. 1860-იანი წლების დასაწყისიდან-კი ევროპული სისტემის გუთნებისადმი ყურადღება სულ უფრო იზრდება[26].

---

[24] К. Федотов, „Земледельческие орудия и кустарное изготовление их в Закавказье“, 1914, Тифлис, 18, 36.

[25] გაზ. „გუთნის-დედა“, 1863 წ. № 1.

[26] ЦАУГ, ГПА, ф. 69, д. № 61373, 1861—1864 гг., лл. 1—127.

1861 — 63 წწ. ცნობილი ი. მუხრანბატონი თავის მამულებში — დიღომსა და მუხრანში — აწარმოებდა ამერიკული და ინგლისური სახვნელებისა და ქართული გუთნის შედარებითს საჯარო გამოცდებს. როგორც თვით ი. მუხრანბატონი წერდა უცხოურ გუთანთა შორის გლეხთაგან მეტი მოწონება ჰპოვა შუმანის სისტემის ამერიკულმა გუთანმა: „კარგა მოხნულმან მიწამან მოიყვანა გლეხნი დიდსა განკვირვებასა. ორისა უღლითა... შებმულმან გუთანმა შუმანისა მოხნა 6 ვერშოკიანსა სიღრმეზედ იმდენივე მინდორი, რასაც მოხნავს ქართული გუთანი რვა უღლითა შებმული“[27].

1862 წ. თბილისის ობსერვატორიის ეზოშიაც მოეწყო ინგლისური, რანსომის, სიმსის და სხვ. სისტემის გუთნების საჯარო გამოცდა: „ამ ცდას, რასაკვირველია, ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ დაუმტკიცოს ამ იარაღების მუშაობითა ჩვენთა მამულის პატრონთა ის საკვირველი სარგებლობა და შემსუბუქება ჩვენის მძიმე და საბრალო მიწის შემუშავებისა, რომელზედაც ...ვკარგავთ ძვირფას დროსა ან ვსწევთ დიდსა ამაგსა და ჯაფასა“[28].

დას. საქართველოში პირველად 1852 წ. სამეგრელოს მთავარმა დ. დადიანმა (ზუგდიდი) გამოიწერა ამერიკული სისტემის გუთნები[29].

1858 წ. გამოცემულს ქუთაისის გუბერნიის ოფიციალურ მიმოხილვაში ნათქვამია, რომ აქ „გამოწერილი გაუმჯობესებული იარაღები თითქმის არ მოიპოვებაო“[30]. იმერეთში ევ-

---

27 ივ. ბაგრატიონი, „გუთანი შუმანისა“ („გუთნის-დედა“, 1862 წ. № 1).

28 ნენიგერი, „გამოცდა სხვადასხვა მიწის შემუშავების იარაღებისა“ (გაზ. „გუთნის დედა“, 1862 წ. № 8).

29 ი. მეუნარგია, „სამეგრელო დ. დადიანის დროს“, 1939 წ., ტფ., 95.

30 „Статистическ. опис. Кутаисской губ.“, 1858, СПБ, стр. 82.

როპული გუთნები ჩნდება 1862 წლიდან ა ნ ა ნ ო ვ ი ს ფერმაში (ს. ვარციხეს)[31].

ანანოვმა აქ 1860 წლის გასულს ახალშეძენილ მამულში (5000 დეს.) მოაწყო „თავისუფლად დაქირავებულ შრომასა და რაციონალურ საწყისებზე დამყარებული კაპიტალისტური ფერმა". მან სხვადასხვა იარაღ-მანქანასთან ერთად გამოიწერა ოციოდე ჰოჰენჰაიმური გუთანი, რომელიც „მშვენივრად მუშაობს 2-დან 5-მდე ვერშოკს სიღრმეზე და მოითხოვს ერთ ან ორ უღელ კარგ ხარს. მისი გაწყობილობის სიმარტივე და სრულქმნილობა, რაც არ საჭიროებს არავითარ წინასწარ მოამზადებას მართვისათვის და მეტისმეტი სიიაფე საწინდარია მისი კარგი მომავლისა იმერეთში და მართლაც ყველა მეშაურე, რომელთაც ნახეს მისი მუშაობა ბ. ანანოვის ფერმაში, დარჩა მით ფრიად კმაყოფილი"-ო — გადმოგვცემს კორესპონდენტი[32].

დამკვირვებლებმა იმთავითვე შენიშნეს, რომ ევროპული სისტემის გუთნებს დას. საქართველოში კავის სახით უფრო ძლიერი კონკურენტი ჰყავდა, ვინემ აღმ. ამერკავკასიაში ქართული გუთნის სახით.

სმკს-ს ორგანო დაბეჯითებით აცხადებდა, რომ „იმერეთში მეურნეობის ახლანდელი მდგომარეობის ვითარებაში, არა გვგონია, რომ აღვილი იყოს რაიმე იარაღით შეცვლა ადგილობრივი კავისა, რაც განირჩევა არაჩვეულებრივი სიიაფით (ღირს არა უმეტეს 80 კაპიკისა), გაწყობილობის სიმარტივით და სვლაში შეუდარებელი სიმჩატით. მით უმეტეს, რომ ყოველ გაუმჯობესებულ ევროპულ სახვნელს მეტი გაწევი ძალა სჭირდება ვინემ კავსო"[33].

დაახლოებით იმავე ხანებში ოზურგეთის მაზრაში ჩასახლებულმა რუსებმა დაიწყეს ხმარება რუსული გუთნისა,

---

[31] Л. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения", 1938, Тифлис. I, 480.

[32] ЗКОСХ, 1863 г., № 21.

[33] ЗКОСХ, 1863 г., № 2.

რომელიც გაკეთებული იყო თუჯისა და რკინისაგან. მაგრამ „ამაში ერთი რამ თუ გატყდა, ადვილად ვერ გააკეთებს ჩვენებური მჭედელი... მაშინ როდესაც იმერული გუთანი (კავი) უფრო მაგარი არის, — ვინიცობაა გატყდეს ადვილად აკეთებს გუთნისდედა, თუ ოსტატი კაცი არის“[34]. ასეთს პირობებში, რასაკვირველია ხსენებული რუსული გუთნის გადალება ადგილობრივ მკვიდრთათვის არახელსაყრელი იქნებოდა, მაგრამ, როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, ცოტა ხნის მერმე თვით რუსები გადასულან ადგილობრივ კავზე და, ამრიგად, ხელი აუღიათ „თავიანთ გაუმჯობესებულ გუთანზე“.[35]

ამ ხანებში უდავოდ ჰქონდა ადგილი ევროპული გუთნებით გატაცებას. ი. სერებრიაკოვი 1863 წ. ივ. მუხრანბატონის მამულში წარმოებული გამოცდების შედეგებისათვის წერდა, რომ „შუმანის გუთნის ამბავი მოედო მთელს საქართველოს ახალციხიდამ დაჭერილი ბაქო-დერბენდამდე, ისე მსწრაფლად, როგორც ერთი დიდი პოლიტიკური ცვლილების ამბავი“[36].

მაგრამ ეს გატაცება, როგორც ირკვევა, მალე მინელდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი წაქეზების მიზნით ადმინისტრაციისაგან დაფინანსებულმა უცხოელმა ვაჭრებმა თბილისში გახსნეს მიწათმოქმედების ევროპული იარაღების საწყობი, საიდანაც ადგილობრივი მკვიდრნი იშვიათად თუ ჰყიდულობდნენ ან ქირაობდნენ გუთანს. მერმე ეს საწყობი სმკს-ს ხელში გადავიდა და, ბოლოს, უკანასკნელმა ეს იარაღები, როგორც რკინის ჯართი სააუქციონო ვაჭრობით გაჰყიდა[37].

---

[34] გაზ. „გუთნის დედა“, 1868 წ., № 21.

[35] იქვე.

[36] ი. სერებრიაკოვი, საეკონომიო წლის აღწერა...“ („გუთნის დედა“, 1863 წ, № 1).

[37] ЦАУГ, ГИА, ф. 69, управл. с. х. и промышл. на Кавказе, 186'|68 гг. д. № 96/409, лл. 1—35.

დერპტის უნივერსიტეტის პროფესორი პეტცოლდი 1863 წელს აღწერს რა კახეთსა და სომხეთში გავრცელებულ „მძიმე და უხეშ“ სახვნელ იარაღებს, ერთხელაც არ აღნიშნავს აქ ევროპული სისტემის გუთნების ხმარების ფაქტს[38].

---

[38] Петцольд, „Отчет о сельскохоз путешествии по Закавказскому краю...“, 1863 г. (ЗКОСХ, 1864, № 1); ЦАУГ, ГПА, ф. 69, д. № 288/396, л. л. 1—112.

II. გუთნეული

1. გუთნეულის ცნება და ორგანიზაცია

როგორც ითქვა ქართული გუთანი და, მაშასადამე, **გ უ თ ნ ე უ ლ ი**, როგორც ამ სახვნელი იარაღის წარმოებაში გამოყენებისათვის შექმნილი თავისებური კოოპერაცია, ასოციაცია, ჩამოყალიბებულია ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში.

რას წარმოადგენდა ქართული გუთნეული?

მე-18 ს. დამდეგს და, უნდა ვიგულისხმოთ, ადრეც ნორმალური გუთნეულის შესაბმელად 10 უღელი ხარი იანგარიშებოდა. „დასტურლამალში" მითითებულია „ღალისა ერთი გუთანი არის ხარის უღელი ი"[1]. მაგრამ საერთოდ, ნიადაგის თვისებებისა და სხვ. შესაბამისად, გუთნეულის გასამართავად 8 უღლიდან 12 უღლამდე ხარს ანგარიშობდნენ, — როგორც შუა საუკუნეებში, ასევე მე-19 ს. დასაწყისსა[2] და მერმეც.

მართალია, ჯერ კიდევ მე-19 ს. შუაში დაიწყო ცდები ქართული გუთნის ტექნიკური გაუმჯობესების მიმართულებით, მაგრამ ამ- ცდებს გუთნის ტექნიკურ კონსტრუქციაში რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილების შეტანა არ მოყოლია.

---

[1] **ვ ა ხ ტ ა ნ გ** VI, „დასტურლამალი", პ. **უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს** რედაქციით, 1886, ტფილისი, გვ. 35.

[2] ОРВЗ, I, 297.

ქართული გუთანი ბოლომდე დარჩა ოდესღაც თავისებურად სრულქმნილი და მერმე გაქვავებული ფორმით.

საუკუნეობრივად განმტკიცებული ტრადიცია, რაც მას ზეშთაგონებით დადგენილ და შარავანდედმოსილ, მაშასადამე, ადამიანის მხრივ შეუცვლელ ფორმად მიიჩნევდა, იცავდა არა მხოლოდ გუთნის ტექნიკურ კონსტრუქციას, არამედ აგრეთვე შრომის ორგანიზაციას, რაც ამ სახვნელი იარაღის წარმოებაში გამოყენების პროცესში ოდითგანვე გუთნეულის სახით შემუშავებულა და ჩამოყალიბებულა.

მართალია, მე-19—20 საუკუნეებში მომხდარმა საერთო ტექნიკურმა პროგრესმა ვერავითარი არსებითი ხასიათის კონსტრუქციული ცვლილება ვერ შეიტანა ქართულ გუთანში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ პროგრესმა და მთლიანად კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მ თ ე ლ ი გ ა დ ა ტ რ ი ა ლ ე ბ ა გ ა მ ო ი წ ვ ი ა გ უ თ ნ ე უ ლ ი ს მ უ შ ა ო ბ ი თ მ ი ღ ე ბ უ ლ ი შ ე დ ე გ ი ს, ე. ი. შ რ ო მ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა შ ი.

გ უ თ ნ ე უ ლ ი, როგორც უკვე ზემოთქმულიდან ჩანს შედგება თვით გუთნის (სახვნელი იარაღის) რკინისა და ხის ნაწილების, ჭაპანისა და სხვ. ინვენტარის, შესაბმელი პირუტყვის — საერთოდ შრომის მკვდარი და ცოცხალი იარაღებისა — და მუშების, სახელდობრ, გუთნის დედისა და მეხრეებისაგან.

სალაპარაკო ენაში და ხშირად ლიტერატურაშიაც გუთნეულს, ჩვეულებრივ, მხოლოდ სახვნელის (გუთნის) შესაბმელ პირუტყვთა კომპლექტს (8 — 12 უღელ ხარ-კამეჩს) უძახიან, ანდა კიდევ მხოლოდ ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის, ე. ი. მხოლოდ წარმოების იარაღების კომპლექტს, რასაც ძველ ქართულში გუთანი ეწოდებოდა (ვ ა ხ ტ ა ნ გ VI: „ერთი გუთანი არის ხარის უღელი ი“).

„გუთანი“ შუა საუკუნეებში მიწის ფართობის საზომი ერთეულიც იყო და, ცხადია, მსგავსად დღიურისა და ქცევისა,

გულისხმობდა იმდენ ფართობს, რამდენიც გუთნით ერთი დღის განმავლობაში მოიხვნებოდა[3].

ლიტერატურული წყაროების საფუძველზე განხილვადი მთელი პერიოდის მანძილზე ნათლად ჩანს, რომ სოფლის წვრილმწარმოებელთათვის უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელი იყო ინდივიდუალურად, ცალცალკე კომლთა, ე. ი. მეურნეობრივ ერთეულთა მიხედვით შეედგინათ მთელი გუთნეული.

მე-19 ს. 30-იან წლებში შედგენილ თბილისის მაზრის ოფიციალურ მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ „რადგანაც სოფლელთა (გლეხთა) შორის არა მრავალთა ჰყავთ გუთნის მუშაობისათვის საჭირო რაოდენობა ხარებისა, ე. ი. 12 უღელი", ამიტომაც ისინი ერთგვარ გაერთიანებას ადგენენო[4].

მე-19 საუკუნის როგორც რეფორმამდელ, ისე მერმინდელ პერიოდშიაც ძლიერ იშვიათი იყო გლეხი, კულაკურ კომლთა შორისაც-კი, რომელსაც შესძლებოდა მთელი გუთნეულის გამოყვანა. 1868 წ. გაზ. „გუთნის დედა" წერდა: „იშვიათი არის გლეხი, არა თუ გლეხი, თვითონ კეთილშობილიც, რომელსაც ჰყავდეს ერთი გუთნეული, — აქ რამდენიმე იკრიბებიან, შეაგროვებენ საქონელს და ისე ხნავენ. ჯერ ერთი ხნავს, მერე მეორე და სხუა. რა ქნას იმ გლეხმა, რომელსაც... უღელის ხარის მეტი არა ჰყავს; იმისი საქმე საცოდავ მდგომარეობაშია, იმას ხვნა უნდა შეხვდეს ან მეოცე დღეს, ან კიდევ მეტს (შემდეგ). ამ დროის განმავლობაში ის სხუის მუშა არის და რამდენს (თავის) საქმესა სცდება"[5].

ერთი სოფლის, ან უბნის მეზობელ გლეხთაგან გუთნეულის გაწყობით სდგებოდა თავისებური ასოციაცია, ამხა-

---

[3] თ. ყორდანია, „ქრონიკები...", II, 126, 146 — 147, 151—152, 444; პ. გუგუშვილი, „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება", 1956, მონოგრაფიები, ტ. II, გვ. 432 — 433.

[4] ОРВЗ, I, 297.

[5] „გუთნის დედა", 1868, № 21.

ნაგობა, არტელი, როგორც დროებითი ხასიათის გაერთიანება[6].

სხვადასხვა რაიონში ეს გაერთიანება ზოგიერთი სხვადასხვაობით განირჩეოდა და სხვადასხვა სახელწოდებასაც ატარებდა, თუმცა გაერთიანების აზრი, მიზანდასახულება, ტექნიკურ-ეკონომიკური ორგანიზაცია და სოციალური ბუნება ერთგვარი იყო.

ახასიათებდა რა გუთნეულის გამართვის პროცესს ეგნ. იოსელიანი 1903 წ. წერდა „...ეს გუთანი რომ საქმეში იხმარო საჭიროა: გუთნის დედა, ოთხი მეხრე და რვა უღელი ხარ-კამეჩი. ერთი ოჯახისათვის ასეთი ძვირი გუთნის გაწყობა შეუძლებელია, — საჭიროა გუთნის გატანაში ერთი ერთმანეთის მიდგომა. ასეც ჩადიან ჩვენში"[7]. ტერმინი მოდგამი შესაძლებელია სწორედ ამ მიდგომა-დან იყოს წარმომდგარი.

მაგალითად, ქსნის ხეობის რიგ სოფელში „მუშახელის, სახვნელი იარაღისა და გამწევი საქონლის პერიოდულ გაერთიანებას" მოდგამი ეწოდებოდა[8].

გორის მაზრის მრავალ თემში „ხვნის დროს 8 უღელი ხარია საჭირო. გლეხები ადგენენ ამ მიზნისათვის ერთგვარ ამხანაგობას, რომელიც 40 დღის განმავლობაში ამხანაგთა მიწებს ხნავს. ამას ისინი თაობას ეძახიან. ეს თაობა ხშირად ორ თვესაც გასტანს, რადგან შუაში ხან უქმე და ხან ავდარი გამოერევა"[9].

მაგრამ როგორც საქართველოს, ისე საერთოდ ამიერკავკასიის მაზრების დიდ ნაწილში გუთნეულის დაკომპლექტებისათვის შედგენილ დროებით ამხანაგობას (არტელს) ალო

---

[6] К С Х, 1897, № 170—171, стр. 242.

[7] ეგნ. იოსელიანი. „ხვნა-თესვა" („საქართველოს კალენდარი 1904", 1903, ტფ., გვ. 301).

[8] ალ. რობაქიძე, „მოდგამი როგორც ექსპლოატაციის ერთი ფორმა რეფორმამდელ საქართველოში" („მეცნიერი", II, გვ. 407).

[9] ფ. გოგიჩაიშვილი, „ჩვენი ეკონომიური გაპირვება" („მოამბე", 1904, № 1, გვ. 69).

და ავაჯ ეწოდებოდა და ამ გაერთიანების ცნების აღსანიშნავად სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებულიც არის ეს ტერმინი — ალო[10]. ალო ამასთანავე ერთი დღის ნახნავს ან სახნავსაც ეწოდებოდა.

ალოს, მოდგამის, თაობის, — როგორც გუთნეულის დაკომპლექტებისათვის დროებით შექმნილი ასოციაციის (ამხანაგობის), ე. ი. ასოციაციური (ამხანაგური) გუთნეულის შესახებ საკმაო ეთნოგრაფიული ლიტერატურა არსებობს[11]. მისი ტექნიკური-ეკონომიკური მხარე უფრო დაწვრილებით შესწავლილია 80-იან წლებში — ამიერკავკასიელ სახელმწიფო გლეხთა ეკონომიური ყოფიერების აღმწერთა მიერ, რომელთა შორის შემაჯამებელი ნაშრომი შესახებ მიწათმოქმედებისა და, მაშასადამე, სახვნელი იარაღის წარმოებაში გამოყენებისათვის არსებული ასოციაციისა ეკუთვნის ქ. ვერმიშევს.

ქ. ვერმიშევი 1884 წელს წარმოებული უშუალო დაკვირვების საფუძველზე წერდა, რომ „ქართულმა გუთანმა ხალხის ყოფიერებაში შექმნა განსაკუთრებული, თავისებური ფორმა შრომის ორგანიზაციისა, მსგავსი არტელისა და ეს ინსტიტუტი ესოდენ მჭიდროდ შეეზარდა (შეერწყო) თვით იარაღსო“[12].

როგორც უკვე მოყვანილი მასალიდან ჩანს საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონში გუთნეული, ალო (ავაჯ), თაობა, მოდგამი და სხვ. ტერმინი ხშირად ერთიდაიმავე ცნების, სახელდობრ გუთნის, როგორც სახვნე-

---

[10] МИЭБГКЗК, IV, II, 273;—V, 1, 99, 238, 440; — VI, I, 207.

[11] Д. Бакрадзе, „Заметки о Закатальском округе“ (ЗКОИРГО, XIV, I, 271); А. Хаханов, „Обычаи грузинских крестьян при пахании“ (Этнограф. Обозрение, 1891, № 4, 192—193); Г. Чурсин, „Очерки по этнографии Кавказа“, 1913, 24—27; ა. შანიძე, „ბუთანი და მისი ნაწილები ალო“ (ხელნაწერი, რისი მოწოდებისათვის აკად. ა. შანიძეს მადლობას მოვახსენებ).

[12] Х. Вермишев, „Очерк хозяйства кн. Багратиона-Мухранского“, стр. 454.

ლი იარაღის წარმოებაში გამოყენებისათვის. საჭირო მთელი კომპლექსის (გუთნის დედა+მეხრეები+მათი შრომის იარაღები) გაერთიანების, ე. ი. არტელის, ამხანაგობის, ასოციაციის სახით იხმარებოდა.

ზოგან, როგორც ითქვა, გუთნეულს უწოდებენ გუთნის რკინისა და ხის ნაწილებს და გამწევ ძალას (ხარებს), ან მხოლოდ უკანასკნელს (ხარებს), რაც მხოლოდ შრომის იარაღს წარმოადგენს. მაგრამ წარმოების იარაღის სხვადასხვა ნაწილთა კომპლექტი, როგორც გინდ რთული ეს იარაღი არ იყოს, ცხადია, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ასოციაცია, არტელი.

წარმოების საშუალებანი თავისთავად არ მოქმედებენ. შრომის (წარმოების) პროცესი რომ დაიწყოს აუცილებელია წარმოების იარაღებს შეუერთდეს მუშაძალა, რაც აქ გუთნისდედისა და მეხრეების სახით არის წარმოდგენილი.

მხოლოდ ყოველივე ამათი, ე. ი. გუთნის მკვდარი და ცოცხალი ინვენტარის კომპლექტითა და საჭირო მუშაძალის, როგორც წარმმართველი, აქტიური ელემენტის შეერთებით იქმნება თავისებური ასოციაცია, კოოპერაცია, რასაც ჩვენ გ უ თ ნ ე უ ლ ს ვუწოდებთ, მისი მოქმედების (არსებობის ვადის) ხანგრძლივობისაგან დამოუკიდებლად.

აქ აღსანიშნავია ის მომენტი, რომ ასოციაციური გუთნეულის სახით წარმომდგარი კოოპერაცია დამყარებულია (დაფუძნებულია) „წარმოების პირობების საერთო (Gemeineigentum) მფლობელობაზე“.[13]

გ უ თ ნ ე უ ლ ი ვ ი თ ა რ ც ა წ ა რ მ ო ე ბ რ ი ვ ი ა ს ო ც ი ა ც ი ა შეიძლება შედგეს როგორც რამოდენიმე მეკომურთაგან (მიწის ხვნის პერიოდში ოჯახთა, ე. ი. წვრილ მეურნე-

[13] კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალი“, 1930, I, 288. ამ პირველ თარგმანში Gemeineigentum-ის ეკვივალენტად ნახმარია „საზოგადო“, ხოლო მეორე ქართულ თარგმანში (1954, I, 425) „სათემო“. ცხადია, უფრო სწორია პირველი თარგმანი, მაგრამ აზრობრივი სიზუსტის მხრივ სჯობია უკანასკნელ რუსულ გამოცემაში მიღებული შესატყვისი — „...на общем владении условиями производства...“ („Капитал“, 1950, I, 340).

ობათა გაერთიანების სახით), ასევე ერთ ცალკე მეურნეობაშიაც, როგორც, მაგალითად, „დიდი ოჯახის“, ანდა კულაკურ და შემამულურ მეურნეობაში.

უკანასკნელ შემთხვევაში, — წვრილ მეურნეთა შეამხანაგების, არტელური გაერთიანების საფუძველზე შემდგარი გუთნეულისაგან განსხვავებით, — ალოობა, თავობა თუ მოდგამობა გამორიცხულია; ამასთანავე გუთნეულის ტექნიკურ-ეკონომიკური ორგანიზაცია, წარმოების პროცესში შრომის იარაღებისა და მუშაძალის ფიზიკური შეერთების ფორმა, შრომის დანაწილება, არსებითად ერთნაირია — დამოუკიდებლად იმისა, გამართულია გუთნეული ერთი ცალკე შედარებით მსხვილი მეურნეობის, თუ რამდენიმე წვრილ მეურნეობათა გაერთიანების საფუძველზე. თუმცა წარმოებრივი ურთიერთობანი სხვადასხვა შემთხვევაში, ცხადია, სხვადასხვანაირია.

2. ალო (თაობა, მოდგამი)

ალო და, გარკვეული გაგებით, აგრეთვე მოდგამი და თაობა უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ასოციაციური (არტელური, ამხანაგური) გუთნეულის მოქმედების პერიოდულობისა და, ამასთანავე, საკუთრად ალო, როგორც მთელი სამუშაო პერიოდის (მაგ., 30 დღის, ე. ი. მთელი ალოს) გაერთიანებაში მონაწილე წევრთა (ფაქტორთა) ტრადიციული საზღაურისამებრ ქვედანაყოფების (მაგ., მეხრის თვის კუთვნილი 1 ალოს) აღმნიშვნელი ტერმინი.

ალო, როგორც გუთნეულის მოქმედების პერიოდისა და, შაშასადამე, პერიოდულობის აღმნიშვნელი ცნება დამოწმებულია ერთს 1474 წ. დაწერილს ბოდორნის მონასტრის გუჯარში. მონასტრისათვის შეუწირავთ სოფ. ხანდაკი „მისითა მზღვრითა“. ხანდაკელებს მონასტრის სასარგებლოდ დაეკისრათ სხვადასხვა ბეგარა... სხვადასხვა ბეგარა ეკისრებათ კომლობრივად... „მას გარეთ თ ვ ი თ ო ს ა ა ლ ო ვ-

ნობას ოთხ-ოთხი დღე ხვნაჲ და მისი შემუშავებად, ესრე რომე ორ-ორი დღე დეკანოზთა მოუხდებოდეს და ორ-ორი საყდარსა; და ამას გარეთ ზურისა მუშაობაჲ და საყდრისა, რაცა მისა საყდრისა მისახდომი პური და ღვინო იყოს, იგი საყდარსა შიგა მათგან მიიღებოდეს. აწ ამისი ასრე გაგვიჩენია: ვინც-ვინ ჩუენსა სულისა მწირველნი და მლოცველნი იყვნეთ, კალოს კაბიწსა და კულუხსა თქუენსთვის საზრდოთ მოიკლებდეთ და ორ ორ ღღ ისა ნახნავსა თითოსა ალოვნობასა მასცა თქვენთვის მოიკლებდეთ...“[14].

ე. ი. მთელი ალოს („ალოვნობის“) პერიოდში (განმავლობაში) მონასტრისათვის შეწირულ სოფელს რამდენიმე დღე (პირველ შემთხვევაში 4) უნდა ემუშავა მონასტრისა და მის საჭეთმპყრობელთათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ „ალოვნობასთან“ დაკავშირებული ეს ბეგარა სოფელს ეკისრება არა კომლობრივი გადასახდელის, არამედ, როგორც ჩანს, ასოციაციური გუთნეულის (რასაც ზოგან ალოსაც უძახოდნენ) შედგენისა და მისი მუშაობის შესაბამისად.

ხსენებული გუჯარის მიხედვით მონასტრისათვის შეწირული სოფლის გლეხები იბეგრებიან როგორც კომლობრივად, როდესაც ბეგარა დაიდება კომლზე, ვითარცა მეურნეობრივ ერთეულზე, ასევე ასოციაციურად, ე. ი. შეამხანაგებულობის კვალობაზე, როდესაც დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს არა კომლი, არამედ კომლთაგან შემდგარი ამხანაგობა, — გუთნეული. ამასთანავე გუთნეული იბეგრება არა საერთოდ როგორც გუთნეული, არამედ მისი მოქმედების გარკვეული პერიოდის — ალოვნობის — მანძილზე.

ნათლად ჩანს ისიც, რომ ალო („ალოვნობა“) გუთნეულის მუშაობის პერიოდულობის აღმნიშვნელი ცნება იყო. გუჯარში ნათქვამია: „თ ვ ი თ ო ს ა ალოვნობასა ოთხ-ოთხ ღღ ხვნაჲ....“ ეკისრებაო.

ალოს პერიოდულობა (ხანგრძლივობა) მე-19 ს. ამიერ-

[14] თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა, „ქრონიკები...“, II, 291 — 292.

კავკასიის სხვადასხვა რაიონში მერყეობდა 11-დან 40 დღემდე, უფრო ხშირად კი იგი 21-დან 30-მდე დღით განისაზღვრებოდა — ასოციაციურ გუთნეულში მონაწილე კომლთა (მუშაძალის) რაოდენობისა და შრომის ობიექტის (სახვნელი ფართობის) სიდიდის შესაბამისად.

ალოს (ავაჯ) ხანგრძლივობა უდრიდა, მაგალითად, ელისავეტპოლის გუბერნიის ჯევანშირის მაზრაში — 11 დღეს[15], ერევნის გუბერნიის ალექსანდროპოლის (გუმბრის) მაზრაში — 15 დღეს[16], თბილისის გუბერნიის დუშეთის მაზრაში — 21 და ზოგან 38 დღეს[17], გორის მაზრაში — 20, 26, 30 და 40 დღეს[18], თიანეთის მაზრაში — 23 დღეს[19], თელავის მაზრაში — 31 და 33 დღეს[20], სიღნაღის მაზრაში — 21,5 და 26 დღეს[21], ახალქალაქის მაზრაში — 24 დღეს[22], ელისავეტპოლის გუბერნიის ყაზახის მაზრაში — 37,5 დღეს[23] და ა. შ.

მაგრამ გარდა ზემოხსენებული მომენტებისა ალოს ხანგრძლივობაზე სხვადასხვა რაიონში გავლენას ახდენდა „ჩვეულებით შემოღებული ვალდებულება“: თითო დღიური მოეხნათ თემისაგან არჩეული თანამდებობის პირისა, სამსხვერპლო ცხვრის დამკვლელისა[24], შესაბმელი პირუტყვისათვის წყლის სატარებელი ცხენის პატრონისა, მუშათა სასმელი წყლისა და საჭმლის მომტანისათვის, რომელიც უქმეებში ხარებს აბალახებდა[25], ღამით გუთნის ყარაულისათვის, მჭედ-

---

[15] МИЭБГКЗК, VI, II, 395.
[16] იქვე, I, 36.
[17] იქვე V, II, 51; Х. Вермишев, назв. соч., стр. 406.
[18] იქვე, VI, I, 206 — 207.
[19] იქვე, V, I, 140.
[20] МИЭБГКЗК, V, I, 99—100.
[21] იქვე, IV, 271—272.
[22] იქვე, III, II, 150 — 151.
[23] იქვე, II, II, 161.
[24] იქვე, V, II, 161.
[25] იქვე, IV, I, 243 — 244.

ლისათვის, რომელიც გუთნის რკინის ნაწილებს არემონტებდა[26] და სხვ.

იცოდნენ აგრეთვე ე. წ. „სათადარიგო დღის მუშაობა", რაც გამიზნული იყო გუთნის ნაწილთა დაზიანების ან სხვა მიზეზით გაცდენილი დღის ასანაზღაურებლად; ანდა, თუ გაცდენა არ მოხდებოდა მაშინ გუთნეული 1 დღით ქირაზე მიდიოდა, რათა მიღებული ფულით ქვეიფი გაემართათ[27]. ამასთანავე, თუ გუთნეულში გაერთიანებულ გლეხებს ტყით, საბალახოთი, სარწყავი წყლით და სხვ. სარგებლობისათვის მემამულისადმი შრომამიგებითი ვალდებულება ეკისრათ — უკანასკნელისათვისაც უნდა მოეხნათ განსაზღვრული ფართობი.

იყო აგრეთვე 80-იანი წლებიდან უკვე შემთხვევითობად გადაქცეული ჩვეულება მოეხნათ ქვრივ-ობლებისათვის, რომელთაც გუთნეულში მონაწილეობის მიღება არ შეეძლოთ; ამას „გათრეულა ალო" ეწოდებოდა, ალბათ იმის გამო, რომ ამ სამუშაოს პირველი დღის ალოს სახით ასრულებდნენ, რათა შეემოწმებიათ გუთნის კომპლექტის ვარგისობა და საერთოდ გუთნეულის შედგენილობის მზადყოფნა.

„გათრეულა ალოშიაც" მერვე „კომერციულმა სულმა" შეაღწია. 1893 წ. შ. გულისაშვილი წერდა: „გათრეულა ალო გადამეტებული ერთი დღის ნახნავია, რომელსაც გუთნის დედები ქვრივ-ობლებს იაფათ ასყიდებენ და ასე შეკრებილი ფულებით საღმრთოს ჰმართამენ. ქვრივ-ოხერთ ყანის მომკა, მოტანა, ვენახის შემუშავება ხომ სოფლურად ძალიან ხშირად იყო ხოლმე აქამდე სოფელში"[28].

უფრო გვიან, 900-იანი წლებიდან, გუთნის პირველდაწყებითი გათრევა, „ალოს გათრევა", ე. ი. გუთნეულის მზადყოფნის შემოწმება თვით გუთნის დედის მიწის მოხვნის სა-

---

[26] П. Гугушвили, „Сельское хозяйство...", IV, 723.
[27] РТКЭЖД, 100.
[28] „ქვალი", 1893, № 14, გვ. 6.

ხით ხდებოდა და შესრულებული სამუშაოც, უმრავლეს შემთხვევაში გუთნის დედას უნაცვალგებოდ რჩებოდა[29].

ასეთი იყო მდგომარეობა რეფორმის მერმინდელ პერიოდში. მაგრამ, როგორც ჩანს, ადრე, ბატონყმურ ურთიერთობათა პირობებში სამეფო, საბატონო, თუ საეკლესიო ყმათა გაერთიანების სახით შედგენილი გუთნეული (გუთანი) ვალდებული იყო სენიორის სასარგებლოდ შეესრულებია გარკვეული სამუშაო.

1540 წ. სიონის ტაძრისათვის ბოძებულს სიგელში მ ე ფ ე ლ უ ა რ ს ა ბ ი აცხადებს: „რანიცა ტფილის ქალაქს სიონის ღუთის მშობლისა ყმანი იყვნენ, ყოვლისა სათხოვარისა და საჩუენოსა გამოსაღებისაგან განგვითავისუფლებიან; სრულიად არა ეთხოვებოდეს რა: არა ღალა, არა გუთნის ხვნა... თვინიერ საურისაგან კიდე, ასრე რომე სხვისა ღალა არა იმისოს, არც ყანისა და არცა ბამბისა. თუ ვინმე სიონის ყმასა ხარი შეუბას ანუ ვისმე სიონის ყმამა შეუბას, ხარისა და გუთნისა ალოსა ნუ იმისებს და სხვის ყმისასა ბატრონსა ღალასა ნუ დააკლებენო“[30].

1664 წ. დ ო მ ე ნ ტ ი კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ს „ერთობით ბოკაწინელნი“ სიგელს აძლევენ: „ასე რომე სამუშაოზედ და გამოსაღებზედ ლაპარაკი იყო... აწე შევრიგდით, ასრე რომე ყოველს წელიწადს გამოსაღებსა კომლად ხუთ-ხუთსა ჩაფსა ტკბილს გამოვიღებდეთ და ჩავასხამდეთ და ზვარს მოვასმარებდეთ სანამდისინ მოშენდებოდეს. კიდევ სამის დღის ყანა, ორის დღის ქერი, ორის დღის ფეტეი — გუთნის თავს ეს უხნათ [მცხეთის ტაძარს]. ამის მეტი გამოსაღები არა გვედვას რა“[31].

ვ ა ხ ტ ა ნ გ V-ის ძე გიორგი მეფისაგან მანგლისის ეკლესიისათვის შეწირული თრიალური სოფ. მეთრეანის გლეხებს მანგლელმა ეპისკოპოზმა ბეგარა დაადვა: „მოვიდეს თუ არ მოვიდეს [მოსავალი]. ოცი კოდი ანეულის გუთანზე და ოცი შემოდგომის გუთანზე, რასაც კოდით თრიალეთზე მეფისთვის იღებენ იმ კოდით“[32].

სწორედ „თრიალეთის რიგისა და გამოსაღების“ გამწესებელი ვ ა ხ ტ ა ნ გ VI ბრძანებს: „ღალისა ერთი გუთანი არის ხარის უღელი ი; ხარზედ სძეს კოდი გ. ასე უნდა: როდესაც გუთანი აიწეროს, მარილის მომტასს ხარს გამოვიდნენ, დიდს სოფელს დიდობით და ცოტას ცოტაობით; მარილის მოიტანს ხარს ღალას ნუ ჰსოხოვენ; სხუა რაც ხარი დარჩეს, ხარზედ სამი ღალად უნდა მისცენ. მამასახლისსა და მსახურს ხარსაც უნდა გამოვიდნენ...“[33].

---

[29] ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 415.

[30] თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა, „ქრონიკები...“, II, გვ. 384 — 385.

[31] იქვე. გვ. 482.

[32] იქვე. გვ. 495.

[33] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, „დასტურლამალი“, გვ 35.

ს. კავთისხევს მცხოვრებ 23 სახასო კომლის გამოსაღები ასეა განსაზღვრული: „მათი საბატონო გამოსაღები, გუთანზედ სამი დღე ხუნა, ფარცხუა, გალეწვა და ჩამოტანა, სამეხრეოს შენახუა“[34].

შულავრისა და თეთრი სოფლის მცხოვრებთა სამეფო და სამოხელეო გამოსაღებთა სიაში აღნიშნულია: 1. მეფისათვის „...ხუთი დღე გლეხისაგან გუთანზედ ხუნა, მორწყუა, ფარცხუა, მომკა, გალეწვა, ზიდვა და ჩამოტანა...“. შემდეგ ნათქვამია: „შულავერში რაც გუთანი იყოს, ერთი დღე უხნან, დაუთესონ, მოურწყონ, მოუმკონ, მიუტანონ, გაულეწონ“ — შულავრის მოურავსო[35].

წლის განმავლობაში სულ სდგებოდა 2—3 ალო, დადგენილი ვადის (სამუშაოთა შესრულების) მერმე გუთნეულის სახით წარმოქმნილი გაერთიანება დაიშლებოდა ხოლმე, რათა მომავალი სოფლისმეურნეობრივი წლისათვის, ძველი თუ ახალი შედგენილობით, თუმცა ორგანიზაციულის მხრივ ყოველთვის სტერეოტიპულად, კვლავ განახლებულიყო.

3. გუთნეულის ნამუშევრის განაწილება

ასოციაციური გუთნეულის მიერ ალოს (მოდგამის, თაობის) პერიოდში მიწა იხვნება შესაბამისად იმისა, თუ ვინ რა სახით და რაოდენობით მონაწილეობს თვით გუთნეულის შედგენილობაში — მუშაძალის, გამწევი პირუტყვისა, თვით სახვნელი იარაღის რკინის და ხის ნაწილებისა და სხვ. მიხედვით.

ამ მხრივ, ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეში გუთნეულში მონაწილე ცალკე ფაქტორთათვის ტრადიციით დადგენილი შეფარდებითი ნორმები თითქმის ემთხვევიან ან ძლიერ უახლოვდებიან ერთმანეთს.

მაგალითად, თბილისის მაზრაში 27 დღიანი ალოს განმავლობაში გუთნეული 8 უღელი ხარით მუშაობდა: გუთნის

---

[34] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, „დასტურლამალი“, გვ. 45.
[35] იქვე, გვ. 96.

დედისათვის — 3 დღე, დღის ყოველი მეხრისათვის — თითო დღე, ღამის მეხრისათვის — 2 დღე, პატრონისათვის: სახნის-საკვეთისა — 2, ყოველი უღელი ხარისა — 1, გუთნის ხის ნაწილებისა — 1, ღვედისა (ჭაპანისა) — 1, ჯამბარისა — 0,5, აპეურებისა — 0,5 და სოფლის თანამდებობის პირისათვის — 1 დღე[36].

ყაზახის მაზრაში 37,5 დღიანი ალოს მანძილზე 10 უღელი ხარითა და 2 უღელი კამეჩით, რომელთაც 6 მეხრე მიერეკება, გუთნეული მუშაობდა: გუთნის დედისათვის — 3 დღე, ღამის მეხრისათვის — 3, ყოველი მეხრისათვის — 2 (ხანაც 1); პატრონისათვის: უღელი კამეჩისა — 2, უღელი ხარისა — 1, გუთნის რკინისა და ხის ნაწილებისა — 7,5 და 1 დღე კიდევ სამსხვერპლო ცხვრის დამკვლელისათვის[37].

დუშეთისა და სიღნაღის მაზრაში 21 (21,5) დღიანი ალოს პერიოდში გუთნეული მუშაობდა: გუთნის დედისათვის — 2 დღე, ღამის მეხრისათვის — 2, მეხრისათვის — 1; პატრონისათვის: სახნისისა — 2, საკვეთისა — 1, გუთნის ხის ნაწილებისა — 1, ღვედისა — 1, ჯამბარისა — 1, უღელი ხარისა — 1 დღე[38].

ანალოგიურია ცნობები შესახებ ერევნის[39], ზანგეზურის[40], ყუბის[41], ალექსანდროპოლის[42], თელავის[43], ბორჩალოს[44] მაზრისა. გორის მაზრის ხიზნებს შორის უფრო 21 დღიანი ალო იყო გავრცელებული[45].

---

[36] МИЭБГКЗК, V, I, 237—238.

[37] იქვე, V, II, 161.

[38] იქვე, IV, 241 — 272.

[39] С. Заваров, „Опыт исследования сель. хоз. Эриванской губ...", стр. 194—196.

[40] МИЭБГКЗК, IV, I, 80.

[41] იქვე, II, I, 195.

[42] იქვე, I, 36.

[43] МИЭБГКЗК, V, I, 100.

[44] РТКЭЖД, 100—101.

[45] П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения, 1956. т. IV. стр. 723.

1880 — 1890-იანი წლების მონაცემების მიხედვით ზემოთ წარმოდგენილი ნორმები უცვლელად დარჩა თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

თუ ტიპურად, ანუ საშუალოშეწონილად 30-დღიან ალოს ავიღებთ[46], მაშინ ასოციაციური გუთნეული ხნავდა მასში შემავალი:

1. მ უ შ ა ძ ა ლ ი ს ა თ ვ ი ს

1. გუთნის დედისათვის	2 დღეს
2. ღამის მეხრისათვის	2 „
3. დღის 4 მეხრისათვის	4 „

შ რ ო მ ი ს ი ა რ ა ღ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს:

II. ც ო ცხ ა ლ ი ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი ს ა თ ვ ი ს

რვა უღელი ხარისათვის	16 დღეს

III. მ კ ვ დ ა რ ი ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი ს ა თ ვ ი ს

1. სახნისისათვის	2 დღეს
2. საკვეთისათვის	1 „
3. გუთნის ხის ნაწილებისათვის	1 „
4. ღვედისათვის	1 „
5. ჯამბარისა და აპეურებისათვის .	1 „

ახლა საკითხი ისმის, თუ რამდენად ეკვივალენტური იყო გუთნეულის შედგენილობაში მონაწილე ფაქტორთა, სახელდობრ მუშაძალისა და შრომის იარაღთა ის საზღაური, რასაც ალოს განმავლობაში ეს ასოციაცია (არტელი) მასში მოქმედ ძალთა შორის ანაწილებდა.

---

[46] 30-დღიანი ალო გავრცელებული იყო, მაგალითად, თბილისისა და ბორის მაზრაში (МИЭБГКЗК, V, I, 237—238;—VI, I, 206—207).

დასადგენად იმისა, თუ რამდენად ეკვივალენტური იყო ასოციაციური გუთნეულის მუშაობის არსებული დანაწილება, საჭიროა როგორც თვით ნამუშევრის (შრომის პროდუქტის, წარმოების შედეგის), აგრეთვე გუთნეულში გაერთიანებული მთელი მუშაძალის და შრომის იარაღთა ს ა ე რ თ ო ე კ ვ ი ვ ა ლ ე ნ ტ ე ბ ზ ე, ე. ი. ფ უ ლ ზ ე გადაყვანა.

ასეთი მონაცემები 1880 — 1890-იანი წლების ვითარების მიხედვით (საშუალო ფასებში), თუ ტიპიურად 30 დღიან ალოს ავიღებთ, შემდეგნაირად წარმოგვიდგება.

1 დესეტინა მიწის მოხვნა ღირდა 10 მან. ერთ დღეში (1 ალოში) გუთნეული ხნავდა 1 დღიურს ანუ ½ დესეტინას, 30 დღეში (მთელ ალოში) კიდევ — 15 დესეტინას.

მთელ ალოში გუთნეული მხოლოდ 1 დღეს მუშაობს მეხრისათვის, ე. ი. უკანასკნელის დღიური ხელფასი გამოდის 17 კაპ. (აღსანიშნავია, რომ მაშინ ქირაზე წასული მეხრის დღიური ხელფასი ერთ 'აბაზს არ აღემატებოდა). გუთნის დედისა კი — 34 კაპ. ამგვარად, ჩვენ უკვე ვიცით შესრულებული სამუშაოს მთელი ღირებულება — 150 მან. და მუშაძალის ხელფასიც.

გუთნის რკინის ნაწილების (სახნისისა და საკვეთის) ფასი იყო 15 მან., ხოლო წარმოებაში ესენი გამოიყენებოდა min. 5 წელიწადს. ხის ნაწილები, ღვედი, ჯამბარა და აპეურები ღირდა 10 მან., წარმოებაში კი გამოიყენებოდა min. 2 წელიწადს. მაშასადამე, წლიურად 3 ალოს ანგარიშით, გამოვა, რომ რკინის ნაწილები ერთ ალოში გაცვეთით ჰკარგავენ ღირებულების $^1/_{15}$ ნაწილს, ანუ 1 მანეთს, დანარჩენი მკვდარი ინვენტარი კი — $^1/_6$ ნაწილს ღირებულებისა, ანუ 1,66 მან. ამგვარად, მთელი მკვდარი ინვენტარი, ღირებული 25 მან., ერთ ალოში ჰკარგავს 2,66 მან., ხოლო რემონტის ხარჯთა მიმატებით კიდევ, max. 5 მანეთს.

1 უღელი ხარი ღირდა 120 მან., ხარის მუშაობის ხანგრძლივობას min. 10 წელიწადს ანგარიშობენ, ე. ი. 1 წელიწადზე ანუ 3 ალოზე მოდის ღირებულების $^1/_{10}$. მაგრამ 3 ალო კიდევ არ შეადგენს მთელ წელიწადს. ნამდვილად 1

წელიწადში ხარისათვის 8 სამუშაო თვეს ანგარიშობენ. 3 ალოს-კი უნდება არა უმეტეს 4 თვისა. აქედან 3 ალოზე მოდის უღელი ხარის ღირებულების $^1/_{20}$, ე. ი. 6 მან., ანუ 1 ალოზე — 2 მან. მთელი გუთნეულის მიერ 1 ალოში შექმნილ ღირებულებაში 8 უღელი ხარის მონაწილეობა, თუ ამასთანავე მათი შენახვის (ცვების და სხვ.) ხარჯებს მივუმატებთ, უდრის (16 მან.+15 მან.)—31 მანეთს.

ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი, როგორც შრომის „ყველი" საშუალება, შრომის შედეგს „არასოდეს არ უმატებს იმაზე მეტ ღირებულებას, რასაც საშუალოდ თვით ჰკარგავს თავისი გაცვეთით"[47].

მაშასადამე, ზემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით, მთელი ალოს (30 სამუშაო დღის) მანძილზე გუთნეულის მიერ შექმნილ ღირებულებაში მოქმედ ფაქტორთა რეალური მონაწილეობა შეადგენს:

1. მუშაძალისა	114	მანეთს,	ანუ მთელ	ღირებ.	76,00 პროც.
2. მკვდარი ინვენტარისა	5	მ.	„ „	„	3,34 „
3. ცოცხალი „	31	„	„ „	„	20,66 „

სულ 150 მანეთი = 100.00 პროც.

ნამდვილად კი, ტრადიციის საფეძველზე, გუთნეულის მუშაობის შედეგი უნაწილდებოდათ შემდეგნაირად:

1. მუშაძალას	40	მანეთი,	ანუ მთელ ღირებ.	26,66 პროც.
2. მკვდარ ინვენტარს	30	მ.	„	20,00 „
3. ცოცხალ ინვენტარს	80	მ.	„ „ „	53,34 „

სულ 150 მანეთი = 100,00 პროც.

ამგვარად: 1. წარმოების შედეგიდან (15 დეს.=150 მან.) მუშები ღებულობენ მათ მიერ შექმნილი ღირებულების (114 მან.) მხოლოდ 35,01 პროცენტს, ანუ დაახლოებით მე-

---

[47] კ. მარქსი, „კაპიტალი", ტ. 1, 1954, გვ. 490.

სამედს; II. მკვდარი ინვენტარის პატრონები ღებულობენ ღირებულების 20 პროცენტს (30 მან.), მაშინ როდესაც გაცვეთის გზით პროდუქტზე გადასული ინვენტარის ღირებულება უდრის 5 მანეთს, ანუ, მთელი ღირებულების 3,34 პროცენტს, ე. ი. შრომის ამ საშუალებათა პატრონები ითვისებენ კუთვნილის 600%-ს, ანუ 6-ჯერ მეტს; III. ცოცხალი ინვენტარის წილზე მოდის შექმნილი ღირებულების 35,34 პროცენტი (80 მან.) მაშინ, როდესაც გამწევი ძალის რეალური მონაწილეობა ღირებულებაში უდრის 31 მანეთს, ე. ი. მისი პატრონები ითვისებენ კუთვნილის 258 პროცენტს, ანუ ორნახევარჯერ მეტს.

სხვა სიტყვებით, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი, ე. ი. მუდმივი კაპიტალი, რომლის რეალური მონაწილეობა ღირებულების (150 მან.) შექმნაში უდრის 36 მან. (24%), არსებული განაწილების საფუძველზე ღებულობს 110 მანეთს (73,34%). ამგვარად, გუთნეულის მუშაობის შედეგის ტრადიციული განაწილება ფრიად არაეკვივალენტური იყო.

მუდმივი კაპიტალის წარმომადგენელი, სახელდობრ, გლეხობის ის ფენა, რომელსაც ჰყავდა ხარები და ჰქონდა გუთნის, რკინის, ხისა და სხვ. ნაწილები, ე. ი. კულაკები, ითვისებდნენ რა შექმნილი ღირებულების უდიდეს ნაწილს, — არსებითად ეწეოდნენ გუთნეულში ჩაბმულ მუშათა, კერძოდ, მეხრეთა ექსპლოატაციას; ხოლო თუ გავითვალისწინებთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც გუთნეულს მუშაობა უხდებოდა სოფლის მიერ არჩეული თანამდებობის პირის, რელიგიური კულტის წარმომადგენლის, მემამულის და სხვ. სასარგებლოდ, მაშინ უფრო ნათელი გახდება მეხრეთა მდგომარეობის მთელი სიმძიმე. ეს მოვლენები ლიტერატურაში აღინიშნებოდა 80-იანი წლებიდან.

აღსანიშნავია, რომ 1870 — 1880-იან წლებში ჩვენს ხალხოსნებს და საერთოდ ნაროდნიკული იდეების გავლენაში მყოფი ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენელთ, გუთნეული, მიაჩნდათ რა იგი თემური წყობილების ერთ-ერთ გადანაშთ ელემენტად, წარმოუდგებოდათ, როგორც სამარ-

თლიანი, ურთიერთულ და ეკვივალენტურ დახმარებაზე დაფუძნებული ფორმა არტელისა, ასოციაციისა ანუ ამხანაგობისა.

ასე, მაგ., ს. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი სთვლიდა, რომ გუთნეულის, როგორც ასოციაციური ინსტიტუტის, წარმოქმნა „აიხსნება სურვილით ამხანაგობისა, რათა დაეხმაროს თავის უღარიბეს წევრებს“[48].

მეორე მხრივ, ისეთი დამკვირვებელნი, როგორიც იყვნენ ვ. ჯანდიერი, ქ. ვერმიშევი, ა. არლუთინსკი, ფ. გოგიჩაიშვილი[49] და სხვ. მეტნაკლები ზომით ამჩნევდნენ და ზოგნი კიდევ პირდაპირ მიუთითებდნენ გუთნეულის მუშაობის შედეგის დანაწილებაში არსებული შეფარდების უსამართლობას.

ქ. ვერმიშევი წერდა, რომ „ეს ჩვეულება პირდაპირ ნორმალურად ხდის განსაზღვრულ ფორმას მუშაძალის დაქირავებისა შეძლებულ მეკომურთაგან, რომელთაც ეკუთვნით გუთნის ყველა ნაწილები და პირუტყვის ნაწილი“[50].

შეძლებულ ოჯახს, კულაკს ეკუთვნოდა გუთნეულში შემავალი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის უდიდესი ნაწილი: სახნისი და საკვეთი, 2 — 4 უღელი შესაბმელი. ზოგიერთი ოჯახის მონაწილეობა გუთნეულში კიდევ უფრო მეტიც იყო. ჩვეულებრივად ასეთი იყო გუთნის დედა. მეხრეებად, განსაკუთრებით ღამის მეხრეებად კი ხშირად შრომის იარაღებს სავსებით მოკლებული, ანდა მცირეოდენის პატრონი გლეხობა გამოდიოდა[51].

აღსანიშნავია,რომ გაზ. „გუთნის დედა“ ჯერ კიდევ 1868 წელს მიუთითებდა, რომ შრომის საშუალებებს მოკლებუ-

---

[48] МИЭБГКЗК, V, 1, 238.

[49] „მოამბე“, 1904, № 1, გვ. 69.

[50] Х. В е р м и ш е в, „Очерк хозяйства кн. Багратиона-Мухранского“, 456; П. Г у г у ш в и л и, „Сельское хозяйство...“, IV, 723.

[51] МИЭБГКЗК, IV, II, 273.

ლი გლეხი (მეხრე) ალოს „განმავლობაში სხვისი მუშა არისო“ [52].

ვ. ჯანდიერი აგვიწერს ქართლში შემოდგომის ალოს: „ენკენისთვეში უნდა შეჰპირდენ ერთმანეთს ხუთნი: ერთი გუთნისდედა და ოთხი მეხრე, დაუგრძელონ საყევრები, შეასხდენ უღლებზე, დასძახონ ოროველა, ხნან ზამთრის პირამდინ და ბოლოს იანგარიშონ ალოები (დღიური ნახნავია). ერთს მეხრეს რომელსაც, ვსთქვათ „ყევარი უბია“ იმ გუთნეულში, ერგება ამ რამდენიმე თვის ხვნაში: თითო ხარსა აქვს 1 დღის ალო, ყევარ ხარს ერგება მაშ — 4 დღის ალო, ერთ მეხრეს, თუ ღამისაა (ღამე აძოვებს საქონელს) 4 დღის ალო აქვს, და თუ დღის მეხრეა — 3 დღის ალო ერგება. სულ შეადგენს შვიდ ან რვა დღის ნახნავსა. მთელი შემოდგომა ერთი კაცი თავის ყევარი ხარით ხნამდა და ერგო რვა დღის ალო. ეს კაცი იმ ხარებითა, სანამ გუთანს გამოუშვებენ, ვერც შეშა-ფიჩხს მოუტანს ოჯახს, ვერც ქირაზე წავა და ასე რვა დღის ნახნავის გულისათვის ის მომცდარია სრული ორმოცდაათი ან სამოცი დღე. და ბოლოს ანგარიშით ნახევარი წლის მოსავალიც არ მოსდის და გაზაფხულზე იმის ცოლშვილი რჩება მხლისა და ჭინჭრის ანაბარა“[53].

ა. არღუთინსკი თელავის მაზრის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფიერების შესწავლის მიხედვით წერდა (1885): „გუთნის პატრონები, რომლებიც დიდი წონით სარგებლობენ საზოგადოებაში თავიანთი შეძლებულობის შესაბამისად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ სახელდობრ ისეთი ნორმების დაწესებისათვის, რაც მათ ერთხელ და სამუდამოდ აძლევთ სხვისი შრომის ექსპლოატაციის შესაძლებლობას“[54].

მართალია შრომის იარაღებს მოკლებულ ღარიბ გლეხს,

---

[52] „გუთნის დედა“, 1868, № 21, გვ. 160.
[53] გაზ. „დროება“, 1883, № 91.
[54] МИЭБГКЗК, V, I, 101.

უკეთუ იგი გუთნეულში როგორც, ვსთქვათ, ღამის მეხრე არ იქნებოდა მიღებული, საკვლებით მოუხვნელი დარჩებოდა მიწა, რამდენადაც იგი ვერ შესძლებდა მთელი გუთნეულის დაქირავებას, ანდა შესძლებდა ისევ მხოლოდ საკუთარი ხელფასის ხარჯზე, რაც მას იქნებ უფრო უარეს მდგომარეობაში ჩააყენებდა, ვინემ ტრადიციული მეხრეობა. მაინც გუთნეულის „ამ ურთიერთობაში არაფერია არტელური. ეს, უკეთა ვსთქვათ, არის გარკვეული ფორმა ნატურალური ხელფასისა, რაც ფრიად გავრცელებულია მემამულურ მეურნეობებშიაც, სადაც, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც არ შეიძლება მუშისადმი არტელური დამოკიდებულების შესახებ“[55].

მართლაც, რეფორმის მერმინდელ პერიოდში გუთნეულის შედგენაში, სახელდობრ მკვდარი და ცოცხალი ინვენტარის სახით მონაწილეობდნენ თვით მემამულეებიც, რომლებიც იძლეოდნენ რა სახნის-საკვეთს და რამოდენიმე უღელ ხარს, ხშირად ხარების მთელ კომპლექტს, სწორედ ამ გზით ეწეოდნენ შრომის საშუალებებს მოკლებულ ღარიბ გლეხთა ექსპლოატაციას. გასაგებია, რომ ასეთს პირობებში მეხრეები მემამულისადმი შრომამიგებით ურთიერთობაში ეარდებოდნენ. ამგვარად, მემამულე, (აგრეთვე ვაჭარი, მედუქნე, კულაკი) შრომის იარაღთა ფლობით, ისევე როგორც მიწის ფლობით, თავის კაბალურ დამოკიდებულებაში აქცევდა ღარიბ და უღარიბეს გლეხობას.

ცხადია, ვერ დავეთანხმებით ა. არღუთინსკის იმაში, თითქოს გუთნეულში მონაწილეთა შორის შრომის პროდუქტის განაწილებაში არსებული უმართებულო შეფარდება იყოს შედეგი მხოლოდ იმ გავლენისა. რითაც თემში სარგებლობდნენ შრომის საშუალებათა შეძლებული პატრონები, კულაკები.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თუ ა. არღუთინსკი 80-იან წლებში მაინც იმ აზრისა იყო, რომ გუთნეულის ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის შეძლებული პატრონები

---

[55] Х. Вермишев, „Очерк хозяйства...“, 459.

ამა თუ იმ სახით ეწეოდნენ მეხრეების ექსპლოატაციას, ათიოდე წლის მერმე, როდესაც სოფლის სოციალური დიფერენციაციის გაღრმავების შესაბამისად აგრარული მოძრაობა სულ უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა, იგი, მსგავსად ლიბერალური ბურჟუაზიის ინტელიგენციის უმრავლესობისა, ადვილად იცვლის თავის ხსენებულ შეხედულებას. ახლა ა. არღუთინსკი უკვე წერს: „საერთოდ ნამუშევრის განაწილება, ერთი მხრით შრომის წარმომადგენლებსა — მეხრეებსა და გუთნის დედას — და, მეორე მხრით, გუთნისა და პირუტყვების მფლობელთა შორის, არც ერთისათვის არაა საწყენი, მეტად თუ ნაკლებად სამართლიანიაო“[56].

გასაგებია, გუთნის დედის „შრომის წარმომადგენელთა“ საერთო კატეგორიაში მოთავსება და, მაშასადამე, მეხრეებთან გათანასწორებაც აშკარა უმართებულობას შეიცავს.

4. გუთნის დედა

აქ საჭიროა ორიოდე სიტყვა ითქვას საკუთრად გუთნის დედის შესახებ. გუთნის დედა გუთნეულში ცენტრალური ფიგურაა და არა მხოლოდ შრომის ორგანიზაციის სფეროში, როგორც ეს, ერთი შეხედვით, შეიძლება ადამიანს მოეჩვენოს.

საქმე იმაშია, რომ, როგორც წესი, გუთნის დედა გუთნეულში მთავარი იარაღის, გუთნის, მფლობელი იყო. ძალიან ხშირად მასვე ეკუთვნოდა შესაბმელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც. ასე რომ იგი გამოდიოდა გუთნეულის არა მხოლოდ როგორც ხელმძღვანელი, ორგანიზატორი, არამედ, როგორც შრომის იარაღთა გადამწყვეტი ნაწილის მფლობელი და, მაშასადამე, მთელი ალოს განმავლობაში გუთნეულის ნამუშევრის დიდი ნაწილის პატრონი-მიმთვისებელი.

---

[56] РТКЭЖД, стр. 100.

ამ ურთიერთობათა ერთ-ერთ მომენტს თავისებურად ასახავს გუთნის დედაზე გავრცელებული ხალხური ლექსი.

„გუთნის დედას რა აცხონებს.
რა შეიყვანს საყდარშია.
შავი კამეჩების ცოდო
უხვევია კალთაშია,
კაი დარში თითონა ხნავს,
მეხრეს უხნავს ავდარშია“ [57].

ამასთანავე გუთნის დედები, გუთნის პატრონები თემში ერთგვარი საპატიო მდგომარეობით სარგებლობდნენ და არა მხოლოდ როგორც შეძლებული მეკომურნი, არამედ, როგორც გარკვეული, „საზოგადოებრივი წონის“ მქონე ადამიანები.[58]

გუთნის დედის ეს „საზოგადოებრივი წონა“ ნათლად გამოსჭვივის თუნდაც იმ გარემოებიდან, რომ ერეკლე II-ის „მორიგის ლაშქრის განაჩენით“ გუთნის დედა გარკვეული შეღავათით სარგებლობს: „გუთნის დედისა რომ დაგვწერია, რომ ბადალი უნდა წამოვიდეს, როდესაც ხვნის დრო არ იყოს, მაშინ თვითონ უნდა წამოვიდეს. ბადალს არ ვეერვართ“ [59].

გუთნის დედა, როგორც გუთნეულში შემავალი შრომის საშუალებათა მნიშვნელოვანი ნაწილის პატრონი, ცხადია, ამა თუ იმ ზომით, ეწეოდა გუთნეულში გაერთიანებულ მეხრეთა, ღარიბ გლეხთა ექსპლოატაციას.

როგორც ზემოთმოყვანილი მასალიდან ჩანს, გლეხთა გაერთიანების სახით შედგენილი გუთნეული 30 დღიანი ალოს განმავლობაში მუშაობდა მასში შემავალი:

---

[57] ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, „ხალხური პოეზია“, 1934, ქუთაისი, გვ. 172.

[58] МИЭБГКЗК, V, I, 104; ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 410—413.

[59] გაზ. „დროება“, 1886, № 28, გვ. 4; „საქ. სიძველენი“, I,186.

I. მუშაძალისათვის	8	დღეს ანუ	26,66%
II. ცოცხალი ინვენტარისათვის	16		53,34 „
III. მკვდარი ინვენტარისათვის	6		20,00 „

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 80-იან წლებში ჩაწერილი ეს ნორმები (პროპორციები) არსებითად უცვლელად დარჩა ძთლიან კოლექტივიზაციამდე, როგორც ამაში ჩვენ პირადად დავრწმუნდით 1937 — 1940 წწ. ქართლისა და კახეთის სოფლებში მოხუცებულ გლეხთა, მათ შორის ყოფილ გუთნის დედათა გამოკითხვის გზით მიღებულ მასალათა ურთიერთშედარებით.

ახლა თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გუთნის დედას, როგორც უფრო კვალიფიციურ მუშას ერგებოდა 2 ალო, ე. ი. ორჯერ მეტი, ვინემ მეხრეს, ამასთანავე გუთნის დედისათვის, როგორც გუთნისა და გამწევი ძალის მნიშვნელოვანი ნაწილის მესაკუთრისათვის გუთნეულს უნდა ემუშავა კიდევ რამოდენიმე დღე, გამოვა, რომ გუთნეულის მიერ მთელი ალოს განმავლობაში შესრულებული სამუშაოს 25 — 40 პროცენტს და ხშირად უფრო მეტსაც ეპატრონებოდა გუთნისდედა, რომელსაც, ცხადია, სახნავი და საერთოდ მიწაც ბევრად უფრო მეტი ქონდა, ვინემ მეხრეს.

გუთნეულის მიერ წარმოებული სამუშაოს ღირებულების გაანგარიშებისა და ტრადიციის საფუძველზე მისი განაწილების არსებული წესის განხილვის გზით ჩვენ ზემოთ უკვე დავინახეთ, რომ მეხრეების შრომით შექმნილი ღირებულების სხვის მიერ მითვისების ფაქტორი იყო სწორედ შრომის იარაღების (გუთნის ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის) უთანაბრო განაწილება, სახელდობრ ის გარემოება, რომ წარმოების ამ იარაღების დიდი ნაწილი ეკუთვნოდა შეძლებულ მეკომურთ, კერძოდ გუთნის დედებს.

6. ალოს ნორმაში საწუისებისა და ეკვივალენტურობისათვის

ახლა საკითხავია: როდის და რა საფუძველზე უნდა ყოფილიყო წარმოშობილი ალოს (მოდგამის, თაობის) განმავლობაში გუთნეულის მუშაობის (ნამუშევრის) მასში მოქმედ ფაქტორთა შორის განაწილების არსებული (ტრადიციული) ნორმები.

ცხადია, ვერ დავეთანხმებით ა. არღუთინსკის მოსაზრებას, თითქოს ასეთი ნორმები დაედგინოთ გუთნის პატრონებს, გუთნის დედებს, რათა ამ გზით მიეთვისებიათ სხვისი ნაშრომი. ჩვენ უეჭველად მიგვაჩნია, რომ ნორმათა ხსენებული შეფარდება დადგენილია ბევრად უფრო ადრე, ვიდრე მოხდებოდა ბატონყმობის გაუქმება და სოფლის ის სოციალური დიფერენციაცია, რასაც აკვირდებოდა და თავისებურად აღწერდა ა. არღუთინსკი. ამ პერიოდში ის ნორმები მოქმედებდნენ უკვე როგორც ადათით განმტკიცებულნი და, რასაკვირველია, სულ სხვაა ის გარემოება, რომ შრომის საშუალებათა მფლობელნი იცავდნენ ამ მათთვის სასარგებლო ჩვეულებას.

უნდა ვიფიქროთ, რომ გუთნეული ოდესღაც. სახელდობრ მისი ინსტიტუტის წარმოქმნისა და ჩამოყალიბების პერიოდში, ე. ი. შუა საუკუნეებში. წარმოადგენდა ერთი ოჯახის („დიდი ოჯახის") ან თანამეგვარეთა, ანდა კიდევ სოფლის ერთი უბნის მეზობელთა გაერთიანების (ამხანაგობის) საფუძველზე წარმომდგარ თავისებურ კოოპერაციას. და ამ დროს — ნატურალური მეურნეობის პირობებში — გუთნეულში გაერთიანებულ სხვადასხვა ოჯახთა შორის არსებული ქონებრივი განსხვავება არსებით გავლენას არ ახდენდა, ანდა მხოლოდღა უმნიშვნელო ზომით მოქმედებდა გუთნეულის მუშაობის შედეგის ეკვივალენტურ განაწილებაზე.

ნ. ა ბ ა ზ ა ძ ე და ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ფიქრობდნენ, რომ გუთანი (გუთნეული) წარმოიქმნა იმ დროს, როდესაც

ერთ „დიდ ოჯახს“ თავისუფლად შეეძლო მისი მთელი კომპლექსის (მუშაძალის, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის) შედგენა. ხოლო „დიდი ოჯახის“ დაშლის მერმე უკვე აუცილებელი შეიქნა ოჯახთა არტელის, ამხანაგობის ჩამოყალიბება, რათა გამართულიყო გუთნეული[60].

ალ. რობაქიძის აზრით „მოდგამობა (იგულისხმება „მუშახელის, სახვნელი იარაღისა და გამწევი საქონლის პერიოდული გაერთიანება“, რომელიც მიზნად ისახავს „გარკვეული დროის მანძილზე მიწის მოხვნას მოდგამის ყველა წევრისათვის“, ე. ი. ასოციაციური გუთნეული — პ. გ.) დიდი ოჯახის რღვევის შედეგად წარმოიქმნა და მისი შემდგომი განვითარება სასოფლო-თემური ურთიერთობის პირობებში მიმდინარეობდა“ [61].

ასოციაციური გუთნეულის ნამუშევრის მასში მონაწილეთა შორის განაწილების ეკვივალენტურობის საკითხთან დაკავშირებით მოგვეპოვება ზოგიერთი საინტერესო მონაცემი. ქ. ვერმიშევს ახალციხის მაზრის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფიერების აღწერისას ნათქვამი აქვს, რომ აქ „არის სოფლები, სადაც მინდვრების ერთად დამუშავებისათვის შეერთებული მეკომურნი ასეთი კავშირის ყოველი წევრისათვის მუშაობენ იმდენს, რამდენიც აუცილებელია მისთვის და, ამ გზით ამხანაგობის ყველა მონაწილეს უხნავენ ყველა იმ ფართობს, რომლის დათესაც მათ უნდოდათ“ [62].

სამწუხაროდ ქ. ვერმიშევი გარკვევით არ მიუთითებს, თუ როგორი იყო ცალკე წევრთა მონაწილეობის ხვედრიწონა ამგვარ გუთნეულში და თუ სახელდობრ რომელ სოფლებში შეამჩნია მან ეს იმ დროისათვის უცხო მოვლენა, მა-

---

[60] Н. Абазадзе, „Семейная община у грузин“ („Этнограф. обозрение“, 1889, № 3); А. Хаханов, „Обычаи грузинских крестьян при пахапии“ („Этн. Обозр“., 1891, № 4.).

[61] ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 407 და 418.

[62] МИЭБГКЗК, III, II, 150.

შინ, როდესაც იქვე ქვემოთ ასახელებს სოფელს, რომლის მაგალითზედაც აღწერს ალოების საყოველთაოდ ცნობილ დანაწილებას. საქმეს არ შველის არც ის გარემოება, რომ ქ. ვერმიშევი ამავე ცნობას უცვლელად იმეორებს თავის შემაჯამებელ ნაშრომში ამიერკავკასიელ სახელმწიფო გლეხთა მიწათმოქმედების შესახებ[63]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სხვაგან არსად ანალოგიური მოვლენა დამოწმებული არა გვაქვს[64].

ალ. რობაქიძეს მოყავს ქსნის ხეობაში ჩაწერილი მაგალითი, რის მიხედვით 20—21 დღიან ალოს პერიოდში გუთნეული „შეასრულებდა რა ალოების გათვალისწინებულ რაოდენობას", ე. ი. მონაწილეობის შესაბამისად მოუხნავდა რა ამხანაგობაში შემავალ წევრთ, მერმე მონაწილეობის ხვედრიწონისაგან დამოუკიდებლად „დრო დაურჩებოდათ იმისათვის, რომ დაუხნავი ფართობიც დაეხნათ" ამხანაგობის წევრთათვის[65].

მაინც, როგორც გინდ ქესატობა არ გვეირდეს საჭირო მასალის მხრივ, ჩვენ, ვფიქრობთ, აპრიორულადაც შეგვიძლია დავუშვათ, რომ ასოციაციური გუთნეული (ალო, მოდგამი, თაობა) თავისი წარმოშობა-ჩამოყალიბების პერიოდში ნამუშევრის იმ დროისათვის სამართლიან განაწილებაზე იქნებოდა დამყარებული.

მაშ რას და როდის უნდა გამოეწვია ძველი ნორმების უცვლელობის პირობებში გუთნეულის მუშაობის შედეგის ის არაეკვივალენტური განაწილება, რასაც ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით რეფორმის მერმინდელ პერიოდში? — პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს.

ტექნიკურმა პროგრესმა დიდად გააიაფა რკინა. როგორც საერთოდ შუა საუკუნეებში, ისე კერძოდ რეფორმამდელ ამიერკავკასიაში რკინა ფრიად ძვირი იყო.

---

[63] СМІЭБГКЗК. IV, I, 245.

[64] შად. „Этнограф. Обозр.", 1891, № 3, стр. 25.

[65] ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 407—409.

1826 წ. ს. წედისში (რაჭაში) მოქმედი ბრძმედებით 3 მუწას 1 დღეში შეეძლო მიეღო მხოლოდ 6 გირვანქა რკინა[66], ხოლო რუსეთიდან შემოტანილ რკინას დიდად აძვირებდა სატრანსპორტო ხარჯები.

1852 წ. 1 ფუთი რკინისა ან ფოლადის ფასი თბილისში 2,5 მანეთიდან 16 მანეთამდე აღწევდა მაშინ, როდესაც დონისროსტოვსა და ასტრახანს მათი ფასი 0,80-დან 2,35 მანეთს არ აღემატებოდა. ამ დროს ამიერკავკასიაში კიდევ არ იყო გამოდევნილი რკინის შინამრეწველური წარმოება, რაც ქვეყანას წლიურად, დაახლოებით, 3 000 ფუთ რკინას აძლევდა[67].

რკინა იმდენად ძვირი იყო, რომ გლეხები არა იშვიათად იძულებული ხდებოდნენ შინაგანი და გარეშე მტრებთან ბრძოლათა გმირული ეპიზოდების მომგონებელი და ოჯახის იმედად მიჩნეული სატევარიც-კი გაემეტებიათ გუთნის ნაწილებისათვის[68].

მაგრამ რკინიგზების გაყვანის შემდეგ ამიერკავკასიაში რკინა შედარებით ძლიერ გაიაფდა, თუმცა, ცხადია, არც ისე, რომ იგი, სახელდობრ რკინის ნაკეთობანი, ადვილად ხელმისაწვდომი ყოფილიყო ღარიბი გლეხობისათვის. ამასთანავე ერთად, მჭედლობისა და დურგლობის, მაშასადამე, გუთნის ნაწილების კეთების გაიაფებამ[69] არსებითად შესცვალა გუთნეულში შემავალ ცოცხალ შრომასა და ძველი (წინანდელი) შრომის პროდუქტს, ე. ი. შრომის საშუალებას შორის მანამდე არსებული შეფარდება.

---

[66] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „შინამრეწველობა ამიერკავკასიაში" (ეკ. ინსტ. შრ., ტ. IV, 78 — 80).

[67] И. Д ю к р у а с и, „О торговле железом в Зак. крае" (ЗКОИРГО, 1853, т. VI).

[68] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „კაპიტალიზმის წარმ. და განვით. ამიერკავკასიაში", 1941, გვ. 196, 242.

[69] К. Ф е д о т о в, назв. работа, стр. 14—30.

ამავე დროს, რამდენადაც ალოს ტრადიციული დანაწილება უცვლელად შენარჩუნებულ იქნა, ტექნიკურმა პროგრესმა. — თუმცა ვერავითარი ცვლილება ვერ გამოიწვია თვით გუთნის კონსტრუქციაში — გადატრიალება მოახდინა შრომის პროდუქტის განაწილებაში, მაშასადამე, გუთნეულის სოციალურ-ეკონომიკურ ორგანიზაციაში.

ამგვარად, ჩვენ გვგონია, რომ გუთნეულის პროდუქციის განაწილებაში არსებული ნორმები ძველად ეკვივალენტური უნდა ყოფილიყო, რადგან სახნის-საკვეთი დაახლოებით ექვსჯერ მეტი ეღირებოდა, ვიდრე 1880 — 1900-იან წლებში, როდესაც საერთო პროდუქტიდან (რასაც შეიძლება საზოგადოებრივი შრომის პროდუქტიც ვუწოდოთ) ამ იარაღთა პატრონი-მონაწილე ექვსჯერ მეტს ღებულობდა, ვინემ მათი ახლანდელი ღირებულების საფუძველზე ერგებოდა.

იგივე ითქმის გუთნის ხის და სხვა ნაწილებისა და გამწევი ძალის შესახებაც. ოღონდ იმ გაგებით, რომ ხარი, როგორც შრომის იარაღი, შუა საუკუნეებში, ბევრად უფრო იაფი უნდა ვივარაუდოთ, ვინემ რკინა, ხოლო დროთა მსვლელობაში იმდენად არ ძვირდებოდა, როგორც წარმოებდა რკინის გაიაფება.

ცხადია, მხედველობიდან არ უნდა იქნას გაშვებული ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში ამოსავალ პუნქტს მაინც წარმოადგენს შრომის საშუალების (ხარის) არა გაიაფება, არამედ, საზოგადოდ, ცივილიზაციის პროგრესის მიხედვით შრომის ორგანიზაციისა და წარმოების საშუალებათა განაწილების ურთიერთობაში მომხდარი ღრმა ცვლილებანი: სახელდობრ, ეს შედეგია იმ დიფერენციაციისა (კაპიტალიზმის განვითარებისა), რაც სოფლად უკვე სინამდვილეს წარმოადგენდა და რამაც იგი დაჰყო წარმოების საშუალებათა

შეპატრონე და ამ საშუალებებს მოკლებულ მოსახლეობად, რომელთა შორის სულ უფრო ღრმავდებოდა ეკონომიკური ანტაგონიზმი.

უშუალო მწარმოებელთა ძირითადი მასების ექსპლოატაციის ამ ფორმამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო მენშევიკებისა, მუსავათისტებისა და დაშნაკთა ბატონობის წლებში, როდესაც ძირეულად მოიშალა ისედაც ჩამორჩენილი ტექნიკური შეიარაღება ჩვენი სოფლის მეურნეობისა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებისა და სახელდობრ, მთლიანი კოლექტივიზაციის მეოხებით მოისპო ჩვენს სოფლებში წარმოებისა და, კერძოდ, შრომის საშუალებებს მოკლებული გლეხობის ის შენიღბული და თანაც სასტიკი ექსპლოატაცია, რასაც გუთნეულის ტრადიციული ორგანიზაციის საფუძველზე აწარმოებდნენ მემამულეები და კულაკები, სანამ ისინი მონოპოლიურად ფლობდნენ შრომის ამ ძირითად საშუალებებს.

III. ქარხნული გუთნების საჯარო გამოცდები 1880-იანი წლებიდან

რეფორმის მთელი პერიოდის მანძილზე გაუმჯობესებულ სახვნელ იარაღ-მანქანათა შემოტანა-გავრცელებისათვის ზრუნვა ერთხნობით თითქმის სულ შეწყდა. მაგრამ შემდეგაც კარგა ხნის მანძილზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ ცალკეულ ცდას, ამიერკავკასიაში ახალი ევროპული (ინგლისური, რუსული, ფრანგული და სხვ. ფირმის) გუთნები იშვიათად თუ სადმე გამოჩნდებოდა[1].

1880-იანი წლებიდან კი, კერძო მემამულეთაგან წარმოებული ექსპერიმენტების ფონზე, აღსანიშნავია ისევ სმკს-ს მიერ ჩატარებული ღონისძიებანი: ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეში გაუმჯობესებული გუთნების დემონსტრაციისათვის შეიქმნა სპეციალური კომისია.

ილ. ჭავჭავაძე, ცხადია, იმთავითვე დიდ ყურადღებას აქცევდა ყოველივე ახალშემონაღებს ჩვენს სოფლის მეურნეობაში. 1882 წ. ქ. თბილისის სანახებში ერთი მემამულის მეურნეობაში ჩატარებულს მიწათმოქმედების ახალი ტექნიკის საჯარო გამოცდას მან სპეციალური ფელეტონი უძღვნა.

კერძოდ, გაუმჯობესებული გუთნის შესახებ იგი წერდა: „ახლა იფიქრეთ, რამოდენა ხარჯის შემოკლება იქნება, რომ ერთი დღიური მიწა მოხნას ორისა და სამის უღლით, რომელსაც ბევრი-ბევრი ერთი გუთნის-დედა მოუნდეს და ერ-

---

[1] „კახეთში ფრანცუზული გუთნის ხმარებაზედ“ („სასოფლო გაზეთი“, 1875 წ. № 13).

თი თუ ორი მეხრე. ერთი ხუთად ხარჯი შემოკლებული იქ-ნება საქონელზედ და ერთი სამად მაინც კაცზედ. რომ ეს ასე მოხდეს, რასაკვირველია, სხვაგვარი გუთანი უნდა შემოღებულ იქნას, იმისთანა გუთანი, რომელმაც ჩვენის მიწის შესაფერი სამსახური გაგვიწიოს, არც ძალიან ძვირი იყოს და არც ისეთი რთული, რომ გატეხის და მოშლის შემდეგ ძნელად გაკეთდეს და გაიმართოს“ [2].

ასეთ სახვნელ იარაღად ი. ჭავჭავაძეს მიაჩნდა ინგლისურ-ბულგარული გუთანი „გოვარდი № 2“. სწორედ ამ გუთნის საჯარო გამოცდას აღწერს იგი: „გუთნის-დედა ქართველი უბრალო გლეხიკაცი იყო. ამან რა წამსაც დახედა გუთანს, მაშინვე მიხვდა რა ნაჭერი გუთნისა რას მოასწავებდა. აი ეს, ბატონო, დასაველებელი უნდა იყოსო. აი ეს უსათუოდ ღრმად დასაშვები იქნებაო, აი ეს ბელტის კარგად გადაბრუნებისათვის და სხვა ამგვარი. სწორედ ესეც გამოდგა“. ამ გუთანს ჯერ 2 უღელი კამეჩი შეაბეს, მერმე — ? და თვით სახვნელი თანდათანობით ჯეროვნად მომართეს, რის მერმეც „გუთანმა ისე მშვენივრად ხვნა დაიწყო, რომ უკეთესი ძნელად თუ იქნება... მეშამულემ ღმერთს მადლობა შესწირა, რომ რვა და ათ უღლიანს გუთანს გადაურჩა. ორიოდე უცხო გლეხიც იყო გასასინჯავად და იმათაც ძალიან მოიწონეს გუთანი. მხოლოდ სთქვეს, ჩვენებურად ღრმად ვერა ხნავსო. ჩვენის ფიქრით ეს გუთანი ჩვენში ყველგან გამოდგება...“ [3].

საერთოდ ხვნისა, მკისა და ლეწვის ტექნიკის გაუმჯობესებაში ხედავდა ი. ჭავჭავაძე მიწათმოქმედების წარმატების საფუძველს და ამიტომაც იგი დაბეჯითებით ურჩევდა გაუმჯობესებული იარაღების შემოღებისა და დანერგვისათვის.

1883 წ. ქარხნული გუთნების გამოცდა ჩატარდა, მაგალითად, კასპში, სადაც მეტი მოწონება ჰპოვეს გენეს (№ 3) და რანსომის გუთნებმა, მაგრამ უკანასკნელის დადებით

---

[2] ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებული, VI, გვ. 240.

[3] იქვე, გვ. 241.

თვისებებს აქარწყლებდა დიდი სიმძიმე (9 ფუთი) და სიძვირე (50 მან.).

ამ გამოცდების გამო ივ. მაჩაბელი წერდა: „...ევროპული გუთნები უფრო ჩქარა მუშაობდენ და საქონელიც ორ-უღელ ნაკლები უნდებოდათ ქართულ გუთანზედ“. გლეხთა ნაწილს უცხოური გუთნები მოეწონა. მიუხედავად ამისა ერთ გლეხს განუცხადებია: „თუ ეგ გუთნები დაგვირიგეს შვილო, სეფისკვერი გაწყდებაო“.

გაზეთის წარმომადგენლის შეკითხვაზედაც გლეხებს უპასუხნიათ: „ბარემ არ გამოგვადგება ბატონო [ეგ გუთნები], მაგრამ რასა იქმ, ხელმწიფის ბრძანებას ვინ წაუვა; მერე?ც ისე, შენი ჭირიმე, ჩვენი გუთანი რომ გატყდეს, გუთნიდედა იქვე გააკეთებს და მაგას კი რა ჯანდაბა უნდა მოუხერხოს: წამდაუწუმ ხომ ქალაქში ვერ ვირბენთ მაგის საკეთებლად! არა შენი ჭირიმე, ხელს არ მოგვცემს, ჩვენ მაგას მოუნდებითო!“ [4].

იმავე წელს ს. ტირძნისში (ცხინვალის მ.) ი. სულხანიშვილის მამულში ჩატარებული გამოცდის შესახებ ნიკო ურბნელი (ხიზანიშვილი) გადმოგვცემს: „გლეხკაცობის მხრივ გულგრილობა ცხადი იყო, მათი სიმპატია მამაპაპურს გუთანს ეკუთვნოდა და ეს მარტო მიტომ კი არა, რომ ჩვენი გუთანი ბევრად კარგია, არა — ამ გულგრილობის მიზეზი სხვა იყო: გლეხი პირდაპირ აცხადებდა — ოღონდაც მამული საკმაო გვქონდეს და ახალი გუთანი საჭირო არ არისო“[5].

მორიგი დემონსტრაცია ევროპული გუთნებისა მოეწყო ალექსანდერსდორფში (თბილისის მახლობლად). შემდეგ 1884 წ. ანალოგიური ცდები ჩატარდა ქ. ერევნის გარეუბანში. გლეხობამ მოიწონა გენეს გუთანი. ზოგიერთებმა ამ გუთნის ყიდვის სურვილიც განაცხადეს, მაგრამ მთავრობის კომისიამ მათ მოახსენა: „სამწუხაროდ ასეთი გუთანი მეტი

[4] გაზ. „დროება“, 1883 წ. № 86.

[5] იქვე, № 248, კურსივი ჩვენია.

არა გვაქვსო"[6]. ერევნის გუბერნიის რუს კოლონისტებს რანსომის გუთანი უფრო მოეწონათ, მაგრამ საჭირო რაოდენობით არც ეს გუთანი იშოვებოდა.

1885 წ. გამოცდა ჩატარდა ქ. ელისავეტპოლის (განჯის) გარეუბანში. გლეხებმა გენესა და რანსომის გუთნები მოიწონეს, მაგრამ ამათი „ფასები იმდენად მაღალი იყო, რომ ჯერჯერობით ასეთი მანქანების შეძენა მათს საშუალებებს აღემატებოდა".

იმავე წელს გამოცდები ჩატარდა ბაქოს გუბერნიაში, რკინიგზის სადგურ ქიურდამირის სანახებში, სადაც დაახლოებით ისეთივე შედეგები იქნა მიღებული, როგორიც განჯაში. ქიურდამირში გაიყიდა ყველა გუთანი, რომელიც მონაწილეობდა გამოცდაში. ამასთანავე ადგილობრივი მკვიდრნი უპირატესობას აძლევდნენ გენეს, ხოლო რუსი კოლონისტებიც-კი — რანსომის გუთანს[7].

საერთოდ გაუმჯობესებული გუთნების დემონსტრაციას ყველგან დიდძალი ხალხი ესწრებოდა. აღსანიშნავია, რომ ხსენებული კომისია თვითონ არ სთვლიდა თავისთავს „მიწათმოქმედების მექანიკის საკითხში" კომპეტენტურად და ამიტომაც ყოველი თავისი დასკვნა საეჭვოდ მიაჩნდა, მით უმეტეს, რომ სათანადო სპეციალისტი მთელ კავკასიაშიც არ მოიძებნებოდა თურმე.

მიუხედავად ხსენებული დაბრკოლებებისა ევროპული სისტემის გუთნები 1880-იანი წლებიდან, თუმცა ძლიერ მცირე ზომით, მაინც ვრცელდებოდა ამიერკავკასიის სოფლებში[8]. მაგალითად, ელისავეტპოლის გუბერნიის ყაზახის მაზრაში 1885 წელს ა. ერიციანი 30-მდე ევროპულ გუთანს ვარაუდობდა; ამ გუთნებს თბილისიდან იწერდნენ, უფრო ადრე ასალგაზრდა სემინარიელი ხუცები და შემდეგ, ამათი მიბაძვით, შეძლებული გლეხებიც[9]. დაახლოებით ანალოგი-

[6] И. Иоселиани, I, с., გვ. 49—50; დამატებაში, გვ. 46.
[7] ТПКССХ, 1911 г., 130—131, 143.
[8] ბ. გარეჯელი, „უცხოური გუთნები" („მეურნე", 1888 წ. № 11).
[9] МИЭБГКЗК, II, II, 156.

ური იყო მდგომარეობა ერევნისა[10] და თბილისის[11] გუბერნიებშიაც. გრ. გ ა რ ე ჯ ე ლ ი 1888 წ. აღნიშნავდა, რომ „მარტო საგარეჯოში ოცდაათამდის უცხოური გუთანი იქნებაო“ [12].

მაგრამ, საერთოდ მიწათმოქმედებაში ევროპული გუთნების როლი ფრიად უმნიშვნელო იყო და უშუალო მწარმოებელთა ძირითად მასებში მალე დავიწყებას ეძლეოდა. 1897 წელს ა. ქ ა ლ ა ნ თ ა რ ი, ქიურდამირში ათიოდე წლის წინათ ჩატარებულ ცდების შესახებ, წერდა, რომ „ადგილობრივ მოსახლეობაში იმ ცდებისაგან არავითარი კვალი არ დარჩენილა. და ეს ადვილად გასაგებია. ადგილობრივი გუთანი (როგორც ქიურდამირში, ისე ბაქოსა და ელისავეტპოლის გუბერნიების დაბლობ რაიონებში) ჯდება 6—7,5 მან., ხოლო იარაღები, რომლებიც მაშინ გამოცადეს — 40 მანეთამდე. ჩუთით (კავით) მუშაობისათვის საკმარისია 1 უღელი მჭლე ხარები, ხოლო ღრმად მხვნელი მძიმე გუთნისათვის საჭიროა არა ნაკლებ 4 წყვილი ისეთივე ხარებისა“[13].

1894 წ. სმკს-მ კვლავ შექმნა კომისია ევროპული და საერთოდ გაუმჯობესებული კონსტრუქციის გუთნების გავრცელებისათვის. ახლა გუთნების რიცხვიც მეტი იყო და დემონსტრაციებში წარმოდგენილი იყო არა თვით სმკს-ს, არამედ თბილისური კერძო — აუფერმანისა და კრაუზეს — საწყობების გუთნები. გლეხობას მოსწონდა უპირატესად ეკერტის, შელეს. გენეს, საკისა და სხვ. ფირმების გუთნები. ეტყობა, გლეხობა ახლა უფრო ნდობით ეკიდება უცხოურ იარაღს [14].

---

[10] МПЭБГКЗК, IV, II, 42.

[11] „Труды Кавк. об-ва сельск. хозяйства“ (ТКОСХ), 1885 г., № 5, 339.

[12] „მეურნე“, 1888 წ. № 11, გვ. 6.

[13] „Кавказское сельское хозяйство“ (КСХ), 1897 г. № 164, стр. 138.

[14] КСХ, 1894 г. № 21, стр. 367; 1895 г. № 59, стр. 1036—1938.

სიღნაღში ცდების შემდეგ მრავალი გუთანი გაიყიდა და ფირმების წარმომადგენლებმა კიდევ 80 გუთნის შეკვეთა მიიღეს. კომისიაც აღფრთოვანებულია: „ასეთი შედეგი არ შეიძლება არ ჩაითვალოს ბრწყინვალედ. ხოლო თვით გლეხთაგან გაუმჯობესებული გუთნების შეგნებული შეფასება და უდავო უპირატესობის აღიარება უაღრესად სასიამოვნო მოვლენადო“ [15]. ხოლო სამიოდე წლის შემდეგ კორესპონდენტი ისევ იტყობინებოდა, რომ ცდებმა საბოლოოდ დაარწმუნა მოსახლეობა ევროპული გუთნების უპირატესობაში და ახლა „ადგილობრივი გლეხები ყოველწლიურად ყიდულობენ ქ. სიღნაღსა და ს. მაჩხაანში გახსნილი საწყობებიდან ორასამდე გუთანს. ხელსაყრელობა აშკარაა: 6—8 უღლის ნაცვლად ახლა უბამენ მხოლოდ 3—4 უღელ ხარს. ახალ გუთნებს გაჰყავთ სუფთა კვალი, არ ქანცავენ გუთნის დედას, კარგად აბრუნებენ ბელტებს, ასუფთავებენ მინდორს სარეველა ბალახისაგან და სხვ.“[16].

1895 წელს იმავე კომისიამ გუთნების გამოცდა მოაწყო ახალქალაქის მაზრის სოფლებში — ვაჩიანს, ხათხესა და ბარალეთს. გამოცდა შეუფერებელ დროს (29 ივლისსა და 1 და 3 აგვისტოს) ჩატარდა, მაგრამ ხალხი მაინც ბლომად დაესწრო. დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ ეკერტის, შელეს, გენეს, რანსომის, კოლონისტური და სხვ. ფირმის გუთნები. რამდენიმე გუთანი ადგილზევე, გამოცდის დამთავრებისთანავე, გაიყიდა, „გლეხების უმრავლესობა, — კარგად ესმოდათ რა დემონსტრირებული გუთნების უპირატესობა, — აღნიშნავდა, რომ მათ არ გააჩნიათ საშუალება ამ გუთნების შესაძენად; ისინი მიუთითებდენ აგრეთვე რემონტის სიძნელესაც“ [17].

ქუთაისის გუბერნიაში 1890-იანი წლებიდან გაუმჯობესებული სახვნელის გავრცელებას ხელს უწყობდა ქუთათუ-

---

[15] И. Иоселиани, l. c., 53—54.
[16] КСХ, 1897 г. № 164, стр. 138.
[17] КСХ, 1897 г. № 182, стр. 531—533.

რი კომერსანტი ფეიქრიშვილი. იგი მშვენივრად ახერხებდა, ამ მხრივ, თავისი საქმიანობისათვის „ქველმოქმედებითი“ და „საზოგადოებრივი მოღვაწეობის“ ხასიათიც კი მიეცა. ფეიქრიშვილმა (ფეიქაროვმა) 1897 წ. ქუთაისისა და სენაკის მაზრებში ჩაატარა ევროპული და ამერიკული გუთნების საჩვენებელი დემონსტრაციები[18]. აქ ცდიდნენ ალსოპისა და შვარცჰოფის გუთნებს — ადგილობრივი კავის პარალელურად. გლეხობა ხედავდა ევროპული გუთნების დიდ უპირატესობას, მაგრამ იგი 2—3-ჯერ მეტი ღირდა, ვინემ კავი (4 მან.) და სამთვიანი კრედიტის თავაზითაც შეუძლებლად მიაჩნდათ ამდენი თანხის (10 — 12 მან.) გადახდა, მიუხედავად იმისა, რომ ევროპული გუთნები ორჯერ მეტხანს ძლებდა, ვინემ კავი. მხოლოდ ზოგიერთმა მემამულემ შეიძინა ევროპული იარაღი[19].

1896 წელს სმკს-ს ქუთაისის განყოფილების სოფლის მეურნეობის სკოლაში დაარსდა მიწათმოქმედების იარაღმანქანათა საწყობი. დას. ევროპული და რუსული სისტემის გუთნები მიქონდა იმერელ მემამულეებს. 1897 წელს ს. კულაშში გ. მიქელაძემ მოახდინა გამოცდა ქუთაისიდან წაღებული „რიაზანის გუთანი C“-სი, რამაც დამაკმაყოფილებელი შედეგი გამოიღო, რის გამოც იგი ურჩევს ამ გუთანს „ქვემო იმერეთის მეურნეებს, როგორც ყველაზე მარტივი კონსტრუქციისა და ჩვენს რაიონში ადვილად გამოსაყენებელს“[20].

ზაქათალის ოკრუგში 1898 წლამდე სულ ორიოდე გაუმჯობესებული გუთანილა იპოვებოდა. 1898 წელს მოწყობილი დემონსტრაციის მერმე, 1899 წ. მარტამდე, აქაურმა მოსახლეობამ შეიძინა ეკერტის სამოცამდე გუთანი. ეკერტისას ანიჭებდნენ უპირატესობას ბრინჯის კულტურის შესაბამი-

---

[18] ТПКССХ, 136; КСХ, 1897 г. № 164, стр. 139—140; 1904, № 542, стр. 490—491.

[19] Н. Курнали, „Испытание плугов в Кутаисск. и Сенакском уездах“, (КСХ, 1897 г. № 180, стр. 389).

[20] КСХ, 1897 г. № 172, стр. 267.

სად[21]. 1900 წ. თელავისა და სიღნაღის მაზრებში მოწყობილ დემონსტრაციათა შესახებ ი. სტაროსელსკი აცხადებდა: გლეხები ხედავენ მის უპირატესობას და ეტანებიან, მაგრამ ევროპული გუთნების „ფართედ გავრცელებას მაღალი ფასები აფერხებს“[22].

1901 წ. სმკს-მ თბილისში, კავკასიის საიუბილეო გამოფენაზე, მოაწყო ევროპული სისტემის სახვნელთა დიდი საჯარო დემონსტრაცია, სადაც ყველაზე უფრო მოწონებულ იქნა ეკკერტის, საკის, რანსომის და სხვ. გუთნები.

1900-იანი წლებიდან უკვე ევროპული გუთნების საჯარო დემონსტრაციის მაგალითები იმდენად გახშირდა, რომ მათი აღნუსხვა შორს წაგვიყვანდა[23]. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ამ დროიდან არც არსებობდა ამისი დიდი საჭიროება, რამდენადაც ამიერიდან მთავარ დაბრკოლებად წარმოგვიდგება არა ასეთი გუთნების არსებობისა და უპირატესობათა უცოდინარობა, არამედ მწარმოებელთა ძირითადი მასებისათვის სიძვირე ამ გუთნებისა და მათი რემონტის სიძნელე.

მაგალითად, ერევნის გუბერნიაში (1900-იან წლებში) „მოსახლეობას უკვე ესმის ხელსაყრელობა გაუმჯობესებული იარაღებისა, მაგრამ ისინი არსად იშოვნება სასყიდლად და საამისო (შესყიდვის) საშუალებებიც არ მოეპოვებათ. თუმცა ზოგიერთ ადგილას მედუქნეები გამოიწერენ ხოლმე გაუმჯობესებულ იარაღებს, მაგრამ იმდენად შეუსაბამოდ მაღალ ფასებს ადებენ, რომ საკვლევით მიუწვდომელია გლეხებისათვის; ამას გარდა ახალ იარაღთა გაფუჭების (დაზიანების) შემთხვევაში მოსახლეობას არ შეუძლია მათი შეკეთება... რის გამოც იძულებული ხდებიან გადააგდონ ახალი და კვლავ ხელი მოკიდონ ადგილობრივ ძველ იარაღს“[24].

---

[21] „Отчет о деятельности Кавказского филоксерного Комитета“ (ОФК), 1899 г. стр. 228—229.

[22] ОФК. 1900 г., II, 253—254.

[23] იხ. МСХСФККК33ЗК, 388—389.

[24] „Труды местных комитетов с. х. промышленности“ (ТМКСХП), I. LII, стр. 619.

IV. სოფლის მეურნეობის სხვა იარაღ-მანქანები

აღებულ პერიოდში უცხოური სახვნელი იარაღების პარალელურად ამიერკავკასიაში შემოდიოდა და, ასე თუ ისე, ვრცელდებოდა სოფლის მეურნეობის სხვა იარაღ-მანქანებიც. სმკს-მ ჯერ კიდევ თავისი დაარსების პირველსავე (1850) წელს გამოიწერა ამერიკული სალეწი, ხელის სანიავებელი და ჩალის საჭრელი მანქანა.

ეს მანქანები მიღებისთანავე გამოსაცდელად გადაეცა ადგილობრივ მემამულეებს, რომელთაც არადამაკმაყოფილებელი შედეგები მიიღეს. აღმოჩნდა, რომ ადგილობრივმა მუშებმა ვერ აითვისეს მექანიზმი და ჯეროვნად ვერ ააწყვეს მანქანის მუშაობა.

მერმე თვით სმკს-მ მოაწყო სალეწი მანქანის საჯარო გამოცდა. აგრონომ დ ე ი ჩ მ ა ნ ი ს დასკვნის საფუძველზე სმკს-მ სცნო, რომ სალეწები წარმატებით შეიძლება შეშოვიდნენ ხმარებაში ამიერკავკასიის მეურნეობებში, მხოლოდ იმ შემთხვევაში... თუ პირუტყვის საკვებად გამოყენებული იქნება არა ჩალა (ნამჯა). არამედ თივა „მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენ მეურნეობათა მდგომარეობას, არა გვაქვს საფუძველი ვიმედოვნებდეთ, რომ ჩალა შეიცვალოს თივით“ [1].

ამ დროიდან თვით რეფორმის წინაწლებამდე ამგვარ მანქანათა გამოწერისა და ადგილზე გამოყენების შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. 1860-იანი წლების

[1] Н. Иоселиани, l. c., 37—38.

დამდეგიდან კი განახლდა ცდები ევროპული და ამერიკული მანქანების გამოწერისა და ხმარებაში შემოღებისა[2].

მაგალითად, ი. ჭუხრან-ბატონმა თავის მამულებში, თბილისის მაზრაში (დიღომსა და მუხრანს) 1862 წელს, ინგლისური და ამერიკული გუთნების გარდა მიიღო და მოაწყო საჯარო დემონსტრაცია სანიავებელი და სალეწი მანქანებისა, რომლებიც მოძრაობაში მოჰყავდა წყლის ძალას. აქვე უჩვენებდნენ მუშაობას ინგლისური კონსტრუქციის წისქვილისა[3], რომელიც მოძრაობაში მოჰყავდა ცხენს, — აგრეთვე სამკალ-სათიბ და სიმინდის დასაფშვნელ სხვადასხვა სისტემის მანქანებს. ამ მანქანებზე „სპეციალისტი მექანიკოსის“ ხელმძღვანელობით ადგილობრივ გლეხებს ამუშავებდნენ[4].

კერძოდ, სიმინდის საბეგვი (საფშვნელი) მანქანების შესახებ კორესპონდენტი იუწყება, რომ ეს მანქანა „ისე ადვილი სამუშავებელია, რომ ათი წლის ყმაწვილი დაბრუნებს“. ვინც ხედავს იმას „ამბობს ყმაწვილებსაც გაართობს და საქმესაც გააკეთებინებსო“; ამ მანქანით „ორი კაცი ან დედაკაცი დღეში 5 — 6 ტომარა სიმინდს დაფშვნის“[5].

ს. ვარციხეს ანანოვის ფერმაში, 1862 წელს ჰოპენჰაიმური კონსტრუქციის გუთნებთან ერთად მიღებულ იქნა და ამუშავებდნენ ჰერეტის სისტემის სანიავებელს, ტერნერის ხელსაფქვავს. აქ ამ დროიდან ხმარებაში იყო გერმანული უღელიც-კი, რადგან ადგილობრივი უღელი ძლიერ დამქანცველია „აქაური ისედაც პატარა ტანისა და უღონო ხარებისათვის“. აქვე ხმარობდნენ საბეგვ მანქანას, რომელიც მიღებული იყო ბორდოდან.

1885 წ. სმკს-ს კომისია ქ. ელისავეტპოლის სანახებსა და მერმე ქიურდამირშიაც (ბაქოს გუბ.) ევროპულ გუთ-

---

[2] ЦАУГ, ГИА, Ф. 69, д. № 89/427, 1862—75 гг. лл 1—75.

[3] ქარის წისქვილისათვის იხ. იქვე, 1862 — 64 წწ. საქმე № 129/441, ფურც. 1 — 38.

[4] „გუთნის დედა“, 1863 წ. № 11.

[5] „გუთნის დედა“, 1863 წ. № 4; ЦАУГ, ГИА, ф. 25, 1862 г. д. № 89, л. 1.

ნებთან ერთად მოსახლეობას უჩვენებდა აგრეთვე სხვადასხვა კონსტრუქციის სალეწი, სანიავებელი და ყურძნის საწნეხი მანქანების მუშაობას. ათიოდე წლის შემდეგ სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოების კიდევ ახალი სპეციალური კომისია სიღნაღისა და ახალქალაქის მაზრებში ატარებს სანიავებლების, ფარცხების, ყურძნის საწნეხების და სხვ. მანქანების საჩვენებელ დემონსტრაციებს.

*

* *

დასახელებულ მანქანა-იარაღთა შორის ამიერკავკასიაში შედარებით მნიშვნელოვნად იყო გავრცელებული კერძოდ სანიავებელი. ცხადია, იგი ვრცელდებოდა უპირატესად აღმ. ამიერკავკასიაში — თბილისის, ელისავეტპოლის, ბაქოს და ერევნის გუბერნიებში, — სადაც გაბატონებულ პურეულს ხორბალი, ქერი და საერთოდ თავთავიანი მარცვლეული წარმოადგენდა.

მე-17 ს. დასასრულს ინგლისში პურს მხოლოდ და მხოლოდ ნიჩბებით ანიავებდნენ, ამავე დროს ჰოლანდიაში უკვე გაჩნდა მექანიკური სანიავებელი. აქედან ჯემს მეიკლმა, სალეწის გამომგონებლის მამამ, 1710 წელს ინგლისში ჩამოიტანა „სანიავებელი წისქვილი", რასაც „დიუკელი", ე. ი. ჯადოქარი ეწოდებოდა, რადგან „მიუხედავად მთელი იმ ხმაურობისა რასაც წარმოშობს, იგი ჰქმნის მხოლოდ ქარს". სანიავებელი მანქანა მიუხედავად ეკლესიის წინააღმდეგობისა 1740-იანი წლებიდან ინგლისში ფართოდ გავრცელდა. 1812 წ. ჯონ ელმა გამოიგონა ე. წ. ინგლისური სანიავებელი. ამ დროიდან მანქანამ უკვე საბოლოოდ განდევნა მარცვლის ძველებურად ნიჩბით განიავების წესი*.

ახალ, გაუმჯობესებულ იარაღ-მანქანებთან შედარებით სანიავებლის ამიერკავკასიაში უკეთ გავრცელებას ხელს უწყობდა მისი კონსტრუქციის არართული ხასიათი და სიმ-

---

* T. Franklin, „A History of agricoulture", 1948, London.

ჩატე. ეს გარემოება ადვილებდა აგრეთვე სანიავებლის სხვადასხვა ადგილას გადატანას. ვისაც საკუთარი მანქანა არ ჰქონდა შეეძლო იგი ექირავებია. სანიავებლის გაქირავება მთელს ამიერკავკასიაში იყო გავრცელებული.

ერევნის გუბერნიაში უკვე 1890-იანი წლების პირველ ნახევარში, როდესაც მდ. არეზის (არაქსის) დაბლობის ზოგიერთ სოფელში, მაგალითად, სარდარაბადს, ვაღარშაპატს და სხვ. 20—25 ცალი სანიავებელი ითვლებოდა, ჩვეულებად იყო ქცეული ამ მანქანის გაქირავება. საშუალო და ღარიბი გლეხობა, რომელსაც მანქანის შეძენა არ შეეძლო, სანიავებელს „ოჯარით იღებდა მოხეტიალე ოსტატისაგან". ასეთი ოსტატები კი „თავიანთი სანიავებლით, მიმოდიოდნენ სოფლებში და მით მოირეწდნენ" [7].

ჩვეულებრივ, თავისი სანიავებლით მოხეტიალე ოსტატს, ერთ ხალვარ (ე. ი. 30 ფუთ) განიავებული ხორბლიდან ქირად მიჰქონდა 2 ბათმანი (24 გირვანქა). ერთი სანიავებელი დღე-ღამეში, 7 მუშის მომსახურებით, ანიავებდა დაახლოებით 6 ხალვარ ხორბალს და, ამგვარად, მანქანის პატრონი ღებულობდა 3,5 ფუთამდე მარცვალს. მაშასადამე, სანიავებლის გაქირავება სარფიანი საქმე იყო, მით უმეტეს რომ ერევნის გუბერნიის სოფელთა უმრავლესობაში ამ დროს, 1890-იან წლებში, ეს მანქანა თითქმის სრულებით არ მოიპოვებოდა. „ეჩმიაძინს რაც უფრო ვშორდებით სანიავებელთა გავრცელება მნიშვნელოვნად მცირეა. ვედიბასარის მაჰალში იგი უკვე სულ არა გვხვდება. შარურის მაჰალში მით ძლიერ იშვიათად სარგებლობენ და ისიც მხოლოდ ბრინჯის გასანიავებლად, ნახჭევანის მთელს მაზრაში მხოლოდ 2 სანიავებელი მოიპოვება" [8]. იგი იმ ხანებში ძლიერ მცირე რაოდენობით მოიპოვებოდა საქართველოშიაც[9].

[7] РТКЭЖД, 641.

[8] იქვე, 642.

[9] ს. ქვარიანი, „პურის სალეწ-სანიავებელი მანქანა" („კვალი", 1897 წ. 28, გვ. 530).

1900-იანი წლებიდან, რა თქმა უნდა, სანიავებლები უფრო ვრცელდება, მაგალითად, თბილისის გუბერნიაში ამ დროიდან „სანიავებლები საღდება მრავალ ადგილას და ყველაზე მეტად სიღნაღისა და ბორჩალოს მაზრებში“[10]. ყველაზე მეტი გასავალი ჰქონდა ე. წ. „გლეხურ სანიავებელს“, რომელსაც შინამრეწველები აკეთებდნენ და რომელიც განირჩეოდა „სიიაფით, მწყობრი მუშაობით, გაწყობილობის სიმარტივითა და ადგილობრივ პირობებთან შეხამებულობით“ და, ამგვარად, როგორც ზოგიერთები ირწმუნებიან, „ყველაზე უფრო მოსახერხებელი იყო გლეხური მეურნეობისათვის“[11].

პირველი ცდები მექანიკური სალეწის შექმნისა დაიწყო მე-17 ს. მეორე ნახევარში. მაგრამ კიდევ დიდი დრო შეიქნა საჭირო სანამ შოტლანდიელი ანდრ. მეიკლი 1785 წელს გააკეთებდა თანამედროვე სალეწის პროტოტიპს. მე-18 ს. უკანასკნელ მეოთხედში ამერიკაშიაც გაჩნდა რამდენიმე სახის მექანიკური სალეწი, მაგრამ აქ მათი რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა 1830-იან წლებში. 1831 წ. ტერნერმა წარადგინა ყველა წინანდელთან შედარებით უფრო სრულქმნილი სალეწი. ეს უკანასკნელი, ამერიკული კონსტრუქცია, შემდგომ გაუმჯობესებათა მეოხებით, დარჩა თვით მე-20 საუკუნემდეც[12].

---

[10] ТПКССХ, 171.

[11] Ю. Зоммель, „Распространение земледельческих машин в Тифлисской губ.“, 1911 г., стр, 171.

[12] К. Капорулин и Н. Сомович, „Сельскохозяйственные машины и орудия“, 1934 г., М.

სალეწი იყო სოფლის მეურნეობის პირველი მანქანა, რომლისთვისაც გამოყენებულ იქნა ორთქლის ძალა. ამ მხრივ პირველი ცდა გააკეთა ჯერ კიდევ ტრევიტიკმა 1809 წელს. 1850 წელს ლონდონის მსოფლიო გამოფენაზე უკვე წარმოდგენილი იყო ორთქლის ძალით მომუშავე კომბინირებული სალეწი და სანიავებელი მანქანა [13].

ამიერკავკასიაში სალეწი მანქანა პირველად გაჩნდა 1850 წელს. ეს იყო ზემოხსენებული ამერიკული იარაღი. შემდეგ, 1862 წელს სალეწი ინგლისიდან გამოიწერა ი. მუხრანბატონმა, რომლის მამულშიაც 1863 წელს მოხდა ამ მანქანის საჯარო გამოცდა, რაც აღწერილი აქვს ივ. სერებრიაკოვს:

„სალეწი მაშინა ლეწავდა... მთელს დღეში (9 საათს) 540 ძნასა". მანქანა „რომელსაც უნდება 5 მუშა" მოძრაობაში მოჰყავდა წყლის თვალს. სალეწთან ერთად მუშაობდა სანიავებელიც. „კევრით რომ ელეწათ 540 ძნას მოუნდებოდა 24 კევრი, ე. ი. 24 უღელი ხარი და 24 მუშა, რომლის ქირა ერთი ათად მაინც არი მეტი იმაზე, რაც ხარჯი მოუნდება მაშინასა. ამასთან არ უნდა დავიიწყოთ, რომ ერთი სანიავებელი ეყოფა ორ სალეწსა, რომლის გამო ეკონომია მუშისა იქნება მით მომატებული, რაც უფრო დიდი იქნება მამული" [14]. მიუხედავად ამისა და იმისაც, რომ „ერთი უდიდესი ხარჯი, ძლიერი ჯაფა საქონლისა და კაცისთვის ჩვენში, ლეწვაა" [15], სალეწი მანქანა ამიერკავკასიაში ძნელად ვრცელდებოდა [16]. იგი იშვიათი იყო 1890-იან [17] და თვით 1900-იან წლებშიაც-კი.

1909 წელს კავკასიელ სოფლის მეურნეთა პირველ ყრილობაზე გამოსული მიმომხილველი აცხადებდა, რომ „სა-

---

[13] „Архив истории науки и техники", I.

[14] ი. სერებრიაკოვი, „გამოცდა სხვადასხვა მაშინებისა" („გუთნის დედა", 1863 წ. № 11, გვ. 128—133).

[15] ი. ჭავჭავაძე, „ნაწერების სრ. კრებული" ტ. VI, გვ. 245.

[16] იხ. „სასოფლო გაზეთი", 1870 წ. № 13; — 1875 წ. № 13.

[17] გაზ. „მეურნე", 1890 წ. № 20, გვ. 3 — 4.

ლეწი მანქანები შეიძლება დავინახოთ მხოლოდ ახალ კოლონისტებთან, რომელთაც ის შემოიტანეს რუსეთიდან, და მესარეწეებთან, რომლებიც გარკვეულ საფასურზე ლეწავენ გლეხთა პურს".

მაგრამ არამცთუ გლეხებს არ ჰქონდათ სალეწები, არამედ ასე თუ ისე შეძლებულ მემამულეებსაც იშვიათად გააჩნდათ იგი. სალეწი მანქანის დანერგვა-გავრცელების ხელისშემშლელ მიზეზთა შორის ასახელებდნენ აგრეთვე მანქანური ლეწვის წესის დროს შეუძლებლობას ბზის დამზადებისა, რაც „ამჟამად შეადგენს პირუტყვის საკვებ საშუალებათა უმნიშვნელოვანეს სახეს"[18].

ცალკე უნდა აღინიშნოს ადგილობრივი, სახელდობრ ნ. ავალიშვილის ცდა (1870-იან წლებში) „ორიგინალური სისტემის გაუმჯობესებული სალეწი მანქანის" კონსტრუირებისა[19].

•

• •

ჟკის მექანიკური ხერხები ცნობილი იყო ანტიკურ ქვეყანაში. პლინიუსს (1 საუკ. ახ. წ. ა.), ხოლო უფრო დაწვრილებით პალადიუსს (V. ს.) აღწერილი აქვთ „პურის სამკალი მანქანა", რასაც წარმატებით იყენებდნენ თურმე გალიის დიდ მამულებში. ეს მანქანა, როგორც მრავალი სხვა მიღწევაც ანტიკური კულტურისა, საბოლოოდ ჩაიძირა ადრინდელ შუასაუკუნეთა წყვდიადში.... და ინგლისში „ხელოვნებათა წამქეზებელი საზოგადოების" მიერ

---

[18] ТПКССХ, 172; ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრ. კრებული, ტ. VI, გვ. 245.

[19] Записка Н. Авалова к представленной им модели молотилки (Отчет КОСХ, 1879, № 4, стр. 20 — 29); ЦАУГ, ГИА, ф. 69, д. № 59/378, л. 1—4.

1870 წ. სამკალი მანქანის გამოგონებისათვის პრემიის დანიშვნის შემდეგ, 1784 წ., ხელახლა იქნა იგი „გამოგონებული“.

პირველი პატენტი სამკალი მანქანის გამოგონებისათვის ინგლისში გაიცა 1799 წ.. შემდგომი გაუმჯობესებებითა და ცდებით მოხერხებულად ისარგებლა პატრიკ ბელმა (შოტლანდია), რომელმაც 1826 წ. გააკეთა პრაქტიკულად საკმაოდ ვარგისი მანქანა. ამავე დროს სამკალი მანქანის გაკეთების საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდათ ამერიკაში, სადაც ყველაზე სრულქმნილი კონსტრუქცია შექმნა მაკ-კორმიკმა (1832—34 წწ.), რომელმაც შემდეგ, სამი ათეული წლის მანძილზე, კიდევ მრავალი გაუმჯობესება შეიტანა ამ მანქანაში.

მსხვილი კაპიტალისტური მიწათმოქმედებისათვის სამკალ მანქანას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. კაპიტალისტი თავისუფლდება მოსავლის აღების დროს დამატებითი, სეზონური, მუშების დაქირავების აუცილებლობისაგან. ეს ინტერესი, მიუხედავად სიძნელეებისა, წარმართავდა კონსტრუქტორთა გამომგონებლობით შემოქმედებას მანქანის შემდგომი სისტემატური გაუმჯობესებისაკენ[20].

ამერიკავკასიაში სამკალი მანქანა პირველად, როგორც ჩანს, გაჩნდა 1862 წელს; იგი მიიღეს ინგლისიდან, საიდანაც იმ დროს უმეტეს შემთხვევაში იწერდნენ საერთოდ მანქანებს. სამკალ და მასთან ერთად სათიბი მანქანის პირველი საჯარო გამოცდა აქ, თბილისში, მოუწყვიათ 1862 წლის გაზაფხულს, როდესაც „გაზრდილი ბალახისა და ყანის უქონლობით სათიბი და სამკალი მანქანა ემუშავებინათ ტიტველა მინდორზედ“[21].

1882 წ. ი. ჭავჭავაძემ აღწერა თბილისის სანახებში ერთი მემამულის მიერ ბუკეის სისტემის სამკალი მანქანის ექსპლოატაცია. ამ მემამულემ 1882 წელს „იმითი დამკო თავისი ყანები და სხვასაც უმკო. ჯერ გლეხებმა შორს დაიჭირეს

[20] R. Robertson, „History of the American economic“, 1955, New York.

[21] П. Гугушвили, l. c., 65—69.

მაშინით მკა, ეგ ყანას როგორ მომკისო. მერე, როცა მემამულემ თავის ყანებს მკა დაუწყო, მთელი სოფელი, კაცი თუ ქალი, ზედ დაედო საყურებლად. ჩვენის თვალით ვნახეთ ეს სამკალი მაშინა მუშაობაში. მკის მშვენივრად, დაბლა თუ მაღლა ოთხ ვერშოკამდე, როგორც გნებავთ; ერთს თავთავს არ გაუშვებს მოუმკალს, ისე ჰპარსავს, როგორც სამართებელი. მაშინას ატარებს ორი უღელი ხარი და ორი უღელიც მარქაფადა ჰყვანდა მემამულეს საცვლელად. ცხენებით სცადა ჯერ, მაგრამ ცხენები ვერ მოიხმარეს მოჯამაგირეებმა, მით უფრო რომ ცხენები ფრთხებოდნენ მაშინის ხმაზედ და ფოცხების ტრიალის გამო... მაშინამ მშვენივრად მომკო კაი მოზრდილი ხოდაბუნი 21,5 დღისა 2,5 დღეში... მკის გარდა, ხელეურებს, თუ მთელ ძნას, როგორც გნებავთ, მაშინა ისე ფრთხილად და კარგად აწყობს, რომ კაცი ხელით ვერ დააწყობს"[22].

ილია ამ მანქანის ნაკლოვანებას იმაში ხედავდა, რომ იგი მძიმე იყო და, ამასთანავე, ხარებით მოძრაობისას „ხელეურებს, თუ აკრეფილი არ არის, მაშინის თვალი და საქონლის ფეხი ხვდებოდა". ცხენების შებმისას ეს უკანასკნელი ნაკლოვანება ისპობოდა და მემამულეც ფიქრობდა, რომ შემდეგისათვის აქ მხოლოდ ცხენები გამოეყენებია. მაინც ამ სამკალი მანქანის მაღალი მწარმოებლურობა უეჭველი იყო. „ათი-თორმეტი ძალიან მარჯვე ბიჭი უნდა, რომ ამ მაშინას ძნა შეუკრას, ისიც თუ ულო წინათვე მომზადებული აქვს. ხარით დღეში მკის შვიდ დღიურიდამ რვა დღიურამდე. ცხენით, რასაკვირველია, მეტს მომკის".

აღსანიშნავია, რომ გლეხებმა რაკი მანქანით მკის აშკარა უპირატესობანი დაინახეს „მოაწყდნენ მემამულეს ხვეწნით, არა მე მომიმკე, არა მეო. დღიურზედ (დაქირავებული) მუშები ხუთსა და ათს შაურიდამ ექვს მანეთამდე იღებდნენ მომკაში იმ არემარეში. მემამულემ სამსა და ათს შაურზედ დაუწყო მაშინით მკა და გლეხებს ძალიან გაუხარდათ. პირ-

[22] ი. ჭავჭავაძე. ნაწერების სრ. კრებული, ტ. VI, გვ. 242.

ველი — რომ ორ მანეთად ნაკლებ უმკიდა, მეორე — რომ მუშის სმა-ჭამა თითქმის ერთისამად ნაკლები უჯდებოდა, იმიტომ რომ 11 თუ 12 კაცით 1 დღეს უმკიდა 7 დღიურს, მაშინ როდესაც მაგოდენა ყანას 28 — 35 კაცამდე ხელით მომკელი მოუნდებოდა. თუ გლეხები იმდურებოდნენ რასმე, მარტო იმაზედ, რომ მეძნეურები კარგად ვერა ჰკრავენ ძნასაო... სამერმისოდ, მემამულის რჩევით, პირობა დასდეს, რომ ოღონდ მაშინით გვიმკეთო და ძნის შესაკვრელად ნაცვალგარდობას გავაჩენთ ერთმანეთშიაო". მემამულის ვარაუდით ნ ა ც ვ ა ლ გ ა რ დ ო ბ ი ს მეოხებით კიდევ უფრო გაიაფდებოდა ამ მანქანით მკა. მანქანის გამოყენებას იმ სოფლებში მაშინვე შედეგად მოყვა ქირაზე მომსვლელი მთიელი მუშების ხელფასის დაცემა: „...კრო მუშებს, იმ სოფლებში მოდებულს და მამასისხლად სამკალად ყანების ამღებს, ისე გაუხდა საქმე რომ 5 და 6 მანეთამდე ასული დღიურის მომკა 3 მანეთად ჩამოახტუნა. ბ ე ვ რ ი წ ყ ე ვ ლ ა და ქ ო ლ ვ ა შ ე მ ო უ თ ვ ა ლ ე ს ი მ წ უ რ ბ ე ლ ა კ რ ო ებ მ ა მ ა შ ი ნ ი ს მ ო მ გ ო ნ ს ა" [23].

ილია ჭავჭავაძე გადაჭრით მხარს უჭერდა სამკალი მანქანების დანერგვას მიუხედავად იმ დაბრკოლებებისა, რაც მის გამოყენებას ეღობებოდა. მანქანა ძნელად გამოსაყენებელი და ზოგან კიდევ გამოუყენებელი იყო დანაკვთულ რელიეფზე მდებარე ყანებში, ჯაგნარსა და მსხვილ ქვიან ადგილებში. მაგრამ მთავარი დაბრკოლება მაინც შეკეთების სიძნელეში იყო. მართალია ბუკეის სისტემის მანქანა „მეტად მკვიდრია... და თუ უფუჭდება რამე მაშინას, წვრილმანი რამ და ეგ წვრილმანი რომ კაცმა წინდაწინვე ოდესიდამ დაიბაროს და მზადა ჰქონდეს გატეხილის და წამხდარის გამოსაცვლელად, ადვილი საქმე არის და არც ბევრი რამ დაჯდებაო" [24].

მაინც ეს მოსაზრება უფრო ოპტიმისტური გამოდგა, ვინემ მოსალოდნელი იყო.

---

[23] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრ. კრებული, ტ. VI, გვ. 243; კურსივი ჩვენია—პ. გ.

[24] იქვე, გვ. 244.

სამკალი მანქანები ამერიკაკავკასიაში, სოფლის მეურნეობის სხვა მანქანა-იარაღებთან შედარებით ნელი ტემპით ინერგებოდა[25]. იგი სულ უმნიშვნელო რაოდენობით შემოქონდათ 1880 — 1890-იან წლებშიაც-კი და თვით 1900-იან წლებში მას მხოლოდ შეძლებულ მემამულეთა და კოლონისტთა ყანებში იყენებდნენ[26].

* * *

სათიბი მანქანა (косилка) ამერიკაკავკასიაში პირველად გაჩნდა 1863 წელს. ეს მანქანა აქ სრულიად შემთხვევით მოხვდა[27], მიუხედავად იმისა, რომ შიგა რუსეთის მსხვილ მემამულეთა მინდვრებზე იგი, ამ დროს, იშვიათად, მაგრამ მაინც მოიპოვებოდა. სათიბი მანქანა გამოსცადეს თბილისის მახლობლად, ლისის ტბის ნაპირას. მანქანაში შებმული იყო ცხენები[28].

აღსანიშნავია, რომ ამერიკაკავკასიაში სათიბი მანქანის საჭიროება უწინარეს იგრძნო სამხედრო უწყებამ, რომელსაც ცხენებისათვის საკვების უზრუნველსაყოფად ადგილზე უხდებოდა დიდძალი თივის დამზადება[29]. მაგრამ ამ უწყებამაც მხოლოდ 1863 წლის მიწურულს მიიღო მის მიერ გამოწერილი ვუდის სისტემის 2 სათიბი. 1863 წელს გაჩნდა პირველი სათიბი მანქანა ქუთაისის გუბერნიაშიც — ს. ვარციხეს, ონანოვის მამულში[30].

სათიბი მანქანის გავრცელებას ძლიერ აბრკოლებდა მისი სიძვირე (თბილისში მოტანით 250 მან. მეტი ჯდებოდა)

---

[25] ი. სულხანოვი, „სამკალი მაშინა" („სასოფლო გაზეთი", 1871 წ. № 8, გვ. 1 — 2).

[26] გ. ნახუცრიშვილი, „მაკ-კორმიკის სამკალი მანქანა" („მოსავალი", 1912 წ. № 21 — 22, გვ. 16).

[27] Н. Соробряков, „Опыт кошения сена посредством машин") ЗКОСХ. 1862 г. № 2).

[28] იხ. „გუთნის დედა", 1863 წ. № 11, გვ. 122—124,

[29] Газ. „Кавказ", 1863 г., № 27.

[30] П. Гугушвили, l. c., 481.

და მოუხეშავობა (20 ფუთზე მეტი იყო), თუმცა ზემოხსენებული ცდის შედეგთა შემჯამებლის აზრით ამ მანქანას შეეძლო 18 მთიბავის შეცვლა და, ამგვარად, დიდ ეკონომიის იძლეოდა. სათიბი მანქანის „რენტაბელური გამოყენება“ ვერც ი. მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი ს მამულში მოხერხდა.[31].

ეს მანქანა ამიერკავკასიაში იშვიათი იყო თვით პირველ მსოფლიო ომამდეც. იგი, ასე თუ ისე, ვრცელდებოდა იმ გერმანელ და რუს კოლონისტთა შორის, რომლებიც ცხოვრობდნენ შედარებით მაღლობ რაიონებში, სადაც კარგი საბალახო და სათიბი ადგილები იყო. „ადგილობრივ მკვიდრთა შორის სათიბი მანქანა იშვიათად გვხვდებაო“ — აღნიშნავდნენ 1909 წელს კავკასიელ სოფლის მეურნეთა პირველ ყრილობაზე.

ხორბლის ს ა ხ ა რ ი ს ხ ე ბ ე ლ ი (сортировка) სმკს-მ პირველად გამოიწერა ჯერ კიდევ 1850 წელს. მაგრამ ეს მანქანა, როგორც ჩანს, თავდაპირველად აქ არ გავრცელებულა. მხოლოდ რეფორმის შემდეგ და განსაკუთრებით 1890-იანი წლებიდან ფართოდ ვრცელდება ხორბლის სახარისხებელი მანქანები. ეს მანქანა აადვილებდა ყანებში სარეველა ბალახთა სიმრავლისაგან ხორბლეულში გარეული სხვადასხვა ველური, მათრობელა მარცვლის გამოყოფას, რაც, ხელით კეთების პირობებში „ფრიად გულის გამაწვრილებელი და შრომატევადი“ საქმეა. ამიტომაც „გლეხობა ხალისით ყიდულობს ბაზარზე გამოტანილ სახარისხებელ მანქანებს“. ამ დროიდანვე დიდი მოთხოვნილება გაჩნდა აგრეთვე ისეთ რთულ ხელსაწყოზე, როგორიც იყო მ ა ი ე რ ი ს ა და ჰ ა ი ლ ი ს ჭოტას ტრიერი (куклеотборник).

*

* *

მოხნული მიწის ფართობის თანაბარზომიერად დათესვისა და თვით თესლის შესაბამისი სისქის ფხვიერი მიწით

[31] Х. В е р м и ш е в, „Очерк хозяйства...“, 460—461.

დაფარვის საკითხი უძველესი დროიდანვე მიწისმომქმედთა ყურადღების ცენტრში იდგა. არის ცნობა, რომ ჯერ კიდევ ძველ ჩინეთში ჰქონდათ სპეციალურად ამისათვის კონსტრუირებული გაწყობილობა.

ევროპაში მექანიკური სათესის (сеялка) გაკეთების პირველი ცდები მიეწერება იტალიელ ჯ ო ვ ა ნ ი კ ა ვ ა ლ ი ნ ს (1500 წ.). 1663 წ. ლ ო კ ა ტ ე ლ ი მ (ესპანეთი) მიიღო პრივილეგია მის მიერ გამოგონილი სათესის მონოპოლური რეალიზაციისა. არის გადმოცემა, რომ ინგლისში მე-17 ს. დამდეგს უკვე აწარმოებდნენ მექანიკურ თესვას. ხოლო 1669 წ. გამოქვეყნებულს უ ო ლ რ ი ჯ ი ს თხზულებაში მოხსენებულია გუთანი-სათესი — მწკრივზე სათესად.

მაგრამ მ ე ქ ა ნ ი კ უ რ ი ს ა თ ე ს ი ს გავრცელება იწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1730-იან წლებში ინგლისში ჯ ე ტ რ ო ტ უ ლ მ ა დაიწყო აგიტაცია მწკრივზე თესვის უპირატესობათა შესახებ. მ წ კ რ ი ვ ზ ე თ ე ს ვ ი ს კულტურაც არ იყო ისტორიულად უჩვეულო მოვლენა. ის ცნობილი იყო უკვე ძველი აღმოსავლეთის ხალხებში, მერმე ანტიკურ რომსა, ხოლო რენესანსის ეპოქაში — ტოსკანასა და ლომბარდიაში.

ხსენებულმა ჯ. ტ უ ლ მ ა ძველებური სათესის გაუმჯობესების გზით გააკეთა მრავალსახნისიანი მწკრივზე სათესი, მას მერმეც სხვადასხვა ქვეყანაში ამ მანქანის სრულქმნილობისათვის იმუშავა მრავალმა ადამიანმა, რომელთა შორის აქ აღვნიშნავთ ჯ ე მ ს კ უ კ ს (1785). ბ ო ლ დ უ ი ნ ს (1790), ვ ი ნ ტ ე რ ს (1792), ს ა ლ მ ო ნ ს (1819), და, დასასრულ, გ ა რ ე ტ ი ს (1830-იანი წწ.), რომლის სისტემის სათესმა უკვე ამიერკავკასიაშიაც მოაღწია.

ცხადია, სათესთა გაუმჯობესება შემდეგშიაც შეუჩერებლივ წარმოებდა[32]. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ დროიდან სათესის გაუმჯობესების მთავარი ცენტრი უკვე ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები გახდა. ეს მანქანა მე-19

[32] Д е б у, „Сельскохозяйственное машиностроение", 1930 г., М.

საუკ. მეორე ნახევრიდან საერთოდ ფართოდ გავრცელდა მისი უდაო უპირატესობათა და გამოყენების სიმარტივის მეოხებით[33].

ამიერკავკასიაში პირველი სათესი გაჩნდა 1862 წელს, როდესაც ვარციხის მეურნეობამ (ანანოვის ფერმამ, ქუთაისის მაზრა) მ-ილო უცხოეთიდან გამოწერილი გ ა რ რ ე ტ ი ს მანქანა. ამავე 1862 წელს პირველად აქ დაიწყეს მ წ კ რ ი ვ ზ ე თ ე ს ვ ა — სიმინდისა და სორგოსი. „მწკრივზე თესვამ ფრიად გააადვილა სარეველა ბალახების მოთოხნა“, რისთვისაც უცხოეთიდანვე იყო მიღებული ტერნერის სისტემის ც ხ ე ნ ი ს თ ო ხ ი (конная мотыга) და ჰოჰენჰაიმური მიწის შემომყრელი (окучник)[34].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ცხენის თოხი გამოიგონა ჯერ კიდევ ჯ. ტ უ ლ მ ა 1730-იან წლებში, მაგრამ იგი ნამდვილ მანქანად იქცა გ ა რ რ ე ტ ი ს მიერ 1840 წ. შეტანილ გაუმჯობესებათა შემდეგ[35]. ინგლისში 1840-იანი წლებიდან, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1860-იანი წლებიდან მწკრივზე თესვა უკვე ფართოდ იყო გავრცელებული, რაც, რასაკვირველია, ხელს უწყობდა როგორც ამ კულტურის, ისე შესაბამისი იარაღების გაუმჯობესებასა და, მაშასადამე, გავრცელებას სხვა ქვეყნებში.

მაგრამ მიუხედავად იმთავითვე აღნიშნული ხელსაყრელობისა მწკრივზე თესვა, სათესი და სათოხნი (კულტივატორი) მანქანები ძნელად ინერგებოდა ამიერკავკასიაში. 1890-იანი და განსაკუთრებით 1900-იანი წლებიდან-კი უკვე შესამჩნევი ხდება დას. საქართველოში სიმინდის მწკრივზე თესვის გავრცელება. ამავე დროიდან აღმ. ამიერკავკასიის მებამბეობის რაიონებში, განსაკუთრებით ერევნის გუბერ-

---

[33] იხ. ი. ლ ო მ ო უ რ ი, „მწკრივად მთესველი მანქანა და მისი მნიშვნელობა“, 1924, თბ.

[34] П. Г у г у ш в и л и, l. c., 480—481.

[35] И. К у л и ш е р, „Изобретение с. х. машин в Англии и Соед. Штатах“ („Архив истории науки и техники“, 1933 г., I).

ნიაში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება ბამბის მწკრივზე თესვა და მწკრივთა შორის ნიადაგის დასამუშავებელი კულტივატორებიც (конные пололнयययययय

Gin-ები აქ გავრცელდა ქუთაისისა და ერევნის გუბერნიებში. მაგრამ ძველებური ჩიხრიხი მაინც დიდხანს ბატონობდა მებამბეობის რაიონებში. 1870-იანი წლებიდან-კი ამერიკული მანქანა უფრო გავრცელდა ერევნის გუბერნიაში[38].

ამ მანქანის დანერგვას ხელს უწყობდა სმკს, რომლის სპეციალური კომისია, მაგალითად, 1884 წელს ერევნის გუბერნიაში უცხოური გუთნების დემონსტრაციასთან ერთად საჯაროდ უჩვენებდა აგრეთვე Cotton-Gin-ის და ტიქსონის სალეწი მანქანის მუშაობასაც[39].

მიუხედავად იმისა, რომ 1890 — 1900-იან წლებში ამიერკავკასიის მებამბეობის რაიონებში შესამჩნევად მოიპოვებოდა უკვე გაუმჯობესებული კონსტრუქციის ჯინები, საერთოდ ეს მანქანა მაინც არ იშოვებოდა საჭირო რაოდენობით, რის მეოხებითაც ჯინის პატრონი შემსყიდველები თავიანთს დამოკიდებულებაში აქცევდნენ ბამბის წვრილ მწარმოებლებს. ხოლო მებამბეობა-კი ამიერკავკასიაში უპირატესად წვრილ მიწათმოქმედთა საქმიანობას წარმოადგენდა[40].

---

[38] ЗКОСХ, 1862 г. № 1—2, стр. 22—23.

[39] ЦАУГ, ГИА, ф. 25, д. № 13/377, л. л. 1—46.

[40] პ. გუგუშვილი. „კაპიტალიზმის წარმოშობა...", გვ. 116—117.

V. ახალი კონსტრუქციის იარაღთა დანერგვის პიროგებები

1. უცხოური იარაღი და ტრადიცია

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი, გაუმჯობესებული კონსტრუქციის გუთნების დანერგვასა და გავრცელებას, სხვათა შორის, ხელს უშლიდა ჩვეულება, ტრადიცია, რომელიც ემპირიულად იყო განმტკიცებული ძველი სახვნელი იარაღების სრულქმნილობისა და უპირატესობათა შესახებ[1].

ბარონ ა. ნ ი კ ო ლ ა ი მ (ალ. ჭავჭავაძის სიძემ) ჯერ კიდევ ბატონყმობის პირობებში 1850-იან წწ. თბილისის მაზრაში (ს. ლოჭინოს) მოაწყო კაპიტალისტური ფერმა, მთლიანად დამყარებული დაქირავებული შრომის ექსპლოატაციაზე. ამგვარად, ა. ნიკოლაი. ცხადია, დაინტერესებული იყო მეურნეობაში გაუმჯობესებული იარაღ-მანქანების გამოყენებით. მაგრამ ამ მხრივ იგი წააწყდა წინააღმდეგობას განმტკიცებული რუტინის სახით.

ა. ნ ი კ ო ლ ა ი წერს: „გლეხი მიეჩვია ერთსდაიმავე საშუშაოს. იგი ხალისით ხნავს მიწას თავისი მამაპაპური გუთნით, ფარცხავს თავისი წარღვნამდელი ფარცხით, მკის პურს თავისი ნამგლით. ლეწავს მას თავისი პირველყოფილი ქვებ-

[1] ჩვენ აქ არ ვიკვლევთ ამიერკავკასიურ მიწათმოქმედებაში ტექნიკური პროგრესის ისეთ დამაბრკოლებელ მიზეზებს, როგორიცაა, მაგალითად, მიწების გაუმიჯვნელობა, წვრილი მიწათმფლობელობა, ცარიზმის სატარიფო და საბაჟო პოლიტიკა, ერობათა შემოუღებლობა, მიწის ნაადგის შეუსწავლელობა და სხვ. იხ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება“, მონოგრაფიები, ტ. II, გვ. 520 — 578, 639 და შემდ.

ჩარჭობილი კევრით, ეზიდება შეშას, თივას თუ პურს თავისი უხეში, მძიმე ურმით... მაგრამ ტყუილა ნუ გაიფიქრებ, რომ აიძულო იგი მოახვნევინო სხვა გუთნით, თუნდაც მას ნაცვლად 8 ანუ 9 უღელი ხარისა სჭირდებოდეს მხოლოდ 4 უღელი, ფარცხოს რკინის ფარცხით, ზიდოს ფურგონით ან ორბორბალათი: „ჩემი მამა-პაპა აგრე აკეთებდნენ და მეც იმგვარად უნდა ვაკეთოო“ — გიპასუხებთ იგი. ვერავითარი შთაგონებით ვერ შესძლებთ შეარყიოთ მასში წინაპართადმი ეს პატივისცემა“[2].

გაუმჯობესებულ იარაღ-მანქანათა შემოღება-გავრცელების ეს დამაბრკოლებელი მიზეზები, რა თქმა უნდა, მით უფრო ურყევ კედლებად იდგა, რომ ჯერ კიდევ არ იყო გაუქმებული ბატონყმობა და სოფლის მეურნეობის უშუალო მწარმოებელთა ძირითადი მასა თავისუფალი თაოსნობისა და ინდივიდუალური ინიციატივის გამოჩენის შეუძლებლობასთან ერთად მოკლებული იყო აუცილებელ მატერიალურ საშუალებასაც, რათა ეზრუნა მეურნეობის გაუმჯობესებისათვის.

მაგრამ ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც გაუმჯობესებული სახვნელი იარაღ-მანქანები ძალიან ძნელად ინერგებოდა ამიერკავკასიაში, მიუხედავად იმ დიდი ინტერესისა, რასაც მოსახლეობა უდაოდ იჩენდა ამ სიახლეთა მიმართ.

1883 — 1885 წწ. ევროპული გუთნების გამოცდამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ადგილობრივ პუბლიცისტიკაში. ნ. ურბნელი (ხიზანიშვილი) ეხება რა ამ საკითხს უწინარეს აღნიშნავს: „თამამად შეიძლება ითქვას, რომ აწინდელი აგრონომიული მოძრაობა... მთლად კერძო პირების სამეურნეო საზოგადოებათა საქმეაო“[3]. მაგრამ ყურადღებას იპყრობს თვით სათაურიც მისი ფელეტონისა: „ეკონომია

---

[2] П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения“, 1938, I, 452.

[3] ნ. ურბნელი, „ეკონომია თუ აგრონომია?“ („დროება“, 1883 წ. № 248).

თუ აგრონომია?“ — სადაც ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „როგორც რუსეთში, ისე ჩვენში ჯერ საჭიროა საკმაო მიწა და მერე ამ მიწის ახალის იარაღებით და ცოდნით შემუშავება და ეს იმიტომ, რომ აწინდელი აგრონომიული განვითარებაც საკმარისია, თუ კი საჭირო მიწა-მამული ექნებოდა“ მიწის მუშასო[4].

„ჯერ-ოდ ჩვენ გლეხკაცობაზე ეს ითქმის, — განაგრძობს ნ. ხიზანიშვილი—რომ გლეხი გულგრილად უცქერის სამეურნეო საზოგადოების მოქმედებას: ახალი გუთნების, სხვადასხვა იარაღების შემოღებას და სხვ. იგი კარგად ხედავს, რომ ჯერ საჭიროა საკმაო მიწა-მამული და მერმე იქნება საჭირო გენეს ანუ რანსომის გუთანი“. საილუსტრაციოდ ნ. ურბნელი გადმოგვცემს შედეგს მისივე თანდასწრებით სოფ. ტირძნისში ჩატარებულ გენეს დემონსტრაციისა. რასაც ადგილი ჰქონია ი. სულხანიშვილის მამულში. „იგი ცხინვალის მაზრაში ერთადერთი მებატონეა, რომელიც ცდილობს ევროპიულად განაწყოს სასოფლო მეურნეობა. მისი ფერმა საუკეთესო ფერმად ითვლება და კიდეც აგრონომი-სტუდენტები მოდიან აქ პრაქტიკული მუშაობისათვის“. და სწორედ ამ ფერმაშიც მრავლად დაესწრენ გლეხები გუთნების გასინჯვას და „გლეხკაცობის მხრივ გულგრილობა ცხადი იყო, მათი სიმპატია მამაპაპურს გუთანს ეკუთვნოდა და ეს მარტო იმიტომ კი არა რომ ჩვენი გუთანი ბევრად კარგია“[5].

როგორც ვხედავთ ევროპული გუთნებისადმი გლეხკაცობის უარყოფით დამოკიდებულებას აშკარად თანაუგრძნობს თვით ნ. ურბნელი და თანაუგრძნობს სწორედ იმ მხრივაც, რომ „ჩვენი გუთანი ბევრად კარგია“ უცხოურ იარაღებთან შედარებითო.

შაგრამ პუბლიცისტები ამ შეხედულებას იმეორებენ 1880-იანი წლების მიწურულშიაც. ვ. გარეჯელი 1888 წელს აღნიშნავდა რა საგარეჯოში უცხოური გუთნების გაჩენის

---

[4] ნ. ურბნელი, „ეკონომია თუ აგრონომია?“ („დროება“, 1883 წ. № 248).

[5] იქვე.

ფაქტს წერდა: „ჩემდა სამწუხაროდ მათ სასარგებლოდ ბევრს ვერას ვიტყვი... არ ცერთს უცხოურს გუთანს, რომ ლებიც კი ჩვენში მუშაობენ, უპირატესობა არ მიეცემათ სასაცილოდ აგდებულ ქართულ გუთანთანა, ვერც ერთი გუთანი ვერ აკეთებს ისეთ ბარაქიან ნახნავს, ვერა ჰშლის და ვერა ჰკლავს ისე ბელტს, როგორც ქართული გუთანი. მართალია, უცხოურ გუთნებს ძალა ნაკლები უნდათ, მაგრამ მასთანავე ნაკლებსაცა ჰხნავენ. ვერც ერთი უცხოური გუთანით, რომლებიც ახლა არიან ჩვენში ხმარებაში, ვერ გაეჯიბრებით კარგად გამართულ ქართულ გუთანს... მგონია, უანგარიშო უნდა იყოს კაცმა უცხოური გუთანი იყიდოს ხუთ-ექვს თუმნად, როდესაც ქართული — თუმანი ან თუმანნახევარი ღირს. ქართული გუთნის ბარ-საკვეთს მთელ ალოზედ ერთი დაპირვა ან გამოწკეპა თუ დასჭირდება, თორემ მეტი ხარჯი არა აქვს-რა, მაგრამ უცხოურს-კი წვრილ-წვრილად ბევრი ხარჯი უნდება. სახნისსაც და საკვეთელსაც უფრო მალ-მალ უნდება დაპირვა ანუ გამოწკეპა; გარდა ამისა — ეს ვინტი დაიკარგა ანუ გატყდაო, ეს გასალები დაიკარგაო, ეს რამე რკინა გამრუდდა და იმ დღეს გუთანი სცდება, რადგან მჭედელთან მირბიან გასაკეთებლად, და თუ თუჯის ასო რამე გაუტყდა, მაშინ ხომ სულაც გადასაგდები ხდება“[6].

მიუხედავად ყოველივე ამისა გ. გარეჯელი მაინც იძულებულია ევროპული სისტემის გუთნების ზოგიერთი უპირატესობა აღიაროს:

„უცხოურ გუთანსაც აქვს თავის გვარად უპირატესობა. რადგან ყოველი ნაწილი სუფთად და შეწყობილი ზომითა აქვს გამოყვანილი, ამიტომ გუთანი შეღავათს აძლევს საქონელს, ადვილად გაჰზდევს, ღირღიტი უკეთესი და უფრო გამყოლი აქვს, სახნის-საკვეთი უფრო მჭრელი; ყველა უცხოურ გუთანს ფრთა ზევიდან გადმოხრილი აქვს, რომ აყენებულ ბელტს ზევიდან გადაჰკრას, მალე გადააბრუნოს და შორს გატანა ალარ

[6] გაზ. „მეურნე“, 1888 წ. № 11, გვ. 6—7.

დასჭირდეს; ამას გარდა ხვნის დროს ფეხზედა სდგას და რაკი გუთნის-დედა აუკიდებს, იშვიათად-ღა დასჭირდება მიშველება. ქართული გუთანი კი წამოწოლილია და ამისათვის გუთნის-დედას — დაშორებით (გაცილებით) მეტს ძალას აძლევს (ახარჯვინებს). ამის შემდეგ მე იმ აზრისა ვარ, რომ თუ ქართული გუთანი შემუშავდა, ე. ი. მცოდნე ხელოსნებმა აკეთეს და არა ყველამ, როგორც ეხლაა, — კარგი ღირღიტა გაუკეთეს, მჭრელი ბარ-საკვეთი და რიგზედ მოყვანილი ფრთა, მაშინ უცხოურს გუთანს ალარაფერი უპირატესობა არ ექნება, მით უფრო, რომ გამართულობაც უბრალო აქვს ქართულ გუთანს და იაფადაც ჯდება"[7].

ამგვარად, საბოლოოდ ჩვენი ავტორი მაინც ქართული გუთნისაკენ იხრება. იგი აღნიშნავს ქართულის წინაშე უცხოური გუთნების რიგ უპირატესობას. მაგრამ ამ მხრივაც ისევ ქართულ გუთანში ცვლილება-გაუმჯობესებათა შეტანით უნდა იქნას დეფექტები გამოსწორებულიო. გ. გ ა ტ ე ჯ ე ლ ი ს მოსაზრებები მაინც წარმოადგენს ქართული გუთნის პოზიციის ერთგვარ დათმობას, რამაც 1890-იანი წლებიდან ასე აშკარად და 1900-იანი წლებიდან კიდევ საყოველთაოდ იჩინა თავი.

არაადგილობრივი დამკვირვებელი და, ისიც 1890-იან წლებში, აღნიშნავს, რომ ევროპული გუთნების ფართოდ გავრცელებას აქ ხშირად ხელს უშლის „ძველებურისადმი მტკიცე მიდრეკილება და ახალი უფრო გაუმჯობესებული იარაღის გამოყენების უცოდინარობა და სიძნელეო"[8].

---

[7] გაზ. „მეურნე", 1888 წ. № 11, გვ. 6—7.

[8] Р. О д ы н е ц, „Применение машин и усовершенств. земледельческих орудий в хозяйствах с посевами кукурузы...", 1895, Тифлис, 15.

2. ბატონყმურ ურთიერთობათა გადანაშთები

კაპიტალიზმის ასე თუ ისე განვითარებამდე მიწათმოქმედების ტექნიკური ჩამორჩენილობა არც თუ იმდენად საგრძნობი იყო და ეს საკითხიც ნაკლებად იპყრობდა თაოსნიან ადამიანთა ყურადღებას. არქაული ან თითქმის პრიმიტიული კავი ცივილიზაციის მთელი ისტორიის მანძილზე ფრიად უმნიშვნელო ცვლილებებით გადადიოდა თაობიდან თაობაში.

სოფლის მეურნეობის ტექნიკის ისტორიის ერთი განთქმული სპეციალისტის სიტყვით „ქეოპსის უკვდავი პირამიდები უფრო ნაკლებ მყარი მოსჩანს, ვინემ საცოდავი, ხისგან გამოჭრილი კავი, რომელიც ახლაც ისე ჩიჩქნის მიწას ნილოსის ჭალებში, როგორაც ათასი წლების წინათ“. თითქმის ყველა ძველი ხალხი მიწის სახვნელი იარაღის გამოგონებას ღმერთებს მიაწერდა და ამდენადვე წინათაობათაგან მიღებული მისი კონსტრუქციაც გაქვავებული უნდა ყოფილიყო[9]. ყოველ შემთხვევაში შუა საუკუნეებს ანტიკური ეპოქის მიღწევებთან შედარებით ამ მხრივ დიდად მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ მოუციათ[10].

მხოლოდ მე-17 საუკუნიდან დაიწყო ახალი სისტემის გუთნების შექმნა. პირველ ნაბიჯს სდგამენ ბელგიასა (ბრაბანტული გუთანი) და ჰოლანდიაში (როტერდამული გუთანი). ამ იარაღთა შემდგომი გაუმჯობესების სახით მე-18 საუკუნეში ახალი კონსტრუქციის სახვნელი იარაღები ჩნდება ინგლისში, სადაც უკვე 1763 წელს იხსნება რკინის გუთნის მწარმოებელი პირველი ქარხანა.

არსებითად ამავე დროიდან იწყება გუთნის საკითხებზე თეორიული კვლევა-ძიებანი და ადამიანის გამომგონებლო-

---

[9] პ. გუგუშვილი, „ტექნიკის მარქსისტული ისტორია“, 1933, ტფ., გვ. 117 — 118.

[10] პ. გუგუშვილი, „სახალხო მეურნეობის წარმოშობა და განვითარება“, 1934 წ., ტფ., ტომი II, ნაწ. I, 283 — 315.

ბითი უნარი, მეტნაკლები ინტენსივობით, შეუჩერებლად მუშაობს ამ მიმართულებით[11].

1811 წელს გუთნის გამწევად პირველად იქნა გამოყენებული ორთქლის ძალა. ამავე ხანებში ჩნდება ფოულერის გუთანი. შემდგომი განვითარების ეტაპები აღინიშნა ავტოგუთნისა და ბოლოს ტრაქტორის გაჩენით.

მე-18 — 19 საუკუნეებში მთელი სოფლის მეურნეობის წარმატებები უშუალოდაა დაკავშირებული გუთნის ისტორიასთან[12]. გუთნის საოპერაციო (მუშა) ნაწილებში მომხდარ ცვლილებას აუცილებლობით უნდა გამოეწვია ცვლილება ნიადაგის დამუშავების ტექნიკაში საერთოდ, რამაც, თავის მხრივ, უკუქცევითი გავლენა იქონია სახნისით დაპირობებული სოფლის მეურნეობის იარაღთა მთელ სისტემაზეც.

რკინისა და შემდეგ ფოლადის სახნისმა, რამაც თავისი „დასრულებული" ფორმა ჰპოვა საკის[13] და სხვ. კონსტრუქციებში, სახნისთა სისტემამ და მასში შეტანილმა შემდგომმა გაუმჯობესებებმა იმდენად გააადვილა გუთნის მუშა ნაწილების მართვა, რომ მალე ცოცხალი გამწევი ძალის (შესაბამელის) შეცვლა არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ აუცილებელიც შეიქნა. ამ დროიდან გუთანი უკვე ნამდვილ მანქანად უნდა გადაქცეულიყო.

მიწათმოქმედებაში ახალშემონაღებთა შორის ყოველთვის მთავარია თვით ხვნის ტექნიკაში მომხდარი გაუმჯობესება. სოფლის მეურნეობაში ტექნიკური პროგრესის პირველი რეალური საწყისები თავს იჩენენ ხოლმე მიწის ნიადაგის დამუშავებაში, რაც, როგორც წესი, ყოველთვის გამოიხატება დაძველებული თუ მოძველებული სახვნელის უფრო სრულქმნილი იარაღ-მანქანით შეცვლაში.

---

[11] Акад. В. Горячкин. „Собр. сочинений", 1940 г. М.

[12] ბ. გუგუშვილი, „კარლ მარქსი გამომგონებლობის შესახებ", 1934, ტფ.

[13] Р. Сакк, „Орудия и машины для обработки почвы", 1893, Лейпциг.

ახალი, გაუმჯობესებული იარაღ-მანქანის წარმოებაში შეჭრას არსებული ბუნებრივ-ისტორიული პირობების საფუძველზე, საბოლოო ანგარიშით, ყოველთვის განსაზღვრავს შრომის მოცემული იარაღის ეკონომიკური ეფექტურობა. ეს თვალსაზრისი მოითხოვს შესწავლას მომენტებისას, რომელთაგან ერთნი, როგორც დაბრკოლებანი უნდა გადალახოს მანქანამ თავისი ეკონომიკური სარფიანობით და მეორენი, როგორც ფერმენტები არღვევენ რა წარმოების ძველ წესებს, ხელს უწყობენ მეურნეობაში ახალ ტექნიკურ საშუალებათა დანერგვას.

ბატონყმობის გაუქმებამდე ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში გაუმჯობესებული იარაღ-მანქანების შემოღებასა და გავრცელებას ხელს უშლიდა ფეოდალური ურთიერთობანი და მისი შესაბამისი მეურნეობის ნატურალური ხასიათი. როგორც თვით რუსეთში ისე აქაც, მემამულეები, რომელთაც მოინდომეს ერთბაშად, — ვარდამავალი პერიოდის ერთის დაკვრით გადახტომით, — გადასულიყვნენ კაპიტალისტურ ფერმერობაზე, უმრავლეს შემთხვევაში მარცხდებიან[14]. მაინც, ევროპული ტიპის გაუმჯობესებული გუთნების შემოსვლა უშუალოდ დაკავშირებულია ბურჟუაზიულ მეწარმეობასთან.

მეურნეობრივად დაწინაურებულ ორიოდე მსხვილ მემამულეთაგან, ბატონყმობის გაუქმებამდეც რომ ცდილობდნენ ამიერკავკასიაში საკვაჭრო მიწათმოქმედებაზე გადასვლას, მოსახსენებელია ივ. მუხრან-ბატონი (თბილისის მაზრ.), ფორერი (ელისავეტპოლის მ.), ს. ანდრონიკაშვილი (სიღნაღის მ.), ბარონ ნიკოლაი (თბილისის მ.), ი. სულხანიშვილი (ცხინვალის მ.), ანანოვი (ქუთაისის მ.)[15] და სხვ., რომელთაც ყოველმხრივ აქეზებდა და ეხმარებოდა ადმინისტრაცია. ამათგან ზოგიერთის, მაგალითად, ნიკოლაისა და ანანოვის მეურნეობას არსებულ ვითარებაში წარმოშობითგანვე კაპიტალისტური ხასიათი უნდა მიეღო, რამდენადაც,

---

[14] შეადარე ვ. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 209—210.

[15] П. Гугушвили. l. c., I, 458—484.

ადგილობრივ თავად-აზნაურულ მემამულეთაგან განსხვავებით, მათ არა ჰყავდათ ყმები და, მაშასადამე, ემყარებოდნენ დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას.

მაგრამ, რამდენადაც ასეთი მეურნეობანი შედარებით მცირენი იყვნენ, მაგალითისათვის, ჩვენ, როგორც მთელი ამიერკავკასიისათვის ტიპიურს, ავიღებთ ფეოდალური მემამულის ი. მუხრან-ბატონის მეურნეობას, რომელსაც ძირითადად თვით პატრონი ხელმძღვანელობდა და რომელიც, ადრიდგანვე გადავიდა რა ბურჟუაზიული მეწარმეობის (საკაპრო მიწათმოქმედების) რელსებზე, იძულებული იყო, მეტი თუ ნაკლები ზომით, მიემართა დაქირავებული შრომის ექსპლოატაციისათვის და, ამდენადვე, შემოეღო გაუმჯობესებული იარაღ-მანქანები[16].

ივ. მუხრან-ბატონის მრავალდარგიან მეურნეობაში (35.000 დესეტინამდე მამულში: მარცვლეულის წარმოება, მევენახეობა-მეღვინეობა, მეჯოგეობა-მეძროხეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, მეფრინველეობა და სხვ.) ერთმანეთში იხლართებიან და იბრძვიან ბატონყმური და კაპიტალისტური სისტემები.

1884 წ. მონაცემების მიხედვით მდგომარეობა ასეთი იყო[17]. მემამულე იყენებდა ორგვარ მუშაძალას: 1. შრომავალდებული გლეხებისა (მაგ., „დროებითვალდებულნი". ხიზნები და სხვ.), რომელნიც იჯარით აღებული მიწისათვის, გარდა ღალის და კულუხისა, ვალდებულნი იყვნენ საკუთარი ინვენტარით ემუშავათ მემამულის მიწაზე და 2. თავისუფალი — ადგილობრივი და აგრეთვე მთებიდან, დას. საქართველოდან. სომხეთიდან, ირანიდან — ხელფასზე (საშოვარზე) გამსვლელი გლეხებისა.

პირველი იყო პირდაპირი გადანაშთი ბატონყმური მეურნეობისა და სახელდობრ შრომამიგების სისტემას წარმო-

---

[16] იხ. გაზ. „გუთნის დედა", 1862 წ. № 2.

[17] Х. Вермишев, „Очерк хозяйства ген.—лейт. кн. П. К Багратиона-Мухранского", 1885, Тифлис.

ადგენდა, ხოლო კაპიტალისტურ სისტემას კი წარმოადგენდნენ დღიურად, თვიურად თუ წლიურად თავისუფლად დაქირავებული მუშები, რომლებიც მემამულის მანქანა-იარაღებით მუშაობდნენ[18].

საერთოდ მეურნეობაში შრომავალდებულ გლეხთა მუშაძალა ფრიად დიდ როლს ასრულებდა და წარმოების იმ ასპარეზზე, სადაც ამგვარი „მუქთა“ შრომით იყო უზრუნველყოფილი, მემამულე არ გრძნობდა, ანდა ნაკლებად გრძნობდა გაუმჯობესებული იარაღების შემოღების საჭიროებას; ხოლო რამდენადაც მიწის მოხვნის მხრივ, იგი ნაკლებად იყო უზრუნველყოფილი „მუქთი“ შრომით, იძულებული შეიქნა „ძლიერ ადრე მიემართა დაქირავებული მუშაძალისათვის“, ამასთანავე, რადგან თავისუფლად დასაქირავებელი მუშახელი ნაკლებად იყო. საჭირო შეიქნა ისეთი იარაღის შემოღება, რომელიც „შეცვლიდა მუშაძალას“; მეურნეობაში ჩნდება ინგლისური გუთანი. იგი ჯერ კიდევ ნაკლებად იყო აქ ცნობილი, ამიტომ თანდათანობით ხდებოდა ქართული გუთნების ინგლისურით შეცვლა.

ამ ორ იარაღს შორის პირველობისათვის გამართულ ბრძოლაში „ინგლისურმა გუთანმა მოიპოვა აშკარა გამარჯვება“. მაგრამ ეს გამარჯვება განხორციელდა მხოლოდ „იმ სფეროში, სადაც მოქმედებდა დაქირავებული შრომა“ [19]. ქ. ვერმიშევის გამოანგარიშებით, შესაბმელისა და მუშათა დაქირავების პირობებში, ინგლისური გუთნით ხვნა 35 — 40 პროცენტით იაფი ჯდებოდა, ვინემ ქართული გუთნით. ოღონდ ინგლისური იარაღი წინასწარ თხოულობდა ერთდროულად დიდ დაბანდებას (75 მან. ღირდა!). სამაგიეროდ 52 დღის მუშაობით იგი მაქსიმალურად ფარავდა ამ დაბანდებას. რაც შეეხება მიმდინარე რემონტის ხარჯებს, ამ ჭრრივ ქართულს არავითარი უპირატესობა არ ჰქონდა ინგლისურთან შედარებით. ამგვარად, „რაკი მეპატრონეს დაქირავებული

---

[18] შეად. ვ. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 215 — 220.

[19] Х. Вормишев, l. c.., 450 – 452.

შრომის გამოყენება მოუხდა მას სხვა გზა არ დარჩენია, თუ არა საკუთებით მიეტოვებია ქართული გუთანი".

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მემამულეს საშუალება ჰქონდა ესარგებლა შრომავალდებულ გლეხთა შუშაძალით და, ამ მხრივ, მას არჩევანი უნდა მოეხდინა; ერთი მხრივ, ინგლისური გუთანსა და დაქირავებულ შრომას და, მეორე მხრივ, ქართულ გუთანსა და „მუქთ" შრომას შორის. გასაგებია, საკითხს ეკონომიკური სარფიანობა გადასჭრიდა. ნამდვილად მამულში, რომლის პატრონისათვის კარგად იყო ცნობილი ინგლისური გუთნის უპირატესობანი „მუქთი შრომით იხვნება იმდენი ხივრცე რამდენიც კი შესაძლებელია (მთელი ფართობის 42,6%). ყველა დანარჩენი — ეთმობა დაქირავებულ შრომას"[20], ე. ი. ინგლისური გუთნით მხოლოდ დანარჩენი მიწა იხვნებოდა.

ამგვარად, „მუქთი", ე. წ. მოიჯარე გლეხთა შრომის ექსპლოატაციის შესაძლებლობა ქართულ გუთანს ეკონომიკურად უპირატესობას ანიჭებდა. რამდენადაც მემამულე მიწის იჯარით მიცემის საფუძველზე შრომავალდებულ გლეხებს მხოლოდ საკვებს აძლევდა და, ამგვარად, მათ მიერ მიწის მოხვნისათვის მეტი არაფერი ეხარჯებოდა — ქართული გუთნით მოხვნა მას 3—4-ჯერ უფრო იაფი უჯდებოდა, ვინემ ინგლისურით[21]. როგორც ვხედავთ შრომავალდებულ გლეხთა ექსპლოატაცია. ე. ი. შრომამიგების სისტემა. როგორც ბატონყმობის გადანაშთი, აფერხებდა გაუმჯობესებული გუთნის შემოღებას და საერთოდ ტექნიკურ პროგრესს[22].

---

[20] Х. Вермишев, l. c. გვ. 453.

[21] იქვე, 454.

[22] შეადარე ვ. ლენინი, თხზ. ტ. 3, გვ. 254—255.

*
* *

ახლა გავეცნოთ სხვა მანქანების გამოყენების პირობებს. ი. მუხრან-ბატონი თავის მამულებში ევროპული და საერთოდ გაუმჯობესებული იარაღებისა და მანქანების გამოყენების ცდებს ჯერ კიდევ 1860-იანი წლებიდანვე აწარმოებდა და მისი მრავალდარგოვანი მეურნეობის თითქმის ყველა დარგში ეს გეზი გრძელდებოდა შემდგომ ათეულ წლებშიაც.

როგორც დავინახეთ თავისუფლად დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია ხელს უწყობდა მიწათმოქმედებაში მანქანების შემოღებას. კერძოდ თიბვის სამუშაოებში ი. მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ს შეეძლო უპირატესად მოსული; დღიურად დაქირავებული, მუშების ჩატმა. დღიურ და სეზონურ სამუშაოებზე ამ რაიონში მოდიოდნენ ოსები, ირანელები, აისორნი, მთიულეთისა და, დას. საქართველოს გლეხები. უკანასკნელნი უფრო ბაღ-ენნახებში მუშაობდნენ. თიბვისა და მკის, საერთოდ მოსავლის აღების სამუშაოებს ეტანებოდნენ კერძოდ ირანელები და მთიელები. სეზონურად დასაქირავებელ მუშათა ეს კონტინგენტი აქ არ შეცვლილა თვით პირველ მსოფლიო ომამდე.

რამდენადაც თიბვაში უპირატესად დაქირავებული მუშები უნდა გამოეყენებია „ამ გარემოებამ აიძულა მეპატრონე ფწინარეს ამ დარგში მოეხდინა ხელით მუშაობის ნაცვლად მანქანური მუშაობის შემოღების ცდები“[23] და იმ დროს როდესაც სხვა დარგში, სადაც შრომავალდებულ მოიჯარე გლეხთა საჭირო რაოდენობით გამოყვანა შეეძლო, მანქანების შემოღება ნაკლებად ესარფებოდა — კიდევ მეტი — საზარალოდაც მიაჩნდა და მხოლოდ ნაწილობრივ იყენებდა ან სრულებით ხელს იღებდა მათზე. თიბვაში კი მანქანის — ოსბორნის სათიბის — გამოყენება შეუწყვეტლივ წარმოებდა.

ამასთანავე სათიბი მანქანის გამოყენებას ახასიათებდა ყველა ის უხერხულობა რაც საერთოდ მიწათმოქმედების სხვა მანქანებს. სახელდობრ, ამ მანქანას ხშირად უტყდებო-

[23] გაზ. „გუთნის დედა“, 1863 წ. № 11, გვ. 128 — 133.

და ნაწილები, რის გამოც რემონტისათვის ის მინდვრიდან უნდა წაეღოთ მემამულის კარმიდამოში, 8—9 ვერსის მანძილზე. ქ. ვ ე რ მ ი შ ე ვ ი ამ მანქანის წარმოებაში დანერგვის ხელშემშლელ მომენტთა შორის აღნიშნავს იმასაც, რომ „მუშებს მანქანური შრომისადმი არა აქვთ სიყვარული"[24]. მაგრამ, ცხადია, ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება იქნებოდა ის, რომ სათიბი მანქანისათვის გამწევ ძალად საჭირო იყო ცხენები, მაშინ, როდესაც, როგორც მამულში, ისე ადგილობრივად საერთოდ, ამ მხრივ, გაბატონებული იყო ხარი და კამეჩი. ამგვარად, რაკი ცხენები მხოლოდ სათიბი მანქანის შესაბმელად უნდა გამოეყენებიათ, ცხადია, ამ შესაბმელის შენახვა მთლიანად ამ მანქანის ხარჯებს აწვებოდა და ამდენადვე მის მუშაობასაც აძვირებდა.

მ კ ა ში მონაწილეობდნენ, როგორც დაქირავებული, აგრეთვე შ რ ო მ ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი გ ლ ე ხ ე ბ ი. 1884 წელს პურის დიდი ნაწილი აღებულ იქნა უკანასკნელთ. მიერ ნამგლით. ნამუშევრის რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილი ეჭირა მ ე ნ ა რ დ ე მ უ შ ე ბ ს, რომლებიც აგრეთვე ნამგლებით მუშაობდნენ. ბოლოს, ყველაზე ნაკლები აღება ცელებით დ ღ ი უ რ მ ა მუშებმა.

1 დეს. პურის მენარდეთაგან ნამგლით მკა თითქმის ორჯერ მეტი ჯდებოდა, ვინემ დღიურ მუშათა მიერ ცელით აღება; ხოლო შრომავალდებულ გლეხთაგან იმავე სამუშაოს შესრულება აშკარად უფრო მეტი ჯდებოდა, ვინემ ნამგლითვე მომუშავე მენარდეთაგან, რომ არა ვსთქვათ რა ივის შესახებ, რომ მენარდენი თითქმის ორჯერ უფრო მალე (სწრაფად) ასრულებდნენ სამუშაოს. სწორედ შრომის ინტენსივობის ეს მხარე, ე. ი. ნელა მუშაობა, იწვევდა მოიჯარე გლეხთა მუშაობის გაძვირებას, რამდენადაც მემამულეს მათთვის ორი დღის განმავლობაში საკვები უნდა მიეცა იმდენი მუშაობის შესრულებისათვის, რამდენსაც იმავე იარაღით მომუშავე მენარდენი ერთ დღეში ასწრებდნენ.

---

[24] Х. Вермишев, l. c., 452.

ამასთანავე „მუქთი მუშები მკიან არა ისე სუფთად და ძნებსაც უარესად ჰკრავენ“, ე. ი. სამუშაოსაც დაბალხარისხოვნად ასრულებდნენ. რადგან, ცხადია, „რომ მუშა, რომელიც არავითარ გასამრჯელოს არ ღებულობს, და რომელმაც მშვენიერად იცის, რომ მისი შრომის წარმატებასა და წარუმატებლობას მისთვის ერთგვარი მნიშვნელობა აქვს, სხვარიგად არც შეუძლია უყურებდეს თავის სამუშაოს“.

ერთი სიტყვით, შრომავალდებული გლეხი არაა დაინტერესებული როგორსა და რამდენს გააკეთებს. მან მხოლოდ ის იცის, რომ ვალდებულია, მის მიერ იჯარით აღებული მიწისათვის, გარკვეული რაოდენობის დღეთა განმავლობაში იმუშაოს მემამულისათვის და მით უფრო გულგრილადაა და უკმაყოფილოდ მუშაობს, თუ ამავე დროს საკუთარი ყანა უფუქდება ან სხვა რაიმე ოჯახური დუხჭირი აწუხებს.

მაგრამ, თუ პურის აღებაში მენარდე მუშათა და საერთოდ თავისუფლად დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია უფრო სარფიანი იყო, ვინემ შრომავალდებულთა მუშაობა, მაშინ რატომ იყენებდა მემამულე ამ უკანასკნელს?

ახსნა იმაში უნდა ვეძიოთ, რომ თავისუფლად დასაქირავებული შრომის მიწოდება ნაკლები უნდა ყოფილიყო, ვინემ მოთხოვნა, რის გამოც 1884 წ. ი. მუხრან-ბატონის პურის ყანებიდან მხოლოდ 42 დესეტინა (ე. ი. 25 პროც.) იქნა აღებული მენარდეთაგან. ჯერ კიდევ 1860-იანი წლების დასაწყისში, ბატონყმობის გაუქმებამდე, თავისუფალი მუშახელის სიმცირემ და ყმათა შრომის ექსპლოატაციის არარენტაბელობამ აიძულა ეს მემამულე მიემართა მანქანებისათვის[25] და უკანასკნელის დანერგვის გაადვილების მიზნით უცხოეთიდან (საფრანგეთიდან) მოიყვანა აგრონომიც-კი[26].

მაგრამ სამკალმა მანქანამ „ვერ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები, რის გამოც გამოუყენებელი გდია“. თვით ი. მუხრან-ბატონის განმარტებით ამის გამომწვევი მიზეზია:

---

[25] „გუთნის დედა“, 1862 წ. № 1.

[26] П. Гугушвили, l. c., 471—473.

1. „მთელი პურის სწრაფად და ერთდროული აღების აუცილებლობა“, რაც მიიღწევა მკაში მუშათა დიდი რაოდენობის ჩაბმით. ხოლო სამკალი მანქანით ამავე შედეგის მისაღწევად, საჭირო იქნებოდა ფრიად მრავალი მანქანის შეძენა, რაც, რასაკვირველია, გაადიდებდა მანქანა-დღის ღირებულებას, ე. ი. შეამცირებდა მთელი წლის განმავლობაში თვითეული სამკალით შესრულებული სამუშაოს რაოდენობას“. ხოლო პურის ჩქარა აღების ეს აუცილებლობა გამომდინარეობს მისი ერთდროული დამწიფებისა და დაგვიანების შემთხვევაში მარცვლის ჩაცვენის მიზეზებისაგან; 2. სარწყავი რუები ანელებენ სამკალი მანქანის მოძრაობას და იწვევენ მის ხშირ გაფუჭებას[27].

მაგრამ მემამულის მოტივები უსაფუძვლოა. ქერის აღება 2 — 3 კვირით ადრე იწყება ვინემ ხორბლისა. ხოლო საერთოდ პურის აღება გრძელდებოდა არა 1 — 2, არამედ 20 — 25 დღე. ასე, რომ 2 — 3 სამკალი მანქანა სავსებით საკმარისი იქნებოდა 200 დესეტინაზე პურის ასაღებად, თუკი მემამულეს ორი ცვლისათვის შესაბმელი ცხენები ეყოლებოდა. არც სარწყავი რუები წარმოადგენდნენ არსებით დაბრკოლებას, რაც საკმაოდ ნათელჰყო შემდგომმა გამოცდილებამ.

მთავარი მიზეზი, თუ რატომ „ვერ გაამართლა სამკალმა მანქანამ მასზე დამყარებული იმედები“, სულ სხვა იყო. ქ. ვერმიშევის მიერ ამ მეურნეობის აღწერილობაში დაცულ ცნობათაგან ჩანს, რომ მემამულეს 160 დეს. პურის ასაღებად მუშახელზე ეხარჯებოდა 1056 მან., ხოლო ორი სამკალი მანქანით ამავე სამუშაოს შესრულება მას დაუჯდებოდა 352 მან., რაც უკვე იმდენ ეკონომიას წარმოადგენს, რომ 1 წელსაცკი დაფარავდა ორივე სამკალი მანქანის ღირებულებას. ეს ეკონომია-კი სავსებით საკმარისი იყო აეძულებია ი. მუხრანბატონი, რათა მას უპირატესობა მიეცა მანქანისათვის. მაგრამ მაგარი ის იყო, რომ ხსენებულ 1056 მანეთს მემამულე ხარ-

[27] ТКОСХ, 1885 г., № 6—7.

ჯავდაარა ფულით, არამედ უმეტესწილად, ალბათ არანაკლებ სამი მეოთხედისა, ნატურით.

მემამულეს „თითქმის არაფერი უღირდა“ ის პროდუქტები, რითაც იგი ხელფასს იხდიდა და „არ უღირდა“ იმიტომ, რომ ამ პროდუქტთა უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა, უკეთ ვსთქვათ ნაკლებად წარმოადგენდა საქონელს (ფულს). ამგვარად, მანქანის წარმოებაში შეჭრის დამაბრკოლებელ მიზეზად გვევლინება აგრეთვე ნატურალურ-ურთიერთობანი; უფრო ზუსტად, საქონლური წარმოების განუვითარებლობა სოფლის მეურნეობაში.

*
* *

მემამულეს შრომავალდებულ გლეხთაგან კევრით პურის ლეწვა ორჯერ იაფი უჯდებოდა, ვინემ დაქირავებული შრომით სარგებლობისას. მაგრამ კევრის ნაცვლად თუ სალეწ მანქანას გამოიყენებდა მაშინ, — ამ მანქანის სხვისაგან დაქირავების შემთხვევაშიაც-კი—პურის ლეწვა ორ-სამ-ჯერ იაფი დაჯდებოდა[28]. მაინც სალეწზე ისე, როგორც მიწათმოქმედების სხვა მანქანებზე გადასვლას, გარდა ამ მანქანათა რემონტის სიძნელისა და სხვ. აბრკოლებდა საერთოდ თავისუფალი მუშახელისა და კერძოდ კვალიფიციური მუშების ნაკლებობაც.

მაგრამ რეფორმის შემდეგ სოფლის მეურნეობაში ახალი კონსტრუქციის-იარაღებისა და მანქანების გავრცელების ყველაზე მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი მაინც იყო ბატონყმობის ძლიერი გადანაშთები. სახელდობრ, წვრილმოიჯარე შრომავალდებულ გლეხთა ექსპლოატაციის შესაძლებლობა.

ვ. ლენინი „განსაკუთრებით საინტერესო“ ფორმას უწოდებს მიწის იჯარის ისეთ სახეს, როდესაც წვრილი მოიჯარე გლეხი მემამულეს იჯარის ქირას ნაწილობრივ უხდის შრო-

[28] Х. Вермишев, „Очерк хозяйства...“, 470.

მით, — შრომამიგების ფორმა. მემამულე მიწის მცირეოდენ ნაჭრებს იმისათვის აძლევს ამ გლეხებს, რომ მათი მუშაძალით უზრუნველყოს თავისი მეურნეობა[29].

ქ. ვერმიშევი აცხადებს, რომ ი. მუხრან-ბატონისათვის „მეურნეობის აუცილებელი მუშაძალით უზრუნველყოფის მთავარ საშუალებას წარმოადგენს სხვადასხვა სახმარი მიწის გლეხობის სარგებლობაში გადაცემა გარკვეულ ნამუშაოთა შესრულების პირობით“[30], ე. ი. შრომამიგების საფუძველზე.

მაგრამ ი. მუხრან-ბატონის მეურნეობა ამ მხრივ, რასაკვირველია, გამონაკლისს არ შეადგენდა. საერთოდ „ამიერკავკასიის სოფელი, არსებითად რომ ვსთქვათ, არ იცნობს მემამულე-კულტურტრეგერებს, რაციონალური მემამულური მეურნეობა მას არსად და არასოდეს არ უნახავს... ჩვენ არ გვეგულება ამიერკავკასიაში 10 — 20 მემამულე, რომელიც 200 და მით უმეტეს 500 დესეტინაზე თვითონ მუშაობდეს (ე. ი. უშუალოდ ხელმძღვანელობდეს მეურნეობას — პ. გ.), ისე რომ მის ნაწილაკებს იჯარით არ აძლევდესო“, აცხადებდა 1909 წელს ე. კ ა ნ ჩ ე რ ი. — ადგილობრივი სოფლის მეურნეობის ტექნიკის საკითხების ოფიციალური სპეციალისტი, — კავკასიელ სოფლის მეურნეთა პირველ ყრილობაზე[31].

რა თქმა უნდა, მიწათმოქმედებაში გაუმჯობესებული იარაღ-მანქანების შემოღების ინტერესს კიდევ უფრო ნაკლებად იჩენდნენ იმ კატეგორიის მემამულეები, რომლებიც სავსებით ან თითქმის სავსებით მოწყვეტილნი იყვნენ თავიანთი მამულების უშუალო ხელმძღვანელობისაგან და იქ მხოლოდ სააგარაკოდ ან მოურავისაგან ფულების მისაღებად ჩადიოდნენ. მიწათმოქმედების ტექნიკის გაუმჯობესება ეკონომიკურად არ შეესაბამებოდა მათს ინტერესებს, რამდენადაც მიწის საერთო სიძვირისა და სივიწროვის მეოხებით, წვრილ მოიჯარე გლეხთა ურთიერთშორის კონკურენციის პირობებში,

---

[29] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 3, გვ. 217.

[30] Х. В е р м и ш е в, l. c., 471.

[31] ТИКССХ, 149.

საკვებით უზრუნველყოფილნი იყვნენ მაღალი, ხშირად კიდევ ფრიად მაღალი საიჯარო ქირით.

დაკაბალებული წვრილი მოიჯარე მიწას საკუთარი იარაღით ამუშავებდა, ხოლო მემამულე მოსავლის ნახევარს და ზოგან კიდევ მეტსაც ეპატრონებოდა. ასეთს ვითარებაში მემამულეს არ შეიძლება ჰქონდეს სტიმული მეურნეობის სათავეში ჩადგომისა. „ასეთი მეურნეობა მისთვის ნაკლებად ხელსაყრელი იქნებოდა გაუმჯობესებული იარაღების გამოყენების პირობებშიაც-კი“[32].

მართალია, მემამულური მეურნეობა, ასე თუ ისე, მსხვილ სოფლისმეურნეობრივ საწარმოს წარმოადგენდა, მაგრამ, ამერკავკასიაში, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, მან ვერ შესძლო დაქირავებულ შრომასა და მიწათმოქმედების გაუმჯობესებულ იარაღ-მანქანებზე დამყარებულ კაპიტალისტურ ეკონომიად გადაქცევა.

სწორედ ამის მეოხებით მ ს ხ ვ ი ლ ი მ ე მ ა მ უ ლ უ რ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ა, რამდენადაც იგი „ადვილად გადიოდა“ მოიჯარე გლეხთა შრომის ექსპლოატაციით და, მაშასადამე, შრომამიგების სისტემის ორბიტში მოძრაობდა, დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი ი ყ ო ფ წ ვ რ ი ლ გ ლ ე ხ უ რ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ტ ე ქ ნ ი კ უ რ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ზ ე. ხოლო მაღალი საიჯარო ქირა და, ამ სახით, მამულის შემოსავლიანობის უზრუნველყოფილი პირობები მემამულეში, ცხადია, არ აღძრავდა ტექნიკურ გაუმჯობესებათა და საერთოდ სიახლეთა შემოღების მიდრეკილებას[33].

---

[32] КСХ, 1905 г. № 78. стр. 164.

[33] ამ უკანასკნელ საკითხზე იხ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება“, II, გვ. 654—656, 695—708.

3. მიმწოდებელ-გამსაღებელი ძალები

გაუმჯობესებულ სახვნელ იარაღთა გავრცელებაში გარკვეულ გარდატეხას ახდენენ რკინიგზები, რომელთაც ხელი შეუწყეს არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა სულ უფრო დიდი ზომით საქონლად გადაქცევას, არამედ გააადვილეს და გააიაფეს რუსეთიდან და ევროპიდან გაუმჯობესებული სახვნელი იარაღების შემოტანა.

სტატისტიკური მონაცემის საფუძველზე მტკიცდება, რომ რკინიგზების ახლობელ რაიონებში ბევრად უფრო ფართოდ იყო გავრცელებული სხვადასხვაგვარი გაუმჯობესებული სისტემის გუთნები, ვინემ შორეულ რაიონებში.

მაგალითად, ელისავეტპოლის გუბერნიაში 1897 წ. „რკინიგზებს მოშორებულ მაზრებში გაუმჯობესებული გუთნები საკმაოდ არ იპოვებოდა"[34]. სახელდობრ, სულ აღრიცხული 567 რკინის გუთნიდან იყო: ელისავეტპოლის მაზრაში — 271, ჯევანშირის მ. — 215, არეშის მ. — 67, ყაზახის მ. — 7. შუშის მ. — 3, ხოლო ჯებრაილის მაზრაში მხოლოდ — 1.

ათი წლის შემდეგ ამავე გუბერნიის ოფიციალურ მიმოხილვაში ნათქვამია: „გაუმჯობესებული იარაღები თითქმის მთლიანად თავმოყრილია სარკინიგზო მიმოსვლის ფარგლებში, სადაც მოსახლეობა რამდენადმე ამაღლებულია კულტურულად. ამასთანავე მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში ემჩნევა სიყვარული და მისწრაფება რკინის გუთნებისადმი"[35].

ელისავეტპოლის გუბერნიის სტატისტიკური კომიტეტის ცნობით მთელ გუბერნიაში 1908 წელს ითვლებოდა 4.744 გაუმჯობესებული გუთანი; ხოლო აქედან მის ცალკე მაზრებზე მოდიოდა: ელისავეტპოლისა — 1.782, ყაზახისა — 1.115. შუშისა — 685, ჯევანშირისა — 404, არეშისა — 328, ზანგეზურისა — 276; კარიაგისა — 60[36].

---

[34] ТМКСХП, LII, 138

[35] ТПКССХ, 146.

[36] „Памятная книжка Елисаветпольской губ. на 1910 г.". 1911; КХ, 1911, № 6, стр. 10—11.

ზემოდმოყვანილ ცნობათა შედარებით უდავოდ დასტურდება მიწათმოქმედების გაუმჯობესებულ იარაღების გავრცელებაზე რკინიგზის დადებითი გავლენა, თუმცა, ამ მხრივ, ცხადია, მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე, ადგილობრივ ბუნებრივ პირობათა შესაბამისად, საკაჭრო მიწათმოქმედების წარმოქმნა-განვითარების თანამდევი წარმოების ტექნიკურ პირობებში ძვრათა მომასწავებელი მოვლენები.

ანალოგიურ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი, მაგალითად, ერევნის გუბერნიაშიაც[37], სადაც „პიონერებად იყვნენ, რასაკვირველია, რუსი კოლონისტები, რომლებიც ქალაქთან ხშირი კავშირის მეოხებით, უფრო დგანან ყიდვა-გაყიდვის საფუძველზე და სცილდებიან ნატურალურ მეურნეობას. ამათს მაგალითს მიბაძეს სომეხ მიწის მუშებმა და მიუხედავად სხვადასხვა დაბრკოლებისა ეს გუთნები სულ უფროდაუფრო ვრცელდება... უმთავრესად ნაკლები შესაბამელის საჭიროების მეოხებით. უკანასკნელი გარემოების ძალა იმდენად დიდია, რომ მას ვერ აბრკოლებს ვერც გამოყენების უცოდინარობა, ვერც შეკეთების სიძნელე, ვერც ძველი გუთნის საზარალოდ გაყიდვის სიმძიმე... ვერც აუცილებლობა ახალი, უფრო ძვირი, რკინის გუთნის ნაღდ ფულზე ყიდვისა“[38].

ერევნის მაზრაში და საერთოდ ერევნის გუბერნიაში სოფლის მეურნეობის იარაღ-მანქანათა შეტანის ზრდას დიდათ შეუწყო ხელი 1906 წლიდან გახსნილმა ულუხანლუ-ჯულფის რკინიგზამ, რამაც დაარღვია ამ რაიონის „მკვდრული უძრაობა“ და გზის მიზიდულობის მთელ სოფლებში შესაძლებელი გახადა მანქანების შეღწევა[39].

სამაზრო და საარაიონო პუნქტებიდან, სადაც 900-იანი წლებიდან რამდენადმე მნიშვნელოვანი ზომით ვრცელდებო-

---

[37] „Район Тифлисско-Карсско-Эриванской железной дороги“, (РТКЭЖД), 1896, Тифлис, 641—642.

[38] С. Заваров, „Опыт исследования сельск. хоз. хлебородного района Эриванской губ...“, 1899 г. Тифлис, 191.

[39] ТПКССХ, 141—142.

და მიწათმოქმედების შემოტანილი გაუმჯობესებული იარაღები აღსანიშნავია, მაგალითად, სენაკის, ბაბომის, ლანჩხუთის, სამტრედიის, ქუთაისის, შორაპნის, ყვირილის (ზესტაფონის), ჭიათურის, რიონის, მუხიანის, სვირის, ბორჯომის, ხაშურის, გორის, თბილისის, ელისავეტპოლის, აქსტაფის, ევლახის, უჯარის, ქიურდამირის, აჯიკაბულის, კარაკლისის, ალექსანდროპოლის, ეჩმიაძინის, არეშის, ჯევანშირის, ჯევათის, ლენქორანის, გეოქჩაის, ნახჭევანისა და სხვ., — რომელთა უმრავლესობა ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურებს და საერთოდ რკინიგზის ქსელში ჩაბმულ პუნქტებს წარმოადგენდნენ[40].

რკინიგზებმა გააადვილეს რა უცხოური გუთნების შემოტანა მითვე ხელი შეუწყვეს ამ იარაღების მივწოდებელ-გამსაღებელი ქსელის შექმნასა და გაფართოებას. მართალია, სპეციალური მაღაზია ან საწყობი კიდევ არ იყო, მაგრამ 1882 წლიდან თბილისში აუფერმანის საწყობი ვაჭრობდა როგორც საერთოდ სოფლის მეურნეობის იარაღებით, ისე კერძოდ, ევროპული სისტემის გუთნებითაც[41]. შემდეგ 1885 წ. ასეთივე საწყობები გახსნეს ექსელბირტმა და პივოვაროვმა (იარსებეს 1895 წლამდე), 1889 წ. — კრაუზემ (დაიხურა 1897 წ.), 1899 წ. — უტცმა 1903 წ. — შტეკელმა (დაიხურა 1905 წ.). 1909 წ. — კესერმა.

ანალოგიური საწყობები 1890 წლიდან გაჩნდა ქ. ბაქოშიაც, სადაც აღსანიშნავია კერძოდ ფირმები: გუსტავ ლისტ, ძმ. სტეპუნ და პაპენმაიერ. ესენი მსგავსად აუფერმანისა „არსებითად უფრო ზოგადტექნიკური ფირმები იყვნენ, რომლებიც ასაღებდნენ არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის იარაღებს, არამედ სხვა საგნებსაც"[42].

1900-იანი წლებიდან უფრო წვრილი საწყობები არსებობ-

---

[40] КХ, 1910, № 2, стр. 4—5.

[41] КСХ, 1894, № 21, стр. 367; № 49, стр. 7—8; — 1895, № 59, стр. 1036—1038.

[42] ТПКССХ, 135—136.

და ბათუმში (კესერის განყოფილება), ახალ-ბაიაზეთსა და ხილნაღში; ხოლო გადამყიდველები იყვნენ ქუთაისში, ალექსანდროპოლს (გუმბრს), ერევანს, ახალციხეს, ზაქათალას, თელავს, ნუხას, შუშას და სხვ. ქუთაისში კიდევ საწყობი ჰქონდა ფ ე ი ქ რ ი შ ვ ი ლ ს, რომელმაც 1900 წელს, მას შემდეგ რაც გაეცნო რუსეთის საუკეთესო ქარხნებს, იმოგზაურა ამერიკაში, სადაც სპეციალურად გაეცნო სოფლის მეურნეობის იარაღთა მწარმოებელ ქარხნებს, და შეიძინა ამ იარაღთა მდიდარი კოლექცია; მის საწყობთან იყო სახელოსნოც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სმკს-ს მიერ 1897 წ. თბილისში გახსნილი სოფლის მეურნეობის იარაღ-მანქანათა სპეციალური საწყობი[43], რომელსაც 1900-იანი წლების მიწურულს ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეში უკვე ჰქონდა ორ ათეულზე მეტი ფილიალური განყოფილება. ამ საწყობში, მართალია, თავდაპირველად მხოლოდ მევენახეობა-მეღვინეობის იარაღ-მანქანები იყიდებოდა, მაგრამ 1899 წლიდან იგი სისტემატურად ეწეოდა აგრეთვე ევროპული გუთნების რეალიზაციას[44].

1900-იანი წლებიდან უკვე შესამჩნევი ხდება ევროპული გუთნებით ს პ ე კ უ ლ ა ც ი ა; სმკს-ს კორესპონდენტები თითქმის ყოველი მხრიდან იტყობინებიან რა ამ გუთნების არანორმალურად მაღალი ფასების შესახებ, თანაც აღნიშნავენ, რომ ვაჭრები „გლეხებს აწოდებენ დაძველებულ, დაჟანგულ და ცუდი ხარისხის იარაღებს, რაც გლეხებს უკარგავს ნდობას და, ამგვარად, აბრკოლებს მათში მისწრაფებას გაუმჯობესებული იარაღების შემოღებისაკენო“[45].

მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა ერევნის გუბერნიის სამმართველოს უფროსის ა. ა რ დ ა ს ე ნ ო ვ ი ს ცნობით (1912 წ.) აუფერმანის საწყობისაგან მიწოდებული

---

[43] გრ. გ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი, „სამეურნეო იარაღთა საწყობის დაარსებისათვის“ („მეურნე“, 1895 წ. № 28).

[44] И. Н о с е л н и а н и, l. c., 56—57.

[45] ТПКССХ, 146, 152.

მიწათმოქმედების იარაღ-მანქანები სომხეთში გლეხობას 35 — 40 და ხშირად 50 პროცენტით მეტი უჯდებოდა, ვინემ ნამდვილად ღირდა ეს მანქანები"[46].

ბაქოს გუბერნიის ერობის აგრონომის ცნობით სოფლად მანქანების გავრცელებას დიდად აბრკოლებდა „სიძვირე იმ მომსახურებისა", რასაც კერძო ვაჭრები ამ მხრივ უწევდნენ მოსახლეობას[47].

ზოგან გუთანს კრედიტში 2 წლის ვადით აძლევდნენ, თუ მყიდველი წინასწარ ფასის 1/3 — 1/2-ს ნაღდად გადაიხდიდა. ვალის დაფარვა ხშირად ნატურითაც ხდებოდა. მაგრამ ამ ცდებს დადებითი შედეგი არ მოჰყოლია; თანაც ვაჭრები ასეთს შემთხვევაში ძლიერ მალალ ფასს ნიშნავდნენ და წვრილი მწარმოებელი არსებითად მევახშის კაბალაში ვარდებოდა[48].

აღსანიშნავია აგრეთვე ცდები სოფლის მეურნეობის იარაღ-მანქანათა შეძენის მიზნით ამხანაგობათა მოწყობისა. იყო რამდენიმე შემთხვევაც, როდესაც ერთი სოფლის გლეხებმა საერთოდ შეიძინეს მიწათმოქმედების მანქანები, მაგრამ ამგვარ წამოწყებებს ამ მანქანათა გავრცელების თვალსაზრისით რამდენადმე რეალური შედეგები არ მოყოლია[49], ისევე როგორც ცდებს ამავე მიზნით იარაღ-მანქანათა გამქირავებელი სპეციალური საწყობების მოწყობისა[50].

---

[46] „Доклады губернских и областных земских агрономов Закавказья" (ДГЗА), 1913, Тифлис, стр. 311—312.

[47] იქვე, გვ. 155.

[48] Ю Земмель, l. c., 170.

[49] ვ. გულბაათიშვილი, „სამეურნეო მაშინების საერთოდ შეძენა" („მოსავალი", 1910 წ. № 21—22, გვ. 5).

[50] ვ. გულბაათიშვილი, „სამეურნეო იარაღ-მაშინების საწყობის საჭიროება ჩვენში" („მოსავალი", 1912 წ. № 17 — 18, გვ. 7); „მეურნე", 1895 წ., № 28.

*
* *

იარაღ-მანქანების ი მ პ ო რ ტ ს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად აბრკოლებდა მაღალი ბაჟი, რაც რუსეთის იმპერიის საზღვრებზე და, მაშასადამე, ამიერკავკასიაზედაც ვრცელდებოდა. 1890 წელს რუსეთში დაიწყო მოძრაობა სოფლის მეურნეობის იარაღ-მანქანებზე საბაჟო ტარიფის დაკლებისათვის. იმავე წელს სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა მ. კ უ ჩ ა ე ვ მ ა ამ საკითხის შესახებ მოსაზრებები წარუდგინა რუსეთის თავისუფალ ეკონომიკურ საზოგადოებას.

მ. კუჩაევი წერდა, რომ „საზღვარგარეთიდან ჩვენში შემოსატანი სოფლის მეურნეობის იარაღ-მანქანების სრულიად განთავისუფლება საბაჟო საფასურის ყოველგვარი გადასახდელისაგან იქნებოდა სახელმწიფო ღონისძიება, რამდენადაც სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობა ამ მხარეში სრულიად არ არსებობს და არც საფუძველია, რომ უახლოეს ხანებში მისი წარმოშობა ვივარაუდოთ“[51]. მაგრამ ეს შუამდგომლობა უშედეგოდ იქნა დატოვებული. შემოსაზიდ იარაღ-მანქანებზე მაღალი ტარიფი მთელს იმპერიაზე ვრცელდებოდა[52].

როგორც ცნობილია, ბაჟის პოლიტიკა იმპერიის ფინანსური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო, რასაც თვითმპყრობელობა გარკვეული მიმართულებით იყენებდა კერძოდ განაპირა ქვეყნებში.

ამას, რა თქმა უნდა, კარგად გრძნობდა ადგილობრივი მოსახლეობა. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ 1905 წლის რევოლუციის პერიოდში კრებებსა და მიტინგებზე თავშეყრილი მოსახლეობა და არა მხოლოდ გლეხობა, თვით მემამულეებიც მოითხოვდნენ, რათა მთავრობას „შემოზიდვის საბაჟო საფასურ-

---

[51] Н. И о с е л и а н и, l. c., 57—58.

[52] Л. Л и т о ш е н к о, Таможенное обложение в России сельскохозяйственных машин и орудий“, 1910 г. Харьков.

თაგან გაეთავისუფლებია ვაზის შესაწამლავი საშუალებანი — გოგირდი, შაბიამანი და აგრეთვე სოფლის მეურნეობის იარაღები"[53].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 ს. 90-იანი წლებიდან და განსაკუთრებით მე-20 ს. დამდეგიდან რუსეთის იმპერიის ცენტრალურ გუბერნიებში საკმაო სისწრაფით ვითარდება მიწათმოქმედების მანქანათმშენებლობა, რაც როგორც შიგა რუსეთში, ისე ამიერკავკასიაშიაც სულ უფრო მნიშვნელოვნად ავიწროებდა უცხოური მანქანების შემოტანას.

თუ 1890-იან წლებამდე ამიერკავკასიაში გაუმჯობესებული გუთნები უპირატესად დას. ევროპიდან შემოჰქონდათ, ამ დროიდან და განსაკუთრებით 1900-იანი წლებიდან სწრაფად იზრდება მათი შემოტანა რუსეთიდან. 1908 წელს შემოტანილ სახვნელ იარაღთა თითქმის 70 პროცენტი უკვე რუსული წარმოებისაა[54]

ერთ-ერთი მიზეზი, რაც ხელს უშლიდა შემოტანილი ქარხნული გუთნების გავრცელებას, იყო ადგილობრივი ნიადაგის თვისებებთან მათი შეუხაბებლობა. გაუმჯობესებული სახვნელის დანერგვისათვის წარმოებულმა ცდებმა ბუნებრივად დაბადა ნიადაგის წესწავლის საჭიროება. ამ მიზნით 1890-იან წლებში კავკასიის სტატისტიკურმა კომიტეტმა აქ მოიწვია ცნობილი რუსი მეცნიერი პროფ. ვ. დოკუჩაევი, რომელმაც საწყისი დაუდო ამიერკავკასიის ნიადაგმცოდნეობას[55].

ამავე დროს ზოგიერთმა უცხოურმა ფირმამ, მაგ., ეკერტმა, სპეციალისტები მოავლინეს აქ, რათა თავიანთი საექსპორტო გუთნის კონსტრუქცია შეეხამებინათ ადგილობრივი ნიადაგის თავისებურებათათვის. ასეთი ცდების დადებითი შე-

---

[53] П. Гугушвили, „Сельское хозяйство...", IV, 785.

[54] ბ. გუგუშვილი, „კაპიტალიზმის წარმოშობა..." 97 — 98.

[55] ვრცლად იხ. აქვე, გვ. 334 — 362.

დეგი იყო სწორედ მიზეზი იმისა, რომ უცხოურ გუთანთა-გან აქ 1900-იან წლებში ძლიერ იყო გავრცელებული ეკერტის ფირმის საქონელი [56]. შემდეგი ადგილი დაახლოებით იმავე კონ-სტრუქციის ფლეტერის გუთანს ეჭირა, ხოლო რუსული წარ-მოების იარაღთაგან 1909 წ. ცნობით უფრო ვრცელდებოდა „გენეს“ და „აკსაი“-ს ქარხნების გუთნები.

4. შინამრეწველური რემონტი და წარმოება*

ჯერ კიდევ 1850 წ. უცხოური კონსტრუქციის გუთნების გამომცდელმა კომისიამ, ალიარა რა ადგილობრივ პირობებში უცხოურებთან შედარებით ქართული გუთნის ზოგიერთი უპი-რატესობანი, საჭიროდ მიიჩნია პრემიის დანიშვნა იმისთვის, ვინც გააუმჯობესებდა ამ გუთანს ისე, რომ „შესაძლებელი ყოფილიყო იმგვარადვე ღრმად ხვნა, როგორც ახლა, მაგრამ ნაკლები გამწევი ძალით“ [57].

შემდეგ, 1859 წ. სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგა-დოების ვიცე-პრეზიდენტმა გრ. ორბელიანმა „ინება ყურადღება მიექცია მიწათმოქმედების ადგილობრივი იარა-ღებისა და განსაკუთრებით ქართული გუთნისათვის“, რაც მუ-შაობის ნაკლოვანებასთან ერთად ძლიერ ქანცავს როგორც პირუტყვს, ისე ადამიანს, და საჭიროდ მიიჩნია მისი გაუმჯობე-სება. ამის შესაბამისად სმკს-მ გამოაცხადა კონკურსი, რათა „მიწათმოქმედების ქართული იარაღების ნაკლოვანებათა აღ-წერასთან ერთად წარმოდგენილი ყოფილიყო საშუალებები, მისი გაუმჯობესებისა“ [58]. მაგრამ ამ კონკურსმა და შემდეგში

---

* ზოგიერთ სპეციალურ საკითხში კონსულტაციისათვის მადლობას ვუცხადებ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ს. ს. ჩოჩიას.

[56] E. Канчор, „Вгоз и распространение с. х. машин...“ 170.

[57] II. Поселяни, I., с, დამატება გვ. 8 – 9.

[58] ЗКОСХ, 1860 г. № 1—2, стр. 13—14.

წარმოებულმა რამდენიმე ცდამაც[59] არსებითად უშედეგოდ ჩაიარა.

ამავე დროს ქართული გუთნის გაუმჯობესების იდეა რეფორმის მერმეც დიდხანს იპყრობდა სათანადო წრეების ყურადღებას, რამდენადაც მათი აზრით „კავკასიის თავისებური ეკონომიკური და ბუნებრივ-ისტორიული პირობები მოითხოვდა სოფლის მეურნეობის განსაკუთრებულ მანქანა-იარაღებს".

1909 წ. ე. კ ა ნ ჩ ე რ ი აღნიშნავდა, რომ სპეციალისტთაგან 1850-იან წლებში მიღებული ეს დასკვნა „არ შერყეულა შემდეგშიაც, და ახლა, სოფლის მეურნეობის მთელ რიგ მანქანათა გამოცდის შემდეგაც ჩვენ კვლავ ძველ ვარცლთან აღმოვჩნდით და მზად ვართ ვაღიაროთ ყველა უპირატესობანი ადგილობრივი პირველყოფილი გუთნისაო"[60].

რა თქმა უნდა, გაუმჯობესებული იარაღ-მანქანათა სრული უპირატესობის საყოველთაო გამოაშკარავება შეიძლებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც უშველელ მწარმოებელთა ძირითად მასებს შეეძლებოდათ ფართო მასშტაბით გამოეყენებიათ ეს იარაღები. მაგრამ ამის შესაძლებლობას არსებული ვითარება არ იძლეოდა.

სხვა იარაღების მიმართ ადგილობრივ წარმოებულ ცდებს შორის[61] აღსანიშნავია, მაგალითად, სმკს წევრის ვ. ბ ი ხ ო ლ დ ტ ი ს მიერ 1850-იან წლებში წარდგენილი „ბზისათვის განსაკუთრებული მოწყობილობა", რაც უერთდებოდა სალეწს. ეს მოწყობილობა შემდეგ გამოყენებულ იქნა მანქანათმშენებლობაში. 1868 წ. სმკს სესხი მისცა ნ. ბ ე ზ მ ე ნ ო ვ ს, „მის მიერ გამოგონილი სამკალი მანქანის გაკეთებისათვის". 1871 წ. იმავე საზოგადოებამ განიხილა მ ე ლ ი ქ-ვ ა რ თ ა ნ ო ს ო ვ ი ს მიერ კონსტრუირებული სალეწი და ბამბის საწმენდი მანქანების მოდელები. 1873 წ. სალეწის გაუმჯობესების გეგმა წარა-

---

[59] ალ. ნ ა თ ი ე ვ ი, „ქართული გუთნის განკეთილება" („ვეტერინარ-ს დედა", 1862 წ. № 20).

[60] ТПКССХ, 132.

[61] ЦАУГ, ГПА, ф. 69, 1861 г., д. № 59/373.

დგინა გენ. ნ. ივანოვმა. 1875 წ. აქვე იყო განხილული ერ. ჩოლოყაშვილის კონსტრუქციის სალეწი, რომელიც შემდეგ, 1881 წ. კვლავ იქნა წარდგენილი მაიორ ნათიშვილისა და ტატიშვილის მიერ უფრო გაუმჯობესებული და გამარტივებული სახით. თუ ჩოლოყაშვილის სალეწი მანქანა მოძრაობაში მოყავდა ცხენს, „ახლა ამ სალეწის ამუშავება შეეძლო ერთ კაცს“[62].

აღსანიშნავია, რომ 1909 წელს კავკასიელ სოფლის მეურნეთა პირველ ყრილობას, თბილისში, ორიგინალური კონსტრუქციის გუთანი წარუდგინა კ. ამირეჯიბმა, რომელმაც იგი გააკეთა საკუთარ სახელოსნოში, რათა „დაეკმაყოფილებია გორის მაზრის მიწის მომქმედთა მოთხოვნილება... თუმცა ეს გუთანი გამოდგება ყოველგვარ მძიმე ნიადაგზედაც“[63].

მაგრამ საბოლოო თვალსაზრისით სმკს და არც კერძო პირთა მოღვაწეობას ამ მხრივ რამდენიმე რეალური შედეგები არ მოყოლია. თუმცა ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებამ 1880-იანი წლებიდან საწყისი დაუდვა ამიერკავკასიაში მიწათმოქმედების იარაღ-მანქანათა შინამრეწველურ შეკეთებასა და შემდეგ წარმოებას, მაშასადამე, პირველდაწყებით ელემენტებს სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობისა.

1860-იან წლებში ცნობილი იყო „თბილისელი უბრალო ხურო“ იაკობ ხანიველაშვილი, რომელსაც, როგორც ი. სერებრიაკოვი გადმოგვცემს „სანიაველიცა და აგრეთვე რუსული ბორბლები და ჩარდახი გაუკეთებია... ამ ხუროს ადვილად ესმის არამცთუ პირადათ დარიგება მეხანიკისა, თვით სახეებს (ნახაზებს) ადვილად დაუწყო გარჩევა და ესმის მაშინის ნაწილს რა მნიშვნელობა აქვს საერთო მიმართულებაში“[64].

---

[62] И. Иоселиани, l. c., 42—43.

[63] К. Амиреджиби, „Причины неуспеха усовершенствованных плугов в Горийском у... и опыт конструирования нормального плуга“ (КХ, 1910, № 6, стр. 6—9); ТПКССХ, 1911, 163—168.

[64] „გუთნის ედა“, 1863 წ., № 11, გვ. 130.

ოსტატი, რომელსაც შეეძლო მანქანების შეკეთება, მაშინ იშვიათი იყო[65]. მაგრამ მდგომარეობა ნელნელა შეიცვალა და 1880-იანი წლებიდან მაინც სოფლებში გაჩნდნენ ოსტატები, რომლებიც ხელს ჰკიდებენ ქარხნული გუთნებისა და მიწათმოქმედების სხვა იარაღ-მანქანათა რემონტს. ერევნის გუბერნიის ახალბაიაზეთის მაზრის ბლეხობის შესახებ 1835 წ. პ ა რ ვ ი ც კ ი წერდა, რომ აქამდე სოფლელებს ეშინოდათ რკინის გუთნის შეძენისა, რადგან იმედი არ ჰქონდათ, რომ მათი მჭედლები შესძლებდნენ ამ იარაღების შეკეთებას. მაგრამ ამჟამად „მოლოკანი მჭედლები არა მხოლოდ არემონტებენ,

---

[65] ქ. მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი 1870 წ. წერდა: „выписываемые сельскохозяйственные европейские машины не могли распространиться у нас в крае, были такого рода случаи, что выписывали разного рода машины, как например, молотильные и веялные как самые необходимые; машины эти были получаемы разобранные и уложенные по частям в ящиках; но когда приходилось на месте употребить их в дело, то по неимению мастера, несмотря на печатное наставление, не могли собрать этих машин и они должны были оставаться без употребления.

Некоторые выписывали плуги Рапсмса и после первой ничтожной ломки, по неимению мастера их починить, должны были отказаться от них. Посылать для маловажной починки в Тифлис машину, или оттуда выписывать мастера — обойдется дорого и часто невозможно.

Наш крестьянин помещается или в землянке или в деревянной неоштукатуренной сакле; в обоих случаях терпит холод, сырость и все дурное влияние погоды; в этих саклях большая смертность, не только детей, но и взрослых, при самых лучших климатических условиях. Человек, имеющий такое убогое помещение с такою жалкою обстановкою как наш крестьянин, может ли думать о каком-нибудь улучшении?

Восхищаемся как немцы обделывают своими земледельческими орудиями поля и сады, но мы не имеем возможности перенять у них ни постройку домов, ни культуру земли“. (К Мамацев, „О необходимости распространения ремесленных познаний в сельском населении“. ЗКОИРТО, 1870, II, 133—138).

არამედ ამ გუთნის ფრთასაც უკეთებენ ხელსაწყოს მძიმე ნიადაგის სახნავად"[66].

1890-იანი წლებიდან უკვე დაბა-ქალაქებსა და დიდ სოფლებში გაჩდნენ ისეთი სამჭედლოები, სადაც ახერხებენ ქარხნული იარაღ-მანქანების არა მხოლოდ შეკეთებას, მათი გაფუჭებული, გატეხილი, ნაწილების გამოცვლას, არამედ, არაიშვიათად, ქარხნული ტიპის მიბაძვით, აკეთებენ თვით მარტივ იარაღ-მანქანასაც[67]. აღსანიშნავია, რომ შედარებით მარტივი იარაღების, როგორიცაა სალეწი, სანიავებელი და სხვ. შინამრეწველური და მერმე ქარხნული წარმოება საერთოდ ადრე წარმოიქმნება ხოლმე. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი, მაგალითად, რუსეთში, სადაც ეს სარეწავი გლეხური ბურჟუაზიის გამდიდრების შესამჩნევ წყაროს წარმოადგენდა[68].

კერძოდ ადგილობრივი ოსტატები ალექსანდროპოლში (ლენინაკანი) აკეთებდნენ სადღვებელსა (маслобойка) და სახარისხებელს. ერევანსა და ქუთაისში შინამრეწველურ სახელოსნოებში აკეთებდნენ სალეწებს, განჯაში (ელისავეტპოლში)—სანიავებლებს, ახალციხეში—რკინის გუთნებს და ა. შ.

რ. დანილოვიჩი, 1896 წელს შედგენილს ერევნის გუბერნიის კომერციულ გამოკვლევაში აღნიშნავს, რომ მდ. არეზის დაბლობში სანიავებელთა გავრცელებას დიდად შეუწყვეს ხელი ეჩმიაძინელმა ოსტატებმა „რომელთაც ადგილზე დაიწყეს მათი კეთება. სანიავებლის ფასი ძლიერ დაეცა და იგი ხელმისაწვდომი გახდა გლეხებისათვის"[69]. სანიავებლებს აკეთებდნენ კიდევ კურდუკულს, მოლაბაიაზეთს, იგდირს და სხვა სოფლებშიაც; ავრეთვე ერევანს, გუმბრს და სხვ.

1896 წ. ა. არღუთინსკი-დოლგორუკოვი წერდა, რომ ბორჩალოს მაზრაში ევროპული გუთნების „სწრაფ გავრ-

---

[66] МИЭБГКЗК, IV, II, 42.

[67] КСХ, 1895 г. № 59; 1904 г. № 544, стр. 509—510.

[68] ვ. ლენინი, თხზ. ტ. 3, გვ. 248—250.

[69] РТКЭЖД, 99—100.

ცელებას დიდად ხელი შეუწყო მათი რემონტისათვის აქა-იქ სახელოსნოების მოწყობამ, თორემ წინათ მცირეოდენი ნაწილის გატეხვის გამო იგი თბილისში უნდა წაეღოთ". აქ, სოფ. ვორონცოვკაში ამ დროს არსებობდა უკვე 4 შინამრეწველური სახელოსნო, სადაც გაუმჯობესებულ გუთნებს აკეთებდნენ. „ეს სახელოსნოები საკვლევით წარმატებით უწევენ მეტოქეობას იარაღთა თბილისურ საწყობებს და ახლობელი მოსახლეობაც უფრო სიამოვნებით მიდის მათთან, ვინემ თბილისში, რადგან მოლოკნების მიერ გაკეთებული გუთნები განირჩევიან განსაკუთრებული გამძლეობით და მათ აქვთ ადგილობრივ პირობებთან შემახამებელი ზოგიერთი ხელსაწყოები"[70].

1890-1900-იან წლებში ქარხნული გუთნების რემონტი უკვე ჩვეულებრივი ხელობა იყო ამიერკავკასიელ მჭედელ-ზეინკალთათვის, ხოლო ზოგი უფრო გამბედავი და გამოცდილი შინამრეწველი უკვე ასეთი გუთნების[71] გაკეთებასაც იწყებს.

ამავე დროიდან ქ. თბილისსა, ბაქოსა და ბათუმში მექანიკური ქარხნები, თუმცა სხვათაშორის, აკეთებენ ევროპულ და ამერიკულ გუთნებს, ჯინებს, სანიავებლებს და სხვ. და აგრეთვე ამავე იარაღების რკინის სამარაგო ნაწილებს. 1897 წ. ქუთაისში სოფლის მეურნეობის იარაღთა თავის საწყობთან ფ ე ი ქ რ ი შ ვ ი ლ მ ა გახსნა სახელოსნო, სადაც „ადგილობრივ ოსტატთაგან კეთდებოდა მანქანათა ხისა და რკინის ნაწილები, აგრეთვე სანიავებლები, საწნეხები, ჩალის საჭრელები, სიმინდის სათესები, მარკერები და სხვ." იარაღ-მანქანათა თუჯის ნაწილებს-კი სახელოსნო ქარხნებ-დან იწერდა[72].

ზემოთ უკვე გვაქვს აღნიშნული, თუ ითავითვე რაოდენ დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა სოფლის მეურნეობაში ახალ იარაღ-მანქანათა დანერგვისა და გავრცელებისათვის რემონტის სიძნელე და სიძვირე. მართალია, 1890-იანი წლებიდან ამ მხრივ მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული, მაგრამ

---

[70] РТКОЖ, გვ. 641.

[71] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი. „შინამრეწველობა ამიერკავკასიაში" (მსკი. 1938 თბ., III, 56).

[72] КСХ, 1904 г. стр. 490—491.

იგი თვით 1900-იანი წლების მიწურულშიაც დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა[73].

ბაქოს გუბერნიის მოსახლეობისათვის აგრონომიული დახმარების საკითხის შესახებ ქ. ბაქოში 1913 წელს მოწვეულ სპეციალურ თათბირზე ერობის აგრონომი ტ ე რ-ს თ ე ფ ა ნ ო ვ ი აღნიშნავდა, რომ მიწათმოქმედების ახალი, შემოტანილი, მანქანების გავრცელებას დიდათ უშლიდა ხელს მანქანების სამარაგო ნაწილთა სიძვირე და ხშირად სავსებით ხელმიუწვდომლობა, რის გამოც ხანდისხან ისეც ხდებოდა, რომ მოგზმარებელი იძულებული იყო „ეყიდა მეორე ისეთი ძვირად ღირებული მანქანა, როგორიც იყო სამკალი". მაგრამ ამ მხრივ ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ „გუბერნიის მოსახლეობა განსაკუთრებით მწვავედ განიცდის მანქანების რემონტის დარგში გამოცდილ და საქმის მცოდნე ოსტატთა ნაკლებობას და ჩვენ ვიცით მრავალი მეურნეობა, სადაც სწორედ ამის გამო თავს იკავებენ უფრო სრულქმნილი მანქანების შეძენისაგან" [74].

1913 წ. შინამრეწველობის კავკასიურმა კომიტეტმა მოიწვია სპეციალისტი „სოფლის მეურნეობის მანქანათა შინამრეწველური მშენებლობის საჭიროებათა გამოსაკვლევად, რათა დაესახათ ღონისძიებანი მისთვის დახმარების გასაწევად". ეს სპეციალისტი — კ. ფ ე დ ო ტ ო ვ ი — საკითხის შესწავლის საფუძველზე 1914 წ. გამოქვეყნებულ საინტერესო შრომაში, იძულებულია აღიაროს, რომ ცარიზმის ადგილობრივი ადმინისტრაცია და სმკს-ც, აგრეთვე სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მართალია, ცდილობენ დაეხმარონ სოფელს მიწათმოქმედების იარაღთა გაუმჯობესების საქმეში, მაგრამ მთელი ეს პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი დ ა ხ მ ა რ ე ბ ა ა ტ ა რ ე ბ ს წ მ ი ნ დ ა ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი უ ლ ხ ა ს ი ა თ ს დ ა ი ს ი ც უ მ ე ტ ე ს ა დ უ ვ ი ც ი მ ო ხ ე ლ ე ე ბ ი ს მ ე შ ვ ე ო ბ ი თ ხ ო რ ც ი ე ლ დ ე ბ ა, რ ი ს გ ა მ ო ც ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ მ ხ ო-

[73] Г. Арутинов, „К вопросу о ремонте и кустарн. произ. на Кавказе с. х. машин" (КСХ, 1904 г. № 544, стр. 509—511).

[74] ДРЗА, 155—158.

ლოდ არევ-დარევა და გაუგებრობა შეაქვს საქმეში.

ხელისუფლების მიერ მრავალგზის წაქეზებულ შინამრეწველთაგან გაკეთებული „გაუმჯობესებული“ კონსტრუქციის გუთნებიდან ყველაზე გავრცელებულსაც-კი, როგორიც იყო ვორონცოვკული გუთანი, მსგავსად მისი პროტოტიპისა (ქართული გუთნისა), 5—6, 6—8 წყვილი შესაბმელი სჭირდებოდა და ღირდა-კი ორჯერ მეტი, ვინემ ქართული გუთანი. ამასთანავე, გასაგებია, რომ ვორონცოვკული გუთანი დიდად ჩამოუვარდებოდა ქარხნული სისტემის იარაღებს.

დასასრულ, კ. ფედოტოვი ასკვნის, რომ „მოსახლეობამ და აგროტექნიკურმა პერსონალმა ერთნაირად არ იცის: პირველმა რა უნდა შეიძინოს, ხოლო მეორემ — რა ურჩიოს მიწათმოქმედების იარაღებიდან“[75]. ყოველივე ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ამიერკავკასიაში არ არსებობდა სოფლის მეურნეობის იარაღ-მანქანათა არცერთი საცდელი სადგური, რაც შიგარუსეთის თითქმის ყოველ საგუბერნიო ცენტრში იყო მოწყობილი; იქ ეს სადგურები მომარაგებული იყვნენ მიწათმოქმედების სხვადასხვა სისტემის იარაღ-მანქანათა მდიდარი კოლექციებით და, ამასთანავე ერთად, სისტემატურად სწავლობდნენ აგრეთვე მიწის ნიადაგის ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს და სხვ.

ხოლო თვით მიწათმოქმედების იარაღების წარმოების მხრივ ცარიზმი, რა თქმა უნდა, იმთავითვე ისეთ პოლიტიკას ატარებდა, რომ ამიერკავკასიაში, როგორც საერთოდ განაპირა ქვეყნებში, სოფლის მეურნეობის იარაღთა შინამრეწველურად კეთების საფუძველზე არ წარმოქმნილიყო ამ იარაღ-მანქანათა ქარხნული წარმოება, რაც, გასაგებია, კონკურენციას გაუწევდა მეტროპოლიის მრეწველობას. ამ მხრივ შინამრეწველობისათვის „გარკვეული მიმართულების დასახვა“ იყო ერთ-ერთი მიზანი 1900 წ. შექმნილი „შინამრეწველობის კავკასიური კომიტეტისა“[76].

[75] К. Федотов, I с., 62—63.

[76] „Кавказ в 1909 году“, 1910, Тифлис, стр. 61—62.

VI. გაუმჯობესებული იარაღ-მანქანების შემოზიდვა და გავრცელება

ახლა გავეცნოთ, თუ როგორ ვითარდებოდა სახელდობრ იმპორტი ამიერკავკასიაში მიწათმოქმედების გაუმჯობესებული იარაღ-მანქანებისა. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ საბუხაროდ არ მოგვეპოვება მონაცემები, კერძოდ, სახვნელი იარაღების შემოტანის შესახებ და არც ჩვენ ხელთ არსებული ცნობებიდან ხერხდება მათი გამოცალკევება. მაგრამ ვფიქრობთ, რომ საერთოდ სოფლის მეურნეობის იარაღების იმპორტზე არსებული მონაცემები დაახლოებით სწორად გამოხატავენ თვით სახვნელი იარაღ-მანქანების შემოტანის ზოგად ტენდენციას.

ამიერკავკასიაში სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღები საერთოდ შემოქონდათ გზათა ოთხი პუნქტიდან: დას. ამიერკავკასიაში — ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებით; აღმ. ამიერკავკასიაში — ბაქოს ნავსადგურითა და რკინიგზის სადგურ ბალაჯარათი. ეს გარემოება, რასაკვირველია, იმას ნიშნავს, თითქოს ბათუმ-ფოთის მეშვეობით შემოტანილი იარაღ-მანქანები მხოლოდ დას. ამიერკავკასიაში ვრცელდებოდა, ხოლო ბაქო-ბალაჯარიდან შემოტანილი კი — მხოლოდ აღმ. ამიერკავკასიაში (იხ. ცხრილი 105 გვერდზე).

როგორც ვხედავთ, სოფლის მეურნეობის იარაღების შემოტანა მოცემული 12 წლის (1897 — 1908 წწ.) განმავლობაში თითქმის ორნახევარჯერ გაიზარდა: 1897 წელს შემოტანილ იქნა სულ 29.914 ფუთი, ხოლო 1908 წელს — უკვე 70.577 ფუთი. მაგრამ იგივე ცხრილი გვიჩვენებს, რომ ეს ზრდა ბევრად უფრო ინტენსიური იყო 1897 — 1903 წწ., ვინემ 1905 წლის რევოლუციის მერმინდელ წლებში. 1903 წ. შემოტანილი

იქნა 107.270 ფუთი, ხოლო 1906 წ. — 57.082 და 1908 წ. კი—70.577 ფუთი, ე. ი. მნიშვნელოვნად ნაკლები ვინემ 1903 წელს. როგორც ჩანს, რუსეთ-იაპონიის ომის, 1905 წ. რევოლუციისა და მას მოყოლილი შავი რეაქციის პერიოდში, როდესაც ცარიზმის დამსჯელმა შავრაზმულმა ექსპედიციებმა დიდი ზიანი მიაყენეს რევოლუციურ გლეხობას და, მაშასადამე, სოფლის მეურნეობას, — მნიშვნელოვნად შემცირებულა მიწათმოქმედების გაუმჯობესებული იარაღ-მანქანების იმპორტი.

მაგრამ სწორედ 1907 — 1908 წწ. მოყოლებულ, როგორც ერთხმად ადასტურებენ ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენტები, ემჩნევა სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღების იმპორტის გაძლიერება, რაც შეუჩერებლად იზრდებოდა თვით პირველ მსოფლიო ომამდე, რომლის წინა წლებში ამიერკავკასიაში გაჩნდა უკვე პირველი ტრაქტორიც-კი.

დასახელებული პუნქტებიდან 1897—1908 წწ. ამიერკავკასიაში შემოტანილ იქნა სოფლის მეურნეობის იარაღი, ფუთობით[1]:

რომელი გზით შემოვიდა	1897 წ.	1901 წ.	1902 წ.	1903 წ.	1906 წ.	1907 წ.	1908 წ.
ბათუმის	18.633	22.860	27.435	53.620	20.924	32.129	25.198
ფოთის	10.894	30.944	33.214	37.865	18.368	11.503	12.862
ბაქო-ბალაჯარის	387	6.052	9.342	15.785	17.790	26.569	32.517
სულ	29.914	59.856	69.991	107.270	57.082	70.201	70.577
რკინიგზების მთელი ბრუნვა	37.612	86.370	99.578	146.985	95.140	104.451	11.963

ზემოთმოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს ამიერკავკასიაში სოფლის მეურნეობის იარაღ-მანქანათა იმპორტის დამახასია-

[1] Е. Канчер, l. c., 141; КХ, 1910, № 2, стр. 2; ТНКССХ, 138.

თებელ კიდევ ერთ ფრიად საინტერესო ტენდენციას. სახელ-დობრ იმის მიხედვით, თუ საიდან შემოქონდათ ეს იარაღ-მანქანები, ვხედავთ, რომ წინა ხანებში, ე. ი. 1890-იანი წლების ბოლოსა და 1900-იანი წლების დამდეგს, პირველი ადგილი ეჭირა ბათუმის ნავსადგურის მეშვეობით შემოტანილ საქონელს. ბათუმის გზით-კი შემოქონდათ დას. ევროპიდან და ამერიკიდან გამოწერილი იარაღ-მანქანები. მაგრამ შემდეგში ბათუმისას თანდათან უსწრებს ფოთის მეშვეობით მიღებული იარაღ-მანქანების რაოდენობა. ფოთის ნავსადგურით შემოქონდათ უპირატესად სამხრეთ-რუსეთის მრეწველობის ცენტრებში გაკეთებული იარაღ-მანქანები. რაც შეეხება ბაქო-ბალაჯარას მეშვეობით შემოსულ იარაღებს, ესენი ხომ მთლიანად რუსული წარმოშობისა იყო.

როგორც ზემოთ დავინახეთ ამიერკავკასიაში ახალი გაუმჯობესებული სისტემის გუთანთა შორის, ამა თუ იმ ზომით, იმთავითვე ვრცელდებოდა შუმანის, დომბალის, რანსომის, ჰოვარდის, გენეს, სიმსის, ჯეფერსის და სხვ. ფირმისა და კონსტრუქციის გუთნები[2].

ეს გუთნები აქ მეტნაკლები წარმატებებით იბრძვიან პირველობისათვის. თავდაპირველად თითქმის მხოლოდ საზღვარგარეთული სისტემის გუთნები შემოჰქონდათ და, ამგვარად, მეტოქეობა მხოლოდ მათს შორის იყო გაჩაღებული. მაგრამ 1880-იანი წლებიდან სულ უფრო მეტის ზომით ებმებიან ბრძოლაში რუსეთის ქარხნების გუთნები.

1888 წელს გ. გ ა რ ე ჯ ე ლ ი ჩამოსთვლის რა საგარეჯოში გავრცელებულ გაუმჯობესებულ გუთნებს გენეს (№ 1 და № 3), ბულგარულს (№ 1 და № 2), საკის (№ 2), რანსომის (№ 2) და სხვ. ასკვნის: „ყველაზე უკეთესად გენეს გუთანი მუშაობს, ველიც დიდი მიაქვს, საკმაოდ ღრმადაც ხნავს და ბელტსაც კარგადა ჰშლის. ამიტომ იტყვიან ხოლმე — ქართული გუთნის ყაიდაზედ ჰხნავსო; მაგრამ ძალაც სხვებზე მეტი უნდება.

[2] И. Иоселиани, l. c., გვ. 36—37, 46—47; დამატებაში, გვ. 7—13, 45.

№ 3-ს ანეულში ექვსულელა სჭირდება, № 2-ს — ხუთი ულელი"[3].

1890-იანი წლებიდან საზღვარგარეთულთაგან პირველობისათვის იბრძვიან ეკკერტის, საკის და ფლეტერის გუთნები, ხოლო რუსული კონსტრუქციის იარაღთაგან ყველაზე უფრო მეტად კვლავ გენეს გუთნები ვრცელდება[4].

თუ 1850 — 1870-იან წლებში შედარებით უფრო მოწონებული და მიღებული იყო დომბალის გუთანი, 1880-იანი წლებიდან პირველ ადგილს იპყრობს რანსომის სისტემის იარაღი, რომელიც აქ ცნობილი იყო „ნოვოროსიული" გუთნის სახელწოდებით. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ხანებში რანსომის ფირმას ამერიკაკავკასიის ზოგიერთ ქალაქში, მაგალითად, ლენქორანს, ჰყავდა საკუთარი აგენტი[5]. ეს აგენტები ცხადია, ხელს უწყობდნენ მოსახლეობაში ამ გუთნის გავრცელებას[6].

მაგრამ მას შემდეგ, რაც ამერიკაკავკასიის ბაზარზე გაჩნდა უფრო იაფი და უკეთ მოძრავი ეკკერტის, შემდეგ საკის და ბოლოს ფლეტერის გუთნები, რანსომის გუთანი თანდათან გაიდევნა. რაც შეეხება გენეს, უკეთ ვსთქვათ გენას გუთანს იგი 1890-იანი წლების მიწურულშიაც მნიშვნელოვნად იყო გავრცელებული[7].

ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თვით 1900-იანი წლების დასაწყისიდანვე ამერიკაკავკასიის სოფლის მეურნეობაში რუსული მრეწველობის იარაღ-მანქანები წარმატებით ავიწროებენ უცხოურ, უპირატესად დას. ევროპულ იარაღ-მანქანებს. ამ მხრივ რუსეთის მანქანათმშენებლობის ერთ-ერთი ძლიერი მოკავშირე, რასაკვირველია, იყო ის მაღალი ბაჟი, რაც უცხოეთიდან შემოტანილ იარაღ-მანქანებზე წესდებოდა. თუმცა, მიუხედავად ამისა უცხოური ფირმის

---

[3] გაზ. „მეურნე", 1888 წ. № 11, გვ. 7.

[4] И. Поселянин, l. c., გვ. 53—55, დამატებაში, გვ. 53—54.

[5] МИЭБГКЗК, III, I, 88—89, 300.

[6] СМИЭБГК, IV, I, 229—230; МИЭБГКЗК, IV, II, 42.

[7] ТПККССХ, 167, 170—171.

ზოგიერთი ნაწარმოები, კერძოდ ისეთი გუთნები, როგორიც იყვნენ ეკკერტის, საკისა და ფლეტერისა, ძლიერ მეტოქეობას უწევდნენ აქ რუსეთის ქარხნების გუთნებს, რომელთა შორის უფრო გავრცელებული იყო ე. წ. „კოლონისტური“, გენესი (ქ. ოდესა) და „აკსაის“ (ქ. დონის როსტოვი) ფირმის ნაწარმოებნი[8].

კერძოდ, თბილისის გუბერნიის შესახებ 1909 წელს ი. ზ ე მ მ ე ლ ი წერდა, რომ აქ „ყველაზე უფრო საღდება... ეკკერტისა და ფლეტერის ქარხნის გუთნები; ხოლო რუსული ნაწარმოებიდან — ე. წ. „კოლონისტური“, გენეს ქარხნისა, და აქციონერულ საზოგადოება „აკსაის“ გუთნები. რუსული წარმოების გუთნები განირჩევიან თავისი სიიაფით, მაგრამ მიუხედავად ამისა მოსახლეობა მაინც უპირატესობას აძლევს უფრო ძვირი, მაგრამ უკეთ აგებულ საზღვარგარეთული წარმოშობის გუთნებს“-ო[9].

უცხოური, მაგალითად, ეკკერტის ფირმის გუთნების ამიერკავკასიაში ფართოდ გავრცელებას ხელს უწყობდა ამ გუთნის ადგილობრივ ბუნებრივ პირობებთან შედარებით მეტად შეგუებული კონსტრუქცია. აღსანიშნავია, რომ ეკკერტის ფირმას ამიერკავკასიის ნიადაგთან შეხამების მიზნით თავის ნაწარმოებში თანდათან შექონდა სათანადო ცვლილებანი და, მაშასადამე, გაუმჯობესებანი. ამ მხრივ ფირმა ხელმძღვანელობდა ადგილებზე ჩატარებულ გამომცდელი კომისიების შენიშვნებით და აგრეთვე საკუთარ წარმომადგენელთა მოსაზრებებით. მაგალითად, 1895 წელს მიწათმოქმედების მანქანების გამომცდელმა კომისიამ ყურადღება მიაქცია ეკკერტის ფირმის CB № 1 მარკის გუთნების დეფექტებს, რომელთა გამოსწორების შემდეგ, კომისიას შესაძლებლად მიაჩნდა ამ გუთნის ფართო რეკომენდაცია ადგილობრივი მოსახლეობისათვის. უცხოურმა ფირმამ ამ შენიშვნების გათვალისწინებით შალე ბაზარზე გამოუშვა ახალი გუთანი CB № I A, რომელიც „სპე-

[8] ТПКССХ, 144.
[9] Ю. Земмель, l. c., 170.

ციალურად კავკასიის ნიადაგის შესაბამისად იყო კონსტრუირებული". უნდა აღინიშნოს, რომ ეს გუთანი 1900-იანი წლების დამდეგიდანვე მართლაც ფართოდ გავრცელდა ამიერკავკასიაში.

მაგრამ 1900-იანი წლების მეორე ნახევრიდან უცხოურ გუთნებს შორის გავრცელების ტემპის მხრივ პირველ ადგილს ფლეტერის გუთანი იკავებს. ამ კონსტრუქციის გუთნის ფართო გავრცელებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ამ ფირმამ 1900-იანი წლების დასაწყისს კავკასიაში მოავლინა თავისი სპეციალისტები, რომელთაც შეისწავლეს „ადგილობრივი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები" და „ამ ბაზრის მოთხოვნილების ბუნებრივ-ისტორიული ვითარების" შესწავლის საფუძველზე სათანადო ცვლილებები შეიტანეს კავკასიაში საექსპორტო გუთნის კონსტრუქციაში.

ი. ზ ე მ მ ე ლ ი აღვიწერს, რომ ფლეტერის ქარხნის გუთანი კონსტრუქციულად ეკკერტის ტიპისაა, მაგრამ „გაკეთებულია რა ზედმიწევნით კარგად, იგი ანასთანავე ერთად ხასიათდება ზოგიერთი უეჭველი უპირატესობით. ასე, მაგალითად, საუკეთესო ფოლადისაგან გაკეთებულ მის სახნისს აქვს შესქელებული პირი (острие), რის გამოც იგი დიდხანს არ იცვითება. ამ გუთნის რვილი გვერდითაა გამოწეული (грядиль выгнут в сторону), რის გამოც იგი ძნელად ჩაიზნიქება, ხოლო ეკკერტის გუთანი, რომელსაც თითქმის პირდაპირი რვილი აქვს, როდია თავისუფალი ამ დეფექტისაგან. ფლეტერის გუთნის წინალი (передок) ეყრდნობა ბორბლების დახურულ მილისას, რაც მანქანას იცავს დანაგვიანებისაგან და თანაც აძლევს თანაბარზომიერ სვლასა და სიმჩატეს". და, ბოლოს, ფლეტერის გუთანს კიდევ ის უპირატესობაც ახასიათებდა, რომ იგი 20 და მეტი პროცენტით უფრო იაფი იყო, ვინემ ეკკერტისა და ამასთანავე წარმოადგენდა ერთგვარ უნივერსალურ იარაღს. „ერთნაირად ვარგისი იყო როგორც მძიმე ასევე რბილ ნიადაგზე", მაშინ როდესაც ეკკერტის გუთანი უპირატესად მძიმე ნიადაგისათვის იყო გან-

კუთვნილი[10]. არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ი. ზემმელის შეფასებაში ერთგვარ მიკერძოებას ჰქონდეს ადგილი, ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ 1900-იანი წლების მიწურულიდან ფლეტერის გუთანი შედარებით ინტენსიურად ვრცელდებოდა.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორ ნაწილდებოდა სოფლის მეურნეობის შემოტანილი იარაღ-მანქანები ამიერკავკასიის ცალკე ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით[11].

1901—1908 წწ. სოფლის მეურნეობის შემოტანილი იარაღ-მანქანების განაწილება გუბერნიებს შორის (ფუთობით).

გუბერნიები	1901 წ.	1902 წ.	1903 წ.	3 წლის საშუალო	1906 წ.	1907 წ.	1908 წ.	3 წლის საშუალო
ბათუმის ოლქი . .	564	1.189	338	697	95	301	325	241
ქუთაისის .	3.663	4 322	4.550	4.178	2.441	3.651	2.117	2.737
თბილისის .	15.507	11.384	34.316	20.402	15.601	12.928	15.136	14.555
ერევნის .	4.333	7.086	14.961	8.794	5.433	6.351	10.022	6.936
ბაქოს .	11.047	7.245	13.664	10.652	9.724	15.358	14.171	13.084
ელისავეტპოლის .	9.597	6.857	10.835	9.097	5.757	9.294	15.106	10.052

ამგვარად, შემოტანილი იარაღ-მანქანების მთავარი მომხმარებლები იყვნენ თბილისის, ბაქოს და ელისავეტპოლის გუბერნიები, ე. ი. შედარებით მსხვილი მიწათმფლობელური რაიონები; შემდეგ მოდიან ერევნისა და ქუთაისის გუბერნიები. ქუთაისის გუბერნიაში, მიუხედავად იმისა, რომ იგი ზედ ეკვრის ზღვას და, მაშასადამე, ყველაზე დაახლოებულია იმპორტის პუნქტებს, მაინც ყველაზე ნაკლებად იყო გავრცელებული მიწის გაუმჯობესებული სახვნელი იარაღ-მანქანები. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, უპირატესად აიხსნება ამ გუბერნიაში მეტად გავრცელებულ წვრილი, პარცელარული,

[10] Ю Земмоль, l. c., 179.
[11] ТПКССХ, 140—171.

მიწათმფლობელობით და, აგრეთვე, მიწის ნიადაგის თავისებურებით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 1900-იანი წლებიდან სხვა გუბერნიებთან შედარებით უფრო სწრაფად იზრდებოდა მანქანა-იარაღების იმპორტი ერევნის გუბერნიაში, რაც, ვფიქრობთ, უნდა ახსნებოდეს, როგორც ამ გუბერნიაში მეგამბეობის სწრაფი განვითარების, აგრეთვე და, ცხადია, განსაკუთრებით ულუხანლუ-ჯულფის რკინიგზის გახსნით (1906 წ.), რამაც დიდი ეკონომიკური გამოცოცხლება შეიტანა ამ რაიონებში.

1901 — 1903 წწ. შედარებით 1906 — 1908 წლებში, როგორც ცხრილი გვიჩვენებს იარაღ-მანქანების შემოტანა საერთოდ დაცემულა. ამის მიზეზები უმთავრესად იყო რუ-ეთ-იაპონიის ომის, 1905 წ. რევოლუციისა და მოუსავლობის შედეგები.

სამაზრო და საარაიონო პუნქტებს შორის, სადაც უფრო მეტად ვრცელდებოდა შემოტანილი იარაღ-მანქანები აღსანიშნავია, თბილისის გუბერნიაში — გორი და ბორჯომი; ერევნის გუბერნიაში — კარაკლისა, ალექსანდროპოლი (გუმბრი—ლენინაკანი) და ეჩმიაძინი; ქუთაისის გუბერნიაში — ყვირილა, ჭიათურა და რიონი; ელიზავეტპოლის (განჯის) გუბერნიაში — აქსტაფა, ევლახი და დოლიარი; ბაქოს გუბერნიაში — ქიურდამირი, აჯი-ქაბული და უჯარა. უშუალოდ რკინიგზის რაიონში მდებარე მაზრებს შორის, რომელნიც მეტ იარაღ-მანქანებს ხმარობდნენ აღსანიშნავია: გორის, არეშის, ჯევანშირის, ჯევათის, გეოქჩაის, გუმბრის, ეჩმიაძინის, ნახჩევანის, ქუთაისის, სენაკისა და სხვ.[12].

რა და რა სახისა იყო სოფლის მეურნეობის იარაღ-მანქანები, რომელთა შემოტანასა და გავრცელებას ჩვენ გავეცანით მხოლოდ მათი წონადობის მიხედვით?

ამ კითხვაზე პასუხმა უნდა გვიჩვენოს, სახელდობრ, თუ

---

[12] „Кавказское хозяйство" (КХ), 1910, № 2, стр. 4—5; ТПКССХ, 141—142.

რა გაუმჯობესების შეტანა იყო მოსალოდნელი ამ იარაღების შემოტანით სოფლის მეურნეობაში. მაგრამ ეს პასუხი ნაკლებად მანუგეშებელია. კერძოდ 1908 წელს შემოტანილი იარაღ-მანქანების დიდი ნაწილი, სახელდობრ 70 პროც.-მდე,—შედგებოდა წვრილი იარაღებისაგან, როგორიცაა წერაქვი, ბარი, ცელი და სხვ., ხოლო გუთანი შეადგენდა მთელი იმპორტის მხოლოდ 25-მდე პროცენტს. დანარჩენ ხუთ პროცენტზე მოდის სეპარატორები, სანიავებლები, აპარატები ვერმორელისა, ტრემასი; მარცხად — ფარცხები („ზიგზაგი"); უფრო იშვიათად — კულტივატორები, სალეწები და სათიბები. გუთნებს შორის ყველაზე ხშირი იყო „ფლეტერი", „ეკკერტი", „საკკი" და ე. წ. „კოლონისტური" გუთანი.

1901 — 1911 წწ. კავკასიაში მიწათმოქმედების მანქანების შემოტანისა და, მაშასადამე, გავრცელების შესახებ საინტერესო, შედარებითს სურათს იძლევა ქვემომოყვანილი ცხრილი.

მიწათმოქმედების მანქანების შემოტანა 1901 — 1911 წწ. საშუალოდ (ათას ფუთობით)[13]

№№ რიგები	გუბერნიები — ოლქები	რკინიგზით	მათ შორის ნავსადგურებიდან და სახლვ. პუნქტებიდან
1	ბათუმის	1	—
2	ქუთაისის	2	1
3	თბილისის	35	18
4	ერევნის	16	4
5	ბაქოს	29	15
6	განჯის (ელისავეტპოლის)	17	3
7	შავი ხლვის	6	1
8	ყარსის	11	2
9	დაღისტნის	10	6
10	ყუბანის	1387	908
11	სტავროპოლის	252	89
12	თერგი	366	148
	სულ	2132	1195

[13] „Труды ЦСУ, т. VII, вып. 2, Статистический сборник за 1913—1917 гг.", М. 1922 г., стр. 36.

ამგვარად, 1901 — 1911 წწ. შემოტანილი მიწათმოქმედების მანქანების მიხედვით ამიერკავკასიაში პირველი ადგილი ეჭირა თბილისის გუბერნიას (35 ათასი ფუთი), რომელიც, სახელდობრ ქ. თბილისი, ერთგვარი ცენტრალური სასაწყობო პუნქტი იყო მთელი ამიერკავკასიისათვის. შემდეგ მოდის ბაქოს გუბერნია (29 ათასი ფ.), მერმე ელისავეტპოლისა (17 ათასი ფ.), ერევნისა (16 ათასი ფ.) და ბოლოს ქუთაისის გუბერნია, სადაც აღებულ პერიოდში მხოლოდ 2 ათასი ფუთი იარაღი შედიოდა წელიწადში საშუალოდ.

მაგრამ ეს ცხრილი არანაკლებ საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ საშუალებას გვაძლევს მიწათმოქმედების იარაღ-მანქანათა იმპორტის მხრივ ამიერკავკასიის გუბერნიები შევადაროთ იმიერკავკასიის გუბერნიებს. ეს შედარება გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ყუბანის ოლქში საშუალოწლიურად ვრცელდებოდა თითქმის 14-ჯერ მეტი მანქანა-იარაღი (1. 387 ათასი ფ.), ვინემ მთელს ამიერკავკასიაში. საერთოდ იმიერკავკასიაში დაახლოებით ოცჯერ მეტი იარაღ-მანქანა ვრცელდებოდა, ვინემ ამიერკავკასიაში. ეს მონაცემები ნათელყოფენ, თუ რამდენად ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა იყო ამიერკავკასია და მასთან შედარებით რამდენად დაწინაურებული იყო ყუბანის, სტავროპოლისა და თერგის ოლქები ჩრდ. კავკასიისა, სადაც სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

VII. პირველი ტრაქტორი კავკასიაში

ამიერკავკასიის მიწათმოქმედებაში იყენებდნენ ორთქლის გუთანსაც. მაგალითად, 1899 წელს ორთქლის გუთნით ხნავდნენ ს. ქორეისუბნის (სენაკის მ.) სანერგის ფართოპს[1]. მაგრამ ორთქლის გუთანს, როგორც სხვაგან, ისე, მით უმეტეს, ჩვენშიაც, ასე თუ ისე შესამჩნევი გავრცელება არ ჰქონია და მალე იგი აქ სავსებით მივიწყებას მიეცა.

*
* *

წინასაბჭოურ ამიერკავკასიაში იყო ერთი ტრაქტორი. ეს პირველი ტრაქტორი აქ გაჩნდა 1911 წ. და იმავე წელს მოხდა მისი მუშაობის საჯარო ჩვენებაც.

ეს იყო ამერიკიდან Hart-Paar-ის ფირმის 45 ცხ. ძალიანი ტრაქტორი — Gohn-Deer C°-ს ქარხნის გუთნით. ბორჩალოში, მანთაშევის მამულში, დიღმელ გლეხთა დასწრებით მოაწყვეს ამ ტრაქტორით ხვნა რაც, როგორც თვით ტრაქტორის შეძენის ამბავი აღწერა ვ. რცხილაძემ[2].

ტრაქტორი ამერიკაში, ნიუ-იორკში, შეიძინეს (2.900 დოლარად), ხოლო ოდესამდე მოტანის ხარჯთა (350 დოლ.) მიმატებით დაჯდა 3250 დოლარი. ოდესიდან თბილისამდე მოტანის ხარჯი, ცხადია, სხვა იყო.

ვ. რცხილაძის გამოანგარიშებით წლიურად (7 თვეში) ამ ტრაქტორის ექსპლოატაციის ხარჯი უდრიდა 4200 მან. (2 მუშის მომსახურებით) და რაკი დღეში 6 დესეტინას ხნავდა

---

[1] ОФК, 1899 г., 86.

[2] КХ, 1911 г., № 21, стр. 9; „მოსავალი", 1912, № 21—22, გვ. 3.

1 დეს. მოხვნა დაჯდებოდა სულ 5 მანეთი, ე. ი. ორჯერ იაფი ადგილობრივი გუთნით მუშაობასთან შედარებით. ამგვარად, ტრაქტორს თავისი ღირებულების ანაზღაურება შეეძლო 1,5—2 წელიწადში და ესეც მაშინ, როდესაც მისი სხვა რაიმე სახით ექსპლოატაცია (იგი ნავთით მუშაობდა) არაა ნაგულისხმევი.

საჭიროდ მიგვაჩნია აქვე აღვნიშნოთ, რომ საერთოდ რუსეთის იმპერიაში პირველი ტრაქტორი მოტანილ იქნა 1910 წ. პეტერბურგის გუბერნიაში, მეორე და მესამე 1911 წ. თბილისისა და რიაზანის გუბერნიაში. ამასთანავე ამერიკაში ტრაქტორზე მოთხოვნა ყველაზე ადრე თბილისიდან გაიგზავნა და იქაც რუსეთის იმპერიიდან ყველაზე ადრე იქნა მიღებული ეს წინადადება, მაგრამ თბილისში ტრაქტორი გვიან მიიღეს მისი ოდესაში დაგვიანების გამო.

კ რ ი შ ტ ო ფ ო რ ო ვ ი ჩ ი, რომლის მეშვეობითაც იქნა ამერიკიდან ეს ტრაქტორი გამოწერილი, იტყობინებოდა: „ფრიად საინტერესოა შემდეგი ფაქტები: როდესაც მე რამდენიმე წლის წინათ რუსეთში შემომქონდა ამერიკული შრედერები, პირველი ორი შრედერი (სიმინდის ლერწმის საკვებად გადამმუშავებელი მანქანა) სამტრედიაში (ქუთაისის გუბერნიაში) იქნა გამოწერილი. ახლა, პირველი ტრაქტორი ემზადება გაემგზავროს ისევ კავკასიაშიო“[3].

თბილისის გუბერნიის ეროპის აგრონომის პ. კ ვ ი ტ კ ა ს მიერ 1913 წ. 14 მარტის თარიღით წარდგენილ მოხსენებაში ნათქვამია, რომ ბორჩალოში, ა რ ა მ ი ა ნ ც ი ს მამულში, სადაც უპირატესად მებამბეობას მისდევდნენ, მიწის „პირველი მოხვნა უკანასკნელ ხანებში სწარმოებს ტრაქტორითო“[4]. არა ჩანს, ეს იყო ის ტრაქტორი, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, თუ კიდევ სხვა, საკუთრად არამიანცის მამულის გამგებლობის მიერ გამოწერილი. აგრონომი, პ. კ ვ ი ტ კ ა, იქვე ეხება

---

[3] КХ, 1911 г., № 21, стр. 9.

[4] ДГЗА, 290.

თვით მანთაშევის მეურნეობასაც, სადაც ისევე მებამბეობა იყო გაბატონებული, მაგრამ ერთი სიტყვითაც არა აქვს აღნიშნული იქ ტრაქტორის არსებობის ფაქტი[5]. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ არამიანცის მამულში მუშაობდა 1911 წ. გამოწერილი ტრაქტორი[6].

---

[5] ДГЭА, 290.
[6] იხ. КХ, 1916 г. № 23–24, стр 22.

VIII. საბოლოო შედეგები

ჩვენ გავეცანით ამიერკავკასიაში გაუმჯობესებული, „ევროპული კონსტრუქციის“ სახვნელი იარაღების შემოსვლისა და გავრცელების პირობებს; განვიხილეთ მიწათმოქმედებაში ამ ახალ შემონაღებთა დანერგვისათვის არსებული წამქეზებელი მომენტები და ის დიდი სიძნელეები, რაც უნდა გადაელახა სოფლის მეურნეობის ახალ იარაღ-მანქანათა გავრცელების ხელისშემწყობ ფაქტორებს.

ამასთანავე ჩვენ დავინახეთ, რომ მიუხედავად არსებული დაბრკოლებებისა, გაუმჯობესებული გუთნები სულ უფრო მეტის ინტენსივობით იბრძვიან აქ გავრცელებისათვის. 1900-იანი წლებიდან იმათ შეაღწიეს უკვე მაღლობსა და მთაგორიან რაიონებშიც, — თუმცა მხოლოდ, როგორც სასურველ ახალშემონაღებთ.

ასე რომ ქართულმა გუთანმა ამიერკავკასიაში საერთოდ გუთანთა გავრცელებულობის მხრივ ბოლომდე შეინარჩუნა გაბატონებული მდგომარეობა და კ. ფედოტოვიც იძულებული იყო ეღიარებია (1914 წ.), რომ ქართული გუთანი „ფრიად გამძლეა და იტანს დიდ დროებით დატვირთვას, რაც ესოდენ ხშირად ხვდება იარაღს მძიმე ნიადაგის პირობებში“ და ამის გამო ამ „პრიმიტიულ იარაღზე“, მიუხედავად „ქარხნული გუთნების გავრცელებისა, ადგილობრივ ბაზრებზე დიდი მოთხოვნილება არსებობსო“[1].

---

[1] К. Федотов. l. c., გვ. 20; აღსანიშნავია, რომ ბარონ ა. ჯ. ნიკოლაი, ეხებოდა რა საერთოდ სახვნელი იარაღის ადგილობრივ ბუნებრივ-ისტორიულ პირობებთან შეხამების საკითხს, ჯერ კიდევ 1857 წელს წერდა, რომ ამ მხრივ „ქართულ გუთანს ახასიათებს დიდი ღირსება: ის შესამჩნევი სიღრმით სწევს მიწას. რუსეთში ჩვეულებრივად სოფლელთა

საზოგადოთ ევროპული სისტემის გუთნები ისე ნაკლებად იყო გავრცელებული, რომ ამიერკავკასიის რიგი რაიონისათვის ქართული გუთანი მიღწევას წარმოადგენდა, რამდენადაც აქ კიდევ ბატონობდა კავი, ან მისი სხვა სახეობა[2]. თვით 1900-იანი წლების მიწურულშიაც მრავალგან, მაგალითად, შედარებით დაწინაურებულ გორის, ელისავეტპოლის[3], ერევნისა[4] და ქუთაისის[5] მაზრებშიაც მიწას ხის კავით ხნავდნენ.

მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ 1908 წ. ელისავეტპოლის გუბერნიის სოფლებში შეგროვილი ცნობების საფუძველზე გუბერნიის სტატისტიკური კომიტეტი ასკვნიდა: „სოფლის მეურნეობის ტექნიკა აქ ატარებს საუკუნეებრივი უძრაობის ბეჭედს. მრავალგან ხნავენ ხის კავებით, თესლს საჭიროებისამებრ მიწით ვერ ფარავენ, სათანადოთ ვერ ფარცხავენ. უკანასკნელ წლებში დაჰბერა ახალმა სიომ: ჩნდებიან გაუმჯობესებული გუთნები". ამ ცნობებით ელისავეტპოლის გუბერნიაში ითვლებოდა 4.744 გაუმჯობესებული გუთანი, მაშინ, როდესაც პრიმიტიული სახვნელი გუთნების და კავების რიცხვი უდრიდა 46.352, ე. ი. თითქმის ათჯერ მეტი იყო[6].

მიერ ხმარებულ გუთანს არა აქვს ეს ღირსება და ამიტომაც, ფრიად გამოსადეგია რა რუსეთის პირობებში ანდა ამ (თბილისის) მაზრის მაღლობ ადგილებზე, ის არ შეესაბამება დაბლობთა საჭიროებას. ამას გარდა აქაური მიწის ნიადაგი... მეტად მაგარია და მოსახნავად მოითხოვს დიდ ძალას. ამ მიზნისათვისაც ქართული გუთანი მასში შესაბმელი პირუტყვის დიდი რაოდენობის მეოხებით ფრიად სასარგებლოა. მაგრამ თუ ეს სარფიანობა უეჭველია, სამაგიეროდ მეორეს მხრივ, მას არა ხელსაყრელობაც, 6—7—9 წყვილი ხარ-კამეჩისა და შესაბამისი რაოდენობის მუშახელის საჭიროების მხრივ ნაკლებ მნიშვნელოვანი როდი ახლავს" (ЗКОСХ, 1857, № 1).

[2] СМИЭБГКЗК, IV, I, 228—229.

[3] ТПКССХ, 166.

[4] ТМКСХП, LII, 619.

[5] „Кавказский вестник практического садоводства", 1902, № 138, стр. 3.

[6] „Памятная книжка Елизаветпольской губ. на 1910 г."; КХ, 1911 г., № 6, 10—11.

ხუთიოდე წლის შემდეგ 1913 წელს, ელისავეტპოლის გუბერნიის ერობის აგრონომი სტ. კამსარაკანი წერდა: „ელისავეტპოლის გუბერნიას, რომელიც სიფართით აღემატება დანიას, სერბიას, შვეიცარიას, ჰოლანდიას, ბელგიას, არ გააჩნია არც ერთი პუნქტი, სადაც წარმოებდეს მეცნიერული შესწავლა კლიმატის, ნიადაგისა და მეურნეობის ტექნიკისა. ამავე დროს აქ ადგილობრივი პირობები ესოდენ მრავალფეროვანია...“[7].

1910 წლის მონაცემების მიხედვით მთელ აზერბაიჯანში ითვლებოდა (ცალობით):

ხიში (ხის კავი)	76.270
შინამრეწველური გუთანი	24.840
ქარხნული	21.730
ხის ფარცხი	21.730
სათიბი	775
სანიავებელი	840

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ დროს აზერბაიჯანში დაახლოებით 360.000 გლეხური მეურნეობა ირიცხებოდა, ადვილად დავინახავთ, რომ გლეხურ კომლთა უმრავლესობას თვით არქაული კავიც-კი არ გააჩნდა. ხოლო ისეთი იარაღები, როგორიც იყო სანიავებელი, ძნების შემკვრელი, სათესი და სხვ. მხოლოდ და მხოლოდ მემამულეებსა და კულაკებს თუ მოეპოვებოდათ[8].

რა თქმა უნდა, მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა სო-

---

[7] ДГЗА, 129.

[8] Акад. А. Сумбат-заде и канд. ист. наук М. Исмаилов. „Сельское хозяйство Азербайджана 1801—1914 г.“, III, стр. 55 (рукопись).

ფლის მეურნეობის 1917 წ. აღწერის მონაცემთა მიხედვით, როდესაც აქ აღრიცხულია (ცალობით) [9]:

ხიში (ხის კავი) . .	81.819
რკინის გუთანი, ერთ სახნისიანი	29.482
„ მრავალსახნისიანი	5.679
სანიავებელი	3.186
სათესი	804
სათიბი	956

ანალოგიური იყო მდგომარეობა, მაგალითად, ერევნის გუბერნიაშიც. 1900-იანი წლების მიწურულს, იხილავდა რა სომხეთში მიწათმოქმედების ტექნიკის მდგომარეობას ა. არდასენოვი ასკვნიდა, რომ აქ „არ ემჩნევა არავითარი პროგრესი სოფლის მეურნეობის კულტურაში, ნიადაგის დამუშავების ხერხებსა და წესებში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ ადგილას, უპირატესად რუს მოლოკანთა შორის მიწათმოქმედების ცუდი მანქანებისა და იარაღების შესამჩნევ გავრცელებას“[10].

ბაქოს გუბერნიის ერობის აგრონომი ტერ-სტეფანოვი მიუთითებს რა აზერბაიჯანის ზოგიერთ რაიონში 1900-იანი წლების მიწურულიდან გაუმჯობესებული იარაღ-მანქანების გაჩენისა და ასე თუ ისე დანერგვის ფაქტს, აღნიშნავს, რომ „საერთოდ ახალი სისტემის სახვნელი იარაღები, მეტისმეტად იშვიათად არის გავრცელებულიო“.

საერთოდ ამიერკავკასიის შესახებ ერობათა აგრონომების მიერ თავმოყრილ მასალების საფუძველზე, 1913 წელს, ოფიციალური მიმომხილველი ასკვნიდა: თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამონაკლისს „მოსახლეობის მასაში კიდევ არაა შესული ცოდნა სოფლის მეურნეობისა და მიწათმოქმედების ტექნიკის დარგში. შრომის იარაღები, მეურნეობრივობის ხერხები და წესები და ნიადაგის დამუშავება უცვლელი

[9] М. Исмаилов, „Техническая оснащенность с.-х. Азербайджана в конце XIX—начало XX вв...“ (Изв. АН Аз. ССР, серия общ. наук, 1958, № 4, стр. 34)

[10] ДГЗА, 307.

და ერთნაირია ასეული წლების მანძილზე... ახლაც მთელი კულტურული ფართობის 2/5 მაინც... ამიერკავკასიაში და რუსეთშიაც... იხვნება კავით" [11].

ევროპული სისტემის გაუმჯობესებული გუთნების გავრცელების ძირითადი დამაბრკოლებელი მიზეზი მაინც ბატონყმურ ურთიერთობათა ძლიერი გადანაშთები და აქედან გამომდინარე უშუალო მწარმოებელთა მასების ეკონომიკური სიღარიბე იყო.

ჯერ კიდევ 1880-იან წლებში აღნიშნავდნენ რა ევროპული გუთნების სიძვირეს, რემონტის სიძნელეს და სხვ. გლეხები მთავარ დაბრკოლებად ისევ მცირემიწიანობას ასახელებდნენ: ოღონდ მიწამოგვცა დაქართულ გუთნითაც იოლად გავალთო!

ამგვარად, წვრილი მიწათმფლობელობა, თავისი არსებით გამორიცხავდა შრომის საზოგადოებრივ მწარმოებლურ ძალთა განვითარებას და მეცნიერების გამოყენებას მიწათმოქმედებაში; წვრილ გლეხს საშუალება არ შესწევდა ეზრუნა მიწათმოქმედების ტექნიკის გაუმჯობესებისათვის.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთამდელ ამიერკავკასიაში მცირეზომით, და ისიც მხოლოდ მემამულეთა და შეძლებულ-კულაკურ გლეხთა შორის იყო გავრცელებული ევროპული სისტემის გაუმჯობესებული გუთნები, ისინი მაინც შესამჩნევ მოვლენას წარმოადგენდნენ. მათი სახით კაპიტალისტურმა მეწარმეობამ და ტექნიკამ პირველად მიიტანა იერიში ფეოდალური ეპოქის რუტინული მიწათმოქმედებითი იარაღების კონსტრუქციული უცვლელობისა და საერთოდ შეუ-

[11] ДГЗА, 155—156.

ცვლელობის წინააღმდეგ და, ცხადჰყო რა ახალშემონაღებთა ტექნიკურ-ეკონომიკური უპირატესობა, მითვე გაადვილა მიწათმოქმედებაში შემდგომ სიახლეთა დაგაუმჯობესებათა შეტანა.

რეფორმის მერმინდელი რუსეთის სოფლის მეურნეობაში მანქანების გამოყენებისა და თვით მანქანათმშენებლობის განვითარების პროცესს ვ. ლენინი ჰყოფს ოთხ პერიოდად: I პერიოდია ბატონყმობის გაუქმების წინა და მერმინდელი პირველი წლები, როდესაც მემამულეები ის იყო მიაცვინდნენ საზღვარგარეთული მანქანების ყიდვას, რათა ყმა-გლეხთა „მუქთი" შრომის გარეშეც იოლად გასულ-ყვნენ და აეცილებიათ თავისუფალი შრომის დაქირავების სიძნელეები. „ეს ცდა რა თქმა უნდა, მარცხით დამთავრდა"[12]; II პერიოდი, 1870 წლების ბოლოდან 1885 წლამდე, ხასიათდება მანქანების შემოტანის დიდი ზრდით და ამასთანავე თვით რუსეთში მანქანათმშენებლობის ერთგვარი წარმატებებითაც; III პერიოდი გრძელდებოდა 1885 წლიდან 1890-იანი წლების დასაწყისამდე. ეს პერიოდი იწყება რუსეთში მანქანების იმპორტზე ბაჟის დადებით და თანაც ხასიათდება რუსეთის შიგნითაც მანქანათმშენებლობის ნელი განვითარებით, — რაც იყო შედეგი სოფლის მეურნეობის კრიზისის გავლენისა; და IV პერიოდი დგება 1890-იანი წლებიდან, რა დროიდანაც კვლავ იზრდება სოფლის მეურნეობის მანქანების შემოტანა და განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება მანქანათმშენებლობა თვით რუსეთში.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მასალები გვიჩვენებენ, რომ ეს პერიოდები მეტნაკლები რელიეფობით, გვესახება ამიერკავკასიაშიც, თუმცა ცხადია, მსგავსად ერთგვარი კონტურებისა, რომელთა სიმკრთალე შიგა რუსეთის გუბერნიათაგან ამიერკავკასიის საერთო ეკონომიკური ჩამორჩენილობის ხასიათს შეესაბამება.

მაგალითად, 1890-იან იწლების დამდეგიდან რუსეთში იწყე-

---

[12] В. Ленин, Соч., т. 3, стр. 161—162.

ბა სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობის სწრაფი განვითარება, — ამიერკავკასიაში ამავე დროიდან, როგორც ზემოთ დავინახეთ, შესამჩნევი ხდება სოფლის მეურნეობის იარაღ-მანქანათა შინამრეწველური წარმოების წარმატებები და მსგავსად შიგა რუსეთისა აქაც ძლიერდება საზღვარგარეთიდან მანქანების შემოტანა, მაგრამ არა თვით დასაწყისიდანვე, არამედ მეორე ნახევრიდან 1890-იანი წლებისა.

1917 წ. თებერვლის რევოლუციას ამიერკავკასიის ხალხთა საზოგადოებრივ ურთიერთობებში არავითარი არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია. აქ კვლავინდებურად ბატონობდნენ მემამულე-ბეგები და თავადები „რომელნიც ფლობდნენ უზარ-მაზარ ლატიფუნდიებს“ და რომელნიც არავითარ გაუმჯობესებაზე მიწათმოქმედებაში არ ფიქრობდნენ, რამდენადაც მათ თავისუფლად შეეძლოთ ესარგებლათ დაკაბალებულ წვრილ მოიჯარე გლეხთა მუშაძალით — შრომამიგების სისტემით. მაგრამ პირველი მსოფლიო ომისა, რევოლუციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში კიდევ უფრო დაეცა და განადგურდა, როგორც საერთოდ სახალხო მეურნეობა, კერძოდ მიწათმოქმედების ტექნიკაც.

მართალია, 1918 წლის 25 იანვარს ამიერკავკასიის კომისარიატმა დაამტკიცა „დროებითი დებულებანი ამიერკავკასიის ერობის დაწესებულებათა შესახებ“ და ნავარაუდევი იყო, რომ ერობა გააჩაღებდა სოფლის მეურნეობისადმი აგრონომიულ დახმარებას, მაგრამ ეს ღონისძიება ისევე წყალწაღებული იყო, როგორც თვით ის მთავრობა, რომელსაც იგი თითქოს ცხოვრებაში უნდა გაეტარებია.

1920 წელს სრულიად საქართველოს საერობო აგრონომთა პირველ ყრილობაზე გამოსული ი. ქ უ რ დ ი ა ნ ი ყრილობის შედეგების შეჯამებისას აღიარებდა: სამაზრო ერობებს სხვა ხარჯებთან შედარებით ფრიად მცირე კრედიტი გაეხსნათ აგრონომიული დახმარებისათვის. „უმთავრესი მიზეზი აგრონომიული დახმარების მოუწყობლობისა არის აგრონომიული პერსონალის სიმცირე, სოფლის მეურნეობის იარაღის უქონლობა და სხვ. მართალია, ერობებს დარჩათ ყოფილი საერობო

აგრონომიული ორგან-ზაციისაგან რამდენიმე ინვენტარი, მაგრამ ეს ინვენტარი მეტად მცირე და დამტვრეული გადაეცა ერობებსო“ [13].

მაგრამ მენშევიკებმა არამცთუ იარაღ-მანქანები არ მისცეს სოფელს, თვით მიწაც-კი არ აღირსეს გლეხობას [14], რომლის მეურნეობა, ამგვარად, პირველი მსოფლიო ომის წინა წლებთან შედარებით, ბევრად უფრო დაეცა და დაჩიავდა.

1921 წელს ჩატარებული სოფლის მეურნეობის აღწერით [15] მთელ აზერბაიჯანში (აღუწერელ რაიონთა შესახებ საკარაუდო მონაცემთა ჩათვლით) ითვლებოდა:

1.	ხის კავი („ხიშ“) .	87.219
2.	რკინის ერთსახნისიანი გუთანი	25.678
3.	ორსახნისიანი	5.470
4.	„ მრავალსახნისიანი	782
5.	რკინის ფარცხი	6.287

ამგვარად; აქ, ისე როგორც მთელ ამიერკავკასიაში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისათვის მიწათმოქმედებაში არსებითად აბსოლუტურად გაბატონებული ადგილი ეჭირა ხის კავს. აღწერილი რკინის გუთნების უდიდესი ნაწილი უკვე გაცვეთილი იყო. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ერთსახნისიან რკინის გუთნებში ჩათვლილია ქართული ტიპის გუთნებიც, რომელთაც რკინის მხოლოდ სახნისი და საკვეთი გააჩნდათ და რომლებიც, უნდა ვიფიქროთ, ამ კატეგორიის გუთნების საერთო რაოდენობის უდიდეს ნაწილს შეადგენდნენ.

კიდევ უფრო მეტი იყო ჩამორჩენილობა მიწათმოქმედების ტექნიკის სხვა დარგებში. ხის კავს („ხიშ“) გვერდს უმშვენებდა ხისავე კევრი, რკინის არქაული ბარი, თოხი, ნამგალი, ცელი და ა. შ.

---

[13] ჟურნ. „ერობა და ქალაქი“, 1920 წ. № 3, გვ. 21.

[14] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება“, მონოგრაფიები, ტ. II, გვ. 926 — 949.

[15] ЭВЗ, 1925, № 2, стр 89.

ასე რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო გაჩანაგებული და ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა. მხოლოდ კოლმეურნეობრივი წყობილების პირობებში შეიქმნა შესაძლებელი ამიერკავკასიის მიწათმოქმედებაში შესულიყო და ფართო მასშტაბით გავრცელებულიყო გაუმჯობესებული უახლესი კონსტრუქციის იარაღ-მანქანები, ტრაქტორები—რომელთაც გადატრიალება მოახდინეს მიწათმოქმედების ტექნიკაში, — რადგან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წარმოადგენენ „ისეთ საშუალებას, რომელიც აადვილებს სოფლის გარდაქმნას ახალი ტექნიკის ნიადაგზე, რევოლუციას ახდენს გლეხობაში და ეხმარება მას უმეცრებიდან და რუტინიდან განთავისუფლების საქმეში“[16]:

---

[16] ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, 1931 თბ., 384.

II

ირიგაცია*

I. ირიგაციის საერთო მდგომარეობისა და მნიშვნელობისათვის

მიწათმოქმედების ტექნიკაში ირიგაცია[1] — სადაც ეს საჭიროა და აუცილებელი—უძლიერეს ფაქტორს წარმოადგენს. ამიერკავკასიაში ხელოვნური მორწყვა უძველესი დროიდანვე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. აქ ძველი დროიდანვე მოყოლებული მიწათმოქმედებისათვის სახმარი მიწები საერთოდ იყოფოდა ორ კატეგორიად: სარწყავ და ურწყავ მიწებად. ჩვეულებრივ სარწყავი მიწების მოსავლიანობას ორჯერ უფრო მეტს ვარაუდობდნენ, ვინემ ურწყავისა.

აღმ. ამიერკავკასიაში ხელოვნური მორწყვა წარმოადგენდა არა მხოლოდ ტექნიკურ გაუმჯობესებას, არამედ აუცილებელ პირობას მიწათმოქმედებისა და მეჯოგეობისათვისაც-კი.

მტკვრისა და არაქსის ქვემოთა ველებზე „ვერავითარი კულტურა ვერ იხეირებს მორწყვის გარეშე, ვინაიდან გრძელი, ცხელი ზაფხულის განმავლობაში, როდესაც წვიმა ძლიერ იშვიათად მოდის, მოურწყველად დაიხრუკება ყოველგვარი მცენარე და ეს ველები იქცევიან მზით გადამწვარ უდაბნოებად, სადაც შეუძლებელია ადამიანის ბინადარი ცხოვრება[2].

---

* ეს მონოგრაფია პირველად გამოქვეყნდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში, ტ. XXVII, 1946 წ.; იგი უფრო ადრე — 1943, V. 6 მოხსენდა თ. ს. უ. ჰიდროლოგიის კათედრას.

[1] ჰიდროლოგიის ზოგიერთი სპეციალური საკითხისათვის კონსულტაციას მიწევდა აწ განსვენებული პროფ. ბ. უ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი.

[2] M. П с а р о в. „Очерк орошения в Закавказском крае“ (СМИЭБГК, У, I, 2); Ш о п с л. „Историч. памятник состоян. Армянс-

აღმ. საქართველოსა, სომხეთსა და აზერბაიჯანში ჩვენს დრომდეა დაცული ნაშთები ძველ დროსა და შუა საუკუნეებში გაყვანილი სარწყავი არხებისა, რომელთაც დიდი, თუ პატარა მდინარეებიდან სარწყავი წყალი, როგორც მაცოცხლებელი ძალა, მიჰყავდათ იმ დროისათვის აყვავებულს, ხოლო შემდგომში, საირიგაციო სისტემის მოშლის მიზეზით, გაუდაბნოებულ ველებსა და ხეობებში.

ზვარტნოცის ტაძრის გათხრების დროს აქ (ეჩმიაძინის მახლობლად) აღმოჩენილი ლურსმული წარწერა მეტყველებს იმ დიდი ირიგაციული სამუშაოების შესახებ, რაც მდ. ზანგის მარჯვენა მხარეს უწარმოებიათ ძვ. წელთაღრიცხვის VII საუკუნეში, როდესაც ურარტუ ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა ძველ აღმოსავლეთში.

წარწერაში ლაპარაკია სარწყავი არხის გაყვანასთან ერთად ბაღ-ვენახების გაშენებისა და ნათესი მინდვრების შესახებ. არგიშტის ძის მეფე რუსას მიერ გაყვანილმა ამ არხმა ჩვენს დრომდე მოაღწია და იგი ამჟამადაც რწყავს მდ. ზანგის მარცხენა ჭალებს. არხების მშენებლობა როგორც ჩანს უაღრესად დიდმნიშვნელოვან საქმედ მიაჩნდათ; არხში წყლის გაშვებისას ღმერთებს მსხვერპლს სწირავდნენ.

მართალია, ანდეზიტისა და ბაზალტის კლდეში გაყვანილმა ამ არხმა მრავალი გადაკეთება განიცადა, მაგრამ მას მაინც საფუძვლად უდევს ურარტელთა მიერ 2600 წლის წინ აქ გაჭრილი გვირაბი, რითაც ახლაც მიდის ეჩმიაძინის არხის სარწყავი წყალი.

თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას აძლევდა თვით მეფე რუსა ამ თავის ნამოქმედარს ჩანს წარწერის დასკვნითი სტრიქონებიდან: „...რუსა, ძე არგიშტისა, აცხადებს: ვინც ამ სტელას დაანგრევს, ვინც შებილწავს, ვინც ადგილიდან მოაშორებს, ვინც მიწაში ჩასთხრის, ვინც წყალში ჩააგდებს, ვინც სხვ-

---

ской области...", 365; МИЭБГКЗК, IV, I, 254; Х. Вермишев, „Земледелие у госуд. крестьян Закавк. кр.", 514—515; ОРВЗК, III, 52, 261—262; IV, 257—259; СВРЗК, XI, 743.

(ვინმე) იტყვის — მე გავაკეთე, ვინც (ჩემს) სახელს მოშლის (და) თავის სახელს დასდებს, იქნება ის ბიაინიდან თუ მტრის ქვეყნიდან, დეე ხალდმა, თეიშებამ, მზის ღმერთმა, (ყველა) ღმერთებმა არც მისი სახელი, არც მისი ოჯახი, არც მისი ნაშიერნი მიწაზე არ დასტოვონ"[3].

მილისა (ყარაბაღისა) და მუღანის ველებზე დღემდეა დაცული ნანგრევები ქალაქებისა და დიდი ირიგაციული ნაგებობებისა, რომლებიც მოწმობენ, რომ აქ, მორწყვის მეოხებით, ოდესღაც არსებულან სოფლები და ქალაქები. ჯერ კიდევ სტრაბონი წერდა რა ალბანეთის (დაახლ. თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიის) უხვმოსავლიანობის შესახებ. აღნიშნავდა, რომ ეს „ველი ბაბილონსა და ეგვიპტეზე უკეთ ირწყვის მდინარეებითა და სხვა წყლებით"[4].

ხელოვნური მორწყვის გარეშე იმდენად შეუძლებელი იყო აღმ. ამიერკავკასიაში ცხოვრება, რომ, თანახმად ხალხური გადმოცემისა, ჩინგის-ყაენის ურდოების შემოსევათა პერიოდში მოშლილი მილის ველის უდიდესი არხის — ციაურ-არხის (ბელიას-არხის)— განახლება უკისრია ისეთს დაუნდობელ დამპყრობელს, როგორიც იყო თვით თემურლენგი[5].

პრუსიელი რეგირუნგსრატი ბარონი ავგუსტ ფონ-ჰაქსტჰაუზენი, რომელმაც 1843 წ. მოიხილა სომხეთში, როგორც უკვე მოშლილი ისე მოქმედი სარწყავი არხები, აღნიშნავდა, რომ ესენი წარმოადგენენ „საირიგაციო ნაგებობათა დიდის ცოდნითა და გამოცდილებით გაყვანილ რთულ სისტემებსო"[6]. იგივე ავტორი აცხადებდა: „სომხეთში მოურწყველად უკვე არაფერი არ ხარობს, მაგრამ თვით საქართველოშიაც უიმისობა შეუძლებელია... ირანელებმა თავიანთი

---

[3] Б. Пиотровский, „Кармир-Блур", 1949. Ереван, I, стр. 26—27.

[4] В. Латышев, „Известия древних писателей о Скифии и Кавказе", 1947—1949, стр. 279.

[5] გაზ. „Кавказ", 1873, №№ 30, 39, 59,—ახმედ-ბეგ ჯევანშირის ფელეტონები.

[6] A. v. Haxthausen, „Transkaukasia", Leipzig, II, 176—178.

9. ბ. გუგუშვილი, მონოგრაფიები, ტ. III.

უკანასკნელი შემოსევის დროს... კახეთში მოშალეს ყველა მაშინდელი არხები, რაბები (შლიუზები) და სხვ. მოსახლეობამ, რომელსაც მათ აღსადგენად ძალა არ ჰყოფნიდა, დასტოვა ეს მიდამოები, რომლებიც დღემდე მხოლოდღა ველს წარმოადგენს... როდესაც ამ ქვეყანაში [ამიერკავკასიაში] მოგზაურობ, ხედავ, რომ აქ წინათ მიწები ბევრად უკეთესად ყოფილა დამუშავებული, ვიდრე ახლაა, ხვდები დიდ სივრცეებს ველებისა და ვრცელ ტყეებს, სადაც მოჩანს არა მხოლოდ ნიშნები ძველი ნაყანევისა, არამედ აურაცხელი რაოდენობა არხებისა, საგუბარებისა (კაშხალებისა); ქვის ნაგებობათა ნანგრევებიც კი აშკარად მოწმობენ არხების, რაბების და სხვ. არსებობაზე. შირაქის ველი სულ დასერილია ძველი არხებით... რომლებიც, რუქაზე რომ იყოს გადაღებული, გვიჩვენებენ, რომ აქ ოდესღაც უნდა ეარსება კარგად მოფიქრებულ და დიდის ხელოვნებით ნაგებ სისტემას არხებისას; ახლა ყველაფერი გატიალებულია... სამკუთხედი, რომელიც იქმნება მტკვრისა და არაქსის შეერთებით... დაფარული იყო წინათ... არხების ვრცელი სისტემით. ზემოთ, ყარაბაღის მთის აღმოსავლეთით, მტკვარი შეერთებული იყო არაქსთან ფართო არხით 20 — 30 მილის სიგრძისა, რომლის ნაშთები ახლაცა ჩანან... ასეთი სისტემის აგება უნდა მოჩანდეს ჭეშმარიტად ბუმბერაზულ შრომად, როგორც გეგმით, ისე თავისი შესრულებით"[7].

---

[7] საერთოდ აღმოსავლეთში, როგორც ცნობილია, ირიგაცია ადრიდგანვე განვითარდა, ამასთანავე წინააზიის ქვეყნებმა ამ მხრივ გამოიყენეს რომაელთა მიღწევებიც. იტალიის ზოგიერთ რაიონში მოკლეცამ შემოგვინახა განვითარება ჰპოვა რომის ძლიერების პერიოდში. დამოწმებულია, რომ სასანიდების საბრძანებელში მუშაობდნენ ირიგაციის რომაელი სპეციალისტები. სასანიდების ეპოქაში განვითარებულმა ირიგაციამ, თავის მხრივ, გავლენა მოახდინა ირიგაციის არაბულ კულტურაზე. VII საუკუნეში არაბებმა სეისტანიდან წაიყვანეს ჰიდრავლიკოსები მექის სანახებში სარწყავი არხების გასაყვანად. ირიგაციის სპარსული ტერმინები გაბატონებული იყო შუააზიაში, ხორეზმში და ნაწილობრივ გავრცელებული იყო ამიერკავკასიაშიც (იხ В. Бартольд, „К истории орошения Туркестана", 1914, СПБ, стр. 26).

კავკასიის ნამესტნიკი ა. ბ ა რ ი ა ტ ი ნ ს კ ი 1857—1859 წწ. თავისი მოღვაწეობის უქვეშევრდომილეს ანგარიშგებაში წერდა: „ამჟამად ამიერკავკასიის საუკეთესო მიწები, რომლებიც ყველაზე უფროა ხელსაყრელი სამხრეთის მცენარეულობათა გასაშენებლად და ძველი დროიდანვე აღმოსავლეთის უმდიდრესი მიწების სახელით იყვნენ განთქმულნი, — ქვეყნები, რომლებიც მდებარეობენ მტკვრისა და არაქსის ქვედა წელებზე და ერევნის გუბერნიის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენენ მიყრუებული უდაბნოს სანახაობას. გამუდმებული შემოსევები... ნელნელა ჰფანტავდა მოსახლეობას, წყალსადენი არხები დაისილნენ და ახლა ეს მიწები... გადაუწვარ ველებად არიან გადაქცეულნ“ [8].

მორწყვის ხელოვნება განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა ძველ საქართველოში[9]. თანამედროვე დამკვირვებელთა გაკვირვებას იწვევს დღემდე დაცული ნაშთები 10—11 საუკუნეებში გაყვანილი არხებისა და თიხის ბილებით გაკეთებული წყალსადენებისა, რომლებიც ხშირად გრძელ მანძილზე არიან გადაჭიმული.

ალ. ლ ო ს ა ბ ე რ ი ძ ე, რომელმაც 30-იანი წლების შუაში სპეციალურად შეისწავლა შოთა რუსთაველის ეპოქის ირიგაციული ნაგებობანი, კერძოდ 1202 წელს დამთავრებული სხალტბა-შიო მღვიმის წყალსადენი, ალაზნისა და სამგორის ველის სარწყავი არხები, იმ დასკვნამდე მიდის, რომ დასახელებული ნაგებობანი „თანამედროვე ტექნიკისთვისაც კი საკმაოდ რთულ ბუნებრივ პირობებში, დიდი ხელოვნებითა და ოსტატობით შეუსრულებიათ“-ო.

ამ დებულების ერთ-ერთ საილუსტრაციო მასალად ალ. ლოსაბერიძეს აღებული აქვს „ერთსადაიმავე პირობებში აგებულ იმდროინდელ და თანამედროვე ნაშენთა შედარება“;

---

[8] ACKAK. XII, 1320.

[9] ი. ა ნ თ ა ძ ე, „წყლის მფლობელობა და სარწყავი წყალი საქართველოში...“, 131—151; ა. მ ა მ უ ლ ა ი შ ვ ი ლ ი, „გრემის სარწყავი არხი“ (სსმმ, XI ნ, 1941) 173—181.

სახელდობრ ალაზნის ძველი, თამარ მეფის დროინდელი, და ახალი, 1933 წელს დამთავრებული, „თანამედროვე საირიგაციო ტექნიკის სრული გამოყენებით“ შესრულებული არხი. როგორც ძველი მე-12 საუკუნეში შესრულებული ისე ახალი, მე-20 ს. გაყვანილი არხი „სწყვეტს ერთსადაიმასვე— ალაზნის ველის მორწყვის პრობლემას“ და, რაც მთავარია, „ძველ მშენებლებს ეს პრობლემა არა ნაკლები მასშტაბით დაუსახავთ“[10]. უფრო ზუსტად რომ ვსთქვათ, ძველი სარწყავი სისტემის მასშტაბი (53 ათასი ჰექტარის მორწყვა) რამდენადმე აღემატება ახლისას (45 ათასი ჰ.), და მთავარი ტექნიკური მაჩვენებლების მხრივ განსხვავება მხოლოდღა იმაშია, რომ ახალი სისტემის მაგისტრალური არხის ერთ კილომეტრზე მოდის 495 ჰექტარი მორწყული ფართობი, ხოლო ძველისაზე — ათი პროცენტით ნაკლები.

უაღრესად საინტერესოა, რომ თამარ მეფის მიერ ნაბოძები ერთი სიგელიდან ჩანს, რომ ირიგაცია, სარწყავი არხის, წყალსადენის გაყვანა, ცოდნის სპეციალურ დარგად იყო იმ დროს უკვე გამოყოფილი. სახელდობრ, შიო მღვიმის მონასტერი ახლად შეძენილ ყმათა ორ კომლს ავალდებულებს, რათა „თუითოი შვილი მათი ქუქანაკად (დაახლ. ჰიდრავლიკოსად — პ. გ.) გაისწავლებოდის“[11].

ალაზნის ძველი არხის ჩვენს დრომდე მოღწეული კვალის შესწავლის მიხედვით ალ. ლოსაბერიძე აცხადებს, რომ თამარ მეფის ქუქანაკები „იმდენად დახელოვნებული ყოფილან არხის ტრასირებაში“, რომ ახლანდელი დროის ტექნიკოსებიც არ წააგებდნენ თუ ძველი არხის კვალს გაჰყვებოდნენო[12]. სი-

---

[10] ალ. ლოსაბერიძე, „ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები („შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, ი. ჯავახიშვილის რედაქციით, 1938. თბ., გვ. 193). იხ. აგრ. შ. ხიდაშელი, „სხალტბა-შიო მღვიმის 1202 წ. წყალსადენი“ (იქვე).

[11] „შიო მღვიმის სამი სიგელი“, ს. კაკაბაძის პუბლიკაცია, გვ. 9.

[12] ალ. ლოსაბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 222.

ნამდვილეშიც, როგორც ცნობილია, მაგალითად, ყარაიაბ „მარიის არხის“ საინჟენერო სისტემის გაყვანის დროს ისარგებლეს ძველი „მეფის არხით“[13], რომელიც მემატიანის ცნობით გაყვანილი იყო ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალის მიერ (V ს.).

ცნობილია ის მუშაობა, რაც ქართლში, მე-18 საუკ. დასაწყისს, ჩაატარა ვახტანგ VI მოშლილი არხების განახლებისათვის.

სარწყავი არხების გაყვანა თემის გამგებლობის, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საზრუნავი საქმე იყო, ამასთანავე იგი საქვეყნო საქმეთა შორის ერთერთი ყველაზე გადაუდებელი და პირველი რიგის საზრუნავთა შორის იმყოფებოდა.

მაგალითად, მე-18 ს. მიწურულს ქართლ-კახეთის სამეფოს სამხედრო-პოლიტიკური და შინაგანი მდგომარეობის აწეწილობის დროსაც კი აქ სარწყავი არხების გაყვანისა და ძველ სისტემათა აღდგენა-განახლებისათვის ზრუნავდნენ.

1799 წ. იულონ ბატონიშვილი იოსებ მიკშარაბაშს სწერს: „... შენ ბაიდარში უნდა ჩახვიდე და არხი ამუშავებინო. ჩვენც ჩვენის ძმის ბატონის მეფისათვის წიგნი მიგვიწერია და მაგ არხის სამუშაოთ გატეხილ ხიდს ზევით მუშა ვითხოვეთ, ღვთით იმედიცა გვაქვს, რომ გვიბოძებს და ჩვენის ძმის ალექსანდრესათვის წიგნი მიგვიწერია, რომ შულავრიდამ მუშას მოგვახმარებს... ბეჯითად უნდა მოიქცე და ეგ არხი გამოატანინო“. ქვემოდ აღნიშნულია, რომ არხის ამუშავება საშური საქმეა და საჭირო მუშაობა სასწრაფოდ უნდა დაიწყოსო[14].

ვახუშტი ბატონიშვილი დიდის ყურადღებით აღნიშნავდა საქართველოში არსებულ არხებს და მათს ეკონომიკურ მნიშვნელობას; იგი წერდა: „... ხოლო მდინარის იორის კიდე იმი-

---

[13] Д. Пурцеладзе, „Грузинские церковные гудажары (грамоты)“, 1881, Тифлис, стр. I.

[14]. „საქართველოს სიძველენი“, III, გვ. 81, № 105.

ერი და ამიერი არს ფრიად ნაყოფიერი, ვინაიდგან აღმოვ-ლენან რუნი, და ირწყვიან ველნი, და სცენდებიან ყოველნი მარცვალნი"[15]; „ხუნანის ველსა შინა არა იყო ნაყოფი უწყლობით: ესე მეფემან ვახტანგ გაიტანა რუ ქციისა ნახიდურის ბოლოდამ და აღაშენა დაბნები და ნაყოფიერებს ფრიად"[16]; ანდა კიდევ: თბილისის „სამხრით არის ველი საბურთალისა. ამას შინა ყოფილა რუ ვერიდამ მოტანილი და აწ უმისოდ უნაყოფო არს"...[17]; „ამ რუისის მთის სამხრეთის მინდორი ნიქოზამდე და ლიახვით დვანის-წყლამდე ირწყვის ორის ლიახვის რუთი, თამარ მეფის ქმნულითა, და ნაყოფიერებენ დაბნები ყოვლითავე მრავალნი. ხოლო სალთვისის რუ გა-ნაახლა ე მეფემან ვახტანგ (V) არამედ აწ უქმი იყო. ხოლო რუისი არს უწყლო, თვინიერ წყაროსა ერთისა, რომელი არს ეკლესიისა თანა — არამედ სცხორებენ მით რუთი, და ირწყვის მინდორი ურბნისამდე[18] ამითვე"[19].

მე-18 საუკუნის მიწურულის შემოსევებსა და თარეშებს და, შემდეგ, მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში შექმ-ნილ ისტორიულ ვითარებას, ქვეყნის გამგებლობის ახალ ფორმებსა და ომებს შედეგად მოჰყვა აქ ამ დროისათვის თა-ვის მნიშვნელოვან ნაწილში ისედაც უხმარქმნილი ირიგა-ციის ძველი სისტემების მოშლა.

მაგალითად, ქართლში წინანდელი სარწყავი არხების მოშ-ლასა და ამ მიზეზით მინდვრების გატიალებას აღნიშნავდა „გუთნის დედის" ფელეტონისტი: „მომეტებული სარწყავი ადგილი ქართლისა ირწყვის დიდი და პატარა ლიახვებით, მეტადრე კიდევ პატარა ლიახვით, და ასე ხალხმოსხმული

---

15 ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", ნ. ბერძენი-შვილის რედაქციით, 1941 თბ. 89.

16 იქვე, 45 — 46.

17 იქვე, 54.

18 ურბნისის რუს გამოღებისათვის იხ. ვახტანგ VI, „დასტურლამალი", პ. უმიკაშვილის რედაქციით, 1886, ტფ., 67, 83.

19 ვახუშტი, I, ტ., 78—79, აგრეთვე, 37, 51, 63, 73, 81; ვახ-ტანგ VI, „დასტურლამალი", 103.

ადგილიც არ არის საქართველოში... ძველი ნარუალები, რომელთაგანაც ახლა დარჩენილან ნაალაგევები, ამტკიცებენ, რომ წყლებიც მეტი ყოფილან მაშინა და ხალხიც უფრო დასახლებულნი და მრავალნი ქართლის ვაკესა, გვერდის ძირსა და დიდი ლიახვის გაღმა მხარესა. მაგალითად, ორი დიდი ნარუალია დღეს გაუქმებული: ერთი დიდის ლიახვიდამ გაყვანილი, რომელიც მიდის სამაჩაბლოს თავიდამ მთის ძირობაზედ, გადის თიხრევებისაკენ და უვლის თავს წუხარს, ტბეთებს და ამათ წინ დაცემულს, დღეს ურწყავ ადგილებს, ვიდრე ბრეთამდის და სადირბომდის და, როგორც გამიგონია, ეს რუ ყოფილა გაყვანილი დირბის ბოლოსა, წვერისა და ღოღეთის თავში და ჰრწყავდა ამ მინდვრებს ვიდრე ფრონესა და მტკვარამდის. ახლა ეს ამოდენა ადგილები არის ურწყავი და ყოველს გვალვიანს წელიწადს ხალხი რჩება მშიერი. მეორე ნარუალი არის გაყვანილი პატარა ლიახვიდამ დმერისისა და ვანათის თავიდამ გვერდის ძირობაზედ, წამოყვანილი კულბითსა და ფლავისმანისაკენ, გასული ზემო არცევისა, აძვისა, მეჯვრისხევისა, კირბილისა და ბერშუეთის თავში და გაყვანილი ხურვალეთს ტირიფანებში. აქედამ ეს რუ რწყამდა მთელს მოხსენებულს სოფლების ვაკეებს და იმ საშინელს დიდს მინდორს, რომელსაც ეძახიან ტირიფონას და რომელსაც დღეს ზოგჯერ წყალიც არა აქვს, რომ საქონელმა დალიოს"[20]. ფელეტონისტს აღნიშნული აქვს ძველი სარწყავი სისტემის მოშლის სხვა მაგალითებიც.

ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე 1889 წ. წერდა: „ჩვენთა მამა-პაპათა ძალიან კარგად იცოდნენ ყადრი წყლის მეურნეობის გაძლიერებისათვის და ამიტომაც. როგორც კანონმდებლობა ჩვენი, ისეც ზნე-ჩვეულება, წყლის არხებით გაყვან-გამოყვანისათვის დიდს უფლებას აძლევდა კაცსა...

„თვითონ ჩვენმა ენამაც-კი შეინარჩუნა იმისი კვალი, თუ რა ძვირფასად მიაჩნდათ ჩვენებს უწინ წყალი. „წყალობა, შემიწყალე. მიწყალობე, მოწყალე" — ყველა ამ სიტყვებს დასა-

20 გაზ. „გუთნის-დედა", 1873 წ. № 5, გვ. 4 — 6.

ბამი აქა აქვს. ყველა ამ სიტყვებში მარტო ის ისმის, რომ წყალი მომეც, წყალი მომმადლეო...

„ამიტომაც საითაც კი მიიხედავთ ჩვენში, ყველგან ნახავთ ნაშთს ზოგან უზარმაზარის არხისას. შორს რომ არ წავიდეთ საკმაოა ვანიშნოთ უშველებელი არხი ფშავის არაგვიდამ წამოღებული, რომლის კვალი დღესაც ატყვია თბილისიდამ დაწყებული თითქმის ფშავის არაგვის დიდ არაგვთან შესართავამდე და მეორე არხი კიდევ ალაზნის მარჯვენა მხარეზედ. ეტყობა ჩვენს მამა-პაპას არაფერი არ დაუზოგავთ, რომ არ შეჰშინებიან და ამოდენა არხების გაჭრისათვის თავი დაუდვიათ. რამოდენა ჯაფა, ხარჯი და ხალხი დასჭირებია, იქიდამა სჩანს, რაც ხალხის ხსოვნაში დღესაც დარჩენილა... ხალხი ალაზნისა და არაგვის პირისანი დღესაც ამბობენ, რომ როცა თამარ მეფემ გაიყვანა ეს არხები და ბოლოში წისქვილი დააბრუნა, წისქვილის ქვებიდამ სისხლი გადმოსკდაო. ეს ამბავი გვაუწყებს — რამდენად ძვირად დასჯდომია ხალხს ეს დიდებული საქმე, რომ მისი წარმოდგენით მის მიერ დაღვრილი ოფლი სისხლად გადმომსკდარა წისქვილის ქვებიდამ".

მაგრამ დროთა ვითარებაში გაფუჭდა და გაუქმდა ძველად გაყვანილი არხები. „...გულამომწვარს დედამიწას მოაკლდა ცხოველმყოფელი ცვარი წყლისა, კაცის მხნეობით მოდენილი. გავერანდა მდიდარი მამულები... იქ, საცა ქვეყანა წალკოტსავით ჰყვაოდა, დღეს მჭლე ძეძვი ძლივს-ღა მოდის... და დღეს ეს დიდი ნაამაგევი ჩვენთა მამა-პაპათა მიწით ამოვსილი და ამომშრალი, გულსაკლავად გვანიშნებს — რანი ვყოფილვართ უწინ და რანი ვართ დღეს"[21].

ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთების პერიოდის ომების დროს და შემდეგაც, კარგა ხნის განმავლობაში, ახალი ადგილობრივი ადმინისტრაციისათვის გაუგებარი იყო აქ არსებული სარწყავი არხების სისტემა, მათი მოვლისა და ექსპლოატაციის წესი. ასე რომ, პირველ ხანებში, ცარიზმის ბიუროკრატიის გამგებლობისა უფრო მოიშალა და სავსებით უვარგი-

[21] ილ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1955, IV, გვ. 51 — 52.

სიც შეიქმნა ზოგიერთი საირიგაციო ნაგებობა. კიდევ ერთი მაგალითი. ბაქოს გუბერნიის ჯევათის მაზრაში, რუსეთთან შეერთების წინა ხანებში, ადგილობრივ მკვიდრთაგან მდ. მტკვრის ნაპირას (ყარაჩაის საფოსტო სადგურის მახლობლად) მოწყობილი იყო დიდი წყალსაცავი, რომლის წყალობითაც „ყველა ახლობელი მიწა იძლეოდა ხორბლის ფრიად კარგ მოსავალს“.

ალმ. ამიერკავკასიაში წინანდელი ხანები „არა მხოლოდ მეთვალყურეობდნენ წყლით სარგებლობისა და განაწილების წესების და არხების დაცვას, არამედ იმათ გაჰყავდათ ახალი არხებიც და ეწეოდნენ ძველთა შეკეთებას, რისთვისაც ახდენდნენ მცხოვრებთა მობილიზაციას და ამ შრომას აძლევდნენ სახალხო დღესასწაულის ხასიათს. ეს ჩვეულება ამჟამადაც დაცულია მცირე აზიის სახანოებშიო“, წერდა 1883 წ. ფ ო ნ-ვ ა ი ს ე ნ ჰ ო ფ ი[22].

მე-19 ს. პირველ ათეულ წლებში ზემოხსენებული წყალსაცავი უკვე არ სარგებლობდა წინანდელი მზრუნველობით; ახალი ადმინისტრაცია არ აქეზებდა და მით უმეტეს არ აიძულებდა მოსახლეობას დაეცვა და სისტემატური მეთვალყურეობა გაეწია ამ საირიგაციო ნაგებობისათვის, რის გამოც იგი თანდათან ფუჭდება... ხოლო ბოლოს... გადაქცეულ იქნა ხაზინის საშემოსავლო სტატიად და როგორც ასეთი საჯარო ვაჭრობით გაიცემოდა კერძო პირზე ჯარით. მე-ჯარე, რომელიც წყალსაცავს მხოლოდ გარკვეული ვადით იღებდა „მხოლოდ ერთ მიზანს ისახავდა — რაც შეიძლება მალე გამდიდრებულიყო საჯარო წყალსაცავიდგან წყლით სარგებლობისათვის მოსავლის ნაწილის აკრეფით და სათანადო ყურადღებას არ აქცევდა არც თვით წყალსაცავსა და არც მისგან გაყვანილ რუებს, და, მხოლოდ იმას ცდილობდა, რათა ეს ნაგებობანი სავსებით არ მოშლილიყო საჯარო ვადის გასვლამდე“. ასეთ პირობებში, როგორც ა ლ ი ფ ი ნ ი წერდა, წყალსაცავი და რუები სავსებით გაფუჭდნენ და „ამჟამად

[22] СКОСХ, VI, 135.

(1880-იან წლებში) წყალსაცავის ადგილი გადაქცეულია ნაწილობრივ საძოვრად, ნაწილობრივ სახნავად, ხოლო მოსაზღვრე, ოდესღაც ნაყოფიერი მიწები, რომლებიც თვით მდინარის ადიდებით არ ირწყვებიან, გადაიქცნენ უნაყოფო უდაბნოებად"[23].

ცნობილია, რომ ცარიზმის ადგილობრივი ხელისუფლება იმთავითვე დიდის გულმოდგინებით ცდილობდა გამოენახა აქ სახაზინო (და უფრო მეტად კი თვით ღორმუცელა მოხელეთა) შემოსავლის წყაროები. ამ მიზნით ბეგრავდნენ საერთოდ შემოსავლისა და მეურნეობრივი თაოსნობისათვის ყოველ დარგს და, ამათს შორის, სარწყავი არხებით სარგებლობასაც.

ჯერ კიდევ 1808 წელს განჯელი სომხები ასტრახანის საფოსტო-საბაჟოს[24] დირექტორ ივანოვისათვის მირთმეულ არზაში, სხვათა შორის, ჩიოდნენ, რომ „ჯევათ-ხანის დროს პურეული გამოსაღები მიჰქონდათ იმდენი, რამდენიც ხანს უნდოდა, განუსაზღვრელი რაოდენობით; მაგრამ პ. ციციანოვმა ეს გამოსაღები მოსპო და ბრძანა ყველას ეთესა პური, რათა ქალაქს იგი უხვად ჰქონოდა. ახლა კი, 1808 წ., კომენდანტმა იაკიმოვმა განაახლა ამ გამოსაღების გადახდევინება და იჯარით გასცა სარწყავი არხებიც-კი, რითაც ჩვენ ჯევათხანის დროს უსასყიდლოდ ვსარგებლობდით ბაღებისა და პურის ყანების მოსარწყავად"[25]. სარწყავი არხები იჯარით გაიცემოდა აღმ. ამიერკავკასიის სხვა მაზრებშიაც. სადაც ეს არხები, ცხადია, ამის გამო კიდევ უფრო ჩქარა ფუჭდებოდნენ.

მდ. არაქსის ქვემოთა წელის სარწყავი ველების შესწავლის საფუძველზე ს. ზავაროვი 1898 წ. წერდა: „საკვირველია, რომ მე-19 ს. 30-იანი წლებიდან, მიუხედავად მო-

---

[23] МПЭБГКЗК, VII, 305.

[24] ამ მხრივ ამიერკავკასია მაშინ ასტრახანის საოლქო კანტორას ექვემდებარებოდა.

[25] АСКАК, IV, № 692, стр. 489.

სახლეობის სამჯერ გადიდებისა, თითქმის არც ერთი მეტად თუ ნაკლებად შნიშვნელოვანი არხი არ გაყვანილა ერევნის გუბერნიაში. სარწყავი მოედნის გაფართოებისათვის მოსახლეობა ისაზღვრება მხოლოდ ძველიდანვე არსებული არხების გაგანიერებითა და გაღრმავებით... სარწყავი მოედანი არ იზრდება უმთავრესად იმის გამო, რომ არ არსებობს ორგანო, რომელიც მოწოდებული იყოს და რომელსაც შეეძლოს მოცემული რაიონის მორწყვით დაინტერესებული მოსახლეობის ამ მიზნით შეკავშირება და წამოწყების განხორციელება"[26]. ჯერ კიდევ 1870-იანი წლებიდან ადგილობრივი წრეები აშკარად ბრალს სდებდნენ ცარიზმის ადმინისტრაციას — მორწყვის სისტემის მოშლისათვის.

მაგრამ წინანდელი საირიგაციო ნაგებობათა მოშლა არა ნაკლებ ხშირი იყო უფრო ადრინდელი ომებისა და შემოსევათა შედეგად. ერევნის გუბერნიაში ძველი საირიგაციო სისტემის შესწავლის შედეგად ინჟ.-ჰიდრავლიკოსი ტ ა რ ლ ო ვ ს კ ი წერდა (1902 წ.) „მდ. აჯიჩაის ბასეინში, არაქსის მარჯვენა ნაპირას, სადაც ოდესღაც იყო ქალაქი ერევანდაკერტი, რომელსაც მ ო ს ე ხ ო რ ე ნ ე ლ ი ს აღწერით ამშვენებდა ბაღები, ყვავილნარები და გარს ერტყა დამუშავებული მინდვრები, ამჟამად იმყოფება სახაზინო ტიალი მინდორი კარაკალა. საკუთარ თავისი მორიელებით"[27].

პროფ. ს. ე გ ი ა ზ ა რ ო ვ ი ცდილობდა ცარიზმის გამართლებას: „საირიგაციო ნაგებობის დაცემა არ შეიძლება ავხსნათ მთავრობის გულგრილობით. მიმდინარე [მე-19] საუკუნის პირველ მეოთხედში ქვეყანა კიდევ არ იყო დამშვიდებული; ცალკე სახანოებში კიდევ გრძელდებოდა ომები ქრისტეანთა განსათავისუფლებლად" და სხვა პოლიტიკური

---

[26] С. З а в а р о в, „Опыт исследования сель-хоз... Эриванской губ...", 1899, Тифлис, 317.

[27] ТМКСХП, LII, 644.

მოვლენებიც მთავრობას ხელს უშლიდა ყურადღება მიექცია მორწყვის სისტემისათვის[28].

რამდენადმე უფრო თვალთმაქცური იყო ამ მხრივ პოზიცია მ. პსარევისა, რომელიც აქ საირიგაციო ნაგებობათა მოშლის მიზეზების შესახებ წერდა: „რუსეთის მთავრობას, რომელმაც მოსახლეობას აჩუქა გარკვეული უფლებები და დამოუკიდებლობა, არ შეეძლო ესარგებლა ირანის ხელისუფლების დროს არსებული მაიძულებელი ზომებით, რაც არ შეეფერება ჰუმანურ მიზნებს ჩვენი კანონმდებლობისა, და წყლის განაწილება მორწყვის რაიონებში მიენდო თვით მოსახლეობას, როგორც ამ საქმეში უშუალოდ დაინტერესებულს... ადგილობრივმა მოსახლეობამ კი,—არ იყო რა მიჩვეული დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ცხოვრებას,— ვერ შესძლო შეენარჩუნებინა წინანდელი სისტემა წყლით სარგებლობისა, და, ამგვარად, ირიგაცია თანდათანობით ეცემოდაო“[29]. გამოდის რომ მ. პსარევი სარწყავ ნაგებობათა მოშლას აბრალებს თვით ადგილობრივ მოსახლეობას, რომელსაც ძველი დროიდანვე შეუქმნია თავის ქვეყანაში ირიგაციის იმ დროისათვის რთული სისტემები და ამ სისტემებზე დამყარებული მიწათმოქმედება.

თუმცა თვით მ. პსარევის მსჯელობიდანაც აშკარად ჩანს ცარიზმის როლი ირიგაციის დაცემაში, რაც ზოგან 80-იან წლებამდეც გრძელდებოდა: „წყლით სარგებლობის მონაწილეთა შორის დაიწყო მრავალრიცხოვანი ბოროტმოქმედება უფრო გავლენიან ცალკე პირთა მხრივ, რომლებიც თავიანთი პირადი სარგებლობისათვის მიმართავდნენ სხვადასხვა ხერხებს წყლის განაწილების არსებული წესრიგის დასარღვევად. წყლის განაწილებისათვის მეთვალყურეობის გასაწევად მოსახლეობის მიერ არჩეული მერაბები იწყებენ ბოროტად გამოყენებას თავიანთი უფლებისა; მათ ეს თანამდე-

[28] С. Егиазаров, „Исследов. по истории учреждении в Закавказье“, I, 236.

[29] М. Псарев, I, с., 7.

ბობა გადააქციეს ფრიად ფართო და მტაცებლური გამდიდ-
რების საშუალებად. არა ჰქონდათ რა თვით ელემენტური
ცოდნა ირიგაციის ტექნიკაში, არჩეულ მერაბებს არ შეეძლოთ
მოსახლეობისათვის არავითარი სასარგებლო მითითების მი-
ცემა — ახალი არხების გაყვანისა ან ძველის შეკეთების შემ-
თხვევებში. ზოგიერთ რაიონში გაჰქრა თვით მერაბის თა-
ნამდებობაც, რის გამოც მოსახლეობაში წყლისათვის უთვა-
ლავმა დავამ და შეჯახებამ გამოიწვია ჩარევა ადგილობრი-
ვი პოლიციისა, რომელსაც უმეტესწილად არავითარი წარმო-
დგენა არა აქვს ირიგაციის საკითხებში". ამგვარ გაუგებრობა-
თა შედეგად კი დაზარალდა სარწყავი არხების ქსელი და
„მრავალმა თემმა საერთო არხიდან გაიყვანა თავისთვის პა-
ტარა არხი". შემდეგ მთავარი არხისათვის თითქმის არავინ
ზრუნავდა და ეს უკანასკნელიც ადრე თუ გვიან უნდა მოშ-
ლილიყო[30].

მაგრამ დროთა მსვლელობაში აუცილებელია არამცთუ
არსებული საირიგაციო სისტემის დაცვა, არამედ, მოსახლეო-
ბის გამრავლებისა და, მაშასადამე, მიწათმოქმედების სივრ-
ცის გაფართოების შესაბამისად, მისი შემდგომი გაუმჯო-
ბესება და გადიდება; სხვარიგად, ქვეყანაში, სადაც მიწათ-
მოქმედება დამყარებულია მორწყვაზე, არ შეიძლება არ და-
ეცეს მოსავლიანობა და საერთოდ მიწათმოქმედების რენტა-
ბელობა. ამის ნათელ საილუსტრაციო მასალას იძლევა, მაგა-
ლითად, განჯის გუბერნია, სადაც (ჩეტვერტობით):

	1883 წ.	1899 წ.
დათესა მარცვლეული . . .	312.852,0	726.402,0
აღებულ იქნა მოსავალი .	1.982.083,0	2.817.886,0
1 კვ. ვერსზე დათესა	8,1	28,7
„ „ აღებულ იქნა მოსავალი	51,9	73,5

ამგვარად, 1883 წელთან შედარებით 1899 წელს 1 კვ.
ვერსზე დათესილი მარცვლეულის რაოდენობამ 250 პრო-

---

30 СМЭБГК, У, I, 7.

ცენტს მიაღწია, ხოლო აღებული მოსავლის რაოდენობამ კი მხოლოდ 142 პროცენტს. ი. ს ე გ ა ლ ი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ მოსავლიანობის ასეთი დაცემის მთავარი მიზეზი იყო არა იმდენად მიწათმოქმედების იარაღების პრიმიტიულობა და ნიადაგის გამოფიტვა, რამდენადაც სარწყავი წყლის არასაკმარისობა, ე. ი. საერთოდ ირიგაციის ჩამორჩენილობა[31].

---

[31] И. С е г а л ь „Сборн. сведоний о Елизаветпольской губ." Тифлис, 1902, I, 41—42; იხ. აგრ. ინ. პ ი ლ ტ ო ვ ი ს სტატიები: КСХ, 1903 г. № 472, стр. 938; № 472, стр. 982.

II. სარწყავი წყლით სარგებლობის წესები

როგორც, მაგალითად, ინგლისმა ინდოეთში[1], ისე ცარიზმმა ამიერკავკასიაში ძლიერ დაგვიანებით მიაქცია ყურადღება მორწყვის საქმეს. ცარიზმის ხელისუფლებამ ამიერკავკასიის წყლებს უწინარეს ყოვლისა ყურადღება მიაპყრო, როგორც მიმოსვლის საშუალებას — რაც ესოდენ საგრძნობი და აუცილებელი იყო სამხედრო თვალსაზრისით და სავსებით ჩვეულებრივიც თვით ცხოვრების გამოცდილებით რუსეთში, სადაც მდინარეები მსახურებდნენ არა სარწყავ, არამედ სატრანსპორტო არტერიებად.

მაინც, თუ რამდენად შეფერხდა ამიერკავკასიაში ირიგაციული მშენებლობა ამ გარდამავალ პერიოდში ნათლად ჩანს თუნდაც იმ გარემოებიდან, რომ იორის მარჯვენა მხარის ძველ არხთა შორის უმთავრესის, სახელდობრ, სამგორის სარწყავი არხის სარეკტავრაციო (თუ მ-სსავე ტრასაზე ახალ-ს გაყვანის) მშენებლობა, რაც ჯერ კიდევ მე-18 ს. მეორე ნახევარში, ერეკლე II დროს დაიწყო, მხოლოდ მე-19 საუკუნის 50-იანი წლების დამდეგს იქნა დასრულებული ინჟ. მუხრან-ბატონის ხელმძღვანელობით.

ირიგაციის თვალსაზრისით ცარიზმის ხელისუფლების პირველი ღონისძიება გამოიხატა იმაში, რომ 1833 წელს დაარსებულ „სოფლური და მანუფაქტურული მრეწველობისა და ვაჭრობის წამქეზებელი თბილისის საზოგადოების“ ერთ-ერთ ამოცანად დასახულ იქნა „აღდგენა და გამრავლება სარწყავი არხებისა, რაც ესოდენ აუცილებელია ამიერკავკასიისათვის“[2]; შემდეგ 1837, 1840, 1847, 1849 წწ. დაწყებულ იქნა მუშაობა აქ არსებულ ძველ საირიგაციო ნაგებობათა

[1] კ. მარქსი, „კაპიტალი“, I, 460.

[2] П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения“, 1938, I, 143,

გაცნობისა და საერთოდ მორწყვის სისტემის ტექნიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მხარეთა შესწავლისა და მოწესრიგებისათვის. მაგალითად, 1847 წელს შედგენილ იქნა პროექტები ძველი არხების განახლებისა და ახალთა გაყვანის შესახებ[3]; თუმცა ამ ღონისძიებათ რამდენადმე რეალური შედეგები არ მოჰყოლია და 1880-იან წლებში-კი თვით ეს პროექტებიც (12 არხის გაყვანისა, თუ განახლების შესახებ) უკვე დაკარგული იყო კანცელარიათა არქივებში[4]. ამასთანავე მართალია, ზოგიერთი პროექტის მიხედვით 1850-იან წლებში დაიწყო მუშაობა, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ეს პროექტები ტექნიკურად არ ყოფილა სათანადოდ დამუშავებული. რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობისა და ხაზინის მნიშვნელოვანი ხარჯით აღდგენილი და ახლადგაყვანილი არხები (მაგალითად, იორის, გეოგჩაის, სარდარაბადისა და სხვ.) მალე კვლავ გაფუჭდნენ, ანდა საერთოდ მხოლოდ უმნიშვნელო ზომით ამართლებდნენ თავდაპირველად დასახულ მიზნებს.

თვით ინჟ. ჰიდრავლიკოსი მ. პსარევი იძულებული იყო (1888 წ.) ეღიარებინა, რომ „ამიერკავკასიაში არხების გაყვანისათვის ადმინისტრაციის მიერ წამოწყებულმა ვერც ერთმა მუშაობამ, რაც უმეტესად 1860-იანი წლების დასაწყისამდე გრძელდებოდა... ვერ მიაღწია ვერავითარ სასარგებლო შედეგს, მიუხედავად დიდძალი ხარჯების გაწევისა“[5]. ვ. დინგელშტედტი, ამიერკავკასიის ირიგაციის ცნობილი სპეციალისტი, ცარიზმის ადმინისტრაციის იმდროინდელ ღონისძიებათა ჩაფუშვის მიზეზად ასახელებდა იმ გარემოებას, რომ აქ „საინჟენერო ხელოვნების ყველაზე მძიმე სამუშაოებს უყურებდნენ, როგორც იოლსა და მარტივ საქმეს, რომლის შესრულება შეიძლება მიენდოს რომელიმე პრაპორჩიკ-ტოპოგრაფს, ან მაზრის უფროსს და, ბოლოს, ირანელ უბრალო ოსტატს“[6].

---

[3] ЗКОИРТО, XIV, 65—68; СВРЗК, XI, 104.
[4] СМЭБГК, V, I, 10—11; СКОСХ, VI, 137, 225.
[5] СМЭБГК, V, I, 14; СКОСХ, VI. 218.
[6] ЗКОИРТО, XIV, 78.

საერთოდ 1840 — 1850-იან წლებში ირიგაციის საქმეებს აქ განაგებდა ჯერ ნამესტნიკი, ხოლო შემდეგ სახელმწიფო ქონებათა ექსპედიცია, რომელთა მოღვაწეობა გამოიხატებოდა უმთავრესად ძველი ირიგაციის სისტემების ერთგვარ შესწავლა-გაცნობასა და, იშვიათად კიდევ, აღდგენასა და გადაკეთებაში[7]. დადებითი შედეგი არ მოჰყოლია არც 1851 წელს ამ მხრივ პ. უ ს ლ ა რ ი ს მიერ ჩატარებულ მუშაობას, სახელდობრ მდ. არაქსისა და მისი მიდამოების გამოკვლევას —მორწყვის პირობათა შესწავლის მიზნით რომ იქნა შესრულებული[8].

ამასობაში წყლით სარგებლობის საქმე სულ უფრო მწვავდებოდა. ცალკე თემებსა თუ სოფლებსა და მემამულეებს შორის მიმდინარეობდა დაუსრულებელი დ ა ვ ა ქ რ ო ბ ა წყლით სარგებლობის საკითხებზე.

ა დ ა თ ო ბ რ ი ვ ი ს ა მ ა რ თ ლ ი თ, განსაკუთრებით აღ. ამიერკავკასიაში, საერთოდ შემოუფარგვლელ მიწას, წყალს, ტყეს, საბალახოს უყურებდნენ როგორც „სამეფოს“, „სახელმწიფოს“, „ღვთის მიერ მოცემულს“. საყოველთაო სარგებლობისათვის დანიშნულს.

ვ ა ხ ტ ა ნ გ VI კანონიც აცხადებდა: „ქვეყანაზე ეს საქმე არ დაეპირების კაცსა და ხელმწიფის არის: წყალი, შეშა და ბალახი“. (§ 169)[9]. მაგრამ ცალკე კომლის (პიროვნების) მიერ გათხრილი ჭა, გაყვანილი წყარო, მდინარის ბუნებრივი კალაპოტიდგან გამოყვანილი სარწყავი არხი შეიძლებოდა გამხდარიყო ობიექტი კერძო საკუთრებისა.

მაგალითად, განჯის მაზრაში, როგორც ა ბ ე ლ ო ვ ი გად-

---

[7] СВРЗК, XI, 104.

[8] П. У с л а р, „Взгляд на Эриванск. губ. в гидрографическом отношении...“ (ЗКОПРТО, 1852, I, 18—32).

[9] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, „სამართლის წიგნი“, 1955, თ ი ნ ა ე ნ უ ქ ი ძ ი ს პუბლიკაცია, გვ. 92.

10. პ. გუგუშვილი, მონოგრაფიები, ტ. III.

მოგვცემს, ქიაჰრიზის[10] წყალი ჭების გამთხრელის სრულ საკუთრებას შეადგენდა. აქ ქიაჰრიზების მფლობელნი თითქმის მემკვიდრეობითი უფლებით ეწეოდნენ ექსპლოატაციას, ჯერ ერთი, საზოგადოთ მიწის წიაღისა და, მეორედ, მისი ზედაპირის ერთი ნაწილისაც, რომელიც ირწყვოდა ქიაჰრიზების წყლით, რის გამოც თემი ჰკარგავდა შესაძლებლობას თავისუფლად განეგო მის ნადელში მოქცეული მიწა და წყალი, როგორც საზოგადოებრივი სიკეთე[11].

ქიაჰრიზები კერძო პირთ ეკუთვნოდათ განჯის გუბერნიის ჯევანშირის მაზრაშიაც, როგორც ეს აღწერილი აქვს ხანაგოვს[12]. ამგვარ საირიგაციო ნაგებობათ აკეთებდნენ აგრეთვე ნახჩევანისა და შუშის მაზრებშიაც, სადაც, მაგალითად, მემამულე ახმედ-ბეგ ჯევანშირს 1880-იან წლებში ჰქონია დიდი ქიაჰრიზები[13]. ქიაჰრიზების წყლით ქ. თბილისშიაც რწყავდნენ ბაღებს[14].

ამიერკავკასიაში, ირანის ყოფილ სახანოებში, უფლებ, წყლის სარგებლობისა ჩრდილავდა უფლებას მიწათმფლობელობისას. წყალი ყოველგვარი მფლობელის მიწაზე უნდა ყოფილიყო გაშვებული[15]. ქართული ადათითაც „თუ აუცილებლობამ მოითხოვა, წყალი შეიძლება თვით ეკლესიაზე იქნას გამოყვანილი[16]“. დაახლოებით ასეთსავე აზრს ატარებდა ვახტანგ VI კოდექსი (§ 170):

---

[10] ქიაჰრიზი — საირიგაციო ნაგებობაა, მთის ფერდობზე, საერთოდ დაქანებულ ადგილას ამოთხრილი ჭების სახით. ჭების ძირი შეერთებულია მიწისქვეშა გალერეიით, რის გამოც ყველა ასეთი ჭიდან წყალი ერთი ხვრელით (მილით) გამოდის და რწყავს დაქანების ქვემოთა მიწის ფართობს.

[11] В. Дингельштедт, „Водовладение и ирригация“, I, 162; МИЭБГКЗК, VII, 50.

[12] МИЭБГКЗК, VI, I, 362.

[13] СКОСХ, VI, 107—111; М. Псарев, l. c., 37.

[14] С. Вейсенгоф, l. c., 154.

[15] В. Дингельштедт, l. c., I, 163; газ, „Кавказ“, 1881 г., №№ 109, 128—129; С. Егиазаров. l. c., I, 249.

[16] Газ, „Юридическое Обозрение“, 1883 г., №№ 137, 138,

„წყალი ასრე რომე, სადაც ხელმწიფე წყლისა და რუს გატანას მოინდომებს... სადაც ეპრიანების რუს თავს ვერავინ დაუშლის, სადაც რუ მოიხდენს; ვენახი თუ ხოდაბუნი, რაც დახვდების, გასჭრის და გაატარებსო“ [17].

მაგრამ არამცთუ მეფეს, არამედ ყველა სხვასაც (მემამულეს, სოფელს) შეეძლო თავისუფლად გაეყვანა სარწყავი არხი, ოღონდ „რუს გამოღებაში, რომ შუაში სხვის მამული ედოს, იმ შუას მამულის პატრონს [თუ] არა გაუკეთდება რა, ფასი უნდა მისცესო“; ე. ი. ასეთს შემთხვევაში მიწის პატრონს სასყიდელს უხდის არხის გამყვანი. მაგრამ თუ ამ არხის გაყვანით იმ მამულსაც სარგებლობა შეუძლია ნახოს, მაშინ არხის გამყვანი და „შუას მამულის პატრონი“ ერთმანეთში უნდა „კარგად მორიგდნენო“[18].

საერთოდ ძველი, ადათობრივი თუ დაწერილი სამართლის ძირითადი აზრი ის იყო, რომ უწყლოდ მიწის დატოვება დაუშვებლად ითვლებოდა,—თუ კი წყლის (არხის) გამოყვანა ტექნიკურად და ეკონომიკურად შესაძლებელი იქნებოდა. ამიტომაც, როდესაც სარწყავი არხი (რუ) კერძო საკუთრება იყო, მაშასადამე, კერძო მიწას რწყავდა, იგი ამ მიწასთან ან ნაწილობრივ მის ნაწილთან ერთად გაიყიდებოდა.

ვახტანგის კანონების 114 §-ში ნათქვამია: „რუს სარწყავ წყალს, როგორც მამულს გაიყოფენ ძმანი, ისრე წყალი იმდენ ნაკადულად გაიყოფისო“. ანდა კიდევ, 1477 წ. გაცემულს, მამულის ნასყიდობის წიგნში ნათქვამია: „მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი მამული კრწანისს ვენახი... მისითა წყლითა, რა გუარადაცა ამას წინად ჰქონებიაო“ [19]. 1713 წ.

---

[17] ვახტანგ VI, „სამართლის წიგნი“, გვ. 92, 113.

[18] იქვე, § 244; შეადარე ბერძნული კანონების 419 და 420 მუხლებს, (გვ. 229).

[19] ნ. ბერძენიშვილი, „დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიისა“, 1940, I, 3—4.

ნასყიდობის სიგელითაც მემამულე მიწას ჰყიდის „თავისის წყლითა, რაც მოუნდებოდეს“ [20].

თავისთავად ცხადია, რომ ასეთს პირობებში შესაძლებელი იქნებოდა მიწის უწყლოდაც გაყიდვა. 1727 წ. გაცემულს მიწის ნასყიდობის წიგნში ნათქვამია: მოგყიდეთ ვენახი ხოვლეს „უწყლოთ მოგყიდეთ, შენის წყლით უნდა მორწყვიდე“[21].

რაც შეეხება საერთო, სათემო არხებს, ამათი უზენაესი განმკარგულებელი მეფე იყო: მეფე „რომელს სოფელსაც უბრძანებს და დააჩემებს (რუს) იმ წყალს, ერთი მეორეს ვერ შეეცილებაო“ [22] — აცხადებს ვახტანგ VI.

საერთო რუს გაყვანა, დაცვა, შეკეთება თემის, თუ კერძო პირთა ამხანაგობის საერთო ძალებითვე წარმოებდა[23], ხოლო მემამულე (თავადი, აზნაური, ხანი, ბეგი, მელიქი, სულთანი, აღალარი) ვალდებული იყო, თუ აუცილებლობა მოითხოვდა, მათთვის არხის გასაყვანად მიწა დაეთმო.

სათემო არხების ექსპლოატაციის საქმესაც, ცხადია, თემი (სოფელი) აწესრიგებდა [24].

როდესაც პატარა მდინარეების სარწყავი წყლით სარგებლობდნენ და, მაშასადამე, ისეთ შემთხვევაში როდესაც თვით ამ მდინარის წყლით მისი ხეობისავე სოფლებს სასურველი ზომით სარგებლობა არ შეეძლოთ, მაშინ ასეთი მდინარის წყალი სოფლებს შორის გარკვეული რაოდენობის მიხედვით ნაწილდებოდა. ამა თუ იმ სოფელს (ვთქვათ ზემოურს) მთელი

---

[20] „საქ. სიძველენი“, ე. თაყაიშვილის რედაქციით, III, № 204, გვ. 246.

[21] იქვე, № 290, გვ. 339.

[22] „სამართლის წიგნი“, § 170; „საქ. სიძვ.“, III, №№ 43, 44, გვ. 35—36.

[23] ვახტანგ VI, „დასტურლამალი“, პ. უმიკაშვილის რედაქციით, 67, 87; დ. ფურცელაძე „Крестьянские грамоты“, 16, 37.

[24] „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, თარგმანი პროფ. ს. ჯიქია, 1941, თბ. წიგნი II, გვ. 385.

წყლის მხოლოდ ნახევარი ან მესამედი შეეძლო გამოეყენებია თავისი ყანებისა და ბაღების სარწყავად, წყლის დანარჩენი ნაწილი ქვემოური სოფლებისა იყო.

1595 წელს შედგენილს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ აღნიშნულია: „ვინაიდან მცოდნე პირნი იუწყებიან, რომ მდინარე წყალთბილადან მომდინარე წყლის ნახევარი ძველი დროიდანვე სოფ. ვალეს სარწყავი წყალი იყო, ამიტომ (ეს გარემოება ასევე) ჩაიწერა ახალ დავთარშიო“ [25]. ქვე ქვემოთ ვკითხულობთ: „...მცოდნე პირნი იუწყებიან, რომ მდინარე ბორბოლადან მომდინარე წყლის მესამედი ძველი დროიდანვე“ სოფ. ზემოსხვილისის „საზღვარზე მდებარე მიწების, ვენახისა და ბაღის სარწყავი იყო“[26]; ანდა კიდევ: „...სოფელ ორალიდან სოფელ ვალეში მომდინარე წყლის მესამედი ძველი დროიდანვე ხსენებული სოფლის საზღვარზე მდებარი მიწის, ვენახისა და ბაღის სარწყავი იყოო“[27].

ამგვარი მდინარეების წყლის განსაზღვრული ნაწილით სარგებლობა პრაქტიკულად ცალკე სოფლების მიერ საერთოდ მდინარის წყლით სარგებლობის მორიგეობითობისა და ამ მორიგეობის ხანგრძლივობის მიხედვით ხდებოდა. თუ მდინარის წყლით სარგებლობა სანახევროდ იყოფოდა ორ სოფელს შორის, მაშინ ერთი კვირა ერთი (ზემოური ან ერთი მხარის) სოფელი რწყავდა, ხოლო მეორე კვირის განმავლობაში მეორე სოფელი მიუშვებდა მთელ წყალს თავის ბაღ-ვენახებსა და ყანებში.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ჩაწერილია, მაგალითად, ასეთი გარიგება სარწყავი წყლით სარგებლობის მორიგეობის შესახებ: „... უფლება მდინარე წყალთბილას წყალზე ხსენებულ სოფელში მდებარე ადგილებს, ვენახებსა და ბაღებს აქვთ. ერთი კვირის (განმავლობაში) ხსენებული

---

[25] „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, თარგმანი პროფ. ს. ჯიქიასი, 1941, თბ. წიგნი II, გვ. 33.

[26] იქვე, გვ. 42.

[27] იქვე, გვ. 45.

სოფელი რწყავს, (ხოლო) ორ კვირას სოფელი ვალე... მცოდნე პირნი იუწყებიან, რომ ამ მდინარით ძველი დროიდანვე ასეთი წესით სარგებლობდნენ..."[28].

მაგრამ მე-19 საუკუნიდან ბიუროკრატიის მფარველობით წაქეზებული მემამულეები, არამცთუ ნებას არ აძლევდნენ თემებს (სოფლებს) გაეყვანათ არხები მათს მიწებზე, არამედ ხშირად სავსებით ითვისებდნენ სოფლების მიერ შეკეთებულ ძველ არხებს, რომლებიც ოდითგანვე თემის საკუთრება იყო[29] და, ამგვარად, დაუსრულებელი დავაქრობა წარმოებდა ამა თუ იმ არხის დაჩემებისათვის.

ამ მხრივ ცნობილია, მაგალითად, პროცესი თბილისს ზემოთ ძეგვისწყაროდან გაყვანილი სარწყავი წყლით სარგებლობის შესახებ. მდინარის ზემოთ ახლადგაშენებული ბაღების მოსარწყავად ძეგვისწყლის თითქმის მთელი წყალი გამოყენებულ იქნა მემამულის მიერ, რითაც ქვემოდ მცხოვრებმა სოფლებმა, რომლებიც დიდი ხნიდანვე სარგებლობდნენ ძეგვისწყალს სარწყავად, დაჰკარგეს მათი მიწათმოქმედური მეურნეობის ეს აუცილებელი პირობა... პროცესი იმდენად გართულდა, რომ საქმემ რამდენიმეჯერ მიაღწია თვით უმართებულეს სენატამდე და დავაქრობა გრძელდებოდა სრული ორმოცი წლის განმავლობაში (1829 — 1869 წწ.)[30].

ცარიზმის ხელისუფლების უყურადღებობის მეოხებით აღმ. საქართველოში იყო შემთხვევები, როდესაც მდინარის ქვემო წელზე მდებარე სოფლებს წყალს ართმევდნენ ზემოურნი[31]; არაიშვიათად მემამულენი, რომელთაც მდინარისპირა მიწები ეკუთვნოდათ, ხელს უშლიდნენ თავიანთს მიწაზე მოსარწყავი არხის (რუს) გაყვანას, ანდა კიდევ უზომო სასყიდელს სთხოვდნენ ამისათვის სოფლებსა თუ თემებს.

---

[28] „ბურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", თარგმანი პროფ. ს. ჯიქიასი, 1941, თბ. წიგნი II, გვ. 51, იხ. აგრ. გვ. 39.

[29] МИЭБГКЗК, III, II, 65; VI. II, 357; С. Егиазаров, l. c. I, 251—253.

[30] СКОСХ, VI, 153; СМЭБГК, V, I, 19; С. Егиазаров, l. c., I, 238, 257.

[31] МИЭБГКЗК, III, II, 61; IV, II, 205; V, I, 118,

მდ. ქსანიდან გაყვანილი სარწყავი არხების შესახებ, რომლებიც თავ. მუხრანბატონის მამულში გადიოდნენ, ქ. ვერმიშევი 1885 წ. წერდა: „ამგვარად, მთელი ველის სასიცოცხლო ნერვი მთლიანად მემამულის ხელშია და მის უშუალო მეთვალყურეობას ემორჩილება. თუ ჩვენ მხოლოდ გავიხსენებთ, რაოდენ დიდია მეურნეობისათვის წყლის მნიშვნელობა, მაშინ აშკარად დავინახავთ მთელ ხელსაყრელობას მემამულის კარმიდამოს ამგვარი მდებარეობისა. შეიძლება ითქვას, რომ ფლობს რა ამ სასიცოცხლო კვანძს, მემამულეს მით უზრუნველყოფილი აქვს ბატონობა მთელს მიდამოში“[32].

კერძო მეპატრონეები ხშირად უზომო სპეკულაციას ეწეოდნენ სარწყავი წყლით. ი. სერებრიაკოვი 1862 წ. წერდა: „ტფილისში გენერალმა ყორღანოვმა გააკეთა ორთქლის წყლის ამოსაღები მაშინა მტკვრის პირზედ და თუმცა მეტად კეთილსინდისიერად იქცევა (sic! — პ. ბ.). მაგრამ მაინც ორის დღის მიწის მორწყვა რომ გინდოდეთ. წელიწადში ჯდება ორმოცი თუმანი“[33].

ბევრად უფრო გვიანაც, თვით 1900-იან წლებშიაც აღმ. ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეში დიდი შემოსავლის მომცემი იყო სარწყავი წყალი: არხი, მილი თუ ქიაჰრიზი, რომელთაც კერძო პირები აკეთებდნენ წყლით ვაჭრობის მიზნით. მაგალითად, 1911 წ. ნახჩევანში ამ მიზნით ქიაჰრიზები გააკეთა მელიქ-ეინათოვმა, რომელმაც საამუშაოთა შესასრულებლად თბილისიდან წაიყვანა ჰიდრავლიკოსი[34].

როგორც წყლით სპეკულაცია, ისე მემამულეთა მიერ სარწყავი არხების დაჩემება — რის ფაქტებსაც ქვემოდ დაწვრილებით შევეხებით — ძველად იშვიათად ხდებოდა. რუ-

---

[32] Х. Вермишев, „Очерк хозяйства И. Багратиона-Мухранского“, стр. 317.

[33] გაზ. „გუთნის-დედა“, 1862 წ. № 24.

[34] КХ, 1911 г., № 19, 13—14.

სეთთან შეერთებამდე აღმ. ამიერკავკასიის სახანოები იყოფოდა ცალკეულ, შედარებით წვრილ, ადმინისტრაციულ ერთეულებად—მაჰალებად[35]. სხვადასხვა პროვინციაში მაჰალს განაგებდა ნაიბი[36], ბეგი, სულთანი, მინბაში ანდა მელიქი[37].—სახელწოდებებს შორის არსებულ განსხვავებათა მიუხედავად მათი ფუნქციები და კომპეტენცია თითქმის სავსებით ერთგვარი იყო. ამათ, მსგავსად ძველი საქართველოს მოურავებისა, თავიანთს რაიონებში ეპყრათ ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლება, თუმცა თვით თემის შინაგანი მმართველობის რიგ საკითხში ისინი სრულებით არ ერეოდნენ; ასეთი იყო მაგალითად ფინანსიური მმართველობა[38].

მაჰალი, როგორც წესი, წარმოადგენდა მდინარის ხეობას, ჭალას, ველს, აუზს და წყლის უმაღლესი ადმინისტრატორი აქ მ ე რ ა ბ ი (მირაბი) იყო[39]. ცარიზმის მთავრობამ ქვეყანა დაჰყო სულ სხვა პრინციპის მიხედვით და რამდენადმე უფრო მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულებად — მაზრებად. მაგრამ მ ა ჰ ა ლ ი როგორც წ ყ ლ ი ს რ ა ი ო ნ ი მაინც დარჩა; ოღონდ ამ დროიდან იგი, ცხადია, არ ემთხვეოდა სახელმწიფოებრივად მიღებულ ადმინისტრაციულ-სამმართველო ერთეულს. ერთ მაზრაში რამდენიმე მაჰალი შედიოდა. წყლის უფროსად კვლავ მერაბი დარჩა, მაგრამ თუ წინათ მას ირიგაციის სეზონის დასაწყისში ყ ო ვ ე ლ წ ლ ი ვ ი რ ჩ ე ვ დ ნ ე ნ, ამ დროიდან არჩევა უკვე სამი წლით ხდება[40].

მერაბს ჰყავდა თავისი თანამშრომლები[41]. მერაბის პირ-

---

35 მ ა ჰ ა ლ ლ, სპ. — mahall, რაიონი, უბანი.

36 АСКАК, VIII, № 388

37 АСКАК, I, № 159, стр, 196

38 Вейсенгоф, l. c., 134—135; Ергазаров l. c., 81—82.

39 მერაბი (მირაბი) — სპ., თურქ. mir-ap; mir-abi — წყლის თავი, წყლის უფროსი.

40 МИЭБГКЗК, II, I, 173, 452; VI, II, 89, 362; VII. 55; III, II, 52; V, I, 5.

41 Вейсенгоф, l. c., 135; МИЭБГКЗК, VI, II, 362; Haxthausen, l. c., 173.

ველი ხელქვეითია ჯ უ ვ ა რ ი[42], რომელსაც ნიშნავს სოფელი, თემი. ჯუვარს პოლიციური უ ფ ლ ე ბ ა-მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა აკისრია. მისი მთავარი დანიშნულებაა თვალყური ადევნოს წყლით სარგებლობის უფლების დაცვას, რათა ვინმემ ზედმეტი წყალი არ მიითვისოს, სხვისი რიგით არ ისარგებლოს და სხვ. ჯუვარი გარკვეულ ხელფასს ღებულობს. აღმ. ამიერკავკასიაში, სადაც გატარებული იყო წყლის ადმინისტრაციის ამგვარი სპეციალიზაცია, ჯუვარი სხვადასხვა მაზრაში სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი[43].

მერაბი და მისი ხელქვეითნი დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდნენ. მსხვილ მემამულეს (ბეგს) ხშირად საკუთარი მერაბი ჰყავდა, რომელიც, ცხადია, მთლიანად მემამულის ინტერესებს ემსახურებოდა[44].

მერაბი ჩვეულებრივად ხელმძღვანელობდა მთელს მაჰალში სარწყავი წყლის განაწილებას ცალკე თემებსა თუ სოფლებს შორის, — მეთვალყურეობდა არხების (რუების) დაცვის საქმეს; მასვე ეკუთვნოდა გ ი რ დ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა — ე. ი. აუცილებლობის შემთხვევაში რიგგარეშე ამა თუ იმ სოფლის ნათესისათვის წყლის მიწოდების და, მაშასადამე, მაჰალში, ამ ხნის მანძილზე, ყველა სხვისათვის წყლის შეწყვეტის უფლება[45].

მერაბს, გარდა ხელფასისა, ეძლეოდა ერთი ან ორი ბ ა შ ი. ე. ი. მას შეეძლო საკუთარ მამულში გაეყვანა რუ, რითაც მთელი მაჰალის ე. წ. ზ ე დ მ ე ტ ი სარწყავი წყალი მის საკუთრებაში გადადიოდა[46]. მართალია, ბოროტმოქმედების შემთხვევაში მაზრის უფროსს, გუბერნატორს, შეეძლო მერაბის დასჯა, დაჯარიმება, გადაყენებაც; მაგრამ მერაბი, როგორც ამბობდნენ, თვითონ იყო „მაჰალის გუბერნატორი“.

---

[42] H a x t h a u s e n, l. c., 176; В е й с е н г о ф, l. c., 135; Е г и а з а р о в, l., c. 100, 265—266; МНЭБГКЗК, VI, II, 89, 362; VII, 55.

[43] МНЭБГКЗК, II, I, 173, 452; VI, II, 88—89.

[44] МНЭБГКЗК, VI, II, 85.

[45] გირდავ—სპ. Girdav—წყლის შეწყვეტა, შეჩერება.

[46] МНЭБГКЗК, VI, II, 85.

მერაბის თვითნებობას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ცარიზმის ადგილობრივ ადმინისტრაციას თვით 1890 წლამდე არა ჰქონდა სახელმძღვანელოდ გარკვეული კანონმდებლობა წყლით სარგებლობის უფლების შესახებ, ირიგაციის საქმეშიაც იგი საერთოდ ნაკლებად ერკვეოდა და არც შესაბამისი ადგილობრივი ადათ-ჩვეულება იცოდა. ყოველდღე ამის გამო მერაბს თითქმის უშიშრად შეეძლო წვრილი თუ მსხვილი ბოროტმოქმედება ჩაედინა. „მის ხელში ძლიერ იარაღს წარმოადგენს გირდავის დანიშვნის უფლება და „ზედმეტი“ წყალი, რაც მას ეძლევა ჯილდოს სახით. ხშირად, ემყარება რა ვითომდა „უკიდურეს აუცილებლობას“, იგი მაჰალის მთელ წყალს აძლევს თემებს, რომლებიც მას უხვი „საჩუქრებით“ იმადლიერებენ, ანდა წამოაყენებენ და მხარს უჭერენ მის კანდიდატურას არჩევნების დროს“[47].

მერაბი ამასთანავე ყოველივე ხერხით ცდილობდა დაესაჯა ის სოფლები, თემები, რომლებიც არჩევნების დროს მის წინააღმდეგ მისცემდნენ ხმას[48]. წყლით, ბაშის სახით რომ ეძლეოდა, მერაბი აშკარად ვაჭრობდა. მაგრამ მერაბს შეეძლო, და ამ შესაძლებლობით იგი ყოველ ნაბიჯზე სარგებლობდა, „ზედმეტი“ წყლის სახით აუცილებელიც მიეთვისებინა და როდესაც ზოგიერთი თემის ნათესები უწყლობით ფუჭდებოდა, მერაბი თავისუფლად ჰყიდდა ხოლმე „ზედმეტ“ წყალს იმაზე, ვინც მეტს მისცემდა[49].

მერაბი წყალს აძლევდა გავლენიან მემამულეს, კულაკს. ყველას ვისგანაც რაიმე სარგებლობას მოელოდა, ანდა უხვად რწყავდა საკუთარ ყანას, რაც მას ჰქონდა სხვადასხვა თემში.

სხვადასხვა თემში მერაბს ყანა ისევ ბოროტმოქმედების მეთხებით უჩნდებოდა: მცირეწყლიან რაიონებში გლეხები

---

[47] СМЭБГК, III, II, 53.

[48] КСХ, 1898 г. № 239, стр. 501—503.

[49] ს. მირზაიანცი წერდა, რომ „ვაღარშაპატში ჯუვარები წყალს ყიდიან მდიდრებზე, ხოლო ღარიბთა ბაღები მოურწყველი რჩებაო“ (КСХ, 1895 г., № 62, стр. 1081).

სიამოვნებით თანხმდებოდნენ თავიანთი მიწა დაემუშავებინათ სანახევროდ იმასთან, ვინც იძლეოდა გარანტიას ზაფხულობით ამ ყანის მორწყვისა. ასეთი ყოვლისშემძლე კი იყო მხოლოდ მერაბი, რომელსაც გლეხები ამ პირობით სანახევროდ აძლევდნენ ყანებს. სწორედ ამგვარად მერაბს ერთს თემში ჰქონდა ბაღი, მეორეში — ბოსტანი, მესამეში — ბამბის პლანტაცია, მეოთხეში — ბრინჯის ყანა, რამდენადაც „გლეხები ნებაყოფლობით შედიან მის მფარველობაში“, რათა უზრუნველყოფილი იქნან სარწყავი წყლით. ხოლო იმ დროს, როდესაც მერაბი, ამგვარად, მოიხმარს „ზედმეტ“ წყალს — „ტირილითა და დრტვინვით ემუდარება მას მთელი სოფელი, რათა იხსნას იგი საშინელი განადგურებისაგან“ [50]... ამგვარად, სარწყავი წყლით სპეკულაცია, მოკლე დროში გამდიდრების უბადლო საშუალებათაგანი იყო.

აღმ. საქართველოში — თბილისის გუბერნიაში — სარწყავი წყლის გამგებლობა მ ე რ უ ი ს [51] ან ა რ ხ ჩ ი ს [52] ხელში იყო; მეთვრამეტე საუკუნეში გვხვდება მ ე რ ა ბ ი ც, რომელსაც მეფის ხელისუფლება ნიშნავდა [53]. ბარონ ჰ ა ქ ს ტ ჰ ა უ ზ ე ნ ი ს აღწერით (1843 წ.) აღმ. საქართველოში „ყველგან ვხვდებით არხებსა და მასზე დამყარებულ მორწყვის სისტემას; ყოველი პატარა მდინარე გამოყენებულია; სოფლები ინახავენ და უვლიან არხებს; ხშირად რამდენიმე სოფელი ერთიანდება არხთა არადიდი სისტემის საერთო ძალებით მოვლა-დაცვისათვის და მაშინ ეს ს ო ფ ლ ე ბ ი ჰ ქ მ ნ ი ა ნ ე რ თ გ ვ ა რ ა მ ქ ა რ ს. ყოველი მისი მიწის სიდიდის მიხედვით ეწევა ტვირთს და მონაწილეობს სარფაში, ე. ი. გარკვეული საათების განმავლობაში ირწყვის მისი მიწა და სხვა. ამქარს მეთვალყურეობს არჩეული მამასახლისი ჰიდრავ-

---

[50] МНЭБГКЗК, III, I, 274; С. Е г и а з а р о в, l. c., I, 263.

[51] H a x t h a u s e n, l. c., II, 60; В е й с е н г о ф, l. c., 134—135; МНЭБГКЗК, III, II, 61; V, I, 168.

[52] МНЭБГКЗК, III, II, 61.

[53] ი. ა ნ თ ა ძ ე, l. c., 142 — 143.

ლიკის ნაწილში — მერუე, — რომელიც განაგებს და ზედამხედველობს არხის სამუშაოებს და წყლით სარგებლობას, მომრიგებელია დავაში და სხვ. ვინც მერუეს არ დაემორჩილება ანდა მას შეურაცყოფას მიაყენებს, იმას თემი ახდევინებს ხარს, რომელსაც დაკლავენ და შეჭამენ. მერუე ღებულობს მცირე შემოსავალს ბაღებიდან და სხვ.[54].

აქ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ა. ჰაქსტჰაუზენი, რომელიც სერიოზული დამკვირვებელი იყო საზოგადოებრივი ცხოვრებისა, აცხადებს, რომ საქართველოში წყლით სარგებლობის მოწესრიგების საფუძველზე სოფლები ერთგვარ ამქარს ჰქმნიანო. ცნობისმოყვარეობის აღმძვრელია, რომ ასეთივე ხასიათის ამქარის არსებობა თითქმის 45 წლის შემდეგაც არის აღწერილი, მაგრამ ახლა არა საქართველოში, არამედ სომხეთში — მორწყვაზე დამყარებული მებოსტნეობის მაგალითზე.

ქ. გუმბრში (ლენინაკანში) მებოსტნეები, თუ უფრო ადრიდანვე არა, 1828 წლიდან მაინც მოყოლებული, თურმე ჰქმნიდნენ ცალკე ამქარს. ამქარს ჰყავდა უსტაბაში. ეს კორპორაცია 1887 წელს აღწერა კ. ტერ-პეტროსიანცმა[55]. როგორც უკანასკნელი მოგვითხრობს, უსტაბაში ადათის მიხედვით აწესრიგებდა უსტათა (ოსტატთა) შორის წამოჭრილ დავებს და, რაც მთავარია, მეთვალყურეობდა თვით მებოსტნეთა (ოსტატთა) მიერ გაყვანილი არხიდან წყლით სარგებლობის წესრიგს. ადათის მიხედვით სარწყავი წყლით ბოსტნის მორწყვა შეეძლო მხოლოდ იმ მებოსტნეს, რომელსაც ამქრის (თემის) მიერ მინიჭებული ჰქონდა მებოსტნეობის ოსტატის წოდება. ამასთანავე მებოსტნეობისათვის ხელისმოკიდება შეეძლო მხოლოდ საბოსტნე მიწის მესაკუთრეს, რომელსაც უფლება ჰქონდა იჯარითაც აეღო საბოსტნე მიწა. მაგრამ ოსტატის წოდების არამქონე მებოსტნეც (ქარგალიც) არ

---

[54] Haxthausen, l. c, II, 58.

[55] К. Тер-Петросянц, „Очерк сельск.-хоз. культуры в Александрополе“ (ТКОСХ, 1887 г., № 9—10, стр. 632—633).

რჩებოდა უსაქმოდ. რამდენადაც მებოსტნეობის პროდუქტებზე დიდი მოთხოვნილება იყო ოსტატი-მებოსტნე იჯარით იღებდა მიწის დიდ ნაჭერს, რასაც ამუშავებდა დაქირავებული მუშის (ქარგლის) დახმარებით.

მაგრამ მებოსტნე-ოსტატს მაინც არ შეეძლო სურვილისამებრ გაედიდებინა თავისი ბოსტნის ფართობი; რადგან მას, ადათის მიხედვით, მხოლოდ განსაზღვრული, ამქრის უველა წევრისათვის თანაბარზომიერი რაოდენობით შეეძლო ესარგებლა სარწყავი წყლით. ამ შეზღუდვას შეძლებული მებოსტნე თავს აღწევდა იმით, რომ მას თავის ბოსტანში ვონაწილედ შეჰყავდა (ხშირად, ალბათ, მოჩვენებით მონაწილედ!) მიწის მცირე ნაჭრის მქერელი მებოსტნე-ოსტატი და ამ გზით იდიდებდა მისაღები სარწყავი წყლის რაოდენობას, რათა მოურწყველობით ბოსტანი არ გაფუჭებოდა — „რამდენადაც წყლით სარგებლობის რიგი და ხანგრძლივობა დამოკიდებული იყო მხოლოდ ამქრის წევრ მებოსტნე-ოსტატზე (პიროვნებაზე) და არა მის მიერ საბოსტნედ აღებული მიწის ფართობზე“[56].

ამგვარად, ორსავე შემთხვევაში, საქმე გვაქვს საინტერესო მოვლენასთან სარწყავი წყლით სარგებლობის საფუძველზე, როგორც სოფლად ისე ქალაქად, ამქრული კორპორაციის წარმოქმნისა და არსებობისა. მაგრამ სადაც არ უნდა იყოს ეს ამქარი, იგი სოფლის მეურნეობის სექტორში მოძრაობს, გლეხურ მიწათმოქმედურ საქმიანობაზეა დამყარებული და სწორედ ამდენად გვევლინება, როგორც ერთგვარი გარდამავალი საფეხური, სოფლის თემიდან (მარკიდან) ქალაქურ ხელოსანთა ამქრული კორპორაციისაკენ[57].

---

[56] К. Тер-Петросянц, „Очерк сельск.-хоз. культуры в Александрополе“ (ТКОСХ, 1887 г., № 9—10, стр. 633).

[57] იხ. პ. გუგუშვილი, „ამქრული ხელოსნობის დაშლა ამერკავკასიაში“ (ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, გვ. 264 — 265).

მოკლედ: ამიერკავკასიის ისტორიული სინამდვილიდან ზემოხსენებული ფაქტები ერთხელ კიდევ ცხადყოფენ და ამტკიცებენ ბურჟუაზიული ეკონომიკური მეცნიერებისათვის იმ დღემდე სადაო და მიუღებელ დებულებას ფრ. ენგელსისა, რომ, როგორც საქალაქო წყობილებას ისე ამქრულ ორგანიზაციასაც საფუძვლად დაედვა თემური წყობილება[58].

მაგრამ დავუბრუნდეთ მერუეს. როგორც აღმ. ამიერკავკასიის სხვა გუბერნიებში, ისე თბილისის გუბერნიაშიც მერუეს ჰქონდა გირდავის უფლება[59]. გასაგებია, რომ მერუე, მსგავსად მერაბისა, ხშირად ბოროტად სარგებლობდა თავისი უფლებით, სპეკულაციას ეწეოდა წყლით, ღებულობდა ქრთამს[60] და ა. შ. მაგალითად, კახეთში „მერუეების თვითნებობის მეოხებით, თუ მოხელის ბრძანებით, წყალი ყოველთვის არეულათა ხმარდება მეურნეს და ზოგი თუ მთელი წლის განმავლობაში თავის მამულს... რწყავს ბევრჯერ და ძლიერადაც, მისი მომიჯნავე — ვერც ერთხელ. ამის გამო ბევრჯერ ისიცა ხდება, რომ არამცთუ ერთმანეთს უწყვეტენ და ჰპარავენ წყალს, საქმე იქამდინ მიაღწევს ხოლმე, რომ ერთმანეთს სიკვდილით აღარ ინდობენ და ბევრჯერაც დაუმტვრევიათ მომიჯნავეებს ერთმანეთისათვის თავპირი“[61].

ქვემოთ კორესპონდენტი აღნიშნავს ამგვარი ვითარების მიზეზსაც: „თუ სოფლის მოხელესთან კეთილად არა ხართ განწყობილი და ერთერთმანეთშორის რამ შუღლი გაქვთ ჩამოვარდნილი, ნუ იფიქრებთ, რომ თქვენ თქვენი ჭირნახული მორწყათ და ამით გადაარჩინოთ ძირფესვიანად ამოხმღბისაგან... ბევრჯერ ისიცა ხდება, რომ, მართალია, მოხელესთან კარგად ხარ, მაგრამ მერუეებს ყოველთვის რიგიანი საუზმე, სადილი, სამხარი და ვახშამი თუ არ გაუკეთე და მამაპაპუ-

[58] ფრ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, 1935, თბ., 171; К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, 1933, М., IV, 41—42.

[59] СМЭБГК, II, 421.

[60] МИЭБГКЗК, IV, II, 206; V, I, 23, 188.

[61] ნ. ველისციხელი „წერილი კახელებისადმი“ (გაზ. „მეურნე“, 1889 წ. № 28, გვ. 5).

რად არ გამოათვერი, უამისოდ წყალს ვერ მიუშვებთ მამულში...“[62].

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ მერუე „ძველითგანვე არსებული“ წესით გასამრჯელოს (ხელფასს) ნატურით ღებულობდა, რაც კახეთის მეღვინეობის რაიონებში ყოველ დღიურ ვენახზე, რომელიც ირწყვოდა, ერთ ჩაფს უდრიდა. წინათ, ნატურალურ ურთიერთობათა ბატონობის დროს, შეიძლება ეს ერთი ჩაფი ღვინო დიდი ხელფასი არ ყოფილიყო, მაგრამ რეფორმის მერმინდელ პერიოდში, როდესაც ღვინოს თანდათანობით ფართო ბაზარი გაეხსნა — მერუეს ზოგან მაინც ფრიად მაღალი გასამრჯელო გამოუდიოდა. „ამ თითო ჩაფობით იმდენი უდგებათ მერუეებს“ ღვინო, რომ ამის გაყიდვით „რამდენიმე კაცის დაქირავებას შეიძლებდა სოფელი“[63]. ამასთანავე ხშირად ეს მერუეები აუცილებლად საჭიროზედ ბევრად მეტი ჰყავდა სოფელს და ამ გზით მით უფრო ძვირი უჯდებოდა მორწყვა.

ოფიციალური დამკვირვებელნიც კი აღიარებენ, რომ წყლით სარგებლობის მოუწესრიგებლობა და „მთელი ეს მექრთამეობა და ანარქია გამოწვეულია წყლისმფლობელობაზე სპეციალური კანონის არარსებობით“[64]. ხოლო საერთო საიმპერიო კანონებში „ძნელია კაცმა მიაგნოს ძირითად საწყისებს საირიგაციო უფლებათა მოწესრიგებისათვის, რამდენადაც ისინი გამოცემულია ცენტრალური გუბერნიებისათვის [რუსეთისა]“, სადაც მდინარეებს, მსახურებენ რა მხოლოდ სამიმოსვლო. გზების სახით, სულ სხვა ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდათ, ვინემ აღმ. ამიერკავკასიაში, სადაც ყოველ მდინარეს ადგილობრივი ცხოვრებისათვის კერძოდ სოფლის მეურნეობისათვის, უმთავრესად მხოლოდ იმდენად ჰქონდა ფასი, რამდენადაც იგი საჭირო და გამოსაყენებელი იყო ირიგაციისათვის. მდინარეთა სხვა მნიშვნელობა აქ ბუნებრივად მეორე რიგზე დგებოდა.

---

[62] ნ. ვ ე ლ ი ს ც ი ხ ე ლ ი „წერილი კახელებისადმი“ (გაზ. „მეურნე“, 1889 წ. № 28, გვ. 5).

[63] იქვე.

[64] СМЭБГК, II, 122—123.

III. ბატონყმობის გადანაშთები სარწყავი წყლის მფლობელობაში

რეფორმამდელ პერიოდში თუ სოფელს, გლეხს (მიწათმომქმედს) საკუთარი ან თავისი მებატონის სარწყავი წყალი არ ჰქონდა, მაშინ იგი მას სხვა მფლობელის არხიდან ღებულობდა, რისთვისაც როგორც წესი, ვალდებულებას კისრულობდა წლიურად რამდენიმე დღე, შესაბამისად სარწყავი ფართობისა, ემუშავა წყლის მფლობელისათვის, რომელსაც ზოგიერთ შემთხვევაში აძლევდა აგრეთვე მოსავლის მცირეოდენ ნაწილსაც, ნატურით[1].

1860 — 1870-იან წლებში ამიერკავკასიის სხვადასხვა გუბერნიასა და ოკრუგში საგლეხო რეფორმის შესახებ გამოცემულ კანონმდებლობით აქტებში ყველგან გატარებულია ის აზრი, რომ, როგორც სასმელი ასევე სარწყავი წყლით გლეხობის მიერ (მიწის მუშათა მიერ) სარგებლობა, ე. ი. ყანების, ბაღების, ბოსტნების მორწყვა, ამასთანავე ახალი სარწყავი არხების გაყვანა „ემორჩილება ამა თუ იმ ადგილას არსებულ ჩვეულებებს (ადათებს), სანამ მთავრობა ამ საგანზე არ გამოსცემს სრულ კანონებს“[2].

როგორც ქვემოთ დავინახავთ, სარწყავი წყლით სარგებლობის შესახებ ხსენებული „სრული კანონები“ ცარიზმის ხელისუფლებამ გამოსცა მხოლოდ 1890 წელს[3]. ეს კანონი სარწყავ წყალს განიხილავდა როგორც თავისებურ საზოგადოებრივ კუთვნილებას, რომელიც ნაწილდებოდა არა მფლობელთა, არამედ თვით მიწის მიხედვით — „ვისაც-გინდ იგი არ ეკუთვნოდეს“. მიწათმფლობელის განუყოფელ საკუთრებაში

---

[1] П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения“, 1950, т, II, 315.

[2] იქვე, გვ. 641 — 642; იხ. აგრ. ტ. IV, გვ. 549, 577, 585, 702 — 705.

[3] КК на 1914, отд общий, стр. 35—56.

რჩებოდა მხოლოდ ის წყალი, რომლის საწყისი და დასასრულიც ამავე მფლობელობის (მამულის) ფარგლებით ისაზღვრებოდა და მის საზღვრებს არ სცილდებოდა, არც საერთოდ და არც წლის რომელიმე დროში[4].

კანონის ამ „სულიდან" გამომდინარე დაუშვებელი იყო წყლით სარგებლობის საფუძველზე წვრილ მიწათმოქმედთა რაიმემხრივი დამოკიდებულება მემამულეთადმი, მაგრამ ეს იყო საკითხის, ასე ვსთქვათ, თეორიული მხარე და სინამდვილე სულ სხვარიგად გამოიყურებოდა.

წყლისმფლობელობისა და წყლით სარგებლობის სფეროში რუსეთის საიმპერიო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებით სარგებლობდნენ ცარიზმის ადმინისტრაციასთან შეხმატკბილებული ადგილობრივი მემამულეები და იჩემებდნენ სარწყავ რუებს და ხშირად მთელი მდინარის წყლით სარგებლობის უპირატესობასაც.

ამ მხრივ ზოგიერთი მემამულის თვითნებობა იქამდეც კი მიდიოდა, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც, ახერხებდა გლეხობის დაბეგვრას სარწყავი რუებით სარგებლობისათვის; — ანდა უწინარეს სავსებით უსპობდა მთელ რიგ თემს სარწყავი წყლით სარგებლობის საშუალებას, რამდენადაც მდინარის ზემოთ, ამა თუ იმ საჭიროებისათვის, მოიხმარდა თითქმის მთელ გამოსაყენებელ წყალს, ხოლო შემდეგ, თუ ქვემოური სოფლები იკისრებდნენ მისთვის ბეგარის გადახდას — გაუშვებდა ხოლმე ქვემოთ წყლის ნაწილს.

1872 წ. მთელს ქართლში გვალვიანი ზაფხული იყო. დაიმშა არა მხოლოდ ურწყავი, „აგრეთვე ბევრი სარწყავი ადგილებიცა, რადგან მომეტებული წყალი დაშრა. გალმა მხარი, რომელიც ირწყვის ატენის ხეობის წყლით, ტანათი, და რომელიც არის საუკეთესო ადგილი ქართლში, დაიმშა უფრო კიდევ სხვა მიზეზით. რათგან ეს წყალი, დიახ პატარაა ტივების საზიდათ, ამის გამო ატენის მებატონემ თავ. გრ. ერ'ის-

[4] П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения", 1955, т. IV, стр. 531; იხ. აგრ. იქვე, გვ. 168—169, 192—193.

თავმა, რომელმაც გასცა თავისი სატივო ტყე იჯარით, დამართა საგუბრები. წყალი სამი-ოთხი დღე გუბდებოდა ხეობაში, სადაც ჰყრიდნენ დაგუბებულს წყალში ტივებსა და მერმე ერთბაშად უშვებდნენ ზვავს წყალს ტივების წამოსაღებათ, რომელიც ჩამოიწმინდებოდა რამდენიმე საათის განმავლობაში და მერმე ისევა გუბდებოდა ამავე საქმისათვის. ამგვარად მთელი მხარე დარჩა უწყლოთ და მოურწყავათ იმისთანა გვალვიანს წელიწადში"[5].

მდ. ტანას ქვემოურმა სოფლებმა, ცხადია, თავის დროზე მიმართეს გორის მაზრის ადმინისტრაციასა და სასამართლო ორგანოებს, რათა თავ. ერისთავს მათთვის არ წაერთმია სარწყავი წყალი, ურომლისოდაც ამ სოფლებს განადგურება მოელოდათ. მაგრამ გავლენიანმა მემამულემ შესძლო — შესძლო წინააღმდეგ არსებული წესებისა და ტრადიციისა — საქმის მოგება.

თითქმის ერთი წლის შემდეგ თბილისის საოკრუგო სასამართლომ „ეს საქმე განიხილა აპელაციის წესით, რომელიც გადაიტანეს დაჩაგრულმა სოფლებმა, და გადასწყვიტა სასარგებლოდ სოფლებისა, რომ ერისთავს აღარ შეეძლო ტანას დაგუბება. წარმოიდგინეთ ის პირნი, რომელნიც მთელს მხარეს იმეტებენ დასაღუპათ თავის პირადის სარგებლობისათვის და ის პატიოსანი ადვოკატები, რომელნიც ყოვლის ღონისძიებით ცდილობდნენ ამგვარი კაცების მოქმედების გამართლებას და ქვეყნის დაღუპვასო" — პათეტიკურად აცხადებს ფელეტონისტი[6].

თუ რა საბუთით ამართლებდა თავ. ერისთავი თავის პრეტენზიას და მოქმედებას, ვგებულობთ სიტყვებიდან მომჩივანი სოფლების ერთ-ერთი წარმომადგენლისა, რომელიც საოკრუგო სასამართლოს მსაჯულთა წინაშე აცხადებდა:

„ატენის ხეობა, სადაც ჩამოდის მდინარე ტანა და რომლითაც ირწყვის მთელი მხარე, მიეცა განსვენებულს ღენერალს

[5] გაზ. „გუთნის ედა", 1873 წ. № 5, გვ. 4—6.
[6] იქვე, № 7, გვ. 1.

თავადს გიორგი ერისთავს, ახლანდელი წყლის მემკვიდრის სიმამრს, მმართველობისაგან მისთვის, რომ მას დაეცვა ამ ხეობიდამ გამოსული ლეკის თარეშებიდამ ეს მხარე. ჩვენ შეგვისრულეს ეს: ლეკები აღარ გვაწუხებენ, რომლებიც უმაგათოთაც მოსპო მმართველობამ, მაგრამ ჩვენ გვირჩევნია ისევ ლეკების ხელში დავრჩენილიყავით, ისევ ლეკებს ავეკალით, ვიდრე უწყლოთ ამოწყვეტასა! ლეკს ვაჟკაცობით, თოფით, იარაღით მაინც შევიკავებდით და ვერ გვიბედამდენ ჩვენს უკანასკნელებამდის მიღწევას. მაგრამ, როგორ უნდა გაუძლოს ხორციელმა კაცმა უწყლობას! ლეკს რაც უნდა ექნა, წყალს ვერ შეგვიკრავდა. დღეს წყალს გვასალმებენ! მიიღეთ ყურადღებაში: ნუ თუ ლეკების შემოსევა უწყლობაზედ უარესი იყო? დაგვიცვეს ლეკებიდამ და დაგვაგდეს უწყლოთ“![7].

ამ სიტყვებს განმარტება არ სჭირდება. მაგრამ ისიც გამოიარკვა, რომ თავ. ერისთავს ტანას წყლის დაგუბებისას, გარდა ტივების ჩაცურებისა, თურმე სხვა მისწრაფებაც ამოძრავებდა. გრ. ერისთავი სასამართლომდეც თანხმდებოდა წყლის გაშვებას, ოღონდ სოფლებისაგან „სანაცვალგებოდ“ გარკვეულ გადასახდელს თხოულობდა ამისათვის. ამგვარად, „თურმე ერთი მიზეზთაგანი ამ წყლის დაგუბებისა ყოფილა ისა, რომ დასდონ წყლის ბეგარა იმ ხალხს, რომელნიც ხმარობენ ამ წყალს. რასაკვირველია, ამ წადილს კიდეც შეისრულებდა [მემამულე], რომ მარტო ჩვენი... სოფლები ყოფილიყვნენ ამ წყლის ამარა. მაგრამ ბედი ამ სოფლებისა, რომ აქ ჰქონდათ მამულები და ვენახები მრავალ გორელობასაც. გორელი ხალხი... არ გაება დაგებულს მახეში და მიმართეს სასამართლოს“.

გადმოგვცემს რა ყოველივე ამას ფელეტონისტი, რომლის ვინაობა სამწუხაროდ ჩვენთვის უცნობია, — თუ იგი ანტონ ფურცელაძე არ არის — აცხადებს: „საკვირველი ხალხია აქაური თავადაზნაურობა. რომ შესაძლებელი იყვეს და მმართველობა ნებას მისცემდეს ვგონებ ჰაერიც კი საბეგროდ

[7] გაზ. „გუთნის დედა“, 1873 წ. № 5.

გაჰხადონ და გლეხკაცს გადასახადი დაადონ ამაში. მართლაცაა და საკვირველი უსამართლობა სჭირთ აქაურთ გლეხკაცობას, თითქმის მთელს უეზდში [გორისა] წყლის ბეგარის შესახებ. რუები, რომელიც გამოდის გლეხკაცის ხელითა, რომელიც მაგრდება და ინახება გლეხკაცის ჯანით, არიან საბეგრონი და გლეხკაცი აძლევს ამაში გადასახადს მებატონეს და ხშირად იმ მებატონეს, რომლისაც მამულზედ თითქმის არც კი გადის ეს რუები და რომელიც თვითონაც ჰსარგებლობს ამ რუთი გლეხკაცის მარჯვენის შემწეობით"[8].

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ არც ადათობრივი სამართლითა, და არც ვახტანგ VI კანონით[9], რომლებიც ამ მხრივ კიდეე ძალაში იყვნენ, წყლის დაბეგვრა მემამულეებს არ შეეძლოთ, უკანასკნელნი მაინც ახდევინებდნენ გლეხებს ამ ბეგარას. ასეთს პირობებში სავსებით მართებულია ფელეტონისტი, რომელიც აცხადებს, რომ მემამულეებმა გორის მაზრაში მხოლოდ ძალმომრეობით მიაღწიეს სარწყავი წყლის დაბეგვრას და ისიც ბატონყმობის გაუქმების შემდეგ. ცხადია, მემამულეები ამ ძალმომრეობის დასაბუთებას ცდილობდნენ, რათა „თავის საქმის გასამართლებლად ჰქონოდათ რაიმე მიზეზი". ხოლო „მიზეზი ერისთავთაგან თითქმის მთელი ვაკე გორზევით ხალხის დაბეგვრისა ის იყო, რომ მართლაცა და 1837 წლამდინ ამათ ეკუთვნოდათ ეს მხარე"[10].

ჩვენს ფელეტონისტს ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს საქართველოში და კერძოდ გორის მაზრაში თავადების ყმობიდან აზნაურთა განთავისუფლება, რაც ნამდვილად მოხდა არა 1837, არამედ 1833 წელს, რა დრომდეც, მართლაც მთელი ხსენებული მამულები ერისთავთა მფლობელობაში ითვლებოდა[11]. შემდეგ თავადთა დამოკიდებულებიდან განთავისუ-

---

8 გაზ. „გუთნის დედა", 1873 წ. № 5.

9 ვახტანგ VI, „სამართლის წიგნი", § 169.

10 გაზ. „გუთნის დედა", 1873 წ. № 7.

11 П. Гугушвили, Сельское хозяйство и аграрные отношения, I, 349 - 350

ფლებულმა აზნაურებმა სასამართლოში მოუგეს ერისთავებს შესაბამისი „მამულებიცა, სადაც გამოდიან ეს რუები“. მაშასადამე, როგორც ფელეტონისტი აცხადებს, „წყლის ბეგარის მიზეზიც მოესპოთ ერისთავიანთ“. მაგრამ „შენ არ მომიკვდე, ხალხი ბეგარას აძლევს ისევ ერისთავიანთ“ და ერისთავებს გარდა, ახლა თურმე, „მათი ნაყმევი აზნაურებიც იღებენ წყლის ბეგარას“[12].

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ არხებით ირწყვოდა თვით მემამულეთა მიწებიც. ე. ი. „უამწყლოთ წახდებოდა მებატონის მამული, რომელიც გლეხს კაცს აქვს მიცემული სამეოთხედოთ, თუ ნადელში“.

ამგვარად, სარწყავ არხებს დაპატრონებული მემამულე, გარდა იმისა, რომ ღალას ახდევინებდა გლეხს სანადელოთ მიცემული მიწის მოსავლიდან, იმავე შემოსავალს გლეხისას ბეგრავდა კიდევ წყლის მიცემისათვისაც. რის გამოც „ეს წყლის ბეგარა წარმოადგენს ერთს იმ ძალთაგანს მებატონეების მხრივ, რომლ-დამაც გლეხების განთავისუფლება ჰპოვა საჭიროთ მმართველობამ. გადავარდა ის უსაფუძვლო ძალა მებატონეებისა ყმებზედ და იმასაც თან უნდა გაჰყოლოდა ეს უსამართლო და უსაფუძვლო მებატონეთა უფლებაც, მაგრამ რაღაცა სასწაულით შეინარჩუნეს მებატონეებმა ეს ბატონური ძალა და ამ მხრივ იკავებენ თავის ნაყმევებს ისევ ბატონურს კლანჭებში“[13].

გადმოგვცემს რა ყოველივე ამას, ავტორი იმედებს ხელისუფლებაზე ამყარებს, რომ უკანასკნელი გლეხებს „გაანთავისუფლებს ამ სწორედ ნამდვილი ბატონყმური დამოკიდებულებიდამ. ესე იგი წყლის ბეგარიდამ, რათგან უწყლოთ ქართლის მამული მამულათ არ ჩაითვლება და მებატონეებს შეუძლიანთ ეს გადასახადი თანდათან იქამდინ ასწიონ“, რომ გლეხებს ძველებურად მთელი ნაშრომი წაართვან. და ისე გამო-

[12] „გუთნის დედა“, 1873 წ. № 7,

[13] იქვე გვ. 3,

დის, რომ „რუბისპატრონი მებატონეებისათვის ბატონყმობა სრულიადაც არ გადავარდნილა და გლეხები დარჩებიან ისეთივე ყმები, როგორიც ყოფილან აქამდინ“[14].

ერთ-ერთი ანალოგიური მოვლენა აღნიშნულია გაზ. „დროებაში“, ათიოდე წლის შემდეგ. სახელდობრ ივ. მაჩაბელი წერდა: საკმაოა ჩვენის ძლიერის ფეოდალისათვის პატარა ფეხი სადმე მოიკიდოს ან გავლით რომელსამე ჩრდილქვეშ სადილი მიირთვას, რომ მერე გარშემო ადგილები შიისაკუთროს და სოფლები... ყურმოჭრილ ყმებად გაიხადოს. ერთი ამნაირ სოფელთაგანია წილკანი, რომელიც მეტად მძიმე ყალან-ბეგარას იხდის მხოლოდ იმიტომ, რომ წყალი, ურომლისოდაც წილკნელებს ერთი დღეც არ შეუძლიათ ცხოვრება, ბატონის მამულზედ გამოდის“[15].

თვით წილკნელი გლეხის კორესპონდენციაში ვკითხულობთ, რომ ყოველივე ეს ჩვენ უნდა მოგვეთმინა, მაშინაც კი „როცა ბატონის მოურავები მათრახით ბეჭებზედ კორიანტელს გვადენენ... რა ვქნათ რო არ მოვითმინოთ! როგორ გავუბედოთ წინააღმდეგობა იმისთანა პირსა, რომელსაც მუჭაში უჭირავს ჩვენი ბედი. სად წავიდეთ, ვისთან ვიჩივლოთ? ჩვენვე გაგვამტყუნებენ და ყოველი ჩვენი ღონისძიება ჩვენვე ლახვრად გადაგვექცევა.... დიაღ, ამას მოგახსენებდით, რომ ჩვენში ბატონყმობა ხელახლად დაარსდაო“.

მაგრამ წილკნელები ამასაც არ დააჯერეს. 1883 წელს მემამულე „გ. ე. — ლი გადმობრძანდა წილკანში, უბრძანა მამასახლისს ხალხი შეეგროვებინა... გლეხები რომ შევქუჩდით, ბ. გ. ე — მა გვიბძანა: „წყლის სათავე მე მეკუთვნის, ამიტომ დღეის შემდეგ თქვენ უნდა მემსახურნეთ მე და არა სხვას ვისმეო“.

ამგვარად, ორი მემამულე ერთმანეთს ეცილება სოფ. წილკნის გლეხთა ექსპლოატაციაში: ერთი იმ საბუთით, რომ

---

[14] „გუთნის დედა“, 1873 წ. № 7, გვ. 3; კურსივი ყველგან ჩვენია.
[15] „დროება“, 1883, № 124, გვ. 1.

არხი მის მიწაზე გადის, მეორე კიდევ იმის მიზეზით, რომ ამ არხის სათავე მას ეკუთვნის. პირველის მამულში სამუშაოდ მიმავალ გლეხებს გზაზე მეორე მემამულის შეიარაღებული ბანდა დაუხვდა და გარეკა. ამის შემდეგ პირველის (ი. ბ.—ნის) „მოურავებმა გრიალი შემოიტანეს წილკანში, დაიწყეს გინება და ლანძღვა“, როდესაც ერთერთმა მოურავმა რევოლვერით სასოკვდილოთ დასჭრა ერთი გლეხი[16].

თვით მე-20 საუკუნეშიაც აქ თავადაზნაურულ მემამულეთა განუკითხველი პარპაშის ამსახველია გორის მაზრის სოფ. ოთარშენელი გლეხების წერილი გაზ. „თემის“ რედაქციის მიმართ, რაც შემოკლებულად ქვემოთ მოგვყავს: „...ჩვენ ...მონადელე და მესაკუთრე გლეხები, როგორც გადმოცემით ვიცით, ვცხოვრობთ სოფელ ოთარშენში იმ დღიდან, რაც იგი დაარსებულია; ამ უხსოვარ დღიდან დაწყებული დღევანდლამდე არ დაგვშლია წყალი არც სარწყავად, არც საწისქვილოდ და არც დასალევად. დღეს კი, რაც ცნობილი დიდი მემამულე გორის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავ. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე თუმანიშვილი და თავ. გიორგი ოთარის-ძე ამილახორი წაიკიდნენ და ჩვენ ერთი ანდაზის არ იყოს, წაკიდებულ აქლემებს შუა კოზაკივით ვიჭქლიტებით. დავა მდინარე ფშნის წყალზედ არის. ამ წყალს აქვს სათავე ვარიან-არაშენდიდან, აქედან ჩამოივლის ახალ დაბის ბოლოზედ. გამოივლის სოფელს თედო წმინდაზედ და ჩამოდის სოფელ ოთარშენში. ჩვენ ამ სოფლის მცხოვრებნი ვხმარობდით სასოფლო წისქვილისათვის, ვრწყავდით ზოგიერთ ამილახორის მიწებსაც, რომელნიც ჩვენ გვიჭირავს, ვხმარობდით სასმელად და საქონლისათვისაც, ჩვენ სხვა წყალი არა გვაქვს ზამთრობით, თორემ ზაფხულობით ლიახვმა და მტკვარმა ლამის წაგვიღოს... ჩვენ ქალაქ გორის ახლოს ვცხოვრობთ და აქ ვასაღებთ ბოსტნეულობას. საფქვავში მინდს არ ვიხდიდით, რადგან საერთო წისქვილი გვქონდა მთელს სოფელს. და გარდა ამისა, რადგანაც წისქვილი ზედ კარებზეე

[16] „დროება“, 1883, № 124, გვ. 2.

გვქონდა, ჩადიოდა დედაკაცი, ბავშვი და ჰფქვავდა, ხოლო ახლა კი ამ აუტანელ ზამთარში უნდა ვიშოვნოთ ჯერ ტომრები, ურემი, ბედაური, კამეჩები და ხარები, უნდა შევაბათ ყველარი ხარ-კამეჩი და გათოშილ-გაყინულ ლიახვში უნდა გავიტანოთ და ვზიდოთ გორში; საქონელიც უნდა დაგვეხოცოს და ჩვენც უნდა ვეყარნეთ წისქვილში! რათა, რისთვის, როცა ჩვენი წისქვილი კარებ წინ გვქონდა?! ...ახლა საქონელი წყლის სასმელად უნდა წავასხათ ლიახვზედ შორს, როცა კარებზედ წყალი ჩამოგვდიოდა!.. წრეულს მოვიდნენ გაზაფხულზედ და დაჰკეტეს წყალი, გადასჭრეს ჩვენი მამაპაპის რუ და ეს წყალი სახელათ ფშანი, რომელსაც ზამთარში არ ჰყინავს, ჩაუშვეს მდინარე დიდ ლიახვში! ნეტა რისთვის?! განა ლიახვს წყალი აკლდა?!

...თუ ეხლაც არ გამოუშვეს წყალი, მეტი ღონე არ არის უნდა ავიყარნეთ! მაგრამ სად წავიდეთ ბატონო! გაგონილა ასეთი საქმე! ასე ამბობენ, თავ. თუმანიშვილმა უნდა წისქვილი ააშენოს და წყალი ლიახვში ჩაუშვასო. ჯერ არც წისქვილი, არც რუა და ლიახვში კი ჩაუშვეს ჩვენი წყალი. ჩვენ უწყლოობით ვიხოცებით, ჩვენი ფშანი კი ჩაჰქუხს ლიახვში"[17].

თემის მიერ გაყვანილი სარწყავი წყლისა და საერთოდ სათემო არხების მითვისებას ადგილი ჰქონდა აღმ. ამერკავკასიის, კერძოდ ერევნის, ბაქოს და განჯის გუბერნიების მემამულეთაგანაც.[18]

სარწყავი წყლის არხის გაყვანის სერვიტუტს (Servitutis) სახელმწიფოებრივი კონტროლის მოუწესრიგებლობის პირობებში აზერბაიჯანელი მემამულეები (ბეგები) ადვილად ახერხებდნენ თემის (მაჰალის) საერთო მფლობელობაში მყოფი სარწყავი არხის ნაწილობრივ მაინც მითვისებას. ბეგები ამას „კანონიერ საწყისებზე" აკეთებდნენ, იმ მხრივ, რომ ისინი ხელს კიდებდნენ ძველი, მოშლამდე მისული არხის შეკეთე-

---

[17] გაზ. „თემი". № 112, 1913 წ. გვ. 3—4.

[18] ᲛᲘᲜᲔᲠᲕᲐ, VI, II, 357.

ბას, გაწმენდას, — როდესაც ჩვეულებრივ არხის (ან თვით მდინარის) ზემო წელიდან თავიანთ მამულში (მეურნეობაში) გაყავდათ ცალკე არხი. მართალია მთელი მაჰალი პროტესტს აცხადებდა წყლით სარგებლობის ადათობრივი სამართლის ამ უხეში დარღვევისათვის, მაგრამ ეს პროტესტი რჩებოდ. „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

ელისავეტპოლის გუბერნიის ჯევანშირის მაზრის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფიერების აღმწერი ა. ხ ა ნ ა გ ო ვ ი აღნიშნავს: „ძველიდან (ძირითადიდან) ახალი არხების გაყვანისას მაჰალი ყოველთვის აცხადებს პროტესტს, მაგრამ ხელისუფალნი იშვიათად ერევიან ამ საკითხში, რათა გამოიძიონ, თუ მოცემულ პიროვნებას რამდენად აქვს უფლება გაიყვანოს ახალი არხი და როგორ აისახება ამ არხის გაყვანა მაჰალის დანარჩენი მოსახლეობის კეთილდღეობაზე“. ასე, მაგალითად, მაჰალმა ხმა ამაღლა ბეგების ჯამილინსკების მიერ მეორე არხის გაყვანის წინააღმდეგ, მაგრამ უშედეგოდ. ელისავეტპოლის მაზრის ყარაჩაის ჭალებში მცხოვრებ სახელმწიფო გლეხთა მიერ გაყვანილი არხი თანდათანობით თითქმის სულ გაითავისეს მეზობელმა ბეგებმა.

ბეგები ითვისებდნენ რა სარწყავ არხებს. შემდეგ მათ შემოსავლის წყაროდ აქცევდნენ, ამკარად ვაჭრობდნენ წყლით. ასე, მაგალითად. ელისავეტპოლის გუბერნიაში ბეგები ვიზიროვები, ტაგაბეკოვები. უმკიევი, შირამი-ხან-ოღლი და სხვ. „მათი“ არხებიდან სარწყავი წყლით სარგებლობისათვის გლეხებისაგან ბოჭავდნენ ფულად თუ ნატურალურ „საზღაურს“ — რაც მხოლოდღა ძალმომრეობის სამართალზე იყო დაფუძნებული.

მაგრამ ბეგებს მაჰალის საერთო სარგებლობაში დარჩენილი არხებიდანაც. საჭიროების შემთხვევაში, ე. ი. სწორედ მაშინ, როდესაც სარწყავი წყალი ყველაზე უფრო იყო ნათესებისათვის აუცილებელი. შეეძლოთ მიეთვისებიათ ე. წ. მორიგეობითი სარწყავი წყალიც.

მაგალითად, იმავე გუბერნიის ყაზახის მაზრის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფიერების აღმწერს ა. ე რ ი-

ცოვს მოყავს ასეთი შემთხვევა. 1885 წ. ნათესთა მორწყვის პერიოდში დიდხანს არ მოვიდა წვიმა, რის გამოც არხებში წყალმა ძლიერ დაიწია. არაერთგზისი თხოვნის უყურადღებოდ დატოვების შემდეგ მაზრის უფროსის სამმართველოს ფართო ეზო ერთბაშად გაივსო 500—600-მდე აზერბაიჯანელი გლეხით. აქ იყვნენ მოხუცებიც, პატარებიც, ძუძუმწოვარა ბავშვებიანი ქალებიც. მოვიდნენ ისინი ქ. ყაზახიდან 20 ვერსით დაშორებული სოფლიდან. მთელი სოფელი აიყარა და მივიდა მაზრის უფროსთან საჩივლელად, რომ «ზემოურმა აღალარებმა მთელი წყალი გადააგდეს თავიანთი მიწების მოსარწყავად, ხოლო ჩვენი, ქვემოურების ნათესები კი გვალვისაგან იღუპებაო».

აღალარების გამოსაძახებლად შიკრიკები გაიგზავნა. დასაღამოვდა. თხოვნის განხილვა დილამდე გადაიდო. მოსული გლეხობა მთლიანად აქვე დარჩა სამართლის მოლოდინში. ღამე მოულოდნელად წამოვიდა ძლიერი წვიმა, რაც მეორე დღეც გრძელდებოდა. დილას გლეხებმა საკითხი თავისთავად გადაჭრილად მიიჩნიეს და ზედმეტად დაინახეს მაზრის უფროსისათვის დაცდა—სახლში წავიდნენ. გამოძახებული აღალარებიც არ გამოცხადებულან, მხოლოდ შემოთვალეს: „ჩვენზე მიტანილი სარჩელი თვით ზეცამ გადასჭრაო“ [19].

საირიგაციო არხები გამოიყენებიან არა მხოლოდ მიწების მოსარწყავად. არხებით სარგებლობენ აგრეთვე პირუტყვის სასმელი წყლის სახით („საწყლისპირო“). მაგრამ არის სწორედ ამასთან დაკავშირებული მეორე მომენტი, რაც მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს მ ო რ ი გ ე ო ბ ი თ ი ს ა რ წ ყ ა ვ ი წყლით სარგებლობისათვის. ეს არის სიცხეების დროს სარწყავ არხში კამეჩების დაბანისა და ჩაწვენის სერვიტუტი.

ირიგაციაზე დამყარებული მიწათმოქმედების რიგ რაიონში გუთნის (კავის) მთავარ გამწევ ძალას წარმოადგენდა კამეჩი, რომელსაც ზაფხულობით წყალში ბანაობის, ჩაწოლის გარეშე გაძლება არ შეუძლია. ამასთანავე არხში ჩაწოლილ კამეჩებს შეუძლიათ მთლიანადაც გადაკეტონ წყალი, რის

[19] МИЭБКЗК, II, II, 86.

გამოც ამ დროს მორიგეობითი სარწყავი წყლით მოსარგებლენი, რომლებიც დროის ამ მონაკვეთში წყლის მფლობელები არიან, კარგავენ საშუალებას თავიანთი მიწების მორწყვისა[20]. ეს, ე. წ. „კამეჩის სერვიტუტი", ხშირად ხდებოდა სამწუხარო გაუგებრობისა და კონფლიქტების მიზეზი, როგორც მაჰალის შიგნით, გლეხთა შორის, ისე თვით ადმინისტრაციასა და მოსახლეობას შორისაც.

ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ერთი სოფელი წყალს ართმევდა მეორეს. მაგალითად, ზემოურნი ქვემოურებს; ანდა ის სოფლები, რომელთა მიწაზე გადიოდა სარწყავი არხი, ითვისებდნენ სარწყავი წყლით სარგებლობის უპირატეს უფლებას. ერევნის გუბერნიის ეჩმიაძინის მაზრაში სოფ. პატარა შაგრიარის მიწები ირწყვოდა არაქსიდან გაყვანილი არხით; ეს არხი სოფ. დიდი შაგრიარის მიწებზე გადიოდა, სანამ პ. შაგრიარის ყანებს მოაღწევდა. მაგრამ დ. შაგრიარის მცხოვრებნი „აჩერებენ წყალს საკუთარი ნათესებისათვის და ამრიგად არ უშვებდნენ მას პ. შაგრიარელთა ნათესების მოსარწყავად. არავითარი რიგი არ არის; ინიშნება მხოლოდ ორი ან სამდღიანი ვადა, რომლის განმავლობაშიაც სოფ. პ. შაგრიარის გლეხებმა უნდა მორწყონ თავიანთი ნათესები. ეს ვადა ინიშნება 25 დღეში ან ერთ თვეში ერთხელ. მაგრამ მაშინაც სოფ. პატარა შაგრიარელი გლეხები არასაკმარისად სარგებლობენ წყალს", რადგან დიდი შაგრიარელი გლეხები ამ სამ დღეშიაც არ აცლიან პატარა შაგრიარელებს მორწყონ თავიანთი ყანები[21].

ანალოგიურ მოვლენებს ჰქონდა ადგილი ელისავეტპოლის (განჯის) გუბერნიის ნუხისა და არეშის მაზრებშიაც, სადაც დიდად გავრცელებული იყო ბრინჯის კულტურა და, მაშასადამე, მიწათმოქმედება ესოდენ ძლიერ იყო დამოკიდებული ირიგაციისაგან[22].

---

[20] С. Агназаров, l. c., 253.
[21] КСХ, 1895 г., № 67, стр. 1169.
[22] ТМКСХП, LII, 90—92.

IV. სარწყავი წყლით სარგებლობის ინტენსივობისათვის

სარწყავი წყლით სარგებლობის ინტენსივობა დამოკიდებულია როგორც თვით კლიმატურ პირობებზე, აგრეთვე გავრცელებულ კულტურებსა და წლის დროთა პერიოდებზე.

საერთოდ ამიერკავკასიის საირიგაციო რაიონებში მისდევდნენ ხორბლის, ქერის, ბრინჯის, ბამბის და სხვ. მოყვანას. ამავე რაიონებში განვითარებული იყო მებაღეობა-მებოსტნეობა, მევენახეობა, თუთის ხის პლანტაციები და სხვ. კულტურები.

ამათგან ყველაზე მეტი სარწყავი წყალი სჭირდება ბამბის მინდვრებსა და განსაკუთრებით კი ბრინჯის პლანტაციებს. ამ უკანასკნელისათვის აუცილებელია განუწყვეტელი მორწყვა თესვისა და ვეგეტაციის მთელი პერიოდის განმავლობაში; ასე რომ ბრინჯის პლანტაცია თითქმის სულ წყლით უნდა იყოს დაფარული; მისი მორწყვა წყდება მხოლოდ მოსავლის აღების ერთი-ორი კვირით ადრე, ე. ი. სექტემბრის ბოლოსა და ოქტომბრის დასაწყისში. ბრინჯის პლანტაციას დაახლოებით შვიდნახევარჯერ მეტი მორწყვა (წყალი) სჭირდება, ვინემ ბამბისას[1].

სწორედ იმის გამო, რომ ბრინჯის კულტურას დიდძალი მოსარწყავი წყალი სჭირდება და იმის გამოც, რომ იგი ხელს უწყობს ქვეყნის დაჭაობიანებას და, მაშასადამე, მალარიის გავრცელებას, როგორც, ადრე, დას. ევროპის ქვეყნებში, მა-

---

[1] Н. Таратынов, „О роли чалтыка в эконом. и санитарном отношениях в Закавказском крае", 1903, III, 3—6; М. Исаров, 1. с., 30—31; ТМКСХП, LII, 91—92.

გალითად, იტალიაში, ისე ჩვენში გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან იწყება ბრძოლა ბრინჯის კულტურის წინააღმდეგ[2].

ამ მოძრაობას ამიერკავკასიაში ხელმძღვანელობდნენ განსაკუთრებით შიგა რუსეთის საფეიქრო მრეწველობის ინტერესთა დამცველნი, რომელნიც პარალელურად ქადაგებდნენ ბამბის კულტურის უპირატესობათა შესახებ.

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ზემოხსენებულ აგიტაციაზე ბევრად უფრო მოქმედებდა თვით სარწყავი წყლის ნაკლებობა და სიძვირე, რაც გლეხობას, მეტი თუ ნაკლები ზომით, აიძულებდა დაეტოვებინა ბრინჯის კულტურა და გადასულიყო მებამბეობასა, მევენახეობასა და სხვა კულტურაზე, რომელსაც უფრო ნაკლები ზომით სჭირდებოდა სარწყავი წყალი.

გაზაფხულის პერიოდში, როდესაც ყველაზე უფრო მეტი სარწყავი წყალი იხარჯება, მდინარეები სავსეა და, მაშასადამე, სარწყავი წყლის ნაკლებობაც არ იგრძნობა. ამის გამო, ივნისამდე, როგორც წესი, გაბატონებულია წყლით სარგებლობის დატაცებითი, თავისუფალი, სისტემა — არავითარი რიგ- არ არსებობს; ყველა მოიხმარს იმდენ წყალს, რამდენიც სურს. ამ პერიოდში წყლის ადმინისტრაცია დასვენებულია[3].

ივნისის შუა რიცხვებიდან მდინარეები თანდათანობით კლებულობენ, ხოლო ივლისსა და აგვისტოში წყლის დონე ძლიერ ეცემა, ისე რომ ზოგიერთი მდინარე, თუ სავსებით არ შრება, უკვე ხშირად ფრიად მცირე რაოდენობით იძლევა სარწყავ წყალს. სწორედ ამ თვეებშია ყველაზე მეტი სიცხე და, მაშასადამე, შესაბამისი კულტურის მოსავალიც ყველაზე მე-

---

[2] ცხადია, მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ბრინჯის პლანტაციები სოფლებსა და ქალაქებს აკრავდნენ და ხელს უწყობდნენ მოსახლეობაში ეპიდემიების გავრცელებას.

[3] МПЭБГКЗК, III, II, 42, 67, 276; IV, II, 206; СМЭБГК, III, II, 55.

ტადაც დამოკიდებული მორწყვის ინტენსივობაზე — და ეს განსაკუთრებით ეხება ყველაზე უფრო ძვირფას კულტურებს, როგორიცაა ბრინჯი, ბამბა, გუნჯუთი და სხვ.

სწორედ ამ თვეებში დგება ხოლმე ზეკრიტიკული მომენტი: წყლის ნაკლებობით ხშირად ფუჭდება ნათესები და შეიძლება დაიღუპოს ირიგაციაზე დამყარებული მიწათმოქმედური კულტურები — მცენარეები. ამავე დროს ჩაღდება წყლით სასტიკი სპეკულაცია, დავიდარაბა თემებსა და მემამულეებს შორის, ცალკე მეურნეობათა შორის, რაც არაიშვიათად სისხლისმღვრელ შეტაკებამდე მიდის.

მაგალითად, ერევნის გუბერნიის ახალბაიაზეთის მაზრაში ამ თვეებში წყლით სარგებლობის ნიადაგზე ატეხილი დავების მიზეზით მცხოვრებთა შორის ხშირი შეტაკების შესახებ ადგილობრივი კორესპონდენტი წერდა: „....ჩაიხედეთ მკვლელობათა სტატისტიკაში და თქვენ დაინახავთ, რომ სახელდობრ ამ უბედურ ოლქში საბალახო ადგილებზე ყოველწლიურად ხდება რამდენიმე დასახიჩრება და მკვლელობა წყალისათვის. წვეთი წყალი მის წონა ოქროდ ფასობს“[4].

თუ ასე მწვავდებოდა საქმე საბალახოებში, გასაგებია, არანაკლები სიმძაფრის შეჯახებებს ექნებოდა ადგილი ყანების მორწყვისათვის საჭირო წყლის განაწილებაში და, ყოველივე ამის მეოხებით, წყლის ადმინისტრაციასაც ამ თვეებში გახურებული მუშაობა ექნებოდა[5].

საერთოდ, ივნისის დადგომიდანვე იწყება მერაბის (მერუეს) და მის ხელქვეითთა გაცხოველებული მოღვაწეობა. ამ დროიდან წ ყ ა ლ ს მ ხ ო ლ ო დ წ ი ნ ა ს წ ა რ დ ა დ გ ე ნ ი ლ ი რ ი გ ი თ ა დ ა ზ ო მ ი თ[6] ღ ე ბ უ ლ ო ბ ე ნ. მოცემუ-

---

[4] КХ, 1914 г., № 2, стр. 5.

[5] П. Петрович, „Продовольственная нужда в Закавказьо“, 1913, Тифлис, стр. 4—6; ТМКСХП, LII, 84.

[6] ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეში ფრიად სხვადასხვაგვარი იყო სარწყავი წყლის საზომი ადგილობრივი ერთ ბი: СМЭБГК, III, II, 56; II, 424; МИЭБГКЗК, IV, II, 207; V, I, 188; СКОСХ, VI, 135.

ლი თემი თავისი არხით განუწყვეტლივ ღებულობს კუთვნილი რაოდენობის წყალს, რასაც თემის წევრთა შორის რიგრიგობით ანაწილებს. მცირეწყლიანობის შემთხვევაში თემთა შორისაც იწყება წყლის რიგრიგობითი მოხმარება: მთელი საირიგაციო ნაგებობის წყალი ჯერ, რამდენიმე ხნით, ეძლევა ერთ თემს, მერმე მეორეს და ა. შ. ზეკრიტიკულ მომენტში მიმართავენ ხოლმე გირდავის წესს. გირდავი, ე. ი. რიგზე ადრე „უკიდურესი აუცილებლობის“ გამო მოცემული თემისათვის, ან ყანისათვის წყლის მიცემა, ჩვეულებრივ ძლიერ მოკლე ხნით, არაუმეტეს სამი დღისა, გრძელდება.

თვით თემს შიგნით თემის წევრთა შორის წყლის განაწილება უპირატესად წარმოებდა იმავე კრიტერიუმის მიხედვით, როგორაც ხდებოდა, მაგალითად, სახელმწიფო გლეხთა შორის სათემო მიწების გადანაწილება[7].

თემი იყოფოდა ჯგუფებად: ათეულებად (ტასნაკებად, დაღებად), უბნებად; ეს იყო საირიგაციო ერთეული, რის მიხედვითაც ლიტრა-ჩარექობის, ამპა-ჩარექობის, ბაშის და სხვ. საფუძველზე ხდებოდა წყლის მიწოდება თითოეული კომლისათვის ანუ კომლთა ამხანაგობისათვის, ჯგუფისათვის.

საერთოდ ხელოვნური მორწყვის რიგი ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მომენტი გორის მაზრაში 1880-იანი წწ. აღწერა ს. მაჩაბელმა. მცირე იყო ისეთ სოფელთა რიცხვი, რომელთაც ჰქონდათ საკუთარი სარწყავი არხები. რამოდენიმე სოფელი, უფრო ხშირად კი რამოდენიმე ათეული სოფელი ადგენდა ერთგვარ ჯგუფს, რომელსაც ჰქონდა საერთო არხი, საიდანაც ჯგუფში შემავალ ყოველ სოფელს გაუავდა ცალკე სასოფლო არხი (რუ). „არ შეიძლება არ აღინიშნოს ის სასიამოვნო მოვლენა, რომ გორის მაზრის გლეხობას დიდი ხანია შეგნებული აქვს მორწყვის აუცილებელი საჭიროება და

7 იხ. პ. გუგუშვილი, „თემური მიწათმფლობელობა ამიერკავკასიაში“ (მონოგრაფიები), 1956, ტ. II, გვ. 381 — 519.

რამოდენიმე სოფელს საერთო ღონისძიებით გაყავს საერთო სარწყავი არხები, რომელთა მშენებლობა შეუძლებელი იქნებოდა ერთი სოფლის მცხოვრებთა ძალებით"[8].

როგორც საერთოდ ამიერკავკასიაში, ისე აქაც წყლის მფლობელობის უფლება და წყლით სარგებლობის წესები არ იყო ზუსტად მოწესრიგებული არც კანონმდებლობითი აქტებითა და არც ადმინისტრაციული ხელისუფლების მხრივ, რის გამოც „წყლით სარგებლობის წესები მაზრაში უკიდურესად ქაოსურ მდგომარეობაში იმყოფება". მართალია, მაზრის ადმინისტრაცია ხშირად ერეოდა ცალკე სოფელთა შორის წყლით სარგებლობის ნიადაგზე წარმომდგარ უთანხმოებათა მოწესრიგების საქმეში, მაგრამ შესაბამისი ზუსტი წესების გამომუშავების მხრივ ამ ჩარევას რამდენადმე მნიშვნელოვანი შედეგები არ მოყოლია.

იყო აგრეთვე შემთხვევები, როდესაც სასამართლოს დადგენილებით სწყდებოდა საკითხი, თუ საერთო არხიდან წყლის რა ნაწილით უნდა ესარგებლა ამა თუ იმ სოფელს. მაგრამ ასეთ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების საკითხი ახალ დაბრკოლებებს აწყდებოდა იმ მხრივ, რომ არსებულ პირობებში ძნელი იყო საერთო არხიდან წყლის დადგენილი ნაწილის ზუსტად გამოყოფა, ასე რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები არაიშვიათად ახალ ბოროტმოქმედებათა და გაწამაწიის საბაბი ხდებოდა.

ამის მაგალითად შეიძლება დასახელებულ იქნას ის ხანგრძლივი უთანხმოება და შეტაკებანი, რასაც ადგილი ჰქონდა მეტეხს, ბარნაბიანთკარს, გომსა და სხვ. სოფლებს შორის.

მაგრამ ერთი იყო დავა და უთანხმოებანი წყლითსარგებლობისათვის სოფლებს შორის და მეორე — სოფელს შიგნით ცალკე კომლთა (მეურნეობათა) შორის: „აქ ადგილი აქვს კიდევ უფრო მეტ მოუწესრიგებლობასა და ინტერესთა ჭიდილს ცალკე მეურნეობათა შორის, რასაც საზღვარს უდებს მხოლოდ უფლება ძლიერისა".

---

[8] МИЭБГКЗК, IV, I, 212.

ამ მხრივ გაუგებრობათა და უთანხმოებათა შემთხვევებს კიდეე უფრო აღრმავებდა ის გარემოება, რომ ერთი საერთო არხიდან წყლით სარგებლობდა არა მხოლოდ სხვადასხვა კატეგორიის (სახაზინო, „დროებით-ვალდებული", კერძომესაკუთრე, ხიზანი და სხვ.) გლეხობა, არამედ, აგრეთვე, თავადაზნაურული მემამულეები, საასულიერო წოდების პირნი და სხვ., რომელთა უფლება წყლის ნაწილის სარგებლობისა აგრეთვე ზუსტად გარკვეული არ იყო, რაც მწვავე დავისა და არაიშვიათად სისხლიანი შეტაკებების მიზეზი ხდებოდა განსაკუთრებით გვალვიან წლებში, როდესაც ინტენსიური მორწყვის პერიოდებში ზოგან, როგორც იტყოდნენ, „წყალი სისხლზე ძვირფასი ხდებოდა"-ო.

ამ სოფლებში და საერთოდ მორწყვის ისეთ პერიოდებში, სადაც და როდესაც სარწყავი წყალი ყველასათვის საკმარისი იყო, ცხადია, „შეხმატკბილებულ თანამოსარგებლეთა მეზობლობა" სუფევდა და სოფლების კრებებზე ხშირად გაისმოდა მსჯელობა ურთიერთ დანდობისა, დახმარებისა და საერთოდ ტრადიციული თემობრივობის სიმტკიცესა და იდილ-ურობაზე.

ჩვეულებრივ სოფლის მიერ დაქირავებულ (გამოყოფილ) მერუეს ევალებოდა მეთვალყურეობა სარწყავი არხების მოელა-პატრონობისა და თანამოსარგებლე-მონაწილეთა შორის წყლის „კეთილსინდისიერი და მიუდგომელი განაწილება". მაგრამ ს. მაჩაბლის ცნობით არ მოიპოვებოდა ისეთი მერუე, რომლის უკანონო და არაკეთილსინდისიერი მოქმედების წინააღმდეგ გლეხობის მხრივ მრავალი პრეტენზია და საჩივარი არ ყოფილიყო აღძრული[10].

---

[10] МИЭБГКЗК, VI, I, 213—214.

V. ირიგაციის საკითხების შესწავლისა და მოწესრიგების შესახებ

ამიერკავკასიის ირიგაციის საკითხთა მეცნიერული შესწავლა პირველად 1860 — 1863 წწ. დაიწყეს ინგლისელმა ინჟენერებმა ბელიმ და გაბბამ. მათ პირველად სპეციალურად ჩაატარეს ამიერკავკასიის ჰიდროლოგიური გამოკვლევა[1].

ამათი და შემდეგ ფონ ვეისენჰოფის გამოანგარიშებით 1880-იანი წლების დასაწყისში მდ. მტკვრისა და მისი შენაკადების სარწყავი წყალი გამოყენებული იყო მხოლოდ 35—37 პროცენტით. ბელიმ და გაბბამ შეისწავლეს აღმ. ამიერკავკასიის თითქმის ყველა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი მდინარე. მათი გამოანგარიშებით მდ. მტკვრის ყველა შენაკადებისა და ლენქორანის მაზრის მდინარეთა სარწყავი წყლის რაციონალური გამოყენებით შესაძლებელი იქნებოდა ორ მილიონამდე (1.963.000) დესეტინა მიწის მორწყვა. ამასთანავე, იმ დროისათვის აღმ. ამიერკავკასიაში უკვე ირწყვოდა დაახლოებით 0,8 მილიონი დესეტინა მიწა, ე. ი. კიდევ შეიძლებოდა მორწყვა 1, 2 მლნ. დეს. ფართობისა.

ცარიზმის ხელისუფლებისათვის სულ უფრო და უფრო გასაგები ხდებოდა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის ეკონომიკისათვის, უწინარეს მიწათმოქმედებისათვის, მორწყვას. ცხადია, ამ გარემოებას რუსეთის ცალკეული მოხელეები იმთავითვე ამჩნევდნენ და საჭიროდ თვლიდნენ, პოუწოდებდნენ კიდევაც მთავრობას აქ ირიგაციის სისტემის აღდგენისა და განვითარებისაკენ. მაგრამ 1860-იან წლებამდე მაინც არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება შეუძლებელს ხდიდა ასეთ წამოწყებათა ასე თუ ისე ფართო მასშტაბით განხორციელებას. ამ დროიდან კი უკვე ადგილობრივი, ქართული, აზერბაიჯანული, სომხური და რუსუ-

[1] СВРЗК, XI, 743.

ლი პუბლიცისტიკაც თავის ყოველდღიური მსჯელობის საგნად ხდის ირიგაციის საკითხს.

პრესა ხშირად ირიგაციის მოშლით ხსნის მოსავლიანობის დაცემას, შიმშილიანობას, წვრილმწარმოებელთა გაღატაკებასა და სხვ. მართლაც, თუ რამდენად დაეცა, მაგალითად, მილის ველის ნიადაგის ნაყოფიერება შედეგად ირიგაციის მოშლისა, ჩანს შემდეგიდან. 1870 წელს აქ 1264 კომლისაგან შემდგარ მომთაბარეთა ჯგუფებს ეჭირათ დაახლოებით 2500 კვ. კილომეტრი ფართობი, ე. ი. 1 კომლზე მოდიოდა 200 დესეტინამდე, და ამ მიწისათვის, როგორც უშლელისათვის, ისინი ერთ დესეტინაზე იხდიდნენ 10 — 30 კაპიკს — საიჯარო ქირას[2].

ორმოციოდე წლის შემდეგ, შედეგად მორწყვისა მილის ველის ამ აწ ნაყოფიერ მიწებზე მოდიოდა უხვი მოსავალი 1 დესეტინაზე 100 ფუთამდე ხორბლეული ანდა 15 ფუთზე მეტი ბამბა[3]. ამ შემთხვევაში მიწის საიჯარო ქირად, იმ დროს აქ არსებული საიჯარო ქირის მინიმუმი, ე. ი. მოსავლის ერთი მეოთხედიც რომ ავიღოთ, გამოდის, რომ მილის ველზე მიწის შემოსავლიანობა დაახლოებით 100-ჯერ გაზრდილა. ამგვარად, შემოსავლის თითქმის არამქონე მიწა დიდი შემოსავლის მომტანი გამხდარა.

როგორც აღვნიშნეთ, 1860—1870-იანი წლებიდან საზოგადოებრივი მოძრაობის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად იქცევა მორწყვის სისტემის აღდგენა-განვითარება. ცარიზმის ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლება უკვე მეტ გულისყურით ექცევა ამ საკითხს, რის შესასწავლადაც გაღებულ იქნა ერთგვარი თანხები.

1880-იანი წლებიდან უკვე იქმნება მეცნიერული ლიტერატურა ამიერკავკასიის ირიგაციის საკითხებზე; ამ შრომებმა[4]

---

[2] СКОСХ, VI, 224—225.

[3] П. Петрович, „Итоги урожая хлопка в Закавказье в 1913 г.," 1914 г., Тифлис, стр. 32—34.

[4] რომელთა შორის აღსანიშნავია: С. Вейсенгоф, „Предположения инженеров Белли и Габба по орошению... Закавказского

უდაოდ დიდი გავლენა მოახდინეს მორწყვის საქმის შემდგომ განვითარებაზე.

სწორედ ამ დროიდან რუსულმა პუბლიცისტიკამაც გაამახვილა ყურადღება ამიერკავკასიის ირიგაციის საქმეზე. რუსეთის კაპიტალისტური მრეწველობისათვის საჭირო სოფლის მეურნეობრივი ნედლეულის კოლონიაში წარმოების გაფართოების მიზნით დასახულ ღონისძიებათა შორის მნიშვნელოვან ადგილს იჭერდა მორწყვის საკითხი.

ეხებოდა რა ამიერკავკასიის ირიგაციას 1889 წ. ერთ-ერთ რუსულ ჟურნალში ვ ო ი ე ი კ ო ვ ი წერდა: დროა ხელი მოვკიდოთ ამიერკავკასიაში მორწყვის საქმეს. საჭირო არ არის ჩვენთვის ინდოეთის დაპყრობა. — ჩვენ ჩვენი ინდოეთი გვაქვს ამიერკავკასიის ვაკეებზე, თუკი მოვიწადინებთ მტკვარი და არაქსი ერთ მილიონ დესეტინაზე მეტ დიდად ნაყოფიერ ადგილს მორწყავს. სარწყავი მიწები ძვირფას მცენარეებს გაზრდიან.... რწყვა დიდათ გაადიდებს მიწის მოსავლიანობას. იქ ზოგჯერ ორი და სამი მოსავლის აღებაც იქნება შესაძლებელი. ყოველივე ამის გამო სარწყავი მიწის ფასები ისე გაიზრდება, რომ 1000 მანეთამდეც მიაღწევს. ამგვარად-კი ჩვენ შევიძენთ მილიარდ მანეთზე მეტის ქონებას ე. ი. უფრო მეტს, ვინემ 1871 წელს გერმანიამ კონტრიბუციის სახით დააკისრა საფრანგეთსო.

იმავე 1889 წელს თავის გაზ. „ივერიაში“ მოყავდა რა ეს ამონაწერი ილ. ჭავჭავაძე შენიშნავდა: „თქმა არ უნდა, რომ მართლა დროა ამ ჩვენდა სამწუხაროდ დაძინებულმა საქმემ ჩვენდა სასიხარულოდ გაიღვიძოს. არხების გაჭრა აქ დიდი

края“, 1880; მისივე, „Сведения о состояния орошения на Кавказе“ 1883; М. Горсеванов, „Очерк положения ирригации в Закавказье“, 1883; მისივე, „Очерк гидрографии Кавказского края“, 1886; В. Дингельштедт, „Водовладение и ирригация“, 1880—1883, I, II; М. Исарев, „Очерк орошения в Закавказском крае“, 1888; აგრეთვე მთელი რიგი სტატიები და მონოგრაფიები გამოქვეყნებული სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში, განსაკუთრებით ЗКОИРТО-ში.

საქმეა, სხვა არაფერი მიზეზი არ არის, რომ ამ საქმეს ბოლო არ მოედგასო"[5].

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ 1860 — 1870-იანი წლებიდან ამიერკავკასიის ირიგაციის საქმე უცხოეთის კაპიტალის ერთგვარ ყურადღებასაც იქცევდა. უცხოეთის კაპიტალი უშედეგოდ ცდილობდა კონცესიის საფუძველზე ხელში ჩაეგდო აქაური სარწყავი მიწები[6].

მაგალითად, ინგლისური კაპიტალი მიისწრაფოდა ხელი მოეკიდა კახეთის ირიგაციისათვის, ხოლო დახარჯული კაპიტალის „ასანაზღაურებლად" იგი მოითხოვდა 79 წლის განმავლობაში ყოველ მორწყულ დესეტინაზე წლიურად აეღო: ვენახისა და ხეხილის ბაღიდან 15 მანეთი, ცოტა ამაზე მეტი ბრინჯის პლანტაციაზე და 4 მანეთი სახნავსა და საბალახოზე. მაგრამ სახელმწიფო გლეხებმა გადაჭრით უარი თქვეს ამ მიზნით „ტყუილა-უბრალოდ ფულის გადაყრაზე"[7].

ამასთანავე, როგორც ჩანს, ამ მიმართულებით ამოძრავებული ფრანგული კაპიტალიც. 1873 წელს ს. მ ე ს ხ ი წერდა, რომ ალაზნის ველზე „არხების გაკეთება რამდენსამე კახელ მემამულეს განუზრახავთ და იმათ, როგორც ამბობენ, მიწერ-მოწერაც ჰქონიათ ზოგიერთ პარიზის კაპიტალისტებთან. ამბობენ, რომ პარიზში ორი კამპანია არის მზად, რომ ისინი ამ საქმეს მოკიდებენ ხელსაო, თუ კი მინდვრების პატრონები ზოგიერთ პირობებს შეუსრულებენ იმათაო"[8]. უნდა ვივარაუდოთ, რომ მხარეთა შეუთანხმებლობის გამო ჩაიშალა ეს წამოწყებაც.

შემდეგ, 1899 წელს თბილისში ჩამოვიდნენ ინგლისელ და ამერიკელ კაპიტალისტთა ჯგუფის წარმომადგენლები — ინჟ.-ჰიდრავლიკოსები: W. Hall და J. Rages — კალიფორნიიდან.

---

[5] გაზ. „ივერია", 1889, № 61.

[6] В. Дингельштедт, l. c., II, 308—320.

[7] КСХ, 1894 г., № 36, стр. 620.

[8] ს. მ ე ს ხ ი, „ალაზნის მინდორში არხის გაყვანაზე" (გაზ. „დროება", 1873 წ. № 7).

მათ პირველ რიგში დაათვალიერეს ყარაიას საირიგაციო ნაგებობა და მიწათმოქმედების კულტურა, მერმე სარდარაბადისა, ზილისა და მუღანის ველები[9].

მათ აზრად ჰქონდათ „ორგანიზება მსხვილი აქციონერული საზოგადოებისა ახალ საირიგაციო ნაგებობათა მოსაწყობად და ექსპლოატაციისათვის და აგრეთვე წისქვილების, ზეთსახდელი და შაქრის სარაფინადო ქარხნებისა და ბამბის საწმენდი ფაბრიკების გამართვა“[10]. ბოლოს, 1900-იან წლებშიაც იყო ერთგვარი, ისევე უშედეგო, ცდები ამიერკავკასიის ირიგაციაში უცხოეთის კაპიტალის დაბანდებისა.

მაგრამ უცხოელი თუ ადგილობრივი კაპიტალისტების პროექტები და თვით ხელისუფლების მიზანდასახულობა ან სავსებით არ ეხებოდა ცხოველმყოფელ სინამდვილეს, ანდა, — თავდაპირველად ნავარაუდევ მასშტაბთან შედარებით,—მხოლოდ უმნიშვნელო გავლენას ახდენდა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. იყო კიდევ მრავალი მიზეზი, მაგალითად, მიწების გაუმიჯვნელობა, თვით სარწყავი წყლით სარგებლობის უფლებათა და ადგილობრივი ნორმების შეუსწავლელობა სათანადო ორგანოების მხრივ და სხვ., რაც საფუძველს უმაგრებდა ცარიზმის ადმინისტრაციის უმოქმედობასა და ინერტულობას ამ საქმეში.

ჯერ კიდევ 1846 წელს დაწყებული საქმე წყლით სარგებლობის ადათობრივი სამართლის ჩაწერისა და დაკანონებისა 1850, 1860, 1870-იან წლებში ახალ-ახალი და ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო მითითებების გამო სულ ჭიანურდებოდა. და ბოლოს მთელ რიგ კომისიათა მუშაობის შემდეგ მხოლოდ 1880 წელს შედგენილ იქნა „კავკასიაში წყლითსარგებლობის წესებისა და უფლების კანონპროექტი“, რომელიც კიდევ ათი წლის განმავლობაში გადადიოდა განსახილველად ერთიდან მეორე სამინისტროს უწყებებში.

ამ ხნის განმავლობაში წყლის მფლობელობისა და წყლით

---

[9] КСХ, 1899 г., № 296, стр. 661.

[10] იქვე.

სარგებლობის წესები უპირატესად, ცხადია, დამყარებული იყო ადათობრივ სამართალზე და ვახტანგ VI კანონებზე. მაგრამ ადმინისტრაციის მიერ ამათი შეუსწავლელობა და გაუგებლობა ფრიად ართულებდა წყლით სარგებლობისადმი ზედამხედველობის გაწევას.

1847 წელს ცარიზმის მიერ გამოცემული პირველი კანონმდებლობითი აქტი შესახებ ამიერკავკასიის ირიგაციისა იმითღა განისაზღვრა, რომ იგი ერევნისა და ნახჭევანის მაზრებში კრძალავდა ადგილობრივი ადმინისტრაციის ჩარევას წყლის განაწილების საქმეში, რაც ჩვეულებისამებრ თვით სოფელსა და მის მიერ არჩეულ მოხელეს უნდა ეწარმოებინა[11].

შემდეგ, 1859 წ. გამოცემულ კანონში ნათქვამია: „ამიერკავკასიაში როგორც გაყვანა, ისე დაცვა და ექსპლოატაცია სარწყავი არხებისა დარჩეს იქ მოქმედი ადგილობრივი ადათების საფუძველზე, სანამ ამ საგანზე გამოცემული არ იქნება განსაკუთრებული დადგენილება“[12]. და ეს დადგენილება... 22 წლის შემდეგაც, ე. ი. 1880 წელსაც მხოლოდღა კანონპროექტის სახით არსებობდა.

ხსენებული კანონპროექტისათვის მიძღვნილი ესოდენ დიდი დროის განმავლობაში, როგორც დავინახეთ, ამიერკავკასიის ირიგაცია უკიდურეს მდგომარეობამდე მივიდა. მართალია, 1874 წლამდე კავკასიაში სახელმწიფო ქონებათა ცენტრალურ სამმართველოსთან ითვლებოდა სამი ინჟენერ-ჰიდრავლიკოსი, მაგრამ მათი მოღვაწეობა არ ემორჩილებოდა არც ერთ სპეციალურ ხელმძღვანელ ორგანოს ზედამხედველობას და მოკლებული იყო გარკვეულ სისტემას და, ამგვარად, „არამც თუ საირიგაციო მეურნეობის გაუმჯობესებას, არამედ თვით ამ საქმის მართებულად და ჯეროვანად შესწავლასაც კი ხელს არ უწყობდა,“ — როგორც აღნიშნავს ოფიციალური დამკვირვებელი[13].

---

[11] Свод законов, III, статья 641.

[12] Свод законов, X, I, ст. 442, пр. 2.

[13] СМЭБГК, V, I, 20.

1882 წელს ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ აუცილებელ საჭიროებად იქნა აღიარებული ბაქოს, ელისავეტპოლისა და ერევნის გუბერნიებში საირიგაციო ნაგებობათა და წყლით სარგებლობის ზედამხედველობისათვის დაენიშნათ თითო ინჟენერ-ჰიდრავლიკოსი. მაგრამ, კავკასიის მმართველობაში სწორედ ამ წელს დაწყებული საერთო რეორგანიზაციის მოლოდინში, პეტერბურგმა ეს შუამდგომლობა სრულიად უყურადღებოდ დასტოვა.

1887 წ. მარტში სოფლის მეურნეობის კავკასიურმა საზოგადოებამ და რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიურმა განყოფილებამ სპეციალური თათბირი მიუძღვნეს კავკასიაში წყლით სარგებლობის საკითხს. ეს ის დრო იყო, როდესაც პეტერბურგში. სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში დასასრულს უახლოვდებოდა წყალით სარგებლობის შესახებ შესაბამისი კანონმდებლობის (Закон о праве на воду) შემუშავება.

მომხსენებელი ს. ა. ფონ-ვეისენჰოფი, აგრეთვე კამათში გამოსული სპეციალისტები დინგელშტედტი, არასხანიანცი, პსარევი და სხვ. იმ აზრს ანვითარებდნენ, რომ ამიერკავკასიის მდინარეები, რუსეთის სანაოსნო მდინარეთაგან განსხვავებით, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებათა შესაბამისად, ე. ი. უმთავრესად მორწყვის ინტერესებისათვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული და, ამდენადვე, მიჩნეული საირიგაციო მდინარეებად [14].

დას. ევროპაში მდინარეების როგორც ირიგაციის, ისე ნაოსნობისათვის გამოყენების შესახებ ზოგიერთი ცნობების საფუძველზე ფონ-ცურმილინი ამტკიცებდა, რომ ამიერკავკასიაში „ირიგაციის საკითხის ნაოსნობის საკითხზე მაღლა დაყენება... ფრიად დიდი შეცდომა“ იქნებოდაო [15].

როგორც ცნობილია, მდინარეთა ირიგაციის თუ ნაოსნობი-

---

[14] С. Фон-Вейссенгоф, „Каким нуждам должны предпочтительно служить воды Кавказа“, 1887, стр. 14.

[15] იქვე; აგრეთვე ТКОСХ, 1887, № 5—6.

სათვის გამოყენება ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებს შეიცავს, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, სადაც საერთოდ წყლის სიმცირე საკმაოდ საგრძნობია.

საქმე იმაშია, რომ ირიგაციისათვის საჭიროა მდინარეთა კალაპოტიდან წყლის მინდვრებში გაყვანა, რაც იწვევს წყლის დონის მეტნაკლები ზომით დაწევას და ზოგან, ინტენსიური მორწყვის პერიოდებში. პატარა მდინარეთა დაშრობასაც კი.

მეორე მხრივ, ნაოსნობის ინტერესები როგორც წესი, მოითხოვენ მდინარის მთელი წყლის მისსავე კალაპოტში დინებას და ხშირად კიდევ სხვა მდინარეთა წყლის მაგისტრალურ (სანაოსნო) მდინარეში გადაგდებას უკანასკნელის დონის აწევის მიზნით.

ამასთანავე უაღრესად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სოფლისმეურნეობრივი წარმოების საჭიროებისათვის, ე. ი. მორწყვისათვის წყლის შეცვლა არაფრით არ შეიძლება, ხოლო ნაოსნობის სახალხომეურნეობრივ და საზოგადოებრივ ფუნქციას უკვე იმ დროს დიდის წარმატებით ასრულებდა რკინიგზა. სწორედ 1880-იანი წლების შუაში ამიერკავკასიის რკინიგზას (ბაქო-ბათუმის მაგისტრალი გაიხსნა 1883 წ.) მის გასწვრივ მდებარე მინდვრების მორწყვის მეოხებით საშუალოწლიურად გადაქონდა 12 მლნ. ფუთამდე მარცვლეული და კიდევ მნიშვნელოვანი ზომით სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები. ამავე დროს მდ. მტკვრით გადაქონდათ დაახლოებით 2 მლნ. ფუთი მარცვლეული, მაშინ როდესაც მის აუზში, ირიგაციის წყალობით მოყავდათ 30 მლნ. ფუთი მარცვლეული.

ქვეყნის საერთო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაც საღად მოაზროვნე სპეციალისტებს კარნახობდა, რათა მხარი დაეჭირათ ადგილობრივი მდინარეების უპირატესად საირიგაციოდ მიჩნევის წინადადებისათვის, რამდენადაც ტექნიკური პროგრესის მომენტიც ტრანსპორტის სხვა საშუალებათა მოსალოდნელი სწრაფი განვითარების შესახებ აშკარად ლაპარაკობდა. თუმცა ხსენებულ თათბირზე იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მდინარეთა გამოყენებაში ირიგაციისა და ნა-

ოსნობის შეთანხმებულ მოთხოვნილებათა წამოყენებაზედაც ლაპარაკობდნენ.

უნდა ითქვას, რომ ამიერკავკასიის მდინარეთა საკითხის უპირატესად ამა თუ იმ დანიშნულების თვალსაზრისით განხილვას იმ დროს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ (მინისტრთა კომიტეტმა), რომლისთვისაც მდინარეთა უპირატესად სანაოსნოდ გამოყენების იდეა უფრო გასაგები იყო. ყარაიაში მარიას საირიგაციო არხის გაყვანის აქციონერული საზოგადოების წესდების განხილვისას (1883 წ.) საჭიროდ მიიჩნია გამოეტანა დადგენილება: მდ. მტკვრიდან წვრილი არხებით სარწყავი წყლის გაყვანის ნებართვა გაცემულიყო მხოლოდ იმ პირობით „რომ ეს არ ვნებდეს და ხელს არ უშლიდეს ნაოსნობას"[16].

ფონ-ვეისენჰოფის თეზისების მიხედვით ამიერკავკასიის მდინარეები უნდა ყოფილიყო მიჩნეული უპირატესად საირიგაციოდ; — რის მერმეც იდგა მათი მნიშვნელობა, როგორც ხე-ტყის დაცურების საშუალებისა და ბოლოს კი — სამიმოსვლო, სანაოსნო საშუალებისა.

ხსენებულმა თათბირმა საბოლოოდ ქიიღო რეზოლუცია, რომ კავკასიის წყლები უპირატესად უნდა ემსახურებოდნენ სოფლის მეურნეობის მოთხოვნებს, ე. ი. მორწყვის საქმეს (как для обводнения, так и орошения земель) ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც მდინარეები მორწყვისათვის საჭირონი არ არიან, ანდა სადაც ეს მორწყვის ინტერესებს ხელს არ შეუშლის, ისინი შეიძლება იქნას გამოყენებული ნაოსნობისათვის.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქვეყანაში, სადაც მიწათმოქმედება დამყარებულია მორწყვაზე, აუცილებელია არსებობა საზოგადოდ აღიარებული სპეციალური ადათობრივი თუ დაწერილი კანონებისა, რომლებიც განსაზღვრავენ იმ რთულ მოვლენებს, რომელთაც იურიდიული, ადმინისტრაცი-

[16] ТКОСХ, 1887, № 5—6.

ული, ყოფიერებითისა და ტექნიკურის მხრივ წარმოშობს წყლისმფლობელობისა და წყლით სარგებლობის პრაქტიკა. როგორც დავინახეთ, ასეთი კანონმდებლობის არარსებობა დიდად უშლიდა ხელს ამიერკავკასიაში ირიგაციის განვითარებას და მორწყვის არსებულ საშუალებათა ნორმალურ ექსპლოატაციასაც კი.

ბოლოს, როგორც იქნა, 1890 წლის 3 დეკემბერს დამტკიცდა 1880 წელს შედგენილი კანონ-პროექტი, — ე. ი. გამოიცა ამიერკავკასიაში წყლის მფლობელობისა და წყლით სარგებლობის საკმაოდ დაწვრილებითი კანონი. ეს იყო საერთოდ რუსეთის იმპერიაში პირველი კანონი ხელოვნური მორწყვის შესახებ [17].

1890 წ. 3 დეკემბრის კანონით სახელმწიფო ცხადდება „ეზენაეს მფლობელად ყოველგვარი წყლისა, რომელიც გადის ერთი მფლობელის (მამულის) ფარგლებიდან“[18]. ამგვარად, წყლისმფლობელობა სამოქალაქო სამართლის სფეროდან გადატანილია საჯარო-უფლებრივ ურთიერთობათა სფეროში, „სადაც კერძო საკუთრების უფლება დაქვემდებარებულია საზოგადო კეთილდღეობის იდეისათვის“ [19].

კანონმა დააწესა საირიგაციო ნაგებობისათვის საჭირო მიწის იძულებითი გასხვისება — საკარმიდამოს გამოკლებით. დაწესდა აგრეთვე წყლის სპეციალური ადმინისტრაცია: მთელი კავკასიისათვის — ცენტრალური, ხოლო ოლქებისა და ოკრუგებისათვის — ადგილობრივი ორგანოების სახით.

1890 წ. 3 დეკემბრის კანონით წყლით სარგებლობის უფლება ისაზღვრება მასზე არსებული საჭიროებით — მორწყვის

---

[17] ამ კანონის მნიშვნელობისა და შედეგების შესახებ ვრცლად იხ. ნ. აბელოვის მოხსენება თბილისის გუბერნიაში ერობის შემოღების შესახებ საგანგებო თათბირზე — 12.. 10. 1909 წ. (МВЗУЗ, VII, 315—330).

[18] КК, 1914, Отд. общий, 46.

[19] ТКОСХ, 1891 г., № 5—6, 4—17.

მიღებული წესებისა და მიწათმოქმედების კულტურათა გვარეობის შესაბამისად. წყალი, რითაც მოსახლეობა არ სარგებლობს ითვლება თავისუფლად და შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც სახელმწიფო, ასევე საზოგადოებრივი და კერძო საჭიროებისათვის.

ამასთანავე 1890 წ. კანონი ითვალისწინებს გარკვეულ თანმიმდევრობას წყლით სარგებლობის (წყლის გაყვანის) უფლების გაცემის საკითხში: ყველაზე უმნიშვნელოვანესად მიჩნეულია საჭიროება ადამიანის სასმელი წყლის, საოჯახოდ სახმარი და პირუტყვის სასმელი წყლისა; მერმე მოდის სარწყავი წყლის საჭიროება და ბოლოს — წყლის გაყვანა წისქვილისა და სხვა მრეწველური საწარმოსათვის.

კანონი უფლებას აძლევდა მთავრობას ხელი მოეკიდა საირიგაციო სისტემათა გაუმჯობესებისათვის, — წყლის არსებული მარაგის უფრო ეკონომიური მოხმარებისა და, მაშასადამე, ამ გზით მიღებული ნამეტის გამოყენებისათვისაც.

მიუხედავად რიგ ნაკლოვანებათა, რასაც ეს კანონი შეიცავდა, იგი მაინც მნიშვნელოვანი მიღწევა იყო წყლის მფლობელობისა და სარგებლობის საქმის მოწესრიგებაში. პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში დაიწყო მზადება 1890 წ. კანონში ზოგიერთ ცვლილებათა შეტანისათვის, რაც ნაკარნახევი იყო უმთავრესად კაპიტალისტურ ურთიერთობათა შემდგომი განვითარების მოთხოვნებით. მაგრამ ეს ცდები განუხორციელებელი დარჩა.

მთავრობის ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენდა წ ყ ლ ი ს ი ნ ს პ ე ქ ც ი ა კ ა ვ კ ა ს ი ა შ ი, რომელსაც შემდეგში ეწოდა: წ ყ ლ ი ს მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა კ ა ვ კ ა ს ი ა შ ი. წყლის სამმართველოს ფუნქციებში შევიდა როგორც ადმინისტრაციული ისე ტექნიკური საქმეები. ადგილობრივი ორგანო განაგებდა წყლის ოკრუგის (მაჰალის) საქმეებს. ადგილობრივი ორგანო შედგებოდა საბჭოსა, მერაბის, ჯუვართა (ზედამხედველთა) და წყლის მამასახლისისაგან. ყველა ეს თანამდებობა იყო არჩევითი — 3 წლის ვადით.

3 დეკემბრის კანონი წყლითსარგებლობის მოწესრიგებაში ძირითადად ემყარებოდა შესაბამის ადათობრივ სამართალს, რაც აქ, როგორც აღვნიშნეთ, ძველი დროიდანვე იყო შემუშავებული[20]. მართალია, 3 დეკემბრის კანონს მრავალი დეფექტი ჰქონდა, მაგრამ ის მაინც წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამ დროიდან უფრო გაძლიერდა და მეტადაც ეფექტური შეიქნა ხელისუფლების ღონისძიებანი ირიგაციის საქმეში.

აქ საჭიროა ისიც ითქვას, რომ რუსეთის იმპერიის სხვა მრავალ მხარეშიც იყო მეტნაკლები ზომით განვითარებული საირიგაციო ნაგებობანი, მაგრამ 1890 წლის 3 დეკემბრის კანონი, ამ მხრივ, პირველი წერილობითი კანონმდებლობა იყო საერთოდ იმპერიაში. ამ კანონის ცენტრალურ ინსტანციებში გატარებისა და. რაც მთავარია, საბოლოო რედაქციის შემუშავებაში დიდი როლი ითამაშა ი. ტ ი ხ ე ე ვ მ ა.

როდესაც 1909 წელს ქ. თბილისში დაიწყო საგანგებო თათბირები ამიერკავკასიაში ერობათა შემოღების შესახებ ნ. ა ბ ე ლ ო ვ მ ა წამოაყენა მოსაზრება, რათა მომავალი ერობის გამგებლობაში გადასულიყო კერძოდ ირიგაციის საქმეც[21], მაგრამ, როგორც ვიცით, ერობა ცარიზმმა ამიერკავკასიას ამჯერადაც არ აღირსა და ირიგაციის საქმე ბოლომდე დარჩა მოსახლეობის მიერ არჩეულ, თუმცა მისგან არსებითად დამოუკიდებელ პირთა და კოლეგიების ხელში. რომლებიც წყლის ინსპექციის სახელმწიფო კონტროლს ემორჩილებოდნენ. ცხადია, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში უფრო საგრძნობი შეიქნა დაძველებულობა და შეუსაბამობანი 1890 წ. 3 დეკემბრის კანონისა[22].

---

[20] А. Ш а н-Г и р е й, „Разделение права на воду от права на землю“ (КСХ, 1905 г., №№ 572—577).

[21] МВЗУЗ, VII, 314—315.

[22] „Труды Закавказского экономического совещания...“, II, 60, 70.

*
* *

1888 — 1891 წწ. მუშაობას აწარმოებდა სამხრეთ-რუსეთისა და კავკასიის ირიგაციის ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ინჟ. ი. ჟილინსკი. წარმოებდა ძიება წყლის დამატებითი რესურსებისა სარდარბადისა და გარნიბასარის მაჰალისათვის[23]. შესწავლილი იქნა კერძოდ მდ. გარნი-ჩაი, მდ. ზანგი და სხვ., აგრეთვე რიგი წყაროები და მიწისქვეშა წყლები; დიდი მუშაობა იქნა გაწეული სევანისა და მისი წყლით მოსარწყავი მინდვრების გამოსაკვლევად[24].

1895 — 1896 წწ. იგივე ექსპედიცია სპეციალურად მუშაობს მტკვრისა და არაქსის ბასეინების შესწავლისა და რეგულაციის მიზნით, რათა აქედან რაც შეიძლება მეტი წყალი იქნას გამოყენებული მოსარწყავად — უმთავრესად მუღანის ველისა, რომელიც ამ დროიდან მეჭბამბეობისა და კოლონიზაციის განვითარებისა და გაფართოების უმნიშვნელოვანეს სივრცედ იყო მიჩნეული[25].

ირიგაციის დიდი მნიშვნელობა, ცხადია, ადგილობრივ ტექნიკურ ინტელიგენციას უკარნახებდა საკუთარი და, მაშასადმე, ადგილობრივი პირობებისათვის — ღრმა კალაპოტიდან წყლის, იქვე, ზემოთ ამოყვანისათვის — შესაბამისი ხერხები და საშუალებანი გამოემუშავებინა, გამოეგონა. ამ მხრივ აღსანიშნავია, მაგალითად, ა. ე. ხან-აგოვის „ჰიდრავლუ-

---

[23] П. Жилинский, „Очерк работ экспедиции по орошению на... Кавказе“, 1892, СПБ; Г. Назарянц, „Дело орошения в Гарнибасаре Эриванск. губ“. (КХ, 1916 г., № 15—16, стр 2—3).

[24] И. Жилинский, „Записки об орошаемых и пригодных для орошения землях в Туркестане, Закаспийской области и Закавказье“ (Труды Хлопк. Комитета, 1907, СПБ, 57—66).

[25] С. Мелик-Саркисян, „О наносах р. Аракса“ (Труды Вольного Экон. Об-ва, 1897, СПБ, I, 36); М. Навроцкий, „Основания для орошения Мильской в Муганской степей“ (Сборн. Карадагск. рудные месторождения, 1902, СПБ, 106—200).

რი ავტოელევატორი", კონსტრუირებული 1890-იანი წლების ბოლოს. ამ „ჰიდრავლურ ავტოელევატორს თავისთავად ამოჰყავს წყალი ქვემოდან ზემოთ". ა. ხან-აგოვის აპარატი მრავალგან იყო გამოფენილი და გამოცდილი. აპარატი მუშაობდა, სხვათა შორის, ბაღების მოსარწყავად ავჭალაში, აგრეთვე თვით ქ. თბილისში (სადაც, მტკვრიდან ამოყვანილი წყლით, რწყავდა გენ. ეუკოვის ბაღს), გორში (კალატუზოვის მამულში) და სხვ.[26], მაგრამ მალე, 1900-იანი წლებიდან, ალბათ, ტექნიკური არასრულქმნილობისა და, მაშასადამე, არაეკონომიურობის მეოხებით იგი თანდათანობით დავიწყებას მიეცა.

კავკასიის წყლის სამმართველოს მუშაობა, გარდა იმისა, რომ იგი ერთგვარ ზედამხედველობას ახორციელებდა ზემოხსენებული ექსპედიციის საქმიანობაში, უმთავრესად იმაში გამოიხატებოდა, რომ იცავდა გაფუჭებისაგან ირიგაციის არსებულ სისტემას, ამაგრებდა მდინარეთა ნაპირებს, სწავლობდა ზოგიერთ მდინარეს, მისი წყლის მოსარწყავად გამოყენების თვალსაზრისით[27].

1910 წელს წყლის სამმართველოსთან შეიქმნა ჰ ი დ რ ო მ ე ტ რ ი უ ლ ი გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა. რომელსაც სისტემატური დაკვირვება უნდა ეწარმოებია ამიერკავკასიის ჰიდროგრაფიისა და წყლის მარაგთა შესწავლისათვის[28].

წყლის სამმართველოს მიერ 1903 წლის მდგომარეობის მიხედვით შედგენილი ამიერკავკასიის ირიგაციის რუქის თანახმად სარწყავი არხებით სარგებლობდა სულ 3963 დასახ-

---

[26] იხ. КВПС, 1900 г., № 6, стр. 5—7.

[27] СВРЗК, XI, 109—112.

[28] ТМКСХП, LII, 93—102; А. Эссен, „Гидрография Закавказья", 198; უფრო ადრე, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან დაარსებულ იქნა ჰიდროლოგიური კომიტეტი (იხ. КСХ, 1903 г. № 487, стр. 1080—1081). 1913 წ. გამოქვეყნდა ამიერკავკასიის ჰიდრომეტრიული განყოფილების მუშაობის პირველი შედეგები; „Отчет гидрометрической части за 1910—1912 г.г", ამავე 1913 წლიდან დაიწყო ჰიდრომეტრიული ბიულეტენების გამოცემაც — წელიწადში სამჯერ.

ლებული პუნქტი (ქალაქი და სოფელი), სადაც სარწყავი წყლით სარგებლობდა 269.678 კომლი. ხოლო რიცხვი მიწათმფლობელთა და საღალო (оброчных) მამულებისა, რომლებიც სარწყავი წყლით სარგებლობდნენ, უდრიდა 7305-ს. მთელი სარწყავი მიწის ფართობი შეადგენდა 1.258.171 დესეტინას. ამათგან ყოველწლივ ირწყვოდა 718.961 დეს. ამავე დროს მაგისტრალური და გადამყვანი (განმშტოებელი) არხების საერთო რაოდენობა უდრიდა — 5946; ბუნებრივ წყალსაცავთა რაოდენობა — 1783; ქიაჰრიზებისა და წყალსაცავთა ხელოვნური ნაგებობის რაოდენობა — 725. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1903 წ. ცნობაში აღნუსხულია მხოლოდ ის რაიონები, სადაც უკვე არსებობდა ამ დროისათვის წყლის მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.

1911 წლიდან წყლის სამმართველოს მუშაობა უფრო გაცხოველდა და კონცენტრირებულ იქნა უმთავრესად მტკვრისა და არაქსის ქვედაწელის შესწავლაზე[29]. წყლის სამმართველომ ამ წელს პირველად მიაქცია რეალური ყურადღება ირწყვის საკითხს დას. საქართველოში[30]. 1913 წ. სწავლობდნენ მდ. რიონიდან წყლის გაყვანით ქუთაისის მაზრის სოფლების მორწყვის საქმეს. 1911 — 1913 წწ. სარწყავად გამოყენების მიზნით დაიწყო აგრეთვე მდ. ცხენის-წყლის გამოკვლევა[31].

---

[29] СВРЗК, XI, 112—114.

[30] თვით ქართული პრესა ჯერ კიდევ 1880-იანი წლებიდან აღნიშნავდა დას. საქართველოში ტყეების გაჩეხვისა და სხვ. მიზეზთა გამოხატულობით, განსაკუთრებით პატარა მდინარეებში, წყლის დავარდნისა და საერთოდ ცის ნალექების შემცირების ფაქტს და ამასთანავე მიუთითებდა სარწყავი არხების გაყვანისათვის დროულად ზრუნვის საჭიროებას (იხ. „დროება“, 1883 № 120).

[31] СВРЗК, XI, 109—110. საერთოდ საბჭოთამდელ პერიოდში დას. საქართველოში მიწების ხელოვნურ მორწყვას არსებითად არ ეწეოდნენ. მხოლოდ ზოგიერთ სოფელს ჰქონდა გაყვანილი არხი, რასაც გვალვიან წლებში იყენებდნენ. მაგალითად, ს. მესხეთი (ქვიტირის თემი) ასეთ შემთხვევაში მთელი სახნავი მიწების დაახლოებით ნახევარს რწყავდა; სოფ. დიდი ჯიხაიშის, კუხის სასოფლო საზოგადოების, ს. მუხიანის მიწების თითქმის ორი მესამედი ირწყვოდა. უფრო ნა-

მორწყვის საქმის გაუმჯობესებისათვის ზრუნავდა ამიერკავკასიაში კოლონიზაციის სამმართველო[32], რომელსაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანად ჰქონდა დასახული ამ ქვეყნის რუსებით კოლონიზაცია, რისთვისაც მიწების საჭირო ფონდის გამონახვა ამდროიდან უკვე მხოლოდ მორწყვის მეოხეობით იყო შესაძლებელი.

1907 წელს იმპერატორისათვის წარდგენილს მოხსენებით ბარათში კავკასიის ნამესტნიკი ი. ვორონცოვ-დაშკოვი აცხადებდა, რომ, მაგალითად მუღანის ველის „თაოსნიანი რუსი ადამიანებით დასახლება წარმოადგენს განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმესო“. ამასთანავე იგი აღნიშნავდა საერთოდ ამიერკავკასიაში ირიგაციის, სახელდობრ ურწყული, მაშასადამე, უკაცრიელი და უნაყოფო ველების მორწყვის უდიდეს სახალხომეურნეობრივ და პოლიტიკურ მნიშვნელობას.

კერძოდ მდ. მტკვრის მარცხენა მხარის დიდი სივრცეები მდ. ალაზნის შესართავის აღმოსავლეთით ელისაველტპოლის გუბერნიის ჩრდ. ნაწილში და ბაქოს გუბერნიის გეოქჩაის მახრისა მაშინ შეიცავდნენ უშველებელ ურწყულ და შემოსავლის არამქონე კერძო და სახაზინო მიწებს. აქ მხოლოდ ყაშლაღისათვის ვარგის ადგილებში მიწის შემოსავლიანობა 1 დესეტინაზე 1 მანეთს არ აღემატებოდა.

ამასთანავე ამ. დაახლოებით, 250.000 დესეტინა მიწების მორწყვისა და, მაშასადამე, ბამბისა და სხვა კულტურისათვის გამოყენებით მათი შემოსავლიანობა „ყველაზე არახელსაყველ პირობებშ-“ მაშინდელი ვარაუდით 1 დესეტინაზე 50 მანეთს გადააჭარბებდა.

ამგვარად კი, „ახლა უდაბური სივრცეები ყოველწლიურად 10.000.000 მანეთზე მეტ შემოსავალს მოიტანს. მიწის კერძო

ლები ზომით ირწყვოდა სოფლების ხონისა და იანეთის მიწები. ზოგიერთ კერძო მემამულესაც, მაგალითად, ანანოვებს (ს. ვარციხე), ჰქონდათ გაყვანილი სარწყავი არხები. МСХСФККИЗС, стр. 96—97.

[32] „Кавказ в 1909 году“, 1910, Тифлис, стр. 69—72.

მეპატრონეები, რომელთაც მორწყვის საშუალება არა აქვთ, სიამოვნებით უთმობენ ხაზინას მიწების ნაწილს წყლისათვის, რასაც მათ იგი მიაწვდის. ამ გზით მიღებული მიწის ნაკვეთები გადაეცემა კოლონიზაციისათვის მიწათ-მოწყობის ფონდებს... „ანალოგიური საშუშაოების შესრულება არანაკლებ აუცილებელია და მნიშვნელოვანი რუს კოლონისტთა ყოფიერების მოსაწყობად იმ ნაკვეთებზედაც, რასაც მათთვის გადასახლება-დასახლების ამხანაგობები იძენენ გლეხთა საადგილ-მამულო ბანკის დახმარებითო.

ყოველივე ამის გამო, კავკასიის ნამესტნიკი დაბეჯითებით მოითხოვდა, კავკასიის კოლონიზაციის „ესოდენ უმნიშვნელოვანესი საბელმწიფოებრივი საქმის“ წარმატებით გადაჭრის მიზნით, საირიგაციო მშენებლობისათვის ხაზინას გაეღო საჭირო თანხები[33].

ამგვარად, ცარიზმმა ამიერკავკასიაში მიწათმოქმედების გაფართოებისათვის ესოდენ აუცილებელი ფაქტორი, როგორიცაა მორწყვა უშუალოდ დაუკავშირა ამ ქვეყნის კოლონიზაციის[34], მაშასადამე, რუსიფიკაციის საკითხს.

ცარიზმის ბიუროკრატიის უმოქმედობის ფონზე ადგილობრივი ეროვნული ძალები უშედეგოდ ცდილობდნენ საკუთარი ინიციატივის გამოჩენას, როგორც მრავალ სხვა, ისე კერძოდ

---

[33] П. Воронцов-Дашков, „Всеподданнейшая записка по управлению Кавказским краем“, 1907, стр. 80—86.

[34] იხ. Ив. Маовский, „К полемике об орошении Мугани“ (Как и для кого орошать Мугань?), 1901; КСХ, 1900 г. № 14—15; 1901 г. №№ 18, 20—26; Газ. „Кавказ“. 1901 г. № 146; И. Млевский, „Практика большого орошения и орошение для переселенческих. участков...“, 1903, Тифлис; А. Брилинский, „Краткие сведения об орошении, колонизации, сельского хозяйства на Мугани“, 1908, Баку.

ირიგაციის საქმეშიაც. აქ, მაგალითისათვის, აღვნიშნავთ ერთ-ერთ ცდას მელიორაციის ბანკის დაარსებისა. მორწყვის მოთხოვნილებათა ასე თუ ისე დაკმაყოფილების მიზნით 1902 წელს მელიორაციის ბანკის დაარსების პროექტი წამოაყენა ქართველი ინტელიგენციის ჯგუფმა ვ. წ ე რ ე თ ლ ი ს მეთაურობით[35]; მაგრამ ამ ცდას რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

---

[35] В. Ц е р е т е л и, „Сущность проекта молиоративного банка" (КВПС, 1902 г. № 119, стр. 8—9).

VI. ინჟენრული საირიგაცო ნაგებობანი

თვით 1914 წლამდე ამიერკავკასიაში არსებობდა სულ რამდენიმე დიდი საირიგაციო ნაგებობა (ინჟენრული სისტემა). ამათგან ყველაზე ადრინდელია ყარაიას საირიგაციო სისტემა. ყარაიას ველის მორწყვის პროექტი შეადგინა ინგლისელმა ინჟენერმა გაბბაჰ, საირიგაციო მუშაობა მისივე ხელმძღვანელობით დაიწყო 1864 წელს და პირველი რიგისა დამთავრდა 1867 წ., რა დროიდანაც იწყება აქ მორწყვა — მარიას არხით[1].

ძველი ქართული წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ აქ სარწყავი რუები ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალს (V საუკ.) გაუყვანია[2]. ვახუშტის გეოგრაფიაში ვკითხულობთ: „ნაგების [ძველი ბოსტანქალაქის, რუსთავის] აღმოსავლით და სამხრით არის ველი დიდი ყარაიისა ...ნაგებიდამ გაიღო ჟდ მეფემან ვახტანგ რუ მტკვრისაგან, და მიერ ჟამითგან ნაყოფიერებს ჭალებს ქვემოთი მინდორი"[3]. სეხნია ჩხეიძე აცხადებს, რომ ვახტანგ VI „განიღო რუ ნიახურითგან, ვიდრე ყისყალამდის, აღაშენა ხუნანი, სოფლები უშენსა ადგილებსა და განიღო რუ ნაგებიდამ ბოლოსა ყარაიისასა და აღაშენა სოფლებიო"[4].

ამგვარად, ყარაიას სარწყავი სისტემა ჯერ კიდევ მეხუთე სა-

---

[1] СВРЗК, XI, 743.

[2] Д. Пурцеладзе, „Грузинские церковные гуджары", 1881, стр. 1. შენიშვნა სქოლიოში.

[3] ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 1941, თბ., გვ. 50 — 51.

[4] „ქართლის ცხოვრება", II, 323; პროფ. მ. ჯანაშვილი, „საქართველოს ისტორია", მეორე გამოცემა, 1894. თბ. 408.

უკუნეში არსებულა და უკანასკნელად ის ვახტანგ VI მიერ ყოფილა განახლებული. „შემდეგში იგი საწყალად დაედვა ახლანდელ მარიას არხს ყარაიაშიო“, აცხადებს ისტორიკოსი დ. ფურცელაძე[5].

ყარაიას მამული ეკუთვნოდა „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენ საზოგადოებას“, რომელმაც აქ გაიყვანა ხსენებული არხი, „მარიას არხის“ („мариинский канал“) სახელწოდებით[6]. 1885 წლიდან ყარაიას მამული ხაზინის ხელში გადავიდა. მამულის სივრცე უდრიდა 21.200 დესეტინას; ამათგან 1900-იანი წლებს ბოლოს ირწყვოდა 16.000-მდე დესეტინა. მდ. მტკვრიდან გაყვანილ მარიას არხის მთელი ინჟენრული ნაგებობის სიგრძე უდრიდა 18,5 ვერსს, მთავარი შტოს სიგრძე — 5 ვერსს და 16 წვრილი განმანაწილებელი რუებისა — 104 ვერსს. ხაზინა ყარაიას სარწყავ ველებს იჯარით აძლევდა უპირატესად რუს კოლონიზატორებს.

ერევნის მაზრის არაზდას ველის საირიგაციო სისტემა გენ. კანანოვის თაოსნობით გაყვანილია 1874 წელს. ეს არხი, რომელიც 10.000 დესეტინა მიწას რწყავდა, გამოდის მდ. არაქსიდან. არხს მაგისტრალის სიგრძე უდრიდა 36 ვერსს, ხოლო 9 განმანაწილებელიანად არხის საერთო სიგრძე იყო 76 ვერსი.

მუღანის ველის საირიგაციო სისტემის გაყვანა დაიწყო 1901 წ. პირველი რიგის არხი — ქვემო-გოლიცინისა — გაიხსნა 1902 წელს. 1907 წ. დაიწყო ზემო-გოლიცინის არხის გაყვანა. ორივე არხი არაქსიდან გამოდის. ისინი 1913 წ. რწყავდნენ ჩრდ. მუღანის ველის დაახლოებით 25.000 დესეტინა ფართობს. ცენტრალური მუღანი ირწყვოდა ისევ არაქსიდან გაყვანილი ქვემო-ვორონცოვის არხით. ამ არხის სიგრძე უდრიდა 72 ვერსს და 1913 წელს მით ირწყვოდა 12.000 დეს. ფართობი.

1909 წელს დაიწყო და 1913 წელს დამთავრდა ზემო-ვო-

---

[5] Д. Пурцоладзе, l. c., стр. 1; ი. ანთაძე, l. c., 149.
[6] ТКОСХ, 1888 г. № 7—8, 384—390.

რონცოვის არხის გაყვანა, რომელიც პირველსავე წელს რწყავდა სამხრეთ მუღანის 8.000 დეს. ფართობს (ამ არხით ნავარაუდევი იყო სულ 30.000 დესეტინის მორწყვა). მუღანის ველი ირწყვოდა აგრეთვე მდ. ბოლგარჩაიდან გაყვანილი ორი არხით (5.000 დეს.).

ასე რომ 1913 წ. მუღანის ველზე ირწყვოდა სულ დაახლოებით 50.000 დეს. ამავე დროს მიმდინარეობდა მუშაობა ცენტრალური მუღანისა და ქვემო მუღანის არხების გაყვანისათვის, რომელთაც უნდა მოერწყათ 130.000 დეს. ფართობზე მეტი. ამ არხების გაყვანა 1916 წ. ძირითადად უკვე დამთავრებული იყო [7].

მაგრამ მუღანში საირიგაციო მშენებლობის ნავარაუდევი მასშტაბით განვითარებას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ „ამ ველზე მოსახლეობის საჭირო რაოდენობით მოზიდვა და დაბინავება ვერ ხორციელდებოდა“; ხოლო ვერ ხორციელდებოდა მხოლოდ იმის გამო, რომ ადგილობრივ მკვიდრთ (ამიერკავკასიელ ხალხებს) უკრძალავდნენ მორწყულ ველებზე დასახლებას — აქ უპირატესად რუსი გლეხები უნდა დაესახლებინათ.

ამავე დროს ცენტრალური რუსეთის გუბერნიებიდან სათანადო რაოდენობით გლეხობის გადმოსახლების პროცესის გაჭიანურების, ე. ი. მუღანში შესაბამისი რაოდენობით მოსახლეობის არარსებობის მეოხებით, 1916 წელს, მაგალითად, გამოყენებული იყო მხოლოდ 36 პროცენტი მთელი მორწყული მიწისა.

საერთოდ, მუღანის ველის საირიგაციო სისტემის მშენებლობის ინტენსივობა აშკარავდება იმის მიხედვით, თუ რამდენად იზრდებოდა აქ მორწყული მიწის ფართობი [8]:

---

[7] СВРЗК, XI, 743.

[8] А. Эссен, „Орошение в Закавказье“, 1914, стр. 50—51.

წლები	დესეტინობით
1902 — 1908	6.000
1908 — 1909	16.000
1910	18.000
1911	22.000
1912	47.000
1913	50.000

ხოლო 1916 წლის ბოლოსათვის მუღანის ველის ოთხივე საირიგაციო სისტემით ირწყვოდა დაახლოებით 180.000 დესეტინა ფართობი[9].

ბოელს ამიერკავკასიაში 1903 — 1912 წწ. სარწყავი მიწების ფართობი გადიდდა 274.160 დესეტინით, ე. ი. 38 პროცენტით, რაც უდაოდ მოწმობს იმ ფაქტს, რომ 1900-იანი წლებიდან საირიგაციო მშენებლობა შედარებით შესამჩნევი ტემპით ვითარდებოდა. მაგრამ, ცხადია, ეს კიდევ არ იყო საკმარისი. აღმ. ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ რჩებოდა დიდძალი, მოურწყველობისაგან, გაუდაბნოებული ველები. მოურწყველი იყო, მაგალითად, მილის ველის[10] — 280.000 დეს., შირვანის ველის — 500.000 დეს.. სალიანისა — 130.000 დეს. და სხვ., რომელთა საერთო ფართობი ერთ მილიონ დესეტინას აღემატებოდა.

ჩვენ აქ, რასაკვირველია, არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ თვითზემოხსენებულ საინჟენერო სისტემებსაც ფრიად მნიშვნელოვანი დეფექტები ახასიათებდა; თუმცა, ცხადია, რომ ძველი დროის, თუნდაც ყველაზე სრულქმნილ ირიგაციასთან შედარებით, ესენი ბევრად უფრო თანამედროვე სისტემებს წარმოადგენდნენ.

---

[9] „Закавказье", стат. экон. сб., стр. 207.

[10] „Обзор Елизаветпольской губ. за 1910 г." 1912. Тифлис, стр. 259—260.

საერთოდ, ამ სისტემების მთავარი დეფექტი იყო: 1. პრიმიტიული წყალმიმღები ნაგებობა, რაც ვერ უზრუნველყოფდა არხში აუცილებელი რაოდენობით წყლის რეგულარულ შესვლას; 2. სისტემის მრავალსათავიანობა, ე. ი. მდინარის მცირე მონაკვეთში მრავალი წვრილი არხისათვის ცალკეულ წყალგამყვანთა არსებობა; 3. ზომაზე მეტი სამარქაფო ნაწილები არხებისა, რაც იწვევდა წყლის აუარებელ დანაკარგს ფილტრაციისა და აორთქლების სახით; 4. არხების დიდი სიგრძივი დახრილობა ერთგან, ხოლო სხვაგან სავსებით დაუხრელობა; 5. სასხლეტი (сбросный) და კოლექტორული ქსელისლ უქონლობა, რასაც შედეგად მოსდევდა დაჭაობიანება და გაბიცობება (გაშარილიანება) მიწებისა[11].

მაგრამ გარდა იმისა, რომ 1860-იანი წლებიდან შექმნილი საირიგაციო სისტემებიც კი არადამაკმაყოფილებელი იყო, ადმინისტრაცია გულგრილად უყურებდა ძველი მოსარწყავი არხებისა და რუების მიმდინარე შეკეთებისა და დაცვის საქმეს. ამასთანავე ეს „ძველი, პრიმიტიული“ სისტემა კიდევ დიდად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საერთოდ ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში.

ამ მხრივ ფრიად მკერმეტყველურია განცხადება ოფიციალური პირის, დიდი სახელმწიფო მოხელის, ნ. მატფეევისა, რომელიც 1914 წელს, იხილავდა რა ამიერკავკასიაში ირიგაციის მდგომარეობას, ასკვნიდა: „შეიძლება გადაჭარბების გარეშე ითქვას, რომ მორწყვის ძველი ქსელი არამცთუ არ გაუუმჯობესებიათ ამ ქვეყნის რუსეთთან შეერთების დროიდან, არამედ თითქმის საერთოდ მოშლამდეა მიღწეული. ირანელთა ბატონობის დროს ყოფილ მუსლიმანურ პროვინციებში და ბატონყმობის დროს საქართველოში ეს საკითხი ადვილად წყდებოდა. სახელდობრ, სარწყავ ნაგებობათა დაცვა-მოვლის საქმეები გაწერილი იყო გლეხობაზე ნატურალური ბეგარის სახით, რაც იძულებითი წესით სრულდებოდა. ეს უდაოდ არა

[11] СВРЗК, XI, 743.

სამართლიანი წესი ამჟამად, რასაკვირველია, მოსპობილია, მაგრამ ახალი წესებიც ამ საქმეში ვერ უზრუნველყოფენ წარმატებას"[12].

ყოველივე ამას კარგად გრძნობდა, მაგალითად, პ. პ ე ტ რ ო ვ ი ჩ ი ც, რომელიც 1913 წელს წერდა: „ამიერკავკასიაში არ არის არც საკმაო რაოდენობით სარწყავი წყალი, არც მისი წესიერი განაწილება; ახალი არხების, რუების, ქიაჭრიზების, წყალსაცავების, არტეზიული ჭების, წყალსაქაჩავთა გაყვანა-აშენების საკითხები, მთელი მხარის წყლის ინსპექციის რეორგანიზაციის, წყლის სამართლის საკითხის მოწესრიგება და სხვ. დღის წესრიგზე დგას და უცდის გადაჭრასო"[13].

მაგრამ ცარიზმისა და კაპიტალიზმის პირობებში შეუძლებელი იყო ამ საკითხების რაციონალური და ადგილობრივი მოსახლეობის მასებისათვის სასურველი და სასარგებლო სახით გადაჭრა. 1916 — 1920 წწ. ომებისა და რევოლუციების გაბმავლობაში, როგორც საერთოდ სახალხო მეურნეობა, ისე ირიგაციულ ნაგებობათა უდიდესი ნაწილი მოიშალა და დაირღვა. კერძოდ, ყარაიას და მუღანის სისტემების დარღვევას ხელი შეუწყო აქედან კოლონიზატორთა აყრამ და საერთოდ წყლის ადმინისტრაციის დაშლამ. არხები დაისილა და მიწით გაივსო.

ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდანვე დაიწყო როგორც მთელი სახალხო მეურნეობის, ისე ირიგაციის აღდგენა. ვ. ლ ე ნ ი ნ ი ადგილობრივი კომუნისტების განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ირიგაციის საქმეს. სახელდობრ ს ე რ გ ო ორ ჯ ო ნ ი კ ი ძ ი ს სახელზე კავკასიელი კომუნისტებისადმი წერილში. 1921 წ., ლ ე ნ ი ნ ი მითითებას იძლეოდა: „...ი რ თ ბ ა შ ა დ შ ე ე ც ა დ ე თ გ ა ა უ მ ჯ ო ბ ე ს ო თ გ ლ ე ხ თ ა მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა დ ა დ ა ი წ ყ ო თ ე ლ ე ქ ტ რ ო ფ ი კ ა ც ი ი ს, მ ო რ წ ყ ვ ი ს დ ი დ ი ს ა მ უ-

---

[12] Н. М а т ф е е в, „Водный закон и земство на Кавказе" (КХ, 1914 г., № 14, стр. 4).

[13] П. П е т р о в и ч, „Продовольственная нужда в Закавказье в 1913 г.", Тифлис, стр. 21—22.

შაოები. მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, ააღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას"[14].

1921 წლიდან დაიწყო ამიერკავკასიაში საირიგაციო სისტემის აღდგენისა და მშენებლობის საესებით ახალი პერიოდი.

1923 წ. თბილისში შემდგარ ამიერკავკასიის ეკონომიკურ თათბირზე აღინიშნა, რომ წყლის მართველობის და საერთოდ მორწყვის ამოცანები „ისევე მნიშვნელოვანია როგორც ამოცანები არმიისა. სამუშაოები, რომელიც მუღანში სწარმოებს რუსეთის ტექსტილური მრეწველობის საჭიროებისათვის, სუბსიდიებს რუსეთის ცენტრალური დაწესებულებებისაგან ღებულობსო"[15].

1926 წელს უკვე მიღწეული იყო ომისწინადროინდელი დონე მოსარწყავი ფართობის სივრცის მიხედვით. ჯერ კიდევ 1924 წლის ბოლოს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში ირწყვოდა (დესეტინობით)[16]:

აზერბაიჯანში	700.000,	რაც შეადგენდა	საერთოდ ვარგისი მიწის	
			დაახლოებით	11 %-ს
სომხეთში . .	140.000 „	„	„	18 „
საქართველოში	100.000 „	„	„	3 „

მაგრამ დაიწყო არა მხოლოდ ძველ საირიგაციო სისტემათა აღდგენა, არამედ, როგორც ვთქვით, გაიშალა უდიდესი აღმშენებლობითი მუშაობა საესებით ახალი სისტემების შესაქმნელად, როგორც, მაგალითად, მდ. რიონიდან — მაშველისა და სხვ., დიდი ლიახვიდან — ტირიფონისა, არპაჩაიდან — სარდარაბადისა, არაქსიდან — გიუარ-არხისა, და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მიაქ-

---

[14] ვ. ლენინი, თხზ. ტ. 32, გვ. 399 — 400.

[15] ТЗЭС, II, 70.

[16] „Закавказье", 159—160.

ცია ჯეროვანი ყურადღება და რეალურ შედეგამდე მიიყვანა კერძოდ დას. საქართველოს ირიგაციის საქმე. ადრიდანვე აღიარებული იყო, რომ ქუთაისის გუბერნიის შავი ზღვისაგან დაშორებული რაიონები — ყვირილისა და რიონის ზემოთა ჭალები — საჭიროებენ მორწყვას. ამ რაიონებში წვიმები იშვიათად მოდის. მაგალითად, 1890—1911 წლებში, ე. ი. 22 წლის მანძილზე ამ რაიონებში აღნიშნული იყო 13 გვალვიანი წელიწადი (60%), როდესაც უწვიმობით (უწყლობით) გაფუჭდა ყანები[17]. დას. საქართველოში მხოლოდ 1921 — 1925 წწ. იქნა გაყვანილი რამდენიმე მნიშვნელოვანი საირიგაციო სისტემა, რითაც მოირწყო 30.000 დეს. მიწა[18].

1925 წ. 5 დეკემბერს ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების IV ყრილობისადმი რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშგებაში ს. ორჯონიკიძემ სთქვა: „ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში ვლადიმერ ილიას ძე თავის წერილში, როგორც თქვენ გახსოვთ ამბობდა: ხელი მოკიდეთ მორწყვას და დაღუპულ ტექნიკურ კულტურათა აღდგენას. ჩვენ შეძლებისამებრ ხელი მოვკიდეთ ამ საქმეს. ახლა ჩვენ თითქმის მთლიანად მივაღწიეთ ომამდელ დონეს. საქართველოში აღვადგინეთ 88 ათასი დესეტინა, სომხეთში — 50 ათასი და აზერბაიჯანში — 233 ათასი დესეტინა.

ამაზე სულ დაიხარჯა 6 მილ. მან.

მიმდინარე წელს განზრახულია ირიგაციაზე გაიცეს 8 მილ. მან. როგორც თქვენთვის ცნობილია, ფრიად დიდი სამუშაოებია დაწყებული, რაც წინად ამიერკავკასიელი ხალხების ოცნებას შეადგენდა. ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს შემდეგ არხებზე: ალაზანისა, სარდარაბადისა, კარასახ-ყალისა, ელდარისა, ტირიფონის ველისა და სხვ. ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს წლებში თუნდაც ცოტა-ოდნივ შევანელოთ ჩვენში არსებული მცირემიწიანობა“[19].

---

[17] КХ, 1909 г. № II, 7—9.

[18] ჟურ. „ტექნიკა და ცხოვრება“, 1927 წ. № 10 (25).

[19] С. Орджоникидзе, „Статьи и речи“, 1956, I, стр. 426—427.

როგორც ცნობილია, საირიგაციო მშენებლობამ ამიერკავკასიაში განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო სახალხო მეურნეობის აღდგენის მერმინდელ პერიოდში.

ამ მხრივ პირველი აღმავლობის ნათელ სურათს იძლევა ქვემოდმოყვანილი მონაცემები.

ხარწყავი ფართობები ამიერკავკასიაში[20]

ხარწყავი ფართობები ათას ჰექტარობით	1917 წ.	1922 წ.	1924 წ.	1932 წ.
მთელი ხარწყავი ფართობი	867	774	940	1109
მ. შ. ინჟენრული სისტემით	114	68	—	223
მ. შ მექანიკურად ხარწყავი	49	25		74
ბამბით დაკერილი ფართობი	149	21	—	295

[20] „Справочник по водным ресурсам СССР, т. XI, Закавказье", 1935, Ленинград, стр. 744.

ნაწილი მეოთხე

მემინდვრეობა

მარცვლეულის მეურნეობა

I

შესავალი

მარცვლეულში იგულისხმება საერთოდ მარცვლის სახეობის ყოველგვარი პურეული. ძველ ქართულში, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილს აქვს განმარტებული, სხვადასხვა ჯიშისა და სახეობის საკვები მარცვლეულს აღნიშნავად, რომელთაგანაც პურს აკეთებდნენ, მიღებული იყო „ხუარბალი". მერმე ამ სიტყვის მნიშვნელობა შეიცვალა და „ხუარბალი" „მხოლოდ პურეულის ჯგუფის ზოგად ტერმინად გვევლინება"[1]. ამ დროიდან „ხუარბალში" უკვე არ შედის ისეთი თავთავიანი მარცვლეული, როგორიცაა ქერი, ქრთილი, შვრია, ფეტვი და სხვ.

ივ. ჯავახიშვილს ამჯთანავე დადგენილი აქვს, რომ „ხუარბალი და მისი ფონეტიკური სახეცვლები" ძველი დროიდანვე მთელ ქართველურ ტომებში საერთოდ გავრცელებული ტერმინი იყო[2].

უახლესი გამოკვლევებით მტკიცდება, რომ ხორბლის კულტურის ერთ-ერთ უძველეს კერას წინა აზია წარმოადგენს. წინა აზიის კულტურულ ხალხთა შორის, როგორც ცნობილია,

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს ეკონომიური ისტორია", ტფ., 1930, 1, 319.

[2] იქვე, გვ. 321.

მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ქართველთა და სომეხთა წინაპრებს — სუმერებს, ხეთებს, ქალდეველებს, ურარტუს სახელმწიფოს.

ამიერკავკასიის ტერიტორიაზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ნათელჰყვეს, რომ აქ მარცვლეულის კულტურა უძველესი დროიდანვე ყოფილა განვითარებული.

დას. საქართველოს ხიმინჯგებიანი შენობების ნარჩენებში ნაპოვნია ხორბლისა და სხვა კულტურულ მცენარეთა მარცვლები, რომელთა წარმომავლობა ეოლითის ეპოქას მიეკუთვნება. იმავე რაიონში, სახელდობრ, კოლხეთის (ზუგდიდის რ.) ყორღანულ განათხარებში, რომლებიც ახ. წ-მდე მეორე ათასეულის შუა პერიოდს მიეკუთვნებიან, ნაპოვნია კულტურული ხორბლის, ქერისა და ფეტვის მარცვლები[3].

მე-7 — 6 სს. ურარტუს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ცენტრის ქ. ტეიშებაინის (კარმირ-ბლური, მდ. ზანგის ნაპირას, ქ. ერევნის მახლობლად) ციტადელის გათხრისას აღმოაჩინეს მარცვლეულის მთელი საწყობი, სადაც ინახებოდა სხვადასხვაგვარი რბილი ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი.

ამასთანავე, თვით ჩვენს დრომდე მოღწეულ ხორბალთა ჯიშების შესწავლის გზით ირკვევა, რომ „მხოლოდ ქართული ხორბლების შედგენილობაშია დაცული ევოლუციის ის საკვანძო საფეხურები, რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ამ მცენარის კულტურის ისტორიის გაგება, ვინაიდან მხოლოდ მასშია შენახული და დაცული კულტურის უძველესი დროის ნაშთები“. „მხოლოდ ქართულ ხორბლებშია დაცული ისეთი ფორმები, რომლებიც კარგად ენათესავებიან ხორბლის გარეულ ფორმებს. ასეთებია ზანდური, კოლხური,

---

[3] ლ. დეკაპრელევიჩი, „შოთა რუსთაველის ეპოქის მინდვრის უმთავრესი კულტურები“ („რუსთაველის ეპოქის მატერ. კულტურა“, 1938, თბ. გვ. 4—6).

[4] Б. Пиотровский, „Кармир-Блур“, 1950, Ереван, I, стр. 28; გ. მელიქიშვილი, „ურარტუ“, 1951, გვ. 108 და შემდ.

ასლი და მახა"[5]. უძველესი ხორბლის ამ ქართული ჯგუფის „კულტურის პირველადობას ამჟამადაც ადაპტურებს მისი ბიოლოგიური თავისებურება — თავთავის მტვრევადობა და ის პირველადი სამკელი იარაღი, რომელიც დღესაც დაცულია ჩვენში „შნაკვის" სახელწოდებით"[6].

საერთოდ ამ მხრივ სათანადო მასალათა შესწავლამ პროფ. ვ. მ ე ნ ა ბ დ ე იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ამჟამად „მხოლოდ ქართველ ხალხშია დაცული ხორბლის პირველადი კულტურის ფორმები, რომელთა შემდგომი ევოლუციისა და განსახლების (დისპერსიის) შედეგად წარმოიშვნენ მსოფლიო მიწათმოქმედების წარმოებრივი ჯიშები"[7]. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ხორბლის კონცენტრაციის ქართული კერა, ამავე ავტორის წარმოდგენით, ქართველთა პირველსაცხოვრისის არეალში, ე. ი. წინა აზიის წრეშია მოთავსებული.

მარცვლეული კულტურების განვითარების და მისი ადგილობრივი ჯიშების თუნდაც ძლიერ შორეული წარსულის შესწავლას არა მხოლოდ დიდი ისტორიული და თეორიული, არამედ წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს და მით უფრო, რომ საქართველო და საერთოდ ამიერკავკასია ხორბლეულთა უძველესი კულტურის ქვეყანაა.

ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში, სახელდობრ მე-5 — 18 სს. მწერლობაში, აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, შემორჩენილია მარცვლეულთა შემდეგი სახელები: იფქლი, დიკა, ასლი, ჭრთილი, ქერი, ბრინჯი, ფეტვი, ცერცვი, ცერეცო, ოსპი, ხნდური, სიონჯი, ძირაკი, ქურიმა, ღომი, დოლის პური, თათუხი (თავთუხი), ხულუნგო, ზანდური, მახა, ჯიქურა, ბულუჯა და სხვ. ივ. ჯავახიშვილს შესწავლილი აქვს

[5] ვ. მ ე ნ ა ბ დ ე, „საქართველო ხორბლის ძველი კულტურის ქვეყანაა", თბ. 1950, გვ. 8—10; იხ. აგრ. პროფ. ლ. დ ე კ ა პ რ ე ლ ე ვ ი ჩ ი ს დასახ. ნაშრომი, გვ. 5 — 6.

[6] ვ. მ ე ნ ა ბ დ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

[7] იქვე, გვ. 17.

მარცვლეულის ამ ჯიშთა ბოტანიკური რაობის, ძველად გავრცელების არეალისა და მეურნეობრივი მნიშვნელობის შესახებ არსებული ფრიად საინტერესო ცნობები[8].

*

* *

მარცვლეულის მეურნეობა ამიერკავკასიაში, 1900-იან წლებშიაც-კი, მიზნად ისახავდა უპირატესად თვით მეურნის საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და, ამასთანავე, იგი, თავისი ეკონომიკური მნიშვნელობით, საერთოდ სოფლის მეურნეობის ძირითად და გაბატონებულ დარგს წარმოადგენდა.

ახასიათებდა რა მიწათმოქმედებისა და კერძოდ მარცვლეული მეურნეობის მნიშვნელობას ილია ჭავჭავაძე 1886 წ. წერდა, რომ „ერთი უდიდესი წყარო სიმდიდრისა, უფრო მტკიცე და საიმედო ხვნა-თესვაა, მიწათმოქმედება ყოველგვარი, იმიტომ რომ ამ მრეწველობის ნაამაგარი შეადგენს უპირველეს საჭიროებას ადამიანის ცხოვრებისას“[9].

გლეხური მეურნეობის — მარცვლეულის ძირითადი მწარმოებელი სექტორის — მთავარი ამოცანა და მისწრაფება იყო წლითი-წლობამდე გაყოლოდა საკუთარი პური. ამგვარი ვითარება, ცხადია, არ გამორიცხავდა სხვადასხვა მარცვლეულის მეტ-ნაკლები ზომით ბაზარზე გასაყიდად წარმოებასა და, მაშასადამე, არც საექსპორტო ვაჭრობას.

ცნობილი აგრონომი ს. ტიმოფეევი 1895 წელს ასე ახასიათებდა ამიერკავკასიაში მარცვლეულის მეურნეობისა და საერთოდ მიწათმოქმედების მდგომარეობას:

„მარცვლეულის მეურნეობის გაბატონებული მდგომარეობა ამიერკავკასიაში პირობადებულია იმ გარემოებით, რომ

---

[8] ივ. ჯავახიშვილი, „საქ. ეკონ. ისტორია“, I, 325 — 372.

[9] „ივერია“, 1886 წ., №263; „ივერიის“ ამ და მერმეც რიგი ნომრის მეთაურებს, რომლებიც მიძღვნილია პურის ვაჭრობის საკითხისადმი, ხელს აწერს: „ა. ფ.— ვი“ (ანდა კიდევ „ა. ფ — ი“), ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ სტატიების ავტორი თვით რედაქტორი ილია ჭავჭავაძეა.

ადგილობრივი წვრილი მეურნეობა ჯერ კიდევ უმთავრესად ნატურალური ხასიათისაა. ეგრეთწოდებული უმაღლესი კულტურები ამ მხარის მრავალ რაიონში გლეხისათვის მაინც წარმოადგენს ყველაზე უმთავრესს თუ არა ერთადერთ წყაროს ფულადი შემოსავლისა, მაშინ როდესაც პურის მოყვანა აკმაყოფილებს უპირატესად წვრილ მეურნე გლეხთა საკუთარ მოთხოვნილებას. ამასთანავე ამიერკავკასიის მრავალ რაიონში, მაგალითად ქუთაისისა და ერევნის გუბერნიებში უმაღლესი კულტურების (სპეც.-ტექნიკურ კულტურათა, მრავალწლიან ნარგავთა — პ. გ.) საკითხი წვრილ მეურნეობათათვის წარმოადგენს ყოფნა-არყოფნის საკითხს. იქ, სადაც მიწას ქცევობითა და დონუმობით (=1/13 დესეტინას) ზომავენ და დესეტინას თითქმის ათას მანეთობით აფასებენ, მეურნეობის წარმართვის შესაძლებლობა მთლიანად უმაღლეს კულტურებზეა დამოკიდებული. მაშასადამე, ეს კულტურები აქ არ შეიძლება დამხმარე დარგებს (საქმიანობას) წარმოადგენდნენ"[10].

სპეც.-ტექნიკური კულტურების შემდგომი განვითარების აუცილებლობა და, შესაბამისად, მარცვლეულის მეურნეობის შევიწროების შესაძლებლობა ამიერკავკასიაში შეგრძნობილი იყო ბევრად უფრო ადრეც.

ჯერ კიდევ 70—80-იან წლებში ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვ. ქართველი პუბლიცისტები მიუთითებდნენ მარცვლეულის მეურნეობის ხარჯზე სპეციალურ და ტექნიკურ კულტურათა განვითარების სარფიანობასა და მიზანშეწონილებას. შემდგომ წლებში ეს ტენდენცია, ცხადია, უფრო ვითარდება. მაგალითად, ილია ჭავჭავაძე 1895 წ. წერდა, რომ წინად „მტერთაგან და უგზოობისაგან შინ ჩაკეტილი ქართველობა იძულებული იყო ის მოეყვანა, ის ემუშავნა თავისს მიწაზე, რასაც დღეს უფრო იაფად სხვაგან ვიყიდით, სხვიდამ მოვიტანთ. იგი ძვირფასი ჭირნახული, რომლის მოყვანასაც ასე ხელს უწყობს ჩვენებური დალოცვილი ჰავა და მიწა, მაშინ ფიქრადაც მოსასვლელი არ იყო. ეხლა სულ

[10] КСХ, 1895 г., № 61, стр. 1065.

სხვაა. დღეს რა გვიშლის, მაგალითებრ, ჩვენს მიწათმოქმედებას ის ნაყოფი გამოვაღებინოთ, რაც რუსეთში არ მოდის ბუნებრივ გარემოებათა გამო და იქიდამ ის ვეზიდოთ, რაც იქ ბევრი მოდის და უფრო იეფიც არის. ის აუარებელი შრომა და ხარჯი, რაც, მაგალითად, მარტო პურის მოყვანაზე მიდის ჩვენში და ისე ძვირად გვიჯდება, სხვა უფრო ძვირფასს საგანს რომ მოვახმაროთ რუსეთში გასატანად და იქიდამ პური ვეზიდოთ, მითამ წაგებაში ვიქნებით და არა დიდ მოგებაში?"[11].

ერთი წლით კიდევ უფრო ადრე იგივე ილია ჭავჭავაძე საკუთარ ჩამოყალიბებულ, გარკვეულ მოსაზრებებს აყენებდა ჩვენი სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის აუცილებლობის შესახებ: „რადგანაც ჩვენის შეძლების და ეკონომიურ ღონისძიების ერთ-ერთი სახსარი მიწათმოქმედებაა, ამიტომაც იგი უნდა მიქცეულიყო იმისთანა საგნებზე, რომელთაც აღებმიცემობის ბაზარში, შინა თუ გარეთ, კარგი გასავალი ჰქონებოდა. ეს მით უფრო შესაძლებელი და მოსახერხებელი იყო ჩვენის ქვეყნისათვის, რომ აქაური მადლიანი ჰავა და ნოყიერი მიწა ბევრ იმისთანა ჭირნახულს ხელს უწყობს, რომელსაც დღევანდელ ბაზარში დიდი მუშტარი ჰყავს და დიდი ფასი აქვს და რომელიც ამ ორის გარემოების შემწეობით უფრო მეტად ახეირებს მოჭირნახულეს, ვიდრე იგი ჭირნახული, რომელიც დღეს მოგვყავს და გაგვაქვს ბაზარში.

სადაც ჩაი, სორგო, ალისარჩული, აბრეშუმი მოდის, საცა ბამბა ხეირობს, საცა ყოველგვარი ხეხილია შესაძლებელი, საცა ყურძენი მოდის, ღვინო დგება, საცა შესაძლოა გაჩენა თითქმის ყოველგვარი საზეთე, სამღებრო და სააფთიაქო მცენარეებისა, იქ მიწისა და ხელის მოცდენა იმისთანა ფასმოკლე ჭირნახულისათვის, როგორც, მაგალითებრ, პურია, ჩვენის ფიქრით დიდი შეცდომაა. პურს, თუ უწონ, როცა კარჩაკეტილები ვიყავით, თავისი საბუთი ჰქონდა, ეხლა მისი მოყვანა ჩვენთვის არავითარი ანგარიშია. დღეს, როცა საქვეყნოდ კარი გაგვეღო, როცა ამისთანა სწრაფი გზებია, როგორც რკი-

[11] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, სრ. კრებული, 1955, ტ. IV. გვ. 33.

ნის-გზა და ზღვისა, როცა შესაძლოა თითქმის ორის კვირის განმავლობაში თუნდა ამერიკიდამ მოვიტანოთ ჩვენი სამყოფი პური, — რუსეთს ალარ ვიტყვი, — უფრო იეფად და უფრო კარგიც, ნუთუ სახეიროა ჩვენი მარჯვენა, მშვენიერი ჰავა და მიწა პურზე მოვაცდინოთ, მაშინ როდესაც ჩვენის ქვეყნის ბუნება ნებას გვაძლევს უფრო ძვირფასი ჭირნახული მოვიყვანოთ იმავე შრომით, გარჯით, იმავე ჰავითა და მიწით".

ქვემოთ ილიას მოყავს ფაქტიური ცნობები შესახებ იმისა, რომ პურის წარმოება საქართველოში ერთი-ორად მეტი ჯდებოდა ვინემ რუსეთში და ასეთს ვითარებაში მიუხედავად იმისა, რომ აქაურ ბაზარზე პურის ფასიც ერთი-ორად მაღალი იყო ვინემ, მაგალითად, ოდესაში, მაინც პურის წარმოება ადგილობრივ „მოჭირნახულეს ბევრს არას აძლევს გამოსარჩენსა..."

ამიტომაც „სულ სხვა იქნებოდა, რომ ჩვენ რუსეთში შეგვეტანა იგი ჭირნახული, რომელიც რუსეთის ჰავისა და მიწის მიზეზით, იქ არ მოდის და სხვა ქვეყნებიდამ შემოაქვთ, და რუსეთიდამ პური გვეზიდნა; ამ შემთხვევაში გამორჩენა დიდი იქნებოდა... ამ ეკონომიურ გზაზე ჩვენი საქართველო რომ დადგეს, ჩვენმა მიწათმოქმედებამ რომ ეს ახალი გზა და მიმართულება ირჩიოს... სახელმწიფო ინტერესის თვალითაც კი მეტად სახეიროა თვით რუსეთისათვისაც, რომელიც თავისს ნამეტანის პურისათვის ბევრგან სხვაგან ეძებს ბაზარსა მაშინ, როდესაც ერთი ამისთანა ბაზარი, სხვათა შორის, საქართველოშიც შეიქმნება, და თვით საქართველოც ვატებაში შევა..."[12].

ის, რაც ილია ჭავჭავაძეს სასურველ შესაძლებლობად მიაჩნდა, თუმცა მძიმე და მოსახლეობის ძირითადი მასებისათვის კონვულსიებით აღსავსე პროცესებით, არსებითად უკვე ტარდებოდა ცხოვრებაში.

სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური წარმოების შეჭრისა და განვითარების გზით წარმართული სპეციალიზაციის საკითხზე ჩვენ ცალკე გვექნება მსჯელობა, როდესაც განვიხი-

[12] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, სრ. კრებული, 1955, ტ. IV, გვ. 49—50.

ლავთ ცარიზმის სოფლისმეურნეობრივი და აგრარული პოლიტიკის ევოლუციას კოლონიურ ამიერკავკასიაში. აქ მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ ის მომენტი, რომ, როგორიც გინდ ძლიერი არ ყოფილიყო მეტროპოლიის ინტერესებისა და მსოფლიო ბაზრის მხრივ ნაკარნახევი, შრომის დანაწილების შესაბამისად, მიწათმოქმედების სპეციალიზაციის ტენდენცია და მისი პრაქტიკული შედეგებიც, ჩვენი კვლევა-ძიების მთელი პერიოდის მანძილზე, ე. ი. თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ამიერკავკასიაში მარცვლეული მეურნეობა, მიუხედავად მისი ჩამორჩენილობისა, დარჩა მიწათმოქმედებისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის ძირითად დარგად.

მაინც, არსებულ ვითარებაში შესაძლებლობა იყო, განსაკუთრებით უხვმოსავლიან წლებში, აქ ეწარმოებიათ მარცვლეულის ექსპორტის მნიშვნელოვანი ოპერაციები, თუ კი მსოფლიო ბაზარზე რაიმეგვარ გართულებათა შედეგად პურზე ფასები იმდენად მაინც აიწევდა, რომ ამიერკავკასიის (ე. ი. ჩამორჩენილ ტექნიკაზე დამყარებულ წვრილგლეხურ მეურნეობათა, მაღალი საიჯარო გადასახდელების, ძვირი ტრანსპორტის და სხვ.) პირობებში ნაწარმოები პროდუქტის გატანა სარფიანი იქნებოდა.

მაგრამ, საქალაქო ცხოვრებისა და მრეწველობის განვითარების შესაბამისად, პურზე მნიშვნელოვან მოთხოვნილებას აყენებდა შინაგანი ბაზარი. ამიერკავკასიის ქალაქებში ცხოვრობდა მთელი მოსახლეობის დაახლოებით 9% — 1866 წელს, 11% — 1886 წ., 12% — 1897 წ. და 14 პროცენტზე მეტი 1909 წელს. ამ მხრივ საქალაქო მოსახლეობას უნდა მიემატოს აგრეთვე სამხედრო ნაწილებიც, რომელთა საერთო რაოდენობა ამიერკავკასიაში თითქმის ყოველთვის შეადგენდა მთელი მოსახლეობის 2,5 — 3,5 პროცენტს.

ამგვარად, ჩვენში ბურჟუაზიული მეწარმეობისა და, კერძოდ, სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებაში ადგილობრივი პურით ვაჭრობა და, მაშასადამე, პურეულის წარმოებაც გარკვეულ როლს თამაშობდა.

რა თქმა უნდა, ამ მხრივ პურეულის როლი და მნიშვნელობა ამერიკავკასიის ყველა რაიონში ერთნაირი არ იყო. მართალია, მარცვლეულის მოყვანას, მეტნაკლები ზომით, თიანეთშიაც მისდევდნენ, მაგრამ აქ საერთოდ მოსავლიანობა დაბალი, ხოლო ზოგან ძლიერ დაბალი იყო.

მაგალითისათვის შეიძლება აქარა ავიღოთ: „სული კბილით უჭირავსო რომ იტყვიან, აბა სწორედ აქარელზე ითქმის! ამ მხარეში ადამიანი თითქმის იმიტომ ჩამოთესლებულა, რომ მთელი თავისი დღენი ძუნწ ბუნებას კრიჭაში უდგეს, შეუსვენებლივ ოფლის წურვით უნდა ებრძოლოს, რის ვაი-ვაგლახით იმდენი გამოჰგლიჯოს ხელიდან, რომ შიმშილით სული არ ამოხდეს... მიუხედავად ასეთი უკეთესმართი პირობებისა, აქაური გლეხი მაინც ხვნა-თესვას მისდევს; სახნავ-სათესი ისეთ ციცაბო კლდეებზეა, რომ სახნისის ატანაც სჭირს და ხან შეუძლებელიცაა, ასე რომ თესვის დროსაც მიწას კი არ ხნავენ, არამედ, თოხნიან და ისე აბარებენ თესლს! ეს კიდევ არაფერი. ზოგან კაცი იძულებულია მაღლა ხეს თოკი მიაბას. მეორე წვერი თვითონ მოიბას და ისე უნდა თოხნოს, რომ თუ ვინიცობაა თოხნის დროს ფეხი დაუცურდა თოკმა შეიმაგროს უფსკრულში გადაჩეხვისაგან... და მაინც კიდევ „დედამიწას“ ეძახის ამგვარ მიწას! ვსთქვათ, თესლი ამოვიდა! აბა მაშინ შეუდგება კანკალი აქარელსა! თუ გვალვაა, სიმინდი ერთ მტკაველზე ზევით თავს ვერ აიღებს, ასე რომ ტაროს ნასახსაც ვერ გამოიღებს, თუ გაბმული წვიმები დაიჭირა, მაშინაც ვაი გლეხის ბრალი! ნიადვარი ისე ჩამორეცხავს ხოლმე ჭირნახულს და თვით მიწას, რომ იტყვით აქ მიწას თავის დღეში არ მიჰკარებია თოხი. ან ისიც მოხდება, რომ კაკლის ოდენა სეტყვა სულ დარეგვავს იქაურობას. ხოლო თუ სამივე უბედურება თავიდან ასცდა, შესაძლებელია, მეოთხე გამოუტყვრეს, რაც აქეთკენ იშვიათი არ არის; ზამთარი ადრე დაიჭიროს, სიცივეებმა უსწროს და სიმინდი არ დაამწიფოს. იშვიათად მოხდება, რომ ბუნების ამ ოთხ მოვლენათაგან ერთერთს მაინც დაუსჯელი გადაურჩეს (გლეხი)... ნიადაგი ხომ მწირი და უნაყოფოა, ის... მაინც სამყოფადა ჰქონდეს აქაურ გლეხს!

აბა ცეცხლი სწორედ მიწის ნაკლებობაა! მთელ კომლს, რომელიც ზოგჯერ 8 — 9 სულისაგან შედგება, სახნავ-სათესად უვარგისი მიწა დღიურ-ნახევარი თუღა გააჩნია! ნუ დაივიწყებთ, რომ ამ «სახნავ-სათესად ვარგის» მიწათა რიცხვში ითვლება ის ხრიოკებიცა, სადაც გლეხი, როგორც ზემოთა ვსთქვი, ხეზე თოკით არის მიბმული თავის ნებით... და ისე თოხნის ამ «ვარგის მიწას!»" [13]. — ასე ახასიათებდა 1898 წელს აკარ-ს, საქართველოს მთიანეთის. მ-წათმოქმედების (მარცვლეულის მეურნეობის) მდგომარეობას ისეთი ნიჭიერი დამკვირვებელი — ეთნოგრაფი — ჩვენი ცხოვრებისა, როგორიც იყო თედო სახოკია.

აქედან უკვე გასაგებია, რომ პურეულის წარმოების მხრივ საკაჭრო მიწათმოქმედება ამიერკავკასიის მხოლოდ ბარში შეიძლებოდა, მეტნაკლები ზომით, განვითარებულიყო. მაგრამ მთიანეთზე აქ იმიტომაც შევჩერდით, რომ იგი, სწორედ იმის გამო, რომ საკუთარი მოხმარებისათვის საკმარის პურეულსაც-კი ვერ აწარმოებდა, თავის მხრივ. ადრიდანვე ხელს უწყობდა ბარში მარცვლეულის მეურნეობის საკაჭრო მიმართულებით განვითარებას.

*
* *

ამიერკავკასიაში, როგორც აღვნიშნეთ, უძველესი დროიდანვე იყო განვითარებული ხორბლეულის, საერთოდ თავთავიანი პურეულის, კულტურა თავისი მრავალგვარი სახეებით[14].

პურეულთაგან, რომლებიც ჩვენ მიერ აღებულ პერიოდში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქვეყნის პურ-ფურაჟის ბალანსში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ თავთავიანთა ცალკე ქვესახეებს, ახალშემოსულია მხოლოდ სიმინდი.

---

[13] თ. სახოკია, „მოგზაურობანი", 1950, გვ. 167 — 169.

[14] ი ვ. ჯავახიშვილი, „საქ. ეკონ. ისტორია", I, 319—371; ვ. მ ე ნ ა ბ დ ე, საქართველო ხორბლის ძველი კულტურის ქვეყანაა", 1950. Х. Вермишев, „Земледелие у гос. крестьян Закавказского края", 158—223.

როგორც საერთოდ მარცვლეული კულტურების, ისე მათი ცალკე სახეობათა ზოგადი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობის შესახებ აქ ჩვენ, ცხადია, არ შევჩერდებით. ამ მხრივ დაინტერესებულ მკითხველს შეგვიძლია უწინარეს დავუსახელოთ პროფ. ი. ლომოურის[15] მშვენიერი ნაშრომი — „მარცვლეული კულტურები", აგრეთვე ა. სმირნოვის[16] „მეცენარეობა", რომლის პირველი ნაწილი გამოცემულია ქართულად პროფ. ი. ლომოურის რედაქციითა და დამატებებით ჩვენ შეძლებისამებრ უმთავრესად ამ შრომებით ვხელმძღვანელობდით წინამდებარე გამოკვლევის წერისას როგორც შესაბამისი ქართული ტერმინოლოგიის, აგრეთვე საჭირო აგროტექნიკურ ცნობათა დარგშიაც.

---

[15] ი. ლ ო მ ო უ რ ი, „მარცვლეული კულტურები", ორი ტომი, 1946—1950 წწ.

[16] А. И. Смирнов, „Растениеводство", М., 1940.

II

ხორბალი

ხორბალს საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაშიც პურეულთა შორის იმთავითვე გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა. მე-19 საუკუნის ბოლოსაც, მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიაში ფრიად მრავალგვარი პურეული იყო გავრცელებული და, მიუხედავად იმისაც, რომ ამ დროისათვის აქ უკვე ფართო გავრცელება ჰპოვა სიმინდმა, პირველ ადგილზე, საერთო ჯამში, მაინც გამოდის ხორბალი, რომელსაც, კერძოდ, აღმ. ამიერკავკასიაში მთელი მარცვლეულის ნათესის უდიდესი ადგილი ეჭირა.

ასე, მაგალითად, 1900 წელს ხორბალზე მოდიოდა ყოველგვარი პურეულის ნათესი ფართობის 66,6% — სიღნაღის მაზრაში; 48,0% — თელავის მ.; 66,0% — ყაზახის მ.; 70% — ჯევანშირის მაზრაში; 63,0% — ყუბის მ.; 78,0% — ბაქოს მაზრაში და ა. შ.

საერთოდ ამიერკავკასიაში გლეხობა იშვიათად თუ სადმე არ სთესდა ხორბალს, თუნდაც მას საამისოდ მიწის სულ მცირეოდენი ნაჭერიღა ჰქონოდა. ხორბალს სთესდნენ მაშინაც და ისეთ ადგილებშიაც, როდესაც და სადაც მისი მოსავალი თესლსაც-კი ძლივს აღაწარმოებდა[1].

ხორბლის კულტურის ზონალური გავრცელებულობის თვალსაზრისით საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნ. კეცხოვე-

---

[1] В. Никольский, „Кавказская пшеница", КСХ, 1903 г., № 477, стр. 1066.

ლის, ვ. მენაბდის და ივ. ბახტაძის ცნობათა მიხედვით ჩვენში საშემოდგომო ხორბლის კულტურა 2100 მეტრამდე აღწევს ზღვის დონიდან[2].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხორბლის კულტურა, და ამასთანავე მრავალგვარი სახეობისა, ამიერკავკასიაში უძველესი დროიდანვეა ცნობილი. ხორბალთა შორის აქ ყველაზე უახლესია თავთუხი (თათუხი), რაც ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს აზრით „დაახლოებით მე-17 ს. დამდეგს, ან ეგების ოდნავ ადრე“ იყოს გაჩენილი აღმ. საქართველოში[3]. თათუხი შეტანილი აქვს უკვე ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს თავის ლექსიკონში[4].

ამასთანავე ცნობილია, რომ ხორბალი „ა რ ნ ა უ ტ კ ა“, რომელსაც ამიერკავკასიაში „თავთუხი“ („თათუხი“), „სარი-ბუღდა“ და „სივი-ზარდა“ შეარქვეს, ჯერ 1846 წელს კავკასიის ნამესტნიკმა, ხოლო შემდეგ, 1850 წელს, სოფლის მეურნეობის კავკასიურმა საზოგადოებამ (სმკს) გამოიწერა ნოვოროსიისკის მხარიდან და დასათესად დაურიგა ადგილობრივ მეშამფულეებს; დ. დადიანს, მ. ორბელიანს, ზუბალაშვილს. დ. დიასამიძეს, მამაცაშვილს, ბარონ ვრანგელს (შემახიას გუბ.) და სხვ[5].

შედეგი ხორბლის ამ სახეობის შემოტანისა, როგორც სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოების მოღვაწეობის ისტორიის მიმომხილველი ე. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი აღნიშნავს, დადებითი შეიქნა: „არნაუტკის თესლის დაგზავნა ისე წარმატებიანი აღმოჩნდა, რომ ძლიერ მალე ხორბლის ეს სახეობა გავრცელდა მთელს ამიერკავკასიაში და ამჟამად (ე. ი. 1900 წელს — პ. გ.) არნაუტკა, ანუ როგორც მას ჩვენებურად უწო-

---

[2] ი. ლ ო მ ო უ რ ი, „მარცვლეული კულტურები“, 1946, თბ., I, 65; ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი, „კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში“, 1957.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „საქ. ეკონ. ისტორია“, I. 346.

[4] ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „ქართული ლექსიკონი“, 1928, ტფ., გვ. 133.

[5] ОДПКОСХ, I, 35

დებენ თავთუხი (სარი-ბულდა, სივი-ზარდა) საუკეთესო ხორბლად ითვლება ჩვენს მხარეში"[6].

როგორც ჩანს, ხორბლის ცალკე სახეების სახელწოდებათა უცვლელობის პირობებში ადგილი ჰქონდა თვით სახეთა ცვლილებებს, როდესაც ძველის, გადაჯიშებულის ადგილს, შესაბამისი, ახალი იჭერდა და სახელსაც ძველისას ითვისებდა ხოლმე.

ამჟამად საქართველოში თავთუხის სახელწოდებით ცნობილი ხორბალი ძლიერ გავრცელებულია მტკვრის მარჯვენა მხარეზე და მარნეულის რ., სადაც პურის ყანების თითქმის 70—90 პროცენტი თავთუხით ითესება[7]. დას. საქართველოში თავთუხი, ისე როგორც საერთოდ ხორბლის კულტურა, შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული, თუმცა ძველ დროში ამ მხრივ მდგომარეობა სხვანაირად წარმოგვიდგება. მაინც, მაგალითად, რაჭაში თავთუხის რამდენიმე სახეობაა აღწერილი[8].

როგორც ჩანს, აღმ. საქართველოში თავთუხის 15 სხვადასხვა სახეობა ყოფილა გავრცელებული, მაგრამ ეს ხორბალი ბევრად უფრო იყო და არის გავრცელებული აზერბაიჯანსა და სომხეთში. ჯერ კიდევ 1851 წელს შედგენილს კავკასიის მიმოხილვაში ვკითხულობთ, რომ ამიერკავკასიაში ახლად შემოტანილ პურეულთა შორის „ყველაზე უფრო გავრცელდა არნაუტკა, იგი ყველაზე საუკეთესო ფქვილს იძლევა"[9]. 1850

---

[6] იქვე, გვ. 63; იქნებ შეიძლება დავუშვათ, რომ არნაუტკამ ჩვენში თავთუხის სახელი მიიღო შედეგად იმისა, რომ მან (ახალმა ჯიშმა) აქ, მეტი თუ ნაკლები ზომით, დაიპირა ძველი ჯიშის (ქართული თავთუხის) ადგილი. აღსანიშნავია ისიც, რომ თავთუხი იხსენიება ერთ ქართულ ხალხურ ბალადაში, რაც მე-13-14 საუკუნეზე გვიანდელი წარმოშობისა არ უნდა იყოს: „...შემომეყარა ყიფჩაყი ბოლოსა მუხრანისასა, პური მთხოვა და ვაქმიე — ვურჩევდი თ ა ვ თ უ ხ ი ს ა ს ა..." (ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, „ხალხური პოეზია", 1937, ქუთაისი, გვ. 70).

[7] В. Менабде, „Материалы геогр. хлебных злаков Вост. Грузии", стр. 169.

[8] „К изучению полевых культур Зап. Грузии", I, стр. 232.

[9] ОДНК, გვ. 2—3.

წელს თბილისში გამართულს გამოფენაზე არნაუტკა მიღებული იყო ყუბის, შემახიას, შუშის, თბილისისა და ქუთაისის მაზრებიდან. ეს იყო 1846 წელს აქ დარიგებული არნაუტკისაგან მიღებული მოსავალი[10].

მე-18 საუკუნესა და მე-19 ს. დასაწყისისათვის ამიერკავკასიაში ხორბლის ყანები და, მაშასადამე, მოსავალი იმდენად შემცირებული იყო, რომ მოსახლეობას საკუთარი წარმოების პური ხშირად არ ჰყოფნიდა. იშვიათი არ იყო შიმშილობა, რაც მეტად თუ ნაკლებად ფართო რაიონებს მოედებოდა ხოლმე. მართალია, მაგალითად, ქართლ-კახეთის სამეფოში ჰქონდათ პურის სახელმწიფო მარაგები (პურის ასეთი საწყობები იყო თბილისს, გორს, სიღნაღსა და სხვ.), მაგრამ ის უპირატესად სამხედრო დანიშნულებისათვის იყო განკუთვნილი.

როდესაც მე-18 ს. მიწურულს აქ რუსის ჯარი დაბანაკდა, რუსეთის სამხედრო ხელისუფლება გიორგი XIII-ს მთავრობას ურჩევდა, რათა პური საზღვარგარეთ არ გაეტანათ[11]. გამონაკლისი მარილსა და სხვა აუცილებელ საიმპორტო საქონელზე გადასაცვლელი პურის ფონდის მიმართ იყო ნავარაუდევი.

ანალოგიური ღონისძიება ტარდებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველ ხანებშიც.

ეს ღონისძიება და აგრეთვე სათესი ფართობის გადიდებისათვის ზრუნვა, ცხადია, მიზნად ისახავდა, რათა მარცვლეულის ფასები დაეწიათ და სამხედრო ნაწილების სასურსათო კომისიონერებს უფრო გაადვილებოდათ პურის ადგილობრივად დამზადება.

1802 წელს ქართლ-კახეთის ყოფილ სამეფოს, ე. ი. საქართველოს გუბერნიას, ძლიერ გაუჭირდა რუსის 5 ათასამდე ჯარისათვის სურსათი მიეწოდებია და საჭირო შეიქნა პური ჩრდ. კავკასიიდან შემოეტანათ. რა თქმა უნდა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ პერიოდში აქ ყოველთვის პურძვირობა ყოფილიყო. 1804 წელს იმერეთის აღწერაში პ. ლიტვინოვი აღ-

---

[10] ОДПК, გვ. 90.

[11] АСКАК, I, стр. 331, 762; II, стр. 300.

ნიშნავს, რომ პურეულის მოსავალი (ხვნა-თესვა) „მოსახლეობის რიცხვის შესაბამისად საკმარისია. ნაციის სურსათმომარაგების ნაჭარბი გააქვთ ოდიშით ფოთში, საიდანაც ღებულობენ მარილს, რკინას და ზოგიერთ სხვა საქონელს. მიწა საკმაოდ ნაყოფიერია; მოყავთ ხორბალი, ქერი, ასლი (ბრინჯი), ფეტვი და ღომი“[12].

მე-19 საუკუნის წინა უახლეს პერიოდში საერთოდ მემინდვრეობის განვითარებისათვის, როგორც ცნობილია, არ იყო ხელსაყრელი პირობები. ირან-თურქეთის მხრივ სისტემატურ შემოსევათა, საერთოდ ომიანობათა, თარეშების და საზოგადოდ დაუდგრომელი ცხოვრების გამო მიწების უდიდესი ნაწილი დაუმუშავებელი რჩებოდა, რომ არა ვსთქვათ რა მიწათმოქმედების ტექნიკის ჩამორჩენილობისა და სხვათა შესახებ. თვით 1840-იან წლებშიაც ამიერკავკასიაში ბლომად იყო ტიალად დარჩენილი მიწები და, ცხადია, ხორბლის სიჭარბეც არ იქნებოდა.

1826 წელს, ირანთან ომის მოლოდინში, კავკასიის კორპუსის ჯარების რიცხვი ერთიორად გადიდდა და, გასაგებია, შესაბამისად უნდა გაზრდილიყო ადგილობრივად ჯარის ნაწილებისათვის საჭირო პურის დამზადება. გენ. ა. ერმოლოვი (საქართველოს მთავარსარდალი) 1826 წ. საქართველოს თავადაზნაურობას უცხადებდა, რომ იმპერატორმა „ინება მოემატებია ჯარები აქაური კორპუსისათვის თქვენი საკუთარი მამულის საგარეო საშიშროებათაგან დაფარვისა და სამუდამოდ დაცვისათვის“. მაგრამ ამ საქმის წარმატებისათვის თავადაზნაურთა წინამძღოლებსა და ოკრუგების უფროსებს განსაკუთრებული დავალება ეძლეოდათ, რათა „ყოველი მაზრიდან დანიშნულ ადგილზე მიეტანათ შესაძლებელი რაოდენობის პური“[13]. როგორც ჩანს, ამ დროს ჯერ კიდევ არ ყოფილა საჭირო მარაგები პურისა, რათა ადგილობრივი პურით თავისუფლად უზრუნველეყოთ სამხედრო ნაწილების საჭიროებაც.

---

[12] АСКАК, II, № 303, стр. 107.
[13] АСКАК, VI, I, стр. 517.

1829 წელს თბილისის სამხედრო გუბერნატორი გენ.-ად. სტრეკალოვი იმპერიის ფინანსთა მინისტრს გენ.-ლეიტ. გრაფ კანკრინს სწერდა, რომ საქართველოში დაბანაკებული და მოქმედი ჯარის ნაწილებისათვის, მიუხედავად ტრანსპორტის დიდი სიძნელისა, ყოველწლიურად წემოაქვთ 100 ათასზე მეტი ზამბილი (куль)[14] ფქვილი და ბურღული ასტრახანის, ყულევისა და ფოთის გზითო[15]. რა თქმა უნდა, ანალოგიური იყო მდგომარეობა საერთოდ ამიერკავკასიაშიც.

მაგრამ ვითარება ამ მხრივაც თანდათანობით შეიცვალა და ომებისა და თარეშების შენელების მეოხებით უკვე 1840-იანი წლების გასულს კარგი და საშუალო მოსავლის პირობებში ამიერკავკასიის ბაზრებზე საკმაოდ, და შედარებით დაბალ ფასებშიაც, იყიდებოდა ადგილობრივი ხორბალი და საერთოდ პურეული.

ცხადია, გლეხობის მხრივ სავალდებულო ჩაბარებისა და ხაზინის მიერ დაწესებულ ფასებში პურის დამზადების ღონისძიება, რასაც სამხედრო უწყების სასურსათო კომისიონერები ატარებდნენ, მძიმე ტვირთად აწვა ადგილობრივ მოსახლეობას. ამ ტვირთის სიმძიმე განსაკუთრებით იგრძნობოდა ნაკლებ მოსავლიან წლებში, როდესაც გლეხობას პური არ ჰქონდა, ან არ ყოფნიდა საკუთარი ოჯახური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაც-კი.

სასურსათო კომისიონერების მხრივ პურის საწყაოს გადიდება და ამ გზით გამოძალვა ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა. გარიგების დროს ნორმალურად მიჩნეულ საწყაოს პურის ჩაბარებისას გამოყენებული საწყაო ხშირად 15 — 20 და არა იშვიათად კიდევ მეტი პროცენტით აღემატებოდა ხოლმე[16].

1812 წ. ს. მირზაანის მცხოვრებნი მოურავ ი. ანდრონიკაშვილისადმი ბარათში აღნიშნავდნენ, რომ სასურსათო კომისიონერი გარიგებისას მათ უჩვენებდა ხაზინის მიერ დაწესებულ

---

[14] Куль—ზამბილი, ჭილობის მომცრო ტომარა.

[15] АСКАК, VII, № 139, стр. 181.

[16] АСКАК, V, стр. 66.

საწყაოს, რომელშიაც 1 ფუთი ჩადიოდა, ხოლო როცა პურს აბარებდნენ, ისეთ საწყაოს მოიტანდა, რომელშიაც 7 ლიტრი ჩადიოდა. ცხადია, ამის გამო გლეხებს ჩაბარების ადგილას პური მიაკლდებოდათ და მაშინ მათ... სცემდნენ[17].

ალ. ჭავჭავაძე, თვით იმპერატორისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში, ამხელდა სურსათის დამზადების დარგში „მოღვაწე" ბ-ეროკრატიის ღორმუცელობასა და უსამართლობას; იგი აღნიშნავდა, რომ მთავარმართებლები და გუბერნატორები სავსებით თვითნებურად აწესებდნენ პურის მეტისმეტად დაბალ ფასებს, რაც ჩვეულებრივ „ადგილობრივი ფასების ნახევარსა და მეოთხედსაც კი" არ შეადგენდა. ხაზინის მიერ ფასების დაწესების „ეს განმანადგურებელი სისტემა" ათეული წლობით გრძელდებოდა.

ფასების დაწესებისა და რეკვიზიციის სახით პურის გაწერის შემდეგ სურსათის კომისიონერები სოფლებში მიდიოდნენ „კაზაკთა რაზმებით, რომლებიც ოპერაციის განმავლობაში სოფლელთა ხარჯზე ცხოვრობდნენ. სახაზინო თანხების მცველთა საბაბით ამ რაზმების დახმარება აუცილებელი იყო პურის შესყიდვისას, რადგან მეტად დაბალი საფასისათვის უკიდურესად განაწყენებული მეურნეები, იცავდნენ რა თავიანთ საკუთრებას, მხოლოდ ფიზიკური სასჯელის (ცემის) მერმე სთმობდნენ მას"[18].

ალ. ჭავჭავაძე აგვიწერს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც სურსათს გააწერდნენ სოფლებზე, რომელთაც საერთოდ არ ჰქონდათ პური და საკუთარი საჭიროებისათვისაც თვითონ ყიდულობდნენ მას. მაგრამ ისეც ხდებოდა, რომ მოუსავლიან წლებში სოფლელებს საერთოდ არ შეეძლოთ კომისიონერებისათვის ჩასაბარებელი პურის შესყიდვაც-კი. „ასეთ შემთხვევაში მცხოვრებნი მთლიანად კომისიონერთა ხელში ვარდებოდნენ"[19].

---

[17] П. Гугушвили, „Сельское хозяйство...", I, стр. 570—571.

[18] А. Чавчавадзе, „Краткий ист. очерк положения Грузии 1801—1831 гг.", (КС, XXIII, стр. 13—14).

[19] იქვე, გვ. 14.

კომისიონერები პურის მიწოდებაზე გარიგებებს ჩვეულებრივ მოსავლის აღების პერიოდში კრავდნენ, ხოლო მარცვლეული კარგა ხნის მერმე, ზამთარსა და გაზაფხულში, როდესაც ფასები ბევრად უფრო მეტი იყო, მიჰქონდათ.

პურის მიწოდების დაგვიანების ან საერთოდ გაძნელების შემთხვევაში ხშირად თვით ჯარისკაცებს ჩაუყენებდნენ ხოლმე გლეხებს ოჯახებში და მაშინ ასეთი სოფლების მდგომარეობა უკიდურესად აუტანელი ხდებოდა. გლეხის მთელი მეურნეობა (პირუტყვი, სახლ-კარი) ნადგურდებოდა; მაგრამ დიდ მატერიალურ ზარალს არაიშვიათად ღრმა მორალური ზიანი ერთვოდა. საერთოდ „მცხოვრებნი არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მათ გააჩნიათ რაიმე საკუთრება“[20]. ცხადია, ასეთი ვითარება ძალზე აფერხებდა მიწათმოქმედების აღორძინებისაკენ მიმართულ მთავრობის ღონისძიებათა წარმატებას.

დიდი რუსი მწერალი ა. გ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი, რომელმაც კარგად იცოდა ადგილობრივი ვითარება. გულისწყრომით აღნიშნავდა სურსათის კომისიონერთა თაღლითობას;—რომ ისინი ეწეოდნენ სპეკულაციას, რაც მძიმე ტვირთად აწვა ადგილობრივ გლეხობას და თვით ჯამხედრო ნაწილებსაც, რომელთაც ეს კომისიონერები სურსათს დროულად არ აწვდიდნენ[21].

1830-იანი წლებიდან „მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით“ შემოღებულ იქნა ჯამხედრო საჭიროებისათვის პურის იჯარა-ჩაბარების წესით დამზადება. იჯარა-ჩაბარების სახით პურის დამზადების უფლება გაიცემოდა საჯარო ვაჭრობით. ამგვარად, ჯარის ნაწილების სურსათით მომარაგების საქმე კერძო მეწარმეთა ხელში გადავიდა. თუმცა ამით, ცხადია, პურის უშუალო მწარმოებელთა ძირითად მასებს ნაკლებად მოეფონებოდათ. მაგრამ, როგორც გინდ არ ყოფილიყო, პირველი პერიოდის კონტრასტები თანდათანობით ნელდებოდა.

---

[20] А. Чавчавадзе. „Краткий ист. очерк положения Грузии 1801—1831 г.г.“, (КС, XIII ტ. 15).

[21] А. С. Грибоедов, Полное собрание сочинений, 1917, III, стр. 34.

ადმინისტრაციასა და მოსახლეობას შორის ურთიერთგაგების საქმე „მოწესრიგებისაკენ“ მიდიოდა. შედარებით მშვიდობიანი ცხოვრების დამყარება ადგილობრივ მკვიდრთა მრავალსაუკუნოვან მეურნეობრივ თაოსნობის ტრადიციებს აღვივებდა და, კერძოდ, ნათესების ფართობიც შეუნელებლად იზრდებოდა.

საქალაქო ცხოვრებისა და მიმოსვლა-მიმოზიდვის საშუალებათა განუვითარებლობის გამო ადგილობრივი პურის მთავარი გამსაღებელ-მომხმარებელი სამხედრო უწყება იყო. აღსანიშნავია, რომ იმ დროს მთელი კავკასიის ადმინისტრაციული და პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრი — თბილისიც კი არ იყო საკვებით დამოკიდებული სოფლებიდან შემოტანილ პურზე.

„თბილისი, ამიერკავკასიის ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი, 1850-იან წლებში ატარებდა ნახევრად მიწათმოქმედური ქალაქის ხასიათს. კუკიაში პურის თესვას ისევე მისდევდნენ, როგორც ყოველ სოფელში; სოლოლაკი დაფარული იყო ხილისა და ვენახის ბაღებით“. მერმინდელი პლეხანოვის პროსპექტის მიდამოები, დიდუბე იმ ხანებში თითქმის მთლიანად ბაღ-ვენახსა და პურის ყანას წარმოადგენდა[22].

1840-იანი წლებიდან სულ უფრო იშვიათი ხდება რუსეთიდან თუ იმიერკავკასიიდან პურის შემოტანა ამიერკავკასიაში თვით ჯარის ნაწილებისათვისაც-კი. აუცილებლობის შემთხვევაში სამხედრო უწყებას უფრო ეკონომიურად მიაჩნდა ხორბლეული შემოეზიდა ირანის, აზერბაიჯანის მახლობელი მოსაზღვრე თემებიდან, — მაგალითად, გუმბრში (ალექსანდროპოლში, ახლანდელ ლენინაკანში) დაბანაკებული ჯარის ნაწილებისათვის[23]. მაგრამ ამ ხანებში ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონიდან პური თავის მხრივაც გაქონდათ საზღვარგარეთ; მაგალითად, შარურის მაზრიდან პური გაქონდათ თურ-

[22] ОДИКОСХ, I, стр 39.
[23] АСКАК, IX, №№ 486, 503, 602; стр. 499, 508, 579.

ქეთის მეზობელ სამფლობელოებში[24]. საერთოდ ამ დროიდან ჯარის ნაწილებისათვის პური უკვე ადგილობრივად მზადდებოდა — კავკასიის კორპუსის საინტენდანტოების მიერ[25].

1846 წელს კავკასიის ნამესტნიკი თავ. მ. ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი თავისი 1845 — 1846 წწ. მოღვაწეობის ანგარიშგებაში აღნიშნავდა, რომ ამიერკავკასიაში „ის მინდვრები, რომლებიც მე ორმოცი წლის წინად[26] გატიალებული მიხილავს, ახლა დამუშავებულია და პურის ადგილობრივი მოსავალი თითქმის ყოველთვის საკმარისია ამიერკავკასიაში დაბანაკებული ჯარისათვის, რუსეთიდან პურის გამოწერის გარეშე“-ო[27].

უკვე 1850 წელს ადგილობრივი ცხოვრების ნიჭიერი დამკვირვებელი ო. კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ო ვ ი აცხადებდა: „1802 წელს საქართველომ ვერ შესძლო სურსათი მიეწოდებინა რუსის ჯარის 3 ათასი კაცისათვის, ახლა-კი — მიუხედავად ომისა, რომ საქართველოს მოსახლეობა ორნახევარჯერ გაიზარდა, იგი იკვებება ხორბლის პურით და მხოლოდ ქ. თბილისში გაატარებს გასაყიდათ 150.000 კოდი პური და ამას გარდა საამხედრო ნაწილებს ყოველწლიურად აწვდის 40.000-მდე კოდ ქერსო“[28].

ამგვარად, საქართველოსა და ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთებას ერთ-ერთი დადებითი მხარე იმაშიაც გამოიხატა, რომ ხშირი შემოსევების, შინაგანი ომების შეწყვეტისა და, მაშასადამე, ქვეყნის პოლიტიკური დამშვიდების მეოხებით თანდათანობით შეიქმნა ხელსაყრელი პირობები საერთო ეკონომიკური აღორძინებისათვის, მშვიდობიანი შრომისა და საქმიანობის განვითარებისათვის, კერძოდ, ნათესების ფართობის

---

[24] АСКАК, IX, № 499, 502; стр. 506—508.

[25] იხ. „წინადვე საცნობელნი პირობანი ხორბლისა და ქერის ჩაბარებისათვის“, ტფ., 1844.

[26] ე. ი. 1802 — 1806 წწ., როდესაც მ. ვორონცოვი აქ გენ. ბ. ციციანოვის ხელქვეით მსახურობდა.

[27] АСКАК, X. 834; П Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения“, 1938, I, стр. 153.

[28] „Дорожник по Закавказскому краю“, 1850, Тифлис, стр. 28—29.

მნიშვნელოვნად გადიდებისათვის, რაც ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო მოსახლეობის კეთილდღეობისა და თვით გამრავლების ტემპის გაზრდისათვის.

ასე, რომ უკვე 1850-იანი წლებიდან მოყოლებული ამიერკავკასიიდან ხშირად და მნიშვნელოვანი რაოდენობით გაქონდათ ხორბალი ირანისა და თურქეთის მეზობელ პროვინციებში, განსაკუთრებით, როდესაც იქ მოუსავლიანი წლები იქნებოდა ხოლმე. მართალია, მას მერმეც იყო შემთხვევები, როდესაც თვით ამიერკავკასიაში ომიანობისა თუ მოუსავლიანი წლების დროს პური ძლიერ ძვირდებოდა და, მაშასადამე, მისი ნაკლებობა ფრიად საგრძნობი ხდებოდა. მაგალითად, ყირიმის ომის წლებში, დას. ამიერკავკასიაში, პური მეტად გაძვირდა და 1854 წელს ქ. ქუთაისში ერთი ჩეტვერტი პურის ფასმა 18 მანეთამდე მიაღწია[29].

მაინც, საერთოდ 1840-იანი წლებიდან ამიერკავკასიაში პურეულისა და კერძოდ ხორბლის სიუხვე უფრო საგრძნობი იყო, ვინემ მისი ნაკლებობა, — როგორც ამის შესახებ იმდროინდელი წყაროები მეტყველებენ, ხოლო 1850-იანი და განსაკუთრებით სამოციანი წლებიდან მოსავლიან წლებში უკვე საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად ხდებოდა ჭარბი პურეულის გაუსაღებლობა.

მაგალითად, 1862 წელს სმკს-ს ორგანოს კორესპონდენტი წერდა, რომ „მოსავლიან წლებში ამიერკავკასიაში პურით ვაჭრობა ძლიერ სტაგნაციას განიცდის... ყოველგვარი მეურნეობრივი ვარაუდები, იმედები, ნუსხები, გაანგარიშებანი და სხვ. მთლიანად ირღვევიან და არა ერთს მეურნეს აგდებენ საშინელებასა და სასოწარკვეთილებაში... მხოლოდ ერთია დიდი მასშტაბის მომხმარებელი — ესაა თბილისი; და ყოველი მხრიდან აქეთკენ მიისწრაფვიან, ყველას აქეთ მოაქვს და ავსებენ მის ბაზარს. მწარმოებელი ნებსით თუ უნებლიეთ მომხმარებლის (ცხადია, სინამდვილეში შემსყიდველის — პ. გ.) ხელში მორჩილ არსებად იქცევა და იძულებულია მიიღოს

[29] АСКАК, IX, № 655, стр. 628.

მისი წინადადება, თუნდაც ამაში ამკარა ზარალს ხედავდეს, სხვა გამოსავალი არ არის: ანდა პური უკან უნდა წაიღოს და უცადოს ხელსაყრელ დროს, რომელიც ღმერთმა იცის როდის დადგება. თბილისის ბაზარი, განმტკიცებული ჩვეულებისამებრ, ცდილობს კონკურენციის მოსპობას, ზღუდავს რა პურით ვაჭრობას რიგ მომწესრიგებელ ღონისძიებათა გატარებით, რათა ქალაქები ძვირად არ ყიდულობდნენ პირველი მოთხოვნილების საგნებს".

ამ ჩვეულების თანახმად არავის არ შეეძლო ქალაქის ბაზარზე ხორბლის დიდი რაოდენობით შესყიდვა; სასტიკად იყო აკრძალული, პურძვირობის დროს, მისი გასასყიდად შესყიდვა. სადილობის დრომდე მეპურეებს (მეფურნეებსა და მეთონეებს) ნება არ ჰქონდათ ბაზარზე ხორბლის შესყიდვისა... ამ ტრადიციის დამრღვევი „სასტიკად და შეუბრალებლად ისჯებოდა"[30].

სინამდვილეში, რა თქმა უნდა, მსხვილ შემსყიდველებს ამ წესების დარღვევა ძვირად არ უჯდებოდა და, რაც მთავარია, ისინი სოფლიდან ქალაქისაკენ მომავალ პურს თავიანთი აგენტების, წვრილ შემსყიდველთა დახმარებით ხელთ იგდებდნენ უკვე მანამდე, სანამ იგი ქალაქის ფარგლებს მიაღწევდა.

ქ. თბილისს გარდა ხორბლის მსხვილი გამსაღებელი, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, უმთავრესად სამხედრო უწყება იყო. ამ დროს ჯარის ნაწილებისათვის პურის შესყიდვას აწარმოებდნენ საინტენდანტო სამმართველოს მსხვილი მიმწოდებელნი და მათი აგენტები, რომლებიც გაფანტულნი იყვნენ ხორბლეულის სხვადასხვა რაიონებში. სამხედრო უწყების მიმწოდებელნი ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ, რათა რაც შეიძლება დაბალ ფასებში შეესყიდათ ხორბალი; ამ მიზნით ისინი ხშირად მიმართავდნენ მოსაპლეობისადმი ადმინისტრაციულ ზემოქმედებასაც[31]. ამასთანავე. მათ, არაიშვიათად, მთე-

---

[30] ЗКОСХ, 1862, № 3—6, стр. 9—12.

[31] იხ. ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბ., 1940, გვ. 248.

ლი რაიონები ჰქონდათ დაჩემებული, სადაც პურის სხვა შემსყიდველი ვერ გამოჩნდებოდა.

როგორც საერთოდ სამხედრო იჯარა-მიწოდებანი, ისე კერძოდ, ხორბლის და, საზოგადოდ, პურის დიდი ზომით მიწოდების იჯარაც ფრიად მიმზიდველი სფერო იყო კომერციული თაოსნობის ადამიანთათვის, რომლებიც ამ ვაჭრობის მეოხებით შედარებით მალე ახერხებდნენ მნიშვნელოვანი კაპიტალების დაგროვებას.

თუ რამდენად დიდი მომხმარებელი იყო თბილისი საერთოდ პურეულისა და, მაშასადამე, როგორი იყო მისი მნიშვნელობა ამიერკავკასიაში ხორბლეული კულტურის განვითარებაში, ჩანს ქვემოთ მოტანილი მონაცემებიდან.

რკინიგზით ქ. თბილისში შემოტანილი და აქედან

პურეულის დასახელება	1891 წ.		1892 წ.		1893 წ.	
	შემოტანა	გატანა	შემოტანა	გატანა	შემოტანა	გატანა
ხორბლის ფქვილი	227.770	52.940	345.420	54.010	1.140.040	63.530
ქერი	662.370	21.320	694.340	5.740	905.990	38.840
ბრინჯი	0	0	2.340	0	412.400	3.090
ხორბალი	1.248.500	6.470	861.330	3.070	815.220	24.420
ფეტვი	770	0	4.640	590	1.900	30
შვრია	340	10.610	0	10.830	4.960	280
სიმინდი	17.150	20	37.280	10	101.690	9.950
სულ	2.156.900	91.360	1.946.050	74.250	3.382.190	137.140

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, ქ. თბილისი უკვე 1890-იანი წლების გასულს დიდძალ პურეულს მოიხმარდა და აქედან, მხოლოდ რკინიგზით შემოტანილი პურის რაოდენობა 3 მილიონ ფუთამდე აღწევდა. ამასთანავე, როგორც ცნობილია, კახეთიდან და სხვა ახლოპელი რაიონებიდან, მნიშვნელოვანი ზომით, თვით ამიერკავკასიიდანაც (საქართველოს სამხედრო გზით), თბილისში დიდძალი პურეული შემოჰქონდათ საჭაპანო გზითაც.

ა. ევანგულოვი, ეხებოდა რა ამ მხრივ თბილისის მნიშვნელობას, 1895 წ. აცხადებდა, რომ თბილისს საკუთარი „გა-

ბატონებული მდგომარეობა უჭირავს ეკონომიკურ ცხოვრებაში არა მხოლოდ თბილისის გუბერნიისა, არამედ მთელი ამიერკავკასიისაც"[32]. ხუთიოდე წლის შემდეგ ვ. ვ ა ر თ ა ნ ი ა ნ ც ი ც, ამიერკავკასიაში პურით ვაჭრობის მონაწილე-სპეციალისტი, წერდა, რომ „თბილისი პურის მთავარი ბაზარია მთელი ამიერკავკასიისათვისო"[33].

ჯერ კიდევ 1862 წელს სმკს კორესპონდენტის ცნობით „თბილისური ფასები წარმოადგენენ საზომს ყველასათვის და ჩვენებური პურის ვაჭრები, შეგნებული აქვთ რა ამ მხრივ თბილისის მნიშვნელობა, აკვირდებიან მის ბაზრებს და ყოველგვარ დასაშვებ და დაუშვებელ მატრაბაზობას მიმართავენ, რათა შეაჩერონ ფასების აწევა" პურის დამზადების პე-

გატანილი პურეული (ფუთობით)

1894 წ.		1895 წ.		1896 წ.		1897 წ.	
შემოტანა	გატანა	შემოტანა	გატანა	შემოტანა	გატანა	შემოტანა	გატანა
1.246.330	57.590	981.142	18.967	832.251	22.588	657.114	20.599
967.370	9.700	912.769	1.471	875.596	3.428	883.746	18.240
56.810	1.370	820	0	691	0	3.060	3.060
497.340	21.120	855.760	2.085	1.289.609	1.752	1.300.101	2.050
940	0	175	0	580	265	258	2.263
3.710	420	5.896	349	4.590	121	17.611	10
64.080	60	31.132	7	53.016	11	94.407	970
2.836.590	90.270	2.787.694	22.879	3.056.402	28.165	2.956.287	47.192

რიოდში[34]. პურით ვაჭრობაში ასე თუ ისე „მსხვილ ოპერაციებს აწარმოებდნენ მხოლოდ თბილისელი კაპიტალისტები", ესენი ხშირად ისევ სამხედრო უწყებათა მიმწოდებლებიც იყვნენ. ჩვეულებრივ 10—20 ათას ჩეტვერტ ხორბალს ისინი შეისყიდდნენ შემოდგომობით, როდესაც ფასები დაბალი იყო.

ზემოხსენებული კორესპონდენტისავე სიტყვებით „ამ

[32] КСХ, 1895 г., № 72, стр. 1258.
[33] КСХ, 1899 г.,—273, стр. 221; см. также № 272, стр 196.
[34] ЗКОСХ, 1862 г., № 3—6, стр. 11—12.

სპეკულანტთა დიდი ნაწილი მოკალათებულია თვით ხორბლის წარმოების რაიონებში და, სარგებლობს რა გლეხობის უვიცობითა და შევიწროებული მდგომარეობით, ხელიდან არ უშვებს შემთხვევას, რათა რაც შეიძლება იაფად შეისყიდოს პური". თვით ამათ, თავიანთის მხრივ, ეს პური გასაყიდად გაქონდათ, ანდა სამხედრო უწყებისათვის ჩასაბარებლად მიჰქონდათ მაშინ, როდესაც ფასები უკვე, შედარებით, ერთიორად მაღალი იყო.

აზერბაიჯანში პურის ვაჭრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილობრივი ცენტრი იყო ქ. ლენქორანი. ლენქორანის მაზრაში პურის მსხვილი ბაზრები იყო აგრეთვე სოფ. ხოლტეკლაში, კიზილ-აგაჩსა და ასულში. უკანასკნელში მაინც ყველაზე დიდი ბაზრობა იმართებოდა. შემსყიდველებს აქ შეძენილი და ბაზრის გარეშე გასატანი ხორბალი გაქონდათ ს. კიზილ-აგაჩის ნავმისადგომის მეშვეობით უმთავრესად ქ. ბაქოში. ოფიციალური ცნობით 1913 წელს ლენქორანის მაზრაში გაიყიდა 3,6 მილ. ფუთი ხორბალი და 2,6 მილ. ფუთი ქერი—სულ დაახლოებით 4,5 მილ. მანეთის ღირებულებისა; მათ შორის მაზრის გარეთ გატანილ იქნა 2,5 — 3 მილ. მანეთის საქონელი"[35].

აზერბაიჯანში და საერთოდ ამიერკავკასიაში პურის ვაჭრობის უდიდეს ოპერაციებს აწარმოებდა ქ. ბაქო, აქ ხორბალი მოქონდათ როგორც საკუთრივ აზერბაიჯანის მაზრებიდან, ასევე რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებიდან. პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში ქ. ბაქოში ყოველწლიურად შექონდათ 10 მილ. ფუთზე მეტი სხვადასხვა პურეული[36].

* * *

უხვმოსავლიანობის წლებში, როგორც, მაგალითად, 1861 წელს, ხორბალზე ფასი ძლიერ ეცემოდა, მითუმეტეს, თუ ამასთანავე, საზღვარგარეთიდანაც (ირან-თურქეთიდან) ჩვენს

[35] „Очерки сельского и лесного хозяйства Ленкоранского уезда Бакинской губ", 1914, Баку, стр. 101—102.
[36] „Весь Кавказ", 1014, Баку, стр. 74—76.

პურზე მოთხოვნილება ნაკლები, ანდა სულაც არ იყო. ირან-თურქეთში ხორბალი გაქონდათ უმთავრესად თბილისს. ბაქოსა და ერევნის გუბერნიებიდან.

1861 წელს ამიერკავკასიაში „პური ყველგან უხვად იყო, მაგრამ მოხმარება არსად არ იწვევდა დიდ მოთხოვნას და ამიტომაც მწარმოებლებმა მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი ხელუხლებლად (აუღებლად) დასტოვეს". მერმე, 1862 წელს, როგორც-კი „მთელს მხარეში ხმა დაირხა პურის სიძვირეზე და მიწათმოქმედმაც დაამთავრა თავისი სამუშაო, ყოველი მხრიდან თბილისს მოაწყდა გასული (1861) წლის მარაგი პურისა", რისი მეოხებითაც აქ პურის ფასებმა „საკმაოდ დაწიეს".

საერთოდ მე-19 საუკუნეში ამიერკავკასიიდან, თვით 1870-იანი წლების ბოლომდე, ხორცლის გატანა უფრო შემთხვევითს ხასიათს ატარებდა. მაგრამ სამაგიეროდ 1840-იან წლებამდეც პურის შემოტანაც მხოლოდ სპორადულ მოვლენას წარმოადგენდა. 1840-იანი წლებიდან მანც ადგილობრივი

1896—1912 წწ. ბაქოში შეზიდული და აქედან გაზიდული პურეული (ფუთობით)[37]

წლები	შემოზიდვა	გაზიდვა
1896	2.958.000	1.848.000
1897	1.175.000	1.727.000
1898	5.494.760	1.694.500
1899	7.340.000	1.627.000
1900	7.673.000	1.307.200
1901	5.270.800	2.001.400
1902	3.815.100	1.877.800
1903	4.344.100	2.294.300
1904	5.4[illegible]7.800	2.368.200
1905	6.954.700	2.842.200
1906	5.757.500	2.544.500
1907	4.382.500	1.755.100
1910	11.068.283	2.988.539
1911	12.699.968	4.904.681
1912	9.941.021	5.008.821

[37] „Записки к вопросу о благоустройстве Бакинского торгового порта", 1910, Баку, стр. 30—31.

წარმოების პური ადგილობრივი მოხმარებისათვის საკმარისზე მეტიც იყო.

როგორც მონაცემები (იხ. ცხრილი გვ. 233) გვიჩვენებენ ქ. ბაქოში შეზიდული პურეულის უდიდესი ნაწილი ადგილზევე მოიხმარებოდა. ხოლო დანარჩენი ნაწილი, რაც უმთავრესად ბრინჯისა და პურის ფქვილისაგან შედგებოდა, აქედან გაქონდათ რუსეთში, დაღისტანსა და ამიერკავკასიის ქალაქებში.

* * *

ამ დროიდან ქალაქები და სამხედრო ნაწილებიც ადგილობრივი პურეულით მარაგდებოდა. 1880-იან წლებში პურის მსხვილი შემსყიდველი და სამხედრო უწყების მიმწოდებელი ცნობილი ბეგთაბეგოვი და სხვ. სოვდაგრები იყვნენ. მაშინ ამიერკავკასიაში დაბანაკებული ჯარისათვის წლიურად საჭირო იყო დაახლოებით 1,4 მილიონი ფუთი (180.000 ჩეტვერტი) პურეული, ხოლო ადგილობრივი ქალაქები საშუალოწლიურად მოიხმარდნენ 5 მილ. ფუთ პურს. დანარჩენი გაუსაღებელი პურის მნიშვნელოვანი მარაგები წლობით ინახებოდა ბეღლებში და უცდიდა შემთხვევას: მოუსავლიან წელს, შიმშილიანობას და ამასობაში ზოგჯერ ფუჭდებოდა ხოლმე.

1881 — 1882 წელს თბილისელმა ფრანგმა ნეგოციანტმა ი. რიშარმა გაგზავნა აქაური ხორბლის პირველი მსხვილი პარტია (40.000 ფუთი) დას. ევროპის ბაზარზე — მარსელში. ამ დროიდან პურის ექსპორტმა, ასე ვთქვათ, რეგულარული ხასიათი მიიღო უკვე 1885 წლიდან. 1885 წელს ამიერკავკასიიდან დას. ევროპაში გატანილ იქნა, ფოთის ნავსადგურით, 194 ათასი ფუთი, ხოლო ბათუმით — 448 ათასი ფუთი ხორბალი, სულ 682.000 ფუთი. ამასთანავე, იმავე 1885 წელს გაიტანეს ქერი: ფოთიდან—259 ათასი ფუთი, ხოლო ბათუმი-

დან — 19 ათას ფუთამდე. ამგვარად, ორივე პურეულის ექსპორტმა სულ 950.000 ფუთს მიაღწია[38].

პურის ექსპორტი კიდევ უფრო გაიზარდა შემდგომ 1886 წელს, როდესაც ორივე ზემოხსენებული ნავსადგურიდან დას. ევროპაში გაიგზავნა დაახლოებით 4,5 მილიონი ფუთი ხორბალი და 652.000 ფუთი ქერი. ამიერკავკასიური ხორბლის რეალიზაცია მოხდა: იტალიაში (926.000 ფ.), საბერძნეთს (915.000 ფ.), საფრანგეთს (830.000 ფ.), ინგლისს (690.000 ფ.), თურქეთს (350.000 ფ.), აგრეთვე — ბელგიას, ჰოლანდიას, გერმანიასა და ავსტრიაში[39].

ყველაზე მსხვილი ფირმები (ექსპორტერები), რომელთაც ეს საქონელი გაიტანეს, იყვნენ ლ. და კ. დრეიფუსი (ამ ფირმას ჩვენგან სხვადასხვა პროდუქტებს გარდა პურეული, კერძოდ სიმინდი, გაქონდა 1900 — 1910-იან წლებშიაც), ნეიფელდი, ტ. გარდნერი, ავგერინო, პილადი, ბურგარდი და კომპ., რიხნერი და კომპ. და სხვ. ზოგიერთი მათგანი, როგორც თავის ადგილას დავინახავთ, ეწეოდნენ აგრეთვე მარგანეცის, ნავთობის პროდუქტებისა და სხვ. ექსპორტსაც.

საერთოდ პურეულის ძირითადი მასა გაქონდათ ფოთის ნავსადგურით. ფოთი, როგორც საექსპორტო პუნქტი, პურეულს ასე იზიდავდა მეტადრე იმის გამო, რომ აქ იყო უკეთესი და იაფი საწყობები. 1883 წლიდან, როდესაც მიმოსვლა გაიხსნა ბაქო-ბათუმის რკინიგზის მაგისტრალზე, ფოთიდან მრავალი სავაჭრო, საკომისიონერო და სატრანსპორტო ფირმა ბათუმში გადაბარგდა და სწორედ ამის მეოხებით ფოთში ბევრი შენობა და საწყობი განთავისუფლდა, რაც ამიერიდან, ნაწილობრივ, პურეულის საწყობად უნდა გადაქცეულიყო. ბათუმში-კი საწყობების ქირა და მიწის ფასი მნიშვნელოვნად უფრო მაღალი იყო.

მაგრამ უცხოეთის ბაზრებზე ამიერკავკასიური ხორბ-

---

[38] А. Арасханянц, „Закавказская хлебная торговля", (ТКОСХ 1887 г., № 1, стр. 42—43; 49—50).

[39] СМИЭБГКЗК, IV, I, 429.

ლის მიწოდებას მეტად აძვირებდა და, მაშასადამე, აბრკოლებდა ცარიზმის სატარიფო პოლიტიკა, ე. ი. მაღალი სარკინიგზო ხარჯები. რკინიგზის 1880-იან წლებში არსებული ტარიფის მიხედვით სადგურ ევლახიდან ფოთამდე ან ბათუმამდე ერთი ფუთი მარცვლეულის მიტანა 34 კაპიკი ჯდებოდა; ხოლო ამ უკანასკნელი ნავსადგურებიდან ევროპის ნავსადგურებში, — როგორიც არიან: ლივორნო, გენუა, მარსელი, გიბრალტარი, პირეი, მალტის კუნძული,—მიტანა კიდევ 12 კაპ., სულ 46 კაპ. ამას ემატებოდა კიდევ საკომისიო და სხვა ხარჯები, ასე რომ, საბოლოო ჯამში, ევლახიდან ევროპის დასახელებულ პუნქტებამდე 1 ფუთი მარცვლეულის მიტანა ჯდებოდა 49 — 50 კაპიკი.

ეს გარემოება, რა თქმა უნდა, — და აქ უმთავრესი, ცხადია, იყო მაღალი სარკინიგზო ტარიფი — ძლიერ ამცირებდა შანსებს იმისას, რათა ამიერკავკასიური ხორბლის და საერთოდ პურეულის ექსპორტი სარფიანი კომერციული ოპერაცია ყოფილიყო.

მაგრამ იყო კიდევ სხვა ფაქტორებიც, რომელთა გათვალისწინება არ შეეძლო ა. არასხანიანცს, რომელიც „წინასწარმეტყველებდა“ ამიერკავკასიიდან ხორბლის ექსპორტის ფართოდ განვითარებას და რომელთა ეკონომიკური ცხოვრების სარბიელზე გამოვლინებამ გამოააშკარავა, რომ 1885 — 1886 წწ. აქედან დას. ევროპაში პურის მნიშვნელოვანი ექსპორტი არსებითად მხოლოდ ეპიზოდურ მოვლენად უნდა ჩათვლილიყო. ამასთან დაკავშირებით საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ შემდგომ 1887 წელს ფოთი-ბათუმის ნავსადგურებიდან გატანილ იქნა მხოლოდ 3.088.000 ფუთი ხორბალი[40].

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ მოვლენათა სიღრმისეულ პროცესებს ამიერკავკასიის სახალხომეურნეობრივ საკითხებზე მომუშავე იმდროინდელ ეკონომისტთა და პუბ-

[40] Х. Вермишев, СМЭБГКЗК, IV, I, 426.

ლიცისტთა შორის ბევრად უფრო სწვდებოდა ილია ჭავჭავაძე, რომელიც, ეხებოდა რა კერძოდ პურის ექსპორტის საქმეს, აცხადებდა: „...ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენი პური რომ საზღვარგარეთ გადის ჩვენს ეკონომიურად გაღონიერებას კი არ უნდა მიეწეროს, არამედ რაიმე უეცარს შემთხვევას, რომელიც შესაძლოა ხვალ არ იყოს“.

ამის მიზეზია ის, რომ „ერთმა დიდმა პურის მოსავლის ქვეყანამ და პურის გამსყიდველმა... რუსეთმა... ამ ხანებში ვეღარ მიაწოდა პური საქვეყნო ბაზარს“. რუსეთში 1886 წელს პურის ცუდი მოსავალი იყო. „ანეულად (შემოდგომის) ნათესი პური 1886 წ. ძალიან ნაკლები მოვიდა, ხოლო გაზაფხულის პური კი საშუალოს არ აღემატებოდა“... ამასთანავე ის მიზეზიც არის, რომ „უწინ თითქმის მარტო რუსეთი იყო ბოღაზი საქვეყნო ბაზრისა და ახლა კი ამერიკამ, ინდოეთმა, ავსტრალიამ ცილობა გაუწია“ რუსეთს და მალე დიდად გაასწრო კიდევაც; და ბოლოს „ის მიზეზიც, რომ 1886 წ. თვით მომხმარებელ ქვეყნებში, მაგალითად, ინგლისში, ცოტა იყო მოსავალი პურისა“.

ამგვარად, ა. არასხანიანცის „წინასწარმეტყველება“ ამერიკავკასიიდან პურის ექსპორტის გაძლიერებისა ილია ჭავჭავაძეს უსაფუძვლოდ მიაჩნია, „რადგან პურის ექსპორტს ჩვენგან არა აქვს მ კ ვ ი დ რ ი ნიადაგი, რომელზედაც აუშენებია ბ-ნს არასხანიანცს ციხე-კოშკები თავის მოხსენებაში პურის ვაჭრობის თაობაზედ ჩვენში“[41].

მართალია, რკინიგზებმა და ორთქლის გემებმა გააადვილეს და გააიაფეს პურეულის შორეულ რაიონებში ექსპორტი და ყოველივე ამან საერთოდ ხელი შეუწყო ნათესების ფართობის გაზრდას, მაგრამ, მეორე მხრით, იმავე რკინიგზამ ბიძგი მისცა ქალაქთა შემდგომ განვითარებას და ამით კიდევ უფრო გააფართოვა პურის შინაგანი ბაზარი. სწორედ ამ უკანასკნელმა გარემოებამ უკვე 1880-იანი წლების მიწურუ-

[41] „ივერია“, 1886 წ., № 276.

ლიდანვე მნიშვნელოვანი გარდატეხა გამოიწვია პურის საგარეო ვაჭრობაში. დაიწყო ექსპორტის თანდათან შემცირება, ხოლო იმპორტის ზრდა. რა თქმა უნდა, ესეც რკინიგზისა და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გავლენის მეორე მხარე იყო.

იმის შესახებ, თუ რა ზომით მონაწილეობდა 1880-იანი წლების საექსპორტო ოპერაციებში ამიერკავკასიის სხვადასხვა გუბერნია, დაახლოებით წარმოდგენას იძლევიან ცნობები, რომლებიც გვიჩვენებენ ცალკეული გუბერნიებიდან ხორბლის გატანას ფოთი-ბათუმის ნავსადგურებში (ფუთობით):

		1885 წ.	1886 წ.
ქუთაისის	გუბერნიიდან	1.200	3.600
თბილისის	„	150.800	629.900
ერევნის	„	67.800	980.400
ელისავეტპოლის	„	736.500	2.013.900
ბაქოს	„	237.600	2.137.100
	სულ	1.193.900	5.704.900

ამგვარად, საექსპორტო ხორბლს იძლეოდა უმთავრესად ელისავეტპოლისა (განჯისა) და ბაქოს გუბერნიები, საერთოდ აღმ. ამიერკავკასია. ქუთაისის გუბერნიაში ამ დროს უკვე აბსოლუტურად გაბატონებული იყო სიმინდის კულტურა და აქ მოყვანილი მთელი ხორბალი შინაურ მოთხოვნილებასაც ვერ ფარავდა. საერთოდ ამიერკავკასიიდან ხორბლის გამტანი მაზრები იყო: ბორჩალოს, თბილისის, გორის, დუშეთის, ყაზახის, განჯის, ჯევანშირის, შუშის, არეშის, ჯევათის, ბაქოს, გეოგჩაის, შემახიას, გუმბრის (ალექსანდროპოლის), ახალციხისა და სხვ.[42].

*
* *

ხსენებულ მაზრებში ხორბლის, როგორც საერთოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის, გასაღების საქმეში გაბატო-

[42] СМЭБГКЗК, IV, I, 425—426; КСХ, 1901 г., № 410, стр. 745.

ნებული იყვნენ შემსყიდველები. მაგალითად, თბილისისა და გორის მაზრის გლეხობა, ს. მაჩაბლის ცნობით, უკვე წინასწარ ჰყავდათ შემსყიდველებს დავალიანებული. შემსყიდველი იმავე დროს მევახშეც იყო და გასესხებული ფულისათვის 100 — 200 პროცენტ სარგებელს ღებულობდა, ასე რომ წვრილ მწარმოებელს ხორბალზე ბაზრის ფასის 50%-იც ძლივს შეხვდებოდა[43].

ახალბაიაზეთის მაზრა, როგორც პარვიცკი აგვწერს, ადგილობრივი ვაჭრების მიერ დაყოფილი იყო რაიონებად და ცალკე რაიონში, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, გაბატონებული იყო ერთი ვაჭარი. ასეთ ვაჭარს (მუზიითარს) აქვს სოფლისათვის აუცილებელი სამრეწველო საქონლის სარეალიზაციო დუქანი, სადაც იგი ამ საქონელს გლეხობას, ჩვეულებრივ ნისიად, კრედიტში აძლევდა. ზაფხულ-შემოდგომობით ვაჭარი (მუზიითარი) შემოივლის სოფლებს, ანდა აგზავნის თავის ნოქარს, რათა ნისიად გაცემული საქონლისათვის გლეხობისაგან აიღოს ხორბალი, ქერი, პირუტყვი და სხვ.[44].

ანალოგიური იყო მდგომარეობა გუმბრის (ალექსანდროპოლის) მაზრაშიაც, სადაც, როგორც ს. ზელინსკი გადმოგვცემს, ვაჭარი-შემსყიდველი სამრეწველო საქონელს თუ ფულს საჭიროების დროს აძლევდა გლეხობას მომავალი წლის ხორბლის ანგარიშში. ასეთს პირობებში „გასაგებია რომ ვაჭარი-კულაკი არ თაკილობს გაასაღოს თავისი საქონელი სამჯერ უფრო ძვირად, ანდა გაასესხოს ფული ფრიად მაღალ სარგებელზე და, ამგვარად, გაიპას გლეხი გამოუვალ ქსელში[45].

ბორჩალოს მაზრის შესახებ ა. არღუთინსკი-დოლგორუკოვი წერდა (1896 წ.): „გაზაფხულზე, განსაკუთრებით იალაღებზე გამგზავრების წინ თათრებს (აზერბაიჯანელებს — პ. გ.) ძლიერ სჭირდებათ ფული. ეს საჭიროება წარ-

---

[43] МИЭБГКЗК, VI, I, 218—219, 242—243.

[44] იქვე, IV, II, 47 — 48.

[45] იქვე, I. 63.

მომდგარია აუცილებლობით, რათა ამ ფულის ნაწილი ადგილზე დასტოვონ გასასტუმრებლად იმ მუშებისა, რომლებმაც პურის მოსავალი უნდა აიღონ, ამას გარდა ფული სჭირდებათ გზაზედაც მთებზე გადასვლისათვის... მერმე პირუტყვის საბალახოებისათვის იალაღებშიაც ისევ ფული უნდა გადაიხადონ... ამ დროისათვის მარაგები უკვე ამოწურულია... ამიტომ ბუნებრივია, რომ მან კრედიტორს უნდა მიმართოს, სესხის მიღება კი მას შეუძლია ს. შულავერში. აქაა ბორჩალოს მაზრის პურეულის მთავარი და დიდი საწყობები, საიდანაც პური მერმე მიაქვთ თბილისში და სხვა მსხვილ ბაზრებში. სესხის მიღება შეიძლება მომავალი წლის მოსავლის ანგარიშში. თითქმის ყოველი შულავრელი შემსყიდველი, კულაკი, ვაჭარი ეწევა ასეთს ოპერაციას. კრედიტის პირობები ფრიად მძიმეა. გაზაფხულში გაცემული ყოველი 10 მანეთისათვის მოვალემ შემოდგომით უნდა გადაიხადოს 1,5 თალარი (=15 ფუთს[46]), ხორბალი (=12 მანეთს). მაშასადამე, 4 თვეში კრედიტორი 10 მანეთზე ღებულობს 2 მანეთს, ე. ი. 60%-ს"[47].

ხორბლის შესყიდვას, ქ. ვერმიშევის ცნობით, ახალქალაქის მაზრაშიაც აწარმოებდნენ სამხედრო უწყებათა მიმწოდებლები და მათი კომისიონერები, აგრეთვე თვით ახალქალაქელი ვაჭრები და ადგილობრივი კულაკები, რომლებიც შეძენილ პურს საწყობებში აჩერებდნენ, სანამ ფასები შესამჩნევად არ აიწევდა. ჩვეულებრივ აქ „ზაფხულში, ანდა ზამთარშიაც, მოსავლის აღებამდე ბევრად ადრე, შემსყიდველები ფულს ურიგებენ გაჭირვებულ გლეხებს, რომლებიც კისრულობენ სესხად აღებული თანხისათვის ჩააბარონ მომავალი მოსავალი იმ ფასებში, რასაც თვით შემსყიდველი დაადგენს

---

[46] თალარი, როგორც საწყაო ყაზახ-ბორჩალოს ზოგიერთ თემში იმხანად 8 ფუთსაც უდრიდა (ვახტანგ VI, „დასტურლამალი", თბ., 1886. გვ. 172; — პ. უმიკაშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი).

[47] РТКЭЖД, 115—117.

ფულის სესხების დროს. ეს ფასი ყოველთვის ერთი-ორი მანეთით დაბალია ბაზრის ფასზე"[48].

შემსყიდველი გლეხისაგან ღებულობს ვალდებულების ხელწერილს, რათა კუთვნილი ხორბალი ჩააბაროს ქ. ახალციხეში; ხოლო დროზე ჩაუბარებლობისათვის გლეხი იხდის დიდ პირგასამტეხლოს, ცხადია, ისევ ხორბლის სახით. თუ რაიმე შემთხვევით (მოუსავლობა და სხვ.) გლეხი პურს დროზე ვერ ჩააბარებს, ვაჭარი მას ართმევს ახალ ხელწერილს ვალის შემდგომი, მომავალი წლის მოსავლით გადახდისა. ხდება, რომ ამ წელსაც ძნელდება ვალის გადახდა, ანდა ვაჭარი ხორბალს იწუნებს და, გარდა იმისა, რომ ვალის ნაწილის ვადის გაგრძელებისათვის მაღალ სარგებელს უნიშნავს, ვითომდა ხორბლის დაბალი ლირსებისა გამო რამდენიმე საწყაოთი მეტს ახდევინებს. ასე რომ გლეხის ანგარიშით მთელი ვალის დასაფარავად მოტანილი ხორბალი ვალის მხოლოდ 50 — 60%-ს ფარავს. ხოლო დანარჩენზე კვლავ სხვა ხელწერილი ფორმდება და ახალი %%-ის ზედშეკეცით იგი შემდგომი წლის მოსავლით უნდა დაიფაროს...

გასაგებია, რომ ასეთს პირობებში მარცვლეულის მწარმოებელი გლეხი ძალიან ხშირად, ადრე თუ გვიან, ვალაუვალი მოვალე ხდება, რაც მას აიძულებს ჯერ დააგირავოს, ხოლო მერმე სულ ხელი აიღოს თავის. ისედაც მცირე, სახნავ-სათესი მიწის ნაკრისაგან.

ახალციხის მაზრაში როგორც პურის, ისე სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების შემსყიდველებად სომეხ ვაჭრებს გარდა ებრაელებიც გამოდიოდნენ. ებრაელი შემსყიდველები „ამოცანცლავდნენ ამ პროდუქტებს სხვადასხვა ტექსტილურ საქონელზე გადაცვლით". ქ. ვერმიშევი აღნიშნავდა, რომ აქ „ზოგიერთ ადგილას ებრაელებს მთლიანად ხელში უჭირავთ მთელი ვაჭრობა და თვითონვე ადგენენ ბაზრის ფა-

[48] МПЭБГКЗК, III, II, 162—164.

სებს ყველა პროდუქტისა"[49]. დაახლოებით ასეთივე იყო მდგომარეობა ყაზახის, სიღნაღის[50], ელისავეტპოლის (განჯის)[51], ჯევანშირის[52] და სხვ. მაზრებშიც[53].

ცხადია, აღნიშნულ მდგომარეობაში ვარდებოდა არა ყველა გლეხი. გლეხობის შედარებით მცირე ნაწილი, „უფრო შეძლებულნი, თავიანთს ნაწარმოებს ჰყიდიან ნაღდ ფულზე ქალაქებში, სოფლის ბაზრებზე, რაც პერიოდულად ეწყობა ამიერკავკასიის ზოგიერთ პუნქტში და თვით სოფელში მოსულ შემსყიდველებზე. რასაკვირველია, აქაც, განსაკუთრებით ქალაქის ბაზარზე, გარიგება არ ფორმდება გლეხის საწყავსა თუ წონაში მოტყუილების გარეშე, ანდა წვრილვაჭართა მხრივ დალალობის (შუამავლობის) გარეშე, რომლებიც სოფლელებს საშუალებას უსპობენ უშუალოდ მომხმარებელს მიჰყიდონ თავიანთი ნაწარმოები"[54]. ყოველ შემთხვევაში, ის მაინც ჩანს, რომ გლეხი გაყიდვის ასეთი ფორმისას, ყველა სხვა ფორმასთან შედარებით, უფრო ადვილად ახერხებდა ხორბლის რეალიზაციას[55].

*

* *

ჩვენ აქ განსაკუთრებით ვჩერდებით ამიერკავკასიაში მარცვლეულის წვრილმწარმოებელთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რადგან საქონლური ხორბლის თითქმის მთელი მოსავალი გლეხურ მეურნეობათა პროდუქტს წარმოადგენდა, და ყველაზე მსხვილი მემამულური მეურნეობებიც-კი პურს უმთავრესად მხოლოდ საკუთარი მოხ-

[49] МИЭБГКЗК, III, II, 162—164.

[50] იქვე, II, II, 212; IV, II, 202; „სასოფლო გაზეთი", 1875 წ., № 13.

[51] МИЭБГКЗК, VII, 119.

[52] იქვე, IV, I, 98.

[53] იქვე, VI, II, 271.

[54] პ. გუგუშვილი, „მევახშეობის განვითარება მე-19 საუკ."(თსუ შრომები, ტომი X და XIV).

[55] МИЭБГКЗК, IV, I, 432.

მარეგბისათვის აწარმოებდნენ, ასე რომ საქონლური პურის მწარმოებელი სპეციალიზებული მსხვილი მეურნეობები ამიერკავკასიაში თითქმის აღარ იყო.

ამასთანავე, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ რკინიგზამ რუსეთისა და, საერთოდ, მსოფლიო ბაზარი გაუხსნა და დაუახლოვა ამიერკავკასიას, სადაც ბუნებრივ-კლიმატური პირობები ხელს უწყობდნენ რიგ სპეც.-ტექნიკურ კულტურათა განვითარებას. რა თქმა უნდა, რკინიგზამ გამოიწვია სპეც.-ტექნიკური კულტურების როგორც მიწათმოქმედების უფრო შემოსავლიანი დარგების მიერ დაკავებულ ფართობთა ზრდა. რასაც, ცხადია, არ შეიძლებოდა, ამა თუ იმ ზომით, არ შეევიწროვებია მარცვლეულის ფართობები, ანდა არ შეენელებია მარცვლეულისათვის სახნავ-სათესი მიწის ფონდის შემდგომი გაფართოების შესაძლებლობანი. საერთოდ სახმარი მიწების ამ მიმართულებით წარმართული ტრანსფორმაცია, გასაგებია, უკვე მარცვლეული მეურნეობის არეალის შეზღუდვას მოასწავებდა.

მაინც ხორბლის მწარმოებელი გლეხობის ეკონომიკური ევოლუციის ზემოთ განხილული პროცესი არც თუ ისე თანაბარზომიერი განვითარების გზით მიდიოდა. ამ მხრივ, თვით მოსახლეობის მეურნეობრივ თაოსნობაში შესაძლებელი სიახლით გამოწვეულ ცვლილებებს რომ თავი დავანებოთ, ცარიზმის კოლონიური სოფლისმეურნეობრივი, სამრეწველო და ფისკალური პოლიტიკაც ძალიან ხშირად გეზს უცვლიდა მიწათმოქმედების დარგთა შეთანაწყობის ადგილობრივი ეკონომიკური პირობებით ნაკარნახევ მიმართულებას.

მაგალითად. 1880-იანი წლებიდან სააქციზო მოსაკრებელის მკვეთრმა ამაღლებამ ამიერკავკასიის რიგ რაიონში ერთხანობით არამომგებიანი გახადა მევენახეობა-მეღვინეობა და ამის შედეგად აქ ვენახების ადგილები მარცვლეულის ნათესებმა დაიკავეს; ანდა, ყოველ შემთხვევაში, ასეთს რაიონებში მიწათმოქმედების არეალი უკვე იზრდებოდა არა მევენახეობის, არამედ სხვა კულტურების ფართობთა გადიდებით.

ასეთს პროცესს ადგილი ჰქონდა კერძოდ ერევნის გუბერნიაში. აქ უზარმაზარი ფართობი — რამდენიმე ათასი დესეტინა ურწყავი მიწა მდებარეობდა მდ. კარპინკას მარცხენა მხარეს: ერევნის, აშტარაკისა და ეგვარდის რაიონებს შორის; ეს ფართობი აშტრაკანელთა საბალახოს შეადგენდა. 1870-იანი წლების ბოლოს, როდესაც აშტრაკანელთ მთელ თავიანთ სარწყავ მიწებზე ვენახები გააშენეს, რამდენიმე კომლმა ხსენებულ საბალახოზე ხორბალი დასთესა — მოურწყავად. ცდამ დადებითი შედეგი გამოიღო და რაღაც 6—7 წლის განმავლობაში აქაური მიწები გაიწმინდა ქვებისაგან და მთლიან ყანად გადაიქცა.

1891 წელს „მთელი ეს მიწები, რომელთაც წინათ, თითქმის არავითარი ფასი არ ჰქონდა“, გამიჯნულ იქნა მეკომურთა შორის და „დღეს სოფ. აშტარაკი, რომელიც 10 — 15 წლის წინათ თითქმის მთელ საჭირო პურს ყიდულობდა ეგვარტში (პურის ყველაზე უფრო მოსავლიანი სოფელი იყო არარატის ვაკეზე) და აბარანის სოფლებში, ხორბლის მყიდველისაგან გადაიქცა გამყიდველად. წინათ არც ერთი ყევარი ხარი არ იშოვნებოდა აშტარაკში, ახლა აქ შეიძლება ასეულობით ხარი ჩამოვთვალოთო“ — წერდა 1895 წ. ტ. გიუზალიანი[56]. აქ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ 1880-იან წლებში, სააქციზო მოსაკრებელის გადიდების შედეგად, აშტრაკელები ზოგან დაბალმოსავლიანი ვენახების ფართობსაც, ნაცვლად განახლებისა, ხორბლის ყანად აქცევდნენ ხოლმე.

მაგრამ რკინიგზამ გააადვილა და გაამრავალფეროვნა არა მხოლოდ ამიერკავკასიის შიგნით სოფელსა და ქალაქს შორის ეკონომიკური კავშირი, არა მხოლოდ ამიერკავკასიიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გატანა, არამედ შემოტანაც იმავე პროდუქტებისა. ასეთს ვითარებაში ეკონომიკურ რაიონთა შორის შრომის დანაწილებასა და, საერთოდ სპეციალიზაციას, ცხადია, ახალი მიმართულება უნდა მიეღო. სხვა სიტყვებით: რაც უფრო ვითარდებოდა კაპიტალისტური ურ-

[56] КСХ, 1895 г., № 59, стр. 1039.

თიერთობანი, რაც უფრო მეტის ზომით იქცეოდა მიწათმოქმედების პროდუქტი საქონლად, მით უფრო მკვეთრი და ღრმა უნდა გამხდარიყო ეს სპეციალიზაცია — ბუნებრივ პირობათა და მეტროპოლიის კოლონიური პოლიტიკის შესაბამისად.

უკვე 1890-იან წლებში ვლადიკავკაზიდან (ძაუ-ჯიკაუდან). „ოდესიდამ და შავი ზღვის ნავთსადგურებიდამ, საცა რუსეთის პური გამოდის, პურის მოტანა (თბილისში — პ. გ.) უფრო იაფად ჯდება, ვიდრე ჩვენის (თბილისის) გუბერნიის ზოგიერთ ადგილებიდამო", წერდა ილია ჭავჭავაძე [57].

ასეთს პირობებში უეჭველია, რომ ამიერკავკასიის ბაზრებზე ადგილობრივ ხორბალს, რომლის წარმოება ჩამორჩენილ ტექნიკაზე იყო დამყარებული [58], მეტი თუ ნაკლები ზომით, თანდათანობით გზა უნდა დაეთმო რუსეთიდან შემოტანილისათვის.

საქმე ისაა, რომ რუსეთი საერთოდ პურის ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტერი იყო და უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა პურის მსოფლიო ბაზარზე. მაგრამ სწორედ ამ დროიდან, უფრო ზუსტად რომ ვიმსჯელოთ, ჯერ კიდევ 1870-იანი წლებიდან, პურის მსოფლიო ბაზარზე სულ უფრო მზარდი კონკურენტუნარიანობით გამოდიოდა ამერიკული პროდუქტი.

ასეთ პირობებში, ცხადია, რუსული პური უფრო მეტად უნდა დაწოლოდა, სხვათა შორის, ამიერკავკასიურსაც, სადაც, როგორც საკუთარ „განაპირა ქვეყანაში", ადგილობრივი პურის წინაშე მას შესამჩნევ უპირატესობათა მოპოვება შეეძლო, ვინემ დას. ევროპის ბაზრებზე. — ამერიკისა, ავსტრალიისა და ინდოეთის მარცვლეულთან კონკურენციაში.

ეხებოდა რა ამიერკავკასიაში ხვნა-თესვის, ე. ი. მარცვლეულის მეურნეობის ეკონომიკას, ილია ჭავჭავაძე 1897 წ.

---

[57] ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, VIII, 238, 246.

[58] იხ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „გუთნეულის ეკონომიური ორგანიზაცია", (საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 1944, ტ. V, № 3); მისივე, „მიწათმოქმედების გაუმჯობესებული იარაღები საბჭოთამდელ ამიერკავკასიაში" (ეკონ. ინსტ. შრომები, 1947, II, გვ. 1 — 6C).

წერდა: „ჩვენში მხვნელ-მთესველს არც შინა აქვს ბაზარი, არც გარეთ, არც გზა აქვს, არც კვალი, რომ ნაამაგევმა გზის ხარჯს გაუძლოს... ხვნა-თესვის ნაამაგევს ფასი არა აქვს იმოდენა, რომ შრომის ხარჯი ამოაღებინოთ, და თუნდა ჰქონდეს, უგზო-უკვლობით ბაზარში ვერ გაიტანთ უიმისოდ, რომ ზედ თავისი არ წააგლისოთ. ცხოვრება-კი ბოლოულობს ფულსა სახარჯოთ წუთისსოფლის ჭირ-ბოროტის გასაძღოლად. შორს რომ არ წავიდეთ, საკმაოა თვალწინ ის დავიყენოთ, რომ დღეს რუსეთი პურს თითქმის უფრო იეფად იძლევა ჩვენში, ვიდრე შინ გვიჯდება, თითონ გზაც უფრო უკეთესი და იეფი აქვს შორიდან მოტანისათვის, ვიდრე ჩვენ სახლიდამ ბაზარში გასატანად და სადამ სად მისწვდება ჩვენებური მხვნელმთესველი, რომ ფასების მეტნაკლებობაში ცილობა რომ გაუწიოსო“[59].

სწორედ ასეთი ვითარების გამო იყო, რომ ილია ჭავჭავაძე ასკვნიდა: „ჩ ვ ე ნ შ ი ხ ვ ნ ა-თ ე ს ვ ი ს მ ო ს ა ვ ა ლ ს (ე. ი. მარცვლეულს) ს ა ო ჯ ა ხ ო მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა თ უ შ ე რ ჩ ე ბ ა, თ ო რ ე მ ს ა ა ღ ე ბ-მ ი ც ე მ ო ს ა გ ნ ა დ ძ ნ ე ლ ა დ ღ ა გ ა ხ დ ე ბ ა ო“[60].

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილიდან (გვ. 247-49) კაცს თვალში ეცემა ის გარემოება, რომ 1883 წლიდან მოყოლებული საუკუნის ბოლომდე, ე. ი. ოციოდე წლის მანძილზე, ხორბლის მოსავალი არსებითად ერთ წერტილზეა გაყინული, ანუ, უკეთა ვთქვათ, მოსახლეობის გამრავლების ტემპთან შედარებით, ბევრად უფრო ნელა იზრდება. ანალოგიურ სურათს წარმოგვიდგენს 1891—1914 წწ. მონაცემებიც. ამასთანავე, სწორედ ამ პერიოდში საერთოდ მოსახლეობა და კერძოდ საქალაქო ცხოვრება (მრეწველობა) ჩვენში წინანდელზე ბევრად უფრო დიდი სისწრაფით მრავლდება და ვითარდება. მაგრამ, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ის დროა, როდესაც ჩრდ. კავკასიიდან, უკრაინიდან და რუსეთიდან შემოტა-

[59] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრ. კრებული, VIII, ტფ., 1928, გვ. 253—254.

[60] იქვე, გვ. 254; კურსივი ჩვენია—პ. გ.

ხორბლის მოსავალი ამიერკავკასიაში 1883—1911 წწ (ათას ჩეტვერტობით)

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	1883 წ.		1884 წ.		1886 წ.	1890 წ.		1891 წ.	
	ფაფარი	ყანაფარი	ფაფარი	ყანაფარი	ყანაფარი	ფაფარი	ყანაფარი	ფაფარი	ყანაფარი
ბაქოს გუბ.	381,0	1762,0	127,5	1007,0	1373,0	175,7	1038,3	206,7	1792,3
განჯის „	208,0	1237,0	268,0	1541,0	1961,0	367,0	1477,6	412,6	2084,0
ზაქათალას ოკრ.	—	—	46,0	194,0	63,0	—	—	57,5	149,0
ერევნის გუბ.	298,0	1592,0	318,0	1789,0	1246,0	357,8	1625,2	350,5	1731,2
თბილისის „	257,0	1897,0	253,0	2108,0	2019,0	248,1	911,5	263,5	1414,1
ქუთაისის „	36,0	187,0	45,0	198,0	112,0	17,3	76,5	21,5	94,9
ბათუმის ოლქი									
სოხუმის ოკრ.	} შესულია ქუთაისის გუბერნიაში								
ს უ ლ	1.180,0	6.675,0	1.057,5	6.837,0	6.774,0	1.165,9	5.129,0	1.312,3	7.265,8

ხორბლის მოსავალი ამიერკავკასიაში 1883—1914 წწ. (ათას ჩეტვერტობით)—გაგრძელება

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	1894 წ.		1896 წ.		1897 წ.		1898 წ.		1901 წ.	
	ნაყოფიერ	ყველა	ნაყოფიერ	ყველა	ნაყოფიერ	ყველა	ნაყოფიერ	ყველა	ნაყოფიერ	ყველა
ბაქოს გუბ.	484,1	3062,8	501,9	3131,0	482,8	2891,0	409,8	1976,2	193,5	813,5
განჯის „	453,1	2381,3	445,4	2260,4	409,0	1917,1	400,1	1841,2	354,2	1187,1
ზაქათალას ოკრ.	49,2	114,2	—	—	53,8	215,3	—	—	24,6	66,2
ერევნის გუბ.	261,1	1140,9	300,0	1371,5	257,9	897,9	458,9	1316,2	346,3	1583,0
თბილისის „	260,3	1387,6	290,5	1222,5	305,9	1.165,8	290,4	1447,1	316,3	1044,0
ქუთაისის	29,8	157,9	35,4	171,7	36,2	210,9	31,3	121,5	21,0	88,4
ბათუმის ოლქი										
სოხუმის ოკრ.										
			შესულია ქუთაისის გუბერნიაში							
ს უ ლ	1.537,6	8.244,7	1.573,2	8.157,1	1.545,6	7.303,0	1.390,5	6.702,2	1.255,9	4.782,2

ხორბლის მოსავალი ამიერკავკასიაში 1883—1914 წ. (ათას ჩეტვერტობით)—გაგრძელება

ადმინისტრაციული ერეულების დასახელება	1903 წ. ათას ფუთობით		1910 წ. ათას ფუთობით		1912 წ.		1914 წ.	
	ყველა ერთად	ყველაზე მოსავლიანი	ყველა ერთად	ყველაზე მოსავლიანი	ყველა ერთად	ყველაზე მოსავლიანი	ყველა ერთად	ყველაზე მოსავლიანი
ბაქოს გუბ.	1543,8	7526,7	1770,0	6696,6	405,7	1621,1	249,5	892,8
განჯის	3316,7	18871,8	332,5	1197,1	315,9	1323,1	767,6	3423,1
ზაქათალას ოკრ.	197,0*	529,4	201,8	805,5	22,5	73,1	24,5	96,1
ერევნის გუბ.	2305,4	11152,2	1861,1	7872,3	741,1	3132,0	332,3	1698,6
თბილისის „	2608,1	19,0	3328,0	15004,9	325,9	1349,7	411,8	1661,2
ქუთაისის „	155,7	913,9	85,6	400,9	105,7	457,6	85,7	253,3
ბათუმის ოლქი	46,1	172,9	38,6	108,1	5,0	18,5	1,9	4,9
სოხუმის ოკრ.	შესულია ქუთ. გუბ.		0,4	3,3	0,07	0,03	0,007	0,03
სულ	1.0172,8	51.675,9	8.118,0	32.088,7	1.951,9	7.975,1	1.873,3	8.030,0

* 1903 წ. მონაცემებში ზაქათალის ოკრუგი შესულია 1898 წლის მოსავალით.

ნილი იაფი პური ამიერკავკასიის შინაგან ბაზარშიაც სულ უფრო მნიშვნელოვანი ზომით ავიწროებს ადგილობრივს.

ამასთანავე, ცხრილიდან ნათლად გამოსჭვივის ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება. 1883 — 1914 წწ. მანძილზე დათესილი და აღებული ხორბლის, ე. ი. თესლად დახარჯული და მოსავლის სახით მიღებულის, ურთიერთშედარება გვიჩვენებს ხორბლის მოსავლიანობის სისტემატურ დაცემას. ამ და რიგ სხვა დასკვნებზე, რომელთა გამოტანა შეიძლება წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებიდან, მსჯელობა ვრცლად გვექნება, როდესაც სპეციალურად შევჩერდებით საერთოდ მარცვლეულის მეურნეობის ბალანსისა და ნიადაგის ნაყოფიერების საკითხებზე.

ზემოთ ჩვენ გავეცანით ხორბლის მოსავლის დინამიკას საერთოდ ამიერკავკასიაში. თუ როგორ ვითარდებოდა ხორბლის მეურნეობა მის ერთ-ერთ მთავარ მწარმოებელ გუბერნიაში, სახელდობრ ელისავეტპოლის (განჯის) გუბერნიაში, გვიჩვენებს ქვემოთ მოტანილი მონაცემები [61].

ხორბლის მოსავალი ელისავეტპოლის გუბერნიაში
1880—1900 წწ. (ჩეტვერტობით)

1880 წ.	824.141	1891 წ.	2.083.900
1881 წ.	1.121.244	1892 წ.	1.891.646
1882 წ.	1.085.781	1893 წ.	1.877.895
1883 წ.	1.236.676	1894 წ.	2.381.336
1884 წ.	1.540.908	1895 წ.	2.218.910
1885 წ.	1.694.9 3	1896 წ.	2.260.416
1886 წ.	2.060.072	1897 წ.	1.917.103
1887 წ.	2.117.052	1898 წ.	1.841.199
1888 წ.	1.401.779	1899 წ.	1:644.179
1889 წ.	1.766.765	1900 წ.	1.200.000
1890 წ.	1.477.533		

ელისავეტპოლის გუბერნიაში საგაზაფხულო ხორბალი შედარებით მცირე ზომით ითესებოდა; მას საერთოდ ხორბლის ნათესების ერთ მეხუთედზე ნაკლები ადგილი ეჭირა და მო-

[61] И. Сегаль, „Сборник свед. о Елизаветп. губ.“, I, 32—33, 38—39.

ყავდათ იგი მხოლოდ დაბლობ ადგილებსა და მთის ძირებზე. ამგვარად, აქ საშემოდგომო ხორბალს ეჭირა გაბატონებული ადგილი.

აღებულ პერიოდში ამ გუბერნიაში ხორბლის ყველაზე მაღალი მოსავალი, როგორც ცხრილი გვიჩვენებს, მიღებულ იქნა 1894 წელს (2,38 მლ. ჩეტვ.); მოსავლის ეს დონე გადაჭარბებულ იქნა მხოლოდ ოცი წლის შემდეგ, სახელდობრ, 1914 წელს, როდესაც ხორბლის განსაკუთრებით უხვი მოსავალი იყო აღებული (3.4 მლ. ჩეტვ.). საერთოდ 1890-იანი წლების მეორე ხუთწლედის საშუალოწლიური მოსავალი თითქმის იმდენივეა, რამდენიც 1880-იანი წლების მეორე ხუთწლედისა და ეს მაშინ, როდესაც ამ პერიოდში ხორბლის სათესი ფართობი მნიშვნელოვნად გაიზარდა, და, ამასთანავე, მცირე ზომით, მაგრამ მაინც, რიგი ურწყული სახნავ-სათესი ადგილი სარწყავად იქნა გადაქცეული[62]. მაშასადამე, საქმე გვაქვს საერთოდ გუბერნიაში ნიადაგის ნაყოფიერების, ე. ი. მოსავლიანობის სისტემატურ დაცემასთან, რაც, რა თქმა უნდა, შედეგია ნიადაგის მტაცებლური ექსპლოატაციისა, მიწათმოქმედების ჩამორჩენილი ტექნიკისა და საერთოდ წვრილმწარმოებელთა მეურნეობის ეკონომიკური დაჩიავებისა.

როგორც ზემოთ დავინახეთ 1880-იან წლებში ამიერკავკასიიდან ხორბლის ექსპორტის საერთო მოცულობაში ელისავეტპოლის (განჯის) გუბერნიას პირველი ადგილი ეკავა. განჯის გუბერნიის ფარგლებიდან რკინიგზით გატანილი იყო ხორბალი (ფუთობით)[63]:

1884 წ.	644.932	1895 წ.	836.736
1885 წ.	1.260.856	1896 წ.	1.236.673
1886 წ.	3.594.593	1897 წ.	1.145.366
1887 წ.	2.217.913	1898 წ.	484.442
1888 წ.	1.009.453	1899 წ.	100.021
1893 წ.	293.402	1900 წ.	132.683

[62] იხ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „ირიგაცია ამიერკავკასიაში 1801 — 1921 წწ.“ (თსუ შრომები, 1946, ტ. XXVIII); იხ. აქვე, გვ. 178 და შემდ.

[63] ი. ს ე ვ ა ლ ი, დასახ. თხზ., გვ. 43.

საერთოდ, 1885 — 1887 წწ. ამიერკავკასიიდან ხორბლის გაძლიერებული გატანა გამოწვეული იყო მოუსავლიანობით ამერიკასა და ინდოეთში; სწორედ ამ გარემოებამ, რამდენადმე ასწია რა დროებით ხორბლის ფასები, გამოიწვია აქედან ევროპის ბაზრებზე ხორბლის გაძლიერებული ექსპორტი. კერძოდ განჯის გუბერნიას, როგორც ზემოთ წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებენ, მნიშვნელოვანი რაოდენობით გაქონდა ხორბალი და სხვა პურეული, როგორც ამიერკავკასიის სხვა გუბერნიებში, — უპირატესად, ცხადია, კერძოდ ქ. თბილისსა და ქ. ბაქოში, — აგრეთვე უცხოეთშიაც. მაგრამ აქედან ხორბლის ექსპორტი 1890-იანი წლების მეორე ნახევრიდან მაინც სწრაფად ეცემა, ხოლო 1900-იანი წლებიდან კი მალე თითქმის სავსებით სწყდება.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, 1891 წელს რუსეთში განცდილმა შიმშილობამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ამიერკავკასიიდან სიმინდის ექსპორტისა და საერთოდ მისი ნათესების გაფართოებაზე. ცხადია, ანალოგიური იყო ეს გავლენა ხორბლის ნათესების მიმართაც.

აი, როგორ ახასიათებდა მდგომარეობას უკვე 1897 წელს ილია ჭავჭავაძე: „1891 წელს რომ რუსეთში შიმშილი იყო და აქაურებს აუკრძალეს სიმინდისა და პურის საზღვარგარედ გატანა, ამ გარემოებამ ისეთი ამბავი დააწია ჩვენს მხარეს, რომ მისი შედეგი დღესაც თავში გვცემს. საქმე ის არის, რომ პური და სიმინდი შინ შეგუბდა ამ აკრძალვის გამო, შინაურმა ბაზარმა ვერ დაიტია და ამის გამო ფასი ისე დაფოლდა, რომ მას აქეთ სულ კლებაშია და ვეღარ აიწია. ბევრმა ხელი აიღო ხვნა-თესვაზე, რადგან ხელს არ აძლევდა და თუ ხნავდა და სთესავდა, მარტო იმოდენას, რომ შინა ჰყოფნებოდა. გარდა სხვა გარემოებისა, მარტო ეს ფასების დაფოლება რომ სახეში მივიღოთ, საკმაოა წარმოვიდგინოთ, რა გაჭირვებაში უნდა ჩაცვენილიყვნენ ის მკვიდრნი, რომელთ ავლადიდება და ერთადერთი სარჩო-საბადებელი მარტო ხვნა-თესვაა ამა თუ იმ მიზეზით. პურს ფასი არა აქვს, ქერსა და სიმინდსა, და რითი-ღა უნდა გაუძღვეს ჭირსა და ბოროტს წუთის-

სოფლისას მარტო ხვნასა და თესვაზე მიჩემებული მკვიდრი? თუნდ რომ ფასიც ჰქონდეს, რაკი გზა არა აქვს, რომ გატანა ჭირნახულისა შესაძლებელი იყოს, რაში გამოიყენოს ნამეტანი თვისის ჭირნახულისა... ამ ორი გარემოებისა გამო... უნუგეშოდ და უილაჯოდ დარჩენილნი არიან და ფულის შოვნის გზა და კვალი დახშული აქვთ, ფული კი საჭიროა, თუნდ მარტო იმისათვის, რომ სხვადასხვა ხარჯი და გადასახადი ყელში თოკს უჭირებს და სახლკარს უწიოკებს, თუ დროზე არ მოიხერხა“ [64].

აქ საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ 1891 — 1892 წწ. კრიზისმა თვით რუსეთშიაც „მეტისმეტად გააძლიერა გლეხობის ექსპროპრიაცია, გამოიწვია მარცვლეული პურეულის წარმოების მნიშვნელოვანი შემცირება და ყველა პურეულის მოსავლიანობის დაკლება“[65].

1901 წელს საქართველოს (ამიერკავკასიის) რუსეთთან შეერთების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ „კავკასიის საიუბილეო გამოფენაზე“ (თბილისში), სხვათა შორის, წარმოდგენილი იყო ამიერკავკასიის რკინიგზით პურეულის ტვირთზიდვის სტატისტიკა, საიდანაც ჩანს, რომ უკვე 1880-იანი წლებიდან მოყოლებული, მარცვლეულის რაიონებში წარმოებული პურის ნამეტზე, სულ უფრო მეტ მოთხოვნილებას აყენებენ თვით ამიერკავკასიის მომხმარებელი რაიონები (უპირატესად ქალაქები).

ასე, მაგალითად, 1886 წელს ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში რკინიგზით მისული პურეულის მთელი ტვირთიდან ამიერკავკასიისავე პუნქტებში გადაუნაწილებიათ მხოლოდ 276 ათასი ფ უ თ ი, ანუ 2,57 პ რ ო ც ე ნ ტ ი, ხოლო 13 წლის მერმე, სახელდობრ 1899 წელს ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში მიზიდული პურეულიდან შინაგან სადგურებში გადაუნაწილებიათ 1 507 ათასი ფუთი, ანუ 26,39 პ რ ო ც ე ნ ტ ი.

---

[64] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრ. კრებული, VIII, 238 —239; გაზეთი „ივერია“, 1897 წ., № 237.

[65] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 286.

ხსენებულ ორსავე ნავსადგურში მიზიდული პურეულის მთელი რაოდენობისა.

აღსანიშნავია, ამასთანავე, რომ ამიერკავკასიის რკინიგზით ფოთი-ბათუმის ნავსადგურებში ხორბლის მიზიდვა 1880-იანი წლებიდანვე მოყოლებული სისტემატურად მცირდებოდა. 1886 წელს ამ ორ ნავსადგურში მიზიდულ ყოველგვარ პურეულში შედიოდა:

	ათას ფუთობით	პროცენტობით ჯამთან
ხორბალი	5.765	68,69
სიმინდი	1.865	22,11
ქერი	649	7,69
დანარჩენი პურეული	125	1,51
სულ	8.404	100,00

ამასთანავე, დაახლოებით მეოთხედი საუკუნის შემდეგ, სახელდობრ, 1909 — 1913 წწ. მონაცემების მიხედვით, საერთოდ შავი ზღვის ამიერკავკასიური ნავსადგურებიდან (ბათუმი, ფოთი, ოჩამჩირე, სუხუმი, გუდაუთი) გაუტანიათ:

	ათას ფუთობით	პროცენტობით ჯამთან
სიმინდი	4.860	92,0
ყველა დანარჩენი მარცვლეული .	414	8,0
სულ	5.274	100

ამგვარად, თუ 1886 წელს ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებიდან (მაშინ სხვა ნავსადგურებიდან მარცვლეულის გატანა რეგულარულ ხასიათს არ ატარებდა) გატანილი მთელი მარცვლეულის თითქმის 69 პროცენტი ხორბალზე მოდიოდა, ხოლო სიმინდზე მხოლოდ 22 პროცენტი, პირველი მსოფლიო ომის წინაწლებში-კი, ე. ი. დაახლოებით მეოთხედი საუკუნის შემდეგ, უკვე მთელი გატანილი მარცვლეულის 92 პროცენტი მოდის სიმინდ-

ზე, ხოლო საკუთრად ხორბალი, ცხადია, მეტად უმნიშვნელო ზომით, ანდა სულაც არ გაქონდათ.

საჭიროა აქვე ითქვას, რომ მოსაუბრე (ფ. მახარაძის ფსევდონიმია) ჯერ კიდევ 1901 წელს, ეხებოდა რა ამიერკავკასიაში პურეულით ვაჭრობისა და მარცვლეულის ექსპორტის საკითხს, ასკვნიდა: „პურის მოყვანა ამიერკავკასიაში შედარებით (მოხმარების ზრდასთან — პ. გ.) კლებულობს, ე. ი. ჩვენი ქვეყანა, რომლიდანაც ამ 10 — 15 წლის წინეთ გაქონდათ 10 მილიონამდე სხვადასხვა ხორბლეულობა (პურეული—პ. გ.) და სხვა ქვეყნებს კვებავდა პურით, დღეს გარედან შემოტანილ პურში საჭიროებსო“ [66].

როგორც ქვემოთ დავინახავთ, სულ მალე ამიერკავკასიას არამცთუ ხორბლის ექსპორტი არ შეეძლო, არამედ იძულებული იყო სიმინდის შემოტანაც დაეწყო.

---

[66] „კვალი“, 1901 წ., № 42, გვ. 883.

III

სიმინდი

სიმინდი ამერიკიდან (მექსიკიდან) მე-16 საუკუნეში შევ-და ესპანეთ-პორტუგალიასა და შემდეგ ევროპისა და აზიის სხვა ქვეყნებში გავრცელდა.

ჯერჯერობით დაუდგენელია, თუ, სახელდობრ, როდის გაჩნდა იგი ამიერკავკასიაში. გავრცელებული ვერსია, რომ თითქოს სიმინდი სამეგრელოში ჯერ კიდევ მე-17 ს. პირველ ნახევარში ყოფილიყოს გავრცელებული, აქამდე ცნობილი წყაროებით არ დასტურდება.

სიმინდი არ იხსენიება ისეთ დოკუმენტებში, როგორიცაა, მაგალითად, 1578 წ. შედგენილი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგარების დავთარი[1], 1595 წ. შედგენილი გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი[2], 1545—1621 წლებში შედგენილი აბხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი[3].

არქანჯელო ლ ა მ ბ ე რ ტ ი ს ცნობილი თხზულების დამოწმებით აკად. ივ. ჯავახიშვილი აცხადებდა, რომ ს ი მ ი ნ დ ი მე-17 ს. პირველ ნახევარში, სახელდობრ 1633 — 1653 წწ.

---

[1] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, „დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგარისა...“, 1915, ტფ.

[2] „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, ს. ჯ ი ქ ი ა ს პუბლიკაცია, თარგმანი, წიგნი II, 1941, თბ.

[3] „აბხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი“, ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს პუბლიკაცია, 1914. ტფ.

„უკვე მიწისმოქმედების საგნად იყო ქცეულ ი-ო“ [4]. ამასვე იმეორებს ს. მაკალათიაც [5].

მართლაც ა. ლამბერტის თხზულების ქართულ თარგმანში, სადაც ჩამოთვლილია სამეგრელოში გავრცელებული პურეული, დასახელებულია სიმინდიც [6]. მაგრამ უკვე რ. დეკაპრელევიჩმა [7] შეიტანა ეჭვი ამ ცნობის სისწორეში. სწორედ იმავე ხანებში, სახელდობრ 1639—1640 წწ., სამეგრელოში იყვნენ მოსკოველი ელჩები თ. ელჩინი და ზახაროვი, რომლებიც აქ გავრცელებულ პურეულთა შორის არსად არ იხსენიებენ სიმინდს [8], მერმე არც ტოლოჩანოვი და ივლევი, რომლებიც 1650—1652 წწ. ელჩებად იყვნენ იმერეთსა და რაჭაში და დაწვრილებით აგვიწერენ აქ გავრცელებულ პურეულთ, ერთი სიტყვითაც არ იხსენიებენ სიმინდს [9].

საქმე იმაშია, რომ ა. ჭყონიას მიერ შესრულებულ ა. ლამბერტის თხზულების თარგმანში არაზუსტადაა შერჩეული იტალიური miglio-ს ქართული შესატყვისი. ა. ლამბერტი თავისი წიგნის მეცხრე თავში, სადაც აგრიკულტურის საკითხებს იხილავს, წერს „Sogliono per ordinario nebuoni terreni offerrar quefta regula. Jl primo anno il feminano di gomo, il fecondo di miglio, il terzo di frumento: dopoil quale—fanno ripofar la terra per lo fpatio di tre o puattro anni“ [10].

იტალ. miglio ნიშნავს არა სიმინდს, არამედ ფეტვ-

---

[4] ივ. ჯავახიშვილი, „საქ. ეკონომ. ისტორია“, I, 363.

[5] ს. მაკალათია, „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“, 1941, თბ., გვ. 185—186.

[6] არქ. ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“, იტალიურით ნათარგმნი ალექსანდრე ჭყონიასი, 1901, ტფ. გვ. 58.

[7] Л. Декапрелевич, „Из истории появления и распространения кукурузы в Грузии“, 1934.

[8] „Материалы для русской истории“, М., 1888.

[9] М. Полиевктов, „Посольство стольника Толочанова в Имеретию“, Тифлис, 1926

[10] ა. ლამბერტი, „Relatione della Colchide Hoggi getta Mingrellia“, 1654, რომი, გვ. 59.

ნაირს. ამ შემთხვევაში, ცხადია, იგულისხმება სახელდობრ მჭადი (ჭადი). მჭადი თავთავიანი პურეულია; მისი ცომისაგან გამომცხვარ პურს, სამეგრელოსა და საერთოდ დას. საქართველოში მჭადს უწოდებდნენ, ხოლო სიმინდის გავრცელების მერმე, სიმინდის ფქვილისაგან გაკეთებულმა პურმა მიიღო ეს სახელწოდება — მჭადი.

Lea mais-ის, „ამერიკული პურეულის", სახელად თითქმის ყველა ქართველურ ტომებში, როგორც ჩანს, იმთავითვე დამკვიდრებულა სიმინდი. საფიქრებელია, რომ ეს სიტყვა ამ გაგებით უწინარეს გაჩნდა დას. საქართველოში მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში მაინც. როგორც ჩანს, ჭანეთ-გურია-სამეგრელოდან სიმინდი გავრცელდა აღმ. საქართველოსა და მერმე საერთოდ კავკასიაში. ვარაუდობენ, რომ თვით ანატოლიის თურქებმაც ეს კულტურა იქიდანვე, სახელდობრ ლაზეთიდან (ჭანეთიდან) გადაიღეს [11]. ყოველ შემთხვევაში ისიც უდავოა, რომ სიმინდის კულტურა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე უწინარეს დას. საქართველოში გავრცელდა.

მოსაზრება, რომ მე-17 ს. მეორე ნახევარში მაინც სიმინდი დას. საქართველოში უკვე გავრცელებული უნდა ყოფილიყო, ემყარება სახელოვანი ქართველი გეოგრაფის ვ ა ხ უ შ ტ ი ს ცნობას. ამ ცნობით მე-18 ს. პირველ ნახევარში, თვით პირველ მეოთხედშიც, არამცთუ გურია-სამეგრელოში, არამედ იმერეთისა და ქართლის შესაყარში, ხეფინის ხევში, სიმინდი ფრიად გავრცელებული ყოფილა. ვახუშტი წერს, რომ აქ „სთესენ სიმინდსა მრავალსაო" [12].

მე-18 საუკუნის შუაში სიმინდი უკვე იმდენად გავრცელებულია დას. საქართველოში, რომ იგი საეკლესიო-სამონასტრო შემოსავალთა წყაროებში შეიჭრა, ოღონდ, როგორც

---

11 ს. ჯ ი ქ ი ა, „ლაზუტ» სიტყვის წარმოშობისათვის", სმამ, 1944, თბ., ტ. V, № 2, გვ. 227 — 236.

12 ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა საბეფოსა საქართველოსა", 1941, თბ., გვ. 83, 29.

შედარებით ახალი კულტურა, ჯერჯერობით აქ მხოლოდ ცერცვ-ლომის შემდგომ ადგილს იკავებს. მაგალითად, კაცია დადიანი, მის მიერ განახლებულ და აღდგენილ საირმეს უდაბნოს (ლაბეჭინის ეკლესიას) სწირავს რა ყმებსა და ადგილმამულს, თანვე დასძენს: „...ამას გარდა განუწესეთ და შევსწირეთ წლის მოსავალი ლეჩხუმის პურ-ღვინოს, ცერცვ-ლომის, სიმინდის ათისთავიო„[12ა].

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს სიმინდის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოშიაც იყო, რამდენადმე მაინც, ცნობილი. იმავე ვახუშტის აღმ. საქართველოში გავრცელებულ თესლმარცვლეულთა შორის სიმინდიც აქვს დასახელებული. 1780-იან წლებში ქართლ-კახეთში სიმინდის გავრცელების ფაქტი დამოწმებული აქვს ს. ბურნაშევსაც.

ქართლ-კახეთის სამეფოს აღწერაში პოლკ. ს. ბურნაშევი აღნიშნავდა (1786 წ.), რომ აქ „პური საკმარისია, განსაკუთრებით ყაზახსა და შამშადილოში ის საუკეთესო ხარისხისა და თვისებისაა; ფეტვი უხვადაა“, აგრეთვე ქერი, სიმინდი და სხვ.[13].

მაგრამ საერთოდ აღმ. ამიერკავკასიის მარცვლეულის მეურნეობაში სიმინდი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ, სახელდობრ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან.

მის სამშობლოში, ამერიკაში, სახელდობრ აშშ, ამჟამად 1 კაცზე დღეში იხარჯება დაახლოებით 1,4 კგ სიმინდი: რძისა და მისი პროდუქტების და სხვადასხვაგვარი (პირუტყვის, ფრინველის) ხორცეულის, ცხიმისა და კვერცხის სახით — რომლებიც, ამა თუ იმ ზომით, შეიცავენ სიმინდის ელემენტებს. ამასთანავე როგორც საერთო ღირებულების, ისე ფიზიკური მოცულობითი გამოსახულებით სიმინდის საშუალოწლიური მოსავალი აღემატება მოსავალს: ხორბლის,

---

12ა ს. კაკაბაძე, „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“, II, გვ. 31 — 32.

13 С. Бурнашев, „Картина Грузии...“, 1896, Тифлис, стр. 2.

ქერის, შვრიის, ჭვავის, ბრინჯისა და უგრეხელისა ერთად აღებულს. სიმინდის მთელი მოსავლის დაახლოებით 7% მიდის სათესლედ და საკვებად, 20%-ს მოიხმარს მრეწველობა (აქედან ¾ მუშავდება საკვებად — ადამიანისა და პირუტყვის), ხოლო დანარჩენი 73%, გადაუმუშავებლად (ბუნებრივი სახით), მიდის მერძეული და სახორცე პირუტყვისა და ფრინველის საკვებად; ე. ი. სიმინდის მოსავლის უდიდესი ნაწილი, 80%-ზე მეტი, იხარჯება პირუტყვის საკვებად.

საერთოდ ხორბალთან შედარებით სიმინდი იძლევა 2-ჯერზე მეტ მოსავალს, ხოლო სათესლედ მოითხოვს 8-ჯერ ნაკლებ მასალას. სიმინდის მაღალი მოსავლიანობა და, მაშასადამე, მისი დაბალი თვითღირებულება საშუალებას იძლევა იგი დიდი ზომით დაიხარჯოს პირუტყვის საკვებად, ე. ი. ეს მარცვლეული გადავაქციოთ ცილეულად. აქ არას ვიტყვით სიმინდის კულტურის საყოველთაოდ ცნობილ თვისებებზე გაიხაროს ფრიად მრავალგვარ ადგილას — გრძელი და მოკლე ვეგეტაციური პერიოდების შეხამებით.

სწორედ ამ უკანასკნელ გარემოებათა მეოხებით სიმინდი საქართველოში და საერთოდ ამერკავკასიაში, უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში მაინც მედგრად ავიწროებს სხვა მარცვლეულ კულტურებს, მიიწევს და ფართოვდება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

სიმინდმა, კერძოდ დას. საქართველოში, მე-18 საუკუნიდანვე მოყოლებული, სწრაფად შეავიწროვა აქ ოდითგანვე გავრცელებული სხვადასხვა მარცვლეული — ღომი, ჭადი, თვით ხორბალიც და სხვ.

1670-იან წლებში ჟან შარდენი აღნიშნავდა, რომ „მეგრელთა ჩვეულებრივ მარცვლეულ პურს ღომი შეადგენს... მას ცეხვავენ მხოლოდ მოხარშვის წინ, ხოლო ხარშავენ მხოლოდ საჭმლის მიღებისას... ჩერქეზები, მეგრელები, თურქეთის ქვეშევრდომი ქართველები, აბხაზები... მეოტიის ჭაობის სრუტიდან ტრაპიზონამდე შავი ზღვის ნაპირების ყველა მცხოვრები მხოლოდ და მხოლოდ ამ ცომით (ღომით) იკვებება. ის შეადგენს მათ პურს. ისინი მას ისე მიჩვეულან, რომ

ხორბლის პურსაც ამჯობინებენ. მე... ეს არ მიკვირს, რადგანაც თვითონ, როდესაც აუცილებლობით მომიხდა მესაზრდოვა ამ თავისებური ინგლისური პუდინგით — ისე გამიგემრიელდა იგი, რომ შემდეგში ძლივს გადავედი ჩვეულებრივ პურზე. მე თავს მშვენივრად ვგრძნობდი ამ (ღომის) საკვებით, რისგანაც ტანად გავსუქდი წინანდელთან შედარებით. სომხეთსა და (აღმოსავლეთ) საქართველოში მე ვნახე მრავალი თანამდებობის პირი, თურქი და ქართველი,— სხვათა შორის თბილისელი მეფე და ახალციხელი ფაშა, — რომლებიც თავიანთთვის ღებულობდნენ (გამოიწერდნენ) ამ პურს (ღომს) და სჭამდნენ მას, როგორც საყვარელ საჭმელს“ [14].

1740-იან წლებში ვ ა ხ უ შ ტ ი წერდა, რომ ეგრისში „სთესენ... ღომსა ფრიად მრავალსა და გამოიზრდებიან მითიო“[15].

სამეგრელოში თვით მე-18 ს. ბოლოს გაწერილ და დადგენილ საეკლესიო და სამონასტრო ბეგარებში მარცვლეულთაგან მხოლოდ და მხოლოდ ღომია ყველგან მოხსენებული [16]. მაგრამ ეს გარემოება, რასაკვირველია, იმას როდი ნიშნავს, თითქოს ამ დროს სიმინდი და მით უფრო სხვა მარცვლეული (ხორბლეული) არ ყოფილიყო გავრცელებული. საეკლესიო ბეგარებშა ღომი, ეტყობა, ძველი ტრადიციის შესაბამისად იყო ამ დროსაც შერჩენილი; — როგორც ცნობილია, ეკლესია ძველ ჩვეულებათა დაცვის მხრივ ყოველთვის და ყველგან ყველაზე უფრო კონსერვატული იყო [17].

---

[14] Ж. Ш а р д е н, „Путешествие по Закавказью“, Тифлис, 1901, стр. 25—26.

[15] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 1941, თბ., გვ. 145.

[16] იხ. მაგალითად, «საქ. ებრაელთა ისტ. ეთნოგრაფ. მუზეუმის შრომები“, 1940, I, 204 — 225.

[17] დღემდე დაუდგენელია, თუ რა დროიდან გაჩნდა ღომის კულტურა საქართველოში. ივ. ჯავახიშვილმა მისი აქ გავრცელებულობის

ასიოდე წლის შემდეგ, ე. ი. 1850-იან წლებში, აქ ღომის ყანები, სიმინდთან შედარებით, უკვე მცირე ზომით იყო. 1852 წ. რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოებისათვის შედგენილს „სამეგრელოს მოსავლისა და ვაჭრობის აღწერილობაში“ დ. დადიანი აცხადებდა, რომ აქ ღომს „სთესენ სიხშირით და ხმარობენ პურის წილ, ხოლო გარემოებასაცა შინა სყიდიან მებრ-საჭიროებათასა აფხაზეთს, გურიას და> იმერეთსო“ [18].

1852 წ. ოფიციალური ცნობით, სამეგრელოში პურეულის მთელი მოსავლიდან (7.224.000 ქილიდან) ღომი მხო-

---

მაჩვენებელ XIII საუკუნეზე ადრინდელ საბუთს ვერ მიაკვლია (იხ. თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა, „ქრონიკები...“ II, გვ. 129), მაინც იგი ვარაუდობდა რომ „ღომი XIII ს. შუა წლებზე ადრე უნდა იყოს საქართველოში შემოსულიო“ (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „საქართველოს ეკონ. ისტორია“, I, 369). დოც. გ. ფხაკაძე, ფიქრობს, რომ „ღომი შემოსული კულტურა კი არ არის, არამედ გამოყვანილი ქართველი ტომების მიერ და შემდეგ გავრცელებული სხვა ქვეყნებში“; — იგი წერს, რომ „ღომი იბერიულ-კავკასიურ ჯგუფის ხალხების საბინადრო ადგილების და, კერძოდ, საქართველოს ერთ-ერთი პირველადი კულტურა იყო, რომლის მრავალი ჯიში შეუქმნია და შეუნარჩუნებია მოსახლეობას ათასი წლების მანძილზე“ (გ. ფ ხ ა კ ა ძ ე, „ღომის კულტურის შესახებ საქართველოში“: საქ. სას.“ სამეცნ. ინსტიტუტის შრომები, ტ. XLII — XLIII, 1955, გვ. 67 — 85; იხ. აგრ. ვ. მ ე ნ ა ბ დ ე და ა. ე რ ი ც ი ა ნ ი, „საქართველოს ღომი“: ბოტანიკური ინსტიტუტის შრომები, 1948, ტ. XII).

ღომის კულტურა, რომ მართლაც უძველესი დროიდანვე იყო ამიერკავკასიაში გავრცელებული, ეს დასტურდება უახლესი არქეოლოგიური გათხრებით. საკმარისია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კარმირ-ბლურის გათხრების დროს დიდი ზომით იპოვნეს ღომის მარცვალი (Б. П и о т р о в с к и й „Кармир-Блур“, I, 1950, Ереван. стр. 28). აქედან უკვე აშკარაა, თუ რაოდენ ტენდენციურია ამიერკავკასიური და კერძოდ მეცენარეობის ქართული კულტურის მიმართ პ. ჟუკოვსკი, რომელიც თავის სქელტანიან ნაშრომში ამტკიცებს, რომ თითქოს ღომის კულტურა საქართველოში მონღოლთა მიერ ყოფილიყოს შემოტანილი ჩინგის-ყაენისა და სხვ. შემოსევების დროს (П. Ж у к о в с к и й, „Культурные растения и их сородичи“, 1950).

[18] ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა, „სამეგრელო დავით დადიანის დროს“, გვ. 96.

ლოდ 23,5 პროცენტს შეადგენდა მაშინ, როდესაც სიმინდის ხვედრიწონა უკვე 54,7 პროცენტს უდრიდა. მიუხედავად ამისა, 1850-იან წლებში, იმავე ცნობით, ქუთაისის მთელ გუბერნიაში „ღომი შეადგენს საყოველთაო მოხმარების საგანს და მას შეიძლება შეხვდეთ როგორც მდიდარ თავადებთან, ასევე მდაბიოთა ქოხებშიაც“ [19].

კიდევ 30-იოდე წლის შემდეგ, სახელდობრ 1880-იან წლებში, ქუთაისის, ოზურგეთისა და სენაკის მაზრებში, ე. ი. მისი გავრცელების მთავარ რაიონებში, ღომს, რომელიც სიმინდთან შედარებით ნაკლები მოსავლის მოცემის გარდა კარგ მიწასა და განსაკუთრებით მეტ მუშაობასაც თხოულობდა, „სთესავენ მხოლოდ შეძლებული გლეხები“ [20]. 1891 წელს, ხსენებულ მაზრებში ღომის მთელი მოსავალი არ აღემატებოდა 20.000 ფუთს [21], მაშინ როდესაც 40 წლის წინათ მხოლოდ სამეგრელოში მოყავდათ 1.698.000 ქილა ღომი.

1890-იანი წლებიდან ღომი უკვე წარმოადგენს საკმაოდ იშვიათ საკვებს, რომელსაც მხოლოდ საპატიო სტუმართა გასამასპინძლებლად, ანდა დღესასწაულებში აკეთებენ. 1900-იან და განსაკუთრებით 1920-იანი წლებიდან ღომის დიდი ყანები გურია-სამეგრელოში ძლიერ იშვიათი გახდა, ხოლო ზოგიერთ რაიონში იგი უკვე სავსებით გაქრა და ახალმა თაობამ მის შესახებ თითქმის მხოლოდ მოხუცებულთა მოგონებიდან იცის.

მაგრამ სიმინდმა არა მხოლოდ ღომი (შემდეგში, სიმინ-

---

[19] 1852 წ. სამეგრელოში მარცვლეულის მთელი მოსავალი უდრიდა (ათას ქილობით): ღომისა — 1.698; სიმინდისა — 3.950; ხორბლისა — 315; ჭადისა—1.261, იხ. Лаврентьев, „Статистическое описание Кутаисской губернии“, 1858, СПБ, табл. № 3, стр. 83, 86, 181—264.

[20] МПЭБГКЗК. I, 242, 750; VII, 204; СМЭБГК, IV, 1, 198. აღსანიშნავია, რომ 1880-იან წლებში იყო ცდები ღომის კულტურის აქედან პოლტავის გუბერნიაში დანერგვისა, ТКОСХ, 1885 წ. № 1, 89 — 91); ეს ცდები, როგორც ცნობილია, საბოლოოდ წარმატებით დასრულდა.

[21] КК на 1893 г., стр. 86.

დისაგან გაკეთებული ანალოგიური საკვებისაგან განსხვავებით, ღომისღომი) გამოდევნა, არამედ უწინარეს ძალზე შეაეიწროვა და თითქმის მოსპო ჭადი (შემდეგში, სიმინდისაგან გაკეთებული ანალოგიური საკვებისაგან განსხვავებით ჭადისჭადი). ჭადისაგან გაკეთებული პური შესცვალა სიმინდისგან წარმოებულმა, რაც იქიდანაც ჩანს, რომ სიმინდისგან გაკეთებულმა მთავარმა საკვებმა სწორედ მისი სახელწოდება მიიღო, რაც სიმინდის მიერ ჭადის როლისა და მნიშვნელობის დაკავების მაჩვენებელია.

აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლეთ საქართველოში ღომისღომი და ჭადისჭადი დღემდე ითვლება საუკეთესო პურეულად[23], ოღონდ, ამჟამად ორივე თითქმის საბოლოოდ გამოდევნილია სიმინდის მიერ, რომლის ყანას როგორც მოსავლიანობის, ისე დამუშავების მხრივაც მნიშვნელოვანი უპირატესობანი ახასიათებს. სიმინდის ეს უპირატესობანი დას. საქართველოში უწინარეს იმიტომაც გამოაშკარავდა, რომ აქაურ კლიმატურ პირობებში ხორბალს მაღალი მოსავლის მოცემა არ შეეძლო, ღომისა და ჭადის (ფეტვნაირის) მოსავლიანობა-კი, მათთვის ნიადაგის გამოფიტვისა გამო, სულ ეცემოდა[24]. უკანას-

[23] ღომი და ჭადი 1900-იან წლებში ყველაზე უფრო მაინც შერჩენილი იყო ოზურგეთისა და ზუგდიდის მაზრებში. მაგალითად, 1903 წელს ზუგდიდის მაზრაში მარცვლეულთა შორის ღომისა და ჭადის ადგილს გვიჩვენებს ქვემოთ მოყვანილი ცნობა:

მარცვლეულთა დასახელება	ნათესი ფართობი დეციტინობით	დათესილი მარცვალი ფუთობით	აღებული მოსავალი ფუთობით	მოსავლიანობა ჯერადობით
სიმინდი . .	41.495	123.355	1.538.048	12,4
ღომი და ჭადი .	428	774	11.442	14,7
ლობიო .	298	900	10.640	11,8
სულ .	42.221	125.029	1.560.130	

ეს მონაცემები გვიჩვენებენ, თუ რამდენად გაბატონებული იყო აქ, კერძოდ სიმინდის კულტურა (КСХ, 1904, № 534, стр. 356).

[24] ი. ბახტაძე, „სიმინდის ჯიშთა გამოცდის შედეგები საქართველოში", 1937, თბ., გვ. 144.

კნელნი ამასთანავე ფრიად შრომატევად კულტურებს წარმოადგენდნენ.

დას. საქართველოში სიმინდი, თვით მე-19 ს. დასაწყისშიც, მაინც წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ მარცვლეულს. 1804 წ. პ. ლიტვინოვი სამეგრელოში გავრცელებულ პურეულთა შორის პირველ რიგში ასახელებს სიმინდს, ხოლო შემდეგ ჭადსა და ღომს[25]. იგივე მოხელე, იმავე წელს შესრულებულ იმერეთის აღწერაში, ჩამოთვლის რა აქ გავრცელებულ მარცვლეულს — ხორბალს, ქერს, აჭარულ ბრინჯს, ჭადსა და ღომს, — ალბად შემთხვევით, ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს სიმინდს. 30-ოდე წლის შემდეგ აქ, მაგალითად, ვაკის (ქუთაისის) მაზრაში, უკვე იმდენად იყო სიმინდი გავრცელებული, რომ ის აქედან თურქეთში გაქონდათ[26].

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 1830-იანი წლების პირველ ნახევარში სიღნაღის მაზრის მთელი სახნავ-სათესი ფართობი უდრიდა 42 ათას დესეტინას და აქედან სიმინდის ყანებზე მოდიოდა მხოლოდ 500 დესეტინა; დუშეთის მაზრაში სულ იხვნებოდა 40 ათასი დესეტინა, საიდანაც სიმინდი ითესებოდა მხოლოდ 4 ათას დესეტინაზე, ხოლო გორის მაზრაში 75.000 დესეტინა ნათესიდან სიმინდს ეჭირა 4.500 დესეტინა[27]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბაქოს, ყუბის, შირვანის, ტალიშის, ყარაბაღის, შაქის, ყაზახის და ბორჩალოს პროვინციების იმდროინდელ ოფიციალურ მიმოხილვებში მარცვლეულთა შორის სიმინდი არსად არაა მოხსენებული.

1840-იანი წლების დამდეგს ა. ჰაქსტჰაუზენი აცხადებდა, რომ „სამეგრელოსა და იმერეთში მე მხოლოდ სიმინდსა, და იშვიათი სახის ფეტვნაირს, ღომს ვხედავდიო“. ხოლო ქართლისაკენ წამოსულს პირველად უნახავს .უპირატესად

---

[25] АСКАК, II, № 803, стр. 408,

[26] Евецкий, „Статистическое описание Закавказского края,“ 1835, СПБ.

[27] ОРВЗ, I, 1836, СПБ, 328—329;—II, 23—25, 62—63.

ქერი, შემდეგ თბილისისაკენ — ხორბლის დიდი მინდვრები. „სიმინდი აქ ცოტაა, ჭვავი და შვრია სრულებით არააო“, — დასძენს იგ-[28].

ხოლო უფრო ალმოსავლეთით გამგზავრებულს, მას მხოლოდ განჯის მაზრაში უხილავს „სიმინდის მცირე ნათესები“[29].

1852 წელს დ. დადიანი წერდა, რომ სამეგრელოში „განუვრცელებიათ მცხოვრებთა მოწევა“ სიმინდისა „კაკალთა სიუხვისა“ გამო და აწ „იზრდებიან ამ ნაყოფითა, რომელსაც აცხობენ პურსავით და აგრეთვე ღომებრცა შებოლვენო“[30].

გურია-აჭარა-ჭანეთშიაც მარცვლეულის მეურნეობაში სიმინდს უკვე სავსებით გაბატონებული ადგილი უჭირავს. 1871 წ. „დროების“ კორესპონდენტი იწერებოდა: გურიაში „მცხოვრებლებს მჭადისა და ღომის მეტი არაფერი არ მოჰყავთ და ამ ორ მოსავალს ძალიან ბევრი მუშაობა უნდება, ასე, რომ გურული წლითი-წლობამდე თავის ღომისა და ჭადის ყანების თოხნას და წმენდას უნდებაო“[31].

1873 წ. დ. ბაქრაძე აგვიწერს ლაზისტანის საფაშოში სიმინდის ვრცელ ნათესებს და ოთხ ბოძზე შედგმულ, წკნელ-თ მოლობილ სასიმინდეებს, რაზეც „მთელ გურიასა, ჩურუქსუსა და აჭარაში ინახავენ სიმინდს“[32]. იგივე დ. ბაქრაძე ალნიშნავს რომ „პურეულთაგან გურიაში თითქმის მხოლოდ სიმინდი და ღომია გავრცელებული... ხორბალი და ქერი ან ცუდად ხარობს ანდა სულაც არა“, ხოლო სიმინდი სულ უფრო ავიწროებს და სდევნის ღომსაო[33].

ალსანიშნავია რომ ოფიციალური სპეციალისტები დას. საქართველოს, კერძოდ გურიის ძირითადი მწარმოებელი მასების, ეკონომიკური სიღარიბის მიზეზად ასახელებდნენ სახელ-

---

[28] A. v. Haxthausen, „Transkaukasia“, Leipzig, I, S. 37.

[29] იქვე, გვ. 105.

[30] ი. მეუნარგია, l. c., გვ. 97.

[31] გაზ. „დროება“, 1871 წ. № 7, გვ. 3.

[32] Б. Бакрадзе, АПГА, стр. 33, 42—43, 54, 101.

[33] იქვე გვ. 47.

დობრ სიმინდის კულტურას და ურჩევდნენ, რათა რაც შეიძლება მალე გადასულიყვნენ ხორბლის თესვაზე: „მანამ სანამ ისინი (გურულები — პ. გ.) არ დარწმუნდებიან აუცილებლობაში სიმინდი და ღომი შეცვალონ პურით (ხორბლით — პ. გ.) გურულების მატერიალური ყოფიერების გაუმჯობესება შეუძლებელია. რასაკვირველია, ამ რწმენამდე ადრე თუ გვიან ისინი უნდა მივიდნენ, მაგრამ კეთილგონიერება მოითხოვს, რათა ისინი, რაც შეიძლება მალე მივიდნენ ამ აუცილებლობის შეგნებამდეო“ — იწერებოდა „კავკაზის“ კორესპონდენტი 1871 წ.[34].

ეკონომიკური სინამდვილით შექმნილი აუცილებლობა კი თავისას აკეთებდა და რაც დრო გადიოდა სიმინდი სულ უფრო ბატონდებოდა დას. საქართველოში.

სამეგრელოში უკვე 1850-იანი წლების დასაწყისშიაც სიმინდის ორი სახე ყოფილა გავრცელებული: „ერთი საგვიანო და უხვად გამომცენარე მოყვითანო, მეორე თეთრი, პაწაწა ტაროიანი, გარნა ორმოცს დღეზედ მოიწევის დათესვის შემდეგ“[35]. საერთოდ დას. საქართველოში 1890 — 1900-იან წლებში გაბატონებული ჯიში სიმინდისა წარმოიქმნა 1860-იან წლებში — ამერიკიდან ახლად შემოტანილ და ძველ, აქ უკვე გათავისებულ ჯიშთა ჰიბრიდის გზით[36]. ეს ჰიბრიდი უფრო მსხვილტანიანი, დიდტაროიანი და მსხვილმარცვლიანი მცენარეა; იგი უფრო მოსავლიანიც არის და მეტ ჩალასაც იძლევა პირუტყვისათვის[37].

საერთოდ 1850-იანი წლებიდან ხშირდება უცხოეთიდგან სხვადასხვა სახეობის სიმინდის თესლის გამოწერა[38], ხოლო

---

[34] Газ. „Кавказ“, 1871 г., № 20.

[30] ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა, l. c., გვ. 97.

[36] П. Г у г у ш в и л и, „Сельское хозяйство и аграрные отношения“, I, 27—28.

[37] С. Т и м о ф е е в, „Производство кукурузы на Кавказе“ (КСХ 1911 г. л. 15); Л. Д е к а п р е л е в и ч, „К изучению закавказских сортов кукурузы“, 1919.

[38] ОДПКОСХ, 64—65.

მე-19 საუკუნის მიწურულიდან უკვე ეწყობა საცდელი სადგურები და მინდვრები, რომლებიც ხელს უწყობენ სიმინდის ჯიშთა შესწავლა-გაუმჯობესებასა და შერჩევას, ახალი ჯიშების შემოტანასა და გამოცდა-გავრცელებას. 1894 წელს სოხუმში დაარსდა საცდელი სადგური, 1895 წ. მოეწყო საცდელი მინდორი ქუთაისსა და ყარაიაში.

ამიერკავკასიის მარცვლეულის მეურნეობაში სიმინდის ხვედრიწონის ევოლუციის შესახებ წარმოდგენას იძლევა გუბერნატორთა მიმოხილვების მიხედვით შედგენილი ქვემოთ მოყვანილი ცხრილი (იხ. გვ. 269 — 270).

როგორც ვხედავთ სიმინდის კულტურა, მიუხედავად იმისა, რომ იგი თითქმის მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაში იყო ფართოდ გავრცელებული, ფრიად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ამიერკავკასიის მარცვლეულ მეურნეობაში საერთოდ.

ქუთაისის გუბერნიაში ის უკვე სავსებით გაბატონებულ, ხოლო ზოგან თითქმის ერთადერთ მარცვლეულს წარმოადგენდა. 1877 — 1887 წწ., ოფიციალური ცნობით, აქ სიმინდის საშუალო წლიური მოსავალი 2,6 მილიონ ჩეტვერტს უდრიდა[39].

აღსანიშნავია ისიც, რომ, მაგალითად, 1884 წ. ქუთაისის გუბერნიაში აღებული 4.651 ათასი ჩეტვერტი სიმინდიდან ნახევარზე მეტი მხოლოდ სენაკისა და ზუგდიდის მაზრებზე მოდიოდა; შემდგომ წლებში ეს შეფარდება იცვლება, რამდენადაც სიმინდი სწრაფად ვრცელდება იმერეთის რაიონებშიაც.

ამიერკავკასიის დანარჩენ გუბერნიებში სიმინდის კულტურა ამ დროს კიდევ სპორადულად იყო გავრცელებული. მაგალითად, თბილისის გუბერნიაში სიმინდი მოყავდათ თიანეთის[40] გორის[41], თბილისისა[42] და თელავის მაზრებში. კერძოდ თელავის მაზრაში 1886 წელს სიმინდს ეჭირა ნათესების საერთო ფართობის დაახლოებით 10 პროცენტი[43]. ამ დროს სიმინდი

---

[39] УЦГАЛ, Мин. финансов, д. № 6/14, 1892 г. лл. 8—9.
[40] МИЭБГКЗК, VI. 438.
[41] იქვე, VI, 203.
[42], იქვე, V, I, 235.
[43] იქვე, 96 — 97.

სიმინდის მოსავალი ამიერკავკასიაში 1883—1914 წწ. (ათას ჩეტვერტობით)

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	1883 წ.		1884 წ.		1890 წ.		1891 წ.		1894 წ.		1896 წ.		1897 წ.	
	დაითესა	მოსავალი	დაითესა	მოსავალი	დაითესა	მოსავალი	დაითესა	მოსავალი	დაითესა	მოსავალი	დაითესა	მოსავალი	დაითესა	მოსავალი
ბაქოს გუბერნია	—	—	—	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ელისავეტპოლის გუბერნია	—	—	—	—	—	0,2	0,1	1,2	—	1,8	—	1,1	—	0,1
ზაქათალის ოკრუგი	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ერევნის გუბერნია	—	—	—	—	—	0,3	—	0,3	—	—	—	—	—	—
თბილისის „	—	—	—	—	6,9	60,6	5,9	89,4	23,7	273,2	16,4	230,4	15,7	198,8
ქუთაისის „	209,0	4402,0	257,0	4646,0	69,2	1569,9	71,6	1645,3	117,7	2343,8	139,2	2214,6	168,2	3061,7
ბათუმის ოლქი	1903—4 წლამდე შედის ქუთაისის გუბერნიაში					—	—	—	—	—	—	—	—	—
სოხუმის ოკრუგი						—	—	—	—	—	—	—	—	—
ს უ ლ	209,0	4.402,0	257,0	4.646,0	76,1	1.631,0	77,6	1.736,2	141,4	2.618,8	155,6	2.446,1	183,9	3.260,6

ხიმინდის მოსავალი ამიერკავკასიაში 1883—1914 წწ. (ათას ჩეტვერტობით) გაგრძელება

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	1898 წ.		1901 წ.		1903 წ. ათას ფუთობით		1910 წ. ათას ფუთობით		1912 წ.		1914 წ.	
	დაითესა	მოსავალი	დაითესა	მოსავალი	დაითესა	მოსავალი	დაითესა	მოსავალი	დაითესა	მოსავალი	დაითესა	მოსავალი
ბაქოს გუბერნია	—	0,3	—	—	0,5	3,1	1,1	13,1	—	—	—	—
ელისავეტპოლის გუბერნია	—	0,5	0,8	4,7	68,7	255,1	4,9	24,8	5,4	30,1	10,6	54,8
ზაქათალის ოკრუგი	—	—	0,5	1,0	3,7	8,0	7,2	72,0	0,2	1,2	0,1	0,4
ერევნის გუბერნია	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
თბილისის „	22,1	266,6	24,4	187,1	350,5	2036,6	278,2	1992,9	24,1	231,3	24,4	217,2
ქუთაისის „	95,4	1783,5	97,9	1881,2	1723,9	21649,5	496,8	9108,9	463,9	9004,7	481,9	4421,9
ბათუმის ოლქი	1	—	—	—	73,9	1089,0	41,2	403,4	44,5	559,6	35,9	267,1
სოხუმის ოკრუგი	—	—	—	—	—	—	159,2	5031,2	14,7	391,3	18,1	234,2
ს უ ლ	117,5	2.050,9	123,6	3.074,0	2.221,2	25.041,3	988,6	16.646,3	552,8	10.219,2	571,0	5.195,6

მცირე ზომით ითესებოდა განჯისა[44] და ყაზახის[45] მაზრებშიაც.

სიმინდის კულტურას დანერგვის ახალ რაიონების ეკონომიკურ ცხოვრებაში ახალი ტენდენციის სასარგებლოდ იყენებენ. მაგალითად, ქიზიყში 1880-იან წლებში დატაცებითი თემური მიწათსარგებლობის პირობებში[46], როდესაც „ჰხნავ საცა გინდა და რამდენიც გინდა“ ვერ მოჰხნავ მხოლოდ სხვის ნასიმინდარს, რადგან „ნასიმინდარი ვენახ'ივით არის, მთელს წელიწადში შიგ თოხს ატრიალებს პატრონი და როგორ მოხნავს სხვა, ღმერთი არ არისო“ გიპასუხებენ[47].

ამგვარად, აქ სიმინდის კულტურას თითქოს მრავალწლიანი ნარგავის ხასიათი ეძლევა, რათა იგი გამოყენებულ იქნას თემური მიწების ხანგრძლივად კერძო სარგებლობისა და მერმე კერძო საკუთრებაში მითვისების (გადასვლის) ახალ და ძლიერ იარაღად, რამდენადაც სიმინდის ფართობი ბევრად უფრო ადვილად იზრდება, ვინემ მრავალწლიანი კულტურებისა.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ზოგიერთ რაიონში 1880-იან წლებშიაც სიმინდს მცირე ზომით სთესდნენ და იგი ჯერ კიდევ „ბაღბოსტნის კულტურათა კუთვნილებას“ წარმოადგენდა[48]. 1890 — 1900-იანი წლებიდან კი სიმინდი უკვე მნიშვნელოვნად ვრცელდება აღმ. ამიერკავკასიაშიც, განსაკუთრებით განჯის გუბერნიაში, სადაც 1914 წელს მისმა მოსავალმა 55.000 ჩეტვერტს გადააჭარბა.

ამგვარად, 1890-იანი წლებიდან ამიერკავკასიაში სიმინდის ხვედრიწონა სწრაფი ტემპით იზრდება, საერთოდ, ყოველგვარი პურეულის მოსავლის მთლიან ჯამში, რაშიაც ის შეადგენდა: 1891 წელს (13.963 ათასი ჩეტვერტიდან) — 12,3 პროცენტს

---

[44] МИЭБГКЗК, VII, 82.

[45] იქვე, II, II, 154.

[46] ბ. გუგუშვილი, „თემური მიწათმფლობელობა ამიერკავკასიაში“ (ეკონ. ინსტ. შრომები, I, 1946, გვ. 44).

[47] „ივერია“, 1882, № 11, გვ. 78.

[48] Х. Вермишев, „Земледелие у госуд. крестьян Закавказского края“, 1895, Тифлис, стр. 185.

(1.736 ათას ჩ.); 1896 წელს—15,2 პროცენტს; 1901 წელს (10.252 ათას ჩეტ-დან) — 20,2 პროცენტს (2.074 ათას ჩ.), ხოლო 1912 წელს-კი (23.506 ათას ჩეტ-დან) — 43,4 პროცენტს (10.318 ათას ჩ.). 1915 — 1920 წწ. საერთოდ მარცვლეული მეურნეობის დაცემამ, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო პურეულის მთლიან მოსავალში სიმინდის ხვედრწონის შემდგომ სწრაფ ზრდას.

თვით 1890-იანი წლებიდანაც ამიერკავკასიაში სიმინდის მთელი მოსავლის უდიდესი ნაწილი მოყავთ დასავლეთ საქართველში. ამიერკავკასიაში აღებულ იქნა სულ (ათას ჩეტვერტობით): 1891 წ. — 1.736, აქედან ქუთაისის გუბერნიაში 1.645, ე. ი. 94,8%; 1901 წ. — 2.074, აქედან ქუთაისის გუბერნიაში 1.881, ე. ი. 90,7%; 1912 წ. — 10.318, აქედან ქუთაისის გ-ში 9,956, ე. ი. 96,5 პროცენტი. თბილისის გუბერნიაში —233, ანუ 3,2 პროცენტი; ხოლო ამიერკავკასიის ყველა სხვა (ელისავეტპოლის, ბაქოს და ერევნის) გუბერნიაში მხოლოდ 0,3 პროცენტი.

მთელ საქართველოში 1909 — 1920 წწ. საერთოდ ყოველგვარი პურეულით დათესილი ფართობიდან სიმინდის ყანაზე მოდის 57 პროცენტი. 1909 — 1913 წწ. მარცვლეულის მთელი ნათესი ფართობიდან სიმინდზე მოდიოდა: ქუთაისის გუბერნიაში — 92%, სოხუმის ოკრუგში — 99%, ბათუმის ოლქში—51%, თბილისის გუბერნიაში — 13%. ამავე ხანებში საშუალოწლიურად ითესებოდა სიმინდი (დესეტინობით): ქუთაისის გუბერნიაში — 211.060; სოხუმის ოკრუგში — 49.832; ბათუმის ოლქში — 12.779; თბილისის გუბერნიაში — 31.723. სულ 305.394 დესეტინა; ხოლო საშუალოწლიური მოსავალი სიმინდისა საქართველოში უდრიდა, დაახლოებით, 22.540.000 ფუთს, რაც შეადგენდა ყოველგვარი მარცვლეულის 90,5%-ს, — ქუთაისის გუბერნიაში; 99,4%-ს — სოხუმის ოკრუგში; 68,1%-ს — ბათუმის ოლქში და 6,8 პროცენტს — თბილისის გუბერნიაში.

დას. საქართველოდან მარცვლეული ჯერ კიდევ 1800-იან წლებშიაც გაქონდათ, მაგალითად, ფოთიდან — თურქეთში. ფოთში მოსული თურქი და ბერძენი ვაჭრები მარცვლეულისათვის აძლევდნენ მარილს, რკინასა და სხვა საქონელს[49]. 1830-იან წლებში, როგორც შავი ზღვით ისე ახალციხის მეშვეობითაც გურია-სამეგრელოდან და იმერეთიდანაც-კი, თუმცა მცირე რაოდენობით და იშვიათად, მაგრამ მაინც გააქვთ სხვა მარცვლეულთა შორის სიმინდიც[50].

1850-იანი წლების მეორე ნახევარში შედგენილს ქუთაისის გუბერნიის სტატისტიკურ აღწერაში ეკითხულობთ, რომ აქ მოყვანილი „ღომი და სიმინდი ითქმის მთლიანად ადგილზეევე მოიხმარება, გარდა ფრიად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც სადმე დიდი მოუსავლიანობის გამო შეიქმნება ძლიერი მოთხოვნილება. ასეთს შემთხვევებში სიმინდიც გააქვთ, მაგალითად, თურქეთში, ხოლო 1846 წელს ის გაიგზავნა ირლანდიაშიო"[51]. კერძოდ სამეგრელოს შესახებ დ. დადიანი წერდა (1852 წ.), რომ სიმინდს „ყამსა კეთილნაყოფიერებისასა საზღვარგარეთსა — სათათრეთში სყიდიან, რაისაცა რაოდენობა არ ეგრეთ ცნობილ არსო"[52].

შედარებით მნიშვნელოვანი ზომითა და რეგულარულად დას. საქართველოდან სიმინდის ექსპორტი იწყება 1860-იანი წლებიდან და განსაკუთრებით კი ფოთი-თბილისის რკინიგზის გახსნის (1872 წ.) შემდეგ. როგორც ჩანს, პირველი ბიძგი ამერიკაში დაწყებულ სამოქალაქო ომს (აბოლიციონისტურ მოძრაობას) მოყოლია. აი, როგორ მოგვითხრობს სიმინდის პირველი მასობრივი ექსპორტის შესახებ გაზეთ „გუთნის დედას" ფელეტონისტი:

---

[49] АСКАК, II, № 803, стр. 407.

[50] О. Евецкий, „Статистическое описание Закавказ. края", 1835, СПб.

[51] Лаврентьев., l. c., стр. 84.

[52] ი. მეუნარგია, l. c., გვ. 97.

„ამერიკის ომმა დააძვირა ყველა გამოსავალი, რომელიც მოდიოდა ამ ქვეყნიდან; ბამბის საქმე სიმინდსაც გადახდა... შარშან (1862 წ.) ინგლისისათვის გაუტანიათ გურიიდან და სამეგრელოდან ე.რთი მილიონი მანეთის სიმინდი. ეს დიდი საქმეა ამ მხარისათვისო“, და, შემდეგ ფელეტონისტი წინასწარმეტყველებს: „თუ ასეთი ბაზარი დარჩა იქაურებს სიმინდისა და საკულაოთაცა, დიდი შემატება უნდა მიეცეს ხალხს. გურიასა და ოდიშში მრავალი ათასი დღის მიწა, ნაყოფიერებით სავსე, დაფარულია უსარგებლო ტყეებით, რომელნიც ცეცხელების მეტს არაფერს ჰმატებენ პატრონებსაო“ [53].

ამ კონტექსტში შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ 1862 წელს ლონდონის მსოფლიო გამოფენაზე საპატიო დახასიათება მიიღო ს. ყვარლიდან (თელავის მაზრა) წარდგენილმა სიმინდმა[54]. ამ გარემოებას, ცხადია, არ შეეძლო პურეულით მოვაჭრე უცხოელთა ყურადღება არ მიექცია ამიერკავკასიური სიმინდისაკენ.

1870 — 1880-იან წლებშიაც სიმინდზე ფასები მტკიცეა. ხოლო უფრო ხშირად მატულობს კიდევაც. ამის მეოხებით სიმინდის ფართობი მთელს დას. საქართველოში დიდის სისწრაფით იზრდება. ქუთაისის გუბერნიის სიმინდზე უცხოეთში მოთხოვნილების ზრდის შესაბამისად „მოსახლეობა სულ უფრო და უფრო ადიდებს ნათესების ფართობს, დაიწყო ჭაობების ამოშრობა, საუკუნოვანი ტყეების გაკაფვა, ასე რომ გუბერნიის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორიცაა ვაკე-ველები სოხუმის ოკრუგისა, სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის და ქუთაისის მაზრებისა, გადაიქცა სიმინდის ერთ მთლიან მინდვრად, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ მუშავდებოდა. შეუსვენებლად და გაწოყიერების გარეშე, წლიდან-წლამდე იძლეოდა უხვ მოსავალს. ამისაევ შესაბამისად უცხოეთის ბაზრებზე სიმინდის გაძლიერებული გატანა მოსახლეობას აძლევდა სულ უფრო და უფრო

[53] გაზ. „გუთნის დედა“, 1863 წ. № 4, გვ. 68 — 69.

[54] П. В. Гугушвили „Сельское хозяйство...“, I, 209.

მეტ შემოსავალს... სიმინდის ექსპორტი (1880-იან წლებში — პ. გ.) ქვეყანას აძლევდა ყოველწლიურად 6 — 7 მილ. მანეთს, ე. ი. იმდენ თანხას, რაც... კაპიტალის მხრივ ღარიბი მოსახლეობისათვის წარმოადგენდა ფრიად არსებით დახმარებას მის მეურნეობრივ ყოფიერებაშიო" — სწერდა 1894 წ. კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ქუთაისის განყოფილება მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრისადმი წარდგენილს მოხსენებაში[55].

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რაც ხელს უწყობდა სიმინდის ფართობის ზრდას, იყო ამ ხანებში დას. საქართველოში გავრცელებული ვაზის სხვადასხვაგვარი ავადმყოფობა (ოიდიუმი, მილდიუ) და შემდეგ ისეთი მავნებელი, როგორიცაა ფილოქსერა, რამაც უდიდესი ზიანი მიაყენა მევენახეობას და ამ გზით, გაანადგურა რა ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ერთ-ერთი ფაქტორი, აიძულა მოსახლეობა არსებობის სხვა საშუალებათა გამონახვის (გაძლიერების) ნახით ხელი მიეყო გაფართოებისათვის სიმინდის ნათესებისა, რაც სულ უფრო მეტი ზომით იკავებდა ვენახის (უპირატესად დობილოს, დობირის ანუ ბაბილოს) ადგილს[56].

სიმინდის მეურნეობის ამ აღმავლობის პერიოდში, მაგალითად, გურიაში, როგორც „კვალის" კორესპონდენტი აგვიწერს, „ხელი მიჰყვეს სიმინდის მოყვანის გაფართოებას. მაგრამ ეს გაფართოება... ძნელი იყო... ბოლოს თითქმის ყველამ შეიძინა თითო უღელი ხარი და მისი მოწყობილობა. ხარი ხომ მარტო თესვაზე იყო გამოსადეგი, ამიტომ აქ გლეხმა მიმართა ფიზიკურ ძალას, „უდიერ" შრომას, დღე და ღამე გაასწორა. წელებზე ფეხი დაიდგა; ასე გასინჯეთ რვა-ათი წლის ბავშვებიც-კი გაიყვანეს სამუშაოთ ყანაში, რაც წინეთ შეუძლებელი იყო. ამ „უდიერი" შრომით წინანდელზე ბევრათ მეტი სიმინდი მოიყვა-

---

[55] УЦГАЛ, фонд МЗГИ, 1894 г. д. № 190, лл. 11—12.

[56] პ. გ ო გ ო ბ ე ლ ი, „მევენახეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801 — 1920 წწ." (ეკონ. ინსტ. შრომები, 1951, ტ. V, გვ. 281 — 330).

ნა, ასე რომ თუ წინათ 2 — 5 ქცევამდის ყანა ჰქონდა და მხოლოდ თავისი საყოფი სიმინდი მოჰყავდა, ახლა 5—12 ქცევამდის ყანა მოიყვანა და 100 — 500 ფუთამდის გასაყიდი სიმინდი შეიმუშავა. ამ დროს (დაახლოებით 1880 — 1885 წლებში— პ. გ.) საბედნიეროდ სიმინდის ფასმაც მოიმატა. როცა ყანის მუშაობას მორჩებოდა გლეხი, მაშინ (ზამთრობით) ცოტ-ცოტა ქირაზე წასვლასაც შეეჩვია... სიმინდი კარგ ფასში იყო (ფუთი 50 — 70 კაპიკამდის) და მოსავალიც ბევრათ მეტი ახლანდელზე, რადგან ტყე ახალ „გატეხილ-გაკაფული“ იყო და ამ „ნატეხში“ ანუ „უყში“, როგორც აქ უწოდებენ, კარგი მოსავალი იცის: ამგვარად, შემოსავალი გლეხისა, შედარებით წინანდელთან და ეხლანდელთანაც, დიდი იყო. ამ შემოსავლით „შეხურებულებმა“ „გამოჭიმეს“ ოდები (ზოგმა ორიც), მაგრამ ისევ ჩქარა იკლო ამ შემოსავალმა და ოდ-ს დაბოლოვება ყველამ ვერ მოასწრო და მხოლოდ „გამოწყებული“ დაურჩათ“ [57].

ამგვარად, 1880-იანი წლების დამდეგს, როდესაც ექსპორტმა ფართო ხასიათი მიიღო, ქუთაისის გუბერნიიდან სიმინდის საშუალოწლიური გატანა, გუბერნატორის ცნობით, 6 მილიონ ფუთს აღემატებოდა, რაც მთელი რუსეთის იმპერიიდან სიმინდის ექსპორტის ერთმეოთხედს შეადგენდა; ექსპორტის დანარჩენი სამი მეოთხედი მოდიოდა უმთავრესად ბესარაბიასა და ყუბანის ოლქზე. ამ ხანებში ქუთაისის გუბერნიიდან სიმინდი გაქონდათ უმთავრესად: საფრანგეთს, ინგლისს, თურქეთს, ესპანეთს, იტალიასა და გერმანიაში.

ასე, მაგალითად, 1884 — 1886 წწ. ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებიდან გატანილი სიმინდი შეზიდულ იქნა (მილიონ ფუთობით — ცხრილი იხ. გვ. 277) [58].

მაგრამ არანაკლებ საინტერესოა საერთოდ 1880-იან წლებში ამიერკავკასიის ნავსადგურებიდან სიმინდის ექსპორტის შე-

---

[57] „კვალი“, 1899 წ. № 31, გვ. 618 — 620.

[58] СМИЭБГКЗК, IV, I, 429.

ქვეყნების დასახელება	1884 წ.	1885 წ.	1886 წ.
საფრანგეთში	2,63	1,70	2,52
ინგლისში	1,53	2,46	1,74
თურქეთში	1,03	0,67	0,96
ესპანეთში	0,06	0,47	0,03
იტალიაში	—	0,09	0,08
გერმანიაში	—	—	0,04

სახებ ვინაცემები[59]. აღებულ ათწლედში სიმინდი გაქონდათ

[59] УПГАЛ, ф. Мин. земледелия и гос. имущ., отд. сельск. эконом. и сельхоз. статистики, св. 12. д. 196, л. 28—29.

ქვემოთ მოგვყავს დ. ღამბაშიძის ცნობები საქართველოდან სიმინდის ექსპორტის შესახებ, თუმცა ამ ციფრების სიზუსტეში დაეჭვებულიცა ვართ. საქმე იმაშია, რომ იგი ზუსტად არ ასახელებს, თუ საიდან მოყავს სტატისტიკური მასალა და ამასთანავე საერთოდაც მის თავისთავად საინტერესო ნარკვევში მოყვანილი ცნობები ხშირად არ ემთხვევა ჩვენს ხელთ არსებულ ზოგიერთ შესაბამის ციფრებს პირველწყაროებისა.

გატანილია უცხოეთში სიმინდი (ათას ფუთობით):

ფ ო თ ი დ ა ნ		ბ ა თ უ მ ი დ ა ნ	
1885 წ.—5.557	1902 წ.—1.442	1885 წ.— 670	1902 წ.— 406
1888 წ.—3.530	1903 წ.—2.238	1888 წ.—1.483	1903 წ.— 384
1893 წ.—5.028	1904 წ.—1.067	1893 წ.— 210	1905 წ.—1.084
1894 წ.—3.865	1905 ѳ.—1.506	1894 წ.— 281	1906 წ.— 109
1895 წ.—9.897	1906 წ.—1.016	1895 წ.— 268	1907 წ.— 206
1896 წ.— 62	1907 წ.— 85	1896 წ.— 89	1908 წ.— 673
1897 წ.—1.272	1908 ѳ.— 518	1897 ѳ.— 49	1909 წ.—1.040
1898 წ.—2.296	1909 წ.—2.213	1898 წ.— 438	1910 წ.—2.673
1899 ѳ.—1.707	1910 წ.—2.157	1899 ѳ.— 68	1911 ѳ.—1.812
1900 ѳ.—1.967	1911 ѳ.—4.577	1900 ѳ.—1.285	1912 ѳ.—1.574
1901 ѳ.—1.375	1912 ѳ.—1.323	1901 ѳ.—1.905	

თვით დ. ღამბაშიძე როგორც სიმინდის, ისე საერთოდ სხვა საქონლის ექსპორტის შესახებ ცნობებს, ცხადია, არა მეცნიერული, არამედ

ფოთის, ბათუმისა და სოხუმის ნავსადგურებიდან (ფუთობით):

წლები	ფოთიდან	ბათუმიდან	სოხუმიდან
1882	1.805.000	1,000	—
1883	1.645 000	6.000	—
1884	4 980 000	133.000	—
1885	4.596.000	107 000	—
1886	4.378.000	93.000	—
1887	3.181.000	136.000	229.009
1888	3.572.000	473.000	328.000
1889	4 001.000	634.000	455.000
1890	3 006 000	349.000	419.000
1891	3.521.000	255.000	305.000
1892	4 223.000	143.000	305.000
1893	4.288.000	203.000	—

ამ წლებში „ქუთაისის გუბერნიაში სიმინდი იყიდება უფრო იმ ადგილებში, სადაც რკინიგზა არის გაყვანილი, რადგან უფრო იაფად ჯდება სიმინდის ფოთში ჩატანა საზღვარგარეთ გასატანად; ამას გარდა უმეტესი ნაწილი სიმინდი ზუგდიდისა და სენაკის მაზრებიდან გადის. იქ სიმინდი ორპირიდან რიონით გადააქვთ ფოთში და გადატანის ფასი ძალიან იაფად უჯდებათ“.

ამის გამო-კი სიმინდის ფასი (55 — 60 კაპ) სამეგრელოში ბევრად უფრო მაღალი ყოფილა, ვინემ ქუთაისის მაზრაში, საიდანაც, ტრანსპორტის ხარჯების სიმძიმის გამო, სიმინდი შედარებით „ძრიელ ცოტა გააქვსთ“[60].

საქმე იმაშია, რომ რკინიგზით ფოთს სიმინდის ჩატანა გადაზიდვის მაღალი ტარიფის მეოხებით, ბევრად უფრო ძვირი ჯდებოდა, ვინემ რიონით — ნავებით. ამ მხრივ მენავეები რკი-

---

წმინდა კომერციული მიზნით აგროვებდა. მის მიერ 1912 წ. ლონდონში დაარსებული ფირმა მიზნად ისახავდა ხელში ჩაეგდო საქართველოდან და ამიერკავკასიიდან საექსპორტო საქონელთა უშუალოდ მსოფლიო ბაზრებზე გატანის მონოპოლია. იხ. დ. ღამბაშიძე, „ჩვენი ქვეყნის უცხოეთთან ვაჭრობის მიმოხილვა (1884 — 1914 წწ.)“, 1914, ლონდონი, გვ. 8 — 9.

[60] გაზ. „მეურნე“, 1888 წ. № 9, გვ. 56.

ნიგზას მნიშვნელოვან კონკურენციას უწევდნენ 1890-იან წლებშიაც-კი. სწორედ 1894 წელს ქუთაისს ჩამოსულ მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრისადმი წარდგენილ თხოვნაში ადგილობრივი მემამულეები ჩივიან, სხვათაშორის, რკინიგზის მაღალ ტარიფზე; რადგან უცხოეთის ბაზრებზე სიმინდის რეალიზაციის „ერთ-ერთ არსებით სიძნელეს წარმოადგენს ამიერკავკასიის სახაზინო რკინიგზით მარცვლეულის ფოთამდე და შემდეგ ფოთიდან ნავსადგურამდე გადაზიდვის არაჩვეულებრივად მაღალი ტარიფი“[61].

მართლაც, ამ დროს, მაგალითად, სადგ. ნიგოითიდან ქ. ფოთამდე (70 ვერსი), ერთი ვაგონისათვის რკინიგზა ახდევინებდა 27 მან., 5 მანეთზე მეტს სადგურის ხარჯისათვის და კიდევ 4 მანეთს ვაგონის მიწოდებისათვის. ამგვარად, 1 ვაგონი მარცვლეულის ფოთამდე მიზიდვა ჯდებოდა 37 მან. შემდეგ ფოთიდან ნავსადგურამდე (2 ვერს.) — 12 მან. და აგრეთვე ვაგონში ჩატვირთვისა და ვაგონიდან გადატვირთვისათვის რკინიგზას კიდევ მიქონდა 2 მან., თუმცა ამ სამუშაოს თვით ტვირთის გამგზავნი ასრულებდა.

ამიტომაც მემამულეები აცხადებენ: „შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ მთავრობის მხრივ დახმარების გარეშე, რაც ამიერკავკასიის რკინიგზით მარცვლეულის გადაზიდვის გაადვილებასა და სხვა ღონისძიებაში უნდა გამოიხატოს, სოფლის მეურნეობის ამ ყველაზე მთავარ დარგს... აუცილებელი დაცემა მოელის, რაც ჩვენი კეთილდღეობის საბოლოო განადგურებამდე მიგვიყვანსო“ [62].

მაგრამ, გარდა რკინიგზის მაღალი ტარიფისა სხვა მიზეზიც იყო, რამაც საზღვარი დაუდვა სიმინდის მეურნეობის აყვავების ხსენებულ პერიოდს. პირველი ძლიერი დარტყმა სიმინდის მეურნეობამ დას. საქართველოში იგემა 1884 წელს. წინა წლებში სიმინდზე მოთხოვნილება და, მაშასადამე, ფასიც სულ

---

[61] УЦГАЛ, ф. МЗГII, отд. сельской экономии и сельскохоз. статистики, 1894 г., д. № 26/190, л. 4.

[62] იქვე.

უფრო იზრდებოდა, ექსპორტერები ქ. ფოთში მიტანილ სიმინდს დატაცებით ყიდულობდნენ. „ამიტომ 1884 წლისათვის რაც-კი საწუალება ჰქონიათ დაუთესიათ, მაგრამ მოსავლის ნახევარი ძლივს გაუყიდიათ და შემდეგი წლისათვის ბეღლები სავსე დარჩენიათ. ამიტომ 1885 წელში მხოლოდ ერთი მეხუთედიღა დაუთესიათ წინა წლის ნათესებისა, იმ შიშის გამო, რომ სიმინდი არ წაჰხდენოდათ ბეღლებში“ [63].

მიზეზი ექსპორტის ასე მკაცრი დაცემისა იყო ევროპის ბაზრებზე ამერიკული სიმინდის ძლიერი დაწოლა. ცნობილია, რომ აბოლიციონისტური (სამოქალაქო) ომისა და მონობის გაუქმების შემდეგ, განსაკუთრებით 1870-იანი წლებ-ს მიწურულიდან, ამერიკის სოფლის მეურნეობამ დაიწყო სწრაფი განვითარება [64]. გაზ. „მეურნის“ ფელეტონისტიც ხედავს, რომ ასეთი მეტოქის გამოჩენის ვითარებაში „თუ ჩვენს უცოდინარს და მოუწყობელს ხვნათესვასა და მეურნეობას არ გავაუმჯობესებთ, თანდათან უკანუკან წავალთ და სიმინდის წარმოებაშიაც ზარალის მეტს ვერასა ვნახავთ, ეს ზარალი იმის გარდა, რომ მილიონებს მოაკლებს ჩვენს ქვეყანას, სულითაც დასცემს და. გაადარიბებს ქუთაისის გუბერნიის მხვნელ-მთესველთა, რომელნიც ამჟამად მომეტებულ ნაწილად სიმინდის წარმოებით ჰკვებავენ თავიანთს ოჯახსა“. დაახლოებით ამასვე იმეორებდა კავკასიის სოფლის მეურნეობის ორგანოც 1894 წელს [65].

ქუთაისის გუბერნიიდან უცხოეთის ბაზრებზე სიმინდის ექსპორტი ცენტრალური ხელისუფლების ყურადღების საგნად გადაიქცა 1891 წელს, როდესაც რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში გამძვინვარებული შიმშილის გამო 16 ოქტომბრის ბრძანებულებით აიკრძალა ყოველგვარი პურეულის გატანა იმპერიის საზღვრებიდან. ამგვარად, აღიკვეთა ქუთაი-

---

[63] გაზ. „მეურნე“, 1888 წ. № 9, გვ. 5—6.

[64] R. Robertson, „History of the American economic“, 1955, New York.

[65] КСХ, 1894 г. № 14, стр. 253.

სის გუბერნიიდანაც სიმინდის ექსპორტი, რის გამოც „ადგილობრივ ბაზრებზე სავსებით შეწყდა მოთხოვნილება ამ პროდუქტებზე, რამდენადაც მასზე მოთხოვნა რუსეთიდანაც არ იყო წამოყენებული“[66]. ასეთს პირობებში, რასაკვირველია, ერთბაშად „ძირი გამოეთხარა მოსახლეობის საგადასახდელო საშუალებებს“ და სრულიად შეიკრა ამ მხარეში ყოველგვარი სავაჭრო და საკრედიტო გარიგებანი“.

ასეთს ვითარებაში ქუთაისის, სენაკისა და ზუგდიდის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლნი, ქ. ქუთაისისა და ფოთის ქალაქისთავები და „ქუთაისის ურთიერთკრედიტის საზოგადოებისა“ და „საადგილმამულო ბანკის“ დირექტორები იმპერიის ფინანსთა მინისტრისადმი მიმართვაში შუამდგომლობენ, რათა „ნება დაერთოთ ხსენებული ადგილებიდან სიმინდის მარაგის უცხოეთში გატანისა, რადგან ეს სიმინდი აქ ფუჭდება ნესტიანი ჰაერისა და არადამაკმაყოფილებლად მოწყობილი საწყობების მეოხებით“ [67].

1891 წ. დეკემბრის გასულს კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელიც ამასვე შუამდგომლობდა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, ხოლო 1892 წ. 13 თებერვალს პეტერბურგს გაგზავნილი დეპეშით აცხადებდა, რომ „ქუთაისის გუბერნიიდან სიმინდის გასაღების გახსნა უკვე ვერ ითმენს დაყოვნებასო“. ბოლოს, ცოტა მოგვიანებით, ქუთაისში ჩამოსულმა მოსკოვის ქალაქისთავმა განაცხადა: „მემკვიდრე ბატონიშვილის თავმჯდომარეობით დაარსებული კომიტეტისათვის არაა აუცილებელი ამიერკავკასიის სიმინდი, ხოლო მოსკოვის კომიტეტისათვის უფრო ხელსაყრელია ამ პროდუქტის ნოვოროსიისკში შეძენაო“ [68].

ამასთანავე რუსეთის ერობებისაგანაც არ მოდიოდა სიმინდზე მოთხოვნა, რის გამოც „ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა. სიმინდის გაფუჭებას, უფულობასა და მომავლის გაურ-

[66] УЦГАЛ, ф. Мин. финансов, 1892 г. д. № 6/14, лл. 2—3.
[67] იქვე.
[68] იქვე, ფურც. 4.

კვევლობას შეუძლია გავლენა მოახდინოს სიმინდის ახალ ნათესებზეო“ — ატყობინებდა პეტერბურგში გუბერნატორი, ხოლო გენ. შერემეტიევი, კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელი, 19 თებერვალს პეტერბურგს გაგზავნილ დეპეშაში აუცილებელ საჭიროებად სთვლიდა ქუთაისის გუბერნიიდან სიმინდის ექსპორტის ნება დაერთოთ არა მხოლოდ ბათუმის, არამედ აგრეთვე ფოთის, ყულევის, ანაკლიის, ოჩამჩირის, სოხუმის, გუდაუთისა და შეკვეთილის ნავსადგურებიდანაც, — რომლებიც აქამდე წარმოადგენდნენ სიმინდის ექსპორტის მუდმივ პუნქტებს...“ [69].

მხოლოდ მარტში პეტერბურგიდან ქუთაისში აცნობეს, რომ ნებადართულია ადგილობრივი სიმინდის საზღვარგარეთ გატანაო [70] ...უკვე დაგვიანებული იყო და რაც მთავარია, თვით შომართვის ტექსტიც იმდენად ბუნდოვანი,—რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია, მართალია ექსპორტის ოპერაციებს ამიერიდან არ კრძალავდა, მაგრამ არამცთუ ხელს არ უწყობდა მას, არამედ სხვადასხვა „ობიექტური პირობებისა“ გამო შესაჩნევად აფერხებდა კიდევაც.

ჯერ კიდევ 1891 წ. ოქტომბრიდანვე დაწყებული „სიმინდის კრიზისი“ სულ უფრო მწვავდებოდა. ადგილობრივ გაზეთებში გახშირდა ამ სათაურით ანდა ამ თემაზე სტატიები, კორესპონდენციები, ფელეტონები.

მაგალითად, „ივერიის“ მეთაურში, რაც ილია ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის, ვკითხულობთ, რომ სიმინდს ერი დას. საქართველოში არა მხოლოდ „თავის საკვებად ჰხმარობს, ჰყიდის კიდეც და ამით თავის ყოველდღიურს საჭიროებას უძღვება. მოუსავლობამ ევროპაში და ნამეტნავად შიმშილმა რუსეთში საკმაოდ ასწია ფასები სიმინდისა“. მაგრამ სწორედ ამ დროს მთავრობამ აკრძალა „სიმინდისა და ყოველ სხვაგვარი ხორბლეულობის საზღვარგარეთ გატანა“, რამაც

---

[69] УЦГАЛ, Ф. Мин. финансов, 1892 г., д. № 6/14, л. 6.
[70] იქვე, ფ. 10.

დიდი ზიანი მიაყენა ამიერკავკასიაში მარცვლეულის მეურნეობას, რადგან აქედან პური თვით რუსეთშიაც არ გაიტანეს.

ამიტომაც ილია ჭავჭავაძე ბრალს სდებს ცარიზმის ბიუროკრატიას: „ვის მოუვა ფიქრად წარმოიდგინოს, რომ ერთგან სარჩო იყოს და მუშტარს ვერა ჰშოობდნენ და იქავ გვერდით სიმშილი იყოს და სარჩოს ვერა ჰპოულობდნენ. გამოდის, რომ სიმინდის გარედ გატანის აკრძალვამ ვერც დამშეულთ მიაწოდა სარჩო და სარჩოს პატრონებიც თითქმის ცარიელზე დასხა“... „ესე არ იქცევიან სხვაგანო“, დასძენს იგი[71].

გასაგებია, ასეთს პირობებში ძლიერ დაეცა სიმინდის ფასი; თუ აქამდე 1 ფუთი სიმინდი 70 — 80 — 90 კაპიკადაც-კი იყიდებოდა, ახლა, ექსპორტის შეწყვეტიდანვე, მოთხოვნა ერთბაშად დაეცა და სიმინდის ფასიც სისტემატურად კლებულობს. 1894 წელს 1 ფუთი სიმინდის ფასი უკვე 35 — 40 კაპიკს არ აღემატებოდა. ამგვარად, „შემოსავალი სიმინდისაგან, ექსპორტის ამ ერთადერთი საგნიდან“, ორჯერზე უფრო მეტად შემცირდა. ამ ვითარების შედეგად-კი, უნდა აღინიშნოს, ადგილი ჰქონდა საყოველთაო შეფერხებას ვაჭრობაში, ფასების დაცემას სახნავ-სათეს მიწებზე და ა. შ.[72]. სიმინდზე ფასების ძლიერმა დაცემამ უარეს მდგომარეობაში ჩააყენა სოფლის ღარიბი გლეხობა. ნ. შ ა რ ა შ ი ძ ე 1894 წ. იტყობინებოდა, რომ „გურიის ისედაც ღარიბი მოსახლეობა ფრიად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა; მან დაჰკარგა შესაძლებლობა თავისი შრომით აუცილებელი საშუალებების მოპოებისა“[73].

ხუთიოდე წლის შემდეგ „კვალის“ კორესპონდენტი დანაღვლიანებული იხსენიებდა იმ დროს, როდესაც გურიაში სიმინდის გაყიდვით „წელი მოიმაგრა“ ზოგიერთმა გლეხმა და დაიწყო ოდა-სახლების აშენება. მაგრამ უმრავლესობამ ვერ მოასწრო ოდის დასრულება და დარჩა ეს სახლები „უბუხრო,

---

[71] „ივერია“, 1891 წ. № 237; იხ. აგრ. ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „ნაწერების სრ. კრებული“, VIII, გვ. 238 — 239.

[72] УЦГАЛ, ф. МЗГП, 1894 г. д. № 190, лл. 12—13.

[73] КСХ, 1894 г. № 39, стр. 676—777.

უფანჯრო და საბუხრეებზე ძელები აფარებული და ფანჯრებზე ქაღალდ გაკრული". მხოლოდ „ზოგმა დიდი ვაი-ვაგლახით გააწყო და ზოგმა გაყიდა ნახევარ ფასად. გაიარა ამ მეურნეობის აყვავების დრომ. ამ სამი-ოთხი წლის წინეთ მიწის გამოფიტვის, თუ სხვა მიზეზების გამო იკლო მოსავალმა, იკლო აგრეთვე სიმინდის ფასმაც: ყველამ — განურჩეველად წოდების და შეძლებისა—იგრძნო ნაკლებობა; ერთი სიტყვით, დადგა საერთო ეკონომიური კრიზისი. ამან ყველა დააფიქრა. ყველა ახალ ეკონომიურ სახსარს ეძებს. ვინც მდიდარია ხელს ჰკიდებს ვაჭრობას (პირველად უფრო „ფეხზე ვაჭრობს"), „პოდრიადჩიკობას", მეღორეობას, ფრინველების მოშენებას და სხვა. ღარიბებიც, რასაკვირველია, ბევრს ფიქრობენ, ოცნებობენ, მარა რადგან ეკონომიური ღონე არ შეწევთ რამე საქმეს ხელი მოჰკიდონ, სხვა გზა აღარ დარჩენიათ გარდა ღლიურ მუშათ წასვლისა" [74].

სიმინდის ექსპორტზე აკრძალვის მოხსნის შემდეგაც უცხოეთის ბაზრებზე წინანდელი მდგომარეობის აღდგენა ვერ მოხერხდა. სიმინდის ექსპორტის ამკრძალავი კანონით აკრძალვის ვადა არ იყო დადებული. ამ გარემოებას არ შეეძლო კიდევ უფრო არ გაეღრმავებია ცარიზმის ამ პოლიტიკის უარყოფითი შედეგები გაზეთ „Новое обозрение"-ს მიმომხილველი წერდა: „რადგან გატანის ეს აკრძალვა არ იყო ვადის მხრივ განსაზღვრული, რომლის გასვლის შემდეგ ნებადართული იქნებოდა ექსპორტი, ცხადია, ყველა უცხოელი ფირმა იძულებული იყო თავისი მოთხოვნილებითა და შეკვეთებით მიემართათ ამერიკისათვის და მის კომერსანტებთან დაედვათ სიმინდის მიწოდების შესახებ გარიგებები" [75].

ამერიკელმა ექსპორტერებმა და მიმწოდებლებმაც მოხერხებულად ისარგებლეს შექმნილი მდგომარეობით და ერთბაშად გააღიდეს სიმინდის ექსპორტი ევროპაში. გარდა ამისა,

---

[74] „ქვალი", 1899 წ. № 31, გვ. 628 — 620.

[75] „Кукурузный кризис" (газ. „Новое обозрение", 1897 г. № 4591).

მათ ევროპელ მომხმარებლებთან დასდვეს გრძელვადიანი ხელშეკრულებები სიმინდის მიწოდების შესახებ და ყოველმხრივ შეეცადნენ არა მხოლოდ ამგვარი ფორმალური გარიგებებით განემტკიცებიათ თავიანთი საქონლის მდგომარეობა ევროპაში, არამედ „გაეუმჯობესებიათ თვით სიმინდის ხარისხი და გაეიაფებიათ მისი წარმოება. სწორედ ამ ხანებში ამერიკამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ სიმინდის როგორც წარმოების, ისე მარცვლის დახარისხების, დაცვა-შენახვისა და ექსპორტის ტექნიკაში“[76].

ყოველივე ამის შედეგად ამერიკას შეეძლო დიდძალი სიმინდი გამოეტანა მსოფლიო ბაზარზე. მაგრამ ამავე ხანებში ინდოეთმაც გააძლიერა სიმინდის ექსპორტი. ამგვარად, არ შეიძლებოდა ევროპის ბაზრებზე სიმინდის ფასები არ დაცემულ-ყო და, მაშასადამე, ამას თავისი უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა სიმინდის წარმოებისა და რეალიზაციის საქმეზე ამერიკაკავკასიაში, რომელიც ამ დროს უკვე საკმაო ზომით იყო ჩათრეული მსოფლიო ბაზრის ორომტრიალში.

ადგილობრივი სპეციალისტები ადილობდნენ აეხსნათ სიმინდის რეალიზაციაში შექმნილი სიძნელეების ეკონომიკური მიზეზები. 1897 წელს ს. ქ ვ ა რ ი ა ნ ი წერდა, რომ „ჩვენი სიმინდის კრიზისის გამომწვევი მიზეზები მდგომარეობდა მოსავლის სიუხვეში, რასაც ადგილი ჰქონდა ამერიკასა და ინდოეთში, და მსხვილი უცხოური ფირმების მხრივ მსოფლიო ბაზრების დაპყრობაში. მიწების სიუხვე, ახლად გაყვანილი გრანდიოზული ირიგაცია ინდოეთში, მიწის დამუშავების მანქანური სისტემა, გადაზიდვის სიიაფე, იაფი კრედიტი, სინდიკატები, ელევატორები და სხვ. — ყოველივე ეს ქმნის ინგლისელებისა და ამერიკელებისათვის ხელსაყრელ პირობებსო“[77].

1890 წ. ს. ტ ი მ ო ფ ე ე ვ ი აცხადებდა: „უკანასკნელ წლებში რუსულ სიმინდს საერთოდ და კერძოდ კავკასიურს მსოფლიო ბაზრიდან მიერეკება უფრო იაფი ამერიკული პრო-

---

[76] ЭТЗ, II, 1924, стр. 196.
[77] КСХ, 1897, № 206, стр. 831.

დუქტი. სიმინდზე ფასების დაცემამ ქუთაისის გუბერნიის დასავლეთ ნაწილში გამოიწვია სიმინდის ნათესების შემცირება და საერთოდ მეურნეობის შევიწროვება ამ რაიონში“ [78]. საერთოდ სიმინდის მოსავლის დონე დაუყოვნებლივ ახდენდა გავლენას სიმინდის ფასებზე ქუთაისის გუბერნიაში. მაგალითად, 1901 წელს ამერიკაში ცუდი მოსავალი იყო, რის გამოც აქ, დას. საქართველოში, სიმინდის ფასმა წლის მიწურულისათვის საგრძნობლად აიწია[79].

„სამწუხარო შედეგი“ იმ „საოცარი წარმატებისა“, რასაც, ამ მხრივ, ამერიკამ „გარეშე განსაკუთრებული მატერიალური დაბანდებებისა მიაღწია რაღაც ხუთ-ექვსი წლის მანძილზე“ ქუთაისის გუბერნიისათვის იყო „სიმინდის საშინელი კრიზისი“. „განა სახუმარო ამბავია, წერს მიმომხილველი, რომ სიმინდის ფასი ახლა (1897 წ. მაისი) ადგილზე 19—20 კაპიკამდე დაეცა, ხოლო რკინიგზის უახლოეს ბაქნამდე მიზიდვით ფუთი 28—30 კაპიკია. განა გაგონილა სიმინდის ფასი ასე დაცემულიყო ქვეყანაში, სადაც 8—10 წლის განმავლობაში მისი ფასი 75 კაპ. ქვევით არ დაწეულა და 1 მანეთამდეც კი აღწევდა ფუთზე“ [80].

ამგვარად, როგორც მიწათმოქმედებისა და სახელმწიფოებრივ ქონებათა სამინისტროს მასალებში ვკითხულობთ, სიმინდის წარმოებასა და ექსპორტში ქუთაისის გუბერნიას უკვე არავითარი ღონე არ შესწევდა კონკურენცია გაეწია ამერიკულ სიმინდისათვის... რადგან იმ დროს, „როდესაც მიწის ტრადიციული დამუშავების მეთოდებით ნიადაგის ნაყოფიერება ქუთაისის გუბერნიაში სულ უფრო ეცემა, როდესაც არ ხდება ნიადაგის არც დასვენება, არც განოყიერება, არც თესლბრუნვა, ამერიკაში-კი ნიადაგის ნაყოფიერება სულ უფრო

---

[78] ОФК, 1900 г., ч. II, стр. 15.
[79] ОФК, 1901 г., ч. II, стр. 7.
[80] Газ. „Новое Обозрение“, 1897 г. № 4591.

იზრდება — რაციონალური მეურნეობრივობისა და თეორიული და პრაქტიკული ცოდნის პროგრესის შედეგად"[81].

თუ განზე დავტოვებთ ამერიკული აგროკულტურისა და კომერციული ინიციატივისადმი ქედმოხრილობის აშკარა ნიშნებს, რაც ეტყობათ ჩვენს მიერ ზემომოყვანილ ამონაწერთა ავტორებს, მაინც უდავოა, რომ ქუთაისის გუბერნიის სიმინდს ფრიად არახელსაყრელ პირობებში უხდებოდა კონკურენციული ბრძოლა ამერიკულთან.

რასაკვირველია, ასეთს კონკურენტთან მეტოქეობაში წარმატებას ვერ მოიპოვებდა ქუთაისის გუბერნია, სადაც მიწათმოქმედების ტექნიკა მეტად ჩამორჩენილი იყო, ბატონობდა წვრილ-გლეხური მეურნეობა, ფეოდალურ ურთიერთობათა ძლიერი გადმონაშთები და მიწის სიმციირის მეოხებით არ ტარდებოდა ნიადაგის დასვენება, ხოლო მრეწველობის ჩამორჩენილობისა გამო — არც ხელოვნური გასუქება-განოყიერება. ყოველივე ამას ემატებოდა კიდევ მიწაზე მაღალი საიჯარო ფასები და ნიადაგის ნაყოფიერების დაცემა, ტრანსპორტის სიძვირე და სიმინდით ვაჭრობ-ს მტაცებლური ორგანიზაცია.

დას. საქართველოს მემამულეთაგან მიწათმოქმედების მინისტრისადმი წარდგენილ ზემოხსენებულ თხოვნაში, სხვათა შორის, აღნიშნული იყო სიმინდის ექსპორტის უკუღმართული ორგანიზაცია: წვრილ თუ მსხვილ მწარმოებელთაგან საზღვარგარეთ გასაგზავნი სიმინდის შესყიდვას აწარმოებდა რამდენიმე უცხოური ფირმა, — თავისი აგენტების, უმეტესწილად ბერძენთა და ებრაელთა მეშვეობით. ეს აგენტები უმთავრესად ქ. ფოთში იყვნენ მოკალათებულნი, ხოლო ადგილებზე, დაბა სოფლებში. მათ თავის მხრივ აგენტებად ჰყავდათ ადგილობრივი ვაჭრები, კულაკი-შემსყიდველები, რომლებიც მდ. რიონითა, თუ რკინიგზით სიმინდს აწოდებდნენ ფოთში.

---

[81] УЦГАЛ, ф. МЗГИ, 1894 г. д. № 190, л. 13.

უცხოეთის ფირმათა აგენტები, რა თქმა უნდა, არაფრით არ იყვნენ დაინტერესებულნი საზღვარგარეთ „ქუთაისური“ სიმინდის რეპუტაციის განმტკიცებასა და იქ მასზე მტკიცე ფასების დადგენაში; „ისინი ადგილზე ჰყიდულობენ სხვადასხვა ხარისხის სიმინდს, არ ახარისხებენ მას, საჭიროებისამებრ არ ახმობენ, და გაურჩევლად, როგორც კარგი ღირსებისას ისე ნედლსა და დამპალსაც, ტვირთავენ ორთქლის გემებზე და აგზავნიან საზღვარგარეულ. გზაზე ასეთი სიმინდი კიდევ უფრო ფუჭდება ნესტიანი ჰაერისა და საკუთარი სიმხურვალისაგან და დანიშნულ ადგილას მიდის ისეთი სახით, რომ მას უნებურად თვლიან ყველაზე ცუდი ხარისხის პროდუქტად, რომელიც სრულებით არ შეედრება ხარისხით ამერიკულ სიმინდს“.

ამიტომაც ჩვენს სიმინდზე ფასები სულ ეცემოდა. ინგლისური კომერციული გაზეთების ცნობითაც ამიერკავკასიური „საქონელი ყველაზე დაბალხარისხოვანია“. ასეთი „დახასიათება“, ცხადია, კომერციული ხრიკიც იყო. მაინც „ორთქლის გემით არაკეთილხარისხოვანი სიმინდის გაგზავნის შემდეგ“ ინგლისიდან, მთავარი ფირმებისაგან, მოდიოდა დეპეშები „დაუკელით ფასები კიდევ 3 ან 5 კაპიკითო“ [82].

მემამულეები თავ. დიმ. მაჭუტაძის მეთაურობით შეეცადნენ თავი დაეღწიათ უცხოური ფირმებისა და მათი აგენტების „გამანადგურებელი ექსპლოატაციისაგან“ და უშუალოდ გაეტანათ უცხოეთის ბაზრებზე სიმინდი, მაგრამ ამაოდ.

აღსანიშნავია, რომ. როგორც მემამულეებს, ასევე სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოების ქუთაისის განყოფილებასაც სიმინდის ექსპორტის გაუმჯობესებისა და სიმინდზე ფასების აწევის მთავარ ღონისძიებად, გარდა მიწათმოქმედების ტექნიკის ამაღლებისა, ესახებოდათ:

1. სიმინდის ვაჭრობის „რაციონალური ორგანიზება“;

---

[82] УЦГАЛ, ф. МЗГИ, 1894 г. д. № 190, л. 13.

2. რკინიგზის სადგურებსა და ფოთის ნავსადგურში ელევატორების აშენება; — რადგან ელევატორები, გარდა იმისა რომ სიმინდს გაახმობენ და დაახარისხებენ, „საშუალებას მისცემენ მწარმოებლებს აქ დაწყობილი (ჩაბარებული) სიმინდის გირავნობით სესხის აღებისა და ამით კიდევ მაღალი ფასებისათვის ზრუნვისა, ერთი მხრით, ხოლო, მეორე მხრით, გაათავისუფლებდა მათ სხვადასხვა კულაკთა და შემსყიდველთა კაბალისაგან". ელევატორები ამიერკავკასიის რკინიგზას უნდა აეგო[83];

3. ამიერკავკასიის რკინიგზის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე „უზომოდ მაღალი ტარიფის დაწევა";

4. რკინიგზებზე მისასვლელი საჭაპანო გზების გაყვანა და კეთილმოწყობა;

5. არსებული სარკინიგზო ხიდების საცალფეხო და საურმე მიმოსვლისათვისაც მოწყობა;

6. საცდელ-სანიმუშო სიმინდის ყანების ორგანიზება ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა რაიონში;

7. სიმინდის რეალიზაციის თვალსაზრისით ევროპის ბაზრების შესწავლა;

8. სოფლის მეურნეთათვის, ე. ი. უპირატესად მემამულეებისათვის, იაფი კრედიტის მიწოდების მიზნით, ქუთაისში სახელმწიფო ბანკის განყოფილების გახსნა, — რადგან კრედიტის აქ არსებული ორგანიზაციები „ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებენ სოფლის მეურნეობრივ კრედიტზე არსებულ მოთხოვნილებას";

9. ჭიწების გამიჯვნის სამუშაოთა დაჩქარება და სხვ.

დაახლოებით ასეთივე ხასიათისა იყო ამ მხრივ ქუთაისის გუბერნატორის მიერ იმპერატორისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში დასახული ღონისძიებანიც[84].

სიმინდის უცხოეთში გატანის წაქეზებისათვის მთელი

---

[83] ელევატორთა აშენების საკითხისათვის იხ. აგრეთვე КСХ, 1894, № 14, стр. 253.

[84] УЦГАЛ, ф. МЗГИ, 1894, д. № 190. лл. 18—19, 21—24.

ამ მიმოწერისა და შუამდგომლობათა შედეგად, ბოლოს, 1896 წელს, სამიმოსვლო გზათა სამინისტრომ მიიღო დადგენილება: „რათა რკინიგზამ მიიზიდოს ის სიმინდი, რომელიც მდ. რიონით ფოთის ნავსადგურში იგზავნება. მთავრობის სატარიფო კომისიამ შესაძლებლად სცნო დასახელებული ტვირთი, რომელიც ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი ხაზით გაიგზავნება ფოთის ნავსადგურამდე და ფოთის სადგურში ჩერდება ტვირთგამგზავნთა საწყობებში, რკინიგზის ფოთის სადგურიდან ფოთის პორტამდე (ნავსადგურამდე) გადაგზავნისას გაანთავისუფლოს ფოთის სადგურის დანახარჯისაგან, ფუთზე 1/5 კაპიკის რაოდენობით, და ჩატვირთვისა და გადმოტვირთვის გადასახდელისაგან, თუ ეს ორი უკანასკნელი ოპერაცია შესრულდება საქონლის პატრონთა საშუალებითო“ [85]. ცხადია ეს დადგენილება არ იყო საქმ-სათვის „დიდი წამალი“.

საერთოდ 1870-იანი წლებიდან მოყოლებული ამიერკავკასიიდან სიმინდის ექსპორტი შეუჩერებლად იზრდებოდა[86]. თუ 1875 — 1879 წწ. გატანის საერთო ჯამი უდრიდა 1,5 მილ. ფუთს, მომდევნო ხუთწლედში (1880 — 1884 წწ.), მან 4,3 მილ. ფუთს მიაღწია, ხოლო შემდგომ ორ ხუთწლედში გატანილი იყო უკვე 9,1 მილ. (1885 — 1889 წწ.) და 9,6 მილ. ფუთი (1890 — 1894 წწ.). მაგრამ ამ დროიდან დაწყებული სიმინდის ექსპორტი არამცთუ არ იზრდება, სულ უფრო და უფრო კლებულობს კიდევაც[87].

მაგალითად, იმერეთში „აი უკვე ზედიზედ რამდენიმე წელიწადია რაც სიმინდის მოსავლიანობა, ერთი მხრით, და ზღაპრულად დაბალი ფასი (26 კაპიკიდან 35 კაპიკამდე ფუთზე), მეორე მხრით, ყოველგვარ სარგებლიანობას უკარ-

---

[85] УЦГАЛ, Ф. МЗГИ, 1894, Д. № 190, л. 32; იხ. აგრ. КСХ, 1894, № 46, стр. 777—780.

[86] В. Вартанянц, „Влияние кавказской жел. дор. на сельское хозяйство края“ (КСХ, 1898, № 218, стр. 173); ТССМХ, 96—97.

[87] „Сб. стат. свед. по Закавк. кр.“, 1902, Тифлис, I, 171; ТМКСХП, LII, 209.

გავს ამ კულტურასო“, — აცხადებდა 1897 წელს სმკს-ს ორგანოს კორესპონდენტი[88].

მაგრამ ამ გარემოებას იმერეთზე ბევრად უფრო მტკივნეულად განიცდიდნენ გურიასა და სამეგრელოში. კერძოდ გურიის შესახებ ოზურგეთელი კორესპონდენტი ვ. ჩ ხ ე ი ძ ე აღნიშნავდა რა, რომ „ზღვის სანაპირო ზოლი, რაც 25 — 35 წწ. წინათ ულრანი ტყეებით იყო დაფარული, ამჟამად გაჩეხილია, სახნავადაა გადაქცეული და კარგ მოსავალსაც იძლევაო“, — იწერებოდა: „სიმინდი და ღომი იძლევიან დიდ მოსავალს. იყო დრო როდესაც ჩვენებურ გლეხს, ჰყიდდა რა წლიურად 200-დან 300-მდე ფუთ სიმინდს, ფუთს 60 — 70 კაპიკად, საკმაო ფული ჰქონდა თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამჟამად ძლიერმა კონკურენციამ ამერიკისა, რომელიც მრავალ ქვეყანას ამარაგებს სიმინდით, ძირი გამოუთხარა ჩვენს ვაჭრობას. ახლა ფუთი სიმინდი 25—26 კაპიკად იყიდება. ფასების დაცემას... თანა სდევს ჩვენი გლეხობის უმიწოდ დარჩენა. ვრცელი ნაყოფიერი მიწები ეკუთვნიან კერძო მფლობელებს, ხოლო მამულების გაუმიჯვნელობა და მიჯნების გაურკვევლობა ხდება მიზეზი გამუდმებული დავისა და დაბრკოლებად ეკონომიკური განვითარებისა“[89].

სიმინდის კულტურა, როგორც საერთოდ მარცვლეულის მეურნეობა, საბჭოთამდელ ამიერკავკასიაში ბოლომდე დარჩა ჩამორჩენილი ტექნიკის ბაზაზე. ასე, რომ 1880-იანი წლების მოსავლის დონე კვლავ მიღწეულ იქნა მხოლოდ სამიოდე ათეული წლის მერმე, სახელდობრ 1900-იან წლებში, როდესაც მოსახლეობა უკვე თითქმის 60%-ით აღემატებოდა 1880-იანი წლებისას. ამასთანავე მთლიანი მოსავლის ძველი დონე მიღწეულ იქნა, ცხადია, არა მოსავლიანობის გაზრდით (პირიქით, მოსავლიანობა სისტემატურად ეცემოდა!),

---

[88] КСХ, 1897 г. № 161, стр. 93; № 206, стр. 831—833.
[89] КСХ, 1897 г. № 187, стр. 509.

არამედ არსებითად მხოლოდ სახნავ-სათესი ფართობის გადიდების შედეგად.

თუმცა, მართალია, სწარმოებდა ცდები სიმინდის მოსავლიანობის გადიდებისა, მაგრამ არსებულ პირობებში შეუძლებელიც იყო მათ რამდენადმე მნიშვნელოვანი შედეგი მოყოლოდა. მაგალითად, 1900 წელს ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა რაიონში „ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისა და სიმინდის წარმოების გაიაფების მიზნით... ხდებოდა დემონსტრაცია მიწის გუთნით დამუშავებისა"; უჩვენებდნენ სახელდობრ შვარცჰოფის, გენეს, ეკკერტის, ვერნეტისა და სხვ. სისტემის გუთნებით მიწის ხვნას. აწარმოებდნენ სიმინდის მწკრივზე თესვას — „პლანეტის" სისტემის კულტივატორით (იანეთს, ტობანიერს, ახალსენაკსა და სხვ. სოფლებში)[90].

1901 წელს ს. ტიმოფეევი დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამდა ქუთაისის გუბერნიის დასავლეთ ნაწილში მოწყობილ საცდელ ნაკვეთებზე. სიმინდის მწკრივზე თესვისა და მწკრივთა შორის მიწის დამუშავების მეთოდის წარმატებათა გამო და აღნიშნავდა ამ ცდების „განსაკუთრებულ დამაჯერებლობას"[91].

ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთების ასი წლისთავის აღსანიშნავად 1901 წელს თბილისში მოწყობილ კავკასიის საიუბილეო გამოფენაზე იმავე ს. ტიმოფეევის მიერ წარდგენილი ცნობების მიხედვით, მე-19 საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში, ქუთაისის გუბერნიაში წარმოებული მთელი მარცვლეულის 88 პროცენტს შეადგენდა სიმინდი, 6 პროცენტს — ხორბალი, 2 პროცენტს — ქერი და 1,8 პროცენტს — ღომი. ამასთანავე, სიმინდს ეჭირა მთელი სახნავ-სათესი ფართობის 70 პროცენტი, — დაახლოებით 240 ათასი დესეტინა.

ამ ხანებში დას. საქართველოში (ქუთაისის გუბერნიასა,

[90] ОФК, 1900 г. II, 15.
[91] ОФК, 1901 г. II, стр. 7.

სოხუმის ოკრუგსა და ბათუმის ოლქში) სიმინდის საშუალოწლიური მოსავალი 20 — 25 მილიონ ფუთს უდრიდა, ხოლო 1 დესეტინაზე საშუალო მოსავლიანობა 70 — 80 ფუთიდან (შორაპნის, ლეჩხუმის, ქუთაისის, რაჭის მაზრებში), 100 — 120 ფუთამდე აღწევდა (სენაკის, ზუგდიდისა და ოზურგეთის მაზრებსა და სოხუმის ოკრუგში).

ს. ტიმოფეევის ცნობებით ქუთაისის გუბერნიიდან უცხოეთში გაუტანიათ სიმინდი მილიონ ფუთობით: 1887 წ. — 1.8; 1886 წ. — 5,7; 1889 წ. — 6.2; 1892 წ. — 6,5; 1895 წ. — 5,4; 1896 წ. — 1,7; 1897 წ. — 3,1; 1898 წ. — 4,1.

მოსავლიანობის სისტემატური დაცემისა და ადგილობრივი მოთხოვნილების ზრდის გამო (1900-იანი წლიდან სიმინდისგანაც იწყებენ არაყის გამოხდას)[92] 1900-იანი წლებიდან სულ ეცემა უცხოეთში სიმინდის გატანა. თუ 1880-იან და 1890-იანი წლების მიჯნაზე საშუალოწლიური ექსპორტი 6.5 მილ. ფუთს აღწევდა, 1900-იანი წლებიდან ზოგიერთ წელს, მოუსავლიანობისა გამო შედარებით სულ ცოტა გაქონდათ. 1899 — 1908 წწ. სიმინდის საშუალოწლიური ექსპორტი უდრიდა მხოლოდ 3 მილ. ფუთს[93].

შავი ზღვის საბაჟოების ცნობით 1909 — 1913 წწ. ბათუმის, ფოთის, ოჩამჩირის, სოხუმისა და გუდაუთის ნავსადგურებიდან გატანილ იქნა სულ მარცვლეული (ფუთობით):

სიმინდი	4.860.095 — 92%	ჯამისა
ყველა სხვა მარცვლეული	414.020 — 8%	„
სულ	5.274.115 — 100%	„

ამიერკავკასიიდან სიმინდი, როგორც ვიცით, გაქონდა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს, რომელზედაც, მაშასა-

[92] П. Петрович, „Продовольственная нужда в Закавказье в 1913 г.", Тифлис, 4—12.

[93] ЭТЗ, I, 177—182.

დამე, მოდის საერთოდ აქედან გატანილი მარცვლეულის 92 პროცენტი, ანუ გატანილი სიმინდის 100%.

პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში სიმინდის მსხვილ ექსპორტერთა შორის პირველი ადგილი ეჭირა კარა ხასანს, რომელმაც, მაგალითად, 1912 წელს ოჩამჩირიდან თურქეთში გაიტანა 2 მილიონი ფუთი მარცვალი; იმავე წელს დრეიფუსის კანტორამ გაიტანა (უმთავრესად მარსელში) კიდევ დაახლოებით 2 მილ. ფუთი სიმინდი[94].

1900-იანი წლებიდან, გარდა მოსავლიანობის დაცემისა, სიმინდის მთლიანი მოსავლის, სახელდობრ მისი სათესი ფართობის ზრდის შემცირების სულ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება სპეც.-ტექნიკურ კულტურათა გავრცელება[95]. ამასთანავე თვით წარმოების რაიონებში სიმინდის მოხმარების ზრდას მნიშვნელოვანი ზომით ხელს უწყობდა საკვებო მეფრინველეობისა და საერთოდ მეცხოველეობის განვითარება[96].

ყოველივე ამის მეოხებით მალე საქართველოსა და ამიერკავკასიას საკუთარი წარმოების სიმინდი არ ყოფნის ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლადაც. საჭირო ხდება, როგორც საერთოდ სხვა მარცვლეულს, ისე კერძოდ სიმინდის შემოზიდვაც. დას. საქართველოშიც, სიმინდის მთავარ მწარმოებელ რაიონში, იწყებენ სიმინდის შემოტანას ჩრდ. კავკასიიდან. ამ პროცესს პირველი შესამჩნევი ბიძგი მიეცა პირველი მსოფლიო ომის წლებში: 1914 წ. შემოტანილ იქნა 177 ათასი ფუთი, ხოლო 1915 წელს უკვე — 2.268 ათასი ფუთი სიმინდი[97].

---

[94] МСХСФККК3С, стр. 205.

[95] А. Фортунатов, „Площади посевных культур в Тифл. и Кут. губ.“, КХ, 1909 г. № 19, стр. 2 и 4.

[96] პ. გუგუშვილი, „მეფრინველეობა ამიერკავკასიაში 1801—1920 წწ.“ (თსუ შრომები, 1948, ტ. 34, გვ. 272 — 296).

[97] ЭТЗ, I, 189—200.

IV

ბრინჯი

ბრინჯი (ორიზა, ბრინძ, ჩალთიკ) ამიერკავკასიაში ერთ-ერთი უძველესი მარცვლეულის კულტურათაგანია. აქ გავრ-ცელებულია ე. წ. ჭაობის ბრინჯი (Oryza sativa L.)[1], რაც ჩვეულებრივ, დიდძალ წყალს მოითხოვს და, ამგვარად, იწვევს ადგილის დაჭაობიანებას — შედეგად ხშირი და უხვი მორწყვისა. ზოგიერთ დამკვირვებელთა დასკვნით ბრინჯის კულტურა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ჭაობთა ამოშ-რობის მხრივაც[2].

უხვი და ხშირი მორწყვის აუცილებლობით ადგილის და-ჭაობიანებისა და, მაშასადამე, მალარიისა და სხვ. შესაბა-მის ავადმყოფობათა გავრცელების აცილების მიზნით ად-რიდანვე მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა ე. წ. მთის ანუ მშრალი ყანის ბრინჯის (Oryza montania) კულტურას.

ოფიციალური ვერსიით აღმ. ამიერკავკასიაში ამ ბრინ-ჯის თესვა დაიწყეს, ცდის სახით, 1852 წელს. პირველი ცდე-ბი ჩატარდა, მაგალითად, ქ. ნუხის სანახებში — იუსუფ-ჰაჯი-მაჰმედ-ოღლის მამულში. 1860-იანი წლებიდან მთის ბრინჯის თესვის ცდებმა უფრო ფართო ხასიათი მიიღო. რო-გორც წინათ, ისე ახლაც თესლი გამოიწერეს ჩინეთიდან.

---

[1] И. Андроников, „Культура риса на Кавказе" (ССКЦРК, V, 1900, Тифлис, стр. 40).

[2] М. Джапашвили, „Рис как осушитель болот" (КСХ, 18:5 г., № 60, стр. 1050).

ცდები ჩატარდა ლენქორანის, ზაქათალის, ბორჩალოს, განჯის და ყუბის მაზრებში[3].

შემდეგ 1890 წელს სმკს კვლავ ურიგებს ამიერკავკასიელ სოფლის მეურნეთ ამ ბრინჯის თესლს სააკლიმატიზაციოთ: ყარაიას, ერევნის, ოზურგეთის, ბორჩალოს, ჯევანშირის, ლაგოდეხისა და სხვ. რაიონებში. ამ დროს თესლთან ერთად დაიგზავნა ადგილობრივ ენებზე შედგენილი „დარიგებანი" მთის ბრინჯის მოვლა-გაშენების წესების შესახებ. საერთოდ ამ ცდებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. 1896 წელსაც კვლავ დაურიგეს ახლადმიღებული თესლი მემამულეებს ბორჩალოს, განჯისა და სხვ. მაზრებში, მაგრამ ამჯერადაც ყანის დაჭაობიანების გარეშე ბრინჯის მოყვანის ცდები აქ სცვლის მორწყვას"[5].

მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაში, კერძოდ ბათუმის ოლქსა და ოზურგეთის მაზრაში ზოგან გავრცელებულა ურწყავი ბრინჯის კულტურა. მაგრამ ეს ბრინჯი, ს. ტიმოფეევის დახასიათებით, არ არის ნამდვილად მშრალი მინდვრის ბრინჯი, არსებითად ის წარმოადგენს ჭაობის ბრინჯის სახესხვაობას და „მისი კულტურა იმ ადგილებში ურწყავად ხარობს მხოლოდღა ატმოსფერული ნალექების სიუხვის მეოხებით, რაც აქ სცვლის მორწყვას"[6].

შესაძლებელია ვიფიქროთ რომ დას. საქართველოში, მაგალითად, სამეგრელოში სწორედ ამ სახეობის ბრინჯი (ასლი) იყო ადრიდგანვე გავრცელებული. აქ ბრინჯის კულტურა არქ. ლამბერტის მოწმობით (მე-17 ს.) იმდენად ყოფილა გავრცელებული, რომ მისი მარცვალი აქედან თურმე ზღვით ოსმალეთშიაც გაქონდათ[6].

საბოლოოდ ჭაობის ბრინჯს ამიერკავკასიაში მეტოქეობა ვერ გაუწია მთის ბრინჯმა და პირველმა, გავრცელებულობის

---

[3] ОДИКОСХ, II, 87—88.
[4] იქვე, დამატებაში, გვ. 63 — 72.
[5] ССКЦРК, II, 119.
[6] ა. ლამბერტი, დასახ., თხზ., გვ. 55; ივ. ჯავახიშვილი, „საქ. ეკონ. ისტ.", I, 359—361.

მხრივ, ბოლომდე შეინარჩუნა თავისი გაბატონებული მდგომარეობა.

1889 წელს თბილისში გამართული სოფლისმეურნეობრივი გამოფენის მასალათა მიხედვით, პროფ. ბ ა ტ ა ლ ი ნ მ ა დაადგინა, რომ ამიერკავკასიაში სთესდნენ სულ 13 სხვადასხვა სახის ბრინჯს.

რამდენადაც ბრინჯის კულტურა ჭაობებისა და, მაშასადამე, მალარიის გაჩენით ხელს უწყობდა სხვადასხვა ავადმყოფობათა გავრცელებას, გასაგებია, რომ ეს მომენტი ადრიდანვე მიიქცევდა საზოგადოებრივობის ყურადღებას. დას. ევროპაში, მაგალითად, იტალიაში ჯერ კიდევ მე-17—18 სს. და განსაკუთრებით მე-19 ს. პირველ ნახევარში იბრძვიან ბრინჯის კულტურის წინააღმდეგ, განსაკუთრებით „მოითხოვენ ბრინჯის ყანების დაშორებას სოფლებისა და ქალაქებისაგან“.

ამიერკავკასიაში ბრინჯის კულტურის წინააღმდეგ ეს მოძრაობა გაცხოველდა განსაკუთრებით 1890-იანი წლებიდან. ამ დროს აქ ამ მოძრაობას სათავეში უდგა ნ. ტ ა რ ა ტ ი ნ ო ვ ი — რუსეთის საფეიქრო მრეწველობის ცნობილი აგენტი ამიერკავკასიაში.

აქ, სახელდობრ ლენქორანის, არეშის, ნუხის, შარურ-დარალაგიოზის და სხვ. მაზრებში „ბრინჯს სთესდნენ ხშირად სოფლების მახლობლად და თვით სოფლებშიაც-კი“[8]. ბრინჯის ყანის ხშირი მორწყვით გამოწვეული მოსახლეობის მალარიით მასობრივი დაავადებისა გამო ექიმები შ ა ჰ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ზ ე ლ ი ნ ს კ ი და სხვ. ქადაგებდნენ, რომ მხოლოდ ბრინჯის კულტურის მოსპობის გზით-ღა შეიძლება მალარიის წინააღმდეგ ბრძოლაო.

ჰ-დრავლიკოსი ნ. პ ე ლ ც ო ვ ი, რომელსაც ელისავეტპოლის (განჯის) გუბერნიაში 10 წელიწადი უმუშავია, მოითხოვდა: „ჩალტიკის თესვა სოფლის ფარგლებში აუცილებ-

[7] А. Миддендорф, „Очерк Ферганской долины“, стр. 484.
[8] И. Андроников, „Культура риса...“, 198.

ლად უნდა აიკრძალოს... რადგან ამგვარი ნათესები წარმოადგენენ ხელოვნურ კერებს ციებისა"[9]. ანალოგიურ აზრს გამოსთქვამდნენ ერევნის გუბერნიაში მომუშავე სპეციალისტებიც, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ შესაბამის რაიონებში მთელი მოსახლეობის დაავადების 44,5 პროცენტი გამოწვეულია ბრინჯის კულტურის გავრცელების მეოხებითო[10].

მეორე მხრით, ადგილობრივი დამკვირვებელი სპეციალისტების უმრავლესობა იმ აზრზეა, რომ ბრინჯის ყანები დიდძალი წყლის მოხმარებით სპობენ სხვა უკეთეს კულტურათა განვითარების შესაძლებლობას. და „ჩალტიკის, მაგალითად, ხორბლით, ბამბითა და ვენახით შეცვლის გზით, სარწყავი წყლის იმავე რაოდენობის პირობებში... ჩვენ შეგვეძლებოდა ყოველწლიურად გვქონოდა 5-ჯერ მეტ ფართობზე ეს კულტურები და დაახლოებით 5-ჯერ მეტი ღირებულების პროდუქტები მიგვეღოო"[11].

ბრინჯის კულტურას ამიერკავკასიაში უპირატესად ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა მისდევდა. ამიერკავკასიაში რუს კოლონისტთა ერთ-ერთი ცნობილი მოღვაწე მ. ნ ო ვ ო ს ე ლ ც ო ვ ი წერს, რომ, მაგალითად, ლენქორანის მაზრაში „ჩალტიკის კულტურას მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი მუსლიმანები მისდევენ, ხოლო მოსულ რუს მოსახლეობას არ შეუძლია ხელი მოჰკიდოს ასეთ ჭეშმარიტად კატორღულ და ადამიანის სიცოცხლისათვის მომაკვდინებელ სამუშაოსო". აქ ადრეული გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ფეხაკაბიწებული მუშაობენ წყალსა და ტალახში ჩამდგარნი, რაც „შალე არყევს და ძირს უთხრის აბორიგენთა ჯანმრთელობას და მათი უმრავლესობა სამარეში ჩადის ახალგაზრდა, ასე რომ ნამდვილად მოხუცებული აქ ძლიერ

---

[9] ТМКСХП, LII, 92.

[10] იქვე, 623—629.

[11] Н. Таратынов, „О роли чалтыка в Закавказском крае", 1901, стр. 12.

იშვიათია, ხოლო ნაადრევი მოხუცებულობა და დაუძლურება ჩვეულებრივი მოვლენაა. კაცი 30 და ქალი 20 წლისა აქ გამოიყურება, როგორც ნამდვილი მოხუცებული“ [12].

ჯანმრთელობისათვის ამ მავნებლურ მხარეს ბრინჯის კულტურისა, როგორც ნ. ტარატინოვი აღნიშნავდა, მრავალგან გრძნობდა მოსახლეობა ამიერკავკასიაში და „მიისწრაფიან უკვე საკვებით ხელი აიღონ ჩალტიკის კულტურაზე“, მაგრამ სოფლის თემები „ხშირად უძლურნი არიან ებრძოლონ უფრო ძლიერ და გავლენიან პიროვნებებს, რომელთაც ხელში ჩაუგდიათ სარწყავი წყალი“[13]. ამასთანავე, გასაგებია, რომ ბრინჯის საწმენდი ქარხნების ბაქოელი მეპატრონეები ყოველმხრივ დააბრკოლებდნენ ბრინჯის კულტურის საწინააღმდეგო მოძრაობის განვითარებას.

მეორე მხრით, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ, მაგალითად, ნ. ტ ა რ ა ტ ი ნ ო ვ ი თავგამოდებით იბრძოდა ბრინჯის კულტურის წინააღმდეგ, მას, ცხადია, ამ მიმართულებით ამოძრავებდა არა ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის ზრუნვის იდეა, არამედ ინტერესები რუსეთის ტექსტილური მრეწველობის მაგნატებისა, რომელნიც მიისწრაფოდნენ ამიერკავკასიაში ბრინჯის კულტურის ხარჯზე მებამბეობის განვითარებისაკენ, რათა იაფი და „მშობლიური ნედლეულით“ მოემარაგებიათ შიგარუსეთის საფეიქრო ფაბრიკები.

ბრინჯის კულტურა ფართოდ იყო განვითარებული აღმ. ამიერკავკასიის იმ რაიონებში, სადაც მორწყვა, როგორც მიწათმოქმედების აუცილებელი პირობა, რამდენადმე მაინც მოწესრიგებულ ხასიათს ატარებდა. სხვადასხვა რაიონში ბრინჯის პლანტაციის შემუშავების, მორწყვისა და სხვა სამუშაოები შედარებით დეტალურად აღწერილია ამიერკავკა-

---

[12] КСХ, 1895 г., № 80, стр. 1381; ТМКСХП, LII, 179—180.
[13] П. Т а р т ы н о в, „О роли чалтыка ..“, стр. 12—13, 16.

სიის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფიერების შემსწავლელი კომისიის მასალებში[14].

თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ამ რაიონთა მიწათმოქმედების ეკონომიკაში ბრინჯის კულტურა, ჩანს ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან, რომელიც შედგენილია ი. ანდრონიკაშვილის მიერ სპეციალური კვლევის შედეგად თავმოყრილ 1890-იანი წლების მეორე ნახევრის მონაცემთა მიხედვით (ცხრილი იხ. გვ. 301).

აღებულ წლებში ამიერკავკასიაში სასოფლო თემთა და კერძო მიწათმფლობელთა სარგებლობაში იყო სულ 1.253.000 დეს. სარწყავი მიწა; აქედან სხვადასხვა კულტურით დაკავებული იყო დაახლოებით 611.000 დესეტინა, ხოლო ამ უკანასკნელიდან ბრინჯზე მოდიოდა 50.900 დესეტინა, ე. ი. სარწყავზე დათესილ-გაშენებულ ყველა კულტურათაგან დაკავებული მიწების 8,31 პროცენტი. ცალკე გუბერნიების მიხედვით-კი ბრინჯს ხსენებულ შეფარდებაში ეჭირა: თბილისის გუბ. — 0,9%; ზაქათალის ოკრ. — 11,1%; ელისავეტპოლის გუბ. — 8,8%; ბაქოს გუბ. — 15,8%; ერევნის გუბ. — 4 პროცენტი[15].

ამგვარად, ბრინჯის კულტურა ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ბაქოს გუბერნიაში. რა თქმა უნდა, ეს კულტურა არათანაბარზომიერად იყო გავრცელებული ლენქორანისა და გეოგჩაის მაზრებში, სადაც თავმოყრილი იყო მთელი ბაქოს გუბერნიის ბრინჯის პლანტაციების 89,3 პროცენტი, ანუ 19.081 დესეტინა 21.343 დესეტინიდან[16]. ელისავეტ-

---

[14] იხ. МИЭБГКЗК: ყუბის მაზრისათვის — ტომი II, ნაწ. I, გვ. 197, 353; შემახიას, გეოგჩაისა და განჯის მაზრ. — VI, II, გვ. 134 — 136; ნუხისა და არეშის მაზრ. — VI, I, გვ. 65 — 66; ჯევანშირის მაზრ. — VI, I, გვ. 393; ზანგეზურის მ. — VI, I, გვ. 87; შარურის მ. — I, გვ. 686; ეჭმიაძინისა და სურმალოს მაზრ. — III, I, გვ. 316; ერევნის მ. — III, I, გვ. 92; ლენქორანის მაზრა — VII, გვ. 585 — 586; საერთოდ ამიერკავკასიაში. Х. Вермишев, „Земледелие...", стр. 352—364.

[15] И. Андроников, „Культура риса...", стр. 96—97.

[16] იქვე, გვ. 117.

ადმინისტრაც. ერთეულები	სარწყავი მიწა დესეტინობით						
	პური	ბრინჯი	ბამბა	ბალბოსტ. და ვენახი	იონჯა	სხვ. კულ-ტურები	სულ
1. თბილისის გუბერნია .	50.407	639	17	16.825	446	681	69.075
2. ზაქათალის ოკრუგი . .	24.625	5.634	—	19.994	—	689	50.942
3. ელისავეტპოლის გუბ.	120.925	16.738	2.920	37.523	1.780	11.562	191.448
4. ბაქოს გუბერნია . . .	83.500	21.343	1.799	27.458	—	616	134.716
5. ერევნის გუბერნია .	80.048	6.549	18.291	14.575	5.450	39.761	164.674
	359.505	50.903	23.027	116.435	7.676	53.309	610.855

პოლის გუბერნიაში ბრინჯის კულტურის მთავარი რაიონები იყო არეშისა და ნუხის მაზრები, რომლებზედაც მოდის 71,4% მთელი გუბერნიის ბრინჯის ფართობისა[17]. ერევნის გუბერნიაში-კი — ერევნის, ეჭმიაძინისა და შარურ-დარალაგიოზის მაზრებზე მოდიოდა ბრინჯის ყანების 94,5 პროცენტი, ხოლო ორ დანარჩენ მაზრაზე მხოლოდ 5,5 პროცენტი.

იმავე პერიოდში მიწათმოქმედების დანარჩენ კულტურებთან შედარებით ბრინჯის სახალხომეურნეობრივ მნიშვნელობაზე წარმოდგენას იძლევა ქვემომოყვანილი მონაცემები[18].

ადმინისტრაც. ერთეულები	ნათესები დესეტინებით	მოსავალი ფუთობით	ღირებულება მანეთობით
თბილისის გუბერნია	639	111.828	83 869
ზაქათალის ოკრუგი	5.634	985 950	739.462
ელისავეტპოლის გუბერნია	16 738	2.929.150	2.196 862
ბაქოს „	21.343	3.735.025	2.801 269
ერევნის „	6.549	1.146 07	859.556
სულ	50.903	8.908.028	6.681.017

როგორც ჩანს, ბრინჯის კულტურაში წამყვან როლს თამაშობდა აზერბაიჯანი, სადაც იგი გაბატონებული იყო კერძოდ ლენქორანის მაზრაში, რომელზედაც მოდის მთელი ამიერკავკასიის მოსავლის 25,2% (2.282.000 ფუთი); შემდეგ დგანან არეშისა და ნუხის მაზრები — 26% (2.354.000 ფ.) მთელი ამიერკავკასიის მოსავლისა; მერმე მოდიან გეოქჩაის მაზრა (11,67%) და ზაქათალის ოკრუგი (10,87%).

აზერბაიჯანის მეჩალტიკეობის რაიონებში, მაგალითად, ლენქორანის მაზრაში 900-იან წლებში მიწის იჯარისა და საიჯარო ქირის რამდენადმე თავისებური ფორმები იყო გავრცელებული:

[17] И. Андроников, „Культура риса...“ стр. 118.
[18] იქვე, გვ. 137.

1. თუ მიწის დამუშავებასა და მოსავლის აღებას მოიჯარე კისრულობდა, მაშინ ის მთელი მოსავლის ხუთი ნაწილიდან ღებულობდა სამ ნაწილს, ხოლო ორი ნაწილი მიწათმფლობელს მიქონდა; 2. თუ მიწას მოიჯარე და მეიჯარე საერთო ძალებით ამუშავებდნენ, ხოლო მოსავლის აღება (და გალეწვა) მოიჯარეს ეკისრებოდა, მაშინ მოსავალს მიწის პატრონი და მიწის მუშა შუაზე იყოფდნენ; და 3. თუ მემამულე მოიჯარეს თესლსა და შრომის იარაღებს აძლევდა და უკანასკნელს მთელი სამუშაოების შესრულება ეკისრებოდა, მაშინაც მოსავალი შუაზე იყოფოდა[19].

აზერბაიჯანის რიგ რაიონში ბრინჯის კულტურა შეადგენდა მეურნეობის ერთ-ერთ ყველაზე ძირითად დარგს. მაგალითად, ბაქოს გუბერნიის საერობო აგრონომის მოხსენების თანახმად, პირველი მსოფლიო ომის წლებში აქ მიწათმოქმედების მიმდევარი მოსახლეობა უმთავრესად აწარმოებდა: ხორბალს, ქერს, ბრინჯს, ბამბას, ასლს, ფეტეს, ჭვავს, ქუნჯუთს, თამბაქოს. „...ზოგიერთმა მცენარემ გარკვეულ რაიონებში წამყვანი როლი დაიჭირა და ასეთი მემცენარეობა იმდენადაა შესწავლილი მოსახლეობის მიერ, რომ მისი კულტურა სრულყოფილობამდეა მიღწეული. სამართლიანობა მოითხოვს ასეთს მივაკუთვნოთ ბრინჯის კულტურა ლენქორანის მაზრაში, რაც მებოსტნეობის კულტურის ხარისხამდეა აყვანილი და მშვენიერ შედეგებს იძლევა. ლენქორანის მაზრის მრავალ რაიონში იგი განსაკუთრებულ და ერთადერთ კულტურად გადაიქცა“ [20].

ნუხისა და არეშის მაზრებში ბრინჯის კულტურის მნიშვნელობის შესახებ პ ი ლ ც ო ვ ი წერდა (1903 წ.): „მეჩალტიკეობა ჩვენს დრომდე წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად დარგს სოფლის მეურნეობისა. ჩალტიკის პლანტაციებს უჭირავთ მთელი ნათესებისა და ნარგავების დაახლოებით

---

[19] „Очерк сельского и лесного хозяйства Ленкоранского уезда Бакинской губ.“, Баку, 1914 стр. 49.

[20] ДГЗАЗ, стр. 145.

30%... ნუხის მაზრის დიდ ნაწილში, სახელდობრ ნუხის დაბლობში მეჩალტიკეობა წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის უპირატეს საქმიანობას... აქ ხორბალი მეტად უმნიშვნელო მოსავალს იძლევა და ამასთანავე თითქმის ყოველ 3 — 4 წელიწადში მოითხოვს მწარმოებელთა (თესლის — პ. გ.) განახლებას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ხდება ხორბლის გადაგვარება. ამიტომაც აქ მოსახლეობა მარცვლეულ პურს მეტად განსაზღვრული ზომით სთესავს და არჩევს საოჯახო საჭიროებისათვის შეიძინოს იგი ბრინჯის ხორბალზე გადაცვლის გზით"[21].

ელისავეტპოლის გუბერნიის ნუხის მაზრაში „მეჩალტიკეობა, მეაბრეშუმეობასთან ერთად, შეადგენს უპირატეს საქმიანობას ადგილობრივი მოსახლეობისა" [22]. საერთოდ განჯის გუბერნიაში ბრინჯის მოსავალი უდრიდა (ჩეტვერტობით)[23]:

1885 წ.	89.030	1893 წ.	212.100
1886 წ.	147.630	1894 წ.	338.170
1887 წ.	194.730	1895 წ.	282.690
1888 წ.	275.490	1896 წ.	296.480
1889 წ.	254.810	1897 წ.	338.220
1890 წ.	206.370	1898 წ.	346.230
1891 წ.	233.770	1899 წ.	326.920
1892 წ.	162.410	1900 წ.	290.570

როგორც ვხედავთ, ელისავეტპოლის (განჯის) გუბერნიაში ბრინჯის მოსავალი და, მაშასადამე, პლანტაციების ფართობიც თანდათანობით იზრდებოდა მე-19 საუკ. უკანასკნელ ათეულ წლებშიაც. მაგრამ ამ მხრივ, როგორც აზერბაიჯანში, ისე საერთოდაც ამიერკავკასიაში, ბრინჯის კულტურას ძლიერი კონკურენცია და მედგარი შეტევა მოელოდა კერძოდ 1900-იანი წლებიდან.

[21] Пыльцов, „Ирригация в Елизаветпольской губ." (КСХ, 1903, № 475, стр. 982); იხ. აგრეთვე И. Сегаль „Сведения о Елизаветпольской губ.", 1902, I, стр. 51—53, 136.

[22] ТМКСХП, LII, стр. 91.

[23] И. Сегаль, назв. работа, I, стр. 56—57.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბრინჯის კულტურის დამახასიათებელი ნიადაგის დაჭაობიანებისა და, მაშასადამე, მოსახლეობაში სხვადასხვა ავადმყოფობათა გავრცელებისა გამო ამერკავკასიაში უკვე 1890-იანი წლებიდან დაიწყო მოძრაობა მის წინააღმდეგ [24].

ამ მოძრაობას უშედეგოდ როდი ჩაუვლია. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც დავინახეთ, მეჩალტიკეობა ფრიად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა შესაბამისი რაიონების ეკონომიკაში, უკვე აშკარად ემჩნევა მისი კულტურით დაკავებული ფართობის ნელ-ნელა, მაგრამ სისტემატური შემცირება. თუმცა, მართალია, ეს ტენდენცია ყველა რაიონში ერთნაირი ტემპით არ განვითარებულა. პირიქით, ზოგ რაიონში ადგილი ჰქონდა ბრინჯის პლანტაციათა ფართობის ზრდასაც-კი.

მაგრამ შევიწროების ტენდენციამ მაინც საყოველთაო ხასიათი მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ ბრინჯის ყანები შედარებით უხვ მოსავალს იძლეოდნენ; მაგალითად, ელისავეტპოლის გუბერნიაში დესეტინაზე 200 — 300 ფუთს, ე. ი. თესლის 25 — 30 და ზოგან 40-ჯერად მოსავალს [25]. თითქმის ანალოგიური იყო მდგომარეობა სხვა გუბერნიებშიც [26].

ბრინჯის კულტურას ამერკავკასიაში ავიწროებდა როგორც სხვა მარცვლეული, აგრეთვე მევენახეობა და განსაკუთრებით მებამბეობა. მ. ა ვ დ ე ე ვ ი (ბ. პეტროვიჩი) წერდა, რომ „ყველაზე უფრო მტკიცედ ჩალტიკის კულტურა მდგომარეობას ინარჩუნებს ლენქორანის, ყუბის და ნუხის მაზრებსა და ზაქათალის ოკრუგში, ე. ი. სწორედ იქ, სადაც არ არის ნათესები ბამბისა — ჩალტიკის პლანტაციების ამ მუდმივი კონკურენტისა“ [27].

---

[24] РТКЭД, стр. 675—677.

[25] И. С е г а л ь, назв. работа, I, стр. 52 – 53.

[26] И. А н д р о п и к о в, „Культура риса...“, стр. 130—131; МИЭБГКЗК, III, стр. 94.

[27] М. А в д е е в, „Рис в Эриванской губ.“, 1918, Тифлис, стр. 6—7.

ყარაიან საცდელი მინდვრის 1910 წლის ანგარიშგებაში ვკითხულობთ: „ადგილობრივ გლეხურ და მემამულურ მეურნეობებში მკვეთრად ეტყობა ბრინჯის კულტურის გამოდევნა ბამბის კულტურის მიერ“[28].

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ პერიოდში, როგორც, მაგალითად, 1890-იან წლების ბოლოსა და 1900-იანი წლების მიწურულსაც, რუსეთის ტექსტილური მრეწველობის ძლიერი გაელენის (დაწოლის) მეოხებით ამიერკავკასიაში ადგილობრივი ადმინისტრაცია (წყლის მეურნეობის სამმართველო, სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტი და სხვ.) პირდაპირ ატარებდა რიგ ღონისძიებას ბრინჯის სათესი ფართობის შემცირებისა და ბრინჯის ნაცვლად ბამბის პლანტაციების გაშენებისათვის[29].

ბრინჯის პლანტაციების შემცირების ხარჯზე მებამბეობის განვითარების ტენდენცია[30] განსაკუთრებით აშკარად ჩანს, კერძოდ ამიერკავკასიის მებამბეობის ცენტრში — ერევნის გუბერნიაში, სადაც ბრინჯის პლანტაციებს ეჭირა (დესეტინობით)[31]:

1904 წ.	8.348	1910 წ.	4.652
1905 წ.	7 504	1911 წ.	4.951
1907 წ.	4.169	1912 წ.	4.042
1908 წ.	7.630	1913 წ.	3.948
1909 წ.	7.069	1914 წ.	3.383

აქ, ამგვარად, რაღაც ათიოდე წლის მანძილზე ბრინჯის პლანტაციებით დაკავებული ფართობი ორჯერზე უფრო მეტად შემცირდა. თითქმის ასეთივე ტემპით მცირდებოდა ერევნის გუბერნიაში ბრინჯის ყოველწლიური მოსავალიც (სტატისტიკა იხ. გვ. 307).

---

[28] СССОУР, стр. 326.

[29] И. Андроников, „Культура риса...“, стр. 206—208.

[30] პ. გუგუშვილი, „ირიგაცია ამიერკავკასიაში 1801 — 1920 წწ“. (თსუ შრომები, 1946 წ., ტ. XXVIII, გვ. 53 — 55).

[31] М. Авдеев, „Рис...“, стр. 19.

ბრინჯის მოსავალი ერევნის გუბ. (ფუთობით):

1903 წ.	845.250	1909 წ.	536.880
1904 წ.	840.910	1910 წ.	608.300
1905 წ.	609.040	1911 წ.	551.300
1907 წ.	490.130	1912 წ.	548.000
1908 წ.	620.650	1913 წ.	591.200
		1914 წ.	558.400

რ. დანილოვიჩი აღნიშნავდა, რომ ერევნის გუბერნიის შარურ-დარალაგიოზის მაზრის იმ სოფლებში, სადაც მოსახლეობა „მისდევდა მხოლოდ და მხოლოდ ბრინჯის თესვას ძლიერ ზარალდებოდნენ ციებისაგან და უზომო სიკვდილიანობისა გამო 13 წელიწადში მოსახლეობა შემცირდა ორი მესამედით. ხოლო როდესაც ადმინისტრაციამ აკრძალა ბრინჯის თესვა, ავადმყოფობანი შესწყდა"; — და ამგვარ ვითარებას ადგილი ჰქონდა არაქსის ველის მრავალ ადგილასაო[32].

ცხადია, აქ ადმინისტრაცია ნამდვილად წაქეზებული იყო შიგარუსეთის ტექსტილური ფაბრიკებისათვის ესოდენ აუცილებელი ბამბის ნათესების გაფართოვების ინტერესებით მეტადრე, ვინემ ძოსახლეობის ჯანმრთელობის საკითხით. იგივე რ. დანილოვიჩი აცხადებს, რომ „ჩალტიკის დევნას ეწევა უპირატესად პრივილეგიური არამიწათმოქმედური კლასი... ხოლო მიწათმოქმედი კლასი, რომელიც ჩალტიკის პლანტაციებისაგან ღებულობს თავის საარსებო საზრდოს და თავის სიმდიდრეს" ფრიად სიმპატიურადაა მისდამი განწყობილი და, მიუხედავად საწინააღმდეგო რჩევა-დარიგებათა, ძლიერ მიისწრაფვის ბრინჯის კულტურისაკენო[33].

ამიერკავკასიაში წარმოებული ბრინჯის მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილზევე მოიხმარებოდა. კერძოდ, თბილისის გუბერნია 1890-იან წლებში თითქმის სამჯერ მეტ ბრინჯს მოიხმარდა, ვინემ აწარმოებდა. აქ საშუალოწლიურად იმ დროს მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა 15 გირვ. ბრინჯის მოხ-

[32] РТКЭТД, стр. 676.

[33] იქვე, გვ. 677.

მარება; ხოლო ერთი სულის საშუალოწლიური მოხმარება ერევნის, ელისავეტპოლისა და განჯის გუბერნიებში და ზაქათალის ოკრუგში უდრიდა 60 გირვანქას. მაგრამ მიუხედავად ამისა ამ რაიონებში მოხმარებაზე ბევრად უფრო მეტს აწარმოებდნენ; სახელდობრ ზაქათალის ოკრუგი მოიხმარდა ადგილობრივ წარმოებული ბრინჯის დაახლოებით მხოლოდ 12 პროცენტს, ელისავეტპოლის გუბერნია — 33%; ბაქოს გ. — 29%; ერევნის გ. — 88 პროცენტს[34].

უკვე ამ ცნობათაგან ჩანს, რომ ბრინჯი ამიერკავკასიიდან მნიშვნელოვანი რაოდენობით გაქონდათ. ამიერკავკასიიდან მიდიოდა უმეტესწილად გაწმენდილი ბრინჯი. ბრინჯის საწმენდი ქარხნები (წისქვილები) თავმოყრილი იყო უმთავრესად ქ. ბაქოში.

ამიერკავკასიიდან ბრინჯის რუსეთში გატანა საგრძნობ ხასიათს ღებულობს უკვე 1880-იანი წლებიდან დაწყებული. გასაზიდი ბრინჯის გაწმენდის მხრივ ბაქოს ქარხნებს დიდ კონკურენციას უწევდნენ ოდესის ქარხნები. თავიანთი კონკურენტუნარიანობის გაძლიერების მიზნით 1895 წელს ოდესელმა მექარხნეებმა მთავრობისაგან მოითხოვეს ბაჟის შემცირება უცხოეთიდან შემოსატან ბრინჯზე.

რუსეთში ბრინჯი შეჰქონდათ უმთავრესად ირანიდან, იტალიიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან. ოდესელ მექარხნეთა ხსენებულმა მისწრაფებამ შესაფერისი გამოხმაურება გამოიწვია ბრინჯის გატანაში დაინტერესებულ ამიერკავკასიელ კაპიტალისტებსა და თვით ბრინჯის მწარმოებელ რაიონებშიაც.

ა. ე ვ ა ნ გ უ ლ ო ვ ი მოითხოვდა: „ჩვენ პროტესტი უნდა გავაცხადოთ ოდესელ კომერსანტთა სახიფათო შუამდგომლობის წინააღმდეგ“, რადგან მათ მიერ განზრახულ ღონისძიებათა გატარება „მძიმე და გამანადგურებელ გავლენას

[34] ССРЦРК, т. V, стр. 132.

მოახდენს ბრინჯის მწარმოებელთა დიდი მასების ინტერესებზე კავკასიაშიო[35]".

მართლაც, ამ დროს ამიერკავკასიიდან, კერძოდ ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებიდან, ბრინჯი ყოველწლიურად გაქონდათ (ფუთობით):

1887 წ.—1.090.600	1889 წ.—1 019.870
1888 წ.—1.025.690	1890 წ.— 821.500
1891 წ.—1.136 500	1893 წ.—1.108 820
1892 წ. –1.310.750	

ამიერკავკასიიდან რუსეთში ბრინჯის მთავარი გამგზავნი რკინიგზის პუნქტები იყო, სადგურები: ბაქო, უჯარი, ლიაკი, ევლახი, განჯა, აქსტაფა, ყარაია, თბილისი და სხვ. ყველაზე მეტს, სახელდობრ მთელი გასატანი ბრინჯის 90%-ზე მეტს იძლეოდა ბაქო, რომელსაც მისდევდნენ ლიაკი, ევლახი, ყარაია[36]. საერთოდ ბაქოსა და განჯის გუბერნიებიდან ბრინჯი გაქონდათ უპირატესად რუსეთში, ხოლო ერევნ-ს გუბერნიიდან ყარსის ოლქში, აგრეთვე თურქეთისა და ირანის მეზობელ სამფლობელოებში[37].

1890-იან წლებში, ამიერკავკასიაში, ბრინჯის საშუალოწლიური მოსავალი უდრიდა, დაახლოებით, 8.900 ათას ფუთს. ამავე წლებში რუსეთის იმპერიაში საზღვარგარეთიდან შემოქონდათ, საშუალოდ. 2.630 ათასი ფუთი ბრინჯი, ხოლო გაქონდათ რუსეთიდან — 500 ათასი ფუთი, ე. ი. იმპორტი აღემატებოდა ექსპორტს 2.130 ათას ფუთით[38]. ხოლო შიგა რუსეთი მთლიანად მოიხმარდა წლიურად, დაახლოებით, 8.812 ათას ფუთს.

ამასთანავე, ი. ანდრონიკაშვილის გამოანგარიშებით რუსეთში უცხოეთიდან ბრინჯის იმპორტი სულ უფრო მატულობდა. მაშასადამე, შინაგან მოხმარებაში მატულობ-

---

[35] КСХ, 1895 г. № 74, стр. 1291.

[36] И. Андроников, назв. соч., стр. 131; приложение, стр. 69—81.

[37] М. Авдеев, „Рис в Эриванской губ.", стр. 29—31.

[38] ССКЦРК, V, 124.

და იმპორტული პროდუქტის ხვედრიწონა, რამდენადაც შესაბამისად კი არ იზრდებოდა, არამედ მცირდებოდა კიდევაც იმპერიის საზღვრებიდან ამ საქონლის ექსპორტი.

რუსეთში იმპორტულ ბრინჯზე მოთხოვნილების ზრდის მიზეზებს ი. ანდრონიკაშვილი ხედავდა „ერთის მხრით, მოსახლეობის ზრდაში, ხოლო მეორეს მხრით, თვით ბრინჯის მოხმარების გაფართოებაში, რაც უკანასკნელ ხანებში უფრო და უფრო მეტად გამოიყენება პირუტყვის საკვებად (ბრინჯის მტვერი) და სახამებლის საწარმოებლად. ფრიად საგულვებელია რომ უცხოური ბრინჯის შემოტანის გადიდება ნაწილობრივ გამოწვეული იყოს აგრეთვე მისი წარმოების შემცირებით კავკასიაშიო“ [39].

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს ბრინჯის მოსავლის დინამიკას ამიერკავკასიაში 1883—1914 წწ. აღებულ პერიოდში ყოველწლიურად დათესილი და აღებული ბრინჯის ურთიერთშედარება ნათელყოფს მოსავლიანობის დაცემის ტენდენციას (იხ. ცხრილი გვ. 311 — 312).

უკანასკნელი ოცი წლის მონაცემებიდან ჩანს აგრეთვე, რომ ბრინჯის მთლიანი მოსავალი სისტემატურად ეცემა. მართალია, 1894—1898 წლებში მოსავალი სულ უფრო მატულობს, მაგრამ ის იყო შედეგი ირიგაციის მეოხებით ბრინჯის პლანტაციების მნიშვნელოვანი გაფართოებისა, რის შედეგადაც, და ამასთანავე, ახლად ათვისებულ ფართობებზე შედარებით მაღალი მოსავლიანობის მეოხებით, ბრინჯის საერთო მოსავალმა უმაღლეს პუნქტს მიაღწია 1898 წელს, როდესაც აღებულ იქნა 1.286,2 ათასი ჩეტვერტი ბრინჯი.

ამ დროიდან მოყოლებული ბრინჯის საერთო მოსავალი სულ ეცემა (ათას ჩეტვერტობით): 1901 წ. — 728,1; 1912 წ. — 401,7; ხოლო 1914 წელს აღებულ იქნა მხოლოდ

---

[39] И. Андроников, назв. соч. стр., 125—126.

ბრინჯის მოხავალი ამიერკავკასიაში 1883—1914 წწ. (ათას ჩეტვერტობით)

ადმინისტრაციული ერთეული	1883 წ.		1884 წ.		1890 წ.		1891 წ.		1894 წ.		1895 წ.		1897 წ.	
	ცალკეული	ყველაფერი	ცალკეული	ყველაფერი	ცალკეული	ყველაფერი	ცალკეული	ყველაფერი	ცალკეული	ყველაფერი	ცალკეული	ყველაფერი	ცალკეული	ყველაფერი
ბაქოს გუბერნია	57,0	285,0	26,0	325,0	27,4	235,0	14,8	136,1	33,2	318,1	68,3	562,7	57,5	556,4
ელისავეტპოლის გუბ.	18,0	171,0	18,0	184,0	—	10,2	19,2	233,8	39,1	338,4	33,0	296,5	36,0	338,2
ზაქათალის ოკრუგი	—	—	9,0	134,0	—	—	5,2	41,4	—	—	—	—	—	—
ერევნის გუბერნია	4,0	60,0	6,0	91,0	15,1	202,4	19,2	258,8	17,3	351,6	18,5	360,7	17,7	359,5
თბილისის „	—	—	—	—	—	—	—	—	0,3	12,4	2,7	7,5	2,9	5,4
ქუთაისის „	—	—	—	—	—	—	—	—	0,1	1,0	0,2	1,8	0,2	1,8
ბათუმის ოლქი[1]	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ს უ ლ	79,0	516,0	59,0	734,0	42,5	447,6	58,4	670,1	90,0	1,021,5	122,7	1,229,2	114,3	1,261,3

[1] ბათუმის ოლქი 1903 წლამდე შედიოდა ქუთაისის გუბერნიაში.

ბრინჯის მოსავალი ამიერკავკასიაში 1883 – 1914 წწ. (ათას ჩეტვერტობით) გაგრძელება

ადმინისტრაციული ერთეული	1898 წ.		1901 წ.		1903 წ. ათას ფუთობით		1910 წ. ათას ფუთობით		1912 წ.		1914 წ.	
	ირიგაციული	ულიგაციული	ირიგაციული	ულიგაციული	ირიგაციული	ულიგაციული	ირიგაციული	ულიგაციული	ირიგაციული	ულიგაციული	ირიგაციული	ულიგაციული
ბაქოს გუბერნია .	56,4	308,2	56,9	250,0	457,4	2.540,0	79,6	525,4	152,0	64,1	7,8	54,8
ელისავეტპოლის გუბ.	29,4	346,8	37,1	290,6	345,3	4.622,6	15,2	224,3	20,4	82,2	30,2	148,3
ზაქათალის ოკრუგი	—	—	7,5	34,7	60,1	277,5	—	—	3,0	18,3	4,8	40,8
ერევნის გუბერნია .	17,7	595,5	7,3	142,6	58,0	845,2	32,6	608,3	13,8	234,7	4,1	31,4
თბილისის .	3,5	36,5	0,6	9,2	1,5	50,0	—	—	—	—	—	—
ქუთაისის .	0,1	1,2	—	1.0	—	—	—	—	—	—	—	—
ბათუმის ოლქი .	—	—	—	—	0,2	1,8	0,1	0,5	0,2	2,4	0,2	0.9
ს უ ლ	107,1	1.286,2	109,4	728,1	919,5	8.337,1	127,5	1.358,5	189,4	401,7	47,1	276,2

276,1; ე. ი. თითქმის ხუთჯერ ნაკლები, ვიდრე თხუთმეტიოდე წლის წინათ, სახელდობრ 1898 წელს.

ბრინჯის საერთო მოსავლის ეს შემცირება გამოწვეული იყო, არა იმდენად მოსავლიანობის დაცემით, არამედ სათესი ფართობის შემცირებით, რის მიზეზების შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

V

ცალკე მარცვლეულ კულტურათა ადგილი და როლი

ამიერკავკასიაში ცალკეულ მარცვლეულთა სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობის დახასიათებისათვის საკმარისია გავეცნოთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილს, სადაც წარმოდგენილია ცნობები სხვადასხვა მარცვლეულის სათესი ფართობის (ათას დესეტინობით) და მთლიანი მოსავლისა (ათას ფუთობით) 1909—1913 წწ.[1]. (იხ. ცხრილი გვ. 315).

წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს, რომ საქართველოში მარცვლეულის ნათესების მთელი ფართობის (708,1 ათასი დესეტინის) 49,5 პროცენტი (350,6 დეს.) მოდიოდა მხოლოდ სიმინდზე. სიმინდს აბსოლუტურად გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა კერძოდ დას. საქართველოში. ქუთაისის გუბერნიაში მთელი ნათესი ფართობის 72 პროცენტი ეჭირა სიმინდს, შემდეგ ხორბალზე მოდიოდა (მხოლოდ საშემოდგომოზე — 12%) — 17%, ქერზე — 4%, ფეტვნარზე (ღომსა და ჭადზე) — 5%, დანარჩენზე — 2%[2].

საქართველოში ხორბალზე (საშემოდგომო, საგაზაფხულო) მოდიოდა საერთოდ მარცვლეულის ნათესების 34,6 პროცენტი (245,3 დეს.). ნათესების ფართობის მხრივ ხორ-

---

[1] ПСХЗ, прилож. № 2, стр. 8—9; შეადარე „Народное хозяйство Закавказья в цифрах", 1927, Тифлис, стр. 206—207; აგრეთვე „Сборн. стат.-экон. сведений по сельск. хоз. России и иностран. государств", 1911, стр. 30—31.

[2] МСХСФККЗС, 98—99.

მარცვლეულის ნათესი ფართობი (ათას დესეტინობით) და მთლიანი მოსავალი (ათას ფუთობით) ამიერკავკასიაში 1909—1913 წწ.

მარცვლეულ კულტურათა დასახელება		საქართველო		სომხეთი		აზერბაიჯანი		სულ ამიერკავკასია	
		სათესი ფართობი	მთლიანი მოსავალი	სათესი ფართობი	მთლიანი მოსავალი	სათესი ფართობი	მთლიანი მოსავალი	სათესი ფართობი	მთლიანი მოსავალი
1. ხორბალი	საშემოდგომო	165,0	8.250,0	82,4	4.861,6	479,1	26.348,0	940,0	48.841,0
	საგაზაფხულო	80,3	3,693,8	133,2	5.687,6				
2. ქ ე რ ი		99,3	6.255,9	101,0	5.575,2	208,4	13.548,0	408,7	25.379,1
3. ჭვავი		3,6	186,1	0,3	11,5	—	—	3,9	.197,6
4. შვრია		0,9	39,7	0,1	5,4	2,1	134,7	3,1	179,8
5. სიმინდი		350,6	28.048,0	—	—	3,1	279,8	353,7	28.327,8
6. ფეტვი და ღომი		5,1	186,7	0,2	13,9	15,5	1.088,1	20,8	1.288,7
7. ასლი (шопи)		3,0	219,6	3,7	148,7	1,0	67,3	7,7	435,6
8. ლობიო		—	2.000,0	0,2	10,3	0,5	31,1	0,7	2.041,4
9. ბარდა (горох)		0,3	11,4	0,1	3,8	0,5	38,9	0,9	54,1
10. ბრინჯი		—	—	—	—	44,8	5.372,2	44,8	5.372,2
სულ . .		708,1	48,891,2	321,2	16.318,0	755,0	46,908,1	1,784,3	112,117,3
%%-ობით .		39,7	43,6	18,0	14,6	42,3	41,8	100	100

ბალს გაბატონებული ადგილი ეჭირა აღმ. საქართველოში. აღმ. საქართველოზე მოდის მთელ საქართველოში ხორბლის ნათესების დაახლოებით 88 პროცენტი (213 ათასი დეს.).

ხორბლისა და სიმინდის შემდეგ მოდიოდა ქერი, რომელსაც ეჭირა მთელი ნათესი ფართობის 14,0 პროცენტი (99,3 ათასი დეს.).

დანარჩენ მარცვლეულთაგან, როგორიცაა ფეტვი (ღომი), ჭვავი და სხვა, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ლობიო. რომელიც ჩვეულებრივ სხვა კულტურებში, კერძოდ სიმინდის ყანაში, აგრეთვე მრავალწლიან ნარგავთა შორის შეთესილი (ჩათესილი) სახით იყო უპირატესად გავრცელებული და რომელსაც, ამგვარად, ცალკე ფართობი საერთოდ, შედარებით, ძალზე მცირე ზომით ეჭირა.

ს ო მ ხ ე თ შ ი მარცვლეულით დაკავებული მთელი ფართობის (321,2 დეს.) 67,1 პროცენტი (215,6 დეს.) მოდიოდა ხორბალზე, რომლის შემდეგაც, თავისი მნიშვნელობით, მეორე ადგილი ეჭირა ქერს — მთელი ფართობის 31,4 პროცენტი (101 ათასი დეს.). დანარჩენ პურეულთაგან აქ რამდენადმე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ასლი, რომელზედაც მხოლოდ 3,7 დეს. ფართობი მოდიოდა.

ა ზ ე რ ბ ა ი ჯ ა ნ შ ი ყოველგვარი მარცვლეულის ნათესი ფართობის (755 ათასი დეს.) 63,5 პროცენტი (479,1 ათასი დეს.) ეჭირა ხორბალს, ხოლო მეორე ადგილზე მოდიოდა ქერი (208,4 ათასი დეს., ანუ 27,6 პროცენტი).

მართალია, მარცვლეულის ნათესების ფართობის მიხედვით აზერბაიჯანში ბრინჯს მხოლოდ მესამე ადგილი ეჭირა (44,8 ათასი დეს.), მაგრამ თავისი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობით უთუოდ მეორე ადგილზე გამოდიოდა და, ამასთანავე, იგი დიდი რაოდენობით იძლეოდა საქონლურ პროდუქციას. შემდეგ მოდიოდა ფეტვი, სიმინდი, შვრია, ასლი და სხვა.

საერთოდ ამიერკავკასიაში მარცვლეულის მთელი ნათესი ფართობის (1.784,3 ათასი დეს.) 39,7 პროცენტი მოდიოდა

საქართველოზე; 18,0 პროცენტი — სომხეთზე და 42,3 პროცენტი — აზერბაიჯანზე.

მეორე მხრით, ამიერკავკასიაში მარცვლეულის ნათესების მთელი ფართობიდან (1.784,3 ათასი დეს.) მოდიოდა, პროცენტობით: ხორბალზე — 52,7; ქერზე — 22,9; სიმინდზე — 19,8; ბრინჯზე — 2,5; ფეტვზე (ღომზე) — 1,2.

მარცვლეულის ნათესი ფართობი, რა თქმა უნდა, განსაზღვრავს ამა თუ იმ მარცვლეულის ხვედრიწონას საერთოდ მარცვლეულ მეურნეობაში, მაგრამ განსაზღვრავს მხოლოდ დაახლოებით და ისიც მხოლოდ ფიზიკური მოცულობის მიხედვით, რამდენადაც მარცვლეული კულტურები ხშირად მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მხოლოდ შრომატევადობითა და მოსავლიანობით, არამედ, განსაკუთრებით, თვით პროდუქტის ღირებულების მიხედვითაც.

ამ მხრივ მდგომარეობას წარმოგვიდგენენ, კერძოდ, ცნობები მარცვლეულ კულტურათა შემოსავლიანობის შესახებ.

ამიერკავკასიის სფსრ საგეგმო კომისიის მონაცემებით, ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მარცვლეულის ფასები აღებულია 1913 წლისა, — თვით წარმოების ადგილას არსებული მაზანდის მიხედვით (იხ. ცხრილი 318 გვ.-ზე).

როგორც ცხრილიდან ჩანს, მარცვლეულ კულტურათა მთლიანი შემოსავლიანობის მიხედვით ამიერკავკასიაში პირველი ადგილი ეჭირა აზერბაიჯანს. რომელზედაც მოდის მთელი მთლიანი შემოსავლის 50.6 პროცენტი, შემდგომი ადგილი ეჭირა საქართველოს — 33.7% და უკანასკნელი სომხეთს — 15,7%.

მაგრამ ახლა თუ ორივე ცხრილის (გვ. 315 და 318) მონაცემებს ერთმანეთს შევადარებთ შემდეგს დავინახავთ:

1. საქართველოს ამიერკავკასიაში ეჭირა მთელი სათესი ფართობის მიხედვით მეორე ადგილი (39,7%), მარცვლეულის მთლიანი მოსავლის მიხედვით პირველი ადგილი (43,6%), ხოლო მარცვლეულ კულტურათა შემოსავლიანობის მიხედვით მეორე ადგილი (33,7%);

მარცვლეულ კულტურათა შემოსავლიანობა (ათას მანეთობით) ამიერკავკასიაში 1909—1913 წწ.[3]

	ფასი ფუთისა კაპიკობით	მთლიანი შემოსავლიანობა ათას მანეთობით			
		საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯანი	სულ ამიერკავკასიაში
1. ხორბალი	90	10 749,4	9.494,2	23.713,2	43.956,8
2. ქერი	55	3.440,7	3.066,4	7.451,4	13.958,5
3. ჭვავი	60	111,7	6,9	—	118,6
4. შვრია	80	31,8	4,3	107,8	143,9
5. სიმინდი	40	11.219,2	—	211,9	11 331,1
6. ფეტვი და ღონი	50	93,4	7,0	544,1	644,5
7. ასლი	85	186,7	126,4	57,2	370,3
8. ლობიო	65	1.300,0	6,7	20,2	1.326,9
9. ბარდა	113	12,9	4,3	44,0	61,2
10. ბრინჯი . .	165	—	—	8.756,7	8.756,7
სულ	—	27.145,8	12.716,2	40.806,5	80.668,5
%-ობით	—	33,7	15,7	50,6	100

2. სომხეთს როგორც მთელი სათესი ფართობის (18.0%), მთლიანი მოსავლის (14,6%), ასევე შემოსავლიანობის (15,7%) მიხედვით მესამე ადგილი ეჭირა;

3. აზერბაიჯანს მეორე ადგილი ეჭირა მთლიანი მოსავლის (41.8%) მიხედვით, ხოლო პირველი ადგილი სათესი ფართობისა (42,3%) და შემოსავლიანობის (50,6%) მიხედვით.

---

[3] ПСХЗ, приложение № 2, стр. 10—11; როგორც ამ, იქ ზემოთ მოყვანილი ცხრილის ზოგიერთ მონაცემთა პირველწყაროსთან შედარებამ დაგვანახა, რომ ამიერკავკასიის სფსრ საგეგმო კომისიის მიერ 1925 წ. გამოცემული ეს ცნობები არცთუ იმდენად ზუსტია, მაგრამ რამდენადაც ისინი მდგომარეობას დაახლოებით მაინც სწორად გამოხატავენ, ხოლო პირველადი წყაროების ხელახალი შესწავლა და დამუშავება მეტად დიდ დროს მოითხოვს და ზოგიერთი მათგანი კიდევ მიუკვლეველი და იქნებ დაკარგულიც არის, ამიტომ იძულებული ვართ ამჯერად გამოვიყენოთ ეს მონაცემები, რომლებიც ისტორიული თვალსაზრისით მით უფრო მისაღები მოსჩანან, რომ თავის დროზე პრაქტიკული მიზნითაც იყენენ გამოყენებულნი.

საქართველოს მარცვლეულ კულტურათა მთლიანი მოსავლის მიხედვით პირველი ადგილი ეჭირა კერძოდ სიმინდის კულტურის მეოხებით. აქ მარცვლეულის მთელი მთლიანი მოსავლის (48.891,2 ათასი ფუთი) უდიდესი ნაწილი (28.048,0 ათასი ფუთი) მოდიოდა სიმინდზე. მაგრამ სიმინდის ფასი დიდად (ოთხჯერზე მეტად) ჩამოუვარდებოდა აზერბაიჯანში გავრცელებულ ისეთ მარცვლეულისას, როგორიცაა ბრინჯი, რომ არა ვსთქვათ რა შესახებ ხორბლისა, რაც ესოდენ ფართოდ იყო გავრცელებული აზერბაიჯანში, სადაც მას ეჭირა მთელი მარცვლეულის სათესი ფართობის (755 ათასი დესეტინა) უდიდესი ნაწილი (479,1 ათასი დესეტინა) და მასზე მოდიოდა მარცვლეულთა მთელი შემოსავლის (40.806,5 ათასი მან.) თითქმის 60 პროცენტი.

როგორც განხილული მასალებიდან ჩანს ამიერკავკასიაში მარცვლეულთაგან მთლიანი მოსავლის მიხედვით (ფიზიკური მოცულობით) პირველი ადგილი ეჭირა ხორბალს, მერმე მოდიოდნენ, თანმიმდევრობით, სიმინდი, ქერი, ბრინჯი, ლობიო, ფეტვი, ღომი და ა. შ. ეს თანმიმდევრობა იცვლება, როდესაც საკითხს შემოსავლიანობის თვალსაზრისით (ფულადი გამოსახულებით) განვიხილავთ. ხორბალს. ცხადია ამ მხრივაც პირველი ადგილი უჭირავს, მეორე ადგილს კი იკავებს ქერი, მერმე მოდიან სიმინდი, ბრინჯი, ლობიო და ა. შ.

*
* *

ამიერკავკასიაში გავრცელებულ ხორბლეულთაგან ჩვენ ზემოთ სპეციალურად განვიხილეთ მხოლოდ ხორბლის, სიმინდისა და ბრინჯის კულტურები. როგორც უკვე ზემოთ მოყვანილ სტატისტიკურ მონაცემთაგან აშკარად ჩანს, მათ შორის საპატიო ადგილი ეჭირა კერძოდ ქერის კულტურას. რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საერთოდ ამიერკავკასიის პურფურაჟის ბალანსში.

ქვემომოყვანილი ცხრილები გვიჩვენებენ ამიერკავკასი-

ის გუბერნიებში ქერის, ფეტვის, ჭვავისა და შვრიის მოსავლის დინამიკას 1883 — 1914 წწ. (იხ. გვ. 321 — 328).

საკითხს, თუ რა ადგილი ეჭირა მარცვლეულის მეურნეობას საზოგადოდ მიწათმოქმედებაში, რაოდენი ფართობი მოდიოდა მარცვლეულზე კერძოდ ნათესებიდან და საერთოდ სახმარი მიწის ფონდიდან ჩვენ დაწვრილებით შევეხებით საბჭოთამდელი ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის დარგთა და კულტურათ. შეთანაწყობის პრობლემებისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში.

დასასრულ, აქ უნდა შევჩერდეთ მარცვლეულის მეურნეობის სოციალური მხარის ერთ მომენტზე. ზემოთ ჩვენ აღნიშნული გვაქვს, რომ მარცვლეულის წარმოება ამიერკავკასიაში უმთავრესად გლეხურ მეურნეობათა ხელში იყო, ისევე, როგორც საერთოდაც ამიერკავკასიური სოფლის მეურნეობა არსებითად წვრილგლეხურ მეურნეობათა თავისებურ გროვას წარმოადგენდა.

1916 წელს ჩატარებული სოფლის მეურნეობის აღწერის ქვემოთ მოყვანილი წინასწარი მონაცემები[1] ამ მხრივ თვალწინ გვიშლიან საინტერესო სურათს. ჩვენს ცხრილში ამიერკავკასიის ცალკე გუბერნიების შესაბამისად მთელი ნათესი ფართობი წარმოდგენილია როგორც სოფლის მეურნეობის კულტურათა (ე. ი. ცალკე სახეობის ნათესების), ასევე (რაც ხსენებული თვალსაზრისით მთავარია) ამ ნათესების და კერძოდ მარცვლეულის ნათესების, „გლეხური ტიპის მეურნეობასა“ და „კერძომფლობელურ მეურნეობას“ შორის დანაწილების მიხედვით (იხ. ცხრილი გვ. 330 — 332).

ცხადია, ჩვენ არ შეგვიძლია ამ მასალათა სასურველი ნიშნების, ე. ი. იმდროინდელ სოფელში ფაქტიურად არსებული კლასების (ღარიბი და წვრილი გლეხობის, კულაკობისა და ა. შ.) შესაბამისად გადაანგარიშება და იძულებული ვართ თვითმპყრობელობის მიერ სოფლისმეურნეობრივი

---

[1] იხ. П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения“, т. IV, стр. 434—435.

ქერის მოსავალი ამიერკავკასიაში 1883—1914 წწ. (ათას ჩეტვერტობით)

ადმინისტრაციული ერთეულები	1883 წ.		1884 წ.		1890 წ.		1891 წ.		1894 წ.		1896 წ		1897 წ.	
	დათესილი ფართი	მოსავალი	დათესილი ფართი	მოსავალი	დათესილი ფართი	მოსავალი	დათესილი ფართი	მოსავალი	დათესილი ფართი	მოსავალი	დათესილი ფართი	მოსავალი	დათესილი ფართი	მოსავალი
ბაქოს გუბერნია . .	220,0	1193,0	58,0	435.0	83,4	385.7	100.3	813,8	183,1	1172,1	201,5	1379.8	222.2	1414,5
განჯის გუბერნია .	79,0	507,0	86,0	619,0	113,8	679,9	123,4	782.5	106,1	668,9	123.2	798.9	134,2	696,4
ზაქათალას ოკრუგი .	—	—	13,0	50,0	—	—	5,2	16.4	6,5	22.0	—	—	8.1	32,2
ერევნის გუბ.	70,0	357,0	79,0	442.0	136,8	648.3	139,1	649.9	102,9	485.5	133.9	676.6	91,2	328.5
თბილისის გუბ. . .	83,0	750,0	89,0	1104.0	111,3	613.2	114,7	634,7	118.4	681.5	117.2	544.7	145,1	572,2
ქუთაისის გუბ. - .	5,0	34,0	25,0	130,0	4,3	19,1	6.1	26,7	11,2	49.2	11.1	65,3	12,8	70,1
ბათუმის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
სოხუმის ოკრუგი .	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ს უ ლ	457,0	2.841,0	350,0	2.780.0	449.6	2.346,2	488,8	2.924.0	527.9	3.079.2	586.9	3.465.3	613.6	3.113.9

ქერის მოსავალი ამიერკავკასიაში 1883—1914 წწ (ათას ჩეტვერტობით) გაგრძელება

ადმინისტრაციული ერთეულები	1898 წ.		1901 წ.		1903 წ. ათას ფუთობით		1910 წ. ათას ფუთობით		1912 წ.		1914 წ.	
	ნ�	ნიადაგ	ნست	ნიადაგ	ნست	ნიადაგ	ნست	ნიადაგ	ნست	ნიადაგ	ნست	ნიადაგ
ბაქოს გუბერნია .	193,4	1268,1	94,1	401,3	829,2	4.302,5	1100,6	4400,3	267,8	995,2	111,2	550,9
განჯის გუბერნია .	126,6	702,5	130,7	504,9	1521,3	9.303,6	132,8	485,9	108,2	473,6	216,9	1.049,1
ზაქათალას ოკრუგი	—	—	6,7	14,5	53,8	115,9	14,6	70,6	5,9	17,8	5,7	27,5
ერევნის გუბ.	83,7	670,5	110,9	513,3	803,1	3.968,3	902,3	4175,0	334,1	1.695,1	146,7	783,1
თბილისის გუბ. . .	143,4	623,1	142,5	636,3	1347.3	5.375,3	1337,0	5611,2	209,2	888.2	155,8	784,9
ქუთაისის გუბ.	13,8	56,1	9,5	43,1	41,6	209,8	10,6	41,8	25,8	107,7	30,0	138,1
ბათუმის ოლქი[1] . .	—	—	—	—	26,6	110,7	35,1	79,1	3,3	15,3	0,2	0,8
სოხუმის ოკრუგი[1]	—	—	—	—	—	—	0,3	1,5	0,1	0,3	—	—
ს უ ლ .	560,9	3.320,4	494,4	2.163,4	4.623,0	23.386,1	3.533,9	14.865,4	954,4	4.193,2	666,5	3.334,4

[1] ბათუმის ოლქი და სოხუმის ოკრუგი 1903 — 4 წლამდე შედიან ქუთაისის გუბერნიაში.

ფეტვის მოსავალი ამიერკავკასიაში 1883—1914 წწ. (ათას ჩეტვერტობით)

ადმინისტრაციული ერთეულები	1883 წ.		1884 წ.		1890 წ.		1891 წ.		1894 წ.		1896 წ.	
	ათასობა	ფასობა	ათასობა	ფასობა	ათასობა	ფასობა	ათასობა	ფასობა	ათასობა	ფასობა	ათასობა	ფასობა
ბაქოს გუბ.	2,0	14,0	2,5	38,0	3,3	36,4	4,3	38,7	4,3	74,1	4,7	72,0
განჯის „	8,0	67,0	7,0	81,0	17,6	85,3	25,9	124,7	23,5	149,2	19,5	204,0
ზაქათალას ოკრ.	—	—	3,0	13,0	—	—	1,1	41,4	6,1	3,5	—	—
ერევნის გუბ.	—	—	—	—	1,8	17,4	2,9	28,8	1,1	15,3	1,2	14,9
თბილისის „	—		—	—	1,9	14,8	1,9	18,3	15,0	52,0	6,9	39,2
ქუთაისის „	1,0	26,0	1,5	26,0	0,7	21,4	0,5	14,6	2,5	70,4	3,3	74,2
ბათუმის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
სოხუმის ოკრუგი	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ს უ ლ	11,0	107,0	14,0	158,0	25,3	175,3	36,6	266,5	52,5	364,5	35,6	404,3

ფეტვის მოსავალი ამიერკავკასიაში 1883—1914 წწ. (ათას ჩეტვერტობით) გაგრძელება

ადმინისტრაციული ერთეულები	1897 წ.		1901 წ.		1903 წ. ათას ფუთობით		1910 წ. ათას ფუთობით		1912 წ.		1914 წ.	
	ითესილი დესიატინა	მოსავალი ფუთი	ითესილი დესიატინა	მოსავალი ფუთი	ითესილი დესიატინა	მოსავალი ფუთი	ითესილი დესიატინა	მოსავალი ფუთი	ითესილი დესიატინა	მოსავალი ფუთი	ითესილი დესიატინა	მოსავალი ფუთი
ბაქოს გუბ. . .	4,2	84,9	2,3	45,5	11,1	123,1	10,5	200,9	4,6	24,9	0,7	3,4
განჯის „	18,9	185,6	5,4	86,3	113,8	1050,6	10,7	87,9	6,5	47,8	17,4	103,1
ზაქათალას ოკრ. .	0,9	4,9	4,3	13,4	34,2	107,0	4,5	5,4	1,1	8,2	1,0	19,4
ერევნის გუბ.	0,7	5,0	0,8	11,4	1,6	11,7	0,3	9,1	0,2	6,8	0,1	0,3
თბილისის „ .	3,9	25,8	4,7	17,2	27,4	218,9	12,8	65,1	3,3	15,5	2,3	57,4
ქუთაისის „	2,8	60,1	0,04	1,7	4,1	27,4	0,6	5,6	1,3	7,9	0,9	6,7
ბათუმის ოლქი .	—	—	—	—	—	—	0,3	1,7	0,008	0,07	—	—
სოხუმის ოკრუგი .	—	—	—	—	—	—	0,2	2,1	0,02	0,06	—	—
ს უ ლ . .	31,4	366,3	17,5	175,5	192,2	1.538.7	39,9	377,8	17,0	111,2	22,4	190,3

სტატისტიკისათვის მიღებული სოციალური ჯგუფების მიხედვით ვიმსჯელოთ, მაგრამ ამგვარი მონაცემებიც გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

უნდა ითქვას, რომ ქვემოთ მოტანილ ცხრილში (იხ. გვ. 330 — 332) „გლეხური ტიპის მეურნეობის“ სახით წარმოდგენილია სოფლის მოსახლეობის თითქმის მთელი მასა, ე. წ. „გამომღებელი წოდება“. მაშასადამე „მთელი გლეხობა“. მაგრამ, როგორც ვიცით, ეს „მთელი გლეხობა“ მაშინ, ადრე ხნით ადრეც, უკვე გაფიცული იყო ანტაგონისტურ კლასებად. სოფლის წვრილმწარმოებელთა ძირითად მასას შეადგენდა უღარიბესი, ღარიბი და წვრილი გლეხობა. სოფელში გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა კულაკობას, რაც მოსახლეობის 3—5 და უკიდეგანეს შემთხვევაში 10 პროცენტს არ აღემატებოდა. ეს კულაკობა ქმნიდა სოფლის მეურეუაზიას, რომლის ხელშიც თავმოყრილი იყო საკვებეული სასნავი მიწები. ბნეშვნელოვანი რაოდენობით სოფლის მეურნეობის ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი და სხვა სიმდიდრე. ფულისა თუ სხვადასხვა უძრავ-მოძრავი ქონების სახით[1].

ცხრილში წარმოდგენილ „კერძომფლობელური მეურნეობაში“ იგულისხმება უმთავრესად თავადაზნაურული წარმოშობის მემამულური მეურნეობები და, შედარებით მცირე ოდენით, მსხვილი კაპიტალისტური (ფერმერული, სავაჭრო ნაწარმოებების სახით ორგანიზებული) საწარმოები.

როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, თბილისის გუბერნიაში, მთელი ნათესი ფართობის 98.2 პროცენტი ეჭირა „გლეხური ტიპის მეურნეობაზე“, ხოლო მემამულურ და ფერმერულ მეურნეობათა ხვედრიწონა არ აღემატება 1.8 პროცენტს. საერთოდ დას. საქართველო და კერძოდ ქუთაისის გუბერნია, როგორც წვრილი მიწათმფლობელობისა და,

[1] დაწვრილებით იხ. პ. გუგუშვილი, „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება“, მონოგრაფიები, ტ. II, გვ. 639—866; 902—925.

ქვავის მოხავალი ამიერკავკასიაში

ადმინისტრაციული ერთეულები	1883 წ.		1890 წ.		1894 წ.		1896 წ.	
	ულესი	ულესი	ულესი	ულესი	ულესი	ულესი	ულესი	ულესი
ბაქოს გუბ. .	2,0	3,0	0,5	2,0	0,2	1,3	0,5	4,3
განჯის „ . .	—	—	3,3	10,2	3,3	11,3	—	—
ზაქათალას ოკრ.	—	—	—	—	—	—	—	—
ერევნის გუბ. . .	—	—	0,2	1,1	0,8	2.3	—	—
თბილისის „	0,75	4,0	0,3	0,8	1,6	5,1	1,4	3,3
ქუთაისის „	0,75	3,0	0,2	0,6	1,1	5,7	—	—
ს უ ლ	3,5	10,0	4,5	14,7	7,0	25,7	1,9	7,6

1883—1914 წწ. (ათას ჩეტვერტობით)

1897 წ.		1898 წ.		1901 წ.		1903 წ. ათას ფუ-თობით		1910 წ. ათას ფუ-თობით		1912 წ.		1914 წ.	
ცალფესლიანს	ცალფესლიანს	ცალფესლიანს	ცალფესლიანს	ცალფესლიანს	ცალფესლიანს	ცალფესლიანს	ცალფესლიანს	ცალფესლიანს	ცალფესლიანს	ცალფესლიანს	ცალფესლიანს	ცალფესლიანს	ცალფესლიანს
0,6	1,4	0,9	3,6	0,3	1,0	21,3	121,5	46,3	195,3	9,5	96,9	0,03	0,1
—	—	0,006	0,04	—	—	—	—	0,5	3,1	0,2	0,7	2,4	25,7
—	—	—	—	—	—	—	—	1,8	13,1	—	—	—	—
—	—	—	—	0,2	0,3	2,6	10 9	1,6	5,2	0,1	0,9	0,5	1,5
1,5	2,6	1,1	2,9	0,4	1,0	3,5	17,3	0,4	0,9	0,05	0,2	0,02	0,1
1,6	10,8	0,4	1,8	1,6	6,1	5,3	16,1	0,1	1,8	0,4	1,8	0,5	2,2
3,7	14,8	2,4	8,3	2,5	8,4	32,7	165,8	50,7	219,4	10,2	100,5	3,4	29,6

შვრიის მოსავალი ამიერკავკასიაში 1883–1914 წწ. (ათას ფუთებად)

ადმინისტრაციული ერთეულები	1883 წ.		1884 წ.		1890 წ		1891 წ		1894 წ.		1896 წ.	
	ნაწილობრივ	სულ	ნაწილობრივ	სულ	ნაწილობრივ	სულ	ნაწილობრივ	სულ	ნაწილობრივ	სულ	ნაწილობრივ	სულ
ბაქოს გუბ.	—	—	—	—	—	—	—	—	0,07	0,6	0,05	0.2
განჯის „	0,25	1.0	0,75	2,0	0,4	2,1	0.5	0,5	2.8	7,9	0.6	3,6
ერევნის „	—	—	—	—	—		—	—	0,03	0,08	—	—
თბილისის „	5,0	31.0	6,0	31.0	1,8	10,7	3 5	17,4	1,7	8.3	3,2	13,4
ქუთაისის „	—	—	—	—	—	—	—	—	0,07	0,5	0,03	0,2
ბათუმის ოლქი	—	—	—	—	—	—		—	—	—	—	—
სოხუმის ოკრ.	—	—	—		—	—	—	—	—	—	—	—
ს უ ლ	5,25	32,0	6 75	33.0	2 2	12.8	4,0	17,9	4,6	17,4	3,9	17,4

შვრიის მოსავალი ამიერკავკასიაში 1833—1914 წწ. (ათას ჩეტვერტებით) გაკრძალება

ადმ. მისტრაკიღლი ერთეული	1897 წ.		1898 წ.		1901 წ.		1903 წ. ათას ფუთ-ით		1910 წ. ათას ფუთ-ით		1912 წ.		1914 წ.	
	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ
ბაქოს „	0,05	0,3	0,1	0.5	0,01	0.04	0,06	0,3	1,0	5,1	0,4	2,1	—	—
განჯის	0,5	1,9	0,7	3,9	1.1	2,5	48,3	115,9	0,5	2,3	—	—	0,7	6,8
ერევნის	—	—		—	—	—	—	—	2,1	6,6	0,5	1,8	0.04	0,1
თბილისის „	4,7	16.0	3,6	16,5	2.3	14,8	60,6	300,9	51,7	166.8	10,7	47,8	6,2	17,4
ქუთაისის „	0,05	0.3	0,1	0.7	0,3	1,7	8 6	42,9	0,06	0,4	4,1	8,8	0,4	1,9
ბათუმის ოლქი	—	—	—	—	—		0,07	0.1	0.1	0,8	0 2	0,8	—	—
სოხუმის ოკრ.	—	—	—	—		—	—	—	1,0	1,0	0,1	1,[illegible]	0,07	0.7
ს უ ლ	5,3	18,5	4,5	21.6	3,7	19,0	117,5	460,1	56,5	183,0	16,0	62,5	7,4	26,9

ნათესები ამიერკავკასიაში 1916 წლის აღწე-

გუბერნიები	მეურნეობათა კატეგორიები	ქვავი		ხორბალი		შერია	ჯერი
		შემოდგომის	გაზაფხულის	შემოდგომის	გაზაფხულის		
	1	2	3	4	5	6	7
თ.ბილისის	გლეხური ტიპის მეურნეობა	2224	1216	72647	26559	1092	38844
	კერძომფლობ. მეურნეობა	4	1	1507	183	24	645
	ს უ ლ	2228	1217	74154	26742	1116	39489
ქუთაისის	გლეხური ტიპის მეურნეობა	48	68	7302	253	2	815
	კერძომფლობ. მეურნ.	2	1	192	2	—	1
	ს უ ლ	50	69	7494	255	2	816
სოხუმის ოკრ.	გლეხური ტიპის მეურნ.	6	—	19	2	51	43
	კერძომფლობ. მეურნ.	—	—	—	—	3	—
	ს უ ლ	6	—	19	2	54	43
ბაქოს	გლეხური ტიპის მეურნ.	—	—	26305	2	3	26407
	კერძომფლობ. მეურნ.	—	—	1755	—	—	2126
	ს უ ლ	—	—	28060	2	3	28533
ელისავეტ	გლეხური ტიპის მეურნ.	426	1130	94920	4485	961	37710
	კერძომფლობ. მეურნ.	7	31	7111	174	709	4401
	ს უ ლ	433	1161	102031	4662	1670	42111
ერევნის	გლეხური ტიპის მეურნ.	529	7067	37790	57516	28	60344
	კერძომფლობ. მეურნ.	3	40	389	69	2	144
	ს უ ლ	532	7107	38179	57585	30	60488
ამიერკავკასიაში	გლეხური ტიპის მეურნეობა	3.233	9.481	238.983	88.820	2.137	164.163
	კერძომფლობ. მეურნეობა	16	73	10.954	428	738	7.317
	ჯამი	3.249	9.554	249.937	89.248	2.875	171.480

[1] ბათუმის ოლქსა და ზაქათალის ოკრუგში აღწერა არ [illegible]ატარებულა.

რიხ წინახწარი ცნობებით (დესეტინობით)

ფაბრი	წინიბეგნა	ბარდა	ლესი	ლობიო	სიმინდი	ასილი (ბაკლეული ბრინჯი)	კარტოფილი	ფიზეფბრინა	...	...	...	...
8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
2243	26	764	2	61	24390	1456	3207	580	1594	54	—	12
24	1	4	—	15	282	30	124	10	3	—	—	13
2267	37	768	2	76	24372	1486	3431	590	1597	54	—	25
—	—	1	—	10	139543	—	67	—	—	2	—	—
—	—	1	—	6	1672	2	1	—	—	—	—	—
—	—	2	—	16	141215	2	68	—	—	2	—	—
—	—	—	—	160	32437	—	25	—	—	—	—	—
—	—	—	—	2	226	—	2	—	—	—	—	—
—	—	—	—	162	32663	—	27	—	—	—	—	—
931	—	3	—	241	17	—	—	24	49	1	462	—
48	—	—	—	—	3	—	—	—	—	—	8	—
979	—	1	—	—	20	296	12[illegible]8	24	49	1	470	—
8062	11	4	—	241	953	[illegible]	10	470	333	262	—	—
894	—	10	12	114	91	[illegible]	123[illegible]	7	—	2	—	—
8956	11	—	—	—	1043	1611	[illegible]	477	333	264	—	—
91	—	10	12	114	52	[illegible]	[illegible]	40	1149	23	5	—
6	—	10	28	144	—	[illegible]	[illegible]	—	—	—	—	—
97	—	—	—	—	52	[illegible]	[illegible]	40	1149	28	5	—
11.327	47	10	28	144	[illegible]	[illegible]	[illegible]	604	3.125	342	467	12
972	1	789	12	730	197.092	[illegible]	[illegible]	17	3	2	8	13
12.299	48	6	—	23	2.274	[illegible]	[illegible]	11	3.128	344	475	25
		791			660							

ნათესები ამიერკავკასიაში 1916 წლის აღწერის წინასწარი ცნობებით (დესეტინობით)

გუბერნიები	მეურნეობათა კატეგორიები	თამბაქო	ბოსტნეული	ბალახები ერთწლიანი	ბალახები მრავალწლიანი	ბალახები ბუნებრივად (ველთაიერებად ბარტყი)	სულ ნათეს	ფერნეულია კულტივირებ. გვ.
		21	22	23	24	25	26	27
თბილისის	გლეხური ტიპის მეურნეობა	691	455	33	217	50	178227	98,2
	კერძომფლობ. მეურნეობა	12	157	—	110	59	3208	1.8
	სულ	703	612	33	327	109	181435	100
ქუთაისის	გლეხური ტიპის მეურ.	182	237	8	55	1097	149690	98,7
	კერძომფლობ. მეურნ.	—	1	2	4	4	1891	1,2
	სულ	182	238	10	59	1101	151581	100
სოხუმის ოკრ.	გლეხური ტიპის მეურნ.	9109	58	141	133	—	42184	99,3
	კერძომფლობ. მეურნ.	55	11	—	17	15	331	0,7
	სულ	9164	69	141	150	15	42515	100
ბაქოს	გლეხური ტიპის მეურნ.	—	345	4	10	32113	86917	92,1
	კერძომფლობ. მეურნ.	—	1	—	3	3522	7467	7,9
	სულ	—	346	4	13	35635	94384	100
ელისავეტპოლის	გლეხური ტიპის მეურნ.	118	491	2986	1203	21486	177656	91,6
	კერძომფლობ. მეურნეობა	4	21	422	92	5423	19399	8,4
	სულ	122	512	3408	1295	26909	197055	100
ერევნის	გლეხური ტიპის მეურნეობა	170	1618	951	7725	15510	197562	93,3
	კერძომფლობ. მეურნეობა	—	32	13	146	392	1237	6,7
	სულ	170	1650	964	7871	15902	198799	100
ამიერკავკასიაში	გლეხური ტიპის მეურნეობა	10.270	3.204	4.123	9.343	70.256	832.236	96,1
	კერძომფლობ. მეურნეობა	71	223	447	372	9.415	33.533	3,9
	ჯამი	10.341	3.427	4.570	9.715	79.671	865.779	100

მაშასადამე, გლეხური (პარცელარული) სოფლის მეურნეობის მხარე ამიერკავკასიაში და მთელს რუსეთის იმპერიაშიაც ამ მხრივ სარეკორდო მაჩვენებელს იძლევა. აქ მთელი ნათესი ფართობის 98.7 პროცენტი მოდის საერთოდ გლეხურ მეურნეობაზე და მხოლოდ 1.2 პროცენტი ნათესებისა ეკუთვნოდა მსხვილ მემამულურ მეურნეობებს.

„გლეხური ტიპის მეურნეობათა“ ხვედრიწონა მნიშვნელოვნად ნაკლებია ბაქოსა (92,1%), ელისავეტპოლისა (91.6%) და ერევნის (93,3%) გუბერნიებში.

ბაქოს გუბერნიაში „კერძომფლობელურ მეურნეობაზე“ მოდიოდა მთელი ნათესი ფართობის 7,9 პროცენტი, ელისავეტპოლის გუბერნიაში — 8.4. ხოლო ერევნისაში — 6,7 პროცენტი. რაც 4—7-ჯერ და მეტადაც აღემატება თბილისისა და განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიის შესაბამის მაჩვენებელს.

საერთოდ მთელ ამიერკავკასიაში „გლეხური ტიპის მეურნეობაზე“ მოდიოდა მთელი ნათესი ფართობის 96,1 პროცენტი, ხოლო „მემამულურ მეურნეობაზე“-კი მხოლოდ 3,9 პროცენტი.

ეს მონაცემები უკვე თავისთავად ღაღადებენ იმ ზემოთ მოყვანილი დებულების სისწორისათვის, რომ კერძოდ მარცვლეულის მეურნეობა ამიერკავკასიაში ძირითადად წვრილგლეხურ წარმოების სფეროში მოძრაობდა, რომ აქ მარცვლეულს უმთავრესად საკუთარი მოხმარებისათვის აწარმოებდნენ და, მაშასადამე. არც ამ მიმართულების საკაჭრო მიწათმოქმედება ყოფილა განვითარებული.

VI

მემინდვრეობის ზოგადი საკითხები

1. ნიადაგის ნაყოფიერება

ინგილო ჯანაშვილი 1860-იან წლებში ქადაგებდა მიწების დასვენების სისტემისათვის: „ძლიერ საჭირო ყოფილა და სასარგებლო იქნებოდა მოსავლისათვის, რომ ,სახნავ-სათესი და საძოვარი მიწები ერთმანეთში იცვლებოდნენ, ესე იგი ერთ წელიწადს თუ რომელიმე მიწა მოხნულია, მეორე წელიწადს საძოვრად უნდა გახდეს. თუ არადა არასოდეს არ დააკლდება ჩვენს ქვეყანას ნახტომები პურის მოსავალში, ამისათვის რომ პირველი მიზეზი მისი არის უანგარიშოდ, უსაფუძვლოდ და უპკუოდ მიწის მოპყრობა. მოსპეთ მიზეზები, თავისთავად მოისპობა მოსავალში ნახტომებიცა, და ხალხის სიღარიბეც დაიწყებს კლებას. თუ არადა ჩვენი ხალხი ვერასოდეს ვერ გამოვა სიღარიბიდგან, ვერასოდეს ვერ შეეძლება ვალები მოიშოროს თავიდამ; ამჟამად ჩვენში უვალო გლეხი, თავადი, აზნაური, ბღვდელი და სხვ. ძლიერ იშვიათად არის“[1].

მართალია, ინგილო ჯანაშვილი მოითხოვს მიწათმოქმედების გაუმჯობესებისათვის ზრუნვას, მაგრამ მას მიაჩნია, რომ ჩვენი საზოგადოება მხოლოდ მიწათმოქმედებას არ

---

[1] ინგილო ჯანაშვილი, „კაცს განათლებამ უნდა მისცეს სახსარი ცხოვრების გაფაქიზიანებისა და სიმდიდრის მოპოვებისა“ (ჟურნ. „მნათობი“, 1869 წ. აპრილი [№ 2], გვ. 44).

უნდა შეყურებდეს. „რას ჩავსციებივართ ერთ ხვნა-თესვას, ხომ ვხედავთ, რომ ყველანი ამ ხელობით ვეღარ ვცხოვრობთ“. ამიტომაც იგი ქადაგებს ასოციაციების შექმნისათვის, რათა „განვაღვიძოთ ჩვენში სხვადასხვა სამუშაო ხელობები საზრდოს მოსაპოვებლად“[2].

აქ ამთავითვე უნდა შენიშნოთ, რომ ი. ჯანაშვილი იმდენად გატაცებულია საერთოდ ჰ. ჩ. კერის მოძღვრებით, რომ მისი „გამოძიება და დასკვნა აქსიომად“ მიაჩნია[3].

ი. ჯანაშვილს მოჰყავს ჰ. კერის სიტყვები: „ჩვენი დედამიწა არაფერს გვაძლევს უფასოდ, მაგრამ მზად არის მეტობით მოგვცეს, და რამდენსაც კაცი სთხოვს, იმდენს აძლევს. მაგრამ კაცს უნდა ახსოვდეს. რომ ის სესხულობს მოსავალს მიწის ბანკისაგან, რომელიც მოითხოვს იმოდენ გაფრთხილებას, რამდენსაც მოითხოვენ ბანკები ამერიკისა, ფრანციისა და ანგლიისა... ვირგინიასა და კაროლინას სრულებით მოაკლდათ ნაყოფიერი ნოყიერება, რომელიც უწინ ჰქონდათ იმ მიზეზებისა გამო, რომ ნაწარმოების მომხმარებელნი ამ ქვეყნებშივე ცოტანი იყვნენ. და მათი მოცემული ნაყოფი სხვა ქვეყნის ბაზრებში ისყიდებოდა; ამავე მოვლენას ვხედავთ მთელს ჩრდილოეთ ამერიკაში, უფრო მომატებულად სამხრეთის შტატებში. ნიუ-იორკის ფერმერებს ამ ასი წლის წინად მუდამ ერთი აკრიდამ 24 ბუშელი გამოსდიოდათ; ეხლა კი ნახევარზე ნაკლები მოსდით და უხვიერი შტატი ოგაიო ორ ბუშელზე ჩამოხდა“.

ამასთანავე „იმ ქვეყნებში კი, — მსჯელობს თვით ი. ჯანაშვილი, — რომლებშიც ნასესხებს ისევ უკან უბრუნებენ, ესე იგი ყველაფერი შინვე ხმარდება, მიწას სასუქს აძლევენ, ის ქვეყანა ძლიერ უხვიერია მოსავლით“; და მერმე კვლავ კერის იშველიებს: „პლანტაციენტს და ლანკასტერის დროს,

---

[2] ი ნ გ ი ლ ო ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი „კაცს განათლებამ უნდა მისცეს სახსარი ცხოვრების გაფაქიზიანებისა და სიმდიდრის მოპოვებისა“ (ჟურნ. „მნათობი“, 1869 წ. აპრილი [№ 2] გვ. 45 — 46).

[3] იქვე, გვ. 57.

როდესაც ანგლიის მცხოვრებნი ორ მილიონზე ცოტა მეტნი იყვნენ, მიწის ერთი აკრი 6 ბუშელზე მეტს არ იძლეოდა, და თუმცა ცოტანი იყვნენ საჭმლის მთხოვნელნი, შიმშილობა ჩქარ-ჩქარა მოხდებოდა ხოლმე და მერე რანაირი?... ჩვენ დროს კი იგივე მიწა უჭირავს 18 მილიონ მცხოვრებს და საზრდო მოსდით უფრო მომატებული და უწინდელზე კარგი და შიმშილიც აღარ არის"[4].

ამოდის რა ამგვარ მოსაზრებათაგან[5], საერთოდ კი ჰ. კერის შეხედულებათაგან, ინგილო ჯანაშვილი ასკვნის: „...რომ ჩვენი ქართველი ხალხი გამდიდრდეს და მხნეთა მუშაობდეს ამისთვის საჭიროა: 1. გონივრული, ნაყოფიერი შრომა; 2. ფაბრიკები და ზავოდები, რომ მისი ნაწარმოები შინვე ისყიდებოდეს და რომ ჩვენი ნიადაგი არ ღარიბდებოდეს; 3. საჭიროა, რომ დურგალი და ფეიქარი, მეცხვარე

---

[4] იქვე. გვ. 58.

[5] ჰ. კერი და ი. ჯანაშვილი მოვლენათა სიღრმისეულ პროცესებს, ცხადია, ვერა სწვდებიან როგორც საერთოდ, ისე მაშინაც, როდესაც მსჯელობენ კერძოდ ინგლისის შესახებ. როგორც ცნობილია. 1815 წ. ინგლისის პურის კანონებმა, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ირლანდიიდან პურის თავისუფალ შეტანას ინგლისში, გამოიწვიეს ირლანდიაში პურის წარმოების გაფართოება. მაგრამ 1846 წ. ამ კანონების გაუქმებას მოყვა ირლანდიაში სახნავთა დიდი ზომით გადაქცევა საძოვრებად, ფერმების ცენტრალიზაცია და წვრილი გლეხობის მიწიდან აყრა. თუ 1846 წლამდე ინგლისელი ეკონომისტები და აგრონომები საქვეყნოდ აქებდნენ ირლანდიის ნიადაგის ნაყოფიერებას და ქადაგებდნენ, რომ ირლანდია თვით ბუნების მიერაა დანიშნული ხორბლის მოსაყვანადო. ახლა მათ — ირონიულად შენიშნავს კ. მარქსი — „უეცრად აღმოაჩინეს. რომ იგი მხოლოდ საძოვარი ბალახის მოსაყვანად არის გამოსადეგი" (კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალი", I, 656).

მეორე მხრით, „პურის კანონების გაუქმებამ არაჩვეულებრივი ბიძგი მისცა ინგლისის მიწათმოქმედებას. დრენაჟი დიდი მასშტაბით, საქონლის ბაგაზე კვების და ხელოვნური საკვები ბალახის მოყვანის ახალი სისტემა, მექანიკური აპარატების შემოღება მიწის გასანოყიერებლად, თიხნარი ნიადაგის დამუშავების ახალი წესი, მინერალური სასუქის გაძლიერებული ხმარება, ორთქლის მანქანის და ყოველი ახალი სამუშაო მანქანის გამოყენება და სხვ., საერთოდ უფრო ინტენსიური კულტურა ახასიათებს ამ ეპოქას" (კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალი", I, 621 — 623).

და მთესველი, მენაბდე და მებალე ერთად დასახლდნენ, რომ ამათშივე იყოს მყიდველიცა და გამყიდველიც. კერი ამბობს «ასოციაცია და შეერთებული მოქმედება საჭირონი არიან კაცისათვის, რომ იმან მოიპოვოს უფლება ბუნების ძალაზე. ეს შეერთებული მოქმედება არ არის იმ ქვეყანაში, სადაც ფეიქარი და მატყლის მრთველი იარაღები, გუთანი და ფარცხი ერთმანეთზეც ახლოს არ იმყოფებიან»"[6].

ამერიკელი ვულგარული ეკონომისტი ჰენრი ჩარლზ კ ე რ ი (1793 — 1879 წწ.), როგორც ცნობილია, ქადაგებდა ყველა საზოგადოებრივი კლასების ინტერესთა ურთიერთშორის ბუნებრივი ჰარმონიისათვის. იგი, სხვათა შორის, ამტკიცებდა, რომ მრეწველობა სოფლის მეურნეობის გვერდით უნდა არსებობდესო და მანუფაქტურულ (მრეწველურ) ნაწარმზე გადასაცვლელად ნედლეულის უცხოეთში გატანას ნიადაგის გამოფიტვასაკენ მივყევართო[7].

სწორედ იმ ხანებში (1866 — 1869 წწ.) გამოიცა რუსულად კერის მთავარი თხზულება[8], რასაც, ეტყობა, გულმოდგინედ დაწაფებია ი. ჯანაშვილი. ჩვენ თავის ადგილას, სახელდობრ „ქართული ჟურნალისტიკის" მეორე ტომში, გვექნება სპეციალურად მსჯელობა ინგილო ჯანაშვილისა და სხვათა მიერ ჰ. ჩ. კერის იდეების ქართულ პუბლიცისტიკაში გადმონერგვის ცდების შესახებ და ამიტომაც აქ ამ საკითხზე სიტყვას არ გავაგრძელებთ; — აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ი. ჯანაშვილმა, რათა აეხსნა მისი თანამედროვე ამაზოგადოების საჭირბოროტო ეკონომიკური საკითხები, მოიშველია ბურჟუაზიულ ურთიერთობათა აპოლოგეტი კერი, ცხადია, უმთავრესად იმიტომ, რომ კერის მსოფლმხედველობა ყველაზე უფრო შეესაბამებოდა მის შეხედულებებს.

---

[6] ი. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. თხზულება, გვ. 59.

[7] ამ საკითხზე იხ. კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალი". ტ. III, II, გვ. 126, 148 — 149, 294.

[8] К е р р и, „Руководство к социальной науке", 1866, 1867, 1869, СПБ.

1870-იანი წლებიდან ამიერკავკასიის საზოგადოებრიობასა და პუბლიცისტიკაში უფრო გახშირდა მსჯელობა მოსავლიანობის დაცემის შესახებ. ამ საკითხზე უწინარეს ალაპარაკდა ქართული პრესა. უკვე 1872 წ. გაზ. „დროების“ მიმომხილველი აღნიშნავდა: „თანდათან ჩვენშიაც ისმის საჩივარი, რომ მიწის ნაყოფიერებამ იკლოვო და ცოტა ნამუშევარი მოგვდისო“ [9].

ერთი წლის მერმე „გუთნის დედაში“ ა. ფ ურ ცე ლ ა ძ ე უკვე სპეციალურად ჩერდება ნიადაგის ნაყოფიერების დაცემის საკითხზე და არა მხოლოდ უბრალოდ აღნიშნავს ამ მომენტს, არამედ მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ ამახვილებს ყურადღებას.

ა. ფურცელაძე ასეთ ლობრ წერდა:

„...რაც მდგომარეობაში ვხედავთ ტყეებს, იმავე მდგომარეობაში არიან სხვა მამულები. გარდა საქონლის პატივისა, ჩვენმა ხალხმა არა ნივთისა არა იცის პატივათ ხმარება. ამის გამო მრავალი საგანგებო პატივნი, მაგალითად, ადამიანის განავალი, ძვლები, ნაგავი, თხის და ცხვრის ფეინი, ფრინველის ფეინი, ნახადები არაყისა თუ ზეთისა თუ სხვისა, დამპალი ჩალა, ბზე, თივა და სხვა ამგვარები იკარგებიან სრულიად ამაოდ წყლებსა, სანაგვეებსა და ამგვარს ადგილებში. არამცთუ ესენი, ბევრგან საქონლის პატივიც იკარგება ამაოთ, და მეტადრე იმ ადგილებში, სადაც წვრილი მებატონის ნაყმევები არიან. ამ ნაყმევებთ არა აქვთ საკუთარი ნადელები, ჰხვნენ სხვის მამულებში, ამის გამო არცა აქვთ მიზეზი, რომ დააყარონ თავისი საქონლის პატივი სხვის მამულს, რომელიც მემრისვე იქნება სხვას დარჩეს მოსახნავათ, ამის გამო იმას უყრია ეს პატივი და უხდება ტყეულათ კარებზედ, რომლითაც პატივათ ხდება და სოფელს და თვით პატრონებს უყროლებს არემარეს,

[9] ნ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, „ორიოდე სიტყვა ჩვენს მეურნეობაზედ“, („დროება“, 1872 წ., № 7, გვ. 2); აგრ. ს. შ ე ს ხ ი, „სამეურნეო შკოლაზედ“, 1878 წ. („დროება“), იხ. მისი „ნაწერები“, ტ. I, გვ. 50 — 52.

ახდენს ჰაერს და ამრავლებს სნეულებას. თქმა აღარ უნდა, რომ ამგვარს გარემოებას მოსდევს სრული მიწების მოღლა და კიდეც იღლებიან. სადაც მიწა ამ ერთი ორმოცი წლის წინათ დღიური ოც კოდს იძლეოდა, დღეს აღარ იძლევა ათს კოდს. რაც ხანი გადის, იმდენი ცხადლივ ეტყობა მოსავალს კლება და ხალხი კი თანდათან მრავლდება. ამ უპატიობის გარდა, ჩვენი მიწების გაღარიბებისათვის ისიც საკმაოდ იქნებოდა, რომ ჩვენი მოსავლისა კარგი წილი გადის სხვა ადგილებში და აღარ უბრუნდება ამ მიწებს. მაგრამ ჩვენ ამასაც არ ვაჯერებთ, და ვაკლებთ იმ პატივსაც, რისაც მიცემა ჩვენ ხელთ არის"[10].

ამგვარად, ა. ფურცელაძე აშკარად მიუთითებს, რომ ნიადაგის გამოფიტვისა და, მაშასადამე, ნაყოფიერების დაცემის მიზეზი უწინარეს აგრარულ ურთიერთობაში, სახელდობრ ბატონყმობის ძლიერ გადმონაშთებში, უნდა ვეძიოთ. ნაყმევ, ე. ი. „დროებით-ვალდებულ" გლეხობას წართმეული აქვს სტიმული იზრუნოს მიწის განოყიერებაზე, რადგან ისინი სხვის მიწას ხნავენ და ადვილად შეიძლება მომავალ წელს მიწა მემამულემ სხვას გადასცეს. ამის გამოა, რომ ხშირად გლეხს პატივი (ნაკელი) ზედ კარებზედ უყრია და აქ მას ჰაერს უფუჭებს.

რა თქმა უნდა, ადრე, მაგალითად, 17—18 სს. ნიადაგის ნაყოფიერება უფრო მაღალი იქნებოდა, მაგრამ, ცხადია, არა „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის" თეორიის შესაბამისად[11], არამედ იმის გამო, რომ საერთოდ სახნავად სახმარი მიწების ფონდი, მოსახლეობის სიმჭიდროვესთან შეფარდებით, ბევრად მეტი იყო, ვინემ შეეძლოთ მოეხნათ, ე. ი. იმის გამო, რომ შესაძლებელი იყო მიწების დიდი რაოდენობითა და დიდი ხნით დასვენება; მაშასადამე, იმის

---

[10] ა. ფურცელაძე, „სასოფლო წერილები", წერილი მეოთხე („გუთნის-დედა", 1873 წ., № 17).

[11] იხ. მ. კახეთელიძე, „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის" თეორიის ლენინური კრიტიკა (ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, 1952, ტ. VI, გვ. 15—30).

ვამო, რომ ნიადაგის ნაყოფიერების ბუნებრივი გზით აღდგენას „მიწის სამცირით“ გამოწვეული დაბრკოლება არ ეღობებოდა.

დიონიჯიო კარლი, რომელიც კარგად იცნობდა იმდროინდელი ქართლის მიწათმოქმედებას, თავის „რელაციონში“, სადაც 1680-იანი წლების ვითარებაა აღწერილი, აღნიშნავს, რომ აქ „მიწას... ხნავენ თორმეტი ხარით[12], რომელთა შორის ექვსი კამეჩია, ამიტომ მიწები კარგადაა დამუშავებული და უხვ მოსავალსაც იძლევა. ესაა იმის მიზეზი, რომ აქ ყველაფერი იაფიაო“[13].

ვახუშტი ბაგრატიონს ვრცელგზის აქვს აღნიშნული საერთოდ საქართველოს ნიადაგის მაღალი მოსავლიანობა, რომ აქ „ნაყოფიერებენ ყოველთა მარცვალთა თესლნი“: ბრინჯი, ხორბალი, ქრთილი, ფეტვი, ბამბა, თამბაქო, სელი და სხვ[14].

მე-18 ს. დასაწყისს საქართველოში, ქართლში, ნიადაგის ნაყოფიერების შესახებ საინტერესო დეტალური ცნობა შეჰოგვინახა ვახტანგ VI. სახელდობრ „დასტურლამალში“ ვკითხულობთ: „გუთანმა უნდა მოხნას ერთმა — დღიური ორმოცდაათი. დღიურში დაითესების ორკოდნახევარი, იქნების ერთპირად ამისი თესლი კოდი ასოცდახუთი; უნდა მოვიდეს კოდზედ ურემი: იქნების ას ოცდახუთი ურემი, ურემს უნდა გამოვიდეს რვა; იქნების ერთპირ კოდი ათასი. ეს ათასი კოდი პური და ქერი ორმოცდაათის დღისა სახნავზედ უნდა ამ წესით მოვიდეს“[15].

ამგვარად, იმდროინდელი ნიადაგის ნაყოფიერების ნორ-

---

[12] იხ. პ. გუგუშვილი, „გუთნეულის ეკონომიკური ორგანიზაცია“ (საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, 1944 წ., ტ. V, № 3).

[13] დიონიჯიო კარლი, „თბილისის აღწერა“, ბეჟან გიორგაძის თარგმანი (მსკი, 1951, ნაკვ. 29, გვ. 159).

[14] ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 1941, თბ., გვ. 34, 37 და შემდ.

[15] ვახტანგ VI, „დასტურლამალი“, პ. უმიკაშვილის რედაქციით, 1886, ტფ., გვ. 23.

მად, ე. ი. მოსავლიანობის ნორმად, მიჩნეულია 8-ჯერადი, რამდენადაც ვახტანგ VI მიერ ერთ კოდ თესლზე ერთი ურემი მოსავალი, ხოლო ერთ ურემზე-კი რვა კოდი ხორბალი ან ქერი იანგარიშება; ანდა სხვა სიტყვებით, ერთ დღიურზე ითესებოდა ორკოდნახევარი მარცვალი, რაც საშუალოდ 20 კოდ მოსავალს იძლეოდა.

როგორც ზევით დავინახეთ 1870-იანი წლების დამდეგს ქართლში ერთი დღიური მიწა ათ კოდსაც აღარ იძლეოდა. ამგვარად, მოსავლიანობა ამ ცნობით აღებულ პერიოდში, ე. ი. დაახლოებით საუკუნენახევრის მანძილზე (160 წ.), განახევრებულა.

მაგრამ ამ დროისათვისაც, გარდა ემპირიული დაკვირვების გზით მიღებული დასკვნისა, მოგვეპოვება, ასე ვსთქვათ, ოფიციალური მონაცემები, ე. ი. გუბერნატორთა ანგარიშგებებში შემონახული ცნობები, საიდანაც ჩანს, რომ იმავე ტერიტორიაზე, თბილისის გუბერნიაში, მოსავლიანობა 1857 წელს უდრიდა: შემოდგომის პურეულისა — 5-ჯერადს, ხოლო გაზაფხულისა — 6-ჯერადს[16]. ანალოგიური იყო საშუალო მოსავლიანობა ათიოდე წლის შემდეგაც[17].

ნიადაგის ნაყოფიერების დაცემაში იმდროინდელ მწარმოებლურ ძალთა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა პირობებში გარკვეულ როლს თამაშობდა საერთოდ მცირემიწიანობაც. 1880-იანი წლების შუაში ა. არღუთინსკი კახეთის შესახებ წერდა: „მცირემიწიანობა აიძულებს გლეხობას ერთიდაიგივე მიწის ნაკვეთი მრავალ წელს ზედიზედ მოხნას და დაჭიმოს მწარმოებლური ძალები უკანასკნელ შესაძლებლობამდე. ეს დაძაბვა რომ გაუმჯობესებათა კვალდაკვალ მიდიოდეს, ან მასში ცხოველური თუ მინერალური

---

[16] П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения", I, 44.

[17] П. Гугушвили, „Сельское хозяйство...", II, 297; ამავე წიგნში წარმოდგენილია მონაცემები მარცვლეულის მოსავლიანობის შესახებ ავრეთვე ამიერკავკასიის სხვა გუბერნიების შესახებაც.

სასუქების შეტანის შესაბამისად რომ ხდებოდეს, შაშინ ნიადაგის გამოფიტვას აქ ადგილი არ ექნებოდა“.

ამავე დროს „ნიადაგის გამოფიტვამ ზოგიერთ ადგილას იმ ზომამდე მიაღწია, რომ იგი დაუსვენებლად ერთჯერზე მეტ თესვას ვერ იტანს. ყოველ ნაბიჯზე შეიძლება შეეხვდეთ ნაკვეთებს, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე ზედიზედ იხვნება. ამ ნაკვეთებზე პირველი მოსავალი ასე თუ ისე საკმარისია, მერმე კი იგი თანდათან ეცემა და იქამდე მიდის, რომ დახარჯულ შრომას ძლივსღა ანაზღაურებს... გლეხი თავის ნაკვეთს ხნავს სანამ მას საბოლოოდ არ გამოფიტავს. მერმე ამ ნაკვეთს რამდენიმე წლით სტოვებს დასასვენებლად, ხოლო თვით მისი პატრონი ამ პერიოდში თავს ირჩენს ან დღიურ სამუშაოზე გასვლით, ან ვისმე მოჯამაგირედ უდგება, ანდა დიდ ხარჯებს კისრულობს და სხვის მიწას იღებს იჯარით“[18].

იმავე ავტორის სიტყვებით „მიწის დამჭლევებაზე სახნავების უთანასწორობას დიდი გავლენა აქვს; ვისაც 1—2 დესეტინა ეკუთვნის, იმის მიწა ხშირი მოხვნისაგან მალე სუსტდება, ძალა ელევა. ბევრი მიწიანი კი ხან ერთ ნაკერ მიწას ასვენებს, ხან მეორეს. ამას გარდა უიალაღობისა გამო აქ საქონელიც იმდენი არა ჰყავთ, რომ სასუქი შეამზადონ და დროიანად მიწა გააპატივონ. უფრო ბლომა საქონელი იმავე მიწით მდიდარ გლეხებსა ჰყავს“[19].

აღებულ ხანებში ქუთაისის მაზრის შესახებ თ. მ ა რ კ ო ვ ი წერდა, რომ „მცირემიწიანი გლეხები, მეტი შემოსავლის მიღების მიზნით, თავიანთ საუკეთესო მიწებს ფიტავენ იმით, რომ წელიწადში ორჯერ სთესენ პურსა, ხოლო მწირ მიწებს კიდევ იშვიათად ასვენებენო“[20].

---

18 МИЭБГКЗК, V, I, 94—95.

19 ა. ა რ ღ უ თ ა შ ვ ი ლ ი, „ეკონომიური ყოფა-მდგომარეობა სახელმწიფო გლეხთა საქართველოში. თელავის მაზრა“ (გაზ. „შეუერნე“, 1889 წ. № 28, გვ. 1—2).

20 МИЭБГКЗК, I, III, 242—243.

წვრილ-გლეხური მეურნეობის ბატონობისა, მიწათმოქმედების ჩამორჩენილი, არქაული ტექნიკისა და საერთოდ ბატონყმობის მძიმე გადმონაშთების პირობებში ნიადაგის ნაყოფიერება, რა თქმა უნდა, პროგრესულად დაცემადი იქნებოდა.

ს. ზ ა ვ ა რ ი ა ნ ი ს მონაცემებით ერევნის გუბერნიაში 1882—1885 წწ. ხორბლის საშუალოწლიური მოსავალი უდრიდა 5,5-ჯერადს, 1891 — 1894 წლებში კი — 4,5-ჯერადს. დამკვირვებელი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ერევნის გუბერნიის სოფლისმეურნეობრივი მეწარმეობის საკითხები, ასკვნიდა: წინათ ხორბლის მოსავალი უდრიდა 12—15-ჯერადს და მეტსაც, ახლა-კი (1902 წ.) მხოლოდ 4-ჯერადს. ესოდენ მცირე მოსავლიანობის მიზეზია ნიადაგის გამოფიტვა, რადგან საუკუნეთა მანძილზე განუწყვეტლივ ხორბლისა და ქერის თესვამ სიმსუქნე გამოაცალა ნიადაგის ზედაფენას. ნიადაგის ნაყოფიერების აღსადგენად ჰიმართავენ მიწის მხოლოდ 1—2 წლით დასვენებასა და არა თესლბრუნვასა და ნაკელის ან ხელოვნური სასუქის შეტანას [21].

ი. ს ე გ ა ლ ი ს ცნობებით ელისავეტპოლის (განჯის) გუბერნიაში პურეულის საშუალო მოსავალი 1883—1888 ექვსწლედში უდრიდა 6,1-ჯერადს, 1889 — 1894 წწ. — 5,2-ჯერადს, ხოლო 1895 — 1900 წწ. ექვსწლედში — მხოლოდ 4,6-ჯერადს [22].

ქუთაისის გუბერნიის შესახებ ნ. კ უ რ ნ ა ლ ი 1897 წ. წერდა: აქ „ყოველ ნაბიჯზე ისმის ჩივილი მემამულეთა და გლეხთაგან, რომ ნიადაგმა შესწყვიტა მოსავლის მოცემა, პირუტყვს არ შეუძლია მუშაობა, ვენახები და ხეხილი ხმება ანდა არ იძლევიან ნაყოფს და ა. შ. ერთ ქცევა სახნავი მიწა ჭალებზე რიონისა — ქუთაისის გუბერნიის ამ ნილოსისა—

---

[21] ТМКСХП, LII, 67.
[22] КХ, 1908 г., № I, стр. 5.

ოდესღაც 80—100 ფუთ სიმინდს რომ იძლეოდა, ახლა ზოგან 7—15 ფუთს იძლევა“ [23].

ნიადაგის ნაყოფიერების სისტემატური კლებისა და, მაშასადამე, მოსავლიანობის დაცემის, ე. ი. მარცვლეულის მეურნეობის რენტაბელობის საკითხი 1880-იანი წლებიდან უკვე ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა. მალე ის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემად იქნა აღიარებული.

ნ. ველისციხელი 1889 წ. წერდა: „...რომ ხალხის სიმრავლესთან ცხოვრებაც გამრავალფერდა — ამას თქმა აღარ უნდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ხალხის სიმრავლეს მიწათმფლობელობის სიმრავლე არ მოჰყოლია, და რაოდენი მიწითაც უწინ ერთი მეურნე სარგებლობდა, დღეს იგივე სივრცის მიწა ექვსსა და შვიდს მეურნეს უპირავს და იმით, როგორც არის, აკმაყოფილებს თავის თავს. ეს კიდევ არაფერი. ჩვენში ხვნა-თესვა იმავე რიგად სწარმოებს, როგორც უწინ. უხსოვარს დროში, უწარმოებიათ და მასთანავე ისე ჩაციებით, რომ დასვენება აღარა ჰღირსებია მიწას. ამის გამო მიწამ დაჰკარგა ძალა, ფიტი გამოეცალა და თითქმის ძალისძალად მოგვყავს ზედ მოსავალი. ამის მიზეზი ცხადია, და ეს მიზეზი კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ, რამდენადაც საჭიროა, იმდენად არ ვასვენებთ მიწას, ხელს არ ვუწყობთ, არ ვუბრუნებთ გამოლეულ ძალ-ღონეს და ზედ იასაულად-კი ვადგევართ, გინდა თუ არა მოსავალი მოგვეციო“ [24].

შემდეგ ნ. ველისციხელი ჩივის ჩვენში მიწათმოქმედების ჩამორჩენილობაზე იმის გამო, რომ ჩვენს სოფლის მეურნეს „მიწის გაპატივება ფიქრადაც არ მოსდის“, რომ მიწას „მთელ ძალ-ღონეს აცლიან“, მაშინ როდესაც „რამდენადაც შევასვენებთ, ამასთანავე შეძლებისდაგვარად გავაპატივებთ მიწას, იმდენი დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ მიწას

[23] КСХ, 1897 г., № 180, стр. 389.

[24] ნ. ველისციხელი, „პურეულის მოყვანაზედ“ („მეურნე“, 1889 წ., № 3, გვ. 7).

იმ ძალ-ღონეს და პარაქათს ვუბრუნებთ, რაც ჩვენ წამ-დ-
უწუმ ხვნითა და ფარცხვით დავაკელითო“ [25].

მაგრამ ნ. ველისციხელი ამასთანავე ერთგვარ ანალიზს აკეთებს მოვლენებისა, ადარებს წარსულსა და თანამედროვეობას და იძიებს მიზეზებს ვითარებაში მომხდარი ცვლილებებისა. უწინდელ დროში, მართალია, მიწის გაპატივება არ იყო გავრცელებული, მაგრამ ეს ჩვენს წინაპრებს არც „დაეყვედრებათ, რადგან მაშინდელ მეურნეს გარემოება სრულებით არ სთხოვდა ამას: ერთს წელიწადს ერთს მიწას ჰხნავდა, მეორე წელიწადს — მეორეს და ამრიგად მისი გუთანი ყოველთვის შესვენებულსა და ნაჩხატ მიწას ჰკიდებდა პირს“. ასეთს პირობებში „მაშინდელ მეურნეს მიწის გაპატივება იმდენად არა სჭირდებოდა და უამისოდაც მუდამ რიგიანსა და ჯაფის საფასურს მოსავალს იღებდა თავის ჭირნახულიდგან“ [26].

ქვემოთ მას მოჰყავს მოხუცებულთაგან განაგონი, რომ წინათ „ოცი-ოცდაათი კოდი პური მეტი აგვიღია“ ერთი დღიური მიწიდანო. ხოლო „ეხლანდელობაზე-კი რომ ჰკითხოთ, ექვსი კოდი რომ მოვიდეს დღიურზე იმასაც მადლობელნი რჩებიან“. ამგვარად, გამოდის, რომ ნ. ველისციხელის დაკვირვების პერიოდსა და რაიონში მოსავლიანობა ერთისამად დაცემულა. ამასთანავე ნ. ველისციხელი თვლის, რომ მიწის დასვენების პრაქტიკისაგან რაც დრო გავა მით უფრო ხელი უნდა ავიღოთ, რადგან მიწას სიმცირე სულ უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს და, მაშასადამე, აუცილებელია ვიზრუნოთ მიწის ხელოვნური გასუქების ხერხების გაუმჯობესებაზეო.

ამიერკავკასიაში სისტემატური მოუსავლიანობის მიზეზების შესასწავლად 1893 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელშიც შევიდნენ: ი. ხატისოვი, ს. ზავარიანი, ა. ქალანთარი, ა. ივანგულოვი, ს. მელიქ-სარქისიანი, ქ. ვერმიშევი, ა. ფირალიშვილი.

[25] ნ. ველისციხელი, „პურეულის მოყვანაზედ“ („მეურნე“, 1889 წ., № 3, გვ. 7).

[26] „მეურნე“, 1889 წ., № 3, გვ. 7.

ამ კომისიამ მოუსავლობათა, მაშასადამე, ნიადაგის ნაყოფიერების ესოდენი დაცემის მიზეზად დაასახელა საერთოდ მიწათმოქმედების ტექნიკური ჩამორჩენილობა და კერძოდ მარცვლეულის მეურნეობისადმი შესაბამის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოთა მხრივ სრული უყურადღებობა.

როგორც კომისია სამართლიანად აღნიშნავდა, იმ დროს, როდესაც მეაბრეშუმეობისათვის ხელის შესაწყობად არსებობდა მეაბრეშუმეობის საბჭური, მევენახეობისათვის — ფილოქსერის კომიტეტი და საქარის სანერგე, სპეც-ტექნიკური კულტურებისათვის — რიგი საცდელი მინდვრებისა, მებამბეობისათვის — ყარაიას საცდელი მინდორი, საოჯახო მრეწველობისა და შინამრეწველობისათვის — შინამრეწველობის კომიტეტი და, ამასთანავე, დასახელებულ დარგებში ცნობილი სპეციალისტები მოღვაწეობდნენ: „მიწათმოქმედების ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე არსებითი დარგი-კი, რომელიც წარმოადგენს მთავარ წყაროს მთელი მოსახლეობის არა მხოლოდ კეთილდღეობისა, არამედ მისი საცოდავი არსებობის შენარჩუნებისა, — პურის მოყვანა, ჩვენდა სამარცხვინოდ, მთელი ხნის განმავლობაში მზრუნველობის გარეშე იყო, ყოველგვარი ყურადღების გარეშე რჩებოდა“.

ხსენებულ კომისიას გამორჩა, ანდა არ შეეძლო აღენიშნა, რომ მიწათმოქმედების ზემოხსენებულ დარგთათვის ხელის შეწყობა ნაკარნახევი იყო თვით მეტროპოლიის ინტერესებით, რათა შიგარუსეთის მრეწველობის ცენტრებს მიეღოთ იაფი კოლონიური ნედლეული (ბამბა, აბრეშუმი და ა. შ.) და სხვა საიმპორტო პროდუქტები (ღვინო და სხვ.) და, ამგვარად, განეხორციელებიათ ცარიზმის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისი ექსპლოატაცია ამიერკავკასიის ბუნებრივი სიმდიდრეებისა და უწინარეს, ცხადია, თვით აბორიგენი მოსახლეობის ძირითადი მასებისა, რო-

მელთა არსებობის მთავარი წყაროს განმტკიცების, ე. ი. მარცვლეულის მეურნეობის განვითარების ინტერესები ბიუროკრატიას ნაკლებად აწუხებდა, რომ არა ვსთქვათ რა თვით სპეც.-ტექნიკურ კულტურათა განვითარებისათვის ზრუნვის პოლიციური ხასიათის შესახებ.

დასახელებული კომისიის საქმიანობას, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა რეალური შედეგები მოყოლოდა მიწათმოქმედების ტექნიკის გაუმჯობესების მხრივ. თხუთმეტიოდე წლის შემდეგ კავკასიის ნამესტნიკი, გენ.-ად. ვორონცოვ-დაშკოვი, რომელიც ყველაზე ნაკლებად იყო დაინტერესებული ამ მხრივ სიმართლე ბოლოამდე ეთქვა, იძულებულია აღიაროს, და ისიც იმპერატორისადმი მოხსენებაში, რომ, თუ 1870-იან წლებში ქუთაისის გუბერნიაში 1 დესეტინა მიწაზე 180—200 ფუთი სიმინდი მოდიოდა[27], 1900-იანი წლების ბოლოს იმავე ფართობზე მხოლოდ 60—80 ფუთი სიმინდი ძლივს მოიყვანება. „საქართველოს პროვინციებში მიწის მოსავლიანობის ეს დაკლება აღნიშნულია ყველა ადგილობრივი საადგილმამულო ბანკებისაგან, რომლებიც წინად დაგირავებული მიწებისათვის იმდენ თანხას (სესხს) აძლევდნენ, რამდენადაც ეს მამულები ახლა არც-კი ღირანო“ — ასკვნიდა ნამესტნიკი[28].

მოსავლიანობის სისტემატურ დაცემას მასობრივი ხასიათი ჰქონდა მიღებული მთელს ამიერკავკასიაში.

ნიადაგის ნაყოფიერების სისტემატური დაცემის მთავარი მიზეზი, ცხადია, იყო მისი მტაცებლური ექსპლოატაცია, რამაც ფართო ხასიათი მიიღო კერძოდ რეფორმის მერმინდელ პერიოდში. კისრად დააწვა რა ახალი გადასახდელები „დროებითვალდებული“ გლეხი იძულებული შეიქნა მთელის ენერგიით „დაწოლოდა“ მიწას, რათა მისგან რაც შეიძ-

---

[27] 1804 წელს ლიტვინოვი წერდა, რომ სამეგრელოში „Жатва бывает весьма изобильна, хлебопашец нередко получает в 40 в 60 раз противу посева“ (АСКАК, II, № 803, стр. 408).

[28] „Всеподданнейшая записка...“, 1907, стр. 29—31; см. также ТКОСХ, 1892 г., № 9—10, стр. 577—578.

ლება მეტი გამოექაჩა. ამავე დროს მას საშუალება არ გააჩნდა რაიმე არსებითი ხასიათის გაუმჯობესება შეეტანა, როგორც საერთოდ მიწათმოქმედებაში, ისე კერძოდ ნიადაგის დამუშავების საქმეში. გლეხი ამიერიდან იძულებული იყო ხელი აეღო მიწის დასვენების ტრადიციულ წესზედაც და ხნავდა მას სრულ გამოფიტვამდე. მოსავლიანობა ეცემოდა მემამულურ მეურნეობებშიც, რაც უმთავრესად წვრილი, გლეხური მეურნეობის ტექნიკურ ბაზაზე იყო დამყარებული[29].

თუ როგორ თანდათანობით ეცემოდა ნიადაგის ნაყოფიერება პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში, გვიჩვენებს ქვემომოყვანილი მონაცემები[30].

ალებულ იქნა მოსავალი 1 დესეტინიდან (ფუთობით):

	გაბაფხულის ხორბალი				გაბაფხულის ქერი			
	1910 წ.	1911 წ.	1912 წ.	1913 წ.	1910 წ.	1911 წ.	1912 წ.	1913 წ.
1. ალექსანდროპოლის (გუმბრის) მაზრაში	25,1	40,2	37,9	23,0	34,4	53,4	57,0	16,6
2. ახალბაიაზეთის მ. .	17,3	42,8	49,5	14,8	17,7	57,4	60,8	16,5
3. ახალქალაქის მ. .	36,2	51,4	27,0	30,9	79,6	95,6	82,5	36,6

სიმინდის მოსავალი 1 დესეტინაზე (ფუთობით):

	1910 წ.	1911 წ.	1912 წ.	1913 წ.
ქუთაისის მაზრაში	. 100,8	77,1	72.7	25,6
შორაპნის „	88,7	89,2	68,6	29.9
რაჭის „	. 101.3	101,4	99.8	43,7
ლეჩხუმის „	. 106,9	75,7	57,8	29,4
სენაკის „	103.4	73,6	90,1	55,8
ზუგდიდის „	. 92,8	79,9	78,3	65,3
ოხურგეთის „	. 107,1	65,3	95,0	108,8

[29] П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения“, т. IV, стр. 130, 133, 423—427, 458, 541, 547—549.

[30] П. Петрович, „Продовольственная нужда в Закавказьо в 1913 г.“, Тифлис, стр. 12—13.

ამგვარად, მოსავლიანობის ტენდენციის გამოსარკვევად ამ ფრიად მოკლე პერიოდშიაც ასე აშკარად ჩანს მისი თანდათანობითი დაცემა.

ეხებოდა რა პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში, კერძოდ, სიმინდის მოსავლიანობის საკითხს, პ. ყ ა ნ დ ო ვ ი წერდა: „სიმინდის მოსავლიანობა საქართველოში საერთოდ ფრიად უმნიშვნელოა და საშუალოდ მერყეობს დას. საქართველოში 44—87," ხოლო აღმ. საქართველოში 48—84 ფუთს შორის დესეტინაზე, მაშინ როდესაც ჩრდ. ამერიკაში სიმინდის საშუალო მოსავალი 1 დესეტინაზე უდრის 120 ფუთს, ხოლო მაქსიმუმი — 1000 ფუთს" [31].

ამიერკავკასიის გუბერნიების, რუსეთის და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში პერეულის მოსავლიანობის შედარებითი ცხრილები, რაც ქვემოთ გვაქვს მოცემული (იხ. გვ. 350—355), გვიჩვენებენ, რომ მარცვლეულის მოსავლიანობა ამიერკავკასიაში რიგ სხვა ქვეყნებთან შედარებით მართლაც მნიშვნელოვნად დაბალი იყო.

მარცვლეულის მოსავლიანობის დაცემა, რა თქმა უნდა, უშუალო გავლენას ახდენდა მეცხოველეობაზედაც [32], რაც, გარდა მისი რაოდენობრივი შემცირებისა, განსაკუთრებით მძიმედ მოქმედებდა პირუტყვის პროდუქტიულობასა და გამწევ ძალის უნარიანობაზე, ხოლო მოუსავლიან წლებში კი მარცვლეულის სიძვირე პირდაპირ გამანადგურებელი დარტყმის სახით ვლინდებოდა მეცხოველეობის მიმართ.

მაგალითად, 1913 წლის მოუსავლობის პირობებში „საკვების სიძვირის მეოხებით პირუტყვზე ფასები ძლიერ

---

[31] ЭТЗ, I, 191

[32] ქუთაისის მაზრის გლეხთა ეკონომიკური ყოფიერების აღმწერი თ. მ ა რ კ ო ვ ი აღნიშნავს, რომ „ჩ ვ ე უ ლ ებ რ ი ვ ყოველ მეურნეობაში პირუტყვის რაოდენობა შეესაბამება მისი საკვებით უზრუნველყოფის შესაძლებლობასო". ხოლო ამ შესაძლებლობის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად ის ასახელებს საოესი მიწის ფართობიდან მისაღებ ჩალასა (სიმინდისა, ღომისა) და ბზეს (МПЭБГКЗК, I, III, 248; იხ. აგრეთვე გაზ. „მეურნე", 1889 წ., № 28).

ჟურეულის მოხავლიანობა ერთ დეხეტინაზე ფუთობით [1]
1906—1910 წწ.

	ხორბალი		ქვავი		ქერი	სიმინდი
	გაზაფ-ხულისა	შემოდ-გომისა	გაზაფ-ხულისა	შემოდ-გომისა		
საშუალოდ ევროპული რუსეთის 15 გუბერნიაში						
1906 წ.	70,3	21,9	34,9	30,4	44,1	96,5
1907 წ.	41,3	31,4	44,2	32,7	48,7	60,5
1908 წ.	45,4	35,3	44,9	35,5	48,7	69,9
1909 წ.	61,7	54,2	51,4	43,3	62,9	40,1
1910 წ.	74,0	42,7	50,0	38,7	57,7	92,4
საშუალოდ პოლონეთის გუბერნიებში						
1906 წ.	75,3	74,7	59,9	49,0	69,1	—
1907 წ.	63,2	69,0	59,3	52,3	75,2	—
1908 წ.	78,2	83,0	63,7	54,4	69,7	—
1909 წ.	77,5	75,3	69,8	55,0	77,4	—
1910 წ.	81,4	69,8	66,7	53,4	63,9	—
საშუალოდ კავკასიის გუბერნიებში						
1906 წ.	45,9	37,5	50,8	27,2	51,4	75,6
1907 წ.	42,6	39,2	41,5	37,9	50,8	54,7
1908 წ.	45,7	46,2	52,1	33,4	53,9	61,3
1909 წ.	54,0	51,0	52,4	42,0	62,2	48,8
1910 წ.	57,5	47,6	67,6	55,4	57,3	70,6
ყუბანის ოლქი						
1906 წ.	62,6	44,8	64,5	24,5	63,0	87,2
1907 წ.	53,0	45,1	47,1	48,1	63,4	72,3
1908 წ.	66,0	68,1	67,5	53,3	72,5	67,3
1909 წ.	64,1	62,1	60,5	45,6	70,1	59,5
1910 წ.	80,4	63,8	61,0	66,5	73,4	98,2
ქუთაისის გუბერნია						
1906 წ.	27,4	27,4	27,8	18,7	36,5	51,7
190 წ.	41,3	35,2	76,4	78,0	60,5	41,9
1908 წ.	35,2	42,9	41,5	33,1	30,9	48,9
1909 წ.	35,8	71,8	52,3	19,9	42,6	38,7
1910 წ.	32,9	30,7	41,9	30,1	36,7	54,7

[1] „Статистический ежегодник на 1912 год", СПБ., стр. 15—39, 64—65.

	გაკრძელება					
	ხორბალი		ქვავი			
	გაზაფხ-ული	ზამთ-ული	გაზაფხ-ული	ზამთ-ული	ქერი	სიმინდი
ბათუმის ოლქი						
1906 წ.	58,4	58,5	—	—	65,5	78,2
1907 წ.	45,9	57,0	—	—	62,9	53,4
1908 წ.	58,7	56,3	85,0	—	47,6	62,6
1909 წ.	45,3	34,1	3 ,2	—	47,5	54,3
1910 წ.	49,7	15,7	24,0	—	77,0	93,1
თბილისის გუბერნია						
1906 წ.	45,0	40,2	37,1	28,8	50,2	53,4
1907 წ.	30,6	24,6	29,6	33,6	34,9	37,3
1908 წ.	36,6	35,7	62,0	24,4	41,9	41,1
1909 წ.	37,3	38,9	34,8	26,0	54,3	36,2
1910 წ.	37,8	38,4	52,9	35,1	50,2	35,7
ელიზავეტპოლის (განჯის) გუბერნია						
1906 წ.	30,6	28,0	16,7	31,0	32,0	72,2
1907 წ.	28,7	23,5	35,1	27,7	29,9	47,4
1908 წ.	35,0	29,9	25,0	28,8	37,3	67,4
1909 წ.	39,8	37,5	53,6	33,2	29,6	73,7
1910 წ.	27,1	21,5	37,7	30,2	27,0	96,6
ბაქოს გუბერნია						
1906 წ.	28,7	29,1	29,2	23,9	28,1	—
1907 წ.	30,4	27,8	40,1	—	30,3	—
1908 წ.	39,8	46,7	40,9	—	38,2	—
1909 წ.	46,2	25,9	50,1	—	44,5	—
1910 წ.	35,0	49,1	36,1	35,2	34,7	—
ერევნის გუბერნია						
1906 წ.	49,4	34,2	41,0	53,5	44,5	—
1907 წ.	58,3	30,7	43,6	47,9	40,5	—
1908 წ.	65,1	27,5	42,3	—	42,2	—
1909 წ.	73,5	42,7	—	40,2	53,9	—
1910 წ.	62,9	33,7	42,0	29,4	48,1	—
ხოხუმის ოკრუგი						
1906 წ.	—	—	—	—	—	110,8
1907 წ.	—	—	—	—	—	56,8
1908 წ.	—	—	—	—	—	48,7
1909 წ.	—	—	—	—	—	45,3

პურეულის მოსავლიანობა 1 დესეტინაზე ფუთობით 1909—1913 წწ.

მაზრები	სიმინდი	ხორბალი		ქერი
		შემოდგომის	გაზაფხულის	
ალმ. საქართველო.	67	50	47	53
ახალციხის	78	44	41	67
ახალქალაქის	62	45	41	81
ბორჩალოს	198	68	59	80
გორის	57	52	51	54
დუშეთის	77	53	44	51
თბილისის	79	53	49	51
თელავის	50	41	40	48
თიანეთის	76	47	48	62
სიღნაღის	48	43	40	45
დას. საქართველო.	64	47	46	51
ზუგდიდის	73	53	42	49
ლეჩხუმის	59	49	55	65
ოზურგეთის	55	49	44	47
რაჭის	87	49	—	27
სენაკის	74	42	41	48
ქუთაისის	69	45	41	35
შორაპნის	61	37	59	67
		52		

პურეულის მოსავლიანობა
ერთ ჰექტარზე კვინტალობით (1 კვინტალი=6,105 ფუთს)
1913—1920 წწ.[32]

ქვეყნები	წ ლ ე ბ ი	ხორ-ბალი	ჭვავი	სიმინ-დი	კარტო-ფილი
ავსტრია .	1913	13,4	13,8	11,8	90,6
	1914	15,5	14,9	14,4	108,1
	1915	11.8	10.4	14.3	96.3
	1919	9,3	7,9	12,8	56,2
	1920	10,0	8,7	—	—
ბელგია .	1913	25.2	22,0		200,2
	1914	23,5	22,5	—	—
	1915	—	—	—	—
	1919	20,7	17,4	—	180,0
	1920	22,6	21,8	—	152,4
ბოლგარეთი	1913	11,7	10,4	12,0	—
	1914	6,2	7,6	12,6	—
	1915	10,3	8,8	11,9	—
	1919	11.0	9,1	—	40,2
	1920	12,5	13,6	17,5	38,5
დიდი ბრიტანეთი და ირლანდია .	1913	21,3	18,9	—	162,7
	1914	22,0	18,5	—	156.9
	1915	21,3	17.7	—	157,5
	1919	20,0	17,2	—	125,8
	1920	19,3	15,0	—	123,7
უნგრეთი	1913	13.2	12.1	18,4	78,4
	1914	8,9	10,0	17,6	84,0
	1915	12,4	11,0	18.3	89,3
	1920	9,4	8 3	16,0	77,4
გერმანია	1913	23.6	19.1	—	158 6
	1914	19,9	16,6	—	134,6
	1915	19,2	14,3	—	151,1
	1919	16,7	13,9	—	98,5
	1920	16,3	11,5	—	114,8

[32] „Мировое сельское хозяйство" (Сборник стат.-эконом. сведений за 1913 1920 гг.), Москва, стр. 92—103.

ქვეყნები	წლები	ხორბალი	ბრინჯი	სიმინდი	კარტოფილი
			გაგრძელება		
დანია	1913	33,7	17,6	—	175,0
	1914	29,1	11,5	—	154,7
	1915	32,7	16,0	—	161,2
	1919	31,1	16,0	—	150,3
	1920	22,8	14,4	—	136,3
ესპანეთი	1913	7,8	9,1	14,3	—
	1914	8,1	8,0	16,7	74,9
	1915	9,3	9,0	15,9	92,5
	1919	8,4	8,1	13,8	84,4
	1920	9,1	9,7	14,9	86,2
იტალია	1913	12,3	11,4	17,5	61,3
	1914	9,7	10,9	16,9	56,5
	1915	9,2	9,3	19,7	52,7
	1919	10,8	9,4	14,5	44,9
	1920	8,4	10,3	14,7	46,2
რუსეთი	1913	[illegible]	13,3		
რსფსრ ევროპული ნაწილი	1914	[illegible]	7,8	6,9	63,1
	1915	[illegible]	—	—	—
	1919	[illegible]	6,3	5,9	72,7
	1920	[illegible]	5,9	10,0	65,5
უკრაინის სსრ	1913	[illegible]	9,5	13,0	83,0
	1914	[illegible]	9,9	11,1	79,1
	1915	[illegible]	9,3	7,3	61,1
	1919	[illegible]	9,7	14,5	67,7
	1920	[illegible]	9,5	13,5	68,4
რუმინეთი	1913	[illegible]	9,9	11,9	90,8
	1914	[illegible]	4,8	—	—
	1915	[illegible]	4,9	—	—
	1919	[illegible]	4,0	11,8	83,9
	1920	[illegible]	4,5	12,5	80,6
საფრანგეთი	1913	[illegible]	4,0	11,5	69,9
	1914	[illegible]	4,5	8,5	61,5
	1915	[illegible]	4,4	12,9	76,3
	1919	[illegible]	4,6	23,1	155,9
	1920	[illegible]	4,7	24,5	111,8
შვეიცარია	1913	[illegible]	4,4	10,9	170,4
	1914	[illegible]	4,1	28,0	—
	1915	[illegible]	4,2	30,9	—

ქვეყნები	წლები	ბაგრძელება			
		ბორ-ბალი	ბვავი	სიმინ-დი	კარტო-ფილი
კანადა	1913	14,1	12,1	37,9	111,6
	1914	10,5	11,4	34,1	121,1
	1915	19,6	13,4	35,6	88,0
	1919	6,8	8,5	40,1	103,2
	1920	9,7	10,9	30,9	114,7
ამერიკის შეერთ. შტატები	1913	10,2	10,2	14,5	60,8
	1914	11,2	10,6	16,2	74,3
	1915	11,4	10,3	17,7	64,8
	1919	8,7	7,9	17,9	58,1
	1920	9,3	8,3	19,4	73,7
ბრიტანეთის ინდოეთი	1913	8,2	—	—	—
	1914	7,4	—	—	—
	1915	7,8	—	—	—
იაპონია	1913	14,3	—	12,4	94,5
	1914	12,4	—	17,1	105,8
	1915	13,8	—	17,8	105,1
	1919	15,3	—	—	131,4
	1920	14,6	—	—	95,3
ეგვიპტე	1913	18,7	—	21,2	—
	1914	17,0	—	22,1	—
	1915	16,5	—	22,6	—
	1919	15,3	—	—	—
	1920	—	—	—	—
არგენტინა	1913—14	4,3	9,2	10,0	—
	1914—15	7,4	5,0	10,1	—
	1915—16	8,9	6,0	10,7	—
	1919—20	9,6	—	11,0	—
	1920—21	8,3	—	11,7	—
ჩილი	1913—14	10,8	16,3	12,0	—
	1914—15	11,9	11,1	12,4	—
	1915—16	11,9	10,8	12,7	—
	1920—21	14,7	10,6	13,0	—
ავსტრალია	1913—14	7,5	7,4	13,3	—
	1914—15	1,7	5,6	13,6	—
	1915—16	9,6	7,5	13,9	—
	1920—21	4,8	—	14,2	—
ახალი ზელანდია	1913—14	10,9	—	14,5	—
	1914—15	21,1	—	14,8	—
	1915—16	19,5	—	15,1	—
	1919—21	14,5	—	15,4	—

დაეცა და ძროხები, ხარები, ცხენები, ცხვრები ჩალის ფასად იყიდებოდა“ [33].

ცხადია, ნიადაგის ნაყოფიერების დაცემის წინააღმდეგ, ე. ი. სასუქის შეტანისა და სხვა სახით ზოგიერთ, სპორადული ხასიათის, ზომებს მიმართავდნენ ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონში, მაგრამ მარცვლეულის მეურნეობის განმტკიცების მხრივ, თავისუფლად შეიძლება ითქვას, ის იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ არსებითად არავითარი გაუმჯობესების მოტანა არ შეეძლო.

მაგალითად, გორის მაზრის ჩრდილოეთის მთის სოფლებში, XIX ს. 80-იანი წლების აღწერით, ნიადაგს ორ-სამ წელიწადში ერთხელ ასუქებდნენ, რამდენადაც „აქ სასუქის შეტანის გარეშე მოსავალი ან საერთოდ არ მიიღება, ანდა ისე მცირე ზომით მიიღება, რომ ის თესლსაც-კი არ ანაზღაურებს“. ამ რაიონებში უკვე მაშინ იყო ისეთი მიწები, რომლებიც ყოველწლიურადაც საჭიროებდნენ სასუქის შეტანას. ამავე დროს გორის მაზრის სამხრეთის მთის სოფლებში მიწების დიდი ნაწილი სასუქის შეტანის გარეშეც იძლეოდა საკმაო მოსავალს, რის გამოც სასუქი მხოლოდ ზოგიერთ ადგილას შექონდათ, „სადაც მიწა უარს ამბობდა თავის საუკუნოებრივ ნაყოფიერებაზე“. იქ, სადაც სასუქი შექონდათ განოყიერებულ მიწაზე პირველად სთესდნენ საგაზაფხულო ქერს, ხოლო მერმე ხორბალს. საერთოდ მთის მაღლობებზე განლაგებულ სოფლებში მიწების უდიდესი ნაწილი ურწყავი იყო. ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენისათვის აქ, ცხადია, მიმართავდნენ მიწის დასვენებასაც.

ამავე მაზრის ბარის სოფლებში სარწყავ მიწებს ყოველწლიურად ხნავდნენ, რის გამოც აქ ნიადაგი ძლიერ გამოფიტული იყო და სასუქის შეტანას მოითხოვდა. ამასთანავე, ამ რიგის სოფლებში მეცხოველეობა ნაკლებად იყო განვითარებული, და ამიტომაც „ნაკელი ისე ძვირია და ისე მცირე, რომ ის მთლიანად მიდის ბაღ-ვენახების გასანოყიერებლად“.

---

[33] П. Петрович, назв. работа, стр. 13, 20—21.

ბაღებისა და ბოსტნების ნიადაგის განოყიერების შემდეგ, თუ ნაკელი გადაურჩებოდათ გლეხები არჩევდნენ ის შეეტანათ ურწყულ მიწებში, რადგან „უამისოდ ისინი ძლიერ ცუდ მოსავალს იძლევიან“ [34].

ნიადაგის გასანოყიერებელ ნივთიერებათა ნაკლებობამ გამოიწვია ნაკელზე ფასების ზრდა. გორის მაზრაში 80-იან წლებში ერთი ურემი ნაკელი 1—3 აბაზად იყიდებოდა, ხოლო ზოგიერთ სოფელში, სადაც მევენახეობამ ფართო სავაჭრო ხასიათი მიიღო, მაგალითად, ხიდისთავში და სხვ. ერთი ურემი ნაკელის ფასი 1 მანეთს აღწევდა. ბაღ-ვენახებსა და ბოსტნებს, რაც უპირატესად ნაფუძარ (ნამოსახლარ), ე. ი. თვით სოფლის სანახებში მოქცეულ მიწებს წარმოადგენდნენ. თითქმის ყველგან ანოყიერებდნენ, თუკი ნაკელის მოპოვება შესაძლებელი იყო. საბოსტნე ნიადაგში ყოველწლიურად, ხოლო ბაღ-ვენახებში 3—4 ან 5 წელ-წადში ერთხელ მაინც შექონდათ ნაკელი.

სხვანაირი იყო მდგომარეობა თბილისის მაზრაში. აქ ზოგიერთ სოფელში ნაკელი გამოუყენებელი ეყარა და ანტიჰიგიენურ პირობებს ჰქმნიდა. მაგრამ არამცთუ 80-იან წლებში გასული საუკუნისა, არამედ XX საუკუნის პირველ ათეულ წელსაც. ამ მხრივ. მდგომარეობა არასახარბიელო იყო.

აღსანიშნავია, რომ თბილისის გუბერნიის საერობო აგრონომი პ. კვიტკა 1912 წ. წერდა, რომ „მინდვრებში სასუქის შეტანის მხრივ ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ ნაკელის სასუქზე. მაგრამ ნიადაგში ნაკელის სასუქის შეტანა ჯერ კიდევ არსად არაა სისტემად გადაქცეული, იგი იშვიათად გამოიყენება, უმრავლეს შემთხვევაში-კი საერთოდაც არ გამოიყენება და ერთეულ ცდებს არ გასცილებია“.

ნაკელით მიწის განოყიერების მცირე გავრცელების მიზეზებად პ. კვიტკა ასახელებს: მცირემიწიანობას; ასახელებენო აგრეთვე: მიწების გადანაწილებას (— თემური მიწათმფლო-

[34] МПЭБГКЗК, VI, I, 211.

ბელობის რაიონებში), იმას, რომ ნაკელი საჭიროა სათბობად (წივად), იმასაც რომ „ეგ ჩვეულებად არ გვაქვსო“, ხოლო ზოგან ნაკელის შეტანას არამიზანშეწონილად თვლიან, რადგან მისი მიზეზით პური მიწაზე წვებაო. იგი აღნიშნავს, რომ ნაკელით ყველგან ანოყიერებენ ნიადაგს მხოლოდ ბოსტნებისა და ბაღებისათვის. ხოლო მინდვრებში ნაკელის შეტანა და თვით სათიბშიაც ამ სასუქის შეტანას ეწევიან მხოლოდ ლორის პირველ რაიონში, სადაც სათიბებში სასუქების შეტანის შემთხვევები უფრო ხშირია, ვინემ პურის მინდვრებშიო[35].

ცარიზმის ადმინისტრაცია, ცხადია, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის საქმეში უწინარეს ეხმარებოდა კოლონისტებს. მაგალითად, თბილისის გუბერნიის საერობო აგრონომის ცნობით ს. ვორონცოვკის მცხოვრებთ მანამდე „არ იცოდნენ როგორ მოეცილებიათ თავიდან ნაკელი: იგი გაქონდათ და მდინარეში ჰყრიდდნენ. ახლა-კი სურათი სავსებით გამოიცვალა, და 1912 წელს შემოდგომის ნათესის, ჭარხლისა და მდელოს მინდვრებში ნაკელი შეაქვთ მეურნეობათა უდიდეს უმრავლესობას“[36].

ელისავეტპოლის გუბერნიის საერობო აგრონომი სტ. კამსარაკანი აცხადებდა (1912 წ.), რომ აქ „ნაკელს იყენებენ მხოლოდ და მხოლოდ სათბობად. მინერალურ სასუქზე წარმოდგენაც-კი აღარა აქვთ. ამგვარი ვითარებისა გამო შუა და ზეაგორიან ზონაში დესეტინაზე 45—50 ფუთი მოსავალი ფრიად კარგ მოსავლად ითვლება (საშუალო მოსავალი დესეტინაზე 35 ფუთია)“[37].

დაახლოებით ანალოგიური იყო მდგომარეობა ერევნის გუბერნიის უდიდეს ნაწილში. 1896 წ. ცნობით „სასუქის შეტანა არაქსის დაბლობში საერთოდ იშვიათად ხდება. ამასთანავე ამ მიზნით ნაკელს არასოდეს არ იყენებენ, რადგან მისგან აკეთებდნენ წივას („კიზიაკს“), რაც აქ, უტყეობის პირობებში,

---

[35] ДГЗАЗ, 251.
[36] МСХСФКККЗС, 616.
[37] ДГЗАЗ, стр. 117.

წარმოადგენს სათბობის ერთადერთ საშუალებას. მიწის გასაპოხიერებლად, სადაც ამას ადგილი აქვს, იყენებენ ნაცარ-ტუტას, რასაც ან პირდაპირ ფანტავენ ნაკვეთებზე ანდა ყრიან სარწყავ არხებში, საიდანაც ის წყალს გააქვს მინდორში". აქ ყველაზე ხშირად სასუქი შექონდათ სოფლების სანახებში მყოფ საბოსტნე ნიადაგში, „ასე რომ ხორბლის ნათესისათვის სასუქი მასალა უკვე არ რჩებოდათ"[38].

ამიერკავკასიის ზოგიერთ მთიან რაიონში, სადაც რამდენადმე განვითარებული იყო მეცხოველეობა და მხოლოდ მცირეოდენი სახნავ-სათესი გააჩნდათ, შედარებით, მნიშვნელოვნად შექონდათ ნიადაგში ნაკელი. მაგალითად, ე. კ ა ლ ვ ე ი ტ ი ს დაკვირვებით (1911 წ.) „ნიადაგის ნაკელით გაპატივება მნიშვნელოვან როლს თამაშობდა" სვანეთის მიწათმოქმედებაში.

ე. კალვეიტის სიტყვებით: თუ საერთოდ ამიერკავკასიაში ნაკელით უპირატესად მხოლოდ ბაღ-ბოსტანს აპატივებენ, სვანეთში-კი „სახნავი მიწებ-ს მეტისმეტი სიმცირე და აბსოლუტური შეუძლებლობა სვანეთის უდიდეს ნაწილში სახნავის ფართობის გადიდებისა, პურის მოსავლიანი ადგილების სიშორე, უგზოობა და, მაშასადამე, საზრდოობისათვის აუცილებელი პურის მოტანის (მოზიდვის) სიძნელე აიძულებს სვანებს უფრთხილდებოდნენ ყოველ მტკაველ სათესად ვარგის მიწას; მეორეს მხრით, ადგილობრივი ნიადაგის გამოფიტულობა, რაც ბუნებრივი შედეგია ზედიზედ წლითი-წლობით საუკუნეთა განმავლობაში მიწის შეუსვენებლად ხვნა-თესვისა, აიძულებს გამუდმებულად იზრუნონ ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენისათვის. ყოველივე ეს დიდი ხნის წინათ და კარგად შეუგნიათ სვანებს, და ამიტომაც ისინი საერთოდ ნიადაგს არ ასვენებენ, ხოლო ნაკელს დიდად აფასებენ... სვანეთში მინდვრებს აპატივებენ (აპოხიერებენ) სამ, ხანაც კიდევ ორ წელი-

[38] РТКЭЖД, стр. 492.

წადში ერთხელ". აქ ნაკელს წონით, ფუთობით და საკმაოდ ძვირადაც ყიდდნენ[39].

ნიადაგის ნაყოფიერების დაცემამ, რაც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მორწყვის საკითხს უკავშირდება, მიწათმოქმედების მიმდევარ მოსახლეობაში თავისებური, ცხადია, ემპირიული დაკვირვების გზით მიღებული დასკვნები გამოიწვია. 1885 წელს კახეთში სიღნაღის მაზრის ალაზნის მარცხენა ნაპირის სოფლებში დადგენილება გამოიტანეს, რათა არ მიეცათ იჯარით მიწები მეთამბაქოეთათვის, რადგან თამბაქოს კულტურა „ძლიერ ფიტავს ნიადაგს და იგი ამასთანავე მოითხოვს იმდენად ბევრ სარწყავ წყალს, რომ შემდეგ საკმაო წყალი არ რჩება სხვა მცენარეულობათა მოსარწყავად". აქ, სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფიერების აღმწერის ა. არღუთინსკის ცნობით, ბამბის კულტურაზედაც ხელი აიღეს, რადგან „ტყეების გაჩეხვის შედეგად შემცირდა ნიადაგის ტენიანობა, რის გამოც ბამბაც უკვე აღარა ხარობს"[40].

*

* *

ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის, კერძოდ მემინდვრეობის პრობლემებით დაინტერესებამ, ბუნებრივია, დღის წესრიგში დააყენა ნიადაგის შესწავლის საკითხი. ადგილობრივმა ორგანოებმა, სახელდობრ სმკს ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადადგა 1860-იან წლებში. საქმე დაიწყო ნიადაგის გარეგნული ფიზიკური თვისებების შესწავლიდან. სოფლის მეურნეობის კავკასიურმა საზოგადოებამ 1866 წელს თბილისში მოაწყო ქიმიური ლაბორატორია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქიმიკოსი გ. სტრუვე. ამ დროიდან ნიადაგის ფიზიკურ თვისებებთან ერთად დაიწყო მისი ქიმიური შესწავლაც. მაგრამ, როგორც თვით ამ საზოგადოების ანგარიშგებაშია აღნიშნული,

---

[39] Э. Кальвит, „Очерк сельск. хоз. Верхн. Сванетии", 1911, Тифлис, стр. 20—21.

[40] МИЭБГКЗК, IV, 268—269.

„ყოველივე ეს კეთდებოდა გარეშე გარკვეული პროგრამისა და ატარებდა როგორღაც შემთხვევითს ხასიათს“. ამ ლაბორატორიამ თავისი არსებობის 8 წლის მანძილზე ვერ შესძლო „გამოერკვია კავკასიური ნიადაგის ხასიათი“.

ნიადაგის შესწავლის საკითხი კვლავ გამოცოცხლდა 1880-იან წლებში, როდესაც სახელმწიფო ქონებათა და მიწათმოქმედების სამინისტრომ აქ სპეციალური კომისია შექმნა სახელმწიფო გლეხობის ეკონომიკური ყოფიერების შესწავლისათვის. ამიერკავკასიის გუბერნიებში მივლინებულ სტატისტიკოსებს დაევალათ მათი კვლევა-ძიების რაიონებიდან ტიპიური ნიადაგის ნიმუშები გამოეგზავნათ თბილისში სმკ საზოგადოებისათვის. ასეთი ნიმუშები აქ მართლაც იქნა მიღებული „მაგრამ მათი ქიმიური შესწავლა ძლიერ ძნელი აღმოჩნდა“[41].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ იმ ხანებში თავი იჩინა საკუთარი ახალგაზრდობამ მიმდინარეობამ საერთოდ ნიადაგმცოდნეობის საკითხებში. ეს იყო შედეგი იმ დიდი მეცნიერული კვლევა-ძიებისა, რასაც ამ მიმართულებით რუსი მეცნიერები და კერძოდ პროფ. ვ. დოკუჩაევი აწარმოებდა. რაკი დადგენილ იქნა, რომ ნიადაგი წარმოადგენს ბუნებრივ-ისტორიული განვითარების პროცესში ჩამოყალიბებულ სხეულს, ამდენადვე ნათელი გახდა რომ მისი. როგორც გარკვეული ორგანიზმის შესასწავლად არ კმარა მხოლოდ „ფიზიკურ-ქიმიური მეთოდი, არამედ აუცილებელია საჭიროებს ბიოლოგიური მეთოდითაც“[42].

ამიერკავკასიურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა დიდად სასახელო ნაბიჯი გადადგა იმ მხრივ, რომ „ამიერკავკასიის ნიადაგური პირობების“ შესწავლის მიზნით 1898 წ. აქ მოიწვია პროფ. დოკუჩაევი. ადგილობრივი ნიადაგის თვისებებზე თავისი დაკვირვების შედეგები პროფ. დოკუჩაევმა მოახსენა სმკ საზოგადოების სხდომას, სადაც მან, სხვათა შორის, გამოთ-

---

[41] ОДКОСХ, 65—67.

[42] В. Докучаев. Сочинения, 1951, VI, 372—380.

ქვა ის აზრი, რომ ნიადაგობრივი ტიპების მრავალგვარობის მხრივ ამიერკავკასიას ვერ შეედრება ვერც რუსეთი და ვერც დას. ევროპა და რომ ამიერკავკასიური ნიადაგის შესწავლისათვის აუცილებელია გაცნობა მისი გეოლოგიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის და კლიმატოლოგიისა.

პროფ. ვ. დოკუჩაევი 1900 წელს კვლავ ჩამოვიდა აქ ამიერკავკასიის ნიადაგების მის მიერ დაწყებული შესწავლის გახაგრძელებლად და, სხვათა შორის, თბილისში წაიკითხა ოთხი საჯარო ლექცია, რომელშიაც მსმენელებს გადაუშალა ამიერკავკასიის ნიადაგების შესწავლის საქმეში თავისი მუშაობის შედეგები.

1898 წელს თბილისის სტატისტიკური კომიტეტის სხდომაზე თავის მოხსენებაში პროფ. ვ. დოკუჩაევი ასკვნიდა: „როგორც ჩვეულებრივი სოფლის მეურნეობა, ასევე ყველაზე ძვირფასი სოფლისმეურნეობრივი კულტურები კავკასიისა, როგორიცაა ვენახი, თამბაქო, ბამბა, ჩაი და სხვ., მხოლოდ მაშინ წარიმართებიან სწორად, მხოლოდ მაშინ მისცემენ ადამიანს საუკეთესო შედეგებს, როდესაც ისინი, როგორც საერთოდ ისე ცალკეულ ნაწილებში, ასე ვსთქვათ მეტისმეტად წვრილმანებშიაც, შეგუებული იქნებიან ადგილობრივ ნიადაგს, ადგილობრივ წყლებს, ადგილობრივ კლიმატს და სხვ.

კავკასია — ერთერთი უმდიდრესი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელსაც, შეიძლება ითქვას, შეუძლია მაძღრისად გამოკვებოს არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ მთელი რუსეთიც; მაგრამ ამისათვის, უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად, საჭიროა პატივს ვსცემდეთ და საქმით გვიყვარდეს მეცნიერება“[43].

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ნიადაგების აღწერის პირველი ცდა მოცემულია უკვე მე-18 ს. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ[44]. მე-19 ს. მიწურულსა და მე-20 ს. დასაწყისში ამიერკავკასიის ნიადაგების შესწავლაზე მუშაობდ-

---

[43] В. В. Докучаев, Сочинения, 1951, VI, 397.

[44] ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 1941, თ3.

ნენ პროფ. ა. კრასნოვი, მ. კალინინი და სხვ. მაინც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიდი რუსი მეცნიერის ვ. დოკუჩაევის ღვაწლი.

საერთოდ ნიადაგების გეგმიანი და ფართო მეცნიერული შესწავლა ჩვენში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან იწყება[45].

2. თ ე ს ლ ბ რ უ ნ ვ ა

არც თესლბრუნვა და არც მიწის დასვენების რაიმე მკაცრად გამომუშავებული სისტემა, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, საერთოდ ამიერკავკასიაში არ იყო დადგენილი[46]. მართალია, ცალკეულ რაიონებში ტარდებოდა, მაგალითად, გარკვეული ხასიათის თესლბრუნვა. მაგრამ იგი მხოლოდ ტრადიციით გამომუშავებულ ჩვევებზე ემყარებოდა და საკითხის სპეციალური მეცნიერული შესწავლის საფუძველზე როდი იყო დაფუძნებული.

ამიერკავკასიაში საერთოდ მემინდვრეობის (მიწათმოქმედების სისტემათა) საკითხების[47] შესწავლას საბჭოთამდელ პერიოდში თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. ფიზიკურ-გეოგრაფიული, კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობების მრავალგვარობა, რაც შესაძლებლობას იძლეოდა ფრიად მრა-

---

[45] საქართველოში ნიადაგმცოდნეობის განვითარების შესახებ იხ. პროფ. მ. ს ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს „ნიადაგმცოდნეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების XXX წლისთავზე და მისი ამოცანები“ (ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის შრომები, 1952, ტ. IV); მისივე, „ნიადაგმცოდნეობა“, მეორე გამოცემა, 1952, თბ., გვ. 12—20.

[46] თესლბრუნვის ზოგადი საკითხებისათვის იხ. С. К о л е с н е в, „Организация социалистических с. х. предприятий“, 1947, стр. 287—340.

[47] ამ მხრივ უახლეს ენთოგრაფიულ გამოკვლევათაგან ფრიად საინტერესოა პროფ. გ. ჩ ი ტ ა ი ა ს ნაშრომი „Земледельческие системы и пахотные орудия Грузии“ („Вопросы этнографии Кавказа“, 1952, Тб. стр. 99—111).

ვალნაირი სოფლისმეურნეობრივი კულტურების განვითარებისა. რა თქმა უნდა, ბადებდა ინტერესს ამ მიმართულებით ახალ-ახალი ცდების წარმოებისა; მაგრამ ამგვარი ცდების წარმოების შესაძლებლობის მქონე ადამიანთა უმრავლესობა მოწყვეტილი იყო უშუალო მწარმოებელთა ძირითადი მასებისაგან, არ იცნობდა ამ მხრივ მის მოთხოვნილებებსა და მისწრაფებებს.

ასეთი ცდები, ცხადია, მაინც წარმოებდა და 1890-იანი წლებიდან რამდენადმე უფრო გახშირდა მოწყობა საცდელ-საჩვენებელი მინდვრებისა, რომელთა ამა თუ იმ ადგილას არსებობა, ჩვეულებრივ, მხოლოდ 2—3 წელიწადს გრძელდებოდა (საერთოდ მათი წარმოშობისა და განვითარების ისტორიას ჩვენ თავის ადგილას სპეციალურად ვიხილავთ). მაგრამ მათი საქმიანობაც, როგორც აღვნიშნეთ, ამიერკავკასიისათვის მხოლოდ ახალი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურებით ისაზღვრებოდა უმთავრესად.

მაინც იყო არსებითად ორიოდე დაწესებულება, რომელნიც საბჭოთამდელ ამიერკავკასიაში აწარმოებდნენ ერთგვარ სელექციურ მუშაობას მემინდვრეობის კულტურათა დარგში — ყარაიას საცდელი მინდორი და თბილისის ბოტანიკური ბაღი, რომელთა ნამუშევარს მარცვლეულ კულტურათა სელექციისა და ჯიშთა შესწავლის მხრივაც აქვთ გარკვეული ისტორიული მნიშვნელობა.

საერთოდ საბჭოთამდელ ამიერკავკასიაში ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შესახებ უნდა ითქვას, რომ მას თითქმის არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონია და არ მოუცია მარცვლეული კულტურის არც ერთი ახალი ჯიში; ხოლო თვით არსებული მეურნეობრივი მნიშვნელობის ჯიშთა შესახებაც მხოლოდ ფრიად ზოგადი წარმოდგენა-ღა თუ ჰქონდათ შემუშავებული[48].

1880-იანი წლების შუაში სახელმწიფო გლეხთა ეკონომი-

---

[48] იხ. „Сорта с.-х культур Закавказья", выпуск I, Зерновые культуры, 1936, Л.—М.

კური ყოფიერების აღმწერის თ. მ ა რ კ ო ვ ი ს სიტყვებით, ქუთაისის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში, მთაგორიან სოფლებში „თესლბრუნვა განირჩევა დიდის სისწორით დაბლობზე მდებარე სოფლებთან შედარებით“[49].

ხსენებულ მთაგორიან სოფლებში „თესლბრუნვა მთლიანად დამოკიდებულია ნიადაგის ხარისხზე“. ასე, მაგალითად, უკეთეს მიწებზე, რომლებსაც 7 წელიწადს ზედიზედ ხნავდნენ, სიმინდს სთესდნენ ოთხჯერ: პირველ ორ წელს, მეოთხე და მეექვსე წელს; შუალედებში, მესამე და მეხუთე წელს, სთესდნენ ღომს, ხოლო უკანასკნელ წელს, მიწის დასასვენებლად დატოვებამდე, — ფეტვს. საშუალო ხარისხის მიწებზე, რასაც ჩვეულებრივად ზედიზედ ხუთ წელიწადს ხნავდნენ, პირველ და მესამე წელს თესდნენ სიმინდს, მეორე და მეოთხე წელს — ღომს, ხოლო მეხუთე წელს — ფეტვს. ცუდ მიწებს მხოლოდ 3 წელიწადს ხნავდნენ ზედიზედ: პირველ წელს — სიმინდს. მეორე წელს — ღომს და მესამე წელს — ფეტვსა სთესდნენ.

რაც შეეხება დაბლობზე მდებარე სოფლებს. აქ თესლბრუნვას ყველა ერთგვარად რიდი ეწეოდა. გლეხები, კულაკები, რომელთაც ბევრი მიწა ჰქონდათ, კარგ მიწებს თუმცა ყოველწლიურად სთესდნენ, „მაგრამ მხოლოდ ერთჯერ წელიწადში“, ხოლო ნაკლებ ვარგის მიწებს „ხშირად ასვენებდნენ“. მცირემიწიანი გლეხები-კი „მეტი შემოსავლის მიღების მიზნით ჰფიტავენ თავიანთ საუკეთესო მიწებს წელიწადში პურის ორჯერ დათესვით, ხოლო ცუდ მიწებს კიდევ იშვიათად ასვენებენ“.

მიწებზე, რომლებზედაც წლიურად მხოლოდ ერთი მოსავალი მიიღებოდა, თესვის შემდგომი მონაცვლეობა იყო დადგენილი: სიმინდი, ხორბალი, ბამბა და ბოლოს ქერი ითესებოდა. მიწებზე, რომლებზედაც წლიურად ორ მოსავალს იღებდნენ, სთესდნენ: გაზაფხულზე — ქერს, ხოლო მისი აღების შემდეგ სიმინდს; შემდეგ, გვიან შემოდგომით, — ხორბალს, ხოლო

[49] МИЭБГКЗК, I, III, 242.

ხორბლის აღებისთანავე მიაყოლებდნენ სიმინდს „და უკანასკნელი ყოველთვის ასწრებდა“ დამწიფებას[50].

კახეთში მიწათმოქმედების აღმწერნი აღნიშნავდნენ „მემინდვრეობის სისტემის დიდ მრავალგვარობას“. აქ ოთხმოციან წლებში უპირატესად სამმინდვროვანი სისტემა იყო გაბატონებული. ნასვენ მიწას ხნავდნენ საგაზაფხულო პურისათვის, რომლის აღების მერმე იმავე წელს სთესდნენ საშემოდგომო პურს, ხოლო ამ უკანასკნელის აღების წემდეგ მინდორს მესამე წლის ბოლომდე ასვენებდნენ (საბალახოდ უშვებდნენ). ამგვარად, ნასვენ მიწას პირველი წლის აპრილს ხნავდნენ და სთესდნენ ფეტვს ანუ სიმინდს, ოქტომბერში კი ამავე ნაკვეთზე სთესდნენ ხორბალს ანუ ქერს, ხოლო მკის გათავების მერმე ივნისიდან მესამე წლის აპრილამდე მიწას ასვენებდნენ.

სამწლიანი თესლბრუნვის შემდეგ ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ოთხწლიანი. ამ შემთხვევაში შემოდგომის ნათესების მოსავლის მოწევის მერმე მიწას კი არ ასვენებდნენ, არამედ კვლავ საშემოდგომო პურს სთესავდნენ და მხოლოდ შემდეგ ასვენებდნენ. იყო ისეთი სოფლებიც, სადაც სამ წელს და ზოგან უფრო მეტსაც ზედიზედ სთესდნენ საშემოდგომო პურს. საერთოდ თესლბრუნვის ინტერვალი უმთავრესად დამოკიდებული იყო მეურნეობის „მიწით უზრუნველყოფის ხარისხზე“[51].

თბილისის მაზრის თითქმის ყველა სოფელში, როგორც ს. შ ა ჩ ა ბ ე ლ ი აგვიწერს (1884 წ.), გავრცელებული იყო ორმინდვროვანი სისტემა, ე. ი. ერთ წელიწადს მიწა ითესებოდა, ხოლო მეორე წელიწადს — ისვენებდა (საბალახოდ იყო მიშვებული). ამასთანავე, ძალიან ხშირად ერთდაიმავე ნაკვეთზე წლითიწლობამდე სთესავდნენ ქერს, ხოლო მეორეზე — ხორბალს. ხორბლისათვის ჩვეულებრივ უკეთეს მიწას არჩევდნენ. სარწყავ მიწებზე კი, რომელსაც ყოველწლიურად ხნავდნენ და სთესდნენ, დადგენილი იყო სხვაგვარი თესლბრუნვა ჩვეულე-

---

[50] МИЭБГКЗК, I, III, 243.
[51] МИЭБГКЗК, V, I, 97.

ბრივ სიმინდის ან ფეტვის მოსავლის აღების შემდეგ შემოდგომით მიწას ზერელეთ მოხნავდნენ და სთესდნენ შემოდგომის ხორბალს ანუ ქერს. შემოდგომის პურის აღების მერმე მიწას ასვენებდნენ გაზაფხულამდე, როდესაც კვლავ სთესდნენ სიმინდს ანუ ფეტვს. დასასვენებლად გაშვებული ყველა მიწა ჩვეულებრივ საბალახოდ გამოიყენებოდა[52].

თბილისის გუბერნიაში, კერძოდ ქართლში, მემინდვრეობის ანალოგიური სისტემაა აღწერილი ი. ციციშვილისა, დ. აბაშიძისა და სხვ. მიერ ოცი წლის წინათ, სახელდობრ. 1864 წელს: მინდორი იხვნება წელიწადში ერთხელ და ითესება სიმინდი, ლობიო და სხვ. ამათი მოსავალი აიღება იმავე წლის ივლის-აგვისტოში, ხოლო მერმე — ივლის-სექტემბერში კვლავ იხვნება მიწა და ითესება ხორბალი, რის მოსავალსაც იღებენ შემდგომი წლის ივლისში და მიწა კვლავ იხვნება ზემოხსენებულ მარცვლეულთათვის; ანდა ისვენებს მომავალ წლამდე[53].

მე-19 ს. დასაწყისს, როგორც ერთი უცხოელი დამკვირვებელი გადმოგვცემს, დუშეთის მაზრაში მიწას 4—6 წელიწადში ერთხელ ასვენებდნენ[54]. საერთოდ მიწის დასვენების პერიოდები მე-19 ს. სამოციან წლებამდე ზოგან უფრო ხანგრძლივი ყოფილა, მაგრამ შემდეგში, განსაკუთრებით. მე-19 ს. მიწურულიდან „მცირემიწიანობისა გამო იძულებული იყვნენ შეემცირებიათ იგი“.

XIX ს. 80-იან წლებში გორის მაზრის გლეხთა ეკონომიკური ყოფიერების აღმწერი აცხადებს, რომ აქ გარკვეულ თესლბრუნვას არ იცავენ და მეურნეთა უმრავლესობა „ხელმძღვანელობს უმთავრესად პირადი გამოცდილებით“. ძალიან ხშირად მიწის ერთსა და იმავე ნაკვეთზე ერთი და

---

[52] МПЭБГКЗК, V, I, 235.

[53] П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения“, 1950, II, 223.

[54] Klaproth, „Voyage en Caucase et en Géorgie“, 1823, Paris, II, 28.

იგივე მცენარე თანმიმდევრობით ითესება რიგი წლების განმავლობაში. ხოლო „როდესაც მიწა ძალზე გამოიფიტება, მაშინ მას ასვენებენ, ანდა აქ სთესენ ისეთ მცენარეს, რაც არ მოითხოვს განსაკუთრებით ნაყოფიერ ნიადაგს". ისეთ სოფლებში კი სადაც ლამიანი ნიადაგი ჭარბობს „გლეხები გაუნოყიერებელ მიწაზე სთესავენ მხოლოდ და მხოლოდ ხორბალს".

აქ ძრავალ სოფელში, სარწყავი მიწების გამოყენებაში, იცავენ სამმინდვროვან სისტემას და ამასთანავე საგაზაფხულოდ სთესავენ სიმინდს და ხშირად მასთან ერთად ლობიოსაც. სიმინდის მოსავლის აღების შემდეგ სთესენ შემოდგომის ხორბალს ანდა ქერს. შემოდგომის პურის აღების შემდეგ მიწას მომავალი წლის გაზაფხულამდე საბალახოდ (под зеленный пар) სტოვებენ, რის მერმეც სთესავენ, ჩვეულებრივ, ჯერ საგაზაფხულო ქერს, შემდეგ შემოდგომის ხორბალს და ბოლოს კვლავ საბალახოდ სტოვებენ... ურწყულ მიწებზე სიმინდს ძლიერ იშვიათად სთესდნენ. ზოგიერთ სოფელში მიწას საზამთროდ მოხნულს (под черным паром) ტოვებდნენ და გაზაფხულზე აქ ხორბალს ან ქერს სთესავდნენ[55].

აღსანიშნავია, რომ თბილისის გუბერნატორის 1868 წლის ანგარიშგებაში მიწის დასვენების გრძელი პერიოდების მიზეზად დასახელებულია „აქაური კლიმატის დამახასიათებელი არაჩვეულებრივად ძლიერი ქარები და ამასთანავე ნაკლებობა ტყეებისა, რასაც შეეძლებოდა შეენელებია ქარის ძალა". ასეთს პირობებში აქ მიწის დიდი ხნით დასვენების სისტემა აუცილებელია, რადგან სხვანაირად „არა მხოლოდ ნიადაგში ჩაყრილი თესლი, არამედ მთელი ფენაც ფრიად გაფხვიერებული მიწისა, მშრალი ამინდების დროს, მიაქვს ქარბუქსო"[56]. ამგვარად, როგორც ჩანს, მემინდვრეობის სისტემის გამომუშა-

---

[55] МПЭБГКЗК» VI, I, 210.

[56] П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения", 1950, II, 296.

ვებაში ადგილობრივ მოსახლეობას ეროზიის პროცესიც მიუ-ღია მხედველობაში.

1889 წ. გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნდა სვიმონ ვ ე ზ ი რ ი-შ ვ ი ლ ი ს 2 სტატია ვაზის ავადმყოფობის შესახებ[57]. ვაზის ავადმყოფობისა და საერთოდ მევენახეობის საკითხთან დაკავ-შირებით ავტორი შეეხო კერძოდ ნიადაგის ნაყოფიერებისა და მცენარეთა შენაცვლების, ნაყოფცვლის საკითხს.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მ ს. ვეზირიშვილის ამ სტატიებს „მეტად შესანიშნავი წერილი“ უწოდა, რადგან „ჩვენში ჯერ არავის წამოუყენებია იგი მიზეზი ჩვენის ვენახის და ვაზის უღონობისა“ რაც ს. ვეზირიშვილმა გვიჩვენაო.

ს. ვეზირიშვილი ვაზისა და საერთოდ მემცენარეობის დარგებში მოსავლიანობის დაცემის მიზეზად ნიადაგის გამო-ფიტვას, მისი ნაყოფიერების დაცემას ასახელებდა. საუკუნეე-ბის მანძილზე „ვაზი სწოვს ერთსა და იმავე მიწასა“ და, რა-საკვირველია, მიწა იმდენად გამოიფიტა, გაღარიბდა, რომ „ვაზს საზრდოდ და სახეიროდ ბევრი აღარა შერჩენია“ რაო.

ი. ჭავჭავაძე, მოყავს რა ს. ვეზირიშვილის სტატიის ეს აზ-რი, წერს. „ჩვენში ყველამ კარგად იცის, რომ ერთსა და იმავე მიწაზედ ზედიზედ არ უნდა დაითესოს ერთი და იგივე მცე-ნარე. ნაქერალში ქერს არავინ დასთესს, ნაპურალში პურს, თუ მცენარე არ უცვალა“[58].

ს. ვეზირიშვილი და ი. ჭავჭავაძე აღნიშნავენ, რომ დაეცა არა მხოლოდ მარცვლეულის, არამედ, კერძოდ, ვენახების მოსავლიანობაც, „საცა უწინ დღიურს მიწას ხუთას-ექვსასი თუნგი მაინც უნდა გამოსვლოდა, დღეს ასს-ორასს თუნგს ძლივსღა სწურავენ ვენახის პატრონები“. ეს კი მიწის დაღლის შედეგია. „მიწა გაცვდა და ვაზი ეხლა ვეღარ ჰშობს იმოდი-ნის სიუხვითა და სიკარგით თავის საზრდოს მოღალულს მი-წაში“.

---

[57] ს. ვ ე ზ ი რ ო ვ ი, „შენიშვნა ვაზის ავადმყოფობაზედ“ („ივერია“. 1889 წ. № 28 და 29).

[58] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობა-ში“ („ივერია“, 1889 წ. № 31).

მაგრამ ს. ვეზირიშვილი მხოლოდღა ამ ფაქტს როდი აღნიშნავს. იგი ამ მოვლენათა ახსნისა და მისი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებისათვის, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენისათვის ურჩევს შესაბამისი მეცნიერული ცნობიერების დარგში არსებული მიღწევების გამოყენებას. მისი აზრით ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის „თითქმის ერთადერთი საშუალებაა“ ნაყოფცვლა, თესლბრუნვა, რათა „ხელახლა გაღონიერდეს მიწა იმ მცენარისათვის, რომელსაც მიწა მოუღლია“. ამას იგი ასაბუთებს საკუთარი გამოცდილებით მოპოვებული მასალითაც.

აქ ილია შენიშნავს: „შორს რომ არ წავიდეთ, თვითონ ჩვენშიაც ცნობილია ღირსება ნაყოფთ-ცვლისა, ჩვენმა მხვნელ-მთესველმა კაცმა ძალიან კარგად იცის, რომ მიწას უნდა შეუცვალოს ხოლმე მცენარე. ქერს, პურს, სიმინდს იგი მუდამ უცვლის ხოლმე, თუ ერთსა და იმავე მიწაზედ უნდა ერთ-ერთის მოყვანა“. მაგრამ, ამ მხრივ, ის მანიპულაციები, რაც მარცვლეულისა და საერთოდ ერთწლიან მემცენარეობაში შეიძლება გატარდეს, პრაქტიკულად გამოუყენებელია მრავალწლიან ნარგავთა მემცენარეობაში, სადაც მცენარე, ვაზი, ათეულ წლობით ცოცხლობს და განუწყვეტელ მცენარეულ (ბიოლოგიურ) ფუნქციონირებაში ვითარდება.

ამ მხრივ ს. ვეზირიშვილს ღონისძიება ვერ გამოუნახავს. ის ამ საკითხს მეცნიერული კვლევაძიების საგნად აყენებს: „ვინც ამ საგანზე სწორე პასუხს მოგვცემს, იგი გვასწავლის მევენახეთა მეცნიერების საიდუმლო კარის გასაღებსო“.

ილია წერს: „ნაყოფთა-ცვლა იმ ადგილას, საცა ვაზია დარგული, შეუძლებელია, თუ ვაზი არ გადიკაფა და იმის სანაცვლოდ სხვა რამ არ დაითესა“. ამიტომაც, რაკი ვაზის აკაფვაზე ფიქრიც შეუძლებელია, „ჭკუადასმით ჩაფიქრება უნდა იმ მხრით, რომ როგორმე ეშველოს ვაზისაგან მოღლილ მიწას, თავისი ძალღონე დაუბრუნდეს იმ გზით, რომ მცენარეც შეეცვალოს და არც ვაზი გადაიკაფოს“. და ამ თვალსაზრისით ი. ჭავჭავაძემ ის მოსაზრება წამოაყენა, რომ „იქნება შესაძლო იყოს, იმისთანა მცენარე რამ მოინახებოდეს, რომ ვაზებს

შუა მოვიყვანოთ და მოლალულს მიწას ის სამსახური გაუწიოს, რაც საჭიროა ვაზის სახეიროდ და იმის საზრდოს მოვარბებისათვისო"[59].

საქართველოში, ძრავალწლიან ნარგავთა კლასიკურ ქვეყანაში, ცხადია იმ დროისათვის საკმაებით ბუნებრივი მოვლენა იყო ნაყოფცვლიანი სისტემის კერძოდ მევენახეობის მიწათმოქმედებაში რაიმე მხრივ გამოყენებისათვის ზრუნვა, გზების ძიება; და ეს მომენტი, მისი შედეგებისაგან დამოუკიდებლადაც მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული ცნობიერების ისტორიის თვალსაზრისით.

მაგრამ დავუბრუნდეთ მარცვლეულის მეურნეობის საკითხს.

საერთოდ საქართველოს რაიონებში, სადაც მარცვლეულთაგან გაბატონებული ადგილი ხორბალს ეჭირა, იგი მონაცვლეობდა სიმინდთან, ხოლო დანარჩენ რაიონებში ერთსა და იმავე ნაკვეთზე ზედიზედ და არსებითად შეუცვლელად ითესებოდა სიმინდი[60]. დას. საქართველოს ზოგიერთ რაიონში. სადაც 1870-იან წლებამდე იმდენად საგრძნობი არ იყო მცირეძიწიანობა, სიმინდის სათეს მიწას ხუთი წლის ხვარების მერმე ასვენებდნენ და ხვა ნაკვეთებზე გადადიოდნენ. მაგრამ სულ ვალე აქ მიწის დასვენება მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში და ისიც მხოლოდ მსხვილ მემამულურ მეურნეობაში იყო რამდენადმე შესაძლებელი. აფხაზეთში თამბაქოსათვის გაწმენდილ მიწაზე ჩვეულებრივ პირველ წელს სთესავდნენ სიმინდს, რაც „ხელს უწყობდა ნიადაგის შემზადებას თამბაქოსათვის".

1913 — 1914 წლებში ქუთაისის გუბერნიაში მემინდვრეობის სისტემის შედარებით დაწვრილებითი აღწერა ეკუთვნის ამ გუბერნიის საერობო აგრონომს კ. დანილევსკის. მემინდვრეობის ყველა ადგილობრივი სისტემა მის მიერ წარმოდგენილია შემდეგნაირად: 1. მ ა რ ც ვ ლ ო ვ ა ნ ი: ა. ერთმინდ-

[59] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში" („ივერია", 1889 წ. № 31).

[60] ЭТЗ, I, 188.

ვროვანი, ბ. ორმინდვროვანი, გ. სამმინდვროვანი; 2. ნ ა ყ ო ფ ც ვ ლ ი ა ნ ი (плодосменная); 3. ჭ რ ე ლ მ ი ნ დ ვ რ ო ვ ა ნ ი (пестрополье) სხვადასხვა მარცვლოვანი და პარკოვანი კულტურებით; 4. ნ ა ჩ ხ ა ტ ო ვ ა ნ ი (переложная): ა. ჩვეულებრივი დასვენება მიწისა, როდესაც მასზე ხარობს ბალახი და ბ. როდესაც მასზე ხარობს ტყე და ბუჩქნარი, რომლის კვლავ სახმარად გადასაქცევად საჭიროა ტყის გაკაფვა (подсечная система — ახო; 5. ს ა ძ ო ვ რ უ ლ ი (ბალახოვანი) (пастбищная).

მარცვლოვან სისტემათაგან სიმინდის ერთმინდვროვანი მიწის გამუდმებული ხმარება ჩვეულებრივ გავრცელებული იყო შლამოვან და თიხნარ ნიადაგზე ქუთაისის, სენაკის, ოზურგეთისა და ზუგდიდის მაზრებში, მდინარეთა ჭალებში— არა უმაღლეს 2 500 ფუტისა ზღვის დონიდან, იმავე მაზრებში.

ქერის ერთმინდვროვანი სისტემა გაბატონებული იყო სვანეთისა და რაჭის მაზრების მაღალმთიან სახნავზე. მარცვლოვან ორმინდვროვანს წამყვანი ადგილი ეჭირა ქვემო რაჭასა და ლეჩხუმში. აქ ჩვეულებრივი თესლბრუნვა გამოიხატებოდა სიმინდისა და შემოდგომის ხორბლის, ხანაც გაზაფხულის თავთავიანთა მონაცვლეობაში[61].

ნაჩხატოვანი სისტემა გაბატონებული იყო საგლეხო მინდვრებზე ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის და ქუთაისის მაზრების მთისძირა სოფლებში, ზოგან კიდევ დაბლობ ადგილებში ზუგდიდის, შორაპნის და უფრო იშვიათად რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში. ფართოდ გავრცელებული-კი ყოფილა მიწის ჩვეულებრივი დასვენება, ე. ი. როდესაც მიტოვებულ მიწაზე ხარობს ბალახი და წვრილი ბუჩქნარი, ხოლო ახოს (ტყენაკაფის) სისტემა შედარებით იშვიათად — შავი ზღვის სანაპიროთა დაბლობ ადგილებში, სადაც მიტოვებული სახნავი ძლიერ მალე იფარებოდა ხოლმე ტყით.

მიწის დასვენება გრძელდებოდა 1-დან 30 წლამდე, საშუალოდ-კი 6 წელს; ხოლო დასვენებულის კვლავ ხვნა-თესვა

---

[61] МСХСОКККЗС, 97.

1-დან 10 წლამდე გაგრძელდებოდა, საშუალოდ კი — 4 წელს. დასვენებულ მიწაზე ჩვეულებრივ პირველად სთესდნენ სიმინდს, როგორც „უფრო ღონიერ მცენარეს“.

ბალახოვანი სისტემა მემინდვრეობისა გავრცელებული იყო მხოლოდ ალპური საძოვრების სახით, ზღვის დონიდან 7 — 10 ათასი ფუტის სიმაღლეზე[62].

სტ. კ ა მ ს ა რ ა კ ა ნ ი, ელისავეტპოლის (განჯის) გუბერნიის საერობო აგრონომი, 1912 წ., იხილავდა რა მემინდვრეობის მდგომარეობას, წერდა, რომ აქ „არავითარი მეტად თუ ნაკლებად დადგენილი სისტემა თესლბრუნვისა არ არის, სრული უსისტემობაა ნაყოფთცვლაში. მიწები ძლიერ გამოფიტულია ერთგვაროვანი კულტურითა და იმის გამო რომ სასუქი საერთოდ არ იხმარება“[63].

ერევნის გუბერნიაში „თესლბრუნვის შესახებ სწორი წარმოდგენა გლეხებს არა აქვთ, რის გამოც თესვის მონაცვლეობაში საერთო წესი არაქსის დაბლობში არ არსებობს“. მეჩალტიკეობის თემებში მიწას ან სრულებით არ ასვენებდნენ, ანდა ასვენებდნენ დიდი ინტერვალის შემდეგ. თესლბრუნვის თანმიმდევრობა თვით 1900-იან წლების დამდეგს ასეთი იყო: პირველ წელს სთესდნენ ბრინჯს, მეორე წელს — ბამბას, მესამეს — ხორბალს, ხოლო მეოთხე წელს მიწას ასვენებდნენ და მერმე ისევ სთესდნენ ბრინჯსა და ა. შ.

იმ რაიონებში, სადაც ბრინჯს არ სთესავდნენ და ნიადაგს არ აპოხიერებდნენ, მიწას ორ წელს ზედიზედ თესვის შემდეგ ერთი წლით ასვენებდნენ, ანდა განუწყვეტლად სთესდნენ, მანამ სანამ მიწა „საკვებით არ შესწყვეტს მოსავლის მოცემას“; ამის მერმე სთესდნენ იონჯას და მიწას სტოვებდნენ 4—5 წლით, რის შემდეგაც ხნავდნენ პურისათვის, მანამ სანამ კვლავ საკვებით არ გამოიფიტებოდა.

რაიონებში, სადაც მიწას ანოყიერებდნენ, აგრეთვე შავნიადაგიან მიწებსაც საკვებით არ ასვენებდნენ; აქ მხოლოდ მი-

---

[62] МСХСОКККЗС, 98—99.
[63] ДГЗАЗ, 117.

მართავდნენ თესლცვლას: ხორბლისა და ბამბის ურთიერთმონაცვლეობის სახით. მაგრამ ისეთ ადგილებში-კი, სადაც მიწები ბევრი იყო, ხოლო მორწყვის საშუალება ნაკლები: ერთ წელს სთესავდნენ, მეორეს — ასვენებდნენ. საერთოდ-კი თესლბრუნვის ეს წესები რაიმე შემთხვევათა გამო ადვილად ირღვეოდა[64].

ხუთიოდე წლით მერმინდელი დამკვირვებლის სიტყვებით ერევნის გუბერნიის მთიან ადგილებში გავრცელებული იყო უპირატესად ორმინდვროვანი სისტემა, ხოლო სამმინდვროვანი — იშვიათად. სამმინდვროვანი სისტემის თემებში ორი ნაკვეთი ისვენებდა, მესამე — ითესებოდა[65].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერევნის გუბერნია ამიერკავკასიაში ითვლებოდა ერთადერთ რაიონად „სადაც ბალახების კულტურა ძველიდანვე იყო ცნობილი", ხოლო მე-18 ს. მიწურულსა და მე-19 საუკ. დასაწყისში უკვე საკმაოდ გავრცელებული. საკვებ ბალახთაგან აქ სთესავდნენ უმთავრესად იონჯას და ზოგან კიდევ, მთის ძირებში ნახევანისა და ეკმიაძინის ვაზრებისა — ესპარცეტს. ამ ბალახებს, ცხადია, კარგად იყენებდნენ პირუტყვის საკვებად; ეს ბალახები გაცვლის საგანსაც წარმოადგენდნენ და საერთოდ მათი კულტურა „კარგ შემოსავალს" იძლეოდა[66]. იონჯა და ესპარცეტი მონაწილეობდნენ რა საერთოდ თესლბრუნვაში, ბუნებრივია, რომ ხელს უწყობდნენ აგრეთვე მეცხოველეობის განვითარებას[67].

საერთოდ, დამკვირვებელთა უმრავლესობა, როგორც ნიადაგის ნაყოფიერების დაცემის, ასევე თესლბრუნვის „წესიერი სისტემის" დაუდგენლობის მიზეზს ეძებდა უწინარეს ყოვლისა მცირემიწიანობაში, მარცვლეული მეურნეობისათვის ვარგისი მიწების ნაკლებობაში.

---

[64] РТКЭЖД, 644.
[65] ТМКСХП, LII, 57.
[66] ОФК, 1898, стр. 23.
[67] А. И. Смирнов, „Растениеводство", 1940, стр. 515—519.

საკითხავია, რაში მდგომარეობდა მაინც „მიწის სიმცირის“ საფუძველი? იმ დროს ბევრი ფიქრობდა, რომ მიწის ეს სიმცირე აბსოლუტურია, რომ მოსახლეობის გამრავლების შედეგად სახნავ-სათესად ვარგისი თავისუფალი მიწების ფონდი გაშოილია. ნამდვილად კი მიწის სიმცირის მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ „გლეხს არავითარი საშუალება არ ჰქონდა დაემუშავებია... თავისი უბადრუკი იარაღებით... ყამირი და მიტოვებული მიწები“[68], ხოლო მიწათმოქმედების წვრილგლეხური ინდივიდუალური მეურნეობის ინვენტარის შემწეობით დასამუშავებელი მიწების უდიდესი ნაწილი, „რბილი მიწები“, „მოსავლიანი“ და „ნაყოფიერი“ მიწები ხელში ჰქონდათ ჩაგდებული შემამულეებს. შეუძლებელი იყო მელიორაციის ფართო მასშტაბის ღონისძიებათა გატარება. სწორედ ამაში იყო მცირემიწიანობის ერთერთი უმთავრესი საიდუმლოება.

---

[68] ი. სტალინი. თხზულებანი, ტ. 12, გვ. 176.

VII

პურ-ფურაჟის ბალანსისათვის

ზემოთ, თავის ადგილას, მსჯელობა გვქონდა ხორბლისა, ბრინჯისა და სიმინდის კულტურის განვითარება-გავრცელებასთან ერთად დაჩახელებული მარცვლეულებით ვაჭრობის შესახებაც.

ახლა უნდა შევჩერდეთ საერთოდ მარცვლეულის მეურნეობის ეკონომიკის ზოგად პრობლემებზე, კერძოდ ამიერკავკასიის პურ-ფურაჟის ბალანსის ზოგიერთ საკითხზე. ვამბობ ზოგიერთზე, რადგან საჭირო სრულით საგნის განხილვისათვის აუცილებელი მასალა არ მოგვეპოვება.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ამიერკავკასიაში მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული თანდათან უფრო და უფრო იგრძნობოდა საკუთარი წარმოების ხორბლით მთელი ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიძნელე; თუმცა ამ პერიოდში და თვით 1900-იან წლებშიაც აქედან, მეტი თუ ნაკლები ზომით, გაქონდათ როგორც სიმინდი, აგრეთვე ბრინჯი, ქერი და ხორბალიც-კი.

განსახილველად წამოყენებული საკითხებისათვის უწინარეს საჭიროა გავეცნოთ საერთოდ პურეულის მოსავლის და მოსავლიანობის დინამიკას ამიერკავკასიაში (იხ. ცხრილი, გვ. 378 — 379).

სამწუხაროდ, როგორც რიგი სხვა, ისე ამ ცხრილისაც სასურველი წესისა და გეგმის მიხედვით შედგენა ვერ მოხერხდა. გუბერნატორთა ყოველწლიურ ანგარიშგებებში და აქედან „კავკასიის კალენდრებშიაც“ პურეულის მოსავალი ზო-

გიერთ წლებში ფუთობით, ხოლო უფრო ხშირად ჩეტვერტობითაა აღრიცხული.

როგორც სხვაგან, ისე აქაც იმდროინდელი ზომა-წონის ერთეულების თანამედროვეზე გადაყვანისაგან თავი შევიკავეთ, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ამას უმრავლეს შემთხვევაში სახელმძღვანელოშიაც-ჯ არ აკეთებენ; ამასთანავე, ასეთი ოპერაცია, ცხადია, დაგვაცილებდა დროის კოლორიტსაც, რის დაცვას, შესაძლებლობის ფარგლებში, ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ ხოლმე მონოგრაფიულ გამოკვლევებში.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი მაინც მრავალმხრივაა საინტერესო. უწინარეს ყოვლისა ჩვენ აქ ვაკვირდებით პურეულთა მოსავლიანობის დაცემის აშკარა ტენდენციას. დათესილთან შედარებით მოსავლის შეფარდებითი დონე ნელ-ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ ეცემა. მოსავლიანობის დაცემის ამ საერთო ტენდენციის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა. აქ მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსავლიანობის დაცემა იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ამერიკაკავკასიაში მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მაინც საკუთარი წარმოების მარცვლეულით მთელი ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება აღარ ხერხდებოდა.

მაგრამ მარცვლეულის მოსავლიანობის დაცემის პარალელურად, როგორც იგივე ცხრილი (დათესილი მარცვლის რაოდენობის მიხედვით) გვიჩვენებს, ნელი ტემპით იზრდებოდა თვით ნათესების ფართობიც. მაგალითად. 1901 წელს თითქმის იმდენივე მარცვლეული დაითესა, რამდენიც ათი წლის წინათ, ე. ი. 1891 წელს, ხოლო 1914 წელს მხოლოდ 25%-ით მეტი. ვიდრე 1896 წელს, ე. ი. ოცოდე წლის წინათ, — რაც ნათესების ფართობის ნელი ზრდის აშკარა მაჩვენებელია. ფართობის ზრდა ხდებოდა მელიორაციულ ღონისძიებათა გზით; მაგრამ მწირი (ნაკლებმოსავლიანი) მიწების დამუშავებაც აქ მხედველობაშია მისაღები.

საერთოდ, როგორც სასურსათო მეურნეობის, ისე, კერძოდ. პურეულის მოხმარების და სათესლე მარცვლეულის ნორმებისა და საერთო რაოდენობის სტატისტიკა, როგორც

პურეულის მოსავალი
(ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, სიმინდი,

გუბერნიის დასახელება		1884 წ. ჩეტვერ-ტობით	ნოსახლეობის ერთ სულზე ფუთებით	1891 წ. ჩეტვერ-ტობით	1896 წ. ჩეტვერტო-ბით
თბილისისა	1. დაითესა	390.500		436.113	466.585
	2. მოსავალი .	3.636.000	4,9	2.360.946	2.182.286
ქუთაისისა	1. დაითესა	330.000		100.496	195.060
	2. მოსავალი	5.004.000	6,3	1.784.928	2.566.638
განჯისა	1. დაითესა	385.000		590.122	640.329
	2. მოსავალი .	2.458.000	3,8	3.270.862	3.657.573
ბაქოსი	1. დაითესა	215.000		327.080	778.750
	2. მოსავალი	1.818.000	3,1	2.784.380	5.160.400
ერევნისა	1. დაითესა	406.000		517.845	479.162
	2. მოსავალი	2.339.000	3,3	3.512.372	2.544.073
ზაქათალის ოლქი	1. დაითესა	71		69.000	არაა ცალკე გამოყოფილი
	2. მოსავალი .	391.000		248.244	
ს უ ლ	1. დაითესა	1.796.000		2.040.656	2.559.886
	2. მოსავალი .	15.646.000	4,45	13.962.732	16.160 970

ამერიკაკავკასიაში
ბრინჯი, კარტოფილი და სხვ.)

1901 წ. ჩეტვერტობით	მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა	1903 წ. ფუთობით	მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა	1912 წ. ჩეტვერტობით	1914 წ. ჩეტვერტობით	მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა
521.289		4.462.752		597.761	618.761	
2.071.192	2,0	20.759.312	19,8	2.744.584	2.761.908	1,75
137.315		2.115.709		678.103	659.368	
2.086.550	1,9	24.594.199	27,1	10.653.807	5.398.820	4,02
540.337		5.421.336		490.138	1.050.663	
2.152.098	2,4	34.246.392	36,7	1.977.782	4.839.675	3.89
350.517		2.876.480		842.678	369.320	
1.527.990	1,8	14.739.568	14,7	2.821.734	1.503.133	1,22
470.323		3.184.889		1.104.362	486.209	
2.284.844	2,6	16.047.389	17,5	5.188.983	2.523.348	2,37
43.682		348.856		32.762	36.082	
129.737	1,6	1.037.896	12,4	118.569	124·191	2,30
2.073.463		17.409.022		3.745.404	3.220.334	
10.252.411	2,1	111.424.756		23.505.459	17.211.015	2,70

ცნობილია, არსებითად არ მოგვეპოვება. კავკასიის მხარის სასურსათო გამგებლობამ (Кавказская краевая продовольственная управа) 1918 წელს გამოაქვეყნა 1908 – 1916 წწ. მოპოვებული მონაცემები ხორბლის, ჭვავის, შვრიის, ქერის, ფეტვის, სიმინდის, ბრინჯის და სხვ. 1 დესეტინისათვის საჭირო სათესლე მასალის საშუალო რაოდენობის (ნორმის) შესახებ — გუბერნიებისა და მაზრების მიხედვით[1]. მაგრამ, საერთოდ პურ-ფურაჟის ბალანსის შედგენის მიმართულებით პირველი მსოფლიო ომის დროს აქ დაწყებული მუშაობა „საქმიანობის პირველ დაწყებით სტადიებს“ არ გასცილებია.

ზემომოყვანილი ცხრილიდან ჩვენთვის საინტერესო საკითხის თვალსაზრისით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მონაცემები, რომლებიც გვიჩვენებენ პურეულის მოსავალს მოსახლეობის 1 სულზე. როგორც ვხედავთ, პურეულის მოსავალი 1 სულზე სულ უფრო და უფრო მცირდება.

მაგალითად, 1884 წელს მოსახლეობის 1 სულზე მოდიოდა ყოველგვარი პურეული, ჩეტვერტობით: ქუთაისის გუბერნიაში — 6,3; ბაქოს გუბ. — 3,1; თბილისის გუბ. — 4,9. თხუთმეტიოდე წლის შემდეგ-კი, სახელდობრ 1901 წელს, 1 სულზე მოდიოდა: ქუთაისის გუბერნიაში — 1,9, ე. ი. თითქმის სამნახევარჯერ ნაკლები, ვიდრე 1884 წელს; ბაქოს გუბ. — 1,8, მაშასადამე, ნახევარზე ცოტა მეტი, ვიდრე 1884 წელს; თბილისის გუბ. — 2,0 ჩეტვერტი, ე. ი. ნახევარზე მნიშვნელოვნად ნაკლები, ვიდრე 1884 წელს.

მართალია, 1901 წელს პურეულის მოსავალი საერთოდ ნაკლები იყო, მაგრამ შეფარდებაში ტენდენცია, არსებითად, მაინც არ იცვლება 1884 წლის მოსავალი თუნდაც 1914 წლისას შევადაროთ, 1914 წლისას, როდესაც ამიერკავკასიაში, თუ

---

[1] „Средный высев хлебов на 1 десятину на Кавказе“. Стат. отд. ККПУ, 1918, Тифлис; იხ. აკრეთვე „სტატისტიკური კრებული 1909—1921“, 1923, ტფ., სადაც მოცემულია, საქართველოს ცალკე მაზრების მიხედვით, სხვადასხვა მარცვლეულისათვის 1 დესეტინაზე საჭირო თესლის საშუალო რაოდენობა 1909—1919 წწ.(იხ. ცხრილი № 15, გვ. 21).

მთლიანად არა, რაიონთა უმრავლესობაში მაინც, კარგი მოსავალი იქნა აღებული.

მოსახლეობის 1 სულზე მოდიოდა პურეულის მოსავალი ჩეტვერტობით: თბილისის გუბერნიაში 1884 წ. — 4,9; 1901 წ. — 2,0; ხოლო 1914 წ. — 1,75. ბაქოს გუბერნიაში, შესაბამისად: 3,10; 1,80 და 1,22. ერევნის გუბ.: 3,30; 2,60 და 2,37.

საერთოდ ამიერკავკასიაში მოსახლეობის 1 სულზე მოდიოდა 1884 წელს 4,45 ჩეტვ. პურეული, 1901 წელს — 2,10, ხოლო 1914 წწ. — 2,70, ე. ი. თითქმის 2-ჯერ ნაკლები, ვიდრე 1884 წელს. ამასთანავე აღებულ 1884 — 1914 წწ., ე. ი. 30 წლის განმავლობაში, პურეულის მთლიანი მოსავალი მხოლოდ 15,5 პროცენტით გადიდდა მაშინ, როდესაც ამ-ერკავკასიაში მოსახლეობა ამავე ხნის მანძილზე გაიზარდა, დაახლოებით, 55 პროცენტით.

შედარებით მცირედ შეიცვალა შეფარდება ისეთ გუბერნიებში, სადაც ქალაქური ცხოვრება და საერთოდ მრეწველობა ნაკლები ინტენსივობით ვითარდებოდა. მაგალითად, ქუთაისის, ელისავეტპოლისა (განჯისა) და ერევნის გუბერნიებში. მაგრამ აქაც სპეც.-ტექნიკური კულტურები ავიწროებდნენ მარცვლეულის ფართობს და ზოგი რაიონი, რომელსაც წინათ მარცვლეული გაქონდა, ადრე თუ გვიან შემოტანილი პურის მომხმარებელი ხდება.

ე. კარნაუხოვას ცნობით ამიერკავკასიაში მოსახლეობის ერთ სულზე მარცვლეულის წმინდა მოსავალი უდრიდა 1864 — 1866 წწ. — 24,5 ფ., ხოლო 1909 — 1913 წწ. — 10,2 ფუთს, ე. ი. წინაპერიოდის მხოლოდ 41,6 პროცენტს მაშინ, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლეობის ერთ სულზე 1909 — 1913 წწ. მოსავალი 1864 — 1866 წწ. შედარებით 562,3 პროცენტს შეადგენდა[2].

---

[2] Е. Карпаухова, „Размещение сельского хозяйства России в период капитализма (1860—1914 гг.)“ 1951, стр. 66—113; П. Хромов, „Экономическое развитие России в XIX—XX веках“, стр. 162—172.

ანალოგიისათვის აქ შეიძლება აღინიშნოს, რომ ევროპულ რუსეთის 50 გუბერნიაში რეფორმის მერმინდელი პერიოდი ხასიათდება მოსახლეობის ერთ სულზე პურეულისა და, კერძოდ, მარცვლეულის წმინდა მოსავლის სისტემატური მატებით. ეს იმას ნიშნავს, რომ „გასაყიდათ წარმოებული პურის რაოდენობა იზრდება გაცილებით უფრო ჩქარა, ვიდრე მთელ რუსეთში მოყვანილი პურის რაოდენობა“ [3].

საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიაში საკუთარი წარმოების პურით ადგილობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პრობლემა საზოგადოებრივი და მერმე სახელმწიფოებრივი ყურადღების საგნად გახდა უკვე 1890-იანი და განსაკუთრებით 1900-იანი წლებიდან, რა დროიდანაც საქალაქო ცხოვრების განვითარების, სპეციალურ და ტექნიკურ კულტურათა და კერძოდ მრავალწლიან ნარგავთა ფართობის შეუჩერებელი ზრდის, საერთოდ მოსახლეობის გამრავლების, მარცვლეულის ტექნიკური (მრეწველური) გადამუშავების, მოსავლიანობის სისტემატური დაცემის, მოუსავლიანობათა და სხვ. მეოხებით თავი იჩინა საკუთარი პურეულის საკითხმა ჯერ ადგილებზე მისი ფასების აწევის და მერმე, მალე, საერთოდ მარცვლეულის მეტ-ნაკლებად საგრძნობი ნაკლებობის სახით.

როგორც ვიცით, იმ დროიდან, რაც საკუთარი წარმოების პური არ ყოფნიდა, ამიერკავკასიამ სულ უფრო გააძლიერა მარცვლეულის შემოზიდვა რუსეთიდან. მაგრამ საქმე იმაშია, რომ, ამ მხრივ, თვით რუსეთიც კი არ წარმოადგენდა ყოველთვის უზრუნველყოფილ მომმარაგებელს ამიერკავკასიისათვის. იყო შემთხვევები, რომ რუსეთიდან პურის მიღება ძნელდებოდა, — განსაკუთრებით მოუსავლიან წლებში, როდესაც თვით რუსეთში თავს იჩენდა პურის ნაკლებობა და შიმშილობაც-კი.

ასეთი იყო რუსეთში, მაგალითად, 1912 წელი, რამაც, როგორც თავის ადგილას დავინახეთ, ამიერკავკასიაშიც გამოიწვია მნიშვნელოვანი სასურსათო სიძნელეები.

[3] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 284 — 285.

1912 წ. მარტში ლ ე ნ ი ნ ი წერდა:

„ისევ შიმშილობა — როგორც წინათ, ძველ რუსეთში, 1905 წლამდე. მოუსავლობა ყველგან იცის, მაგრამ ის მ ხ ო ლ ო დ რუსეთში იწვევს საშინელ უბედურებას, მილიონობით გლეხთა შიმშილობას. ხოლო ახლანდელი უბედურება... უფრო დიდია, ვიდრე 1891 წლის შიმშილობა“.

„30 მილიონი მოსახლეობა საშინლად დაზარალდა. გლეხები ჩ ა ლ ი ს ფ ა ს ა დ ჰყიდიან მიწას, პირუტყვს და ყველაფერს, რისი გაყიდვაც კი შეიძლება. ჰყიდიან ქალიშვილებს — ბრუნდება მონობის უცუდესი ხანა“[4].

ქვემოთ ვ. ლ ე ნ ი ნ ი განმარტავს, რომ რუსეთში ეს ხდება „იმიტომ, რომ ახალი მტარვალი — კაპიტალი — რუსეთის გლეხებს ევლინება ისეთ პირობებში, როდესაც გლეხები ხელფეხშეკრული არიან მებატონე-მემამულეების მიერ, ბატონყმური, მემამულური, მეფური თვითმპყრობელობის მიერ. მემამულეების მიერ გაძარცული, მოხელეთა თვითნებობით დაბეჩავებული, პოლიციური აკრძალვის, შარიფა და ძალმომრეობის ქსელში გახვეული, ჩაფრების, ხუცების, საერობო უფროსების უახლესი დაცვით შებოჭილი გლეხები ისევე უმწეონი არიან სტიქიურ უბედურებათა და კაპიტალის წინაშე, როგორც აფრიკის ველურები“[5].

ცხადია ის, რასაც ვ. ლ ე ნ ი ნ ი ამბობს საერთოდ რუსეთის გლეხობის ვითარებაზე, მეტნაკლები ზომით, გამოხატავს აგრეთვე ამიერკავკასიელი გლეხობის მდგომარეობასაც.

ცარიზმის ადგილობრივი ხელისუფლება, უწინარეს სამხედრო უწყება, სურსათის საკითხით დაინტერესდა, მაგრამ ეს ყურადღება გამოიხატა არა შინაგანი რესურსების რაციონალური გამოყენებისაკენ მიმართულ ღონისძიებებში, არამედ გარედან, სახელდობრ ჩრდილოეთ კავკასიიდან, ხორბლეულის შემოტანის მოწესრიგებისათვის ზრუნვაში, რისთვისაც

---

[4] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 632.

[5] იქვე, გვ. 633.

სხვადასხვა დროს სათანადო კომისიები და ექსპერტები მუშაობდნენ, ხოლო პირველი მსოფლიო ომის წლებში იგი სპეციალური კომიტეტს (Общекавказский краевой продовольственный комитет) საქმიანობის საგანს შეადგენდა.

პურ-ფურაჟის ბალანსის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენს მოსახლეობის 1 სულზე წლიურად პურის მოხმარების ნორმები. ამგვარი მონაცემების საჭიროების აუცილებლობაზე ამიერკავკასიის ადმინისტრაციაში ლაპარაკი დაიწყო ჯერ კიდევ 1890-იანი წლებიდან, მაგრამ საკითხის გადასაჭრელად პრაქტიკული ნაბიჯი გადადგმული არ ყოფილა

პირველი მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის წლებში შექმნილი „სრულიად კავკასიის სასურსათო კომიტეტი“, რომლის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა სამხედრო ნაწილების სურსათით მომარაგების საკითხი, იძულებული იყო მოსახლეობის მხრივ პურეულის მოხმარების ნორმების გამოსაანგარიშებლად, ჯერ კიდევ 1880-იან წლებში, ე. წ. „ტიხეევის კომისიის“ მიერ შეკრებილი ცნობებით ეხელმძღვანელა.

„ტიხეევის კომისიის“ მუშაობის შედეგები გამოქვეყნებულია თავისი დროისათვის დიდად მნიშვნელოვან კრებულებში: „Материалы по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края“ (1885—1887 წწ., შვიდ ტომად) და „Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края“ (1887—1888 წწ., ხუთ ტომად, დიდტანიანი ფოლიანტების სახით).

აქ სულ წარმოდგენილია სახელმწიფო გლეხთა 42 ოჯახის ბიუჯეტი — ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონიდან. მაგრამ ეს ბიუჯეტები მეცნიერულად არც მაშინ და არც მას მერმეც არავის არ შეუსწავლია და როდესაც 1917 წელს სრ. კავკასიის სასურსათო კომიტეტი იძულებული შეიქნა გამოეყენებია ეს მონაცემები პურ-ფურაჟის ბალანსთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრის პროცესში, „ზოგიერთი არაპირდაპირი შემოწმების გზით აღმოჩნდა“, რომ ეს მასალები „ამიერკავკასიის

მეურნეობრივი პირობების შეცვლის“ შედეგად უკვე საკმაოდ დაძველებული იყო. ცხადია, დაძველებული იყო ამ დროისათვის აგრეთვე ს. ზავაროვის ცნობილი ნაშრომიც „Хлебородные районы Ериванской губ. и Карской обл.“. მიუხედავად ამისა 1917 წელს სრ. კავკასიის სასურსათო კომიტეტისათვის ეს მასალა საკარაუდო გაანგარიშებათა ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენდა[6].

ქვემოთ მოგვყავს სრ. კავკასიის სასურსათო კომიტეტის მიერ 1917 წელს დადგენილი ნორმები ამიერკავკასიის მოსახლეობის მიერ პურის მოხმარებისა. წლიურად ერთ სულზე პურეულის მოხმარების ნორმაში გათვალისწინებულია საკვები, სათესლე, საფურაჟე და სამრეწველო მოხმარება. ნორმები დადგენილია ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულთა მიხედვით.

ცხადია, სრ. კავკასიის სასურსათო კომიტეტის მიერ დადგენილი ეს ნორმები ნაკარაუდევია საკუთრად იმ დროის (მსოფლიო და სამოქალაქო ომის) პირობებისათვის.

პურეულის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე ხაშუალოწლიურად (ფუთობით)[7]

ადმინისტრაციული ერთეულები	სოფლის მოსახლეობა	ქალაქის მოსახლეობა
სოხუმის ოკრუგი .	15	12
ქუთაისის გუბერნია	15	12
თბილისის გუბერნია	15	12
ზაქათალის ოკრუგი	13	12
ელისავეტპოლის გუბერნია	13	12
ბაქოს გუბერნია	13	12
ერევნის გუბერნია	14	12

[6] ТОКПК, стр. 101—105.

[7] იქვე, გვ. 124 — 131, 135 — 146.

ამავე დროს საკმაოდ ზუსტი გამოანგარიშების მიხედვით 1909 — 1913 წწ. ამიერკავკასიაში პურეულის მოხმარებას ვარაუდობდნენ მოსახლეობის 1 სულზე: მწარმოებელ ზოლში (სოფლებში) — 17,7 ფუთს, ხოლო მომხმარებელ ზოლში (ქალაქებში) — 15 ფუთს.

შედარებისათვის აქ შეიძლება აღინიშნოს, რომ შიგარუსეთის გუბერნიებში, სადაც მოსახლეობის მიერ პურეულის მოხმარება (მარცვლეულზე გადაყვანით) პირველი მსოფლიო ომის წინაწლებისათვის საკმაოდ კარგადაა (ბიუჯეტურ მონაცემთა მიხედვით) შესწავლილი, 1 სულზე მოხმარების ნორმა განისაზღვრებოდა: მომხმარებელ ზოლში — 14,7 ფუთით და მწარმოებელ ზოლში — 17 ფუთით; ხოლო 1920 — 1921 წწ. კი მომხმარებელ ზოლში: 11,9 — 12,1 ფუთით და მწარმოებელ ზოლში: 11,3 — 12,0 ფუთით.

ამასთანავე, 1924 — 1925 წწ. ოფიციალური მონაცემებით სოფლის მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო წლიური მოხმარების ნორმა მოდიოდა (ფუთობით); საქართველოში — 15; სომხეთში — 14,2; აზერბაიჯანში — 16,3. ცხადია, ამ ნორმებითაც შეიძლება ზოგიერთი აუცილებელი შესწორების შეტანა პირველი მსოფლიო ომის წინაწლების ცნობებში.

გამოდიოდა რა მოხმარების მხრივ მის მიერ დადგენილი, ე. ი. არსებითად მ ი ნ ი მ ა ლ უ რ ი ნ ო რ მ ე ბ ი დ ა ნ სრულიად კავკასიის სასურსათო კომიტეტი მაინც იძულებული იყო აღენიშნა, რომ „ამიერკავკასიას, ზოგიერთი მცირე ტერიტორიული ერთეულების გამოკლებით (სოხუმის ოკრუგი, ცალკე მაზრები), არ შეუძლია თავი გაიტანოს საკუთარი პურითო“ [8].

უკვე 1890-იანი წლიდან მოყოლებული, როგორც ქვემომოყვანილი მონაცემები გვიჩვენებენ, სისტემატურად ეცემა ამიერკავკასიიდან მარცვლეულის გატანა და მატულობს შემოტანა.

---

[8] ТОКПК, გვ. 153.

ამიერკავკასიიდან გატანილ იქნა მარცვლეული (ათას ფუთობით)[9]

	1875—1879 წწ.	1880—1885 წწ.	1885—1889 წწ.	1890—1894 წწ.
ხორბალი	1.052	1.376	14.785	3.681
ქერი	1.657	1.940	5.832	6.374
სიმინდი	1.546	4.329	9.065	9.629

1891—1900 წწ. მარცვლეულის შემოტანისა და გატანის ხურათს წარმოგვიდგენს ქვემომოყვანილი ცხრილი (ათას ფუთობით)[10]

წლები	იმპორტი	ექსპორტი
1891	785,7	4.368,2
1892	769,3	3.962,1
1893	3.904,6	2.593,3
1894	3.776,9	2.465,2
1895	2.005,3	3.059,5
1896	1.693,1	252,8
1897	1.556,5	1.839,8
1900	2.592,0	2.356,0

ამგვარად, ჩანს, რომ შეუჩერებლად იზრდება იმპორტი, ხოლო მცირდება ექსპორტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მარცვლეულის ექსპორტში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სიმინდი, რაც შინაგან მომხმარებლურ რაიონებში (ქალაქებში) ნაკლებად საღდებოდა, და, მაშასადამე, რისი წარმოების თითქმის მთელი ნამეტი (ე. ი. თვით მწარმოებელთა მოხმარების შემდეგ გადარჩენილი ნაწილი) უცხოეთში გადიოდა[11].

თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მარცვლეულის საგარეო ვაჭრობაში (ექსპორტში) კერძოდ სიმინდის ხვედრწონა ჩანს შემდეგიდან.

---

[9] КСХ, 1898, № 218, стр. 173.

[10] В. Вартанянц, „К вопросу о недородах в Закавказье" (КСХ, 1899 г., № 272, стр. 197); С. Заваров, „Кавказ в сельскохоз. отношении в 1899 г.", 1900, Тифлис, стр. 27—34; КСХ, 1895 г., № 72. стр. 1257.

[11] КСХ, 1895 г., № 72, стр. 19—57; КХ, 1915 г., № 20—21, стр. 81.

მარცვლეულის ექსპორტი ამიერკავკასიიდან (ათას ფუთობით)
მთელი მარცვლეული სიმინდის გამოკლებით

1891 წ.	4.368,2	2.073,3
1893 წ.	2.593,3	103,9
1895 წ.	3.059,5	75,8
1897 წ.	1.839,8	244,6

რაც შეეხება შემოტანას, აქ, ცხადია, გაბატონებულ როლს თამაშობდა ხორბალი და მნიშვნელოვანი ზომით შემოდიოდა ქერიც.

ამგვარად, 1890-იანი წლებიდან ამიერკავკასიიდან პურის გატანის თანდათან დაცემასთან ერთად იზრდება მისი შემოტანა. უკვე ამ ხანებში ადგილობრივ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებში სულ უფრო საჭირბოროტო ხასიათს ღებულობს ქვეყნის პურით მომარაგების საკითხი.

საქმის კურსში მყოფი სპეციალისტი ნ. ტარატინოვი 1903 წელს წერდა: „უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც ჩვენ ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით თბილისში ყოველწლიურად შემოგვაქვს რუსეთიდან მილიონობით ფუთი პური (მარცვლეული) და ფქვილი“. ამასთანავე, ამიერკავკასიაში პურის წარმოება დღემდე შეადგენს ყველაზე მთავარსა და სოფლის მეურნეობის ყველა სხვა საქმიანობასთან შედარებით ყველაზე მასობრივ საქმიანობას. ეს ისევე სწორია, როგორც ისიც, რომ „კავკასიის საინტენდანტოს გამგებლობა ყოველწლიურად ყიდულობს რუსეთში აუარებელი რაოდენობის პურს უფრო იაფად და ადვილად“, ვინემ აქ, ჩვენში. „ერთი სიტყვით ჩვენ ვაწარმოებთ პურს თვით ჩვენთვის არასაკმარისი რაოდენობით, ვაწარმოებთ მას მეტად ძვირად და მდარე ხარისხისას“[12].

ქვემომოყვანილი ცხრილები (გვ. 389 — 390) გვიჩვენებენ საერთოდ ამიერკავკასიაში პურეულის (მარცვლეულისა და ფქვილის სახით) შეზიდვასა და გაზიდვას ცალკე გუბერნიების მიხედვით და აგრეთვე შიგატვირთბრუნვას რკინიგზებით.

---

[12] Н. Таратынов, „К вопросу о главнейших нуждах с.-х. промышленности в Закавказье“, 1903, Тифлис, стр. 19—20.

პურეულის (მარცვლეულისა და ფქვილის) ვატანა ამიერკავკასიიდან და შიგატვირთბრუნვა რკინიგზით, საშუალოწლიურად 1909—1913 წწ.

ფუთობით[13]

პურეულის დასახელება	ამერიკაიჯანიდან (ტაბაწკის გუბერნიიდან)	სიმბირსკიდან (ტრუბინის გუბერნიიდან)	საქართველოდან (თბილისისა და ქუთაისის გუბ.)
1. მ ა რ ც ვ ლ ე უ ლ ი .	684.669	210.844	1.254.083
მ. შ. ხორბალი .	120.768	8.226	52.093
სიმინდი	9.008	384	128.533
ქეიი .	494.266	197.747	831.617
2. ფ ქ ვ ი ლ ი .	155.862	94.939	4.407.689
მ. შ. ხორბლისა .	162.377	9.872	4.368.786
ბურღული .	7.987	886	40.675
ქატო .	283.470	85	348.700
3. თ ე ს ლ ე უ ლ ი	6.664	5.288	23.452
4. ბ რ ი ნ ჯ ი . .	1.179.348	43.430	149.362

ზემომოყვანილი ცხრილები გვიჩვენებენ, რომ სულ უფრო იზრდებოდა რკინიგზებით პურის შემოტანა ამიერკავკასიაში, შეუჩერებლად იზრდებოდა აგრეთვე საერთოდ პურეულის ტვირთბრუნვა ამიერკავკასიის შიგნით, ცალკე რაიონებს შორის. ეს მომენტი მაჩვენებელია აგრეთვე ადგილობრივი წარმოების პურეულის საქონლად გადაქცევის შედარებით სწრაფი ტემპისა.

მაგრამ პურ-ფურაჟის ბალანსის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამიერკავკასიის რკინიგზების მონაცემების მიხედვით შეუჩერებლად და თანაც სწრაფი ტემპით იზრდებოდა პურეულის მხრივ ამიერკავკასიის დამოკიდებულება ჩრდილოეთკავკასიისადმი.

---

[13] „Закавказье", стат.-экон. сб., 1925, стр. 408—409; 420—421; 426—427.

პურეულის (მარცვლეულისა და ფქვილის) შემოტანა ამერიკავკასიაში და შიგატვირთბრუნვა რკინიგზით, საშუალოწლიურად 1909—1913 წწ.

(ფუთობით)[14]

პურეულის დასახელება	ამერიკაოკუანში (გან-ჯისა და ბაქოს გუბერნიაში)	სომხეთში (ერევნის გუბერნიაში, ნაწილობრ ვ ყოფ. ბორჩალოს მაზრა-ში)	საქართველოში (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში. ბათუმის ოლქში)
1. მარცვლეული .	3.321.844	332.086	1.254.083
მ. შ. ხორბალი	2.883.913	230.092	52.093
სიმინდი	87.938	2.016	128.533
ქერი .	296.753	48.720	831.617
2. ფქვილი . .	1.327.682	1.605.411	4.407.689
მ. შ. ხორბალი	1.311 586	1.599.429	4.368.786
ბურღული	37.576	11.123	40.675
ქატო	16.338	8.539	348.700
3. თვსლეული	31.207	11.090	23.452
4. ბრინჯი	16.865	58.241	149.362

ამ უკანასკნელი მომენტის თვალსაჩინო მაჩვენებელია რკინიგზით სადგ. ბალაჯარიდან ამიერკავკასიაში შემოტანილი პურეულის პროდუქტთა სტატისტიკა:

წლები			ფუთობით
1899	შემოტანილ	იქნა	2.504.000
1904	„	„	5.803.000
1911	„	„	7.343.300
1912	„	„	10.745.000
1913	„	„	12.093.000
1914	„	„	11.828.000

ამგვარად, ჩრდ. კავკასიიდან რკინიგზით პურეულის შემოტანა თხუთმეტი წლის მანძილზე დაახლოებით ხუთჯერ გაიზარდა.

[14] „Закавказье", стат.-экон. сборник, 1925, Тифлис., стр. 402—403; 414—417; 426—427.

მაგრამ მარცვლეული და საერთოდ პურეული ამიერკავკასიაში შემოქონდათ არა მხოლოდ რკინიგზით, არამედ შავი და კასპიის ზღვის ნავსადგურებითა და აგრეთვე საჭაპანო გზითაც, სახელდობრ საქართველოს სამხედრო გზითა და სხვ.

ყველა გზით საერთოდ ამიერკავკასიაში 1909—1913 წწ. საშუალოწლიურად შემოტანილი პურეული პროდუქტები (ფუთობით):

1. რკინიგზით, სადგ. ბალაჯარით .	11.600.000
2. შავი ზღვის ნავსადგურებით	2.500.000
3. კასპიის ზღვის ნავსადგურებით	7.500.000
4. საჭაპანო გზები (საქართველოს სამხედრო გზა და სხვ.)	1.400.000
ს უ ლ	23.000.000

არსებობს საკმაო საფუძველი დავუშვათ, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან როგორც ზღვით, ასევე, განსაკუთრებით, საჭაპანო გზით მნიშვნელოვნად მეტი პურეული შემოჰქონდათ. ვინემ ეს აღრიცხულია სათანადო უწყებათა ანგარიშგებებში. პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში ამ „ფარული“ შემოტანის რაოდენობას ერთ მილიონ ფუთამდე ვარაუდობდნენ. ასე, რომ ამიერკავკასია ამ დროს საშუალოწლიურად 24 მილიონამდე ფუთ შემოტანილ პურეულს მოიხმარდა და აქედან საქართველოზე მოდიოდა, არაპირდაპირ გამოანგარიშებათა მიხედვით, დაახლოებით, 10 — 11 მილიონი ფუთი.

მაგრამ კარდინალურად შეიცვალა მდგომარეობა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, როდესაც მნიშვნელოვნად შემცირდა საერთოდ ნათესი ფართობი. ნათესი ფართობი შემცირდა განსაკუთრებით ომის თეატრის რაიონებში. მაგალითად, ბათუმის ოლქში. თუმცა ბათუმის ოლქში ნათესი ფართობის შემცირება, კერძოდ სიმინდის ნათესისა, შესამჩნევი გახდა ჯერ კიდევ 1900-იანი წლებიდან. ამის მიზეზი უმთავრესად სპეციალურ და ტექნიკურ კულტურათა გავრცელება უნდა ყოფილიყო, თუმცა სიმინდის ნათესი ფართობის შემცირება ბევრად უფრო სწრაფი ტემპით მიდიოდა, ვინემ ზრდა სპეც.-ტექნიკურ კულტურათა ფართობისა. აქ 1909 წ. სიმინდის ნათესი ფართობი უდრიდა 68.000 დესეტინას, 1911 წ. —

21.786 დეს., 1912 წ. — 16.004 დეს., ხოლო 1913 წ. — 11.074 დეს. ამგვარად, 6 წლის მანძილზე მან 6-ჯერ დაიკლო. ამის შესაბამისად, თუ 1909 — 1913 წწ. საშუალოდ ნათესი ფართობი ყოველგვარი პურეულისა უდრიდა 53.357 დესეტინას, 1917 წელს იგი 12.000 დესეტინამდე დაეცა და, ცხადია, შესაბამისად ასევე დაეცა პურეულის მოსავალიც, რაც 1909 — 1913 წწ. საშუალოდ 4.407.000 ფუთს შეადგენდა, ხოლო 1917 წ.— მხოლოდ 457.000 ფუთს.

ახლა თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამიერკავკასიიდან იმ ხანებში საშუალოწლიურად გაქონდათ ადგილობრივი წარმოების 2 — 3 მილ. ფუთი მარცვლეული (ძირითადად სიმინდი), გამოვა, რომ ამიერკავკასიას 1912 — 1914 წწ. ყოველწლიურად სჭირდებოდა საკუთარი წარმოების ზევით კიდევ 21 — 22 მილიონი ფუთი პურეული [15].

ამიერკავკასიის პურ-ფურაჟის ბალანსი კსვს-ის 1909 — 1914 წწ. მონაცემთა მიხედვით, დაახლოებით, შემდეგი სახით წარმოგვიდგება (აქ არ შედის ბრინჯი, კარტოფილი, ლობიო, მუხუდო, ცერცვი):

	ფუთობით	%% ჯამთან
1. წინა წლიდან გადმოსული მარაგი	5.000.000	3,8
2. მოცემული წლის მოსავალი	104 000 000	78,2
3. შემოზიდვა (მარცვლ. და ფქვილის სახით)	24.000.000	18.0
ჯამი	133.000.000	100,0
1. თესლი	15.000.000	11,2
2. მოხმარება სოფლის მოსახლეობისა	79.000.000	59,5
3. მოხმარება ქალაქის მოსახლეობისა	15.500.000	11,6
4. ფურაჟი	10.000.000	7,5
5. გაზიდვა (მარცვ. და ფქვილის სახით)	6.500.000	4,9
6. მომავალი წლის მარაგი .	5.000.000	3,8
7. მრეწველური მოხმარება	2.000.000	1,5
ჯამი	133.000.000	100,0

[15] შად. КХ, 1915 г., № 20—21, стр 8.

მეორე, ცხადია, ისევ დაახლოებითი გამოანგარიშების მიხედვით, სადაც აღრიცხვაში შესულია უკვე ყოველგვარი მარცვლეული, სახელდობრ 1912 — 1914 წწ. მონაცემთა საფუძველზე, ამიერკავკასიაში საკუთარი წარმოების პურეული უურიდა, დაახლოებით, 119 მილ. ფუთს და ამავე ხანებში საშუალოწლიურად შემოქონდათ (გაზიდვის გამოკლებით) 21 მილ. ფუთი. ამგვარად, გამოდის, რომ მთელი მოხმარებიდან, ე. ი. 140 მილ. ფუთიდან, ეს ქვეყანა 15 პროცენტ შემოტანილ პურეულს მოიხმარდა.

კერძოდ, საქართველოში 1912 — 1914 წწ. ყოველგვარი პურეულის საშუალოწლიური მოსავალი უდრიდა დაახლოებით 51 მილ. ფუთს. ამავე წლებში პურეულის შემოზიდვა გაზიდვას აღემატებოდა დაახლოებით 10 მილ. ფუთით. ასე, რომ მთელი მოხმარება 61 მილ. ფუთს აღწევდა, საიდანაც 16,3% შემოტანილზე მოდიოდა.

ამ უკანასკნელი ვარაუდის სინამდვილესთან დაახლოებულობის შემოწმების თვალსაზრისით საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. ფინსახკომის საკმაოდ ზუსტი გამოანგარიშების მიხედვით საბჭოთა საქართველოს პურ-ფურაჟის ბალანსში შემოტანილ პურეულზე მოდიოდა 1925 — 1926 წწ. — 14%; 1926—1927 წწ. — 11,7%; 1927 — 1928 წწ. — 21,8%; 1928 — 1929 წწ. — 15,2 პროცენტი. ამ მონაცემთა გააზრებისას საჭიროა გვახსოვდეს, რომ 1925 — 1929 წწ. რიგი არამარცვლეული კულტურის, მაგალითად, ვენახის მიერ დაკავებული ფართობის წინანდელი დონე კიდევ არ იყო აღდგენილი და, ამგვარად, მნიშვნელოვანი ზომით ის ფართობი, რაც პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში ვენახს და სხვ. არამარცვლეულთ ეჭირა, 1925 — 1929 წწ. კიდევ მარცვლეულის სათესად იყო გამოყენებული.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ამიერკავკასიაში დიდად შემცირდა ნათესი ფართობი. 1909 — 1913 წწ. მარცვლეულის ნათესი ფართობის სიდიდე, საშუალოწლიურად, 1.790 ათას დესეტინამდე აღწევდა, ხოლო 1916 წელს იგი, დაახლოებით, 550 ათასი დესეტინით ნაკლები იყო ომამდელ წლებთან

შედარებით, რამაც გამოიწვია მარცვლეულის საერთო მოსავლის დაახლოებით 25 — 26 მილ. ფუთით შემცირება[16].

სრ. კავკასიის სასურსათო კომიტეტის გამოანგარიშებით 1917 — 1918 წწ. სასურსათო წლის განმავლობაში ამიერკავკასიისათვის საჭირო იყო დაახლოებით 53 — 54 მილიონი ფუთი პურის შემოტანა[17].

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს ამიერკავკასიაში, როგორც მთლიან ადმინისტრაციულ ერთეულში, შედიოდა აგრეთვე შავი ზღვის გუბერნია, ყარსისა და დაღისტნის ოლქები; ამიერკავკასიაზე იყო მიწერილი აგრეთვე ომის დროს რუსეთის ჯარების მიერ დაკავებული თურქეთის (ისტორიულად საქართველოსა და სომხეთის) ტერიტორია. საერთოდ ამ რაიონების მოსახლეობისა და იქ დაბანაკებული სამხედრო ნაწილებისათვის ნავარაუდევი პურ-ფურაჟის გამოკლებით-კი, საკუთრად თანამედროვე ამიერკავკასიის ტერიტორიის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო იყო დამატებით, დაახლოებით, 40 მილ. ფუთი პურეული.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად დაეცა იმ პერიოდში ამიერკავკასიაში მარცვლეულის მეურნეობა ქვემოთ მოგვყავს სრ. კავკასიის სასურსათო კომიტეტის მიერ შედგენილი ცხრილი 1917 წელს ამიერკავკასიაში პურ-ფურაჟის მოსალოდნელი მოსავლისა და ადგილობრივი მოხმარების დასაფარავად სავარაუდო დანაკლისის რაოდენობის შესახებ (იხ. გვ. 395).

როგორც ზემოთ დავინახეთ პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში ამიერკავკასიას ყოველწლიურად შემოქონდა საშუალოდ 23 — 24 მილიონი ფუთი მარცვლეული. 1917 — 1918 სასურსათო წელს კი საჭიროდ იყო მიჩნეული დაახლოებით 40 მილ. ფუთის შემოტანა, ე. ი. 16 — 17 მილ. ფუთით მეტისა. ეს გამოწვეული იყო ომის პერიოდში ნათესი ფართობის ძლიერი შემცირებითა და აგრეთვე მოუსავლო-

---

[16] М. Авдеев, „К продовольственному кризису в Закавказье" (КХ, 1915 г., № 22—23, стр. 9—10); КХ, 1915 г., № 21—22, стр. 8.

[17] ТОКПК, стр. 153.

ადმინისტრაციული ერთეულები	ნავარაუდევი მოსავალი 1917 წ.				ნამეტი (+) ან დანაკლისი (—) ათას ფუთობით			
	სასურსათო პურეული	ბურღულეული	მარცვ.—ფურაჟი	ს უ ლ	სასურსათო პურეული	ბურღულეული	მარცვ.—ფურაჟი	ს უ ლ
შავი ზღვის გუბ.	1.197	1	92	1.290	— 978	— 157	— 417	—1.552
სოხუმის ოკრუგი	3.593	1	—	3.594	+ 645	— 175	—	+ 47
ქუთაისის გუბ.	10.263	22	40	10.325	—3.550	—	—1.672	—5.222
ბათუმ ის ოლქი	1.125	—	66	1.191	— 662	— 60	— 210	— 932
ყარსის ოლქი .	1.982	—	2.320	4.302	—3.812	— 391	+ 750	—3.453
ერევნის გუბ.	7.790	722	3.230	11.742	9.242	— 382	+ 149	—9.475
თბილისის გუბ.	11.222	248	6·270	17.740	—9.561	—1.094	+3.256	—7.399
ზაქათალის ოკრუგი	551	356	192	1.099	— 814	+ 244	— 41	— 611
ელისავეტოპ. გუბ.	10.794	1.058	3.473	15.325	—5.801	— 133	+ 511	—5.423
ბაქოს გუბ. .	8.938	791	3.196	12.925	—9.425	— 562	+ 128	—9.859
დაღისტნის ოლქი	3.429	119	1.218	4.766	—5.785	— 605	— 415	—6.805
თევზის სარეწები	—	—	—	—	— 640	—	—	— 640
ნეიტრალური ზოლი .	—	—	—	—	— 311	— 26	—	— 337
თუოქეთის ოლქი . .	—	—	—	—	—2.406	—	—	—2.406
ს უ ლ	60.884	3.318	20.097	84.299	—52.342	—3,341	+2.039	—53.644

ბით, რასაც 1917 წ. ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით აღმ. ამიერკავკასიაში. მაგრამ ზემომოყვანილ გაანგარიშებათა მიმართ მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ სრ. კავკასიის სასურსათო კომიტეტის მიერ, როგორც უკვე დავინახეთ, მარცვლეულის მოთხოვნილების ნორმა მოსახლეობის 1 სულზე დადგენილი იყო „ომის პირობების შესაბამისად"[18], ე. ი. მნიშვნელოვნად ნაკლები, ვინემ იყო პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში ფაქტიურად არსებული ნორმები.

საკუთარი წარმოების ზევით ამიერკავკასიისათვის აუცილებელი პურეული შემოქონდათ ჩრდ. კავკასიიდან, სადაც ამ დროს უმნიშვნელო ზომით იყო მოშლილი სოფლის მეურნეობა. სრ. კავკასიის სასურსათო კომიტეტის გამოანგარიშებით, მას შემდეგ, რაც დააკმაყოფილებდა ამიერკავკასიის მოთხოვნილებას და, ცხადია, მთელ ადგილობრივ მოთხოვნილებასაც (სამხედრო ნაწილებისა და სხვ. ჩათვლით), ჩრდილოეთ კავკასიას რჩებოდა კიდევ: სასურსათო პურეული — 9 მილ. ფ., ბურღული — 1,9 მილ. ფ. და მარცვალ-ფურაჟი — 13,4 მილ. ფ. სულ 35 მილ. ფუთამდე პურეული. მაგრამ საქმეს ის ართულებდა, რომ ჩრდ. კავკასიისაკენ მარცვლეულისათვის ამ წელს უკვე ხელს იწვდიდა თურქესტანი, პოვოლოჟიე და ურალი, საერთოდ მთელი რუსეთი.

სწორედ ამიტომ სრ. კავკასიის სასურსათო კომიტეტის მიერ 1917 წ. 15 ოქტომბრის სხდომაზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„ძველი ხელისუფლების მიერ სასურსათო საქმე მიყვანილი იყო მთლიანად მოშლამდე"; „ამჟამად მხარის მთელი საზოგადოებრივი ელემენტების მოქალაქეობრივ მოვალეობას შეადგენს ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს ახლად შექმნილ სასურსათო ორგანოებს". „ახალი სასურსათო ორგანოების

---

[18] Д. Мерхалев, „Продовольственные перспективы на Кавказе" (отд. оттиск), 1917.

ძირითადი ამოცანაა არმიისა და ზურგის სასურსათო პროდუქტებით მომარაგებაზე ზრუნვა... არმიის საჭიროებანი პირველ პლანზე უნდა იქნას დაყენებული". „ახლანდელ მეტისმეტად მძიმე მდგომარეობაში სასურსათო საკითხის გადაჭრის ერთადერთი შესაძლებლობა მდგომარეობს ახალი წყობილების პლატფორმაზე მდგარი ყველა საზოგადოებრივი ელემენტების თვითმოქმედების შეძლებისამებრ ფართოდ განვითარებაში". „ახლანდელ ვითარებაში სამხარეო სასურსათო ორგანიზაციის საქმიანობის სიმძიმის ცენტრი მდგომარეობს შესყიდვაში, რის გამოც ხელმძღვანელი ორგანოების მოღვაწეობა უნდა იქნას გადატანილი წარმოების ცენტრებში და იქ შემსყიდველი ორგანიზაციების ქსელის შექმნაში". შემდეგ კომიტეტი მოუწოდებდა, რათა მთელი კავკასიის (ამიერკავკასიისა და ჩრდ. კავკასიის) სასურსათო ორგანოებს სასტიკად დაეცვათ მთლიანობა და ერთიანობა „საერთო სასურსათო პოლიტიკისა და სასურსათო საქმის მომწესრიგებელი საერთო ნორმების დადგენის საქმეში". კომიტეტს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა „ხალხთა მასებში, განსაკუთრებით შეძლებულ კლასებში, შეტანა შეგნებისა, რომ გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს რეგულირება და მინიმუმამდე შეკვეცა მოხმარებისა".

მაგრამ არსებითად ყოველივე ეს შიშისა, მძიმე განცდებისა და სიძნელეების მხოლოდ ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენდა; — იგი უფრო დიდი ზომით წინ იყო და 1918 — 1920 წწ. გაიშალა.

VIII

ამიერკავკასიის მარცვლეულის მეურნეობა მარცვლეულის რუსეთისა და მსოფლიო მეურნეობის ასპექტში

რამდენადაც ამიერკავკასია რუსეთის კაპიტალიზმის მიერ თანდათანობით ჩათრეულ იქნა თავისსა და მსოფლიო ბაზრის ორომტრიალში, ცხადია, რომ ამიერკავკასიიდან პურის გატანის, თუ აქ პურის შემოტანისა და, მაშასადამე, ამიერკავკასიაში პურის ფასის საკითხი ბუნებრივად უკავშირდება საერთოდ პურით ვაჭრობის რუსეთისა და მსოფლიო მოვლენებს და ადრე თუ გვიან განიცდის მათს გავლენას.

ცნობილია, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მწარმოებლურ ძალთა განვითარებასა და გადაადგილებასთან დაკავშირებული სიღრმისეული პროცესები მოვლენათა ზედაპირზე ვლინდებიან ფასების სტიქიურად მოქმედი მექანიზმის მეშვეობით.

მე-19 საუკუნეში, 70-იანი წლებიდან მოყოლებული პურისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების დაცემის ტენდენციაში დიდი როლი ითამაშა კერძოდ აშშ სოფლის მეურნეობამ. ამერიკაში სოფლის მეურნეობის ჩქარი ტემპით განვითარებას ხელი შეუწყო შინაგანმა ხელსაყრელმა პირობებმა, რაც საერთოდ მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების ამერიკული გზის სახელწოდებითაა ცნობილი და რაც კაპიტალისტურ ურთიერთობათა პირობებში ხასიათდება შედარებით მეტი თავისუფლე-

ბით, როგორც „შუასაუკუნეებრივი ბორკილებისაგან“, აგრეთვე „მიწაზე კერძო საკუთრების ბორკილებისაგანაც“[1].

მაგრამ იყო კიდევ მეორე ფაქტორი, რამაც ხელი შეუწყო მსოფლიო ბაზარზე პურის ფასების დაცემას. ეს იყო ინდოეთისა და რუსეთის პური, თუმცა ევროპის ბაზრებზე უკანასკნელთა კონკურენტუნარიანობა სულ სხვა პირობებიდან გამომდინარეობდა[2].

ეი როგორ ახასიათებდა ამ მოვლენებს ფრ. ენგელსი: „საოკეანო ორთქლის გემებმა, აგრეთვე ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის და ინდოეთის რკინიგზებმა შესაძლებლობა მისცეს სრულიად თავისებურ ადგილებს კონკურენცია გაეწიათ ევროპულ პურის ბაზრებზე. ეს ადგილები იყო, ერთის მხრივ, ჩრდილო-ამერიკის პრერიები, არგენტინის პამპასები, ველები, უკვე ბუნებით მომზადებული მოსახნავად. უყი მიწა, რომელიც მთელი წლების განმავლობაში მდიდარ მოსავალს იძლეოდა სრულიად პრიმიტიული დამუშავებითაც-კი და უსასუქოდ. მეორეს მხრივ, ეს იყო მიწები რუსეთის და ინდოეთის კომუნისტური თემების, რომელნიც იძულებულნი იყვნენ თავიანთი პროდუქტის ერთი ნაწილი — ამასთან უფრო და უფრო დიდი ნაწილი — გაეყიდათ, რათა ფული მოეპოვებიათ ხარკების (გადასახადების — პ. გ.) გაღასახდელად. რომელთა გადასახადს მათ აიძულებდა, საკმაოდ ხშირად წამებითაც, სახელმწიფოს ულმობელი დესპოტიზმი. ეს პროდუქტები იყიდებოდა წარმოების ფასებისაგან დამოუკიდებლად, იყიდებოდა ამ ფასად, რასაც ვაჭარი იძლეოდა, რადგან გადახდის ვადისათვის გლეხს უეჭველად უნდა ეშოვნა ფული. და ამ კონკურენციის, ველების უყი მიწის კონკურენციის, სახარკო ტვირთით წელმოწყვეტილი რუს და ინდოელ გლეხთა კონკურენციის ატანა ევროპელ მოიჯარადრეს და გლეხს არ შეეძლო ძველი რენტის არსებობისას“.[3]

---

[1] ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 15, გვ. 154.

[2] „Влияние урожаев и хлебных цен на некоторые стороны русского народного хозяйства“, 1897, СПБ.

[3] კ. მარქსი, „კაპიტალი“, III, II, 249.

ასეთს პირობებში, გასაგებია, რომ ევროპაში მიწების ერთმა ნაწილმა სავსებით დაჰკარგა პურის წარმოების მხრივ კონკურენტუნარიანობა. მაშასადამე, რენტა ყველგან დაეცა და, ამგვარად, მთელს დას. ევროპაში დაიწყო მემამულეთა გოდება: ვღატაკდებით, ვიღუპებითო.

ახასიათებდა რა ევროპაში 1870 — 1890-იანი წლების აგრარულ კრიზისს, ვ. ლ ე ნ ი ნ ი 1899 წ. წერდა: „ევროპის სოფლის მეურნეობამ, იმ ქვეყნების კონკურენციის გამო, რომელთაც მეტად იაფად მოჰყავთ პური, დაჰკარგა საშუალება მომხმარებელთა მასაზე გადაიტანოს ყველა ის სიმძიმე, რომელსაც მიწის კერძო საკუთრება და კაპიტალისტური სასაქონლო წარმოება აკისრებს სოფლის მეურნეობას“.

ამიერიდან ევროპის სოფლის მეურნეობას უნდა ეკისრა ეს სიმძიმენი, რომელთაგან მთავარია მიწის რენტა, რაც ევროპაში ძლიერ აწეულია ადრინდელი ისტორიული განვითარებით (დიფერენციული რენტითაც და აბსოლუტური რენტითაც) და განმტკიცებულია მიწის ფასებში. და თუ „აქამდე ევროპის კაპიტალისტური მიწათმოქმედება მომხმარებლებს ადებდა უაღრესად დიდ რენტას (პურის მაღალი ფასების სახით), ახლა კი ამ რენტის სიმძიმე აწვება თვით სოფლის მეურნეობებსა და მიწათმფლობელებს და აჩანაგებენ მათ“[4].

უკვე 1870-იანი წლებიდან, მაგალითად, ინგლისში, დაიწყო ხორბლის ფასების დაცემა. ერთი კვარტერი ხორბლის ფასი შილინგობითა და პენსობით უდრიდა[5]:

1873 წ.	58,8		
1876 წ.	46,2	1893 წ.	26,4
1879 წ.	43,1	1895 წ.	23,1
1882 წ.	45,1	1896 წ.	26,2
1885 წ.	32,1	1897 წ.	30,2
1888 წ.	31,1	1898 წ.	34,0
1891 წ.	37,0	1899 წ.	25,8

[4] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 185 — 186.

[5] E. L i p s o n, „The economic history of England,“ 1956, Vol 3.

ამასთანავე, იმ წლებშიაც-კი, როდესაც მთელ დას. ევროპაში ცუდი მოსავალი მოდიოდა, ხოლო ინგლისში — კიდევ უარესი, კერძოდ 1879 წელს, ინგლისში „ამერიკული ხორბლის მეოხებით“ პურზე ფასები თითქმის არ შეცვლილა და ინგლისელმა ფერმერმა ამ წელს პირველად იწვნია ერთდროულად ცუდი მოსავალიცა და ხორბალზე დაბალი ფასებიც. საქმე იმაში იყო, რომ, როგორც ფრ. ენგელსი წერდა, „...ახლა მარცვლეულის ფასს განსაზღვრავს მისი წარმოების დანახარჯები ამერიკაში პლუს ტრანსპორტის დანახარჯები“ [6].

როგორც ცნობილია, იმ გარემოებამ, რომ ევროპის ბაზრებზე მარცვლეულის ფასების განმსაზღვრელ როლს ამერიკული მიწათმოქმედება თამაშობდა, თავისებური გავლენა მოახდინა აგრარული კრიზისის მთელ პროცესზე მე-19 საუკუნეში, მაგრამ ამერიკის ეს როლი, ცხადია, არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ მისი დიდძალი ყამირი მიწების მაღალი ნაყოფიერებით.

მართალია, ნაყოფიერება მიწის ობიექტურ თვისებას წარმოადგენს, მაგრამ ეკონომიკურად იგი ყოველთვის გულისხმობს გარკვეულ დამოკიდებულებას მიწათმოქმედების ტექნიკის მოცემული დონისადმი და ყოველთვის იცვლება ამ უკანასკნელის შესაბამისად. ამასთანავე, პოლიტიკური ეკონომია სწავლობს ნიადაგის არა ბუნებრივ ნაყოფიერებას, არამედ ეკონომიკურ ნაყოფიერებას, რაც გულისხმობს შრომის მწარმოებლურობის გარკვეულ ხარისხს, ე. ი. მოცემულ შემთხვევაში, მიწათმოქმედების უნარიანობას (რაც სხვადასხვანაირია განვითარების სხვადასხვა საფეხურზე) უშუალოდ გამოიყენოს ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერება [7].

კ. მ ა რ ქ ს ი ს განმარტებით შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, „რომ კოლონიების და საზოგადოთ ნორჩი ქვეყნების ნიადაგი, რომელთაც უფრო იაფ ფასად შეუძლიათ პურის ექსპო-

---

[6] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, 1935, XV, 575—576

[7] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, III, II, 178 — 179.

რტის წარმოება, ამიტომ უეჭველად უფრო დიდი ბუნებრივი ნაყოფიერების მქონეა“ [8]. ამ შემთხვევაში მოვლენის საიდუმლოება იმაში იყო, რომ ევროპის ბაზრებზე ამერიკული ხორბლის გაყიდვა ხდებოდა არა მხოლოდ მის ღირებულებაზე ნაკლებად, არამედ მის წარმოების ფასზე დაბლადაც, სახელდობრ ნაკლებად იმ წარმოების ფასისა, რომელიც მოგების საშუალო ნორმით განისაზღვრებოდა ძველ ქვეყნებში. ახალ ქვეყანაში, ე. ი. ამერიკაში მიწის დამუშავებისათვის ბევრად უფრო ნაკლები დანახარჯები იყო საჭირო; აქ, როგორც ვ. ლენინი წერდა, „ვხედავთ თავისუფალ მიწებს, რომელთაც ახლად გადმოსახლებულნი იკავებენ ან სრულიად მუქთად, ან ძალიან მცირე ფასად, და ამასთან ისეთ მიწებს, რომელთა ხელუხლებელი (девственное) ნაყოფიერება minimum-ამდე ამცირებს წარმოების ხარჯებს“ [9].

მაგრამ აშშ მიწათმოქმედების უპირატესობა გამოიხატებოდა არა მხოლოდ იმაში, რომ წარმოების მცირე ხარჯებს მოითხოვდა, არამედ იმაშიაც, რომ აქ ბევრად უფრო ადვილად შესაძლებელი იყო მეურნეობის ფართო მასშტაბით განვითარება და გაუმჯობესებული იარაღ-მანქანების გამოყენებაც. ფრ. ენგელსი წერდა, რომ აქ საჭირო არაა ნიადაგის არც გაწმენდა, არც დამრობა: საკმარისია მაზე გაიარო გუთნით და ის მზადაა მიიღოს თესლი და სასუქის შეტანის გარეშე ზედიზედ მოიტანოს 20 — 30-ჯერადი მოსავალი ხორბლისა. „ეს ნიადაგი ვარგისია გიგანტური ზომის მიწათმოქმედებისათვის, და მას გიგანტური ზომითაც ამუშავებენ“ [10].

იხილავს რა საერთოდ შესაბამის მოვლენებს, ფრ. ენგელსი ასკვნის: მიწათმოქმედების ამ ამერიკულმა რევოლუციამ, ამერიკელთა მიერ გამოგონებული რევოლუციონიზებული ტრანსპორტის საშუალებებთან ერთად, გამოიწვია

---

[8] კ. მარქსი, კაპიტალი, III, II, გვ 196.

[9] ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 185.

[10] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, XV, 575.

ის, რომ ევროპაში ხორბალი შემოიტანება ისე დაბალ ფასებში, რომ მას კონკურენციას ვერ გაუწევს ვერც ერთი ევროპელი ფერმერი, ყოველ შემთხვევაში მანამდე, სანამ ის იძულებულია იხადოს რენტა"[11].

აქ უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 საუკ. მიწურულს განცდილ აგრარულ კრიზისს ბურჟუაზიული ეკონომისტები ხსნიდნენ „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონით", რომ სახელდობრ ძველი ქვეყნის მიწები გამოიფიტა, ხოლო ახალი ქვეყნისა — განუზომელად მეტ მოსავალს იძლევაო და ა. შ.

ეხებოდა რა ამ საკითხს, სახელდობრ ს.-დ. აგრარული პროგრამის გარშემო, პ. მასლოვის წინააღმდეგ გამოსული ვ. ლ ე ნ ი ნ ი წერდა: „ბურჟუაზიული ეკონომია «ახალი მიწების კონკურენციას» ხსნის «კლებადი ნაყოფიერების კანონით», რადგან ბურჟუა ნებით თუ უნებლიეთ უგულებელყოფს საქმის საზოგადოებრივ-ისტორიულ მხარეს. სოციალისტური ეკონომია (ე. ი. მარქსიზმი) ოკეანესიქითურ კონკურენციას იმით ხსნის, რომ მ ი წ ე ბ ი, რ ო მ ე ლ ნ ი ც რ ე ნ ტ ა ს ა რ ი ხ დ ი ა ნ, ძ ი რ ს უ თ ხ რ ი ა ნ პ უ რ ი ს უ ზ ო მ ო დ მ ა ღ ა ლ ფ ა ს ე ბ ს, რაც განმტკიცებულია იმ ძველი ევროპული ქვეყნების კაპიტალიზმით, რომელთაც წარმოუდგენლად გაბერეს მიწის რენტა. ბურჟუაზიულ ეკონომისტს არ ესმის (ან თავსაც უმალავს და სხვებსაც), რომ მ ი წ ი ს კ ე რ ძ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ გ ა ნ მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი რ ე ნ ტ ი ს ს ი დ ი დ ე მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს პ რ ო გ რ ე ს ს ა ფ ე რ ხ ე ბ ს, და ბრალი გადააქვს კლებადი ნაყოფიერების «ფაქტის» «ბუნებრივ» დაბრკოლებაზე"[12].

ამგვარად, საჭიროა ვიცოდეთ, რომ ძველ ქვეყნებში, აზიაში, ევროპაში, კერძოდ რუსეთსა და ამიერკავკასიაში, თუნდაც ისეთსავე ნაყოფიერ მიწებსაც, როგორიც იყო ამერიკის მიწები, არ შეეძლოთ მიწათმოქმედების დარგში შესაბამისად დაბალ წარმოების ფასებში მოქცეულიყვნენ, რადგან აქ მი-

---

[11] К. М а р к с и Ф. Энгельс, Сочинения, XV, 279.

[12] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 13, გვ. 380; კურსივი ჩვენია—პ. გ.

წათმფლობელობის თავისებური ხასიათის გამო, მიუხედავად წარმოების დაბალი დანახარჯებისა, უკეთესი მიწები, იყენენ რა სათანადოდ მაღალი (დიფერენციული) რენტით შებოჭილნი, სოფლისმეურნეობრივ პროდუქტებზე ფასქმნადობის ჩვეულებრივ პირობებში, შეუდარებლად მაღალი ღირებულების ხორბალს იძლეოდნენ.

ამავე დროს, საერთოდ ძველ ქვეყნებში მიწათმფლობელობის თავისებური ვითარების პირობათა მეოხებით განმტკიცებული მაღალი რენტა აბრკოლებდა მიწათმოქმედებაში ტექნიკურ პროგრესს და, მაშასადამე, ცხადია, რომ ძველი ქვეყნების მიწათმოქმედების ტექნიკური ჩამორჩენილობა აძლიერებდა ახალ ქვეყნის კონკურენტუნარიანობას [13].

ასეთ პირობებში ამერიკულმა ხორბალმა და საერთოდ პურეულმა, დიდი ზომით მიაწყდა რა ევროპის ბაზრებს, უწინარეს აქ გამოიწვია გადამეტწარმოების ჩვეულებრივი დამახასიათებელი მოვლენა. სახელდობრ, ფასების დაწევა, უფრო დაბლა, ვინემ იყო მანამდელი ბაზრის ფასი, რაც დადგენილი იყო საკუთრად ევროპული მიწათმოქმედების განვითარების შესაბამისად. მაგრამ ამავე დროს მოხდა ცვლილება ხორბლის თვით ბაზრის ფასშიაც, ე. ი. წარმოების ფასშიაც, რაც იყო შედეგი საერთოდ სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში მომხდარი ცვლილებებისა. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს ბაზრის ფასის ის ცვლილება, რომელიც გამოწვეულია არა მიწოდება-მოთხოვნის ურთიერთშეფარდებით, არა გადამეტწარმოებით, არამედ თვით წარმოების პირობებში მომხდარი ცვლილებებით.

როგორც დავინახეთ, რუსეთისა და ინდოეთის გლეხობისა და არგენტინის, კანადის, ავსტრალიის კონკურენციამ გამოიწვია დაცემა მარცვლეულის ფასებისა, რამაც უდაბლეს წერტილს მიაღწია 1890-იანი წლების შუაში. აგრარულმა კრიზი-

---

[13] П. Клинген, „Русский хлебороб в борьбе с североамериканскими фермерами и Аргентиной на всемирном рынке“, 1904, СПБ.

სმა საყოველთაო ხასიათი მიიღო, იგი გავრცელდა რუსეთზედაც, რომელსაც ფრიად თვალსაჩინო ადგილი ეჭირა პურის მსოფლიო ბაზარზე.

რუსული მარცვლეულის ექსპორტის საშუალოწლიური ფასების დინამიკა, რასაც ქვემოთ ვეცნობით, სავსებით შეესაბამებოდა ფასების დინამიკას მსოფლიო ბაზარზე (1 ფუთი პურეული კაპიკობით)[14]:

წლები	ხორბალი	ჭვავი	ქერი
1871—1875	90,1	65,7	60,6
1876—1880	85,1	63,1	56,1
1881—1885	76,7	63,4	52,0
1886—1890	64,6	42,5	37,6
1891—1896	55,6	46,6	35,9

აღსანიშნავია, რომ ფასების შეუჩერებელი დაცემა მიმდინარეობდა მიუხედავად მოუსავლიანი წლებისა, როგორიც იყო 1883 — 1884, 1888, 1891 წწ. ცხადია, დიდის სისწრაფით ეცემოდა რუსეთში ადგილობრივი ფასებიც, ე. ი. პურის გასაყიდი ფასები თვით მწარმოებელთან — კაპიკობით 1 ფუთზე[15]:

წლები	ხორბალი		ჭვავი	შვრია	ქერი	ფასების საშუალო
	შემოდგომისა	გაზაფხულისა				
1883	109	97	82	57	68	78
1885	81	71	63	60	63	67
1887	85	75	49	38	46	53
1894	51	49	41	35	41	42

[14] П. Лященко, „История народного хозяйства СССР", 1950, II, 87.

[15] П. Лященко, „Русское зерновое хозяйство в системе мирового хозяйства", 1927, стр. 123.

მაგრამ რუსეთის შავნიადაგიანი მიწის ზოგიერთ რაიონში პურის ფასები ბევრად უფრო ნაკლებიც იყო. 1880-იან წლებში ერთი ფუთი ჭვავის ფასი ზოგან 20 კაპიკამდე დაეცა, ხოლო კერძოდ ჩრდილოეთის ზოგიერთ შავნიადაგიან გუბერნიაში კიდევ 18 — 12 კაპიკამდე[16].

როგორც თავის ადგილას დავინახეთ 1891 წელი მეტად მოუსავლიანი და მშიერი წელიწადი იყო და მაშინაც-კი პურის ფასები მოლოდინისამებრ არ აწეულა, რადგან დას. ევროპის ბაზრებზე ამერიკული პურის მოზღვავების შედეგად მსოფლიო ბაზარზე ფასები სულ ეცემოდა და „ჩვენი პურის ექსპორტერები... ამჟამად საგრძნობ ზარალს განიცდიანო“—წერდა რუსეთში მარცვლეულის ვაჭრობის მიმომხილველი[17].

საჭიროა აქვე ითქვას, რომ როგორც რუსეთში, ისე, და მეტი ზომით, ამიერკავკასიაშიც, პურის ფასების დაცემის პერიოდებშიაც მიწის საიჯარო ქირა და გასაყიდი ფასი კი არ კლებულობდა, არამედ მატულობდა და მნიშვნელოვანი ზომით მატულობდა კიდევაც. მძიმე ბატონყმური გადმონაშთების, ჩამორჩენილი ტექნიკური ბაზისისა და მცირემიწიანობის პირობებში მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარება იწვევდა მიწის ფასებისა და საადგილმამულო რენტის სწრაფ ამაღლებას.

როგორც ვ. ლენინი წერდა, რუსეთის სოფლის მეურნეობის მწარმოებლურ ძალთა განვითარების „მთავარ და ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენს ბატონყმობის ნაშთები, ე. ი. უწინარეს ყოვლისა შრომამიგება და კაბალა, შემდეგ ბატონყმური გამოსაღები, გლეხის არათანასწორუფლებიანობა, მისი დაბეჩავებულობა უმაღლესი წოდების წინაშე და ა. შ.“[18].

ყოველივე ამ მხრივ ამიერკავკასიელი გლეხობა და, მაშა-

[16] П. Лященко, „Русское зерновое хозяйство в системе мирового хозяйства“, 1927, стр. 279.

[17] П. Лященко, „Зерновое хозяйство и хлеботорговые отношения России и Германии в связи с таможенным обложением“, 1915, СПБ.

[18] ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 15, გვ. 149.

სადამე, აქაური მიწათმოქმედება, ცხადია, კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში იმყოფებოდა: ამასთანავე, ადგილობრივ გლეხობას კისრად აწვა კოლონიური ექსპლოატაციისა და ნაციონალური ჩაგვრის უღელიც[19]

მაგრამ ამ მოვლენათა შემდგომი განხილვა ჩვენ სულ სხვა პრობლემათა სფეროში, უწინარეს აგრარულ ურთიერთობათა საკითხში, გადაგვიყვანდა, რაზედაც სხვაგან სპეციალურად გვაქვს მსჯელობა[20] და ამიტომ მათზე აქ არ შევჩერდებით, თუმცა ისინი მრავალმხრივ უკავშირდებიან მარცვლეულის მეურნეობის ეკონომიკას.

როგორც დავინახეთ, ამიერკავკასიაში პურის ვაჭრობის მიმომხილველნი და საერთოდ პუბლიცისტები ადგილობრივი პურეულის გატანისა, თუ მერმე, პურის შემოტანის საკითხთა განხილვისას ესოდენი გულმოდგინებით ტყუილუბრალოდ როდი მსჯელობდნენ რუსული თუ ამერიკული პურის ბედზე, ევროპის ბაზრებში ამერიკული მარცვლეულის დაწოლაზე, სიმინდისა თუ ხორბლის კრიზისზე, ე. ი. გადამეტწარმოებაზე, რომელთაც, ცხადია, არ შეეძლოთ, მეტი თუ ნაკლები ზომით, გავლენა არ მოეხდინათ როგორც ადგილობრივი პურის წარმოების, ისე საერთოდ სოფლის მეურნეობის მდგომარეობისა და განვითარების მიმართულებაზე.

მაგრამ დას. ევროპის მარცვლეულის ბაზრები ამიერკავკასიაზე ერთგვარ გავლენას ახდენდა ჯერ კიდევ რეფორმამდელ პერიოდშიც.

ოფიციალურ ცნობათა მიხედვით 1832 — 1850 წწ. ამიერკავკასიიდან გატანილი სხვადასხვა პურეულის ღირებულება უდრიდა: [21]

---

[19] იხ. ვ. გუგუშვილი. „კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში», 1941. თბ., გვ. 42, 44, 100 — 143, 394 — 400.

[20] ვ. გუგუშვილი, „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება", მონოგრაფიები, ტ. II, გვ. 639 — 866.

[21] А. С. Сумбат-заде и М. А. Исмаилов, „Сельское хозяйство Азербайджана 1801—1914 гг.", I, стр. 125—127 (рукопись); АСКАК, XII, стр. 133—134; КК на 1853—1855 гг.

1832 წელს	. . 7.172 მანეთს		1841 წელს	235.527 მან.	
1833 „	7.990 „		1842 „	197.987 „	
1834 „	27.682 „		1843 „	79.470 „	
1835 „	. 56.337 „		1844 „	76.382 „	
1836 „	. 47.650 „		1845 „	89.545 „	
1837 „	49.805 „		1846 „	94.687 „	
1838 „	48.308 . „		1847 „	170.916 „	
1839 „	69.484 „		1848 „	94.810 „	
1840 „	109.607 „		1849 „	105.937 „	
			1850 „	115.800 „	

მე-19 ს. პირველ ნახევარში, ამიერკავკასიიდან, როგორც ჩანს, გაქონდათ უმთავრესად სიმინდი (დას. საქართველოდან) და ბრინჯი (აზერბაიჯანიდან), რაც შეეხება ხორბალსა და სხვა პურეულთ, ესენი შედარებით უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ ამ საექსპორტო ოპერაციებში. ყირიმის ომის წლებში, რა თქმა უნდა, ამიერკავკასიიდან მარცვლეულის გატანა შეწყდა.

ამ ხანებში პურეული აქედან უმთავრესად შექონდათ თურქეთის სამფლობელოებში. მაგრამ იშვიათი არ იყო მათი შეზიდვა დას. ევროპის შორეულ ქვეყნებშიაც.

მაგალითად, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სიმინდის პირველი პარტია უკვე 1846 წელს გაიგზავნა დას. საქართველოდან ირლანდიაში.

ამერიკაში აბოლიციონისტური მოძრაობის აღმავლობიდანვე დას. ევროპაში საგრძნობი გახდა მარცვლეულის ნაკლებობა, რამდენადაც ამერიკული პროდუქტის იმპორტი ძლიერ შემცირდა.

1863 წელს ქართველი ფელეტონისტი უკვე აღნიშნავდა, რომ „ამერიკის ომმა დააძვირა ყველა გამოსავალი, რომელიც მოდიოდა ამ ქვეყნიდან; ბამბის საქმე სიმინდსაც გადახდა...“ და ასეთს პირობებში, როგორც იგი იუწყება, 1862 წელს „ინგლისისათვის გაუტანიათ გურიიდან და სამეგრელოდან ერთი მილიონი მანეთის სიმინდი“; ხოლო ეს გარემოება „დიდი საქმეა ამ მხარისათვისო“—დასძენდა ფელეტონისტი[22].

---

[22] „გუთნის დედა“, 1863 წ., № 4, გვ. 68—69.

მაგრამ ეს იყო საქართველოსა და ამიერკავკასიის მარცვლეულის მსოფლიო ბაზრის ორბიტში ჩათრევის, ასე ვთქვათ, პირველი სიმპტომები.

საერთოდ პურის მსოფლიო ვაჭრობის საკითხი, ჩვენთვის უკვე ცნობილი მიზეზებისა გამო, ქართული პუბლიცისტიკის მნიშვნელოვან ობიექტად იქცა სახელდობრ 1880-იანი წლებიდან, სწორედ იმ დროიდან, როდესაც მნიშვნელოვანი რაოდენობით დაიწყო აქედან პურის გატანა უცხოეთში.

1886 წ. „ივერიის" მოწინავეში ვკითხულობთ: „როცა საერთო წარმატების გამო მკვიდრთა რიცხვი მრავლდება, ანუ მიწა ბუნებითად უღონოა საკმარისის ჭირნახულის მოსაყვანად, ანუ თვითონ მიწა ცოტაა, მაშინ ერი... იძულებულია პირველი საჭიროების საგანი სხვიდან, გარედამ შემოიტანოს და მის სამაგიეროდ იგი აძლიოს, რაც იქ უჭირთ და არა აქვთ კი". იმავე ავტორის აზრით „სამეურნეო მრეწველობის თავი და თავი ნაამაგარი პურია. ამას, როგორც უპირველეს საგანს ადამიანის ცხოვრების საჭიროებისას, პირველი ადგილი უჭირავს სხვა სავაჭრო საქონელთა შორის" [23].

ამ დროიდან „ივერიამ" მოწინავეთა მთელი სერია მიუძღვნა პურის ვაჭრობის საკითხს. საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ მოწინავეებს დასაწყისიდანვე ხელს აწერს „ა. ფ. — ი" („ა. ფ. — ვი"), ხოლო შემდეგ. 10 დეკემბრიდან (№ 267-დან), მოწინავეები ხელმოუწერლად იბეჭდება. რაც, ჩვენი აზრით, უნდა მიუთითებდეს, რომ ესენი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს კალამს ეკუთვნიან.

„ივერია" აცხადებს, რომ „პურის ბაზარში გამოტანა ყოველთვის იმის ნიშანი არ არის, რომ პური ნამეტანი აქვს გამომტანსა". ჩვენი გაჭირვებული გლეხები ხშირად პურს ჰყიდიან ფუთს 2 აბაზად, 9 შაურად და მერე გაზაფხულზე თვითვე ჰყიდულობენ 4 აბაზად, 4 აბაზ უზალთუნად. ეს იმიტომ, რომ „როცა მიწისმომქმედს გლეხს, თუ თავადს ხელმოსაცვლელი ფული უჭირს მრავალგვარის საჭიროების გასაძღოლად — იგი

[23] „ივერია", 1886 წ. 4 დეკემბერი, № 263.

იძულებულია იშოვოს სადმე ფული... იძულებულია მივარდეს თავის ორმოს, საცა წლის სარჩოდ პური აქვს დაბინავებული და თუმცა იგი პური ძლივს გასწვდება მეორე მოსავლამდე, მაგრამ მაინც იღებს და ჰყიდის გაჭირვების გამო იეფად და მერე ჰყიდულობს. მაგრამ ძვირად კი".

აქ „ივერიას" მოჰყავს მაგალითი რუსეთის ცხოვრებიდანაც. სახელდობრ გაზ. «Северный Вестник»-ის ეკონომისტის სტატიიდან, რომ „ჩვენ დავუწყეთ გატანა არამცთუ იმას, რაც ნამეტანია, არამედ ჩვენთვისაც ძლიერ საჭიროსა. ჩვენ იქნობამდე მივედით რომ საქვეყნო (მსოფლიო — პ. გ.) ბაზრები ავავსეთ პურითა მაშინ, როცა ჩვენ თვითონ გვშიოდაო" [24].

რეფორმისშერმინდელი რუსეთის სოფლის მეურნეობის შესახებ ერთ უახლეს გამოკვლევაში ვკითხულობთ, რომ რუსეთიდან პურის დიდი ექსპორტი „სრულებითაც არ იყო გამოწვეული პურის წარმოების სიჭარბით. მეფის რუსეთის გლეხობა და მუშები პურეული პროდუქტების ნაკლებობას განიცდიდნენ პურის დიდძალი გატანის პირობებში" [25]. მაგრამ ამ გარემოებას, როგორც ილია ჭავჭავაძე მიუთითებს, იმდროინდელი რუსი ეკონომისტებიც მშვენივრად სედავდნენ.

გაზ. „ივერია-ს" მოწინავე წერილის ავტორი დიდადაა დაინტერესებული სტატისტიკური ცნობებით, სახელდობრ იმისთვის, რათა ვიცოდეთ: ნაჭარბი პური გაგვაქვს, თუ აუცილებელის ნაწილი. მაგრამ ასეთი ცნობები არ მოგვეპოვება, „რომ კაცმა უტყუარი სიტყვა წარმოთქვასო". ამასთანავე იგი შენატრის რუს და უცხოელ პუბლიცისტებს, რომელთაც შეუძლიათ საჭირო სტატისტიკურ მონაცემთა გამოყენება. იგი აღნიშნავს: მთელ რიგ ქვეყნებში „ამისთანა გამოკვლევა და გამორკვევაცა საქმის წლითიწლობით... მიდის შეუწყვეტლად და როგორც სახელმწიფო კაცთათვის, რომელნიც ქვეყნის ბედს განაგებენ, ისე მეცნიერთა და კერძო კაცთათვისაც, რო-

---

[24] „ივერია", 1886 წ., № 264.

[25] Е. Карнаухова, „Размещение сельского хозяйства России..." 1951, стр. 81.

მელთაც ქვეყნისათვის გული შესტკივათ, დიდს და დაუფასებელს განძს შეადგენს უტყუარის და სამარჯვო მოქმედებისათვის. აქ საქმე შეურყეველ ციფრებთან გვაქვს და შეცდომა შეუძლებელია... იმისთანა ადგილას, როგორც ორჯერ ორი ოთხი, ისე იციან რამდენი ფუთი პური მოუვა ქვეყანას... რამდენი შინ სახარჯოთ მოუნდებათ და რამდენი გადარჩებათ გარედ გასატანად“ [26].

მაგრამ ჩვენში, სადაც ცარიზმმა საერობო თვითმმართველობა არ შემოიღო, ერობიანი შიგარუსეთის გუბერნიებისაგან განსხვავებით, სტატისტიკურ მონაცემთა სისტემატური მოპოვება და დამუშავება არ ხდებოდა. ამის გამო „ჩვენ კი, — ვკითხულობთ მოწინავეში, — ცოტად თუ ბევრად მართალზედ ახლოს ვარაუდობასაც ვერ გავწევთ... ამ მხრით ჩვენის ქვეყნისა სრულებით არა ვიცით რა და არც რაიმე ღონეა ვიცოდეთ... ჩვენში სიზმრადაც არ მოგვზმანებია რამდენი დღიური მიწაა ხვნა-თესვაზედ მიქცეული ამიერკავკასიაში... ისიც კი არ ვიცით გულდაჯერებით, თუ რამდენი სულია მკვიდრი ამიერკავკასიაში და, მაშასადამე, საიდამ უნდა გვეცოდინოს რამდენი პური გვინდა ჩვენ თვითონ“ [27].

1886 წ. 10 დეკემბრის მოწინავეში უკვე უშუალოდ პურის მსოფლიო ბაზრის ვითარებაა განხილული: „საქვეყნო ბაზარში დიდი ცილობაა, რომელსაც მეცნიერნი «კონკურენციას» ეძახიან. რომ ამ ცილობაში ჩვენმა (ამიერკავკასიურმა — პ. გ.) პურმა თავი გაიტანოს და საქვეყნო ბაზრის მოედანზედ შესაფერი ადგილი დაიპიროს, ორი აუცილებელი სიკეთე უნდა სჭირდეს: 1. თვისებით და ღირსებით სხვაზედ კარგი იყოს და 2. სხვაზედ იეფი, თვისებისა და ღირსების კვალობაზედ“ [28].

მოწინავის ავტორის აზრით პირველი მომენტის მხრივ ამიერკავკასიური პური „ბევრ სხვას არ ჩამოუვარდება“ და თუ რამ ნაკლოვანება აქვს ამ მხრივ ისიც „ადვილად გასასწორე-

---

[26] „ივერია“, 1886 წ. № 265.

[27] იქვე.

[28] იქვე, № 267.

ბელია, რადგან ჩვენებური მიწა და ჰაერი ყოველს განკარგებას სასოფლო წარმოებისას ხელს უწყობს და ყოველგვარს პურს მოიყვანს ჩვენში...“

მეორე მომენტის განხილვისას იგი უკვე შემდეგნაირად მსჯელობს: პურის როგორც საქონლის ერთერთი უდიდესი ნაკლოვანება ის არის, რომ დიდი საპალნე ცოტა ფულს აყენებს; თვითონ მძიმეა, ბევრს ადგილს იჭერს გადატანაში და ფასი კი ცოტა აქვს... ამ შემთხვევაში... გზების ავკარგიანობას დიდი და უპირველესი მნიშვნელობა აქვს“; ამასთანავე, ეხება რა რკინიგზის ტარიფს, იგი აღნიშნავს, რომ „საზოგადოთ რუსეთში რკინის გზებზე საქონლის გადატან-გადმოტანის წესები მეტად ხელს უშლის გადამტანელს და მერე თვითონ ფასიც გადატანისა ძვირია“. ხოლო თვით ამიერკავკასიაში კი „წესებიც უარესია და ფასიც მეტი“ [29].

მომდევნო ნომერში გაზეთისა მითითებულია რკინიგზებზე მისასვლელი საჭაპანო გზების სიცუდე, თვით რკინიგზის სადგურებში მარცვლეულის დროებით შესანახი საწყობების უქონლობა და სხვ. უხერხულობანი, რამაც „შეუძლებელია, რომ... საგრძნობლად არ დააძვიროს გადატანილი საქონელი საზოგადოდ და პური საკუთრივ“. სწორედ ამ გადაზიდვის ხარჯების სიდიდისა გამო მწარმოებელი იძულებულია პროდუქტი ადგილზე მეტად დაბალ ფასად გაყიდოს. ქართლიდან ბათუმსა თუ ფოთში მიტანილი პური იქ ერთიორად მეტს ფასობდა, მაგრამ „ნუ გეგონოთ, რომ პურის ბათომში წამღებს აქ დიდი მოგება ჰრჩებოდეს. ფუთზე რომ 2 შაური მოიგოს“ ძალიან ბევრია. ხოლო ასეთს ვითარებაში „ჩვენებურმა პურმა ცილობა როგორ უნდა გასწიოს საქვეყნო ბაზრის მოედანზედ, როცა ამერიკიდამ, ამ პურის უზარმაზარ ბოლაზიდამ, უფრო ადვილია, უფრო მოხერხებულია, უფრო იეფია პურის გადმო-

---

[29] ამიერკავკასიის რკინიგზის ტარიფისათვის იხ. პ. გუგუშვილი, „შინამრეწველური მეღვინეობა... ამიერკავკასიაში“, ეკონ. ინსტ. შრომები, ტ. III, გვ. 111 — 120.

ტანა ევროპაში, ვიდრე ერევნიდამ, გუმბრიდამ, კახეთიდამ და თვითონ ქართლიდამაც ბათომამდეო“[30] — კითხულობს გაზეთი.

დასასრულ საინტერესოა დასკვნა, რასაც მოწინავეს ავტორი იძლევა: „დღეს მარსელში და სხვა ადგილებში, რომელიც ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზეა, ამერიკის პური იმავე ფასად ისყიდება, როგორც ჩვენებური, — ეს მაშინ, როცა ჩვენებურს მწარმოებელს ფუთზედ სამ აბაზზედ, თუ 13 შაურზედ მეტი არ მოსდის“. ასეთს პირობებში: თუ ამერიკელთათვის შესაძლებელი იქნება პურის ფასის შემდეგში დაწევა, „მაშინ აშკარაა ჩვენს ვაჭრობას პურისას არავითარი ღონე ექმნება საქვეყნო ბაზარში სული იბრუნოს და დიდხანს იდგომილოს. ჩვენებური პური ცილობას ვერ გაუწევს ამერიკის პურსო“.

დეტალურად იხილავს რა პურის მსოფლიო ბაზრისა და წარმოების ვითარებას, ილია ჭავჭავაძე იმ სწორ დასკვნამდე მიდის, რომ 1885 — 1886 წლებში პურის ფასების აწევა დროებითი მოვლენა იყო და, ამრიგად, ამიერკავკასიელ პურის მწარმოებლებს იმედი არ უნდა ქონოდათ იმისა, რომ აქაური პური მსოფლიო ბაზარზე მომავალ წლებში რამდენადმე მტკიცე ადგილს დაიმკვიდრებდა. იგი თვლიდა რომ პურის ისეთი უმსხვილესი მწარმოებლები, როგორიც იყვნენ ამერიკა, რუსეთი, ინდოეთი კიდევ მეტად გაზრდიდნენ პურის წარმოებასა და ექსპორტს და მსოფლიო ბაზრებში სხვებს ადვილად შეავიწროებდნენ.

დასახელებულ ქვეყნებს და განსაკუთრებით კი ამერიკას ამ მხრივ აშკარა უპირატესობანი გააჩნიათ, რადგან „საკვირველი გახშირება სამიწათმოქმედო მაშინებისა ამერიკაში ხარჯს პურის მოყვანისას მეტისმეტად აცოტავებს. თითქმის არ არის იმისთანა სამუშაო მიწისა, რომ მაშინით არ კეთდებოდეს, გარდა ამისა, რომ ხარჯი იქ ამ გზით შემოკლებულია, თითონ მოსავალიც პურისა დიდია, იმიტომ რომ ცოდნით ეკიდებიან საქმეს და ყოველს სახსარს მეცნიერებისას ჰხმარობენ შემოსავლის განდიდების და გაძლიერებისათვის. რა თქმა უნდა, ეს ყოველი იმდენად გააიაფებს პურსა, რომ ჩვენ ამაში ცილობის

[30] „ივერია“, 1886 წ., № 268.

გაწევა არ შეგვიძლიან. თუნდ ესეც არ იყოს, მარტო ის გარემოება, რომ ყოველი კუნძული ამერიკისა რკინის-გზით არის შეერთებული ნავთ-სადგურებთან და რკინის-გზებით პურის გადატანა დაუყოვნებელია, სწრაფია და იეფი, — მარტო ეს გარემოება საკმაოა დააფოლოს ჩვენი პური საქვეყნო ბაზარში და იქიდამ... გამოდევნოს". მერმე იგი კიდეე აღნიშნავს რა ამერიკაში სახელმწიფო კრედიტის მოწესრიგებულობასა და სიიაფეს, ვაჭრობის ორგანიზებულობას და სხვ.[31], ხოლო ჩვენში ყოველივე ამ მხრივ ჩამორჩენილობის ფაქტს, იმ აზრს ანვითარებს, რომ ჩვენებური პური არამცთუ ახალ მყიდველს ვერ გაიჩენს მსოფლიო ბაზარზე, არამედ საერთოდაც იქ ფეხს ვერ მოიკიდებს.

სწორედ ამიტომ ილია ჭავჭავაძე თვლიდა, რომ ადგილობრივად მოყვანილი პური ადგილობრივი მოხმარებისავე დაკმაყოფილებისათვის უნდა ყოფილიყო გამიზნული, ხოლო რაც შეეხება საექსპორტო საქონელთა წარმოებას, ამ მხრივ, მას მიაჩნდა, რომ ჩვენში უნდა განვითარებულიყო ძვირფასი, სპეც-ტექნიკური კულტურები და მხოლოდ ამგვარი პროდუქტებით უნდა გამოსულიყო ჩვენი ქვეყანა მსოფლიო ბაზარზე, რადგან ჩვენ „ადგილი და ჰავა ამის ნებას გვაძლევს"[32].

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 1880-იანი წლების ჩვენი პუბლიცისტიკა თავისი მსჯელობის საგნად ხდის პურის ფასების დაცემის საკითხს. იგივე ილია ჭავჭავაძე, ათიოდე წლის შემდეგ, წერდა: „ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ხორბლეულობის ფასმა, პურისამ, ქერისამ, სიმინდისამ ზედიზედ ისე დაიწია, რომ მოსავალი თითქმის ხარჯს არ აყენებს". პურეულზე ფასების დაცემის მიზეზს ილია ჭავჭავაძე ხედავდა ქვეყნის შიგნით უგზოობასა და ამასთანავე რუსეთიდან პურის

---

[31] შდ. T. Franklin, „A history of agriculture," London, 1948.

[32] „ივერია", 1887 წ., № 3.

შემოტანის სიადვილეში. თუ ადგილობრივ მოყვანილ პურს უგზოობამ „ბაზრის კარი სრულებით დაუხშო“, სამაგიეროდ ვლადიკავკაზიდან, „ოდესიდამ და შავი ზღვის ნავთსადგურებიდამ, საცა რუსეთის პური გამოდის, პურის მოტანა უფრო იეფად ჯდება, ვიდრე ჩვენის (თბილისის — პ. გ.) გუბერნიის ზოგიერთ ადგილებიდამ და ეს გარემოება ყოველთვის წინ დაუდგება ხორბლის ფასის აწევას ჩვენში, თუ რუსეთსაც მეტისმეტად არ გაუჭირდაო“ [33].

მაგრამ ეს უკანასკნელი მომენტი მას არ მიაჩნია ამ მხრივ მდგომარეობაში არსებითი ცვლილებების გამომწვევ მოვლენად. იმავე ნაშრომში — „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები“ (1897 წ.) — ილია ჭავჭავაძე განაგრძობს რა ხსენებულ საკითხზე მსჯელობას, წერს: „... გაჭირვება რუსეთისა იმაზე დიდი ძნელად-ღა იქნება, რაც 1891 წელს შიმშილობის დროს შეემთხვა, როცა პური ამერიკამაც-კი მოაშველა რუსეთს. მაშინაც-კი აქაური მხვნელ-მთესველი ვერაფერს ვერ გამორჩა თავის ნაშრომ-ნაღვაწსა. ვამბობთ, ვერ გამორჩაო. ვერ გამორჩა-კი არა, უფრო ცუდ დღეში ჩავარდა და შედეგი იმ დღისა დღესაც თავში სცემს. აკრძალეს მაშინ საზღვარგარეთ გატანა ხორბლეულობისა იმის შიშით, რომ ვაი თუ შინ დაგვჭირდესო და ისე კი მოხდა, რომ აღარც შინ დასჭირდათ და აღარც გარეთ გაატანინეს. დარჩა მხვნელ-მთესველი სახტად გაოცებული. — ეს რა დაგვემართა, ნურც შენ და ნურც მე. შეგუბდა... მოსავალი და მოაწყდა მარტო შინაურ ბაზრებს. სხვა რა მოყვებოდა ამისთანა ამბავს... თუ არა დაწევა ფასებისა... და ამ დღიდამ დღემდე ფასი დაეცა და ვეღარ აიწია იქამდე, რომ კაცი თავის ოფლს გამორჩეს რამეს... იმ დღიდამ მხვნელ-მთესველი შეუშინდა ხვნა-თესვას, მას აქეთ წელში ვეღარ გაიმართა და ხვნა-თესვაზედ გული წაუხდა: ნამეტანობა ხვნა-თესვისა საბაზროდ დღესაც ხელს არ აძლევს“ [34].

---

[33] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრ. კრებული, VIII, 246.
[34] იქვე, გვ. 247.

ამგვარად, რაკი „რუსეთი პურს იეფად იძლევა ჩვენში, ვიდრე ჩვენ შინ გვიჯდება“, ბუნებრივია, რომ მას „ვერ მისწვდება ჩვენებური მხვნელ-მთესველი ფასების მეტნაკლებობაში ცილობა რომ გაუწიოს“ [35].

ამიერკავკასია პურის მსოფლიო ბაზარზე მომხდარ ცვლილებებს განიცდიდა როგორც „განაპირა ქვეყანა“, რომელშიაც სახალხომეურნეობრივ მოვლენებზე დიდ გავლენას ახდენდა მეტროპოლიის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკა. მაგალითად, 1891 წელს, როდესაც იქ დიდი მოუსავლობა და შიმშილობა იყო, ხოლო აქ პურის კარგი მოსავალი, ამით აქაურმა მწარმოებლებმა კი არ ისარგებლეს, არამედ დაზარალდნენ კიდევაც ისინი, რადგან მეტროპოლიის ინტერესებისათვის ცარიზმის ხელისუფლებამ აკრძალა ამიერკავკასიიდან (კოლონიიდან) ამ პროდუქტის (სიმინდის) უცხოეთში გატანა, ხოლო თვით რუსეთიდან აქ მარცვლეულზე არავითარი მოთხოვნა არ მოდიოდა. ასეთს პირობებში ქუთაისის გუბერნიაში, რომელიც მარცვლეულის მთავარი ექსპორტერი იყო, ერთი ფუთი სიმინდის ფასი, რაც წინაათეულ წელს 40 კაპიკიდან 1 მანეთამდე მერყეობდა, ერთბაშად 19 — 20 კაპიკამდე დაეცა. თვით რუსეთშიაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ დროს, მიუხედავად იმისა, რომ რიგ გუბერნიაში შიმშილობა იყო, პურის ფასებში მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილება მოხდა და პურის რუსი ექსპორტერები (მათ ასეთ დროსაც გაჰქონდათ პური უცხოეთში!) ჩიოდნენ: „მოსალოდნელზე დაბალი ფასების გამო დავზარალდითო“ [36].

ამიერკავკასიიდან მარცვლეულის უცხოეთში გატანის აკრძალვით, ცხადია, დაუყოვნებლივ ისარგებლა ამერიკამ და დას. ევროპის ბაზრებზე ამოავსო „ის კუნჭულები“, სადაც ქუთაისის გუბერნიიდან შეტანილი სიმინდი საღდებოდა, მით უმე-

---

[35] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრ. კრებული, VIII, გვ. 253 — 254; კურსივი ჩვენია — პ. გ.

[36] П. Лященко, „Русское зерновое хозяйство...“, стр. 278—285.

ტეს რომ, როგორც ადგილობრივი მიმომხილველი წერს, თვით დას. ევროპული ფირმები,—რომელთაც აქედან სიმინდი გაქონდათ, მისი გატანის აკრძალვისა და თანაც ამ აკრძალვის ვადის განუსაზღვრელობის გამო (რაც ბიუროკრატიის ჩვეულებრივ „გულმავიწყობის“ ერთ-ერთი გამოვლინებათაგანი იყო) — იძულებულნი იყვნენ თავიანთი მოთხოვნებითა და შეკვეთებით მიემართათ ამერიკისათვის“..., რომელმაც, ისარგებლა რა ამით, „ყოველგვარი კონკურენციის გარეშე ხელთ იგდო მთელი უცხოეთის (დას. ევროპის — პ. გ.) ბაზრები“ [37].

რა თქმა უნდა, ადგილობრივი მიმომხილველნი და პუბლიცისტები, რომელთა მსჯელობას ჩვენ ზემოთ უფრო ვრცლად გავეცანით, ცდებოდნენ, გადაჭარბებით აფასებდნენ რა როგორც ჩვენი მარცვლეულის კონკურენტუნარიანობას, ასევე ამერიკის სოფლის მეურნეობის ტექნიკურ უპირატესობებს. მაგრამ როგორც გინდ არ ყოფილიყო, ისინი შედარებით, ნათლად ხედავდნენ და აღწერდნენ ჩვენი მიწათმოქმედებისა და კერძოდ მარცვლეულის მეურნეობის ჩამორჩენილობას და ზოგიერთი მათგანი, ამა თუ იმ ასპექტში, ასახელებდა კიდევაც ამის მთავარ მიზეზსაც, — სახელდობრ, ბატონყმობის მძიმე გადმონაშთებსა და ქვეყნის კოლონიურ მდგომარეობას.

ამასთანავე, ითვალისწინებდნენ რა საერთოდ საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიურ მდგომარეობას, ისინი, მართალია, ბუნდოვნად და მეცნიერული დასაბუთებულობის მხრივ ზერელედ და ზოგან კიდევ უკუღმართულადაც, მეტნაკლები გარკვეულობით აღნიშნავდნენ ცარიზმის მიერ აქ გატარებული სოფლისმეურნეობრივი პოლიტიკის წყალობით მიწათმოქმედებისა და საერთოდ სახალხო მეურნეობის სულ უფრო მეტი ზომით ე. წ. კოლონიური პროდუქტების წარმოების მხრივ სპეციალიზაციას, რაც შიგარუსეთის კაპიტალისტური მრეწველობის ინტერესებით ნაკარნახევი შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საწყისებიდან გამომდინარეობდა და რაც ამიერ-

[37] „Кукурузный кризис“ (газ. „Новое обозрение“, Тифлис, 1897 г., № 4591.

კავკასიას, როგორც „განაპირა ქვეყანას", სულ უფრო მეტი ზომით აქცევდა მეტროპოლიის ინდუსტრიულ ნაწარმოებთა გამსაღებელ ბაზრად და იმავე მრეწველობისათვის ნედლეულის ბაზად.

საერთოდ ეკონომიკურ მოვლენათა ამ მხარეს, როგორც მიწათმოქმედების, ისე კერძოდ მარცვლეულის წარმოების დარგშიაც, ჩვენ განვიხილავთ ამიერკავკასიაში ცარიზმის სოფლისმეურნეობრივი პოლიტიკის ევოლუციის საკითხისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში. მაგრამ საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ პურის, საერთოდ მარცვლეულის ფასების რყევადობა, განსაკუთრებით რეფორმის მერმინდელ პერიოდში, რა პირობებისაგანაც იგი არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული, აღრმავებდა გლეხობის სოციალურ დიფერენციაციას და სწორედ მითვე ხელს უწყობდა სოფლად კაპიტალიზმის განვითარებასა და, მაშასადამე, მიწათმოქმედების სპეციალიზაციასაც[38].

---

[38] იხ. ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 283—295.

IX

მარცვლეულის მეურნეობის დაცემა 1914 — 1920 წწ.

როგორც დავინახეთ, მარცვლეულის სფეროში სიძნელეები ამიერკავკასიაში უკვე 1910—1912 წწ. დაიწყო, მაგრამ იგი განსაკუთრებით საგრძნობი შეიქნა უკვე პირველი მსოფლიო ომის პირველსავე ხანებში. ასე რომ 1915 წელს მდგომარეობამ უკვე საშიში ხასიათი მიიღო.

1915 წ. ნოემბერს თბილისში შემდგარ „საგანგებო თათბირზე", — რომელიც „პირველი აუცილებლობის საგანთა ფასებისა და ბინის ქირის მზარდი სიძვირის თავიდან აცილების მიზნით" იყო სპეციალურად მოწყობილი, — გამოსული კავკასიის ნამესტნიკი დიდი მთავარი ნ. რომანოვი იძულებული იყო ეღიარებია სურსათ-საანოვაგის მეტისმეტი გაძვირებისა და ბინის ქირის შეუჩერებელი ზრდის შედეგად მოსახლეობის მძიმე მდგომარეობა[1].

„საგანგებო თათბირის" სასურსათო სექციაში შედიოდნენ: მ. სუმბათაშვილი, ლ. დადეშქელიანი, ა. ხატისოვი, მ. ვესელოვზოროვი, მ. ავდეევი, ჯ. არუთინოვი, ქ. ვერმიშევი, ლ. გულიევი, ი. ანდრონიკაშვილი, ი. მელია, მ. ნაკაშიძე, ვ. სტრაჟევსკი, გაჯ ალი ჯაფარ ალესქეროვი, ბადილ-ბეგ ხან-მამედოვი, ი. ჩიქოვანი, ს. ლორთქიფანიძე, გ. ტყემალაძე, კ. გაბუნია, ნ. თავდგირიძე, ვ. ეგიაზაროვი, მ. ჭავჭავაძე, პ. გოთუა,

---

[1] „Особое совещание для разработки мероприятий, направленных к устранению возрастающей дороговизны... на Кавказском крае", 1915, Тифлис, стр. 9, 58—60.

დ. ლუკაშვილი. ა. კოლიჩევი, ვ. მოლჩანოვი, ნ. გავრილოვი და სხვ.

ამ სექციის დასკვნით ამ დროს ამიერკავკასიას წლიურად უკვე სჭირდებოდა დაახლოებით 28 — 29 მილ. ფუთი შემოტანილი პური. ამასთანავე, „მარცვლეულისა და ფქვილის რეგულარული იმპორტი დარღვეულია და ამიერკავკასიის სოფელი განიცდის მწვავე სასურსათო გაჭირვებას“[2].

სასურსათო სექცია აღნიშნავდა მდგომარეობის სისტემატურ გაუარესებას, მოუსავლობის საშიშ ხასიათს, რაც გამოწვეული იყო: არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებით; — ცუდი და არასაკმაო სათესლე მასალის მიზეზით, რადგან სოფლის დამშეულ მოსახლეობას სათესლე მარცვალი შემოეჭამა, ხოლო ხელისუფლებამ ხარისხოვანი მასალა ვერ მიაწოდა; — სახნავი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილის დაუმუშავებლობით, რადგან „განაპირა ქვეყნიდან“ დიდძალი „მამრობითი მოსახლეობის მოქმედი არმიის რიგებში გაწვევამ შეამცირა ამიერკავკასიის სოფელში მუშახელი და ამავე დროს ომიანობის მოვლენებმა გამოიწვია თითქმის სრული შეწყვეტა გარედან, მეზობელი ირანიდან, მომავალ მუშათა შემოსვლისა, რაც ამიერკავკასიას ყოველწლიურად აძლევდა 150 ათასამდე მუშახელს“.

ნათესების შემცირებას ხელი შეუწყო აგრეთვე აქ ისედაც ხშირმა ეპიზოტიამ, რაც განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა სამხედრო საჭიროებისათვის პირუტყვის ერთიდან მეორე რაიონში ხშირი გადაყვანის გამო და რამაც დიდძალი შინაური პირუტყვის (გამწევი ძალისა და მეწველი ძროხების) დაცემა გამოიწვია თბილისის, ელისავეტპოლისა და ერევნის გუბერნიებში; — საერთოდ მემცენარეობასა და კერძოდ მარცვლეულ მეურნეობას დიდი ზარალი მიაყენეს გვალვისა და სხვა მიზეზით მასობრივად გავრცელებულმა მინდვრის თაგვებმა — განსაკუთრებით აღმ. და ცენტ. რაიონებს ამიერკავ-

[2] „Особое совещание для разработки мероприятий, направленных к устранению возрастающей дороговизны на Кавказском крае“, 1915, Тифлис, стр. 28.

კასიისა; — მიმოზიდვის (ტრანსპორტის) საშუალებათა შემცირებამ, გააძნელა რა ცალკე რაიონებს შორის სასურსათო პროდუქტების გადანაწილება, გამოიწვია სასურსათო სიძნელეების კიდევ უფრო გამწვავება, მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ 1880-იანი წლებიდან განზრახული სახელმწიფო ელევატორების ქსელის მშენებლობა განზრახვადვე დარჩა[3].

საბოლოოდ, ამ და რიგი სხვა თათბირისა და კომიტეტებისა თუ კომისიების მიერ დასახული ან ნაწილობრივ გატარებული ღონისძიებანი, ცხადია, მხოლოდ პალიატივურ ხასიათს ატარებდნენ. ადგილობრივად პურის წარმოების საჭირო რაოდენობამდე გადიდების ცდები განუხორციელებელი რჩებოდა, გარედანაც მისი შემოტანის ღონისძიებებს დიდი დაბრკოლება ეღობებოდა, ფასები შეუნელებლად მატულობდა[4].

თუ როგორ შემცირდა ნათესების ფართობი კერძოდ საქართველოში — წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი ცხრილი. (იხ. გვ. 422).

---

[3] „Особое совещание для разработки мероприятий...", стр. 29—30.

[4] თვით საბჭოთა რუსეთშიაც კი სპეკულანტების თარეში დიდად ამწვავებდა სასურსათო სიძნელეებს. პიტერის მუშებისადმი წერილში „შიმშილობის შესახებ" ვ. ლ ე ნ ი ნ ი აცხადებდა (1918 წ.): „შიმშილობაა არა იმიტომ, რომ რუსეთში პური არ არის. არამედ იმიტომ, რომ ბურჟუაზია და ყველა მდიდარნი უკანასკნელ, გადამწყვეტ ბრძოლას უმართავენ მშრომელთა ბატონობას, მუშათა სახელმწიფოს, საბჭოთა ხელისუფლებას ყველაზე მნიშვნელოვან და მწვავე საკითხში, პურის საკითხში... როდესაც ასი ათასობით და მილიონობით ადამიანი იტანჯება შიმშილით (პიტერში, არასამიწათმოქმედო გუბერნიებში, მოსკოვში)—...მდიდრები, კულაკები და სპეკულანტები მილიონობითა და მილიარდობით ფუთ პურს მალავენ" (ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 27, გვ. 473 — 482). ასეთს პირობებში, ცხადია, რუსეთიდან, ჩრდ. კავკასიიდან, პურის საქართველოში შემოტანა დიდად გაძნელებული იქნებოდა. ამ პერიოდში რსფსრ-ში სასურსათო საკითხს შესახებ იხ· Н. Г л а д к о в, „Очерки строительства Советского планового хозяйства в 1917—1918 гг.", 1950, стр. 257—306.

პურეულის ნათესი ფართობი (დესეტინობით)[5]

ადმინისტრაციული ერთეულები	წლები	სიმინდი	ხორბალი		ქერი	დანარჩენი	სულ
			შემოდგომის	გაზაფხულის		პურეული	
თბილისის გუბ. .	1909 — 1913	20.746	142.435	70.149	92.025	12.555	333.791
	1916	24.372	74.154	26.742	39.489	8.314	173.071
	1917	26.352	102.367	39.422	57.461	11.410	237.012
	1919	32.272	120.150	32.785	45.575	13.103	243.885
	1920	40.027	135.944	38.745	54.463	12.917	282.096
ქუთაისის გუბ.	1909 — 1913	221.335	18.900	6.060	3.983	2.339	252.617
	1916	141.215	7.494	255	816	1.036	150.816
	1917	179.273	9.748	2.532	2.084	535	194.172
	1919	214.852	11.328	2.993	2.396	2.315	233.884
	1920	268.154	110.059	3.279	2.729	2.432	287.653

[5] „სტატისტ. კრებული 1909—1912 წ.“, 1923. ტფ.

როგორც ვხედავთ ნათესების შემცირებამ საშიში ხასიათი მიიღო განსაკუთრებით 1916 წელს, როდესაც ნათესების ფართობი მაგალითად თბილისის გუბერნიაში, ომამდელი დონის ნახევარზე ნაკლებს შეადგენდა. მაგრამ, საერთოდ, მარცვლეულის დანაკლისის გამოანგარიშებისას მხედველობაშია მისაღები აგრეთვე მოსავლიანობის დაცემაც, რაც — შედეგად საირიგაციო სისტემის მოუწესრიგებლობისა, მუშახელის ნაკლებობისა, მიწის ცუდი დამუშავებისა, აგროტექნიკურ ღონისძიებათა ჩამორჩენილობისა — ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომის წლებში.

რაც შეეხება პურეულზე ფასების შეუნელებელი ტემპით მატებას, ამ მხრივ მდგომარეობის დასახასიათებლად საკმარისია გადავხედოთ ქვემომოყვანილ მონაცემებს (გვ. 424).

მართალია, რევოლუციის პირველ ხანებში მდგომარეობა იმედის მომცემი შეიქნა, მაგრამ ამიერკავკასიელი გლეხობისათვის პირველი აღფრთოვანება ნაადრევი იყო.

რევოლუციის შემდეგ „ჩვენი ქვეყნის მიწა თითქმის სულ მთლად გადააშავა, გადახნა სოფელმა... ბევრგან დაიხნა ისეთი ადგილები, რომლებიც არასდროს არ ყოფილან დამუშავებულნი". — ამ მიწებმა „უმაგალითო კარგი მოსავალი მოგვცეს"... „დიდძალი მიწების დამუშავების" ერთ-ერთი მიზეზი. ცხადია, იყო საქართველოს მოწყვეტა ისეთი რაიონებიდან, საიდანაც იაფი პური შემოდიოდა, სახელდობრ ჩრდ. კავკასიიდან, რუსეთიდან, რაც მენშევიკების ანტიხალხური პოლიტიკის შედეგი წარმოადგენდა.

როგორც მიმომხილველი აღნიშნავს „რუსეთის იაფი პურეულს უწყობდა ჩვენში... სოფლის მეურნეობის უმაღლესი კულტურის განვითარებას". ახლა კი „სურსათის საარაკო სიძვირემ და ნაკლებობამ ერთი ასად და ათასად ასწია სახნავ-სათესი მიწის ფასი, რომლებმაც მთლად დაჩრდილეს და გააქარწყლეს კულტურული მამულები"[6].

იმავე მიმომხილველის სიტყვით „სოფლად ბევრგან გაა-

---

[6] „საქართველოს ეკონომისტი", 1918 წ., № 4, გვ. 4.

პურის საბაზრო ფასები თბილისში (ძანეთობით)[7]

პურეულის დასახელება	1912 წ.	1913 წ.	1914 წ.	1915 წ.	1916 წ.	1917 წ.	1918 წ. ივლისი—აგვისტო	1919 წ. ივლისი—აგვისტო	1920 წ. ივლისი—აგვისტო
ფუთობით									
1. ხორბალი	1,22	1,35	1,46	2,30	3,45	6,39	120,00	—	900,00
2. სიმინდი .	0,93	0,85	1,03	1,16	1,90	2,96	50,00	—	535,00
3. ქერა	0,98	0,92	1,12	1,19	1,92	5,15	36,33	196,67	545,00
4. შვრია	1,08	1,07	1,11	1,16	1,41	3,51	33,66	—	—
5. ხორბლის ფქვილი									
შემოხიდული .	2,58	2,55	2,71	3,34	4,42	7,60	—	674,00	1075,00
ადგილობრივი .	1,48	1,60	1,79	2,80	3,81	6,62	122,00	518,20	—
9. ჰავის ფქვილი	1,12	1,19	1,13	1,40	2,75	—	90,00	—	—
გირვანქობით									
7. ბრინჯი .	0,09	0,11	0,30	0,13	0,25	0,44	3,77	16,53	28,41
8. ბურღული	0,05	0,05	0,60	0,10	0,14	0,27	—	—	—
9. პური ფურნის:									
I ხარ.	0,05	0,05	0,05	0,06	0,08	0,15	—	11,81	—
II „	0,04	0,04	0,04	0,5	0,7	0,10	1,12	10.50	—
III „	0,03	0,03	0,04	0,4	0,7	—	0,85	6,90	16,7

[7] „საბაზრო ფასების მოძრაობა საქართველოს სსრ ქალაქებში 1912—1923 წწ.“, 1924. თბ., გვ. 64; 1912—1917 წლებისათვის საშუალოწლიური მონაცემებია წარმოდგენილი.

პარტახეს კულტურული ადგილები: ვენახები, ბაღები და სხვა, რომლებიც გადახნეს სოფლელებმა. შიმშილობამ და მომავლის საზარელმა აჩრდილმა შვილივით ნაზარდი ნამყენები ბევრგან ძირფესვიანად ამოაყრევინეს გლეხებს", რომლებმაც აქ სიმინდი და ხორბალი დასთესეს[8].

ამასთანავე, საჭიროა აღინიშნოს, რომ მიწების ფართო დაშუშავების თავდაპირველი გაქანება სოფლად შეანელა იმ გარემოებამ, რომ სულ მალე, როგორც კი მენშევიკებმა მოიკალათეს ხელისუფლების სათავეში, „მიწა ხელში ჩაიგდო უმთავრესად სოფლის უმცირესმა, მაგრამ შეძლებულმა ნაწილმა. ყველა სოფლებიდან ისმის ხელმოკლე უმრავლესობის ჩივილი ახალი მოდის თავადებზე, როგორც ისინი ეძახიან შეძლებულებს; ახლა ესენი გაგვიხდნენ თავადები და ბატონებიო, ამბობენ გულდაწყვეტილი უხარ-კამეჩო და უმიწაწყლო სოფლის მუშები"[9].

ქალაქის მომარაგება პურით, საერთოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტებით და სოფლის მომარაგება მრეწველობის საქონლით, საზოგადოდ სოფელსა და ქალაქს შორის წინათ არსებული ეკონომიკური კავშირი დაირღვა. მენშევიკური მთავრობის ფულის (ბონის) კურსი სასტიკად დაეცა. „ბაზარი, სადაც გლეხი ყიდულობდა ყველაფერს რაც-კი სჭირდებოდა, დაცარიელდა. ქაღალდის ფული, რასაც გლეხს ბაზარზე პურისათვის აძლევენ, მისთვის უსარგებლო აღმოჩნდა. იგი არ ენდობა ამ ქაღალდებს, და რადგან ჭრელი ქაღალდების გარდა პურისათვის არაფრის მიღება არ შეუძლია, მან გადასწყვიტა შინ გააჩეროს პური, არ გაიტანოს იგი ბაზარზე"[10]. ამგვარად, კულაკობა აჩერებს პურს, უცდის ფასების შემდგომ ამაღლებას, იწყება საერთოდ სურსათით ფართო სპეკულაცია.

„სასურსათო კომიტეტებმა" საქმეს თავი ვერ გაართვეს. მათი გაუქმების შემდეგ ეს ფუნქციები დაეკისრა მენშევიკუ-

---

[8] „საქართველოს ეკონომისტი", 1918 წ., № 4, გვ. 4.

[9] იქვე; იხ. აგრეთვე, № 5, გვ. 5 — 8.

[10] „Экономист Грузии", 1918 г., № 1, стр. 23.

რი მთავრობის სასურსათო სამინისტროს[11], რომელმაც ადგილებზე გაიჩინა პურის დამზადების რწმუნებულები; ამ რწმუნებულებს ხალხმა იმთავითვე, დაცინვით, „პურის დიქტატორები“ შეარქვა. სასურსათო (მომარაგების) სამინისტროში გაბატონდნენ წვრილი და მსხვილი სპეკულანტები.

თვით მენშევიკების სახელმწიფო კონტროლიორი ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი იძულებული იყო აღენიშნა, რომ პურის მიწოდებისა და დამზადების „უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე“ სამინისტროში „შინაურულად“, საზოგადოებრიობისაგან ფარულად, „ცალკეულ სოლიდურ ვაჭრებთან და მეწარმეებთან მოლაპარაკების გარეშე“ იჩარხებაო.

მენშევიკების ბატონობის წლებში, პურის ვაჭრობის იმდროინდელ პირობებში საერთოდ გაცვლის ამ ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან სფეროში მოკალათებული იყვნენ „ცნობილი მილიონერები და გამოცდილი კომერსანტები“: ა. ხოშტარია, გ. ქავთარაძე, შტრანკი, ძეგველოვი და სხვ.. იმდროინდელი „საზოგადოებრივი აზრი თვითეული მათგანის ქონებას განსაზღვრავდა მრავალ მილიონობით, ხოლო ზოგიერთისა კიდევ ათეულ მილიონობით“[12].

ორი მათგანი, სახელდობრ, ქავთარაძე და შტრანკი პურეულით ვაჭრობაში ცნობილი იყვნენ ჯერ კიდევ 1900-იანი წლებიდან. ქავთარაძე იყო კავკასიაში რწმუნებული „დრეიფუსის“ ფირმისა, რომელიც, როგორც რუსული პურის უმსხვილესი ექსპორტერი, ცნობილი იყო მთელს ევროპასა და რუსეთში. მერმე გ. ქავთარაძე დამოუკიდებლად ეწეოდა პურის დიდ ოპერაციებს. შტრანკი იყო რწმუნებული პურით ვაჭრობის მხრივ მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ინგლისური ფირმისა — „შიპტონ ანდერსონ“. მერმე შტრანკიც ეწეოდა პურის ვაჭრობის დამოუკიდებელ ოპერაციებს უკრაინისა და, საერთოდ, შავი ზღვის სანაპიროებზე, ე. ი. იქ, საიდანაც პურის მიღებას ცდილობდა საქართველოს მენშევიკური მთავრობა.

თუ სპეკულანტები დღითიდღე მდიდრდებოდნენ, მოსან-

[11] „Экономист Грузии“, 1918 г., № 2, стр. 17.
[11] „Экономист Грузии“, 1918 г., № 2, стр. 23.

ლეობის ძირითადი მასები სულ უფრო უნუგეშო მდგომარეობაში ვარდებოდა.

სასურსათო პირობები კიდევ უფრო აუტანელი შეიქნა 1919 და განსაკუთრებით 1920 წელს, როდესაც შიმშილობამ მასობრივი ხასიათი მიიღო.

1920 წ. 17 თებერვლის თარიღით თეკლათის თემის თავმჯდომარე საჯაია მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიასადმი დეპეშაში აცხადებდა: „თეკლათი დამშეულია. სამოცდაათი პროცენტი მოითხოვს დახმარებას. იყო შიმშილით სიკვდილის შემთხვევა.. მომარაგების სამინისტროსაგან დაპირებული სიმინდი არ მიგვიღია... მოსალოდნელია შიმშილობის ნიადაგზე გამოსვლები"[13]; იმავე წელს, იმავე რიცხვით შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი შორაპნის ერობის გამგეობის დეპეშაში ნათქვამია: „როგორც ადრე გატყობინებდით 1 თებერვლიდან მთელ მაზრაში შიმშილობა დაიწყო. ყოველდღე მრავალი ხალხი გვაწყდება ერობაში, რომელთა თხოვნა ჩვენ არ შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ"[14].

1920 წ. 20 მარტის თარიღით მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარის სახელზე ახალციხის ერობის მიერ გამოგზავნილ დეპეშაში ვკითხულობთ: „მთავრობის შეპირებულ სიმინდიდან მივიღეთ მხოლოდ ხუთასი ფუთი. დამშეული ხალხი მოდის ერობაში, დილიდან საღამომდე ტირიან. მდგომარეობა აუტანელია. შესაძლებელია შიმშილის ნიადაგზე არეულობა. ამას დაერთო ტალღა ლტოლვილებისა ჩილდირიდან... ქუჩაში ყრია უპმელი და ზოგი შიმშილით კვდება..."[15].

ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების პრეზიდიუმი 1920 წ. 4 მარტის თარიღით ნ. ჟორდანიას სახელზე გაგზავნილ დეპეშაში მოითხოვდა ხელფასის ახალ მომატებას: „წინააღმდეგ შემთხვევაში დამშეული და დაწეწილი მუშა-მოსამსახურენი ვერ გავამართლებთ თქვენს იმედებს. მშიერი ხალხი ვერ აამუშავებს სახელმწიფო

[13] საქ. სსრ ცენტრარქივი, ფ. 24, საქმე 232, ფურც. 34.
[14] იქვე, ფურც. 39.
[15] იქვე, ფურც. 143.

ორგანიზაციის აპარატს ისე, როგორც ამას მოითხოვს ფოსტა-ტელეგრაფიო"[16].

იმავე თარიღით და იმავე მისამართით სენაკის მაზრის ეროვნებისა და სენაკის ქალაქისათვის გაგზავნილ დეპეშაში ვკითხულობთ: „წარსულ სამუშაო სეზონში მოუსავლობა თუ იყო სადმე, ეს განსაკუთრებით სენაკის მაზრაში... ამ მიზეზით მთელ მაზრაში შიმშილობა შემოდგომიდანვე დაიწყო. ყოველდღე აუარებელი ხალხი გვადგება, მოითხოვენ შველას... სენაკისავე რაიონში იყო რამდენიმე ათეული შემთხვევა ოჯახის შიმშილით ამოხოცვისა. ამის უტყუარი საბუთები ხელთა გვაქვს... ასეთ მდგომარეობაში ჩვენი მაზრიდან ღალისაგან შემოსული სიმინდის გატანა... მთავრობის მხრივ მიგვაჩნია გაუგებრობის შედეგად... დამშეული ხალხი რასაც ჩაიდენს ამაზე პასუხისმგებელი ჩვენ არ ვიქნებითო"[17].

ანალოგიური დეპეშები იგზავნებოდა საქართველოს სხვა მაზრებიდანაც. მაგალითად, რაჭის მაზრიდან (1920 წ. მარტი): „რაჭაში სასტიკი შიმშილობა მძვინვარებს. ხალხი უკიდურესობას განიცდის. თუ სასწრაფო ზომები არ იქნა მიღებული მოსალოდნელია ექსცესები..."[18].

ასეთი იყო თვით მენშევიკური მთავრობის საარქივო დოკუმენტების მიხედვით მდგომარეობა, რასაც, ცხადია, არ შეეძლო შესაბამისი გამოხატულება არ ეპოვა იმდროინდელ პრესაშიაც.

გაზ. „ახალი კომუნისტის" კორესპონდენტი იტყობინებოდა: „მთელ სენაკის მაზრაში შიმშილობა მძვინვარებს — ახალსენაკში, ძველ სენაკში, თეკლათში, ჭალადიდში, აბაშაში, ქვალონში, ბანძაში, ნაოღალევში, ნოქალაქევში, გეჯეთში, ეკში, უშაფათში და ყველა დანარჩენ სოფლებში მცხოვრებნი უმეტეს ნაწილად ხილით იკვებებიან, მოხარშული ვაშლი და

---

[16] საქ. სსრ ცენტრარქივი, ფ. 24, საქმე 232, ფურც. 66.

[17] იქვე, ფურც. 81.

[18] იქვე, ფურც. 72, იქვე ფურც. 20. იხ. აგრ. იგივე ფონდი, საქმ. 312, ფურც. 5.

სხვა ასეთები... საცოდავ სანახაობას წარმოადგენენ ქალები, რომლებიც შვილებიანად დაეხეტებიან მშიერში და შველას თხოულობენ. ...ხსნა არსად არ არის: გლეხები ამას გრძნობენ და თავის ოჯახის ბურჯს ხარებს, ძროხებს, კამეჩებს და სხვა შინაურ ცხოველებს ჰყიდიან, რომ ეგებ იხსნან ოჯახი დალუპვისაგან... ჰყიდიან ავეჯეულობას და ყველაფერს, რაც კი ოჯახში მოეპოვებათ!... ფუთი სიმინდი ღირს 2000 — 2200 მან. ვაჭრები სარგებლობენ გლეხების მდგომარეობით. იაფად იძენენ შინაურ პირუტყვს, რომელსაც მიერეკებიან ბათომისაკენ. აი ნაყოფი თავისუფალი ვაჭრობისა...“ [19].

შორაპნელი კორესპონდენტი წერდა: „აქ შიმშილობა ძალიანია. პატარა უმცირესობას თუ აქვს რამე, თვარა დიდ უმრავლესობას საშუალება არ აქვს რომ რამე იშოვოს“[20]. ხიდისთავიდან მიღებულ წერილში ნათქვამია: „თემი დიდ შიმშილობას განიცდის მაგრამ არავითარი ზომები არ იყო მიღებული“ ხელისუფლების მხრივ[21]. გურიიდანვე ლადო შემოქმედელი იწერებოდა: „შარშანდელი მოუსავლობის გამო წელს გურია შიმშილს განიცდის. უმრავლესობას სარჩო არა აქვს და გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება. გლეხი ტომრით ხელში სოფლიდან სოფელში დაწანწალობს, რომ როგორმე ერთ ბათმან სიმინდს მოუყაროს თავი, მაგრამ სიმინდის შოვნაც უძნელდება, რადგან სიმინდი გურიაში არ შემოდის. აქედან აშკარაა, თუ როგორ გაჭირვებას განიცდის ამხანად გურული ღარიბი გლეხობა. და ამას დაუმატეთ კიდევ სახელმწიფო გადასახადები... რასაც საშინელი რეპრესიებით და ძალდატანებით კრეფენ. კიდევ მეტი: ოჯახებიდან ფულს მაგიერ გამოაქვთ ტანსაცმელები, სამუშაო იარაღები, ჭურჭლები და სხვადასხვა ნივთები“[22].

---

[19] გაზ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ., № 27; იხ აგრ. №№ 33, 38, 39, 54, 56.

[20] იქვე, №29.

[21]. იქვე, № 30.

[22] „საქართველოს კომუნისტი“, 1920, № 3; იხ. აგრ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ., № 23.

ანალოგიური იყო მდგომარეობა აღმ. საქართველოშიაც: „წრეულს კახეთში სეტყვამ გაანადგურა ბუარებელი ვენახები და ყანები. ხალხი დიდ საგონებელშია ჩავარდნილი. ზოგს პური სამი-ოთხი თვის სამყოფის მეტი არ მოუვა... კახელი გლეხის მდგომარეობა მძიმეა... და მის ტანჯვას ბოლო არ უჩანს..."[23].

სურსათ-სანოვაგის დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ მუსავათისტური აზერბაიჯანი და დაშნაკური სომხეთი[24]. და მაშინ, როდესაც აზერბაიჯანის მუშები და გლეხობა დამშეული იყო, 1918 წლის ზაფხულში, გერმანელ ოკუპანტებს აქედან მნიშვნელოვანი რაოდენობით გაქონდათ ხორბალი და ბრინჯი გერმანიაში[25].

იმ დროს როდესაც მენშევიკური მთავრობა თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, სახელდობრ 1921 წ. 18 იანვრის ნომერში, გაზ. „შრომა" აღნიშნავდა რა, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ რევოლუციისა და სოციალიზმის წინაშე ჩაიდინა უდიდესი ღალატი, წერდა: „მრისხანე ხმა —«ჩვენ გვშია, გვშია» სულ უფრო ძლიერად ყველგან გაისმის. შიმშილს ემატება სიცივე. სიცივე იქ სადაც ყველაფერი დაფარულია ტყით, შიმშილი იმ ქვეყანაში სადაც მოსახლეობის 98% მისდევს სოფლის მეურნეობას!"[26].

სამოიდე თვით ადრე, 1920 წ. ოქტომბერს თბილისში გამართულ ეკონომიკურ თათბირზე თვით მენშევიკური მთავრობის მინისტრი ნ. ხომერიკი იძულებული იყო ეღიარებია: „სასურსათო საკითხი რევოლუციის პირველი დღიდანვე ჩვენი მტკივანი ადგილი იყო. მოგეხსენებათ საქართველოს 7 მილიონი ფუთი ფქვილი და ხორბალი შემოქონდა ჩრდილო კავკასიიდან. ომის დროს ამ კუთხესთან ჩვენში აღებ-მიცემობა შეწყვეტდა, ხოლო რევოლუციის შემდეგ ის თითქმის სავსე-

---

23 „საქართველოს კომუნისტი", 1920 , № 10.

24 ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 449.

25 „Труды Азербайджанского филиала ИМЭЛ при ЦК ВКП (б)", 1947, Баку, т. VI, стр. 187.

26 გაზ. „შრომა", 1921 წ., 18 იანვარი.

ბით შესწყდა. პური ვერსაიდან მივიღეთ. ეს იყო, ასე ვსთქვათ, სათავე ჩვენი სასურსათო გაჭირვებისა. მაგრამ, ადვილი მოსატანიც რომ იყოს პური სადმედან, ჩვენ დღეს მისი შეძენის საშუალება მაინც არ გვაქვს. რაც უნდა ვეცადოთ, ჩვენ ვერ ვიშოვით იმ ათეულს მილიარდების ვალიუტას, რომელიც საჭიროა ამდენი პურის შესაძენად. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა ისეთია, რომ ნებას არ გვაძლევს სხვა ქვეყნების პურით ვირჩინოთ თავი. ეს შეუძლია სამრეწველო ქვეყანას, რომელსაც უცხოეთში გააქვს დაშზადებული საქონელი და კაპიტალი, მაგრამ არ შეუძლია საქართველოს, რომელიც თვითონვე საჭიროებს მრეწველობის პროდუქტებსაც და კაპიტალსაც. ამიტომ ჩვენში სასოფლო სამეურნეო და სასურსათო პოლიტიკა სავსებით მიმართული უნდა იყოს საკუთარი საყოფი პურის დამუშავებისაკენ“ [27].

ამავე თათბირზე გამოსულმა ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა მ განაცხადა „...დღეს ჩვენ წინ დგება შემდეგი დილემა: ან უნდა გადავიჩეხოთ უფსკრულში, ე. ი. ჩვენ უნდა გავადიდოთ ხელფასი, მოვსპრათ ახალი ბონები, — ამით საქონელი ბაზარზე კიდევ უფრო გაძვირდება, ცხოვრება აირევ-დაირევა და შესაძლებელია ყველაფერი ეს დამთავრდეს სრული სახელმწიფოებრივი კრახით. ანდა უნდა შევძლოთ ძველი მდგომარეობის აღდგენა, უკან დაბრუნება და ამით დაძლეული იქნება კატასტროფაო“[28].

ამგვარად, თავიანთი პოლიტიკისა და საერთოდ მთელი არსებობის სრულ კრახს მენშევიკური მთავრობის მესვეურები თვითონვე აღიარებდნენ. ნ. ხომერიკი აღიარებდა, რომ რუსეთიდან მოწყვეტამ საქართველო გამოუვალ ჩიხში მოაქციაო; ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა აღიარებდა, რომ წინ სავალი გზა გადაჭრილია და უნდა შევძლოთ უკან დაბრუნება, რადგან მხოლოდ „ამით დაძლეული იქნება კატასტროფაო“.

ამ ეკონომიკურ თათბირს ესწრებოდა „საერთაშორისო

---

[27] გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 237.
[28] გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 235.

მენშევიზმის ბურჯი“ კ. კაუცკი; იგი სახელმწიფოს უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსვლისათვის მენშევიკურ მთავრობას ურჩევდა კიდევ უფრო გაედიდებიათ.. გადასახადების გაწერა მოსახლეობაზე, გლეხობაზე!

ამ დღეებიდან ერთი თვეც არ იყო გასული, რომ ამხანაგმა ი. სტალინმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ქართველი ხალხის ინტერესების გამყიდველ მენშევიკურ მთავრობას: „საქართველოს კატასტროფული სამეურნეო და სასურსათო მდგომარეობა ფაქტია, რასაც ახლანდელ საქართველოს მესვეურებიც კი აღნიშნავენ. ანტანტის ბადეში გახვეული საქართველო, რომელმაც ამის გამო დაკარგა როგორც ბაქოს ნავთი, ისე ყუბანის პური, საქართველო, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად გადაიქცა და ამიტომ საბჭოთა რუსეთთან მტრული ურთიერთობა დაამყარა, — ეს საქართველო ამჟამად თავისის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლისო“[29].

რასაც ამხანაგი ი. სტალინი ამბობს მენშევიკურ საქართველოზე თავისუფლად შეიძლება გავიმეოროთ მუსავათისტური აზერბაიჯანისა და დაშნაკური სომხეთის შესახებ.

დაშნაკურ სომხეთში ნათესების ფართობი 1919 წელს შეადგენდა მხოლოდ 20,3 პროცენტს 1913 წლის დონესთან შედარებით; მთელი მემცენარეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება 1913 წელთან შედარებით 1919 წელს უდრიდა, დაახლოებით, 27 პროცენტს, ხოლო კერძოდ მარცვლეულისა — 20%-ს[30]. ქ. ერევანში 1919 წელს შიმშილობისა და ეპიდემიისაგან დაიღუპა 14.000-ზე მეტი კაცი, ხოლო სურმალოს მაზრაში — 15.000-მდე კაცი[31].

ამგვარად, ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო მოშლილი სოფლის მეურნეობა, კერ-

---

[29] ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 446 — 447.

[30] „Социалистическое строительство Армянской ССР (1920—1940 гг.)“. Стат. сб., 1940 г., Ереван, стр. 47.

[31] БСЭ, III, 66.

ძოდ, მოშლილი მარცვლეულის მეურნეობა. 1920 წლის ბოლოსათვის საქართველოში სურსათ-სანოვაგის კრიზისმა უკიდურეს საზღვარს მიაღწია. თითქმის ყოველგვარი მარაგი გამოილია; სოფელი გაპარტახებული და დაჩიავებული იყო.

ანალოგიური იყო მდგომარეობა საერთოდ ამიერკავკასიაში. მიწათმოქმედების ისედაც ჩამორჩენილი ინვენტარი გაიცვითა და დაიმტვრა, ხოლო მათი აღწარმოება სულ უფრო საცოდავი ზომით ხდებოდა; მემამულეებს მიჰქონდათ გლეხის ოჯახისათვის საჭირო აუცილებელი პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილიც. ამასთანავე მტაცებლური ექსპლოატაციის წყალობით ნიადაგის ნაყოფიერება სულ ეცემოდა, მარცვლეულის მოსავლიანობის დონე კლებულობდა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა ამიერკავკასიელ გლეხობას შესაძლებლობა თავი დაეღწია მემამულეთა და კულაკობის კაბალისაგან, კოლონიური ექსპლოატაციისა და ეროვნული ჩაგვრისაგან, — მიეღო მიწა და, ბოლოს, კოლმეურნეობებში გაერთიანების მეოხებით, დასდგომოდა უკეთესი, შეძლებული ცხოვრების, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზას.

ნაწილი მესამე

მეცხოვნეობა

მეცხოველეობის განვითარება

I

შესავალი

„ჯ ო გ ი. ჯოგიცა ესრეთ განიყოფებიან: ცხენის ჯოგსა ეწოდების რ ე მ ა; ჯოგსა ზრახათასა — მ რ ო წ ლ ე, რომელსა მსოფლიონნი ნ ა ხ ი რ ს უხმობენ; ჯოგსა ცხოვართასა — ს ა მ წ ყ ს ო; ჯოგსა ცხოვართასა და თხათასა — ა რ ვ ე; ჯოგსა ღორთასა — კ ო ლ ტ ი; ჯოგსა ნადირთასა — ფ ა რ ა; ჯოგსა მხეცთასა — ხ რ ო; ჯოგსა ფრინველთასა — გ უ ნ დ ი; გ უ ნ დ ი ვ ე ითქმის კაცთა ზედა და ანგელოზთა ზედაცა“.

ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

მეცხოველეობა საერთოდ სოფლისმეურნეობრივი წარმოების უმნიშვნელოვანესი დარგია; იგი განუყრელადაა დაკავშირებული სოფლის მეურნეობის უმთავრეს დარგთან, მემცენარეობასთან. საზოგადოთ ესენი უერთმანეთოდ, გარკვეული შეთანაწყობის გარეშე, წარმოუდგენელია. თვით მემცენარეობის რამდენადმე რაციონალური ორგანიზაცია მასში ამა თუ იმ ზომით მეცხოველეობის მონაწილეობის გარეშე მიუღწეველია, როგორიც გინდ წარმოებრივი მიმართულებისა არ იყოს სოფლისმეურნეობრივი საწარმო.

მეცხოველეობაში შედის: 1. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოშენება (მეძროხეობა და მეკამბეჩეობა)[1]; 2. მეცხენეობა, მევირეობა, მეჯორეობა, მეაქლემეობა; 3. წვრილფეხა რქიანი პირუტყვის მოშენება — მეცხვარეობა, მეთხეობა;

[1] მესაქონლეობის, როგორც მეცნიერული ტერმინის ცნება ლიტერატურულ ქართულში არაზუსტი აღმოჩნდა. უახლეს სპეციალურ ლიტერატურაშიც მესაქონლეობაში გულისხმობენ ხან საერთოდ მ ე ც ხ ო ვ ე ლ ე ო ბ ა ს (животноводство), თუმცა მეცხოველეობაში ისეთი დარგებიც შედის როგორიცაა მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა და ამათ კი ს ა ქ ო ნ ლ ა დ არ მიიჩნევენ; — ხან მხოლოდ მსხვილრქიან პირუტყვს და ხანაც ყოველგვარ შინაურ ოთხფეხს, რაშიაც ძაღლიცა და კატაც შედის. მაგალითად, ლ. ლ ე ო ნ ი ძ ი ს „მესაქონლეობის ლექსიკონში“ (1925) ვკითხულობთ: „ს ა ქ ო ნ ე ლ ი — ოთხფეხი შინაური პირუტყვების ზოგადი სახელიაო“ (გვ. 62).

1923 წ. გამოცემულს „სტატისტიკურ კრებულში (1909 — 1921)“ საქონელი და, მაშასადამე, მესაქონლეობა скотоводство-ს ეკვივალენტადაა მიღებული (გვ. 30). რუსულიდან თარგმნილ ისტორიულ ლიტერატურაში და სახელმძღვანელოებშიც скотоводческие племена-ს შეესატყვისება „მეჯოგე ტომები“, ზოგან კიდევ „მესაქონლეობის მიმდევარი ტომები“ და ა. შ.

როგორც კურიოზი შეიძლება აღინიშნოს, რომ დღემდე არსებულ ერთადერთ ქართულ „მესაქონლეობის (ე. ი. მეცხოველეობის — პ. გ.) ლექსიკონში“ გამორჩენილია სიტყვა... მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა.

ძველ ქართულში სიტყვა „მესაქონლეობა“ საერთოდ არ გვხვდება და თვით „საქონელიც“ სხვა აზრს ატარებდა, ვინემ დღეს. ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს განმარტებით საქონელი — უსულო ხვასტაგია. ხოლო ხვასტაგი — საქონელი და საყოლელი.

გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ ი ს მიერ თარგმნილ ძველი ლიტერატურის ერთ ძეგლში (ბ ა ს ი ლ დ ი დ ი — „ექუსთა დღეთაჲ“, მ. ,ა ხ ა ძ ი ს პუბლიკაცია, 1947. თბ.) ვკითხულობთ: „...რომელმან იგი ზროხათა და ცხენთა საზრდელი დაუნჯა, შენ განგიმზადებს შუებასა და სიმდიდრესა, რამეთუ რომლითა იგი ზრდის ხუასტაგსა შენსა, შენისა ცხორებისა სახმართა აღაორძინებს“ (გვ. 50, იხ. აგრ. გვ. 106).

როგორც ვხედავთ აქ ზროხა (ძროხა) ნახმარია საერთოდ მსხვილრქიანი პირუტყვის აზრით და ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს განმარტებითაც „ზროხა ზოგადი სახელი არს ყოველთა ზროხათა, ხოლო მამალსა ზროხასა ეწოდების ხ ა რ ი და დედალსა ფ უ რ ი, ხოლო შვილთა მათთა ხ ბ ო...“

„საქონელი“ („მესაქონლეობა“), როგორც შინაური პირუტყვის, უპი-

4. მეღორეობა; 5. მეფრინველეობა; 6. მეფუტკრეობა; 7. მეაბრეშუმეობა; 8. მეძაღლეობა: 9. ნადირთმოშენება; 10. მეთევზეობა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეცხოველეობა საერთოდ თავისი მეურნეობრივი მნიშვნელობით შეიძლება დაიყოს ათ ზემოხსენებულ ძირითად ჯგუფად. ამავე ჯგუფებში შეიძლება მოვაქციოთ დანარჩენი სახის შინაური პირუტყვის მოშენებაც, რომელთაც ჩვენ აქ არ ვასახელებთ მხოლოდ იმის გამო, რომ ამიერკავკასიაში მათი მოვლა-პატრონობა ან სრულებით უცნობია, ანდა უმნიშვნელო ზომით იყო გავრცელებული. ამათგან, მაგალითად, მეირმეობა მოექცევა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, მეკურდღლეობა — მეღორეობის ჯგუფში და ა. შ.

მეცხოველეობის დასახელებულ ძირითად ჯგუფებში შემავალი დარგები უწინარეს ყოვლისა ნაწილდება: 1. მუშა-პირუტყვის, 2. საკვები (სასურსათო) პროდუქტებისა და 3. სამრეწველო ნედლეულის წარმოებრივ მიმართულებათა მიხედვით.

1. მ უ შ ა-პ ი რ უ ტ ყ ვ ი ს (ცოცხალი გამწევი ძალის) სახით ჩვენ წარმოგვიდგება ყველა ის შინაური ცხოველი, რომელიც გამოიყენება, როგორც გადასაზიდ (საერთოდ სატრანსპორტო) საშუალებებზე (ურმებზე, ეტლებზე, მარხილებზე და სხვ.) შესაბმელად, სახვნელი იარაღების (კავის, გუთნის) გასაწევად, საერთოდ ტვირთის (საპალნის) გადასაზიდად ან გადასათრევად, და, აგრეთვე, მიმოსვლისათვის შესაჯდომად.

ამ მხრივ ამიერკავკასიაში უძველესი დროიდანვე გამოიყენებოდა ხარი, კამეჩი, ცხენი, ვირი, ჯორი, აქლემი. სოფლისმეურნეობრივი წარმოების, კერძოდ მიწათმოქმედების თვალ-

---

რატესად მსხვილრქიანის, (აგრეთვე როგორც მეცხოველეობის) აღმნიშვნელი სიტყვა (ტერმინი) ლიტერატურულ ქართულში მხოლოდ მე-19 საუკუნიდან ვრცელდება; მაგრამ ამასთანავე, თითქმის ამავე დროიდან, ფართოდ დამკვიდრდა და გაბატონდა ქართულში ტერმინი „საქონელი", როგორც товар (ware)-ის ეკვივალენტი, რასაც ძვ. ქართულში „სავაჭრო" შეესატყვისებოდა.

საზრისით მუშა-პირუტყვთა შორის განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდა ხარი.

2. საკვები (სასურსათო) პროდუქტების მწარმოებელი მეცხოველეობა, თავის მხრივ, შეიძლება ოთხ ჯგუფად დავყოთ: ა. რძის, ბ. ხორცის (და ქონის) გ. კვერცხის და დ. თაფლის მომცემ ჯგუფებად.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება: მეძროხეობა, მეცხვარეობა, მეთხეობა, მეკამბეჩეობა, საერთოდ მერძეული მეცხოველეობა. მეორე ჯგუფში შედის მსხვილი და წვრილ რქიანი პირუტყვი, აგრეთვე მეცხოველეობის ისეთი დარგები, რომლებიც რძეს, როგორც ადამიანის საკვებ პროდუქტს, საერთოდ არ იძლევიან, კერძოდ მეღორეობა, მეკურდღლეობა, აქვე შედის მეფრინველეობა და საერთოდ მეცხოველეობის ყველა დარგი, რომელიც იძლევა ადამიანისათვის საკვებ ხორცს და ქონს. მესამე ჯგუფში შედის მეფრინველეობა, რომელშიაც ამ მხრივ წამყვან როლს მექათმეობა ასრულებს. მეოთხე ჯგუფშია მეფუტკრეობა.

3. სამრეწველო ნედლეულის მწარმოებელ მეცხოველეობაში შედის: ა. მერძეული და მეხორცეული პირუტყვი, რამდენადაც როგორც რძე, ისე ხორცი ადამიანის საკვებად მოიხმარება არა მხოლოდ უშუალოდ, როგორც სოფლისმეურნეობრივი წარმოების, კერძოდ მეცხოველეობის პროდუქტი, რომელიც მხოლოდ სამზარეულო წარმოებაში გაივლის (მოიხარშება, შეიწვება). არამედ როგორც კვების (ხორცის, კონსერვის, ყველ-კარაქის და სხვ.) მრეწველობის ნაწარმი. ბ. მატყლის, ტყავის, ჯაგრის, ღინღლის, ბუმბულის და საერთოდ მსუბუქი მრეწველობისათვის ნედლეულის მომცემი მეცხოველეობა, რომელთა შორის. საფეიქრო მრეწველობის თვალსაზრისით, წამყვანი ადგილი უჭირავს მეცხვარეობას და მეაბრეშუმეობას, ტყავის მრეწველობის თვალსაზრისით — საერთოდ მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვს.

მეცხოველეობა იძლევა აგრეთვე ნიადაგის ძირითად ორ-

განიულ სასუქს — ნაკელს; — მასალას ფარმაცევტიული და ქიმიური მრეწველობისათვის და სხვ.

რა თქმა უნდა, მეცხოველეობის, როგორც მეურნეობრივი თაოსნობის და სახალხო მეურნეობის დარგის, ჩვენს მიერ მოცემული კლასიფიკაცია და განმარტება, როგორც ყოველი სხვა ანალოგიური ცდა, ისტორიულობის ორბიტშია და, ამდენადვე დროისა თუ ადგილის შესაბამისად, მისი ცალკეული მომენტების რიგი და როლი იცვლება. მაგალითად, თუ აღებული პერიოდისათვის მეცხოველეობაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა კერძოდ მუშაპირუტყვის წარმოება, დროთა მსვლელობაში, ტექნიკური პროგრესის, სოფლის მეურნეობის, კერძოდ მიწათმოქმედების სამუშაოთა მექანიზაციის, აგრეთვე ტრანსპორტის თანამედროვე საშუალებათა განვითარების პირობებში მისი როლი შეუჩერებლივ ეცემა.

მიუხედავად ესოდენ დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობისა მეცხოველეობა საბჭოთამდელ ამერკავკასიაში და საერთოდაც რუსეთის იმპერიაში სოფლისმეურნეობრივი წარმოების ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი დარგთაგანი იყო. მეცხოველეობის რაოდენობრივი ზრდის ტემპი ჩამორჩებოდა თვით მოსახლეობის გამრავლების ტემპს და რეფორმის მერმინდელ რუსეთში მოსახლეობის 1 სულზე სულ უფრო ნაკლები პირუტყვი მოდიოდა. მეცხოველეობის პროდუქტიულობა დაბალი იყო.

რუსეთში მოსახლეობის ძირითადი მასების, გლეხობის შეუჩერებელი გაღატაკების პროცესი უძროხო, უცხენო, უხარო კომლთა ხვედრიწონის თანდათანობით ზრდით აისახებოდა ხოლმე. პირუტყვის მნიშვნელოვანი და საუკეთესო ნაწილი მემამულეებისა და კულაკობის ხელში იყო.

კაპიტალიზმის განვითარების შესაბამისად მიმდინარეობდა ერთგვარი სპეციალიზაცია მეცხოველეობაში, ვითარდებოდა მერძეული და მეხორცული წარმოებრივი მიმართულების მეცხოველეობა, მეცხოველეობის პროდუქტთა ტექნიკური გადამუშავება, საკვები ბაზის გაუმჯობესების ცდები და სხვ. მაგრამ მეცხოველეობის რაოდენობრივი ზრდისა და თვისობ-

რივი გაუმჯობესების მხრივ ამას რამდენადმე შესამჩნევი მასობრივი შედეგი არ მოყოლია. პირიქით, გარდა უმნიშვნელო გამონაკლისისა, მეცხოველეობა ჯიშობრივად სულ ეცემოდა, რამდენადაც გაღატაკებულ წვრილმწარმოებელთა ძირითად მასებს არ შესწევდათ შესაძლებლობა პირუტყვის რაციონალური მოვლა-პატრონობისა. წლის მნიშვნელოვან მანძილზე პირუტყვი შიმშილობდა; ცხადია, შიმშილობდა მისი პატრონიც. ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხურ მეურნეობათა მეცხოველეობის საქონლიანობა ძლიერ დაბალი იყო [2].

ეხებოდა რა მე-19 ს. დამლევის რუსეთის აგრარულ ვითარებას, კერძოდ მეცხოველეობის შესახებ ვ. ლ ე ნ ი ნ ი წერდა: „თავისთავად გასაგებია, რომ ნახევრად გაჩანაგებულს, ღატაკი მეურნეობის პატრონს, ყოველმხრივ დამონებულ გლეხს არ ძალუძს შეიძინოს და შეინახოს რამდენადმე კარგი ხარისხის პირუტყვი. შიმშილობს პატრონი (ვაგლახი პატრონი), შიმშილობს პირუტყვიც, სხვანაირად არც შეიძლება იყოს“ [3].

მაინც ზოგიერთ რაიონში რუსეთისა, სადაც კარგი ბუნებრივი საბალახოები და საერთოდ საკმარისი საკვები ბაზა იყო მეცხოველეობის განვითარებამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და პირუტყვთა საუკეთესო ჯიშებიც შეიქმნა. ასეთი იყო, მაგალითად, წითელი სტეპის, ასტრახანის, ხოლმოგორის, იაროსლავისა და სხვ. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯიშები, აგრეთვე ნაზბეწვიანი ცხვრები და გამწევი ცხენის ზოგი საუკეთესო ჯიში.

* * *

მეცხოველეობა ამიერკავკასიაში უძველესი დროიდანვე სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენდა. აქ მეცხოველეობის განვითარების შესახებ მოწმობენ არქეოლოგიური და სხვ. ძეგლები. მაგალითად, ძვ. წელთაღრიცხ. 8 — 7 სს. ქალაქის კარმირ-ბლურის (თეიშებაინის) გათხრები

[2] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, თავები II — IV.
[3] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 15, გვ. 120.

ადასტურებენ, რომ ურარტუს ქვეყანაში, სახელდობრ თვით ნაქალაქარის რაიონში, ე. ი. თანამედროვე მდ. ზანგის მიდამოებში იმ დროს მისდევდნენ მეძროხეობას, მეკამბეჩეობას, მეცხენეობას, მეღორეობას და სხვ.

იმ პერიოდში საერთოდ ამიერკავკასიაში მეცხოველეობის განვითარების თაობაზე მეტყველებენ ურარტუს მეფეების არგიშტისა და სარდურის (8 ს.) მატიანეები, რომლებიც მოგვითხრობენ ამ მეფეთაგან ამიერკავკასიაზე ლაშქრობებისას აქედან დიდძალი, — ათეულ ათასობით მსხვილრქიანი და წვრილი პირუტყვის ვანის სამეფოს ცენტრალურ რაიონებში გარეკვის შესახებ [4].

ძველ საქართველოში (კოლხეთსა და იბერიაში), სომხეთში, ალბანეთში (აზერბაიჯანში) და მერმე შუასაუკუნეების ამიერკავკასიელ ხალხთა მეურნეობრივ ცხოვრებაში მეცხოველეობას ყოველთვის ფრიად საპატიო ადგილი ეჭირა. აქ ჩვენი კვლევის პერიოდშიაც, სოფლის მეურნეობაში მეცხოველეობის ხვედრიწონა ფრიად მნიშვნელოვანი იყო.

ამიერკავკასიური მეცხოველეობის პირველი მკვლევართაგანი ი. ზ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი (1886 წ.) აღნიშნავდა, რომ მეცხოველეობას აქაური მოსახლეობის კეთილდღეობის წყაროთა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს და, ამ მხრივ, თავისი მნიშვნელობით იგი ჩამორჩება მხოლოდ მიწათმოქმედებას (მემცენარეობას), რაც მოსახლეობის უმრავლესობისათვის საქმიანობისა და კეთილდღეობის მთავარი წყაროა [5].

მეცხოველეობა გარდა იმისა, რომ საერთოდ ფრიად გავრცელებული იყო წარმოადგენდა მოსახლეობის დიდი ნაწილის მთავარ, ხოლო ზოგან კიდევ ერთადერთ მეურნეობრივ საქმიანობას და, მაშასადამე, არსებობის საშუალებასაც. თვით რეფორმების პერიოდში გარდა იმისა, რომ მთელი ამიერკავ-

---

[4] Б. П о т р о в с к и й. „Кармир-Блур", I, стр. 18,34.

[5] Н. З. А н д р о н и к о в, „Скотоводство в Закавказском крае" (СМПЭБГКЗК, V, I, 157—357).

კასიელი მომთაბარე ტომები არსებითად მხოლოდ მეჯოგეობით ცხოვრობდნენ, მთიანი ადგილების ბინადარი და ნახევრადბინადარი მოსახლეობაც უმთავრესად ისევ მეცხოველეობას მისდევდა.

მაგრამ მდგომარეობა არცთუ იმდენად იყო შეცვლილი თვით 1900-იანი წლების დასაწყისისათვისაც. ერთი დამკვირვებელი 1897 წელს წერდა: „მთიან, ველიან და ზოგიერთ სხვა ადგილებშიაც ამიერკავკასიისა არის ოლქები და რაიონები სადაც გაბატონებულია მეჯოგეობა, სადაც მოსახლეობა ეწევა, ასე ვთქვათ, მეჯოგეობრივ მეურნეობას და მიწათმოქმედება მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებს მათს მეურნეობაში, ხოლო ზოგან კიდევ მას საერთოდაც არ მისდევენ. ამ ადგილებში მიწათმოქმედება, შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში, მეტად უმნიშვნელო სარგებლობას იძლევა. ამ მხრივ მებაღეობა და მებოსტნეობა, თუ კი რამდენადმე ამ საქმიანობას ეწევიან, არ შეიძლება ანგარიშში იქნან მიღებული მისთვის ვარგისი მიწების მეტისმეტი სიმცირისა და მრავალ სხვა გვერდაუხვეველ მიზეზთა გამო“[6].

მეცხოველეობის განვითარებისათვის ხელისშემწყობ ბუნებრივ პირობებს ჰქმნიდნენ უხვი და ვრცელი საძოვრები და ამასთანავე შესაძლებლობა მრავალ რაიონში მთელი წლის მანძილზე პირუტყვის მინდვრად საბალახოებზე შენახვისა.

თავისთავად ცხადია, ეს იმთავითვე არსებული მდგომარეობა უცვლელი არ რჩებოდა. მე-19 ს. რეფორმის მერმინდელი პერიოდიდან შესაძლებელი გახდა ზოგიერთი ველის ირიგაცია, რამაც მანამდე მხოლოდ ანდა უპირატესად მხოლოდ საბალახოებად ვარგისი ფართობები მიწათმოქმედების არეალს შემატა და მითვე მეჯოგეობის სივრცე შეამცირა. საერთოდ ეს პროცესი, თვით მომთაბარე მოსახლეობის ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლასთან ერთად, მოქმედებდა როგორც ფაქტორი, რომელსაც თანდათანობით უნდა შეევიწროებინა მეჯოგეობა; — თუმცა, მეორეს მხრივ, საძოვრებით

[6] КСХ, 1897 г., № 157, стр. 23.

მდიდარი იალაღები მეცხოველეობის წამქეზებელ უცვლელ ბუნებრივ პირობებად ჰქონდათ წარმოდგენილი[7].

ალ. ყ ა ზ ბ ე გ ი, ითვალისწინებდა რა ბაქო-ბათუმს შორის რკინიგზის გაყვანის შედეგებს, — საქართველოს სამხედრო გზაზე საჭაპანო ტრანსპორტით ტვირთზიდვის შემოსავლის დაკარგვას და სხვ., მაინც შესაძლებლად სთვლიდა მთიულეთში მეცხოველეობის, სახელდობრ, პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარებას, რადგან „მთაში არის საძოვარი და ეს საძოვარი სიმსუქნით, ნოყიერობით პირდაპირ უჩვენებს ხალხს თუ რა გზას უნდა დაადგნენ, რა გვარად უნდა მოაწყონ თავიანთი კეთილდღეობა და რითი ირჩინონ თავი. კარგი და ნოყიერი ბალახები პირდაპირ ითხოვს საქონლისათვის ხელის მოკიდებას და ხალხს კარგადაც დაუნახავს ეს საგანი, რადგანაც ხსენებული მთიულების ცხოვრება საქონელზედ არის მივარდნილი, ამით იბრუნებენ სულს და თუ ამითვე მდიდრული ცხოვრება ვერ შეუდგენიათ, ამის მიზეზი სრულიად გარეშე საგნები არისო"[8].

მაგრამ მეჯოგეობა-მეცხოველეობა თავის მხრივ აუცილებელი პირობა იყო მიწათმოქმედებისათვისაც. ხვნა-თესვაში, ასევე სოფლის სატრანსპორტო საშუალებაშიაც მთავარ, და უფრო ხშირად ერთადერთ გამწევ ძალას ხარი და კამეჩი, ნაწილობრივ კიდევ ცხენი, აქლემი, ვირი და ჯორი წარმოადგენდა.

შინაური ცხოველები — ხარი, კამეჩი, ცხენი, ძროხა, ღორი, ცხვარი, თხა, ვირი, ჯორი, ძაღლი, კატა — აუცილებელი ატრიბუტი და დამატება იყო მიწათმოქმედებაზე დაფუძნებული მოსახლეობის ყოფიერებისა. მეცხოველეობის პროდუქტები: რძე, ყველი, ერბო, კარაქი, მატყლი, ტყავი, ბეწვი, რქა, ძვალი და სხვ. გარდა იმისა რომ საკვებსა და სატანისა-

---

[7] „Материалы для устроиства казенных летних и зимних пастбищ и для изучения скотоводства на Кавказе" (МУКЛЗПИСК). 1, 18—94.

[8] ა. მ ო ჩ ხ უ ბ ა რ ი ძ ე, „მოხევეების და მთიულების მდგომარეობა მომავალში" (გაზ. „დროება", 1883 წ., № 7).

მოსე მასალის წარმოადგენდა, ამასთანავე ადრიდანვე იყო გაცვლისა, ფულადი შემოსავლისა და შინამრეწველური საქმიანობისათვის ნედლეულის უმნიშვნელოვანესი წყარო ამიერკავკასიის მიწათმოქმედ მოსახლეობაში.

აღსანიშნავია, რომ მეცხოველეობის დარგთაგან ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსხვილ და წვრილ რქიან პირუტყვს. რაც შეეხება ცხენს, ჯორს, აქლემს — ისინი მეორეხარისხოვან როლს თამაშობდნენ, ხოლო მეღორეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაში, სადაც იგი რამდენადმე ავსებდა მეცხვარეობის ნაკლებ გავრცელებულობას.

მეცხოველეობა ამიერკავკასიაში, თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, თავისი მეურნეობრივი ორგანიზაციისა და ეკონომიკური მნიშვნელობის მხრივ მრავალგვარ ხასიათს ატარებდა, უმთავრესად იმის მიხედვით, თუ როგორ იყო იგი შეთანაწყობილი მიწათმოქმედების სხვადასხვა კულტურასთან და რა როლს თამაშობდა თვით მეურნის ცხოვრებაში.

ამასთანავე თვით მეცხოველეობის კულტურა ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონში, არაიშვიათად კიდევ ერთიდაიმავე რაიონის მეზობელ სოფლებშიაც, განირჩეოდა მნიშვნელოვანი თავისებურებებით, როგორც თვით პირუტყვის მოვლა-პატრონობის, ასევე მეცხოველეობის პროდუქტთა მოხმარებაგადამუშავების მხრივაც.

თუ მეცხოველეობის დარგთა მიწათმოქმედების კულტურებთან შეთანაწყობის მხრივ, მოსახლეობის კულტურულ-ისტორიული ტრადიციების გვერდით, დიდ როლს თამაშობდა ამა თუ იმ რაიონის ბუნებრივი პირობები, სამაგიეროდ საკუთრად მეცხოველეობის მოვლა-პატრონობის და საერთოდ მეურნეობრივი ორგანიზაციის თავისებურება განისაზღვრებოდა ამა თუ იმ ხალხის (ტომის) საზოგადოებრივ-ეკონომიკური ყოფიერებით, ზნე-ჩვეულებებით, რელიგიური, თუ ეთნიკური სპეციფიკურობებით.

როგორც ცნობილია, ამიერკავკასია ხასიათდება არა მხო-

ლოდ თავისი მოსახლეობის მრავალგვარი ეთნიკური წარმომავლობით, არამედ არანაკლები მრავალფეროვანობით ბუნებრივ-კლიმატური და ტოპოგრაფიული პირობებისა. ამასთანავე, თუ უკანასკნელი დროთა მსვლელობაში უმნიშვნელოდ იცვლებოდა, სამაგიეროდ მოსახლეობა შეუჩერებელ ცვალებადობას განიცდიდა და, რაც ფრიად მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ იმანენტური განვითარების გზით, არამედ სხვა, შორეული თუ ახლობელი ხალხების ძლიერი, სამხედრო-პოლიტიკური და, მაშასადამე, კულტურულ-ეკონომიკური გავლენის მეოხებითაც, რასაც მეურნეობრივი ტრადიციების მხრივ რადიკალური გარდატეხების გამომწვევი მნიშვნელობა ეძლეოდა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ეს, ხშირად რასობრივად და კულტურულადაც უცხოური ხალხები ამიერკავკასიის აბორიგენთა საზოგადოებრივი სისტემის ორგანიზმში შეიჭრებოდნენ არა მხოლოდ დროებით, ლაშქრობა-დაპყრობათა პერიოდებში, არამედ დიდხნობით, სამუდამოდ, ე. ი. როდესაც კოლონიზაციის გზით აქ ეფუძნებოდნენ, და, მაშასადამე, ხანგრძლივი, სისტემატური და უშუალო გავლენის სფეროებს წარმოქმნიდნენ ხოლმე.

როგორც საერთოდ, ასევე მეცხოველეობის მეურნეობაში, აბორიგენული და უცხოური კულტურების ურთიერთგავლენა განისაზღვრებოდა არამხოლოდ დროის მომენტით, არამედ თვით ურთიერთზედმოქმედ ძალთა პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერებით, რაოდენობით, კომპაქტურობით, კულტურული მომწიფებულობით. თუ უმრავლეს შემთხვევაში აბორიგენულმა მოსახლეობამ შესძლო, ასე ვსთქვათ, თავვის თავში შეეწოვა და არსებითად გაეთავისებურებია უცხოური ტრადიციები და ხშირად თვით ეთნიკური ჯგუფებიც, ზოგიერთ შემთხვევაში კიდევ შემოსულმა ტომებმა შესძლეს აქ ავტოხტონური მოსახლეობის ხარჯზე და გვერდით დაფუძნება და ხანგრძლივი მეზობლობის პირობებში ურთიერთგავლენასთან ერთად მეცხოველეობის თანმოტანილი ორგანიზაცია და წესები მეტნაკლები ზომით შეინარჩუნეს.

ყოველივე ამით აიხსნება ის გარემოება რომ ამიერკავ-

კავკასიის, როგორც იალაღებსა და ყიშლაღებში, ისე თვით ბინადარ მიწათმოქმედურ სოფლებში ერთმანეთის მეზობლად. ერთგვარ ბუნებრივ პირობებში, მცხოვრებ ქართველებსა და ოსებს, აზერბაიჯანელებს და თათრებს, სომხებსა და ქურთებს. ტალიშელთა და ტატებს, ირანელთ და ავარელთ მეცხოველეობაში ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ხერხები და ჩვეულებანი გააჩნიათ და მათი მეცხოველეობა განსხვავდება პირუტყვის ჯიშობრივი შედგენილობითა და თვით რძის პროდუქტების წარმოების მეთოდებითაც.

მეცხოველეობისა და მემცენარეობის შეთანაწყობ-ს თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ მთელს ამიერკავკასიაში ბინადარი მიწათმოქმედების მიმდევარი მოსახლეობა, მეტი თუ ნაკლები ზომით, ეწეოდა შინაური პირუტყვის — გამწევი ძალისა და პროდუქტიულის — მოვლა-პატრონობას. ამასთანავე მომთაბარე მეჯოგეობის მიმდევარი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მისდევდა მიწათმოქმედებას, ხოლო ზოგიერთ მათგანს მრავალწლიანი ნარგავებიც — ბაღ-ვენახებიც-კი ჰქონდა. საკმაო ზომით იყვნენ ისეთი მეჯოგენი, რომელნიც მიწათმოქმედურ საქმიანობას საერთოდ ხელს არ ჰკიდებდნენ და მხოლოდდამხოლოდ მომთაბარე მეცხოველეობით ირჩენდნენ თავსა.

მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ, რომ ოზურგეთის, ზუგდიდის, ქუთაისის, შორაპნის, ახალციხის, გორის, თბილისის, თელავის, სიღნაღის, განჯის, შემახიას, ლენქორანის, ეჩმიაძინის, სურმალოს, ერევნის და სხვ. მაზრის მცხოვრებნი კულტურული მიწათმოქმედების, განვითარებული მარცვლეულისა და მრავალწლიანთა მეურნეობასთან ერთად მისდევდნენ მრავალდარგიან მეცხოველეობასაც; — ამავე დროს დასახელებულთაგან ზოგიერთ, მაგალითად, ეჩმიაძინის, ერევნის, სურმალოს, გეოგჩაის და სხვ. მაზრებში მცხოვრები მოსახლეობის ნაწილი (თათრები, აზერბაიჯანელები, ქურთები) სრულებით არ კიდებდნენ ხელს მიწათმოქმედებას და მთლიანად მომთაბარული ცხოვრების ორბიტში მოძრაობდნენ; —

ჯებრალის, შუშის, თიანეთის მაზრების რიგი თემები(აზერბაიჯანელები, ქართველები) მისდევენ მომთაბარე მეცხოველეობას და ნაწილობრივ მიწათმოქმედებასაც, ხოლო იმავე მაზრებში მცხოვრები მოსახლეობის ნაწილი (სომხები, ქართველები) ეწეოდნენ აუყრელ ბინადრულ-მიწათმოქმედურ ცხოვრებას და საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯოგებს მხოლოდ მახლობელ, უპირატესად სანადელო, მიწებზე აძოვებენ. მოიპოვებოდა მომთაბარეობიდან მიწათმოქმედებისაკენ ისეთი გარდამავალი ფორმაც, როდესაც (მაგალითად. ზანგეზურის მაზრაში) მოსახლეობა ერთდროულად ეწეოდა: ზარცვლეულის მეურნეობას, მებაღეობას, მეაბრეშუმეობა-მეფუტკრეობასა და მომთაბარე მეცხოველეობასაც და იალაღებში ადიოდნენ, თუმცა სულ რამდენიმე კვირით; — იმავე ნაზრის მცხოვრებნი, ხშირად, სუსხიანი ზამთრის დროს. პირუტყვს ყიშლაღებშიაც მიერეკებოდნენ ხოლმე.

მიწათმოქმედების (მებაღეობა-მებაღჩეობის) მიმდევარი მოსახლეობის ნაწილში. სახელდობრ ქალაქებისა და საკურორტო ადგილების მახლობლად, მეტი ყურადღება ექცეოდა პროდუქტიულ მეცხოველეობას და მათი ძროხები შედარებით განირჩეოდნენ უხვრძიანობით, მაშინ როდესაც მარცვლეულზე დამყარებულ მეურნეობაში, სადაც მეცხოველეობა უმთავრესად როგორც გამწევი ძალა ფასდებოდა, ძროხები ხშირად მჭლეები, ხოლო ხარები შედარებით კარგად მოვლილები ჰყავდათ. საერთოდ საკვების მხრივ უზრუნველყოფილი შეძლებული, მემამულური და კულაკური, მეურნეობა განირჩეოდა პირუტყვის ფიზიკური სიძლიერით. სიმსუქნითა და ჯიშობრივი შედგენილობითაც. წვრილმწარმოებელთა მასების პირუტყვი, როგორც წესი, გამხდარი და დაჩიავებული იყო.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების შესაბამისად სავაჭრო მეცხოველეობის წარმოშობა თავის ასახვას ჰპოულობდა პრესაში, პუბლიცისტიკაში, ჟურნალ-გაზეთებსა და ცალკე წიგნად გამოცემათა სახით, — იბეჭდებოდა ორიგინალური თუ ნათარგმნი გამოკვლევები, სტატიები, ფელეტონე-

ბი, კორესპონდენციები[9], ეწყობოდა თათბირები, გამოფენები[10] და ყრილობები მეცხოველეობის საკითხებზე, როგორც საერთოდ პირუტყვის მოვლა-პატრონობის[11], ასევე კერძოდ ჯიშობრივი შედგენილობის გაუმჯობესებისა[12] და სპეციალი-

---

[9] აქ ამ მხრივ აღსანიშნავია ის საინტერესო შრომა, რაც პროფ. ლ. ჯარბელაშვილმა გასწია მეცხოველეობის ბიბლიოგრაფიისათვის: „საქართველოს მეცხოველეობის ბიბლიოგრაფია", 1952, თბ. აქ თავმოყრილი და სისტემატიზებულია ქართულ და რუსულ ენაზე არსებული დიდძალი ლიტერატურა, რაც დაეხმარება მეცხოველეობის საკითხებით დაინტერესებულ ყოველ მკვლევარს.

[10] КСХ, 1914 г. № 18, стр. 6—9.

[11] იხ., მაგალითად, ი. მამაცაშვილი, „პირუტყვის მოშენება" (გაზ. „გუთნის დედა", 1862 წ. № 9, გვ. 68 — 71) ი. როსტომაშვილი, „შინაური საქონელი და მისი გონიერი მოვლა-მოშენება", 1893, ტფ; პროფ. პროში, „რქიანი საქონლის აღზრდა და მოვლა" (გაზ. „მეურნე", 1883 წ. №№ 20 — 50; — 1889 წ. №№ 1 — 4, 42 — 43; გულბაათიშვილი, „როგორ ზრუნავენ და სარგებლობენ შინაური საქონლით ჩვენში, რუსეთში და სხვაგან" (გაზ. „მოსავალი", 1910 წ. № 4); დედაბრიშვილი, „შინაური პირუტყვის მოვლა-მოშენება" („მოსავალი", 1909 წ. № 5); Н. Ситовский, „Отчет председателя комитета по устройству в Тифлисе выставки домашних животных и продуктов скотоводства" (ЗКОСХ, 1870 г. № 9, стр. 100—101); С. Пониятовский, „К вопросу об образцовых фермах" (КСХ, 1898 г. № 223); КХ, 1913 г. № 22, стр. 11—12; „Деятельность комитета овцеводства" (КСХ, 1897 г. № 173, стр. 278—279); „О мериносовом овцеводстве" (ЗКОСХ, 1862 г. № 3—6); „Государственная конно-заводская конюшня в Закавказье" (газ. „Кавказ", 1894 г. № 339).

[12] ი. კ., „საქონლის გაუმჯობესება" (გაზ. „გუთნის დედა", 1870 წ. № 12, გვ. 166 — 169); „კიდევ შარტორნის ჯიშის საქონელზე" („გუთნის დედა", 1874 წ. № 3, გვ. 4); პროფ. პროში, „რქიანი საქონლის აღზრდა და მოვლა" („მეურნე", 1888 წ. №№ 20 — 50); ა. რუსიაშვილი, „საქონლის ჯიშის გაუმჯობესება" („მოსავალი", 1911 წ. № 13); „Выставка произвед. с. х и пром. Кавказа в 1901 г." (КСХ, 1900 г № 341, стр. 446); КСХ, 1895 г. № 68, стр. 1187—1188; „Выставка племенных животных" (КХ, 1910 г. № 7, стр. 15); Макаров, „Очерки соврем. состояния скотоводства в Швейцарии, Дании и России и меры к улучшению его в Закавказье" (КХ, 1912 г.

ზაციის[13], პროდუქტიულობის ამაღლების[14], საკვები ბაზის გაუმჯობესებისა და რაციონალური გამოყენების[15], მუშა-პირუტყვის შერჩევისა და საერთოდ ჯოგის სტრუქტურული შედ-

---

№№ 11, 12); „О мерах к улучшению скотоводства... в Закавказье" („Кавказ", 1875 г. № 97); Д. Рудиев, „Меры к улучшению местного скота в Закавказье" (КХ, 1910 г. №№ 4, 5); „Съезд деятелей по агрономической помощи местному населению" (КСХ, 1900 г. № 342, стр. 458—460); „Выписка из Англии племенных баранов" (КСХ, 1903 г. № 488, стр. 1097—1100); „Первая Всероссийская выставка овцеводства" (КХ, 1913 г. № 3).

[13] „პირუტყვის გასუქება" („სას. გაზეთი", 1871 წ. № 5); გ ე ე ვ ს კ ი, „შვეიცარიის ჯიშის ძროხა" („გუთნის დედა", 1870 წ. № 13, გვ. 17 — 19); პ რ ო შ ი, „მსხვილი რქიანი საქონლის გასუქება" („მეურნე", 1890 წ. №№ 8, 9, 10, 13, 25, 26, 27).

[14] „მეწველი საქონლის განსაკუთრებული მოვლა და მისი განვითარება" (გაზ. „მეურნე", 1889 წ. № 48); ი. ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი, „შინაური საქონლის და მეწველი ძროხის მოვლა-მოშენება-მოწველა", 1910. თბ.; რ. გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, „საუკეთესო მეწველი ძროხის გაუმჯობესებისათვის" (გაზ. „მოსავალი", 1912 წ. № 19 — 20); ვ. შ ვ ი დ ტ ი, „ცხვარი და ცხვრის მატყლი" („გუთნის დედა", 1876 წ. №№ 8 — 14); „ცხვრის რძის ყველი" („გუთნის დედა", 1875 წ. № 21); „Заседание с'езда по скотоводству и молочному хозяйству" (КСХ, 1902 г. №№ 35—37); „Заседание губернского комитета о нуждах с.-х. промышленности Тиф. губ." (КСХ, 1903 г. №№ 465—468); Д. К а л л е с т и н о в, „Влияние усиленного спроса продовольственного скота на скотоводство края" (КХ, 1915 г. № 24, стр. 2); КСХ, 1895 г. № 92, стр. 1568—1569; КСХ, 1903 г. № 478 - 479, стр. 1025—1026; Г. П а в л о в, „Скотоводство в имении Н. Смецкого („Черн. сель. хоз." № 4, стр. 162—171); Г. Ш а д и н о в, „Промышленное значение молочного скота в Закавказье" (Труды первого кавказского с'езда сельских хозяев, 15—24 ноября 1909 г. в Тифлисе).

[15] „საძოვრის რიცხვი პირუტყვისათვის" (გაზ. „გუთნის დედა", 1870 წ. № 8, გვ. 100 — 101); ნ. მ უ ხ ი ა ნ ი ძ ე, „სასარგებლოა თუ არა შემოდგომით საქონლის გაშვება საძოვარზე" (გაზ. „მოსავალი", 1912 წ. № 23—24); А. Т а м а м ш е в, „О кормлении круп. рогатого скота жмыхами" (КХ, 1917 г. № 9—10); А. Н а т р о с в, „Количество

ვენილობის[16], პირუტყვის სტიქიურ უბედურებათაგან დაცვისა[17] და სხვ. შესახებ.

მეცხოველეობის განვითარების, მეურნეობრივი თაოსნობის ამ დარგებში სიახლეთა და გაუმჯობესებათა შეტანის მხრივ შესამჩნევ როლს თამაშობდა კერძოდ შინაურ პირუტყვთა გამოფენები, რაც კავკასიის ცენტრში ქ. თბილ-სში და აგრეთვე პერიფერიებშიც საკმაოდ ხშირად ეწყობოდა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან.

აწყობდნენ როგორც საერთოდ შინაური პირუტყვის ისე კერძოდ მეცხოველეობის ცალკე დარგების, მაგალითად, ცხენის, მერძეული პირუტყვის, ცხვრის და სხვ. გამოფენებს. ამ გამოფენების ორგანიზატორი უმეტესწილად იყო სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოების მეცხოველეობის ბიურო. რაიონებში გამართულ გამოფენებისადმი გლეხები, როგორც ჩანს, ცხოველ ინტერესს იჩენდნენ. აქ აჯილდოებდნენ საუკეთესო პირუტყვის პატრონებს, მაგრამ სოფლელები აქ უფრო მოდიოდნენ არა ამ ჯილდოსათვის, არამედ მეცხოველეობის დარგში სიახლეთა და გაუმჯობესებათა გაცნობისათვის, თავიანთი გაჭირვებული მდგომარეობისათვის „წამლს დადე-

---

скота и пастбищные места Тифл. губ." (ТКОСХ, 1888 г. № 7—8); „Материалы для устройства козетных летных и зимных пастбищ и для изучения скотоводства на Кавказе", т. I—IV.

[16] „ნიშნები, რომლებითაც განირჩევა ვარგისი საქონელი სამუშაოდ" („სას. გაზეთი", 1868 წ., № 39); „ხარ-კამეჩის მაგიერ ცხენით მუშაობა" („სას. გაზეთი", 1870 წ. №22); Н. Таратынов, „Оˇмуловодство в Закавказье" (КСХ, 1900 г. № 336); „Рабочий скот в Тифлисской губ." (КХ, 1911 г. № 16); П. Тускаев, „Покупка лошадей в Закавказье" (КХ, 1913 г. № 22).

[17] „О борьбе с чумой рогатого скота" (КСХ, 1903 г. № 508, стр. 1416—1417); „Вопрос госуд. страхования скота" (КСХ, 1896 г. № 118, стр. 1883); Д. Коллестинов, „Страхование скота на основе кооперации" (КХ, 1915 г. № 16—17, стр. 17—18); Н. Таратынов, „К вопросу о чуме рогатого скота в Закавказье" (КХ, 1909 г. № 18).

ბის“ ძიებაში. გამოფენებზე იყიდებოდა ჯიშიანი პირუტყვი; აქ კითხულობდნენ ლექციებს, რჩევა-დარიგებას აძლევდნენ; იმართებოდა თათბირები და სხვ. მაგრამ, ცხადია, რომ ყოველივე ამ სიკეთით, „პრაქტიკული დახმარებით“ მხოლოდ მემამულეებსა და კულაკურ ელემენტებს თუ შეეძლოთ ესარგებლათ, თორემ გლეხობის ძირითადი მასებისათვის ის მიუწვდომელი იყო[18].

---

[18] იხ. КСК, 1914, № 19. стр. 6.

II

საკვები ბაზა

1. საზაფხულო და საზამთრო საბალახოების ზოგადი დახასიათება

„საძოვრების საქმის დაულაგებლობა, მოუწყობლობა, ერთი უდიდესი ნაკლია ჩვენის საეკონომიო ყოფა-ცხოვრებისა".

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე (1887 წ.).

კლიმატურ და ტოპოგრაფიულ პირობათა მიხედვით საბალახოები ამიერკავკასიაში იყოფა საზაფხულო საძოვრებად ანუ იალაღებად და საზამთრო საძოვრებად ანუ ყიშლაღებად.

ს ა ზ ა ფ ხ უ ლ ო ს ა ძ ო ვ რ ი ს, ა ნ უ ი ა ლ ა ღ ი ს სახით ამიერკავკასიაში იგულისხმებოდა საბალახოები (საძოვრები), რომლებიც ზღვის დონედან ისეთ სიმაღლეზე მდებარეობდნენ, სადაც ზაფხულის სითბო საკმარისი არაა არც პურეულთა გახარებისა და არც მერქნიან მცენარეთა (ტყეთა) განვითარებისათვის, მაგრამ სადაც მოკლეპერიოდიან ზაფხულში იზრდება პირუტყვის საკვებად ვარგისი სხვადასხვა ბალახეული მცენარე.

ამასთანავე ეს ისეთი საბალახოებია, რომელთა სათიბის სახით გამოყენება, დასახლებული ადგილებიდან დაშორებულობისა და იქამდე ბორბლიანი ტრანსპორტისათვის ვარგისი გზების გაყვანის სიძნელეთა გამო, უმეტეს შემთხვევაში, ეკონომიკურად არახელსაყრელია.

იალაღები იმყოფებიან ალპური ზონის მთათა დაქანების

იმ სარტყელზე, რომელიც, ერთი მხრით, პურეულთა მოყვანისა და ტყეების საზღვრებსა და, მეორე მხრით, მუდმივი თოვლის ხაზს შორის მდებარეობს. ეს ხაზი, რა თქმა უნდა, ბუნებრივ პირობათა შესაბამისად, ზღვის დონესთან შედარებით მნიშვნელოვნად მერყეობს, — დას. ამიერკავკასიაში, შავი ზღვის სანაპიროებისაკენ ის ძირს ეშვება, ხოლო აღმოსავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით სულ უფრო მაღლა იწევს[1].

ზოგიერთ რაიონში ალპური საბალახოები, რელიეფური პირობის შესაბამისად, დაყოფილი იყო სახმარისობის მიხედვით, შესაბამისად იმისა თუ, სახელდობრ, რა პირუტყვს აბალახებდნენ ამა თუ იმ ზონაში, რასაც ამ მხრივ ანსხვავებდნენ რელიეფის დაქანებულობის მიხედვით.

ნაკლებად დაქანებული და გაშლილი ადგილები, სადაც ჩვეულებრივ ბალახეულობა უხვად ხარობდა მიჩნეული იყო მსხვილი რქიანი პირუტყვისათვის, უპირატესად ძროხებისათვის, რასაც ციცაბო დაქანებებზე ძოვა უჭირდა და ან საერთოდაც არ შეეძლო, — უფსკრულში, ხევში გადაიჩეხებოდა.

უფრო დაქანებულ და მაღალ ფერდობებზე, სადაც ბალახიც ნაკლებად ხარობდა. ნიადაგი ხშ-რნაოჭიანი და ხრიოკიანი იყო, აძოვებდნენ ცხვარსა და თხას. ამასთანავე, იქ სადაც თხის ჯოგები გამოყოფილად ჰყავდათ, ამ უკანასკნელს მიერეკებოდნენ სულ მაღლა, ყველაზე ძნელად მისადგომ ღრანტე-ხევებიან, უფსკრულებზე გადაკიდებულ და მეტად ვიწრო და სახიფათო ბილიკებით მისასვლელ ფლატეებისა და ჭიუხებისაკენ.

ამის შესაბამისად დაყოფილი იყო საბალახოებიც: საძროხე, საცხვარე, სათხე და სხვ. საბალახოებზე პირუტყვი ხშირად ნაწილდებოდა არა მარტო სახის, არამედ ასაკის მიხედვითაც. მაგალითად, ყარაბაღის საზაფხულო საძოვრების სხვადასხვა ნაკვეთზე სხვადასხვა ასაკის პირუტყვს ცალ-ცალკე წყესდნენ. დიდი და ახალგაზრდა მსხვილი რქიანი პირუტყ-

[1] П. С. Варавин, „Летняя и зимняя пастбища Закавказского края" (МЭБГКЗК, V, II, 1888, стр. 69—71).

ვი ცალკე ჯოგად სდგებოდა, ხბოები და ზაქები კიდევ — ცალკე. აგრეთვე ცალკე ფარას ადგენდნენ დიდი და ახალგაზრდა წვრილრქიანი პირუტყვისა, ხოლო ბატკნებსა და ციკნებს სხვა ნაკვეთზე აძოვებდნენ. ცხენებს, აქლემებს, ჯორებსა და ვირებს ცალცალკე აბალახებდნენ, თუმცა უფრო ხშირად მათ აერთიანებდნენ მსხვილ რქიან პირუტყვთან.

საძოვრების მწვანე მცენარული საკვების ეკონომიურად გამოყენების მიზნით მეჯოგეები, სადაც ამის შესაძლებლობა იყო, ცდილობდნენ მათს ნაკვეთებზე ერთბაშად კი არ მიეშვათ პირუტყვი, არამედ თანმიმდევრობით — ნაკვეთის სხვადასხვა ნაწილზე სხვადასხვა დროს. წინად ნაბალახევ ადგილზე პირუტყვს მხოლოდ მის მერმე მიუშვებდნენ, რაც იქ მცენარე საკმაო ზომით აღიწარმოებოდა. საერთოდ ალპური საბალახოების სახმართა გამოყენების თავისებურ თანმიმდევრობას კარნახობდა არა მხოლოდ რელიეფური, არამედ კლიმატური პირობებიც. იალაღების საძოვრებად გამოყენება შეიძლებოდა იმის მიხედვით, თუ როგორის თანდათანობით თავისუფლდებოდა იგი თოვლის საფარისაგან და იმოსებოდა ბალახით. ეს თანმიმდევრობა სხვადასხვანაირი იყო ზღვის დონიდან საბალახოს სიმაღლისა და აგრეთვე იმის მიხედვითაც, თუ მზის სხივები რამდენად ხვდებოდნენ თვით საბალახო ფართობს; ამგვარად, აქ ნიადაგის დანაკვთულობაც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

ამიერკავკასიაში იალაღებით სარგებლობა ზოგიერთ რაიონში უკვე მაისიდან იწყებოდა. მაისში ჯოგს დასძრავდნენ რა მთებისაკენ, თანდათან ხდებოდა აღმასვლა, იმის მიხედვით, თუ როგორ დნებოდა თოვლი, თბებოდა არემარე და ივლისის ბოლოსათვის მეიალაღენი უკვე უმაღლეს წერტილს, ხშირად მუდმივი თოვლის საზღვარს, აღწევდნენ. მერმე, დასასრულ, შემოდგებოდა რა სიცივეები, თოვლის მოსვლამდე მეჯოგეები პირუტყვს ქვემოთკენ მიელალებიან და, ბოლოს, უკვე დაღმა მიერეკებიან საზამთრო საბალახოებისა და სადგომებისაკენ.

ს ა ზ ა მ თ რ ო ს ა ძ ო ვ რ ი ს ანუ ყ ი შ ლ ა ღ ი ს. სახით

იგულისხმება ისეთი დაბლობი ველები, და მაღლობი ვაკე ადგილები, სადაც ცხელ ზაფხულში წვიმების სიმცირისა და სარწყავი წყლის უქონლობის გამო არავითარი ან თითქმის არავითარი მცენარეული არ ხარობს. დიდი სიცხე, სხვადასხვა მავნებელ მწერთა და შხამიან გველთა სიმრავლე ზაფხულობით ამგვარი ადგილების მეცხოველეობისათვის გამოყენებას ძნელს და უფრო მეტად-კი შეუძლებელს ხდიდა.

ზამთრობით კი ასეთ ველებზე, სადაც ცოტა თოვლი მოდის და დიდი სიცივეებიც არ იცის, უკვე შემოდგომის წვიმების შემდეგ გახარებული საძოვარი მცენარეებისა, ანდა ზაფხულიდანვე ნახევრადხმელი სახით შემორჩენილი ბალახების სახით კარგი საკვები და, მაშასადამე, სადგომი ადგილები მოიპოვება ჯოგისათვის.

საზამთრო საძოვრები, როგორც ეს უკვე ზემოხსენებული მისი თავისებურებისაგანაც ცხადად ჩანს, ამიერკავკასიის თითქმის მხოლოდ აღმოსავლეთსა და სამხრეთში იყო თავმოყრილი, — განსაკუთრებით მტკვრისა და არაქსის და მათ შენაკადთა ველებში. ეს საზამთრო საძოვრებია, სახელდობრ, ყარაბაღის ანუ მილის, მუღანის და შირვანის ველი, — აგრეთვე სარუჯის (არეშის მაზრაში), აჯინაურის (ნუხის მ.), ბოზდაღისა და სარი-დაღის (ელისავეტპოლის მ.), ხამუხის, ყარაიას, შირაქის, უფადარისა და ჯეირანჩალის ველები.

ამგვარად, ცხადია, რომ საზამთრო საძოვრების გეოგრაფიული გაადგილება არახელსაყრელ ხასიათს ატარებდა მთელ ამიერკავკასიაში რაციონალური მეცხოველეობის ორგანიზაციის თვალსაზრისით.

საზამთრო საძოვრები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამონაკლისს, როგორც წესი, თავისი ბუნებრივი პირობებისა გამო, სახმარისებად არ იყოფოდა პირუტყვის სახეთა მიხედვით. გამონაკლისს მხოლოდ ე. წ. „სარხანე“ წარმოადგენდა[2], რაც ცივი ქარებისაგან სავსებით დაცული ად-

[2] СМИЭБГКЗК, V, II, 81.

გილი უნდა ყოფილიყო, და სადაც მხოლოდ მსხვილ რქიან პირუტყვს, უპირატესად კიდევ ძროხებს აბალახებდნენ.

განსხვავებით იალაღებისაგან, რომლებიც საერთოდ მდიდარია ცივი, ანკარა მთის წ ყ ლ ე ბ ი თ ა და წყაროებ-თ, ყიშლაღები ხშირად დიდ უწყლობას განიცდიან. მწყემსები ზოგიერთ ადგილას იძულებული არიან პირუტყვი ათი და მეტი კილომეტრის მანძილზე გარეკონ ვარგისი წყლისათვის — მდინარეებისაკენ და სხვ. 1880-იანი წლების შუაში პ. ვ ა რ ა ვ ი ნ ი აღნიშნავდა, რომ ამიერკავკასიის საზამთრო საბალახოებზე „ჭები თითქმის არსად არ არის, რადგან დიდ სიღრმეშიაც არაყველგან მოიპოვება წყალი; და ამასთანავე ღრმა ჭები გამოუყენებელია პირუტყვისათვის წყლის მისაცემად“[3].

2. საბალახოების სიდიდე, გაადგილება და დატვირთულობა

პირველი მსოფლიო ომის წინ და თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ამიერკავკასიაში საბალახოების მთელი ტერიტორია, დაახლოებით, უდრიდა, დესეტინობით:

ადმინისტრაც. ერთეულთა დასახელება	საზაფხულო (იალაღები)	საზამთრო (ყიშლაღები)
ბაქოს გუბერნიაში	160.000	1.100.000
განჯის (ელისავეტპოლის) გუბ.	565.000	400.000
ზაქათალის ოკრუგში . . .	50.000	55.000
ერევნის გუბერნიაში .	500.000	450.000
თბილისის გუბერნიაში	510.000	350.000
ქუთაისის გუბერნიაში	250.000	—
სოხუმის ოკრუგში	120.000	—
ბათუმის ოლქში . . .	95.000	—
ს უ ლ .	2.250.000	2.355.000

ამგვარად, საბჭოთამდელ ამიერკავკასიაში სახაზინო და კერძო იალაღებისა და ყიშლაღების საერთო ფართობი უდრი-

[3] СМИЭБГКЗК, V, II, 81.

და, დაახლოებით, 4.605.000 დესეტინას, რაც ცალკე რაიონების მიხედვით ფრიად არათანაბარზომიერად იყო განაწილებული. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ იალაღების უდიდესი ნაწილი, დაახლოებით 90% — ხაზინის საკუთრებას წარმოადგენდა. ზამთრის საბალახოები, ყიშლაღები, მხოლოდ აღმ. ამიერკავკასიაშია თავმოყრილი;—აქაური, ზაფხულობით ცხელი ველები ზამთრობით მშვენიერ საბალახოებს წარმოადგენდნენ. დას. საქართველოში ზამთრის საბალახოები არ მოიპოვება.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინა წლებში უკვე ეპვი შექონდათ საბალახოების საერთო სიდიდის ზემოდმოყვანილი მაჩვენებლების სიზუსტისადმი, იმ მოტივით, რომ სწორედ პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში და მერმე რევოლუციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში მნიშვნელოვანი ზომით იქნა გადახნული, როგორც საზაფხულო ისე საზამთრო საბალახოები, რომლებიც. ამას გარდა, ნაწილობრივ ზოგან კიდევ გადარეცხილი და გადახვეტილი იქნა წყლისა და ქარის (ეროზია) მიერ. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში, მაგალითად, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მიწსახკომთა პირველ ყრილობაზე (1924 წ.) დაისვა საკითხი საბალახოების ხელახალი აღრიცხვისა[4].

საბალახოების რაოდენობის შესახებ ზემომოყვანილი მონაცემების პირუტყვის რაოდენობასთან შეფარდება წარმოადგენს საინტერესო სურათს ს ა ბ ა ლ ა ხ ო ე ბ ი ს დ ა ტ ვ ი რ თ უ ლ ო ბ ი ს შესახებ[5] ქვემოთმოყვანილ ცხრილში პირუტყვის რაოდენობა აღებულია 1913 წ. მდგომარეობით. ამასთანავე წვრილი პირუტყვი გადაყვანილია მსხვილზე.

---

[4] „Труды I с'езда НКЗ ЗСФСР 1924 г.", 1925, Тифлис, стр. 130—131.

[5] ამ მხრივ 1850-იანი წლების მდგომარეობის შესახებ საინტერესო ცნობები იხ. А. К а л а н т а р, „Состояние скотоводства на Кавказе" (МУКЛЗННСК. II, II, 6—7).

ხაბალახოების 100 დესეტინაზე მოდიოდა მსხვილი და წვრილი (მსხვილზე გადაყვანით) რქიანი პირუტყვი:

	ს ა ბ ა ლ ა ხ ო ე ბ ი	
	საზამთრო	საზაფხულო
ბაქოსა და ელისავეტპოლის გუბერნიებში (აზერბაიჯანში) . . .	111	344
ერევნის გუბერნიაში (სომხეთში) . . .	115	123
თბილისის გუბერნიაში (აღმ. საქართველოში)	317	202
ქუთაისის გუბ. სოხუმის ოკრ. და ბათუმის ოლქში (დას. საქართველოში)	—	165

გამომდინარე იმ ნორმიდან, რომ 1 თავი მსხვილი რქიანი პირუტყვისათვის საჭიროა საშუალო ხარისხის 1 დეს. საზაფხულო და 1 დეს. საზამთრო საძოვარი და ამასთანავე იმის გათვალისწინებით, რომ მუშა-პირუტყვის ერთი ნაწილი საბალახოზე არ გაირეკებოდა, ჩვენ ვხედავთ, რომ პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში ამიერკავკასიის საზაფხულო და საზამთრო საძოვრები უკვე ძალზე გადატვირთული იყო.

კიდევ მეტი. წინამდებარე მონოგრაფიაში მოყვანილი ცნობები მოწმობენ, რომ ამიერკავკასიაში მომთაბარე და ნახევრად-მომთაბარე მეცხოველეობამ უკვე მე-19 საუკუნის გასულს მიაღწია თავისი განვითარების კრიზისულ პუნქტს, და, ამგვარად, ობიექტურ შესაძლებლობებს რომ ხელი შეეწყო, მეცხოველეობა აქ უფრო მაღალ, ინტენსიურ ფორმაში უნდა გადასულიყო.

ბაქოსა და ელისავეტპოლის გუბერნიები უზრუნველყოფილი იყო საზამთრო საძოვრებით, იმ ზომამდე, რომ აქაური ყიშლაღები ყველაზე ნაკლებად, არსებითად მხოლოდ ნორმალურად, იყო დატვირთული. სწორედ საბალახოების სიუხვით იყო პირობადებული ის გარემოება, რომ აქეთკენ ჯოგებს მოერეკებოდნენ დალისტნიდანაც. სამაგიეროდ აზერბაიჯანის მეცხოველეობა განიცდიდა იალაღების დიდ სიმცირეს, რისგამოც აქედან მომთაბარენი საზაფხულო საძოვრებზე მიდიოდნენ ერევნისა და თბილისის გუბერნიებში.

ერევნის გუბერნია თითქმის ერთნაირად იყო უზრუნველ-

ყოფილი იალაღებითა და ყიშლაღებით. მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის მომენტი, რომ აქეთკენ ბლომად მოედინებოდნენ მეჯოგეები, როგორც აზერბაიჯანიდან ისე საქართველოდანაც.

თბილისის გუბერნიის საზაფხულო საძოვრები აღებული დროისათვის უკვე ორმაგად იყო დატვირთული; მაგრამ განსაკუთრებით მწვავე სიმცირე იგრძნობოდა აქ საზამთრო საბალახოებისა. საერთო ჯამში თბილისის გუბერნიის საბალახოები, განსაკუთრებით ყიშლაღები ამიერკავკასიაში ყველაზე უფრო იყო გადატვირთული. აქ 1 დესეტინაზე საშუალოდ 5 თავ მსხვილრქიან პირუტყვზე მეტი მოდიოდა; მიუხედავად ამისა თბილისის გუბერნიის ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების საზაფხულო საძოვრებზე მომთაბარეები მოდიოდნენ აზერბაიჯანიდან (კაზახის მაზრიდან) და სომხეთიდან.

ასეთს ვითარებაში უკვე 1890-იანი წლებიდან ადგილობრივი მეცხოველეები, სახელდობრ თუში მეჯოგეები, იძულებული შეიქნენ ერევნის გუბერნიისა და თვით ყარსის ოლქის საბალახოებზეც გადასულიყვნენ; თბილისის გუბერნიიდან ყარსის ოლქში გადასახლდნენ მეცხოველეობის მიმდევარი მოლოკნებიც. ამისავე პარალელურად თბილისის გუბერნიის მკვიდრნი, კერძოდ მეცხვარეები, იძულებულნი იყვნენ ჯოგები საზამთრო საბალახოებზე გაერეკათ აზერბაიჯანის დას. ნაწილსა და ჩრდ. კავკასიაშიც კი — თერგისპირეთის ველებზე[6].

ქუთაისის გუბერნიას არსებითად სრულებით არ ჰქონდა საზამთრო საბალახოები, — კოლხეთის დაბლობის თითქმის მთელი ვარგისი ადგილები დასახლებული და გადახნული იყო. ფართო მასშტაბის მელიორაციულ ღონისძიებათა გატარების საქმე პროექტების შედგენის საკითხს არ გასცილებია. აქ სათიბებიც მცირე რაოდენობით მოიპოვებოდა. ასე რომ უკვე 1880-იან წლებშიაც, როგორც ა. ქ ა ლ ა ნ თ ა რ ი

[6] „Вопрос о перегоне скота из Закавказья в Терскую область" (КСХ. 1898 г. № 249).

წერდა. „ქუთაისის გუბერნია ყველაზე ნაკლებად იყო უზრუნველყოფილი პირუტყვის საკვებით“[7]. დას. საქართველოში თვით საზაფხულო საბალახოებიც-კი ძლიერ გადატვირთული იყო.

სახაზინო საბალახოები ორ ჯგუფად იყოფოდა: 1. საბალახოები, რომლებიც გადაცემული იყო მოსახლეობისათვის სანადელო სარგებლობაში და 2. საბალახოები, რომლებიც ხაზინის თავისუფალ განკარგულებაში რჩებოდა. 1918 წლამდე მოქმედებდა 1884 წლის 19 ივნისის კანონი, რომელიც განსაზღვრავდა ხაზინის თავისუფალ განკარგულებაში დარჩენილი საბალახოების ექსპლოატაციის წესებს. ამ კანონით დაწესებული იყო საბალახოების პერიოდული განაწილება მოსახლეობისათვის „მათი ნამდვილი საჭიროების შესაბამისად“. ამგვარად სარგებლობაში მიღებული საბალახოსათვის მოსახლეობა იხდიდა საიჯარო ქირას „საბალახო ნაკვეთის ხარისხისა და სივრცის შესაბამისად“. ამ წესის თანახმად მოსახლეობა გამოდიოდა როგორც დროებით მეიჯარე საბალახოებისა, რომლის მთლიანი ან ნაწილობრივი დაკარგვა მოცემულ მეიჯარეს შეეძლო სახმართა ყოველი ახალი განაწილების დროს[8].

საბალახოების უდიდესი ნაწილი იმყოფებოდა მომთაბარე მუსლიმანი მოსახლეობის (აზერბაიჯანელების, ლეკების, ქურთებისა და სხვ.) სარგებლობაში, შემდეგ მოდიოდნენ ქართველები და სომხები.

3. საბალახოებით სარგებლობის წესები და გადასახდელები

ძველ ამიერკავკასიაში საბალახოები სახელმწიფო, სამეფო, სახაზინო საკუთრებად ითვლებოდა. კერძოდ საქართველოში მომქმედი კანონით წყალი, ტყე და ბალახი მეფეს

[7] МУКЛЗПИСК, II, II, стр. 8.
[8] ТМКСХП., LII, 495.

ეკუთვნოდა და საყოველთაო სარგებლობაში იყო. ვახტანგ VI „სამართლის წიგნის“ 171 მუხლის მიხედვით საბალახოებით სარგებლობა არავის არ ეკრძალებოდა. მეფე მეჯოგეებისაგან საბალახოებით სარგებლობისათვის გამოსაღებს ღებულობდა; ეს გამოსაღები ნატურალური ხასიათისა იყო[9].

სამეფო (სახაზინო) მიწებით სარგებლობის წესი სხვადასხვანაირი იყო თვით სახმარისობის მიხედვით. საკარმიდამო, სავენახე, სახნავ-სათესი და საერთოდ მიწათმოქმედების არეალში შემავალი მიწები უვადო-მემკვიდრეობით სარგებლობაში (ანუ სამამულეთ) გაიცემოდა, ხოლო საბალახო (საძოვარი) ადგილები — დროებით-სარგებლობაში და. ამგვარად, ხელიდან-ხელში გადადიოდა, ე. ი. საყოველთაო სარგებლობაში იყო[10].

საძოვრებით სარგებლობისათვის დადებულ გამოსაღებს ს ა ბ ა ლ ა ხ ო ეწოდებოდა. საბალახოსაგან პრივილეგიური წოდების პირნი თავისუფლდებოდნენ[11]. დადგენილი იყო მომთაბარე ტომების (ელის) აღწერა — სამს წელიწადში ერთხელ[12]; როგორც ჩანს, ამასთანავე ერთად აღირიცხებოდა მათი სადგომი ადგილები.

რაც შეეხება თვით პირუტყვს მათი „აღთუალვა“ გადასახდელის გაწერის დროს ხდებოდა: „ბატონის მამულის იათალში რაც ცხვარი დადგების, დათულიან, ასზედ ერთს ცხუარს საბატონოთ აიღებენ... რაც ზროხა დადგების. უნდა დათუალონ, ბატონის ყმას ჯევანშირს გარდა, სხუა ვინც იყოს. ზროხაზედ ნახევარ-შაური აართვან... ეს ნახევარი შაური დიდს ზროხაზედ აიღების... ცხენზედ შვიდს ფულს გამოართმევენ“[13].

---

[9] Сборник законов ц. Вахтанга VI, 1887, Тифлис, стр. 50–51.

[10] შეად. ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, „დასტურლამალი“, 1886, ტფ. — თრიალეთის სოფლების საზღვრებისათვის, გვ. 36.

[11] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, „დასტურლამალი“. გვ. 8, 73 — 75, 76, 102 და სხვ.

[12] იქვე, გვ. 75.

[13] იქვე, გვ. 43.

ეს საერთოდ ე. წ. საყორეულო (საბალახოს დაცვის) გადასახდელი იყო.

ქვემოთ, რომ მუხლში „საბალახოს აღებისათვის“ ვკითხულობთ: „საბალახე სძესთ: ასზედ ბატკნიანი ცხუარი — სამი; მშრალი ცხუარი — ორი; მობალახის შიშლიგი—ა...“[14] შემდეგ მუხლში სიტ. „ცხურის შემოსავლისათვის, რომელ არს საბალახე“ რეგლამენტირებულია ამ გზით მიღებული საშეფო შემოსავლის დაცვა-მოხმარების წესი: „ცხურის შემოსავალი ასრე იქნებოდეს: რასაც მხარეზედ მობალახენი გარიგებულნი იყუნენ და მისს დროს წავიდოდნენ, ჩვენს ნაზირს მეცხვარეს ჰსთხოვდენ და თან წაიტანდნენ; საბალახეს რომ დაუთულიდნენ, რაც გვერგებდეს ცხუარი, თხა, ბატკანი თუ თიკანი, მეცხუარეს დაუჭერინებდენ. მეცხუარემ დადაღოს და იმასვე ებაროს. დაღი სახლთხუცის კაცს ებაროს. რა ხან მეცხუარემ მოიყუანოს, მესაკლავეს თუ მიაბაროს, მეცხუარეს კარგი აშოვნინოს; თუ მესაკლავეს მოწონებული მიაბაროს და მერმე ან ქარხანაში და მეულუფეს ავი საკლავი მისცენ, ისრე მესაკლავეს უყონ. მობალახე და მოხელენი თავეთს ათისთავს მეცხუარიდამ ნუ აიღებენ: იანგარიშონ და თავეთი წესი ერთის მხრიდამ აიღონ. ბატონის საბალახეს გარდა ასზედ ერთი შიშლიგი, ერთი საკლავი აიღონ. საკლავი, მობალახისა, სუფრაჯისა, სახლთხუცისა და მდივნების კაცებისა არის. შიშლიგი მობალახისა და სუფრაჯისა არის, საკლავი ბატონის ცხურიდამ არც ერთი არ უნდა დაიკლას, საკლავიდამ და შიშლიგიდამ უნდა ჭამონ. მობალახემ მაისს, თიბათვეს თავისი ანგარიში უნდა მისცენ, თვარამ მობალახობა დაგვიდებინებია; ვინც უსამართლოდ აიღოს ჯარიმაც არის“[15].

შეფეს მეცხოველეობისაგან შემოსავალი ჰქონდა არა მხოლოდ მომთაბარე ტომებსა თუ თემებზე საბალახოს სახელწოდებით გაწერილი გამოსაღების სახით, არამედ მიწათმოქმედე-

---

[14] ვახტანგ VI, „დასტურლამალი“. გვ. 73; შიშლიგი —მეცხვარის საკლავია (ს. ორბელიანი, „ლექსიკონი“, 1928. გვ. 404).

[15] იქვე, გვ. 102.

ბის მიმდევარი მოსახლეობის მხრივაც, რომლებზედაც ეს გამოსაღები გაიწერებოდა ნ ა ხ ი ს-თ ა ვ ი ს სახელწოდებით.

„დასტურლამალის“ რიზ მუხლში, „ნახირის თავის აღებისათვის“, ვკითხულობთ: „ნახირის თავი სძეს დიდს სოფელს — ხარი, შუათანას — ზროხა, პატარას — გამოზამთრული; იმის დაბალს — ცხუარი, თუ ერთი კომლია — ორი შაური. ერთი წელიწადი შუაზედ გამოვიდეს, და მესამეს წელიწადზედ აიღონ“[16].

რა თქმა უნდა, მეცხოველეობისა და კერძოდ საბალახეს სამეფო შემოსავალი ზემოთქმულით არ ამოიწურებოდა, მაგრამ ამ მოვლენის სხვა მხარეებზე სხვა ადგილას გვექნება მსჯელობა[17].

როგორც მოყვანილი მასალებიდან ჩანს, მე-19 საუკუნემდე საქართველოში იალაღებისა და ყიშლაღების სახით არსებული საბალახოების ძირითადი მასივები სამეფო საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო ს ა ბ ა ლ ა ხ ო ს სახელწოდებით არსებული გამოსაღები გაიწერებოდა არა ტერიტორიის, რამედ პირუტყვის რაოდენობის კვალობაზე. გამოსაღები ნატურალურ ხასიათს ატარებდა და ფულზე ზოგიერთ შემთხვევაში, უმეტეს წილად გამოსაღების განაკვეთთა გრადაციების

---

[16] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, „დასტურლამალი“, გვ. 65.

[17] სხვისი მ.ჭ.ელით სარგებლობისათვის ს ა ბ ა ლ ა ხ ე, როგორც გადასახდელი, ვ ერცელებული იყო შუა საუკუნეებშიაც. 1504 წ. იგი მოხსენებულია მცხეთის ეკლესიის სიგელში (ი. ე ო რ დ ა ნ ი ა, „ქრონიკები...“, II, 324). 1655 წელს მცხეთის ტაძრისათვის მიცემულ სიგელში რ ო ს ტ ო მ მეფე აცხადებდა: „როდესაც თქვენს საყდრის მამულში ან თათრის ან ქართველის კაცისა ცხუარმან იყიშლაღოს ფარის თავს თვითოს ცხუარს უკლებლივ თქუენს მებალახეთ მიაბარებენო“ (იქვე, გვ. 469). 1679 წ. სიგელით მანგლელი ეპისკოპოზი მოითხოვდა, რომ სოფ. მეთრევანის მცხოვრებლებმა „საბალახე, როგორ, თრიალეთზე იღებენ ისრე, ამ წესით გამოიღონო“ (იქვე, 495; იხ. აგრ. ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, „დასტურლამალი“, §§ ბვ, რკე). ზოგიერთი სოფელი (თემი) თავისუფალი იყო საბალახე გადასახდელისაგან (იქვე, § რნა). საკუთრად საბალახე მიწები იყოფოდა სხვადასხვა პირუტყვისათვის. მაგალითად, ცალკე იყო „საბალახე ცხურისა“ (იქვე § სთ), ასევე „ღორის საბალახე“ (იქვე, § რნდ).

გამოსახატავად იანგარიშებოდა; ხოლო აკრებით, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, პროდუქტებით (ნატურალური სახით) აიღებოდა.

ირანის ყოფილ პროვინციებში, მაგალითად, მუღანის ველზე მცხოვრები შ ა ხ ს ე ვ ა ნ ე ბ ი საბალახოებით სარგებლობისათვის ირანის შაჰსა და მის ხანებს ნატურითა და ფულით უხდიდნენ სპეციალურ მოსაკრებელს, ჩ უ პ-ბ ა შ ი ს სახელწოდებით. ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთების დროიდან ეს საბალახოები სახაზინოდ ჩაირიცხა.

საბალახოების მნიშვნელოვანი ნაწილი ბოძება-წყალობისა და მიტაცების გზით გადადიოდა ეკლესია-მონასტრებისა და კერძო პირთა ხელში. მაგალითად, თრიალეთის საბალახოები, დაახლოებით 200.000 დესეტინა, 1846 წლამდე მთლიანად სახაზინო იყო. მაგრამ თრიალეთზე პრეტენზიები განაცხადეს კერძო პირებმა[18], თავადებმა — ციციშვილებმა, თარხნიშვილებმა და ჯავახიშვილებმა, რომელთაც შეძლეს კიდევაც ამ საბალახოების მნიშვნელოვანი ნაწილის მისაკუთრება. 1880-იანი წლების შუაში აქ ხაზინის საკუთრებად ირიცხებოდა მხოლოდ 50.000-მდე დესეტინა.

ცარიზმის ხელისუფლებამ მთელ ამიერკავკასიაზე გაავრცელა სახაზინო საძოვრებით სარგებლობისათვის საქართველოში შემოღებული მოსაკრებელი — ს ა ბ ა ლ ა ხ ო ს სახელწოდებით; საბალახო გამოსაღები ნატურალური იყო და გაიწერებოდა პირუტყვის თავზე და არა ტერიტორიის ფართობის მიხედვით. საბალახოს განაკვეთი დიფერენციული იყო ადგილმდებარეობის შესაბამისად; მაგალითად, საქართველოს დაბლობის საძოვრებზე ყოველ 40 კრავზე 1 კრავი და 1 ბათმანი ყველი. კრავის ნაცვლად ჯოგის პატრონი ხშირად იხდიდა ერ-მან, ხოლო ნაცვლად ყველისა — 30 კაპ. მუშა-პირუტყვს გადასახდელი არ ეღებოდა; ყოველი მეწველი ძროხისათვის კი ხაზინა ღებულობდა 0,5 ოყა ერბოს ანდა 12,5 კაპ. ხაზინამ ამ გამოსაღებთა აკრების „გაადვილების მიზნით" მალე იგი

[18] АСКАК, VIII, № 2263.

იჯარა-შესყიდვის სახით გადასცა კერძო პირებს. მეიჯარე 100 ცხვარზე ღებულობდა ერთ პირუტყვს, ანდა 1 მანეთს ფულად, ხოლო რქიანი პირუტყვისა და ცხენ-სათვის თავზე 5 კაპ.

აზერბაიჯანის რიგ ყოფილ სახანოში მეიჯარე მოსაკრებელს დიდხანს ახდევინებდა რუსეთთან შეერთებამდე არსებული განაკვეთის მიხედვით. მაგალითად, ყარაბაღის მაზრაში მეიჯარეს მიქონდა: 500 ცხვარსა თუ თხაზე 1 მან და 32 კაპ.; 100 თავ მსხვილ რქიან პირუტყვზე — 1 მ. 80 კაპ.; 100 ცხენსა თუ ჯორზე — 3 მან.[19].

ყარაბაღში იალაღები იჯარით გაიცემოდა ყიშლაღებთან ერთად, რამდენადაც მეცხოველეობის მომდევარი მოსახლეობისათვის „საზაფხულო საძოვრები საზამთრო საძოვრების აუცილებელ დამატებას წარმოადგენდა"; — ასე რომ მოსახლეობა „მხოლოდ ყიშლაღის სარგებლობისათვის იხდიდა" ღალას.

საძოვრების იჯარით გაცემა საქართველოში გრძელდებოდა 1843 წლამდე. ამ დროიდან საერთოდ მოსახლეობაზე გამოსაღებთა ახალი განაკვეთების შემოღებისას ამავე ჩათვლილ იქნა საძოვრებზე გაწერილი გადასახდელებიც, რის გამოც, ამიერიდან, საძოვრები მოსახლეობას მიეცა „უსაფასურო სარგებლობაში".

საბალახოებით ეს „უსაფასურო სარგებლობა" გრძელდებოდა მხოლოდ 7 წელიწადს. 1850 წ. საბალახო მოსაკრებელი აღდგენილ იქნა თრიალეთისა და არჯევანის საძოვრებზე: ას ცხვარზე — 2 ცხვრისა და თვითეულ მსხვილ რქიან პირუტყვსა და ცხენზე — 30 კაპ. რაოდენობით. ეს გადასახდელი მოსახლეობამ „მეტისმეტად მძიმედ" მიიჩნია. შედეგად რიგი „აყალ-მაყალისა" იგი შემცირებულ იქნა: თვითეულ ცხვარსა და თხაზე — 1 კაპ.; მსხვილ რქიან პირუტყვსა და ცხენებზე 9 კაპ. თავზე. ეს განაკვეთები გავრცელდა თბილისის გუბერნიის ყველა იალაღზე.

---

[19] СМИЭБГКЗК, V, II, 83—84.

შემახიას გუბერნიაში 1868 წლამდე მსხვილ რქიანზე 3 კაპ., ხოლო ცხვარზე 1,5 კაპ. იყო დაწესებული. ამ დროიდან როგორც შემახიას ისე ბაქოს გუბერნიაში გარკვეული საბალახო ფართობი (ნაკვეთებად) თემებს (სოფლებს) ეძლეოდა წლიური გადაკვეთილი ვადასახდელით, რის განსაზღვრაშიაც მხედველობაში მიიღებოდა პირუტყვის რაოდენობა. ამ ღონისძიებით ნავარაუდევი იყო ხაზინის განთავისუფლება საბალახოების დაცვისა და მოვლის ზრუნვისაგან და თანაც შემოსავალის გადიდება. სინამდვილეში ეს ვარაუდი არ გაამართლა. მაინც, ეს წესი ძალაში დარჩა თვით 1880-იანი წლების შუამდე.

ხსენებული „ორივე მხარისათვის უხერხული ხერხის“ არსებობის გახანგრძლივებას ხელი შეუწყო ამიერკავკასიის „მუსულმანურ პროვინციებში“ 1870 წელს ჩატარებულმა საგლეხო რეფორმამ. ამ რეფორმასთან დაკავშირებულმა კანონებმა ბაქოს, ელისავეტპოლის, ერევნის გუბერნიებში და თბილისის გუბერნიის ახალციხისა და ბორჩალოს მაზრებში უცვლელად დასტოვა „საბალახოებით სარგებლობის ძველი ადათობრივი წესები“.

კავკასიის ნამესტნიკი მ. რომანოვი ხსენებული რეფორმის შესახებ ამიერკავკასიის მოსახლეობისადმი თავის მოწოდებაში საზეიმოდ აცხადებდა, რომ „მომთაბარე თემები, რომელთაც არა აქვთ მუდმივ სანადელო მიწები და რომელთა მთავარი საქმიანობა მეცხოველეობაა, ამ დებულების დამტკიცებიდან 6 წლის მანძილზე ინარჩუნებენ მომთაბარეობის უფლებებს, — მემამულეთა საბალახოებზე არსებული წესების საფუძველზე. ამ ვადის გასვლის მერმე გამოიცემა წესები მათი ცხოვრების მოწესრიგებისათვისო“[20]. — ოღონდ ამ „ცხოვრების მომწესრიგებელი“ წესების გამოცემას, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შეპირებულზე ბევრად მეტი დრო მოუნდა.

ერევნის გუბერნიის საძოვრებზე, მაგალითად, ახალბაიაზეთის მაზრის იალაღებში 1885 წლამდე დაწესებული იყო სა-

[20] П. Гугушвили. „Сельское хозяйство...“, II, 642.

ბალახო მოსაკრებელი: თავზე მსხვილი პირუტყვისა (მსხვ. რქიანი, ცხენი, აქლემი) — 10 კაპ., ხოლო წვრილისა (ცხვარი, თხა) — 1 კაპ. იალაღებზე გასვლის წინ მოსახლეობა ვალდებული იყო აეღო საბალახოთი სარგებლობის ბილეთი და, მაშასადამე, შეეტანა მოსაკრებელი პირუტყვის რაოდენობის შესაბამისად. ბილეთზე აღნიშნული იყო პირუტყვის რიცხვი,— ზედმეტისათვის მეჯოგე იხდიდა ჯარიმას, რაც გაორმაგებულ მოსაკრებელს უდრიდა.

1882 წლიდან, ცდის სახით, ცალკე რაიონებში, დაიწყო პირუტყვის სულადობის მიხედვით დადგენილი, არსებითად ნატურალური, ს ა ბ ა ლ ა ხ ო მ ო ს ა კ რ ე ბ ე ლ ი ს ს ი ს ტ ე მ ი ს შ ე ც ვ ლ ა. საბალახო მოსაკრებელი, როგორც საძოვრებისაგან მისაღები შემოსავალი, ცარიზმის ადმინისტრაციამ, ჯერ კიდევ რეფორმამდელი პერიოდიდან მოყოლებული, ნელ-ნელა გაავრცელა მთელ ამიერკავკასიაზე. მაგრამ 1880-იანი წლებიდან საქონლური მეურნეობის სწრაფი განვითარების პირობებში თავდაპირველი სახით მისი დატოვება უკვე შეუძლებლად იყო მიჩნეული.

ხელისუფლება კარგა ხანს მერყეობდა სახაზინო საძოვრებისაგან შემოსავლის მიღების ახალი ხერხის შერჩევაში. ადმინისტრაცია მაინც ცნობდა, რომ „მოსახლეობისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი იყო მოსაკრებელთა მეცხოველეობის პროდუქტებით აღების ძველი დროიდანვე არსებული წესი“.

მაგრამ ამ პროდუქტების აკრება, დაცვა და გაყიდვა დაკავშირებული იყო დიდ სიძნელეებთან და ამასთანავე იგი შეუთავსებელი იყო „კეთილმოწყობილ სახელმწიფოებში არსებულ ფინანსურ სისტემასთან, რაც გადახდევინებისა და კონტროლის სიადვილით განირჩეოდა“. საერთოდაც ნატურალურ მოსაკრებელთა სისტემა ამ დროიდან, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ესოდენ სწრაფი განვითარების პირობებში, მეტისმეტად არქაულად გამოიყურებოდა. ამ მოსაკრებელთა იჯარა-გამოსყიდვის წესით გაცემაც დიდ უხერხულობასთან იყო და-

კავშირებული. მოსახლეობა სულ ჩიოდა მეიჯარე-შემსყიდველთ გაუმაძღრობაზე.

ერთი სიტყვით, არსებული სისტემა, როგორც პ. ვარავინი წერს, „ხელსაყრელი იყო არაკეთილსინდისიერ კონტროლიორებისათვის, ვეტერინარებისათვის და საზარალო ხაზინისათვის“, რომელიც საბალახო მოსაკრებელის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს ღებულობდა[21].

კერძოდ ყარაბალის იალაღებშიაც, —სადაც პირუტყვის რაოდენობის კვალობაზე გაწერილი საბალახო მოსაკრებელი შემოღებულ იქნა 1852 წლიდან (საერთოდ შემახიას გუბერნიაში ახალი საგადასახადო სისტემის, ნატურალური გადასახდელების ფულზე გადაყვანის, შემოღების დროიდან) და მოქმედებდა 1883 წლამდე; როგორც მ. სკიბიცკი აღნიშნავს მეჯოგეთა ამ მოსაკრებელით დაბეგვრა „დიდი ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა“. საბალახო მოსაკრებელზე არსებული წესის თანახმად მეჯოგეს, რომელმაც დადგენილი თანხა შეიტანა, ეძლეოდა პირუტყვის ძოვების ნებართვა—ბილეთი; თვით პირუტყვის რაოდენობას ადგილზე ამოწმებდა ჯერ პოლიცია, ხოლო მერმე, 1878 წლიდან, სახელმწიფო ქონებათა გამგებლობის აგენტი. იალაღების სიდიდისა და ცუდი გზების გამო აქ პირუტყვის აღრიცხვა და კონტროლი ძნელი იყო და, ცხადია, ადმინისტრაციასა და მოსახლეობას შორის ამ ნიადაგზე ხშირად ჰქონდა ადგილი შეხლა-შემოხლას[22].

ამიერკავკასიელ სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფიერების შემსწავლელთა მიერ 1880-იან წლებში დაგროვდა ფნიშვნელოვანი მასალა კერძოდ მეცხოველეობისა და საბალახოებისა შესახებ. ამ მასალებიდან პ. ვარავინმა ამოკრიბა, როგორც სახაზინო ისე კერძო იალაღებისა და ყიშლაღების საიჯარო ქირის შესახებები ცნობები. როგორც ვიცით, საბალახოებით სარგებლობისათვის ამ დროს ამიერკავკასიაში ყვე-

---

[21] П. Варавин, „Летняя и зимняя пастбища Закавказского края“, 1888, Тифлис, стр. 87—88.

[22] МУКДЗИНСК, IV, 90—91.

ლაზე უფრო გავრცელებული იყო ე. წ. ს ა ბ ა ლ ა ხ ო მოსაკრებელი, რაც პირუტყვის თავზე იანგარიშებოდა; — იყო აგრეთვე შემთხვევები საბალახოთა ნაკვეთებად ფულზე გაქირავებისა და საკმაოდ გავრცელებული წესი საბალახოთა მასივების მეიჯარისათვის გადაცემისა, როდესაც უკანასკნელს შეეძლო თავის მხრივ სხვისთვისაც მიექირავებია საძოვარი ადგილი.

3. ვარავინმა მთელი ეს მონაცემები ს-სტეპში მოიყვანა ცხრილების სახით და ყოველგვარი საბალახოების სხვადასხვა სახის საიჯარო შემოსავალი გაიანგარიშა დესეტინაზე — ცალკე გუბერნიებისა და მაზრების მიხედვით. ამ მასალათა მიხედვით ჩანს, რომ საბალახოების, განსაკუთრებით კერძოფლობელთა საბალახოების საიჯარო ფასი ნაკლებად იყო დამოკიდებული თვით მისი ღირსებისაგან და „უმეტეს ნაწილად ისაზღვრებოდა მოსახლეობის მხრივ მასზე არსებული მოთხოვნილების ხარისხით“. 1880-იან წლებში მუღანის ველზე ფრიად კარგი საბალახოები გაიცემოდა დესეტინა 5 კაპიკად და მაინც სანახევროდ გაუცემელი რჩებოდა. ამასთანავე, შედარებით ცუდ საბალახოებზე ყარაიის ველისა 1 დესეტინის საშუალო საიჯარო ფასი 35 კაპ. შეადგენდა, ხოლო ერევნის გუბერნიაში, სადაც ბუნებრივი საზამთრო საძოვრები მცირე იყო, 1 დეს. საიჯარო ქირა მანეთამდეც აღწევდა. ასეთსავე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი საზაფხულო საძოვრებზედაც. იმავე ერევნის გუბ. ახალბაიაზეთის მაზრაში, სადაც საზაფხულო საძოვრები ბევრი იყო, 1 დეს. საიჯარო ქირა 15 კაპ. შეადგენდა, ხოლო ახალქალაქის მაზრაში ანალოგიური ნაკვეთების 1 დეს. საიჯარო ქირა 85 კაპ. აღწევდა.

1880-იანი წლების შუაში, სახაზინო და კერძო საბალახოების 1 დესეტინის საშუალო საიჯარო ქირა გუბერნიების მიხედვით უდრიდა:

ს ა ზ ა ფ ხ უ ლ ო ს ა ძ ო ვ რ ე ბ ზ ე

თბილისის გუბ. .	. 43 კაპ.
ბაქოს „	. 16 „
ქუთაისის „	. 63 „

საზამთრო საძოვრებზე:

თბილისის	გუბ. .	28 კაპ.
ბაქოს	„	21 „
ერევნის	„	58 „
ელისავეტპოლის	„	. 23 „

ამგვარად, მთელს ამიერკავკასიაში საბალახოთა საშუალო საიჯარო ქირა ყველაზე მაღალი იყო ქუთაისის გუბერნიაში, აქ საერთოდაც ყოველგვარი სახმარი მიწის საიჯარო ქირაც უფრო მაღალი იყო, ვინემ სადმე სხვაგან კავკასიაში. ამასთანავე ქუთაისის გუბერნიის საზაფხულო საბალახოები მდებარეობენ ძნელად მისასვლელ ადგილებში რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებისა; — გუბერნიის დანარჩენი ნაწილი, გარდა ბათუმის ოლქის და ახალციხის მაზრის მოსაზღვრე ადგილებისა, მოკლებული იყო სამთო საბალახოებს.

თბილისის გუბერნიაც მთის საბალახოების დიდ ნაკლებობას განიცდიდა. ამ გუბერნიის მცხოვრებთ 1880-იან წლებში ერევნის გუბერნიაში ჰქონდათ იჯარით აღებული 14.000 დეს. საბალახო და ამას გარდა ისინი პირუტყვს მიერეკებოდნენ ყარსისა და დაღისტნის ოლქებში. საზამთრო საბალახოები მცირე ზომითაა ერევნის გუბერნიაში, რის გამოც საბალახოების საიჯარო ქირა აქ მაღალი იყო. ბაქოს გუბერნიაში ამ დროს კიდევ ბლომად იყო სავსებით გამოუყენებელი საზამთრო საძოვრები.

საბალახოებით სარგებლობის მოწესრიგების საქმეშიაც ერთ-ერთი უაღრესად მტკივნეული საკითხი იყო კერძოდ იჯარის ვადის სიდიდე. საერთოდ საძოვრები მოკლევადიანი იჯარით გადაცემოდა. მაგალითად, შირაქისა და ელდარის ველების საბალახოებზე გაბატონებული იყო სამწლიანი იჯარა.

რა თქმა უნდა, საბალახოებით სარგებლობის საკითხი ადგილობრივი პუბლიცისტიკის მსჯელობის საგანიც იყო. ივ. მაჩაბელი, 1883 წელს ეხებოდა რა საძოვრების იჯარის მოწესრიგებას, აღნიშნავდა: სამწლიანი იჯარა „ძალიან პატარა ვადათ მიგვაჩნია“, რადგან „საქონლის პატრონს მაშინ შეუძლია თავისი ანგარიშები კარგად გასწიოს, და საქონლის მო-

შენებაც უმატოს, როცა დარწმუნებული იქნება, რომ კარგა დიდი ხნობით მას საძოვარს ადგილს არავინ შეეცილება... ამისთვის სამართლიანი იქნებოდა, რომ ვადა იჯარისა რაც შეიძლება უფრო მეტი ყოფილიყოო" — აცხადებდა იგი[23].

1883 წ. ამიერკავკასიის სახაზინო საბალახოები სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგებლობაში გადავიდა. ამ სამინისტრომ ხელი მოკიდა საბალახოების მოწესრიგების საქმეს. შედგენილ იქნა კანონპროექტი „ამიერკავკასიის სახაზინო საზამთრო და საზაფხულო საძოვართა სარგებლობის წესთა დადგენისა", რაც მინისტრთა კომიტეტმა განიხილა და დაამტკიცა 1884 წელს.

ამ, 1884 წ. 29 ივნისის. კანონით იკრძალება მოსახლეობის სარგებლობაში მყოფი საბალახოებიდან კერძოდ საზაფხულო საბალახოების გასხვისება კერძო პირებსა თუ საზოგადოებებზე, ასევე სახელმწიფო გლეხებისათვის მათი სანადელოდ გამოყოფა; საზამთრო საბალახოებიდან შეიძლება გამოიყოს მხოლოდ ის მიწები, რომლებიც მოირწყვიან და შევლენ მიწათმოქმედების არეალში; საბალახოებით სარგებლობისათვის შემოღებულ იქნა საჯარო საფასური — ცალკე ნაკვეთების ხარისხისა და სიდიდის შესაბამისად; — მოსახლეობის საჭიროების დაკმაყოფილების შემდეგ მთელი თავისუფალი საბალახოების ფართობი გადადიოდა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უშუალო განკარგულებაში.

საერთოდ საბალახოები მოსახლეობას შორის ნაწილდებოდა პერიოდულად „მოცემულ დროში არსებული ნამდვილი საჭიროების შესაბამისად"; — ასევე ისაზღვრებოდა საიჯარო ქირა.

საბალახოების მოწესრიგების მიზნით სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ხელი მოკიდა მათს შესწავლას. ამის შედეგი იყო 1880-იან წლებში წამოწყებული მრავალტომიანი გამოცემა „Материалы для устройства казенных летних и зимних пастбищь и для изучения скотоводства на Кав-

[23] გაზ. „დროება", 1883, № 242, მოწინავე.

казе", — რაც საკითხზე მდიდარ და საინტერესო მასალას შეიცავს, თუმცა ამ სასარგებლო საქმის ბოლომდე მიყვანა ცარიზმის ადმინისტრაციამ ვერ შესძლო.

ხელისუფლების განკარგულებით „სახელმწიფო გლეხთა საადგილმამულო მოწყობამდე" გლეხთა თემებისათვის სანადელოდ მიცემული საბალახოები „იმავე მდგომარეობაში" რჩებოდა. კონტრაქტების საფუძველზე გაცემული საბალახოებიც „ვადის გასვლამდე" ძველებურადვე რჩებოდა მოსარგებლეთა ხელში. „ყველა დანარჩენი საბალახოები" იბეგრებოდა დ ე ს ე ტ ი ნ ო ბ რ ი ვ ი მოსაკრებელით (подесятинный сбор).

საბაზინო საბალახოებზე დესეტინობრივი მოსაკრებელის განსაზღვრისას მხედველობაში იქნა მიღებული ცალკე გუბერნიების საბალახოების შემოსავალი. ამ შემოსავალს დაერიცხა 24 — 37% და დადგინდა ცალკეული გუბერნიისა და თვითეული საბალახოსათვის დესეტინობრივი განაკვეთები. ბაქოსა და ერევნის გუბერნიების საზაფხულო საძოვრებზე— 15 კაპ., ელისავეტპოლისა — 12 კაპ., ქუთაისისა — 30 კაპ. თბილისის გუბერნიის საზაფხულო საბალახოებით სარგებლობისათვის დადგინდა 4 თანრიგის დესეტინობრივი განაკვეთი: 80, 50, 25 და 10 კაპ. საზამთრო საძოვრებისათვის თბილისის, ერევნის და ელისავეტპოლის გუბერნიებისა 10 კაპ., ბაქოს გუბ. — 80 კაპ., მუღანის ველის გამოკლებით, სადაც დესეტინობრივი განაკვეთი უდრიდა 5 კაპიკს. გუბერნიების შიგნით ნაგულისხმევი იყო დესეტინობრივი განაკვეთის აწევ-დაწევა „ცალკე საბალახოების შემოსავლიანობის მნიშვნელოვან განსხვავებათა გამო". ამ ახალი სისტემის გატარებით საბაზინო საბალახოების შემოსავალი ამიერკავკასიაში დიდდებოდა 36 პროცენტით.

დესეტინობრივი მოსაკრებელი ბაზინაში უნდა შეტანილიყო: საზაფხულო საძოვრებიდან აპრილსა და მაისში, ხოლო საზამთროთგან — ოქტომბერსა და ნოემბერს. ცხადია, ამ დროიდან მეტის ინტენსივობით უნდა დაძრულიყო წინ საბალახოების გამიჯვნისა და საერთოდ მათი ფართობის შედარე-

ბით ზუსტი აღრიცხვის საქმეც. თუმცა საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციის ბიუროკრატიულმა აპარატმა ესლონისძიებები მხოლოდ დიდის დაგვიანებით და ისიც ნაწილობრივ გაატარა ცხოვრებაში.

1884 წ. კანონის შესაბამისად შედარებით ადრე მოხდა, მაგალითად, ყარაბაღის სახაზინო საზაფხულო საძოვრების მოწესრიგება. აქ 1891 წელს მთელი იალაღები, „მცენარეულობის, წყალმომარაგების ხარისხის, სამიმოსვლო გზათა ვარგისიანობის, საძოვართა სარგებლობის ხანგრძლივობისა“ და საერთოდ მეურნეობრივი მნიშვნელობის მიხედვით, დაიყო ოთხ ჯგუფად და 1 დესეტინის საიჯარო განაკვეთი დადგინდა I ჯგუფზე — 35 კაპ., II—20 კაპ., III—12 კაპ. და IV-ზე—8 კაპ. საერთოდ 1884 წ. კანონის ცხოვრებაში გატარებით ადმინისტრაციამ მოახერხა შესამჩნევად აეწია საბალახოების საიჯარო ქირა. კერძოდ ყარაბაღის იალაღების (დაახლ. 250.000 დეს.) საშუალო საიჯარო ქირა 15 კაპ. აღემატებოდა[24].

მაინც, როგორც ზემოთმოყვანილი მასალებიდანაც ნათლად ჩანს, სახაზინო საბალახოებზე საიჯარო ქირა მნიშვნელოვნად უფრო დაბალი იყო, ვინემ კერძომფლობელთა მიწებზე. ყარაბაღში კერძო იალაღების საიჯარო ქირა 1 მან. და ზოგან მეტსაც უდრიდა.

საქმე იმაშია, რომ კერძომფლობელთა მიწების, იქნებოდა იგი სახნავი, ტყე, საკენახე თუ საბალახო, იჯარის წესები არ იყო საერთოდ რაიმე კანონმდებლობითი აქტებით მოწესრიგებული, ასე რომ უმიწაწყლო უშუალომწარმოებელთა კლასი მემამულეთა სრულ კაბალაში იმყოფებოდა. აღსანიშნავია, რომ საბალახოებითა და საძოვრებით ჯერ კიდევ ბატონყმობის გაუქმებამდეც სარგებლობდნენ მემამულეები, რათა თავიანთ დამოკიდებულებაში მოექციათ, დაეკაბალებიათ პირადად თავისუფალი მეჯოგე გლეხებიც[25].

---

[24] М. Скибицкий, „Карабакския казенныя летния пастбища“ (МУКЛЗПИСК, 1899, IV, стр. 94—96).

[25] П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения“, т. II, стр. 178—179, 203, 217, 234; см. также т. IV, стр. 789, 792, 822.

ქ. ვერმიშევი იძულებული იყო ელიარებია, რომ საიჯარო ურთიერთობათა ასეთი თავისუფლების პირობებში... ჩვენი მეჯოგის მდგომარეობა, რაც დაფუძნებულია კერძო პირთა საბალახოების სარგებლობაზე, არ შეიძლება განსაკუთრებით არამყარ ვითარებაში არ იმყოფებოდესო"[26]. იგი პირდაპირ აცხადებს: „რა წინადადებაც არ წამოაყენოს მიწისმფლობელმა, როგორც გინდ მძიმე არ იყოს მისი პირობები, მეჯოგეს არ შეუძლია უარი თქვას საბალახოს იჯარაზე, რომელზედაც დამოკიდებულია ბედი პირუტყვში მოთავსებული მთელი მისი კაპიტალისა. არ ექნება საძოვარი და მან უნდა დაჰკარგოს მთელი თავისი შეძლება, რაც დიდი ხნის მანძილზე დაუგროვებია"[27].

ილია ჭავჭავაძე, ხანგრძლივი უშუალო დაკვირვების შედეგად, 1897 წ. წერდა: „რაკი შემოდგომით ელი თათრისა მთიდამ დაიძვრის და ბარში ჩამოდის, მთელი ტფილისის გუბერნია მოდებულია მათგან. ამ ბარად ჩამოსვლის პირველ ხანებში გზებზე ისე არ გაივლით, რომ ხან აქ, ხან იქ, გზების შორიახლო არ ჰნახოთ დაბარგებული თათარი მთელის თავისის ოჯახითა, საქონლითა, რომელიც საზამთრო ბინას დაეძებს. ხან ერთს საძოვრის პატრონს მიადგება კარზე, ხან მეორეს ხვეწნითა და მუდარითა, საქონელი დამაყენებინეო. საბინაო პირობა ხშირად ასეთია: თუ საძოვრის პატრონს მოცადი საქონელი ჰყავს, თათარი რამდენიც თვითონა ჰყავს, იმდენს საძოვრის პატრონისას ჩაიბარებს სანაშენოდ და რაც საქონლის პატრონს მეტი საქონელი ჰყავს, იმასაც უნდა მოუაროს და უმწყესოს მუქთად და უჯამაგიროდ დედა-წულიანად. პირობა ხშირად სამი წლის ვადითა აქვთ. სამის წლის შემდეგ მოგება სანაშენოსი შუაზე უნდა გაიყონ, საძოვრის პატრონის ნამეტან საქონლის მონაგები-კი მთლად უნდა ჩააბაროს პატრონსა. არც იმისთანა პირობაა იშვიათი, რომ თათარი პირდაპირ

[26] Х. Вермишев, „О скотоводстве на Кавказе в связи с пастбищным вопросом" (МУКДЗННСК, 1887 г., т. I, стр. 93).

[27] იქვე.

მწყემსად დაუდგეს მთელის თავისის ოჯახით და დედა-წულით მუქთადვე და უჯამაგიროდ, ოღონდ საქონელი გამოაკვებინოს საძოვრის პატრონმა თავისს ადგილებში"[28].

ამასთანავე რაც დრო გადიოდა საბალახოების სიმცირე და, მაშასადამე, მაღალი საიჯარო ქირა სულ უფრო მძიმედ აწვებოდა უშუალო მწარმოებელთა მასებს. განსაკუთრებით მწვავე იყო მდგომარეობა, მაგალითად, ქუთაისის გუბერნიაში. რსდმპ მესამე ყრილობაზე მ. ცხ ა კ ა ი ა ასე ახასიათებდა აქაური სოფლის მდგომარეობას: „ხაზინას, თავადებსა და ეკლესიას ეკუთვნით მიწების უზარმაზარი ფართობები — ტყეები და მთები, ხახნავი და მდელოები, საბალახოები და სათიბები. გლეხსა და მის პირუტყვს, შინაურ ფრინველსაც, არა აქვთ ფაცხიდან და ეზოდან გარედ გამოსასვლელი: ყველგან მიწაზე იგი „სხვისია" და უნდა იხადოს საბალახოსათვისაც, ტყისათვისაც და სხვ."[29].

4. ყიშლაღიდან იალაღისაკენ და პირუტყუ მიმოძრაობა

ყ ი შ ლ ა ღ ი დ ა ნ ი ა ლ ა ღ ა მ დ ე ჯოგს და საერთოდ მომთაბარე მოსახლეობას ხშირად უნდა გაევლო საკმაოდ დ ი დ ი მ ა ნ ძ ი ლ ი. მაგალითად, მილის ველის მომთაბარენი ჯოგს მიერეკებოდნენ ბაქოს გუბერნიის ჯევათის მაზრიდან ელისავეტპოლის მთელ გუბერნიაზე გავლით, ერევნის გუბერნიის იალაღებში. ეს გადასვლა 2 — 2.5 კვირა გრძელდებოდა.

ასევე გრძელ გზას გადიოდნენ თიანეთის მაზრიდან თუშები, რომლებიც შირაქის ველიდან (სილნაღის მაზრიდან) ცხვარს მიელალებოდნენ ყარსის ოლქის იალაღებში, — ხოლო ყარსის ოლქის თურქეთის ხელში გადასვლის მერმე ჩრდ. კავკასიაში კასპიისპირეთის საბალახოებში; ქუთაისის გუბერნიის, ზუგდიდსა და სენაკის მაზრებიდან პირუტყვს მიერეკე-

[28] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრ. კრებული, VIII, 249 — 250.
[29] „Протоколы III с'езда РСДРП", стр. 260—261.

ბოდნენ როგორც აჭარა-გურიის მთების, ასევე შავი ზღვის გუბერნიის საზაფხულო საძოვრებში. ლეკები-კი დაღისტნის ოლქიდან ვადმოდიოდნენ ბაქოს, თბილისისა და ერევნის გუბერნიების იალაღებში. შედარებით მოკლე გადასასვლელები ჰქონდათ მეჯოგე სომხებს, რომლებიც უმთავრესად მათსავე სოფლებთან მახლობლად მდებარე იალაღებით სარგებლობდნენ[30].

ყიშლაღიდან იალაღისაკენ მიმავალი ჯოგი გზაზე, ჩვეულებრივ, მათ შორის მანძილისაგან დამოუკიდებლად, მოთ უფრო მეტ ხანს აყოვნებს, რაც უფრო ხელსაყრელი და ვრცელი საგაზაფხულო საძოვრები მოიპოვება ამ გადასასვლელის გასწვრივ. ზოგიერთი მომთაბარე მოსახლეობისათვის ეს ე. წ. გ ა დ ა ს ა ს ვ ლ ე ლ ი, დროებითი სადგომ-საბალახოები — ი ა ზ დ ა გ ე ბ ი — აუცილებელი პირობა იყო, რათა გამოზამთრებისას დაუძლურებულს მის პირუტყვს მარტ-აპრილის თვეები „გაელწია“ და მაისში იალაღებამდე აელწია. ამ იაზდაგებში (საგაზაფხულო საბალახოებში) ჩვეულებრივ სწარმოებდა დოლის დაძვრა, ცხვრის გაკრეჭა. გრძელ გადასასვლელებზე ზოგან რამდენიმე იაზდაგი იყო.

სახაზინო იაზდაგებიდან ამიერკავკასიაში ცნობილი იყო, მაგალითად, ხონაშენი — შუშის მაზრაში. ხონაშენი წარმოადგენს ერთ-ერთ ტერასს შუშის მთების ქვემო მტკვრის ჭალებზე დაქანებისა. ხონაშენის ველი (35.000 დეს.) გაზაფხულსა და შემოდგომას იფარება ბალახით. აქ მრავლადაა წყაროები. საზაფხულო საძოვრებიდან საზამთროსაკენ და პირიქით მიმავალი მილის ველის (ბაქოს გუბერნიის) მომთაბარე თემები, რომელთაც საზაფხულო საძოვრები ჰქონდათ ერევნისა და ელისავეტპოლის გუბერნიებში, მარტ-აპრილისა და სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში ჩერდებოდნენ, „გრძელგზაზე შემდგარნი სულს ითქვამდნენ“, ხონაშენში.

---

[30] КСХ-ს რედაქცია (რედაქტორი ა. ქ ა ლ ა ნ თ ა რ ი) 1897 წ. დღის წესრიგზე აყენებდა საბალახოების ლოკალიზაციის საკითხს, რაც, მისი აზრით, გააადვილებდა და საერთოდ ხელს შეუწყობდა მეჯოგეობის (მეცხოველეობის) განვითარებას (КСХ, 1897 г., № 163, стр. 122).

თბილისის გუბერნიაში ამგვარ გადასასვლელ, საგაზაფხულო, საძოვარს (იაზდაგს) წარმოადგენდა ალვანის მინდორი— თუში მეცხვარეებისათვის, რომლებიც ჯოგს შირაქის ველიდან მიელალებოდნენ თიანეთის იალაღებისაკენ. ალვანის მინდორი თუშ მეჯოგეთა უსაფასურო სარგებლობაში იყო; იგი, ცალკე ნაკვეთებად დაყოფილი, ამა თუ იმ თუშური თემის სარგებლობაში ითვლებოდა.

ალპურ საბალახოებზე გამგზავრების სამზადისი, ჩვეულებრივ, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა. მაგალითად, ყარაიის მეჯოგეები თითქმის მთელი ზამთარი ემზადებოდნენ ამისათვის. „იალაღში ცხოვრება... მას ეხატება ფრიად მიმზიდველი სახით... მეჯოგე იმედოვნებს იქ გაასუქოს უჭმელობით მეტად გამხდარი თავისი პირუტყვი. დიასახლისი ფიქრობს რძის პროდუქტებისა და პირუტყვის ნამრავლის გაყიდვით იქ გააახლოს ოჯახის წევრთა გაცვეთილი ტანისამოსი და სხვა საოჯახო ნივთები. ახალგაზრდობა ოცნებობს ქორწინებით კავშირზე, რაც უკეთ ეწყობა იალაღებში. სხვისი დოვლათის მოყვარულს იქ ესახება დიდი სამკალი. ყაჩაღი, პოლიციას რომ ემალება, მთების მწვერვალებსა და ულრან ტყეებში უფრო თავისუფლად გრძნობს თავს. იალაღებში წასულ მოვალეს ვერ აწუხებს მევალე. იალაღურ ცხოვრებაში დასვენებას ელის მშრომელი. ერთი ოცნებობს მთის სუფთა ჰაერით გაიუმჯობესოს თავისი ჯანმრთელობა, მეორე — გაძღეს წყაროს მაცოცხლებელი წყლით და არ მოიპოვება თათარი, რომლის თვალში იალაღი ფართო ბარაქიან თავისუფლებას არ წარმოადგენდეს. იალაღებში მიდის შეძლებული, საშუალო შეძლების ოჯახი და მათს ნაკვალევს მიყვება ის ღატაკიც, რომელსაც სავსებით არა გააჩნია რა“[31].

თვით მე-20 ს. დასაწყისშიაც პირუტყვის მთაზე გარეკვა და უკან დაბრუნებაც არსებითად „სისტემისა და წესრიგის გარეშე წარმოებდა“. მომთაბარეებს გზებზე ხშირად არ ჰქონდათ მიჩენილი გარკვეული ადგილები — იაზდაგები — სადაც

[31] МНЭБГКЗК, П, П, 125.

მათ შეეძლებოდათ შეჩერება, რათა დაესვენებიათ პირუტყვი და მიეცათ მისთვის საკვები. ისინი ხშირად ჯოგებს მიერეკებოდნენ დღედაღამე და ამასთანავე „არ უშვებდნენ შემთხვევას, სადაც შესაძლებელია, ფარულად გადაუხვიონ პირდაპირ გზიდან, რათა პირუტყვი მიუშვან ბინადარი მოსახლეობის საძოვრებსა თუ სათიბებზე. მაგრამ ეს საქმე იშვიათად თავდება შეტაკებათა გარეშე. სიმართლე ყოველთვის ძლიერის მხარეზეა... საერთოდ ზაფხულის დადგომიდან და ზომთაბარეთა მოძრაობის დაწყებიდან იწყება ყოველგვარი უწესრიგობის სეზონი“[32].

არსებითად მთელი ამიერკავკასია გადასერილი იყო იალაღებიდან ყიშლაღებისაკენ და პირუკუ მიმავალი გზებით და, ამასთანავე, იმის გამო, რომ საბალახოები საერთოდ ამიერკავკასიაში და თვით მის ცალკე გუბერნიებშიაც ფრიად არათანაბარზომიერად იყო გაადგილებული, ამ ხშირად მეტად გრძელ გზებზე მიმოძრაობის მოწესრიგება, თვით საბალახოებით სარგებლობის მოწესრიგებასთან ერთად, ქვეყნის მეურნეობრივი ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენდა.

ილია ჭავჭავაძე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად სთვლიდა კერძოდ საბალახოებში მისასვლელი გზებისა და, მაშასადამე, პირუტყვის იალაღიდან ყიშლაღში და პირუკუ მიმოდენის საკითხს. იგი ეხება რა საერთოდ საკვები ბაზის სივიწროვეს აღნიშნავს: „ეს ნაკლი ისე საგრძნობი არ არის მუშა-საქონლის გამოკვებისათვის... ამისთვის ზამთარ-ზაფხულს სოფლის თავისუფალი მიწებია: გაჭირების დროს საქონლის პატრონები ტყესაც არა ჰზოგავენ ხოლმე... ნეკერს უკაფავენ და ისე გამოჰყავთ პირუტყვი. ეს მეტისმეტად მავნებელი ჩვეულება ტყეს ძალიან აზარალებს...“ მაგრამ ბევრად უფრო შევიწროვებულნი არიან „მოსაშენ საქონლის პატრონები... რომლებიც

[32] С. Бунятов, „Хозяйство кочевников“ (КСХ, 1897 г., № 203, стр. 757).

ზამთრობით ყიშლაღებზედ გარეკენ ხოლმე საქონელსა საძოვრად და ზაფხულობით იალაღებზედ. ამ იძულებულ წასვლა-მოსვლაში დიდძალი ხარჯი უნდებათ... ამასთანავე ამ ხარჯს გაღებაში რაიმე წესი და რიგი" არ არის დადგენილი. „საქონლის პატრონმა არ იცის, სად რა ხარჯი მოელის". მაგალითად, ქიზიყიდან თრიალეთისაკენ „რამდენი მეპატრონეთა მამულები უნდა გადმოლახონ ყველა თავისას ითხოვს". მწყემსებმა არ იციან „როგორ გაუძღვენ ცალკე გზატკეცილის, ცალკე ხიდების ბაჟსა და ცალკე კერძო მემამულეების ყარაულებსა, რომლებიც გზაში წინ გადაუდგებიან ხოლმე და რაც გუნებაში მოსდით, იმას ართმევენ"[33].

1880-იანი წლებიდან ადგილობრივი საძოვრების სივიწროვის გამო, მაგალითად, თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან, კახეთიდან ცხვრებს ვიერეკებოდნენ ყარსის ოლქში. მაგრამ ამ მიმართულებით მიმავალი წინანდელი შარა-გზები გზატკეცილებად გაკეთდა, რაც დიდი პროგრესი იყო საერთოდ მიმოსვლის საშუალებაში; მაგრამ ადმინისტრაციამ ამ გზებზე საფასურები დაწესა, რითაც მომთაბარე მეცხოველეობის ხარჯები მნიშვნელოვანად გაადიდა. მეჯოგეებს კეთილმოუწყობელ გზებზედაც საფასურს ახდევინებდა სოფლელი და მემამულე, რომელთაც „გზები დაუჩეჩებიათ"; — მწყემსებს საფასური უნდა ეხადათ ხიდზე გასვლისათვისაც. ყოველივე ამის გამო ისინი ხშირად არჩევდნენ პირუტყვი „უგზო-უკვლო ადგილებით" გაერეკათ და, ამგვარად, კეთილმოწყობილ გზებს მორიდებოდნენ.

ილია წერს: „კახეთიდამ მომავალ ცხვარზე პატრონმა მანგლისის გზატკეცილზე, 60 ვერსტის მანძილისა, უნდა გადაიხადოს ას ცხვარში 3 მანეთი; კახეთის სახელმწიფო გზაზე ამაზე უფრო მეტი გადასახადი ერთმევათ. გარდა ამისა მახტა დაწესებულია ივრის, მტკვრის, ქალაქში და ალგეთის ხიდზე, ასე რომ მარტო კახეთიდამ მანგლისამდე ასის ცხვრის გადალავა ბარიდამ მთაში 10 — 12 მანეთამდე უჯდება... ვინც კი

---

[33] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, სრ. კრებული, 1955 წ. ტ. IV, გვ. 170 — 173.

31. ბ. გუგუშვილი, მონოგრაფიები, ტ. III.

ოცის რა შემოსავალი აქვს ცხვარსა, ის ადვილად მიხვდება, რომ ამოდენა ხარჯს ვერ აუვა საქონლის პატრონი. სწორედ ამ მიზეზის გამოც საქონლის პატრონი ერიდება დიდს გზებსა და უგზო-უკვლოდ, ტყე-ღრეებზე, კერძო მემამულეების მიწა-წყალზე მიუდის საქონელი. წინათ საქონლის პატრონს ხმას არავინ სცემდა, მაგრამ დღეს, როცა მამულის პატრონებმაც ანგარიში ისწავლეს, საქონლის პატრონებს ხელი მოუჭირეს და უსასყიდლოდ თავიანთ მიწა-წყალზე არავის ატარებენ"[34].

ადგილობრივი ადმინისტრაცია ხედავდა რა მომთაბარეთა მიმოძრაობის ამ გზების მოუწესრიგებლობის და მოუწყობლობის საფუძველზე წარმომდგარ უხერხულობათ და ხშირად მწვავე შეტაკებებს, როგორც მიწათმოქმედ და მომთაბარე მოსახლეობას, ისე საერთოდ მოსახლეობასა და პოლიციას შორის, ცდილობდა ამ მტკივნეული საკითხის, რაც ამასთანავე დაკავშირებული იყო ისეთ მნიშვნელოვან მომენტთან, როგორიცაა ეპიზოტიის საკითხი, გადაჭრას, მაგრამ მისი ბიუროკრატიული აპარატის ხელში საქმე სულ უფრო და უფრო რთული ხლართებისა და ხვანჯების ქსელში ებმებოდა[35].

1906 წლის 24 თებერვალს გამოიცა კანონი, რაც ითვალისწინებდა მსხვილი რქიანი პირუტყვის საბალახოებისაკენ მიმოძრაობისადმი მეთვალყურეობის დაწესებას. ამ კანონის თანახმად ერთდროულად და წინასწარ დანიშნულ ვადებში, მას მერმე რაც მოხდებოდა პირუტყვის ვეტერინარული შემოწმება, უნდა გამოსულიყვნენ მეჯოგეები — მთელი სოფლობით და უკლებლად, ანდა მსხვილ პარტიებად, სოფლის ადმინისტრაციის მეთაურობით. ამასთანავე ასეთი პარტიების მოსალოდნელ დაძვრაზე წინასწარ უნდა შეეტყობინებიათ იმ მაზრის ადმინისტრაციისათვის, სადაც კენაც მიერეკებოდნენ პირუტყვს. თვით მომთაბარეებზე დაწესებული იყო ვეტერინა-

---

[34] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, სრ. კრებული, 1955 წ. ტ. IV, გვ. 172.

[35] „Доклад комиссии о правилах передвижения скота" (НСХ, 1903 г., № 484, стр. 1034—1036).

რულ-ადმინისტრაციული მეთვალყურეობა, რასაც ანბორციელებდნენ ვეტექიმი, პოლიციის მოხელე და ჩაფრები.

რა თქმა უნდა, ბიუროკრატიული და მექრთამე ადმინისტრაციის ხელში ამ კანონის ცხოვრებაში გატარებას არ შეიძლებოდა არ მოყოლოდა ბევრი მწვავე გართულებებისა და გაუგებრობებისაც. მაგალითად, შორეული მაზრებიდან ადმინისტრაციის წინასწარი თანხმობის მოტანის, შემდეგ ვეტერინარული შემოწმებისა და სხვა მეტისმეტად გაჭიანურებული პროცედურებისაგან, ასე თუ ისე დროულად, თავის დაღწევის ცდაში, როგორც ამბობდნენ, „თვით მეცხვარე უფრო იკრიჭებოდა პოლიციისაგან, ვინემ ცხვარი მეცხვარისაგან“[36].

მომთაბარე მეცხოველეობასთან დაკავშირებულ დავაქრობასა და აყალ-მაყალს ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ იალაღებში და არა მხოლოდ პირუტყვის გადაადგილების პროცესში. ყიშლაღებშიაც არ იყო იშვიათი ასეთი შეხლა-შემოხლანი მომთაბარე მეცხოველეობის მიმდევარ და ბინადარ მიწათმოქმედ მოსახლეობას შორის. შეიძლება ითქვას, რომ რეფორმის მერმინდელ პერიოდში, განსაკუთრებით 1880-იანი წლებიდან მოყოლებული, სულ უფრო მწვავდებოდა სწორედ უკანასკნელი ხასიათის წინააღმდეგობანი.

საზამთრო საბალახოების საზღვრებზე მცხოვრები მოსახლეობა, ამ დროიდან მაინც, სულ უფრო მეტის ინტენსივობით ეწეოდა ახალი, ყამირი მიწების, ე. ი. საზამთრო საბალახოების მოხვნას და ამ გზით სახნავ-სათესი მინდვრების გაფართოებას, ხოლო საბალახოების არეალის შემცირებას.

ახალი მიწების მოხვნას ხელს უწყობდა, ერთის მხრივ, სახნავთა სიმცირე, ძველი ათეულწლობითა და ხშირად საუკუნეებრივად დამუშავებული მიწების გამოფიტვა, მეორეს მხრივ, საირიგაციო სამუშაოთა გაძლიერება და მიწათმოქმედების ტექნიკის გაუმჯობესება, რაც შესაძლებელს ხდიდა აქამდე ურწყულ მიწებზე კულტურული მემცენარეობის განვითარებას, მიმოსვლის საშუალებათა გაუმჯობესება, საერთოდ მარ-

---

[36] „Труды I с,езда НКЗ ЗСФСР“, 1925, Тифлис, стр. 130—131.

ცვლეულზე მოთხოვნილების ზრდა, რაც საქალაქო ცხოვრების განვითარებისა და კერძოდ თვით მოსახლეობის გამრავლების შედეგს წარმოადგენდა.

მაგრამ ამ პროცესს ამწვავებდა ის თავისებური გარემოებაც, რომ, როგორც ერთხმად აღნიშნავდნენ თანამედროვე დამკვირებელნი, „ადგილობრივ მკვიდრთა შორის განმტკიცებული იყო ტრადიცია მიწების მიტაცებისა“, ე. ი. მოსაზღვრე ყამირი მიწების თავისუფალი მოხვნისა.

5. მომთაბარეთა ცხოვრება

საბალახოების დიდ მასივებში, განსაკუთრებით სახაზინო მამულებში, გავრცელებული იყო სახმართა თემური მიწათსარგებლობა. საზაფხულო საბალახოებზე ამოსული ყოველი სოფლის მეჯოგეები ნაწილდებიან ჯგუფებად, შესაბამისად მათ შორის დანაწილებული საბალახოს ნაკვეთებისა.

მაგალითად, ერევნის გუბერნიაში, 1830-იანი წლების ცნობით, მომთაბარეთა ნაწილი, თემებად დაწყობილი, ზაფხულობით ყოველთვის ერთსადაიმავე დაჩემებულ ადგილზე მიემგზავრებოდნენ, თითქოს იგი მათი საკუთრება ყოფილიყო; სხვები — იქ ეწყობოდნენ სადაც თავისუფალი და მოსახერხებელი ადგილი შეხვდებოდათ[37].

ვ. კამენსკის ცნობით, 1880-იანი წლების შუაში, ახალბაიაზეთის მაზრის კეიტ-იანიხის ხალაღებში შემავალი საბალახოები იყოფოდა ცალკე ნაკვეთებად, რასაც იურტს (ობას) უწოდებდნენ. თვითეულ ამ ნაკვეთს თავისი საკუთარი სახელი ჰქონდა და ცალკეული ნაკვეთი იყო: ერთად რამდენიმე გლეხური თემის, ან ერთი თემის, ან მეჯოგეთა ჯგუფის, ან გლეხური თემის ცალკე წევრების, ანდა, დასასრულ, ცალკე

[37] И. Шопен, „Историч. памятник состояния Армянской области...“, 1852, стр. 523.

პირთა სარგებლობაში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ყოველი საბალახო ნაკვეთი ამავე დროს ცალკე საგადამხდელო ერთეულსაც შეადგენდა[38].

1900-იანი წლების აღწერით ერევნის გუბერნიის ახალბაიაზეთისა და სურმალოს მაზრების ცნობილი იალაღები დიდძალ ხალხს იზიდავდა. აქ აპრილიდან ოქტომბრამდე 30 ათასამდე კაცი ამოდიოდა. საბალახოები ცალკე ნაკვეთებად დანაწილებული და „დიდი ხნიდანვე“ მიწერილი იყო მომთაბარეთა ამა თუ იმ თემსა თუ ჯგუფზე. საზღვრები მხოლოდ მომთაბარეთა „მეხსიერებაში არსებობდა“. მაგრამ თუ წინათ ყველას უხვად ჰქონდა საბალახო სივრცეები, ახლა „ყოველი გოჯი მიწისათვის თოფით ხელში იბრძვიან“, და მით უფრო ხშირად, რომ ცალკე ნაკვეთებს შორის მტკიცე საზღვრები არ იყო დადგენილი.

ამ იალაღებში, სტ. ყორღანოვის სიტყვებით, „მარტი და აპრილი — ესაა ვნებათა მთელი ხანძარი; ერთსადაიმავე ნაკვეთზე ცხადდება რამოდენიმე პრეტენდენტი... თუ ნახევრადველური ქურთის იურტზე, ახლა ერთბაშად ცხადდება ვიღაც ახალმოსული, რომელსაც ხელში უჭირავს ადმინისტრაციის ქაღალდი, რა გასაკვირელია, რომ გაწამაწია წუდება სატევრით და დავის ფინალში იღვრება სისხლი, რითაც მრავალწლობით ითესება სასტიკი მტრობა და არა მხოლოდ მოდავეთა შორის, არამედ მათს ნათესავებს შორისაც, რის შედეგადაც ხდება კიდევ რიგი მკვლელობა და დასახიჩრება“[39].

ბ. სკიბიცკის აღწერით, 1890-იანი წლების გასულს, ყარაბაღის საზაფხულო საძოვრებზედაც „გლეხთა საზოგადოებები საბალახოებით სარგებლობდნენ თემურობის საწყისებზე“. თუმცა აქ იალაღის თანასოფლელთა შორის განაწილებაში უკვე შესამჩნევი ყოფილა „სოფლისმპყრობელთა“, ე. ი.

---

[38] В. Каменский, „Кейты-Яныхские эйлаги Новобаязетского уезда, Эриванской губ.“ (МУКЛЗПИСК, I, 310).

[39] „Памятная книжка Эриванской губернии на 1904 г.“, 1903 Ереванъ, отд. III, стр. 53.

კულაკობის გავლენა. დიდი ჯოგის მფლობელები ავიწროებდნენ თანასოფლელ წვრილ მეჯოგეებს, რომელთაც სულ რამოდენიმე ათეული პირუტყვი ჰყავდათ. ხშირად ეს უკანასკნელნი იძულებულნი ხდებოდნენ სულ გასცლოდნენ მოცემული უხვბალახიანი ნაკვეთებიდან თავიანთ შეძლებულ თანასოფლელებს და სადმე სხვაგან, — მივარდნილ ღრანტე-ხევებში, — ეძიათ საბალახო ადგილები[40].

არაშვიათად, გლეხებსა და თანასოფლელ პრივილეგიური წოდების პირთ საერთო სარგებლობისათვის ერთად ჰქონდათ აღებული საბალახო ნაკვეთი. მაგრამ ბეგებისა და ალების თანამონაწილეობა „თითქვის ყოველთვის მძიმედ აწვებოდა გლეხებს". „ბეგები, როგორც ყველაზე უფრო მდიდრები და, მაშასადამე, ...გავლენიანები იკავებენ საუკეთესო ნაწილებს საერთო საბალახოებისა და, ამასთანავე, გლეხების მათდამი ეკონომიკური დამოკიდებულების მეოხებით, ამ საბალახოებისათვის არამცთუ არ იხდიან საფასურს მათი საბალახოების პროპორციულად, არამედ, ხშირად, საერთოდაც არაფერს არ იხდიან და ამგვარად, გლეხებს აიძულებენ იკისრონ საბალახოების იჯარის მთელი ხარჯები, იმ მოჩვენებითი სარგებლობისათვის, რაც გლეხებს ბეგებისაგან თითქოსდა აქვთ მათგან ფულის სესხად მიღებისა და სხვ. გზით"[41].

საბალახოების თემური სარგებლობის მსგავსი დაახლოებით ანალოგიური იყო მდგომარეობა საქართველოს მთიანეთშიაც. საერთოსასოფლო საბალახოს აქ 1880-იან წწ. ნომინალურად განაგებდა მთელი თემი. იყო ისეთი საბალახოები, რომელსაც რამოდენიმე სოფელი ერთად პატრონობდა[42]. მაგალითად, ნაროვანის საბალახოებით სარგებლობდნენ კობის საზოგადოების სოფ. უხათი და სიონის საზოგადოების სოფ. სიონი. ამასთანავე, იმის გამო რომ უხათელებს ჯოგი შედარებით მცირე რაოდენობით ჰყავდათ, საბალახოებით უმეტესწილად სიონელები

[40] М. Скибицкий, „Карабагские казенные летние пастбища" (МУКАЗПИСК. IV, 65).

[41] МУКАЗПИСК, IV, 65.

[42] МУКАЗПИСК, I, 259.

სარგებლობდნენ. სოფ. სუათისსა და ძაკაგორს საერთო საბალახო ჰქონდათ მდ. სუათის-დონის მარცხენა მხარეზე. სოფ. სუათისსა და ყარატყავას საბალახოები ჰქონდათ მდ. სუათის-დონის მარჯვენა მხარეზე. სოფლებს კობსა და სუვარდენს საერთოდ ჰქონდათ სუთის საძოვრები. ნადიბაანთკარის საზოგადოების თხუთმეტ სოფელს საერთო საბალახოები ჰქონდა ჩაბახურასა და ნაბაკარში (ფასანაურის მახლობლად). ჯვარი-ვაკის საბალახო (ჯვარისა და გუდგორის ახლოს) საერთო სარგებლობაში ჰქონდათ ქვემო-მლეთის საზოგადოების სოფლებს: ხატის-სოფელსა და ურმის-სოფელს.

ერთი საბალახო მასივის[43] რამოდენიმე სოფლის სარგებლობაში ყოფნას ხშირად მოყვებოდა ხოლმე უთანხმოებანი და დავაქრობა. ს. სუათისსა და ყარატყავას შორის საერთო საბალახოსათვის 1870-იანი წლების დამდეგს დაწყებული დავა 1880-იანი წლების გასულს კიდევ არ იყო დასრულებული. ხშირად ასეთი დავები ათეულწლობით გრძელდებოდა და, გარდა თვით მოდავე მხარეებისა, ადმინისტრაციასა და მოსახლეობას შორისაც ურთიერთობის გამწვავებას იწვევდა. იყო შემთხვევები, როდესაც სასამართლო ორგანოების დადგენილება რომელიმე მოდავე მხარეს არაკანონიერად მოაჩნდა და „სამართლიანობის აღდგენას თოფითა და სატევრით ცდილობდნენ". მაგალითად, სოფ. სიონსა და მეორეს მხრივ უხათსა და გორიცციხეს შორის ნაროვანის საბალახოსათვის დავა, სასამარ-

---

[43] საძოვრები (საბალახოები) და ასევე სათიბი ადგილებიც, როგორც ჩანს ადრიდგანვე იყო დანაწილებული ცალკე სოფლებს (თემებს) შორის. 1595 წელს შედგენილს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში" ვკითხულობთ: „ვინაიდან მცოდნე პირნი იუწყებიან, რომ ახალციხის რაბათის მფლობელობაში მყოფი საძოვარი—მტკვრის ხიდიდან დაწყებული... სოფელ ვერანას საზღვრამდე — ძველითგანვე მათი საძოვარი არისო, ამიტომ წინანდელი წესის თანახმად ახალ დავთარში ჩაწერილ იქნა, რომ ის ადგილები, სადაც ისინი წარსულში აძოვებდნენ მათივე საძოვარი იყოს" (იხ. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", პროფ. ს. ჯ ი ქ ი ა ს თარგმანი, 1941, თბ., წ. II, გვ. 25). ამავე ძეგლში ქვემოთაც აღნიშნულია სათიბი ადგილის „ძველიდანვე" ამა თუ იმ სოფლისათვის მიკუთვნებულობის ფაქტები (იხ. იქვე, გვ. 67).

თლო და ადმინისტრაციული ორგანოების მხრივ 1880-იანი წლების შუაში საკითხის გადაჭრის შემდეგაც, რიგი წლების მანძილზე გრძელდებოდა.

მაგრამ მას მერმე რაც დავაქრობა და გაუგებრობათა ქარიშხალი მინელდება, ე. ი. მოცემული სეზონისათვის უკვე სწყდება, „მომთაბარენი იფანტებიან მთებში და თავიანთ კარვებს აწყობენ, ვისაც სად და როგორ მოეხერხება, — პოეტური უწესრიგობით. ეს პანორამა საინტერესო სურათს წარმოადგენს. მთების თავბრუდამხვევ დაქანებაზე, ღრმა ხეობებში, სადაც სასტიკად ბობოქრობს რომელიმე საქარ-სუ ანუ ბილიავ-ჩაი, სადაც მზე მხოლოდ ერთი წუთით გამოჩნდება, რათა გაანათოს ბუნების უხიაკობათა კუნჭული, თქვენ ხედავთ კარვების გრძელ წყებას. ეშვებით რა უფსკრულში, სადაც ბუნებას მოუხერხებია მშვენიერების საშინელებასთან შეთანაწყობა, თქვენ უნებურად ქაჩავთ ცხენის ლაგამს. თქვენ გაწვებათ და იმავდროულად გიზიდავთ მრისხანე გარემო, თქვენ თავს გრძნობთ ყოველივე ჩვეულებრივისგან მოწყვეტილად და საოცარი კუთხე კითხვას იწვევს, თუ როგორაა რომ ხალხი ესოდენ გრძნობიერია მშვენიერისადმი, რომ სადგომებად ასეთ ადგილებს ირჩევს“.

სტ. ყორღანოვი რომანტიკული ფერადებით აგვიწერს ცხოვრებას იალაღებში: „მომთაბარეობას საფუძვლად უძევს წმინდა ეკონომიკური ინტერესები, მაგრამ მისი უახლოესი შესწავლა გვარწმუნებს, რომ გარდა წმინდა პრაქტიკულისა მომთაბარეობაში არის სხვა რაღაცაც... მომთაბარეობენ არა მხოლოდ პირუტყვისათვის, საბალახოების გულისათვის, მომთაბარეობენ იმისთვისაც, რომ ეს ადგილობრივ ადამიანთა ბუნებაშია. მიუხედავად მოქალაქეობრივობის ახლო მეზობლობისა, ჩვენი მხარე ჯერ კიდევ განიცდის განვითარების გმირულ პერიოდს, ჩვენს მთებში ყველაზე უფრო დაინტერესებული არიან ვაჟკაცობითა და მამაცობით. უშიშარი მხედარი და მარჯვე მსროლელი, ლეგენდების მთხრობელი ნიჭიერი აშუღი—ისეთივე ზომით იტაცებს აქ გონებას, როგორაც თანამედროვე ინტერესები—საზოგადოებას ცენტრებში... კავკასიური ისტორიული

სტუმართმოყვარეობა ფართოდ და დამახასიათებელ შტრიხებში ვლინდება აქ იალაღებში. აქ არ უყვართ სახლში ჯდომა, აქ დაუსრულებელი მოძრაობაა მთელი იალაღების სივრცეზე. ყიდულობენ და ყიდიან ცხვარს, დაუსრულებლად ცვლიან ცხენებს, იარაღებს... განთიადისას თქვენამდე აღწევს სალამურის საოცარი ხმა, რაც თქვენს წარმოდგენაში იწვევს საერთოდ გამოღვიძების გრძნობას, მოწოდებას სინათლისადმი, მუშაობისადმი: ეს, მწყემსი აღვიძებს თავის ცხვრებს. არაჩვეულებრივად გაწვრთნილია ჯოგი. რამდენიმე ასეული ცხვარი, რომელთაც გრძელწვერა თხა, ე. წ. სეიზი მიუძღვის, ჩქარა მოდის მოძრაობაში, წამოხტება და შეწყობილად მიიწევს მწყემსისაკენ. შემდეგ მელოდია იცვლება მეორე, არანაკლებ ღვთაებრივი ხმით: სალამურის ხმის გაბმულ და ნაზ გადასვლებში გაისმის რაღაც ვრცელი, შორეული; ეს მელოდია ცხვარს იწვევს საბალახოდ და, აი, ჯოგი დიდის მოქნილობით, სალამურის ხმასთან მთელი ჰარმონიულობით შეწყობილი, იფანტება მთის დაქანებებსა და ნაოჭებში"[44].

მომთაბარე მეჯოგეები უმეტეს შემთხვევაში განირჩეოდნენ პირუტყვის გულმოდგინე მოვლითა და პატრონობით. ქ. ვ ე რ მ ი შ ე ვ ი წერს: „მომთაბარე თავის პირუტყვისადმი უფრო მეტ სინაზესა და მზრუნველობას იჩენს, ვინემ თავის შვილებისადმი... ეს ფაქტი არის დამადასტურებელი იმ უდიდესი მნიშვნელობისა რაც ჩვენში აქვს მეცხოველეობას... უმრავლეს შემთხვევაში პირუტყვი (მუშა და პროდუქტიული პირუტყვი) აჭმევს და აცმევს ჩვენს სოფლელს და მეცხოველეობისაგან მიღებული შემოსავალი ფარავს მისი ფულადი ხარჯების არაბეცირედ ნაწილს"[45].

ყარაბაღის იალაღებზე, სადაც თავს იყრიდა უმთავრესად მომთაბარე მუსლიმანი მოსახლეობა, პირუტყვის მოვლისა და რძის პროდუქტების კეთების შ რ ო მ ა, თითქმის მხოლოდ

---

[44] „Памятная книжка Эриванской губ. на 1904 г.", 1903, Эривань, отд. III, стр. 54 – 57.

[45] МУКЛЗПИСК, I, 86.

ქალს ჰქონდა დაკისრებული. ამასთანავე აქ ქალი ასრულებდა ფრავალგვარ საოჯახო საქმეს, როგორიცაა: საჭმლის დამზადება, მატყლის დაპენტვა-დარჩევა, მისი დართვა, მერმე შალის ქსოვა, ტანისამოსის შეკერვა, ძველი სამოსელის შეკეთება და სხვ. მამაკაცი ალპაქის პერიოდში უმეტესწილად უქმად ცხოვრობდა და ნებივრობდა; — იგი თავის ვაჟკაცობას არაიშვიათად სცდიდა ხოლმე „ფარულად სხვისი პირუტყვის გარეკვასა[46],

[46] ამიერკავკასიაში მეცხოველეობის განვითარების ერთ-ერთი, არცთუ იმდენად უმნიშვნელო ხელისშემშლელი მოვლენა, როგორც ჩანს, იყო პირუტყვის ქურდობა. სოფლის მეურნეობისა და კერძოდ მეცხოველეობის შესახებ საბჭოთამდელ ლიტერატურაში იმდენად ხშირია მსჯელობა პირუტყვის ქურდობის მავნებლური გავლენის შესახებ, რომ ზედმეტად არ მიგვაჩნია ჩვენს მკითხველს გავაცნოთ შინაარსი ამ მხრივ ერთ-ერთი საინტერესო, 1903 წელს გამოქვეყნებული, ფელეტონისა (Скотокрадство в Закатальском округе", см. КСХ, 1903 г., № 504, стр. 1355—1357), რომლის ავტორი მოგვითხრობს, რომ ზაქათალაში (ხოლო, როგორც სხვა მასალებიდან ჩანს, ზაქათალა ამ მხრივ არც თუ იმდენად შეადგენდა გამონაკლისს) პირუტყვის ქურდობა ატარებდა არა შემთხვევით ხასიათს, არამედ „მთელ სისტემად იყო ქცეული. იქ მოქმედებენ არა ცალკეული საკუთარ თავს მინდობილი ქურდები, არამედ მთელ ოკრუგში გაშლილი ორგანიზაციები. ყოველ სოფელში გარდა წვრილი ქურდ-ბაცაცებისა არიან აგრეთვე პროფესიონალი ქურდები. ამასთანავე რამდენიმე სოფლის რაიონში, ჩვეულებრივ, მოკალათებულია რომელიმე „სახელმოხვეჭილი", გამოცდილი, ძველი, გამობრძმედილი „საქმოსანი".

ქურდობას იგი თვითონ პირადათ, ანდა თავის გამოცდილ „თანამებრძოლთა" მეშვეობით ხელმძღვანელობს. მოპარულ პირუტყვს ტყის გზებით, რომელთა არსებობა მხოლოდ „თავკაცებმა" იციან, მიერეკებიან შორეულ სოფლებში, „რწმუნებულ" პირებთან. რამდენიმე ხნის მერმე პირუტყვს კიდევ იქით მიერეკებიან და ბოლოს ზაქათალის პირუტყვი ნუხის მაზრის, შირაქის ველის, ან სიღნაღის მაზრის რომელიმე შორეულ სოფელში მოხვდება.

ფელეტონისტის სიტყვებით, გლეხების დაბალი ღობეებით შემოკავებული ეზოებიდან-კი პირუტყვის მოპარვა ძნელი როდია. ერთადერთი დაბრკოლებაა ძაღლები, რაც ყოველ ოჯახს ბლომად, ძლიერ ბლომადაც, 7—8 ცალი, ჰყავს. მაგრამ ქურდებს ძაღლების წინააღმდეგაც გამოუნახავთ მახვილგონიერი საშუალება. მათ ჩვეულებრივ თან მიაქვთ გრძელი, მსხვილი მილისებრი ძვლები, რომლებშიც მაგრადაა ჩატენილი ხორცი, პური და სხვ. ქურდები წინასწარ ამ ძვლებს შეყრიან ეზოში. ნახევრადმშიერი ძაღლები მიცვივდებიან ამ ძვლებს და ამაოდ

ანდა მეზობელ საბალახოებში თავისი ჯოგის გაძოვებაში“: მამაკაცთაგან აქ „ცოტანი ეწევიან პირუტყვის ყიდვა-გაყიდვას, რძის პროდუქტების ბაზრებზე „გატანას“, საერთოდ მახლობელ დაბა-ქალაქიდან თუ ბაზრიდან მარილისა და სხვა აუცილებელი საგნების ჩამოზიდვას[47].

აი, როგორ ახასიათებს ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე 1890-იანი წლების მომთაბარე აზერბაიჯანელს: „ჩვენებური თათარი უფრო ეული კაცია, ვიდრე ფეხ-მოკიდებული მკვიდრი ბინადარი... თათარს... ადგილიდამ ადგილზე გადასვლა, ერთის ბინიდან აყრა, მეორეზე ხელახლად დაბინავება არამცთუ ეადვილება. თითქმის ჩვეულებად აქვს გამხდარი. ეს გაადვილებული აყრა-დაყრა ხშირად იქამდე მიდის, რომ მთელი სოფელი დღეს რომ აქ არის, ხვალ იმ ადგილას სოფლის ნატამალიც არა ჩანს, აყრილა და სხვაგან გადასულა დედა-ბუდიანად. არა ერთხელ და ორჯერ შეუნიშნავს ეს ამბავი ადგილის პოლიციას და პოვ-

---

ცდილობენ ამოაძრონ მცირეოდენი ნაჭერი ხორცისა. რაც ესოდენ აღიზიანებს მათ... სანამ ძვლებს მისეული ძაღლები ეზოს ერთ კუთხეში „თავს იქცევენ“, მეორე კუთხიდან შეპარული ქურდები თავისუფლად მიერეკებიან პირუტყვს. იმ შემთხვევაში თუ პატრონი გაიღვიძებს მას ჩვეულებრივ თავზე ადგას თოფმომარჯვებული დაუპატიჟებელი სტუმართა-განი.

პოლიციისადმი დახმარებისათვის მიმართვას უმრავლეს შემთხვევაში აზრი არა აქვს. მხოლოდ ერთი გზაა: გამოსყიდვა. დაზარალებულს მიაქვს ფული... ისეთ კაცთან „რომლის შუამავლობას შეიძლება ენდოს“. შეთანხმებებისამებრ პირუტყვის პატრონი იხდის გამოსასყიდელს და სახლში ბრუნდება დარწმუნებული, რომ 2—3 დღეში მოპარული პირუტყვი „თვითონ დაბრუნდება“. ქურდების „ეთიკა მტკიცეა“. ისინი არ გასტეხენ მიცემულ „პატიოსან სიტყვას“. პირუტყვი უვნებელი ბრუნდება. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ხელსაყრელ მომენტში კვლავ არ მოიპარავენ მერმე იმავე პირუტყვს.

მოპარული პირუტყვის კონცენტრაციის მთავარი პუნქტი იყო ნუხასა და კახს შორის მდებარე დიდი და მდიდარი სოფელი გენიუგი. თუ ქურდი მოასწრებდა ნაქურდალი პირუტყვის ზაქათალის ოკრუგის საზღვრებიდან გადარეკვას, მერმე ამ ოკრუგის პოლიციას ნება არ ქონდა დევნისა, ხოლო სანამ ქურდობის შესახებ ცნობას ნუხის მაზრის პოლიცია მიიღებდა მანამდე „ოპერაცია ქურდობისა“ უკვე დასრულებული იყო.

[47] МУКЛЗПІСК, IV, 83.

ნა აყრილ სოფლებისა გასჭირებია, როცა მთავრობას მოუკითხია"[48].

„... თათარი უფრო მწყემსია, გარეთ მოარული, ვიდრე შინ მჯდომი, მუშაკაცი. თათარი მწყემსად გადის მთელის თავისის სახლობით, წვრილ-შვილით, დედა-წულით. საცა საძოვარია, იქ მისი ბინაა..."[49].

„არიან თათრებშორის იმისთანანი, რომელთაც იმოდენა მოცადი პირუტყვი ჰყავთ, რომ მისის შემოსავლით თავს ირჩენენ. ხოლო ამისთანანი ერთი-ორი თუ მოიპოვება მთელ ჩვენებურ თათრობაში. უფროს-ერთი თითო-ოროლა ძროხისა და ცხვრის პატრონია, ისიც ათში რომ ხუთსა დ ექვსს ჰყვანდეს, დიდი საქმეა, სხვა დანარჩენნი თითქმის ხელალებით უარარაონი არიან. თუ უწინ მოცადის საქონლის ყოლა დიდი იყო, ახლა ამასაც საძუე შემოაწყდა თათრებშიც, საძოვარი დაუცოტავდა, დაძვირდა. პირუტყვის შენახვა ზამთარ-ზაფხულ გაჭირდა. ამ გარემოებამ ძალიან შეაცოტავა პირუტყვთ-მოშენება"[50].

6. მომთაბარეობიდან მიწათმოქმედებაზე გადასვლის ტენდენციის გაძლიერება

საბალახოების არეალი ვიწროვდებოდა, ორივე მიმართულებით: როგორც ყიშლაღების, ასევე იალაღების სულ უფრო მნიშვნელოვანი ნაწილის მოხვნით. ჩვეულებრივ, იალაღების მოხვნა ხდებოდა შემოდგომობით, როდესაც მომთაბარენი აქედან საზამთრო საბალახოებში გადადიოდნენ. ხოლო როდესაც გაზაფხულზე უკან დაბრუნებული მომთაბარენი დაინახავდნენ, რომ „მათგან საუკუნეებრივად მიჩემებული ადგილები მოხნული იყო", ისინი ცდილობდნენ

---

[48] ილ. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, 1928, VIII, 241.

[49] იქვე, გვ. 341 — 342.

[50] იქვე, გვ. 248.

„თავიანთი ზარალი სხვისთვის გადაეკისრებიათ“, იმ გზით რომ, მიწათმოქმედს საშუალებას უსპობდნენ აეღო მოსავალი და ხშირად არა მხოლოდ ახლადმოხნული მიწებიდან, არამედ მათი ძველი სანადელო ყანებიდანაც. ამისთვის მომთაბარენი „მოულოდნელად, უფრო ხშირად ღამე“, თავიანთს ჯოგებს მიუშვებდნენ ყანებზე.

ამას კი, ჩვეულებრივად, მოყვებოდა პირუტყვის დაკავება, აქტების შედგენა, პოლიციის ჩარევა და არაიშვიათად კიდევ სისხლის მღვრელი შეტაკებები. „ნივთთა ასეთი მდგომარეობით გამოწვეული ჩაგვრა ხშირად ორივე მხარისათვის მძიმე და ხანგრძლივია“. მაინც მიწათმოქმედების სფერო სულ უფრო და სისტემატურად დიდდებოდა და ამდენადვე ვიწროვდებოდა საბალახოები, ე. ი. თვით მომთაბარული ცხოვრების ჰორიზონტი[51].

ამიერკავკასიაში აგრარული ურთიერთობის შესახებ მონოგრაფიაში ჩვენ ნაჩვენები გვაქვს, თუ რა ეკონომიკურ მოვლენათა შედეგად მიმდინარეობდა მ ო მ თ ა ბ ა რ ე მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ბ ი ნ ა დ ა რ ც ხ ო ვ რ ე ბ ა ზ ე თ ა ნ დ ა თ ა ნ ი გ ა დ ა ს ვ ლ ა. ცხადია, ამ პროცესს შეესაბამება არა მხოლოდ მეცხოველეობის საკვები ბაზის, საბალახოთა ფართობის, არამედ თვით ჯოგის რიცხობრივი და სტრუქტურული დინამიკაც.

1880-იანი წლების შუაში ამიერკავკასიაში ითვლებოდა სულ 244 მომთაბარე თემი. ტომობრივად ისინი უმთავრესად „თათრებისა“ (თარაქამათა) და ქურთებისაგან შედგებოდნენ და ცხოვრობდნენ ბაქოს (45 თემი), განჯის (44 თემი) და ერევნის (155 თემი) გუბერნიებში; აქ მათ ეჭირათ 370 ათას დესეტინაზე მეტი საბალახო, რაც მეტწილად სახაზინო ქონებას შეადგენდა.

მე-19 ს. 50-იანი წლებიდან, განსაკუთრებით რეფორმების მერმინდელ პერიოდში ინტენსიური ხდება ტენდენცია ამ მომთაბარე ტომების ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლისა, რა-

---

[51] МУКЛЗПІСК, IV, 84—85.

საც, ცხადია, ადმინისტრაციაც აქეზებდა, რადგან მისი შეხედულებით ყაჩაღობის და სხვა უწესრიგობათა მთავარი მიზეზი სწორედ მომთაბარე ცხოვრების წესწყობილებაში მდგომარეობდა. ეს შეხლა-შემოხლანი განსაკუთრებით აშკარავდებოდა მომთაბარე ტომების იალაღებიდან ყიშლაღებში და პირუკუ გადასვლების დროს, როდესაც ზიანდებოდა ყანები, ბაღ-ვენახები და საერთოდ ბინადარი მიწათმოქმედების მიმდევარი მოსახლეობის დოვლათი, როდესაც ხშირი იყო შეჯახებანი და არაიშვიათად სისხლისმღვრელი შეტაკებანი მიწათმომქმედ და მომთაბარე-მეჯოგე მოსახლეობას შორის. გასაგებია, რომ აქ ადმინისტრაციის თვითნებური მოქმედებისა და, მაშასადამე, მომთაბარეთა საუკუნეებრივად განმტკიცებული ტრადიციების უხეში დარღვევის მომენტებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

რეფორმის მერმინდელ პერიოდში მოსახლეობის გამრავლების ტემპის ზრდა, მიწათმოქმედების არეალის გაფართოება და ამ დარგში შრომის მწარმოებლურობის გადიდება, იწვევდა საბალახოების ფართობთა შემცირებას და, მაშასადამე, მომთაბარე მეცხოველეობის შევიწროებას, რაც, ადრე თუ გვიან, მომთაბარე მოსახლეობის ძირითადი მასების გაღატაკებაში უნდა გამოხატულიყო.

მომთაბარე ტომების გაღარიბებული ნაწილი იძულებული იყო სულ უფრო მეტი დრო გაეტარებია ბარში და აქ ხელი მიეყო მიწათმოქმედური სამუშაოებისათვის — ჯერ მოსავლის აღების პერიოდში და შემდეგ საერთოდაც, როგორც მოჯამაგირეს, როგორც წვრილ მეიჯარეს და ა. შ.

1880-იანი წლების მიწურულს ამიერკავკასიაში მომთაბარე ტომთა რაოდენობა, რომლებიც საძოვრითი მეურნეობით ცხოვრობდნენ, უკვე მნიშვნელოვნად შემცირებული იყო. კერძოდ სახაზინო მიწებზე მცხოვრებ ტიპურ მომთაბარეთა რაოდენობა არ აღემატებოდა ამავე მიწებზე მცხოვრებ საბელმწიფო გლეხთა საერთო რაოდენობის 4 — 5%. მაინც მომთაბარე ტომთა ბარში დაბინავება-დასახლება, ე. ი. მიწათმოქმედურ საქმიანობაზე თანდათანობით გადასვლა მეტის ინტენსივო-

ბით გაიშალა 1890-იანი წლებიდან მოყოლებული, მას მერმე რაც შედარებით ფართო ხასიათი მიიღო საირიგაციო მშენებლობამ და, მაშასადამე, საპალახოების სულ უფრო მეტი ფართობი იქცეოდა მიწათმოქმედების ასპარეზად და, ამგვარად, მომთაბარე მეჯოგეობას აქ მეტის სიჩქარით ავიწროებდა მუმცენარეობა[52].

მომთაბარე ტომები მე-19 ს. და თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდეც ცხოვრობდნენ თითქმის მხოლოდ ალმ. ამიერკავკასიაში, მათი ტერიტორიული გაადგილებისა და რაოდენობრივი დინამიკის შესახებ წარმოდგენას იძლევა ქვემომოყვანილი ცხრილი.

ადმინისტრაციული ერთეულები	1886 წ.[53]		1916 წ.[54]	
	თემთა რიცხვი	მცხოვრებთა რაოდენობა სულობრივად	თემთა რიცხვი	მცხოვრებთა რაოდენობა სულობრივად
ბაქოს გუბერნიაში	45	27.999	15	18.970
ელისავეტპოლის „	44	21.321	8	5.633
ერევნის „	155	20.490	81	14.675
სულ	244	69.810	104	39.278

როგორც ვხედავთ აღებული 30 წლის მანძილზე მომთაბარე თემთა რიცხვი შემცირდა 244-დან 104-მდე, ე. ი. 57,5 პროცენტით, ხოლო ადამიანთა რაოდენობა: 69.810 სულიდან — 39.278 სულამდე, ე. ი. 44 პროცენტით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზომით შემცირდა მომთაბარეთა რაოდენობა ელისავეტპოლის (განჯის) გუბერნიაში, სადაც 1916

[52] Х. Вермишев, „Земледелие у гос. крестьян Закавказского края", 517.

[53] П. Бахтадзе, „Кочевники Закавказского края", 1883., Тифлис, стр. 89.

[54] М. Скибицкий, „Пастбища Закавказского края". (КХ, 1918 г. № 9—10, стр. 11—12).

წელს ირიცხებოდა დაახლოებით მეოთხედი იმისა, რაც იყო 30 წლის წინათ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შესაბამისი ზომით, თუ უფრო მეტად არა, მცირდებოდა იმ ჯოგის რაოდენობაც, რაც ჰყავდა მომთაბარე მოსახლეობას.

უნდა ითქვას, რომ მომთაბარეთა ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა უშუალოდ შეესაბამებოდა აღმ. ამიერკავკასიაში ირიგაციის განვითარების ტემპსა და ხარისხს. რამდენადაც მორწყვა შესაძლებელს ხდიდა ყირმლაღებში, ე. ი. ზაფხულობით აქამდე ცხელ და ურწყულ, მაშასადამე, მიწათმოქმედებისათვის უვარგისი ადგილების დასახლებას, აქ კულტურული მემცენარეობის განვითარებას, ადგილობრივი მომთაბარე ტომები მით უფრო თავს ანებებდნენ, ანდა იძულებული იყვნენ ხელი აეღოთ მომთაბარეობაზე და გადასულიყვნენ მიწათმოქმედებაზე.

ვ. სკიბიცკი 1918 წ. წერდა: „სავსებით დადგენილია, რომ ყველგან, სადაც კი პირობები შესაძლებლობას იძლევიან, მომთაბარეობის სულ უფრო მზარდი მეურნეობრივი შევიწროებულობისა და მიწათმოქმედებითი საქმიანობის სარგებლიანობის გავლენით, განსაკუთრებით ცხელ დაბლობ ზოლებში, ამიერკავკასიელი მომთაბარენი სწრაფად გადადიან მიწათმოქმედებაზე და იშენებენ მყარ საცხოვრებელს. მაგალითად, მტკვრისპირის დაბლობის მომთაბარეობის ცენტრში ბინადრულ ცხოვრებაზე გადასვლას უკანასკნელ 10—15 წლებში (ე. ი. 1900 — 1915 წწ.) დიდი ბიძგი მისცა მოტორის (ბენზინის) წყალსაქაჩავების ფამოყენებით ყირმლაღების მორწყვამ — მტკვრის დინების ქვედაწელის გასწვრივ. მორწყვის ამ წესის მეოხებით მტკვრის სანაპიროების მთელი ზოლი მილის ველისა ამჟამად იხვნება და იქ სხვადასხვა ადგილას უკვე გაჩნდნენ დასახლებანი“[55].

[55] КХ, 1918, № 9—10, стр. 12.

წარმატებათა შესაბამისად[56] მომთაბარე მეჯოგეობას გარკვეული სახეცვალებანი უნდა განეცადა. მე-19 ს. მიწურულში უკვე არჩევდნენ რამდენიმე ტიპის მეჯოგეობას. მაგალითად, ა. ქ ა ლ ა ნ თ ა რ ი ერთმანეთისაგან ანსხვავებდა მთლიანად მომთაბარე, ნახევრად ბინადარ და ბინადარ მეჯოგეობას. ამასთანავე „ყოველ ამ ძირითად ტიპთაგანს ჰქონდა თავისი ქვედანაყოფები“.

ამიერკავკასიის რიგ რაიონში წინათ, რეფორმამდელ პერიოდში, გაბატონებული იყო მომთაბარე მეჯოგეობა, ხოლო 1890-იან წლებიდან იგი უკვე მეტის სისწრაფით ადგილს უთმობს ბინადარ მეჯოგეობას, ანდა კიდევ ისეთ დარგებს სოფლის მეურნეობისა, როგორიც არის ხვნა-თესვა, მებაღეობა და სხვ.

მაგრამ, მეორეს მხრივ, „ამჟამად მუღანის, ბილის, ყარაიაბ ველები მტკვრის აუზისა, არარატის, სარდარაბადის, არპაჩაის ველები არაქსის აუზისა, კალმიკებისა და ნოღაელთა ველები ჩრდ. კავკასიაში და ალპური საძოვრების ფრიად ფართე სივრცეები, როგორც კავკასიონის მთავარეხილის დაქანებაზე, ასევე მცირე კავკასიონის მთაზეგნებზე მოფენილია მრავალრიცხოვანი ალაჩუხებით, კარვებით და ფარეხებით მეჯოგეობისა“[58]. ამასთანავე ა. ქალანთარი იქვე აღნიშნავს გაძლიერებულ ტენდენციას მომთაბარე მეცხოველეობის შემცირებისა, ხოლო ნახევრად და სავსებით ბინადარი მეცხოველეობის (მეჯოგეობის) სწრაფი ტემპით ზრდისა.

მომთაბარე მეჯოგეობის ბინადრულზე გადასვლის ეს პროცესი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საერთოდ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში[59]. იგი ხელს უწყობდა სხვადასხვა წარმომავლობის ტომთა შორის შეტაკებებისა და შუღლის

---

[57] П. Г у г у ш в и л и, „Сельское хозяйство...“, т. IV, 822.

[58] А. К а л а н т а р, „Нужды Кавказского скотоводства“ (КСХ, 1897 г., № 161, стр. 92).

[59] იხ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „თემური მიწათმფლობელობა ამიერკავკასიაში“, § 5. მიწათმფლობელობა მომთაბარე ტომებში, გვ. 37—42 (ეკონ. ინსტ. შრომები, I, 1946).

შემცირებასაც. ნ. პილცოვი 1903 წ. გადაჭრით აცხადებდა, რომ „მომთაბარე მოსახლეობის დაბინადრებამ დიდი ზომით შეამცირა თავდასხმებისა, მკვლელობათა, ქურდობისა და სხვა დანაშაულთა შემთხვევების რიცხვიო“[60].

7. საკვები ბაზის სიმცირე

ამიერკავკასიურ მეცხოველეობაში ყველაზე დიდ და მტკივნეულ საკითხად დამკვირვებელნი, უკვე 1870-იანი და განსაკუთრებით 1880-იანი წლებიდან მოყოლებული, ერთხმად ასახელებენ საკვები ბაზის ნაკლებობას, განსაკუთრებით საზამთრო საკვების სიმცირეს, არსებული ყიშლაღების მოუწყობლობას. ბარში პირუტყვი საერთოდ და განსაკუთრებით მომთაბარეთა ჯოგები მთელი ზამთრის განმავლობაში მინდვრის საძოვრებზე იყო მინდობილი.

ამიერკავკასია ძველი დროიდანვე განთქმული იყო საზამთრო საბალახოებით—მილის, მუღანის, ყარაბაღის, ყარაიის, მუხრანისა და სხვ. ველებისა; მდინარეების მტკვრის, არეზის, ივრის და სხვ. ჭალებისა. მაგალითად, მომთაბარე თურქ დამპყრობთა ყოფაცხოვრების აღწერისას მემატიანე აღნიშნავს, რომ მათ „სთუელამდისინ ჩამოიარიან... სომხითი ყოვლითა ფალანგითა მათითა, ჩამოდგიან გაჩიანთა, პირსა მტკვრისასა, ტფილისითგან ვიდრე ბარდავადმდე და იორის პირთა ყოველთა მათ საზამთროთა შუენიერთა ადგილთა, რომელთა შინა ზამთარს, ვითარცა არესა გაზაფხულისასა, ითიბების თივა... ამათ ადგილთა შინა დადგიან ხარგებითა. ცხენისა, ჯორისა, ცხურისა და აქლემისა მათისა არა იყო რიცხუი“[61].

ანალოგიური ცნობებია შემონახული საუკუნენახევრის

---

[60] ТМКСХП, LII, 84.

[61] „ქართლის ცხოვრება“, ანა დედოფლისეული ნუსხა, 1942, თბ., გვ. 210—211.

მერმე შემოსეულ მომთაბარე მონგოლთა შესახებაც. ამიერკავკასიაში შემოსული მონგოლთა ყაენი ლაშქრობათა შემდეგ, თავისი ჯარით, შემოდგომის დამდეგს „წავიდა საზაჰთროსა ადგილსა, რომელსა აწ ყარაბაღობით და მუღანობით უხმობენო“ — მოგვითხრობს ქამთაღმწერელი[62].

თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში საბალახოები და კერძოდ ყიშლაღები ჩანს იმ დიდი ყურადღებიდან, რასაც ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი უთმობდა ამ საძოვრების აღწერას თავის განთქმულ ნაშრომში: „...მინდორი, აღაიანისა, უწყლო, უნაყოფო, გარნა ბალახიანი და ზამთარს მზრდელი ცხოვართა და ჯოგთა“[63]. „...მუხრანი ფრიად შემკულ არს ზამთარ სითბოთი, და მეფეთა სადგური, ბალახ-ჩალიან-ლერწოვანი. ზაფხულს მშვენი, კეთილაგარაკოვანი, ციენი წყარონი, ჰავით მშვენი. მოსავალნი მტილთა, წალკოტთა, ვენახთა, თესლ-მარცვალნი მრავლად ნაყოფიერებს. პირუტყვნი, აქლემს გარდა, ყოველნრ მრავალნი, რამეთუ ზამთარ ბალახთა მძოვარნი არიან“...[64]. მინდორი „აშურიანი უწყლობით, უნაყოფო, უფლისციხემდე, არამედ ზამთარს ბალახიანი და იზრდების ცხოვართა, რემათა და მროწლეთა სიმრავლე“[65]. „...კახეთის თუშნი ინახავენ ცხოვართა სიმრავლესა, ვინათგან აქუთ ზაფხულს თავისსა მთათა შინა საძოვარი, და ზამთარს ჩამოვლენ გალმა-მხარესა შინა, და ამით უმეტეს მორჩილებენ კახთა“[66] და სხვ.

აქ, სხვათა შორის, ისიც საჭიროა ითქვას რომ, როგორც ვ ა ხ უ შ ტ ი აღნიშნავს, საბალახოთა მფლობელებისადმი მომთაბარე მეჯოგეთა ეკონომიკური და, მაშასადამე, პოლიტიკური დამოკიდებულება ჩვეულებრივი მოვლენა იყო, როგორც ყველგან ისე ამიერკავკასიაშიაც.

მერმინდელ საუკუნეებშიაც და თვით მე-19 ს. რეფორმამ-

---

[62] „ქართლის ცხოვრება“, 1849, სპბ, I, გვ. 390.
[63] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 62.
[64] იქვე, გვ. 64.
[65] იქვე, გვ. 73.
[66] იქვე, გვ. 105.

დელ პერიოდში ამიერკავკასიის საზამთრო საბალახოები ყოველთვის დიდად მიმზიდველ ადგილებს წარმოადგენდა მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მეცხოველეობის მიმდევარი მოსახლეობისათვის. ნატურალური მეურნეობის პირობებში მხოლოდღა ყიშლაღების საძოვრების ანაბარა პირუტყვის დატოვებას მოსახლეობის ძირითადი მასებისათვის დიდი ზიანი ნაკლებად მოყვებოდა ხოლმე. სამაგიეროდ რეფორმის მერმინდელ პერიოდში უკვე მთლიანად ბაზრის მოთხოვნილებათა შესაბამისად, ე. ი. საქონლური წარმოების ყაიდაზე აწყობილი და ამასთანავე ფეოდალურ-პატრიარქალური წყობის მტკიცე გადმონაშთებით დამძიმებული მომთაბარე მეჯოგეობა პირუტყვის სადგომისა, სამარაგო საკვებისა და სასმელი წყლის მხრივ არაკეთილმოწყობილ ყიშლაღებში სუსხიანი ზამთრის დროს გამანადგურებელ ზარალს განიცდიდა[67].

ქ. ვერმიშევი, რომელმაც 1880-იან წლებში სპეციალურად შეისწავლა ამიერკავკასიის მეცხოველეობის საკვები ბაზის საკითხი, წერს: „ბარში პირუტყვი მთელი ზამთრის განმავლობაში მინდვრებში ბალახობს... მაგრამ ვინ პირუტყვს, თუ წამოვა თოვლი და დიდხნობით დაფარავს საზამთრო საძოვარ ადგილებს. მაშინ პირუტყვისათვის დგება შავი დღეები: შიმშილი შედის თავის უფლებებში და დაუნდობლად ანადგურებს პირუტყვს. ასეთს კრიტიკულ დროს მეჯოგე ჭეშმარიტად საცოდავი და უბედურია; უმოწყალო შიმშილს თანდათანობით ახალ-ახალი მსხვერპლი მიაქვს მისი ჯოგიდან, ხოლო პატრონს ისღა რჩება, რომ იყოს უღონო მოწმე თავისი განადგურებისა. ასეთს დღეებში ჯოგისმფლობელნი მზად არიან ხელი აიღონ თავიანთი ჯოგის უდიდეს ნაწილზე, ოღონდ მცირეოდენი თივა მიიღონ და ამით იხსნან ჯოგის დანარჩენი ნაწილი დაღუპვისაგან. მრავალ ადგილას, თუ არიან ტყეების მახლობლად, მეჯოგენი, როდესაც პირუტყვის საკვები მისჭირდება, ხოლო ზოგან კიდევ მთელი ზამთრის განმავლობაში... დაუზოგავად

[67] П. Гугушвили, „Сельское хозяйство...", 1955, том IV, стр. 90—92

სჭრიან ტოტებს, შტოებს და მთელ ხეებსაც-კი, რათა პირუტყვს საკვები მისცენ"[68].

ხშირად, მომთაბარენი, ასეთ შემთხვევებში, დიდ ზიანს აყენებდნენ ტყეებს. თუ შესაძლებელი იყო, ისინი ცდილობდნენ, მკაცრი ზამთრის დროს, თავი შეეფარებინათ ბარის ტყეებისათვის. უკვე მე-20 საუკუნეშიაც, მსოფლიო და სამოქალაქო ომების პერიოდში, ადგილი ჰქონდა ანალოგიურ მოვლენებს[69].

საკვების მწვავე ნაკლებობა ზამთრობით მუსრს ავლებდა პირუტყვს არა მხოლოდ ყიშლაღებში. მთებშიაც, ბინადარი მოსახლეობის პირუტყვი, გაზაფხულამდე ხშირად იმდენად მჭლევდებოდა, რომ იგი, „სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ბალანგაცვენილ ტყავგადაკრულ ჩონჩხს წარმოადგენდა". პირუტყვი ზოგან იმდენად უძლურდებოდა, რომ მას არ შეეძლო მისვლა სასმელი წყლის ადგილამდე და ასეთ პირობებში „მშიერი ტიფი ანადგურებდა მრავალ პირუტყვს"[70]. ამგვარი მდგომარეობა გრძელდებოდა თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე[71].

აი როგორ აგვიწერს ამ მხრივ, მდგომარეობას, მაგალითად, აჭარაში, ცნობილი ეთნოგრაფი თედო სახოკია, რომელმაც

---

[68] Х. Вермишев, „О скотоводстве на Кавказе в связи с настбищным вопросом", 1887, Тифлис, 90.

[69] ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მიწსახკომთა I ყრილობაზე, 1924 წელს, გამოსული აზერბაიჯანის წარმომადგენელი ჯ ე ვ ა ნ შ ი რ ი აღნიშნავდა, რომ მომთაბარენი ხშირად ბინავდებოდნენ ტყეებში; ესენი „ჩამოდიან მთებიდან და ტყეებში იქმნიან თავიანთთვის მეურნეობას, რისთვისაც კაფავენ ხეებს. 1920 წლამდე ამ გზით გაკაფულ იქნა 3000 დეს. ტყე. ისინი ტყეში 2—3 დესეტინას გაკაფავდნენ და აქ დგამდნენ თავიანთ ალაჩუხებს, რომელთაც ტყის მცველები ცეცხლს უკიდებდნენ ხოლმე; მერმე მომთაბარენი გადადიოდნენ სხვაგან, სადაც ასევე კაფავდნენ 2—3 დეს. „როდესაც ტყის ნიადაგი გამოიფიტებოდა ისინი გადადიოდნენ სხვა ნაკვეთებზე" („Труды I съезда НКЗ ЗСФСР 1924 г.", 1925, Тифлис, стр. 107).

[70] МУКЛЗПИСК, I, 91.

[71] „Труды I съезда НКЗ ЗСФСР 1924 г.", стр. 129.

საქართველოს ეს მხარე სპეციალურად შეისწავლა 1890-იანი წლების მიწურულს:

„ჭირნახულის ნაკლებობას აჭარაში ვერც საქონლის მოშენება ჰფარავს. თუ რომ ერთი ფეხის დადგმა მიწა მოეძევა აქაურს, თოხითა და სახნისით მოსვენებას არ აძლევს, ასე რომ საძოვრები შიგ სოფლებში აღარც კი არის. და რაკი ზამთრისათვის, რომელიც აქ, როგორც ვიცით, სულ უკანასკნელი რვა თვეს გასტანს ხოლმე, საკვები არ აბადია გლეხს, საქონლის გამრავლებაზედაც ძალა-უნებურად ხელი უნდა აიღოს. სულ დიდი, ერთი ძროხა ან ხარი — ჰყავს, ან და ისიც არა. წელიწადი ისე გასავლის, რომ ერბოს, რომელიც აქაურ ცივი ჰაერის მცხოვრებისათვის ასე საჭიროა, გლეხი სამჯერ თუ ოთხჯერ გაურევს საჭმელში. უმეტესი ხანი ლობიოსა და მხალ რაზედმე გადადის ხოლად. საქონლის მოშენებას ისეთ საზოგადოებებში მისდევენ, სადაც მთის ციალები ახლო აკრავთ. ასეთებია ზემო-აჭარაში განსაკუთრებით, ღორჯომის, აგარის, შუახევის და ფურტიოს საზოგადოებანი...

გლეხი თავის თავს დააკლებს და საქონელს კი როგორმე საკვებს არ დააკლებს. წარმოსადგენადაც ძნელია, თუ რა ციცაბოზე ადის აქაური გლეხი, ოღონდ ერთი მუჭა მეტი თივა მოიმარაგოს ზამთრისათვის. აჭარაში იშვიათად შეეხვედრივარ მჭლე და უღონო ცხენსა... ხარებიც მოსულები და ღონივრები არიან. ძროხები კი მეტად დაკნინებული ჯიშისა ჰყავთ, აქა-იქ კამეჩებსაც შეხვდებით, მაგრამ თუ იჩენენ კამეჩს, უფრო საწველად. აქაურ ალმართებზე კამეჩი ვეღარ მუშაობს. სახედრებიცა ჰყავთ, მაგრამ სულ ცოტა. ისიც იმ სოფლებში, საიდანაც ზაფხულობით საძოვრებზე ადიან. მოჰკიდებენ ბარგ-ბარხანას და გაუყენებენ ალმართს. დიდ-ყურა, მგონი, ისე არ სად ეჯავრებათ, როგორც აქ“[72].

ანალოგიური იყო მდგომარეობა გურიაში და საერთოდ დას. საქართველოს სხვა კუთხეებშიც: „გლეხის საქონელი გადაადგამდა თუ არა ფეხს მემამულის ადგილში, მოურავი

[72] თ. სახოკია, „მოგზაურობანი“, 1950, თბ., გვ. 172 — 173.

იქერდა და დიდი ხვეწნა-მუდარისა და 50 კაპ. გადახდის შემდეგ დაუბრუნებდა საქონელს პატრონს... საძოვრებზე კი მიჰქონდათ დიდი ბაჟები და სხვ. გლეხებს წინა წლებშიაც ჰქონდათ მაჭუტაძეებთან უკმაყოფილება, მაგრამ 1902 წელს საბალახოს შესახებ ატეხილი დავა დიდი ხნის მოგროვილი უკმაყოფილების გამომჟღავნება იყო"[73].

პირუტყვის საკვებ ბაზას, განსაკუთრებით საზამთრო საძოვარს მოკლებული წვრილი მეჯოგე უმეტესწილად მეტად უმწეო მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. იგი, ადრე თუ გვიან, საბალახოების მეპატრონე მემამულის გამოუვალ კაბალაში ვარდებოდა. იალაღებიდან ჩამოსული „თათრისათვის-კი სხვა გზა არ არის, ყველა პირობას თითქმის უნდა დასთანხმდეს, ოღონდ უადგილობით პირუტყვი არ გაუწყდეს... იგი ჰცდილობს საძოვრის პატრონს ან თავადს, ან აზნაურს ვისმე შეეკედლოს..."[74]. ამ გაჭირვებაში ჩავარდნილი კაცი განა შესძლებს პირუტყვი იმოდენა გაიჩინოს, იმოდენა იყოლიოს, რომ საბაზროდ გამოიტანოს რამ სახარბიელო? ან თითონ პირუტყვთ-მოშენებას რა ხეირს დააყრის ამგვარი მდგომარეობა და ვითარება საქმისა? ამგვარ ყოფაში განა შესაძლებელია კაცმა იფიქროს, რომ პირუტყვთ-მოშენება ჩვენებურ თათრის ხელში წინ წაიწევს იმოდენად, რომ საალებ-მიცემოდ გამოელოდეს რასმე"?[75] — კითხულობდა ი. ჭავჭავაძე.

ამ მეჯოგეთა შორის ილიას დაკვირვებით, ათში ხუთი-ექვსი თუა ისეთი რომ მეცხოველეობის შემოსავალი „სმა-ჭამად ეყოს". დანარჩენები კი „საქონლის პატრონს აედევნებიან ხოლმე, ზოგჯერ ცოლ-შვილიანად, — ოღონდ გვასვით და გვაჭამეთ, მუქთად გემსახურებითო... მუქთი ხელი, მუქთი მოსამსახურე მწყემსობაშიაც ისე სახარბიელოა, როგორც სხვა საქმეში საქმის პატრონისათვის"[76].

---

[73] „გლეხთა მოძრაობა გურიაში", 1904, გვ. 13.

[74] ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებული, VIII, 248 — 249.

[75] იქვე, გვ. 250.

[76] იქვე, გვ. 251.

ცხადი ხდება, რომ საძოვრების შემცირება და, მაშასადამე, გაძვირება, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების პირობებში, სულ უფრო აჩქარებდა წვრილმწარმოებელ მომთაბარეთა გალატაკებას, — მოჯამაგირეებად, დაქირავებულ მუშებად გადაქცევას.

მე-20 ს. მეორე ათეულის დასაწყისიდან, პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციის წლებში, შეიძლება ითქვას, უკვე საბოლოოდ ვლინდება მომთაბარე მეცხოველეობის ძველი ფორმის აღსასრულის მოახლოება, რასაც აჩქარებდა ხსენებულ მოვლენათა პირობებში მიწათმოქმედებისა და მიწათმფლობელობის სფეროში მიმდინარე სიღრმისეული პროცესები.

აღსანიშნავია, რომ ამ მოვლენებს მეტნაკლები სიცხადით მაშინაც გრძნობდნენ. მაგალითად, 1913 წ. 16 ნოემბერს შემდგარ თბილისის გუბერნიის სოფლისმეურნეობრივ თათბირზე მოხსენებით გამოსული ამავე გუბერნიის ერობის აგრონომი ვ. დადიანი აცხადებდა, რომ დუშეთ-თიანეთის რაიონში „მომთაბარე მეცხოველეობა, რითაც ცხოვრობს რაიონის მოსახლეობის შნიშვნელოვანი ნაწილი, წლითი-წლობით ეცემა; დაცემის მიზეზია საზამთრო საძოვრების არასაკმარისობა და გაძვირება. შირაქის ველი სულ უფრო იხვნება და სხვა ადგილებიც, სადაც საზამთროდ პირუტყვს მიერეკებიან, მემინდვრეობა თანდათან ყველგან ავიწროებს საძოვრებს (საბალახოებს) და ყოველწლიურად იზრდება ფასები უკანასკნელზე. მრავალი მსხვილი მეჯოგე გალარიბდა; შორს არაა ის მომენტი, როდესაც მეცხოველეობა (მეჯოგეობა) იმ ფორმაში, რაშიაც ის აქამდე გაყინულა, შეუძლებელი გახდება“[77].

როგორც დავინახეთ, მე-20 საუკუნისათვის ამიერკავკასიის საბალახოები უკვე ძალზე გადატვირთული იყო და მეცხოველეობის განვითარების საკითხი, საკვები ბაზის მხრივ, მკაცრ ლიმიტებში იზღუდებოდა[78].

[77] МСХСФКККЗС, стр. 23.

[78] В. Бржозовский, „Зимовка скота. Состояние трав на пастбищах“ (КХ, 1914 г. № 7, стр. 14).

ასეთ ვითარებაში 1918 წლის მაისს ამიერკავკასიის კერძოდ საბალახოების მხრივაც მთლიანი ეკონომიკური ერთეული გაიყო სამ, ერთმანეთისაგან ფაქტიურად გათიშულ სახელმწიფოდ, რასაც, საერთო ეკონომიკური და პოლიტიკური, ასევე საერთაშორისო ურთიერთობათა სირთულის პირობებში, ცხადია, არ შეეძლო კიდევ უფრო არ გაემწვავებია საბალახოებით სარგებლობის საკითხი და ამ გზით არ გამოეწვია ნაციონალური უთანხმოებანი და თვით შეტაკებაც ამ სახელმწიფოთა შორის.

საბალახოების საკითხის გართულებას, ეპიზოტიის გავრცელებას საერთოდ პირველი მსოფლიო ომით გამოწვეულ გარემოებათა შედეგად მოყვა ამიერკავკასიაში პირუტყვის რაოდენობის მკაცრი შემცირება. 1919 წ. მაისში იყო ერთგვარი ცდა საბალახოებით სარგებლობის მოწესრიგებისა. ამ „მოწესრიგებაა“ საფუძვლად დაედო 1884 წლის 29 მაისის კანონი — პირუტყვის იალაღებიდან ყოშლაღებში და პირუკუ გადადენისა და თვით საბალახოებისადმი მეთვალყურეობის შესახებ. ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის 1919 წ. მაისში დადებულ ამ „შეთანხმებას“, ცხადია, მდგომარეობის გაუმჯობესება არ მოყოლია. ასე რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ამიერკავკასიის მეცხოველეობა საერთოდ მეტისმეტად დაზარალებული, პირუტყვის რაოდენობა ძლიერ შემცირებული, ჯიშობრივად დაცემული, სტრუქტურულად დაშლილი იყო.

III

მსხვილი რქიანი პირუტყვი

1. მეძროხეობა

ზ რ ო ხ ა ზოგადი სახელი არს ყოველთა ზროხათა, ხოლო მამალსა ზროხასა ეწოდების ხ ა რ ი და დედალსა ფ უ რ ი; ხოლო შვილთა მათთა ხ ბ ო; ნასუქარსა ხბოსა — ზ უ ა რ ა კ ი, რომელ არს ქ ო ქ ა რ ა კ ი; ნახევარწლისას — ბ ა რ ა კ ე უ ლ ი; სახარესა წლამდის — ბ ო ჩ ო ლ ა და საფურესა — მ ო ც ა დ ი; წელიწადზე მეტისა სახარესა — მ ო ზ უ ე რ ი და საფურესა — დ ი ა კ ე უ ლ ი; ორი წლის ხარსა— ბ ო ი კ ი; საკლავად მსუქანსა — უ ს ხ ი; საიდარსა ხარსა — ა ზ ა ვ ე რ ი; გამოუყვერავსა ხარსა — კ უ რ ო და მისსა უმცროსსა კ უ რ ა კ ი; შეწირულსა — ზ უ ა რ ა; ირემთა და მისთანათა ტოლსა ხარად და ფურად იტყვიან".

ს.-ს. ორბელიანი.

ჩვენ მიერ აღებულ პერიოდში მეცხოველეობის არსებულ დარგთა შორის ამიერკავკასიაში, საერთო სახალხომეურნეობრივი თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი მსხვილ რქიან პირუტყვს ეჭირა. მართალია წვრილფეხა რქიანი, სახელდობრ ცხვარი და თხა, რიცხობრივად ბევრად ჭარბობდა, მაგრამ მსხვილი რქიანი პირუტყვი, ამა თუ იმ ზომით, ჰყავდა სოფლის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას და, როგორც პროდუქტიული და გამწევი ძალა, წარმოადგენდა რა მიწათმოქმედების აუცილებელ ატრიბუტს საერთო ჯამში, განირჩეოდა მეტი ეკონომიკური ეფექტურობით, ვინემ წვრილ-

ფეხა რქიანი პირუტყვი, რაც უპირატესად სავაჭრო მეცხოველეობის მიმდევარი მოსახლეობის შედარებით მცირე ნაწილის ხელში იყო თავმოყრილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ მომთაბარე მოსახლეობის ცხოვრებაში მსხვილი რქიანი პირუტყვი, უმრავლეს შემთხვევაში, მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა. რამდენადაც აქ მეცხოველეობა სავაჭრო ხასიათს ღებულობდა და სპეციალიზაციის გზით მიდიოდა მომთაბარენი, ამ თვალსაზრისით უფრო შემოსავლიან წვრილფეხა რქიან პირუტყვს. უპირატესად ცხვარს, ამრავლებდნენ.

მართალია, მომთაბარეებს მსხვილი რქიანი პირუტყვის ჯოგებიც საკმაოდ ჰყავდათ, მაგრამ თავისი მნიშვნელობით იგი დიდად ჩამორჩებოდა მეცხვარეობას. საერთოდ მსხვილი რქიანი პირუტყვი ბინადარ მოსახლეობას ჰყავდა უპირატესად მიწათმოქმედური მეურნეობის მომსახურეობისათვის. ამიტომაც თვითეულ კომლს ჩვეულებრივად იმდენი ხარი და ძროხა ჰყავდა, რამდენის შენახვაც მას შეეძლო თავისი საზაფხულო საძოვრითა და საზამთრო ხეული საკვებით. მიწათმოქმედური მოსახლეობის სარგებლობაში მყოფი სახნავი მიწის ფართობი განსაზღვრავდა საერთოდ შინაურ პირუტყვთა რაოდენობას, რაც მუშა თუ პროდუქტიული პირუტყვის სახით მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში სცილდებოდა თვით მიწათმოქმედური მეურნეობის დამატებითი საქმიანობის ფარგლებს.

გლეხი (გლეხური კომლი), თუ საჭირო რაოდენობის გამწევი ძალა (ხარი, კამეჩი ან ცხენი) არა ჰყავდა, დამოუკიდებლად ვერ დამუშავებდა მის სარგებლობაში ქონებულ მიწის ნაკვეთს და, ამდენადვე, თუ სოფელში რჩებოდა, იგი კულაკის, მევახშის, მემამულის კაბალაში უნდა ჩავარდნილიყო.

მიწათმოქმედ გლეხს შეიძლება არ ჰყავდეს შინაურ ცხოველთა რიგი წარმომადგენელი, მაგრამ „თუ მას არა ჰყავს რქიანი საქონელი, უმთავრესად ხარები და ძროხები, ეს ნიშნავს, რომ იგი უკიდურეს სიღარიბემდე მიღწეულა: მას დაუკარგავს შესაძლებლობა დამუშავოს თავისი მიწა, არა აქვს გადასაზიდი საშუალება, არაა უზრუნველყოფილი სათბობით

და სხვ.. ამ შემთხვევაში მთელი თავისი საჭიროებანი მან უნდა შეიტანოს დღიურ ქირაზე მუშაობით ანდა მოწყალების თხოვნითო“ — აცხადებდა 1884 წ. ფუმბრის მაზრის სახელმწიფო გლეხთა ცხოვრების აღმწერი ს. ზ ე ლ ი ნ ს კ ი[1]. დაახლოებით ასეთი იყო ამიერკავკასიის სხვა რაიონების გლეხთა ყოფიერების დამკვირვებელთა დასკვნებიც, რამდენადაც აქ მთავარ გამწევ ძალას ხარი და მერმე კამეჩი წარმოადგენდა, ხოლო ცხენი, ამ მხრივ, მხოლოდ კოლონისტთა შორის იყო გავრცელებული.

მაგრამ მსხვილრქიანი პირუტყვის მოშენებას ეწეოდნენ არა მხოლოდ როგორც გამწევი ძალისა და ოჯახისათვის საჭირო რძისა და მისი პროდუქტების მიღებისათვის — როდესაც იგი მიწათმოქმედების მხოლოდ დანამატის როლში გამოდიოდა. საკმაოდ იყო მეურნეობები, რომელთათვისაც მსხვილრქიანი პირუტყვის პატრონობა ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა და, მაშასადამე, ძროხებისა და ხარების მთელ ჯოგებს ინახავდნენ. ამ მხრივ, აღსანიშნავია, მაგ., ზუგდიდის მაზრის ს. ჯვარელი მწყემსები — კვარაცხელიები, რომელთაც ჯოგები, 1880-იანი წლებიდან მიყოლებული, შავი ზღვის გუბერნიისა და გურია-აჭარის მთების საბალახოებზე დაუდიოდათ[2] და რომელთაც საწყისი მისცეს ცალკე ჯილაგის პირუტყვის გავრცელებასაც.

მსხვილრქიანი პროდუქტიული პირუტყვი მიწათმოქმედების რაიონებში ყავდათ საერთოდ ოჯახური მოთხოვნილებისათვის, თუმცა გაჭირვება და ხელმოკლეობა, ცხადია, აიძულებდა წვრილ მეურნეს ბაზარზე გაეტანა საკუთარ აუცილებელ მოთხოვნილებათა შეკვეცის გზით დანაზოგი ყველი თუ რძე. ამას გარდა მსხვილრქიანი პირუტყვი იძლეოდა ძვირფას სასუქს ნიადაგისათვის და ტყით ღარიბ რაიონებში კიდევ საბობს — წივას.

---

[1] МПЭБГКЗК, I, 45.

[2] თ. ს ა ხ ო კ ი ა, „მოგზაურობანი“, 1950 თბ., გვ. 22 — 23.

*
* *

ბინადარი — მიწათმოქმედი — სოფლის (თემის) მსხვილ-რქიან პირუტყვს—ნახირს, ჯოგს და ფარასაც, როგორც წესი, აბალახებდა და მეთვალყურეობდა მ წ ყ ე მ ს ი მ ე ნ ა ხ ი რ ე (ნახირჩი), რომელიც სოფლისაგან ხელფასს წინათ ღებულობდა ნატურით, 1870-იანი წლებიდან-კი სულ უფრო ხშირად ფულითაც[3].

მწყემსის მოვალეობა და ფუნქციები სხვადასხვანაირი იყო, იმის მიხედვით თუ სად — სოფლისავე სანახებში თუ შორეულ იალაღებში — აბალახებდა და პატრონობდა იგი პირუტყვს[4]. პირველ შემთხვევაში ის პირუტყვს მხოლოდ აბალახებდა, წყესდა, დღის განმავლობაში, როგორც წესი, დილიდან საღამომდე, ხოლო მწუხრზე პირუტყვს პატრონს უკანვე მიურეკავდა ხოლმე. მეორე შემთხვევაში მწყემსს პირუტყვს აბარებდნენ მთელი ალპაქის პერიოდში, ასე რომ მის მოვალეობას შეადგენდა არა მხოლოდ ძოვება, არამედ საერთოდ ყოველმხრივი პატრონობა პირუტყვისა, როგორიცაა წველა, რძის გადამუშავება და სხვ.

თბილისის გუბერნიის მაგალითზე ა. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი ს მიერ 1890-იანი წლების დამდეგს მოცემული აღწერა მ წ ყ ე მ ს ო ბ ი ს ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი ს შეიძლება ამიერკავკასიის სხვა გუბერნიებზედაც გავრცელდეს: პირუტყვს წყესავს პატრონი ანდა დაქირავებული მწყემსი — ჩ ო ბ ა ნ ი (მოჯამაგირე). მხოლოდ რუსულ სოფლებში ჰყავდათ მწყემსები თემობრივად აყვანილი. ეს მწყემსები ხელფასის სახით ღებულობდნენ გარკვეულ პროცენტს პირუტყვის შეფასებითი ჯამიდან (რა თანხისთვისაც ისინი პასუხისმგებელნი იყვნენ პირუტყვის დაკარგვის შემთხვევაში), ანდა განსაზღვრულ წლიურ ქირას პირუტყვის წყესვისათვის.

---

[3] И. Андроников, l. c., 196—197.

[4] „რამდენიმე სიტყვა მწყემსებზედ“ (გაზ. „გუთნის დედა“, 1875 წ. № 10, გვ. 5—6).

ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ სოფლებში ყოველი, ვისაც მნიშვნელოვანი ზომით ყავდა რქიანი პირუტყვი, ქირაობდა თავისთვის მწყემსს; ისინი კი, რომელთაც თითო-ოროლა პირუტყვი ჰყავდათ ერთიანდებოდნენ ჯგუფებად და საერთოდ ქირაობდნენ მწყემსს — ცალკე მსხვილრქიანი და ცალკე წვრილფეხა პირუტყვისათვის.

მწყემსებად მიდიოდნენ უპირატესად ღარიბი გლეხები, რომლებიც, როგორც წესი, ღრმა მოხუცებულობამდე შეუწყვეტლად ეწეოდნენ ამ მძიმე საქმიანობას. მწყემსი ხელფასს ღებულობდა ფულადი სახით — 10 კაპიკს ერთ ცალ მსხვილ რქიანზე თვეში, ანდა საერთოდ 60 — 80 მანეთს წლიურად;— იგი მეპატრონეთა სარჩოზე (კვებაზე) იმყოფებოდა.

ხშირად მწყემსი ხელფასს ღებულობდა ნატურითაც — უმეტესად მაშინ, როდესაც მწყემსს სოფ. .ი საზიაროდ ქირაობდა. ამ შემთხვევაში მწყემსს ეძლეოდა მ ი ბ ა რ ე ბ უ ლ პირუტყვთა ნამრავლის ნახევარი[5]. ესაა ე. წ. დაზიარების პი-

[5] ძველად ამიერკავკასიაში გავრცელებული იყო პირუტყვის მიბარების სენიორული უფლება. 1679 წ. დაწერილ სიგელში ნათქვამია: „ფური თუ მიაბაროს ბატონმა ორი ლიტრა ერბო ფურზე და კამეჩზე — სამი. თუ საყველეთ მიაბაროს კამეჩზე ლიტრა ყველი იბ“ (თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა, „ქრონიკები...“, II, 495). უფრო ადრინდელს, სახელდობრ 1492 წლის თარიღით შედგენილს ქვათახევის მონასტრის სიგელში ლაპარაკია კონსტანტინე შეფისაგან ქვლივიძეებისათვის ცხვრის მიბარების შესახებ (იქვე, გვ. 309). ვ ა ხ ტ ა ნ გ VI „თრიალეთის რიგისა და გამოსაღების“ ინსტრუქციაში დადგენილია: „...ფურის ბარება და უკვდავად შენახვა, ხბო შემნახავს, და ყოველს წელიწადს ფურზედ სამი ლიტრა ერბო“ ბატონს, ე. ი. მიმბარებელს ეძლევა. აქ აღწერილია შინაური ფრინველის გაბარების წესიც: „მიბარებულს ბატზედ ორი ჭუჭული“ ყოველწლიურად ერგებოდა ბატონს („დასტურლამალი“, 1886, ტფ. გვ. 35); დედოფალს გაბარებული ჰყავდა „სადიასახლისო ძროხები“ (იქვე, გვ. 109).

ერევნის სახანოს რუსეთთან შეერთების დროს ცარიზმის სამხედრო მოხელეებისათვის ცნობილი გახდა, რომ ერევნის ყოფილ სერდარს 30.000-მდე ცხვარი ჰყოლია გაბარებული სახანოს მცხოვრებებზე. ცხვრის პატრონი ჩვეულებრივ ღებულობდა ერბოს, მატყლს, ნამრავლსა და სხვ. 1828 წ. ალ. გ რ ი ბ ო ე დ ო ვ მ ა წინადადება შეიტანა უმაღლეს ადმინისტრაციაში, რომ ცხვრის ხსენებული ფარები, რომლებიც „ახლა,

რობა, როდესაც, ჩვეულებრივად, ჩობანი საკუთარ რჩენაზე (სარჩოზეა) და 4 წლის განმავლობაში აბალახებს პირუტყვს; ხოლო შემდეგ ნამრავლი შუაზე იყოფა, მასსა და მეპატრონეს შორის.

კერძო მეპატრონეთაგან დაქირავებულ ჩობანს, გარდა წლიური ხელფასისა, ეძლეოდა ორწელიწადში 1 ნაბადი, ჩოხა, ტყაპუჭი, შარვალი, ახალუხი და ქალამნები, ხოლო სარჩოდ 2,5 ფუთი ფქვილი თვეში[6].

ქუთაისის გუბერნიაში, მაგალითად სამურზაყანოში, 1890-იან წლებში, როცა მთაში წასვლის დრო დადგებოდა „...რამდენიმე მწყემსი ერთმანეთს შეპირდებიან, ერთ ფანიად (ერთ ოჯახად, ერთ კარვად) შეეერთდეთო. მერე ერთიმეორეს თავიანთ საქონელს აშინჯვინებენ, — ნახეთ მთელი საქონელი მყავს, თუ გასარეკი ვარ, გამირიეთო. თითოეულ ამხანაგს ზოგს 100 სული თხა ჰყავს და ამდენივე ცხვარი, ზოგს 50 და სხვ. რაკი ერთ ფანიად შედგებიან, საერთოდ ირჩევენ სარქლად ერთ გამოცდილ, სიტყვა-პასუხიან მწყემსს, რომელსაც მთიდან ჩამოსვლამდე დანარჩენები ყველაფერში ემორჩილებიან, როგორც უფროსს, უიმისოდ ფეხს ვერ გადაადგამენ, ის არის მათი ხელმძღვანელი, გზის მაჩვენებელი“[7].

დაახლოებით ანალოგიური იყო ამგვარ დროებით გაერთიანებათა ტრადიცია ელისავეტპოლისა და თბილისის გუბერნიაშიც. აქ, დაახლოებით 25 მაისიდან 15 სექტემბრამდე, ე. ი. ალპაქის პერიოდში, ორი-სამი მეპატრონე, მეტი ხელსაყრელობისათვის აერთიანებდა ჯოგს, ე. ი. ადგენენ ამხა-

---

ერევნის სახანოს დაპყრობის აქტით, სახაზინო საკუთრებას უნდა შეადგენდეს“ დაერიგებიათ (გაენაწილებიათ) ირანის სამფლობელოებიდან აქეთ გადმოსახლებული სომეხი ახალმოშენებისათვის („Материалы к истории Персидской войны 1826—1828 гг.“, стр. 81—83).

[6] დაახლოებით ასეთივე კმაყოფა ეძლეოდა ჩობანს ერევნის გუბერნიის ეჩმიაძინის მაზრაშიაც (КСХ, 1895 г. № 95 (стр. 10)).

[7] თ. სახოკია, „მოგზაურობანი“, 1950. თბ. გვ. 284; შეადარე, ს. მაკალათია, „მესხეთ-ჯავახეთი“, 1938. თბ. გვ. 76.

ნაგობას, იოლდაშობას; ამ გაერთიანებას ერთ-ერთი ამხანაგთაგანი, ჩვეულებრივ უფრო შეძლებული, მეთაურობს. ასეთს ამხანაგობას აქვს საერთო საბალახო და ყოველი წევრი შესაბამისად მონაწილეობს შემოსავალსა და ხარჯებში. ამ პერიოდში მწყემსები მოწყვეტილი არიან ოფიციალური ადმინისტრაციისა და საზოგადოებისაგანაც. მთაში მათ ჰყავთ საკუთარი, არჩეული, სასამართლოცა და აღმასრულებელი ხელისუფლებაც, რომლებიც ადათობრივი სამართლის საფუძველზე სწყვეტენ მწყემსთა შორის წარმოშობილ დავებს და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობენ.

მთაში მწყემსები მეპატრონეთა ხარჯზე ცხოვრობდნენ. აქ სტუმრების გამასპინძლება და ყოველგვარი ხარჯი (ძაღლების შენახვა და სხვ.) პირუტყვის მფლობელებმა უნდა იკისრონ; მწყემსებს ევალებათ ფარეხების გაწმენდა, ხბოებისათვის სერის — ნიშნის — დადება, დადაღვა, დაკოდვა და ძროხებზე, დასაგრილებლად, ბუღების მიშვება[8].

მთის საძოვრებზე თუში მეცხვარე-მწყემსის მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. აქ მწყემსი მოკლებული იყო კულტურულ-ადამიანური ცხოვრების ელემენტარულ პირობებს. „მწყემსი ზურგზე გუდა-ნაბადით და ხელში კომბლით დაცოცავს მოლიპულ კლდეებზე. იგი იკვებება ქუმელით და კალტით. მას ავდრობისას არსად თავშესაფარიც არ მოეპოვება“.

მიუხედავად ამისა მწყემსს ხშირად უყვარს, იტაცებს კიდევაც ცხვრის მოვლა-პატრონობა, ცადაზიდულ მთებში განმარტოებული, ნადირ-მხეცთა და ქურდ-ავაზაკთაგან თავდასხმების მოულოდნელი ფათერაკებით ალსავსე ცხოვრება. „თუშეთში იშვიათია ოჯახი, სადაც ცხვარში დაკარგულ შვილზე მგლოვიარე დედა მწარედ არ გმინავდეს. თუშური ხალხური ლექსებიც მწუხარების ამ სევდითაა გაჟღენთილი“[9].

---

[8] А. Натроев, „О крупном рогатом скоте в Тифл. губ.“ (ТКОСХ, 1891 г., № 7—8, стр. 320—322).

[9] ს. მაკალათია, „თუშეთი“, 1933., ტფ., გვ. 60.

იალაღში ადამიანთა და ჯოგის კონცენტრაცია ხდება. ამიერკავკასიაში ყველაზე მეტ ხალხსა და პირუტყვს იზიდავდა თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრის იალაღები. ა. ა რ ღ უ თ ი ნ ს კ ი-დ ო ლ გ ო რ უ კ ო ვ ი მსუყე ფერადებით აგვიწერს აქაურობას: „ფრიად ვრცელი საზაფხულო საბალახოები, მათი მშვენიერი, თუმცა დაბალი, ალპური მცენარეულობით, სიუხვე მთის წყაროებისა, რომელთაც ჰქმნიან ნაოჭებსა და ხევებში ჩაწოლილი თოვლის მასივები, ზოგან თვით ივლისსა და აგვისტოშიაც თოვლის თეთრი ზეწრით დაფარული ღრანტეხევები. წმინდა მთის ჰაერი და დიდი განხმულობა ბორჩალოს საბალახოებისა ძველი დროიდანვე იზიდავდა პირუტყვის მრავალრიცხოვან ჯოგებს და არა მხოლოდ მეზობელი მაზრებიდან. არამედ მთელი გუბერნიიდან და ზოგიერთი მოსაზღვრე გუბერნიიდანაც. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამიერკავკასიის არც ერთ მაზრაში ზაფხულობით თავს არ იყრის იმდენი რაოდენობის პირუტყვი, როგორც ბორჩალოს იალაღებში“. აქ უმეტესწილად ცხვარს ერეკებიან. 1890—1900-იან წლებში. ზაფხულობით, აქ გროვდებოდა არანაკლებ 1.200.000 ცხვრისა. მაისის დასაწყისიდანვე მთებში იწყება არაჩვეულებრივი გამოცოცხლება. „შორიდან მოჩანს დიდი თეთრი ლაქები — ცხვრის უზარმაზარი ფარები... ბომთაბარეთა აუარებელი ალაჩუხები, ყველგან ცამდე აწვდილი კვამლის სვეტები, და შეუწყვეტელი მოძრაობა მთის ბილიკებზე მოწმობენ. რომ აქ ცხოვრება დუღს და გადადუღს, რომ მოსახლეობის მთელი საქმიანობა დაბლობებიდან გადმოტანილია იალაღებში“ [10].

მეჯოგეებს ჩვეულებრივ ჰყავთ ძ ა ღ ლ ე ბ ი, რომლებიც მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ მწყემსებს ცხვრის დაცვაში. ქართული (კავკასიური) ცხვრის ძაღლი (მგელძაღლა) ცნობილია თავისი დადებითი თვისებებით. ნ. ფ ო ნ-დ ე რ ვ ი ზ ი აფრთხილებდა იალაღებში მოხეტიალე ტურისტებს,

[10] РТКЭЖД, 131.

რომ „საბალახოებში მარტოდ სიარული საშიშია: შეგიძლიათ სავსებით დარწმუნებული იყოთ მწყემსების მხრივ გულიბილ მიღებაში, მაგრამ სულ საწინააღმდეგო იქნება მიღება ძაღლების მხრივ“, მათ შეუძლიათ ცხენიდანაც-კი ჩამოათრიონ კაცი და გააფუჭონო[11].

მეჯოგეები პირუტყვის გამრავლებისათვის ინახავდნენ მწარმოებელ ბუღებს[12]. ბ უ ღ ა ჩვეულებრივ ჰყავდა უფრო შეძლებულ მეურნეს, ანდა თემს, სოფელს[13]. კერძო მეპატრონე ბუღას ჩვეულებრივ აქირავებდა ხოლმე. თემის ბუღას ინახავდნენ მეკომურნი, იმის მიხედვით, თუ ვის რამდენი ძროხა ჰყავდა; ანდა ბუღას აბარებდნენ ერთ რომელსამე მეკომურს, რომელიც ამისათვის გარკვეულ სანაცვალგებოს ღებულობდა[14]. ბუღა ძროხებთან ერთად ბალახობდა, რისგამოც იგი ხშირად, მაგალითად, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, ძალზე გადატვირთული იყო და ძროხების მნიშვნელოვანი ნაწილი, მართალია, დაგრილებული, მაგრამ დაუმაკებელი რჩებოდა[15]. ხშირად კიდევ, იმ მიზნით რათა პირუტყვი მალე გაემრავლებიათ, მეწველი ძროხა მალე გაეჩინათ, არასავსებით მომწიფებულ დეკეულს გაანებივრებდნენ (დააგრილებინებდნენ) ხოლმე.

დამკვირვებელნი ერთხმად აღნიშნავდნენ ადგილობრივი პირუტყვის ჯ ი შ ო ბ რ ი ვ ი შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ი ს მხრივ არაკეთილსასურველ მდგომარეობას.

1880-იან წლებს ეკუთვნის პირველი ცდები ამიერკავკასიური მსხვილფეხა პირუტყვის ჯიშობრივი კლასიფიკაციისა. 1888 წ. ი. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი აღნიშნავდა, რომ „ამიერკავკასიური პირუტყვის ჯიშთა შესახებ... საერთოდ

---

[11] Н. Ф о н-Д е р в и з, „Сухумский округ“, 44.

[12] ТКОСХ, 1891 г., № 7—8, стр. 323—324.

[13] „სასოფლო ბუღებზედ“ („გუთნის დედა“, 1875 წ., № 3., გვ. 4).

[14] МПЭБГКЗК, III, II, 176.

[15] იქვე, გვ. 176.

ლიტერატურაში ფრიად მცირე ცნობები მოიპოვებაო"[16], მხოლოდ ამ ხანებში დაიწყო სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ადგილობრივი პირუტყვის ჯიშთა შესწავლა. ტ. ბ ო ლ ო ტ ო ვ ი ს სტატია—„Гориский уезд и его ветеринарно-санитарные условия"[17] — ითვლება პირველ ნაშრომად ადგილობრივი, სახელდობრ „ოსური პირუტყვის" ჯიშობრივი შესწავლის დარგში.

აჯამებდა რა საკითხზე არსებულ ლიტერატურას ი. ანდრონიკაშვილი წერდა, რომ „თითქმის მთელ ამიერკავკასიაში გაბატონებულია ადგილობრივი ჯიშის პირუტყვი" და მხოლოდ კოლონისტთა და რუსულ სოფლებში და იშვიათად კიდევ აბორიგენთა შორის, გამონაკლისის სახით, მოიპოვება უცხოური ჯიშებიო[18]. ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს, რომ დამკვირვებელთა უმრავლესობა ადგილობრივი ჯიშის პირუტყვს ახასიათებდა, როგორც მომცროტანიანს, არადიდძალიანსა და მცირე მერძეულს.

ი. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი ჩამოთვლის ამიერკავკასიის მსხვილრქიან პირუტყვთა ჯიშობრივ კლასიფიკაციაში მიღებულ შემდეგ ტიპებს: ქართულს, ოსურს, თათრულს (აზერბაიჯანულს), ქურთულს, ყარაბაღულს, თურქმენულს, თარაქამულსა და სხვ. მისი სიტყვებით ასეთი დაყოფა არა მხოლოდ იმას უჩვენებდა, თუ რომელ ხალხში იყო გავრცელებული ესა თუ ის პირუტყვი, არამედ წარმოგვიდგენდა „გარკვეულ განმასხვავებელ ცნებასაც თვით პირუტყვის სახესხვაობის შესახებაც"[19].

ამიერკავკასიურ პირუტყვს უკვე მაშინ აჯგუფებდნენ აგრეთვე მთისა და ბარის ცხოველად. მაგალითად, ქ. ვ ე რ მ ი შ ე ვ ი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფიერების აღწერისას აცხადებდა

---

[16] П. А н д р о н и к о в, „Скотоводство в Закавказском крае" (СМПЭБГКЗК. V, I, 184).

[17] СКОСХ, 1880 г. Тифлис, вып. IV.

[18] ი. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. თხზ., გვ. 184.

[19] იქვე, გვ. 185.

(1884 წ.): „მთიან ადგილებში გვხვდება შესამჩნევად მომცროტანის პირუტყვი, რაც უფრო ხბოს მიაგავს; ამავე დროს ახალქალაქის პლატოზე გვხვდება მეტად დიდი ზომის პირუტყვი, რაც განირჩევა სწორი აგებულებითა და შშვენიერი ფორმით“ [20].

ა. ქალანთარმა პირველმა მოგვცა (1890 წ.) კავკასიური პირუტყვის ისტორიულად რამდენადმე გამძლე ჯიშობრივი კლასიფიკაცია. იგი ითვლიდა რომ აქ ადგილობრივი ჯიშის პირუტყვი უხსოვარი დროიდანვეა ჩამოყალიბებული. მიუხედავად მრავალგვარობისა ა. ქალანთარს შესაძლებლად მიაჩნდა კავკასიური პირუტყვი დაეყო დიდი კავკასიონისა და მცირე კავკასიონის ორ ესხვილ ჯიშად.

დიდი კავკასიონის ჯიშის პირუტყვში ა. ქალანთარი აერთიანებდა ოსურ, დაღისტნურ, ქართულ, ყარაჩაულ, ჩაჩნურ, კუმიკურ, კუბურ, შირვანულ და სხვ., ხოლო მცირეკავკასიონისაში — ყარაბაღულ-კაზახურ, დარალაგიოზურ, შურაგელ-ბამბაკურ, ქურთულ, სომხურ და სხვ. ჯილაგებს. ეს ჯიშები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, როგორც აგებულებით, ასევე პროდუქტიულობითა და ფერითაც.

თანამედროვე მკვლევართაგან ა. ქალანთარის კლასიფიკაციას არსებითად ემხრობა პროფ. ა. თამამშევი [21]; ხოლო აკად. ლ. ისკუნს ის დაუსაბუთებლად მიაჩნია [22].

მაინც თავის დროისათვის, როგორც გინდ არ იყოს. ა. ქალანთარის კლასიფიკაცია ერთგვარ ნაბიჯს წარმოადგენდა. აღსანიშნავია ისიც რომ ა. ქალანთარის დასკვნები შესაბამის სპეციალისტებისა და პრაქტიკულ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა უკვე 1900-იან წლებშიაც. ამის გამო

---

[20] Л. Калантар, „Состояние скотоводства на Кавказе“ (МУКЛЗПИСК, II, II, 8—9).

[21] Тамамшев, „Материалы по изучению крупн. рог. скота Грузии“, 1923, 2; „Материалы по изуч. животноводства ССР Армении“, 1930, 202—203.

[22] Е. Лискун, „Крупный рогатый скот“, 1951, 329—330.

1913 წელს მიწათმოქმედების დეპარტამენტმა ამიერკავკასიის მეცხოველეობის დეტალური შესწავლის მიზნით ხელი მოკიდა მსხვილრქიანი პირუტყვის ჯოგთა გამოკვლევას. ამ საქმის ხელმძღვანელობა დეპარტამენტმა ისევ ა. ქალანთარს მიანდო. უკანასკნელის გარდაცვალების მერმე, 1913 წლის ოქტომბრიდან, ეს ხელმძღვანელობა გადავიდა ა. თ ა მ ა მ შ ე ვ ი ს ხელში. საქმის წარმატებით დასრულებას ხელი შეუშალა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ. ეს დაკვირვება, ცხადია, სულ სხვა პირობებში, გაგრძელდა და მისი შედეგებიც გამოქვეყნდა უკვე მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ამგვარად, შეიძლება ითქვას რომ ამიერკავკასიური მეცხოველეობის, კერძოდ მსხვილრქიანი პირუტყვის ჯიშობრივი შესწავლის საქმე აღებულ პერიოდში ჩანასახებს არ გასცილებია.

კერძოდ ქართული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯიშობრივი შესწავლის მდგომარეობას 1928 წელს ასე ახასიათებდა რ. გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი: „საქართველოს მსხვილფეხა რქიანი წაქონელი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ შესწავლილი. მხოლოდ იმ მასალების მიხედვით. რომელნიც ჩვენ ამჟამად მოგვეპოვებიან, საქართველოში არის ერთი მთავარი ჯიში მსხვილფეხა რქიანი საქონლისა და იყოფა ორ ნაწილად; მთისა და ბარის ჯიშის საქონლად“ [23].

საქართველოს მთის ჯიშის პირუტყვთა შორის სპეციალისტები საუკეთესოდ სთვლიან ხევსურულს. საერთოდ მთის პირუტყვი (იმერული, მეგრული, რაჭული, სვანური, ხევსურული, ფშავური, ოსური და სხვ.) პატარა ტანითა და ნაკლები პროდუქტიულობით განირჩევა,— რასაც მოვლა-პატრონობის, უპირატესად კვების ცუდი პირობებითა ხსნიან. აღსანიშნავია, რომ კარგი კვებისა და პატრონობის ვითარებაში ქართული მთის მსხვილრქიანი პირუტყვი მნიშვ-

[23] რ. გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, „მსხვილფეხა რქიანი საქონელი“, 1928, თბ., გვ. 101.

ნელოვანი რაოდენობის რძეს იძლევა და საერთოდ მისი პროდუქტიულობაც შესამჩნევად ვითარდება. ამ მხრივ დამახასიათებელია ის დაკვირვება, რაც აკად. ე. ლ ი ს კ უ ნ ს უწარმოებია; იგი აცხადებს, რომ ქართული მთის პირუტყვის წველადობა „ცალკეულ შემთხვევებში“ მისი ტანის სიდიდესთან შედარებით, მაღალ მაჩვენებლებს აღწევსო[24].

ქართული მთის მსხვილრქიანი პირუტყვის ჯიშები წარმოებრივი მიმართულებით უპირატესად მერძეულ პირუტყვთა კატეგორიას ეკუთვნიან; ეს ჯიშები გავრცელებულია, როგორც აღმ. ისე მთელ დასავ. საქართველოში. ბარის ქართული მსხვილრქიანი პირუტყვი შედარებით მსხვილტანიანია. ბარის ხარი განირჩევა როგორც ძლიერი გამწევი ძალა (მუშა-პირუტყვი), ხოლო ძროხა — კარგი წველადობით. საერთოდ პროდუქტიულობის მხრივ ბარის პირუტყვი საშუალო სიდიდის მაჩვენებლებით ხასიათდება.

ბარის ქართულ მსხვილფეხარქიან პირუტყვთა შორის ანსხვავებენ: ქართლ-კახურს, მეგრულს, ქიზიყურს, ჯავახურს და სხვ.

ამიერკავკასიური მსხვილრქიანი პირუტყვის ჯიშის გაუმჯობესებისათვის ზრუნვას იწყებენ 1860-იანი წლებიდან მოყოლებული. ამ მხრივ ადმინისტრაცია იმედებს ამყარებდა კოლონისტებსა და მსხვილ მემამულეებზე, ხოლო უშუალო-მწარმოებელთა ძირითადი მასა არსებითად უგულებელყოფილი იყო. ადგილობრივი პირუტყვის გაუმჯობესებას, მაგალითად ნ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს პროექტებით 1870-იანი წლების დამდეგს[25] და მერმეც, ცდილობდნენ დას. ევროპიდან, უპირატესად შვეიცარიიდან და რუსეთიდან მოყვანილი ჯიშიან პირუტყვთან მისი შეჯვარების გზით. უცხოეთიდან იწერდნენ სხვადასხვა ცნობილი ჯიშის (შვიცის, სიმენტალის და სხვ.) ბულა-მწარმოებლებსა და ძროხებს.

ადგილობრივი მსხვილრქიანი პირუტყვის ჯიშების გაუმჯობესებისა და უცხოური საუკეთესო პირუტყვის შემოყ-

[24] Е. Л и с к у н, „Крупный рогатый скот“, 1951, стр. 330.
[25] ЗКОСХ, 1874, № 3, стр. 9—12.

ვანა-მომრავლების საკითხი აქტუალური გახდა განსაკუთრებით იმ დროიდან, რაც საქალაქო ცხოვრების, მიმოსვლა-კავშირგაბმულობის და გაცვლის განვითარების პირობებში გაიზარდა მოთხოვნილება ყველ-ერბო-კარაქზე და, მაშასადამე, შემოსავლიანი შეიქნა საერთოდ მერძეული მეურნეობა. მაგრამ ამასთანავე პირუტყვის (მუშა-ხარის) გამწევი ძალის გადიდების საჭიროებაც, ცხადია, თავის მხრივ, კიდევ აძლიერებდა მისწრაფებას მეცხოველეობის გაუმჯობესებისადმი.

აღსანიშნავია, მაგალითად, ის დახმარება, რასაც ადმინისტრაცია უწევდა პრუსიელ ბარონ ა. ფონ-კუჩენბახს, რომელიც ამერკავკასიაში „გადმოსახლდა უგროშ-უფულოდ“ და მალე აქ „დიდი შეძლების პატრონი“ გახდა. კუჩენბახმა „რაციონალური მეძროხეობის“ მოწყობის მიზნით იჯარით აიღო ორი მამული: ერთი კოჯრის მახლობლად და მეორე თრიალეთში — მაჰმუთლო. უკანასკნელში შედიოდა 2500 დეს. საძოვარი. იჯარის ვადა 16 წლით იყო განსაზღვრული, ხოლო წლიური ქირა — 800 მან.[26].

რაკი საკუთარი სახსრები არ ჰოეპოვებოდა ა. კუჩენბახმა თხოვნით მიმართა ადმინისტრაციას „კავკასიაში რაციონალური მეძროხეობა-მერძეობის და შვეიცარიული ყველის კეთების დანერგვა-განვითარების მიზნით“ მისთვის მიეცათ სესხად 5000 მან. მან შემდეგშიაც არაერთხელ მოახერხა მთავრობისაგან სესხისა და სხვადასხვა დახმარებათა მიღება; იგი დიდის ენერგიით ავიწროებდა ადგილობრივ გლეხობას და ეწეოდა მათს ექსპლოატაციას[27].

ა. კუჩენბახმა თავ-ს ფერმაში გაიჩინა ადგილობრივი (ოსური და თათრული) ჯიშის ძროხები, ამასთანავე გამოიწერა შვიცის ჯიშის ძროხები და ბუღა-მწარმოებლები. უცხო-

---

[26] ТКОСХ, 1886 г., № 3—4, стр. 166—167.

[27] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი „გერმანელი კოლონისტები და ადგილობრივი გლეხობა ამიერკავკასიაში“ (ეკონ. ინსტ. შრომები, 1946, I, გვ. 198—203).

ეთიდან პირუტყვის შეძენა და ჩამოყვანა, ცხადია, მთავრობის ხარჯზე მოხდა. კუჩენბახს გადაეცა 16 პირუტყვი (13 ძროხა და 3 ბუღა) მოვლა-პატრონობის გარკვეული პირობის საფუძველზე. ფერმის შემოსავალი 10 წლის მანძილზე კუჩენბახისა იყო, ნამრავლი პირუტყვი თანასწორად იყოფოდა მასსა და ხაზინას შორის. ცხადია, გათვალისწინებული იყო შვიცის ჯიშის ადგილობრივთან შეჯვარების გზით უკანასკნელის გაუმჯობესება.

ა. კუჩენბახის ფერმა მალე გაიზარდა და შემოსავლიანი შეიქნა. ათიოდე წლის შემდეგ მას დიდი ზარალი მიაყენა ჭირმა[28], მაგრამ ხაზინის დახმარებით კუჩენბახმა კვლავ მოახერხა მეურნეობის აღდგენა. იგი ახდენდა ცდებს ადგილობრივ (ქართულ, ოსურ, აზერბაიჯანულ) პირუტყვთან შვეიცარული და რუსული ჯიშიანი პირუტყვის შეჯვარებისა და ამ გზით ზოგიერთ წარმატებებსაც აღწევდა, მაგრამ მხოლოდ საკუთარი მეურნეობის ფარგლებში[29].

ა. კუჩენბახის ფერმის გასაცნობად სპეციალურად მივლინებული „ივერიის“ კორესპონდენტი აღნიშნავდა, რომ ბარონ ა. კუჩენბახს „ჩინეთის კედლით შემოუზღუდავს თავისი ფერმა და ვინც-კი ჩვენგან მოინდომებს ამ კედლებში ჭუჭრუტანის ამოჭრას მაშინვე კირით ამოუვსებენო“[30]. 1890-იანი წლების შუაშიაც, როდესაც ბარონ კუჩენბახის ფერმას უკვე დიდი სახელი ჰქონდა მთელს კავკასიაში, იგი არავითარ დახმარებას არ უწევდა ადგილობრივი მსხვილრქიანი პირუტყვის ჯიშთა და საერთოდ მეცხოველეობის განვითარების საქმეს.

როგორც ა. არღუთინსკი აცხადებს, ა. კუჩენბახი საგანგებოდ ცდილობდა მისი ფერმიდან ჯიშიანი პირუტყვი ხელში არ ჩავარდნოდა ადგილობრივ მცხოვრებთ: „უკეთესი დეკნები და მოზვრები ბარონ კუჩენბახის ფერმიდან მათ

---

[28] ОДКОСХ, I, приложение, стр. 73—80.

[29] „Магмутлинская ферма на Кавказе“, 1900. Тифлис.

[30] „ივერია“, 1881 წ., № 11, გვ. 125 — 126.

(— ადგილობრივ მოსახლეობას) შეუძლიათ შეიძინონ მხოლოდ თბილისის სასაკლაოზე"[31], ე. ი. ა. კუჩენბახი თავის ჯიშიანი პირუტყვიდან გასასყიდად გამოყოფილ ეგზემპლარებს პირდაპირ სასაკლაოზე აგზავნიდა და არა ბაზარზე, სადაც ადგილობრივ მკვიდრთ შეეძლოთ მათი შესყიდვა. ცხადია, ადგილობრივი მეცხოველეობის გაუმჯობესება სრულებითაც არ შეადგენდა პრუსიელი ბარონის მიზანს.

ადგილობრივი მეცხოველეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით ანალოგიური იყო მიხ. რომანოვის მამულში ბორჯომში, 1879 წელს დაარსებული ფერმის საქმიანობაც. ესეც „კეთილმოწყობილი და კულტურული" ფერმა იყო. აქაც ყავდათ როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური ჯიშის ძროხები. 1912 წ. ეს ფერმა გადატანილ იქნა ს. ციხისჯვრის მახლობლად საგანგებოდ შერჩეულ ადგილას. 1918 წ. ამ ფერმას გამანადგურებელი ზიანი მიაყენა საქონლის ჭირმა.

აღსანიშნავია რომ ამიერკავკასიის ზოგიერთ რაიონში, მაგალითად, ბაქოს გუბერნიის ლენქორანისა და სხვ. მაზრებში მსხვილრქიანი პირუტყვის ხარისხის გაუმჯობესებაზე დადებითი გავლენა იქონია რუს კოლონისტთა (სექტანტთა) მიერ ჯერ კიდევ 1860-იან წლებში აქ მოყვანილმა სამხრეთ-რუსეთის პირუტყვმა. რუს კოლონისტებს ამიერკავკასიაში შემდეგშიაც ხშირად მოყავდათ საუკეთესო ჯიშის ძროხები და ბუღამწარმოებლები, თუმცა ამ პირუტყვის ნაწილი ადგილობრივ ბუნებრივ პირობებს ვერ ეგუებოდა, — როგორც ამას 1913 წელს აღნიშნავდნენ აქაური საერობო აგრონომები[32].

საერთოდ საბჭოთამდელ ამიერკავკასიაში მსხვილრქიანი პირუტყვის ჯიშობრივი შედგენილობის გაუმჯობესების ცდები ჩანასახურ მდგომარეობას არ გასცილებია და, ცხადია, ამ ცდებს რამდენადმე შესამჩნევი გავლენაც არ შეეძლოთ მოეხდინათ აქ მეცხოველეობის საქმეზე. დამკვირვებელთა უმ-

---

[31] КСХ, 1895 г., № 93, стр. 1589.
[32] ДГЗА, 150—51.

რავლესობა კიდევ იმ აზრისა იყო, რომ ამიერკავკასიაში მსხვილრქიანი პირუტყვი შესამჩნევ დეგრადაციას განიცდიდა მოვლა-პატრონობის, განსაკუთრებით საკვები ბაზის თანდათანობით შემცირება-გაუარესების მეოხებით... ბაქოს გუბერნიის საერობო აგრონომი 1913 წელს საჯაროდ აცხადებდა, რომ აქ „მეცხოველეობის მდგომარეობა წლიდან-წლამდე უარესდებაო“[33].

აღსანიშნავია, რომ არსებითად მხოლოდ მე-20 საუკუნის დამდეგიდან მიაქცივეს ოფიციალურმა ორგანოებმა ყურადღება თვით ადგილობრივი ჯიშის პირუტყვთა გაუმჯობესების საკითხს; თუმცა ამ პერიოდშიც არ იყო იშვიათი შემთხვევები, როდესაც ყოველსავე ადგილობრივს და მათ შორის მსხვილრქიან პირუტყვსაც ველურობის სფეროში აქცევდნენ ხოლმე. მაინც ადმინისტრაციის სპეციალისტთა შორის, განსაკუთრებით პროგრესიული რუსი ინტელიგენციის სახით ჩნდებიან მოღვაწეები, რომლებიც დღის წესრიგზე აყენებენ აბორიგენული ჯიშის პირუტყვთა გაუმჯობესებისათვის ზრუნვის მიზანშეწონილებას.

მაგალითად, 1909 წელს ქ. თბილისში გამართულ სოფლის მეურნეობა ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში დ. რ უ დ ნ ე ვ ი აცხადებდა, რომ „მსხვილრქიანი პირუტყვის ადგილობრივი ჯიშები ამიერკავკასიაში, არც თუ იმდენად ცუდია, როგორც ამას აქამდე ფიქრობდნენ: ზოგიერთი მათგანის რძეში ცხიმის შემადგენლობა უდრის 7%, რაც აღემატება კულტურული ჯიშებისას, ხოლო მწარმოებლურობა ჩქარა მაღლდება, თუკი უმჯობესდება მოვლა-პატრონობის პირობები. საკმარისია მხოლოდ შევეცადოთ და ცოდნითა და მონდომებით მოვეპყრათ, რომ დიდი-და მცირეკავკასიონის ზოგიერთი რასის პირუტყვისაგან მივიღოთ მაღალფასოვანი ცხოველიო“ [34].

---

[33] ДГЗА, 150.

[34] Д. И. Р у д н е в, „Меры к улучшению местного скота в Закавказье“ (КХ, 1910 г., № 5, стр. 10); ТССМХ, 1908, стр. 49.

ამგვარად, სპეციალისტების ერთი ჯგუფი საბოლოოდ დაადგა იმ შეხედულებას, რომ ადგილობრივი ჯიშის მსხვილრქიანი პირუტყვი კარგი მოვლა-პატრონობის პირობებში საუკეთესო ჯიშის უცხოურ პირუტყვზე უფრო მეტ ცხოველმყოფელობას იჩენს ამიერკავკასიაში და რომ აბორიგენები უცხოურებზე უფრო ადვილად ვითარდებიან, იწმინდებიან და უმჯობესდებიან აქ რაციონალური შრომის მეოხებით და რომ ამ ჯიშების დაკნინება იყო მხოლოდ შედეგი საერთოდ ქვეყნის ეკონომიკური ვითარებისა.

როგორც საერთოდ ამიერკავკასიის ეკონომიკური ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ის, ისე კერძოდ მეცხოველეობის სტატისტიკის შესახებ უნდა ითქვას, რომ იგი ფრიად ჩამორჩენილი და არადამაკმაყოფილებელი იყო. საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოთა (ერობების) არარსებობის პირობებში არც სხვა რომელიმე ორგანიზაცია არსებობდა, რომელსაც მიზნად ჰქონოდა მეცხოველეობის სისტემატური სტატისტიკურ-ეკონომიკური შესწავლა, ან სათანადო მასალათა შეგროვება მაინც.

ამავე დროს, როგორც ა. ქ ა ლ ა ნ თ ა რ ი აღნიშნავს. ამიერკავკასიაში მეცხოველეობის შესწავლის საქმეს, 1890-იანი წლების დამდეგშიაც, მრავალგვარი დაბრკოლება ეღობებოდა. უწინარეს ყოვლისა ძნელი იყო მეცხოველეობის ადგილებს (იალაღებსა და ყიშლაღებს) შორის მიმოსვლა. ე. წ. გადაყვანა-გადაზიდვის ბეგარა (подводная повинность) მოსახლეობასაც მძიმე ტვირთად აწვა და მგზავრთათვისაც დიდ უხერხულობებთან იყო დაკავშირებული: „სოფლებში ცხენებს ძნელად იძლევიან, ხშირად მხოლოდ სოფლის ადმინისტრაციისა ან მაზრის პოლიციის მხრივ ეგზეკუციის შემდეგ. ცხენებს დიდის დაგვიანებით, არაიშვიათად ნახევარი დღისა და მეტი ხნის მერმე იძლევიან. სხვა სოფელში მისვლისას იგივე ისტორია იწყება: ხმაური, ყვირილი, გინება, ეგზეკუცია, ერთი მეორეზე ჩივილი. დღეღამის განმავლობაში 10—30 ვერსს თუ გაივლის კაცი... გზები ფრიად ცუდია, მიმოძრაობა მხოლოდ ცხენით შეიძლება, ამასთანავე ძლიერ ხშირად მანკიერი

მსხვილი რქიანი პირუტყვის რაოდ
(ხარი, ძროხა,

ადმინისტ. ერთეულები	1865	1870	1883	1884	1891	1899
ბაქოს გუბერნია	544.039	1.336.000	226.924	225.000	211.900	243.299
განჯის გუბერნია	—	1.456.000	400.000	400.000	473.728	366.028
ერევნის გუბერნია	225.117	738.000	250.000	274.739	36.129	516.824
თბილისის გუბერნია	305.926	2.000.000	300.000	300.000	533.900	438.937
ზაქათალის გუბერნია	—	—	61.646	85.300	73.490	84.085
ქუთაისის გუბერნია	139.228	317.000	150.000	150.000	424.181	311.412
ბათუმის ოლქი	—	—	6.500	6,500	—	—
სოხუმის ოკრუგი	—	—	14.639	14.639	—	—
სულ	1.214.310	5.847.000	1.409.709	1.456.178	1.753.328	1.960.585

(ოქელი, ბრმა) ცხენები მოჰყავთ, ასე რომ მრავალრიცხოვან ალმართ-დალმართებზე აუცილებელია ცხენიდან ჩამოსვლა და ფეხით სიარული... მეცხოველეობის შემსწავლელს უხდება შეურიგდეს ყოველივე ამას... როგორც მოგზაურობის თავგადასავალს. როდესაც მკვლევარი მეცხოველეობის შესახებ გამოკითხვას იწყებს, მოსახლეობა, განსაკუთრებით ამიერკავკასიელი თათრები, მისსადმი საოცარ უნდობლობას ამჟღავნებენ,

ნობა ამერიკაკავკასიაში 1865—1912 წწ.
კამეჩი)

1903	1907	1908	1910	1911	1912	1912 წ. / 1903 წ. შედარ. % %	1912 წ. % % ჯამთან შედარებით
374.807	400.609	368.810	372.618	540.606	607.079	161,8	18,59
621.843	291.379	803.796	845.013	806.132	840.913	135,2	25,74
613.454	606.655	442.935	464.030	479.923	464.030	75,6	14,21
638.661	795.762	795.762	811.090	792.468	789.452	123,6	24,16
84.088	49.875	91.538	96.714	83.257	82.356	98,0	2,52
202.879	238.298	250.574	274.098	296.585	317.515	156,5	9,72
119.285	67.265	88.500	37.276	77.970	82.493	69,1	2,53
55.073	138.449	48.986	41.875	75.433	82.567	149,9	2,53
2710.090	2.588.292	2.890.901	2.942.714	3.152.374	3.266.405	120,5	100,00

ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობებს იძლევიან და თავს არიდებენ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხის გაცემას"[35].

რა თქმა უნდა, მეცხოველეობის მკვლევართადმი ასეთი დამოკიდებულება აიხსნებოდა არა იმდენად მოსახლეობის გაუნათლებლობით და მეცხოველეობისა თუ საერთოდ სოფლისმეურნეობრივი ტექნიკის პროგრესისადმი გულგრილობით, როგორც ეს ა. ქალანთარს წარმოუდგენია, არამედ

[35] МУКЛЗПИСК, II, II, 4—5.

უმთავრესად იმ გარემოებით, რომ დიდი ხნის გამოცდილებით, ადმინისტრაციის სახელით მოსულ მათი ცხოვრების აღმწერ-დამკვირვებელის საქმიანობის შედეგად მოსახლეობა უპირატესად ბეგარა-გამოსაღებთა გადიდებას და საერთოდ მისთვის ესოდენ არასასურველ პოლიციურ „მზრუნველობას“ იყო მიჩვეული.

რაც შეეხება საგუბერნიო და საოლქო სტატისტიკურ კომიტეტებს ისინი ეწეოდნენ პირუტყვის მხოლოდღა რაოდენობრივ აღრიცხვას. ისე რომ სრულებითაც არ ასახავდნენ მეცხოველეობის მეურნეობრივ მნიშვნელობას მოცემული რაიონის მოსახლეობისათვის, არც ჯოგის სტრუქტურას (ხასიათს). არც მათი მოვლა-პატრონობის პირობებსა და სხვა მხარეებს[36]. პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში მეცხოველეობის აღრიცხვის საქმეს ხელი მოკიდა საგუბერნიო და საოლქო ვეტერინარულმა ინსპექციამ, თუმცა ამით საქმეში არსებითი გაუმჯობესება არ ყოფილა შეტანილი. ამ გზით მოპოვებული სტატისტიკური მონაცემები საბოლოო აპრობაციას ისევ სტატისტიკურ კომიტეტებში ღებულობდნენ.

ცხრილი (იხ. გვ. 524 — 525) გვიჩვენებს, რომ აღებულ პერიოდში, 1865 — 1912 წწ., მსხვილრქიანი მეცხოველეობის რაოდენობამ კულმინაციურ პუნქტს მიაღწია 1870 წელს. მართალია, 1870 წ. მონაცემების სიზუსტეში შეიძლება ეჭვი შევიტანოთ, მაგრამ, როგორც გინდ არ იყოს, ეს დონე იმდენად მაღალია, რომ შემდგომს წლებში იქამდე მიახლოვებაც შეუძლებელი გახდა.

ზოგადი მიმოხილვითი მასალებიდანაც ჩანს, რომ 1860-იანი წლებიდან, ე. ი. რეფორმის დასაწყისიდანვე მსხვილრქიანმა მეცხოველეობამ გამრავლება-განვითარების ძლიერი ბიძგი მიიღო. „განთავისუფლებული“ გლეხობა ვალებში ეფლობოდა, რათა პირველ რიგში მუშაპირუტყვი, „ოჯახის მარ-

[36] Е. Туркин. „Скотоводство в Зап. Закавказье“ (Архив ветеринарных наук, 1911 г., № 8.

ჩენალი“ ხარები და მიწა შეეძინა — დამოუკიდებელი მეურნეობა შეექმნა. ამ მოძრაობას, თავისუფალ წვრილმწარმოებელთა დამოუკიდებელი მეურნეობრივი თაოსნობისადმი მისწრაფებას, არ შეეძლო იმპულსი არ მიეცა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის აღმავლობისათვის.

მაგრამ ამ პირველ გატაცებას მალე ფრთები შეეკვეცა. კერძო მფლობელი გლეხი მევახშის კაბალაში ვარდებოდა; „ოჯახის მარჩენალი“ ხარი და მიწაც, ადრე თუ გვიან, კულაკის, სოფლის ბურჟუას ხელში გადადიოდა. წვრილ გლეხურ მეურნეობას დანახარჯთა აღდგენა სულ უფრო შეკვეცილი ზომით უხდებოდა.

მეორე მხრით, საერთოდ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ტექნიკურ პროგრესს, კერძოდ რკინიგზების გაყვანას, მიწათმოქმედების არეალის გაფართოებას, საბალახოების შემცირებას და სხვ. არ შეეძლო ძლიერი გავლენა არ მოეხდინა მეცხოველეობაზე. მის სტრუქტურულ შედგენილობაზე.

ზემოდმოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ 1870 წლიდან მოყოლებული 1880-იანი წლების დამდეგამდე მსხვილრქიან მეცხოველეობას დიდი დანაკლისი განუცდია.

რამდენადაც 1870 წ. ცნობა მაინც ეპვს იწვევს აქ არ შეიძლება არ მოვიყვანოთ შესაბამისი მონაცემები ვ. ტ რ ე ა ს კ ო ვ ს კ ი ს მიერ 1884 წ. გამოქვეყნებული ცხრილიდან — კავკასიაში პირუტყვის რაოდენობის შესახებ. ეს ცხრილი შედგენილია 1871 — 1881 წწ. მონაცემების მიხედვით და რამდენადაც სპეციალური დაკვირვების შედეგია, მას შეუძლია ერთგვარი კორექტივი შეიტანოს ჩვენს ცხრილში წარმოდგენილ 1870 და 1883 წწ. მონაცემთა ურთიერთშედარებაში.

ვ. ტრეასკოვსკის მონაცემები, მისივე განცხადებით, გამოხატავს მსხვილრქიანი პირუტყვის საშუალოწლიურ რაოდენობას 1871 — 1881 წწ. მდგომარეობის მიხედვით[37]:

---

[37] Отчет КОСХ за 1884 г., № 6—8; МУКЛЗПИСК, II, II, 6;

ბაქოს	გუბერნიაში	600.000
თბილისის	„	. . 500.000
ელისავეტპოლის	„	. 400.000
ერევნის	„	. 250.000
ქუთაისის	„	. . . 150.000
	სულ ამიერკავკასიაში	1.900.000

როგორც ვხედავთ, ეს მონაცემები ადასტურებენ, რომ 1870-იან წლებში ამიერკავკასიაში მსხვილრქიანი პირუტყვის საერთო რაოდენობა (1.900.000) გაცილებით მეტი ყოფილა, ვინემ 1880-იან წლებში (1.456.178 — 1884 წელს). უნდა ვიფიქროთ რომ 1870-იანი წლების მეორე ნახევრიდან მსხვილრქიანი პირუტყვის რაოდენობა მკაცრად ეცემა და აქ ტეხილის აღმავლობა იწყება მხოლოდ 1880-იანი წლებიდან.

მერმინდელი წლების უფრო ზუსტი მონაცემებიდან ჩანს, რომ მაგალითად, 1903 წელთან შედარებით მსხვილრქიანი პირუტყვის რაოდენობა 1912 წელს უდრიდა: ბაქოს გუბერნიაში — 161,8%; ქუთაისის გუბერნიაში — 156,5%; სოხუმის ოკრუგში — 149,9%; ელისავეტპოლის გუბერნიაში — 132,5%. გამრავლების ტემპი ყველაზე დაბალი იყო ბათუმის ოლქსა და ერევნის გუბერნიაში. საერთოდ ამიერკავკასიაში აღებული ათი წლის მანძილზე მსხვილრქიანი პირუტყვის რაოდენობა გაიზარდა 20,5 პროცენტით.

1912 წ. ამიერკავკასიაში აღრიცხული 3.270.000 მსხვილრქიანი პირუტყვი გუბერნიების მიხედვით ნაწილდებოდა, პროცენტობით: ბაქოს გუბ. — 18,6; განჯის გუბ. — 25,7; ერევნის გუბ. — 14,2; თბილისის გუბ. — 24,2; ქუთაისის გუბ.— 9,7; ზაქათალის ოკრუგი — 2,5; სოხუმის ოკრუგი — 2,5; ბათუმის ოლქი—2,5. ამგვარად, მსხვილრქიანი პირუტყვის რაოდენობის მიხედვით ამიერკავკასიის გუბერნიებიდან პირველ რიგში იდგნენ ელისავეტპოლისა და თბილისის გუბერნიები.

2. მეკამეჩეობა

„კამეში (კამეჩი): ამასაც მამალსა ხ ა რ ი, დედალსა ფ უ რ ი და შვილსა მათსა ღ ო ღ ო ეწოდების. წლის ღოღოსა ზ ა ქ ი და წლისაზედ მეტსა — შ ი შ ა გ ი".

ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

ამიერკავკასიაში კამეჩის მოშენება საკმაოდ იყო გავრცელებული. კამეჩი აქ ერთდროულად სცვლიდა მუშახარსა და ძროხასაც. ზოგიერთ რაიონში კამეჩი დიდის პატივისცემით სარგებლობდა.

მეკამეჩეობა უფრო იყო გავრცელებული დაბლობ ადგილებში, მაგრამ მის მოშენებას ეწეოდნენ ისეთ მთიან რაიონებშიაც, მაგალითად, არეშის, გეოქჩაის და შემახაის მაზრებში, სადაც ასე თუ ისე ზომიერი ზამთარი იცის.

ა. ქ ა ლ ა ნ თ ა რ ი შემდეგნაირად ახასიათებს ამიერკავკასიის პირობებში კამეჩის დადებით და უარყოფით მხარეებს: კამეჩს მუშახართან შედარებით დიდი ძალა აქვს, იგი დიდხანსა და თანაბარზომიერად მუშაობს, როგორც გამწევი ძალა. თუ წყალი არის ის იტანს სიცხეს. ფურიკამეჩი წველადობის პერიოდში იძლევა ბევრ და ცხიმიან რძეს. კამეჩს არ ეშინია წყლისა და ტალახიანი ცუდი გზების. ამასთანავე კამეჩი უხეში და დიდი მჭამელი პირუტყვია, საჭიროებს კარგ მოვლას, ვერ იტანს სიცივეს და დიდ სიცხეს, მისი ხორცი მდარეა; კამეჩი ძნელად გამოიყენება წვრილ საოჯახო მუშაობაში, არ ვარგა ზამთრის შორეული გადაზიდვებისათვის[1].

მაინც კამეჩზე მოთხოვნილება ერთგვარი არ იყო მისი გავრცელების რაიონებში. ზოგან მას უპირატესობა ეძლეოდა როგორც გამწევ ძალას; მაგალითად, არეშის, გეოქჩაის,

[1] А. Калантар, „Состояние скотоводства на Кавказе". (МУПСК, II, 69).

შემახიას და სხვ. მაზრებში; ზოგან კიდევ მის — მერძეულობას, — მაგალითად, ელისავეტპოლისა და ლენქორანის რაიონების საბალახოებით მდიდარ სოფლებში. ზოგიერთ რაიონში კი ორივე პირობა თითქმის თანაბარ როლს თამაშობდა. მაგალითად, ყუბის, სურბალოს, ეჭმიაძინის, ერევნის, ზუგდიდის და სხვ. მაზრებში, ზაქათალისა და სოხუმის ოკრუგებში.

აღსანიშნავია რომ 1870-იანი წლებიდან მაინც ძროხაკამეჩს სულ უფრო ხშირად იყენებენ შესაბმელადაც[2]. კამეჩი, როგორც გამწევი ძალა ხარზე ღონიერია და ამტანიც, თუმცა იგი შორი გზებისათვის მაინც ნაკლებად გამოიყენებელი იყო.

1880-იან წლებში ზოგიერთი დამკვირვებელი, მაგალითად, ა. ერიციანი, ფიქრობდა, რომ დაიწყო კამეჩის შეუჩერებელი თანდათანობითი გადაშენების პროცესი[3], მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს „პროგნოზი" არ გამართლდა. პირიქით, კამეჩი სულ უფრო მრავლდებოდა და, მაშასადამე, მოსახლეობაში იზრდებოდა ინტერესი მისი მოშენებისადმი.

ნ. ფონ-დერვიზის მიერ 1900-იან წლებში წარმოებული დაკვირვებით აფხაზეთში „რქოსანი პირუტყვიდან პირველი ადგილი უჭირავს კამეჩს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა მამობრივი სინაზით ეპყრობა და შეძლებისამებრ საუკეთესოდ უვლის. კამეჩს საუკეთესო საკვებს, ხანაც მარცვლეულს აძლევენ; ხარი და ძროხა უფრო ნაკლები სიყვარულით სარგებლობენ"[4]. კამეჩი „საერთო პატივისცემით" სარგებლობდა მთელ დას. საქართველოში[5].

ბაქოს გუბერნიაში მეკამეჩეობა უფრო განვითარებული იყო ლენქორანის მაზრაში, სადაც პირველი მსოფლიო ომის

---

[2] И. Андроников, l. c., 183.
[3] МПЭБГКЗК, II, II, 178.
[4] КСХ, 1894 г., № 48, стр. 815.
[5] „Архив ветеринарных наук", 1911 г.; ТСЕМХ, 99.

წინაწლებში „იყო მეურნეობები, რომელთაც 30 — 40-ზდე მეწველი კამეჩი ჰყავდათ. როგორც საუკეთესო მუშა-და მერძეული პირუტყვი კამეჩი აქ საკმაოდ ძვირად ფასობს“[6]. ლენქორანის მაზრაში ბუღა კამეჩი (მწარმოებელი) შემოყავდათ ირანიდან, სახელდობრ მაზენდარანიდან. ამ საქმიანობას „სპეციალური შემყიდველები ეწეოდნენ“, რომლებიც ირანის პროვინციიდან ლენქორანის მაზრაში შემოყვანილ მწარმოებლებს „საკმაოდ მაღალ ფასებში ჰყიდდნენ ადგილობრივ მეურნეთა შორის“. ლენქორანის მაზრიდან ამ გზით აღწარმოებული კამეჩის ჯიშები მერმე იყიდებოდა სხვა მეზობელ მაზრებშიაც. ანალოგიური მდგომარეობა იყო ორდუბათის რაიონშიაც[7].

აღსანიშნავია, რომ ლენქორანის რაიონში გავრცელებული იყო აგრეთვე ზ ე ბ უ: ზებუ სხვათაშორის მშვენიერი სასაპალნე პირუტყვია. ზებუს ჯიშების განახლება აქ ხდებოდა ირანიდან, კერძოდ გილანიდან ახალ-ახალ მწარმოებელთა შემოყვანით[8].

ცარიზმის ადგილობრივი ადმინისტრაციის სტატისტიკით მე-19 ს. კამბეჩი საერთოდ მსხვილრქიან პირუტყვთაგან ცალკე გამოყოფილად არ აღირიცხებოდა. ამის გამო მხოლოდ 1900-იანი წლებიდან მოგვეპოვება სტატისტიკური მონაცემები მეკამეჩეობის შესახებ.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი (გვ. 532) წარმოდგენას იძლევა 1903 — 1912 წწ. კამეჩის რაოდენობრივი დინამიკისა და საერთოდ მსხვილრქიან პირუტყვში მისი ხვედრიწონის შესახებ.

1903 წლიდან 1912 წლამდე, ე. ი. 10 წლის მანძილზე კამეჩის რაოდენობა 413 ათასიდან 568 ათასამდე, ე. ი. 38%-ით გაზრდილა. ამავე პერიოდში დანარჩენი მსხვილფეხა საქონელი (ხარი და ძროხა) გაიზარდა დაახლოებით მხო-

---

[6] ЛГЗА, 150—151.
[7] МСХФККЖС, стр. 377.
[8] იქვე, გვ. 151.

გუბერნიების დასახელება	1903 წ.			1912 წ.		
	ხარი ფერდობზე	კამეჩი	სულ	ხარი ფერდობზე	კამეჩი	სულ
თბილისისა	552.598	86.063	638.661	683.265	106.187	789.452
ქუთაისისა .	321.391	55.846	377.237	437.185	45.389	482.574
განჯისა .	530.668	91.165	624.843	676.741	161.172	849.913
ბაქოსი	268.357	106.450	374.807	436.755	170.324	607.079
ერევნისა .	559.836	53.618	613.454	419.363	44.667	464.030
ზაქათ. ოკრ.	64.399	19.689	84.088	45.196	37.160	82.356
ჯამი	2.297.249	412.841	2.710.990	2.698.505	567.899	3.267.494

ლოდ 18%-ით. მაშასადამე, კამეჩის გამრავლება უფრო სწრაფი ტემპით ხასიათდებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1880-იან წლებში ა. ერიციანი ამტკიცებდა, ხოლო ი. ანდრონიკაშვილიც განწყობილი იყო ეფიქრა, რომ თითქოს კამეჩის რაოდენობა ამიერკავკასიაში სისტემატურად კლებულობდა, ე. ი. მიმდინარეობდა აქლემებთან ერთად კამეჩის გადაშენების პროცესი[9].

როგორც ჩანს, ეს მოსაზრება ჩვენ მიერ აღებულ პერიოდში არ მართლდება. პირიქით, ამიერკავკასიელი ღარიბი გლეხობა, განსაკუთრებით ბარში, 1890-იანი წლებიდან მაინც, ძლიერ ეტანებოდა კამეჩს, ცხადია, იმის გამო, რომ ძროხა-კამეჩი პროდუქტიული საქონელიც იყო — იწველებოდა და თანაც, ხვნა-თესვასა თუ ურემში გაბმული, ღონიერ გამწევ ძალას წარმოადგენდა.

ამასთანავე წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს, რომ მეკამეჩეობა გავრცელებული იყო უფრო მეტად ბაქოს, ელისავეტპოლისა და თბილისის გუბერნიებში.

---

[9] МПЭБГКЗК, II, II, 178; Андроников, l. c., 183—184.

IV

მეცხენეობა და მეაქლემეობა

1. მ ე ც ხ ე ნ ე ო ბ ა

„ც ხ ე ნ ი: მამალსა ცხენსა ეწოდების ა ხ ტ ა და დედალსა — ხ რ დ ა ლ ი და ჭ ა კ ი; შვილთა მათთა — კ ი ც ვ ი, რომელსა მსოფლიონი კ ვ ი ც ა დ უწოდენ; ხოლო კიცუსა ახტასა უ რ ა და ხრდალსა ფ ა შ ა ტ ი ეწოდების; სარემაესა კურატსა — ა ჯ ი ლ ღ ა; გამოყუერულსა — ტ ა ი ჭ ი; აღსაჯდომილსა ცხენსა — ს ა ხ ე დ ა რ ი; გვარიანსა და კეთილსა ცხენსა — ჰ უ ნ ე და ჯ ი ნ ი ბ ი, რომელ არს მ ა რ ქ ა ფ ა; უმწყესსა ცხენსა — რ ე მ ა; ასაკმცირესა ცხენსა — გ ე რ გ ე; ვირთა და კერძოვირთა, რომელ არს ჯორი, ახტა და ხრდალობა ითქმის, ხოლო კიცუთა მათთა — მ უ ტ რ უ კ ი და აღსაჯდომელსა ვირსა — კარაული“.

ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

მეცხენეობა ამიერკავკასიაში საკმაოდ იყო განვითარებული. მეცხენეობა, გარდა მეურნეობრივისა, დიდ სამხედრო ინტერესსაც შეიცავდა. ცარიზმი აქაური მეცხენეობით დაინტერესდა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში. ამ დროიდან, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში რუსეთის სამხედრო უწყების აგენტები ხშირად ყიდულობდნენ ცხენებს[1].

[1] „ქართლის ცხოვრება“, II. გვ. 458 და სხვ.

საქართველოს რუსეთთან შეერთების დროიდანვე, ცხადია, ეს სამხედრო უწყება სათანადო ცნობებს სწავლობს კერძოდ მეცხენეობის დარგშიაც. 1805 წ. გენ. პ. ციციანოვი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგ ჩარტორიისკისადმი წერილში აცხადებინება, რომ ამიერკავკასიაში წინათ განთქმული იყო ყარაბაღული ცხენები, ხოლო ამჟამად კი „ამ ჯიშის მცირეოდენი ნაშთებიც არ მოიპოვება ყარაბაღშიო“.

პ. ციციანოვის მიერ შეკრებილ ცნობათა თანახმად ყარაბაღული ცხენების ჯიში წარმოიშვა ნადირ-შაჰის დროს. მან ინდოეთში გალაშქრებამდე საუკეთესო არაბული და თურქმენული ჯიშის ვაყები (ულაყები) და ფაშატები გამოგზავნა შახსევანს, არდებილს, ყარაბაღსა და სხვა სახანოებში, იმ მიზნით რათა აქ მოეშენებიათ ამ ჯიშის ცხენები და მერმე აქაური ფერმებიდან ყოველწლიურად ეძლიათ მისთვის საუკეთესო ნამატები. ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ ირანში დაწყებულმა შინაგანმა ომებმა და თვით ყარაბაღის ირანის ცენტრიდან დაშორებულობამ შესაძლებლობა მისცა ფანა-ხანს, იბრეჰიმ-ხანის მამას, რათა ცხენების ფერმას თვითონ დაპატრონებოდა. მერმე, 1795 წელს აღა-მაჰმედ-ხანის ყარაბაღზე პირველი შემოსევის დროს იბრეჰიმ-ხანმა ყველა საუკეთესო ცხენი და ფულად 30.000 მანეთი გაუგზავნა ერეკლე მეორეს, რომელსაც სთხოვა დასახმარებლად ჯარები... მაგრამ აღა-მაჰმად-ხანმა მალე თვით საქართველოც ააოხრა... ცხენებიც ისე დაიფანტა, რომ ამჟამად (1805 წ.) „თვით საქართველოშიაც ამ ჯიშის ცხენები არა ჩანს“, ამის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ აქაური „თავადები, სიღარიბისა გამო ამ ცხენებს ჰყიდდენ თურქეთში“, ამასთანავე „ცხენების ნაწილი ხელში ჩაუვარდა აღა-მაჰმედ-ხანის ჯარს“, რისგამოც, როგორც არ ცდილა, პ. ციციანოვს ვერ მოუხერხებია რუსეთის სახაზინო ცხენის ფერმები „შეამკოს ყარაბაღული, ანუ უკეთა ვსთქვათ, მშვენიერი არაბული ვაყებით“[2].

[2] АСКАК, II, № 2043, стр. 1038.

მაგრამ ნამდვილად ყარაბაღული ჯიშის ცხენები ამიერკავკასიაში არც ისე სავსებით ყოფილა გამქრალი, როგორც ეს 1805 წ. გენ. პ. ციციანოვს ეგონა.

თუ რამდენად დიდი სახელი ჰქონდა ყარაბაღულ ცხენს, იქიდანაც ჩანს, რომ სწორედ ამ ხანებში, მე-19 ს. დამდეგს, ინგლისელებმა აქედან გაიყვანეს 60 ჰაკი და 40 ულაყი, რათა ეს ჯიში თავიანთ ქვეყანაში მოემრავლებიათ[3], ხოლო 1839 წელს იმპერატორის ნებართვით რუსეთის სამხედრო უწყებამ გენ. მადათოვის ქვრივისაგან იყიდა ყარაბაღული ცხენის ფერმა, საიდანაც ყველა ჰაკი და ულაყი „წაიყვანეს იმპერიის ცენტრალურ გუბერნიებში ცხენის სახელმწიფო ქარხნებს შორის გასანაწილებლად“[4].

1845 — 1846 წწ. თავისი მოღვაწეობის ანგარიშგებაში კავკასიის ნამესტნიკი მ. ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მეცხენეობას, რაც აქ „წინათ განვითარებული ყოფილა, ხოლო ახლა შემცირდა და დაეცა იმ ზომამდე, რომ საკმაოდ ძნელია კარგი ცხენის შეძენაო“[5].

ამიერკავკასიაში მეცხენეობის წაქეზების მიზნით 1847 წლიდან თბილისში დაარსებულ იქნა ახალი დოლი; დოლში გამარჯვებულ ცხენებს მთავრობა აჯილდოებდა. 1849 წელს მ. ვორონცოვი თავის ანგარიშგებაში წერდა, რომ „ეს დაწესებულება (დოლი) ესოდენ შეესაბამება აქაური ხალხის ჩვეულებას, რომ იწვევს საყოველთაო ინტერესს და დროთა მსვლელობაში იგი აქ გადაიქცევა მოთხოვნილებად და ხელს შეუწყობს ცხენთა ჯიშების გაუმჯობესებას“[6].

მაინც დიდი ხნის განმავლობაში მეცხენეობის აღდგენა-განვითარებისათვის არსებითი ხასიათის ღონისძიება არ ტარდებოდა. ამის შედეგი იყო ის გარემოება, რომ, ოფიციალუ-

---

[3] Проф. А. Сумбат-заде и М. Исмаилов, „Сельское хозяйство Азербайджана в XIX-начало XX вв“, 1956, Баку, ч. I. стр. 139 (рукопись).

[4] იქვე, ნაწ. III, გვ. 626.

[5] П. Гугушвили, „Сельское хозяйство...“, I, 157.

[6] АСКАК, X, 867.

`რი ცნობის მიხედვით, მე-19 ს. ორმოციან წლებში, თვით ყარაბაღში ითვლებოდა „სულ რამოდენიმე წარმომადგენელი წმინდა სისხლის ცხენისა“, ხოლო ყაზახში დელიბოზის ჯიშის ოდესღაც განთქმული ცხენი „თითქმის გადაშენებული იყო და ნამდვილი დელიბოზის ყიდვა მეტად ძნელ საქმეს წარმოადგენდა“[7].

შემახიას გუბერნატორის 1857 წლის ანგარიშგებაში ნათქვამია, რომ გუბერნიაში „ცხენის ქარხნები არ არის, ხოლო შუშის მაზრაში (ყარაბაღში) მყოფ თაბუნთა შორის საუკეთესოდ ითვლება მემამულე ასად-ბეგის თაბუნი“[8]. ბეგებისა და საერთოდ შეძლებულ მეცხენეთა თაბუნებში 100-დან 250-მდე ცხენს ვარაუდობდნენ; ასეთ თაბუნთა რაოდენობა 1857 წ. 60-მდე იყო და მათში სულ 2.650-მდე ცხენს ანგარიშობდნენ. 40 — 50-იან წლებში აზერბაიჯანში ცნობილი იყო თაბუნები ყარაბაღის (შუშის) ხანის ნაშიერის გენ.-მაიორ ჯაფარ-ყული აღა ახმედ ხანისა, ფარაჯულა ბეგისა, ასად-ბეგისა, მირზა ახმედ-ბეგისა, გენ.-ლეიტ. მადათოვისა, გაჯი აბდულრახმანისა და სხვ.

ხოლო 69 წლის ცნობით ელისავეტპოლის გუბერნიაში უკვე ოცდაათამდე ბეგი და აღალარი ითვლებოდა, რომელთაც ჰყავდათ მეტნაკლები სიდიდის თაბუნები, რომლებშიაც 40-დან 700-მდე ცხენი ითვლებოდა თვითეულში, ხოლო საერთოდ 5.700-მდე პირუტყვი. ასეთ აზერბაიჯანელ მემამულეთა შორის აღსანიშნავია თაბუნები მაჰმედ-ბეგ ზიულლადაროვისა (327 ცხენი), ძმ. ადიგეზალოვებისა (771 ცხენი), მაჰმედ-ბეგ ჯამილინსკისა (409 ცხ.), ბეიუქ-ბეგ ნურიბეგოვისა (324), უგურლუბეგოვებისა (429), აბდულა-ბეგ როსტომბეგოვისა (236), გენ.-მ. აღალაროვისა (430), ქერიმ-

[7] ЦГИАЛ, ф. 1264, д. 153, 1869 г., л. 195.

[8] П. Гугушвили, „Сельское хозяйство...“, II, 648; ЦГИАЛ, ф. 1268, д. 311, 1858 г, л. 206.

ა ღ ა ჯ ე ვ ა ნ შ ი რ ი ს ა (141), ფ ა შ ა ა ღ ა ჯ ე ვ ა ნ შ ი-
რ ი ს ა (162) და სხვ. ბაქოს გუბერნიაში მეცხენეობა ნაკლებად იყო გავრცელებული. 1868 წ. ცნობით აქაურ მემამულეთა ყველაზე დიდი თაბუნები 10 — 20-მდე ცხენისაგან შედგებოდა[9].

ელისავეტპოლის გუბერნატორის 1868 წლის ანგარიშგებაში აღნიშნულია, რომ აქ არ ეწევიან სავაჭრო მეცხენეობას და სახელმწიფოს მხრივ მეცხენეობის განვითარებისათვის არაფერი კეთდება. ამავე დროს შუშის, ზანგეზურის, ელისავეტპოლისა და ყაზახის მაზრები ძველი დროიდანვე განთქმული იყვნენ თავისი ცხენებით... ხანების თაბუნებში ეწეოდნენ მოშენებას არაბული ჯიშებისა, რომლებიც განირჩეოდნენ ამტანობით, სისწრაფით, სილამაზით, რასაც დიდად აფასებდნენ მუსლიმანი მხედრები... ყაზახში საუკეთესოდ ითვლებოდა დელიბოზ-ს ჯიში, შუშაში — ყარაბაღული[10].

სავაჭრო მეცხენეობა ამიერკავკასიაში ძნელად ვითარდებოდა. ბინადარ ადგილობრივ მოსახლეობაში ცხენი დამხმარე როლს თამაშობდა უპირატესად როგორც საჯდომი და სასაპალნე პირუტყვი. 1857 წელს ბარონ ნ ი კ ო ლ ა ი აღნიშნავდა, რომ ამიერკავკასიაში „აბორიგენებს ცხენები ჰყავთ მხოლოდ საჯდომად და სასაპალნედ; — შესაბმელად ცხენებს აქ სრულებით არ ხმარობენ. მხოლოდ გერმანელი კოლონისტები და რუსი მოახალშენენი იყენებენ ცხენებს თავიანთი ურმებისა და ფურგონებისათვის შესაბმელად. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ თვით გაწყობილობაც ქართული ურმისა ისეთია, რომ შეუძლებელია მათ შეებას ცხენი. ამგვარად, ეს სასარგებლო პირუტყვი აქაურ მცხოვრებთათვის არსებობს მხოლოდ როგორც ფუფუნების საგანი, ხოლო მთიან ადგილებში გამოიყენება სასაპალნედო“[11].

---

[9] ЦГИАЛ, ф. 1268, д. № 153, 1868 г., л. 354.

[10] ЦГИАЛ, ф. 1268, д. 153, 1869 г., л. 195.

[11] ЗКОСХ, 1857 г., № 1; П. Г у г у ш в и л и, „Сельское хозяйство...“ I, 464.

ბაქოს გუბერნატორის 1865 წლის ანგარიშგებაში ვკითხულობთ: „ადგილობრივი ჯიშის ცხენები სიმაგრით, ამტანობით ძალიან კარგია საჯდომად; შესაბმელი ცხენების მოშენებას ეწევიან უპირატესად რუსი კოლონისტები ლენქორანის მაზრაში, რომლებიც ყოველთვის რუსეთიდან იწერენ ცხენებს; აქაური ჯიშის ცხენები, თუმცა მალე ეჩვევიან „პოვოზკებში“ შებმას, გამოიყენებიან საფოსტო ტრანსპორტის შესაბმელადაც, მაგრამ ძალისა და სიმაგრის მხრივ ჩამოუვარდებიან რუსულ ცხენებსო“[12].

საერთოდ 1870-იან წლებამდე მეცხენეობის განვითარების საქმეში ოფიციალური ღონისძიება მეტად სპორადულ ხასიათს ატარებდა. ბოლოს, როგორც იქნა, 1871 წელს ელისავეტპოლის გუბერნიის ჯევანშირის მაზრაში — ჯან-იატაგში — დაარსდა მ ე ც ხ ე ნ ე ო ბ ი ს ს ა ხ ა ზ ი ნ ო ფ ე რ მ ა, რასაც პირველ ხანებში „ელისავეტპოლის ცხენის დეპოს“ უძახოდნენ. იგი მოწოდებული იყო ხელი შეეწყო კავკასიაში ოდითგანვე ცნობილი ცხენის ჯიშების აღდგენა-გავრცელებისათვის. აქ ეწეოდნენ არაბული ჯიშის ცხენების მოშენებასაც. ერთი „წმ-ნდა არაბული სისხლის“ ცხენი ფერმამ მაშინვე შეისყიდა ბრწყინვალე თავად ი რ ა კ ლ ი გ რ უ ზ ი ნ ს კ ი ს ა გ ა ნ. საერთოდ ფერმაში თავდაპირველად 50-ზე მეტი ცხენი ჰყავდათ.

მეფის ხელისუფლება, როგორც ჩანს, ზრუნავდა მეცხენეობის ამ ფერმაზე. ელისავეტპოლის გუბერნატორის 1873 წლის ანგარიშგებაში ნათქვამია, რომ კარგი და მოხერხებული ბინის, მისთვის გამოყოფილი საბალახოებისა და სათიბების მეოხებით ჯან-იატაგის მეცხენეობის ფერმა საუკეთესოდ არის მოწყობილიო. ამ დროისათვის აქ უკვე ითვლებოდა ადგილობრივი საუკეთესო ჯიშების 120-მდე ჭაკი. ახლადმოგებულ კვიცებს ეტყობათ ჯიშის გაუმჯობესებაზე ზრუნვის შედეგები. — ისინი უფრო დიდები და მაგრები

---

[12] ЦГИАЛ, ф. 1268, Д № 142, 1866 г., л. 266.

გამოდიოდნენ[13]. 1879 წ. აქ უკვე 400 ცხენი ითვლებოდა, ხოლო ფერმაში 60-ზე მეტი კაცი მუშაობდა[14].

1886 წელს ეს ფერმა გადატანილ იქნა იმავე გუბერნიის სოფ. ზურნაბადში. მაგრამ მეცხენეობის განვითარებაზე ნავარაუდევ გავლენას იგი აქაც ვერ ახდენდა უმთავრესად მისი ბიუროკრატიული გამგებლობისა გამო. მოსახლეობა საკუთარ ულაყებით კმაყოფილდებოდა და, როგორც ოფიციალური მიმომხილველი წერს ზურნაბადის ფერმის „არსებობას საესებით ინდიფერენტულად უყურებდნენ"[15], რის გამოც რამოდენიმე ხნის მერმე, „ფერმის მოსახლეობასთან უფრო დაახლოების მიზნით", იგი გადაიტანეს თბილისში, სადაც ბოლომდე დარჩა.

თბილისში გარდა დოღისა ეწყობოდა აგრეთვე ცხენების გამოფენაც. სოფლის მეურნეობის კავკასიურმა საზოგადოებამ ცხენების პირველი გამოფენა აქ მოაწყო 1886 წელს[16]. მაგრამ ეს იყო საერთოდ მეცხოველეობის გამოფენა, სადაც წარმოდგენილ 160 ეკზემპლარი ექსპონატიდან 25 ცხენი იყო. სპეციალურად ცხენების გამოფენის მოწყობა მხოლოდ მერმე დაიწყო. ასეთი ხასიათის მეორე გამოფენა გაიხსნა 1892 წელს. აქ წარმოდგენილი იყო 44 ცხენი, როგორც ადგილობრივი, ისე ნარევი და უცხოური ჯიშისა.

ამ, 1892 წლის, გამოფენაზე ყურადღება მიიქციეს განსაკუთრებით ზიულლადაროვის, ადიგეზალოვის, წერეთლისა და იედიგაროვის მეცხენეობის კერძო ფერმათაგან წარმოდგენილმა ცხენებმა. ამ დროს ყველაზე დიდი და თანაც ერთერთი უძველესი ფერმა ამიერკავკასიაში ჰქონდა სახელდობრ ზიულლადაროვს. ამ ფერმაში თავდაპირველად სჭარბობდა ყაზახური ჯიშის ცხენები, მერმე, 1860-იანი წლების ბოლოდან,

---

13 საქ. სსრ ცენტრარქივი, ფ. 5/12, საქმე № 2638, 1874 წ., ფ. 524.

14 А. Жирнов, „Краткий очерк скотоводства в Закавказском крае". 1901, СПБ.

15 П. Сегаль, „Сборн. свед. о Елизаветп. губ.", 215.

16 Газ. „Кавказ", 1889 г., № 197.

აქ გამრავლებულ იქნა აგრეთვე ყარაბაღული, თექური ჯიშისა და ინგლისურ-არაბულ-ყარაბაღული ცხენიც[17].

1892 წლის გამოფენაზე წარმოდგენილთაგან ფულადი პრემიები მიიღეს თავ. წერეთლის, თავ. ტუგანოვის, ზიულლადაროვის, არჯევანიძის, იედიგაროვის. თავ. ორბელიანის, იგითხანოვის და სხვ. შიერ წარმოდგენილმა ცხენებმა. ამავე გამოფენაზე ექსპონირებული იყო ცხენის მოსართავ-მოკაზმულობაც. ამ მხრივ პირველი პრემია მიენიჭა ოსტატ პ. გვრიტიშვილის ნაკეთობებს (უნაგირი, აღვირი და სხვ.)[18].

დიდი შერმე თბილისში თითქმის პერიოდულად იმართებოდა და ცხენების გამოფენაც რამდენჯერმე მოეწყო. მაგრამ, საერთოდ ამ ღონისძიებათ სასურველი შედეგი საერთოდ მეცხენეობის გაუმჯობესების მხრივ არ მოჰყოლია. 1886 წელს ი. ანდრონიკაშვილი იძულებული იყო ეღიარებია: იმის გამო, რომ არ სწარმოებდა ადგილობრივი ჯიშის ცხოველთა შერჩევა, როგორც ამა თუ იმ მუშაობისათვის ეკონომიკური ვარგისობის, ისე გარეგნული შეხედულებისა და ფერის მიხედვით, „ხდება სულ უფრო და უფრო გაუარესება ცხენის ჯიშებისა, რაც იწვევს მათს გადაშენებას. ასე რომ ამჟამად ამიერკავკასიაში ფრიად ძნელია ამა თუ იმ ადგილობრივი ჯიშის ცხენის ტიპურ წარმომადგენელთა ნახვაო“[19].

მეცხენეობა საერთოდ მეცხოველეობის ერთ-ერთი ჩამორჩენილი დარგთაგანი იყო. სავაჭრო მეცხენეობის განვითარებას, როგორც დავინახეთ, ბევრი რამ უშლიდა ხელს; ხოლო ცხენის ტრფიალი, ბრწყინვალე წოდების ზოგიერთ წარმომადგენელთა გატაცებანი, ცხადია, მნიშვნელოვან მეურნეობრივ შედეგებს ვერ აღწევდა, თუმცა ისინი, ამ მხრივ, ხშირად მნიშვნელოვან ღონისძიებებს წარმართავდნენ.

---

[17] А Каантар, „Тифлисская конская выставка 1892 года“ (ТКОСХ, 1892 г, № 9—10, стр. 526—537).

[18] Газ. „Кавказ“, 1892 г., № 262; „Нов. обозрение“, 1892 г., № 3019.

[19] Андроников, l. c., 261.

მაგალითისათვის შეიძლება აქ აღინიშნოს, რომ ისეთი განათლებული ფეოდალი-მემამულე როგორიც იყო გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი საკმაოდ ცდილობდა თავისი ცხენის ჯოგისათვის. ს ო ფ ი ო ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა დ მ ი ერთ კერძო ბარათში 1872 წელს ეს ცნობილი სარდალი, განთქმული ადმინისტრატორი და სახელმოხვეჭილი პოეტი წერდა:

„...ჩემი საყვარელი ნიკო [ჭავჭავაძე] გულით სულით მომიკითხე. თურმე მაგასა ჰსურს ჩემის ჯოგისათვის გამომიგზავნოს თავისი კარგი ცხენი, და თურმე ვერ გაუბედნია, რადგანაც ერიდება, ვაი თუ მეწყინოს. — მე ასე მიყვარს ნიკო, რომ მაგის სურვილის უარი არ შემიძლიან; მაგრამ ჩემის მხრიდამაც უნდა მიიღოს პირობა, რომ ყოველწლივ ერთი კვიცი მაგის ცხენის ჩამომავლობისა უნდა მივართვას ჩემგან უეჭველად. ეს პირობა უნდა მიიღოს, არ მოვეშვები. — წლეულს კი მყავს აჯილღად არაბისტანიდამ დიმიტრისაგან [ჯორჯაძისაგან] მოყვანილი მშვენიერი ცხენი, სახელად „თაჯ“, — გვირგვინი. ეს და ნ ა დ ი რ შ ა ჰ ი ს გამოჩენილი ჭაკი ცხენი, აღჯიდალი, ერთის გვარისანი არიან. იფიქრე, ხუთ წელიწადს შემდეგ რა ცხენს მოვართმევ ივანესა და ნიკოსა!...“[20].

ამიერკავკასიაში მეცხენეობა, თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ატარებდა ე. წ. თაბუნისა და, ასე ვთქვათ, ნახევრადფერმულ ხასიათს. თაბუნების სახით ცხენები ჰყავდათ ადგილობრივ მეცხენეებს. ჩვეულებრივ თაბუნში იშვიათად იყო 200-მდე ცხენი. მაისის შუა რიცხვებიდან თაბუნებს მიერეკებოდნენ მთებში: „ოჯახობით“, რაშიაც 5-დან 10-მდე ულაყი შედიოდა. ამ დროიდან დაბლობებში ცხენების გაჩერება შეუძლებელი იყო და ხშირად „ისინი თვითონვე გარბიან 100 — 120 ვერსით დაშორებულ მთებზე საბალახოთ“. როგორც კი აცივდება, ეს ცხენები „ასევე თვითნებურად დაეშვებიან ხოლმე მთებიდან“. მრავალი მეცხენე თავის თაბუნს საზამთროდ აგზავნიდა შირაქის, ყარაიის, ყარაბაღისა და სხვა ველებზე.

---

[20] „ზუგდიდის სახელმწიფო ისტ.-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები“. 1947 წ., თბ., I, 334.

რეფორმამდელ ამიერკავკასიაში ცნობილი იყო ცხენის თაბუნები: თბილისის მაზრაში — თავად ჩერქეზიშვილისა და ალალარ სოფიევისა; სიღნაღის მაზრაში — ცხენის თაბუნი ჰყავდა 5 მემამულეს, რომელთაგან განირჩეოდა თავად ანდრონიკაშვილისა; ცხენის სახაზინო ფერმა იყო ყარაღაჯში; განჯის მაზრაში პრივილეგიური წოდების მემამულეთა შორის ასევე თაბუნი ირიცხებოდა[21].

დას. საქართველოში ცხენების მნიშვნელოვანი თაბუნები ჰყავდათ მემამულეებს ანჩაბაძეს, შარვაშიძეს, მარღანიას, მარშანიას, წერეთელს, დადიანს, აბაშიძეს, წულუკიძეს, ჩიჩუას, ფალავას, ემუხვარს, მაჭუტაძეს, ნაკაშიძეს და სხვ.

კერძოდ სოხუმის ოკრუგში ცხენების გამრავლებისათვის უპირატესობას აძლევდნენ მეგრულ ულაყებს. აქ ცნობილი იყო სახელდობრ თავ. წერეთლის ფერმა. ამ ფერმის „ცხენები ექსტერიერით ჰგავს ინგლისურ სისხლნარევს“[22]. აფხაზეთში ცხენები მოჰყავდათ აგრეთვე ყუბანის ოლქიდან. აქ ცხენებს მხოლოდ საჯდომად ხმარობდნენ[23]. სამეგრელოში ცხენების ერთერთი მთავარი საბალახო იყო ასხის მთის იალაღები, სადაც „ყოველს გაზაფხულს სამი ათას ცხენზე მეტი დადის საძოვრად“[24].

სამურზაყანოში გაბატონებული იყო მეგრული ცხენი, რომელიც აქ საერთოდ უფრო იყო გავრცელებული ვინემ სადმე სხვაგან ქუთაისის გუბერნიაში. 1890-იანი წლებში ცხენი შეძლებული გლეხობის თითქმის ყოველ კომლს ჰყავდა;— თავადაზნაურობას ხშირად ცხენის მცირეოდენი თაბუნები ჰყავდა. სამურზაყანოში ცხენს „მთელ ზამთარს ხედნიან და გაზაფხულის პირზე მწყემსებს აბარებენ მთაზე წასაყვანად. ცხენის თავზე მწყემსი გასავრჯელოს თითო მანეთს იღებს პატრონისაგან. ამ ფასში ვალდებულია მთაზე ყური უგდოს

[21] П. Гугушвили, „Сельск. хозяйство...“, II, 288.

[22] Н. Фон-Дервиз, „Сухумский Округ“, 1906 г., Тифлис, стр. 41.

[23] КСХ, 1894 г., № 48. стр. 815.

[24] გაზ. „დროება“, 1883 წ., № 215.

ცხენსა, რომ კარგად გასუქდეს, არსად კლდეზედ არ გადაიჩეხოს და მარიამობის თვის გასულს ისევ პატრონს ჩააბაროს მთელი, უვნებელი. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მთაზე ყოფნის დროს ცხენი კლდეში გადაიჩეხება. ამ შემთხვევაში მწყემსი ვალდებულია პატრონს მკვდარი ცხენის ტყავი მოუტანოს ნიშნად იმისა, რომ ცხენი მართლა მკვდარია და არა მოპარული, ან გაყიდული. მაშინ მწყემსი პატრონს არ უზღავს ცხენის საღირალს"[25].

მეგრული ცხენები განთქმული იყვნენ სვანეთშიაც. „მეგრული ბედაურები სვანეთში დიდი პოპულარობით სარგებლობენ, განსაკუთრებით საჯდომათ, რადგან ეს... ცხენები უკეთ გახედნილები არიან და აქვთ საუკეთესო ალიური. ექსტერიერის მიხედვით ძნელია მეგრული ცხენის სვანურისაგან გარჩევა და ყველაზე სწორი იქნება ვივარაუდოთ, რომ ყველა სვანური ცხენები წარმოშობილია მეგრულისაგანო", — წერდა ა. კალვეიტი[26].

თუ რომ ზაფხულობით თაბუნების მოვლა-პატრონობა ძნელი არ იყო, სამაგიეროდ ზამთრობით დიდი სიძნელეები იწყებოდა. „მხოლოდ მცირე რიცხვს მეცხენეებისა აქვთ თივის მარაგი". ამის გამო მოუსავლიან და ცივზამთრიან წლებში ხშირად მრავალი ცხენი იხოცებოდა. „მომხვდარა ისეც, რომ 300 თავისაგან შემდგარი თაბუნიდან 30 ცხენილა დარჩენილიყოს"[27].

ნახევრადფერმული მეცხენეობა ნაკლებად იყო განვითარებული. ამ სახის მეცხენეობას ძალდევდნენ. მაგალითად, რუსი კოლონისტები, სახელდობრ სექტანტები. ამათ მეცხენეობა „ძლიერ კარგ შედეგს აძლევდა". მათი ცხენების ჯიშები მოყვანილ იყო შიგარუსეთიდან. ადგილობრივ ჯიშებთან ამათ-

---

[25] თედო სახოკია, „მოგზაურობანი", 1950, თბ., გვ. 285; იხ. აგრ. ნ. ცაგარელი, „მეგრული ცხენი" (ზოოტექ. სავეტერინარო ინსტიტუტის შრომათა კრებული, 1949 წ., ტ. V, გვ. 243 — 261).

[26] А. М. Кальвейт, „Очерк с. хоз. верхней Сванетий", 1911 Тифлис, стр. 38—39.

[27] Кавказский календарь на 1895 г., отд. IV, стр. 74—75.

მა შეჯვარებამ „წარმოშვა კარგი შესაბმელი ჯიში“, რამაც შესაძლებელი გახადა სექტანტებს „ძლიერ ფართოდ განევითარებიათ ტვირთზიდვის სარეწი“[28].

ზემოთ ჩვენ გავეცანით ი. ანდრონიკაშვილის დასკვნას (1886 წ.) ამიერკავკასიაში მეცხენეობის ჩამორჩენილობის შესახებ. ახლა მოვუსმინოთ მეორე სპეციალისტს. ს. მელიქ-სარქისიანცს: „30 — 40 წლის წინად, — წერდა იგი 1894 წელს — მეცხენეობა წარმოადგენდა უსაყვარლეს საქმეს ბორჩალოს მაზრის შეძლებული ადამიანებისა, რომელთა კეთილდღეობაც ისაზღვრებოდა ცხენთა თაბუნების რაოდენობით. ყველაზე ცნობილი თაბუნები დაშტამმურ-აღაკასუმოვისა, ალი-აღასულთანოვისა და სხვ. შედგებოდა ყაზახ-ბორჩალოს ცნობილი ჯიშის რამოდენიმე ათასი მშვენიერი ცხენისაგან. ეს ჯიში დღემდე სარგებლობს სავსებით დამსახურებული სახელით“, მაგრამ იგი სულ იშვიათდება და ახლა „ყაზახისა და ბორჩალოს მთელს მაზრაში ძნელია მოძებნა რამდენიმე ათეული ტიპურად ასეთი ცხენისა“[29].

ადგილობრივი ჯიშის ცხენთა შემცირების მიზეზი, ცხადია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებში უნდა ვეძიოთ. ცხენი აქ უპირატესად საჯდომი ცხოველი იყო. წინად, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ს. მელიქ-სარქისიანცი, ყოველი აღალარისა და მის მხლებელთათვის აუცილებელი იყო რამდენიმე ათეული ცხენი. რაც მათს სიამაყეს შეადგენდა. ამავე დროს „თითქმის არ იყო გლეხის არც ერთი ოჯახი, რომელსაც არ ყოლოდა თავისი ცხენი — რაც მიმოსვლის ერთადერთი საშუალება იყო“[30].

მაგრამ 1860 — 1870-იანი წლებიდან მდგომარეობა კარდინალურად გამოიცვალა. კავკასიის ომები დამთავრდა. აღა-

---

[28] Кавказский календар на 1895 г., отд. IV, стр. 75.

[29] С. Мелик-Саркисянц, „Коневодство в Борчалинском уезде“, (КСХ, 1894 г., № 21, стр. 368).

[30]. იქვე, გვ. 368.

ლარები და თავადაზნაურობა საკუთარ კარმიდამოსა და მამულს დაუბრუნდა. მათი მიმოსვლის აუცილებლობა შემცირდა. ამასთანავე, რაც მთავარია, გაჩნდა რკინიგზა, ფოსტა, ტელეგრაფი და ცხადია, შემცირდა მოთხოვნილება ბედაურებზე, მით უმეტეს, რომ ცხენის შენახვაც გაძვირდა[31]. ცხენის შენახვის გაძვირების მთავარი მიზეზი, ცხადია, საკვები ბაზის შემცირება იყო. როგორც საზაფხულო ისე საზამთრო საბალახოების დიდი ნაწილი სახნავად და საბალ-ვენახად, საერთოდ კულტურული მემცენარეობის არეალად გადაიქცა.

1890-იანი წლების გასულს ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე აღნიშნავდა: „...საძოვარი დაცოტავდა, დაძვირდა. პირუტყვის შენახვა ზამთარ-ზაფხულ გაჭირდა. ამ გარემოებამ ძალიან შეაცოტავა პირუტყვთ-მოშენება. სადღაა ახლა ის ცხენის ჯოგები, რომლითაც ასე განთქმული იყო წინათ ყაზახ-ბორჩალო? დღეს ყაზახ-ბორჩალოში ცხენის ჯოგის ხსენებაც არ არის. თუ ჰყავს ვისმე, ისიც დიდს ვისმე მებატონეს, ვისაც თავისი საკუთარი საძოვრები აქვს და ამისთანანი ერთი და ორია, ისიც მაღალი წოდების კაცი. დაბალი ხალხი წელებზე ფეხს იდგამს და თითო-ოროლა ცხვარსა და ძროხას ისე ინახავს“[32].

სოფლელისათვის საჯდომი ცხენი ამიერიდან ფუფუნების საგნად გადაიქცა და თანდათანობით უპირატესობა მიენიჭა მუშა-ცხენს, რომელიც სულ უფრო ინტენსიურად გამოდის სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებისა და ზოგან კიდევ სახვნელი იარაღის გამწევ ძალად[33]. ასეთი ჯიშის ცხენებზე აქ წინათ მოთხოვნილება არ იყო, მაგრამ რეფორმის მერმინდელი პერიოდიდან ე. წ. „მუშა-ცხენები“ აქ ნელა, მაგრამ მაინც თანდათანობით მომრავლდა[34]. აღსანიშნავია, რომ ამ

---

31 И. Согаль, „Об упадке коневодства в Карабахе“ (КСХ 1898 г., № 242, стр. 552—553).

32 ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრ. კრებული, VIII, 298.

33 იხ. „მუშა-ცხენი და მისი მოშენება“ (ჯაზ. „გუთნის დედა“ 1867 წ., № 10, გვ. 36 — 37).

34 „ხარ-კამეჩის მაგივრად ცხენებით მუშაობა“ („სასოფლო გაზეთი“, 1870 წ., № 22, გვ. 2 — 4).

პროცესის პარალელურად იწყება დიფერენციაცია ადგილობრივი ჯიშის ცხენებშიაც. მალე ამათ შორისაც (შეჯვარებისა და სხვ. გზით) წარმოიქმნენ ახალი მოთხოვნილების შესაბამისი ტიპები — „მუშა-ცხენებისა“[35].

მაინც ამიერკავკასიაში, თვით 1920-იან წლებამდეც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კოლონიზაციურ ელემენტებს, ადგილობრივ მკვიდრთა შორის ცხენი, როგორც სახვნელი იარაღის გამწევი ძალა იშვიათად გამოიყენებოდა. მაგალითად, კახეთში. თელავის მაზრაში, სახელმწიფო გლეხთა მხოლოდ 23,1 პროცენტს ჰყავდა ცხენი, რაც ერთ კომლზე საშუალოდ 0.2-ს შეადგენს. გლეხთა ეკონომიკური ყოფიერების აღმწერი აცხადებს, რომ „აქაურ მეურნეობაში ცხენი თითქმის არავითარ როლს არ თამაშობს; მას ნაწილობრივ იყენებენ პურის ლეწვაში, ხოლო განსაკუთრებით კი — მიმოსვლისათვის და მცირე სიმძიმის ტვირთთა გადასაზიდავად“ [36].

1880 — 1890-იან წლებში ამიერკავკასიაში დიდი ბრძოლა ჩაღდება რუსული და ადგილობრივი ჯიშის ცხენთა შორის. ამასთანავე, განსაკუთრებით 1890-იანი წლებიდან თავადაზნაურულ მემამულეებში ჩნდება მისწრაფება წმინდასისხლის ინგლისური ჯიშის ცხენთა გამრავლებისა. საბოლოოდ, მაინც, მე-19 ს. მთელს მანძილზე ყველაზე უფრო მეტ ამტანობასა და გამძლეობას იჩენდნენ ადგილობრივი ჯიშის ცხენები, — რომლებიც შეზრდილი იყვნენ აქაურ კლიმატურსა და ტოპოგრაფიულ პირობებს.

ამ მხრივ უდავოდ გარკვეულ არგუმენტს წარმოადგენს გამოცდილება საქართველოს სამხედრო გზაზე ფოსტის მეიჯარის ს ლ ი ვ ი ც კ ი ს ა, რომელიც ყოველწლიურად, საშუალოდ, 150 ცხენს ყიდულობდა და 1890-იანი წლებიდან (ე. ი. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების შედეგად) უკვე ყოველთვის უპირატესობას აძლევდა ად-

---

[35] А. К а л а п т а р, „Тифлисская конская ярмарка“ (КСХ, 1894, № 22, стр. 381—382).

[36] МИЭБГКЗК, V, I, 119.

გილობრივ ჯიშებს, რომლებიც „სიდიდით რუსულზე ნაკლებია, მაგრამ ძლიერ ამტანი: მტკიცე კომპლექსიისა, და მაგარ-ჩლიქებიანია“, — რასაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აქაური ქვიანი ნიადაგის პირობებში[37].

ადგილობრივ გლეხობასთან შედარებით ცხენები უფრო მეტი რაოდენობით ჰყავდათ რუს და გერმანელ კოლონისტებს, რომლებიც აბორიგენთაგან განსხვავებით ცხენებს იყენებდნენ, როგორც მინდვრის სამუშაოებზე (ხვნა-თესვაში), აგრეთვე ბორბლიანი ტრანსპორტის გამწევ ძალადაც, რა მხრივაც ავტოხტონთა შორის ცხენი, მსხვილრქიან პირუტყვთან შედარებით, უმნიშვნელო როლს ასრულებდა[38].

ამიერკავკასიაში მეცხენეობის განვითარების მიზნით, გარდა გამოფენისა, დაიწყეს ცხენის იარმარკეტების მოწყობაც. ცხენის იარმარკეტობა . არსებითად მეცხენეობის გამოფენაც იყო. პირველი ასეთი იარმარკეტა თბილისში მოეწყო 1894 წელს[39]. აქაც, ცხადია, იგივე მდგომარეობა გამოვლინდა, რაც მეცხენეობის გამოფენებზე აშკარავდებოდა: საერთოდ მეცხენეობის ჩამორჩენილობა. ზოგიერთი დამკვირველი აღ-ნიშნავდა. რომ ამიერკავკასიაში მეცხენეობა დეგრადაციას განიცდისო და მთავრობისა და საზოგადოებრივობის ყურადღებას მიაქცევდა მეცხოველეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის აღორძინების ღონისძიებათა დასახვის აუცილებლობისადმი[40].

ცხენი ვითარცა სასაპალნე პირუტყვი დიდად საჭირო იყო ამიერკავკასიაში როგორც რკინისგზების გაყვანამდე, ისე მერმეც — უკვე უპირატესად მთაგორიანი ადგილებიდან რკინიგზისაკენ, თუ დიდ საჭაპანო გზებზე გადასასვლელად[41]. მთა-

---

[37] იხ. ნ. მეშჩერსკის სტატია ჟურ. „Коневодство“, 1893 г. № 12; КСХ, 1894 г., № 19, стр. 341.

[38] ТКОСХ, 1892 г., № 9—10, стр. 527—528.

[39] Н. Мещерский, „О первой конской ярмарке в Тифлисе“ (КСХ, 1894 г., № 26, стр. 459).

[40] „О торговле лошадьми в Тифлисе и вообще в Закавказском крае“ (КСХ, 1894 г., № 19, стр. 341—342).

[41] ТКОСХ, 1892 г., № 9—10, стр. 527—528.

გორიან ადგილებში ჰყავდათ სპეციალურად სასაპალნე ჯიშის ცხენები — ბარგის გადასაზიდად.

ამ სახით ტვირთის გადაზიდვა ჩალვადრების მესაარეწეობას წარმოადგენდა. ამ მხრივ განირჩეოდნენ თიანეთის, დუშეთის, ეჭმიაძინის, შემახიას, ახალქალაქის, გეოქჩაის და სხვ. მაზრები.

1912 წელს ქ. პიატიგორსკში გაიმართა ცხენების დიდი გამოფენა, რაშიაც მონაწილეობა მიიღო ამიერკავკასიამაც. ამ დროს აქაურ მეცხენეთა შორის ცნობილნი იყვნენ: ალლაჰიარ-ბეგ ზიულღადაროვი, თავ. ორბელიანი, ძმ. ფორერები, თავ. მუხრან-ბატონი, ლუთფალი-ბეგ ბებუთოვი, თავ. წერეთელი, ფონ-კუჩენბახი, ჯანგირ-ხან ნურიბეგოვი და სხვ.[42].

ქ. პიატიგორსკშივე გაიმართა მეცხენეთა ყრილობაც, რომლის ერთერთი სხდომა მიეძღვნა ამიერკავკასიურ მეცხენეობას. ყრილობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „თანდათანობით ჩაქრობის გზაზე შემდგარი ამიერკავკასიური მეცხენეობა უეჭველად დიდ ყურადღებას მოითხოვს მთავრობის მხრივ. საჯდომი ცხენების მოშენებისათვის, ცხადია, აუცილებელია კარგი ულაყების ყოლა და, ამასთანავე საჭიროა, რათა მეცხენეებს გადაეცეთ საბალახოები ელისავეტპოლის გუბერნიაში“. ყრილობის აზრით აქ მეცხენეობას ხელს უშლიდა ის გარემოებაც, რომ, „როგორც მთებში ისე ვაკეშიაც მიწები იჯარით ეძლეოდა გლეხებს“, ე. ი. რომ ფართოვდებოდა მიწათმოქმედების სფერო, და, მაშასადამე, მცირდებოდა საძოვარ-საბალახოები.

მეორეს მხრივ, ყრილობა სთვლიდა, რომ „კავკასიის არმიის მობილიზაციის განსაკუთრებული პირობები მოითხოვენ ზრუნვას მოშენებისათვის სააღალო (საფურგუნე) ცხენებისა, მაგრამ უფრო მსუბუქი ტიპისა, ვინემ ახლა არის“ [43]. ყრილო-

[42] П. Тускаев, „Закавказье на окружной конской выставке в Пятигорске“ (КХ, 1912 г., № 18, стр. 14—15).

[43] აღსანიშნავია რომ როგორც რეფორმამდელ პერიოდში, ისე მერეც, თვით 1890—1900-იან წლებშიაც, ამიერკავკასიიდან მნიშვნელოვანი ზომით გაყავდათ ცხენები თურქეთის სამხედრო უწყების — არმიის საჭიროებისათვის (КХ, 1913 г. № 21, стр. 3—4).

ბამ დაადგინა აგრეთვე 60-დან 150-მდე გაედიდებიათ თბილისის ცხენის ფერმის საჯინიბოს ულაყები[44].

წარმოდგენილი ცხრილის (გვ. 550) განმარტებისათვის უწინარეს უნდა შევნიშნოთ, რომ 1865 წ. მონაცემებში განჯის გუბერნია და ზაქათალის ოლქი შედიოდნენ ბაქოსა და თბილისის გუბერნიებში; ქუთაისის გუბერნიაში 1865, 1870, 1891 და 1899 წწ. გაერთიანებულია მთელი დას. საქართველო. ე. ი. გარდა თვით ქუთაისის გუბერნიისა, სოხუმის ოკრუგი და ბათუმის ოლქიც. 1899 წელს ბაქოს გუბერნიაში წარმოდგენილია 1901 წლის მონაცემები.

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, რეფორმის პერიოდიდან ამიერკავკასიაში მეცხენეობა ერთხნობით ძლიერ დაეცა. თუ 1865 წელს ითვლებოდა 300 ათასზე მეტი ცხენი, ოცი წლის შემდეგ, 1884 წელს, მისმა რაოდენობამ 217,5 ათასამდე დაიკლო. 1890-იანი წლებისათვის ეტყობა მეცხენეობის ერთგვარი აღმავლობა, მაგრამ საერთოდ მდგომარეობა ამ დროიდან მოყოლებული არსებითად მხოლოდ სტაბილურია და მიუხედავად ზოგიერთი ღონისძიებებისა, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, მეცხენეობის განვითარებაში შესამჩნევი წარმატება არსებითად ვერ იქნა მიღწეული.

თუ 1884 წლის მონაცემებს 1912 წლისას შევადარებთ, დავინახავთ, რომ საერთოდ ცხენის რაოდენობა 62,3 პროცენტით გადიდებულა, თუმცა ეს ზრდა ამ თითქმის 30 წლიანი პერიოდისათვის უმნიშვნელოა. მაგრამ ამ მხრივ ყველაზე მთავარი მაინც ის გარემოებაა, რომ 1877—1882 წწ. (ომიანობა, ცხენის დაცემა და სხვ.) ადგილი ჰქონდა ცხენის სულადობის მკვეთრ შემცირებას. ეს იქიდანაც ჩანს, რომ 1870 წელს დაახლოებით სამჯერ მეტი იყო ცხენის რაოდენობა ვიდრე 1884 წელს.

1903 წელთან და თვით 1890-იანი წლების დასაწყისთანაც შედარებით 1900-იანი წლების ბოლომდე, ე. ი. 20-ოდე წლის პერიოდში, ცხენის რაოდენობა სისტემატურად კლე-

---

[44] КХ, 1912 г., № 18, стр. 14—15.

ცხენის რაოდენობა ამიერკავკასიაში 1865—1912 წ.

ადმინისტრაციული ერთეულები	1865 წ.	1870 წ.	1889 წ.	1891 წ.	1899 წ.	1903 წ.	1907 წ.	1908 წ.	1910 წ.	1911 წ.	1912 წ.	1912 წ. %-ულად 1903 წ. შედარებით
ბაქოს გუბერნია	142607	418000	60532	74267	77057	100982	74238	88407	83878	78869	94334	93,4
განჯის გუბერნია	—	92000	39312	76142	74815	57515	66967	92290	79915	79411	80630	140,2
ერევნის გუბერნია	33041	32000	25591	35636	47581	49684	36734	39889	42675	44019	42672	85,9
თბილისის გუბერნია	77747	73000	40940	98047	52807	88098	90266	90266	41277	87960	83185	94,4
ზაქათალის ოკრუგი	—	—	5985	5677	7580	7580	3672	3629	4453	2988	3003	39,6
ქუთაისის გუბერნია	48015	33000	37889	74901	65330	44433	28673	24306	25202	23794	25733	57,9
ბათუმის ოლქი	—	—	2738	შედის ქუთ. გუბერნიაში		7793	5286	7800	4109	6866	7060	90,6
სოხუმის ოკრუგი	შედის ქუთ. გუბ.		4536			12402	12756	13383	14131	12631	16520	133,2
სულ	301041	648000	217523	364679	325170	368487	318592	359970	345640	336538	353137	95,8

ბულობს. 1912 წელს ამიერკავკასიაში ცხენის სულადობა შეადგენდა 1903 წლის დონის 95,8 პროცენტს. განსაკუთრებით დაეცა მისი რაოდენობა ქუთაისის (57,9 პროცენტამდე) და ერევნის (85,9) გუბერნიებში, აგრეთვე ზაქათალის ოკრუგსა (39,6) და ბათუმის ოლქში (90,6 პროცენტამდე).

ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულთა მიხედვით მეცხენეობა უფრო გავრცელებული იყო ბაქოს, თბილისის და ელისავეტპოლის გუბერნიებში.

2. მ ე ა ქ ლ ე მ ე ო ბ ა

„აქლემი. მამალს აქლემს ლ ო ი ნ ი და დედალს ჯ ა მ ა, შვილთა მათთა კ ო ზ ა კ ი ეწოდების; ხოლო დ უ კ ა ტ ი გვარად მომცროსა და მალსა ჰქვიან“.

ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

რკინიგზების გაყვანამ განსაკუთრებით შესამჩნევი გავლენა მოახდინა მეაქლემეობაზე. მეაქლემეობა გავრცელებული იყო უპირატესად აღმ. ამიერკავკასიაში. აქლემი აქ წარმოადგენდა ძვირფას სასაპალნე ცხოველს. როგორც შინაგანი ვაჭრობისა და საერთოდ ტვირთზიდვისათვის, ისე საგარეო (საქარავნო) ვაჭრობაშიაც.

ოფიციალური მიმომხილველის ცნობით 1870-იან წლებში ერევნის გუბერნიაში „სხვადასხვა საქონლის ტვირთზიდვა, ფურგუნებითა და აქლემებზე აკიდებული საპალნეების სახით, მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევს მრავალი სოფლის მცხოვრებს. განსაკუთრებით ეჩმიაძინისა და სურმალოს მაზრებში, რომელთაც შეუძლიათ 3600-ზდე აქლემი გაიყვანონ“ სამუშაოდ[1].

მაგრამ რკინიგზების გაყვანამ, ამიერკავკასიის ტრანზიტის

[1] „Кавказский календарь на 1877 г.“, отд. II, стр. 14. სასაპალნე აქლემი თვეში 18 — 20 მანეთად ქირავდებოდა, დღეში საშუალოდ 30 ვერსს გადიოდა და 12 ფუთამდე ტვირთს ზიდავდა.

გაუქმებამ, ამასთანავე ბაქოს სარეწავებში ნავთობსადენი მილების სისტემამ, 1880-იანი წლებიდან დაწყებული, მძიმედ დაარტყა მეაქლემეობას. დაეცა აქლემის ფასიც[2] ბაქოსა და ერევნის გუბერნიებში, სადაც თითქმის ყოველ სოფელში საკმაო რაოდენობით ჰყავდათ აქლემები. 1880-იანი წლების მეორე ნახევრიდან აქლემთა გამრავლება ერთბაშად შეამცირეს[3]. მალე აქ გაჩნდა უაქლემო სოფლებიც. შემახიასა და გეოქჩაის მაზრებში ამ დროიდან აქლემები უკვე მხოლოდ მომთაბარეებსა ჰყავდათ[4].

მეაქლემეობა ამიერკავკასიაში დაეცა განსაკუთრებით თბილისსა და ერევან-გუმბრ-ყარსს შორის რკინიგზის გაყვანის დროიდან. მანამდე აქლემი, როგორც სასაპალნე ცხოველი, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იმ საქონელბრუნვაში, რაც ჯულფა-ნახჭევან-ერევან-ყარს-გუმბრსა და თბილისს შორის მიმდინარეობდა. მაგალითად, დანილოვიჩის მონაცემებით, მხოლოდ კენაკირის (ერევნის მახლობლადაა) საყარაულოდან 1893 წელს გასულა ტვირთი:[5]

ტრანსპორტის სახეობა	ერევნიდან		ერევნისაკენ	
	ტრანსპორტის რაოდენობა	წონა ტვირთისა ფუთობით	ტრანსპორტის რაოდენობა	წონა ტვირთისა ფუთობით
1. ფურგონი .	4,267	426.00	4523	452.300
2. მარხილი	350	17.500	286	14.300
3. ოთხთვალა („პოვოზკა")	3.443	172.400	1947	97.300
4. აქლემი .	3.900	54.500	4490	62.900

მას შემდეგ რაც რკინიგზამ ამ მიმართულებითაც გამოდევნა აქლემი, ცხადია, მისი სატრანსპორტო, ე. ი. ეკონომიკური მნიშვნელობა ძლიერ უნდა დაცემულიყო.

---

[2] МИЭБГКЗК, VI II, 167.
[3] იქვე, I, 632.
[4] იქვე, VI, II, 167.
[5] РТКЭЖД, 763—764.

1890-იანი წლების მიწურულს აქლემები ამიერკავკასიაში მხოლოდ მომთაბარე მეჯოგეობის მიმდევრებს ჰყავდათ. მ. ს კ ი ბ ი ც კ ი ყარაბაღის საზაფხულო საძოვრების მიმოხილვისას, 1899 წ. წერდა, რომ აქ აქლემები ჰყავდა მხოლოდ იმ მეჯოგეებს, რომელთა საზამთრო ადგილსამყოფელი (ყიშლაღები) მეტად შორს იყო; მაგალითად, ჯევათლებს, ჯებრაილელთ და შუშის მაზრის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრებთ. რაც შეეხება ჯევანშირის, ზანგეზურისა და ელისავეტპოლის მაზრის მეჯოგეებს მათ „იალაღებში აქლემები სრულებითაც არ ჰყავდათ“[6].

ამავე ცნობით ყარაბაღში ჰყავდათ როგორც ერთკუზიანი, ასევე — უფრო მეტი რაოდენობით — ორკუზიანი აქლემები. მეტი გასავალი ჰქონია ერთკუზიან აქლემს, როგორც უფრო ძლიერსა და ამტანს. ორკუზიანზე, იალაღებიდან დაშვებისას, „როდესაც პირუტყვი მომაგრებულია.“ ჰკიდებდნენ 12-15 ფუთ ტვირთს, ხოლო ერთკუზიანზე — 20 ფუთსა და მეტსაც[7].

1861 წელს, ოფიციალური ცნობით თბილისის, ერევნისა და ბაქოს გუბერნიაში მხოლოდ სახელმწიფო (სახაზინო) გლეხებს ყავდათ (ეკუთვნოდათ) 20.100 აქლემი[8]. 1870-იანი წლების დასაწყისში საერთოდ ამიერკავკასიაში დაახლოებით 120.000 აქლემს ვარაუდობდნენ, ხოლო ორმოციოდე წლის შემდეგ, სახელდობრ 1912 წელს მისი რაოდენობა დაეცა 16.000-მდე, ე. ი. 7-ჯერზე მეტად შემცირდა.

---

[6] М. Скибицкий, „Карабагские казенные летние пастбища“ (МУКЛЗПИСК, 1899, Тифлис, IV, 74).

[7] იქვე, გვ. 74—75.

[8] АСКАК, XII, 1391.

V

მუშა-პირუტყვი

მიუხედავად მსხვილრქიანი პირუტყვის ბ. ?. ?ოქმედებაში სოდენ დიდი მნიშვნელობისა გლეხობის უმრავლესობა არ ყო უზრუნველყოფილი აუცილებელი **გ ა მ წ ე ვ ი** ძალით. 1884 — 1885 წწ. თავმოყრილ ცნობათა მიხედვით სახელმწიფო გლეხთაგან, — ხოლო გლეხთა ეს კატეგორია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კოლონისტებს, ეკონომიკურად თითქმის ყველა სხვა გლეხებზე უკეთეს პირობებში იმყოფებოდა — სავსებით არ ჰყავდა მუშა-საქონელი: თელავის მაზრაში[1] — 3.217 კომლს, ანუ საერთო რაოდენობის 46%-ს; სიღნაღის[2] მაზრაში — 4.357 კომლს, ანუ 48%-ს; ნუხის მაზრაში[3] — 3.320 კომლს, ანუ 28%-ს; ყუბის მაზრის ჩრ. ნაწილში[4] — 1.043 კომლს ანუ 14%-ს.

ცხადია, რომ საერთოდ მსხვილი რქიანი პირუტყვის ყოლა, კერძოდ 1, 2 თუნდაც 3 ცალი ხარის ყოლა კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ასეთს მეკომურს შეეძლოს მიწის დამოუკიდებლად დამუშავება. ამიერკავკასიის სწორედ იმ რაიონებში, სადაც ერთ გუთნეულს (სახვნელს) 6 — 8 წყვილი ხარკამეჩი სჭირდება, როგორც ი. ანდრონიკაშვილი შენიშნავდა, „ყველაზე დიდია მეურნეთა რაოდენობა, რომლებიც უზრუნ-

---

[1] МИЭБГКЗХ, V, I, 117; СМЭБГК, V, I, 176.
[2] იქვე, IV, II, 282.
[3] იქვე, VI, I, 76.
[4] იქვე II. I, 361.

ველყოფილი არ არიან მუშა პირუტყვით... ხოლო იქ, სადაც ხნავენ კავით („ჩუთით"), რომელსაც 1—2 წყვილი ხარი სჭირდება, მეურნეთა შორის მუშაპირუტყვის განაწილება უფრო თანაბარზომიერია და მეურნეთა რაოდენობა, რომლებიც არ არიან გამწევი ძალით უზრუნველყოფილი შესამჩნევად ნაკლებია"[5].

1885 წელს მთელ სიღნაღის მაზრაში, სადაც გუთნეულს 5, 6 და მეტი ყევარი შესაბმელი სჭირდება, მეურნეთა მხოლოდ მ ე თ ე ქ ვ ს მ ე ტ ე დ ნ ა წ ი ლ ს შეეძლო სავსებით დამოუკიდებლად გაემართა გუთნეული; მეურნეთა 15%-ს მხოლოდ 1 ან 2 ცალი ხარი ჰყავდა, კიდევ 15%-ს 1 ან 2 წყვილი, ხოლო 2-დან 4 წყვილამდე შესაბმელი ჰყავდა მეურნეთა 12,5%-ს, 4 ან 5 წყვილი კი—მხოლოდ 2,4 პროცენტს; მეურნეთა 48%-ს სავსებით არა ჰყავდა მუშაპირუტყვი[6].

სწორედ ამავე ხანებში თელავის მაზრის სახელმწიფო გლეხთა 6977 კომლს ჰყავდა სულ 16.186 თავი (ხარებისა და კამეჩებისაგან შემდგარი) მუშაპირუტყვი, ე. ი. თვითეულ კომლზე საშუალოდ მოდიოდა 2,3 პირუტყვი. მაგრამ მუშა-საქონლის ხსენებული რაოდენობა ფრიად არათანაბარზომიერად იყო განაწილებული კომლთა შორის: საერთოდ მხოლოდ 3217 კომლს, გლეხთა საერთო რიცხვის 46 პროცენტს ჰყავდა გამწევი ძალა, ხოლო 54 პროცენტს მიწათმოქმედება შეეძლო ეწარმოებია მხოლოდ მუშაპირუტყვის დაქირავების გზით[7].

მუშაპირუტყვის მოსახლეობის უმცირესობის ხელში თავმოყრა იწვევდა იმას, რომ გამწევძალას მოკლებული გლეხი იძულებული იყო გუთნეულში მონაწილეობა მიეღო არახელსაყრელ პირობებში,—როდესაც იგი არსებითად დაქირავებულ მუშაზე ბევრად უარეს მდგომარეობაში ვარდებოდა.

---

[5] П. Андроников, I, с., 177.
[6] МИЭБГКЗК, IV, II, 284.
[7] МЭБГКЗК, V, I, 117—118.

ამასთანავე მოსავლის მოტანა-დაუნჯების, ხეტყის მოზიდვის, პროდუქტების ბაზარზე გატანის და სხვ. იგი ყოველთვის კულაკისაგან იყო დამოკიდებული. ხშირად აწეულ ქირაზედაც მას უძნელდებოდა მუშაპირუტყვის შოვნა და თავისი საქმე შეეძლო გაეკეთებია მხოლოდ მას მერმე, როდესაც პირუტყვის პატრონს უკვე შესრულებული ჰქონდა ანალოგიური სამუშაო, ანდა საერთოდაც არ სჭირდებოდა პირუტყვი. ცხადია, ასეთი ვითარება ფრიად უარყოფითად მოქმედებდა ღარიბი გლეხის მეურნეობაზე.

როგორც აღვნიშნეთ, თელავის მაზრის სახელმწიფო გლეხთა შორის ფრიად არათანაბარზომიერად იყო განაწილებული მუშაპირუტყვი, სახელდობრ:

არა უმეტეს ერთი წყვილისა			სულ	1.623	ხარი	ჰყავდა	970	მეურნეობას	ანუ 13,9 პროცენტს
1-დან 2									
1-დან 2	წყვილამდე	„	3.647	„	„	968	„	-	13,8 „
2-დან 3	„	„	3.355	„	„	578	„	„	8,3 „
3-დან 4	„	„	2.396	„	„	310	„	„	4,4 „
4-დან 5	„	„	1.346	„	„	140	„	„	2,1 „
5	წყვილზე მეტი	„	3.819	„	„	245	„	„	3,5 „
	სულ		16.186	„	„	3.217	„	„	46,0 „

როგორც ვხედავთ, მთელი მუშაპირუტყვის ჯოგის მესამედზე მეტი (5. 165 თავი) თავმოყრილი იყო 385 მეურნეობის, ანუ მეურნეობათა საერთო რიცხვის (6977 კომლის) 5,6 პროცენტის ხელში. ამასთანავე, ამ უკანასკნელთაგანაც მხოლოდ 245 კომლს შეეძლო ჰქონოდა მუშაპირუტყვის მხრივ დამოუკიდებელი მიწათმოქმედური მეურნეობა, რადგან მხოლოდ ამათ ჰყავდათ გუთნეულის გასამართავად საჭირო რაოდენობის გამწევი ძალა.

ბარონ ა. ნიკოლაი ჯერ კიდევ 1850-იანი წლების მიწურულს აღნიშნავდა თბილისის მაზრაში მუშახარის დიდ ნაკლებობას, სიმჭლეევესა და სისუსტეს, რადგან „გლეხობას არ შეეძლო მუშაპირუტყვისათვის საჭირო რაოდენობით საკვების მიცემა“. ბარ. ა. ნიკოლაის მოწმობით, სახნავი მიწე-

ბის ნაწილი დაუმუშავებელი რჩებოდა სწორედ მუშაპირუტყვის ნაკლებობისა და სიძვირის მეოხებით[8].

ეს მომენტი მნიშვნელოვანი იყო განსაკუთრებით ისეთ რაიონებში, სადაც ბუნებრივ-ისტორიული პირობები, ნიადაგის ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური თვისებები მოითხოვდა მრავალშესაბმელიან სახვნელ იარაღს. სადაც, მაშასადამე, გუთნეულის გასამართავად საჭირო იყო 20-მდე ხარი[9]. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ასეთს რაიონებში მსხვილრქიანი მეცხოველეობის შედგენილობის ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა ს სრულებით თავისებური ხასიათი ჰქონდა. ა ქ ხ ა რ ი (მ უ შ ა-პ ი რ უ ტ ყ ვ ი) პ რ ო ც ე ნ ტ უ ლ ა დ გ ა ც ი ლ ე ბ ი თ მ ე ტ ი ი ყ ო ძ რ ო ხ ე ბ თ ა ნ შ ე დ ა რ ე ბ ი თ. ვინემ იმ რაიონებში, სადაც სახვნელი იარაღის (კავის) გასაწევად 1 ან 2 ყევარი შესაბმელი კმაროდა.

1880-იანი წლების შუაში, სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფიერების შესახებ დაგროვილ მასალათა მიხედვით, მრავალშესაბმელიან სახვნელი იარაღის (გუთნეულის) რაიონებში მოზრდილი პირუტყვის მთელი რაოდენობის 50 — 80 პროცენტი მოდის მუშაპირუტყვზე, ხოლო იმ რაიონებში, სადაც კავით ხნავენ მუშაპირუტყვის რაოდენობა 20 — 50 პროცენტს შეადგენს.

რა თქმა უნდა, პირუტყვის სტრუქტურულ შედგენილობაში მუშაპირუტყვის ხვედრიწონაზე სავსებით გარკვეულ გავლენას ახდენდა სახნავი მიწების რაოდენობაც და საერთოდ სისტემა მიწათმოქმედებისა. ზემოხსენებული მასალებიდან ჩანს, რომ სახნავი მიწების მხრივ „კარგად უზრუნველყოფილ“ კულაკურ მეურნეობებს და საერთოდ კოლონისტებს, მაგალითად, თბილისისა და ელისავეტპოლის გუბერნიებში უფრო მეტი შესაბმელი პირუტყვი ჰყავდათ, ვინემ ეს საჭირო იყო მათი სანადელო მიწების დასამუშავებლად და,

---

[8] II. Г у г у ш в и л и, „Сельское хозяйство...“, I, 464.

[9] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „გუთნეულის ეკონომიკური ორგანიზაცია“. 1944.

მაშინ, ასეთი მეურნეობები ამ მხრივაც ეწეოდნენ მუშაპირუტყვს მოკლებული მეზობელ წვრილმწარმოებელთა ექსპლოატაციასა და დაკაბალებას. ასეთს, შეძლებულ, მიწათმოქმედურ მეურნეობებში შინაური მსხვილრქიანი პირუტყვის შედგენილობაში გამწევი პირუტყვის რაოდენობა ხშირად 90%-მდე აღწევდა. აქ ძროხებს მხოლოდ „საოჯახო საჭიროებისათვის“ ინახავდნენ.

მთლიანად მომთაბარე მეჯოგეობის მიმდევარ თემებში, ცხადია, მუშაპირუტყვზე მოთხოვნილება ნაკლები იყო, — მათ იგი სჭირდებოდათ მხოლოდ როგორც სატრანსპორტო საშუალება საზაფხულო საბალახოებისაკენ და პირუკუ საოჯახო და სხვ. მოწყობილობათა გადატან-გადმოტანისათვის; ასეთი მეჯოგეები ძირითადად მერძეულ (პროდუქტულ) პირუტყვს ინახავდნენ, ხოლო ხარებს (მოზვრებს) ჰყიდდნენ მიწათმოქმედების მიმდევარ მოსახლეობაზე. საერთოდ მომთაბარე თემების მსხვილრქიანი პირუტყვის ჯოგში მუშაპირუტყვი უმნიშვნელო პროცენტს შეადგენდა.

შინაური პირუტყვის სტრუქტურაზე გავლენას ახდენდა ამა თუ იმ რაიონში განვითარებული პირუტყვის სატრანსპორტო საშუალების სახით ექსპლოატაციის ე. ი. მიმოყვანა-მიმოზიდვის სარეწი (извозный промысел.) რკინიგზების გაყვანამდე საერთოდ, ხოლო მერმე რკინიგზებამდე მისასვლელ საჭაპანო გზებზე ტვირთზიდვა და გადაყვანა, ურმებით, სასაპალნე და საჯდომი პირუტყვით შემოსავალის მნიშვნელოვან წყაროს შეადგენდა. ასეთი მესარეწეობა ესარფებოდათ განსაკუთრებით შეძლებულ გლეხურ მეურნეობებს, რომელთაც სხვარიგად, ზამთრობით და საერთოდ მიწათმოქმედური სამუშაოებისაგან მთელ თავისუფალ პერიოდში მუშაპირუტყვი „ტყუილად“ უნდა შეენახათ. ზოგან მოსავლის აღების მერმე მუშაპირუტყვის ნაწილს ჰყიდდნენ, რათა დაეზოგათ ზამთრის პერიოდში მისი შენახვის ხარჯი. მაგრამ მომთაბარე მეჯოგეობის რაიონებიდან დაშორებულ ადგილებში, სადაც გაზაფხულისათვის მუშა-პირუ-

ტყვის შეძენა შედარებით ძნელი იყო, შემოდგომობით, ხშირად, ჰყიდდნენ მერძეულ და სხვა პირუტყვს, რათა ზამთრის მანძილზე მუშაპირუტყვი უზრუნველეყოთ საკვებით[10].

მეცხოველეობის, კერძოდ მსხვილრქიანი პირუტყვის მოვლა-პატრონობასა და მომრავლებას რეფორმისმერმინდელ პერიოდში, განსაკუთრებით კი 1880-იანი წლებიდან მოყოლებული, აბრკოლებდა ის გარემოებაც, რომ მრავალი საძოვარი და სათიბი. რითაც მოსახლეობა აქამდე თავისუფლად სარგებლობდა, ფისკალური ინტერესებისათვის ხაზინამ საღალო მიწებად გამოაცხადა. ამ გარემოებით განსაკუთრებით დაზარალდნენ ის მიწათმოქმედური სოფლები, რომლებიც ტყის ზონაში ან მის მახლობლად მდებარეობდნენ.

ასეთს ადგილებში გლეხის ეზოდან გასული პირუტყვი სულ ადვილად ამოყოფდა თავს ტყეში, სადაც ამიერიდან გლეხის ბედიღბალს თვითნებურად განაგებდა ტყისმცველი.

მეორეს მხრით, საბალახოების შესახებ 1884 წ. კანონის გამოცემამდე, როგორც ვიცით, საძოვრების ექსპლოატაცია სწარმოებდა ზოგან საბალახო მოსაკრებელის მიხედვით, ხოლო ზოგან შემოღებული იყო საღალო სისტემა, რის მეოხებითაც გლეხობას საბალახო ადგილების იჯარით აღება უხდებოდა მეორე და ხანაც კიდევ მესამე ხელიდან, რაც „მეტისმეტად აძვირებდა საბალახოებს"; მაგრამ ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც სოფელი (არაიშვიათად კიდევ სახაზინო გლეხთა სოფელიც) საერთოდ ჰკარგავდა „თავის, საუკუნეებრივად დაჩემებულ, საბალახოს"[11].

მაგრამ მარტო ხაზინა როდი ცდილობდა წვრილმწარმოებელი მეცხოველეობის ხარჯზე თავისი შემოსავლის გადიდებას. არანაკლები მონდომებითა და მოხერხებულობით ცდილობდნენ მსხვილი კერძო მიწათმფლობელები თავიანთი მამულების შემოსავლიანობის ამაღლებას; — რეფორმების

---

[10] МУКЛЗПНСК, II, II, 26—34.
[11] КСХ, 1897 г., № 152, стр. 65.

ცხოვრებაში გატარების პროცესში, ე. ი. საწესდებო სიგელის შედგენისას მრავალი ყოფილი საბატონო სოფელი დასტოვეს საძოვარ-საბალახოების, იალაღების, ყიშლაღების, იათაღებისა და სათიბების, აგრეთვე ტყეების გარეშე. ამის შემდეგ, ცხადია, საბალახოებსა და სათიბებს მოკლებული სოფლები იძულებულნი იყვნენ მემამულეებისაგან იჯარით აეღოთ ამ სახის სახმარი მიწები. მაგრამ დროთა მსვლელობაში მიწის საიჯარო ქირა სულ მატულობდა და, მაშასადამე, პირუტყვის შენახვის ხარჯები შეუჩერებლად იზრდებოდა. ამას ისიც ზედ ერთვოდა, რომ ახლობელი საძოვარ-სათიბის დიდი ნაწილი მოიხნა და, ამგვარად, სათიბი ადგილები სულ შორდებოდა სოფელს, — იგი ზოგან 1 — 2 დღის სავალზე იყო, რაც ცუდი გზების პირობებში თივას მეტად აძვირებდა.

ამგვარად, მე-19 ს. 80-იანი წლებიდან სულ უფრო ხშირდება ისეთი გლეხური მეურნეობა, რომელსაც ძალა არ შესწევს ზამთრისათვის საჭირო თივა (ჩალა) მოიმარაგოს. 1890-იანი წლების მიწურულს კსმს-ს ორგანო აცხადებდა, რომ „უკვე გაჩნდა მრავალი ღარიბი, რომელსაც არა მხოლოდ არ შეუძლია თივის შესაძენად გასწიოს ხარჯები, არამედ იძულებულია ზამთრის დასაწყისშივე გაყიდოს სანადელო მიწაზე მოთიბული თივის ნაწილი“[12].

თივა, ბზე, ჩალა, ნამჯა ამიერკავკასიაში ვაჭრობის საგანი ხდება, ბაზარში გამოაქვთ. პ ი რ უ ტ ყ ვ ი ს ა მ ს ა კ ვ ე ბ თ ა ს ა ქ ო ნ ლ ა დ გ ა დ ა ქ ც ე ვ ა ს იმპულსი უწინარეს სამხედრო უწყებამ მისცა, რომელიც ჯერ კიდევ რეფორმამდელ პერიოდში ამზადებდა აქ საკმაო რაოდენობის თივას. 1870—80-იანი წლებიდან თივა, ბზე, ჩალა ვაჭარ-შემსყიდველთა სპეკულაციური ოპერაციების ობიექტი ხდება. პირუტყვის პატრონ მრავალ წვრილ და ღარიბ მიწისმუშას, ზოგან მომთაბარე მეჯოგესაც, უკვე შუა ზამთარში, უფრო ხშირად გაზაფხულის დადგომის წინ, შემოელეოდა ხოლმე პირუტყვის საკვე-

[12] КСХ, 1897 г., № 161, стр. 92—93.

ბი და მაშინ ისინი „კულაკების კლანჭებში ამოყოფდნენ თავს“.

ამასთანავე გრძელი ზამთრისა ანუ თივის ცუდი მოსავლის წლებში გლეხური მოსახლეობის დიდ ნაწილს საერთოდ ადრე უთავდებოდა თივა. ამ შემთხვევაში წვრილმეურნეობელი იძულებულია „პირუტყვი მისცეს ვისმე, ვინც მას აკმევს“, ანდა, როგორც იტყვიან „ჩალისფასად გაყიდის“, — და ეს ორი სიტყვა ამ შემთხვევაში არა მხოლოდ რეალურ ვითარებას ასახავდა, არამედ „ნედლ საქონელს“ მინდობილი გლეხის მთელი ყოფიერების ალალბედობის გამომხატველიც იყო.

მაგრამ წვრილი მიწისმუშა ხშირად თვითონვე ავიწროებდა თავისი პირუტყვის საკვებ ბაზას. რამდენადაც მიწათმოქმედება მისი საქმიანობისა და არსებობის მთავარი წყარო იყო, იგი იძულებული ხდებოდა კულტურული მემცენარეობისათვის ვარგისი სათიბი ან საბალახო თუ გაიჩნდა იგი საყანედ მოეხნა, ანდა ბალად, ვენახად, ბოსტნად გადაექცია.

რამდენადაც სახნავი მიწების სიმცირე სულ უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა გლეხობა იძულებული იყო შემცირებია მიწების დასვენების პერიოდები და, ამგვარად, შეეკვეცა დასასვენებლად დატოვებული მიწის საძოვარ-საბალახოდ გამოყენების პერიოდიც[13]. ასე, რომ მემინდვრეობის საძოვრული (пастбищная) სისტემა, ასევე ნაჩხატოვანი სისტემაკ, რაც ზოგიერთ ქვეყანაში მეცხოველეობის საკვები ბაზის ორგანიზაციაში მნიშვნელოვან ადგილს იკერდა, ამიერკავკასიაში არსებითად სავსებით უმნიშვნელო როლს ასრულებდა. აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ არამცთუ დასასვენებლად დატოვებული მიწების შეუნელებელი შემცირების, არამედ შემოდგომიდან, მოსავლის აღების შემდეგ ნაყანევზე პირუტყვის თავისუფალი ძიშვება, მემინდვრეობის გაძოვებითი (выгонная) სისტემა — რაც წინათ

[13] ვრცლად იხ. პ. გუგუშვილი, „მარცვლეულის მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში“; აქვე, გვ. 376 — 397.

საყოველთაოდ აღიარებული და გავრცელებული საშუალება იყო ზამთრის წინ პროდუქტიული თუ მუშაპირუტყვის „გალაღებისა და მოღონიერებისა“,—სულ უფროდაუფრო კარგავდა თავის ძველ მნიშვნელობას, რამდენადაც რეფორმის მერმინდელ პერიოდში, რკინიგზის გაყვანის მერმე მაინც, სახნავი მიწების შემოღობვა, განსაკუთრებით დას. საქართველოში და საერთოდ სპეც.-ტექნიკურ კულტურათა რაიონებში, პირდაპირ „ეპიდემიურ ხასიათს“ ღებულობს. ამგვარად, მე-19 ს. მიწურულისათვის მემინდვრეობის ე. წ. გაძოვებითი სისტემა შენარჩუნებულ იქნა გარეშე... საძოვარი მიწებისა.

ასეთ ვითარებაში მუშაპირუტყვი, ხარი, მაგალითად, ქუთაისის გუბერნიაში, არ ღებულობს რა მთელი ზამთრის განმავლობაში საკმაო რაოდენობის საკვებს, „გაზაფხულისათვის უკვე მოსიარულე ჩონჩხს წარმოადგენს“, რომელსაც, ცხადია, არ შესწევს ღონე გასწიოს კავი და ამიტომაც „გასაკვირველი როდია, რომ მინდვრის სამუშაოები ყველგან დაგვიანებით იწყება, რომ სიმინდს სთესავენ მაისში, ივნისის დასაწყისშიაც“, რათა ამ დროისათვის ხარები საყანე მინდვრის საძოვრებზე რამდენადმე მოღონიერდნენო, — აცხადებდა ნ. მკურნალი 1897 წ.[14].

1900-იანი წლების მიწურულს ვ. ლენინი აღნიშნავდა, რომ თანამედროვე რუსეთში აგრარული საკითხის ცენტრალურ პუნქტს გლეხური მეურნეობა წარმოადგენსო. ვ. ლენინის ეს დებულება თავისუფლად შეიძლება გავავრცელოთ ამიერკავკასიაზე, სადაც ხსენებულ პერიოდში გლეხობის სოციალური დიფერენციაციის იგივე პროცესი (ცხადია, თავისებური სახით) მიმდინარეობდა, როგორიც თვით რუსეთში იყო შესწავლილი ვ. ლენინის მიერ.

ამიერკავკასიის გლეხურ მეურნეობაში მუშაპირუტყვის, ცოცხალი გამწევი ძალის საკითხი უმნიშვნელოვანესი მომენტთაგანი იყო; იგი გლეხურ მეურნეობაში წარმოების ძირი-

[14] КСХ, 1897 г., № 180, стр. 390.

თად საშუალებას წარმოადგენდა. მაგრამ გლეხურ მეურნეობაში დანახარჯთა აღდგენა, ამ შემთხვევაში გამწევი ძალის აღწარმოება სულ უფრო საცოდავი ზომით ხდებოდა. კიდევ მეტი. გლეხს, როგორც ვნახეთ, დიდად უჭირდა საერთოდ, ხარის შენახვა ზამთარში.

როგორც ცნობილია, შრომის ცოცხალი საშუალების აღწარმოების დრო თვით ბუნების მიერაა დაწესებული; პირუტყვის სიცოცხლის ხანგრძლივობა ბუნების კანონით განისაზღვრება. ამ დროის გასვლის შემდეგ მუშაპირუტყვი ერთბაშად გადის ხმარებიდან, მისი ნაწილობრივი შეცვლა არ შეიძლება; ის მხოლოდ სხვა პირუტყვით შეიცვლება[15]. ამასთანავე მუშაპირუტყვი, მაგალითად, ხარი წარმოებრივი ფუნქციის შესრულებაში შეუვანის თავდაპირველი მომენტებიდან, დროის გარკვეულ მანძილზე, შრომის მკვდარი ინვენტარისაგან განსხვავებით, როგორც წესი, უმჯობესდება. მაგრამ სწორედ ამ მხრივ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს მუშაპირუტყვის მოვლა-პატრონობის დონე და ხარისხი.

ხარი, მუშაპირუტყვი, როგორც ძირითადი კაპიტალი, განუწყვეტლივ მოითხოვს საკვებს და სხვ. ერთნაირ ან თითქმის ერთნაირ ხარჯვას იმ დროს განმავლობაშიაც, როდესაც არ მუშაობს, როგორც იმ დროში, როდესაც მუშაობს[16]. ეს განსხვავება სამუშაო დროსა და წარმოების დროს შორის, რაც სოფლისმეურნეობრივი წარმოების თავისებურებიდან გამომდინარეობს, მით უფრო მძიმე ტვირთად აწვა გლეხის მეურნეობას, რაც უფრო დიდი ზომით იყო ამიერკავკასიის სოფელში შემორჩენილი ბატონყმობის გადანაშთები და კაპიტალისტური ექსპლოატაციის ფორმებს გადახლართული ბატონყმური დაკაბალების მეთოდები.

ბუნებრივია რომ ასეთს პირობებში მუშაპირუტყვის შედარებითი რაოდენობა მცირდებოდა, წვრილმწარმოებელთა

---

[15] იხ. კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალი", II, 136—137.

[16] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, II, 204.

მასების სულ უფრო მეტი ნაწილი რჩებოდა გამწევი ძალის გარეშე. მაგალითად, ერევნის გუბერნიაში 1894 წელს 1884 წელთან შედარებით, ე. ი. 10 წლის განმავლობაში, შემცირდა პროცენტობით[17]:

	მუშა პირუტყვი	პროდუქტიული	წვრ. რქიანი	ცხენი
ახალბაიაზეთის მაზრ.	18	14	77	14
ალექსანდროპოლის „	48	32	59	53
ერევნის „	25	44	00	25
ეჯმიაძინის „	10	9	55	48
ოთხსავე მაზრაში სულ	25	22	53	16

მართალია, წვრილრქიანთან შედარებით მუშაპირუტყვის შემცირება ნაკლებია, მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ აქ საქმე გვაქვს უპირატესად მიწათმოქმედების მიმდევარ მოსახლეობასთან, სადაც მეცხოველეობა მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებს და სადაც მეცხოველეობაში განმსაზღვრელ ფაქტორს სწორედ გამწევი ძალა, ე. ი. მუშაპირუტყვი წარმოადგენს და ამიტომაც რაღაც ათიოდე წლის მანძილზე, ასეთს რაიონებში, მუშაპირუტყვის 25%-ით შემცირება წვრილმწარმოებელთა სწრაფი გაღატაკების პროცესის მაჩვენებელია.

1900-იან წლებში გლეხურ მეურნეობათა ძირითად მასებში მუშაპირუტყვის უყოლობამ უკვე იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია იძულებულია ხმამაღლა ალაპარაკოს ამის შესახებ. მაგალითად, ქუთაისის გუბერნიის ოფიციალურ მიმოხილვებში ვკითხულობთ, რომ აქ „უკიდურესი სიღარიბე და მუშაპირუტყვის უყოლობა აშკარაა და მეტად დიდია მეზობელ გუბერნიებთან შედარებით; თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცხენებს, რაც მხოლოდდამხოლოდ სამგზავროდ და სასაპალნედ გამოიყენება, მაშინ მუშაპირუტყვი სრულებით არა ჰყავს გლეხთა 7.000

[17] С. Заваров, „Опыт изслодов. с. х. Эриванск. губ...“, стр. 276—277.

კომლს — ქუთაისის მაზრაში, 11.000 კომლს — შორაპნის მ., 2.500 კომლს — სენაკის მ., 6.700 კომლს — ოზურგეთის მ.". მუშა პირუტყვით, ამავე მიმოხილვის მიხედვით, შედარებით უკეთ იყო უზრუნველყოფილი, რაჭის, ლეჩხუმისა და ზუგდიდის მაზრები[18].

ამგვარი საერთო ეკონომიკური შევიწროების პირობებში, წვრილგლეხურ მეურნეობას განსაკუთრებით აუნაზღაურებელ ზიანს აყენებდა მოუსავლობა, შიმშილობა, სტიქიური უბედურება. ასეთს ვითარებაში, მაგ-ლითად, ყარაბაღის 11 სოფელში მხოლოდ 1904 — 1906 წწ. კომლთა რიცხვმა, რომელთაც პირუტყვი არ ჰყავდა 275-დან 560-მდე მიაღწია — საერთოდ 2.881 კომლს, შორის, ე. ი. უპირუტყვო კომლთა რაოდენობა სამი წლის განმავლობაში 8,15 პროცენტიდან 12,5 პროცენტამდე გადიდდა[19].

1909 წელს ჟურნ. „მოსავალის" მიმომხილველი, ეხებოდა რა საქართველოს გლეხობის ძირითად მასებში მუშაპირუტყვის დიდ ნაკლებობას, აღნიშნავდა: „ჩვენი გლეხი, ჩვენი ერი მუდროდ არის დაკავშირებული შინაურ საქონელთან, უმთავრესად ხართან და კამეჩთან. რომლებიც... დიდ თანამდებობას ასრულებენ ჩვენი ერის კეთილდღეობის შემატებაში. დღესაც ჩვენი გლეხი, თუ ვისმე სიმდიდრის აღნიშვნა უნდა, ამბობს: «ერთი, ორი გუთნეული ხარი და კამეჩი ჰყავსო». ...უხარ-კამეჩო გლეხი ითვლება ღარიბ-ღატაკად. ის ხარ-კამეჩიანთან მიდის მოჯამაგირედ იმ ოცნებით, ერთი უღელი ხარი მაინც შეიძინოს და გახდეს დამოუკიდებელი მეოჯახე"[20],—მაგრამ, როგორც, ზემოთ დავინახეთ, ამ ოცნების განხორციელება სულ უფროდაუფრო მეტად შეუძლებელი ხდებოდა.

---

[18] „Обзор Кутайской губернии за 1906 г.", стр. 32;—за 1909 год, стр. 34—35.

[19] С. Завариян, „Экономические условия Карабах и голод 1906—1907 гг.", Спб, стр. 37—38.

[20] „მოსავალი", 1909 წ., № 6, გვ. 7.

დავალიანებული, მევახშის, კულაკის კლანჭებში ჩავარდნილი, „ყოველგნით ხელაღუპყრობელი“, გლეხის სრული გაღატაკების პროცესი, ჩვეულებრივ, საოჯახო ნივთების გაყიდვით იწყებოდა. შემდეგ მევალის ანუ გადასახადთა ამკრები მოხელის მოთხოვნით იყიდებოდა მისი ცხვარი, მერმე ძროხა, ხოლო დასასრულ შრომის იარაღები და მათ შორის „მარჩენალი“ ხარი; — ამ უკანასკნელი ოპერაციის შემდეგ გლეხს უკვე საბოლოოდ უნდა აეღო ხელი „დამოუკიდებელ მეოჯახედ დარჩენის“ ოცნებისაგან.

აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ კანონის მიხედვით მევალეს უფლება არ ჰქონდა უშუალომწარმოებლისათვის, გლეხისათვის გაეყიდვინებია (ან თვითონ წაეღო) შრომის საშუალებანი, მაგრამ ეს ოპერაცია „კეთილგონივრულად“ ჭახრაკდებოდა მევახშისა, ან შემსყიდველ-შუამავლის „ოჯახისშვილური დახმარებით“.

რა თქმა უნდა, ლიბერალური ინტელიგენცია, პუბლიცისტიკა, ცდილობდა გამოქომაგებოდა ამგვარ მდგომარეობაში ჩავარდნილ გლეხობას. ვ. ვართანიანცი წერდა: „მეტისმეტად საჭიროა მოწესრიგდეს გამოსაღებთა აკრების წესი. გამოსაღებთა და ნარჩენთა („ნედოიმკების“) გადახდევინებისათვის არავითარ შემთხვევაში ხელი არ უნდა ახლონ გლეხის ცოცხალ და მკვდარ ინვენტარს. ამიერკავკასიაში წლიდან-წლამდე ზრდადი რიცხვი უპირუტყვო გლეხებისა საშინლად ძირსუთხრის გლეხობის კეთილდღეობას“. ამ პროცესის საილუსტრაციოდ მას მოყავს თბილისის სასაკლაოზე კამეჩის, მუშაპირუტყვის, დაკვლის შესახები ცნობები, საიდანაც ჩანს, რომ 1891—1897 წწ. საერთოდ დაკლულ მსხვილრქიან პირუტყვში კამეჩის ხვედრიწონა 0,75 პროცენტიდან 7,0 პროცენტამდე ავიდა, ე. ი. 12-ჯერ გაიზარდა![21] ხოლო თვეების მიხედვით კამეჩი იკვლებოდა უპირატესად ზამთარში. ე. ი. არასამუშაო

[21] В. Вартанян, „К вопросу о причинах неуражая в Закавказье“ (КСК, 1898 г., № 220, стр. 205—206).

დროისა და გლეხის მეურნეობაში საკვების მარაგთა გამოლევის პერიოდში.

მაგრამ მევახშის კლანჭებში გაბმული წვრილ-მწარმოებელი ხშირად დიდხანს რჩებოდა თავისი პირუტყვის პატრონად, თუმცა ეს პირუტყვი უკვე სხვის საკუთრებას წარმოადგენდა.

ს. ზ ა ვ ა რ ო ვ ს, მე-19 ს. მიწურულს, ერევნის გუბერნიაში, აღწერილი აქვს ამის მაგალითები[22]... მას მერმე რაც გლეხის დავალიანება ძალიან იზრდება, ნებაყოფლობით, თუ სასამართლოს აღმასრულებელის მეშვეობით გლეხის პირუტყვი (ასევე ქვაბები და სხვ. მეურნეობრივი ინვენტარი) გადადის კრედიტორის ხელში. მევახშე პირუტყვს თავის დაღს ასვამს და იმავე გლეხს გადასცემს, ისე რომ პირუტყვის ღირებულება გლეხზე ირიცხება. ასეთს შემთხვევაში ხშირად მევახშე გლეხისაგან წლიურად ღებულობს ძროხაზე ნახევარ ფუთ ერბოს და ნამრავლს. შემდგომი გაჟირვებისას კრედიტორი „თავის“ გლეხს ანაბეგებს ხოლმე ყოველივე აუცილებელს — ნავთს, მარცვალს, მარილს და სხვ., რაც გლეხზე იწერება ვალად, ცხადია, მაღალი სარგებლის ზედშეკეცით[23]. რამდენადაც, ამრიგად, ზრდადი ვალის დაფარვა გლეხს თითქმის არასოდეს არ შეუძლია, იგი იძულებული ხდება სულ უფრო და უფრო შეკვეცოს თავისი აუცილებელი მოთხოვნილებები.

ამგვარად, ფორმალურად გლეხის ოჯახი, როგორც მეურნეობრივი ერთეული, განაგრძობს არსებობას და ამასთანავე კრედიტორიც უზრუნველყოფილია მუდმივი შემოსავლით. ამგვარ ვალაუვალ მოვალე გლეხებს, რომლებიც მევახშის სრულ კაბალაში იყვნენ ჩავარდნილი, „მ ა რ ა ბ ა“-ს უწოდებდნენ. „მარაბა“-ს მდგომარეობა არაფრით განსხვავდებოდა ყმის ყოფისაგან. მრავალი მარაბა ყოველმხრივ ცდილობდა არ გაემხილა, სხვებისაგან დაეფარა, თავისი ასეთი „სასირცხვილო მდგომარეობა“.

---

[22] С. З а в а р о в, „Опыт исследования...“, 289.
[23] ТМКСХП, LII, 615—616.

მუშა-პირუტყვით მიწათმოქმედების მიმდევარი მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემას ადგილობრივი პრესა, პუბლიცისტიკა და სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მართალია, უყურადღებოდ არ სტოვებდნენ, ამ მხრივ კიდევაც საინტერესო კამათიც გამართულა, მაგრამ მაინც საკითხის მეცნიერულ შესწავლამდე საქმე არასოდეს არ მიღწეულა და ყოველივე ცალკეულ მომენტებზე რამდენადმე საინტერესო დაკვირვებითა და მოსაზრებათა გამოთქმით დამთავრებულა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში ამ მხრივ ყურადღება, ცხადია, დიდად გამახვილდა და ნაწილობრივ ძველი, საბჭოთამდელი, და ნაწილობრივ ახალ მონაცემთა საფუძველზე, მიწათმოქმედების ზოგიერთი დარგის, მაგალითად, მებამბეობის ეკონომიკის შესწავლისას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა კერძოდ მუშაპირუტყვის საკითხსაც [24].

ამ სახით დაგროვილი მასალა რამდენადმე გეეამარება, რათა გავეცნოთ, თუ რაოდენ დაცემული და გაჩანაგებული იყო სოფლის მეურნეობა საერთოდ და მეცხოველეობა კერძოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისათვის.

უკვე 1923 — 24 წწ., ე. ი. მას მერმე რაც სოფლის მეურნეობა აღდგენის გზაზე იყო შემდგარი, აზერბაიჯანში მებამბეობის ერთ მეურნეობაზე საშუალოდ მოდიოდა 1,81 მუშაპირუტყვი, ხოლო კერძოდ მარცვლეულის მეურნეობაზე — 1,22. გამოდის რომ მარცვლეულის მეურნეობა უფრო ნაკლებად იყო უზრუნველყოფილი მუშაპირუტყვით; — თუმცა აქ მხედველობაშია მისაღები 1924 წ. მებამბეობის რაიონების

[24] იხ. მაგალითად, Э. Кальвейт, „Рабочий скот в хозяйстве хлопкороба Закавказья", 1928, Тифлис; А. Гончаров, „Хозяйство Закавказского хлопкороба и себестоимость хлопка-сырца" (журн. „Экон. Вестник Закавказья", 1924 г., № 10); В. Смирнов, „Хлопководческие хозяйства АССР по выборочному обследованию", 1924; „Сельское хоз. Закавказья в 1924—1925 гг.", изд. Зак. НКФ, 1925, Тифлис.

შესწავლის საფუძველზე ა. გ ო ნ ჩ ა რ ო ვ ი ს მიერ დადგენილი შეფარდება, რომ 1 დეს. ბამბის პლანტაციაზე იხარჯებოდა 30,4 ხარის სამუშაო დღე, ხოლო 1 დეს. ხორბლის ყანაზე — 26,1; ე. ი. მებამბეობის მეურნეობას 16.4 პროცენტით მეტი ხარდღე სჭირდებოდა.

ხსენებული მასალების მიხედვით სომხეთში მებამბეობის 1 მეურნეობაზე საშუალოდ მოდიოდა 0,59 მუშაპირუტყვი, ხოლო მარცვლეულისაზე — 0,38; საქართველოდან ე. კალვეიტს შეუსწავლია ყარაიის მებამბეობის რაიონი, რომელიც, როგორც მომთაბარე მეცხოველეობისა და ირიგაციაზე დამყარებული კოლონიზაციურ მეურნეობათა მებამბეობის ზონის რაიონი, მუშაპირუტყვით ამიერკავკასიაში ყველაზე უკეთ იყო უზრუნველყოფილი. რა თქმა უნდა, ამ რაიონის მონაცემთა მიხედვით მიღებული დასკვნების საერთოდ საქართველოზე გავრცელება და, რომ, თითქოს, საქართველოში „პირუტყვის რაოდენობის საშუალო“ ბევრად აღემატებოდა არა მხოლოდ სომხეთისას, არამედ „მუშაპირუტყვით ყველაზე უფრო უზრუნველყოფილი აზერბაიჯანის რაიონებისასაც“ — ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და შესაღარის ერთეულთა ერთგვაროვნობის, სტატისტიკაში აუცილებელი მეთოდის, გულუბრყვილო უგულებელყოფაზეა მხოლოდ დამყარებული.

ასევე არამეცნიერულია და სინამდვილის უხეშ დამახინჯებას წარმოადგენს ის „გაანგარიშებაც“, რომ, რამდენადაც, მაგალითად, აღმ. საქართველოში 1 თავ მუშაპირუტყვზე მოდიოდა დაახლოებით იმდენი სახნავ-სათესი (3,6 დეს.), რამდენიც უკრაინაში (3,4 დეს.), თითქოს მუშაპირუტყვის სახნავ-სათესის სამუშაოებით დატვირთვა საქართველოსა და „ამიერკავკასიაში საშუალოდ“ ისეთივე ყოფილიყო როგორიც უკრაინაში.

— აქ, ყოველსავე სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ „გაანგარიშების“ უსაფუძვლობის დასანახავად საკმარისია გავიხსენოთ, რომ აღმ. საქართველოში 1 სახვნელ იარაღს (გუთანს) 12 — 20 მუშა-პირუტყვი, ე. ი. 6 — 10 ყევარი ხარი თუ კამეჩი სჭირდებოდა, მაშინ როდესაც უკრაინაში სახვნელ

იარაღს (ყავს) 1 ცხენიც თავისუფლად ეწეოდა, და ქართული სახვნელით (გუთნით) ორ-სამჯერ მეტი ფართობის მოხვნაც რომ ვივარაუდოთ ზემოდმოყვანილი პროპორციები სინამდვილისაგან მაინც მეტად დაცილებული გამოდის.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინახანებში მუშა-პირუტყვის განაწილების საკითხს ჩვენ სპეციალურად ვიხილავთ აგრარული ურთიერთობისადმი მიძღვნილს მონოგრაფიაში [25].

---

[25] პ. გუგუშვილი „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება მე-19 — 20 სს.", მონოგრაფიები, 1956, ტ. II, გვ. 916 — 926.

VI

წვრილი რქიანი პირუტყვი

1. მეცხვარეობა

„ცხოვარი. ცხოვარსა მამალსა ეწოდების ვერძი და დედალსა ნერბი; ხოლო შვილთა მათთა — კრავი; დიდსა კრავსა და უბიწოსა—ტარიგი; ჩჩვილსა კრავსა—ბატკანი; წლის კრავსა და მცირედ ნაკლებსა — ბუწი; წელიწადს უკან — შიშაგი; ორის წლისასა— აზმანი; გამოყუერილსა — ჭედილი, კეთილ ურუხიანსა — სადგამი, და მნერბავსა — ერკემალი; ცხოვარი, თუ თხა, რომელიც უკრაოდ იწველის — უგი; უქამოდ დამაკებულსა კრავსა და თიკანთა ქარაბიჭად სახელსდებენ; მჭლესა და ცუდსა ცხოვარსა — ბალღი, რომელ არს ყოყორაკი (პატრუჭაკი)“.

ს.-ს. ორბელიანი.

მეცხვარეობა ამიერკავკასიაში ადრიდგანვე გავრცელებულა. მეცხვარეობას მრავალგვარი სარგებლობა მოქონდა[1]. მეცხვარეობა მატყლის სახით იძლეოდა ტექსტილისათვის საუცხოვო მასალას. მატყლი ძალიან ადრე გამოეყოფა მეცხვარეობის პროდუქტთაგან როგორც საქონელი, იგი ძველი დროიდანვე საგარეო ვაჭრობის საგანს წარმოადგენდა და ამასთანავე ძვირფას ნედლეულს საფეიქრო საოჯახო-და შინამრეწვე-

[1] მ. ივანოვი, „მეცხვარეობა“, 1939, თბ.

ლობისათვის. ამასთანავე მეცხვარეობა, გარდა ძვირფასი ხორცისა, იძლეოდა საქურქე მასალას და კიდევ ფრიად მარგებელ საკვებ პროდუქტს რძისა და მის ნაწარმთა სახით.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში მეცხოველეობის, კერძოდ მეცხვარეობის განვითარება-გავრცელების შესახებ მნიშვნელოვანი ლიტერატურა არსებობს [2]. მართალია, ამ თხზულებათა ავტორები საკითხის ისტორიულ-ეკონომიკურ მხარეებს ეხებიან არა სპეციალურად, არამედ იმდენად, რამდენადაც ეს მათ, — მეცხოველეობის სპეციალისტებს — „აუცილებლად" მიაჩნიათ თავიანთი მიზნებისათვის, ანდა უკეთ ვსთქვათ, რამდენადაც ხელი მიუწვდებათ ასეთი მასალის მოპოვებისა და გამოყენებისადმი.

მაინც, როგორც არ უნდა იყოს, მათ შესძლეს შესამჩნევი ისტორიული მასალის გამოვლინება და გამოყენებაც მეცხოველეობის სხვადასხვა დარგებში. მაგალითად, მეცხვარეობაში ცალკე ჯიშების წარმოშობა-გავრცელებისა, და, აგრეთვე ამ დარგთა (და მოცემულ ჯიშთა) მეურნეობრივი მნიშვნელობის შესახებ [3].

საქართველოსა და ამიერკავკასიაში მეცხვარეობის შესწავლის მხრივ აღსანიშნავია კერძოდ პროფ. მ. რ ჩ ე უ ლ ი-შ ვ ი ლ ი ს გამოცემული მშვენიერი გამოკვლევა — „К истории овцеводства Грузии" (1953 Тб.) და ამავე ავტორის მიერ 1938 წ. გამოქვეყნებული გამოკვლევა — „მასალები ქართული ცხვრის შესწავლისათვის" (შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა", 1938. თბ. გვ. 107 — 190). მ. რჩეულიშვილს მოცემული აქვს არა მხოლოდ საერთო დახასიათება ცხვრის თანამედროვე ჯიშებისა, არამედ განხილული ადგილობრივ ჯიშთა წარმომავლობის ისტორიაც. აქ მნიშვნელოვანია კერძოდ ის გარემოება, რომ ეს ისტორია მის მიერ გაშუქებულია მეცხვარეობის მსოფლიო-ისტორიუ-

---

[2] იხ. ლ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, „საქართველოს მეცხოველეობის ბიბლიოგრაფია", 1952, თბ., გვ. 78 — 96.

[3] ა. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, „ახალი ქართული ცხვარი", 1947, თბ.

ლი ევოლუციის თვალსაზრისით, სადაც წარმოდგენილია ქართველი ხალხის წვლილი საერთოდ მეცხვარეობის განვითარებაში.

ბარონ ა. ჰ ა ქ ს ტ ჰ ა უ ზ ე ნ ი წერდა (1843 წ.): „მეცხოველეობაში ქართველთა სიმდიდრეს ცხვარი და ღორი წარმოადგენს... ცხვრისა და ღორის ხორცი ქართველთა ჩვეულებრივი საჭმელიაო“[4]. ამავე დროს კავკასიის ნამესტნიკი მ. ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი თავისი მოღვაწეობის 1849 წ. ანგარიშგებაში აცხადებდა, რომ მეცხვარეობა, რაც აქაური ჰავისა, ადგილისა და საძოვრების მიხედვით აყვავებულ მდგომარეობაში უნდა იყოს, თითქმის უმნიშვნელო ზომითაა განვითარებულიო[5].

საერთოდ თვითმპყრობელობამ ადრიდგანვე მიაქცია ყურადღება ამიერკავკასიაში მეცხვარეობას. ცენტრალური რუსეთის საფეიქრო მრეწველობის წრეები ძლიერ დაინტერესებულნი იყვნენ აქაური მატყლით, რაც სპორადულად ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეშიაც გაჭრნდათ. ცხადია მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე ეს ინტერესი ბევრად უნდა გაზრდილიყო[6].

ბუნებრივია, ასეთს პირობებში რუსეთის მრეწველობასა და ცარიზმს უნდა ეზრუნათ აქ მეცხვარეობის განვითარებისათვის. 1822 წელს გენ. ე რ მ ო ლ ო ვ მ ა ქართლელ და კახელ მემამულეებს დაუგზავნა მერინოსის რამოდენიმე ცხვარი. ალბათ ამ ცხვრებს გულისხმობდა საფრანგეთის თბილისელი კონსული გ ა მ ბ ა, რომელიც აცხადებს. რომ აქ მერინოსის ცხვარი ადგილობრივი პირუტყვის ფარებში გაურიეს და ამიტომ მათ, უზრუნველ მწყემსებზე მინდობილთ. არავითარი სარგებლობა არ მოუტანიათ ადგილობრივი ცხვრის ჯიშთა გაუმჯობესების საქმეშიო[7].

1830 — 1840-იან წლებში მერინოსის (ესპანური) ჯიშს

---

[4] ა. ჰ ა ქ ს ტ ჰ ა უ ზ ე ნ ი, დასახ. თხზ., I, 61.

[5] АСКАК, X, 867.

[6] П. Г у г у ш в и л и, „Сельское хозяйство...“, I, 177—178.

[7] იქვე, 83. 74.

ცხვრები ამიერკავკასიაში შემოიყვანეს ტავრიდის გუბერნიიდან გადმოსახლებულმა რუსმა კოლონისტებმაც. ამათ 1846 წელს აქ ჰყავდათ მერინოსები, თუმცა ძლიერ მცირე რაოდენობით. მერინოსებს ადგილობრივი მკვიდრნი ჯერ კიდევ „არ აქცევდნენ ჯეროვან ყურადღებას“[8].

1848 წელს ადმინისტრაციამ გამოწერა მერინოსის ჯიშის ცხვრები და ქ. თბილისის ახლოს მოეწყო ამ ცხვრების სანიმუშო ფერმა. მერინოსების ნაწილი მოსაშენებლად დაურიგდა ადგილობრივ მემამულეებს[9]. მაგრამ მერინოსის ჯიშმა ამჯერაც ვერ იხეირა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ერთერთმა მეამამულემ, სახელდობრ მამუკა ჯამბაკურ-ორბელიანმა, 1850 წ. გამოფენაზე თბილისში ვერცხლის მედალი მიიღო: „ნოვოროსიის მხარიდან მოყვანილი ნაზბეწვიანი ცხვრის საკუთარი ფარის მატყლის წარმოდგენილი ნიმუშებისათვის“[10]. როგორც ეტყობა მამუკა ორბელიანის მერინოსები მალე გადაშენებულან. ხოლო თბილისის ახლოს დაარსებულმა ფერმამ, რომელსაც თავდაპირველად 300-მდე ცხვარი ჰყავდა[11], მხოლოდ შვიდი წელიწადი იარსება.

საერთოდ აქაური მეცხვარეები ყოველმხრივ არჩევდნენ ადგილობრივი ჯიშების მოშენებას. მერინოსები ადვილად ვერ იტანდნენ აქაურ ჰაერს და რაც გადარჩა ისინიც 1855 წელს თრიალეთის იალაღებზე ცივ და წვიმიან ზაფხულში დაიხოცნენ[12]. შემდეგ 1860-იან წლებში მემამულე ანანოვმა ს. ვარციხის მეურნეობაში სცადა მოეშენებია სამხრეთ რუსეთიდან მოყვანილი მერინოსის ცხვრები, მაგრამ ისინი აქაც მალე ამოწყდნენ[13].

---

[8] АСКАК, X, 835.

[9] ЗКОСХ, 1862 г., № 3—6, стр. 42; ОДНК, 30—31.

[10] Обзор 25 летн. деят. КОСХ, 1875, Тифлис, стр. 250; ОДНК, 92.

[11] АСКАК, X, 891.

[12] ЗКОСХ, 1862 г., № 3—6, стр. 43.

[13] П. Гугушвили, „Сельское хозяйство...“, I, 483.

1870-იანი წლების დამდეგს თბილისში გაჩნდა ერთი გერმანელი, გვარად ადამი, რომელმაც დიდძალი ფული დასტყუა სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოების გამგეობას მერინოსის ცხვრების მოშენების მიზნით. ი. ხ ა ტ ი ს ო ვ ი, მაშინდელი მდივანი „საზოგადოებისა“, წერდა (1877 წ.): „გამოჩნდა ვინმე ადამი, გერმანელი, რომელსაც სურდა ყარაიაში მოეშენებია მერინოსის ცხვარი; ამისათვის მას მიეცა 20 ათას მანეთამდე. ახლა კვალიც აღარა ჩანს ამ წამოწყებისა, მაგრამ როგორც ჩანს მერინოსის ცხვრები მაშინაც არავის არ უხილავს“[14].

რუს კოლონისტებს სახელდობრ დუხობორებს, 1880-იან წლებში „მცირე რაოდენობით“ ჰყავდათ მერინოსის ჯიშის ცხვრები და ადგილობრივ ჯიშებთან მათი ნარევიც[15].

ასეთი ცდები აქ მერინოსის მოშენებისა მერმეც რამოდენიმეჯერ განმეორდა, მაგრამ ნავარაუდევი შედეგი მას არ მოყოლია. მაინც 1890-იანი წლების ბოლოს ამიერკავკასიაში 50.000-მდე მერინოსის ცხვარი ითვლებოდა. მათ შორის 30.000-მდე ცხვარი ეკუთვნოდა ელისავეტპოლის მაზრის სოფ. სლავიანკაში მცხოვრებ დუხობორებს, 1886 წელს-კი ამათ 20.000 მერინოსი ჰყავდათ, ე. ი. მათი რაოდენობა ზრდის ნაცვლად შემცირებულა. მერინოსები რამდენადმე მნიშვნელოვანი რაოდენობით ჰყავდათ აგრეთვე სოფ. ჩარდახლუსა, ქედაბექში და სხვ.

მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ჯიშები 1890-იანი წლებისათვის უკვე საკმაოდ გადაგვარებულან. რადგან, როგორც ა. ქ ა ლ ა ნ თ ა რ ი აღნიშნავს „1850-იანი წლების დასაწყისის მერმე, როდესაც მოყვანილ იქნა აქ ხუთი საჯიშე ცხვარი, მათი სისხლი არ განახლებულა“[16].

საერთოდ გაუმჯობესებული უცხოური ჯიშისა და კერძოდ

---

[14] ОДКОСХ, 1901, Тифлис, стр. 22.

[15] МПЭБГКЗК, II, III, 182; VII, 93.

[16] А. К а л а н т а р, „Мериносы в Закавказье“ (КСХ, 1897, № 207, стр. 864—866).

ნაზბეწვიანთა მოშენების მიზანშეწონილობისა და სხვა პირობათა შესახებ ადგილობრივ პრესაში საკმაოდ ხშირად იმართებოდა მსჯელობა. რამდენადაც მეცხვარეობა ადგილობრივი სოფლისმეურნეობრივი წარმოების, სახელდობრ მეცხოველეობის უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენდა, ცხადია, მეცხვარეობის ეკონომიკის საკითხები პუბლიცისტიკის აქტუალურ პრობლემათა შორის იყო მოქცეული, განსაკუთრებით 1880-იანი წლებიდან [17].

ამიერკავკასიაში ადგილობრივი ცხვრის ჯიშობრივი შედგენილობის რამდენადმე მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული შესწავლა დაიწყო მხოლოდ გასული საუკუნის მიწურულიდან. მაინც პირველ ცდას ამ მიმართულებით ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ 1852 წელს, როდესაც სოფლის მეურნეობის კავკასიურმა საზოგადოებამ (სმკს) მატყლის შესყიდვის ადგილებზე მიაგლინა „მატყლის კლასიფიკატორი და დამხარისხებელი“ დ ე ბ ი ტ ა მ ი.

როგორიც გინდ უსუსური და ნაკლოვანი არ უნდა ყოფილიყო ადგილობრივ ცხვრის ჯიშობრივი შედგენილობის შესახებ დებიტამის დაკვირვება და, მაშასადამე, მის მიერ თავმოყრილი ცნობები, იგი მაინც 1880-იანი წლების გასულშიაც ჩვენში ითვლებოდა მეცნიერების მიღწევად ამ დარგში [18].

დ ე ბ ი ტ ა მ მ ა ადგილობრივი ჯიშის ცხვრები: „თუშური, ფშავური, ქართული, თათრული (ანუ ყარაბაღული), ლეკური, ოსური და ქურთული“ გარეგნული ნიშნების მიხედვით სამ ტიპად დაჰყო. პირველ ტიპში მან მოაქცია ჯიშები, რომელთაც „თავი და ფეხები ყავისფერი, ხოლო მატყლი თეთრი აქვთ“. ესენია „თუშური, ფშავური, ქართული, თათრული და

---

[17] იხ. გაზ. „გუთნის ფადა“, 1865 წ., № 16 და 17; „სასოფლო გაზეთი“, 1870 წ., №№ 7, 22, 26; „Кавк. сельское хоз.“, 1897, № 206–207;— 1898 г., № 252; —1901 г., № 406—407; А. Калантар, „Мериносы в закавказье“, 1898, Тифлис; „Кавказское Хозяйство“, 1913 г., № 18—19.

[18] СМПЭБГКЗК, V, 1, 220.

ოსური"; მეორე ტიპში, — რომელთაც თავი და. ფეხები „უძეტესწილად შავი, ხოლო მატყლი თეთრი აქვთ", ესაა ლეკური ცხვარი, ხოლო მესამეში — ქურთული, რომელიც „მრავალმხრივ განსხვავდება დანარჩენთაგან"[19].

დებიტამი ახასიათებს რა ადგილობრივი ჯიშის ცხვრების მატყლს იმ დასკვნამდე მიდის, რომ აქ ყოველ ფარაში არეულია სხვადასხვა ჯიშის პირუტყვი, რისგამოც იგი ურჩევდა მოცემულ ფარაში რომელიმე ერთი დახვეწილი ჯიშის შერჩევას, რაც დადებითად იმოქმედებდა პირუტყვის როგორც ხხეულის აღნაგობის განვითარებაზე, ასევე მატყლის სიწმინდესა და, მაშასადამე, ღირებულებაზედაც.

აღსანიშნავია რომ ამ მხრივ მდგომარეობა არსებითად უცვლელი იყო როგორც 1880-იან წლებში, ისე მერმეც საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე. სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დავალებით 1880-იანი წლების შუაში წარმოებული იალაღების აღწერის დროსაც, ახალბაიაზეთის მაზრის (ერევნის გუბ.) საბალახოებში ვ. კ ა მ ე ნ ს კ ი ს დაკვირვებით „ერთი რომელიმე ჯიშის ცხვრისაგან შემდგარი ჯოგი, ანდა ჯოგი რომელიც ერთფერი ცხვრისაგან შედგებოდეს თითქმის არ მოიპოვება. უმეტესწილად ჯოგი შედგება სხვადასხვა ჯიშისა და სხვადასხვა ფერის პირუტყვისაგან. ეს სიჭრელე იმისგანაა წარმომდგარი რომ იალაღებში საბალახოთ გაყვანილი ცხვარი ეკუთვნის მრავალ მეპატრონეს ანდა მთელი სოფლების გლეხობას და ამასთანავე ყოველ მეპატრონეს ჰყავს ისეთი ცხვარი, რაც მას რაიმე მიზეზით უფრო სარფიანად მიაჩნია"[20].

დებიტამის მიერ აღწერილ-დადგენილ ჯიშთა გარდა, რამდენადაც მისი კლასიფიკაცია, როგორც აღვნიშნეთ 1880-იან წლებშიაც მისაღებად მიაჩნდათ, სახელმწიფო გლეხთა ყოფიერების აღმწერთა მასალებში აღრიცხულია კიდევ რიგი სხვა

[19] 25-ти летие КОСХ, приложение.
[20] МУКПИСК, I, 342.

ადგილობრივად გავრცელებული ჯიში. მაგალითად, მ ა ზ ე ხ ი — ეჭმიაძინის, სურმალოს, ახალბაიაზეთის, შარურ-დარალაგიოზის, ახალციხის, ახალქალაქის მაზრებში[21]; კ ი ს ი ა კ ი, წარმომდგარი თუშურისა და მაზეხის ნარევისაგან, გავრცელებული იყო ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში[22]; გ ე რ ი კ ი ანუ ირიკი — ზანგეზურისა და ნუხის მაზრებში[23].

იმ ხანებში თუშური და ოსური ცხვრის შედარებით საფუძვლიანი აღწერა დაგვიტოვა აგრონომმა ვ. გ ე ე ვ ს კ ი მ[24] და ა. ს ა ფ ა რ ო ვ მ ა[25]. 1890 — 1900-იან წლებში კავკასიური ცხვრის ჯიშთა შესწავლის მხრივ აღსანიშნავია ა. ქ ა ლ ა ნ თ ა რ ი ს ა და სხვ. დაკვირვებები.

პირველ მსოფლიო ომის წინ მოსკოვში გაიმართა სრულიად რუსეთის მეცხვარეობის გამოფენა. სოფლის მეურნეობის ქართულმა საზოგადოებამ (დაარსდა 1911 წ.) ამ გამოფენაზე გაგზავნა ქართული (თუშური) ჯიშის 4 ცხვარი. ა. ქალანთარმაც, რომელიც გამოფენის ექსპერტთაგანი იყო, გააგზავნა 90-ზე მეტი კავკასიური ცხვარი — მიწათმოქმედების სამინისტროს დეპარტამენტის ხარჯზე. მერმე, თვით გამოფენაზე აღმოჩნდა, რომ ამ 90 ცხვრიდან „არც ერთი არ იყო ტიპიურად თუშური ცხვარი“, რისგამოც იქ, ცხადია, „სწორ წარმოდგენას ვერ მიიღებდნენ ჩვენი ადგილობრივი ძვირფასი ჯიშის ცხვრის შესახებ, რაც მეცნიერების სერიოზულ ყურადღებას იმსახურებსო“, — აღნიშნავდა თბილისის გუბერნიის ერობის აგრონომი, 1913 წელს აქ გამართულ სოფლისმეურნეობრივ თათბირზე. სოფლის მეურნეობის ქართული საზოგადოების მიერ გამოფენაზე გაგზავნილი 4 თუშური ცხვა-

---

[21] МИЭБГКЗК, V, 691.

[22] МИЭБГКЗК, III, III, 167.

[23] МИЭБГКЗК, IV, 98.

[24] МУКПИСК, I, 280—282; КСХ, 1896 г., №№ 147, 149.

[25] А. Сапаров, „О Тушинском овцеводстве“ (Сб. „Вопросы Кавказского молочного хозяйства“, 1897, Тифлис, стр. 187—191); КСХ, 1894 г. №№ 23, 35;—1896 г., № 149.

რი შესასწავლად გადაეცა პროფესორებს პრედოროგინსა და ჩერვინსკის[26].

ამიერკავკასიაში გავრცელებული ცხვრის ჯიშთა ნამდვილად მეცნიერული შესწავლა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან დაიწყო.

ქვემოდ ჩვენ მოკლედ შევჩერდებით ამიერკავკასიური ცხვრის ჯიშთა ზოგად სახალხომეურნეობრივ დახასიათებაზე საბჭოთა მეცნიერების უახლეს მიღწევათა მიხედვით.

ქ ა რ თ უ ლ ი ც ხ ვ რ ი ს ჯ ი შ ე ბ ი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გავრცელებული იყო უმთავრესად ორი ადგილობრივი ჯიშის ცხვარი: თ უ შ უ რ ი და ი მ ე რ უ ლ ი. ვავრცელებულობისა და, მაშასადამე, რაოდენობის მხრივ გაბატონებული ადგილი თუშურს ეჭირა.

თუშური ცხვარი გავრცელებული იყო უპირატესად აღმ. საქართველოშ. — მეცხვარეობის ზთავარ რაიონებში, სანელდობრ: თიანეთის, დუშეთის, სიღნაღის, თელავის, თბილისის, გორის, ახალციხის, ბორჩალოს მაზრებში თბილისის გუბერნიისა. ე. ი. თუშეთს, ფშავს, კახეთს, ქიზიყს, ქართლს, სამხრ. ოსეთს, ჯავახეთს, სამცხეს და სხვ. თუშური მცირე რაოდენობით მოიპოვებოდა დას. საქართველოშიც.

მაგრამ თუშური ცხვარი წვინდა თუ ნარევი სახით, მეტნაკლები ზომით, გავრცელებული იყო მთელ კავკასიაში; მაგალითად, დაღისტანის, თერგისა და ყარსის ოლქებში, ზაქათალის ოკრუგში, ბაქოს, ელისავეტპოლისა და ერევნის გუბერნიებში; აგრეთვე შუა ვოლგის რაიონებშიაც-კი[27].

პროფ. ი. კ ა ლ უ გ ი ნ ი ს ცნობით აზერბაიჯანში, სახელდობრ ზაქათალის ოკრუგსა და ყაზახისა და ნუხის მაზრაში მეცხვარეები, აქ გავრცელებული ლეკური ჯიშის ცხვრის მატყლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ჰიმართავდნენ ლე-

---

[26] МСХСФКККЗС, стр. 56.

[27] А. К а л а н т а р, „Характеристика кавказских пород овец" (Труды I Всероссийского съезда по овцеводству, 1913; КХ, 1913 г., № 19, стр. 2—8); М. Р ч е у л и ш в и л и, „К истории овцеводства Грузии", 1953, стр. 48—100.

კურის თუშური ცხვრით ჰიბრიდიზაციას და ამ გზით წარმოიშვა ახალი ჯიში, ცნობილი ერიკის სახელწოდებით[28]. თუშურის მაზეხის ჯიშთან ვეტიზაციით წარმოშობილია ქიასმას ჯიში, რაც გავრცელებული იყო ახალციხისა და გუმბრის მაზრაში. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსაზღვრე სომხეთისა და აზერბაიჯანის რაიონებში გავრცელებული ცხვრის ჯიში დონმა წარმოადგენს თუშურისა და ბოზახის ნარევს.

თუშური ცხვარი პროფ. ს. ბოგოლიუბსკის კლასიფიკაციით, რაც მ. რჩეულიშვილს „ყველაზე სწორ დასკვნად“ აქვს მიჩნეული, ნახევრად-დუმ-ანთა ჯგუფს წარმოადგენს[29]. თუშურს ნაზი, გემრიელი ხორცი აქვს, რა მხრივაც სპეციალისტები მას კავკასიურ ცხვრის ჯიშთა შორის ყველაზე საუკეთესოდ სთვლიან. თუშურის მატყლი უხეში და ნაირბეწვიანია, თუმცა სხვა ნაირბეწვიან ცხვართა მატყლთან შედარებით ნაზია და რბილი. თუშურის მატყლს გაჭიმვისა და გრეხის კარგი გამძლეობა აქვს, რაც საფეიქრო მრეწველობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან თვისებად ითვლება.

თბილისის გუბერნიის გორისა და დუშეთის მაზრებში მნიშვნელოვანი რაოდენობით ყავდათ აგრეთვე ოსური (ყარაჩაული) ცხვარი. ეს ჯიში ფართოდ იყო გავრცელებული ჩრდ. ოსეთსა, ყარაჩაელთა თემებსა, ყაბარდოს, ჩაჩნეთს, ყუბანისა და თერგის ოლქებში.

იმერული (ძველქართული) ცხვარი მეტნაკლები ზომით გავრცელებული იყო ქუთაისის გუბერნიასა, ბათუმის ოლქსა და სოხუმის ოკრუგში, ე. ი. მთელ დას. საქართველოში და აგრეთვე ნაწილობრივ თბილისის გუბერნიაშიც, სახელდობრ ქართლსა და სამხრეთ ოსეთში.

იმერულს სწორე და მცირეცხიმიანი კუდი აქვს, იგი გა-

---

[28] И. Калугин, „Исследование соврем. состояния животноводства Азербайджана“, т. IV. Овцы, козы и свиньи, 1930.

[29] მ. რჩეულიშვილი, „მასალები ქართული ცხვრის შესწავლისათვის“, გვ. 134.

ნარჩევა სწრაფი გამრავლების უნარით. ვ ა ხ უ შ ტ ი ს დახასიათებითაც იმერული „...ცხოვარნი უდუმონი და კუდიანნი. მარადის მშობელნი ტყუბთა და ოდესმე სამ-ოთხთა“[30]. იმერული ცხვარიც ნაზბეწვიანია. დადგენილია, რომ იმერული ცხვრის შეჯვარება ადრიდანვე ხდებოდა თუშურ, ყარაჩაულ და სხვ. მეზობელ რაიონებში გავრცელებულ ცხვრებთან.

ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ცნობით კუდიანი ცხვარი, ე. ი. დღეს იმერულ ჯიშად წოდებული პირუტყვი ძველად გავრცელებული ყოფილა მთელ საქართველოში[31]. მ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი ს დასკვნით „ძველად აღმ. საქართველოში გავრცელებული იმერული ცხვარი თუშურ ცხვრად გადაჯიშებულა და მისი თუშურად გადაქცევის პროცესი ზემოქართლში“ ჯერ კიდევ ამ 40 წლის წინათაც მიმდინარეობდა[32]. ამგვარად, დღეს იმერულად ცნობილი ჯიში არსებითად ძველქართული, ე. ი. ოდესღაც მთელ საქართველოში გავრცელებული ცხვარია.

იმერული ჯიშის ცხვრის შესწავლის შედეგად მ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი იმ დასკვნამდე მიდის, რომ იმერული ცხვრის გავრცელების რაიონში ძველად მისდევდნენ ნაზმატყლიანი ან ნახევრადნაზმატყლიანი ჯიშის ცხვრების მოშენებას. ეს უკანასკნელი ჯიში, შემდგომში მრეწველობისა და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკური დაცემის მეოხებით თანდათანობით ქვეითდება, რეგრესულ ევოლუციას განიცდის და, ცხადია, მისი მატყლიც უფრო და უფრო კარგავს სიწვინდესა და სიგრძეს[33]. მატყლის თვისების გაუარესებას, გასაგებია ხელს უწყობდა უხეშმატყლიან ჯიშებთან მისი გაძლიერებული შეჯვარებაც.

ამ მოვლენათა მეოხებით ნაზბეწვიანი ანუ ნახევრადნაზბეწვიანი ძველი ქართული ცხვრის ტიპი განიცდის ცვალებადობას და დროთა მსვლელობაში იქცევა თანამედროვე

---

[30] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 1941, გვ. 146.

[31] „კომუნისტი“, 1937 წ., № 55.

[32] მ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი, „მასალები...“ გვ. 183.

[33] ლ. ს ა ა კ ო ვ ა, „მასალები იმერული ცხვრის პროდუქტიულობის შესასწავლად“ (ზოოლოგიის ინსტ. შრომები, 1948, ტ. VIII, 341 — 371).

უხეშმატყლიან ანუ ნახევრადუხეშმატყლიან ცხვრად. ამასთანავე, მ. რჩეულიშვილი ვარაუდობს, რომ კლასიკური იმერული, ე. ი. კოლხური ცხვრის დეგრადაციის ეს პროცესი თვით მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისშიაც-კი გრძელდებოდა[34].

ამიერკავკასიის ტერიტორიაზე უკანასკნელ ხანებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები და საერთოდ დღემდე ცნობილი ისტორიული ძეგლები მოწმობენ, რომ ძველად, ჩვ. წელთაღრიცხვამდე მე-8 — 6 საუკუნეებშიაც-კი, აქ გავრცელებული ყოფილა ნაზბეწვიანი, ანუ ნახევრადნაზბეწვიანი ცხვარი, რაც ცხადია, იმერულის წინაპრადაა საგულვებელი.

ამიერკავკასიაში საერთოდ მეცხოველეობის ფართოდ განვითარების ფაქტს ადასტურებს ურარტუს მეფეების არგიშტისა და სარდურის (მე-8 ს. ჩვ. წელთაღრიცხვამდე) მატიანეები, რომლებიც მოგვითხრობენ ამ მეფეთა მიერ ამიერკავკასიაზე ლაშქრობისა და აქედან დიდძალი, ათეულ-ათასობით მსხვილრქიანი და წვრილრქიანი პირუტყვის გარეკას — ვანის სახელმწიფოს ცენტრალურ რაიონებში[35].

ვარაუდობენ, რომ დღეს იმერულის სახელით ცნობილი ცხვრის წინაპარი, — ძველკოლხური ჯიშის ცხვარი — გავრცელებული იყო მთელს ამიერკავკასიაში და ნაწილობრივ ჩრდ. კავკასიაშიაც. ხოლო კოლხეთიდან ამ ცხვრის ჯიში საბერძნეთში გავრცელდა მილეთელი კოლონისტების შეოხებით, რომელთაც ევროპაში შეიტანეს არა მხოლოდ ძვირფასი კოლხური შალის ქსოვილები, არამედ თვით ნაზი მატყლის მწარმოებელი კოლხური ცხვრებიც. ეს ჯიში, ცხადია, ადგილობრივ ჯიშებთან შეჯვარების გზით, ვრცელდება იტალიაში. სიცილიაში, ხმელთაშუაზღვის სუბტროპიკული ცივილიზაციის ქვეყნებში და უკვე ჩვ. წელთაღრიცხვამდე 1 საუკუნეში რომაელი აგრონომები ფრიად მაღალ შეფასებას აძლევენ...

---

[34] М. Рчеулишвили, „К истории овцеводства Грузии" 87—88, 104.

[35] Б. Пиотровский, „Кармир-Блур, результаты раскопок 1939—1949 гг.". Ереван, 1950, I, 34.

ესპანურ ცხვარს. ამ ცხვრის, ე. ი. მერინოსების ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი ეკუთვნის ძველკოლხურ ჯიშს.

ამ შეხედულებას, მეტნაკლები ვარიაციით, იზიარებენ მეცხვარეობის განთქმული სპეციალისტები. მაგალითად, ი. ბოჰმი (Bohm), ჭერინოსული მეცხვარეობის უდიდესი ავტორიტეტი, წერდა (1878 წ.): „ბერძენი მწერლები მილეთურ მატყლს საუკეთესოდ სთვლიდნენ. არკადიის მატყლთან ერთად ფრიად ფასობდა მატყლი ატტიკის და მეგარისა, აგრეთვე მილეთელთაგან დაარსებული კოლონიების, პირველ რიგში დიოსკურიისა, რომელიც, როგორც ჩანს, მატყლს ღებულობდა კოლხეთიდან, დღევანდელი სამეგრელოდან". ი. ბოჰმის სიტყვებით ლეგენდას არგონავტების შესახებ რომ თავისი პოეტური ფორმა ჩამოვაცილოთ საქმე შემდეგი სახით წარმოგვიდგება: ბერძნებმა, რომელთაც „ჰქონდათ ცნობა კოლხეთის ძვირფასი მატყლის შესახებ, მოაწყვეს ექსპედიცია, რათა მოეპოვებიათ ძვირფასი მატყლი თავისი ქვეყნისათვის, ანუ, რაც უფრო სწორია, მოეპოვებიათ ამ მატყლის მწარმოებელი" ცხვრები.

ინგლისელი პროფესორი ლ ა ი დ ე კ ე რ ი (Lydekker) 1912 წ. აღნიშნავდა, რომ ძვ. რომში მაღალხარისხოვანი მატყლი საბერძნეთიდან შევიდა; ხოლო ბერძნებმა პირველთ შეიყვანეს ევროპაში კოლხური ცხვარი, რაც, მთელ რიგ შეჯვარებათა პროცესების გზით წ-ნაპრად ხვდება მერმე მთელ მსოფლიოში განთქმულ ესპანურ ნაზბეწვიან ცხვარს — მერინოსის სახელით რომ არის ცნობილი.

ანტიკურ კოლხიდაში, ე. ი. საქართველოში ნაზბეწვიანი მეცხვარეობის განვითარების დამადასტურებელ ფაქტს მკვლევარები ხედავენ კერძოდ ლეგენდაში ოქროს საწმისის შესახებ, რასაც, ამ მხრივ, კონკრეტულ სახეს აძლევს რომაელი აგრონომის ვ ა რ ო ნ ი ს (—37 წ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე) მიერ შემონახული ცნობა, რომ ძველები (ვარონისათვის ძველები! — პ. გ.) ცხვრის სიძვირფასისა გამო ამტკიცებდნენ, რომ ამ ცხოველებს ოქროს საწმისი ჰქონდათ და რომ „კოლხიდაში,

აეტთან, ასეთი ცხვრის ქურქისათვის გაემგზავრნენ მეფეთა ნაშიერნი, რომელთაც არგონავტები უწოდეს“.

დაახლოებით ანალოგიურ მოსაზრებებს ანვითარებენ პროფ. პ. კულეშოვი, პროფ. ა. ბოგდანოვი და სხვ.[36] ფიქრობენ, რომ ძველკოლხური ჯიში გავრცელებული იყო მთელს ამიერკავკასიასა და ნაწილობრივ ჩრდ. კავკასიაშიაც, ხოლო კოლხეთიდან ამ ცხვრის ჯიში საბერძნეთში გავრცელებას იწყებს ჩვ. წელთაღრიცხვამდე მეორე ათასეულში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უხეშბეწვიანი (მქისემატყლიანი), ე. ი. დუმიანი ცხვარიც ადრე ჩნდება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ყოველშემთხვევაში იგი დამოწმებულია უკვე მე-13—14 სს. (შიო მღვიმის სახარების ილუსტრაციითა და ზარზმის ფრესკით). ეს გარემოება საფუძვლად ედება შეხედულებას, რომ უხეშმატყლიანი, დუმიანი ცხვრის ჯიშები აქ პირველად გაჩნდა მონღოლთა შემოსევის პერიოდში. მეორეს მხრით, ყურადღებას იპყრობს მე-11 საუკუნით დათარიღებული ზარზმის ღვთისმშობლის ხატზე გამოსახული ცხიმკუდიანი, ე. ი. დუმიანისაკენ გარდამავალი ცხვარი.

თუ მ. რჩეულიშვილის ეს ვარაუდი სწორია, ე. ი. თუ აქ თარიღი ზუსტად არის დადგენილი და თუ ცხვრის კუდის გამოსახვაში მხატვრის (ხატის ოსტატის) „მხატვრულ თავისუფლებასთან“ არა გვაქვს საქმე, ე. ი. თუ ცხვრის კუდი ადგილობრივი ჯიშის ცხიმკუდის რეალურ გამოსახულებას წარმოადგენს, მაშინ ცხადი ხდება, რომ საქართველოში, რომელიც მაშინ, როგორც პოლიტიკური გაერთიანება მთელ ამიერკავკასიას მოიცავდა, დუმიანი ცხვრის ჯიში თუ განვითარებული არა, ყოველ შემთხვევაში ჩამოყალიბების სტადიაზე მდგარა უკვე მონგოლურამდელ პერიოდში.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ სპარსი გეოგრაფის ზაქარია ყაზვინის (13 ს.) ცნობით, მის დროს, თბილისიდან

---

36 ვრცლად იხ. მ. რჩეულიშვილის დასახ. ნაშრომი, საიდანაც მოგვყავს ამონაწერებიც: გვ. 165—166; 187—188.

გაქონდათ საუკეთესო ხარისხის მატყლი. მაგრამ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ქართველი მემატიანის მოწმობით მე-12 ს. საუკეთესო ხარისხის მატყლი საქართველოში ალექსანდრიდან, (მისრეთიდან, ეგვიპტიდან) შემოჰქონდათ[37]. თუმცა ეს გარემოება, ცხადია, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ სწორედ იმ დროს აქაც არ ყოლოდათ ნაზპეწვიანი ცხვრები, რამდენადაც განვითარებული საკაჭრო ურთიერთობის მეოხებით ადგილობრივის ანალოგიური, ანუ დაახლოებით ანალოგიური, საქონლის უცხოეთიდან შემოტანა სრულიადაც არაა გამორიცხული.

როგორც გინდ არ ყოფილიყო ის მაინც უეჭველია, რომ როგორც საერთოდ ისე კერძოდ საქართველოსა და ამიერკავკასიაში ცხვრის ადგილობრივ ჯიშთა წარმოქმნა-ჩამოყალიბების პროცესში დიდ როლს თამაშობდა ომების შედეგად ცხვრის ფარების დიდი რაოდენობით გაყვანა-შემოყვანის ფაქტი, მით უმეტეს რომ ამიერკავკასიას უმეტესწილად თავს ესხმოდნენ მოხეტიალე-მომთაბარე ხალხები, რომლებიც თავის მხრივ კიდევ დიდი მასშტაბით მისდევდნენ როგორც საერთოდ მეცხოველეობას ისე კერძოდ მეცხვარეობასაც.

მაგალითისათვის საკმარისია მოვიყვანოთ დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ლ ი ს (1089 — 1125) მემატიანის ცნობა, რასაც იგი მოგვითხრობს თბილისის, რუსთავის, სომხითის, საშვილდის თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლების ამბებთან დაკავშირებით; რომ სახელდობრ ამ დრომდე ჩვეულებრივ „...სთუელამდის ჩამოიარიან თურქთა სომხითი ყოვლითა ფალანგითა მათითა, ჩამოდგიან გაჩიანთა, პირსა მტკვრისასა, ტფილისითგან ვიდრე ბარდავადმდე, და იორის პირთა ყოველთა მათ საზამთროთა შუენიერთა ადგილთა, რომელთა შინა ზამთარს, ვითარცა არესა გაზაფხულისასა, ითიბების თივა, და აქუს შეშა და წყალი უხუებით. და მუნ არს სიმრავლე ნადირთა თუითო-ფერი და საშუებელი ყოველი. ამათ ადგილთა შინა დადგიან ხარგებითა. ცხენისა, ჯორისა, ცხურისა

---

[37] „ისტორიანი და აზმანი...", გვ. 114.

და აქლემსა მათისა არა იყო რიცხული; აქუნდა ცხოვრება სანატრელი. ინადირობდიან, განისუენებდიან, იხარებდიან, და არა იყო ნაკლულევანება მათ თანა. თუისთა ქალაქთა ვაჭრობდიან, ხოლო ჩვენთა ნაპირთა არბევდიან, ტყუითა და ალაფითა. გაზაფხულსა თანა იწყიან სლვა აღმართ მთათა სომხითისა და არარატისათა; ეგრეთუ, ზაფხულისაცა ჰქონდეს შუება და განსუენება, თივათა და ველთა შუენიერთა წყაროთა და ყვავილოვანთა ადგილთა ყოფილთა"[38].

და ...როდესაც დასახელებულ ადგილთა განსათავისუფლებლად დაძრული თავისი ჯარებით დავით აღმაშენებელმა ისინი სასტიკად დაამარცხა: „...მოსრეს სიმრავლე მათი ურიცხვი, აღიღეს დედაწული მათი ცხენებითა, ცხოვარი, აქლემი და ყოველი ნაქონები მათი, რომლითა აღივსო ყოველი სამეფო მისი ყოვლითა კეთილითა"[39]:

„ყოველთა საქონელთა" და კერძოდ ცხვრის დიდი ფარების მიმოქცევა, ცხადია, კიდევ უფრო ფართო ხასიათს ატარებდა მონგოლთა ლაშქრობებისა და ბატონობის პერიოდში. თვით მე-17—18 სს. იგი ხშირი და ჩვეულებრივი მოვლენა იყო და, მაშასადამე, თავის გავლენას ახდენდა პირუტყვის ჯიშობრივ შედგენილობაზედაც.

ბაქოსა და განჯის გუბერნიებში (აზერბაიჯანში) გავრცელებულ ცხვრის ჯიშთაგან უმთავრესია: ყარაბაღული, ლეკური, ბალბასი და მაზეხი. ყარაბაღული გავრცელებული იყო უპირატესად აგდამის, ჯებრაილის, შემახიას, განჯისა და ყარაბაღის მაზრებში; ლეკური — ნუხისა და აღდაშის მაზრაში; ბალბასი დ მაზეხი ნახჭევანის მაზრაში. აზერბაიჯანში მნიშვნელოვანი რაოდენობით იყო გავრცელებული აგრეთვე შირვანის, ბოზახის, ერიკის და სხვ. მეტისური ჯიშის ცხვრები[40].

[38] „ქართლის ცხოვრება", ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1942. გვ. 210—211.

[39] იქვე, 212.

[40] П. Калугин, „Исследование современного состояния животноводства Азербайджана", IV, Овцы, козы и свиньи, 1930, Тифлис, стр. 12—37.

მ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი ს დასკვნით თანამედროვე ლეკური ცხვარი უნდა იყოს პროდუქტი ავარული და იქნებ მთიანი დაღისტნის სხვა ჯილაგის ცხვრის თუშურთან და ყარაბაღ-ბოზახთან შეჯვარებისა[41]. საქმე იმაშია, რომ დაღისტანსა და საერთოდ კავკასიონის მთიანეთში ადრიდგანვე განვითარებული შალის შინამრეწველობის ინტერესები მოითხოვდა ცხვრის მატყლის გაუმჯობესებაზე ზრუნვას, რასაც ადგილობრივი ჯიშის ცხვრების თუშურზე შეჯვარებითაც აღწევდნენ. ამ გზით, მაგალითად, ლეკური ცხვრის თუშურზე შეჯვარებით პროფ. ი. კალუგინის დასკვნით, წარმოიშვა ერეკი-ს ჯიშის ცხვარი[42]. ასევე, როგორც იგივე ი. კალუგინი ვარაუდობს, ბოზახის ჯიშიც თუშურისა და ყარაბაღულის მეტიზაციის გზით უნდა იყოს წარმოშობილი.

1913 წ. შედგენილს ბაქოს გუბერნიის ერობის აგრონომის მიმოხილვის მიხედვით მეცხოველეობის სხვადასხვა დარგთა შორის აზერბაიჯანში ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში იყო მეცხვარეობა. „მეცხვარეები თავიანთი ცხვრის ფარებით იალაღებიდან გადადიან ყიშლაღებში, ხოლო ზაფხულისათვის კვლავ მიემართებიან იალაღებისაკენ — ამ მთის საუცხოო საბალახოებისაკენ. ცხოვრების ეს მომთაბარული ფორმა საშუალებას იძლევა ყოველთვის მოინახოს ცხვრისათვის საუკეთესო საკვები და, გარდა ამისა, აწრთობს ცხვრის ორგანიზმს, რაც უფრო მედგარი (გამძლე) ხდება ყოველგვარი მკაცრი კლიმატური ცვალებადობის, გაცივებისა და სხვ. დაავადებათა მიმართ. ძალიან ხშირად მეცხვარეები თავიანთი ფარებისათვის ირანში ანდა ყარსში ყიდულობენ ჯიშიან მწარმოებელ ცხვრებს, რისთვისაც თვითეულზე 40—50 მანეთს იხდიან და ამგვარად აღადგენენ (ინარჩუნებენ) ჯიშიანობის ხარისხს“[43].

ერევნის გუბერნიაში (სომხეთში) ძირითადად გავრცელებული იყო მაზეხი, ბალბასი, ყარა-

---

[41] М. Рчеулишвили, l. c., стр. 36.
[42] И. Калугин, l. c., стр. 36.
[43] ДГАЗ, 150—151.

ბ ა ლ უ ლ ი, ბ ო ზ ა ხ ი. ამათში ყველაზე უფრო მაზეხისა და ბალბასის ჯიშების მოშენებას მისდევდნენ. მაზეხი გარდა თვით ერევნის გუბერნიისა მეტნაკლები რაოდენობით გავრცელებული იყო აგრეთვე თბილისისა და განჯის გუბერნიაში და ერევნის გუბერნიის მოსაზღვრე ირანისა და თურქეთის რაიონებში[44]. მართალია, მატყლისა და ხორცის თვისებით მაზეხი თითქმის ყველა ამიერკავკასიურ ჯიშზე დაბლა იდგა, მაგრამ სამაგიეროდ იგი განირჩეოდა მაღალი წველადობით. რაც შეეხება ბალბასს, იგი აქ გავრცელებულ ცხვართა შორის ყველაზე მსხვილტანიანია. ერევნის გუბერნიაში ეწოდნენ აგრეთვე ე რ ი კ ი ს ა და ქ ი ა ს მ ა ს მოშენებასაც.

საერთოდ ბაქოსა და განჯის გუბერნიებში გავრცელებულ ჯიშთაგან უძველესი ადგილობრივი ჯიშია მხოლოდ ყარაბაღული, ხოლო ერევნის გუბერნიაში მხოლოდ მაზეხი. პროფ. რ უ ხ ქ ი ა ნ ი ს უახლესი გამოკვლევით ბალბასი, რაც აქამდე ზოგიერთებს ადგილობრივ, ე. ი. სომხურ ჯიშად მიაჩნდათ, თურქული წარმომავლობისაა[45].

*
* *

როგორც აღვნიშნეთ, მე-19 — 20 სს. საბჭოთამდელ პერიოდში იყო რამდენადმე მნიშვნელოვანი ცდები, რათა ფართოდ გაევრცელებიათ აქ უცხოური, გაუმჯობესებული, ჯიშის ცხვარი. ეს ცდები ოდნავადაც ვერ მიუახლოვდნენ სასურველ შედეგებს.

ასე რომ ამიერკავკასიაში საბოლოოდ ადგილობრივმა ჯიშებმა აბსოლუტურად გაბატონებული მდგომარეობა შეინარჩუნეს, რომელთა შორის ზოგიერთი ჯიში, მაგალითად, თუშური, თანამედროვე სპეციალისტთა მაღალ შეფასებას იმსახურებს.

---

[44] А. Тамамшев, „Материалы по изучению животноводства ССР Армении, 1930, Тифлис.

[45] А. Рухкян, „Овцеводство Армянской ССР...", 1948, Ереван, стр. 217.

ამიერკავკასიაში მეცხოველეობის ეკონომიკის პირველი მკვლევარი ი. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი წერს: „ცხვარი შინაური პირუტყვის ყველა სხვა სახეობათა შორის ყველაზე ნაკლებ მოვლასა და საკვებს მოითხოვს და თანაც შედარებით დიდ შემოსავალს იძლევა. ამიერკავკასიაში უხსოვარი დროიდან მისდევენ ფართო მასშტაბით ცხვრის მოშენებას. რასაც ვაჭრული თვალსაზრისით, მეცხოველეობის ყველა სხვა სახეებთან შედარებით, უპირველესი ადგილი უჭირავს“[46].

ქ. ვ ე რ მ ი შ ე ვ ი, რომელმაც 1884 წელს დეტალურად შეისწავლა თავ. ივ. კ. მუხრან-ბატონის მამულში მეცხვარეობის ეკონომიკა, იმ დასკვნამდე მიდის, რომ აქ „მეცხვარეობა თავისთავად წარმოადგენს ფრიად შემოსავლიან დარგს მეურნეობისა“[47].

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მეცხვარეობა ესოდენ შემოსავლიანი იყო ამიერკავკასიის მთელ მეცხოველეობაში მეცხვარეობის ეკონომიკური მნიშვნელობა ბევრად ჩამოუვარდებოდა მსხვილი რქიანი საქონლისას. მეცხვარეობას, რასაც უპირატესად სავაჭრო ხასიათი ჰქონდა (—განსაკუთრებით მატყლი, აგრეთვე რძის პროდუქტები, ხორცი, ტყავი ადრიდგანვე იქცევიან ვაჭრობის საგნებად), მისდევდნენ უმთავრესად მომთაბარე, ნახევრადმომთაბარე და აგრეთვე მთიანი რაიონების მცხოვრებნი. ხოლო ამიერკავკასიის მოსახლეობის ძირითადი მასა, ე. ი. მიწათმოქმედური კონტინგენტი მეცხვარეობას მხოლოდ გამონაკლისად მისდევდა, თავისი კულაკური, შეძლებული, ელემენტების სახით.

აუცილებლობა ყიშლაღითა და იალაღით, ე. ი. ზამთრისა და ზაფხულის საძოვრებით სარგებლობისა, ამ საძოვრების ერთმანეთისაგან დაშორიშორება, რაც ხშირად 200 — 300 კილომეტრს აღემატებოდა და რაც გადასვლისას მნიშვნელოვან ხარჯებს იწვევდა, დასასრულ, საბალახოებზე (საძოვრებზე)

---

[46] Н. А н д р о в и к о в, I, с., 215.

[47] ТКОСХ, 1885 г, № 2–3, стр. 261—263.

საიჯარო ფასების ზრდა, ბუნებრივია, იწვევდა წვრილ მეცხვარეთა რიცხვის თანდათანობით შემცირებას.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, დრო, იმ მიმართულებით მოქმედებდა რომ მეცხვარეობა მომგებიანი ხდებოდა მხოლოდ ისეთი მეურნეობებისათვის, რომელთაც „ცხვრის დიდი ფარები ჰყავდათ“[48]. მეცხვარეობაში ამ დიფერენციაციამ უწინარეს და უპირატესად თავი იჩინა კერძოდ ბინადარ, მიწათმოქმედურ, მოსახლეობაში, სადაც ფარის პატრონს უფრო ხშირად არ შეეძლო თვითონ გაყოლოდა ცხვარს იალაღში და ამდენადვე მას, ნებლით თუ უნებლიეთ, ცხვარი უნდა მიენდო ჩობანისათვის (მწყემსისათვის), რომლის კეთილსინდისიერებასა და უნარიანობაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ იზრუნებდა ამ ფარის გამრავლება-შემოსავლიანობისათვის.

უკვე 1883 წელს ცნობილი მწყემსი-მწერალი ალ. ყაზბეგი (მოჩხუბარიძე) აღნიშნავდა წვრილი მეცხვარეობის საწინააღმდეგო ტენდენციას. რაც გამოიხატებოდა საძოვარი „ადგილების ხალხში უსწორ-მასწორო გაყოფაში“, როდესაც ზოგიერთ „პირს ხელში ჩაუყრიათ ადგილები და მეტისმეტად დიდი ფასების — საბალახოს — დადების გამო საწყალ ხალხს, ან მცირე საქონლის პატრონს საშუალებას უსპობენ, რომ ისარგებლოს“ საბალახოებით[49].

ცხადია, ამავე მიმართულებით მოქმედებდა „შეუბრალებელი ყვლეფა-გლეჯა, რაც იქაურს ხალხს თავსა აქვს მოხვეული სხვადასხვა მბრძანებლებისაგან, მოხელეებისაგან, შარიანი ყაზახებისაგან და ბოლოს „ზასტავის“ ბაჟის[50] ამღებთა უსამართლობისაგან[51]. საქართველოს სამხედრო გზაზე რომ მეცხვარეებს საგზაო „ბაჟს“ უზომოდ და უკანონოდაც ახდე-

---

[48] Ії. Андроников, I, с., 216.

[49] ა. მოჩხუბარიძე, „მოხევეების და მთიულების მდგომარეობა მომავალში“ (გაზ. „დროება“, 1883 წ., № 7).

[50] „ბაჟი“ — გზის საფასური საქ. სამხედრო გზაზე აიღებოდა ცხვრის ყოველი გადადენის დროს.

[51] „დროება“, 1883 წ., № 7.

ვინებდნენ აღნიშნული აქვს დ ა ვ ი თ კ ე ზ ე ლ ს ა ც იმავე გაზეთის ფურცლებზე [52].

ი ა გ ო დ ი ნ ს კ ი წერს, რომ ბაქოს მაზრაში „მსხვილი მეცხვარეები ყოველგვარი საშუალებით ცდილობენ ხელი შეუშალონ წვრილ მეურნეთა შორის მეცხვარეობის გავრცელებას და ამ მიზნით მოისყიდიან ხოლმე თავიანთ ჩობნებს, რათა ამ უკანასკნელთ იალაღებზე მათთვის თავის ჯოგში საძოვრად (საწყესავად) მიბარებული წვრილ მეურნეთა პირუტყვი გაანადგურონ“[53].

იგივე იაგოდინსკი აცხადებს, რომ სწორედ ამ მიზეზის (ვერაგული ან კიდევ უფრო სწორად ყველაზე ველური კონკურენციის) შედეგად „წვრილი ფერისმფლობელები გლეხთა შორის ძლიერ ცოტაა. ჩვეულებრივ სოფელში გვხვდება მხოლოდ რამდენიმე მსხვილი მეცხვარე, რომელთაც, საერთო ჯამში, ჰყავთ ათასობით თავი ცხვარი თვითეულს; დანარჩენ მეკომურთ ან საკუთრებით არა ჰყავთ ცხვარი, ანდა ჰყავთ ფრიად მცირე რაოდენობით“ [54].

ჯევათის მაზრაში მე-20 საუკუნის დამდეგს ცნობილნი იყვნენ ისეთი მსხვილი მეჯოგეები, რომელთაც თვითეულს 500, 1000, 1500 და 2000 მეტი ცხვარი ყავდათ. ასეთ მეჯოგეებს გარდა იმისა, რომ ისინი დიდი რაოდენობით ფლობდნენ ცხვარს, ყავდათ აგრეთვე ასეულ თავობით მსხვილრქიანი პირუტყვი (ძროხები, ხარები, კამეჩები), ათეულობით აქლემი და ჰქონდათ ათას მანეთობით ნაღდი თუ მევახშურ სარგებელზე გასესხებული ფული. ესენი, სოფლის კულაკები, თითქმის სისტემატურად ეწეოდნენ დაქირავებული შრომის (მოჯამაგირეთა) ექსპლოატაციას; მათ შორის ამ დროს უდიდეს უმრავლესობას შეადგენდნენ არა ბეგთა (ფეოდალური) წოდებიდან გამოსული მემამულეები, არამედ რაიები

---

[52] „დროება“, 1883 წ., № 130.

[53] МИЭБГКЗК, I, 497.

[54] იქვე.

(გლეხები), რომლებიც ამგვარად, ნამდვილად სოფლის ბურჟუებს წარმოადგენდნენ[55].

სიღნაღის მაზრის სახელმწიფო გლეხთა შორის 1880-იან წლებში, ა. არღუთინსკის ცნობით, მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მისდევდა მეცხვარეობას. თვით სიღნაღის რაიონში ცხვარი არ ჰყავდა მოსახლეობის 81%-ს, ქიზიყში — 82%-ს, უკანამხარში — 87%-ს; რუს კოლონისტთა სოფლებში ცხვრის მოშენებას არ ეწეოდა კომლთა 88 პროცენტი, ხოლო „თათართა“ სოფლებში, სადაც მეცხვარეობა ეკონომიკურ ცხოვრებაში გაბატონებულ როლს თამაშობდა, მეკომურთა 40 პროცენტს-ღა არ ჰყავდა ცხვარი.

სიღნაღის სახელმწიფო გლეხთა მხოლოდ 19 პროცენტი მისდევდა მეცხვარეობას. მათ ჰყავდათ სულ 250 ათასი ცხვარი. რაც მფლობელობის მოცულობის მიხედვით კომლთა შორის 1885 წელს შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

15-მდე	ცხვარი	სულ	1926	თავი,	ჰყავდა	კომლთა	3,6	პროცენტს
15 — 49-მდე	„	„	10.695	„	„	„	3,5	„
50 — 99	„	„	35.414	„	„	„	4,8	„
100—299	„	„	98.433	„	„	„	5,6	„
300 და მეტი	„	„	103.380	„	„	„	1,7	„

ანალოგიური იყო ვითარება კერძოდ ქიზიყელ მეცხვარეთა შორისაც. საერთოდ სიღნაღის მაზრაში მოსახლეობის მხოლოდ ორიოდე პროცენტი, ე. ი. უმსხვილესი მეცხვარეები, რომელთაც თვითეულს 300-ზე მეტი ცხვარი ჰყავდა, ჰფლობდა ცხვრების საერთო რაოდენობის დაახლოებით 41 პროცენტს.

თელავის მაზრის სახელმწიფო გლეხებს იმავე წელს ჰყავდათ 34.600 ცხვარი: საიდანაც 1 კომლზე საშუალოდ 4,9 თავი მოდიოდა. დასახელებული გლეხთა ეკონომიკური ყოფიერების აღმწერის სიტყვებით, მიუხედავად იმისა რომ აქ ცხვარი მცირე რაოდენობით ჰყავდათ „კახელები მაინც ძლივ-ძლივობით ახერხებენ მათს მოვლას, რადგან მათ მეტად არადა-

[55] „Кавказское хозяйство“, 1903, № 14.

მაკმაყოფილებელი საბალახოები აქვთ"[56]. აქ ცხვარს წლ
უმეტესი დროის განმავლობაში, ზოგიერთ სოფელში კიდევ
„თითქმის მთელი წელიწადი, აბალახებენ იჯარით აღებულ
საძოვრებზე". თელავის მაზრიდან ზაფხულობით ცხვარს მიე-
რეკებოდნენ დაღისტანის მთებში.

თელავის მაზრის სახელმწიფო გლეხთაგან მეცხვარეობას
მისდევდა 512 მეურნეობა ანუ კომლთა საერთო რაოდენობის
7.3%. 1885 წ. მონაცემებით მფლობელობის მოცულობის მი-
ხედვით ცხვარი კომლთა შორის ასე ნაწილდებოდა:

15 -მდე	ცხვარი,	სულ	1365	თავი,	ჰყავდა	186	კომლს	ანუ 2.6%-ს
15 — 49	„	„	4.255	„	„	135	„	„ 1,9 „
50 — 99	„	„	7.905	„	„	105	„	„ 1,6 „
100— 299	„	„	14.730	„	„	77	„	„ 1,1 „
300 და მეტი	„	„	6.400	„	„	11	„	„ 0,1 „

როგორც ვხედავთ ცალკე კომლთა შორის ცხვრის დანა-
წილების მხრივ გლეხობის სოციალური დიფერენციაცია აქ
უფრო შორს წასულა ვიდრე სიღნაღის მაზრაში, რამდენადაც
აქ, თელავის მაზრაში, უფრო მკვეთრად გამოეყოფა შეძლე-
ბულ, კულაკურ მეცხვარეთა მცირერიცხოვანი ფენა, მეურ-
ნეობები, რომლებიც სისტემატურად ეწეოდნენ დაქირავებუ-
ლი შრომის ექსპლოატაციას.

თელავისა და სიღნაღის მაზრის მსგავსი იყო დაახლოებით
საქმის ვითარება მეცხვარეობის მიმდევარ ამიერკავკასიის სხვა
რაიონთა უმრავლესობაში.

რა თქმა უნდა, იყო განსხვავებული მდგომარეობის მაგა-
ლითები. ამ მხრივ საკმაოა შევჩერდეთ თბილისის გუბერნიის
თიანეთის მაზრაზე. აქ თვით 1880-იან წლებამდე, და კარგა
ხანს მერმეც, დაცული იყო პატრიარქალური მეცხვარეობის
შესამჩნევი გადმონაშთები, რამაც თავისი იშვიათი ცხოველ-
მყოფელობის მეოხებით ფრიად საინტერესო (თავისებური)
ფორმები ჰპოვა, რათა შეგუებოდა სავაჭრო მეცხვარეობის
უკვე ძლიერად შემოჭრილი თაოსნობის მოთხოვნებს.

მ. მ ა ჩ ა ბ ლ ი ს დაკვირვებით აქ ცხვრის რაოდენობა

[56] МПЭБГКЗК. V, 1, 119.

აბსოლუტურად თანდათან იზრდება, მაგრამ „ამასთანავე ერთად ისპობა დიდ ფარათა მფლობელობა და ცხვარი უფრო თანაბრზომიერად ნაწილდება მეურნეთა უმრავლესობაა შორის“[57].

ამ პროცესის ახსნას მ. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი შემდეგში ჰპოულობს: „თემები ყოველგვარ ზომებს მიმართავენ, რათა წვრილი მეცხვარეების უმრავლესობა არ დაიჩაგროს მსხვილ მეცხვარეთა უმცირესობისაგან. ამით აიხსნება ყველა თემის (საზოგადოების) მისწრაფება, რათა გაუსახადებისა და მისი ნაწილების გადანაწილება (გაწერა) აწარმოონ პირუტყვის რაოდენობის მიხედვით, რასაც თვითეული კომლი აბალახებს. უკანასკნელი გარემოება მრავალს აიძულებს შეკვეცოს თავისი ფარის მოცულობა, ანდა თავისი ჯოგი გარეკოს თრიალეთისა თუ ლეკეთის მთებში, რამდენადაც (ადგილობრივ) იალაღებს იკავებენ წვრილი მეცხვარეები და მსხვილ ფარებს ადგილი არ ჰყოფნით. ამის გამო დავაც ატყდება ხოლმე მეზობელთა შორის“[58].

ნამდვილად კი მოვლენის ახსნა იმაშიც უნდა ვეძიოთ, რომ თიანეთში 1880-იან წლებში კიდევ არ იყო გადავარდნილი პატრიარქალური მეცხვარეობის ერთი ჩვეულება, სახელდობრ „დ ა ვ ა რ დ ნ ი ლ თ ა წ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი ს ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა“.

აქაური მეცხვარეები რაიმე შემთხვევითი უბედურების მიზეზით გაჩანაგებულ მეზობელს ეხმარებოდნენ: აძლევდნენ (ცხადია, უნაცვალგებოდ) ცხვრებს, რათა აღედგინათ მისი მეურნეობა. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივად, დაზარალებულის მეგობარი აწყობდა პურობას, რაზედაც ჰპატიჟებდა (იწვევდა) მეზობელ მეცხვარეებს. პურობაზე მოსულ ყოველ დაპატიჟებულს თან მოჰყავდა ხოლმე, შეძლებისამებრ, 1, 2, 5, 8 — 10 და მეტი ცხვარი.

---

[57] МИЭБГКЗК. V, I, 459; СМЭБГКЗК. V. I, 218.

[58] იქვე.

მეცხოველეთა, კერძოდ მეცხვარეთა შორის ურთიერთდახმარების ტრადიციის თვალსაზრისით აღსანიშნავია ო ჩ ხ ა რ ი, როგორც თემური ყოფიერების გადმონაშთი. თვით სიტყვა „ოჩხარი" ცხვრისაგან (შად. სომხ.) უნდა იყოს წარმომდგარი.

მეცხოველე, რომელსაც რაიმე მიზეზით პირუტყვი (ცხვარი) გაუწყდებოდა, მეგობართა წაქეზებით მართავდა ოჩხარს (წვეულებას), სადაც მიიპატიჟებდა მეზობელ მეცხვარეებს, რომელთა მორალური ვალდებულება იყო, შეძლებისაებრ, შეწევნოდნენ დაზარალებულს, რათა დახმარებოდნენ მას დაცემული მეურნეობის აღდგენაში.

როდესაც ნადიმი „შესურდებოდა" წამოდგებოდა ერთ-ერთი მეგობართაგანი. ის სასმისით ხელში იტყოდა მასპინძლის კარგ კაცობაზე და სიტყვას დაბოლოებით ასე დაამთავრებდა: „უბედურება დაატყდა ჩვენს... ...ცხვარი გაუწყლა, თუ ჩვენ არ გავიტანეთ სხვა ვინ გაიტანს... ამიტომ ჩემ წილად მომირთმევია 10 ცხვარიო" და დაცლილ ყანწს თავის „მოქიშპეს" გადაულოცავდა: „შენ სულ ჩემს ჯიბრში ხარ, აბა რაღას იტყვიო". ისიც სადღეგრძელოს იტყოდა და ცდილობდა არ ჩამორჩენოდა პირველს და ა. შ. მეოჩხარეს კვლავ უგროვდებოდა სანაშენო ფარა.

ოჩხარს მემამულეებიც მართავდნენ. 1880-იან წლებში, და მერმეც, ჩაწერილია რამდენიმე ვარიანტი ერთი თავადის მიერ მოწყობილი ოჩხარის შესახებ თქმულებისა.

ერთი მემამულის ოჩხარზე მოსულან თავადები, აზნაურები, გლეხები... ამ დიდ წვეულებაზე ყველას საკადრის ადგილს სვამდნენ. ბოლოს, როცა უკვე ყველანი ისხდნენ და მოილხენდნენ მოვიდა ერთი ტყაპუჭიანი გლეხი, თავზე ნაბდიძველა ჩამოფხატული და მასპინძელსა და წვეულთ გამარჯვება უთხრა და დადგა „ეგ ვიღააო" მიმართა მოურავს მასპინძელმა. — „რა მოვახსენო ბატონო, ეგეც ოჩხარში მოვიდაო". თავადს ტყაპუჭიანი გლეხი თვალში არ მოუვიდა; რა ეკნებაო, იფიქრა. — „წაიყვა, ბოლოში სადმე დასვიო".

როცა დრო დადგა რიგ-რიგობით წამომდგარან სტუმრები და მასპინძლისათვის შეუწევიათ ზოგს — 12 ცხვარი, ზოგს —

10, ზოგს — 5 და ასე, ვისაც რამდენი შეეძლო. ბოლოს ჯერი სუფრის ბოლოს გდებულ საწყალ გლეხზე მიდგა. „აბა, შენ რაღას შეეწევი თავადიშვილსაო“ — სიცილით უკითხავს ერთ-ერთ სტუმარ მემამულეს. გლეხი წამომდგარა, წელში გასწორებულა, თავადებისკენ მიუხედნია და ომახიანად მიუმართავს მასპინძლისათვის:

„რა მოგახსენო ბატონო
კვერნაკი დიდი მთა არის,
სამასი სული ძროხა მყავს
იმის ხბორები სხვა არის,
ათასი სული ცხვარი მყავს
იმის ბატკანი სხვა არის,
ექვსასი სული ღორი მყავს
იმისი გოჭი სხვა არის.
ძმა და ძმისწული ცხვარში მყავს,
მოჯამაგირე სხვა არის.
ორმოცი სული მწყემსი მყავს,
მოშაღავათე სხვა არის.
სამოცი ძაღლი ცხვარში მყავს,
პარკის გოშია სხვა არის;
ას ცხვარსა მენაც გაჩუქებ,
როგორც მუნია თხა არის,
ბოლოშიც კარგად მოვილხენ
ვითომ თავს ჯდომა რა არის“.

„ასე კი შეარცხვინა თურმე გლეხმა თავადებიო“ — შენიშნავს, დასასრულს, ლექსის პირველი ვარიანტის ჩამწერი, რომლის გადმოცემით ზოგიერთი მთქმელი თურმე განმარტავდა კიდევაც: „ეს გლეხი ფშაველი ყოფილაო“[59].

დავარდნილთა „წამოყენების“ რამდენადმე განსხვავებული

[59] ამ ლექსის ერთ-ერთი ვარიანტი, როგორც ჩანს, პირველად ჩაწერილია 1880-იანი წლების შუაში ზ. ბილანიშვილის მიერ (იხ. „ხალხური სიტყვიერება“, 1916, ტ. I, ე. თაყაიშვილის რედაქციით, გვ. 125). ამ წყაროს მითითებისა და ამონაწერის მიწოდებისათვის პროფ. ქალენია სიხარულიძეს მადლობას მოვახსენებ. ჩვენ ზემოთ მოგვყავს, აკად. ნ. კეცხოველის მიერ თავაზიანად მოწოდებული, ლექსის რამდენადმე განსხვავებული ვარიანტი, მცირეოდენი ცვლილებით. იხ. აგრეთვე პროფ. მ. ჩიქოვანი, „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია“, 1956, გვ. 355.

ჩვეულება აღწერილია ათიოდე წლის მერმეც, სახელდობრ 1895 წელს, ა. ს ა ფ ა რ ო ვ ი ს მიერ თუშთა თემებში[60].

ა. საფაროვი არსებითად ორ წესს აღწერს. პირველი ცნობილი იყო „ს ა კ უ თ რ ა დ დ ა ზ ი ა რ ე ბ ი ს", ხოლო მეორე — „ს ა ნ ა ხ ე ვ რ ო დ დ ა ზ ი ა რ ე ბ ი ს" სახელწოდებით. პირველ შემთხვევაში მწყემსს (უცხვარო გლეხს) „საკუთრების" სახით ეძლევა 40 ცხვარი. ამ ფარის 4 წლის განმავლობაში ნამატი თანასწორად იყოფა მეპატრონესა და მწყემსს შორის. მეორე შემთხვევაში 80 ცხვრისა და მისი ნამატის შემოსავალ-გასავალი შუაზე იყოფა მეპატრონესა და მწყემსს შორის; თვით ცხვარი. ნამატიანად, იყოფა მხოლოდ 4 წლის შემდეგ[61].

ა. საფაროვის აზრით მის მიერ აღწერილი ეს ჩვეულება დიდი დახმარებაა დავარდნილთა წამოყენების თვალსაზრისით. ნამდვილად კი ეს სხვა არაფერია, თუ არა ღარიბი, უცხვარო მწყემსის მოჯამაგირედ გადაქცევა, როდესაც ცხვარი მას ეძლევა „საკუთრების" სახით, მხოლოდ იმ ინტერესით რომ სხვის ცხვარს უპატრონოს როგორც საკუთარს. ამგვარად, დავარდნილთა „წამოყენების" ამ წესში, როგორც მგელი ცხვრის ქურქში, შენიღბულია ბურჟუაზიული მეწარმეობა, რომელიც პატრიარქალური ურთიერთობის ბურვილებში მოხერხებულად ეწევა ღარიბ მწყემსთა ექსპლოატაციას.

მაინც უდავოა, რომ პატრიარქალური წეს-ჩვეულებანი აბრკოლებდნენ მთებში კაპიტალისტური მეწარმეობის განვითარებას. არსებითად ეს იგივე ფაქტორია რაც მოქმედებდა ბარშიაც, როგორც გლეხობის სოციალური დიფერენციაციის პროცესის შემფერხებელი; — ესაა თემური მიწათმფლობელობა და საერთოდ თემობრივობის გადმონაშთები. მართალია, მ. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი როგორღაც ვერ ამჩნევს ამ ფაქტორს, თუმცა ემპირიულ მასალათა გადმოცემისას სწორად აღნიშნავს, თუ რამდენად აბრკოლებდა საბალახოების სარგებლო-

---

[60] А. Сапаров, „Заметки очевидца" (ЖСХ, 1895 г., № 84).
[61] ЖСХ, 1895 г., № 84, стр. 1441.

ადმინისტრაციული ერთეულები	ცხვრის რაოდენობა ამიერ· 1865	1870	1883	1884	1891
ბაქოს გუბერნია	1.186.321	736.000	1.000.000	1.000.000	764.901
ელისავეტპოლის (განჯის) „	—	902.100	1.530.000	1.530.000	1.156.820
ერევნის „	—	372.700	500.000	600.000	584.465
თბილისის „	1.387.802	1.391.000	1.509.000	1.509.000	—
ზაქათალის ოკრუგი	—	—	82.941	159.870	—
ქუთაისის გუბერნია	80.326	86.000	128.500	127.000	186.574
ბათუმის ოლქი	—	—	148.000	148.000	—
სოხუმის ოკრუგი	შედის ქუთ. გუბ.		27.715	29.215	შედის
სულ		3.487.800	4.926.156	5.103.085	

ბის თემისმიერი მოწესრიგება მსხვილი მეცხვარეობის განვითარებას. მ. მაჩაბელი ვერ ამჩნევს, რომ სწორედ საბალახოებით სარგებლობაში თემურობის პრინციპის შენარჩუნება აიძულებს მსხვილ მეცხვარეს „იზრუნოს“ უცხვარო მწყემსის, ანუ დავარდნილი მწყემსის „წამოყენებისათვის“ და ამ სახით მოსაშენებლად მისცეს მას ცხვარი.

აღსანიშნავია, რომ საბალახოები თვით თემებს შორისაც არ იყო თანაბარზომიერად განაწილებული. მაგალითად, ა. მ ა ჩ ხ უ ბ ა რ ი ძ ე (ყაზბეგი) 1883 წ. წერდა: „ხევში სიონელებს, გერგეტლებს, კარკუჩლებს და სხვ. იმოდენა საძოვარი მთები უპირავთ, რომ კიდეც აქირავებენ; მაშინ როდესაც სტეფანელები, გარბანელები და სხვ. სრულიად ნაკლულები არიან მიწას“[62].

სათემო ანუ სახელმწიფო (სახაზინო) საბალახოებით სარგებლობის მოწესრიგებას საერთოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მეცხოველეობის განვითარებაში. მაგრამ ამ საკითხზე ჩვენ ცალკე გვაქვს სპეციალურად მსჯელობა და აქ არ ვჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საბალახოებით არათანაბარზომიერი სარგებლობის ნიადაგზე ხშირი იყო შე-

[62] გაზ. „დროება“, 1883 წ., № 7.

კავკასიაში 1865 — 1912 წწ.

1899	1903	1907	1908	1910	1911	1912
652.459	965.127	865.611	1.059.721	840.362	677.594	771.963
1.104.650	1.056.388	588.716	1.916.278	1.198.164	1.118.326	994.220
954.334	1.076.931	945.879	726.647	715.5[illegible]0	708.404	715.520
1.277.991	2.381.315	1.847.798	1.827.798	1.464.737	1.281.5[illegible]3	1.59[illegible].433
90.648	90.918	52.279	37.666	60.226	59.8[illegible]2	7[illegible].060
147.313	67.55[illegible]	74.287	60.108	76.127	62.5[illegible]0	7[illegible].581
—	79.127	53.569	61.000	36.566	6[illegible]	75.924
ქუთ. გუბ.	17.2[illegible]	30.523	34.340	37.638	34.873	37.351
4 286.795	5.732.847	4.458.7[illegible]2	5.722.[illegible]52	4.423.0[illegible]0	4.004.102	4.317.892

ტაკეში ციმთა ბორის და ზოგიერთი, საბალახოებით უფრო უზრუნველყოფილი თემი ახერხებდა ეკონომიკურ დაწინაურებას, ე. ი. მსხვილი ფარეხის გაჩენას და ამ გზით, ადრე თუ გვიან, კიდევ უფრო ავიწროებდა და ჩაგრავდა მეზობელ თემს, უკეთა ვსთქვათ, მეზობელი თემის წვრილწარმოებლებს.

როგორც გინდ არ იყოს, უკვე 1890-იანი წლებიდან თიანეთის მეცხვარეობაში იმდენად იბუდებს და ძლიერდება გამდიდრების სული, დაგროვებისადმი მისწრაფება, რომ იგი პატრიარქალურობის „ღვთისნიერ ჩვეულებებს დავარდნილთა წამოყენებისა“ დიდის სისწრაფით მიერეკება სულ უფრო ზევით, მთის მაღალი და ცივი ფერდობებისაკენ, ფლატეებისა და ჭიუხებისაკენ, რათა, აქედან „უცაბედათ“ მოწყვეტილი ღრანტე-ხევების უფსკრულში - ჩაინთქას, ან მწვერვალთა მუდმივყინულოვან არეში გაქვავდეს და ან, ბოლოს, მაღალი კლდეებისგან ქარის მიერ მოგლეჯილი ღრუბლებში გაიფანტოს.

რეფორმის მერმინდელ პერიოდში, სახელდობრ 1865 — 1912 წწ. ამიერკავკასიაში ცხვრის რაოდენობის დინამიკის[63] სურათს წარმოგვიდგენს 2 ცხრილი (გვ. 598 — 600).

[63] რევოლუციამდელ პერიოდში საერთოდ პირუტყვის რაოდენობის შესახებ არსებულ მონაცემთა საბჭოთა პერიოდის მონაცემებთან შედა-

რაიონებიდან სინამდვილეში ბევრად მეტი კვერცხი უნდა გაეტანათ, ვიდრე ეს ნაჩვენები აქვს დ. ღამბაშიძეს. მაგრამ მისი მონაცემები მაინც გამოხატავს საექსპორტო საქონლის ნაწილობრივ მოძრაობას და იძლევა ერთგვარ წარმოდგენას ამ საექსპორტო ოპერაციებში სხვადასხვა პუნქტების მონაწილეობისა; იგი გვიჩვენებს, რომ კვერცხის საექსპორტო ოპერაციებში გაბატონებულ როლს თამაშობდა რკინიგზის, სახელდობრ სამტრედიის სადგური, საიდანაც, ცხადია, იგზავნებოდა მოცემული რაიონის მეფრინველეობის პროდუქცია.

დოც. ი. ვოეიკოვის მონაცემებით 1912 წელს მხოლოდ სამტრედიის, აბაშისა და ახალ-სენაკის სადგურებიდან გაუტანიათ 65.765 ფუთი კვერცხი, რასაც ემატებოდა კიდევ სხვა პატარა სადგურებიდან გატანილი 24 ათასი ფუთი, რომელთა საერთო ჯამს იგი 31 მილიონ ცალ კვერცხს ანგარიშობდა[57]. ნ. ორლოვის ცნობით ამ ხანებში ამიერკავკასიიდან ყოველწლიურად გაჰქონდათ 59 ვაგონამდე კვერცხი[58].

ამიერკავკასიიდან კვერცხი გაჰქონდათ უმთავრესად ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებიდან. მაგრამ ამ ნავსადგურებიდან უცხოეთში კვერცხის გატანას აფერხებდა ის გარემოება, რომ გემებს, რომელთაც ეს ტვირთი მიჰქონდათ, არ გააჩნდათ მაცივარი. ამიტომაც კვერცხის ექსპორტი წარმოებდა უპირატესად მხოლოდ ოქტომბრიდან მარტამდე, ე. ი. სიცივეების პერიოდში, რათა კვერცხი სიცხისაგან გზაზე არ გაფუჭებულიყო. ხოლო მარტიდან ოქტომბრამდე კვერცხის წამლები მაცივრიანი გემები კი მხოლოდ იშვიათად შემოივლიდნენ.

მაგრამ მეფრინველეობას სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებას უქმნიდა თვით ამიერკავკასიის საქალაქო ცხოვრე-

---

[57] И. Военков, „Сельское хозяйство Западной Грузии и Лондонский рынок", 1921, стр. 19—20.

[58] ЭТЗ, II, 214.

ბა. ადგილობრივი სავაჭრო-სამრეწველო და ადმინისტრაციული ცენტრებიც ფრიად მნიშვნელოვანი რაოდენობით მოიხმარდნენ მეფრინველეობის პროდუქტებს.

მაგალითად, ქალაქ თბილისის უფროსი სავაჭრო-სამეურნეო ინსპექტორის მ. ი. ჯ ა ბ ა რ ი ს მიერ 1898 წელს თავმოყრილ ცნობათა[59] მიხედვით მხოლოდ ქ. თბილისი 1890-იან წლებში ყოველწლიურად მოიხმარდა:

	ცალობით	% ჯამთან
ქათამს	525,000	42,2
ვარიას	630,000	50,6
ინდაურს, იხვსა და ბატს .	90,000	7,2
ს უ ლ	1.245.000	100,0

ამ მონაცემებიდან იმასაც ვხედავთ, რომ ქალაქი შინაურ ფრინველთა შორის ყველაზე უფრო მეტად მოიხმარდა ქათამსა (42,6%) და ვარიას (50,6%), ხოლო ინდაურს, ბატსა და იხვს, რაოდენობის მიხედვით, უმნიშვნელო ადგილი (7,2%) ეჭირა ამ მოხმარებაში.

როგორც ვხედავთ, 1890 — 1900-იან წლებში საგარეო და შინაგან ბაზრებზე ფრიად შესამჩნევი რაოდენობით გააქვთ ადგილობრივი მეფრინველეობის პროდუქტები. უკვე აღვნიშნეთ, რომ ამიერკავკასიაში მეფრინველეობის ძირითადი რაიონი იყო ქუთაისის გუბერნია. ამიერკავკასიაში მეფრინველეობის პროდუქტებით ვაჭრობის თითქმის 60 პროცენტი ამ გუბერნიაზე მოდიოდა.

1906 წ. ქუთაისის გუბერნიის ოფიციალურ მიმოხილვაში ნათქვამია, რომ „გუბერნიის სოფლებიდან ყველა შინაგან და საგარეო ბაზრებზე გ ა ა ქ ვ თ მ ე ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ო ბ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ე ბ ი 2,5 მ ი ლ ი ო ნ მ ა ნ ე თ ზ ე მ ე ტ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა ო“[60]. მეფრინველეობის პროდუქტებით ვაჭრობა ქუთაისის გუბერნიაში ისე გაცხოველდა, რომ ზოგიერთი ენამახვილი პუბლიცისტი ოხუნჯობდა: „ქუთაისის

[59] КСХ, 1898 г., № 239, стр. 499.

[60] „Обзор Кут, губ. за 1906 г.,“ стр. 34,

ცხვრის რაოდენობა ამიერკავკასიაში პროცენტობით

ადმინისტრაციული ერთეულები	1912 წ. %%-ლად-ჯამთან	1912 წ. %%-ლად 1903 წელთან შედარებით	1912 წ. %%-ლად 1884 წელთან შედარებით
ბაქოს გუბერნია	17,9	78,0	77,2
ელისავეტპოლის „	23,0	94,1	65,0
ერევნის „	16,6	66,5	119,3
თბილისის „	36,8	66,8	105,4
ზაქათალას ოკრუგი	1,6	77,8	43,8
ქუთაისის გუბერნია	1,8	117,7	62,7
ბათუმის ოლქი	1,4	74,3	39,7
სოხუმის ოკრუგი	0,9	216,1	127,8
ᲯᲛ	100,0	75,3	84,6

ცხრილიდან უწინარეს გარკვევით ჩანს, რომ მეცხვარეობა, გეოგრაფიული გაადგილების თვალსაზრისით, აღებულ პერიოდში, ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და, შედარებით, უმნიშვნელო ზომით დას. ამიერკავკასიაში, ე. ი. დას. საქართველოში.

ამ მხრივ, მაგალითისათვის, პირველი მსოფლიო ომის წინა, 1912, წელს თუ ავიღებთ ვნახავთ, რომ აღმ. ამიერკავკასიაზე, ე. ი. თბილისის, ბაქოს, ელისავეტპოლის (განჯის), ერევნის გუბერნიებსა და ზაქათალის ოკრუგზე მოდიოდა ცხვრის მთელი რაოდენობის (4.318 ათასი) 95.9 პროცენტი.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პირველი ადგილი ეჭირა თბილისის გუბერნიას, რომელზედაც მოდიოდა ამიერკავკასიაში აღრიცხული ცხვრის მთელი რაოდენობის 36,8 პრო-

---

რებისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ძველად პირუტყვის აღრიცხვა სწარმოებდა ივნისში, ხოლო სსრ კავშირში 1930-იანი წლებიდან მოყოლებული იგი დღემდე, 1953 წლამდე, სწარმოებს 1 იანვრის მდგომარეობით. ძველი და ახალი მონაცემები რომ შესადარის მაჩვენებლებად მივიღოთ საჭიროა ისინი მოვიყვანოთ შესაბამისობაში და ამ მიზნით კი უნდა გავითვალისწინოთ, რომ ივნისის აღრიცხვის პერიოდში ცხვარი 20 — 35 პროცენტით მეტი მოდის ვინემ იანვრის აღრიცხვით.

ცენტი (1.590 ათასი თავი), შემდეგ იდგა ელისავეტპოლის გუბერნია — 23,0 პროც. (999 ათასი), მესამე ადგილი ეჭირა ბაქოს გ. — 17,9 პროც. (772 ათასი), ხოლო მეოთხე — ერევნის გუბერნიას — 16,6 პროც. (716 ათასი); ზაქათალის ოკრუგზე მოდიოდა 1,6 პროცენტი.

დას. ამიერკავკასიაზე, ე. ი. ქუთაისის გუბერნიასა, ბათუმის ოლქსა და სოხუმის ოკრუგზე მოდიოდა ამიერკავკასიაში ცხვრის მთელი რაოდენობის მხოლოდ 4,1 პროცენტი. აქედან კერძოდ ქუთაისის გუბერნიაზე — 1,8% (80 ათასი); ბათუმის ოლქზე — 1.4% (59 ათასი), ხოლო სოხუმის ოკრუგზე — 0.9% (37 ათასი თავი).

მეცხვარეობის ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებელთა, სახელდობრ პირუტყვის რ ა ო დ ე ნ ო ბ რ ი ვ ი დ ი ნ ა მ ი კ ი ს მხრივ, ცხრილი გვიჩვენებს, რომ აღებული პერიოდის უკანასკნელი 30 წლის მანძილზე (1884 — 1912 წწ.) ამიერკავკასიაში ცხვრის რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირებულა, და ეს მაშინ, როდესაც ამ დროის განმავლობაში თვით მოსახლეობის რაოდენობა დიდი სისწრაფით იზრდებოდა და 50 პროცენტით მაინც გადიდდა.

1912 წელს ცხვრის რაოდენობა ამიერკავკასიაში 1884 წელთან შედარებით (5.103 ათასი) 15.4 პროცენტით ნაკლები იყო და შეადგენდა 4.318 ათას თავს. ცალკე ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით 1912 წელს 1884 წელთან შედარებით ცხვრის რიცხვი უდრიდა. პროცენტობით: ბათუმის ოლქში — 39.7: ზაქათალის ოკრუგში — 43.8; ქუთაისის გუბერნიაში — 62,7; ელისავეტპოლისა — 65,0; ბაქოსი — 77.2 პროცენტს. აღებულ პერიოდში ცხვრის სულადობამ რამდენადმე იმატა მხოლოდ ერევნისა (19.3 პროცენტით) და თბილისის გუბერნიაში (5.4 პროცენტით) და სოხუმის ოკრუგში (27,8 პროცენტით). საერთო ჯამში კი ცხვრის სულადობის დანაკლისი 1912 წელს 1884 წელთან შედარებით უდრიდა 736 ათასს.

დასასრულ, 1912 წ. მონაცემები რომ ათიოდე წლით ად-

რინდელს, სახელდობრ 1903 წლისას შევადაროთ, დავინახავთ რომ ცხვრის რაოდენობა მთელ ამიერკავკასიაში 24,7 პროცენტით შემცირებულა. ცხვრის სულადობის შემცირება განსაკუთრებით საგრძნობია მისი გავრცელების ყველაზე მთავარ რაიონში, სახელდობრ თბილისის გუბერნიაში, საღაც 1903 წელს ითვლებოდა 2.381 ათასი, ხოლო 1912 წელს კი მხოლოდ — 1.590 ათასი, ანუ 66,8 პროცენტი 1903 წელთან შედარებით.

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, აღებულ პერიოდში (1903—1912 წწ.) ცხვრის სულადობამ დიდად იკლო მისი ფართო გავრცელების ყველა რაიონში, ე. ი. მთელ აღმ. ამიერკავკასიაში. 1903 წ. მდგომარეობას თუ ასად მივიღებთ გამოდის, რომ 1912 წელს პირუტყვის რაოდენობა შეადგენდა: ბაქოს გუბერნიაში — 78,0; ერევნისაში — 66,5; თბილისის — 66,8; ელისავეტპოლისა 94,1; ბათუმის ოლქში—74,3; ზაქათალის ოკრუგში — 77,8. ამ წლებში მეცხვარეობას ყველაზე მეტი დანაკლისი მაინც ერევნის გ. განუცდია. აბსოლუტური მონაცემებით მთელს ამიერკავკასიაში 1912 წელს ცხვრის სულადობა 1903 წელთან შედარებით 1.416 ათასით ნაკლები იყო.

—

2. მეთხეობა

„თხა. თხათა მამალსა ვაცი ეწოდების, [illegible] — ნეზვი და შველა [illegible] თიკანი; [illegible] თიკანსა — ბატკი და წლამოს თიკანსა — წალი...; გამოუყვერავსა — ბოტი და საბოტე წალსა — ვაციკი, ვიეთნი ქომსა უწოდენ; წინა მოარელსა თხასა — ელქაჯი; აგრეთვე შველთა და ქურციკთა, ნიამორთა და არჩეთა ვაცსა, ნეზესა და წალსა უწოდენ, არამედ თიკანთა მათთა — ნუკრსა.“

ს.-ს. ორბელიანი.

მეცხოველეობის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა თხის მოშენება. თხა გავრცელებული იყო განსაკუთრებით ღარიბ მოსახლეობაში; აქ იგი ხშირად ძროხის მაგიერობას ეწეოდა; „თხა ღარიბის ძროხაა“ — ლაპარაკობს ერთი ანდაზა. თხის მოშენებას მისდევდნენ ქალაქთა გარეუბნებსა და საგარაკო სოფლებშიც, სადაც თხის რძე ვაჭრობის საგანს წარმოადგენდა.

ამიერკავკასიაში თხის ჯიშების გაუმჯობესების საკითხს ყურადღება მიაქციეს 1840-იანი წლებიდან. ადმინისტრაციამ გამოიწერა რამდენიმე ანგორული მწარმოებელი და გაურია ისინი ადგილობრივი თხის ჯოგში. 1850 წელს თბილისში გამართულ სოფლის მეურნეობის გამოფენაზე უკვე წარმოდგენილი იყო ნიმუში ანგორული თხის მატყლისა.

1851 წელს სოფლის მეურნეობის კავკასიურმა საზოგადოებამ ირანიდან შემოიყვანა 111 თხა. ეს იყო ცნობილი ნაზმატყლიანი „მურგუზ“-ის ანუ „მურაშ“-ის ჯიშის თხები;

ისინი დაურიგეს ქუთაისის გუბერნიის მემამულეებს: წერეთელს, ერისთავს, დადიანს, გურიელს და სხვ. ბარონ ბ უ ზ ე ნ ი 1852 წელს აღნიშნავდა, რომ სამეგრელოში ზოგიერთ მემამულეს ცდის სახით ხელი მიუყვია ანგორული ჯიშის თხის მოშენებისათვისო;[1] — უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ლაპარაკია არა ანგორულ, არამედ მურგუზის ანუ მურაშის ჯიშის თხებზე, რაც კსმს-მ ქუთაისის გუბერნიის მემამულეთა თხოვნით გამოიწერა ქურთისტანიდან (ირანიდან)[2].

1859 წ. ცნობით ანგორული თხები, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც მოიპოვებოდა ამიერკავკასიაში ზოგიერთი მემამულის მეურნეობაში. ანგორის თხების „მთელი ჯოგი" ჰყოლია, მაგალითად, გიორგი ერისთავს, მაგრამ საერთოდ ანგორული თხის რაოდენობა აქ მაინც მცირე ყოფილა[3].

1869 წ. მეჯოგეობის გამოფენაზე, რაც თბილისში გაიმართა, წარმოდგენილი იყო ანგორის თხის ორი ექსპონატი: ერთი სოფ. ტირძნისიდან (გორის მაზრ.) და ერთი თემირხანშურიდან[4]. ამავე გამოფენაზე მურგუზის ჯიშის თხა წარმოდგენილი იყო სოფ. გელიდან (ერევნ. მაზრ.).

ანგორის ჯიშის თხა, ჩანს, მაინც მალე გადაშენებულა; 1889 წელს იგი აქ კვლავ იშვიათია. ერევნის გუბერნიაში მხოლოდ სოფ. დელიჯანში ყოლია მისი რამდენიმე თავი ერთ მეურნეს[5]. 1897 წელს ანგორის ჯიშის რამდენიმე თხა ჰყოლია ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ს თავის მეურნეობაში[6].

1909 წელსაც მთელს ამიერკავკასიაში სულ რამოდენიმე ათეული ანგორული ჯიშის თხა ითვლებოდა, — კერძოდ თბილისის, ქუთაისისა და ერევნის გუბერნიებში[7].

---

[1] Б у з е н, „Об ангорской породе коз, разводимой в Мингрелии" (газ. „Кавказ", 1852 г., № 33).

[2] П. Г у г у ш в и л и, „Сельское хозяйство...", I, 177.

[3] ЗКОСХ, 1859 г., № 6, стр. 221—222; Н. З е й д л и н, „Об ангорских козах" (1863, стр. 20—41).

[4] „Каталог выставки скотоводства в Тифлисе", 1869 г., стр. 1, 16.

[5] КСХ, 1894 г., № 44. стр. 751.

[6] КСХ, 1894 г., стр. 751; № 44, стр. 712—714.

[7] А. К а л а н т а р, „О разведении ангорских коз в Закавказье" (КХ, 1909 г., № 10—11)

ასე რომ ამიერკავკასიაში აღებული პერიოდის სულ ბოლომდე გაბატონებული მდგომარეობა შეინარჩუნა ადგილობრივი ჯიშის როგორც ცხვარმა ისე თხამაც. ცხადია, ადგილობრივი ჯიშები დროთა მსვლელობაში ნელნელა, მაგრამ მაინც უმჯობესდებოდნენ; თუმცა უნდა ვიფიქროთ, რომ აქ გატარებული სოფლისმეურნეობრივი პოლიტიკის მეოხებით და საერთოდ მეცხოველეობის დაქვეითების პერიოდებშიც პირუტყვის ადგილობრივ ჯიშთა დეგრადაციაც შესამჩნევ ხასიათს ატარებდა.

სამწუხაროდ, როგორც ბევრ სხვა რამ ადგილობრივს, აგრეთვე კერძოდ თხასაც ყურადღებას, მისი გაუმჯობესების მიზნით, არავინ არ აქცევდა და გატაცებული იყვნენ მხოლოდ უცხოურ ცნობილ ჯიშთა გადმონერგვის ცდებით. ამავე დროს ადგილობრივი ქართული ჯიშის პირუტყვი. სახელდობრ მეგრული თხა განირჩეოდა პროდუქტიულობით და თვით მოვლა-პატრონობის მხრივ შედარებით სიადვილითაც. მაგრამ საკითხის ამ მიმართულებით შესწავლისათვის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არავინ ზრუნავდა[8].

როგორც აღვნიშნეთ, ღარიბ მოსახლეობაში თხა ძროხის როლს ასრულებდა. ასე იყო, მაგალითად, ერევნის გუბერნიაში, „რადგან იგი თავისი მოთხოვნილებითა და ამტანობით, როგორც ს. ზ ე ლ ი ნ ს კ ი აღნიშნავდა, არ საჭიროებს ისეთს მოვლას, როგორიც აუცილებელია ძროხისა და ცხვრისათვის“[9]. ანალოგიური იყო მდგომარეობა ელისავეტპოლის (განჯის) გუბერნიაშიაც[10].

ქუთაისის გუბერნიაში თხის მოშენებას იწვევდა მცირე მიწიანობაც. აკად. ნ. მ ა რ რ ი, 1905 წ. გურიის შესახებ წერ-

---

[8] ნ. გ ო ც ი რ ი ძ ე, „მასალები ქართული თხის წარმოშობის შესახებ“ (მეგრული თხის წარმოშობის საკითხისათვის). იხ. საქ. სსრ სახ. ზოოტექნიკურ-საველერინარო ინსტიტუტის შრომათა კრებული, 1941 წ., II, 117 — 133.

[9] КСХ, 1894 г., стр. 750—751.

[10] Н. С е г а л ь, „Сборник сведении...“, 219.

და. რომ აქ „სოფლად თითქმის აღარ არის მსხვილფეხა შინაური პირუტყვი — გურულებს მისი რჩენა არ შეუძლიათ. საბალახო ადგილებიც არ არის. პირუტყვს ხის ფოთლებით ასაზრდოებენ, მაგრამ ეს ფოთლებიც საკმარისად აღარა აქვთ". ამის გამო „სულაც არ ინახავენ ძროხებს. ვისაც სჭირია რძე თხებს ინახავს. უფრო ადვილად შესანახია"[11].

1906 წელს შედგენილს სოხუმის ოკრუგის აღწერაში ნ. ფ ო ნ-დ ე რ ვ ი ზ ი აღნიშნავს, რომ „ადგილობრივი მოსახლეობა უფრო ეწევა თხის მოშენებას. თხები აბხაზებს მნიშვნელოვანი რაოდენობით ჰყავთ. იშვიათი არაა კომლი, რომელსაც იგი 300-მდე ჰყავდეს". აქ თხა რამდენადმე ავსებდა უცხვარობასა და მსხვილი რქოსანის, კერძოდ ძროხის ნაკლებობას[12].

თხის ჯოგები, კომლზე 50 — 100 თავამდე, ჰყავდათ სამურზაყანოშიაც. თხას აქ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა განსაკუთრებით იალაღებში, სადაც 1890-იან წლებში... „ცხვარს არა წველავენ, რადგან ჯერ ერთი, ბინები არა აქვთ და არც ცხვრები ნებდებიან საწველად. თხა არის მთაზე მწყემსის მარჩენალი, უიმისოდ ერთ დღესაც ვერ გასძლებენ. ამიტომ თხას მწყემსები მთის ბალ-მარანს ეძახიან"[13].

---

[11] აკად. ნ. მ ა რ რ ი, „გურიის მოძრაობის შესახებ" (გაზ. „ივერია", 1905 წ., № 134, გვ. 3).

[12] Н. Фон-Дервиз, „Сухумский округ", 1906., Тифлис, стр. 40—41.

[13] თ. ს ა ხ ო ჯ ი ა, „მოგზაურობანი", გვ. 285.

VII

ᲔᲔᲚᲬᲠᲔᲝᲑᲐ

ᲦᲝᲠᲡᲐ ᲛᲐᲛᲐᲚᲡᲐ ᲔᲬᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲨᲕᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲐᲚᲡᲐ—ᲥᲣᲑᲘ; ᲨᲕᲘᲚᲗᲐ ᲛᲐᲗᲗᲐ—ᲗᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲝᲠᲒᲘ; ᲦᲘᲜᲡ ᲒᲝᲠᲔᲡ—ᲑᲣᲠᲕᲐᲙᲘ; ᲒᲐᲛᲝᲕᲣᲔᲠᲐᲡᲐ—ᲢᲐᲮᲘ ᲓᲐ ᲙᲔᲠᲐᲢᲘ; ᲡᲐᲡᲔᲥᲐᲓᲘ ᲬᲧᲚᲔᲣᲚᲡᲐ—ᲥᲝᲡᲛᲔᲜᲘ".

Ს.-Ს. ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲐᲛᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲔᲔᲚᲝᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲣᲛᲚᲘᲓᲐ ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲐᲜᲣᲠᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲐ[1]. ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ᲔᲗᲜᲝᲒᲠᲐᲤᲛᲐ Ა. ᲰᲐᲥᲡᲗᲰᲐᲣᲖᲔᲜᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲐᲛᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ 1843 Წ. ᲘᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲐ, ᲨᲔᲐᲛᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ „ᲡᲝᲛᲮᲔᲑᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲪᲮᲕᲐᲠᲡ ᲪᲝᲢᲐᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲕᲡᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲔᲬᲔᲕᲘᲐᲜ ᲦᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲨᲔᲜᲔᲑᲐᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲡ ᲛᲐᲗ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲘᲠᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲜᲐᲨᲘ"[2].

ᲔᲢᲧᲝᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲠᲝ ᲓᲐᲡᲭᲘᲠᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐᲡ Ი. ᲨᲝᲰᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲘᲡᲐ. ᲠᲝᲛ ᲘᲠᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲛᲮᲔᲑᲘ ᲡᲣᲚ ᲛᲐᲚᲔ ᲑᲚᲝᲛᲐᲓ ᲛᲝᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲦᲝᲠᲔᲑᲡᲐᲝ. Ი. ᲨᲝᲰᲔᲜᲘ 1830-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲬᲔᲠᲓᲐ, ᲠᲝᲛ „ᲡᲝᲛᲮᲔᲑᲘ ᲬᲚᲘᲗᲘ-ᲬᲚᲝᲑᲘᲗ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲔᲬᲔᲕᲘᲐᲜ ᲦᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲨᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲕᲘᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲔᲡ ᲡᲐᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲐᲜᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲡᲝᲓᲔᲜ ᲡᲐᲖᲘᲖᲦᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲣᲐ ᲐᲥ ᲛᲠᲐᲕᲚᲐᲓ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲝ"[3].

---

1 TCCMX, 66—67.

2 A. Haxthausen, „Transkaukasia", I, 151.

3 П. Шопен, „Историч. памятник состоянію Армянской области...". 784.

ღორის რაოდენობა ამიერ-

ადმინისტრაციულ ერთეულთა დასახელება	1865 წ.	1884 წ.	1891 წ.	1899 წ.	1903 წ.
1. ბაქოს გუბერნია	12.607	—	11.405	3.998	2.818
2. განჯის „	—		35.325	35.387	9.953
3. ერევნის „	1.663	3.192	601	1.447	1.763
4. თბილისის „	208.530	—	77.719	47.489	81.798
5. ზაქათალის ოკრ.			—	—	—
6. ქუთაისის გუბერ.	99.957	—	218.210	219.050	196.725
7. ბათუმის ოლქი	შედის ქუთაისის გუბერნიაში				502
8. სოხუმის ოკრუგი					21.942
სულ	323.057	—	343.260	307 371	315 501

ცხადია, მით უფრო იშვიათი იქნებოდა ღორი აზერბაიჯანში. აქ თვით 1880-იან წლებშიაც-კი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რუს და გერმანელ კოლონისტთა სოფლებს, სადაც ფართოდ იყო გავრცელებული მეღორეობა, სხვაგან შინაური ღორი, როგორც იტყვიან „წამლადაც ძნელი საშოვნელი“ რამ იყო.

1880-იან წლებში ჩატარებულ დაკვირვებათა მიხედვით ბაქოს, ჯევათის, შემახიას, არეშის, ნუხის, ჯებრაილის, შარურ-დარალაგიოზის, ნახჭევანისა და თვით ერევნის მაზრაშიაც-კი „სახელმწიფო გლეხებს სავსებით არ ჰყავდათ ღორი“ [4], დანარჩენ მაზრებში, მხოლოდ თითო-ოროლა სოფელი ერია, სადაც ეწეოდნენ ღორის მოშენებას — უპირატესად სომხურ მოსახლეთა შორის; მაგალითად, ეჭმიაძინის მთელ მაზრაში მხოლოდ 5 სოფელში ჰყავდათ ღორი[5]: ახალბაიაზეთის მაზრაში — მხოლოდ 3 სოფელში [6] და ა. შ.

საერთოდ ამიერკავკასიაში, გუბერნიების მიხედვით, 1865 — 1912 წწ. მეღორეობის გავრცელების დინამიკას წარმოგვიდგენს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.

---

[4] СМЭБГКЗК, V, I, 258.
[5] МИЭБГКЗК, III, I, 328.
[6] იქვე, IV, I, 343.

კავკასიაში 1865 — 1912 წწ.

1907 წ.	1908 წ.	1910 წ.	1911 წ.	1912 წ.	1912 წ.% 1903 წელთან შედარებ თ
2.078	3 877	6.033	10.938	12.826	555,1
25.427	31.364	41.317	32.227	34.674	366,8
2.518	1.446	2.528	4.266	2 528	143,4
87.544	87.544	67.422	66.412	75.895	92,8
39	—	—	—	—	—
117.763	142.867	179.056	141.484	158.652	80,6
290	312	507	715	635	126,5
11.208	12.119	16.320	34.357	27 601	123,1
246.867	279.529	313.183	290.399	312.211	99,0

ცხრილი გვიჩვენებს, რომ აღმ. ამიერკავკასიაში მეღორეობა ყველაზე უფრო კიდევ ელისავეტპოლის (განჯის) გუბერნიაში იყო გავრცელებული. აქ მეღორეობას ხელს უწყობდა ბუნებრივი პირობები — წიფლნარი, მუხნარი, წაბლნარი ტყეები და სხვ. ელისავეტპოლის გუბერნიაში 1890 — 1900-იან წლებში შინაური ღორის რაოდენობა 35 — 40 ათასს აღემატებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ელისავეტპოლის გუბერნიაში ბლომად იყო გავრცელებული გარეული ღორიც.

1897 წ. კსმს კორესპონდენტის მიერ შეგროვილი ცნობებით კაზახის მაზრის სოფლები, რომლებიც მდებარეობენ დელიჯნის, შამშადილოს და აქსტაფის ტყეების არეალში, სარგებლობენ ღორის გაშენებისათვის ხელსაყრელი პირობებით, სახელდობრ ამ ტყეებში შერეული წიფლისა და მუხის დიდი მასივებით და ჰყავთ მთელი ჯოგები უბრალო ტყის ღორებისა, „რომელთაგან ხელსაყრელ წლებში მნიშვნელოვან შემოსავალს ღებულობენ“. აქ, ჩვეულებრივ, ჰყიდდნენ 2 — 3 წლიან ღორებს. შემსყიდველები მოდიოდნენ ქ. თბილისიდან, ხოლო თუ თბილისელი შემსყიდველები მოსვლას შეაგვიანებდნენ, მაშინ „თვით ადგილობრივი მეწარმენი“ მიერეკებოდნენ ღორების ჯოგებს თბილისში. ელისავეტპოლის გუბერნიის დასახელებულ მაზრებში მეღორეობა გარკვეულ შემოსავალს იძლეოდა ჯაგრის რეალიზაციის სახითაც[7].

[7] КСХ, 1897 г., № 200, стр. 707—708.

აღმ. ამიერკავკასიაში ელისავეტპოლის გუბერნიის შემდეგ, მეღორეობის მხრივ, მიდიოდა ბაქოს გუბერნია, სადაც ღორის რაოდენობამ 1912 წ. 13 ათასამდე ძლივს მიაღწია, და სულ ბოლოს ერევნის გუბერნია, სადაც ამავე დროისათვის მხოლოდ 2.528 ღორი იყო აღრიცხული.

ღორის მოშენებას შედარებით ფართე მასშტაბით ეწეოდნენ საქართველოში, განსაკუთრებით — კი დას. საქართველოში[8].

ჟ. შ ა რ დ ე ნ ი, რომელმაც აქ იმოგზაურა მე-17 საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, აღნიშნავს, რომ საქართველოში, მას აქ მხედველობაში უნდა ჰქონდეს უფრო დას. საქართველო, „უბრალო ხალხი იკვებება უპირატესად ღორის ხორცით. აქ ღორი სავსეა ყოველ სოფელში. და მართლაც, მათ არაფერი აქვთ უკეთესი ვინემ ღორის ხორცი. აბორიგენები ამბობენ, რომ ღორის ხორცი მათ არასოდეს არ სწყენთ, რამდენიც არ სჭამონ. მე ვფიქრობ, რომ ეს მართალია, რამდენადაც სადილად მე ყოველთვის მიმასპინძლდებოდნენ ღორის ხორცით და არ ყოფილა შემთხვევა რომ მას ჩემთვის ეწყინოსო“[9]. კერძოდ სამეგრელოს აღწერაში ჟ. შარდენი, რომელსაც მრავალი ქვეყანა მოევლო, აცხადებს, რომ აქ ფრიად მრავალი ჰყავთ ღორი და „ისინი მეტისმეტად კარგები არიან, ასე რომ უკეთესები არსად ქვეყანაში არ მოიპოვებაო“[10].

პანკისის ხეობის აღწერისას ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი საგანგებოდ აღნიშნავს ღორების სიმრავლეს. აქ, ქიზიყის მიმართულებით შიგნითა კახეთის აღწერისას, იგი აცხადებს: რომ „არს ადგილი ესე ტყიანი, მცირედ ველიანი. გარნა ტყე უმეტეს ხილიანი, პირუტყვნი, — ცხოვარი მცირედ, — სხუანი მრავლად, არამედ ღორი უმრავლეს, რამეთუ ერთ გლეხს ჰყავს ს. (— 200) უ (400), ჩ (1000) და ც (2000)“[11]. ვახუშტი აგ-

---

[8] Р. Эристов, „Очерк Имеретии...“, 1876, стр. 37.
[9] Ж. Шарден, l. c., 181.
[10] იქვე, 26.
[11] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 102.

რეთვე მიუთითებს სამეგრელოში მეღორეობის ფართოდ გავრცელებულობის ფაქტს [12].

1804 წელს შედგენილს სამეგრელოს ოფიციალურ მიმოხილვაში ლიტვინოვი აღნიშნავდა, რომ აქ ბლომად ჰყავთ თხისა და ღორის ჯოგები, რომლებიც განსაკუთრებული მოვლის გარეშეც კარგად მრავლდებიანო[13].

მართალია, მე-19 ს. თბილისის გუბერნიაში თითქმის ყველგან მისდევდნენ მეტნაკლები ზომით ღორის მოშენებას, მაგრამ ქუთაისის გუბერნიასთან შედარებით აქ იგი მაინც ნაკლებად იყო გამრავლებული.

1880-იან წლებში, მაგალითად, სიღნაღის მაზრაში, გარდა მუსლიმანური სოფლებისა, ყველგან მისდევდნენ ღორის მოშენებას, მაგრამ მცირე იყო მეურნეთა რაოდენობა, რომელთაც ჰყავდათ ღორები. კერძოდ სახელმწიფო გლეხთა შორის კომლთა რიცხვი, რომელთაც სავსებით არ ჰყავდათ ღორი შეადგენდა საერთო ჯამის თითქმის 90%-ს[14]. თიანეთის მაზრაშიაც არ იყო ფართოდ გავრცელებული ღორის მოშენება [15].

თელავის მაზრის სახელმწიფო გლეხებს 1880-იანი წლების შუაში ჰყავდათ სულ 18.737 ღორი, რაც ერთ კომლზე 2,6-ს უდრიდა. აქ ღორი ჰყავდა სულ 796 მეკომურს, ანუ კომლთა საერთო რაოდენობის 11,4 პროცენტს.

საინტერესოა, თუ როგორ იყო დანაწილებული მათ შორის ღორი:

10-ზე ნაკლები, სულ	1.803	თავი	ჰყავდა	458	კომლს	ანუ	5,2%
10—24-მდე .	3.170	„	„	177	„	„	2,5 „
25—49 „	6.754	„	„	179	„	„	2,6 „
50—99 „	4.745	„	„	67	„	„	0,9 „
100-ზე მეტი	2.265	„	„	15	„	„	0,2 „
ს უ ლ	18.737	თავი	ჰყავდა	გლეხთა	796	კომლს	ანუ

სახელმწიფო გლეხების კომლთა საერთო რაოდენობის 11%-ს.

[12] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, გვ. 170.
[13] АСКАК, II, № 803, стр. 408.
[14] МИЭБГКЗК, IV, II, 298.
[15] იქვე, V, 1, 467.

თუ მივიღებთ, რომ 10-ზე მეტი ღორის პატრონი კომლი, როგორც წესი, ეწეოდა ღორის მოშენებას გაყიდვის მიზნითაც, გამოდის, რომ მეღორეობის მ-მდევარ ოჯახთა უდიდესი ნაწილისათვის ღორის მოშენება ფულადი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. მაგრამ, როგორც მონაცემები გვიჩვენებენ, თელავის მაზრაში სახელმწიფო გლეხთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც 50-ზე და 100-ზე მეტი თავისაგან შემდგარი ღორის თაბუნებიც ჰყავდათ თვითეულს[16].

უდავოა, რომ ამ ოჯახებისათვის მეღორეობა უკვე სავაჭრო მეცხოველეობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა, და, თუმცა სათანადო დაწვრილებითი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ის მაინც ვიცით, რომ ასი და მეტი ღორის პატრონი მეურნეობა ამ დარგში ეწეოდა დაქირავებული შრომის — მოჯამაგირე-მეღორის — სისტემატურ ექსპლოატაციას. ასეთი მოსაზრება მით უფრო სარწმუნოა, რომ როგორც წესი, ღორის დიდი ზომით მოვლა-პატრონობა შეეძლო მხოლოდ ისეთ ოჯახს, რომელსაც, შესაბამისად. დიდი სახნავ-სათესი ფართობი და საბალახო გააჩნდა და რომელიც საერთოდ შეძლებულ, ძლიერ მეურნეობას წარმოადგენდა[17].

1890 — 1900-იან წლებში ამიერკავკასიაში აღრიცხული ღორის საერთო რაოდენობის (250 — 340 ათასი) თითქმის 65% მოდის მხოლოდ დას. საქართველოზე, სადაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეღორეობა უფრო იყო გავრცელებული.

დას. საქართველოში მეღორეობის ოდითგანვე გავრცელებულობამ და ამისთვის ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა ბიძგი მისცა ადგილობრივ ბურჟუაზიულ მეწარმეებს, რათა ხელი მ-ეყოთ სავაჭრო მეღორეობისათვის და ამავე მიზნით გადაედგათ ნაბიჯები აქ უკეთესი ჯიშის ღორების მოშენების მ-მართულებითაც.

კერძოდ იმერეთში ცნობილმა მემამულემ ანანოვმა იმთა-

---

[16] МИЭБГКЗК, VI, 119.

[17] იხ. Р. Эрпстов, „Содержателям свиних табунов" (Отчет КОСХ, 1879 г., I, 33—38).

ვითვე, ე. ი. 1860-იან წლებიდანვე მიექცია ყურადღება აქ მეღორეობისათვის არსებულ ხელსაყრელ პირობებს. ი. ხ ა ტ ი ს ო ვ ი, რომელმაც 1863 წელს აღწერა ს. ვარციხეში (ქ. ქუთაისის მახლობლად) ანანოვის მამული, აღნიშნავს, რომ „ღორის მოშენებისათვის აქ მრავალი შესაძლებლობაა, კერძოდ მუხის ტყეების სიუხვის მეოხებით ღორს შეუძლია მთელი ზამთრის მანძილზე იკვებებოდეს რკოთი“[18].

ანანოვმა აქ უკეთესი ჯიშის ღორის მოშენების მიზნით გამოიწერა ინგლისური (ლაისტერის) ჯიშის ღორები, რომელთა აკლიმატიზაცია ადვილად ჩატარდა და ადგილობრივ ჯიშებთან შეჯვარებამაც კარგი შედეგი გამოიღო.

აღსანიშნავია, რომ მეღორეობა აღმ. საქართველოში, მიუხედავად მისი აქ გავრცელების სიმცირისა, თითქოს უფრო მეტად ატარებდა სავაჭრო ხასიათს, ვინემ დას. საქართველოში. ქუთაისის გუბერნიაში ღორს უფრო მეტი ზომით საკუთარი სასურსათო მოთხოვნილების მიზნით ამრავლებდნენ. აქ ღორი, რამდენადმე ცვლიდა ცხვარს, რაც აღმ. საქართველოში და საერთოდ აღმ. ამიერკავკასიაში ბევრად უფრო დიდი რაოდენობით ჰყავდათ, ვინემ დას. საქართველოში.

1880-იან წლებში ამიერკავკასიის მეცხოველეობის ნიჭიერი დამკვირვებელი ი. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი აღნიშნავდა, რომ „საძოვრების ნაკლებობა და საერთოდ მცირემიწიანობა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ საშუალებას უსპობს მნიშვნელოვანი რაოდენობით იყოლიონ სხვა სახის პირუტყვი, მაშინ, როდესაც ტყეებისა და სიმინდის სიუხვე ხელს უწყობენ ღორის დიდი რაოდენობით მოშენებას. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მიზეზით აიხსნება ქუთაისის გუბერნიაში მეღორეობის დიდი განვითარება და მოსახლეობაში მისი ფართოდ გავრცელება, ვინემ სხვა გუბერნიებში“ ამიერკავკასიისა[19]. დას. საქარ-

---

[18] ЗКОСХ, 1863, № 2; П. Г у г у ш в и л и, „Сельское хозяйство...“, I, 483; Л а в р е т ь е в, l. c., 102.

[19] СМЭБГКЗК, V, I, 257.

თველოში მეღორეობა საკმაოდ იყო გავრცელებული მთიან რაიონებშიც კი, მაგალითად, ზემოსვანეთში[20].

საერთოდ ამიერკავკასიაში ღორი თითქმის მთელი წლის მანძილზე მინდორში იყო გაშვებული. მსხვილ მემამულეს და სოფელს ხშირად ჰყავდა სპეციალური მწყემსი ღორებისათვის — მეღორე. საყანე მიწებზედაც მოსავლის აღების შემდეგ ღორებს მიუშვებდნენ ხოლმე და აქ ღორი „უდანაკარგოდ იღებდა უხვ მოსავალს". ღორებს საერთოდ საბალახოდ უშვებდნენ არა მხოლოდ ტყეებში, არამედ ნასვენ და ყამირ მიწებზე, ზოგიერთ რაიონში ღორების ბიერ ბიწ-ს გადაჩიჩქნას საზნავ-სათესი ნიადაგისათვის სასარგებლოდ სთვლიდნენ. ღორების საწყესად ტყეს სოფელი და ხანაც ცალკე მეურნეობა იჯარით იღებდა. საიჯარო ქირას, თუ ტყე სახელმწიფო იყო ფულით იხდიდნენ, ხოლო კერძო ტყისათვის ხშირი იყო ნატურის (ღორის) სახით გადახდაც. ღორს სიმინდით თუ ქერით მხოლოდ დაკვლის წინ უწყებდნენ კვებას და ისიც არა ყოველთვის[21].

დას. საქართველოშიც (ქუთაისის გუბერნია, სოხუმის ოკრუგი და ბათუმის ოლქი), ცხადია, ღორის, ასე თუ ისე, დიდი ზომით მოშენებას სოფლის მოსახლეობის შეძლებული ფენა ეწეოდა. მოსახლეობის ამ ფენისათვის, ე. ი. მემამულური და კულაკური მეურნეობებისათვის მეღორეობა, განსაკუთრებით 1880-იანი წლებიდან, რკინიგზების გაყვანისა და საქალაქო ცხოვრების განვითარების შემდეგ, კომერციული თაოსნობის მნიშვნელოვანი სფერო იყო[22].

პირველი მსოფლიო ომის წინაწლებში დას. საქართველოში მეღორეობის მდგომარეობის შესახებ ე. ტ ურ კ ი ნ ი წერდა, რომ „ქუთაისის გუბერნიასა და სოხუმის ოკრუგში მეღორეობას მისდევს თითქმის მთელი მოსახლეობაო"[23]. აქ, ამ

---

20 Э. Кальнейт, l. c., 38.
21 СМЭБГКЗК, V. I, 259—260.
22 КХ, 1911 г, № 19, стр. 12.
23 Е. Туркин, „Скотоводство в западном Закавказье", ТССМХ, 98—99.

დროს, ცალკე გლეხურ მეურნეობებში ჩვეულებრივ ყოველთ 2-დან 10-მდე ღორი, ხოლო შეძლებულ, ე. ი. კულაკურ გლეხებსა და მემამულეებს — 100-მდე და ზოგიერთებს კიდევ — 300-მდე და 400-მდე თავი ღორი.

პირველ მსოფლიო ომის წინა წელს შედგენილს სოხუმის ოკრუგის ოფიციალურ მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ „მეღორეობა ფულადი შემოსავლის მეორე წყაროა კოდორისა და სამურზაყანოს რაიონისათვის და სავსებით ჩამოყალიბებულ ვაჭრულ ხასიათს ატარებს. ძალიან ხშირად თითქმის მთელი კოდორის საბოქაულოში, სადაც აფხაზთა შორის მაჰმადიანები სჭარბობენ, ღორების მოშენებას ეწევიან არა საკუთარი მოთხოვნილებისათვის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ გასაყიდად“.

მართლაც, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ამ რაიონის ეკონომიკურ ცხოვრებაში მეღორეობა ჩანს იმ მონაცემებიდან, რაც „ნაოსნობისა და ვაჭრობის რუსული საზოგადოების“ ანგარიშგებებშია შემონახული. ამ ცნობათა მიხედვით 1910 წელს ხსენებული „საზოგადოების“ კანტორების მეშვეობით მხოლოდ ოჩამჩირის ნავსადგურიდან აქედან გაუზიდავთ 44.000 ფუთი დაკლული და 6000 ფუთი ცოცხალი ღორი. ღორებს აქ ძენდნენ ოჩამჩირელი შემსყიდველები, რომლებიც ამ საქონელს ზღვით აგზავნიდნენ დონის როსტოვს, ქერჩს, ოდესას, სევასტოპოლსა და სხვ. ქალაქებში. მაგრამ ამას გარდა ამავე რაიონიდან ზუგდიდის გზით რკინიგზის უახლოეს სადგურებამდე ყოველწლიურად „მნიშვნელოვანი რაოდენობით მიერეკებოდნენ ცოცხალ ღორებს თბილისის ბაზრისათვის“ [24].

დას. საქართველოში ღორის მრავლად მოშენებისათვის სხვა გარემოებათა გარდა ხელსაყრელი იყო თვით ბუნებრივი პირობებიც. „აქ ღორების ასეთი სიუხვე აიხსნება მათი მოვლა-პატრონობის შედარებითი სიადვილით“[25]. 9 — 10 თვის

[24] МСХФКІККЗС, стр. 205—206.

[25] „Архив вете ринарных наук“, 1911, № 8.

განმავლობაში ღორი, ჩვეულებრივ, საკვების გამონახვის მხრივ, „თავისთავს იყო მინდობილი“, და მხოლოდ ზამთრის 2—3 თვეში აჭმევდნენ .მას საღორეში. საღორე, — ღორის სადგომი,—ცხადია, უფრო შეძლებულ მეურნეობებს ჰქონდათ, ხოლო ღარიბი გლეხობა უიმისოდაც „იოლად გადიოდა“; — განსაკუთრებით სუსხიან დღეებში ზამთრისა ღორი, ისევე როგორც სხვა შინაური პირუტყვი, საცხოვრებელ ბინებში შეყავდათ.

დას. საქართველოში მეღორეობის განვითარების ხელისშემწყობ პირობათა შორის აუცილებლად დასახელებულ უნდა იქნას აქ ადრიდგანვე გავრცელებული სიმინდის მეურნეობ-ს დადებითი გავლენაც. გარდა იმისა რომ თვით ბუნებრივი სახით სიმინდი ღორისათვის მარცვლეულთაგან საუკეთესო საკვებს წარმოადგენს, საერთოდ სიმინდის პროდუქტებს, ნარჩენებს, მოსახლეობა ამ მხრივ კარგად იყენებდა ხოლმე [26].

1900-იან წლებში დას. საქართველოშიაც მოშენებული ღორის უდიდესი უმრავლესობა გასაყიდად იყო დანიშნული. ახლობელ ქალაქებსა და ბაზრებზე ღორებს ცოცხლებს მიერეკებოდნენ, ხოლო შორეულ ქალაქებში (მაგალითად, თბილისში, ბათუმში) დაკლული მიჰქონდათ რკინიგზებით — განსაკუთრებით ზამთრობით[27].

სავაჭრო მეღორეობის წარმოშობას, ცხადია არ შეეძლო არ გამოეწვია მოსახლეობაში მეღორეობისადმი ყურადღების გაძლიერება და სახელდობრ ღორის მოვლა-პატრონობისადმი ინტერესი, რამაც თავის მხრივ გამოიწვია სათანადო ლიტერატურის გაჩენაც[28].

როგორც აღვნიშნეთ, ადგილობრივი, დას. საქართველოს, ჯიშის ღორების გაუმჯობესებისა და აქ უცხოური ჯიშების

---

[26] С. Тимофеев, „Использование кукурузных продуктов свиноводством“ (КСХ, 1902 г., № 24).

[27] КХ, 1911 г., стр. 8—12.

[28] ი. როსტომაშვილი, „ღორის მოვლა და მოშენება“, 1914, თბილისი.

შემოყვანის ცდები ჯერ კიდევ 1860-იანი წლების დამდეგიდანვე დაიწყო[29], მაგრამ ამ მიმართულებით შემდეგშიაც გატარებულ ღონისძიებასაც რამდენადმე შესამჩნევი ეფექტი არ მოუცია, რა თქმა უნდა, უპირატესად იმის მეოხებით, რომ ეს ღონისძიებანი მოწყვეტილი იყო უშუალო მწარმოებელთა ძირითადი მასებისაგან და უპირატესად პოლიციურ ხასიათს ატარებდნენ.

1900-იან წლებშიაც „ევროპული ჯიშის" ღორები ამიერკავკასიაში მცირე რაოდენობით იყო. აღსანიშნავია, რომ მე-19 ს. მიწურულს ინგლისური ჯიშის ღორები გაჩინეს ბორჯომში, დიდი მთავრის რომანოვის მამულში; თავადმა შერვაშიძემ (სოხუმის ოკრუგი) ამავე ხანებში გამოიწერა მთელი ჯოგი იორკშირის ღორებისა; ბორჩალოში, ყარაყალის საუფლისწულო მამულში გაჩნდნენ ბერკშირის ღორები, რომლებიც, შემდეგ შადინოვის ხელში გადავიდა; 1895 წელს აბაზაძემ სურაბში ჩამოიყვანა იორკშირის ღორები—ადგილობრივ ჯიშებთან შეჯვარების მიზნით; თავ. მუხრან-ბატონის მამულში (ს. მუხრანში) ბერკშირის 200-მდე ღორი ჰყავდათ 1902 წ.; — მუხრანის მამულიდან ყოველწლიურად 40—50 თავი ასეთი ღორი იყიდებოდა ადგილობრივ მცხოვრებლებზე. ამავე ხანებში ს. ჭოლევში (ქუთ. გუბ.) მემამულე ჭიჭინაძეს ჰყავდა ბერკშირის ღორები[30].

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ წვეთი იყო ზღვაში. თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ადგილობრივი ჯიშის ღორების გაუმჯობესებისა და საუკეთესო უცხოურთა შემოყვანა-გავრცელების ცდებს არსებითად რეალური შედეგი არ მოყოლია. იქ ძალავინდებურად გაბატონებული იყო ადგილობრივი ჯიშის პირუტყვი.

მაგრამ თუ მე-17 ს. მეგრული ჯიშის ღორი ჟ. შ ა რ დ ე ნ მ ა მსოფლიოში საუკეთესოდ მიიჩნია, მე-19 ს. ბოლოსა და

---

[29] „ამერიკის ღორი" (გაზ. „გუთნის დედა", 1870 წ., № 12. გვ. 140—145).

[30] ТССМХ, стр. 66—67; МСХСФККЗС, стр. 206.

მე-20 ს. პირველ ორ ათეულ წლებში ის ალბათ ყველაზე ჩამორჩენილთა შორის უნდა ვიგულისხმოთ, რადგან სამ საუკუნეში მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების მანძილზე მას არამცთუ არავითარი ხელოვნური გაუმჯობესება არ განუცდია, არამედ გაუუარესდა რა კვებისა და გამრავლების პირობები, ბუნებრივია, ოდითგანვე ჩამოყალიბებული მისი ჯიშობრივი თვისებებიც დაქვეითდა[31].

ქუთაისის გუბერნიაში რეფორმის მერმინდელ პერიოდში, კერძოდ 1880-იანი წლებიდან, განსაკუთრებული სიმწვავით იჩინა თავი მცირემიწიანობამ, რასაც არ შეიძლებოდა თავისი გავლენა არ მოეხდინა, როგორც საერთოდ მეცხოველეობაზე, ისე კერძოდ მეღორეობაზედაც.

ამიერკავკასიაში ღორის რაოდენობის შესახებ ზემომოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, რომ 1903 წელთან შედარებით 1912 წელს, ე. ი. ათი წლის შემდეგ, ღორის სულადობა უდრიდა: ბაქოს გუბერნიაში — 555,1 პროცენტს, განჯის გუბერნიაში — 366,8%-ს, ერევნის გუბერნიაში — 143,4%, ბათუმის ოლქში — 126,5%-ს და სოხუმის ოკრუგში — 123,1%-ს.

მეორეს მხრივ, მეღორეობის გავრცელების ძირითად რაიონებში, სახელდობრ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, იმავე პერიოდში ადგილი ჰქონდა ღორის რაოდენობის მნიშვნელოვან შემცირებას. კერძოდ თბილისის გუბერნიაში 1912 წელს ითვლებოდა 1903 წლის რაოდენობის 92,8 პროცენტი; მაგრამ აღებულ პერიოდში მეღორეობა განსაკუთრებით სწრაფად დაეცა სახელდობრ ქუთაისის გუბერნიაში. აქ 1912 წელს ითვლებოდა 1903 წლის რაოდენობის მხოლოდ 80,6 პროცენტი და ეს მაშინ, როდესაც დას. საქართველოში— იმერეთ-გურია-სამეგრელოში — ღორი, როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი ზომით ცვლიდა ცხვარსაც. მცირემიწიანობა, გლეხობის ძირითადი ფენების მასობრივი გაღატაკება აფერხებდა მეცხოველეობის ამ დარგის განვითარებასაც.

[31] Канцельмахер, „Характеристика Закавказского скотоводства по данным Тифлисской городской скотобойны“ (КСХ, 1902 г., № 425, стр. 189—195).

VIII

მეფრინველეობა

ფრინველი არს ფრთოსანი ცხოველი... ქათამი. მამალ-დედლობა ყოველთა სულიერთა ზედა ითქმის, არამედ ფრინველთათვის უფროსად საკეთარ არს. ხოლო ქათმისა მართველსა ეწოდების წიწილი და მისსა უდიდესსა — ვარია, უკეთუ ვარია საღედლეა, უწოდებენ წრიაპსა და სამამლესა ჩიორასა და დიდსა ჩიორასა—უვინჩილსა. ინდოური ქათამი. ბატი (ღერღეტი). იხვი.

ს.-ს. ორბელიანი.

მეფრინველეობა ამიერკავკასიაში, როგორც ჩანს, ძველი დროიდანვე განვითარებულა. თუ თავს დავანებებთ უფრო ადრინდელ ცნობებს, მაინც უნდა ითქვას, რომ ვახუშტი ბაგრატიონი თავის 1740-იან წლებში დაწერილ ცნობილ თხზულებაში, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, დიდ ყურადღებას აქცევს მეფრინველეობის მდგომარეობას. შინაურ ფრინველთა შორის, რომლებიც საყოველთაოდ იყო ცნობილი, აქ აღნიშნულია: ქათამი, ბატი, იხვი, ინდოური და ტრედი[1]. ამავე ხანებში მექათმეობა იხსენიება, როგორც ცალკე დარგი მეფრინველეობისა[2].

---

[1] ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თბ., 1941, გვ. 30.

[2] თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრ. კრებული, თბ., 1939, გვ. 145.

ამათგან ინდაური („ინდოური ქათამი"), როგორც ჩანს, არ ყოფილა ისე გავრცელებული. თვით ვახუშტისაც, საქართველოს ცალკე რაიონების აღწერის დროს, სადაც ჩამოთვლის სხვა შინაურ ფრინველებს, არსად არა აქვს იგი მოხსენებული. იგი ინდაურს მხოლოდ პირუტყვთა და ფრინველთა საზოგადო მიმოხილვისას ასახელებს[3].

ამგვარად, შინაურ ფრინველთა შორის, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საერთოდ XIX საუკუნიდან ქვეყნის მეფრინველეობითს მეურნეობაში, ინდაური შედარებით ახალი მოვლენა იყო.

პლ. იოსელიანი გადმოგვცემს, რომ 1800 წლის 25 დეკემბერს ქართლ-კახეთის მეფე გიორგის მოახსენეს „ახლად მოყვანილთა ინდოეთისა ქათამთათვის თფილისს, უცხოდ რადმე სანახვისა". ეს ინდაურები, 2 მამალი და 4 დედალი, რუსის ჯარისკაცებს ჩამოუყვანიათ და „აქედამ განითესა საქართველოში ინდოეთისა ქათმის სიმრავლე და ეწოდა მათ დღემდე ინდოურიო" — აცხადებს პლ. იოსელიანი[4]. ი. შოპენი, რომელმაც 1830-იან წლებში აღწერა სომხეთის ოლქი, აღნიშნავს, რომ აქ მხოლოდ ცარიზმის ხელისუფლების დამყარების დროიდან, ე. ი. 1828 წლიდან იწყება ინდაურის გამრავლება: „თავდაპირველად ეს ფრინველი ცნობისმოყვარეობის საგანს წარმოადგენდა მცხოვრებთათვის, რომელთაც არასოდეს არ ენახათ იგი. ასევე იწყებს სომხეთში გამრავლებას შინაური ბატი და ციცარიო" — დასძენს ი. შოპენი[5].

მაგრამ XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში მეფრინველეობას ამიერკავკასიაში მისდევდნენ უმთავრესად საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად: ქათმის, ბატის, იხვის, ინდაურის ხორცი და კვერცხი საკვებად, ხოლო ბუმ-

---

[3] ვახუშტი, დასახ. თხზ. გვ. 34, 54, 108, 146 და სხვ.

[4] პ. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა", თბ., 1936, გვ. 209 — 210.

[5] Н. Шопен, „Исторический памятник состояния Армянской области...", стр. 809.

ბული[6] საოჯახო (ლოგინის) საჭიროებისათვის საყოველთაოდ გავრცელებული მოხმარების საგანი იყო. ამასთანავე მეფრინველეობა, როგორც გლეხური მეურნეობის სხვა სახეებიც, მაგალითად, საქართველოში, დაბეგრილი იყო მებატონეთა სასარგებლოდ. ყმა-გლეხი ბატონს ფრინველის სახით უხდიდა ე. წ. საბაზიეროსა (მიმინოსათვის) და სახაციცოს — საახალწლო და სააღდგომო ძღვენს. მეფრინველეობის პროდუქტებით ვაჭრობას ჯერ კიდევ შემთხვევითი და უმნიშვნელო ხასიათი ჰქონდა. უახლოესი დაბა-ქალაქიდან სოფლისაკენ წამოსულ მოხეტიალე ვაჭარს (შემსყიდველს) დიასახლისი ფრინველს, კვერცხს, ბუმბულს უცვლიდა სამრეწველო საქონელზე, როგორიცაა ნემსი, ყაისნაღი, ბალთა, ქინძისთავი, მაქმანი. ნართი, სხვადასხვაგვარი საღებავი, სავარცხელი და სხვ., ანდა პირდაპირ ფულზე მიჰყიდდა ხოლმე.

როგორც მანამდე ისე 1860-იან წლებშიც მეფრინველეობა მხოლოდ და მხოლოდ ქალთა (დიასახლისთა) საქმიანობის სფეროში შედიოდა.

1884 წ. ს. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი წერდა, რომ თბილისის მაზრაში „მეფრინველეობას სპეციალურად ქალები მისდევენ, ამასთანავე კვერცხისა და ფრინველთა გაყიდვიდან მიღებული მთელი შემოსავალიც მათს განკარგულებაში შედისო“[7].

იმ დროს აქ არ მოიძებნებოდა ათიოდე მეურნეობაც-კი, რომლებიც „დაინტერესებული ყოფილიყვნენ ამ საქმიანობით და ცდილობდნენ შინაურ ფრინველთა ადგილობრივი ჯიშის გაუმჯობესებას“[8]. ერთი სიტყვით, მეფრინველეობაში ჯერ კიდევ არ იყო შეკრული ვაჭრული მიწათმოქმედების დამახასიათებელი თვისება. კიდევ მეტი. ცოტა უფრო ადრე, 1840 — 1850-იან წლებში, იმერეთში მეფრინველეობის პროდუქტები თითქოს იაფი იყო. მაშინ, როგორც რ ა ფ ი ე ლ ე რ ი ს თ ა ვ ი გადმოგვცემს, „იმერლებს სამარცხვინოდ მია-

---

[6] ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, „კალმასობა“, 1936, ტფ., გვ. 218.

[7] МПЭБГКЗК V, I, 254.

[8] ЭКОСХ, 1864 г., № 4, стр. 121.

ჩნდათ შინაური ფრინველის გაყიდვა. ფრინველით,—როგორც სავსებით უმნიშვნელო ღირებულების საგნით, — ვაჭრობა"[9]. ამ დროს ამიერკავკასიაში მისდევდნენ მხოლოდ ადგილობრივი ჯიშის ფრინველთა მოშენებას.

პირველად, როგორც ჩანს, უცხოური ჯიშის ქათმები აქ გაჩნდა 1860-იანი წლების დამდეგიდანვე. 1863 წელს თბილისში გამართულ სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა გამოფენაზე უცხოური ფრინველების[10] ექსპონატებს საზოგადოება, უწინარეს, ცხადია, მოწინავე ინტელიგენცია, აღფრთოვანებული შეხვდა, რამდენადაც ამაში ხედავდნენ ნიშანს იმისას, რომ უკვე „სოფლის მეურნეობის ამ დარგმაც ჩვენში, კავკასიაში, მიიპყრო დიასახლისთა ყურადღება"[11]. ამ გზით მოელოდნენ აქ უკეთესი ჯიშების ფრინველთა გავრცელებას, რამდენადაც ამ დრომდე „თუ ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეებში მართლაც მოიპოვება სიდიდით, სილამაზით, ხორცის გემოიანობით ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ჯიშები, ეს... უნდა მიეწეროს არა ამა თუ იმ დიასახლისის მიერ გაწეულ განსაკუთრებულ მზრუნველობას, არამედ, უწინარეს, მოცემული ადგილის კლიმატურ პირობათა თავისებურებასო" — ფიქრობდა ი. ხ ა ტ ი ს ო ვ ი, რომელიც სწუხდა, რომ ჩვენში კიდევ არ არიან სპეციალისტები — მექათმეები, ე. ი. პულტრომანები, რომლებიც ცდილობდნენ ადგილობრივი ქათმის ჯიშების გაუმჯობესებასო[12].

კავკასიაში ადგილობრივთაგან, სხსენებული ავტორისავე დასკვნით, ამ დროისათვისაც საუკეთესოდ ითვლებოდა ქართული ჯიშის ქათმები.

---

[9] Р. Эристов, „Очерк Имеретии в сельско-хозяйственном отношении", Тифлис, 1877 г.. стр. 38.

[10] ამათ შორის აღსანიშნავია კერძოდ კოხინხინის ანუ შანხაური ჯიშის ქათამი, რომელიც იმ დროს უკვე გაბატონებული იყო თითქმის მთელს ევროპაში.

[11] ЗКОСХ, 1864 г., № 4, стр. 121.

[12] იქვე, გვ. 122.

უცხოური ჯიშის ქათმებს შორის ამიერკავკასიაში პირველად და თანაც შესამჩნევი ზომით გავრცელდა ჩინური, ე. წ. კოხინხინის ჯიშის ფრინველი. ამ ჯიშის ფრინველი აქ პირველად იხსენიება 1863 წელს — თბილისში გამართულ სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა გამოფენაზე. ხოლო უკვე ხუთი წლის შემდეგ, სახელდობრ 1868 წელს, „გუთნის დედა“ წერდა, რომ „ჩვენმა მამულის პატრონებმაც მიაქციეს ყურადღება კოხინხინის ჯიშის ქათმებსო“, და იქვე აღნიშნავდა: „კოხინხინის ჯიშის ქათამი აქ ახლა ბევრმა გაიჩინა და კარგადაც გვარობსო“ [13]. 1890-იანი წლებიდან ეს ჯიში აქედან უკვე გამოდევნა სხვა უკეთესმა ჯიშებმა.

1860-იან წლებში მეფრინველეობის პროდუქტები სისტემატურად მხოლოდ თბილისის ბაზრებზე იყიდებოდა. მაშინ ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში კიდევ მნიშვნელოვანი ზომით მისდევდნენ სოფლის მეურნეობის როგორც სხვა დარგებს ისე მეფრინველეობასაც.

მხოლოდ 1870-იანი წლებიდან, ფოთსა და თბილისს შორის, და განსაკუთრებით 1880-იანი წლებიდან, ბათუმ-სამტრედიასა და თბილის-ბაქოს შორის სარკინიგზო მიმოსვლატვირთზიდვის გახსნის შემდეგ, საბაზრო მოთხოვნილების სისტემატური ზრდის შესაბამისად — სოფლად გლეხის მეურნეობა იწყებს შინაურ ფრინველთა საკუთარ მოთხოვნილებაზე სულ უფრო მეტი ზომით მოშენებას.

ამ დროისათვის (უნდა ვიფიქროთ ბევრად უფრო ადრეც) ამიერკავკასიაში შინაურ ფრინველთა მთავარი მომშენებელი რაიონი იყო ქუთაისის გუბერნია. დასავლეთ საქართველო მეფრინველეობის პროდუქტთა მთავარი მიმწოდებელი იყო უკვე როგორც ქუთაისის, ფოთის, ბათუმის, აგრეთვე თბილისის, განჯის, ბაქოს ბაზრებზე და საერთოდ ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურებზე [14], რომლებიც მეტი თუ ნაკლები ზო-

[13] „გუთნის დედა“, 1868 წ., № 20, გვ. 157.

[14] „Кавказское сельское хозяйство“, 1902 г., № 428—429, стр. 235—236.

მით, ადრე თუ გვიან, იქცეოდნენ ვაჭრობის ადგილობრივ ცენ-ტრებად.

ამავე დროიდან, გასაგებია, შესამჩნევად აიწია ფასები მეფრინველეობის პროდუქტებზე. თუ რკინიგზის გაყვანამდე იმერეთში ქათამი (დედალი) ღირდა 10 — 20 კაპ., ყვერული 15 — 25 კაპ., იხვი — 5 — 10 კაპ., ბატი—25—30 კაპ., ხოლო ინდაური — 40 — 50 კაპ., რკინიგზის გახსნის დროიდან-ვე „ფასები შინაურ ფრინველზე გაორმაგდა“ [15], ამ გარემოებას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ხალხის ზნე-ჩვეულებაზედაც. თუ წინათ იმერლები არ კადრულობდნენ შინაური ფრინველის გაყიდვას, ამიერიდან მას „ხალისით ჰყიდიან. თუმცა მეფრინველეობას, როგორც დამოუკიდებელ საქმიანობას, არავინ განსაკუთრებით არ მისდევსო“ — წერდა 1876 წელს რ. ერისთავი[16]. რ. ერისთავი ამასთანავე აღნიშნავს, რომ „იმერული ყვერული ფრიად გემრიელია და შეიძლებოდა გამხდარიყო დამოუკიდებელი თაოსნობის საგნად, რომ მცხოვრებლები ამ საქმეს სათანადო ყურადღებას მიაქცევდნენო“[17].

ამგვარად, დას. საქართველოში ამ დროს მეფრინველეობა წარმოადგენდა მიწათმოქმედების აუცილებელ დამატებას[18] და იგი მერმეც, მთელი ჩვენ მიერ აღებული პერიოდის განმავლობაშიც, დარჩა ასეთად, რამდენადაც სრულიად დამოუკიდებელი მეურნეობრივი თაოსნობის საქმედ ჩამოყალიბებამდე არც აქ და არც სადმე ამიერკავკასიაში არ მიუღწევია[19].

მიუხედავად ამისა მეფრინველეობა წარმოადგენდა უპირატესად გლეხური მეურნეობის ერთგვარ აუცილებელ ატრიბუტს და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საერთოდ ქვეყნის ეკონომიკაში. იგი როგორც მეაბრეშუმეობა, მერძეობა და

---

[15] Р. Эристов, l. c., 38.
[16] იქვე, 39.
[17] იქვე.
[18] „გუთნის დედა“, 1868 წ., № 20, გვ. 157.
[19] ჟურნ. „მოამბე“, 1904, № 5, განყ. II, გვ. 81.

სხვა, 1870-იანი წლებიდანვე მოყოლებული წარმოადგენდა გლეხის ოჯახისათვის ერთგვარ სახელდახელო შემოსავლის წყაროს. დ. ნ ო ს ო ვ ი ჩ ი ს მოწმობით 1884 წელს სამეგრელოს დაბებში ყოველკვირეულ ბაზრობებზე მახლობელი სოფლებიდან სისტემატურად მოჰქონდათ გასაყიდად ან სხვადასხვა სამრეწველო საქონელზე გადასაცვლელად როგორც ყველი და აბრეშუმი, აგრეთვე მეფრინველეობის პროდუქტები: კვერცხი და სხვ.[20].

სწორედ ამავე ხანებში, სახელდობრ, თბილისის მაზრაში აღნიშნულია ერთგვარი დიფერენციაცია. ალბათ ქალაქის გავლენის მეოხებით, შინაურ ფრინველთა მოშენებაში. ს. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი აღნიშნავს, რომ თბილისის მაზრაში, თუმცა განსაზღვრული ზომით, მეფრინველეობას გლეხები ყველა სოფლებში მისდევენო, და თანვე დასძენს: გლეხები „უპირატესად აშენებენ ქათმებს საოჯახო მოხმარებისათვის და ინდაურებსა და ბატებს — კი თბილისში გასასყიდად“[21].

ჯერჯერობით ჩვენ ხელთ არსებული მასალა არ იძლევა შესაძლებლობას გარკვევით ვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ როგორ წავიდა ამ რაიონში ამ მხრივ საქმე შემდგომ ათეულ წელს, ე. ი. ისევე ამგვარად ამრავლებდნენ თუ არა ქათმებს მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის, ხოლო ინდაურებსა და ბატებს ბაზარზე გასასყიდად. ყოველ შემთხვევაში 1890 — 1900-იან წლებში ქათამს ისევე დიდი გასავალი ჰქონდა ბაზარზე, როგორც ბატსა და ინდაურს. მაგრამ რაოდენობის მხრივ ქათმის მოშენება ბევრად უფრო იყო გავრცელებული, ვინემ სხვა რომელიმე შინაური ფრინველისა.

უკვე 1880—1890-იანი წლებ-დან მეფრინველეობის პროდუქტთა მთავარ მიმწოდებელ პუნქტებად შეიქნენ სენაკი, ზუგდიდი, კულაში, საჯევახო, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ქუთაისი, შორაპანი და განსაკუთრებით სამტრედია[22].

---

[20] МИЭБГКЗК, II, II, 286.

[21] МИЭБГКЗК, V, I, 154.

[22] КСХ, 1902 г., № 420, стр. III.

სწორედ ეს პუნქტები ამარაგებდნენ ამიერკავკასიის მთელ სავაჭრო-სამრეწველო და ადმინისტრაციულ ცენტრებს და კურორტებს ცოცხალი თუ დაკლული ფრინველითა და კვერცხით. ჯერ კიდევ იმავე 1880-იანი წლებიდან აქედან ფოთისა და ბათუმის მეშვეობით, ქათმის კვერცხის გატანას იწყებენ შავი ზღვის რუსეთის (უკრაინისა და ყირიმის) ნავსადგურებშიც. დაახლოებით ამავე დროიდან, ან რამდენადმე ადრეც, ამიერკავკასიის ნავსადგურებში იწყებენ რუსული და უცხოური გემების მომარაგებას მეფრინველეობის პროდუქტებით. მალე ამ გემებმა, რომელთაც წინათ აქედან მიჰქონდათ მარგანეცი, ნავთი, მატყლი, სიმინდი და სხვ., იწყეს გატანა მეფრინველეობის პროდუქტებისა, განსაკუთრებით კი — კვერცხისა. ამგვარად, ეს პროდუქტი ხდება საექსპორტო ოპერაციების საკმაოდ თვალსაჩინო საგნად.

1890-იანი წლებიდან მეფრინველეობის მხრივ აღმოსავლეთ საქართველოში წინაურდებიან გორის, თელავისა და თბილისის მაზრები, ხოლო 1900-იანი წლების დასაწყისიდანვე მეფრინველეობა სწრაფი ტემპით ვითარდება აზერბაიჯანსა და სომხეთში, რომლებიც ამ დროიდან რკინიგზამ ძლიერ დააახლოვა თბილისის ბაზარს.

უკვე 1909 — 1913 წწ. ამიერკავკასიის რკინიგზებით გადატანილი კვერცხიდან (70 ათას ფუთამდე) საქართველოზე მოდის მხოლოდ 48 პროცენტი, ხოლო აზერბაიჯანსა და სომხეთის წილზე კი — 52%. აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან გატანილი კვერცხი, როგორც წესი, არ სცილდებოდა თბილისის სადგურს — ე. ი. ძირითადად თბილისში საღდებოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აზერბაიჯანის აღმოსავლეთის მაზრებს, საიდანაც ეს საქონელი უმთავრესად ბაქოში გაჰქონდათ.

1900-იანი წლებიდან, რამდენადაც თბილისის ბაზარს ბლომად მოაწყდა კვერცხი სომხეთისა, აზერბაიჯანისა და ქართლის რაიონებიდან, დას. საქართველოდან ეს საქონელი თავის საერთო მასასთან შედარებით ახლა სულ უფრო ნაკლები

ზომით მოაქვთ აღმ. ამიერკავკასიის ბაზრებისაკენ; სამაგიეროდ ამიერიდან ქუთაისის გუბერნიიდან კვერცხი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გზას იფართოებს დასავლეთ ევროპის სამრეწველო ცენტრებისაკენ.

რამდენადაც საერთოდ ქვეყნის ეკონომიკაში მეფრინველეობის მნიშვნელობა და როლი თანდათან იზრდებოდა, ცხადია, მით უფრო მეტად იქნებოდა საზოგადოების ყურადღება მიქცეული მოსახლეობის შესაბამის ფენაში შინაურ ფრინველთა მოვლა-მოშენების უკეთესი და გაუმჯობესებული ხერხებისა და მეთოდების დანერგვის საქმისადმი.

უკვე 1860-იანი წლებიდანვე ამიერკავკასიაში ჩნდება მეფრინველეობის შესახებ ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა. მეფრინველეობის შესახებ სხვადასხვაგვარი სასარგებლო ცნობები იბეჭდება როგორც სოფლისმეურნეობრივ პრესაში, აგრეთვე კალენდრებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ პერიოდულ გამოცემებში — გაზეთებსა და ჟურნალებში. იბეჭდება აგრეთვე პოპულარული სახელმძღვანელოებიც.

მეფრინველეობის შესახებ ქართულ ლიტერატურაში გადმოცემულია სხვადასხვაგვარი შინაური ფრინველის მოვლა-მოშენებისათვის რჩევადარიგებანი. მაგალითად, სოფლის მეურნეობის სპეციალურ გაზეთებში იბეჭდება სტატიები, ფელეტონები, ნარკვევები ასეთი დამახასიათებელი სათაურებით: „შეტყობა, თუ რომელი კვერცხიდამ გამოვა მამალი წიწილი და რომელიდამ დედალი“ [23]. „რადგანაც საქართველოში (იგულისხმება ქართლ-კახეთი — პ. გ.) ბევრმა არ იცის ყვერულის გაკეთება. ამისათვის საჭიროდ ეხედავთ ვაცნობოთ მკითხველებს, თუ როგორ აკეთებენ იმერეთში“ [24] (როგორც უკვე სათაურიდანაც ნათლად ჩანს, მეფრინველეობა 1860-იან წლებშიც დასავლეთ საქართველოში უფრო ყოფილა განვითარებული, ვინემ აღმ. საქართველოში);

[23] „გუთნის დედა“, 1864 წ., № 15.
[24] „გუთნის დედა“, 1866 წ., № 16.

აღსანიშნავია კიდევ სტატიები: „ქათმის მოშენება“[25]; — „ქათამი და მისი თვისება“[26]; ფრინველების მომშენებელთათვის დარიგება[27]; სხვადასხვა გვარი ქათმები“[28]; „ინდაურების მოვლა“[29]; „ქათმების მომშენებელთა საყურადღებოდ“[30] და სხვ.

1900-იანი წლებიდან უკვე ჩნდება ცალკე წიგნებად გამოცემული სახელმძღვანელოები, რომელთა შორის აღსანიშნავია, მაგალითად ნ. მ კ უ რ ნ ა ლ ი ს ბროშურა: „მოკლე დარიგება ქათმებთა მოვლა-მოშენებაზედ....“[31], ეს წიგნაკი 1904 წელს გამოქვეყნდა. იგი გამოსცა შინაურ ფრინველთა მომშენებელი რუსეთის საზოგადოების განყოფილებამ. რომელიც 1904 წელს გაიხსნა ამერიკავკასიის მეფრინველეობის ცენტრში, სამტრედიაში. უფრო ადრე, სახელდობრ 1903 წელს, იბეჭდება ივ. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ სხვადასხვა სპეციალისტთა შრომების მიხედვით შედგენილი „გონიერი მოვლა-მოშენება შინაური ფრინველებისა“ — იგი ჯერ გამოქვეყნდა ჟურ. „მოგზაურში“[32], ხოლო შემდეგ ცალკე წიგნადაც.

თავისი წიგნის წინასიტყვაობაში ივ. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი, სხვათა შორის, წერს: „ჩვენ განგებ ასეთი მცირე ფასი (15 კაპ.) დავაწესეთ ამ წიგნს[33], რომ სულ უკანასკნელს ღარიბსაც არ გაუძნელდეს მისი სყიდვა და შინაური ფრინველის მეცნიერულად მოშენების შესწავლა. ჩვენი ქათამი საზოგადოდ პატარაა, სულ ორ-სამ გირვანქას იწონის, ხორცი მაგარი, ხშირად შავი და უგემური აქვს, კვერცხსაც

---

25 „გუთნის დედა, 1870 წ., №№ 5 და 6.

26 „სასოფლო გაზეთი“, 1871 წ., №1.

27 „სასოფლო გაზეთი“, 1870 წ., № 7.

28 „სასოფლო გაზეთი“ 1870 წ., № 25.

29 „გუთნის დედა“, 1874 წ., № 3.

30 „მეურნე“, 1890 წ., № 31—32.

31 ნ. თ. მ კ უ რ ნ ა ლ ი, „მოკლე დარიგება ქათმებთა მოვლა-მოშენებაზედ. ქათმების ავადმყოფობა და მასთან ბრძოლა“, ქუთაისი, 1904

32 „მოგზაური“, 1903 წ., № 1 — 2, გვ. 77 — 124.

33 წიგნი გამოსცა ცნობილმა კაპიტალისტმა სტ. ზ უ ბ ა ლ ა შ ვ ი ლ მ ა.

ცოტას და წვრილებს გვაძლევს, მაშინ როდესაც უცხო ქვეყნელებმა იმ ზომამდის გააუმჯობესეს თავიანთი ქათამი, რომ თვითეული დედალი ექვსიდამ რვა-ცხრა გირვანქამდის იწონის! აი ამ ნაკლის შევსებას უნდა დააწვეს ყოველი ქართველი მეოჯახე, რაიცა ძლიერ ადვილია. თუ იგი ყურადღებით წაიკითხავს ამ წიგნს და ეცდება ყველაფერი აქ ნათქვამი შეძლებისამებრ შეასრულოს“ [34].

ავტორი სახავს და ასაბუთებს ორ გზას „ჩვენებური ქათმის გაუმჯობესებისა“: ესენია: 1. უკეთესი მოვლა, რადგანაც „უკეთესი ჰმევა-მოვლისაგან სრულიად უხეირო ქათამიც სულ მოკლე ხანში ძლიერ უკეთესდება და ამ თავის უკეთესობას შთამომავლობასაც გადასცემს“ და 2. ჩვენი ქათმების უცხოეთის საუკეთესო ჯიშებთან შეჯვარება. ქვემოთ დაწვრილებითაა მოთხრობილი ამ ორივე ღონისძიების პრაქტიკულად გატარების ხერხები და მეთოდები.

მეფრინველეობის საკითხებმა იმდენად გაიტაცა საზოგადოებრივობა, რომ ხშირად იბეჭდება, ასე ვთქვათ, შესამჩნევად პრეტენციოზული სახელწოდების თხზულებებიც, როგორიცაა, მაგალითად. გ. ლ ე ხ უ რ ე ლ ი ს სტატია „ფრინველები და კაცობრიობა“ [35].

გ. ლ ე ხ უ რ ე ლ ს, როგორც ჩანს, დას. ევროპაში სპეციალურად შეუსწავლია მეფრინველეობა. იგი, ამგვარად, პირველი ქართველი მეცნიერი სპეციალისტია მეფრინველეობისა. იგი ცდილობდა საფუძველი ჩაეყარა ჩვენში „წესიერი მეფრინველეობისათვის“ და დიდად სწუხდა, რომ მეფრინველეობას, როგორც რიგი და წესია, მეტადრე ჩვენში, არავინ მისდევს სპეციალურად, როგორც, მაგალითად, მისდევენ ხვნა-თესვას, მეცხვარეობას და სხვა სამეურნეო

---

[34] ივ. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი, „გონიერი მოვლა-მოშენება შინაური ფრინველებისა“, 1903, თბ., გვ. 3.

[35] ეურ. „მოგზაური“, 1904 წ., № 3 — 4, გვ. 219 — 226; ესაა პირველი ნაწილი და, თუ არ ვცდებით, გაგრძელება არ გამოქვეყნებულა.

დარგებსო“ [36]; შემდეგ იქვე დასძენს: „ჩვენს ქვეყანაშიაც მოიპოვება რამდენიმე მოყვარული მეფრინველეობისა, მაგრამ ნამდვილი მეფრინველე ნასწავლი სპეციალისტი, თუ არ ვსცდები, დღემდი ერთიც არ მოგვეპოებაო“.

ცნობილია, რომ ფეოდალური ყოფიერების გადმონაშთებით დამძიმებული სოფელი ადვილად არ ღებულობს და არ ითვისებს მეურნეობის ახალ, გაუმჯობესებულ წესებს და, ცხადია, არც იმ ადამიანებს, რომლებიც ამ სიახლეთა შესახებ ქადაგებენ. მაგრამ არამც თუ სოფლებში, თბილისშიც გაუკილავთ ჩვენი მეფრინველე. თვითონ გ. ლეხურელი წერს: „თვით ბრწყინვალე თბილისშიაც ხშირად მიუთითებიათ ჩემზედ: „აი იმ ჩოხოსანს უყურე, ეგოხერი ევროპაში იყო დამექათმეობა შეისწავლაო!“... სოფლელები ხომ პირში მეუბნებიან: „ყმაწვილო! ცხრა მთას იქით გრანიცაში რომ ისწავლე, რატომ ჩინოვნიკად არ მიდიხარ, რომ დიდი ჯამაგირი აიღო, განა იმისათვის ისწავლე, რომ აქ... სოფელში... ფრინველებს ფერმის გამართვა გწადიანო!“ [37].

გლეხები მას თურმე ნიშნისმოგებით ეუბნებოდნენ: ჩვენს დედაკაცებს „ფრანცუზებში და იტალიელებში თუ არ უსწავლიათ, ვერა ჰყავთ ბელტივით დედლებიო“. როდესაც გ. ლეხურელი უპასუხებდა, რომ დედაკაცების ცოდნისაგან განსხვავებით მას შეუძლია ინკუბატორების მეოხებით ათასობით წიწილების გამოჩეკა, გლეხები მიუგებდნენ ხოლმე: „აბა ეგ რა დასაჯერებელია... თუ მართლა ეგენი შეგიძლიან, მაშ ადამიანებსაც გამოაჩეკინებ იმ სატიალო რაღაც მაშინა-

---

[36] ჟურნალი „მოგზაური“, 1904 წ., № 3 — 4; გვ. 222. გ. ლეხურელი პსევდონიმია გიორგი ქანგირაშვილისა, როგორც ეს გადმოცა პროფ. ი. ლომოურმა — 1945 წ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე ამ მოხსენების გარშემო გამართული კამათის დროს.

[37] იქვე, გვ. 223.

სა და მაშინ ხომ აღარც ცოლის შერთვა მოგვინდება და აღარც შვილების დაზდაო“[38].

მიუხედავად ამგვარი სკეპტიკური გამოსვლებისა, საერთოდ საზოგადოების პროგრესული ნაწილი, უწინარეს, რასაკვირველია, ინტელიგენცია, ყოველთვის სიამოვნებით ეგებებოდა მეფრინველეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ყოველგვარ ღონისძიებას. მაგალითად, ნ. მ კ უ რ ნ ა ლ ი ს ზემოთ დასახელებული წიგნაკისათვის მიძღვნილ რეცენზიაში ივ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი აღნიშნავდა, რომ „შინაურ ფრინველთა მოსაშენებლად ჩვენი ქვეყანა საუკეთესო კუთხედ უნდა ჩაითვალოსო“. იგი წერდა: „ა ს ე თ ი წ ი გ ნ ე ბ ი ს გ ა მ ო ც ე მ ა ს წ ო რ ე დ მ ი ს წ რ ე ბ ა ა ჩ ვ ე ნ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. ს ა ჭ ი რ ო ა მ ხ ო ლ ო დ, რ ო მ წ ი გ ნ ი ს ო ფ ლ ე ლ ღ ა რ ი ბ მ ე უ რ ნ ე ებ ს უ ფ ა ს ო დ დ ა უ რ ი გ დ ე ს ო“[39]. ამგვარად, წიგნაკი, მართალია, იაფი იყო (15 კაპ.), მაგრამ გლეხობისათვის იგი მაინც მიუწვდომელი რჩებოდა და არა მხოლოდ იმის გამო, რომ 2—3 შაურიც დიდი ფული იყო გლეხობისათვის, არამედ, უმთავრესად, იქნებ, იმის გამო, რომ მთელი ეს ღონისძიებანი გლეხობამდე აღწევდა მისთვის მრავალმხრივ საძულველი პოლიციური აპარატისა და აგრეთვე თავადაზნაურული ინტელიგენციის მეოხებით, რომელიც არსებითად ისევ უცხო იყო სოფლის მოსახლეობის ძირითადი მასებისათვის. გლეხობა არ იყო მიჩვეული და არც მოელოდა მათგან რეალურ დახმარებას. ასე რომ მთელი ეს ლიტერატურა უპირატესად მხოლოდ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ინტელიგენტურ წრეებში იკითხებოდა; თუმცა, რასაკვირველია, არც ის იქნებოდა მართებული, რომ სავსებით უგულებელგვეყო ამ ლიტერატურის დადებითი გავლენა მეფრინველეობის მიმდევარ გლეხობაზე. ცხადია, პ ი რ დ ა პ ი რ ი თ უ ა რ ა პ ი რ დ ა პ ი რ ი გ ზ ი თ მ თ ე ლ ი

---

[38] ჟურნ. „მოგზაური“, გვ. 224.

[39] ჟურნ. „მოამბე“, 1904., № 5, განყ. II, გვ. 83.

ეს ლიტერატურა გარკვეულ გავლენას ახდენდა ჩვენში მეფრინველეობის განვითარებაზე. სახელდობრ, როგორც ადგილობრივი ჯიშების გაუმჯობესების, ისე უცხოური ჯიშების გავრცელების საქმეშიც.

მეფრინველეობის განვითარებისათვის, მართალია სხვათაშორის, მაგრამ თავისებურად მაინც ზრუნავდა სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოება (დაარსდა 1850 წელს) და ადგილობრივი ხელისუფლების სათანადო ორგანოებიც. თუმცა, რასაკვირველია, ბიუროკრატიული ხასიათისა გამო ამ ორგანიზაციათა მზრუნველობა რამდენადმე შესამჩნევ გავლენას ვერ მოახდენდა სოფლის მეურნეობის ამ დარგის წარმატებაზე.

მეფრინველეობის წაქეზების მიზნით 1897 წელს ქ. ქუთაისში არსდება შინაური მეფრინველეობის რუსეთის საზოგადოების განყოფილება[40], ასეთივე განყოფილება 1904 წელს დაარსდა სამტრედიაშიც. აქ განყოფილება მოეწყო სამოქალაქო სასწავლებელთან. ამ საზოგადოებისა და, მაშასადამე, მისი განყოფილებების მიზანი იყო მეფრინველეობის გაუმჯობესება. შინაური ფრინველ-ს მოვლა-მოშენების მხრივ მოსახლეობაში რაციონალური მეთოდების გავრცელება, მეფრინველეობის პროდუქტთა რეალიზაციის მოწესრიგება და სხვა. ამ მიზნით, მაგალითად, სამტრედიის განყოფილებამ უწინარეს გამოსცა ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული ნ. თ. მკურნალის წიგნაკი[41]; განყოფილება დაარსებისთანავე შეუდგა მეფრინველეობის სანიმუშო-საჩვენებელი ფერმის მოწყობას, რისთვისაც მან გამოიწერა უცხოური საუკეთესო ჯიშის ფრინველები, ხელი მოჰკიდა მეფრინველეობის ბაზრის შესწავლას და სხვ.[42]. ანალოგიური განყოფილებები სხვა რაიონებშიც ეწყობა.

---

[40] ნ. მკურნალი, „შინაური ფრინველების რუსეთის საზოგადოების განყოფილება ქუთაისში“ (ჟურნ. „მეურნე“, 1897 წ., № 2).

[41] ნ. მკურნალი, „მოკლე დარიგება...“, 1904.

[42] იქვე, აგრეთვე, ჟურნ. „ფოამბე“, 1904 წ., № 5, გან. II, გვ. 83.

მოსახლეობაში ფრინველთა უკეთესი ჯიშების გავრცელების მიზანს ემსახურებოდა აგრეთვე ფრინველების გამოფენაც. წინათ, 1890-იან წლების ბოლომდე, შინაურ ფრინველთა სპეციალურ გამოფენას ამიერკავკასიაში ადგილი არ ჰქონია. აქამდე, ჯერ კიდევ 1863 წლიდან მოყოლებული, საერთოდ სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა გამოფენებზე წარმოადგენდნენ ხოლმე შინაურ ფრინველებსაც.

1897 წელს თბილისში მოეწყო მეფრინველეობის პროდუქტთა პირველი გამოფენა[43]. 1900-იანი წლებიდან მეფრინველეობა იზიდავს საზოგადოების უფრო ფართო წრეების ყურადღებას. მეფრინველეობის წარმატებაში ხედავენ კერძოდ გლეხური მეურნეობის ეკონომიკური განმტკიცების ერთ-ერთ საშუალებას. 1904 წ. ივ. მაჭავარიანი ერთმანეთს ადარებდა ამ მხრივ მეაბრეშუმეობისა და მეფრინველეობის მნიშვნელობას და წერდა: როგორც მეაბრეშუმეობაში ისე „ფრინველების მოშენებაშიაც უმეტესად ჯერჯერობით მხოლოდ ჩვენი სოფლების მანდილოსანთა იმედი უნდა გვქონდეს... აბრეშუმის მეშვეობით უკანასკნელ წლებში ქუთაისის გუბერნიის მარტო დასავლეთ ნაწილში რამდენიმე ათ მილიონ მანეთამდეს დატრიალდა... ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ი ს მ ო შ ე ნ ე ბ ა ს კ ი უ ფ რ ო მ ე ტ ი შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი შ ე უ ძ ლ ი ა მ ო გ ვ ც ე ს. დ ა ა მ ს ა ქ მ ე ში უ ფ რ ო მ ე ტ ი მ უ შ ა-ხ ე ლ ი ც მ ი ი ღ ე ბ ს მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა ს ო“[44].

აღსანიშნავია, რომ პირველი მსოფლიო ომის წინ დაარსებული მეფრინველეობის მოყვარულთა კავკასიური საზოგადოება მიზნად ისახავდა ინსტრუქტორული დახმარება გაეწია მოსახლეობისათვის მეფრინველეობის რაციონალური ნეთოდების დანერგვის საქმეში. ეს საზოგადოება ამასთანავე აწყობდა მეფრინველეობის გამოფენებს — ბაზრებს, სადაც მოსახლეობა ეცნობოდა გაუმჯობესებული ჯიშის სხვა-

[43] გაზ. „მეურნე“, 1897 წ., № 8.

[44] ჟურ. „მოამბე“, 1904 წ., № 5, განყ. II, გვ. 82.

დასხვა ფრინველს — ქათამს, ინდაურს, ბატს, იხვს და სხვ. აქ შეიძლებოდა ამ ფრინველთა შეძენა და მათი მოვლა-პატრონობის მხრივ რჩევა-დარიგებისა და სხვ. პრაქტიკული დახმარების მიღება[45].

საქმე იმაშია, რომ მცირემიწიანობისა და უმიწობის გამო სოფლად უსაქმოდ დარჩენილი მუშახელისათვის ადგილზე-ვე რაიმე საქმეაოს გამონახვას ცდილობდნენ და მეფრინ-ველეობას, როგორც მიწათმოქმედების ისეთ დამატებას, რომელსაც ცალკე ტერიტორია არ სჭირდება ანდა მცირეო-დენი ზომით სჭირდება, ისევე როგორც შინამრეწველობას, მოწოდებულად სთვლიდნენ დახმარება გაეწია გაღატაკების გზაზე შემდგარი გლეხობისათვის; ისინი, რასაკვირველია, ვერ ამჩნევდნენ, რომ სავაჭრო მიწათმოქმედების ახალ-ახალი დარგების განვითარება მხოლოდ უფრო მეტად აღრმავებდა სოფლად მიმდინარე სოციალურ დიფერენციაციას.

*

* *

მეფრინველეობის პროდუქტების, განსაკუთრე-ბით კი კვერცხის, გაძლიერებული გატანა დას. ევროპასა და შავი ზღვის რუსეთის სანავსადგურო ქალაქებში იწყება 1891 წლიდან. დას. ევროპის ბაზრებზე გაჰქონდათ მხოლოდ კვერცხი.

ამიერკავკასიიდან, ე. ი. ქუთაისის გუბერნიიდან ქათმის კვერცხი გაჰქონდათ ევროპის ისეთ დიდ სამრეწველო ცენტ-რებში, როგორიც იყვნენ ვენა, ჰამბურგი, ბერლინი, პარიზი, სამხრეთ საფრანგეთის სანავსადგურო ქალაქები და ლონ-დონი. ლონდონი იყო კვერცხის მსოფლიო ვაჭრობის ცენ-ტრი და ჩვენი ქვეყნიდან გატანილი კვერცხის უდიდესი ნა-წილი აქ საღდებოდა.

1898 — 1900 წწ. ქუთაისის გუბერნიაში, განსაკუთრე-ბით ბათუმსა და ფოთში, უკვე ჩნდებიან უცხოეთის საექს-

[45] МСХСФККЖЗС, стр. 33.

პორტო ფირმების აგენტები, რომლებიც სპეციალურად ეწევიან კვერცხის ბითუმად შეძენასა და საზღვარგარეთ გატანას. ასეთს ფირმებს შორის, რომლებიც აქაურ შუამავალ-შემსყიდველთაგან დიდი რაოდენობით იძენდნენ კვერცხს, აღსანიშნავია, მაგალითად, ფირმა ჰაინრიხ მარგულესი, ძმ. ზაიფერტ და სხვ.[46].

უცხოური ფირმები აქ მუშაობდნენ თავიანთი აგენტების მეშვეობით. ამ უკანასკნელთ ადგილებზე, დაბა-სოფლებში, რკინიგზის სადგურებში, ჰყავდათ შემსყიდველ-დამხარისხებლები, რომლებიც ერთ რაიონში შესყიდვის სეზონის დამთავრების შემდეგ გადადიოდნენ არა მხოლოდ ამიერკავკასიის სხვა რაიონებში (ახალციხის მაზრ., სომხეთში და სხვ.), არამედ საზღვარგარეთაც.

მაგალითად, ჰ. მარგულესის ფირმა, მას მერმე რაც მარტში სამტრედიის რაიონში შორჩეოდა დამზადების საქმეებს, თავის აგენტებსა და დამხარისხებელ-შემსყიდველებს აქედან გადაისროდა ხოლმე თურქეთსა და ბულგარეთში, სადაც ისინი ამზადებდნენ კვერცხს საზაფხულო სეზონის განმავლობაში[47].

ნ. მ კ უ რ ნ ა ლ ი, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევდა დასავლეთ საქართველოს მეფრინველეობის განვითარების საქმეს, მეფრინველეობის პროდუქტებით ვაჭრობის შესახებ 1902 წელს წერდა: „მაშინ, როდესაც 7 — 10 წლის წინათ ქუთაისის გუბერნია ძლივს-ძლივობით ახერხებდა ეს პროდუქტები გაეტანა წლიურად 10.000 მანეთისა, 1900 წელს ამ თანხამ მიაღწია სოლიდურ ციფრს — 1.200.000 მანეთს. ერთეული კონტორები სოფლებში კვერცხისა და ფრინველის შესყიდვას და ამ საქონლის ადგილობრივ ბაზრებზე მიწოდებას რომ ეწეოდნენ ამჟამად გაათკეცდნენო“[48].

---

[46] КСХ, 1906 г., № 502, стр. 1325—1326.

[47] Н. О р л о в, „Яйца“ (ЭТЗ, II, 214).

[48] Н. М к у р н а л и, „Об экспорте куриных яиц из Кутаисской губернии“ (КСХ, 1902 г., № 420, стр. 110—111).

კვერცხით ვაჭრობის განვითარებამ, თავის მხრივ, კვერცხის დამზადების მთავარ პუნქტებში გამოიწვია ყუთების წარმოების წარმოშობა. მაგალითად, 1901 წელს სოფ. კულაშში მოიწვიეს ოსტატები და გახსნეს სახელოსნო, რომელიც სპეციალურად აწარმოებდა უცხოეთში და ადგილობრივ, მაგრამ შორეულ ბაზრებზე. გასაგზავნი კვერცხის ჩასაწყობ ყუთებს[49].

კვერცხის ექსპორტმა იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ მისი უკეთ ორგანიზებისა და თანაც, მეფრინველეობის მომდევარი მოსახლეობისათვის ამ თაოსნობის უფრო შემოსავლიან საქმედ გადაქცევის საკითხს იმ დროს დიდ ყურადღებას აქცევდნენ როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პუბლიცისტიკა. ასევე ადგილობრივი ხელისუფლებაც.

ქუთაისის გუბერნიის 1906 წლის ოფიციალურ მიმოხილვაში, რაც გუბერნატორის ყოველწლიურ უქვეშევრდომილეს ანგარიშგებას ერთვოდა ხოლმე, — ვკითხულობთ: „ქუთაისის გუბერნია გაცხოველებულ მონაწილეობას ღებულობს კვერცხით მსოფლიო ვაჭრობაში. აქედან ხდება კვერცხის ექსპორტირება ლონდონს, ბერლინს, პარიზს და დასავლეთ ევროპის სხვა, განსაკუთრებით საფრანგეთისა და ავსტრიის, ქალაქებშიო“[50].

კვერცხის საექსპორტო ოპერაციების მასშტაბის წარმოდგენისათვის საკმარისია ითქვას, რომ 1900 წელს მხოლოდ სამტრედიიდან გაიგზავნა უცხოეთში 800.000 მანეთის კვერცხი[51], ხოლო 1901 წელს ქუთაისის გუბერნიიდან ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებით გატანილ იქნა 18.000.000 ცალი კვერცხი[52]. საერთოდ 1890 — 1900-იან წლებში ქუ-

---

[49] Н. Мкурпали, „Об экспорте куриных яиц из Кутаисской губернии“ (КСХ, 1902 г., № 420, стр. 110 — 111).

[50] „Обзор Кутаисской губернии за 1906 г.“, стр. 34,

[51] ТССМХ, 78.

[52] КСХ, 1902 г., № 420, стр. 111.

თაისის გუბერნიიდან საშუალოწლიურად გაჰქონდათ 1,2 მილიონ მანეთის კვერცხი"[53].

სტ. გ უ ლ ი შ ა მ ბ ა რ ო ვ ი ს ვიერ თავის დროზე თავმოყრილი მონაცემებით მსოფლიო ბაზრებზე კვერცხის გამტან ზოგიერთ ქვეყნებს 1900-იანი წლების პირველ ნახევარში ყოველწლიურად, საშუალოდ, გაჰქონდათ:

თურქეთს	893.000	მანეთის	კვერცხი
ჰოლაადიას	891.000	„	„
რუმინეთს	669.000	„	„
შვეციას . .	187.000	„	„
ქუთაისის გუბერნიას	1.200.000	„	„

თუ ქუთაისის გუბერნიიდან საზღვარგარეთის მსოფლიო ბაზრებზე, ე. ი. დას. ევროპის სამრეწველო ცენტრებში გატანილი საქონლის საერთო ღირებულებას 100-ად მივიღებთ, მაშინ მასთან შედარებით სხვა ზემოთ დასახელებული ქვეყნების ექსპორტის ღირებულება უდრის: თურქეთისა — 74,4%-ს, ჰოლანდიისა — 74,3%-ს, რუმინეთისა — 55,8%-ს, ხოლო შვეციისა — 15,6%-ს[54].

კიდევ უფრო გაზრდილა ქუთაისის გუბერნიიდან კვერცხის ექსპორტი 1901 წლის შემდეგ. მაგალითად, 1912 წელს, დ. ღამბაშიძის ცნობით, საზღვარგარეთ გაუტანიათ კვერცხი (მილიონ ცალობით): სამტრედიიდან — 18,0; აბაშიდან — 1,5; სენაკიდან 1,9; ქუთაისიდან — 0,6. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მონაცემები[55] მაინც არ უნდა იყოს სრული. თვით დ. ღამბაშიძეც აკი წერს: „მარტო ხონისა და სამტრედიის რაიონში წლიური შემოსავალი ამ დარგიდან (ე. ი. კვერცხის გატანიდან) უდრის 600 — 700 ათას მანეთსო"[56]. მაშასადამე, ამ

---

[53] КСХ, 1902 г., № 405, стр. 342; ТПКССХ, 1911 г., Тифлис, стр. 353.

[54] С. Г у л и ш а м б а р о в, „Международная торговля птицею и продуктами птицеводства" (ТССМХ, 1908 г., стр. 85).

[55] დ. ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე, „ჩვენი ქვეყნის უცხოეთთან ვაჭრობის მიმოხილვა" (1884 — 1913 წწ.). ლონდონი, 1914; გვ. 26.

[56] იქვე, გვ. 27.

გუბერნიაში მამლები მალე შესწყვეტენ ყივილს, რადგან ბეთელ ფრინველებსა და კვერცხებს შემსყიდველებზე ყიდიანო"[61].

ნამდვილად კი მეფრინველეობის პროდუქტებით ვაჭრობის განვითარება ხელს უწყობდა მეფრინველეობას და, მაშასადამე, მამლებისაც კიდევ უფრო გამრავლებას. მაგრამ მამლებს უფრო მეტად მხოლოდ ყ ვ ე რ უ ლ ე ბ ი ს სახით ამრავლებდნენ, რამდენადაც ყვერული უფრო იკიდებდა ხორცსა და, მაშასადამე, კომერციულად უფრო მოსაგები იყო. მით უმეტეს, რომ ყვერული წიწილებსაც მშვენივრად ზრდის და, ამდენადვე, ათავისუფლებს რა დედალს კრუხობის გრძელი პერიოდიდან, ე. ი. ამცირებს რა კრუხობის პერიოდს, მითვე აგრძელებს კვერცხის დების პერიოდს და, მაშასადამე, ადიდებს წლის განმავლობაში დედლისაგან მოტანილი კვერცხის რაოდენობას[62].

მიუხედავად იმისა, რომ 1890-იანი წლებიდან მეფრინველეობის პროდუქტებზე ფასებმა საგრძნობლად აიწიეს, მეფრინველეობა ამ დროიდან უფრო შესამჩნევ და საგრძნობ კონკურენციას უწევდა, მაგალითად, თბილისის ბაზარზე მეცხოველეობის სხვა დარგების პროდუქტებს. ამასთანავე რამდენადაც მეფრინველეობა მეურნეობრივად სარფიანი დარგი შეიქნა, მით უფრო მეტად მიიზიდა მან მოსახლეობის სათანადო წრეები. 1902 წელს ნ. მ კ უ რ ნ ა ლ ი წერდა, რომ

---

[61] КСХ, 1903 г., № 502, стр. 1325.

[62] ეი როგორ აგვიწერს, მეფრინველეობის ფერმაში, ცალკე ფრინველთა როლსა და დანიშნულებას, მეფრინველეობის პირველი ქართველი სპეციალისტი გ. ლ ე ხ უ რ ე ლ ი: „შინაურ ფრინველებს შეადგენენ: ქათმები, ბატები, იხვები, ინდაურები და სხვა. უპირველესი ადგილი კი მათ შორის უკავია ქათმებს. ქათამი დედოფალია საქათმისა და სიმდიდრე-დიდება ფერმისა. დედალს გარდა თავისი ნაზი, მსუბუქი, გემრიელი, შემრგო და საღი ხორცისა და ბუმბულეურთუკისა, აქვს აგრეთვე კიდევ თვით ხორცზედ უგემრიელესი, უსაღესი და უნაზესი გამოსავალი — კვერცხი, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება... ყოველგვარ ფრინველთა კვერცხებში, გემოვნებისა და ღირსების მხრივ, პირველობის ადგილი უკავია ქათმის კვერცხს" (ეურნ. „მოგზაური", 1904 წ., № 3 — 4, გვ. 220 — 221).

მეფრინველეობის პროდუქტებზე ფასების აწევამ ხელი შეუწყო „ჩვენში მეფრინველეობის ფართოდ განვითარებას, ამ საქმისადმი ინტელიგენტური კლასიდან მასების მიზიდვას და, საუბედუროდ, შექმნას წვრილ შემსყიდველთა არმიისა. ამ „დედაკაცის“ საქმემ თავისკენ მიიზიდა აგრეთვე მამაკაცთა დიდძალი მუშახელიო“[63]. ამასთანავე, თუ წინათ მეფრინველეობას მხოლოდ გლეხის ქალები მისდევდნენ, 1890-იანი წლების ბოლოდან უკვე, როგორც იგივე ავტორი წერდა, „მეფრინველეობის პროდუქტებზე დიდი მოთხოვნილებისა და მათზე მაღალი ფასების გავლენით, მეფრინველეობის მიმდევართა რიცხვი პროგრესიულად იზრდება, ყოველწლიურად იზიდავს რა თაყვანისმცემლებს პრივილეგიური წოდების ბანოვანთაგან“[64].

ყოველივე ამის გამო ჯერ კიდევ 1860-იან წლებში დაწყებული უეფექტო ცდები: ხორცის გემოიანობის, სიდიდის, კვერცხისდების და გარეგნული სილამაზის მიხედვით უმჯობესი უცხოური ჯიშის შინაური ფრინველების მოვლა-გამრავლების ჩვენში დანერგვისა, ცხადია უფრო ფართო ხასიათს ღებულობს განსაკუთრებით 1900-იანი წლებიდან. ქუთაისის ვუბერნიის ოფიციალურ მიმოხილვაში აღნიშნულია[65] კერძო პირთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრივ წარმოებული ცდები, როგორც ადგილობრივი, უპირატესად ქართული ჯიშების გაუმჯობესების, ისე განთქმული უცხოური ჯიშების გადმონერგვისათვის. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ რამდენადმე მნიშვნელოვან წარმატებას ადგილი არ ჰქონია. უცხოურ ჯიშებთან კონკურენციაში თითქმის ყოველთვის ადგილობრივი ჯიშები იმარჯვებდნენ.

ხალხში საყოველთაოდ გავრცელებული აზრით, რასაც სპეციალისტები ხშირად არ ეთანხმებოდნენ, კარგად მოვლი-

---

[63] Н. Мкурнали, „Об экспорте куриных яиц из Кутаисск. губернии“ (КСХ, 1902 г., № 420, стр. 110—111).

[64] КСХ, 1903, стр. 1339.

[65] „Обзор Кут. губ. за 1906 г.“, стр. 35.

ლი ადგილობრივი ჯიშის ქათმების გამრავლება უფრო სარფიანად იყო მიჩნეული. ამასთანავე, ქათმის საკვებად ყველაზე მეტად სიმინდს არჩევდნენ. სიმინდით გაზრდილგასუქებული ქათმის ხორცი უფრო გემოიანად მიაჩნდათ.

ამგვარად, მეფრინველეობამ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში „სერიოზული ეკონომიკური მნიშვნელობა მოიპოვა“, — როგორც ამას აღნიშნავდა 1909 წელს მეფრინველეობის სპეციალისტი ა. დრობოგლავი[66]. ხოლო კიდევ უფრო ადრე, სახელდობრ 1903 წელს, ნ. მკურნალი წერდა, რომ „თვისობრივი გაუმჯობესების, პროდუქტის ღირებულების ზრდის, მწარმოებელთა წრის გაფართოების მხრივ უკანასკნელი წლების განმავლობაში მეფრინველეობას ვერ შეედრება მეურნეობის ვერც ერთი დარგი ქუთაისის გუბერნიაში“[67]. ამიერკავკასიის საქონლის ცნობილი ექსპორტერი დ. ღამბაშიძე, რომელსაც აქ სპეციალური აგენტები ჰყავდა და ლონდონში კიდევ საგაჭრო კანტორა ჰქონდა, 1914 წელს წერდა, რომ კვერცხის ექსპორტს „ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში“[68].

როგორც საერთოდ სოფლის მეურნეობის დარგების, ისე კერძოდ მეფრინველეობის გავრცელების შესახებ სტატისტიკურ მასალათა მხრივ ძალიან ღარიბი ვართ, მაგრამ მაინც მოგვეპოება ზოგიერთი საინტერესო სტატისტიკური მონაცემები ქუთაისის გუბერნიაში მეფრინველეობის განვითარების შესახებ. ეს ცნობები თავის დროზე თავმოყრილია უმთავრესად ნ. მკურნალის მიერ.

---

66 ТПККССХ, 1911 г., стр. 353.

67 КСХ, 1903 г., № 509, стр. 1325.

68 დ. ღამბაშიძე, „ჩვენი ქვეყნის უცხოეთთან ვაჭრობის მიმოხილვა (1884 — 1912 წწ.),“ ლონდონი, 1914 წ., გვ. 26.

ქუთაისის გუბერნიაში წლიურად გაზრდილი ფრინველის რაოდენობა 1890-იანი წწ.[69] და 1906 წ.[70]

ფრინველის დასახელება	1890-იანი წწ. საშუალო წლიური		1906 წ.	
	რაოდენობა	%% ჯამთან	რაოდენობა	%% ჯამთან
ქათამი	17.259.000	84,7	27.000.000	92,9
ბატი	1.331.000	6,5	1.000.000	3,4
ინდაური	950.000	4,7	170.000	0,6
იხვი	829.000	4,1	1.000.000	3,4
ს უ ლ	20.369.000	100,0	29.170.000	100,0

ამ მონაცემებიდან უწინარეს ყოვლისა იმას ვხედავთ, რომ მეფრინველეობაში გაბატონებული ადგილი ეჭირა მექათმეობას. წლიურად გაზრდილ ყოველგვარ შინაურ ფრინველთა საერთო რაოდენობიდან 1890-იან წლებში ქათამზე მოდიოდა 84.7 პროცენტი, ხოლო 1906 წელს კი — 92.6 პროცენტი, ე. ი. ქათმის ხვედრიწონა მეფრინველეობის შემდგომი განვითარების პროცესში სულ უფრო იზრდებოდა. სხვა ფრინველებთან შედარებით აღებულ წლებში მნიშვნელოვნად დაცემულა განსაკუთრებით ინდაურის რაოდენობა — შინაურ ფრინველთა საერთო ჯამის 4.7 პროცენტიდან 0.6 პროცენტამდე. ეს გარემოება, ალბათ, ისევ მეფრინველეობის პროდუქტებით ვაჭრობის შემდგომი განვითარების გავლენით უნდა აიხსნას. ქათმის ხორცეკა და კვერცხიც უფრო მასობრივი მოხმარების საგანი იყო, ის უფრო პატარა, იაფი და ამდენადვე ხელმისაწვდომი იყო საშრეწველო ცენტრების მოსახლეობის ძირითადი მასებისათვის, რომ არა ვთქვათ

[69] П. Мкурнали, „Птицеводство в Кутаисской губернии" (ТССМХ, 78).

[70] „Обзор Кут. губ. за 1906", стр. 33—34.

რა იმის შესახებ; რომ ქათმის გამოზრდა ბევრად უფრო ადვილია გლეხის მეურნეობისთვისაც.

რაც შეეხება იხვსა და ბატს, ამ ფრინველებს საერთოდ მთიან რაიონებში ნაკლებად იჩენდნენ, რადგან იხვი და ბატი უფრო ეგუებიან და მრავლდებიან დაბლობ ადგილებში. ამასთანავე ნ. მ კ ურ ნ ა ლ ი ს დაკვირვებით გურიასა; სამეგრელოსა და იმერეთში „შინაურ ფრინველთა რაოდენობა, რასაც ზრდიან გლეხურ მეურნეობასა და მემამულეთა კარმიდამოში, თითქმის ერთნაირია"[71]. მაშასადამე, ცხადია, რომ მეფრინველეობა უპირატესად მხოლოდ გლეხური მეურნეობისათვის წარმოადგენდა მნიშვნელოვან დამატებითი შემოსავლის წყაროს[72].

1890-იან წლებში ქუთაისის გუბერნიაში საშუალოწლიურად გაზრდილი ფრინველიდან, მაზრების მიხედვით, მოსახლეობის ერთ კომლზე საშუალოდ მოდიოდა[73]:

	ქათამი, ინდაური, ბატი, იხვი
ზუგდიდის მაზრა .	398
სენაკის „	389
ოზურგეთის „	373
ქუთაისის „	350
შორაპნის „ .	316
ლეჩხუმის „ .	93
რაჭის „ .	69
სოხუმის ოკრუგი . . .	86

ამგვარად, მეფრინველეობა ამ გუბერნიის ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთის, ქუთაისისა და შორაპნის მაზრებში ყოფილა ყველაზე უფრო გავრცელებული. 1906 წელს გუბერნიის ოფიციალურ მიმოხილვაშიც ვკითხულობთ: „გამოკვლევისას აღმოჩნდა, რომ ქუთაისის, შორაპნის, ოზურგეთის

---

[71] КСХ, 1902 г., № 435, стр. 341.

[72] იხ. აგრეთვე ე. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, „შინაური ფრინველი საქართველოში", 1926, ტფ., ვ. ჩ ი ტ ა ძ ე, „მეფრინველეობა", 1928 წ., თბ., გვ. 12—15; ციფრობრივი მონაცემები უკანასკნელს ნ. მ კ ურ ნ ა ლ ი ს მოხსენებიდან ამოუღია, მაგრამ ყოველთვის სწორად ვერ მოუყვეს.

[73] КСХ, 1902, № 435, стр. 341.

და სენაკის მაზრებში გვხვდებიან მეურნეობანი, რომლებიც ზრდიან 500 ცალზე მეტ სხვადასხვა სახის შინაურ ფრინველს... შეიძლება აღინიშნოს ის სასიამოვნო ფაქტი, რომ, მეფრინველეობის პროდუქტებზე უზარმაზარი მოთხოვნილების მიუხედავად, ფრინველის ხორცი ეხლა უფრო ხშირად მოიხმარება გლეხობის მიერ, ვინემ წინაწლებში... უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საშუალოწლიურად გუბერნიაში მოიხმარება 93.000.000-მდე ცალი კვერცხიო"[74].

ეს სიტყვები ფრიად მარტივი და ადვილად გასაგებია და განმარტებას არ საჭიროებენ. ახლა ვნახოთ, თუ როგორ იყო მოწყობილი მეფრინველეობის პროდუქტების რეალიზაციის საქმე.

მეფრინველეობის პროდუქტებით ადგილობრივი ქალაქებისა და მრეწველური ცენტრების მომარაგება მთლიანად. ჩარჩ-ვაჭართა ხელში იყო მოქცეული. ეს უკანასკნელნი მრავალგვარ ხერხებს მიმართავდნენ როგორც წვრილ მწარმოებელთა, ე. ი. შინაურ ფრინველთა მოშენებელი გლეხობის, აგრეთვე ქალაქელ მომხმარებელთა მოსატყუილებლად.

შემსყიდველთა ერთი კატეგორია, კერძოდ თბილისელი კინტოები, მაგალითად, 1890-იანი წლების ცნობებით, კვერცხსა და ქათამს, როგორც სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებსაც, ხშირად ჰყიდდნენ „სოფლელთა ტანისამოსში გადაცმულნი, იმ მიზნით, რათა თავისკენ მიეზიდნათ მყიდველები"[75]. აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარ შემსყიდველთა მნიშვნელოვანი ნაწილი ისედაც სოფლებიდან იყო ქალაქებში გადმობარგებული.

მაგრამ ჯერ კიდევ 1880-იანი წლების დასაწყისში, როგორც ს. მაჩაბელი წერს, შემსყიდველებს უკვე მოესწროთ მეფრინველეობის პროდუქტებით ვაჭრობის ხელში ჩაგდება. თუ ამ დროს „თბილისის მახლობლად მდებარე

---

[74] „Обзор Кутаисск. губ. за 1906 г.", стр. 33—34.
[75] КСХ, 1898 г., № 243, стр. 570.

სოფელთა გლეხები კვერცხსა და ფრინველს უშუალოდ თვითონვე ჰყიდიან“, სამაგიეროდ „შორეული სოფლის გლეხები-კი, როგორც ერთს ისე მეორეს ადგილობრივადვე (სოფელშივე — პ. გ.) ასაღებენ შემსყიდველებზე, რომლებიც თბილისიდან მოდიან“[76]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ 1870-იან წლებამდე თბილისის ბაზარს მეფრინველეობის პროდუქტების მხრივ უმთავრესად ისევ თბილისის მაზრის სოფლები ამარაგებდნენ, ამ დროიდან, ე. ი. ფოთი — თბილისის რკინიგზის გახსნის შემდეგ, თბილისის ბაზარს მალე იპყრობს დას. საქართველოდან შემოტანილი პროდუქტი მეფრინველეობისა[77].

შემსყიდველთა ხელში იყო მეფრინველეობის პროდუქტებით ვაჭრობა განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში. „კომერციული მეფრინველეობის“ მთავარ რაიონში. ქუთაისის გუბერნიის 1906 წლის ოფიციალურ მიმოხილვაში, რომელიც ზემოთაც მრავალგზის დაგვიმოწმებია და რომელიც გუბერნატორთა უქვეშევრდომილეს მოსსენებებს ერთვოდა ხოლმე. აღნიშნულია, რომ გუბერნიის სოფლებიდან შინაგან და საგარეო ბაზრებზე ყოველწლიურად გაიქვთ 2.5 მილ. მანეთის მეფრინველეობის პროდუქტები და იქვეა ნათქვამი, რომ „მ თ ე ლ ი ე ს თ ა ნ ხ ა ა მ დ ი დ რ ე ბ ს რ ა წ ვ რ ი ლ დ ა მ ს ხ ვ ი ლ შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ე ბ ს ა დ ა გ ა დ ა მ ყ ი დ ვ ე ლ ე ბ ს. უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ მ ი დ ი ს ა რ ა ს ო ფ ლ ე ლ მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ თ ა ხ ე ლ შ ი ო“; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი სოფლის მეურნეობის ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი იმ დროს გამდიდრების წყაროს წარმოადგენდა მხოლოდ ვაჭარ-გადამყიდველთათვის, რომლებიც ეწეოდნენ მეფრინველეობის მიმდევარი გლეხობის ექსპლოატაციას.

1910 წელს, მეფრინველეობის რუსეთის საზოგადოების თბილისის განყოფილების თანამშრომელი ა. დ რ ო ბ ო-

---

[76] „Обзор Кут. губ. за 1906 г.“, 64.

[77] ე. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, „შინაური ფრინველი საქართველოში“, 1926. გვ. 13—21.

ბ ლ ა ვ ი, რომელმაც ადგილობრივი მეფრინველეობის პროდუქტები თბილისის ბაზარზე შეისწავლა, საერთოდ ამიერკავკასიაში მეფრინველეობის მდგომარეობის შესახებ წერდა, რომ „მეფრინველეობა — თუ ამ სიტყვაში ჩვენ ვიგულისხმებთ რაციონალურად აწყობილ მრეწველურ წარმოებას — ჩვენ არა გვაქვს. მართალია, შინაური ფრინველი შეადგენს აუცილებელ კუთვნილებას ყოველი ბლეხური მეურნეობისა, მაგრამ მეფრინველეობის პროდუქტები, იმის გამო რომ ფრინველებს ცუდად უვლიან, ფრიად დაბალი ხარისხისაა; ფრინველი წვრილია, მისი ხორცი მაგარი და უხეშ-ბოჭკოვანია, გასუქება წარმოებს მეტად პრიმიტიულად და მხოლოდ კანქვეშა ქონის მომატებაში გამოიხატება; კვერცხი — კი წვრილი და ჭუჭყიანია. ბუმბული და ფრთები ცუდად იწმინდება და ხარისხდება; მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ფასები ბაზარზე, დიდი მოთხოვნილების გამო, ფრიად მაღალია“[78].

მართალია, ა. დ რ ო ბ ო ბ ლ ა ვ ი ს დასკვნის ზოგიერთ მხარეს შეიძლება არ დავეთანხმოთ, მაგრამ საერთოდ მისი მსჯელობა არაა დაცილებული სინამდვილეს. ხორცი ჩვენებური შინაური ფრინველისა და კვერცხი არც ისე დაბალი ღირსებისა უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს კვერცხი, რომელსაც ამ დროს სწორედ ხარისხის მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, „თითქმის მეორე ადგილი ეჭირა ლონდონის ბაზარზე“, ხოლო ლონდონი ამ მხრივ მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ბაზარს წარმოადგენდა. თვით ა. დრობოგლავის დასკვნის ერთ-ერთი მომენტი, სახელდობრ მეფრინველეობის პროდუქტებზე დიდი მოთხოვნილებისა და ფრიად მაღალი ფასების შესახებ, რასაკვირველია გაუმართლებელი იქნებოდა, რომ ეს პროდუქტები მართლაც ძლიერ უხეში და დაბალი ღირსებისა ყოფილიყო[79]. მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ ა. დრობოგლა-

---

[78] А. Дробоглав, „Птицеводство, как важная для Кавказа отрасль сельского хозяйства“ (КХ, 1910 г., № 2, стр. 7—10).

[79] იხ. აგრეთვე ТПКССХ, 353—357.

ეის ეს უკანასკნელი მოსაზრება რამდენადმე მაინც გამოხატავს შეხედულებას უფრო ცარიზმის მოხელეებისა, რომლებიც ფრიად იყვნენ დაინტერესებული აქ, კოლონიაში, მათი მოხმარების საგნების სიიაფეში და ამ მიზნით მზად იყვნენ თვით საუკეთესო კახური ღვინოები ყიზლარულზე დაბლა დაეყენებინათ.

ბართალია, 1903 წელს თვით ივ. როსტომაშვილი წერდა: „ჩვენი ქათამი საზოგადოდ პატარაა, სულ ორ-სამ გირვანქას იწონის, ხორცი მაგარი, ხშირად შავი და უგემური აქვს, კვერცხსაც ცოტას და წვრილებს გვაძლევს, მაშინ როდესაც უცხო ქვეყნელებმა იმ ზომამდის გააუმჯობესეს თავიანთი ქათამი, რომ თვითეული დედალი ექვსიდან რვაცხრა გირვანქამდის იწონისო“ [80]; — მაგრამ ეს იყო ცხრაასიანი წლების დამდეგს და უმთავრესად შეეხებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ქათმებს, რომელთაც მაშინვე ბევრად სჯობნიდა დას. საქართველოს ფრინველი, რომელიც 1900-იან წლების განმავლობაში და მერმეც, როგორც ერთხმად ალიარებდნენ დამკვირვებელნი, შესამჩნევად გაუმჯობესდა. და ამდენადვე აქ „მეფრინველეობამ უკვე მოიპოვა დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა“ [81] როგორც ეს აღნიშნული იყო 1909 წელს კავკასიელ სოფლის მეურნეთა პირველ ყრილობაზე თბილისში და როგორც ამას იმეორებდა 1910 წელს თვით ა. დრობოგლავიც [82].

საილუსტრაციოდ იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მეფრინველეობა ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში საკმარისია აღვნიშნოთ, რომ 1909 — 1913 წწ. მეფრინველეობის პროდუქცია (ხორცი, კვერცხი, ბუმბული) შეადგენდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო ღირებულების 3,8 პროცენტს, ხოლო ცალკე: საქართველოში — 5,1%, სომხეთში — 3,1% და აზერბაიჯანში — 2,9 პროცენტს.

---

[80] „ფოთლი“, 1905 წ., № 5, განყ. II, გვ. 81.
[81] ТПКССХ, 353—357.
[82] КХ, 1910 г., № 2, стр. 10.

1913 წელს ამიერკავკასიის მეფრინველეობის შეურნეობის შემოსავალი უდრიდა 8,3 მილ. მანეთს, ხოლო კერძოდ საქართველოში — 4,3 მილ. მან., სომხეთში — 1,1 მილ. მან., აზერბაიჯანში — 2,8 მილ. მანეთს.

სწორედ ამ ხანებში ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის საკითხებზე თბილისში შევდგარ სპეციალურ თათბირზე მოხსენებით გამოსული ერობის აგრონომი აღნიშნავდა, რომ „მეფრინველეობა და სავაჭრო მეფრინველეობა მხარის ძრავალი რაიონისათვის წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სერიოზულ დარგს და ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში იგი იძლევა მთავარ საექსპორტო საგანს; ასე, რომ იფარება რა ადგილობრივი ბაზრების მოთხოვნა, ყოველწლიურად ბათუმიდან საზღვარგარეთ გააქვთ 5.000.000 ცალზე მეტი კვერცხი“[83].

ამგვარად, მეფრინველეობა ამიერკავკასიაში თავისი პროდუქციის ღირებულებით თითქმის ორჯერ აღემატებოდა, მაგალითად, მეაბრეშუმეობას და ორნახევარჯერ მებაღეობას. აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ამიერკავკასიაში მეფრინველეობის მთლიანი შემოსავლიდან, ე. ი. 8.3 მილ. მანეთიდან, მოდიოდა: ფრინველის ხორცზე — 5.119.6 ათასი მან. ანუ 61,6 პროცენტი; კვერცხზე — 2.731,1 ათასი მან. ანუ 32,1 პროც. ხლო ფრთასა და ბუმბულზე — 433,5 ათასი მან. ანუ 5,3 პროცენტი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამიერკავკასიაში მეფრინველეობა უპირატესად მაინც ქუთაისის გუბერნიაში იყო განვითარებული. დანარჩენ გუბერნიების მეფრინველობის პროდუქცია უახლოესი დაბაქალაქებისა და ყოველ შემთხვევაში ამიერკავკასიის საზღვრებს არ სცილდებოდა.

თვით ქუთაისის გუბერნიაშიც, რა გინდ ფართოდ არ ყოფილიყო გავრცელებული შინაურ ფრინველთა მოვლა-მოშენება, ნამდვილად სავაჭრო მეფრინველეობა, რასაკვირველია, მხოლოდ ჩანასახ სტადიაში იმყოფებოდა. მართა-

[83] МСХСФКККЗС, стр. 32,

ლია. ადგილი ჰქონდა ცდებს მეფრინველეობის სპეციალურ მეურნეობათა შექმნისა, მაგრამ მათ რამდენადმე რეალური შედეგები არ მოჰყოლია.

მსოფლიო და სამოქალაქო ომის, მენშევიკ-მუსავათისტ-დაშნაკთა ბატონობის პერიოდში საერთოდ სახალხო მეურნეობასთან ერთად მეფრინველეობაც, კერძოდ მარცვლეული მეურნეობის ძლიერ დაცემის მეოხებით, ფრიად დაქვეითდა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა მტკიცე პირობები მეფრინველეობის ფართოდ განვითარებისა და კერძოდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის ცალკე დარგად ჩამოყალიბებისათვის.

*

* *

დასასრულ, ორიოდე სიტყვა საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობისათვის.

1945 წ. საქ. კ. პ. ც.კ.-ში ჩატარდა თათბირი მეცხოველეობის საკითხებზე. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში სხვათა შორის გამოვიდა პროფ. პ რ ი ც კ ე რ ი — საქართველოს მიწსახკომის მეცხოველეობის სამმართველოს სპეციალისტი მეფრინველეობის დარგში.

პროფ. პრიცკერმა მეფრინველეობის განვითარების არსებული ტემპი, სხვათა შორის, წინათ საქართველოში შინაურ ფრინველთა მჭაობრივი მოშენების ტრადიციის არასაკმაო განვითარებითაც ახსნა.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კერძოდ სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგის კულტურის ისტორიის სწორ და საფუძვლიან ცოდნას ამ დარგთა შემდგომი განვითარებისათვის პრაქტიკულ ღონისძიებათა დასახვის საქმეში.

თუ რამდენად სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში კერძოდ მეფ-

რინველეობას, ნათლად ჩანს იმ დიდ ღონისძიებათაგან, რაც დასახულია ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს შესაბამის დადგენილებებში, სადაც სხვათა შორის მითითებულია, რომ ყოველმა კოლმეურნეობამ უნდა განავითაროს მეფრინველეობა, უზრუნველჰყოს შინაური ფრინველი მარცვლეულით და სხვა საკვებით, აამაღლოს ფრინველის პროდუქტიულობა; ვათვალისწინებულია აგრეთვე პლანტაციებისა და ბაღების მავნებელ მწერებთან და მატლებთან საბრძოლველად ქათმებისა და ინდაურების გამოყენება. მეფრინველეობის დარგში კოლმეურნეობები სარგებლობენ შეღავათებით სახელმწიფო სავალდებულო ჩაბარებისა და სხვ. მხრივ.

ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა, რომ ამიერკავკასიასა და კერძოდ საქართველოში მეფრინველეობას საბჭოთამდელ პერიოდშიც მნიშვნელოვანი ტრადიცია ჰქონდა, იგი სოფლის მეურნეობის და კერძოდ მეცხოველეობის დარგთა შორის ერთ-ერთი მასობრივად გავრცელებული დარგი იყო და, სერიოზულ როლს თამაშობდა სოფლის ეკონომიკაში. და, რასაკვირველია, მით უფრო ფართოდ უნდა იქნას ჩვენს სინამდვილეში წარმოდგენილი პერსპექტივა მეფრინველეობის განვითარებისა.

ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს იმისა, რომ პერსპექტივა საქართველოში მეფრინველეობის განვითარების მაღალი ტემპისა განუხრელად გავატაროთ ცხოვრებაში და უზრუნველვჰყოთ მეფრინველეობის ყოველმხრივი აღმავლობა.

IX

მეაბრეშუმეობა

1. ზოგადი ცნობები

აბრეშუმი მატყლსა, ბამბასა და სელთან ერთად ტექსტილური მრეწველობის ძირითად ბუნებრივ (სოფლისმეურნეობრივ) ნედლეულს წარმოადგენს უძველესი დროიდანვე. ამასთანავე აბრეშუმის ნართი თავისებური ტექნოლოგიური თვისებების (ელასტიკურობის, სიმაგრის, სისწორის, სილამაზისა და სიმშვენიერის) მეოხებით, წარმოების მასშტაბის განსაზღვრულობითა და მაღალი დანახარჯებით ყველაზე ძვირფასი მასალაა ტექსტილური მრეწველობისათვის და, მაშასადამე, ადამიანის შესამოსელთა თუ დეკორაციული წარმოების ნაკეთობათათვის.

მაინც, ტექსტილური წარმოების მთლიან მასაში აბრეშუმსა და ბამბას, მე-19 საუკუნემდე, მატყლსა და სელთან შედარებით, უმნიშვნელო ადგილი ეჭირა. ერთი ინგლისელი სტატისტიკოსის გამოანგარიშებით 1731 — 1800 წწ. მსოფლიოში მოხმარებული ტექსტილური ნედლეულის ღირებულება უდრიდა 1.730.000.000 სტერლინგს, საიდანაც მოდიოდა, პროცენტობით; მატყლზე — 60,3; სელსა და ქერელზე — 16,0; აბრეშუმზე — 15,3; ბამბაზე — 8,1. მაგრამ კარდინალურად შეიცვალა ეს შეფარდება ინდუსტრიული რევოლუციის დროიდან, მას მერმე რაც ტექსტილურ მრეწველობაში ხელით შრომა გამოდევნა მანქანურმა წარმოებამ. მე-18 ს. მიწურულიდან აქ ბამბა გადაიქცა ყველაზე ძირითად ნედ-

ლეულად[1]. 1913 წელს მსხვილმა მანქანურმა ტექსტილურმა მრეწველობამ მოიხმარა მატყლთან შედარებით 22-ჯერ ნაკლები, ხოლო ბამბასთან შედარებით 175-ჯერ ნაკლები აბრეშუმი.

მიუხედავად ამისა აბრეშუმის ტანისამოსის მოხმარება სულ უფრო ფართოვდება და თუ ძველად იგი ბრწყინვალე წოდებაშიაც-კი ფუფუნების საგნად ითვლებოდა მე-20 საუკუნიდან შედარებით უკვე მასობრივი, სახალხო მოხმარების საგნად იქცევა. მიუხედავად ამისა აბრეშუმის (გრეჟის) მოხმარება მოსახლეობის 1 სულზე მაინც დაბალი იყო და 1913 წელს უდრიდა კილოგრამობით: აშშ — 0.11; საფრანგეთში— 0,06; გერმანიაში — 0.04; იტალიაში — 0.04 და რუსეთში— 0.01. ამგვარად, აბრეშუმის მოხმარების მხრივ პირველ ადგილზე იდგა ქვეყანა, რომელსაც სულაც არ გააჩნდა საკუთარი ნედლეული. ჩვენ აქ საერთოდ არ ვეხებით ხელოვნური აბრეშუმის წარმოებას, რამაც მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდანვე უდიდესი წარმატებები მოიპოვა.

გრეჟის მსოფლიო წარმოების დინამიკა %%-ით

წლები	ევროპა	ახლო და შუა აღმოსავლეთი	შორეული აღმოსავლეთი
1875	36,1	7,7	56,2
1880	34,1	6,8	59.1
1885	35,9	6,5	57,6
1890	38,8	6,8	54,4
1895	28,6	7,5	63,9
1900	30,6	9,5	59,9
1911	18,0	12,0	70,0
1912	18.4	8,2	73,4
1913	15,5	8,4	76, 1
19·4	21,7	8,0	70,3
1915.	13,5	4,4	82,1
1916	15,0	3,8	81,2
1917	12,1	3,8	84,1
1918	12,6	4,1	83,3
1919	7,6	4.2	88,2
1920	17,5	3,6	78,9

[1] პ. გუგუშვილი, „ტექნიკის მარქსისტული ისტორია", კაპიტალისტური ეპოქა, 1933, ტფ., გვ. 68 — 71.

გრეჟის მსოფლიო წარმოება აბსოლუტურ მონაცემებში უდრიდა (ათას კილოგრამობით): 1875 წ. — 9.575; 1880 წ.— 10.577; 1890 წ. — 11.441; 1900 წ.—18.472; 1913 წ. — 27.320; 1920 წ. — 20.830.

მეაბრეშუმეობის ძირითადი ქვეყნებია: ევროპაში — იტალია, აზიაში — ჩინეთი და იაპონია. აბრეშუმის მრეწველობის პროდუქციის მსოფლიო საქონელბრუნვის მიხედვით მე-20 ს. დამდეგისათვის პირველ ადგილზე გამოდის იაპონია; თვით პარკის წარმოების მხრივ-კი პირველ ადგილს ინარჩუნებს მეაბრეშუმეობის სამშობლოდ მიჩნეული ჩინეთი. აბრეშუმის მსოფლიო საქონელბრუნვაში ხვედრწონის მხრივ მოდიან (პროცენტობით):

წლები	ჩინეთი	იაპონია	იტალია	დანარჩენი ქვეყნები
1895	38,9	22,8	20,9	17,4
1900	36,0	22,3	12,3	29,5
1913	31,5	43,1	12,9	22,5

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იატალიაზე მოდიოდა ევროპაში აბრეშუმის გრეჟის წარმოების 74 პროცენტი (3.132 ათასი კგრ.) 1895 წელს, 40 პროცენტი (2.275 ათასი კგრ.) 1900 წელს და 83,0 პროცენტი (3.540 ათასი კგრ) 1913 წელს[2].

მეაბრეშუმეობის ეკონომიკის ბურჟუაზიულ სპეციალისტები მნიშვნელოვანი ნაწილი ამტკიცებს, რომ სოფლის მეურნეობის (მეცხოველეობის) ეს დარგი „გაჩენილია წვრილი წარმოებისათვის“ და რომ მსხვილ-ფერმერულ მეურნეობებში მან საბოლოოდ მარცხი განიცადა, როგორც აღმოსავლეთში (იაპონიაში), ასევე დასავლეთშიც (იტალიასა და საფრანგეთში)[3]. ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებში მეაბრეშუმეობის გა-

---

[2] А. Черных, „Очерки экономики мирового шелководства“, вып. I, 1929, Ташкент.

[3] გ. გოგოტაშვილი 1927 წ. წერდა: „... მეაბრეშუმეობის დარგში კი მსხვილ წარმოებას არავითარი უპირატესობა არ აქვს წვრილ წარმოებასთან შედარებით; პირიქით, აქ მოგებას იძლევა მხოლოდ წვრილი

ნვითარების ძირითად სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებად სთვლიან: მოსახლეობის შედარებით მაღალ სიმჭიდროვეს, ხელფასის დაბალ დონეს და ჭარბ მუშახელს, რომელიც თავის გამოყენებას ვერ ჰპოულობს მრეწველობასა და არც რენტაბელურ სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში. ამასთანავე მეაბრეშუმეობა ისეთი დარგია სოფლის მეურნეობისა, რომელიც წარმოებისა და, მაშასადამე, მეწარმეობის მეტად არახანგრძლივი პერიოდით ხასიათდება, რისგამოც იგი გლეხურ მეურნეობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ დამხმარე დარგისა (წარმოებისა) და არა როგორც ძირითადი, მით უმეტეს ერთადერთი დარგის სახით.

მეაბრეშუმეობაში ყველაზე მთავარ მომენტად ითვლება აბრეშუმის ჭიის გამოკვება. აბრეშუმის ჭია ყველაზე გაუმაძღარ ცხოველს წარმოადგენს. ჭიის გამოკვება ფრიად შრომატევადი საქმეა და, ამასთანავე, მოითხოვს გამოცდილ მუშახელს. აბრეშუმის პარკის აკრეფით და ფრიად მცირე ნაწილისაგან (დაახლოებით 1 %) თესლის მიღების (გრენაჟის) ოპერაციით თავდება სოფლისმეურნეობრივი შრომა — მეაბრეშუმეობის ციკლი.

2. მეაბრეშუმეობა მე-19 ს. პირველ ნახევარში

აბრეშუმის ჭიას (ქართ. ხალხ.) უკანასკნელ ხანებში, უწინარეს თარგმნილ ლიტერატურაში და მერმე მისი გავლენით ორიგინალურშიც, სცვლიან ტერმინით „აბრეშუმმხვევი"[1],

---

მეურნეობა და ისიც მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მასში არ არის გამოყენებული დაქირავებული შრომა" („საქართველოს ეკონომისტი", 1927, № 11, გვ. 65).

[1] გ. ფ ხ ა კ ა ძ ე, „მასალები საქართველოს მეაბრეშუმეობის ძველი ისტორიისათვის", 1957, გვ. 4 — 5, 7 და შემდ.

„აბრეშუმმქსოველი“, აბრეშუმმქსოვი“,[2] „აბრეშუმფეიქარი“. „ჭია-ფეიქარი“[3] და სხვ. რაც რუს. шелкопряд-ის (და თვით რუსულში კიდევ უცხოურიდან მომდინარე შესაბამისი ტერმინის) გაქართულებას წარმოადგენს.

უძველეს ქართულში აბრეშუმს, აბრეშუმის ქსოვილს ჭიჭნაურს უწოდებდნენ. მაგალითად, ბიბლიის ქართულ თარგმანში ვკითხულობთ „...შეგამკუე ოქროთია და ვერცხლითა... და ჭრელნი ჭიჭნაურითა შეგასხენ...“[4] ჭიჭნაუხტი მოხსენებულია მე-5 ს. ქართულ ორიგინალურ ძეგლშიაც, სახელდობრ იაკობ ხუცესის (ცურტაველის) თხზულებაში, სადაც ვკითხულობთ: „შუშანიკ ნაცვლად ჭიჭნაუხტისა საქმისა... ხელთა აღიხუნა დაეითნიო...“. პროფ. ი. აბულაძის განმარტებით ძვ. ქართული „ჭიჭნაუხტისა საქმე“ ნიშნავს აბრეშუმის ქსოვას, აბრეშუმის ხელსაქმეს[5].

ივ. ჯავახიშვილის ცნობით აბრეშუმი (სპარს.) ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში გვხვდება მე-11 საუკუნიდან, უწინარეს „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“ — „აბრეშუმსა

---

[2] ნანული ა ბ ე ს ა ძ ე, „მეაბრეშუმეობა საქართველოში“, 1957, გვ. 118—119.

[3] გ. ნ ე მ ს ა ძ ე, „ჭია-ფეიქარი“, 1954, თბ.

[4] „დაბადება“ (ბიბლია), 1884, ტფ., II, გვ. 647 — 648.

[5] ი. ც უ რ ტ ა ვ ე ლ ი, „მარტვილობა შუშანიკისი“, 1938, ტფ. გვ. 98. ამასთანავე იქნებ შეიძლება ვიფიქროთ, რომ „ჭაჭნაუხტი“ („ჭაჭნავუხტი)“ თვით აბრეშუმის ჭიას და, მაშასადამე, „ჭაჭნაუხტისა საქმე“ აბრეშუმის ჭიის მოვლას ნიშნავდეს, რამდენადაც „ეუხტ“ ქსოვას (რთვას) ნიშნავს, ხოლო „ჭაჭნა“-ს იქნებ ჭიასთან ჰქონდეს კავშირი და ამდენადვე ჭაჭნავუხტი აბრეშუმმრთველს — шелкопрядˈ-ს შეესატყვისებოდეს.

ნ. აბესაძე წერს, რომ „შუშანიკის წამებაში“ მოხსენებული „ჭაჭნაუხტის საქმე“, თუ ქალისათვის მიჩნეული აბრეშუმის გარკვეული საქმიანობაა, მაშინ ცხადი ხდება, რომ მე-5 ს. საქართველოსათვის ცნობილია აბრეშუმის კულტურაო“ (ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, „მეაბრეშუმეობა საქართველოში“, გვ. 143). მაგრამ აბრეშუმის ქსოვა არაა უეჭველი საბუთი იმისა, რომ აქ მეაბრეშუმეობას მისდევდნენ, რამდენადაც შესაძლებელია შემოტანილი ნართიც ექსოვათ. სულ სხვა იქნება, თუ დადასტურდა ის მოსაზრება, რომ „ჭაჭნაუხტისა საქმე“ თვით აბრეშუმის ჭიის მოვლას ნიშნავს.

გამოიღებს მატლი უნდო"[6]. ს. ს. ორბელიანის მიხედვით აბრეშუმი იგივე ჭიჭნაურია, ხოლო საabrეშუმე კი აბრეშუმიხ ადგილი[7].

ნანული აბესაძეს, მეაბრეშუმეობის შესახებ თავის საინტერესო ეთნოგრაფიულ გამოკვლევაში, მოყავს რამდენიმე ამონაწერი დ. ფანასკერტელ-ციციშვილის თხზულებიდან („შემოკლებული მოთხრობა ქცევათა და ჩვეულებათათვის ქართველთა"), სადაც ჭიჭნაური და აბრეშუმი ერთდროულად იხმარება. „...მაშინ სასიძოცა შთაიცვამდა ძვირფასსა სამოსელსა: პერანგსა ჭიჭნაურისასა, პერანგის ამხანაგსა ჭიჭნაურისასვე. წვივთა ზედა პაიჭსა. ფეხთა ზედან წინდასა აბრეშუმისასაო"[8]. სავარაუდებელია, რომ აქ ჭიჭნაური უცხოურ, ძვირფას აბრეშუმქსოვილს, ხოლო აბრეშუმის წინდა კიდევ ადგილობრივ, უბრალო ნაკეთობას აღნიშნავდეს.

ჭიჭნაური ლიტერატურულ ქართულში იხმარებოდა მე-13 საუკუნეშიც. ამ მხრივ ცნობა შემოგვინახა დავით გურამიშვილმა: „ღმერთმან ქვეყნად რაც მოჰფინა.. ჭიაც ჩვენთვის ამუშაკა, ჭიჭნაური აპარკინა..."[9].

ამიერკავკასიის შესაბამის რაიონებში მეაბრეშუმეობის განვითარებას დიდად უწყობდა ხელს თვით ბუნებრივი პირობებიც. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ 1890 წელს ა. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ მ ა ქიზიყში, ტყეში იპოვა პარკი გარეული ჯიშის აბრეშუმის ჭიჭა[10]. არის გამოთქმული მოსაზრება, რომ მეაბრეშუმეობა ამიერკავკასიაში ცნობილი იყო ჯერ კიდევ ახ. წელთაღრიცხვამდე, თვით არგონავტების დროშიაც-კი.

ფიქრობენ, რომ ანტიკური ევროპისათვის აბრეშუმი ცნო-

---

[6] „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით", 1901, გვ. 351.

[7] ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „ქართული ლექსიკონი", 1928, გვ. 4, 28; 447.

[8] ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, „მეაბრეშუმეობა საქართველოში", 1957, თბ., გვ. 142—143.

[9] დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, „დავითიანი", 1931, ტფ., გვ. 41.

[10] КСХ, 1898 г, № 208.

ბილი გახდა უკვე ალექსანდრე მაკედონელის დროს[11]. პტოლომეს ცნობით (2 ს.) რომაელი ვაჭრები ბაქტრიიდან მიდიოდნენ ჩრდილოეთით და ფერგანში ანუ ალაის ველზე ხვდებოდნენ შორეულ აღმოსავლეთში მიმავალ სოგდიელ სოვდაგრებს. ამ ვაჭრობის უმთავრესი საგანთაგანი იყო აბრეშუმი. მეაბრეშუმეობა ჩინეთიდან გავრცელდა შუა აზიაში, ირანსა და რომის იმპერიაში. ბიზანტიელ ავტორთა ცნობით სოვდიაში მეაბრეშუმეობამ განვითარების მნიშვნელოვან დონეს მიაღწია ჯერ კიდევ VI საუკუნეში, თუმცა მაშინდელ მსოფლიო ბაზრებზე მას ძლიერ მეტოქეობას უწევდა უკვე ირანული აბრეშუმი[12].

ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობის ადრიდგანვე გავრცელებას[13] სხვათა შორის ხელს შეუწყობდა ის გარემოებაც, რომ იგი იყო ერთ-ერთი სატრანზიტო ტერიტორია ჯერ ძველ საბერძნეთ-რომსა და ირან-ინდოეთს შორის და, მერმე, თვით მე-5—6 საუკუნეებიდანვე ბიზანტიასა და ირან-ინდოეთს შორის[14]. შუა საუკუნეებში აბრეშუმის ვაჭრობის მხრივ მსოფლიო სახელი ჰქონდა შირვანს (შემახიას), საიდანაც აბრეშუმი

---

[11] Н. Шавров, „Шелководство и шелковая промышленность в Турции", 1907 г., Тифлис, ч. I; И. Боляе, „Шелководство в Японии, 1904, Тифлис; К. Риттер, „История землеведения...", 1864; Д. Россинский, „Исторический хрд и современное состояние шелководства на земном шаре", 1899.

[12] Г. Гиббинс, „История торговли Европы", 1900; Л. Дживилегов, „Торговля на Западе в средние века", 1904; W. Heyd, „Histoire du commerce en Moyen-âge", 1923, t. I-II.

[13] იხ. გ. ფხაკაძე, „მასალები საქართველოს მეაბრეშუმეობის ძველი ისტორიისათვის", 1957, თბ.

[14] ს. ყაუხჩიშვილი, „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ", 1936, თბ., ტ. III, გვ. 206—207, 234, 253—255; Г. Гозалишвили, „О древнем торговом пути в Закавказье" („Труды института истории АН ГССР, 1956, т. II); З. Яполь-ский, „К изучению древнего пути из Каспийского моря по реке Куре через Грузию к Черному морю" (там же).

გაქონდათ, როგორც თვით ირანში, ასევე სირიაში, მცირე აზიის ქალაქებსა და ვენეციაშიაც-კი[15].

მე-16 — 18 სს., მიუხედავად ამიერკავკასიის პოლიტიკური დაქუცმაცებულობისა და ეკონომიკური დაქვეითებისა მეაბრეშუმეობა და აბრეშუმის მრეწველობა აქ საკმაოდ ყოფილა გავრცელებული. ა. ლამბერტისა და ჟ. შარდენის ცნობით მე-17 ს. თურქეთიდან შემოტანილ საქონელს დას. საქართველოში ცვლიდნენ სხვათაშორის აბრეშუმზედაც[16]. ჟ. შარდენი აცხადებს, რომ აღმ. საქართველოში „აწარმოებენ დიდძალ აბრეშუმს, მაგრამ მაინც არც ისე ბევრს, როგორც მოგზაურები წერენ"; აბრეშუმი აქედან გააქვთ თურქეთს, არზრუმსა და სხვა ქვეყნებშიო[17].

დას. საქართველოში მე-17 ს. აბრეშუმის მთავარი ბაზარი ყოფილა ქ. ქუთაისში და მეაბრეშუმეობაც მთელს ამ მხარეში საყოველთაოდ გავრცელებულიაო,—აღნიშნავდნენ მოსკოველი ელჩები[18]. მე-18 ს. მეორე ნახევრისათვის ამასვე ადასტურებს ი. რაინეგსი[19]; ხოლო უკანასკნელზე ორიოდე ათეული წლით ადრე—საერთოდ აღმ. ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობის გავრცელებულობის ფაქტს აღნიშნავდა აკად. ი. გვილდენშტედტი[20]. ამასთანავე აბრეშუმი და მისი სხვადასხვა-გვარი ნაკეთობანი, როგორც ეს ჩანს იმდროინდელი საბაჟო ტარი-

---

[15] СМОПМК, XXXVIII, стр. 87; Марко Поло, „Путешествие...", 1902, СПБ, стр. 30; Проф. А. Габайдулин, „К истории шелководства в Азербайджане" (ПООПА, 1927, Баку, № 5).

[16] არქანჯელო ლამბერტი, „საქართველოს აღწერა", გვ. 169. Ж. Шарден, „Путешествие по Закавказью...", стр. 35.

[17] ჟ. შარდენი, დასახ. თხზ., გვ. 181; А. Натроев, „Шелководство в Закавказье" (КСХ, 1899 г., № 299, стр. 713—715).

[18] М. Полиевктов, „Посольство стольника Толочанова... в Имеретию", 1925, Тифлис, стр. 111, 188.

[19] J. Reineggs, „Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus", 1798, II, S. 28, 50.

[20] И. Гильденштедт, „Описание Грузии и Кавказа", 1809, СПБ., стр. 262.

ფებსა და ინსტრუქციებიდან[21], გაცვლის ერთ-ერთი მთავარი ობიექტი იყო, როგორც ამიერკავკასიასა და ირან-თურქეთს შორის, ისე თვით ამიერკავკასიის ცალკე რაიონებს შორისაც[22]. ამიერკავკასიიდან, კერძოდ შემახიადან (შირვანიდან) აბრეშუმი მნიშვნელოვანი რაოდენობით გაქონდათ კერძოდ რუსეთში ჯერ კიდევ მე-16 — 17 საუკუნეებშიაც[23].

მეაბრეშუმეობა ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში, სახელდობრ მეცხოველეობაში წარმოადგენდა ერთ-ერთ უძველეს დარგს მეურნეობრივი თვალსაზრისისა, სადაც ნატურალურ ურთიერთობათა პირობებშიაც წვრილი მეურნეობა, გლეხის ოჯახი სპორადულად აწარმოებდა საქონელს, თანაც საექსპორტო საქონელს. მეაბრეშუმეობა შედარებით ადვილად ხელმისაწვდომი და თანაც სულ მოკლე დროში მნიშვნელოვანი შემოსავლის მომცემი შრომატევადი დარგი იყო წარმოებისა, რომელიც გლეხურ მეურნეობას უქმნიდა ფულადი შემოსავლის ერთ-ერთ და ზოგან კიდევ ძირითად წყაროს ბეგარა-გამოსაღებთა გადახდისა და ოჯახში მოუპოვებელი აუცილებელი ნივთების ფულით შეძენისათვის.

ძველად საქართველოში, მაგალითად, მე-12 ს. ცნობით, მეაბრეშუმეობის მიმდევარი გლეხები იბეგრებოდნენ აბრეშუმით. ბოსტან-ქალაქის (რუსთავის) მცხოვრებ გლეხებს, 67 კომლს, ევალებოდა „ხელმწიფის შესავლით“ 12 ბათმანი აბრეშუმის გამოღება[24].

საეკლესიო გლეხები, კერძოდ მცხეთის ტაძრისათვის შეწირული ყმები, როგორც წინათ მებატონეს, ისე ამიერიდან

---

[21] პ. გუგუშვილი, „ქართული საბაჟო ტარიფი“ (მსკი, III, გვ. 299, 308).

[22] АСКАК, V, 943; СМИЭГКЗК, IV, II, 141—153.

[23] „Библиотека иностранных писателей о России“, СПБ, т I, 48, 56, 76; „Кавказ“, 1851 г., №№ 53, 75; П. Любомиров, „Очерки по истории русской промышленности“, 1947, Москва, стр. 633—643.

[24] ს. კაკაბაძე, „ისტორიული საბუთები“, I, გვ. 34; ნ. აბესაძე, მეაბრეშუმეობა საქართველოში“, პროფ. გ. ჩიტაიას რედაქციით, 1957, გვ. 146.

(ამ შემთხვევაში 1613 წლიდან) ეკლესიას ბეგარის სახით უხდიდნენ პურს, ღვინოს და სხვ., და აგრეთვე აბრეშუმს[25].

ვახტანგ VI „დასტურლამალის“ მიხედვით შულავრისა და თეთრი სოფლის მცხოვრებლებზე გაიწერებოდა: „კვამლზედ თითო კვერცხი ყაჭი, ვისაც ჭია ჰყვანდეს, მანჯანიკზედ თითო სტილი აბრეშუმი, თუ მოვიდეს თორემ ნუ ჰსთხოვენო“, — დასძენს განმწესებელი[26]. აქვე, ქვემოთ, კიდევ ნათქვამია: „ვინც ჭიას შეინახავს ერთი კვერცხი ყაჭი“ უნდა გადაიხადოსო[27].

ბატონყმობის გაუქმების სამზადისში შედგენილ დოკუმენტში,—იმის შესახებ თუ რა და რა ნატურალური შემოსავალი ჰქონდა გლეხებისაგან სამეგრელოს მთავარს მეცხოველეობისა და მემცენარეობის პროდუქტებს შორის დასახელებულია აბრეშუმიც[28]. ბეგარის სახით გაწერილი აბრეშუმის ლანდის (შულოს) რაოდენობა დამოკიდებული იყო გათხოვილი ქალების რაოდენობაზე[29]. სომხეთსა და აზერბაიჯანში 1847 წ. 20 აპრილის დებულების მიხედვით მემამულეს შეეძლო გლეხისაგან წაეღო აბრეშუმის მთელი მოსავლის ერთ მესამედამდე[30].

ამასთანავე, რამდენადაც მეაბრეშუმეობა აქ სოფლისმეურნეობრივი წარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს შეადგენდა იგი, ცხადია, თვითონაც იყო როგორც ადგილობრივ ხელისუფალთა, ასევე დამპყრობთა მხრივ დაბეგვრის ობიექტი. რიგ რაიონში, მაგალითად, ირანელი დამპყრობლები, მოსახლეობისაგან ხარკს თვით აბრეშუმის სახითაც ბოჭავდნენ. მაგალითად, კახეთის მეფე ოსმალეთს წლიურად 30 საპალნე აბრეშუმს უხდიდა. 1596 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე ირანის შაჰს „ძღვნად“ უგზავნის აბრეშუმსა და სხვადასხვა მისართმეველს — 20 საპალნეს[31].

---

25 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, „ისტ. საბუთები“, IV, 9.

26 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, „დასტურლამალი“, § სთ, გვ. 99.

27 იქვე, გვ. 100.

28 П. Г у г у ш в и л и. „Сельское хозяйство и аграрные отношения“, II, 456.

29 იქვე, გვ. 499.

30 იქვე, ტომი IV, გვ. 165 და 370.

31. ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთების დროიდან ქვეყნის თანდათანი საერთო ეკონომიკური აღმავლობის შესაბამისად აქ მეაბრეშუმეობაც ვითარდება. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ხელისუფლება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნემდეც დიდად იყო დაინტერესებული ამიერკავკასიური აბრეშუმით.

უკვე მე-16 საუკუნიდან, მას მერმე რაც ასტრახანი რუსეთის ქალაქად იქცა, უკანასკნელი სულ აფართოებს კომერციულ კავშირს, ერთი მხრივ, მოსკოვის სახელმწიფოსა და, მეორე მხრივ, ამიერკავკასიასა და ირანს შორის. ამალე ასტრახანში იწყება ცდები უცხოური, უპირატესად აღმოსავლური წარმომავლობის მევცენარეობისა და მეცხოველეობის ზოგიერთი „სამეწარმეობო დარგის“ გადატანისა და ადგილობრივად დანერგვისათვის. მე-17 საუკუნეში აქ უკვე იხსენიება მეაბრეშუმეობისათვის გაშენებული სახაზინო თუთისხის ბაღები. მე-18 საუკუნიდან მეაბრეშუმეობა ფეხს იკიდებს აგრეთვე იმიერკავკასიაში, თერგის ოკრუგში, ყიზლარში. როგორც ასტრახანში, ისე იმიერკავკასიის სხვადასხვა რაიონში მეაბრეშუმეობას მისდევდნენ იქ გადასახლებული სომხები და ქართველები[32].

1718 წ. პეტრე პირველმა სომეხ საფარა ვასილიევს უბოძა სიგელი, რითაც უკანასკნელს უფლება ეძლეოდა თერგის ოკრუგში შეერჩია მიწა თუთისხეების გაშენებისა და, მაშასადამე, მეაბრეშუმეობისათვის. საერთოდ პეტრე I მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებდა მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის. მისი ბრძანებულებით ასტრახანელი მეაბრეშუმეები თვითეულად იყვნენ აღრიცხვაზე აყვანილი. აქ სავალდებულოდ იყო გამოცხადებული თუთისხეების გაშენება, ხოლო იმას ვინც თუთის ნარგავს მოსპრიდა სიკვდილით სჯიდნენ[33].

---

[32] „Хозяйственное описание Астраханской и Кавказской губернии“, 1809, стр. 312—313; Рыбушкин, „Записки об Астрахани“, 1912, стр. 57—58; Кулишер, „Очерк истории русской промышленности“, 1924, стр. 118—119.

[33] Е. Михайлов, „Шелководство“, 1950, стр. 8.

1760-იან წლებში, როგორც ჩანს, ყიზლარსა და საერთოდ თერგის ოკრუგში, კერძოდ მდ. თერგის სანაპიროებზე უფრო მოიკიდა ფეხი მეაბრეშუმეობამ. აქ მეაბრეშუმეთა ერთ სოფელში („სლობოდკაში") 1762 წელს მუშაობდა 227 სომეხი, 153 ქართველი და 35 რუსი მამრ. სქესისა; — გაშენებული იყო თუთისხის პლანტაცია და ეწეოდნენ აბრეშუმის ჭიის გაპოკვებას. 1772 წ. ამ „ზავოდში" უკვე მიიღეს რვა ფუთი აბრეშუმი[34].

1763 წ. ეკატერინე II ბრძანებულებით მოსე საფაროვს მიეცა სასურველი რაოდენობით მიწა ასტრახანში, რათა გაეშენებია თუთისხის პლანტაციები[35]. რუსეთში თუთისხეების გაშენებისა და მეაბრეშუმეობის გაუმჯობესების წესების შესახებ 1798 წელს პავლე I მიერ გამოცემულ ბრძანებულებაში აღნიშნულია, რომ რუსეთის საჭფლობელოებში, კერძოდ ყიზლარს, მოზდოკს, ასტრახანსა და სხვ. მეაბრეშუმეობას მისდევენ განსაკუთრებით სომხები, ქართველები და ირანელები. კერძოდ, ქ. ასტრახანის შესახებ აქ ნათქვამია: „ასტრახანში თითქმის ყველა ბაღში ხარობს თუთისხეები. სომხებმა, ქართველებმა და ირანელებმა, რომლებიც იქ ცხოვრობენ, იცვან აბრეშუმის ჭიის მოვლა და მათგან ზოგიერთი ყოველწლიურად აწარმოებს საკუთარი მოხმარებისათვის, გარკვეული რაოდენობის აბრეშუმს"[36].

აღსანიშნავია, რომ ქ. ასტრახანში ასიოდე წლის მერმეც, სახელდობრ 1830-იან წლებშიც, ყურადღებას იქცევდნენ ამერკავკასიელი მეაბრეშუმეები. ამ მხრივ, საინტერესოა კერძოდ გ. კ. ჩიჩუას მოღვაწეობა[37]. გ. ჩიჩუას უშუალო კავშირი ჰქონდა სოფლის მეურნეობის კავკასიურ საზოგა-

---

[34] П. Бутков, „Материалы для новой истории Кавказа..." 1869, СПБ, т. I, стр. 159—160.

[35] „На истории шелководства в России" („Красный Архив", 1941 г., № 3, стр. 85—88).

[36] ПСЗРИ, т. XXIV, № 18240, стр. 795.

[37] „Очерк деятельности станции шелководства Т. К. Чичуа в Астрахани", 1889 г., Астрахань.

ღოებასთან; თესლს იგი თბილისის მეაბრეშუმეობის სადგურიდან ღებულობდა ხოლმე.

ქ. ასტრახანში ამ სარბიელზე გ. ჩიჩუას საქმიანობამ მიიქცია თვით ნ. ჩერნიშევსკის ყურადღება. 1889 წ. 7 მაისს ნ. ჩერნიშევსკი თავის მეუღლეს სწერდა: „დღეს ოილის 10 საათზე ჩემს წასაყვანად შემოივლის თავადი ჩიჩუა; მას სურს მაჩვენოს თუ რა კარგად მიდის მისი მეაბრეშუმეობა...“ ერთი კვირის შემდეგ ნ. ჩერნიშევსკი იმავე ადრესატს ატყობინებდა, რომ უკვე დაათვალიერა გ. ჩიჩუას მეაბრეშუმეობის მეურნეობა, სადაც „საკმაოდ ბევრია თუთის ხეები, რომლის ფოთლებითაც იკვებებიან აბრეშუმის ჭიები.... ჩიჩუამ მაჩვენა თავისი აბრეშუმის პატარა (მომავალი დიდი) პლანტაცია. დამატარა მთელი ბაღი... დავპირდი შენს მაგივრად, როდესაც შენ ჩამოხვალ, ჩვენ ერთად ვნახავთ მას“[38].

აქ საჭიროა დავსძინოთ, რომ თვით გ. ჩიჩუას ცნობით ნ. ჩერნიშევსკის მასთან დაახლოება მომხდარა სწორედ იმ გარემოებით, რომ „იგი დაინტერესდა ჩემი მეაბრეშუმეობით და ჩემს მიერ მიწოდებული ამბებით კავკასიასა და კერძოდ საქართველოზე... დაუმეგობრდი მის მეუღლესაც, რომელიც მომხიბვლელი ხასიათის ქალი იყო...“[39].

როგორც ჩანს ნ. ჩერნიშევსკი ახლო მონაწილეობასაც ღებულობდა ქ. ასტრახანში გ. ჩიჩუას მეაბრეშუმეობის მეურნეობის პოპულარიზაციის საქმეში, ზრუნავდა მისი წარმატებისათვის გამოფენებსა და სხვა მხრივ, რაც ნათლად ჩანს გ. ჩიჩუასადმი ნ. ჩერნიშევსკის პირადი წერილიდანაც[40]. აღსანიშნავია, რომ 1889 წელს ქ. სარატოვის საერობო გამოფენაზე (земская выставка) წარდგენილი აბ-

---

[38] Н. Г. Чернышевский, „Литературное наследие“, 1930, т. III, стр. 410—415.

[39] „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1935, ტფ., ტ. I, გვ. 586—587.

[40] იქვე, გვ. 592—593.

რეშუმის პარკისათვის გ. კ. ჩიჩუა დააჯილდოვეს ბრინჯაოს მედალით „...ასტრახანში წვრილმეურნეობრივი წარმოების პირობებში მეაბრეშუმეობის წარმატებით გავრცელებისათვის“[41].

*

* *

საქართველოსა და ამიერკავკასიის. რუსეთთან შეერთების დროიდანვე მოყოლებული ცარიზმის სოფლისმეურნეობრივ პოლიტიკაში ყოველთვის თვალსაჩინო ადგილი ჰქონდა დათმობილი აქ მეაბრეშუმეობის განვითარება-გავრცელების საკითხს. ეს ყურადღება ამიერკავკასიური მეაბრეშუმეობისადმი მით უფრო იზრდებოდა, რაც უფრო აუცილებელი ხდებოდა შიგარუსეთის საფეიქრო მრეწველობისათვის აქაური ნედლეული.

ჯერ კიდევ 1802 წელს გენერალ-პროკურორ ბ ე კ ლ ე შ ე ვ ი ს ბრძანებით პეტერბურგიდან საქართველოში მოვლინებულ იქნა მეაბრეშუმეობის მთავარი ინსპექტორი ბ ა რ ო ნ ბ ი ბ ე რ შ ტ ე ი ნ ი: „რათა გასცნობოდა თუ რა მდგომარეობაშია მანდ მეაბრეშუმეობა და პირადათ მიმოეხილა ადგილები, სადაც მეურნეობის ამ დარგის უფრო ხელსაყრელ პირობებში მოწყობა და გავრცელება იქნება შესაძლებელი“. ამ მიზნით ჩამოსულ ბიბერშტეინს ყოველმხრივ დახმარებას უწევდა საქართველოს გუბერნიის მმართველი პ. კ ო ვ ა ლ ე ნ ს კ ი, რომელმაც ამისათვის სპეციალური მოწერილობა მიიღო გენ. კ ნ ო რ ი ნ გ ი ს ა გ ა ნ[42].

ამის შემდეგ მალე პეტერბურგში მოხდა მეაბრეშუმეობის საქმის რეორგანიზაცია. გაჩნდა „სამხრეთ რუსეთსა და საქართველოში მეაბრეშუმეობის ინსპექტორის“ თანამდებობა. დაისახა ღონისძიებანი აბრეშუმის ძაფის ამოხვევის გაუმჯო-

---

[41] „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1935, ტფ., ტ. I, გვ. 593; — გ. ა ბ ზ ი ა ნ ი ძ ი ს წერილი.

[42] АСКАК, I, № 1123, стр. 760.

ბესებისა, ამ მიზნით შეგირდების მომზადებისა და საერთოდ მეაბრეშუმეობის მიმდევარი მოსახლეობის წაქეზებისათვის[43].

1803 წ. 5 მაისს იმპერატორის მიერ დამტკიცებულ მოხსენებით ბარათში — „1802 წელს მეაბრეშუმეობის განვითარების შესახებ", — სხვათაშორის ნათქვამია: „ქართლსა და სომხითში, ხოლო განსაკუთრებით მდინარე ქციისა და დებედაჩაის ქვემო წელზე მრავლად ხარობს თუთისხე, რომლის ფოთლით იმ ადგილების მცხოვრებნი კვებავენ აბრეშუმის ჭიას და ღებულობენ აბრეშუმს საოჯახო საჭიროებისათვის, ხოლო ბორჩალოს ოკრუგში — გასაყიდადაც. კახეთში, განსაკუთრებით მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირზე და ქიზიყის ოკრუგში მეაბრეშუმეობა ამჟამად საკმაოდ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს, რამდენადაც იქ ყოველწლიურად ღებულობენ 200 ფუთზე მეტ გრეჟას. მაგრამ მოსახლეობა არაა დახელოვნებული აბრეშუმის ძაფის ამოხვევაში... რის გამოც ამ აბრეშუმს ჰყიდიან სიღნაღში მცხოვრებ სომეხ ვაჭრებზე, ანდა მათვე უცვლიან სხვა საქონელზე; ფუთი აბრეშუმი ფასობს 80 მანეთამდე ვერცხლით"[44].

1805 წელს ამიერკავკასიაში სპეციალურად მოგზაურობს და საქმეს ეცნობა სამხრეთ რუსეთსა და საქართველოში მეაბრეშუმეობის ინსპექტორი, შემდეგში ცნობილი მეცნიერი, შვედი ბოტანიკოსი ქრისტიან სტევენი[45]. ცარიზმის ბიუროკრატია ცდილობს შესაბამის რაიონებში, სახელდობრ კახეთს, ჭარს, ნუხას, განჯას, ყაზახს, ბორჩალოს, იმერეთს, სამეგრელოს და სხვ. შეიტანოს და დანერგოს ევროპული, კერძოდ იტალიური ჯიშის აბრეშუმის თესლი და ამასთანავე აბრეშუმის ძაფის ამოხვევისა და რთვის ევროპული წესები. ზრუნავენ თუთისხეების გამრავლებისათვისაც[46].

---

43 I ПСЗРИ, т. XXVII, № 20746, стр, 584.

44 იქვე, გვ. 583.

45 თინა მაღალაშვილი, „გამოჩენილი მეცნიერი ბოტანიკოსი" (გაზ. „კომუნისტი", 1958 წ., № 91).

46 АСКАК, II, 247.

ამ ხანებში საერთოდ ცარიზმის ბიუროკრატიის მიერ შეგროვილი ცნობებიდან ჩანს, რომ ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობა ფართოდ იყო გავრცელებული, თუმცა განვითარების მხრივ დაბალ დონეზე იდგა. 1804 წელს დას. საქართველოს, კერძოდ იმერეთის მიმოხილვაში ლ ი ტ ვ ი ნ ო ვ ი წერდა, რომ აქ „აბრეშუმს ადვილად აწარმოებენ და ფრიად იაფია, იმიტომ რომ არსად არ გააქვთ და გამოიყენება მხოლოდ და ზხოლოდ ზოგიერთი საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებისათვის“[47]. 1808 წელს აგროვებენ ცნობებს იმის შესახებ, თუ რამდენი ძირი თუთისხეა და რამდენადაა მოსახლეობაში გავრცელებული მეაბრეშუმეობა ქართლ-კახეთის ყოფილ სამეფოში, ე. ი. საქართველოს გუბერნიაში[48]. 1810 წელს გენ. ტორმასოვი იმპერიის ფინანსთა მინისტრს გ უ რ ი ე ვ ს სწერდა, რომ შირვანის სახანოში ფართოდაა გავრცელებული მეაბრეშუმეობა, რომ აქაური მოსახლეობა აწარმოებს აბრეშუმის ქსოვილებს, ნოხებს, რომ შირვანის ოლქის რუსეთთან და ირანთან ვაჭრობის მთავარი საგანია აბრეშუმი, ენდრო და აბრეშუმის სხვადასხვა ქსოვილი[49].

ცარიზმის ბიუროკრატია ცდილობდა ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობის, მევენახეობისა და სოფლისმეურნეობრივი წარმოების სხვა „კომერციულ დარგთა“ განვითარებას, რამდენადაც ამ მხრივ საჭირო საქონელთა შესაძენად „ევროპაში ჩხრიალა მონეტის გატანა დიდ ბოროტებად“ იყო მიჩნეული და ყოველი ღონით მეცადინეობდნენ, რათა მიეღწიათ „იმ ეპოქისათვის, როდესაც უცხოეთთან ვაჭრობა შესაძლებელი იქნებოდა უფულოდ და, მაშასადამე, საქონლისათვის ეხადათ საქონლითვე“ და არა ოქროს ფულით. უცხოეთიდან შემოზიდული საქონლისათვის ოქროთი გადახდის აუცილებლობის არახელსაყრელ მდგომარეობას რომ რუსეთის საგა-

---

47 АСКАК, II, № 803, стр. 407.

48 АСКАК, III, № 90, стр. 50.

49 АСКАК, IV, № 37, стр. 38; см. также том IX, № 214, стр. 189.

რეო ვაჭრობაში ადგილი არ ქონოდა, მაშინ „...ცნობილ კასტელას წამოწყებას არ ექნებოდა ისეთი სწრაფი მსვლელობა და იქნებ დასაწყისიც — წამოწყებას, რომელსაც მხოლოდ ერთს შეეძლო განემტკიცებია ვაჭრობის ბალანსი ჩვენს სასარგებლოდ, გარეშე ყოველგვარი სხვამხრივი გავლენისა... თუ მთავრობა ჯეროვან ღონისძიებებს გაატარებს მეაბრეშუმეობისა და მეღვინეობის (მევენახეობის) გაუმჯობესებისა და გავრცელებისათვის, მებამბეობის განვითარებისა და სხვადასხვა სამღებრო მცენარეების გაშენებისათვის, მაშინ ჩვენ მთელ ევროპასთან გაგვეხსნება გაცვლითი ვაჭრობა და არამცთუ ჩვენგან არ გავა ჩხრიალა მონეტა უცხოურ ნაკეთობათა შესასყიდად, არამედ პირიქით, ჩვენსკენ წამოვა ჩვენთან მოვაჭრე სახელმწიფოთა კაპიტალებიც...“[50].

ხსენებულ კასტელას წამოწყების შესახებ ჩვენ მსჯელობა გვაქვს აბრეშუმის მრეწველობის ისტორიისადმი მიძღვნილ სპეციალურ მონოგრაფიაში[51]. აქ საჭიროა მხოლოდ აღინიშნოს, რომ იტალიელი ნეგოციანტი კასტელა რუსეთის ხელისუფლებას არწმუნებდა, რომ საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარებისა და აბრეშუმის მრეწველობის (ძაფსახვევი და ძაფსაგრეხი მანუფაქტურის) გაჩაღების გზით ხაზინას შეუნარჩუნებდა „იმ დიდ ხარკს“, რასაც რუსეთი ოქროს სახით უხდიდა უცხოეთს აბრეშუმის ნაწარმისათვის და ამასთანავე რუსეთი თვითონვე დაიწყებდა „თავისი საკუთარი და ირანული აბრეშუმით ევროპის უმთავრესი სავაჭრო ადგილების მომარაგებას“[52]. კასტელა ყოველივე ამ აღთქმას იძლეოდა ამიერკავკასიაში 10 წლით განსაკუთრებული პრივილეგიისა და, აგრეთვე, ხაზინისაგან სესხისა და სხვა სახის ფულადი და მატერიალური დახმარების, ადგილ-მამულთა მიღების საფუძველზე[53].

---

[50] АСКАК. VII, № 105, стр. 127.

[51] პ. გუგუშვილი, „მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის ამიერკავკასიაში“ (მსკი, III, 1939, ტფ.).

[52] АСКАК, VI, I, стр. 265.

[53] АСКАК, VI, I, № 330—347, стр. 265—273; том VII, № 8—145, стр. 3—206.

ერთი სიტყვით, რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობის გავრცელების საჭიროებას ქადაგებდა ცარიზმის მთელი ბიუროკრატია და ამასვე გაიძახოდნენ მასთან კავშირში მყოფი კომერციული მეწარმეების ადგილობრივი თუ უცხოელი საქმოსნები; ოღონდ დავას იწვევდა აქ მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის აუცილებელ ფულად საშუალებათა წყაროს გამონახვის საკითხი.

როგორც ცენტრში ისე ადგილზე ადმინისტრაციის ნაწილი ფიქრობდა, რომ ეს საქმე როგორც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება უნდა გადაჭრილიყო ხაზინის საშუალებებით. მაგრამ, მეორე მხრივ, რუსეთის სავაჭრო კაპიტალის ინტერესთა განუხრელად დამცველი ფრიად გავლენიანი წრეები, კერძოდ შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვანი იმ მოსაზრებას ატარებდნენ, რომ მეაბრეშუმეობა და თვით აბრეშუმის მრეწველობაც აქ კერძო მეწარმეობის გზით უნდა შესულიყო წარმატებაში[54].

ადგილობრივი ადმინისტრაცია, მაგალითად, საქართველოს მმართველი გენ. ა ხ ვ ე რ დ ო ვ ი 1810 წელს კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარსარდალს გენ. ტ ო რ მ ა ს ო ვ ს არწმუნებდა, რომ ხაზინის მხრივ მატერიალური დახმარების გარეშე, კერძოდ სახელმწიფოებრივ საწარმოთა მოწყობის გარეშე მეაბრეშუმეობა აქ დიდხანს ვერ მიაღწევს რუსეთისათვის საჭირო წარმატებას, რამდენადაც „საქართველოში მეაბრეშუმეობის ნამდვილი ფერმები („ქარხნები") კერძო ბირებს არა აქვთ, ხოლო თუ მოსახლეობა მისდევს მეაბრეშუმეობას, იგი წარმოდგენილია ფრიად წვრილი წარმოების სახით, — სახლებსა (ოჯახებსა) და სხვა ადგილებში"[55].

მაინც თუ რამდენად იყო ცარიზმის ადმინისტრაცია იმთავითვე დაინტერესებული ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობის განვითარება-გავრცელების საქმით, ეს იქიდან ჩანს, რომ

---

[54] АСКАК, IV, № 111, стр. 94.

[55] АСКАК, IV, №№ 111, 113, 115, стр. 94—96.

უკვე ამ დროსაც-კი რუსეთში საკმაოდ იყო დაწინაურებული აბრეშუმის მრეწველობა, რაც თავს იყრიდა მოსკოვის გუბერნიაში და საკუთრად ქ. მოსკოვს.

რუსეთში აბრეშუმის მრეწველობის შესახებ წარმოდგენას იძლევა მ. როჟკოვას მიერ თავმოყრილი ქვემოთ მოყვანილი ცნობები:

წლები	მუშათა რაოდენობა აბრეშუმის მრეწველობაში	მათი პროცენტული შეფარდება საერთოდ მთელ მუშათა რაოდენობასთან	
		გადამუშავებით მრეწველობაში	ტექსტილურ მრეწველობაში
1804	8.953	9,4	12,9
1814	9.300	5,5	7,2
1825	10.204	4,8	6,9
1830	13.452	5,3	7,3
1835	12.841	4,5	6,4
1850	17.880	3,5	6,3

რუსეთის აბრეშუმის მრეწველობა არსებითად მხოლოდ შინაგანი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. აბრეშუმის მცირეოდენი ტექსტილი გაქონდათ ირან-თურქეთსა და შუა აზიაში. ამასთანავე სისტემატურად იზრდებოდა უცხოეთიდან, უმთავრესად დას. ევროპიდან აბრეშუმის ნაკეთობათა შემოტანა, რის ღირებულებამაც მე-19 ს. დასაწყისს დაახლოებით 0,5 მილ.-დან იმავე საუკუნის 50-იანი წლების დამდეგს 4 მილ. მან. მიაღწია.

რუსეთის აბრეშუმის მრეწველობა იტალიიდან, საფრანგეთიდან, თურქეთიდან, ირანიდან და ამიერკავკასიიდან თავდაპირველად ნედლეულს ძირითადად ღებულობდა პარკიდან ამოხვეული (დაურთველი) ძაფის სახით. აბრეშუმის ნართი მხოლოდ იტალიიდან და ნაწილობრივ საფრანგეთიდან შემოდიოდა, რისი ხვედრიწონა თანდათანობით სულ იზრდებოდა და, თუ 1814 წელს საერთოდ შემოტანილი ნედლეულის მხოლოდ 5%-ს უდრიდა, 1849 წელს უკვე 61,5%-ს შეადგენდა.

რუსეთში, ე. ი. უმთავრესად მოსკოვის გუბერნიაში შეტანილი აბრეშუმის ნედლეული[56].

წლები	ფუთობით	წლები	ფუთობით
1806	13.554	1829	12.921
1807	13.026	1831	15.684
1814	14.245	1842	15.726
1821	13.300	1849	16.894

არ მოგვეპოვება ზუსტი მონაცემები, თუ რამდენ ამიერკავკასიურ აბრეშუმს მოიხმარდა რუსეთის საფეიქრო მრეწველობა. 1812 წლის ცნობით საქართველოს ვაჭრებს მოსკოვისა და ნიჟეგოროდის იარმარკეებზე ყოველწლიურად მიქონდათ სამ ათას ფუთამდე აბრეშუმი.

სხვა ცნობით, 1820-იანი წლების განმავლობაში აზერბაიჯანის მხოლოდ ერთი პროვინციიდან, შაქიდან, ყოველწლიურად გაქონდათ 2-დან 6 ათასამდე ფუთი აბრეშუმი. ამ ცნობათა შემკრები, — „საქართველოს უმაღლესი მთავრობის სახაზინო ექსპედიციის სოვეტნიკი“, — ი ა ნ ო ვ ს კ ი წერს: 1822 — 1827 წწ. „ხუთი წლის განმავლობაში, მეაბრეშუმეობა, ხელისუფლების მხრივ ყოველგვარი ყურადღების გარეშე, მასზე დაწესებული დიდძალი ძალსაბოჭის პირობებში, მხოლოდღა დაუბრკოლებელი და სარფიანი რეალიზაციის მეოხებით, თითქმის ხუთჯერ გადიდდაო“[57].

1828 — 1835 წწ. ოფიციალური მასალების მიხედვით ამიერკავკასიური მეაბრეშუმეობა შინაგან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გარდა იძლეოდა 15.460 ფუთ საქონლურ პროდუქციას[58]. სხვა ცნობით ამავე წლებში რუსეთის აბრეშუმის მრეწველობა მოიხმარდა 14.950 ფუთ ამიერკავკასიურ ნედლეულს, ხოლო 40-იანი წლების დამდეგს კიდევ — 17—18 ათას ფუთს[59].

---

[56] М. Р о ж к о в а, „Экономическая политика царского правительства на среднем востоке во второй четверти XIX в. и русская буржуазия“, 1949, М., стр. 124—129.

[57] См. проф. А. Г а б а й д у л и н, назв. соч., стр. 3.

[58] ОРВЗ, I, 67.

[59] М. Р о ж к о в а, назв. соч., стр. 130.

როგორც ვხედავთ რუსეთის საფეიქრო მრეწველობა სულ ეზარდი რაოდენობით უწეოდა ამიერკავკასიური აბრეშუმის გადამუშავებას და, შესაბამისი ზომით თავს აღწევდა უცხოური ნედლეულისათვის ოქროს გაზიდვას.

ცხადია, მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის ცარიზმის ბიუროკრატიის მზრუნველობას არ შეიძლებოდა ნავარაუდევი შედეგი მოყოლოდა. რუსეთისათვის ახლადშეერთებულ მხარეში ძნელი იყო უცხოური პოლიციური მეთოდებით, კაპიტან-ისპრავნიკების მეშვეობით მიწოდებული დახმარება მოსახლეობას მთლიანად და დანიშნულებისამებრ გამოეყენებია. მაინც, თუმცა ნელი ტემპით, მეაბრეშუმეობა თანდათან ვითარდებოდა და ახალ-ახალ რაიონებში ვრცელდებოდა.

ამასთანავე ცენტრალური ხელისუფლებისაგან წაქეზებული ადგილობრივი უფროსები ყოველმხრივ ცდილობდნენ მოსახლეობიდან რაც შეიძლებოდა მეტი აბრეშუმი ამოექაჩათ და გაეგზავნათ მოსკოვში. ამ მიზნით ცარიზმის სამხედრო ბიუროკრატიამ კავკასიის მთიელთა რიგ ტომს ხარკი შეაწერა აბრეშუმის სახით. მაგალითად, მთავარსარდალმა გენ. პ. ციციანოვმა ჭარელ-ბელაქნელთა თემებს 1803 წ. შეაწერა 1.100 თბილისური ლიტრი აბრეშუმი ყოველწლიურად, ხოლო ელისეს სასულთნოს — 100 ლიტრი აბრეშუმი. გენ. პ. ციციანოვი ხშირად სისხლიან დამსჯელ ექსპედიციებს აწყობდა მთიელთათვის ხარკად შეწერილი აბრეშუმის დროზე და უნაკლოდ აკრებისათვის, რაც, როგორც ჩანს, აუტანელ ტვირთად აწვებოდა მოსახლეობას[60].

პ. ციციანოვის მომდევნო კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარსარდლებიც იმის ცდაში იყვნენ, რათა რაც შეიძლება მეტი აბრეშუმი მოებოჭათ და გაეგზავნათ მოსკოვის ფაბრიკებისათვის. გენ. ა. ერმოლოვმა 1823 წელს, იმ მიზნით, რათა უკეთესი ღირსებისა ყოფილიყო ადგილობრივი აბრეშუმი, შირვანსა და შაქში გააგზავნა გაუმჯობესებული აბრეშუმსახვევი დაზგები. კიდევ უფრო ადრე, სახელდობრ

---

[60] პ. გუგუშვილი, „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება", მონოგრაფიები, ტ. I, გვ. 424 — 425.

1816 წ. გენ. ერმოლოვს ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობის გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილად მიაჩნდა აქ გერმანელ კოლონისტთა მოწვევა. ორიოდე წლის მერვე მართლაც დაასახლეს აქ გერმანელი კოლონისტები, მაგრამ მათ მხოლოდ თვითონ ისწავლეს მეაბრეშუმეობა ადგილობრივი მოსახლეობისაგან და, ცხადია, უკანასკნელთათვის არავითარი სარგებლობა არ მოუტანიათ[61].

1828 წ. რუსეთის იმპერიას შეუერთდა ყოფ. ერევნის სახანო, რომლის ზოგიერთ რაიონში გავრცელებული იყო მეაბრეშუმეობა. ი. შ ო პ ე ნ ი წერდა: „ქ. ორდუბათის მცხოვრებნი ყველაზე მეტად მეაბრეშუმეობას ეწევიან. თუთიხეების სიმრავლის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ოდესღაც ისინი საკმაოდ დიდი რაოდენობით აწარმოებდნენ აბრეშუმს. ამჟამად-კი (ე. ი. ირანელთა ბატონობისაგან გათავისუფლების შემდეგ) ორდუბათის მცხოვრებთ უფრო სარფიანად მიაჩნიათ და ეწევიან ყარაბაღის პროვინციაში, მაგრამ უფრო მეტად კი შაქისა და შირვანის სახანოებში მათ მიერ შესყიდული აბრეშუმის პარკის ამოხვევასა და ღებვას, რომელთა ნაწილს გრეხენ და ჰყიდიან: თათრები უმეტესწილად ირანში, ხოლო სომხები (აკულისელი ვაჭრები) მოსკოვსა და ნიჟეგოროდის იარმარკეტებში". ხოლო თვით ორდუბათში, ადგილობრივ მკვიდრთა განცხადებით, მოყავდათ უკვე არა უმეტეს 12 ფუთი აბრეშუმის პარკისა[62].

ცარიზმის ხელისუფლება ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობის განვითარების მიზნით იშველიებდა უცხოელ სპეციალისტებსა და ნეგოციანტებსაც. ამ მხრივ აღსანიშნავია, მაგალითად მორენასისა[63] და განსაკუთრებით კასტელას საქმიანობა, რომელიც 1820-იან წლებში მოევლინა ამიერკავკასიას „მეაბრეშუმეობის აყვავების ინტერესებით ამოძრავებული". კასტელას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარდა აბრეშუმის

[61] პ. გ ო გ ო შ ვ ი ლ ი, „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება", მონოგრაფიები, ტ. I, გვ. 491 და შემდ.

[62] И. Ш о п о н. „Ист. памятник состояния Армянской области...", стр. 483, 753—754.

[63] II. ПСЗРII, IV, № 2706, стр. 136—137.

ძაფსახვევ და-სართავი ფაბრიკის (-მანუფაქტურის) თბილისში გახსნისა, ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონში უნდა გაეშენებია თუთისხის პლანტაციები და „მაღალ, ევროპულ, საფეხურზე“ აეყვანა მეაბრეშუმეობა... საბოლოოდ კასტელას წამოწყებამ სრული ფიასკო განიცადა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მეწარმეობით ფრიად იყვნენ დაინტერესებული, როგორც მოსკოველი, ასევე ლიონელი ფაბრიკანტები და უწინარეს ყოვლისა საფრანგეთის თბილისელი კონსული გამბა (აგენტი ფრანგული კაპიტალისა) და მასთან კავშირში მყოფი პეტერბურგელი დიდი სახელმწიფო მობელეები[64].

1829 წელს შაქის პროვინციაში, ნუხაში, — ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობის ერთ-ერთ მთავარ რაიონში, — მოეწყო აბრეშუმსახვევი სახაზინო საწარმო, რისი დანიშნულება იყო ამ პროვინციის სახაზინო თუთისხის 490 პლანტაციაში არსებულ საყაჟეებში მოყვანილი პარკის ამოხვევა. საერთოდ ამ პროვინციაში აბრეშუმის მოსავლის რაოდენობის შესახებ საკმარისია აღინიშნოს, რომ აქედან გატანილ იქნა აბრეშუმი, ფუთობით: 1822 წ. — 1.793, 1823 წ. — 2.361, 1824 წ. — 3.784, 1825 წ. — 6.031, 1826 წ. — 2.919, 1827 წ. — 8.052, ხოლო 1828 წ. — 5.676. შაქური აბრეშუმის უდიდესი ნაწილი მოდიოდა თბილისში. 1822 — 1828 წწ. შაქიდან სულ გატანილი 30.615 ფ. აბრეშუმიდან თბილისზე მოდის 27.059 ფუთი, ხოლო შუშაზე (ყარაბაღზე) — 1.189, ბაქოზე — 687, ასტრახანზე — 589, შემახიაზე — 385, თავრიზზე — 267 ფ. და სხვ.[65].

აბრეშუმსახვევი სახაზინო საწარმო მოეწყო აგრეთვე ყარაბაღსა და შირვანში[66]. უკანასკნელი მეაბრეშუმეობის უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო ამიერკავკასიაში. ამ ხანებ-

---

[64] П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения“, т. I, стр. 75.

[65] „Обзор Елисаветпольской губернии за 1910 г.“, стр. 72—73. См. также „Памятная книга Елисаветпольской губ.“, 1914, стр. 200.

[66] ОРВЗ, III, 379—380, 382.

ში შირვანში ითვლებოდა თუთისხის 3100 პლანტაცია, რომელთაგან თვითეულში, ჩვეულებრივ 18 — 24 თუთისხე ხარობდა. ყოველ პლანტაციაზე დაახლოებით 50 გირვანქა აბრეშუმის პარკის მოსავალს ვარაუდობდნენ[67].

აღსანიშნავია, რომ შირვანის მეაბრეშუმეობას იმთავითვე დიდ ყურადღებას აქცევდა რუსეთის საფეიქრო მრეწველობა[68]. მე-19 ს. 30-იანი წლების შუაში შედგენილ ამიერკავკასიის ვრცელ ოფიციალურ ფინანსურ-ეკონომიკურ მიმოხილვაში ვას. ლ ი ო გ კ ო ბ ი ტ ო ვ ი წერდა: „მეაბრეშუმეობის მხრივ შირვანის პროვინცია ერთ-ერთი უმდიდრესია ამიერკავკასიაში... აქ მეაბრეშუმეობა საკმაოდ მნიშვნელოვანია მხოლოდ თუთისხის პლანტაციების რიცხვით, მაგრამ საერთოდ დაბალ საფეხურზე დგას და წარმოადგენს მცხოვრებთა გამოკვებისა და არა გამდიდრების საშუალებას: რასაც აკეთებდნენ წინაპრები იგივე კეთდება ნაშიერთაგან ახლაც ყოველგვარი გაუმჯობესების გარეშე. ამის მიზეზი ნაწილობრივ მდგომარეობს თათართა (აზერბაიჯანელთა) ხასიათში, რომლებიც პატივსცემენ რა ძველ წესებს, ადვილად არ მიდიან გარდატეხებზე; თუმცაღა აშკარა წარმატებას, ანუ მოგებას, რაც ამასათანავე დააკმაყოფილებდა რა მათს ჰიდრეკილებას ფულისადმი, შეეძლო დაეძლია ხსენებული ცრურწმენა, მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ უნახავთ მაგალითი და წარმოდგენაც არ აქვთ მეაბრეშუმეობის უკეთეს მეთოდზე... არაფერი არ მოუტანდა ისე დიდ სარგებლობას იმ მხარეს და მასთან ერთად რუსეთსაც, როგორც თუთისხის სანიმუშო პლანტაციების მოწყობა... საერთოდ შირვანული აბრეშუმი ბევრად უფრო დაბალი ხარისხისაა, ვინემ იტალიური, გილანური და სხვ. უმთავრესი მიზეზი მცხოვრებთა უცოდინაროობაშია, რომლებიც თუთისხეების დარგვა-პატრონობაში, მათი ფოთლების მოკრეფაში, აბრეშუმის ჭიის გამოკვებისა და მოვლის ხერხებში, დასასრულ აბრეშუმის პარკის დახარის-

---

[67] ОРВЗ, III, 98—105.
[68] АСКАК, VII, № 105.

ხებაში ყოველგვარი განსჯა-განხილვის გარეშე მიუვებიან საუკუნეობრივ ჩვეულებებს... შირვანის მთელ პროვინციაში როგორც თათრებს (აზერბაიჯანელებს) არა აქვთ ვენახები, ასევე თითქმის არავის სომეხთაგანს არა აქვს თუთისხის პლანტაცია"[69].

აქ აღსანიშნავია ერთი მომენტი. შიგა რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის უპირატესად უახლოესი ინტერესებით ამოძრავებული ადმინისტრაცია ამიერკავკასიაში უწინარეს ზრუნავდა ადგილობრივი სოფლისმეურნეობრივი ნედლეულის პირველადი გადამუშავების გაუმჯობესებაზე, მისთვის როგორც ტრანსპორტაბელური ნედლეულის ან ნახევარფაბრიკატის მომზადებაზე და არა თვით სანედლეულო ბაზის განვითარებაზე. ცდილობდნენ, მაგალითად, ღვინის დაყენების ხერხების გაუმჯობესებისათვის და ამ მხრივ თითქმის უყურადღებოდ სტოვებდნენ მევენახეობას; ცდილობდნენ აბრეშუმის პარკის ძაფის ამოხვევისა და რთვის ტექნიკის პროგრესისათვის და ნაკლებად ზრუნავდნენ საკუთრად მეაბრეშუმეობის განვითარების შესახებ.

ამასთანავე ბიუროკრატიის მთელი ღონისძიება, — აბრეშუმის თესლის შერჩევის, ჭიის მოვლის, პარკის ამოხვევის და სხვ. გაუმჯობესებათათვის ზრუნვა — მით უფრო ნაკლებად ეფექტური იყო, რაც უფრო მეტად ემსახურებოდა წმინდა ფისკალურ ინტერესებს და ტარდებოდა პოლიციური მეთოდებით, რასაც მოსახლეობა, ცხადია, იმთავითვე უნდობლობის თვალით უყურებდა. სწორედ ამგვარი ვითარებით იყო პირობადებული ის მდგომარეობა, რასაც როგორც ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობის გაუმჯობესებისათვის 35 წლის განმავლობაში წარმოებული პოლიტიკის შედეგს, უნდა ვიფიქროთ, რამდენადმე სკეპტიკური განწყობილებით ახასიათებდა ამ ქვეყნის ეკონომიკური ყოფიერების ოფიციალური მიმოხილვის რედაქტორი ვ. ლიოგკობიტოვი, სავალდებულობრ ის გარემოება, რომ ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობა

[69] ОРВЗ, III, 98—99, 104, 106.

„რუსებს ისეთსავე მდგომარეობაში დახვდათ, როგორშიაც ამჟამად (1835 წ. — პ. გ.) იმყოფებაო“[70].

1833 წელს თბილისში დაარსებულ „სოფლის მეურნეობისა, მანუფაქტურული მრეწველობისა და ვაჭრობის წამქეზებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო სწორედ მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა, მაგრამ ამ „საზოგადოების“ მთელი მოღვაწეობა მისი არსებობის ათიოდე წლის მანძილზე საერთოდ არ გასცილებია უბრალო ბიუროკრატიულ-კანცელარულ საქმიანობას[71].

საერთოდ თუ რაოდენ აქტუალური იყო მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის საკითხი, ჩანს იქიდანაც, რომ 1827 წელს პეტერბურგში გავლენიანი წრეების მონაწილეობით შეიქმნა პროექტი დაარსებულიყო სპეციალური ორგანიზაცია რუსეთში მეაბრეშუმეობის განვითარების აქციონერული საზოგადოების სახით — რომელსაც ექნებოდა 2 მილიონ. კაპიტალი. ამ „საზოგადოების“ შექმნის ინიციატორი იყო ფრანგი ნეგოციანტი კარლ ტ რ ი ბ ო დ ი ნ ო, რომელიც რუსეთში გამოყვა ცნობილ გ ა მ ბ ა ს კვალს და რომელმაც 1825 წ. პავლოვსკში დააარსა აბრეშუმის ფაბრიკა. ამ „საზოგადოებას“ 10 წლის ვადით სავსებით მუქთად, ხოლო შემდგომ 90 წლით შეღავათიან პირობებში უნდა მიეღო აზერბაიჯანის სახაზინო თუთისხის პლანტაციები და უკანასკნელზე მიწერილი რანჯბარები (ყმა გლეხები). „საზოგადოებას“ აგრეთანავე უფლება ეძლეოდა აეკრძალა ამიერკავკასიაში სახელმწიფო გლეხებზე გამოსაღებთა სახით გაწერილი აბრეშუმი და ამისათვის გარკვეული თანხა შეეტანა... ხაზინაში.

ეს აქციონერული საზოგადოება არ შესდგა, ეტყობა, უმთავრესად იმის გამო, რომ ვერ მოგროვდა საჭირო თანხა. იმპერატორის მიერ „საზოგადოების“ წესდების დამტკიცებიდან ხუთზე მეტი წლის შემდეგაც რეალიზებული აქციების

---

[70] ОРВЗ, I, 49—50.

[71] II ПСЗРII, VIII, I, № 6197, стр. 264—265; АСКАК, VII, № 145, стр. 206—208; VIII, стр. 120—121, 202—203.

ჯამი 0,5 მილ. მანეთს არ აღემატებოდა, ნაცვლად წესდებით გათვალისწინებული 2 მილ. მანეთისა. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ამიერკავკასიის ადგილობრივმა ხელისუფლებამ, კერძოდ გენ. როზენმა, იმთავითვე არ დაუჭირა მხარი ამ „საზოგადოებას“, — რამდენადაც მისთვის გადასაცემი ქონება და სახაზინო შემოსავლის წყაროები მეტისმეტად დიდ მსხვერპლად მიიჩნია. გენ. როზენს ამასთანავე საჭიროდ მიაჩნდა, რათა „საზოგადოებას“ აქციების ნაწილი დაეთმო ამიერკავკასიაში მომსახურე რუსი სახელმწიფო მოხელეებისათვის და, აგრეთვე, აბორიგენთათვისაც, რომლებიც ამით დაინახავდნენ, რომ „ჩვენს მთავრობას აზრად არა აქვს მათი ქვეყნიღან ამოიგოს სარგებლობა თვით მათივე მონაწილეობის გარეშე, და, მაშასადამე, მათს ქვეყანას არა სთვლის უცხო (გარეშე) ქვეყნად, მსგავსად სხვა მთავრობებისა, რომლებიც ანალოგიურ საზოგადოებებს ანიჭებენ განსაკუთრებულ უფლებებს ცალკე ქვეყნებიდან სარგებლობათა ამოგებისა და მაშასადამე, მათი გამოფიტვისა... თვით ადგილობრივ მცხოვრებთა მონაწილეობისა და მათი დახმარების გარეშე ამიერკავკასიაში განზრახული წამოწყების წარმატება მე შეუძლებლად მეჩვენება, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებული იქნება გაუწიოს „საზოგადოებას“ ყოველივე კანონიერი დახმარება“[72]. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ამ „საზოგადოების“ აქციონერთა უდიდესი უმრავლესობა სდგებოდა რუს თავადაზნაურობისა და მოხელეთაგან და უცხოელ ვაჭართაგან.

მ. როჟკოვა, რომელმაც სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა „განაპირა ქვეყნებში“ ცარიზმის ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიას, სთვლის, რომ „როზენი, როგორც ყოველთვის, დაბრკოლებებს უქმნიდა მხარის (ამიერკავკასიის — პ. გ.) კოლონიურ ექსპლოატაციას“[73], რომ იგი, გენ. ერმოლოვთან ერთად, „იცავდა ამიერკავკასიის დამოუ-

[72] М. Рожкова, разв. соч., стр. 143.
[73] იქვე, გვ. 148.

კიდებელ მეურნეობრივ განვითარებას, რაც ნაწილობრივ გამომდინარეობდა კავკასიის მთავარსარდალთა მისწრაფებიდან, რათა უზრუნველეყოთ არმიის მომარაგება ადგილობრივი რესურსებით. მაგრამ უმთავრესად წარმოადგენდა იმ თვალსაზრისის ანარეკლს, რომელთა მოქმედები წინააღმდეგნი იყვნენ რუსეთის ინდუსტრიული გზით განვითარებისა". მ. როჟკოვა ცარიზმის ბიუროკრატიაში ამათ უპირისპირებს მეორე მიმართულებას, რომელსაც ფინანსთა მინისტრი გენ.-ლეიტ. კ ა ნ კ რ ი ნ ი მეთაურობდა და რომლის მისწრაფება იყო „ამიერკავკასიური ნედლეული პროდუქტების გადამუშავება დაექვემდებარებია რუსეთის მრეწველობის ინტერესებისათვის", ამასთანავე მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ბანაკის შეხედულებებით წაქეზებული რუსეთის ბურჟუაზია საჭირო კაპიტალების სიმცირის გამო პასიურობდა, ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის პროდუქტთა რუსეთის მრეწველობისათვის გამოყენებისა და გაუჯობესების ცნობილი „ღონისძიებები ყურადღებას იმსახურებს, როგორც პირველი ცდები მეტროპოლიის ინტერესებისამებრ კოლონიური ნედლეულის ათვისებისაო"[74].

ამიერკავკასიის მეურნეობრივი განვითარების საკითხზე ცარიზმის ბიუროკრატიის ორი არსებითად ერთმანეთს დაპირისპირებული ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთა მოქმედებად და, მაშასადამე, მოწინააღმდეგეთა ორ ბანაკად წარმოდგენა, ჩვენის ფიქრით, გამომდინარეობს იმ მარტივი გაუგებრობიდან, რაშიც ხშირად ვარდებიან ორი სხვადასხვა ჭეშმარიტების (ან სინამდვილის) ერთმანეთთან შედარებისას — მათს შორის არსებულ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ობ ა თ ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ობ ე ბ ი ს სახით წარმოდგენის მეოხებით.

მაგრამ ამ საკითხს ჩვენ არსებითად შევეხებით მაშინ,

---

[74] М. Р о ж к о в а, назв. соч., стр. 151.

როდესაც სპეციალურად განვიხილავთ ამიერკავკასიაში ცარიზმის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიას.

რუსეთში მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის 1827 წ. პეტერბურგს წარმოქმნილი პროექტი მნიშვნელოვანად შეცვლილი სახით განხორციელდა მხოლოდ 1836 წელს, როდესაც უმართებულეს სენატისადმი იმპერატორის ბრძანებულებით დამტკიცდა „ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობისა და სავაჭრო მესარეწეობის გამავრცელებელი აქციონერული საზოგადოება“.

„საზოგადოებას“ 5 წლით უნაცვალგებოდ ეძლეოდა შაქის პროვინციის სახაზინო თუთისხის პლანტაციები, რომელთათვისაც შემდგომი 25 წლის განმავლობაში უნდა ეხადა მხოლოდღა იმდენი საიჯარო ქირა, 20% წამატებით, რამდენსაც შემოსავლის სახით ღებულობდა ხაზინა პლანტაციების „საზოგადოებისათვის“ გადაცემის დროს. მასვე 30 წლის ვადით გადაეცა პლანტაციებზე მიწერილი რანჯბარები[75], რომელთაც აბრეშუმის პარკის მოსავლის ნახევარი უნდა ეძლიათ „საზოგადოებისათვის“, რომელსაც ხაზინაში შექონდა მათზე შეწერილი ფულადი გამოსაღები[76]. „საზოგადოება“ თავისუფალი იყო აბრეშუმის იჯარა-გამოსყიდვაზე დადებული სახელმწიფო გადასახადისაგან (რაჰდარი, მიზანი, ბაჟი), მასვე ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონში „სამუდამო და სრული საკუთრების უფლებით“ ეძლეოდა 5 ათასი დესეტინა მიწა—თუთისხის პლანტაციების გაშენებისათვის. აგრეთვე ტყეებიც[77].

„საზოგადოების“ ხელმძღვანელს, ტრიბოდინოს, მიენი-

---

[75] რ ა ნ ჯ ბ ა რ ე ბ ი აზერბაიჯანის რუსეთთან შეერთებამდე თავისებურ შინაყმებს წარმოადგენდნენ, ხოლო მას მერმე რაც ხანებისა და აღალარების მფლობელობაში მყოფი თუთისხის პლანტაციები რუსეთის ხაზინის ხელში გადავიდა, მათი წოდება სახელმწიფო გლეხის მდგომარეობას დაუახლოვდა.

[76] შად. П. Г у г у ш в и л и, „Сельское хозяйство и аграрные отношения“, том. IV, стр. 165.

[77] იქვე, ტომი I, გვ. 122, 123.

ჭა პირველი გილდიის ვაჭრის უფლება, შესაბამის გადასახდელთაგან განთავისუფლებით. მის მიერ მოწვეული უცხოელებიც თავისუფლდებოდნენ ბეგარა-გამოსაღებთაგან[78].

ბრძანებულებაში ამასთანავე აღნიშნული იყო, რომ ხსენებულ საზოგადოებას არ ენიჭებოდა მონოპოლიური უფლებები და, მაშასადამე, ყველა მსურველს პირადად, თუ კამპანიების სახით უფლება ქონდა „გაეშენებია მთელ მხარეში თუთისხის ბაღები და პლანტაციები სხვადასხვა მცენარისა და დაეარსებია აბრეშუმსახვევი ანდა სხვა სასარგებლო საწარმო“ — არსებული წესების მიხედვით.

უმართებულესი სენატის მიერ იმავე 1836 წელს დამტკიცებული წესდების მიხედვით „საზოგადოების“ დამაარსებელნი იყვნენ კავალერიის გენერალი, გენ.-ად., გრაფი ა. ბენკენდორფი, სასახლის ობერშტალმეისტერი თავ. ვ. დოლგორუკოვი, დ. ს. ს. თავ. მ. დონდუკოვ-კორსაკოვი, კოლ. სოვ. ა. ჟადოვსკი, მანუფაქტურ-სოვეტნიკი კარლ ტრიბოდინო[79].

წესდებაში დაწვრილებითაა გარკვეული „საზოგადოების“ მიზნები და ამოცანები, უფლებები, საშუალებები და საერთოდ მთელი ორგანიზაცია. უპირველეს ამოცანად დასახელებულია „ამიერკავკასიაში, სახელმწიფო და კერძო პირთა მიწებზე — მათი იჯარით აღების ანდა საზოგადოების საკუთრების სახით შეძენის მეშვეობით — თუთისხის მებაღეობის გავრცელება და გაუმჯობესება“ (§ 1); ყველგან უკეთესი ჯიშის აბრეშუმის ჭიის გამოზრდა (§ 2); აბრეშუმის პარკის ხაზინისა და კერძო პირთაგან შესყიდვა (§ 3); ამ პარკის საუკეთესო ევროპული წესით ამოხვევა (§ 4) და სხვ. „საზოგადოების“ შეფად გამოცხადებული იყვნენ იმპერიის ფინანსთა მინისტრი და ამიერკავკასიის ჯარების მთავარსარდალი. აქციონერული კაპიტალის (2 მილ. მ.) მეხუთე-

[78] II ПСЗРИ, XI, отд. I, № 9094, стр. 432—434.

[79] П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения“, I, стр. 124—128.

და ეთმობოდა ამიერკავკასიაში მომუშავე სახელმწიფო მოხელეებსა და ადგილობრივ მცხოვრებთ[80].

„საზოგადოებამ“ 1843 წელს გახსნა მეაბრეშუმეობის პრაქტიკული სკოლა, სადაც სწავლობდნენ ხსენებულ რანჯბართა და სახელმწიფო გლეხთა შვილები. აქ ასწავლიდნენ თუთის პლანტაციის გაშენებასა და პატრონობას, აბრეშუმის ჭიის მოვლა-გამოკვებას, აბრეშუმის პარკის ამოხვევასა და ძახვას, აბრეშუმის ძაფსახვევი ხელის დაზგების კეთებას. ამ ოთხწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სახაზინო გლეხების შვილები გადადიოდნენ სახელმწიფო ქონებათა პალატის განკარგულებაში, რომელიც მათ აგზავნიდა თავიანთ რაიონებში მეაბრეშუმეობის გაუმჯობესებული მეთოდების გავრცელების მიზნით[81].

„საზოგადოება“ მეცადინეობდა უკეთესი ჯიშების აბრეშუმის თესლისა და თუთისხის დანერგვა-გავრცელებისათვის. 1841 წელს მან მოაწყო იტალიური, მერმე კიდევ ჩინური აბრეშუმის ჭიის სანიმუშო გამოკვების საწარმოები (საყაჭეები), სადაც მეზობელ გლეხებს შესაძლებლობა ეძლეოდათ გასცნობოდნენ ჭიის გამოკვების მათთვის ახალ წესებს[82].

პარკის ამოხვევის უკეთესი წესების დანერგვის მხრივ აღსანიშნავია ცარაბადის (ნუხის მახლობლად) მანუფაქტურა („ფაბრიკა“), სადაც 40-იან წლებში ძაფსახვევი დაზგები მოძრაობაში მოყავდათ წყლის ძალით და მერმე — ვირით; ხოლო 1850-იანი წლიდან აქ უკვე ჩნდება ორთქლის ძრავა. „საზოგადოების“ მოღვაწეობის ამ უკანასკნელ მხარეზე ვრცლად გვექნება მსჯელობა მონოგრაფიაში აბრეშუმის მრეწველობის შესახებ და აქ მას შევეხეთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც აბრეშუმის ძაფსახვევ მრეწველობაში რამდენადმე გაუმჯობესებული ტექნიკის დანერგვას არ შეეძ-

---

[80] II ПСЗРИ, IX, отд. I, № 2948, стр. 644—647.

[81] „Обзор Елисаветпольской губернии за 1912 г.“, стр. 76—78.

[82] М. Рожкова, назв. соч., стр. 144—145.

ლო არ გაეუმჯობესებია აბრეშუმის ხარისხი, არ გაედიდებია მისი (აბრეშუმის ნახევარფაბრიკატის) ფასები და ამდენადვე, შემოსავლიანობის ამაღლების გზით, ხელი არ შეეწყო საერთოდ მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის.

ქვეყნის საერთო ეკონომიკური აღმავლობის შესაბამისად 1840-იანი წლებიდან იწყება მეაბრეშუმეობის შესამჩნევი გამოცოცხლება. 1846 წელს თავისი მოღვაწეობის ანგარიშგებაში კავკასიის ნამესტნიკი მ. ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი აღნიშნავდა, რომ „მეაბრეშუმეობა წარმოადგენს ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში უაღრესად მნიშვნელოვან დარგს“[83]; ხოლო 1851 წლის ანგარიშგებაში იგი აცხადებს, რომ „ამ მხარის სოფლის მეურნეობის მთავარ დარგს წარმოადგენს მეაბრეშუმეობაო“[84].

მეაბრეშუმეობის მთავარი რაიონები იყვნენ შემახიას გუბერნიის ნუხის მაზრასა და ჭარ-ბელაქნის ოკრუგში. ამ რაიონების მცხოვრებნიც სახელმწიფო გამოსაღებს აბრეშუმით იხდიდნენ 1852 წლამდე, რა დროიდანაც აქაც შემოღებულ იქნა საერთოდ იმპერიაში დაწესებული საგადასახადო სისტემა[85].

შედარებით ნაკლებად იყო მეაბრეშუმეობა გავრცელებული ქუთაისის გუბერნიაში, მაგრამ სამაგიეროდ აქაური „პარკი ფრიად კარგია და იძლევა საუკეთესო პროდუქტს წესიერი დამუშავების მეოხებით. აქაურ პარკს ყიდულობენ და აგზავნიან ოდესასა და მოსკოვში იქ ევროპული წესით ამოხვევისათვის[86].

---

[83] АСКАК, X, 835.

[84] იქვე, გვ. 886.— 887.

[85] И. С е г а л ь, „Сборник сведений о Елисаветпольской губ.“, 1902 г., стр. 147—148; его же, „Шелководство в Елисаветпольской губернии“ (КСХ, 1897 г., № 158, стр. 47—48).

[86] АСКАК, X, 835.

მე-19 ს. 30 — 40-იან წლებში ამიერკავკასიაში ცალკე გუბერნიების მიხედვით, აბრეშუმის პარკის მოსავალი უდრიდა (ფუთობით)[87]:

წლები	თბილისის გუბ.[88]	შემახიას გუბ.	ქუთაისის გუბ.	ყუბის მაზრა[89]	ჭარ-ბელაქნის ოკრუგი[90]	სამეგრელო[91]	სულ ამიერკავკასიაში
1839	753	13.403	318	1.090	2.537	1.200	19.301
1840	769	12.182	473	1.070	2.026	1.200	17.720
1841	734	14.896	512	1.100	2.174	1.250	20 666
1842	748	13.929	426	1.000	2.774	1.200	20.077
1843	744	13 358	426	1.000	2.805	1.250	19.583
1844	788	13.828	630	1.160	2.402	1.250	20.058
1845	729	14.826	685	1.250	2.956	1.350	21.196
1846	785	14.344	729	1.330	3.526	1.200	21.914
1847	734	13.490	491	1.380	3.132	1.250	20.477
1848	724	13.625	448	1.240	3.969	1.450	21.456

ცალკე მაზრების მიხედვით 50-იანი წლების დამდეგს აბრეშუმის პარკის საშუალოწლიური მოსავალი მერყეობდა (ფუთობით):

ნუხის მაზრაში . .	. 11.000—12.000
ჭარ-ბელაქნის ოკრუგში	3.000 - 3.800
შემახიას მაზრაში .	3.500— 4.000
შუშის მაზრაში .	. 4.000— 5.000
ყუბის „	. 1.500 — 2.000
განჯის „	1.000 — 1.200
სიღნაღის „	500 — 600

[87] შეად. СМЭБГКЗК; IV, II, стр. 164—165.

[88] თბილისის გუბერნიაში შედიოდა განჯისა და ნახჭევანის ყოფ. სახანოებიც.

[89] ყუბის მაზრა შედიოდა დერბენტის გუბერნიაში, საიდანაც ის გამოვყავით, მერმინდელი წლების მიხედვით წარმოებული ვარაუდით.

[90] ჭარ-ბელაქანი დაახლოებით შეესაბამება მერმინდელ ზაქათალის ოკრუგს.

[91] სამეგრელო კიდევ ავტონომიური სამთავრო იყო და ქუთაისის გუბერნიაში არ შედიოდა.

ქუთაისის მაზრაში	700 —	800
თელავის „	200 —	250
ლენქორანის „	80 —	100
ოზურგეთის „ . . .	80 —	100
სამეგრელოს სამთავროში	1.500 —	2000
სულ დაახლოებით . .	27.000 —	32.000

ამგვარად, თუ 40-იანი წლების პირველ ნახევარში აბრეშუმის პარკის საშუალოწლიური მოსავალი 20 ათას ფუთს არ აღემატებოდა, ათიოდე წლის შერმე აბრეშუმის პარკის წარმოებას 30 — 50 პროცენტით უმატია.

ამიერკავკასიაში წარმოებული მთელი ამ აბრეშუმის დაახლოებით 60 — 70 პროცენტი გაქონდათ უმთავრესად რუსეთის ფაბრიკებისათვის.

ერთი ცნობით 1838 წელს მოსკოვსა და მის შემოგარენში არსებულ აბრეშუმის საფეიქრო ფაბრიკებს გადაუმუშავებიათ სულ 38 ათასი ფუთი გრეჟა. აქედან უცხოურ წარმომავლობისა (საზღვარგარეთიდან შემოტანილი) ყოფილა 16.200 ფუთი, ხოლო დანარჩენი 21.800 ფუთი — ამიერკავკასიური, უმთავრესად აზერბაიჯანული, კერძოდ ნუხური (11.000 ფ.) და შემახური (3.700 ფ.); 21.800 ფუთი კავკასიურ აბრეშუმში შედიოდა 1000 ფ. იმერული და 200 ფ. კახური საქონელი [92].

ამგვარად, ამიერკავკასიიდან ადგილობრივ შინამრეწველური მოხმარების მთელი გარდამეტი აბრეშუმის უდიდესი ნაწილი იმ ხანებში გაქონდათ რუსეთში.

შედარებით მცირე ზომით ამიერკავკასიური აბრეშუმი, უპირატესად დას. საქართველოდან, გაქონდათ აგრეთვე საზღვარგარეთ — თურქეთსა და დას. ევროპის ქვეყნებში. ამ მიმართულებით გატანილ იქნა ამიერკავკასიიდან აბრეშუმი ფუთობით: 1839 წელს — 761, 1841 წ. — 2. 238, 1843 წ. — 1.833, 1844 წ. — 4.464, 1864 წ. — 2.821, 1848 წ. — 1.056.

---

[92] „Историко-статистический обзор промышленности России", т. II, вып. I, изделия волокнистых веществ, 1883, М., стр. 192.

რუსეთსა და საზღვარგარეთ გატანილი აბრეშუმის მოსავლის დანარჩენი ნაწილის, 30—40 პროცენტის, გადამუშავება ადგილზევე ხდებოდა, საიდანაც ჩანს, რომ აბრეშუმის საფეიქრო ოჯახური-და შინამრეწველობა აქ ფართოდ იყო გავრცელებული[91]. მხოლოდ შემახიას გუბერნიაში (ე. ი. შემახიას, შუშის, ლენქორანის და ნუხის მაზრებში) ყოველწლიურად მზადდებოდა 170 ათასამდე ცალი აბრეშუმის სხვადასხვა ტექსტილური ნაწარმი, ხოლო ქუთაისის გუბერნიის, საერთოდ დას. საქართველოს მცხოვრებნი, როგორც რ. ერისთავი წერს, „უპირატესად აბრეშუმისაგან (დარაიისაგან) შეკერილ თეთრეულს ატარებდნენ“[94].

40-იან წლებში დას. საქართველოში მეაბრეშუმეობას დიდად ხელს უწყობდა ამ დარგის ცნობილი სპეციალისტი ნ. რაიკო, რომელიც ამ რაიონებს ამარაგებდა საუკეთესო თესლით და ყიდულობდა აბრეშუმის პარკს[95], რის გასაშრობად და დასაპრესად დ. მარანში მისივე თხოვნით ადმინისტრაციამ მოაწყო სათანადო საწარმო[96]. ხელისუფლება ადგილობრივ მემამულეთა შორის ავრცელებდა იტალიურ და ჩინური აბრეშუმის თესლს[97], გაუმჯობესებულ ძაფსახვევ და სართავ დაზგებს. ამავე მიზნით ცარ-აბადის სკოლის კურსდამთავრებულ სახელმწიფო გლეხთა შვილებს თან ატანდნენ ნაჩუქრად აბრეშუმის ძაფსახვევ მანქანებს.

ამავე თვალსაზრისით აღსანიშნავია დ. ზუგდიდში გრაფ რაზმორდიუკის მიერ 1843 წ. გახსნილი აბრეშუმის ძაფსახვევი „ფაბრიკა“[98]. რაზმორდიუკმა საფრანგეთიდან გამოიწერა საჭირო იარაღ-მანქანები და ჩამოიყვანა ამ საქმის

---

[93] Н Шавров, „Очерк шелководства в Закавказье“, 165—166; СМИЭБГКЗК, IV, стр. 165; ЭКОХ, I, стр. 21.

[94] Р. Эристов, „Очерк Имеретии в сельскохозяйственном отношении“, 1876, Тифлис, стр. 42—43.

[95] ОДКН, стр. 26; газ. „Кавказ“, 1851 г., № 60;—1854 г., № 53.

[96] Лаврентьев, назв. соч., стр. 101.

[97] ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938, ტფ., გვ. 17—18.

[98] ОДКН, стр. 28.

ორი სპეციალისტი ქალი[99]; უკანასკნელთ თავისი ხელობა პირველსავე წლებში 12 ადგილობრივ ქალს ასწავლეს. თვითონაც საბოლოოდ აქ დარჩნენ — მისთხოვდნენ ადგილობრივ მცხოვრებთ[100]. როგორც ჩანს, რაზმორდიუკის წამოწყებას პოხიერი ნიადაგი დახვდა და იმთავითვე წარმატება ხვდა წილად. 1852 წელს მან მოსკოვის გამოფენაზე გაგზავნა აბრეშუმის ნიმუშები (ამ ხანებში მას წლიურად 50 ფუთზე მეტი აბრეშუმის პარკი მოყავდა), რომელთაც იქ მაღალი შეფასება მიიღეს[101]. რაზმორდიუკის წამოწყება თვით ყირიმის ომამდე სულ წარმატებაში შედიოდა — როგორც საკუთრად აბრეშუმის პარკის, აგრეთვე აბრეშუმის ძაფსახვევი წარმოების მხრივ[102].

ამავე ხანებში ს. სალხინოში, თავ. ჩიჯავაძემ, თავის მამულში, სადაც ეწეოდა მეაბრეშუმეობას, მოაწყო აბრეშუმის ძაფსახვევი სახელოსნო. 1851 წელს მან თხოვნით მიმართა მაშინ ახალდაარსებულ „სოფლისმეურნეობის კავკასიურ საზოგადოებას“, რომელსაც უცხადებდა, რომ იგი კარგა ხანია რაც მისდევს რა მეაბრეშუმეობას, თანვე ცდილობს მეზობელ გლეხებში დანერგოს ამ საქმიანობის უკეთესი მეთოდები, ურიგებს მათ საუკეთესო თესლს და სხვ. იგი ითხოვდა დახმარებას აბრეშუმის ძაფის ამოხვევის საქმეში. „საზოგადოებამ“ ჩიჯავაძის მამულში მიავლინა ტიტ. სოვ. ე მ ე რ ი ხ ი, კასტელანეული ფაბრიკის ყოფილი გამგე, რომელსაც ევალებოდა ჩიჯავაძის მეზობელ მემამულეთა შორისაც გაევრცელებია ძაფის ამოხვევის უკეთესი წესები[103].

---

[99] Газ. „Кавказ“, 1851 г., № 46.

[100] Кавказский календарь на 1853 г., стр. 313—314.

[101] Газ. „Кавказ“, 1854 г., № 60.

[102] ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა. „სამეგრელო დავით დადიანის დროს“, 1939, ტფ., გვ. 102, 152.

[103] ЗКОСХ, 1856 г., № 1.

8. მეაბრეშუმეობა მე-19-ს. მეორე ნახევრიდან

1850 — 1860-იან წლებს, აბრეშუმის ავადმყოფობის გავრცელებამდე, რევოლუციამდელი სპეციალისტები სთვლიდნენ ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობის აყვავების ხანად. ნ. შავროვი 1885 წ. წერდა, რომ გასული საუკუნის ორმოცდათიანი-სამოციანი წლები იყო „კავკასიაში მეაბრეშუმეობის ოქროს ხანა, როდესაც მან მიაღწია ისეთს განვითარებას, როგორსაც არ მოსწრებია არც მანამდე და არც შემდეგო“[1].

საერთოდ ეპოქის ვითარებიდან გამომდინარე მოვლენებთან ერთად მთავარი მიზეზი, რამაც იმ ხანებში ამიერკავკასიაში ხელი შეუწყო მეაბრეშუმეობის სწრაფ აღმავლობას ეს იყო დას. ევროპაში პებრინის — აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობის — გაჩენა. პებრინმა რამდენადმე ფართე მასშტაბით საფრანგეთში თავი იჩინა 1845 წლიდან. რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში იგი მოედვა იტალიას, ესპანეთს, ავსტრია-უნგრეთსა და რუმინეთს.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ დას. ევროპის ქვეყნებში ეს იყო ინდუსტრიული კაპიტალიზმის აყვავების ხანა, როდესაც კერძოდ აბრეშუმის საფეიქრო მრეწველობაც სულ უფრო მზარდ მოთხოვნას აყენებდა ნედლეულზე. პებრინის გავრცელებამ ამ მრეწველობას თითქმის ერთის დაკვრით და ფრიად მნიშვნელოვანი ზომით მოუსპო ადგილობრივი ნედლეული, რაც, ისედაც არასაკმარისი იყო საფეიქრო მრეწველობისათვის, რომელიც ამ დროს აქ თითქმის ყველგან ფაბრიკული, მანქანური წარმოების ხასიათს ატარებდა.

ნედლეულის კრიზისის შედეგად ევროპელი მეაბრეშუმენი და სავაჭრო კაპიტალი, უფრო მეტი ზომით ვინემ აქამდე, მიაწყდა მცირე აზიას, ინდოეთს, ჩინეთს, იაპონიას, ირანს. როგორც კი დამთავრდა ყირიმის ომი და გზა გაიხსნა ევროპასა და რუსეთს შორის, სახელდობრ 1857 წლიდან, იტა-

[1] П. Шавров, назв. соч., стр. 166.

ლიელი და ფრანგი ვაჭარ-მეაბრეშუმენი გამოეშურნენ ამ მხრივ მათთვის აქამდეც საკმაოდ ცნობილ ამიერკავკასიისაკენაც. პირველ წლებში ესენი აქ საქმიანობდნენ მხოლოდ დას. საქართველოსა და ნუხის მაზრაში, მაგრამ სულ მალე და მრავლად მოედვნენ ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობის ყველა რაიონს, ისე, რომ 1864 წელს უკვე მხოლოდ ნუხაში ორასიოდე ევროპელი მეაბრეშუმე-ვაჭარი იყო თავმოყრილი, რომლებიც აქ „სამუდამოდ ანდა ხანგრძლივი დროით სამოღვაწეოდ" იყვნენ ჩამოსულნი[2].

ცხადია, უცხოელი, უმთავრესად ფრანგი შემსყიდველები მნიშვნელოვან კონკურენციას უწევდნენ ადგილობრივ შემსყიდველებსა და ფილატურის მეპატრონეებს. ამათ. სახელდობრ ქ. შემახიას მცხოვრებთ (300 კაცმა) 1863 წ. საჩივრით მიმართეს კავკასიის ნამესტნიკს: შემახიას მცხოვრებთა დიდი ნაწილი თავს ირჩენს აბრეშუმის პარკისა და მისი პროდუქტების ვაჭრობით, პარკის ამოხვევითა და მისი ნართისაგან ქსოვილთა წარმოებით. ეს ერთი ხანია ქ. ნუხაში, რაც ბაქოს გუბერნიაში აბრეშუმის ვაჭრობის ცენტრია, გაჩნდნენ ფრანგი აბრეშუმის ვაჭრები, რომლებიც წინასწარ არიგებენ ფულს შემახიას მაზრის მცხოვრებთა შორის და დავალიანებული მოსახლეობისაგან დაბალ ფასებში ხელთ იგდებენ ხოლმე თითქმის მთელ აბრეშუმს, რასაც აგზავნიან უცხოეთში, და ამ გზით არსებობის საშუალებას უსპობენ ქ. შემახიას მცხოვრებთ. დასასრულ ისინი ითხოვდნენ, რათა აეკრძალათ უცხოელ შემსყიდველთათვის ნუხასა და შემახიაში აბრეშუმის შეძენა და ექსპორტი.

კავკასიის ნამესტნიკმა, იმ მოტივით, რომ აბრეშუმის უცხოეთში გატანის აკრძალვა ზარალს მიაყენებდა მიწათმფლობელებსა და შეაფერხებდა თვით მეაბრეშუმეობის

---

[2] ОДКОСХ, стр. 157.

განვითარებას, შემახიელ ფილატერთა თხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებლად მიიჩნია[3].

1863 წლის იანვარს ი. სერებრიაკოვი (ოქრომჭედლიშვილი) წერდა: „ამ ბოლო დროს აქაურმა ევროპელებმა დაუწყეს ზიდვა (გატანა) ჩვენს გამოსავალსა: ბამბასა, მატყლსა, აბრეშუმსა, წმინდა სანთელსა და სხვ. ამას გარდა ბევრმა ევროპელებმა დაიწყეს მოსვლა მხოლოდ საქონლის გასაზიდავად, მეტადრე იმის შემდეგ, როცა ევროპაში გაჩნდა აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობა“[4].

დას. ევროპაში პებრინის გავრცელებამ და, მაშასადამე, მეაბრეშუმეობის დაცემამ ამიერკავკასიური მეაბრეშუმეობისაკენ მიაპყრო ყურადღება რუსეთის აბრეშუმის მრეწველობის უმსხვილესი ფირმის, სახელდობრ ალექსეევისა და კომპ., რომელსაც საკუთარი აბრეშუმსახვევი და სართავი საწარმოები ჰქონდა იტალიაში; 1863 წ. მან გაიხსენა „მშობლიური ნედლეული“ და იმ დროისათვის უმსხვილესი აბრეშუმსახვევი ფაბრიკა ააშენა ქ. ნუხაში, რათა აქაური ნახევარფაბრიკატით მოემარაგებია ახლა თავისი აბრეშუმის საფეიქრო ფაბრიკები მოსკოვში. ამ აბრეშუმსახვევ ფაბრიკაში მუშაობდა 851 მუშა და 452 ჩარხზე წლიურად 900 ფუთ მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ამოხვევას ასწრებდნენ, რაც მოსკოვსა და მარსელში მიქონდათ[5].

ერთი სიტყვით 1857—1864 წწ. ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობა შეიქნა თითქმის ყველაზე უფრო მიმზიდველი და მომგებიანი დარგი სოფლისმეურნეობრივი წარმოებისა, და კერძოდ, მეცხოველეობისა. ამ თაობაზე, რაშიაც „ძლიერი ელექსირის“ როლს თამაშობდა დას.-ევროპული,

---

[3] საქ. სსრ ცენტრარქივი, მია, ფ. 238, საქმე № 194, ფურც. 1 — 2; ЗКОСХ, 1864, № 5, стр. 35; А. Сумбат-заде и М. Исманлов, „Сельское хозяйство Азербайджана в XIX—начале XX вв.“, 1956, Баку, ч. II. стр. 468—469 (рукопись).

[4] ი. სერებრიაკოვი, „საეკონომიო წლის აღწერა“ (გაზ. „ეუთნის დედა“, 1863 წ., № 1).

[5] ЭТЗ, II, стр. 6.

ფრანგულ-იტალიური, და რუსეთის კაპიტალისტური მეწარმეობა გამოაღვიძა, აამოძრავა და აახმაურა ამიერკავკასიის მივარდნილი და მანამდე მსოფლიოს მოწყვეტილი მრავალი სოფელი, გამოიწვია თუთიხის პლანტაციების დიდი ზომით გაშენება, რისთვისაც ზოგან ხეხილის ზოგიერთ ნარგავსაც-კი ჩეხავდნენ, ამასთანავე ყამირ და მიგდებულ მიწებს ამუშავებდნენ.

ამ წლებში მეაბრეშუმეობის სახით განვითარებულმა თაოსნობამ ძლიერი მუჯლუგუნი წაჰკრა ადგილობრივი მოსახლეობის „სულიერ განვითარებას და გაადიდა მისი დოვლათიანობა. მან პირველად გააცნო იგი სისტემატურ შრომას; მან ჰარაჰხანიდან და კარჩაკეტილი აზიური ვითარებიდან გამოიყვანა ქალი; დასასრულ, მან სერიოზული გაუმჯობესებანი შეიტანა მეაბრეშუმეობაშიო“,—აცხადებს ამიერკავკასიური მეაბრეშუმეობის გამოჩენილი სპეციალისტი ნ. შ ა ვ რ ო ვ ი[6] და მისი სიტყვები, ჩვენ ვფიქრობთ, არც თუ ისე გადაჭარბებული შეფასებაა ხსენებული მოვლენებისა.

1850—60-იან წლებში ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობის ყოველწლიური პროდუქციის, პარკის მოსავლის, რაოდენობის შესახებ ოფიციალური ცნობები არ მოგვეპოვება. სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოებისა და მეაბრეშუმეობის თბილისის სადგურის დაახლოებითი მონაცემების მიხედვით გრეეის (шелк-сырец)[7] საშუალოწლიური წარმოება ამიერკავკასიაში უდრიდა: 1851 — 1856 წწ. — 25 — 30 ათას ფუთს, ხოლო 1857 — 1864 წწ. — 50.000 ფუთს, ანუ 700 — 800 ათას ფუთ ნედლ პარკს.

მერმე, პ ე ბ რ ი ნ ი ს გაჩენისა და გავრცელების პირველ პერიოდში მეაბრეშუმეობა ძლიერ დაეცა, ისე რომ მთელს

---

[6] Н. Шавров, назв. соч., стр. 175.

[7] გრეეა (ფრ. grege, იტ. greggio)—шёлк-сырец, აბრეშუმის ნახვევი, ჩიგორგალი. „ტექნიკურ ტერმინოლოგიაში“ (1935, თბ.) რუს. шелк-сырец-ის (ფრ. grege-ს) შესატყვისად წარმოდგენილია ყაჭი (ოასაც უფრო ხშირად თვით აბრეშუმის ჭიას უძახიან), ხოლო грежа-ს „შეატყვისად ნახმარია: აბრეშუმის ნახვევი; გრეეა.

ამიერკავკასიაში წლიურად სულ რაღაც 5—10 ათას ფუთამდე გრეჟა იწარმოებოდა. 70-იანი წლების მიწურულიდან მდგომარეობა თანდათანობით უმჯობესდება და 80-იანი წლებისათვის საშუალოწლიური წარმოება უკვე 20 ათას ფუთამდე აღწევს.

1869 წლიდან აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობამ ნელნელა იკლო, ხოლო 1872 წლიდან იგი უკვე თითქმის შესწყდა. ამავე დროიდან იწყება მეაბრეშუმეობის თანდათანობითი აღორძინება, თუმცა ძველებური თაოსნობისა და გაქანების ტემპი დიდხანს არ იყო აღდგენილი[8]. მეაბრეშუმეობის გამოცოცხლებას, ცხადია, არ შეეძლო არ გამოეწვია ყურადღების გაძლიერება თუთისხეების გაშენებისადმი. გრიგოლ და ყაფლან ორბელიანები 1875 წელს კერძო წერილში მადლობას უცხადებენ ი. ალექსეევ-მესხიევს თუთისხის ნამყენთა გამოგზავნისათვის. გრ. ორბელიანი შენიშნავს: „აი, ნახე როგორ შეიცუალა საქართველო — ყულლარის ბატონსა მიგზავნის ზემოქართლელი თუთის ხესაო“[9].

70-იანი წლებიდან დაწყებული მეაბრეშუმეობის აღდგენის საქმე უკვე მნიშვნელოვნად შეცვლილ სიტუაციაში მიმდინარეობდა. ამ დროისათვის დას. ევროპაშიაც მინელდა აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობა და ევროპელ მეაბრეშუმეთა დიდი ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა. საგრძნობლად შეიცვალა მეაბრეშუმეობის პროდუქციის გასაღების ვითარებაც.

1880—1890-იან წლებში მეაბრეშუმეობა სულ უფრო ვრცელდება ამიერკავკასიის სოფლებში, ხოლო ისეთ რაიონებში სადაც იგი აქამდეც იყო განვითარებული ამ დროიდან იქცევა საავჭრო მეცხოველეობის ფრიად თვალსაჩინო და ზოგან კიდევ ძირითად დარგად.

აღსანიშნავია, რომ ამ დროიდან, როგორც ადმინისტრაცია ისე სოფლისმეურნეობრივი საზოგადოებებიც უფრო

---

[8] Р. Эристов, назв. соч., стр. 43

[9] იხ. გაზ. „დროება“, 1883 წ., № 178.

ენერგიულად ზრუნავენ მეაბრეშუმეობისათვის[10]. მაგალითად, 1885 წელს ოზურგეთის საქალაქო სკოლასთან მოეწყო **სპეციალური საყაქე (червоводня). საყაქეს ხელმძღვანელობდა** მეაბრეშუმეობის კავკასიური სადგურის მიერ მივლინებული სპეციალისტი[11]. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ჩანს, ხსენებული სპეციალისტი არც თუ ისე გულმოდგინედ ზრუნავდა მეაბრეშუმეობის წარმატებისათვის მოსახლეობა ფრიად იყო დაინტერესებული ამ მეწარმეობით[12]. თანდათანობით საყაქეს საქმიანობაც გაუმჯობესდა და „ოზურგეთის მანდილოსნები ბლომად დაიარებიან მის სანახავად. მათგან ზოგი მარტო თვალის სერვისათვის კი არ მოდის, არამედ აკვირდება და კითხულობს, თუ როგორ სწარმოებს ეს საქმე“. 1889 წელს ხსენებულ საყაქეში უკვე 30 შეგირდი სწავლობდა — მეაბრეშუმეობის ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით. იგივე კორესპონდენტი წერდა: „აბრეშუმი ოზურგეთში კერძო ოჯახებშიაც მოჰყავთ. მატერიალურად ეს წარმოება, რომელიც ქალების ხელშია, გვარიან შემწეობას აძლევს მკვიდრთა. ისინი აბრეშუმიდან ხელით ამზადებენ სხვადასხვა ნაირ თავსახურავებს, ბეჭ-სახურავებს, ყელ-სახვევებს და სხვ.“[13].

ათიოდე წლის შემდეგ მეაბრეშუმეობით უკვე თითქმის მთელი ოზურგეთის მაზრაა გატაცებული. 1899 წელს ხიდისთაველი კორესპონდენტი, ვ. ჭ ა ლ ე ლ ი, იტყობინებოდა: „მეაბრეშუმეობა აქ ძლიერ გავრცელებულია. ეს ერთადერთი საუკეთესო დარგია მრეწველობისა, რასაც ხელს უწყობს თვით ბუნებაც. აქ მეაბრეშუმეები სულ ქალები არიან... შარშან პარკს კარგი ფასი ჰქონდა (ფუთი ფასობდა 15 — 20 მანეთად) და ყველა კმაყოფილი დარჩა თავის ნამუშევრით.

---

[10] იხ. გაზ. „დროება“, 1883 წ., № 170.

[11] КСХ, 1897 г., № 1Ѳ3, стр. 126.

[12] „სასოფლო მრეწველობა ოზურგეთში“ (გაზ. „მეუურნე“, 1889 წ., № 18, გვ. 5—6).

[13] გაზ. „მეუურნე“, 1889 წ., № 18, გვ. 5 — 6.

იმ იმედით რომ წელსაც კარგი ფასი ექნება ყველა ხარბად დაეწაფა თესლს და იმდენი იყიდეს თვითეულმა, რამდენის გამოკვებაც მას ბეჭლით არ შეეძლო"[14].

ანალოგიურ გატაცებას ჰქონდა ადგილი საქართველოს სხვ. მაზრებშიაც. 1894 წელს ი. კ უ ხ ე ლ ი წერდა: „აბრეშუმი რომ არ დაეჯინოს იმისთანა ოჯახი თითქმის არ იქნება სოფლებს: ხონს, მათხოჯს, საწულუკიძოში, კონტუათში, კუხში, გუბში, ჯიხაიშსა და სხვ."[15]. 1901 წელს ს. მათხოჯიდან კ. მ ე ლ ა ძ ე იწერებოდა, რომ „მეაბრეშუმეობას უმეტესად ქალები ეტანებიან და ერც კაცები არიან გულზეხელდაკრეფილნი: ნამეტნავად წინანდელ წლებში ფასების აწევით და მეტის მოგებით წახალისებულნი"[16]. საერთო ფერხულს ბანძელებიც არ ჩამორჩნენ; აქაც „ამ უკანასკნელს წლებში მეაბრეშუმეობას ფართოდ მოკიდეს ხელი. წრეულ (1899 წ.) იშვიათად შეხვდებოდით ისეთ ოჯახს, რომ აბრეშუმის ჭია არ ჰყოლოდა"[17].

90-იან წლებში ცნობილი ქუთათური ვაჭარი არტემ ა ნ ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, რომელიც მეცენატობასაც ცდილობდა, 1895 წ. იმპერიის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრისადმი ქუთაისის გუბერნიის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის საკითხების შესახებ წარდგენილ ვრცელ მოხსენებით ბარათში, ეხება რა კერძოდ მეაბრეშუმეობას წერს: „...მეაბრეშუმეობა, რომელიც გასული 20 — 30 წლის მანძილზე თითქოს-და ჩაკვდა შედეგად აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობის გავრცელებისა, უკანასკნელ 5 წელიწადში ახალი ძალით აღორძინდა მოსახლეობაში ჯანსაღი ცელულარული გრენის გავრცელების წყალობით. ახლა ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის მაზრის მთელი მოსახლეობა ხალისით ეწევა აბრეშუმის ჭიის გამოკვებას და პარკის წარმოებაც დიდ ზომას აღწევს"; მაგრამ ხელისუფლების

[14] გაზ. „კვალი", 1899 წ., № 32, გვ. 535 — 536.
[15] „კვალი", 1894 წ., № 38, გვ. 5—6.
[16] „კვალი", 1901 წ., № 25, გვ. 613.
[17] „კვალი", 1899 წ., № 39, გვ. 673.

მხრივ საპირო ტექნიკურ დახმარებას (ორთქლის სახრჩოლავებს, აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკებს) მოკლებული და ჩარჩ-შემსყიდველთა ხელში ჩავარდნილი მოსახლეობა ამ საქმიანობიდან შესაძლებელზე ბევრად ნაკლებ შემოსავალს ღებულობსო[18].

საერთოდ ქუთაისის გუბერნიის შესახებ სმკს ინსტრუქტორი 1897 წ. წერდა: „ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ შეღარებით აპალი აღორძინებადი მეაბრეშუმეობა შესძლებდა ერთბაშად ასე ფართოდ განვითარებას და სოფლის მოსახლეობის ყველა ფენის გატაცებას, დაწყებული უბრალო გლეხით, რომელსაც სულ რაღაც რამდენიმე ძირი თუთისხე და პაწია სახლი გააჩნია და გათავებული თავადით, რომელსაც ასეულობით ძირი თუთისხე და უზარმაზარი სახლკარი აქვს. ყოველი მათგანი ისწრაფვის რაც შეიძლება მეტი გრენა შეიძინოს, რისთვისაც არ ზოგავს ფულს და სიამოვნებით თანხმდება გრენერისაგან შეთავაზებულ ყველა პირობაზე. რაც ცხადია, არც თუ ისე ხელსაყრელია მეაბრეშუმეებისათვის“[19].

საგამომღებლო ინსპექტორი, ი. ჩიქოვანი, — რომელიც, ცხადია, კარგად იცნობდა მოსახლეობის ფულადი შემოსავლის წყაროებს და, მაშასადამე, გადახდაუნარიანობის ვითარებას, — აცხადებს, რომ 90-იან წლებში, მევენახეობა-მეღვინეობის შემოსავლიანობის დაცემის შემდეგ, მეაბრეშუმეობა ქუთაისის გუბერნიის „მოსახლეობისათვის გადაიქცა უმთავრეს და თითქმის ერთადერთ წყაროდ ფულადი შემოსავლისა და ამ დარგის მეოხებით გამოსაღებთა გადახდა მეაბრეშუმეობის რაიონებში ბევრად უფრო აკურატულად ხდება, ვინემ სხვაგან“, რის გამოც, მისი მოსაზრებით, „მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის შინამრეწველურ სა-

---

[18] ЦГИАЛ, ф. Мин. землед. и гос. имуществ, отдел сельской экономии и сельскохозяйственной статистики, 1895 г., св. 21, д. № 302, л. л. 7-8.

[19] КСХ, 1897 г., № 161, стр. 94.

რეწავთა შემდგომი განვითარება გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ქუთაისის გუბერნიისათვის"[20].

არანაკლებ ფართო ხასიათს ატარებდა მეაბრეშუმეობის აღმავლობა აღმ. ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით აზერბაიჯანსა და კერძოდ ელისავეტპოლის გუბერნიაში. ოფიციალური მიმომხილველი აცხადებს: თუ წინად აქ მეაბრეშუმეობას მხოლოდ და მხოლოდ გლეხური მეურნეობები მისდევდნენ, 1880-იანი წლების ბოლოდან „მას ხელი მოკიდა მრავალმა ვემამულემ და ვაჭარმა, რომლებმაც ამისათვის მოაწყვეს გაუმჯობესებული საყაჭეები"[21].

აზერბაიჯანში ნ. შავროვის დახასიათებით მეაბრეშუმეობას უმეტესწილად „ოჯახის წევრები", ჩვეულებრივად ქალები ეწეოდნენ. მამაკაცებს ეკისრებოდათ თუთისხეების (თუთის პლანტაციების) მოვლა-პატრონობა, საყაჭეში ფოთლის შოტანა და ბოლოს პარკის გაყიდვა. ამასთანავე ნუხა-შემახიას რაიონის სამხრეთ ნაწილში, მტკვრის სანაპიროების სოფლებში და აღმ. ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობაში 80-იანი წლებიდან დაიწყო თავისებური სპეციალიზაცია. თუთისხის პლანტაციის მეპატრონე უშუალოდ არ ეწეოდა მეაბრეშუმეობას; — ის პლანტაციას და საყაჭესაც იჯარით აძლევდა მეაბრეშუმეს, რომელიც ამისათვის მას უხდიდა აბრეშუმის მოსავლის მესამედს ანდა ნახევარს. ანდა კიდევ, სხვა შემთხვევაში, მეპატრონე თვითონ უშუალოდ ეწეოდა მეაბრეშუმეობას მაგრამ დაქირავებულ მუშათა, სოფლის მოჯამაგირეთა, დახმარებით. მეპატრონის კვებაზე მყოფი ეს მუშები ხელფასს ღებულობდნენ პარკის მოსავლის მეხუთედის ან მესამედის სახით, ნატურით[22].

ამ სახით წვრილ უშუალომწარმოებელ მეაბრეშუმეთა გვერდით ჩნდება შედარებით მსხვილი მეპატრონის მეაბრეშუმეობა, რაც დამყარებულია დაქირავებული შრომის ექსპლოატაციაზე.

---

[20] ИКШС за 1899 г., выпуск I, стр. 9.
[21] И Согаль, „Сборник свед..", I, 159—160.
[22] СМИЭБГКЗК, IV, стр. 247—248.

ი. ს ე გ ა ლ ი ს ცნობით ელისავეტპოლის (განჯის) გუბერნიაში აბრეშუმის პარკის ყოველწლიური მოსავალი უდრიდა (ფუთობით):

წლები	ფუთები	წლები	ფუთები	წლები	ფუთები
1871 —	63.616	1880 —	93.204	1890 —	69.862
1872 —	135.800	1881 —	74.026	1891 —	121.019
1873 —	158.310	1882 —	67.607	1892 —	125.680
1874 —	28.243	1883 —	77.607	1893 —	119.005
1875 —	144.718	1884 —	80.006	1894 —	141.679
1876 —	60.566	1885 —	83.786	1895 —	88.215
1877 —	63.765	1886 —	101.770	1896 —	116.205
1878 —	46.644	1887 —	118.785	1897 —	104.330
1879 —	57.701	1888 —	122.369	1898 —	119.160
		1889—	106.251	1899 —	128 095

მიუხედავად მნიშვნელოვანი რყევადობისა, რაც იწვევდა უმთავრესად აბრეშუმის ავადმყოფობის გავრცელებულობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1872, 1873 და 1875 მეტად უხვმოსავლიან წლებს საერთოდ 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული ელისავეტპოლის გუბერნიაში, ისევე როგორც საერთოდ ამიერკავკასიაში, მეაბრეშუმეობა, მართალია, ნელნელა, მაგრამ მაინც თანდათანობით ვითარდებოდა, ხოლო ზოგიერთ წლებსა და ზოგ რაიონში კიდევ დიდ და სწრაფ წარმატებას აღწევდა.

საჭიროა აქვე ითქვას, რომ თავისი აღმავლობის ყველაზე მნიშვნელოვან წლებშიაც-კი და ამასთანავე თავისი გავრცელების ყველაზე დაწინაურებულ რაიონებშიც კი მეაბრეშუმეობა ამიერკავკასიაში არსად და არასოდეს არ გამხდარა მისი მიმდევარი მოსახლეობის ერთადერთ საქმიანობად; იგი ყველგან ვითარდებოდა როგორც დამატებითი წარმოება, როგორც სეზონური მეწარმეობა — შეთანაწყობილი მემცენარეობისა და მეცხოველეობის სხვადასხვა კულტურებთან და დარგებთან.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მეაბრეშუმეობას ხშირად მისდევდა ისეთი სოფლების მოსახლეობაც, რომელსაც ადგილზე თუთისხეები არ მოეპოებოდა. მაგალითად,

ელისავეტპოლის მაზრის სამუხის მაჰალის გლეხები „თავისთან არ ჰქონდათ რა თუთისხეების ნარგავები... აბრეშუმის ჭიის გამოკვების სეზონის დასაწყისში მიდიოდნენ მათი სოფლებიდან ხშირად მნიშვნელოვნად დაშორებულ სხვა ადგილებში, სადაც იჯარით იღებდნენ თუთისხის ნარგავებს, კვებავდნენ აბრეშუმის ჭიას და შემდეგ იქვე ამოახვევდნენ ხოლმე მოყვანილი პარკიდან ნართს. სახლში მოტანილი აბრეშუმისგან ისინი აწარმოებდნენ სხვადასხვა ქსოვილებს, რასაც შემდეგ ცვლიდნენ მემინდვრეობისა და მეჯოგეობის პროდუქტებზე, ხშირად კიდევ ნაღდ ფულზედაც ჰყიდდნენ“[23].

1890-იანი წლებიდან მეაბრეშუმეობა შესამჩნევ წარმატებას აღწევს ერევნის გუბერნიაშიც. 1895 წ. ს. აკულისელი კორესპონდენტი იწერებოდა: „სოფლის მეურნეობის დარგთაგან ჩვენში ამჟამად შემოსავლიანობის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს მეაბრეშუმეობას და მოსახლეობაც სხვებზე უფრო მეტად ყურადღებას აქცევს ამ დარგის განვითარებას. მეაბრეშუმეობა ჩვენში ყოველწლიურად უფრო ფართოვდება“.

გარდა იმისა, რომ ს. აკულისში ძველი დროიდანვე მისდევდნენ მეაბრეშუმეობას და ამ მხრივ დიდი გამოცდილებაც ჰქონდათ, კორესპონდენტის აზრით კიდევ იყო ორი გარემოება რამაც ხელი შეუწყო აქ ამ საქმიანობის წარმატებას: 1. პირველი მიზეზი იყო თუთისგან გამოხდილ არაყზე უზომოდ დიდი აქციზის დაწესება, რამაც ამ მიზნით მეთუთეობა არახელსაყრელად გადააქცია. ამის გამო კი მოსახლეობამ ამოძირკვა თუთის ხეები და მათს ადგილას გააშენა ვენახი, ანდა — თუთისხის პლანტაცია აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად. 2. მეორე მიზეზი შეიქნა პარკსა და საერთოდ აბრეშუმზე მაღალი ფასები[24].

როგორც საერთოდ ისე კერძოდ მ ე ა ბ რ ე შ უ მ ე ო ბ ი ს ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ა ც ამიერკავკასიაში მოუწესრიგებელი

---

23 „Обзор Елисаветпольской губ. за 1910 г.“, стр. 68.

24 Газ. „Новое обозрение“, 1895 г., 20 марта; КСХ, 1895 г., № 65, стр. 1186.

იყო. როგორც რევოლუციამდელ ისე მერმინდელ პუბლიკაციებში წარმოდგენილი ცნობები ხშირად შესამჩნევად განსხვავდებიან. საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, აქ საერთოდ სტატისტიკური საქმიანობის მნიშვნელოვანი გამოცოცხლება-აღმავლობის პერიოდში, გამოქვეყნებულ კრებულებში წინად დაგროვილ მასალათა სისტემატიზაცია-დამუშავების დროს დაშვებულია რიგი შეუსაბამობა და უსწორობა, რაც ხშირად დღემდე არაა გამოსწორებული.

მაგალითად, რევოლუციამდელ წლებში სტატისტიკური ცნობები გროვდებოდა მაშინ არსებული ადმინისტრაციული ერთეულების (გუბერნიების, მაზრების) მიხედვით. ახალმა სტატისტიკურმა ორგანოებმა თავს იდვეს ამ მასალათა არსებული საბჭოთა რესპუბლიკების და მათი რაიონების მიხედვით გადაკეთების არცთუ იმდენად. ადვილი საქმე, როდესაც, როგორც ჩანს, ყოველთვის როდი ყოფილა დაცული და გატარებული ასეთს შემთხვევებში საჭირო სიფრთხილე იმპერიის ძველ ადმინისტრაციულ ერთეულებსა და ახალი რესპუბლიკების საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიებს შორის დამთხვევა-განსხვავებულობათა შესაბამისად ძველად თავმოყრილ სტატისტიკურ მასალათა გადაყვანა-გადაანგარიშების სამუშაოთა შესრულებისას.

ამასთანავე პირველ პერიოდში ამ რესპუბლიკების საზღვრებიც შესამჩნევად იცვლებოდა. რა თქმა უნდა, სახელმწიფოებრივი სტატისტიკური ორგანოებისათვის უფრო უპრიანი იქნებოდა ძველ მასალათა (ძველი პროგრამითა და ადმინისტრაციულ ერთეულთა ფარგლების შესაბამისად მოპოვებულ მონაცემთა) თავდაპირველად, როგორც პირველწყაროთა, იმდროინდელივე ტერიტორიული დაყოფის (გუბერნიების) მიხედვით გამოქვეყნება, რითაც თავიდან იქნებოდა აცილებული თვითმპყრობელობის პერიოდის სტატისტიკურ მონაცემთა თანამომდევნოობითი მანკიერებისათვის კიდევ ახალის მიმატება.

საკუთრად მეაბრეშუმეობის მოსავლიანობის ზუსტი

ცნობების დადგენას ისიც აბრკოლებდა, რომ ამიერკავკასიაში ნედლი პარკის ფრიად მნიშვნელოვან ნაწილს თვით მეაბრეშუმენი მოიხმარდნენ შინამრეწველურად და, ამგვარად, ამ ნაწილის აღრიცხვა მხოლოდღა გამოკითხვის გზით მიღებული და, მაშასადამე, დაახლოებითი ვარაუდების მიხედვით ხდებოდა.

მაინც, მიუხედავად რიგი ნაკლოვანებისა, ზემოხსენებული გზით ჩვენამდე მოღწეულ სტატისტიკურ მონაცემებს შეუძლიათ დახმარება გაგვიწიონ მეაბრეშუმეობის განვითარების ეკონომიკურ მაჩვენებელთა დინამიკის წარმოდგენაში.

მეაბრეშუმეობის სტატისტიკა[25]

წლები	საქართველო		აზერბაიჯანი და სომხეთი		სულ	
	გამოიჩეკა გრენა მისხლობით	ნედლი პარკის მოსავალი ფუთობით	გამოიჩეკა გრენა მისხლობით	ნედლი პარკის მოსავალი ფუთობით	გამოიჩეკა გრენა მისხლობით	ნედლი პარკის მოსავალი ფუთობით
1909	850000	130000	1150000	200000	2000000	330000
1910	800000	160000	1200000	200000	2000000	360000
1911	820000	150000	1200000	195000	2020000	345000
1912	880000	140000	1500000	200000	2380000	340000
1913	480000	95000	1100000	180000	1580000	275000
1914	630000	128000	970000	110000	1600000	238000
1915	440000	87000	900000	110000	1330000	197000
1916	300000	52000	—	—	—	—
1917	240000	42000	700000	100000	940000	142000
1918	190000	40000	—	—	—	—
1919	120000	20000	12000	2000	132000	23000
1920	270000	53000	86000	17000	356000	70000
1921	330000	87000	79000	18000	409000	105000

[25] წყაროები: „Первый съезд по шелковому делу при НКВТ ЗОФСР“, 1933 г., стр. 77; ЭТЗ, II, 1925, стр. 9; „Народное хозяйство Закавказья в цифрах“, 1927, стр. 163; „სტატისტიკური კრებული 1909—1921“, 1923, გვ. 41.

აბრეშუმის ნედლი პარკის მოსავალი ამიერკავკასიაში მთავარი ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, ფუთობით:

ადმ. ერთეულები	1901 წ.[26]	1908 წ.[27]	1912 წ.[28]	1914 წ.[29]
თბილისის გუბ.	15.000	12.000	18.000	20.000
ქუთაისის „	120.000	89.000	85.000	106.000
ბაქოს „	40.000	35.000	35.000	50.000
ელისავეტპ „	250.000	130.000	120.000	128.000
ერევნის „	20.000	17.000	16.000	16.000
ჯამი	445.000	283.000	274.000	320.000

როგორც წარმოდგენილი სტატისტიკური ცხრილები გვიჩვენებენ აღებულ პერიოდში გამოჩეკილი გრენის რაოდენობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია 1912 წელს (880 ათასი მისხ.), ხოლო ნედლი პარკის მოსავალმა 1910 წელს (360 ათასი ფუთი), როდესაც დაახლოებით ათი პროცენტით ნაკლები აბრეშუმის თესლი იყო გამოჩეკილი. ეს დაცილება იმის მაჩვენებელია თუ რაოდენ ძლიერი იყო რყევადობა აბრეშუმის მოსავლიანობაში საერთოდ.

მართალია, 80-იანი წლებიდან ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობა აღმავლობის გზით მიდიოდა, მაგრამ ამ პერიოდის, კერძოდ 1912 წლის ყველაზე ნაღალი მოსავალი დიდად ჩამორჩებოდა მისი „აყვავების პერიოდს“, ე. ი. მე-19 ს. 50 — 60-იანი წლების შუა ათწლეულის მოსავალს, როდესაც ამიერკავკასიაში საშუალოწლიურად 700 — 800 ათასი ფუთი აბრეშუმის ნედლი პარკი იწარმოებოდა[30].

თუ მონაცემებს ადმინისტრაციული ერთეულების მი-

---

[26] КК, на 1903 г, отд. III, стр. 82.

[27] КК. на 1910 г., ч. II, отд. IV, стр. 582—583.

[28] КХ, 1915 г., № 13—14, стр. 29.

[29] КХ, 1916 г., № 13—14, стр. 12.

[30] И. Кутателадзе, „Шелкопромышленность в Грузии и союзных республиках Азербайджана и Армении“ („Труды первого съезда по шелковому делу“, стр. 76); ЭТЗ, II, 6.

ზედვით განვიხილავთ, დავინახავთ რომ ამ წლებშიაც ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობაში წამყვანი ადგილი ეჭირა ელისავეტპოლის გუბერნიას, რომელიც იძლეოდა ამიერკავკასიის მთელი წარმოების 40 — 50 პროცენტს. თვით ელისავეტპოლის გუბერნიაში ნედლი პარკის მოსავალი ცალკე მაზრების მიხედვით, მაგალითად, 1910 წელს უდრიდა (ფუთობით) [31]:

1. არეშის მაზრაში . .	. 41.500
2. შუშის „	. 32.000
3. კარიაგის „	. 30.000
4. ნუხის „	. 28.000
5. ჯევანშირის „	10.000
6. ზანგეზურის „	6.000
7. ელისავეტპოლისა და ყაზახის მაზრებში	6.000
სულ . . .	153.500

1914 წელს ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობას მეტნაკლები ზომით მისდევდა 450.000-ზედ ოჯახი, ანუ 3.000-მდე პუნქტში დასახლებული 1,5 მილიონამდე კაცი[32].

ამიერკავკასიური მეაბრეშუმეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის დამახასიათებელ გარემოებათაგან აქ, გარდა ზემოხსენებულთა, საჭიროა აღინიშნოს კიდევ ზოგიერთი მომენტი. მეაბრეშუმეობას შესაბამის რაიონებში, მეტნაკლები ზომით, მისდევდა საერთოდ თითქმის ყველა სოფლის მეურნე, ყველაზე წვრილი, ღარიბი და უღარიბესი გლეხობაც, ვისაც კი შეეძლო საკუთარ კარმიდამოში ანდა სხვისაში ხელი მოეკიდა აბრეშუმის ჭიის გამოკვებისათვის, ეშოვნა თუთის ფოთოლი.

მეაბრეშუმეობის წარმოებრივი პერიოდის სიმოკლე და ის გარემოებაც, რომ იგი მოსავალს და, მაშასადამე, ფულად შემოსავალს სოფლის მეურნეობის მრავალ სხვა დარგსა და

[31] „Сборн Елисаветпольской губ. за 1910 г.", стр. 91.
[32] КХ, 1915, № 2, стр. 13; ЭТЗ, II, стр. 30.

კულტურაზე ადრე, თვით ზაფხულის დამდეგს იძლეოდა, დიდად ხელს უწყობდა მის ფართოდ გავრცელებას.

ამასთანავე მეაბრეშუმეობა იმითაც, რომ იძლეოდა რა ძვირფას მასალას შინამრეწველობისათვის აუცილებელ დამხმარე საქმიანობას წარმოადგენდა მცირემიწიანი მოსახლეობისათვის, სადაც სოფლისმეურნეობრივი წარმოებით დაუტვირთავი მუშახელის, -ჭარბი მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების სამუშაო ძალის სხვარიგად „სრული გამოყენება“ შეუძლებელი იყო.

შინამრეწველურ მეაბრეშუმეობაზე ჩვენ თავის ადგილას გვაქვს სპეციალურად მსჯელობა[33]. აქ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ იგი უაღრესად მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეაბრეშუმეობასთან, როგორც სოფლისმეურნეობრივ წარმოებასთან და, როგორც წესი, მეაბრეშუმე თვითვე ეწეოდა პარკისაგან ძაფის ამოხვევას, რთვას და ბოლოს მისგან სხვადასხვა ტექსტილური ნაწარმის, ნოხების და სხვ. წარმოებას, ე. ი. გამოდიოდა როგორც მრთველიცა და ფეიქარიც. — შრომის ეს დარგები, როგორც მრეწველური პროფესია სოფლისმეურნეობრივი, კერძოდ მეაბრეშუმის შრომისაგან მხოლოდ დროში იყო გამოყოფილი და საერთოდ კი ერთსადაიმავე ადამიანში იყო გაერთიანებული[34].

მე-19 ს. რეფორმამდელ პერიოდში მაინც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სახელმწიფო გადასახადისა და ხარკის სახით გაწერილ აბრეშუმს, მოსავლის ჭეშმარიტად ის ნაწილი გადიოდა ბაზარზე, რომელიც მეაბრეშუმეს, როგორც შინამრეწველს, არ სჭირდებოდა ანდა არ შეეძლო თვითონვე აეთვისებია. მაგრამ ეს მდგომარეობა, ცხადია, საქონლური მეურნეობის განვითარების შესაბამისად თანდათანობით იცვლებოდა და ნედლი პარკი სულ უფრო მეტი ზომით იქცეო-

---

[33] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „შინამრეწველობა ამიერკავკასიაში“ (ეკონ. ინსტ. შრომები, 1950, ტ. IV, გვ. 49 — 114).

[34] П. Г у г у ш в и л и, „Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв.“, 1957, т. I, стр. 154—155.

და საბაზრო პროდუქტად და თვით საექსპორტო საქონლადაც-კი.

პირველი მსოფლიო ომის წინაწლებში ამიერკავკასიაში ნედლი პარკის საშუალოწლიური მოსავალი, როგორც დავინახეთ, უდრიდა დაახლოებით 300.000 ფუთს. ამ რაოდენობიდან ნ. ᲑᲝᲑᲘᲜᲘᲜᲘᲡ გამოანგარიშებით 2.000 ფუთი პარკი მოიხმარებოდა გრენაჟისათვის, ხოლო დაახლოებით 120.000 ფუთი (40%) გაიტანებოდა საზღვარგარეთ. აბრეშუმის პარკის მთლიანი მოსავლიდან 60.000 ფ. (20%) ამოხვევა ხდებოდა შინამრეწველურად, თვით მეაბრეშუმეთა ოჯახური საჭიროებისათვის. დანარჩენი 120.000 ფუთი (40%) ნედლი პარკის (მშრალი სახით 40.000 ფ.) გადამუშავება ხდებოდა აბრეშუმსახვევ ფაბრიკებში. ამავე პერიოდში ამიერკავკასიიდან საშუალოწლიურად გატანილი აბრეშუმის პარკისა. (2,4 მილ. მან.) მისი სხვადასხვა პროდუქტებისა (2,93 მილ. მან.) და აბრეშუმის სხვადასხვა ნაკეთობათა (0,5 მილ. მან.) ღირებულების საერთო ჯამს 6 მილიონ მანეთამდე ანგარიშობდნენ[35].

პირველი მსოფლიო ომისა და ამიერკავკასიაში მენშევიკების, მუსავათისტებისა და დაშნაკთა ბატონობის პერიოდში მეაბრეშუმეობა ძლიერ დაეცა და დაქვეითდა. საქართველოში 1919 წ. ზაფხულიდან მეაბრეშუმეობის პროდუქტებზე წემოღებულ იქნა სახელმწიფო მონოპოლია, რის მიხედვითაც მეაბრეშუმეებს გრენა უნდა მიეღოთ მთავრობისაგან. ხოლო თავის მხრივ ნედლ აბრეშუმს კოოპერატივების მეშვეობით აბარებდნენ. პარკის ჩაბარებისას მეაბრეშუმეები ტექსტილური ნაწარმისა (ნატურით) და ფულის სახით ღებულობდნენ საქონლის მთელი ღირებულების 60 პროცენტს. მას მერმე რაც კოოპერაცია თავის მხრივ სახელმწიფოს ჩააბარებდა მშრალ პარკს მეაბრეშუმეთ ეძლეოდათ დანარჩენი 40%.

მშრალი პარკის რეალიზაციის შემდეგ წმინდა მოგების

---

[35] ᲔᲢᲗ, II, 10—11.

50% უნდა მოხმარებოდა მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეს, ხოლო დანარჩენი მიდიოდა ხაზინის სასარგებლოდ.

ენინშევიკური სახელმწიფოს მიერ ამ მონოპოლიის 1920 წელს ცხოვრებაში გატარებამ დიდი ზიანი მიაყენა მეაბრეშუმეებს — 1921 წელს თითქმის მთელი ეს აბრეშუმი ემიგრირებულმა მთავრობამ თან წაიღო. ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობის საქმის შესახებ 1923 წ. თბილისში შემდგარ პირველ ყრილობაზე გამოსული მეაბრეშუმეობის ცნობილი სპეციალისტი ი. ქუთათელაძე აღნიშნავდა, რომ ხსენებული მონოპოლია „იყო შედეგი კავკასიური მეაბრეშუმეობის სრული განადგურებისა“[36].

ცხადია, საბჭოთა ხელისუფლებამ იმთავითვე დასახა და დაიწყო ცხოვრებაში გატარება მეაბრეშუმეობის აღდგენისათვის საჭირო ღონისძიებებისა. ხსენებულ ყრილობაზე გამოსული რსფსრ წარმომადგენელი ლინდე აცხადებდა: „ჩვენი აბრეშუმის გადამმუშავებელი მრეწველობა ნედლეულის ნაკლებობას განიცდის. მოსკოვში აბრეშუმის საფეიქრო მანუფაქტურაში დასაქმებულია სულ 8.000 მუშა, ხოლო მანუფაქტურასთან კი ცხოვრობს 10.000 მუშა, რომელთაც არა აქვთ სამუშაო. ცინდელის ფაბრიკაში მუშათა 70% ცხოვრობს ფაბრიკის კორპუსებში და კიდევ უცდის სამუშაოს. ამგვარად, აპარატი მზადაა, საჭიროა ნახლოდ მისი ამოძრავება“[37].

მე-19 ს. მეორე ნახევრიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობის განვითარების ამ ზოგადი განხილვის შემდეგ, ქვემოთ ჩვენ რამდენადმე დეტალურად შევეხებით მეაბრეშუმეობის ისტორიის ზოგიერთ ისეთ სპეციალურ პრობლემას, როგორიცაა მეაბრეშუმეობის დარგში ხელისუფლების მიერ წარმოებულ ღო-

---

[36] Первый съезд по шелковому делу при НКВТ ЗСФСР 18—23 марта 1923 г., „Труды съезда“, 1923, Тифлис, стр. 35.

[37] იქვე, გვ. 48.

ნისძიებათა (პოლიტიკის) სისტემა, და, აგრეთვე, გრენაჟის, თუთისხის კულტურისა და აბრეშუმის პარკის რეალიზაციის ორგანიზაციისა და ეკონომიკის საკითხები.

4. ღონისძიებანი მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის

ჩვენ დავინახეთ, რომ ცარიზმის ხელისუფლება და რუსეთის კაპიტალიზმი იმთავითვე დიდ ინტერესს იჩენდა ამიერკავკასიური მეაბრეშუმეობისადმი და გავეცანით კიდევაც თუ რა ზომებითა და მეთოდებით ცდილობდნენ პირველ ხანებში ამ მიზნის მიღწევას, თუ რამდენად ეფექტური იყო საერთოდ ეს ღონისძიება.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან რაც უფრო ვითარდებოდა შიგა რუსეთში ტექსტილური წარმოება და კერძოდ აბრეშუმის მრეწველობა, რაც უფრო ვითარდებოდა საერთოდ კაპიტალიზმი, ცხადია, მით უფრო ძლიერდებოდა ყურადღება და, მაშასადამე, საშუალებებიც, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ ხელი შეეწყოთ აქ მეაბრეშუმეობის გავრცელება-განვითარებისათვის.

ღონისძიებათა ამ სისტემაში ამიერიდან სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სპეციალური ორგანიზაციები, რომელთაგან აღსანიშნავია განსაკუთრებით კავკასიური სოფლის მეურნეობის საზოგადოებისა და მერმე მის წიაღში ჩასახული კავკასიური მეაბრეშუმეობის სადგურის მოღვაწეობა.

ა. კავკასიური სოფლის მეურნეობის საზოგადოება

ამ საზოგადოებამ (კსმს) თავისი დაარსების პირველსავე (1850) წელს მოიწვია სპეციალისტი ინსტრუქტორი — ე მ ე რ ი ხ ი. კსმს მეაბრეშუმეობის რაიონებში არიგებდა საუკეთესო უცხოურ გრენას, აგრეთვე — აბრეშუმსახვევ დაზ-

გებს, აძლევდა პრემიებს კარგი აბრეშუმისათვის; ამას გარდა მეაბრეშუმეობის მოსკოვის კომიტეტის დახმარებით ცდილობდა უზრუნველეყო აქაური მეაბრეშუმეობის პროდუქტების რეალიზაცია მოსკოვში. ამ მხრივ კსმს საქმიანობის წარმატებაში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით 50-იან წლებში ცნობილ რუს სწავლულ მეაბრეშუმეებს ს. მ ა ს ლ ო ვ ს, ა. რ ე ბ რ ო ვ ს ა და ნ. რ ა ი კ ო ს — მეაბრეშუმეობის მოსკოვის კომიტეტის წევრებს.

საერთოდ მეაბრეშუმეობის წარმატების საქმეში კსმს მოღვაწეობა უმთავრესად გამოიხატებოდა შემდეგში.

იგი ზრუნავდა მეთუთეობის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც თბილისის საკლიმატიზაციო ბაღიდან („მუშტაიდის" ბაღის გვერდით იყო 1869 წლიდან) მეაბრეშუმეობის რაიონებში ავრცელებდა უცხოურ და ადგილობრივ საუკეთესო ჯიშის თუთისხის ნერგებს.

კსმს ხელს უწყობდა მაღალხარისხოვანი გრენის (აბრეშუმის თესლის) გავრცელებას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საერთოდ მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის. ამ მიზნით საზოგადოება: ა. იწერდა და არიგებდა ფრანგულ, იტალიურ, ჩინურ, არაბულ, ტიბეტურ, იაპონურ და სხვა გრენას. ბ. მუშაობდა ახალი ჯიშის აბრეშუმის გამოყვანაზე, გ. სუბსიდიებს აძლევდა უკეთესი ხარისხის გრენის იმპორტერებს და გამავრცელებლებს.

კსმს თავის სკოლაში შემოიღო მეაბრეშუმეობის გაკვეთილები; იგი აწყობდა აბრეშუმის ჭიის სანიმუშო გამოკვების (საყაჭეების) დემონსტრაციებს; — 1863 წ. თბილისის მაზრის სოფ. ლოჭინოში დაარსებულ „პრაქტიკულ ხუტოში" კსმს გააშენა თუთისხის პლანტაცია — სადაც მოაწყო სანიმუშო მეაბრეშუმეობა — აბრეშუმის ჭიის საჩვენებელი გამოკვება; — ატარებდა ლექციებს და საუბრებს მეაბრეშუმეობის როგორც საერთო ისე სპეციალურ საკითხებზე.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება კსმს იყო სახელდობრ კავკასიური მ ე ა ბ რ ე შ უ მ ე ო ბ ი ს ს ა დ გ უ-

რის მოწყობა, რის შესახებაც ქვემოთ ცალკე გვექნება მსჯელობა.

კსმს მეცადინეობდა კავკასიური აბრეშუმის უცხოეთსა და განსაკუთრებით მოსკოვში რეალიზაციის საქმის მოწესრიგებისათვის. ამ მხრივ კსმს-ს ხელს უწყობდა და დიდად აქეზებდა მეაბრეშუმეობის მოსკოვური კომიტეტი. მოსკოვში კავკასიური აბრეშუმის რეალიზაცია კარგადაც მიდიოდა, ოღონდ 50-იანი წლების შუადან ამიერკავკასიაში გამრავლებულმა ფრანგმა ნეგოციანტებმა რამდენადმე შეაფერხეს ეს საქმე[1].

საფრანგეთში პებრინის გაჩენის მერმე ფრანგებმა გრენის შესყიდვა დაიწყეს ჯერ საბერძნეთში, მერმე (როცა საბერძნეთიდან გრენის ექსპორტი აიკრძალა) თურქეთსა და, ბოლოს, კავკასიაში. მაგრამ აქ ექსპორტის საგანი გახდა არა მხოლოდ გრენა, არამედ თვით აბრეშუმიც და, ამგვარად, აბრეშუმის პარკზე ფასების სწრაფი ზრდის პირობებში მოსკოველ შემსყიდველებს თავიანთ სამფლობელოში სერიოზული კონკურენტები გამოუჩნდნენ ფრანგების სახით. მაგრამ ამ მეტოქეობას იმხანად გაჩაღება არ დასცალდა, რამდენადაც პებრინი და მერმე აბრეშუმის ჭიის სხვა ავადმყოფობანი მალე ამიერკავკასიაშიაც გაჩნდა.

კავკასიური აბრეშუმის რეალიზაციისა და, მაშასადამე, პოპულარიზაციისათვის ხელის შეწყობის მიზნით კსმს აბრეშუმის ნიმუშებს აგზავნიდა სხვადასხვა გამოფენაზე. მაგალითად, 1858 წ. ტურინის, 1864 წ. — მოსკოვის; 1870 წ. — პეტერბურგის, 1872 წ. — პოლიტექნიკურ გამოფენაზე, 1862 წ. — ლონდონის, 1867 წ. — პარიზის მსოფლიო გამოფენაზე და სხვ.

კსმს ხელს უწყობდა აბრეშუმის ძაფის რაციონალური ამოხვევის დანერგვა-გავრცელებას. ამ მიზნით იგი უცხოეთიდან იწერდა და ადგილობრივი მეაბრეშუმეობის რაიონებში

1 ОДКОСХ, стр. 160—162.

არიგებდა გაუმჯობესებულ ძაფსახვევ დაზგებს, ამასთანავე აგზავნიდა ინსტრუქტორებს და სხვ.

კსმს აწარმოებდა სისტემატურ მეცნიერულ კვლევა-ძიებას კავკასიაში მეაბრეშუმეობის და აბრეშუმის მრეწველობის სხვადასხვა საკითხისა. მონაწილეობდა რუსეთსა თუ უცხოეთში გამართულ მეაბრეშუმეობის კონგრესებზე, აქვეყნებდა რუსულ და, აგრეთვე, აზერბაიჯანულ, სომხურ და ქართულ ენებზე სახელმძღვანელოებს, პოპულარულ ბროშურებს გრენაჟის აბრეშუმის ჭიის გამოკვების, პებრინთან ბრძოლის, თუთისხის პლანტაციების გაშენებისა და საერთოდ მეაბრეშუმეობის აქტუალურ პრაქტიკულ საკითხებზე[2].

ბ. კავკასიური მეაბრეშუმეობის სადგური

იმ დიდი ყურადღების პირობებში რასაც მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობისადმი იჩენდა ცენტრალური ხელისუფლება, ბუნებრივია, რომ სოფლის მეურნეობის კავკასიურ საზოგადოებაში ადრე დაიბადა იდეა თბილისში დაეარსებიათ მეაბრეშუმეობის განვითარება-გავრცელების საქმის შესწავლისა და პრაქტიკული გაუმჯობესებისათვის მზრუნველი სპეციალური დაწესებულება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დას. ევროპაში ამგვარი საკვლევა-ძიებო სადგურის მოწყობის საკითხი პირველად დაისვა 1867 წელს, როდესაც მეაბრეშუმეობის ვენის კონგრესმა გამოიტანა სათანადო დადგენილება. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად მეაბრეშუმეობის პირველი სადგური დაარსდა 1868 წელს ავსტრიაში (გერცში), მეორე იყო 1871 წელს გახსნილი პადუის სადგური — იტალიაში.

სწორედ ამავე ხანებში, ხსენებულ მოვლენებთან კავშირში, კავკასიური სოფლის მეურნეობის საზოგადოებაშიაც ჯერ კიდევ 1869 წელს დაისვა საკითხი თბილისში დაეარსებიათ კავკასიური მეაბრეშუმეობის სადგური.

---

[2] ОДКОСХ, 178—179.

კსმს დიდი ბრძოლა დასჭირდა ცარიზმის ბიუროკრატიაში, რათა ბოლოს, 1887 წელს თბილისში დაარსებულიყო სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მეაბრეშუმეობის კავკასიური სადგური, რომლის პირველი ხელმძღვანელი იყო ცნობილი რუსი მეცნიერი-სპეციალისტი მეაბრეშუმეობისა ნ. შ ა ვ რ ო ვ ი, რომელმაც თავისი ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობით დიდი ღვაწლი დასდო აქ მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეს[3].

მეაბრეშუმეობის სადგური თავის ამოცანად ისახავდა: საუკეთესო ჯიშის აბრეშუმის თესლის გავრცელებას, რაციონალური გრენაჟის ორგანიზაციას, აბრეშუმის ჭიის გამოკვების უკეთესი ხერხების შემუშავებას, მეაბრეშუმეობის სპეციალისტთა კადრების მომზადებას, საერთოდ მეაბრეშუმეობის საკითხების მეცნიერულ შესწავლას და მის პოპულარიზაციას, აბრეშუმის პარკის წესიერ პირველად გადამუშავებას და ძაფის ამოხვევის გაუმჯობესებული ტექნიკის დანერგვას.

თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეაბრეშუმეობის შემოსავლიანობის გადიდებისა და, მაშასადამე, გავრცელე-

---

[3] მეაბრეშუმეობის გამოჩენილი სპეციალისტი პროფ. ვ. ი ვ ა ნ ო ვ ი ნ. ნ. შავროვის (1858—1915 წწ.) ნეკროლოგში აღნიშნავს, რომ ნ. შავროვმა დიდი ღვაწლი დასდო არა მხოლოდ კავკასიურ მეაბრეშუმეობას, არამედ საერთოდ რუსეთის სხვა რაიონებშიაც მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეს. მის მიერ თბილისში ორგანიზებული კავკასიური მეაბრეშუმეობის სადგური პირველი საცდელი სოფლისმეურნეობრივი სადგური იყო არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ მთელ რუსეთშიაც. ეს სადგური იყო ერთ-ერთი საუკეთესოდ მოწყობილი მეაბრეშუმეობის დაწესებულება მსოფლიოში. სადგურთან არსებული მეაბრეშუმეობის მთელ დას. ევროპაში საუკეთესო მუზეუმში ნ. შავროვის გულმოდგინე მუშაობის შედეგად თავმოყრილი იყო აბრეშუმის პარკის უმდიდრესი კოლექცია, რომელიც შეიცავდა ევროპის უმთავრეს ჯიშებს და აგრეთვე იაპონურ, ჩინურ, თურქესტნულ ჯიშთა მდიდარ ასორტიმენტს. ამასთანავე რიგი უკვე სავსებით გამქრალი კავკასიური, თურქესტნული და ირანული ჯიშები დაცულია მხოლოდ ამ მუზეუმში ნ. შავროვის თავდადებული მოღვაწეობის შედეგად (ИКШС за 1915 г., вып I, стр. 11; აქვეა მოთავსებული ნ. შავროვის ნაშრომთა სია).

ბისათვის კერძოდ პარკის ამოხვევის გაუმჯობესებული ტექ-ნიკის დანერგვას, ჩანს იქიდანაც, რომ, მაგალითად, 1884 წლის ცნობით აბრეშუმი ფასობდა (ფუთობით): ადგილობ-რივი, ე. ი. არქაული წესით ამოხვეული 120 — 200 მან., ხელის გაუმჯობესებული ჩარხით ამოხვეული — 250 — 300, ხოლო ორთქლის ჩარხით ამოხვეული-კი — 250 — 400 მანეთი. სწორედ ამიტომ აბრეშუმის ძაფსახვევი ტექნიკის პროგრესი მეაბრეშუმეობის განვითარების ერთ-ერთ პირველ-ხარისხოვან ამოცანას წარმოადგენდა. ამასთანავე ამიერკავ-კასიაში 1884 წ. ითვლებოდა ნბოლოდ ოცამდე ორთქლისა და სამასამდე ხელის გაუმჯობესებული ძაფსახვევი ჩარხი[4].

მეაბრეშუმეობის სადგურის წინაშე მის ინიციატორთა მიერ ჯერ კიდევ 1885 წელს დასახული ამოცანები, ცხადია, კერძოდ გრენისათვის ზრუნვის საკითხის განსაკუთრებული ხასიათი გამომდინარეობდა იმდროინდელ ამიერკავკასიაში სოფლის მეურნეობის ამ დარგის პრაქტიკული ამოცანებიდან.

ეს ის დრო იყო, როდესაც უმთავრესად ავადმყოფობის გავრცელების შედეგად მეაბრეშუმეობა უკიდურესად სავა-ლალო ნდგომარეობაში იმყოფებოდა, როდესაც მთელ ამიერ-კავკასიაში გლეხები, დაჰკარგეს რა იმედი მეაბრეშუმეობის აღდგენისა, მასობრივად ჩეხდნენ, კაფავდნენ თუთიხეებს.

უნდა ითქვას, რომ კავკასიურმა მეაბრეშუმეობის სად-გურმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, როგორც ამიერკავ-კასიაში მეაბრეშუმეობის აღდგენა-განვითარების, ისე სა-ერთოდ რუსეთის იმპერიაში მეაბრეშუმეობის გავრცელებისა და, მაშასადამე, მისი პრაქტიკული და მეცნიერული საკით-ხების შესწავლა-გაშუქების საქმეში.

მეაბრეშუმეობის ერთ-ერთი უახლესი სახელმძღვანელოს ავტორი პროფ. ე. მ ი ხ ა ი ლ ო ვ ი წერს, რომ „1887 წელს თბილისში დაარსებული კავკასიური მეაბრეშუმეობის სად-გური მალე გადაიქცა მსოფლიო მნიშვნელობის კვლევაძიე-ბითი მუშაობის ცენტრად. მის მოღვაწეობასთან დაკავში-

---

[4] ОДКОСХ, I, 178—188.

რებულია სახელები ისეთი მეცნიერებისა, როგორიც იყვნენ ნ. შავროვი, ვ. ივანოვი და სხვ.“[5].

მეაბრეშუმეობის კავკასიური სადგურის მოღვაწეობაში და საერთოდ ადგილობრივი მეაბრეშუმეობის დარგში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით: ნ. შავროვს, ნ. სიტოვსკის, მ. ანდრონიკაშვილს, გ. სტრუვეს, ა. დეიჩმანს, ნ. ზეიდლიცს, ა. ლერისიეს, თავ. ჩოლოყაშვილს, დ. ფურცელაძეს, მარია სულხანიშვილს, ვ. გეევსკის, დარეჯანაშვილს, კ. გორბაჩოკს, ჯანაშვილს, ე. იოსელიანს, თავ. დიასამიძეს, ი. ქუთათელაძესა და სხვ.

კავკასიური მეაბრეშუმეობის სადგური თანდათანობით ფართოვდებოდა და ამის შესაბამისად იზრდებოდა მისი როლი და მნიშვნელობა. 1900-იან წლებში სადგურს ჰქონდა:

1. აბრეშუმსაცდელი (шелконспытательная) ლაბორატორია, სადაც ხდებოდა თვით სადგურში გამონაკვები სხვადასხვა ჯიშის აბრეშუმის ჭიის პარკის და მისგან ამოხვეული ძაფის, ნართისა, აგრეთვე სადგურისავე საფეიქრო სახელოსნოში დამზადებული აბრეშუმის ქსოვილთა (ტექსტილის) კალკულაცია, შეფასება და სხვ.

2. ქიმიური ლაბორატორია, სადაც სწარმოებდა როგორც მეაბრეშუმეობის პროდუქტების, აგრეთვე სადგურის საფუტკრის გამგის მიერ მოგროვილი კავკასიური თაფლის ნიმუშების, კავკასიური მიწის ნიადაგის ქიმიური და მექანიკური შედგენილობის და სხვ. შესწავლა.

3. ზოოლოგიური ლაბორატორია, რომელიც სწავლობდა სხვადასხვა ჯიშისა და წარმომავლობის აბრეშუმის ჭიას.

4. ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელიც იკვლევდა აბრეშუმის ჭიისა და ფუტკრის ავადმყოფობათ და სხვ.

5. კავკასიურ მეაბრეშუმეობის სადგურთან არსებობდა მეაბრეშუმეობის და მეფუტკრეობის კურ-

---

[5] Е. Михайлов, „Шелководство“, 1950, М., стр. 13.

ს ე ბ ი. მეაბრეშუმეობის კურსების მსმენელებს ასწავლიდნენ აგრეთვე მეთუთეობას. მასწავლებლებად აქ მუშაობდნენ საუკეთესო სპეციალისტები.

6. სადგური დაარსებიდანვე ეწეოდა მნიშვნელოვან ი ნ ს ტ რ უ ქ ტ ო რ ულ მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ა ს. სადგურის ინსტრუქტორები მეაბრეშუმეობის პერიოდში ხანგრძლივი დროით სამუშაოდ მიდიოდნენ შესაბამის სოფლებში, დაბა-ქალაქებში, სადაც მეაბრეშუმეობის მიმდევარ მოსახლეობას პრაქტიკულად ეხმარებოდნენ ჭიის გამოკვებისა და სხვ. რაციონალური ხერხებისა და მეთოდების დანერგვის, აგრეთვე საუკეთესო გრენის შერჩევის, თვით პარკის რეალიზაციის და სხვ. საქმეში.

7. კავკასიურმა მეაბრეშუმეობის სადგურმა ბოლო ხანებში მაინც, თავისი ფ ი ლ ი ა ლ ე ბ ი (განყოფილებები) გაიჩინა მეაბრეშუმეობის მთავარ რაიონებში[6].

სადგურს აგრეთვე ჰქონდა:

8. მ ე ა ბ რ ე შ უ მ ე ო ბ ი ს მ უ ზ ე უ მ ი, სადაც თავმოყრილი იყო აბრეშუმის უმდიდრესი კოლექცია;

9. თუთის პლანტაცია და სანერგე;

10. საფუტკრე;

11. საწყობი, რომელიც მოსახლეობას ამარაგებდა მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის იარაღ-ინსტრუმენტებით, ლიტერატურით, გრენით და სხვ.

12. კავკასიური მეაბრეშუმეობის სადგური სცემდა ორ პერიოდულ ორგანოს: 1. „Труды Кавказской шелководственной станций" (ТКШС) 1887 წლიდან დაწყებული და 2. „Известия Кавказской шелководственной станции" (ИКШС). ამას გარდა იგი აქვეყნებდა თავისი მოღვაწეობის წლიურ ანგარიშგებას — „Отчет о деятельности Кавказской шелководственной станции" (ОДКШС).

სადგური გარდა ხსენებული საკითხებისა, სწავლობდა მეაბრეშუმეობის განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ სა-

---

[6] საქ. სსრ ცენტრარქივი, მია, ფ. 243, საქმე № 162.

კითხებს და საერთოდ ეწეოდა იმდროისათვის დიდ მეცნიერულ მუშაობას მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის პრობლემებზე.

3. მეაბრეშუმეთა ყრილობები, კოოპერაციული გაერთიანებანი

საჭიროა ითქვას, რომ მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის მეტნაკლები ზომით ზრუნავდნენ კიდევ სხვა დაწესებულებანი და ორგანიზაციები, რომელთაგან აღსანიშნავია, მაგალითად, კავკასიელ მ ე ა ბ რ ე შ უ მ ე თ ა თ ა თ ბ ი რ ე ბ ი დ ა ყ რ ი ლ ო ბ ე ბ ი. პირველი ასეთი თათბირი მოეწყო 1899 წ. ქუთაისში, ხოლო პირველი ყრილობა 1900 წ. — თბილისში.

ქუთაისში შემდგარი პირველი თათბირის მონაწილენი მოითხოვდნენ რაიონებში კავკასიური მეაბრეშუმეობის სადგურის განყოფილებების გახსნას, ადგილობრივი მოთხოვნილებისათვის საჭირო გრენის აქვე დამზადების ორგანიზაციას, სპეკულაციის (ჩარჩ-შემსყიდველთა საქმიანობის) წინააღმდეგ ბრძოლას, სოფლებში საჩვენებელ საყაქეთა (червоводня) და საზოგადოებრივ სახრჩოლავთა (общественная морильня) მოწყობას, წვრილმწარმოებელ მეაბრეშუმეებისათვის გრენისა და თუთის ფოთლის შესაძენად იაფი კრედიტის მიწოდებას, თუთისხეთა უმჯობესი ჯიშების სანიმუშო სანერგეების დაარსებას და აქედან ნერგების შესაბამის სოფლებში გავრცელებას; მეაბრეშუმეთა ისეთი ამხანაგობების შედგენას. რომლებიც რეალურად იზრუნებდნენ მოსახლეობის გრენით მომარაგების, პარკის ხელსაყრელ პირობებში რეალიზაციის, ვაჭარ-შემსყიდველის კაბალისაგან გლეხობის დაცვის, ზომა-წონის ერთეულთა უნიფიკაციისა და სხვ. საჭირო ღონისძიებათა დასახვა-გატარებისათვის[7].

აღსანიშნავია, რომ იმავე 1899 წელს ანალოგიური თათბირები ჩატარდა აგრეთვე თბილისს, ნუხას, შუშას, გეოქ-

---

[7] ИКШС за 1899 г., вып. I, стр. 10—17;—вып. II, стр. 3—6.

ჩაის, ნახშევანს და სხვ., სადაც მსჯელობის საგანი იყო უმთავრესად ისევ ზემოხსენებული საჭირბოროტო საკითხები ამიერკავკასიური მეაბრეშუმეობისა[8].

მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის ზრუნავდნენ აგრეთვე სპ ე ც ი ა ლ უ რ ი (მ ე ა ბ რ ე შ უ მ ე თ ა) კ ო ო პ ე რ ა ტ ი ვ ე ბ ი, რომლებიც დს. საქართველოში წარმოიქმნენ 1895 წლიდან და რომლებიც ცდილობდნენ გლეხობის კეთილხარისხოვანი გრენით მომარაგებას, პროდუქციის რეალიზაციის მოწესრიგებას, საცდელ-საჩვენებელი საყაჟეებისა და აბრეშუმის ძაფსახვევ და-საგრეხ სახელოსნოების მოწყობას და სხვ.[9].

ყოველივე ზემოთქმულის შესახებ ამასთანავე აუცილებელია აღინიშნოს, რომ წამოწყებულ ღონისძიებათა განხორციელება უმთავრესად ხდებოდა ბიუროკრატიული აპარატის მეშვეობით, და ამდენადვე, ცხადია, წვრილმწარმოებელ მეაბრეშუმეთა ძირითადი მასებისათვის ან საერთოდ ხელმიუწვდომელი იყო, ანდა პოლიციური ზედამხედველობის გზითა და ჩარჩ-შევსყიდველთა მეშვეობით მიწოდებული ეს „პრაქტიკული დახმარება“ არსებითად წვრილი გლეხობის ექსპლოატაციის თავისებური მეთოდების სახითაც ვლინდებოდა.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე საჯაროდ ამათრახებდა მეფის მოხელეთა ბიუროკრატიულ „მზრუნველობას“, რამაც „ქაღალდებს უშველებელ ზვინში“ ჩააღრჩო მეაბრეშუმეობის წარმატებისაკენ მიმართული ყოველი ღონისძიება; „ნუხაშიაც და კახეთშიაც მთავრობამ არაფერი დაჰზოგა, რომ აბრეშუმის საქმე და ღვინისაც კარგად მოემართა და ფეხზედ დაეყენებია, მაგრამ მოხელეობამ, რომელსაც ჩააბარეს ეს საქმენი ვერც ერთგან ვერ გაამართლა იმედი მთავრობისა“[10].

---

[8] ИКШС за 1899 г., вып. III—VII.

[9] „Первый съезд по шелковому делу...“, 1923, Тифлис, стр. 76.

[10] „ივერია“, 1887 წ., № 34; ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, IV, 1955, გვ. 45.

1880-იან წლებში მოცემული ბიუროკრატიული მზრუნველობის ეს დახასიათება მთლიანად შეესაბამებოდა მოსახლეობის ძირითადი მასებისადმი თვითმპყრობელობის ყრუ და უხეში სახელმწიფო აპარატის საქმიანობას — მისი არსებობის აღსასრულამდე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე ხანებში, სახელდობრ 1923 წელს თბილისში შედგა ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობის საქმისადმი მიძღვნილი პირველი ყრილობა, რომელიც მოწოდებული იყო დაესახა გზები პირველი მსოფლიო ომისა და მერმე სამოქალაქო ომის წლებში დარღვეული მეაბრეშუმეობის აღდგენისათვის.

ამ ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში კერძოდ კავკასიური მეაბრეშუმეობის სადგურის შესახებ ნათქვამია: „ვღებულობთ რა მხედველობაში, რომ მეაბრეშუმეობის თბილისის სადგურმა მეაბრეშუმეობაში თავისი მრავალწლოვანი კულტურული მუშაობით დიდი სამსახური გაუწია სსრ კავშირის მეაბრეშუმეობას და თავისი მეცნიერული შრომებით დაიმსახურა მსოფლიო ავტორიტეტთა აღიარება მეაბრეშუმეობის საკითხებში და, როგორც კულტურული ცენტრი იგი წარმოადგენს მთელი სსრ კავშირისა და კერძოდ საქართველოს მეაბრეშუმეობის სიამაყეს, — ყრილობას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია სთხოვოს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს, რომ გააძლიეროს მეაბრეშუმეობის თბილისის სადგურის მომარაგება მატერიალური საშუალებებით, რათა სადგურის მოღვაწეობა ომამდელი დროის დონემდე იქნას აყვანილი“[11].

---

[11] „Первый съезд по шелковому делу при НКВТ ЗСФСР“,— „Труды съезда“, стр. 65.

5. გრენაჟი. — მეაბრეშუმეთა გრენით მომარაგება

მეაბრეშუმეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენს გრენაჟი — გრენის, აბრეშუმის თესლის დამზადება. ჩვენი მსჯელობის საგანია, ცხადია, არა თვით ტექნოლოგიური მხარე გრენის დამზადებისა, არამედ უმთავრესად მეაბრეშუმეობის მიმდევარი მოსახლეობის გრენით მომარაგების საკითხი.

მე-19 საუკუნის შუამდე ამიერკავკასიური მეაბრეშუმეობა ადგილობრივი, საკუთარი წარმოების გრენაზე იყო დამყარებული. აბრეშუმის თესლის დამზადებისათვის აქ არ წარმოებდა წინასწარ პარკის შერჩევა. იყო შემთხვევები, როდესაც ამ მიზნით იყენებდნენ მდარე ღირსების, ამოხვევისათვის უვარგის პარკსაც. ასეთს პირობებში, ცხადია, ადგილობრივი გრენის ღირსება თანდათანობით ეცემოდა.

მას მერმე რაც დას. ევროპაში გავრცელდა პებრინი მეაბრეშუმეობის იტალიელი და ფრანგი გრენერები გაჩნდნენ ამიერკავკასიაშიაც. მათი მიზანი იყო ჯანსაღი ქართული, აზერბაიჯანული და საერთოდ ამიერკავკასიური გრენის შემწეობით ხელი შეეწყოთ თავიანთ ქვეყანაში მეაბრეშუმეობის აღდგენისათვის. უცხოელი გრენერები აქ პირველად გაჩნდნენ 1858 წელს. ისინი აბრეშუმის თესლს ყიდულობდნენ ჯერ სამეგრელოსა და იმერეთში, ხოლო მერმე მათ მოიკალათეს უმთავრესად ნუხაში.

უცხოელ გრენერებს თვითონაც აქ მოჰქონდათ აბრეშუმის თესლი, რის ნაწილს ურიგებდნენ ადგილობრივ მკვიდრთ — პარკის მოსავლის გარკვეული ნაწილისათვის, — ხოლო ნაწილს თვითონვე აცოცხლებდნენ, რისთვისაც აშენებდნენ აქ საყაჭეს და კვებავდნენ აბრეშუმის ჭიას.

მერმე, როგორც საკუთარი მეურნეობიდან, ისე საწილადოდ (საზიაროდ) გაცემული თესლისათვის მიღებული პარკისაგან საგრენაჟოდ გამოყოფდნენ საუკეთესო ხარისხისას. ხოლო დანარჩენს ამოახვევდნენ ხოლმე. ამ უკანასკნელი ოპერაციისათვის ისინი მართავდნენ პატარა აბრეშუმსახვევ სარ-

ეწავს, სადაც იყენებდნენ ევროპიდანვე მოტანილ აბრეშუმსახვევ დაზგებს.

აქ წარმოებული ევროპული ჯიშის აბრეშუმის გრენის დიდი ნაწილი უკანვე მიჰქონდათ — საფრანგეთსა და იტალიაში, სადაც იგი იძლეოდა „ფრიად დამაკმაყოფილებელ მოსავალს". ამოხვეული აბრეშუმის ძაფიც მაღალ ფასში იყიდებოდა. ერთი სიტყვით ეს მეწარმეობა დიდად მომგებიანი და, მაშასადამე, მიმზიდველი აღმოჩნდა.

მალე ევროპელმა მეაბრეშუმეებმა თავი დაანებეს აქ აბრეშუმის ჭიის თვითონვე გამოყვანას და ძაფის ამოხვევასაც, რამდენადაც ამ მხრივ ადგილობრივი მკვიდრნი მათ წარმატებით უწევდნენ კონკურენციას. ამიერიდან მათ იწყეს გრენაჟისათვის ევროპული ჯიშის პარკის შესყიდვა, რაზედაც იხდიდნენ „ფრიად მაღალ ფასს". ამ ჯანსაღი გრენით ამარაგებდნენ ევროპელ მეაბრეშუმეებს.

თუ რამდენად დიდი ზომით წარმოებდა ამ ხანებში ამიერკავკასიიდან დას. ევროპაში გრენის გატანა, საკმარისია ითქვას, რომ, მხოლოდ 1863 წელს გრენერებმა გაზიდეს 850.000 მანეთის — 1.700 ფუთი აბრეშუმის თესლი [1], რის მისაღებადაც, საჭირო იყო არანაკლებ 50.000 ფუთი პარკისა.

უცხოელ გრენერთაგან ასე დიდი ზომით ევროპული ჯიშის პარკის შესყიდვამ, მაშასადამე, მასზე ფასების ზრდამ ის შედეგი გამოიღო, რომ სულ სამიოდე წლის განმავლობაში ადგილობრივი მეაბრეშუმენი თითქმის მთლიანად გადავიდნენ მოშენებაზე ევროპული ჯიშის აბრეშუმისა, რამაც არსებითად უკვე გამოდევნა ადგილობრივი ჯიშები. 1863 წელს 1 ფუთი იტალიური ჯიშის ნედლი პარკის ფასმა 33 მანეთს მიაღწია. ცხადია აიწია ფასები საერთოდ მეაბრეშუმეობის ყველა პროდუქციაზე.

მოსკოვში 1861 — 2 წწ. 1 ფ. ნუხური აბრეშუმი (გრეჟა). 115 — 140 მანეთად იყიდებოდა, ისიც ნისიად, 1864 წელს კი მისმა ფასმა ნაღდ ფულზე 230 — 280 მან. მიაღწია; ამასთანავე

[1] „Труды первого съезда по шелковому делу", стр. 76.

საერთოდ დიდად შემცირდა ამიერკავკასიიდან აქ აბრეშუმის მოტანა.

მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ გრენაჟისათვის, როგორც აღნიშნეთ, იყენებდნენ საუკეთესო ხარისხის პარკს და ამის შედეგად დაეცა თვით ხარისხი აქედან მოსკოვში გასატანი აბრეშუმისა. გაზ. „კავკაზის“ კორესპონდენტი 1865 წ. ჩივოდა: ფასების აწევაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამჟამად მოსკოვში კავკასიიდან არ მოაქვთ ისეთი მაღალხარისხოვანი აბრეშუმი როგორც წინათ და „ჩვენი მოსკოველი ფაბრიკანტები, როგორც კავკასიური აბრეშუმის ყველაზე მთავარი მომხმარებლები, ესოდენ უზომო ფასების გამო, როგორც იტყვიან, ძალ-ღონეს ჰკარგავენ და ჩვენი აბრეშუმის მანუფაქტურა ამჟამად შესაბრალის მდგომარეობაში იმყოფებაო“[2].

აბრეშუმზე „ფასების ასეთმა არანორმალურმა ზრდამ“ გამოიწვია დრტვინვა რუსი აბრეშუმის მრეწველებისა, რომელთა მისწრაფების გამომხატველებად აქ გამოვიდნენ მოსკოველი ვაჭრები ნ ი კ ო ლ ა ე ვ ი და ვ ო რ ო ნ ი ნ ი. ამათ მსხვილი ფილატურები ჰქონდათ ქ. ნუხაში. რუს ვაჭარ-მრეწველთა ჩივილმა, ცხადია, სათანადო გამოხმაურება ჰპოვა ცენტრალური ხელისუფლების წრეებში... კავკასიურ სოფლის მეურნეობის საზოგადოებას წინადადება მიეცა განეხილა ეს საკითხი. „ზევიდან ჩაგონების“ საფუძველზე კსმს-მ „გამოსთქვა მოსაზრება“, რათა შეზღუდულიყო ამიერკავკასიიდან გრენის დას. ევროპაში გატანა. სასწრაფოდ გამოიცა კანონი, რის თანახმადაც დას. ევროპაში საექსპორტო 1 გირვანქა გრენაზე დაწესდა 2 მან. საბაჟო საფასური, — როდესაც თვით გრენის ფასი 10 მან. არ აღემატებოდა[3]. მაგრამ ამიერკავკასიური მეაბრეშუმეობისათვის ეს „დახმარება“ ნაგვიანევი აღმოჩნდა. პებრინმა მალე აქაც იჩინა თავი.

პებრინი ჩვენში შემოყვა იტალია-საფრანგეთიდან შემო-

---

[2] „Кавказ“, 1865, № 45.

[3] ОДКОСХ, стр. 160.

ტანილ გრენას. როგორც აღვნიშნეთ, აქ დას. ევროპელი გრენერების გამრავლებამ და საექსპორტო გრენაჟმა გამოიწვია აბრეშუმის ადგილობრივი ჯიშების მალე თითქმის სავსებით გამოდევნა, რომელთა ადგილი დაიჭირა უცხოურმა ჯიშებმა.

მთავარ ადგილობრივ ჯიშთა შორის ამიერკავკასიაში ადრიდგანვე ყველაზე უფრო გავრცელებული იყო: კახური — თბილისის გუბერნიაში; თათრული—ნუხისა და შემახიას მაზრებში; ნუხური — ნუხის მაზრაში; ქუთათური — მთელ დას. საქართველოში[4].

ევროპული აბრეშუმის ჯიშთაგან იმხანად ამიერკავკასიაში განსაკუთრებით გავრცელდა იტალიური (ბრიანზა, ტოსკანური, ასკოლანური, სორენტული, იტალიური — თეთრი) და ფრანგული (სევენური-თეთრი და ყვითელი, პროვანსალური, ალპური, პირეული, ვოკლუზ და სხვ.). ფრანგული ჯიშები იტალიურზე უფრო იყო გავრცელებული.

მიუხედავად რიგი გამაფრთხილებელი ღონისძიებებისა აქაც გაჩნდა აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობა. აბრეშუმის ჭიის პირველ მასობრივ დაღუპვას ამიერკავკასიაში ადგილი ჰქონდა ცარ-აბადის სკოლაში — 1853 წელს. 1854 წელს აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობა გაჩნდა ნუხაში. მაგრამ მალე ეს ავადმყოფობა მინელდა და მერმე ერთხნობით სულ გაქრა.

რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, როგორც ვიცით, მასობრივად მოაწყდა ამიერკავკასიას ევროპელი გრენერები, რომელთაც თან ჩამოჰქონდათ იქაური აბრეშუმის თესლი. სწორედ ასეთ ვითარებაში 1857 წ. დას. საქართველოში და მალე ნუხაშიც, მეაბრეშუმეობის მთავარ ცენტრებში, კვლავ გაჩნდა პებრინი. 1857 — 1863 წწ. მან აბრეშუმის ჭია გაანადგურა სენაკისა და ზუგდიდის ოკრუგებში, 1863 — 1864 წწ. იგი მოედვა ნუხის მაზრას, ხოლო 1865 წელს უკვე მძვინვარებდა ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობის ყველა რაიონში. სამეგრელოდან და გურიიდან მოყოლებული ყუბამდე და შირვანამდე.

[4] იხ. შ. ღვინეფაძე, „მეაბრეშუმეობა", 1953, თბ., გვ. 55.

როგორც აღვნიშნეთ პებრინი ახლა უწინარეს გაჩნდა დას. საქართველოში, სენაკისა და ზუგდიდის ოკრუგში, სადაც ადრიდგანვე იყვნენ მოკალათებული ფრანგი და იტალიელი გრენერები.

ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობდა დახმარებოდა დას. საქართველოს მოსახლეობას აბრეშუმის ჭიის ჯანსაღი თესლის მიწოდების ორგანიზაციით. მაგალითად, 1863 წ. 21 მაისს ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ სვიატოპოლკ-მირსკისადმი ოფიციალურ მიმართვაში წერდა: „ამჟამად ჩემდამი რწმუნებულ გუბერნიაში მეაბრეშუმეობა, აბრეშუმის ჭიის ეპიდემიურ დაავადებათა გაჩენის გამო, დაქვეითებას განიცდის, მაგრამ რათა დავიცვათ და განვამტკიცოთ მხარისათვის ეს მნიშვნელოვანი მეწარმეობა, მე ვფიქრობ საჭიროა დავეხმაროთ ქუთაისის, ოზურგეთისა და შორაპნის მაზრის მცხოვრებო, რომლებიც უპირატესად მისდევენ მეაბრეშუმეობას, მომავალი წლის იანვრისათვის 10 ფუთი აბრეშუმის თესლის გამოწერით“[5].

უფრო ადრე აღიძრა შუამდგომლობა ამ მხრივ სენაკისა და ზუგდიდის ოკრუგს მოსახლეობისათვის დახმარების გაწევის შესახებ. იმავე წლის 30 აპრილს ზუგდიდიდან სამეგრელოს, სამურზაყანოსა და სვანეთის მმართველის მიერ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში აღნიშნულია რომ „ადგილობრივი მეაბრეშუმეობა დღითი-დღე ეცემა“; მართალია, 1861 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული სამჯერ იქნა გამოწერილი და მოსახლეობისათვის უფასოდ დარიგებული აბრეშუმის ჭიის თესლი, მაგრამ ძლიერ მცირე რაოდენობით. ამასთანავე ამ ღონისძიებას ჯერჯერობით დადებითი შედეგი არ მოყოლიაო.

შემდეგ მოხსენებით ბარათში ნათქვამია, რომ „ამჟამად

[5] საქართველოს სსრ ცენტრ. საარქივო სამმართველო, მია, ფ. 69, საქმე № 282, „О выписке семян шелковичных червей для безденежной раздачи в Кутаисском генерал-губернаторстве“, 1863—1866 г., л. 31.

მთელს ევროპაში იხმარება ეპიდემიისაგან დაცული მხოლოდ ორი ჯიშის — ნუხური და ბუქარესტული — გრენა და ყველა სხვა ჯიშებს ძლიერ აქვთ მოდებული ავადმყოფობა". ამასთანავე უკანასკნელ ხანებში ეს ორი ჯიშიც საეჭვო ხდება. რის გამოც საფრანგეთის მთავრობამ, რომელიც „არ ზოგავს არავითარ ხარჯებს თავისი აბრეშუმის ფაბრიკების განმტკიცებისათვის". ხელი შეუწყო „აბრეშუმის ჯანსაღი თესლის პირდაპირ იაპონიიდან და ჩინეთიდან ციმბირისა და რუსეთის გზით გამოწერისათვის აქციონერულ საზოგადოებათა წარმოქმნას"[6].

ასეთს ვითარებაში მოხსენებითი ბარათის ავტორი საჭიროდ სთვლის. რათა ზუგდიდისა და სენაკის ოკრუგის მოსახლეობისათვის დაახლოებით 8 ფუთი აბრეშუმის ჭიის თესლი გამოწერილ იქნას ნუხიდან, ანდა იაპონიიდან და ჩინეთიდან. მოხსენებითი ბარათის მონაცემებით იმ დროს ზუგდიდისა (10.912 კ.) და სენაკის (12.506 კ.) ოკრუგში მცხოვრები 23.418 კომლიდან მეაბრეშუმეობას მისდევდა არანაკლებ 10.000 კომლისა. აქედან 1 კომლზე 3 მისხალი თესლის ანგარიშით მოსახლეობისათვის დასარიგებლად სულ საჭირო იქნებოდა 312 გირვანქა, ანუ, დარგვალებულად 8 ფუთი გრენა. 1 ფუთი გრენის ფასი უდრიდა 400 მან. მაგრამ „ამ ფასმა არ უნდა შეგვაჩეროს, რადგან მას მერმე რაც ეპიდემია ფართოდ გავრცელდა, ე. ი. 1857 წლიდან სამეგრელო აბრეშუმის მოუსავლიანობით ყოველწლიურად ზარალობს 500 — 600 ათას მან. ვერცხლით, რომ არა ვთქვათ რა ამ მოუსავლობისაგან ხაზინის შემოსავალთა შემცირებაზეო"[7].

როგორც ცნობილია, 1863 წლიდან პებრინმა უკვე ფართოდ იჩინა თავი ნუხაშიაც, ასე რომ დას. საქართველოს იქიდან უკვე არ შეეძლო ჯანსაღი გრენის მიღება.

1868 წელს გაზ. „კავკაზის" კორესპონდენტი ქ. შემახიადან იტყობინებოდა, რომ 1864 წლიდან მოყოლებული „შემახიელ მეაბრეშუმეთა შრომა ტყუილა იღუპება. როგორმე იშოვნიან

[6] საქ. სსრ ცსს, მია, ფ. 69, საქმე № 282, ფურც. 17 — 18.
[7] იქვე, ფურც. 18—19.

აბრეშუმის ჭიის თესლს. მერმე კვებავენ, უკლიან თვეზე მეტ ხნის განმავლობაში-და როდესაც პარკის ქსოვის დრო დადგება ჭია უძლურდება. მადას აკარგავს და იმით თავდება, რომ ჭიის უმრავლესობა იხოცება... ამგვარად, მეაბრეშუმე ბედნიერია და კმაყოფილი თუ ცოტაოდენი პარკი, წინანდელი ჩვეულებრივი მოსავლის მეოთხედი მიიღო, ...თორემ ხშირად ისეც ხდება, რომ აბრეშუმის ჭიის ცხოვრების პერიოდის დასასრულისათვის საკვებით დაცარიელებული საყაჭეები რჩებათ"[8].

ანალოგიური იყო მდგომარეობა ერევნის გუბერნიაშიაც. აქ 1862 წლამდე აბრეშუმის ნედლი პარკის საშუალოწლიურ წარმოებას 20.000 ფუთამდე ანგარიშობდნენ. 1862 წლიდან აქაც გაჩნდა აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობა. რამაც ძლიერ დასცა მეაბრეშუმეობა. 1867 წ. ორდუბადში. აქაური მეაბრეშუმეობის ცენტრში. აბრეშუმის პარკის მოსავალი 1861 წლის მოსავლის 15 პროცენტსაც არ შეადგენდა[9].

ელისავეტპოლის გუბერნიის საბუხის რაიონში დ ე ი ჩ მ ა ნ ი ს ცნობით 1871 წელს აბრეშუმის ჭიის ადგილობრივი ჯიშის პარკის მოსავალი „ნორმალური მოსავლის" მხოლოდ 10%-ს უდრიდა[10]. აზერბაიჯანელი მეაბრეშუმენი „უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მათი ხერხები. ცოდნა და გამოცდილება არასაკმაო აღმოჩნდა აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობასთან ბრძოლის წარმატებისათვის. რის გამოც მრავალმა მათგანმა მიატოვა მეაბრეშუმეობა და ხელი მიჰყო თუთისხეების აკაფვას"[11].

აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობის საერთო მნიშვნელობის შესახებ კ.ბ.ს მიმომხილველი 1865 წ. წერდა: „უდიდესი უბედურება დაატყდა ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობის რაიონებს. გატყდა სახალხო სიმდიდრისა და ქვეყნის კომერციული საქმიანობის მთავარი საგნის ძლიერი ბერკეტი. ნუხამა და

---

[8] „Кавказ", 1868, № 75.
[9] ССОК, II, 185.
[10] ЗКОСХ, 1871, № 3, стр. 93.
[11] ТКОСХ, 1885, № 1, стр. 232.

მეაბრეშუმეობის სხვა შესანიშნავმა პუნქტებმა დაჰკარგეს თავიანთი სახელი და მიმზიდველობა: აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობამ მიმდინარე წელს ჩვენში თავი იჩინა მთელი თავისი საშინელი ფორმით"[12].

1866 — 1869 წწ. იყო „ყველაზე სამწუხარო ხანა" კავკასიის მეაბრეშუმეობისათვის. უკანასკნელთან ერთად დაეცა აბრეშუმსახვევი და სართავი წარმოება და მათზე დამყარებული დარგებიც შინამრეწველობისა.

ამიერიდან აუცილებელი შეიქნა ამიერკავკასიას თვითონ თავისთვის ეძებნა ჯანსაღი გრენა უცხო ქვეყნებში. — ასეთი ქვეყნები იყვნენ მეტადრე იაპონია, ჩინეთი, იტალია და სხვ.[13]; რაკი შეამჩნიეს უცხოური გრენის უპირატესობა, მეაბრეშუმეები თითქმის მთლიანად გადავიდნენ აღმოსავლეთიდან შემოტანილ თესლზე.

60-იანი წლებიდანვე დაიწყო მდგომარეობის თანდათანი შეცვლა. მალე შეამჩნიეს, რომ ავადმყოფობა არ ემართებოდა იაპონურ გრენას. იაპონური გრენის შემოტანა დაიწყეს 1866 წლიდან და რაკი მან იმხანად დადებითი შედეგი გამოიღო, ცხადია, სწრაფად და მნიშვნელოვანი ზომით მოიშველიეს იგი. მალე დიდად გავრცელდა იაპონური-მწვანე ჯიშის აბრეშუმი[14].

1886 წ. გაზ. „დროების" კორესპონდენტი იწერებოდა „აბრეშუმი ივერეთში წელს ეგერ-აგერ მოვიდა. მმართველობამ დაარიგა ცოტ-ცოტა აბრეშუმის თესლი. ეს თესლი იყო ორ გვარი: ერთი იაპონური და მეორე ნუხური. პირველმა ივარგა და მეორე სულ წახდა. ადგილობრივმა თესლმაც ვერ

---

[12] ЗКОСХ, 1865, № 4, стр. 107.

[13] ОДКОСХ, стр. 159—160.

[14] Н. Сегаль, „Сборник свед. о Елисаветпольской губ.", I, 170—172.

იხეირა. დიდი ბედნიერება იქნება იმერეთისათვის, თუ შემდგომს წელში საკმაოდ დარიგდება იაპონური თესლი. ღვინის და აბრეშუმის ავადმყოფობამ გააღარიბა ხალხი იმერეთში. პირველი ფულის საშოვარი საშუალება გლეხისათვის ჩვენში ღვინო და აბრეშუმი იყო. გლეხი მოიწევდა ღვინოს და აბრეშუმს, გაყიდდა იმათ. ამ ფულით ტანსაც ჩაიცვამდა და სახელმწიფოს ხარჯსაც გადიხდიდა. ახლა ორივე ეს საგანი მოისპო...“[15]. ანალოგიური იყო მდგომარეობა, დაახლოებით, ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობის სხვა რაიონებშიც.

1888 წელს კავკასიური მეაბრეშუმეობის ოფიციალურ მიმოხილვაში ნათქვამია, რომ აბრეშუმის ავადმყოფობის საყოველთაოდ გავრცელების დროს, 1864 — 1872 წწ., ადგილობრივი ჯიშები შეცვალეს იაპონურ-ჩინეთ ჯიშით. რაც ისე ფართოდ გავრცელდა, რომ სავსებით გამოდევნა ბაზრიდან ადგილობრივი ჯიშების გრენაო[16].

იაპონურს გარდა საკმაო ზომით შემოქონდათ აგრეთვე ირანიდან ხორასნული გრენა (1870 წ. — 177 ფუთი, 1873 წ. — 170 ფუთი), ხოლო 1880-იანი წლებიდან მოყოლებული ფართოდ დაიწყეს გრენის შემოზიდვა საფრანგეთიდან, იტალიიდან და მერმე თურქეთიდანაც[17], — ბალდადურმა გრენამ ერთხნობით აქ თითქოს გაბატონებული ადგილი დაიკავა.

1870-იან წლებში საფრანგეთში აღმოჩენილ იქნა პებრინის ავადმყოფობისაგან შეუვალი გრენის დამზადების წესი. ამ დროიდან ამიერკავკასიაში ვრცელდება პ ა ს ტ ე რ ი ს მეთოდით დამზადებული იმპორტული ც ე ლ უ ლ ა რ უ ლ ი გრენა.

1878 წელს ცელულარული გრენა გამოიწერეს უკვე ქ. ორდუბადის მახლობელ სოფლებში — ზემო და ქვემო

---

[15] გაზ. „დროება“, 1866 წ., № 32, გვ. 2.
[16] ТКШС за 1887—1888 гг., т. I, стр. 198.
[17] КСХ, 1895 г., № 58, стр. 1027.

აკულისში, ჩანაბაბში, ანდამიჩსა და სხვ.[18]. 1888 წელს კ. გორბაჩოვი წერდა, რომ ქუთაისის გუბერნიაში „ევროპულ ჯიშებს უპირატესობას აძლევს მეურნეობათა უმრავლესობა, და თუ ადგილობრივი ჯიშები კიდევ ბოგინობენ, მხოლოდ იმის გამო, რომ ცელულარული გრენა ამ წლამდე ბალალ ფასებში იყიდებოდაო“.

საქართველოს მეაბრეშუმეობაში ამიერკავკასიის დანარჩენი ნაწილებისაგან განსხვავებით ადრე და უფრო ადვილად მოხერხდა ახალი. გაუმჯობესებული მეთოდებისა და წესების დანერგვა და გავრცელება. ამის გამოც აქ უფრო ადრე დაიწყეს თავი აბრეშუმის ავადმყოფობებს, რაც მოდებული იყო მეაბრეშუმეობის რაიონებს[19]. ამ მხრივ აქ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სოფლის ინტელიგენციამ, განსაკუთრებით მასწავლებლობამ და. ცხადია, მეაბრეშუმეობის კავკასიურმა სადგურმა, რომლის თანამშრომლები, ინსტრუქტორები პრაქტიკულადაც უჩვენებდნენ ცელულარული გრენის ღირსებებს[20].

მალე მეაბრეშუმეობის თბილისის სადგურის ავტორიტეტი ისე დიდი შეიქნა, რომ ადგილობრივ თუ შემოტანილ გრენას ნაკლებად ეტანებოდნენ, თუ გადაკრული არ ჰქონდა ამ სადგურის ბანდეროლი[21].

1898 წ. თბილისში შემდგარ ამიერკავკასიის მებაღეობის კულტურათა მოღვაწეების პირველმა ყრილობამაც გაამახვილა ყურადღება მეაბრეშუმეთა ჯანსაღი გრენით მომარაგების საკითხზე. ამ ყრილობის ნაშრომებში ვკითხულობთ: „კავკასიური მეაბრეშუმეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მეაბრეშუმეთა ჯანსაღი გრენით უზრუნველყოფას, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას, ერთის მხრით, ადგილობრივი გრენაეის განვითარებით და,

[18] ТКОСХ, 1885, № 2—3.

[19] ТКШС за 1887—1888 гг., т. I, стр. 95.

[20] იქვე, გვ. 96.

[21] ИКШС за 1900 г., вып. II, стр. 18.

მეორეს მხრით, საზღვარგარეთიდან გრენის შემოტანის მოწესრიგებით.“ უცხოური გრენა უკანასკნელ ხანებში შემოდის უმთავრესად თურქეთიდან და იგი საერთოდ თუმცა საჯობია ადგილობრივს, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში დაავადებულია პებრინით და ხშირად ძლიერადაც და, აგრეთვე, სხვა ავადმყოფობაც მას ადვილად ემართება. ინდუსტრიული წესით დამზადებული ეს გრენა ძლიერ დაბალ ფასებში იყიდება, რის გამოც ის კეთილხარისხოვანი გრენა, რაც ადგილობრივად მზადდება ცელულარული წესით და ბევრად უფრო მეტ ხარჯებს მოითხოვს, მას (იმპორტულ თურქულს) ვერ უწევს კონკურენციასო.

ამასთანავე აქ აღნიშნულია, რომ „აქამდე არსებულმა მეაბრეშუმეობის ამხანაგობებმა ვერავითარი სარგებლობა ვერ მოუტანეს მეაბრეშუმეობას“ და მეაბრეშუმეობის პროდუქტთა გასაღებაში ყველაზე ძლიერ დაბრკოლებას ქმნიან მტკაცედ შეკავშირებული შემსყიდველები, რომელთაც ხელში ჩაიგდეს ყველა ბაზარი და რომლებიც ზომაწონაში მოტყუებულებთა და სხვა უწესო ჩოქმედებით ძლიერ ამცირებენ, სოფლელთა შემოსავალსო.[22]

„მანც ჯანსაღი გრენით მომარაგების საკითხი რჩება უმნიშვნელოვანეს მომენტად მეაბრეშუმეობაში. ამის შესახებ მეტყველებს 1899 წელს ქ. ქუთაისში მოწყობილი მეაბრეშუმეთა თათბირის მასალა. აქ გამოსული -მეაბრეშუმეობის სპეციალისტი თ ა ვ დ გ ი რ ი ძ ე აცხადებდა, რომ „ყველაზე მტკივნეული ადგილი აქაური მეაბრეშუმეობისა არის გრენით მომარაგების საქმე“. ოზურგეთის მაზრა ახლა მარაგდება უცხოური გრენით ისე, რომ მისი ხარისხი წინასწარ არ მოწმდება მეაბრეშუმეობის სადგურისაგან. გრენა რიგდება მოსავლის ნაწილზე „რის გამოც გლეხობა გრენისათვის ბევრად მეტს იხდის, ვინემ ის ღირსო“[23].

---

[22] „Труды I-го Кавказского съезда деятелей по садовым культурам“, 1898, Тифлис, ч. I, стр. 49.

[23] ПКПС за 1899 г., вып. 1, стр. 8.

ამავე თათბირზე გამოსული გ. ბურჯანაძე (სოფლის მასწავლებელი) აღნიშნავდა, რომ მეაბრეშუმეები დიდ ზარალს ხედავენ იმის გამო, „რომ მათ გრენის შესყიდვა უხდებათ კრედიტში წვრილი ვაჭრებისაგან"[24]. გრენის ვაჭარი გ. ჩილინგარიანი მოითხოვდა, რათა გაუქმებულიყო 60-იანი წლებიდან გრენის გატანაზე დაწესებული ბაჟი. ეს ბაჟი, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, დაწესდა იმის გამო, რომ იმ ხანებში დაიწყო აქედან უცხოეთში დიდძალი გრენის გატანა, რამაც გამოიწვია საერთოდ მეაბრეშუმეობის პროდუქტებზე ფასების აწევა და რაც, ცხადია, ეწინააღმდეგებოდა რუსეთის აბრეშუმის მრეწველობის ინტერესებს. ამ ბაჟის არსებობის პირობებში ამიერკავკასიიდან უსაფასურად არ შეიძლებოდა გატანა თვით შემოტანილი გრენისა (რეექსპორტი), მაშინაც კი, როდესაც შემოტანილი გრენა დაავადებული აღმოჩნდებოდა[25]; საერთოდ თათბირის მონაწილენი მოითხოვდნენ შესაბამის რაიონებში მეაბრეშუმეობის სადგურის განყოფილებათა გახსნას, ადგილობრივი მოთხოვნისათვის საჭირო გრენის აქვე დამზადებას, გლეხობისათვის გრენის შესაძენად იაფი კრედიტის ორგანიზაციას.

ერთი წლის მერმე, 1900 წელს, კავკასიელ მეაბრეშუმეთა და აბრეშუმის მრეწველთა I ყრილობაზე ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ადგილობრივ მეწარმეობას ძლიერ უჭირს კონკურენცია უცხოელ გრენერებთან, რომლებიც გრენას ამზადებენ ინდუსტრიული წესით და, ამის გამო, მას მნიშვნელოვანად უფრო დაბალ ფასებში ყიდიან, ვინემ შესაძლებელია გაიყიდოს ადგილობრივი ცელულარული წესით დამზადებული გრენა[26].

ამ ყრილობაზე მეაბრეშუმეობის ცნობილი სპეციალისტი ი. ქუთათელაძე აცხადებდა: შედეგებმა, რაც მოყვა გასატან გრენაზე საბაჟო საფასურის დაწესებას ჩვენ საკ-

---

[24] ИКШС за 1899 г., вып. I, стр. 9.
[25] იქვე, გვ. 10; იხ. აგრეთვე ნაკვეთი 2, გვ. 3—6.
[26] ИКШС за 1900 г., вып. II, стр. 20.

მაოდ დაგვარწმუნა იმაში, თუ რამდენად დიდი ზიანი მიაყენა ამ ბაქმა ადგილობრივ გრენაქს. წინათ რამდენიმე ასეული ფუთი ადგილობრივი გრენა გაჰქონდათ საფრანგეთს, ირანს და სხვ. ქვეყნებში და ადგილობრივი მოსახლეობა ამ მეწარმეობიდან მნიშვნელოვან შემოსავალს ღებულობდაო[27].

მარნეულია, კავკასიური მეაბრეშუმეობის სადგური, მისი ფილიალები და ლაბორატორია დიდ მუშაობას ეწეოდნენ მეაბრეშუმეთა ჯანსაღი და მაღალხარისხოვანი გრენით მომარაგებისათვის. მაგრამ მათი მოღვაწეობა მოსახლეობის დიდ უმრავლესობამდე ვერ სწვდებოდა. კავკასიური სოფლის მეურნეობის საზოგადოების კორესპონდენტი ჯებრაილის მაზრიდან 1903 წელს იტყობინებოდა, რომ „მოსახლეობა ძლიერ დაინტერესებულია გრენის საკითხით. აქამდე, და ახლაც, აქ გრენას ავრცელებენ თურქეთის ქვეშევრდომი სომხები, ბერძნები, თურქები, აგრეთვე ადგილობრივი ვაჭრები, შემსყიდველები და ფაბრიკანტები. უკანასკნელნი გრენას ვალში აძლევენ — მოსავლის მეხუთედისა ან გარკვეული პროცენტისათვის... ერთერთმა მსხვილმა გრენერმა პასქალიდამ როგორღაც ხელში ჩაიგდო ჯებრაილის მაზრაში გრენის მიწოდების მონოპოლია. პასქალიდმა შესძლო დაერწმუნებია ადგილობრივი ადმინისტრაცია, რათა მისი გრენის გარდა სხვა ფირმების გრენა არ დაეშვათ გასაყიდათ. მოსახლეობას არ უნდოდა ამ ორ-სამჯერ უფრო ძვირად ღირებული გრენის შესყიდვა, მაგრამ მაზრის უფროსმა მოსახლეობის პრეტენზია უსაფუძვლოდ მიიჩნია და მხარი დაუჭირა ამ გრენის გავრცელებასო"[28], — ასეთი იყო მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის პოლიციური მეურვეობის მეთოდი.

ძალიან ხშირად გრენერები იყენენ პარკის შემსყიდველებიც. ისინი სოფლად ჩამოარიგებდნენ გრენას იმ პირობით, რომ მეაბრეშუმეს პარკის მოსავლის ჩვეულებრივ 1/5 — 1/3

[27] ПКШС за 1900 г., вып. II, стр. 23.
[28] КСХ, 1903 г., № 485, стр. 1058.

ნაწილი ვაჭრისათვის მიეცა თესლის ღირებულების საზღაურად. ანდა გლეხი კისრულობდა პარკის მთელი მოსავალი მაზანდის ფასებში ჩაებარებია გრენერ-შემსყიდველისათვის, რომელიც მას გრენის ფასსაც ამ დროს დაუქვითავდა[29]. გარიგების ეს სისტემა, ისევე როგორც გრენერის საზიაროდ აბრეშუმის ჭ-ის მოვლაც. ფაქტიურად უდრიდა წვრილი მწარმოებლის შემსყიდველის კაბალაში ჩავარდნას.

აი, როგორ აღწერდა 1894 წელს ანალოგიურ ურთიერთ დამოკიდებულებას ი. კ უ ხ ე ლ ი: „სომეხ ვაჭრებს ეს ორი-სამი წელიწადია, რაც ხონში აბრეშუმის თესლის გავრცელება დაუწყიათ ფასად და უფასოდაც. უფასოდ ეი როგორ: ამ ვაჟბატონებს ვითომ გულკეთილობის სარკეში ჩაუხედავთ და შეუძლო მეაბრეშუმეთათვის თესლი მიეცია იმ პირობით, რომ მოსავლის ნახევარი ბ-ნ ვაჭრისა უნდა იქნეს და ნახევარი ორი თვის განმავლობაში წვა-დაგვით მშრომელისა. ამ გაკვალულ გზას აწიც დაადგებიან უთუოდ. ასე, ამგვარად, გულკეთილი ვაჭარი ორი-სამი მანეთის ნაცვლად, ორი თვის განმავლობაში ოცსა და ოცდაათს მანეთს უკრავს თავის პირგახეულს და ძირგამაგრებულ ჯიბეში“[30].

1900-იან წწ. ამიერკავკასიიდან როგორც შემოტანილი ისე ადგილობრივი გრენა მნიშვნელოვანი ზომით გაქონდათ თურქესტანსა და ირანში. უცხოური, სატრანზიტო, გრენა შემოდიოდა ბათუმის ნავსადგურში და გადიოდა ბაქოდან. იშვიათად, მაგრამ მაინც აქედან გრენა გაქონდათ ჩინეთშიაც. მაგალითად, 1910 წელს კოკანდის საბაჟოდან ჩინეთში გაიგზავნა 27.360 კოლოფი გრენა (ბრუტო 252, ნეტო 42 ფუთი).

1901 — 1905 წლებში კავკასიაში შემოქონდათ 1700 — 2000 ფუთი გრენა. მაგრამ როგორც უცხოეთიდან გრენის შემოტანა, ისე თვით ამიერკავკასიაშიც მისი დამზადება შესამჩნევად შეაფერხა 1905 — 1906 წწ. სომეხ-აზერბაიჯანელთა ურთიერთ-ჟლეტამ და აგრეთვე პოლიტიკურმა მოვ-

---

[29] ОДКШС за 1910 г., стр. 35.

[30] „კვალი“. 1894 წ., № 38, გვ. 6.

ლენებმა, რასაც ამ ხანებში ადგილი ჰქონდა თურქეთსა და ირანში.

1906 — 1914 წლებში საერთოდ კავკასიაში გრენის მიმოქცევის შესახებ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი ცხრილი, შედგენილი კავკასიის რკინიგზების სამმართველოს სტატისტიკური განყოფილებისა და თბილისის აბრეშუმის სადგურის ცნობათა მიხედვით:

კავკასიაში შემოტანილი და დამზადებული გრენა (ფუთობით)

	1906 წ.	1907 წ.	1908 წ.	1909 წ.	1910 წ.	1911 წ.	1912 წ.	1913 წ.	1914 წ.
ადგილობრივი დამზადება	50	40	50	40	47	49	54	63	68
შემოტანა ბათუმში	800	1080	745	1150	1200	1245	1290	1077	1088
ჯამი	850	112	795	1190	1247	1294	1344	1140	1156
გატანა თურქეთსა და ირანში	500	815	495	730	700	720	752	733	746
მოხმარება (ნაშთი) კავკასიაში	350	305	300	460	547	574	592	403	410

აბრეშუმის თესლი კავკასიაში შემოდიოდა სახმელეთო გზითაც, მაგრამ, როგორც ვარაუდობდნენ, ფრიად უმნიშვნელო ზომით. ყოველ შემთხვევაში იგი აღრიცხვისა და კონტროლის გარეშე რჩებოდა. ცხრილის გაგებისათვის ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ უდიდესი ნაწილი მთელი იმ გრენისა რაც კავკასიაში მოიხმარებოდა ფაქტიურად მოდიოდა მხოლოდ ამიერკავკასიაზე. ასე, მაგალითად, 1910 წელს კავკასიაში მოხმარებული 547 ფუთი, ე. ი. 350.000 კოლოფი გრენიდან იმიერკავკასიაზე მოდის მხოლოდ 500 კოლოფი, ე. ი. დაახლოებით 0.2 პროცენტი[31]. კავკასიაში გრენის ვაჭ-

[31] П. Кутателадзе, „Состояние кавказского шелководства в 1910 г.“ (КХ, 1911 г., № 7—8, стр. 8;—1912 г., № 11, стр. 13; 1915 г., № 13—14, стр. 11).

რობის ცენტრი და იმპერიაშიაც ერთ-ერთი უმსხვილესი ცენტრი იყო თბილისი, სადაც ხდებოდა გრენ-ს მიწოდება-მოთხოვნის შესახებ მსხვილ გარიგებათა დადება[32].

ამიერკავკასიაში შემოტანილი და ადგილობრივი გრენის (ფუთობით) მოხმარების დინამიკა 1906 — 1919 წწ.

წლები	იმპორტი	ადგილობრივი დამზადება	%-ად ადგილობრივი გრენა
1906	299	50	8,0
1907	265	40	8,0
1908	245	50	7,0
1909	422	40	8,5
1910	500	47	8,5
1911	525	49	8,5
1912	528	54	9,0
1913	344	63	15,3
1914	340	78	18,5
1915	220	92	30,0
1916	—	126	—
1917	69	220	75,0
1918	—	280	—
1919	—	6	—

როგორც წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან და, მაშასადამე, უცხოეთიდან გრენის შემოზიდვის გაძნელებისა და შეწყვეტ-ს პირობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა გრენის ადგილობრივი დამზადება, მაშინ როდესაც ომამდელ წლებში აქაური გრენაჟი უმნიშვნელო ხასიათს ატარებდა და მთელი მოხმარების 8 — 9 პროცენტსლა შეადგენდა, ე. ი. 10 — 30 ათას კოლოფს არ აღემატებოდა, 1918 წელს კი მან 180 ათას კოლოფს მიაღწია. ომის დამთავრების შემდეგ კვლავ გაეხსნა გზა უცხოურ გრენას და ადგილობრივი წარმოება ერთბაშად დაეცა, ისე რომ 1919 წელს მხოლოდ 4 ათასი კოლოფი გრენა იქნა დამზადებული[33].

---

32 КК на 1910 г., ч. I, отд. IV., стр. 582.

33 ОДКШС в 1910 г., стр. 25; „Первый съезд по шелковому делу при НКВТ ЗСФСР 18—23 марта 1923 г.“, 1923, Тифлис, стр. 80; ЭТЗ, II, стр. 16.

6. თუთისხის კულტურა

როგორც ჩანს თუთისხის კულტურა ამიერკავკასიაში ადრიდანვე ყოფილა გავრცელებული. არის გამოთქმული მოსაზრება, რომ საქართველო თუთისხის ერთ-ერთ სამშობლოს წარმოადგენს [1].

აღსანიშნავია, რომ თუთისხეების გაშენება და, მაშასადამე, მეაბრეშუმეობის განვითარება საქართველოში სახელმწიფოებრივი მზრუნველობის საგნად ყოფილა მიჩნეული მე-18 საუკუნეშიაც. ერეკლე II დროს მდ. ხრამის ჭალებში (ქოლაგირის ცხის სანახებში) თუთისხეების პლანტაცია გაუშენებიათ [2].

საქართველოსა და ამიერკავკასიაში ცარიზმის ბიუროკრატია იმთავითვე შეუდგა თუთისხის კულტურის შესწავლასა და აღრეცხვას. მაგალითად, 1807 წელს ოფიციალური ცნობით თელავსა და სიღნაღის მაზრებში ძველი და ახალნარგავი თუთისხის რაოდენობა შეადგენდა სულ 710 ათას ძირს [3].

რეფორმამდელ დას. საქართველოში ყმა-გლეხთა ნატურალური ბეგარების რიცხვში შედიოდა თუთისხის მოკრეფილი ფოთლებიც, რაც მეაბრეშუმეობის მიმდევარ მემამულეთა მეურნეობას სჭირდებოდა [4], ხოლო დაღისტანში გლეხები (რაიატები) მემამულეებს (ბეგებს) თუთისხის ბალის სიდიდის შესაბამისად უხდიდნენ აბრეშუმს — 1 — 3 ქალიფას (კვერცხის წონას) [5].

თუთისხეების მასობრივ, პლანტაციური წესით გაშენებას აზერბაიჯანის მეაბრეშუმეობის რაიონებში, მაგალითად, შაქის სახანოში, ეწეოდნენ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნემდე.

---

[1] გრ. ჯაფარიძე, მ. შაბლოვსკაია, „საქართველოში გავრცელებული თუთის ახალი ჯიშები", 1948, თბ.

[2] ნ. აბესაძე, „მეაბრეშუმეობა საქართველოში", გვ. 153.

[3] П. Гугушвили, „Сельское хозяйство...", т. I, стр. 121.

[4] იქვე, ტომი II, გვ. 304.

[5] იქვე, ტომი IV, გვ. 373.

აზერბაიჯანელი ყმა-გლეხები (ე. წ. რანჯბარები, რეჯბარები) — მეაბრეშუმეები, რომელთაც ხანის მფლობელობაში მყოფ მაბულებში თუთისხეების პლანტაციების მოვლა-პატრონობაც ეკისრებოდათ, სასტიკ ექსპლოატაციას განიცდიდნენ. სწორედ ამის გამო ესენი, შაქის უკანასკნელი გამგებელის ი ს მ ა ი ლ-ხ ა ნ ი ს დროს, ე. ი. სახანოს რუსეთთან შეერთების წინაწლებში, აქედან გარბოდნენ შირვანსა და ყარაბაღში, რისგამოც მოუვლელად დარჩენილი თუთისხის პლანტაციების დიდი ნაწილი შემდეგში გაველანდა.

1828 წელს შაქის მაჰალში ირიცხებოდა რუსეთის ხაზინისათვის შემოსავლის მიმცემი ე. წ. „რანჯბართა“ 168 ბაღი (პლანტაცია). სადაც 959.750 თუთისხე, 4.760 ხეხილი და 6.670 ძირი ვაზი ითვლებოდა. ამავე დროისათვის რანჯბართა გაფანტვის შედეგად გაველანებული, ე. ი. არაშემოსავლიანი 34 ბაღი იყო აღრიცხული. 1828 წელს შაქის მთელ პროვინციაში (ყ. სახანოში) 482 ბაღსა და მათში კიდევ 2,3 მილ. თუთისხეს ანგარიშობდნენ.

საერთოდ აზერბაიჯანის სახანოების რუსეთთან შეერთების წინა-და პირველ ხანებში თუთისხეს პლანტაციების დიდი ნაწილი უპატრონობისა და მოუვლელობის გამო გაველანდა და გატიალდა[6]. რუსეთის ხელისუფლება როგორც საერთოდ ამიერკავკასიაში ისე კერძოდ აზერბაიჯანში დიდ ყურადღებას აქცევდა მეაბრეშუმეობის გავრცელებისათვის აუცილებელი წინა პირობის. სახელდობრ მეთუთეობის განვითარებას. მაგრამ პირველ ხანებში მაინც. აქ წარმატების მიღწევა ძნელდებოდა.

ხელისუფალის ბრძანებაში 1828 წელს აღნიშნულია, რომ სახაზინო თუთისხის ბაღების მოვლის მთავარი სიძნელე რანჯბართა ნაკლებობაა, რომელთაგან ზოგი დაიხოცა, ზოგი გაიფანტა და რომელთა შეცლვა ვერ ხერხდება, რადგან

---

[6] М. Эфендиев, „К вопросу о положении ранджбаров в Азербайджане в первой половине XIX века“ (Труды института истории и философии АН АЗ. ССР, 1952, № 2).

სხვა მიწათმოქმედთა გადმოყვანა გამოიწვევს უკანასკნელთა მეურნეობის მოშლას, ხოლო „მათზე გაწერილი გადასახდელები ამ შემთხვევაში სხვებზე უნდა იქნას გადაკისრებული, მაშინ როდესაც მოსახლეობა უკვე ისედაც მძიმედაა დატვირთული ბეგარებითო". ასეთს „განუკუვალ" ვითარებაში ხელისუფლებამ გადასწყვიტა ხსენებული ბაღები შაქის პროვინციაში, იმე როგორც აქამდეც იყო განჯის ოკრუგში, გაეცა იჯარა-გამოსყიდვის საფუძველზე.

მაგრამ ამ განზრახვის განხორციელებისათვის საჭირო იყო მსხვილ მეწარმეთა არსებობა. დრო გადიოდა. ამასობაში დარჩენილმა რანჯბარებმა თუთისხის ადგილას, რათა თავი დაეღწიათ ხაზინისათვის თითქმის მუქთად შრომისაგან, დაწყეს ხეხილის გაშენება, ხოლო როცა ეს აუკრძალეს, კიდევ უფრო გაძლიერდა რანჯბართა ადგილებიდან აყრა და გაქცევა.

მართალია, რანჯბარები როგორც წინათ ახლაც ღებულობდნენ მოყვანილი აბრეშუმის პარკის ნახევარს (მერე ნახევარი ხაზინას მიქონდა)[7]. მაგრამ გარდა ამ ბეგარისა (თუთისხის ბაღების მოვლისა და აბრეშუმის ჭიის მოშენებაპატრონობისა) მათ ახლა მსგავსად საერთოდ სოფლელებისა (რაიათებისა) დაეკისრათ ყველა სხვა ბეგარებიც. ასეთს პირობებში, როგორც თვით სახელმწიფო მოხელე წერს „უბედურ რანჯბარებს ხაზინისათვის უნდა მიეცათ არა მხოლოდ აბრეშუმის მათი ნაწილიც, ...არამედ თავიანთი უკანასკნელი ქონებაც უნდა გაეყიდათ". რათა დაეფარათ მათზე შეწერილი ყველა ბეგარა-გადასახადი[8].

ზემოხსენებული ი ა ნ ო ვ ს კ ი, რომელსაც ეკუთვნის შაქის პროვინციაში მეაბრეშუმეობის ვრცელი მიმოხილვა, აღნიშნავს, რომ თუთისხის ბაღები ხსენებული და კიდევ

---

[7] И. Петрушевский, „Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIXвв.", 1949, Л., стр. 310—320.

[8] А. Габайдулин, назв. соч., стр. 11.

„სხვა მიზეზითაც“ შედარებით მალე გადიან მწყობრიდან. ამ „სხვა მიზეზთაგან“, მისივე დაკვირვებით მნიშვნელოვანია ის, რომ ხშირად ძლიერ განოყივრებულ (სასუქშეტანილ) ნიადაგში ჩნდებიან ჭიები, რომლებიც ღრღნიან თუთისხეების ფესვებს, რის გამოც ეს ხეები ხმებიან; აგრეთვე გავრცელებული ჩვეულება ფოთლის მოხმარებისას ხეებისათვის ტოტების დაჭრისა ამ ხეებს „განუწყვეტელ ავადმყოფობაში“ აგდებს და ამცირებს მათს სიცოცხლეს. როგორც წესი ოცი წლის შემდეგ უკვე დაძველებულ ხეებს სჭრიან და მათ ადგილას რგავენ ახლებს.

შაქის პროვინციაში ამ სახით დარგულ. იქნა თუთისხე (ათასობით): 1830 წ. — 529; 1831 წ. — 392; 1832 წ. — 367; 1833 წ. — 219; 1834 წ. — 184; 1835 წ. — 19. სულ ექვსი წლის განმავლობაში 1.882 ათასი ძირი*.

იანოვსკის ცნობით თუთისხის ნერგების მისაღებად შაქში სთესდნენ შავი თუთის თესლს; ამოსულ ახალ ნერგებს („თოხმაჭრებს“) შემდეგი წლის მარტ-აპრილში გადარგავდნენ მწის განოყივრებულ ნიადაგზე, სადაც 4 წლის მერმე უკვე იწყებდნენ ფოთლების კრეფას აბრეშუმის ჭიისათვის. „მაგრამ ნაცვლად იმისა რომ დასწყვიტონ მხოლოდ ფოთლები, სჭრიან მთელ ტოტებს, რითაც ხელს უშლიან ხის უფრო გაზრდა-გახარებას“.

საბოლოოდ, მაინც, ბიუროკრატიის გულგრილი მზრუნველობისა და მსახვრალი ხელის პირობებშიაც, რაკი ცხოვრება საერთოდ მშვიდობიანი ხდებოდა, ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი მასების მეურნეობრივი ინიციატივა თავისას აკეთებდა. როგორც სხვა დარგები მემცენარეობისა, ისე კერძოდ მეთუთეობაც, უმთავრესად მეაბრეშუმეობის მოთხოვნილების შესაბამისად, თანდათან ვითარდებოდა.

1850 — 1860-იან წლებში მეაბრეშუმეობის აღმავლობას თან სდევდა თუთისხეების პლანტაციების ინტენსიური გაფართოება. მართალია, ასეთი პლანტაციები, მაგალითად, სა-

* А. Габайдулин, назв. соч., стр. 7.

ქართველოში მანამდეც არსებობდა. მაგრამ ერთეული შემთხვევების სახით. კერძოდ თელავის მაზრაში თუთიხის „პირველი კეთილმოწყობილი პლანტაცია“, ს. ნაფარეულში 1840 წელს გააშენა ალ. ჭავჭავაძემ — „ნაშინდელს დროს პირველმა ქახეთის მებატონემ“, რომლის მამულში „დიდის რიცხვითა სდგას თუთის ხეები. რომელთაცა ეჭირავთ რამოდენიმე დესიატინა ადგილი“[10].

იმავე ხანებში ელდარში თუთიხის დიდი პლანტაცია გააშენა თავ. დიმ. აბხაზმა. მაგრამ ამ ხანებში აქ ნეაბრეშუმეობას საერთოდ რამდენადმე მნიშვნელოვან წარმატებისათვის არ მიუღწევია და ამის „მიზეზიც ყოველმა კეთილგონიერმა კაცმა იცის: არ შეეძლო მცხოვრებს გლეხს სახნავად გასულიყო უიარაღოდ. არ შეეძლო თავისუფლად შეეშუშავებინა მიწა, ისე ყოველს წამს მოელოდა მტერსა“.

ეს ის დრო იყო, როდესაც, მაგალითად, „ქახეთში ყოველი მამულის მეპატრონე იმას ფიქრობდა, როგორმე დაეცვა თავისი თავი და სახლობა მტრისაგან და სად ჰქონდა იმდენი დრო ეფიქრა მამულის მოვლაზედ. მხოლოდ ის საქმე კეთდებოდა, რაც კარს წინ. რაც ახლოს ჰქონდათ რამე და ისიც მამაპაპურს ჩვეულებაზედ“[11].

ამგვარად, როგორც ჩანს 40-იან წლებში თუთიხის პლანტაციამ, მეაბრეშუმეობამ საერთოდ მებატონეებს „ვერაფერი შემოსავალი მისცა. მაგრამ ყირიმის ომის შემდეგ და კერძოდ კავკაზიის დაპყრობის შემდგომ დიდი წარმატება მოხდა ქახეთში, იმ დროებითვან დიდი ბიჯი გადადგა აბრეშუმის შეშუშავებამ, თუთის პლანტაციებ- მოშენდნენ მეტად ჩქარა“. კარგი დარი დაუდგა კერძოდ ს. ნაფარეულის ხსენებულ პლანტაციასაც. .....დავით ჭავჭავაძემ, რომელიცა მამულის მოვლაში თავის მამაზედ ნაკლებს არა შრომობს, მიაქცია ნაფარეულის პლანტაციას დიდი ყურადღება და აგრონომის დ ე ი ჩ მ ა ნ ი ს შემწეობით ისეთს წესში მოიყვანა,

---

[10] გაზ. „გუთნის დედა“, 1862 წ., № 2.

[11] იქვე.

როგორც სურდა განსვენებულს იმის ჭამას". მალე აქ აშენდა „ჭიის გამოსაზრდელად ჩარდახი, ახალს ფორმაზედ გაკეთებული, რომელშიაც შეიძლება მოთავსდეს სამი გირვანქის თესლის ჭია". დ. ჭავჭავაძემ 50-იანი წლების გასულს ახლად ჩაყარა 80.000 თუთისხე და მისი ეს მთელი თუთისხის პლანტაცია „შენახულია მეტად სუფთად"[12].

ნაწილი თავადაზნაურული მემამულეებისა, რომლებიც ამ დროიდან საერთოდ ბევრად უფრო იყვნენ მიქცეულნი თავიანთი მამულების შემოსავლიანობის გადიდებისადმი, ცდილობდა სახელმწიფოსაგან მიღებული დახმარებით აღედგინა და გაეფართოებია მეურნეობა. ასე, მაგალითად, 1862 წ. თავ. ზაქარია ანდრონიკაშვილი კავკასიის სოფლის მეურნეობის საამართველოს უფროსისაგან ითხოვს ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობას, რათა სიღნაღის მაზრის სოფ. მელაანში, თავის მამულში (სადაც 25.000 ძირი თუთისხის პლანტაცია უკვე ჰქონდა) თუთისხის დიდი (500.000 ძირამდე) პლანტაციის გასაშენებლად და სხვ. საჭიროებისათვის მისთვის მიეცათ 3 ათასი მანეთი — 12 წლით განაწილებადებული უპროცენტო სესხის სახით[13].

1862 წ. გაზ. „გუთნის დედის" თელაველი კორესპონდენტი იწერებოდა: „სიღნაღის უეზდში ზოგიერთმა განათლებულმა მამულის მეპატრონეებმან 1859 წლიდან გაიჩინეს და დაიწყეს მოვლა აბრეშუმის ჭიისა და ყაჭის პარკის ამოხვევა ევროპიულადო". ქვემოთ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ახლა, ე. ი. 1862 წელს ალაზნის გაღმა უკვე 50 ათასი თუთის ხეა გაშენებული და აქ ეწევიან იტალიური და ჩინური გრენისაგან აბრეშუმის ჭიის გამოკვებას და რომ „თუ ეს წადილობა აგვისრულდა იმედი გვაქვს რომელ დროებით აბრეშუმისაგან კარგი შემოსავალი გვექნება და მაშინ

---

12 გაზ. „გუთნის დედა", 1862 წ., № 2.

13 საქართველოს სსრ ცენტრ. საარქივო სამმართველო, მია, ფონდი 69, საქმე № 99, 1862 წ., ფურც. 1—2.

ჩვენი მდგომარეობა აღარ იქნება დამოკიდებული სრა-ჯებზედა"[14].

ამგვარად, იმდენად იყვნენ მეაბრეშუმეობით გატაცებულნი, რომ მისგან მეევნახეობა-მეღვინეობაზე მეტი შემოსავლის მიღებას მოელოდნენ თვითონ კახეთშიაც კი, სადაც „თითქმის ყოველს მამულის პატრონს თავისი ვენახის ლობის გარშემო, თუ კარუნ აქონდა ჩაშენებული თუთები, რომლითაც გამოკვებავდნენ აბრეშუმის ჭიასა. თუ არ იქნებოდა საყოფი თავის მამულთაგან, მაშინ მოიქონდათ ტყიდგან გარეული თუთა... ბევს ინახავდნენ სადაც შეხვდებოდათ: სახლში, ჩარდახში, ჭერქვეშ... სოფლებში ნახავდით საკუთრად თუთის ბაღებს, განგებ აბრეშუმის ჭიისთვის გაკეთებულს ჩარდახებს..."[15].

კახეთში მეაბრეშუმეობის ამ ახალი აღმავლობის „პირველმშრომელად" სთვლიდნენ „სრულიელ მებატონეს თავ. სოლომონ ი. ანდრონიკაშვილს... მამულის გამოჩენილს მოამაგეს და ახალ-ახალის გამოგონების შემოტანის მოსიყვარულეს". მან 1859 წელს გააშენა თუთისხის პლანტაცია, სადაც 70 ათასი ძირი თუთა იდგა, 1861 წელს კიდევ ერთი პლანტაცია, სადაც „დგას 80.000 ხე ამგვარად. როგორადაც აშენებენ ნუხაში". ამავე ხანებში გაღმა მხარში „გამოიჩინა შრომა გენ. თავ. სიმონ შალიკაშვილმა. იმის საკუთარს ბაირაქალის მამულში ახლა დგას 300.000 მეტი თუთისხე... რაგვარადაც ჩაყრილნი არია ნუხაში". ამასთანავე „ივრის მინდორზედაც" გენ.-ლეიტ. თავ. ივანე ანდრონიკაშვილმა 1862 წ. „ასამს დესეტინა მიწაზედ ასი ათასი თუთისხე ნუხ-ს ჩვეულებაზედ" ჩააყრევინა და ახეირა. ამგვარად, კახეთში, ისე დაეწაფენ მეაბრეშუმეობას, რომ მხოლოდ 1859 — 1862 წწ. „ჩაყრილან 25 გირვანქის ჭიისათვის" საკმარისი თუთისხეები[16].

---

[14] გაზ. „გუთნის დედა", 1862 წ., № 4.

[15] იქვე.

[16] გაზ. „გუთნის დედა", 1862 წ., № 2.

თუ ასეთი იყო მეაბრეშუმეობით და მაშასადამე, თუთისხეების გაშენებით გატაცება კახეთში, როგორი უნდა ყოფილიყო იგი კერძოდ ნუხის მაზრაში, რომელიც მთელს კავკასიაში მეაბრეშუმეობის მთავარ ცენტრს წარმოადგენდა! ნუხის თითქმის მთელი მაზრა რაღაც ხუთი წლის განმავლობაში „ითქმის სულ დაიფარა“ თუთისხის პლანტაციებით.

ფართოდ გავრცელდა მეაბრეშუმეობა შემახიას მაზრაშიც. აქ ზოლა-ჩაის მთელი ველი — 6-7 კილომეტრის სიგრძისა და 1 კილომეტრი სიგანის — სულ დაიფარა თუთისხეებით, რაც გაშენდა „ევროპულ წესზე“, ე. ი. კვადრატული ანუ შახმატური წესით[17].

ძლიერ გაძვირდა თუთისხის ნერგი და ამგვარად, ეს მენერგეობა ერთბაშად გადაიქცა საავჭრო მიწათმოქმედების ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან და, მაშასადამე, მიმზიდველ დარგად. ქალი და კაცი, დიდი თუ პატარა „მაღალი თუ დაბალი“ განურჩევლად წოდებისა ჩაითრია მეაბრეშუმეობამ რაც დიდ შემოსავალს იძლეოდა და რამაც უძლიერესი დარტყმა აწარმოვა აქ მუსლიმანური კარჩაკეტილობისა და ნატურალური მეურნეობის დამყაყებულ და დახავსებულ, მაგრამ კიდევ ძლიერი დასაყრდენის აფეთქებისათვის. 50-იანი წლებიდან მეაბრეშუმეობამ გაიტაცა დანარჩენი აზერბაიჯანის, აგრეთვე სომხეთისა და საქართველოს თითქმის მთელი ბარი, სადაც-კი თუთისხე წარმატებით ხარობდა.

მაგრამ, როგორც ვიცით, 60-იანი წლების მეორე ნახევარში აქ გავრცელდა პებრინი. მეაბრეშუმეობა თითქმის ერთბაშად დაეცა. აზერბაიჯანში ხელი აიღეს თუთისხეების გაშენებაზე. მერმე მათს ფოლა-პატრონობაზე და ბოლოს დაიწყეს მათი აკაფვაც, რამდენადაც მხოლოდღა თუთის (ხილის) მოსავლისათვის, ცხადია, არაეკონომიური შეიქნა მიწის გამოყოფა. რიგ სოფლებში თუთისხის ადგილას გააშენეს

---

[17] Т. Мамаладзе, „Некоторые сведения о современном положении садовых культур в Шемахинском уезде“ (КВПС, 1902, № 116, стр. 8).

წაბლისა და კაკლის ხეები, რამდენადაც აქ ამიერიდან „გლეხები კაკლის გასაშენებლად სარფიანად სთვლიდნენ თუთისხეების მოჭრას“ — იტყობინებოდა ნუხ-ს მაზრიდან ვართაშენელი კორესპონდენტი[18].

თუთისხეები ბლომად აკაფეს განჯის მაზრაშ-ც[19]. იგივე ბედი ეწვია თუთისხეებს ქუთაისის გუბერნიაში[20]. აღსანიშნავია, რომ როგორც დას. საქართველოში, ასევე აზერბაიჯანის მეაბრეშუმეობის რაიონებში ამ დროიდან თუთისხეები ფართოდ გამოიყენეს მეევნახეობისათვის. სახელდობრ მაღლარისათვ-ს — ვაზი მ-უშვეს თუთის ხეზე. ამჯერად თუთისხეს ვაზი, თუთას ყურძენი მოევლინა თავ-ს მფარველად.

80-იანი და განსაკუთრებ-ით 90-იანი წლებიდან მეაბრეშუმეობის აღორძინების შესაბამისად, ცხადია, ვითარდებოდა მეთუთეობაც, რაც მემცენარეობის, კერძოდ მრავალწლიან ნარგავთა მეურნეობის ერთ-ერთ უშინაშენელოვანეს კულტურად გადაიქცა.

აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად თუთის ფოთლით ვაჭრობამ მეაბრეშუმეობის რაიონებში 90-იან წლებში უკვე მასობრივი ხასიათი მიიღო და ზოგან უკვე შესამჩნევი შეიქნა მ ე თ უ თ ე ო ბ ი ს მ ე ა ბ რ ე შ უ მ ე ო ბ ი ს ა გ ა ნ მ ე უ რ ნ ე ო ბ რ ი ვ ი გ ა მ ო ყ ო ფ ი ს ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა. 1899 წელს ს. ხიდისთაველი კორესპონდენტი იწერებოდა, რომ ოზურგეთის მაზრაში „ვისაც ერთი მისხლის გამოსაკვები ბეოლა ჰქონდა, მან ორი სამი მისხალი (გრენა — პ. გ.) იყიდა, რადგან ფიქრობდა, რომ თუ შემოაკლდა ბეოლის ფურცელი, მეზობელს გამოვართმევო და რა იცოდა, რომ მეზობელიც სწორედ ასე ფ-ქრობდა... ჯერ დიდკანში ამოსული არ იყო ჭია, რომ უმეტეს ნაწილს ბეოლა შემოაკლდა, რის

---

[18] Газ. „Кавказ“, 1891 г., № 24.
[19] КСХ, 1893 г., № 234, стр. 422.
[20] КВПС, 1902 г., № 116, стр. 9.

მიზეზიც იყო ბჟოლის გაძვირება. თითო ძირი ბჟოლა ფასობდა 2 — 5 მანეთამდის. ზოგიერთებმა რაკი დაატყვეს, რომ ბჟოლის გაყიდვით მეტი სარგებელი დარჩებოდათ ჭიები გადაპყარეს და ბჟოლას დაუწყეს გაყიდვა"[21].

ანალოგიური იყო ვითარება იმერეთშიაც. ს. მათხოჯელი კორესპონდენტი იტყობინებოდა: „ჩვენი მეაბრეშუმეები მოელოდნენ, იაფად ნაყიდ თესლებიდან უფრო მოვიგებთო. მოლოდინი არ გაუმართლდათ. ფოთოლი ძვირი იყო, რადგანაც ცუდი ამინდების გამო ბევრი უვარგისი გამოდგა და ხვავი არ ჰქონდა. თითო ძირი თუთის ფოთოლი იყიდებოდა 1 — 3 მანეთამდის (წარსულ წელს კი ამისთანა ძირი ღირდა 30 — 60 კაპ.). ასე რომ თითო ფუთი პარკის გამოსავალ ჭიას 16 მანეთის ფოთოლი მოუნდა, შრომის გარდა, რის გამოც წელს მეაბრეშუმეები ძლიერ დაზარალდნენ"[22].

თუთის ფოთოლს უმეტესწილად ჰყიდდნენ მემამულეები, რომელთაც, ამგვარად, მეაბრეშუმეობის განვითარების მეოხებით, შემოსავლის ახალი წყარო გაუჩნდათ. თუთის ფოთლისა და საერთოდ მეთუთეობის პროდუქციის საქონლად გადაქცევის პროცესი, ცხადია, უფრო მეტ წარმატებას აღწევს აზერბაიჯანში, განსაკუთრებით ელისავეტპოლის გუბერნიაში. აქ ადრიდგანვე იყო, ამ მხრივ, ჩამოყალიბებული ურთიერთობის თავისებური ფორმა უშუალო მწარმოებელსა და წარმოების საშუალებათა მეპატრონეს შორის. „ერავალნი, რომელთაც არ გააჩნიათ საკუთარი ბაღები (თუთისხისა — პ. გ.), სხვა სოფლელთაგან ან მემამულეთაგან იღებენ გრენასა და თუთის ფოთოლს და ეწევიან მეაბრეშუმეობას, როგორც მენახევრე-მოზიარენი"[23].

---

[21] „კვალი", 1899, № 32, გვ. 356 — 535.

[22] „კვალი", 1901, № 25, გვ. 613—614.

[23] Н. Сегаль, „Сб. сведений...", стр. 171—172.

*

* *

1914 წელს საერთოდ კავკასიაში მეაბრეშუმეობის მიმოხილვის ავტორი, ი. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, წერდა: „მეთუთეობის პროდუქტების — ფოთლის, ნაყოფის (თუთის), თესლისა და მათს ნაკეთობებზე — ფასები კამპანიის დასაწყისიდანვე მაღალი იყო, განსაკუთრებით იმ რაიონებში, რომლებიც დაზარალდნენ სიცივეებისა და ყინვისაგან". რის გამოც 1914 წელს 1 გირვანქა თუთის ფოთოლი იყიდებოდა 2.5 — 3 კაპ.; მაშინ როდესაც წინა წლებში მისი ჩვეულებრივი ფასი იყო 1 —1.5 კაპ. თუთისხის ნაყოფი (თუთა) ალმ. და სამხ. ამერკავკასიის ბაზრებზე ფასობდა 1 ფუთი 30—60 კაპ. თუთისხის ნერგებზე ფასები შედარებით „ნაკლებად განიცდიდა რყევადობასო"[24].

აღსანიშნავია, რომ მეაბრეშუმეობის კვალდაკვალ მეთუთეობის განვითარებამ ხელი შეუწყო თუთისაგან არაყის (სპირტის) გამოხდის შემდგომს გავრცელებას. ამ მხრივ თვალსაჩინო წარმატებები იყო მიღწეული ელისავეტპოლის გუბერნიაში, განსაკუთრებით შუშის მაზრაში, სადაც, როგორც ნ. შ ა ვ რ ო ვ ი წერს „ამ მიზნით გაშენებულია თუთისხის მნიშვნელოვანი პლანტაციები, როგორც დაბლობ ისე მთიან ადგილებში". თუთის არაყს ხდიდნენ აგრეთვე ნუხისა და ზანგეზურის მაზრებში იმავე გუბერნიისა, ზაქათალის ოკრუგსა და ერევნის გუბერნიის სამხრეთ ნაწილში[25]. თუთისაგან ამზადებდნენ ტკბილეულეულს, ნაშარაბს, ბექმეზს და სხვ. კერძოდ „ხარ-თუთისაგან" აკეთებდნენ აგრეთვე ნურაბას, სიროფს და სხვ.[26].

საერთოდ ამერკავკასიაში მეთუთეობის კულტურა არ იდგა მაღალ დონეზე. აზერბაიჯანში თუთისხეს მეტისმეტად

---

[24] П. К у т а т е л а д з е, „Состояние шелководства на Кавказе в 1914 году" (ПКШС, за 1915, вып. II, стр. 16—18).

[25] П. Ш а в р о в, „Шелковица как плодовое дерево на Кавказе", 1894, Тифлис, стр. 11—12.

[26] იქვე, გვ. 15—16.

ახლო მწკრივებად რგავდნენ, რაც ხელს უშლიდა ხის ფოთლების შესაძლებელ განვითარებას. ფოთლის კრეფისას მთელი ტოტების ჩამოჭრის ჩვეულებაც დიდად აზიანებდა ხეს. რამდენადმე უკეთესად იყო დაყენებული თუთისხის გაშენების საქმე დას. ამიერკავკასიაში, სადაც მას გზებისა და ღობეების, მიჯნების გასწვრივ რგავდნენ.

1898 წ. თბილისში შესდგა კავკასიაში მებაღეობის სხვადასხვა კულტურათა დარგის მოღვაწეების პირველი ყრილობა. ამ ყრილობის ნაშრომებში აქ კერძოდ თუთისხის კულტურის მდგომარეობის შესახებ ვკითხულობთ: „ამ მხარის მეაბრეშუმეობის ყველა რაიონში თითქმის ყველგან შეიმჩნევა მეთუთეობის მნიშვნელოვანი განვითარება; ამასთანავე ის ადგილებში, სადაც იგი უკვე იყო, ცდილობენ უფრო გაამრავლონ თუთისხეები, ხოლო ზოგიერთ ადგილას სადაც ის სულ არ იყო, ანდა განადგურებული იყო მას ახლად რგავენ. მიუხედავად ამისა მაინც, ერთი მხრით, თუთის ფოთოლზე მოთხოვნილება მთლიანად ვერ კმაყოფილდება მისი სახეზე არსებული მარაგით და მეაბრეშუმეობის რაიონებში ხშირად იგრძნობა ფოთლის დიდი ნაკლებობა, ხოლო მეორის მხრით, მეთუთეობა ფრიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია მისი კულტურის მოუწესრიგებლობის გამო“[27].

საერთოდ თუთის ხის ნარგავების ძლიერი ნაკლებობა საგრძნობი გახდა მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან მაინც. ზოგიერთი რაიონი მეაბრეშუმეობისა, მაგალითად, ბათუმის, სოხუმის, ლეჩხუმის, რაჭის, შორაპნის, გორის, დუშეთის, თბილისის, ბორჩალოს, სიღნაღის, თელავის, ეჩმიაძინის, შარურ-დარალაგიოზის და სხვ. აბრეშუმის ჭიის დიდი გამოკვების პერიოდში თუთის ფოთლის სასტიკ ნაკლებობას განიცდიდნენ[28].

ამიერკავკასიაში 1901 წელს თუთისხის პლანტაციებს

---

[27] „Труды I-го Кавказского съезда деятелей по садовым культурам“, 1898, ч. I, стр. 46.
[28] ЭТЗ, II, 14.

ეჭირა დაახლოებით 50.000[29], ხოლო 1910 წელს კი — 53.000 დესეტინა, საიდანაც აღმ. ამიერკავკასიაზე მოდიოდა 50.000 დეს. ამ თუთიხეთა პლანტაციებს მთლიან შემოსავალს (ფოთოლი — აბრეშუმის ჭიისათვის, ხის მაქნისი მერქანი — სინსტრუმენტო მასალისათვის, თუთა — როგორც ხილი და არაყსახდელი მასალა) 1910 წელს ანგარიშობდნენ, დაახლოებით, 5 მილ. მანეთამდე[30].

აბრეშუმის პარკის რეალიზაცია

აბრეშუმის, როგორც საფეიქრო მრეწველობის ძვირფასი ნედლეულის თავისებურება, საერთოდ ორივალენტრივ ბ-მ-ზიდველი თვისებები — ბოჭკოს სისწორე, სისათუთე, ბზინვარება, სიმაგრე, ელასტიკურობა — და ბოლოს მისი მცირე წონისა და მოცულობის მაღალი ღირებულება იმთავითვე განაპირობებდა აბრეშუმის ნედლეულის წარმოებისა, მისგადამუშავებისა და მოხმარების ადგილების ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებულობის შესაძლებლობას.

საკმარისია აღინიშნოს, რომ, მაგალითად, მე-19 ს. მეორე ნახევრიდან აშშ-ში სწარმოებს გადამუშავება და, მაშასადამე, მოხმარება იაპონური და ჩინური აბრეშუმისა, საფრანგეთის აბრეშუმის საფეიქრო მრეწველობა მარაგდება ჩინური, იტალიური, ახლო-აღმოსავლური ნედლეულით. მაგრამ ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში და შუა საუკუნეებშიაც აბრეშუმი ნედლეულისა თუ ბზანაწარმის სახით მიმოქცევდათ ფრიად შორეულ ქვეყნებში. ის იმ დროს, როგორც იტყვიან, ოქროს დარად ფასობდა და იქნებ სწორედ ამით იყო პირობადებული ის გარემოებაც, რომ ძველად აბრეშუმით ხშირად თვით ბანკრებიც, უკეთა ვსთქვათ ზარაფებიც ვაჭრობდნენ.

---

[29] „Кавказский календарь на 1903 г.", отд. III, стр. 82.
[30] КХ, 1911, № 7—8, стр. 6.

მე-19 ს. 70-იან წლებამდე აბრეშუმის მსოფლიო ვაჭრობაში მონოპოლიური მდგომარეობა ეჭირა ლონდონს. ამ დროიდან კი, ამ მხრივ, დიდად დაწინაურდნენ ლიონი და მილანი, რომელთაც მალე გაუსწრეს ლონდონს. მე-20 ს. დასაწყისიდანვე აბრეშუმის მსოფლიო ვაჭრობაში დიდის სისწრაფით წინაურდება ნიუ-იორკი. ამ მხრივ მე-19 საუკუნეში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა აგრეთვე მარსელი, სადაც თავს იყრიდა განსაკუთრებით აღმ. ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის აბრეშუმი. ამას გარდა მარსელი იყო გრენაჟის მრეწველობის მსოფლიო ცენტრი. მაგრამ მე-19 ს. მიწურულიდან მილანმა შესძლო თავისკენ მიეზიდა ირანული აბრეშუმის დიდი ნაწილი, რითაც საგრძნობი ზიანი მიაყენა მარსელის ვაჭრობას.

თვით აბრეშუმის მწარმოებელ ქვეყნებში ნედლეულის მთავარი მსოფლიო მიმწოდებელი ბაზრები იყო კანტონი, შანხაი, იოკოგამა, კალკუტა და სხვ. [1].

*

* *

1865 წლამდე ამიერკავკასიაში ადგილობრივად ამოხვეული აბრეშუმი გაქონდათ უმთავრესად მოსკოვში. ამ დროიდან მოსკოვის ფაბრიკებისათვის მისი მიწოდება ერთხნობით თითქმის მთლიანად შესწყდა. სამაგიეროდ გაიზარდა ექსპორტი უცხოეთში.

ამ დროიდან აბრეშუმის პირველადი გადამუშავებისათვის აქ გაჩნდა უცხოელ-ექსპორტერთა ახალი საწარმოები. მაგალითად, 1868 წელს პეტერბურგიდან ლენქორანში ჩავიდა იტალიელი გრეზი და იქ, სადაც „ჯერ არც ერთი ქარხანა არ გამართულა და არც არავის უფიქრია დღეევანდლამდინ გაემართა რისამე ქარხანა“, გრეზიმ მოაწყო „აბრეშუმის ქარხანა“, სადაც ახვევს აბრეშუმს ევროპულ წესზედა“[2].

---

[1] Ф. Моретт, „Мировые рынки сырья“, 1925, II.

[2] გაზ. „გუთნის დედა“, 1868 წ., № 19, გვ. 149—150.

1870-იანი წლებიდან ამიერკავკასიური აბრეშუმი გაქვთ უმთავრესად მარსელში. საერთოდ ამიერკავკასიის საზღვრებიდან გატანილი აბრეშუმის ღირებულება, რეექსპორტის გამოკლებით, უდრიდა (მანეთობით):

1851 წ.	357.876	1867 წ.	293.727
1852 „	830.304	1868 „	1.026.224
1853 „	685.628	1869 „	477.294
1854 „	113.462	1870 „	919.867
1855 „	207.777	1871 „	1.703.780
1856 „	678.747	1872 „	1.929.794
1857 „	826.719	1873 „	1.821.674
1858 „	458.362	1874 „	1.937.985
1859 „	634.912	1875 „	1.969.918
1860 „	1.173.710	1876 „	2.298.943
1861 „	745.792	1877 „	890.875
1862 „	1.301.868	1878 „	1.785.354
1863 „	2.617.389	1879 „	2.397.968
1864 „	2.085.063	1880 „	2.042.469
1865 „	1.694.655	1881 „	2.178.178
1866 „	1.683.576		

მართალია, ამიერკავკასიური აბრეშუმის მოსკოვში გატანა 70-იანი წლებიდანვე კვლავ განახლდა, მაგრამ კარგა ხნის განმავლობაში ეს ოპერაცია ვიწრო ფარგლებში მოძრაობდა. მხოლოდ 90-იანი წლებიდან მოსკოვის საფეიქრო ფაბრიკები ისევ გადაიქცნენ ამიერკავკასიური აბრეშუმის მთავარ მომხმარებლებად. აღსანიშნავია, რომ ეს იყო რუსეთში საერთოდ მრეწველობის აღმავლობის, კერძოდ ტექსტილური მრეწველობის აღმავლობის ხანა, რაც ამავე დროს აღინიშნა ამიერკავკასიაში, საერთოდ „განაპირა ქვეყნებში“, აბრეშუმისა და სხვა საფეიქრო ნედლეულის შინამრეწველური გადამუშავების ძლიერი შემცირებით და, მაშასადამე, ამ ნედლეულთა უპირატესად საექსპორტო საქონლად გადაქცევით, — რაზედაც ჩვენ სპეციალურად გვექნება მსჯელობა, როდესაც განვიხილავთ ამიერკავკასიაში ცარიზმის კოლონიური სამრეწველო პოლიტიკის ისტორიას.

ამიერკავკასიიდან დას. ევროპაში აბრეშუმი გაქონდათ უმთავრესად მშრალი პარკის სახით. ეს ექსპორტი უდრიდა:

წლები	ფუჟობით	მანეთობით
1878	39.458	1.487.740
1879	29.130	1.620.700
1880	22.119	1.288.570
1881	32.100	1.407.410

აბრეშუმის პარკის საზღვარგარეთ გატანის შემცირებას ნ. შ ა ვ რ ო ვ ი ხსნის ნედლი პარკის ადგილზე გადამუშავებით, ე. ი. ამოხვევისა და ამ სახით „აბრეშუმის მშობლიური ფაბრიკებისათვის“, ე. ი. მოსკოვის ფაბრიკებისათვის მიწოდების ხვედრიწონის თანდათანი ზრდით, რაც „ფრიად კეთილსასურველი მოსაბრუნია კავკასიურ მეაბრეშუმეობაშიო“ — აცხადებდა იგი[3].

*

* *

ამიერკავკასიაში ნ ე დ ლ ი პ ა რ კ ი ს შ ე ს ყ ი დ ვ ი ს მთელი თავისებური ორგანიზაცია იყო ჩამოყალიბებული. ეს იყო უმთავრესად ჩარჩ-ვაჭართა მიერ შექმნილი სისტემა, გამოგონილი მეაბრეშუმეთა მოხერხებული ექსპლოატაციისათვის. მეაბრეშუმეობის კავკასიური სადგურის უფროსი მეაბრეშუმე ი. გ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, 1912 წელს, თბილისში მოწვეულ მეაბრეშუმეობის სპეციალისტთა თათბირზე, სხვათაშორის, ლაპარაკობდა, რომ „ჩვენს მეაბრეშუმეობის რაიონებში... ყოველთვის იგრძნობოდა წესიერად ორგანიზებული გასაღების ბაზრის უქონლობა, რაც მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენდა ჩვენში მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის განვითარების გზაზე. ჩვენში არსებული ად-

[3] Н. Шавров, „Очерк шелководства...“, стр. 242.

გილობრივი წონის ერთეულები, რაც სხვადასხვანაირია არამცთუ გუბერნიებში, არამედ მაზრებშიაც ჯერ-ევ უფრო აღრმავებს აბრეშუმის გამყიდველთა და მწარმოებელთა უმწეობას, რომელთაც ასე არაკეთილსინდისიერად ატყუილებენ“ შემსყიდველებიო [4].

მე-19 საუკუნეში და მერმეც, თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, აბრეშუმის რეალიზაცია ხდებოდა უმთავრესად შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი ს (ბაზარჩის) მეშვეობით. მეაბრეშუმე გლეხს პარკი უახლოეს ბაზარში გაქონდა და შემსყიდველს ანდა აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის საწყობში ჰყიდდა. ამასთანავე თვითონ წარმოების ადგილებში, სოფლებში დადიოდა მრავალი წვრილი შემსყიდველი, რომელიც საერთოდ წინასწარ ავალიანებდა წვრილმწარმოებელს. აძლევდა მას ბეს, ასესხებდა ფულს, ნასიად აწვდიდა მრეწველობის საქონელს თავისი დუქნიდან. ხშირად პირობით, ზომავალი მოსავლის (პარკის) ანგარიშში აძლევდა თვით გრენას, რომ გლეხმა, ბოლოს, ვალი აბრეშუმის პარკის ჩაბარებით დაფაროს — რეალიზაციის პერიოდში არსებული მაზანდის (ფასის) მიხედვით.

ასეთ პირობებში წვრილი გლეხისაგან პარკის შესყიდვა ხშირად, ეკონომიკური თვალსაზრისით, არაფრით განსხვავდებოდა პირდაპირი ძარცვისაგან. მეაბრეშუმეს, რომელიც ‘მებორკილია ვალდებულებით (რაც, ჩვეულებრივ, წერილობითი სახითაც არის გაფორმებული), არ შეუძლია უარი უთხრას შემსყიდველს თავისი პარკის ნაწილზე მაინც. უკანასკნელი ამ პარკს ფრიად უსამართლო ხერხით მიითვლის: უსინდისოდ ატყუილებს გლეხს, როგორც ბაზარზე არსებული ფ ა ს ი ს შესახებ, ისე წ ო ნ ა შ ი ც.

ნ. შ ა ვ რ ო ვ ს, 1880-იან წლებში, აზერბაიჯანის სოფლებში ჩაუწერია შემთხვევები, როდესაც შემსყიდველი, რომელსაც ჩვეულებრივ თან დაქონდა თავისი ს ა ს წ ო რ ი, სა-

---

[4] КХ, 1912, № 1, стр. 3.

წონად ხმარობდა თავისი... ფეხის სიმძიმეს, რასაც იგი თურმე 1 ფუთად ანგარიშობდა[5].

ა. ქუთათელაძე 1883 წ. წერდა ხონში — სადაც „ყოველ წელს 700 ფუთამდის მაინც გაიყიდება აბრეშუმი, იმის გარდა რაც სახლში დარჩება ოჯახობისათვის“ — გაბატონებული შემსყიდველის შესახებ, რომელსაც „გაუმართავს ნაქირავებ ადგილზედ რაღაც ქარხანა და ლამის ქვეყანას ტყავი გააძროს, რომელიც აქ 2 თვის განმავლობაში 20.000 მანეთს იღებს“; ამ შემსყიდველის „ფუთიანი საწყავი რაღაც განსხვავებულია, როგორც მოგახსენებენ, და მაინც კაცი-კი ხმას არა სცემს“, რადგან მას თურმე არსებითად მონოპოლიური მდგომარეობა მოუპოვებია ამ რაიონში აბრეშუმის შესყიდვის საქმეში[6].

საერთოდ ქუთაისის გუბერნიის შესახებ სმკს-ს კორესპონდენტი 1897 წ., აცხადებდა, რომ აქ „მეაბრეშუმეს სხვა გზა არ გააჩნია და მთელი თავისი მოსავალი ჩალის ფასად უნდა დაუთმოს გაუმაძღარ შემსყიდველს. ეს კიდეე ცოტაა, შემსყიდველები ყოველთვის ატყუილებენ ზომა-წონაში მეაბრეშუმეებს“. საერთოდ ერთი ქილის საწყავში 1 ფუთი სიმინდი ან 10 გირვანქა აბრეშუმის პარკი ჩადიოდა აწონით, მაგრამ შემსყიდველის 1 ქილა საწყავში ჩვეულებრივ, ნაცვლად 10-სა 15 — 17 გირვანქა პარკი ჩადიოდა[7].

1900 წელს კავკასიელ მეაბრეშუმეთა პირველ ყრილობაზე ი. ქუთათელაძე აღნიშნავდა, რომ ადგილობრივი ზომა-წონის ერთეულთა სიჭრელით მუხანათურად სარგებლობდნენ შემსყიდველები. ასე, მაგალითად, მისი ცნობით, საწყავი ბათმანი უდრიდა: ქუთაისის მაზრაში — 20 — 21 გირვანქას; შორაპნისაში — 14 — 30 გირ., ოზურგეთისაში —

---

[5] Н. Шавров, „Очерк шелководства“, стр. 217—218; საქართველოში გავრცელებულ აბრეშუმის საწონ-საწყაოთა შესახებ საინტერესო ნარკვევი იხ. ნ. აბესაძის ნაშრომში „მეაბრეშუმეობა საქართველოში“, გვ. 78—115.

[6] გაზ. „დროება“, 1883, № 170.

[7] КСХ, 1897, № 161, стр. 94; ИКШС за 1899 г., вып. I, стр. 28—29.

18 — 20 და ა. შ. ამას გარდა ხმარებაში იყო ქილა, გოდორა, ჩანახი, კოთხო, ნაოთხალი და სხვ. საწყაები ერთეულები, რომელთა სიდიდე მეტნაკლები იყო არამცთუ სხვადასხვა მაზრაში, არამედ ხშირად სხვადასხვა თემსა და სოფელშიაც[8]. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ერთსადაიმავე საწყავში, მაგალითად, ქილაში, სხვადასხვა ჯიშის აბრეშუმის პარკი მეტნაკლები წონისა ჩადიოდა[9].

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, წვრილი მეაბრეშუმისაგან შემსყიდველს მეტად დაბალ ფასებში მიქონდა პარკი და მისი ასეთი ორინაზობის შედეგად ხშირად ისე ხდებოდა, რომ წვრილმწარმოებელი, რომელიც მთელ თავის მოსავალს შემსყიდველ-კრედიტორს აბარებდა, კიდევ ვერ ფარავდა მთლიანად ვალს და ვალაუვალს დანარჩენი ნაწილი, შესაბამისი მეაბრეშუმის საარგებლის ზედშეეცოთ, მომავალი წლისათვის გადაქონდა ხოლმე და ა. შ.

ამგვარად, მეაბრეშუმენი, მაგალითად, ელისავეტპოლის გუბერნიაში, ოფიციალური მივმეხილველის ცნობით, „მუდმივად დავალიანებული არიან შემსყიდველისაგან და, მაშასადამე, მუდმივად მას უნდა მიაწოდონ თავიანთი პარკი, რაც იწვევს მათს გაღატაკებას. არის სოფლები, რომელთაც ათეულ ათასობით მანეთი მართებთ შემსყიდველისა... აბრეშუმის შესყიდვის ასეთს ხერხს არ თაკილობენ მსხვილი შემსყიდველებიც“[10], რომელთაც ხელოვნებული მეთოდებით შექმნილი მონოპოლიური მდგომარეობის წყალობით უზრუნველყოფილი ჰქონდათ თავიანთთვის პარკის ხელსაყრელად შესყიდვა მომავალ წლების განმავლობაშიც[11].

ანალოგიური იყო ვითარება და. ამიერკავკასიაშიაც. არაჩვეულებრივი იყო შემთხვევა მეაბრეშუმეობის კავკასიური საზოგადოების მიერ გლეხებისათვის დასახმარებლად ადგილებზე მივლენილი ინსტრუქტორების შემსყიდველთაგან მო-

[8] ИКШС за 1900 г., вып. III, стр. 25—26.
[9] ИКШС за 1899 г., вып. I, стр. 28—29.
[10] Н. Шавров, „Очерк шелководства...“, стр. 234.
[11] П. Сегаль, „Сб. свод...“, 173—174.

ქრთამვა-მოსყიდვისა. მაგალითად, 1894 წელს ხონში პარკის რეალიზაციის პერიოდის მოახლოებისთანავე „გასუნაგებული აქაური მგლები მოედვნენ სოფლებს, ჯერ მოიკითხეს: აბა რამდენი მოსავალიაო და, როცა შეკრიბეს ცნობები, ამ გულკეთილმა რევიზორებმა ჩაულაპარაკეს მათს აღებს: გაჩერდით, ფასს ნუ აწევთ, შარშან რომ გირვანქაში 40 — 45 კაპ. მივეცით ახლა 15-ათ ვიყიდოთო... ამათაც სიხარულით... იუდა-მოციქულებს ქება შეასხეს და ამას გარდა ვერცხლი ჩაუჩხრიალეს ჯიბეში“. ამ რევიზორებმა კიდევ „სოფლებში ხმა გაავრცელეს, იმ ვაჭრებისაგან ნიყიდული აბრეშუმის თესლი იმგვარი თვისებებისაა, რომ ძაფს კარგად ვერ ამოიღებთო. არც გვინდა თქვენი ამოღებული ძაფიო. ჩვენი მაშინები კარგად მოწყობილია და უფრო კარგად ამოიღებსო. ამგვარმა ქადაგებამ გაჭრა და იმათგან ნაყიდ თესლიდან მოყვანილ პარკს ყველა ხონში მიაჩანჩალებდა. ამნაირად, ეს საზოგადოების ძვირფასი სიმდიდრე ხელში უვარდებათ მძარცველებს“[12].

ვ. ჭ ა ლ ე ლ ი 1899 წ. წერდა, რომ ხიდ-სთავის „ბურჯთაგან“ სამმა „გახსნეს პარკის სახრჩობი და საწყობი ქარხანა და ფასიც მათ დაადვეს. კარგად იცოდნენ, რომ ხალხი პარკს ვერსად ვერ წაიღებდა გასაყიდათ. მათი წყალობით პარკის ფასი უცებ აიწევ-და-წევდა ხოლმე; დილას რომ პარკი ათ მანეთად იყიდებოდა შუა დღეზე 8 მანეთად იყო. ერთი სიტყვით როგორც მათ სურდათ ისე ატრიალებდნენ ბაზანდას. მაშ რისი ჩარჩები არიან. მერე არ იკითხავთ სადაურები არიან ესენი? ესენი არ არიან „გადამთიელნი“, არამედ აქაურნი, ეკუთვნიან იმ ხიდისთავს, იმ საზოგადოებას, რომელმაც ისინი გამოზარდა, ძუძუ აწოვა, იმ პირობით კი, საზოგადოების საბარგებლო კაცებად გამოსულიყვნენ; მათ კი დაჰკარგეს სინიდისი და ჩარჩობას მიჰყვეს ხელი“[13].

ამიერკავკასიაში აბრეშუმის პარკის რ ე ა ლ ი ზ ა ც ი ი ს

---

[12] „კვალი“, 1894, № 38, გვ. 6.
[13] „კვალი“, 1899, № 32, გვ. 537—538.

მთავარი პუნქტები იყო: აბაშა, სენაკი, ხონი, სამტრედია, ლისიჭინი, ზაქათალა, ნუხა, აღდამი, გეოქჩაი, ვართაშენი, კიურდამირი, განჯა, ბალუჯა, სიღნაღი, შუშა, აგდამი, ორდუბადი, აკულისი, კუბა და სხვ.

რომ არა ვსთქვათ რა ქალაქებსა და დაბებზე, უნდა აღინიშნოს, რომ აბრეშუმის პარკის რეალიზაციის მხრივ მნიშვნელოვან სოფლებში ჩნდებოდა პარკის საწყობები, იმართებოდა პარკის სახრჩოლავი, საშრობი და ძაფსახვევი ქარხნები, თავს იყრიდა მეზობელი თემების სხვა საქონლური პროდუქციაც, ვითარდებოდა საერთოდ ვაჭრობა, რის მეოხებითაც ასეთი „სოფლები წარმოადგენდნენ ყველაზე მსხვილ სოფლებს ამიერკავკასიაში“[14].

აი, როგორ აგვიწერდა, მაგალითად, 1895 წელს „კვალის“ კორესპონდენტი ერთ-ერთ ასეთ, შედარებით უმნიშვნელო სოფელს ოზურგეთის მაზრაში: ს. ქვემოხეთში, „თავ. ვ. ერისთავის მამულში იციან ბაზრობა. 29 ივნისს პეტრეპავლობას დაიწყება და გასტანს ხოლმე 12 დღე. ვაჭრები იკრიბებიან თითქმის ყველა ჩვენი დაბა-ქალაქებიდან: ქუთაისიდან, ოზურგეთიდან, ნაგომარ-ჩოხატაურიდან, აბაშა-სუჯუნიდან, კულაშიდან და სხვ. ყოველგვარი საქონელი საკმაოდ გროვდება. ამ ბაზრობას მრავალი სხვადასხვა სოფლები სწვდებიან საკაჭროთ—გურიის უმეტესი ნაწილი, განსაკუთრებით ნაგომრიდან დამოკიდებული, აკეთის სოფელსა და ლანჩხუთის ზემოთ, აგრეთვე ნაწილი სამეგრელოსი, საჭილაოს მხარე, მასთან იმერეთის სოფლები საჩინოდან დამოკიდებული რაიონის გამოღმა მხარე (დასავლეთისაკენ) სულ აქ იკრიბება... აქ არ იციან ცხენების, ძროხა-ხარების და სხვა ამგვარი ოთხფეხი საქონლის ყიდვა-გაყიდვა და გაცვლა-გამოცვლა, როგორც, მაგალითად, ხონს, სენაკს, ხობს და სხვ. აქაური ბაზრობა აბრეშუმის ყიდვა-გაყიდვაზეა აღმოცენებული პირველიდანვე და დღესაც ამაზე უდგია ფეხი. საამო სანახავია, როდესაც და-

[14] СМИЭБГКЗК, IV, 217—219; ТКОСХ, 1885, № 2—3, стр. 161—162; „Труды первого съезда по шелковому делу...“, 1923—1924 гг., Тифлис.

ცქერი შემოსასვლელ გზებს: მოიწკაპება გუნდ-გუნდათ ქალი და კაცი, მოაქვთ მხრებზე გადმოკიდებული ფოტით აბრეშუმი; მოდიან ცხენოსნებიც, ამათაც მოაქვთ აბრეშუმი ხურჯინებით. ბაზარში შემოვლენ თუ არა, ამოალაგებენ შვენიერ ხას აბრეშუმს, გადიდებენ მხრებზე გუნდ-გუნდათ და, ამგვარად, მთელი ბაზარი გადაყვითლებულია აბრეშუმით. მანდილოსნები ახალ შემოსვლაზე ეკითხებიან უწინდელ მოსულებს.

—«ნეტაი, რავაა ქსანი აბრეშუმი აქანაი დღეს?»

— «რავაა და მანეთიდან ექვს აბაზამდი, თუ კაი აბრეშუმია», ეუბნება წინათ მოსული ქალი.

— «ტიტუვ! მიწა გამიტკლიცე, ღმერთო! სამი თვეა დღეი და ღამე არ მიძინია, ერთი მოსვენება არ მინახავს! ბოურა რომ არ მოვიდა იმიზაც წამეკიდა ქმარი, ტყუილათ გავცდითო, ბეოლები გადავეერითო და რაცხა პაწიაი, აგიც ქსანი თითო მანეთათ გავყიდო!?».

განსაკუთრებით წელს ყველასაგან გვესმოდა ამგვარი გულდამწყვეტი საყვედური აბრეშუმის სიიეფის გამო. შეკრებილან აბრეშუმის მყიდველები, მოულაპარაკიათ და პირობა ამგვარად დაუდვიათ: ქსანს აბრეშუმს ოთხი აბაზიდან მანეთნახევარ ზევით ნურავინ ვიყიდითო. ასეც მოიქცნენ. წრეულს ქსანს აბრეშუმში უმრავლესობას ექვს აბაზს ზევით არავის აუღია«[15].

საერთოდ აბრეშუმის მთავარ საბაზრო დაბა-სოფლებსა და ქალაქებში არსებობდა პარკსათვის ორთქლის სახრჩოლავები. შემდეგ პარკს აშრობდნენ, ახარისხებდნენ და, ბოლოს, 3 — 5 ფუთიან ტომრებში ყრიდნენ. ამ სახით ის მიქონდათ აბრეშუმსახვევ ფაბრიკებში, ანდა, ნაკრაულებად დაპრესილებს აგზავნიდნენ ფოთისა და ბათუმისაკენ— უცხოეთში საექსპორტოდ. აბრეშუმის პარკის ექსპორტი ძირითადად ამ წესით სწარმოებდა 1900-იან წლებშიაც.

---

[15] „ქვალი“, 1895, № 37, გვ. 6 — 7.

* * *

აბრეშუმის პარკის რეალიზაციის საქმის მოწესრიგებაში ვნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ 90-იანი წლების შუა ხანებიდან წარმოქმნილი მეაბრეშუმეთა კოოპერატივები და მეაბრეშუმეობის კავკასიური სადგური.

1899 წლიდან დან. ამიერკავკასიაში, ქუთაისის გუბერნიაში მეაბრეშუმეობის თბილისის სადგურმა ჩაატარა პირველი ცდები აბრეშუმის პარკის ბაზრობის ორგანიზაციისა, მაგრამ ბიუროკრატიის მხრივ გულგრილობისა და ხშირად კიდევ ხელისშეშლის, განსაკუთრებით შემსყიდველთა მხრივ გატარებული საწინააღმდეგო ზომების გამო, „ორგანიზებული ბაზრობის“ მოწყობა შემთხვევით ხასიათს ატარებდა.

მეაბრეშუმეთათვის დახმარების მიზნით ქუთაისის სოფლისმეურნეობრივი საზოგადოების ინიციატივით შექმნილი „ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა“, „კოლხიდა“ და სხვ. ანალოგიური გაერთიანებანი ცდილობდნენ ბაზრებზე დაემყარებინათ „ნორმალური ფასები“ და ხელი შეეწყოთ აბრეშუმის პარკის უცხოეთში „კოოპერაციული გზით გასაღებისათვის“.

ამგვარ მეაბრეშუმეთა კოოპერაციულ ამხანაგობებში იმთავითვე ახერხებდნენ მოკალათებას შემსყიდველები, რომლებიც ამიერიდან სწორედ ამ კოოპერატივების მეშვეობით ხშირად ხელთ იგდებდნენ ხოლმე მთელი რაიონების პარკის მოსავლის უცხოეთში, მილანსა ან მარსელში, ექსპორტის საქმეს. ეს ექსპორტერები, ე. ი. მსხვილი შემსყიდველები ეწოდნენ არა მხოლოდ აბრეშუმის, არამედ აგრეთვე სიმინდის, მარგანეცის, მატყლისა და სხვ. საქონლის უცხოეთის ბაზრებზე გატანას და ამ გზით არსებითად მონოპოლიური მდგომარეობით სარგებლობდნენ, რამდენადაც თავიანთს დამოკიდებულებაში ყავდათ მრავალი ადგილობრივი წვრილი შემსყიდველი[16].

[16] КХ, 1912, № 6, стр. 3—4.

წვრილ და მსხვილ შემსყიდველთა ეს შეხმატკბილებული, თუმცა ოფიციალურად არ არსებული კორპორაცია ადვილად ახერხებდა თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებია მეაბრეშუმეთა კოოპერატივების მოღვაწეობა, ესარგებლა მათი აპარატით, საწყობით, კრედიტით და ა. შ. საერთოდ საქმე თანდათანობით ისე მიდიოდა, რომ ეს კოოპერატივები (ამხანაგობები) ადრე თუ გვიან მთლიანად შემსყიდველებს უვარდებოდათ ხელში[17].

მოვიყვანოთ მაგალითი. 1895 წ. ოზურგეთის მაზრაში შეიქმნა ამხანაგობა „შუამავალი", რომლის წევრთა რიცხვმა სულ მალე 400-მდე მიაღწია. „შუამავალმა" თავისი „აღებ-მიცემობის ცენტრად აბრეშუმის პარკის ყიდვა-გაყიდვა გაიხადა[18]. ის შეეცილა აქ ჩარჩებს და პარკის ფასი ერთიორათ ასწია. ეს ისეთი აშკარა იყო მწარმოებელთათვის, რომ გადასწყვიტეს ორ-ორი თუმნის გაღება და წევრებათ ჩაწერა. სოფლის ხალხი შევიდა „შუამავალში". ხოლო პარკის მოყვანის უმთავრესი ალაგი ლანჩხუთის საბოქაულოა. მაშასადამე, აქ ყველაზე მეტი წილის ბარათები უნდა გაცემულიყო. ამნაირათ, „შუამავლის" მიზანია სოფლის მწარმოებელთათვის ბაზრის მოპოვება, წევრთა უმრავლესობაც აი ეს მწარმოებლებია. მაშასადამე, ის მეურნეთა და ისიც წვრილ მეურნეთა ამხანაგობაა... ამხანაგობის სამოქმედო ასპარეზი ლანჩხუთია, მარა სად არის მისი კრების და გამგეობის ადგილი? ამ კითხვამ დაბადა ქიშპი და განხეთქილება. წევრთა ერთი ნაწილი ამბობდა გურიის დედა-ქალაქი ოზურგეთია, აქ არის ყოველი გვარი სამაზრო დაწესებუ-

---

[17] იხ. „კვალი", 1897 წ., № 23.

[18] „კვალი", 1896 წ., № 8; ნ. იაშვილი, გ. ბახტაძე, „მეაბრეშუმეობის განვითარება საქართველოში", 1949, თბ.; ა. კალაძე, „მეაბრეშუმეობა და საabრეშუმო მრეწველობა საქართველოში", 1928, ტფ.; ს. ბოცვაძე, „საქართველოს მეაბრეშუმეობის მოკლე ისტორიულ-ეკონომიკური მიმოხილვა", 1958, ქუთაისი. მონოგრაფიების ეს ტომი უკვე სტამბაში იყო, როდესაც შესაძლებლობა მომეცა გავცნობოდი ს. ბოცვაძის დასახელებულ ნაშრომს.

ლება და საზოგადო კრებაც აქ უნდა იყოსო, ხოლო მეორენი ლანჩხუთს ჩააფრინდნენ, აქ არის წარმოება, რკინისგზა და კრებაც აქ უნდა იყოსო. რას ნიშნავს ეს დავა? სხდომა ოზურგეთში ნიშნავს ოზურგელთა, ე. ი. არა მეურნეთა სხდომას, ვინაიდან სოფლის ხალხი, დიდი მანძილით დაშორებული ქალაქიდან, ვერ დაესწრება კრებას. რა კი ეს ასეა, „შუამავალიც“ ხდება მოქალაქეთა და არა მეურნეთა ამხანაგობათ. მას დაეპატრონა ისეთი ხალხი, რომელმაც არც კი იცის პარკი ხის ნაყოფია თუ ჭიის ნაქსოვია. ცხადია, დავა ლანჩხუთს და ოზურგეთს შორის არის დავა ამხანაგობის ძირითად თვისებაზე: „შუამავალი“ მეურნეთა თუ არამეურნეთა საზოგადოებაა. ბოლოს გაიმარჯვა მოქალაქეებმა, კრებები დანიშნა ოზურგეთში. აი, ამით გადაიჭრა ამხანაგობის ბედ-იღბალიც. ამიერიდან ამხანაგობის ხელმძღვანელათ ვაჭრები და მოხელენი შეიქნენ და მათ მოინდომეს სოფლის ხალხის კრებისაგან განდევნა...

.... ამ გვარათ, ამხანაგობა დააშორეს საწარმოო რაიონს და ბოლოს იქიდან გამოაგდეს მწარმოებლები...

...კითხვა დაისვა: ამხანაგობამ პარკი იქვე ჩარჩებს უნდა მიყიდოს, როგორც ეს აქამდე იყო, თუ პირდაპირ ევროპაში გაიტანოსო. თანახმათ ამისა წამოაყენეს ორი კანდიდატი გამგის ალაგას. წვრილ ფეხა კაკარდოსნებმა და მედუქნეებმა გადაწყვიტეს ჩვენ ჩარჩებს უნდა მივყიდოთო და გაათეთრეს მათი კანდიდატი. ამ ნაირათ წარმომადგენელთა უმრავლესობამ უარჰყო ევროპა, მსოფლიო ბაზარი და მით ჩარჩთა საჭიროება და ხალხის ცარცვა-გლეჯა დააკანონა, ამხანაგობა, ჩარჩებთან საბრძოლველათ მოწოდებული, ჩარჩების იარაღათ გადააქციეს. ასე დასრულდა „შუამავალის“ წესის აგება....“ [19].

სინამდვილეში „შუამავალმა“ კარგა ხანს იარსება. ერთ-ხანს, სახელდობრ 900-იანი წლების პირველ ნახევარში იგი

---

[19] ნ. ე ო რ დ ა ნ ი ა, „ჩვენებური საქმიანობა“, „კვალი“, 1898, № 11, გვ. 181—183.

საკმაოდ მოღონიერდა, მაგრამ ბოლოს, „1905 წლის ნოემბრის დარბევის შემდეგ შესწყვიტა არსებობა, რის შედეგადაც წევრ-მეაბრეშუმეთ დიდი მატერიალური ზარალი მოუვიდათო“ — აღნიშნავს ოფიციალური მიმოხილველი ქუთაისის გუბერნიისა[20].

თავისი სოციალური ხასიათით ანალოგიური იყო იმავე 1895 წ. ს. კუხში წარმოქმნილი „ამხანაგობის“ — „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა ქუთაისის გუბერნიაში“ — მოღვაწეობაც. 1901 წელს კ. მ ე ლ ა ძ ე წერდა: მეაბრეშუმეთა იმედი ეს „ამხანაგობა“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ „წელს რაღაც მიზეზით მწარმოებლებს ვერ მიაწოდა ნაწარმოების საღირალი და თითქმის დაკლებულ ფასადაც ყიდულობდა და „ამხანაგობის“ გამგემ თავის კაცებს 8 მან. ზევით ყიდვის ნება არ მისცა. მაშინ, როდესაც კერძო ვაჭრები 10—11 მანეთამდის ყიდულობდნენ“[21]. ცხადია ეს „ამხანაგობაც“, ე. ი. მისი თავკაცები, ამა თუ იმ სახით შემსყიდველ-ვაჭრებთან იყვნენ გაამხანაგებულნი და შეთანხმებულად ინაწილებდნენ ბაზარზე „გავლენის სფეროებს“, და ასევე „უკონფლიქტოდ ადგენდნენ“ ფასებსაც.

ხსენებულ და სხვა ანალოგიურ „ამხანაგობათა“, კოოპერაციულ გაერთიანებათა სპეკულაციური ხასიათისათვის, კერძოდ აბრეშუმის რეალიზაციის დარგში, ბევრი ითქვა კავკასიელ მეაბრეშუმეთა პირველ ყრილობაზე თბილისში — 1900 წ.[22].

---

[20] „Обзор Кутаисской губ. за 1906 г.,“ стр. 29.

[21] „კვალი“, 1901, № 25, გვ. 613 — 614; „კვალი“, 1895, №37, გვ. 6—7; КСХ, 1897, № 163, стр. 125—128.

[22] ИКШС за 1900 г., вып. III, стр. 28—33; იხ. აგრეთვე ნ. ი ა შ ვ ი ლ ი, გ. ბ ა ხ ტ ა ძ ე, „მეაბრეშუმეობის განვითარება საქართველოში“, 1949; ა. კ ა ლ ა ძ ე, „მეაბრეშუმეობა... საქართველოში“, 1928; ვ. კ ა კ ა ბ ა ძ ე, „შინამრეწველობის განვითარების საკითხები ჩვენში“, 1921, ტფ.; ს. ბ ო ცვ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 53—60.

* * *

აბრეშუმის პარკის რეალიზაციის საქმეში აბრეშუმის გირავნობით სესხის გაცემის სახით მონაწილეობდნენ კრედიტის კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციები — ბ ა ნ კ ე ბ ი. მაგრამ მათი ოპერაციები თავდაპირველად მაინც, ამ მხრივ, უმნიშვნელო იყო, ხოლო ხშირად კიდევ ისინი სავსებით თავს არიდებდნენ ამ საქმეს, საერთოდ კრედიტის სიმცირისა, განუვითარებლობისა და სხვა უფრო სარფიანი ოპერაციებისადმი მისწრაფებისა გამო.

მაგალითად, 1906 წელს კრედიტის ორგანიზაციებმა საერთოდ უარი განაცხადეს აბრეშუმის პარკის გირავნობით სესხების გაცემაზე. ამის მოტივად ისინი აანალიზებდნენ, „ერთი მხრივ საერთო ფინანსურ კრიზისს და, მეორე მხრივ, წარმოების ადგილზე აბრეშუმის პარკის გირავნობით გაცემული სესხის არაუზრუნველყოფილობას“ [23].

ნამდვილი მიზეზი კი ის იყო, რომ, მაგალითად, დას. საქართველოში ამ ხანებში კაპიტალისტური მეწარმეობა გაიტაცა „მარგანეცის ციებცხელებამ“. ქ. ბათუმში არსებული კრედიტის დაწესებულებები უფრო სარფიანად თვლიდნენ ჩაბმულიყვნენ მარგანეცის ოპერაციებში. 1906 წელს ჭიათურაში 1 ფუთი მარგანეცის ფასი 23 კაპ. იყო, ნაცვლად ჩვეულებრივი 7—8 კაპიკისა. ცხადია, მარგანეცის გირავნებით გაცემული მოკლევადიანი სესხი უფრო მომგებიანი იქნებოდა, ვინემ დაფინანსება აბრეშუმის ოპერაციებისა, სადაც საქონლის რეალიზაციამდე კრედიტის 3—4 თვით დაყოვნება იყო სავარაუდებელი.

1906 წელს თვით სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილებამაც უარი განაცხადა აბრეშუმის ოპერაციების დაფინანსებაზე ამ მოტივით, რომ „კერძო კრედიტის დაწესებულებები ამ სესხს სარისკოდ მიიჩნევენო“; ხოლო მარგანეცის გირავნობით კი იმავე ხანებში განყოფილებამ დიდძალი სესხი გასცა.

---

[23] ОДКШС в 1906 г., стр. 21.

შემსყიდველები, რომლებიც წინაწლების მაგალითისამებრ ჰოელოდნენ აბრეშუმის პარკის გირავნობით კრედიტის დაწესებულებათაგან სესხის მიღებას, თუმცა დაწეულ ფასებში, მაგრამ მაინც იწყებენ პარკის ოპერაციებს, რაშიც აბანდებენ „თავიანთ პატარა კაპიტალებს“, მაგრამ როგორც კი ბანკებმა უარი განაცხადეს მათთვის სესხის გაცემაზე, მათაც მყისვე შესწყვიტეს პარკის შესყიდვა. მეაბრეშუმეებს არ შეეძლოთ ერწმუნათ შემსყიდველთა ჩივილი, რომელთაც ბრალს სდებდნენ ბოროტეულ მოქმედებაში. „მეაბრეშუმეთა და შემსყიდველთა შორის ურთიერთობა უკიდურესად გაფუჭდა“. ზოგან პარკებიდან დაიწყო პეპლების გამოსვლა და საქმე იქამდე მიეიდა, რომ „საჭირო შეიქნა ადმინისტრაციის ჩარევა“ შემსყიდველთა და მეაბრეშუმეთა ურთიერთობაში[24].

ქუთაისს, ხონს, სენაკს მეაბრეშუმეებს დახმარებას უწევდნენ სოფლის მეურნეობისა და მეაბრეშუმეობის ამხანაგობები. ეს დახმარება გამოიხატებოდა მსურველთა პარკის უნაცვალგებოდ შეხრჩოლვაში. — მაგრამ ეს შეღავათი ნაკლებ ეფექტური და, რაც მთავარია, არა მასობრივი იყო[25].

კრედიტის მხრივ მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით სოფლის მეურნეობისა და მეაბრეშუმეთა ამხანაგობებმა მაისის გასულს დეპეშით ფინანსთა მინისტრს სთხოვეს აბრეშუმის პარკის გირავნობით კრედიტის გახსნა. ამასთანავე მოხსენებითი ბარათით დეპუტაცია გაუგზავნეს კავკასიის ნამესტნიკს. ფინანსთა მინისტრისადმი დეპეშაში, რომლის ასლი გაეგზავნა მიწათმოქმედების მთავარმმართველსა და სახელმწიფო ბანკის მმართველს, ნათქვამია: „ქუთაისის გუბერნიის სოფლის მოსახლეობა აწარმოებს 100 ათას ფუთზე მეტ აბრეშუმის პარკს, რაც გაიტანება საზღვარგარეთ — და 2 მილ. მანეთამდე თანხას შეადგენს. ტექნიკურ პირობათა გამო აბრეშუმის პარკის ოპერაციის პერიოდი ფრიად მოკლეა, რისთვისაც ერთბაშად საჭიროა მსხვილი თანხები, რაც არ გააჩნიათ

[24] „Обзор Кутаисской губ. за 1906 г.“, стр. 28—29.
[25] ОДКИИС в 1906 г., стр. 21.

ადგილობრივ სოფლისმეურნეობრივ ამხანაგობებს, რომლებიც ეწევიან აბრეშუმის პარკის ექსპორტს. ამ დრომდე როგორც კერძო ბანკები, ასევე სახელმწიფო ბანკის განყოფილება ხალისით ხსნიდნენ კრედიტს აბრეშუმის პარკის გირავნობით, მაგრამ ამჟამად სახელმწიფო ბანკის განყოფილება და მასთან ერთად კერძო ბანკებიც, უარს ამბობენ სესხის გაცემაზე, რითაც მთელი საქმე ფრიად კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააგდეს. თუ დაუყოვნებლივ არ იქნება გაწეული დახმარება, აბრეშუმის პარკის მნიშვნელოვანი ნაწილი გაფუჭდება, ხოლო საზღვარგარეთ ექსპორტი შეიძლება საერთოდ შესწყდეს. ამასთანავე უკანასკნელ ხანებში განცდილ მოვლენათა შედეგად ისედაც გაჩანაგებული სოფლის მოსახლეობა უფსკრულის პირას იქნება დაყენებული, რაც აუცილებელი უბედურებითა და ძვრებით იმუქრებაო". ასეთს სიტუაციაში, რათა „არ დაღუპულიყო ესოდენ სასარგებლო საქმე", ითხოვდნენ წინაწლების მაგალითისამებრ აბრეშუმის პარკის გირავნობით სახელმწიფო ბანკს გაეხსნა კრედიტი[26].

ბოლოს, და არც ისე დაგვიანებით, სახელმწიფო ბანკის ბათუმის კანტორამ მიიღო პეტერბურგიდან მითითება კრედიტის გახსნის შესახებ... „აბრეშუმის პარკის ბაზრებს ერთბაშად დაეტყო გამოცოცხლება". მეაბრეშუმეობის რაიონებში გაცხოველდა საზოგადოებრივი სახრჩოლავების ორგანიზაცია; ეტყობა უკეთესად მიდიოდა ეს საქმე იქ სადაც მოქმედებდნენ სოფლისმეურნეობრივი და მეაბრეშუმეობის ამხანაგობანი. მათ შორის განირჩეოდნენ „კოლხიდა" (ქუთაისში), „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა" (ხონსა და კუხში), „შუამავალი" (1906 წლიდან — სენაკში) და სხვ.

ამ ამხანაგობათა საზოგადოებრივ სახრჩოლავებსა და საშრობებში ჩაბარებული ნედლი პარკის ყოველ ფუთზე გაიცემოდა 10 — 12 მან. ავანსი. აბრეშუმის შეხრჩოლვა და გაშრობა მოეწყო ახ. სენაკს, წალენჯიხას, ჩაქვინჯს, ზუგდიდს, ლანჩხუთს, სუფსას, ნატანებს, ლიხაურს, ოზურგეთს, ბახვს, მი-

---

[26] ОДКШС в 1906 г., стр. 22.

ქელგაბრიელს, შემოქმედს, ნაგომარს, ხიდისთავს და სხვ. ასეთ დახმარებას საერთოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ის „სულზე მისწრება“ იყო კერძოდ ოზურგეთის მაზრისათვის, სადაც მეაბრეშუმეებმა სპეციალური დადგენილების საფუძველზე ბოიკოტი გამოუცხადეს აბრეშუმის ადგილობრივ შემსყიდველებს, რის გამოც უკანასკნელთაგან არავინ ბედავდა მოვლენოდა „თავის სოფლებს“. ამავე დროს აქ ადრე მოქმედმა ოზურგეთის მაზრის ვაჭრობა-მრეწველობის ამხანაგობამ, „შუამავალმა“, 1905 წლის ნოემბერს „რევოლუციური მოძრაობის მრისხანების შიშით“ შესწყვიტა არსებობა.

აბრეშუმის პარკის ფასების დადგენაში აქტიურად მონაწილეობდა მეაბრეშუმეობის კავკასიური სადგურის ინსტრუქტორი, რომელიც პარკის ბაზრებზე აწყობდა „საზოგადოებრივ სასწორს“ და თანაც მეაბრეშუმეებს ინფორმაციას აწვდიდა უცხოეთში, კერძოდ აბრეშუმის მსოფლიო ბაზრებში — მარსელსა და მილანში — არსებული ფასების შესახებ. აბრეშუმის პარკის ბაზარი საზოგადოებრივი სასწორით 1906 წ. მოეწყო ქუთაისში, ხონს, ზუგდიდს, წალენჯიხას, აბაშას, ნაოღალევს, სამტრედიას, ჩოხატაურს. შედეგად ყოველივე ამ ღონისძიებისა აბრეშუმის პარკზე ფასები თანდათან აიწია, მოსავალიც კარგი გამოვიდა. ქუთაისის გუბერნიიდან უცხოეთს გაიზიდა 24 — 25 ათასი ფუთი მშრალი პარკი — დაახლოებით 1.250—1 300 ათასი მანეთისა[27].

*

* *

საექსპორტო აბრეშუმის მთავარი მიზიდულობის პუნქტები იყო: საჯევახო, ლანჩხუთი, სამტრედია, აბაშა, ახ. სენაკი, ქუთაისი, ეკლახი, ლიაკი, ქიურდამირი და სხვ.

დასავლეთ საქართველოში წარმოებული აბრეშუმის თითქმის მთელი „გარდამეტი“ გაჰქონდათ უცხოეთში — უმთავრე-

[27] ОДКИЗС в 1905 г., стр. 24—25.

ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურებიდან 1908, 1912, 1914 წწ. გატანილი მეაბრეშუმეობის პროდუქტები. (ფუთობით):

რკინიგზის სადგურების დასახელება	1908 წ.	1912 წ.	1914 წ.
ქობულეთი	—	215	—
ნატანები	1006	1729	118
ჯუმათი .	112	306	—
ლანჩხუთი	1582	2114	—
საჯევახო	2702	2728	—
სამტრედია	13920	14888	13171
აბაშა	3468	3024	1190
ანალ-სენაკი	8707	8799	3771
კოპიტნარი	258	756	—
მუხიანი .	1806	262	55
ქუთაისი	2503	4459	1591
სვირი .	154	—	—
ყვირილა . . .	187	181	—
თბილისი . .	508	690	389
კარაკლისი .	64	—	—
ულუბანლუ .	56	—	—
ერევანი .	14	118	39
ხახპევანი	117	610	380
ჯულფა	527	552	64
აქსტაფა	—	52	—
განჯა .	144	720	—
ევლახი	15.518	34.922	10.477
ლიაკი	1.250	436	105
უჯარა .	371	472	—
მიუსიუსიანი	534	1.158	400
ქიურდამირი	954	3.704	699
კარა-სუ	58	333	765

სად ბათუმიდან. აღმ. საქართველოდან მცირე რაოდენობით პარკი მიქონდათ ამოსახვევად აზერბაიჯანის ფაბრიკებში[28].

აღსანიშნავია რომ ამიერკავკასიაში აბრეშუმსახვევი ფ ა ბ რ ი კ ე ბ ი ს გ ა ა დ გ ი ლ ე ბ ა სრულებით არ შეესაბამებოდა ნედლეულის წარმოების, ე. ი. მეაბრეშუმეობის რაიონების გაადგილებას. აბრეშუმსახვევი ფაბრიკები კონცენტრირებული იყო უმთავრესად ნუხისა და შუშის რაიონებში. პირ-

[28] ა. კ ა ლ ა ძ ე, დასახ. თხზ.; ნ. ი ა შ ვ ი ლ ი, გ. ბ ა ხ ტ ა ძ ე, დასახ. თხზ.; ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, „მეაბრეშუმეობა საქართველოში", 170—174.

ველ მსოფლიო ომის წინა წლებში (1908—1914 წწ.) ამიერკავკასიაში მოქმედი 128 აბრეშუმსახვევ ფაბრიკიდან იმყოფებოდა: ნუხის რაიონში — 87, შუშის რაიონში — 26, კარიაგის რ. —5, ზაქათალის ოკრუგში — 2, ერევნის გუბერნიაში — 5, თელავსა, სამტრედიასა და ოზურგეთში — თითოთითო. მაგრამ არა მხოლოდ საწარმოთა რაოდენობრივი, არამედ მათში წარმოებული პროდუქციის მხრივაც აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკების უდიდესი უმრავლესობა თავმოყრილი იყო ნუხის მაზრაში.

ბათუმიდან უცხოეთში გაზიდული აბრეშუმის პარკის რაოდენობა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წლიურ ანგარიშგებათა მიხედვით უდრიდა [29]:

წლები	ფუთობით	წლები	ფუთობით
1891	19.468	1904	100.936
1896	24.304	1905	53.754
1897	24.862	1906	118.849
1898	22.258	1907	89.218
1899	71.052	1908	135.532
1900	42.222	1909	195.424
1901	28.230	1910	111.662
1902	116.870	1911	94.488
1903	158.720	1912	66.712

პირველი მსოფლიო ომის წინაწლებში საკუთრად ამიერკავკასიიდან უცხოეთში გაქონდათ 30—40 ათასი ფუთი მშრალი პარკი, ხოლო თურქესტანიდან — 70 ათასი ფუთი. ამას გარდა ირანიდან ამიერკავკასიაზე ტრანზიტით (ბათუმის გზით) უცხოეთში, უმთავრესად მილანსა და ლიონში იგზავნებოდა დაახლოებით 50 ათასი ფუთი. ამგვარად, იმ ხანებში რუსეთი თავისი ტერიტორიიდან უცხოეთის ბაზარზე უშვებდა 150 ათას ფუთამდე მშრალ პარკს, დაახლოებით 9 მილ. მან. ღირებულს, რაც ადგილზე მხოლოდღა ამოხვევის შემდეგ გრეიჯისა და ფრიზონის სახით ეღირებოდა უკვე 11 — 12 მილ. მან.

ამავე დროს რუსეთის უცხოეთიდან დიდი რაოდენობით

[29] დ. ღამბაშიძე, „ჩვენი ქვეყნის უცხოეთთან ვაჭრობა", გვ. 11.

შემოქონდა აბრეშუმის მრეწველობის სხვადასხვა ნედლეული, უმთავრესად გრეჟისა და დართული და დაგრეხილი ძაფის სახით.

რუსეთის მიერ (ყველა საზღვრიდან) აბრეშუმის ნედლეულის იმპორტი და ექსპორტი (ათას მანეთობით)[30]

წლები	ექსპორტი. ნედლი აბრეშუმი	იმპორტი. ნედლი აბრეშუმი; აბრეშუმის ნაგოები და ნართი
1900	5.895	13.913
1902	4.801	15.366
1903	5.352	15.549
1904	6.389	12.763
1905	5.693	12.126
1906	7.311	16.123
1907	6.051	20.110
1908	3.416	19.449
1909	6.583	21.669
1910	5.184	27.211
1911	7.706	29.162
1912	9.964	29.385
1913	10.271	34.542
1914	4.379	24.097
1915	1.293	14.720
1916	—	22.417
1917	—	15.172

ამგვარად, მეფის რუსეთი, რომელიც, ერთის მხრით, ვერ ითვისებდა შინაგანი მეაბრეშუმეობის პროდუქციას, მეორე მხრით, თავისი აბრეშუმის საფეიქრო მრეწველობისათვის უცხოეთიდან შემრტანილი ნედლეულისათვის ყოველწლიურად ათეულ მილიონობით ოქროს იხდიდა. ბიუროკრატიული სახელმწიფო ვერ ახერხებდა ერთმანეთთან შეეთანხმებია, ერთი მხრით, მეაბრეშუმეობის და, მეორე მხრით, აბრეშუმის მრეწველობის განვითარებისათვის წარმართულ ღონისძიებათა შინაგანი წინააღმდეგობებით სავსე სისტემა.

[30] П. Хромов, „Экономическое развитие России в XIX—XX вв.“, 1950, М., стр. 487—488.

ამ მხრივ საყურადღებოა კიდევ ერთი მომენტი... აბრეშუმის ნედლი პარკის მიმწოდებელ, ე. ი. მეაბრეშუმეობის რაიონების მოსახლეობას კისრად აწვა რკინიგზის მაღალი ტარიფიც. ამ საკითხის შესახებ 1898 წელს შედგენილს ერთს მიმოხილვაში ნათქვამია: „იმის გამო რომ აბრეშუმის პარკის გადაზიდვა ამჟამად ხდება იმ მეტად მაღალი ტარიფით, რითაც გადააქვთ თვით აბრეშუმი (ნართი), პარკის, როგორც 4—5-ჯერ უფრო ნაკლებად ღირებული მასალის გადაზიდვა ფრიად ძვირი ჯდება და ხელს უშლის მის შეღწევას ჩრდილოეთ რუსეთში, რაც აძნელებს მის გასაღებას“. ყოველივე ამის გამო ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობის განვითარებით დაინტერესებული წრეები შუამდგომლობდნენ, რათა აბრეშუმის პარკის გადაზიდვის რკინიგზის ტარიფი შეემცირებიათ უკანასკნელისა და აბრეშუმის ნართის ღირებულების პროპორციულად[31].

---

[31] „Труды I-го Кавказского съезда деятелей по садовым культурам“, ч. I, стр. 51.

X

ᲕᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ამიერკავკასიაში 1891 — 1916 წწ. მეცხოველეობის დინამიკის საერთო სურათს წარმოადგენს ქვემოთმოყვანილი ცხრილი. ამ ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებენ, რომ მეცხოველეობის ზოგიერთი დარგი, რაოდენობრივი თვალსაზრისით, 1890-იანი წლებიდან მოყოლებული ერთგვარ აღმავლობას განიცდის (ცხრილი იხ. გვ. 768).

ასე, მაგალითად, 1899 წელთან შედარებით 1912 წელს მეტი იყო: მსხვილი რქიანი პირუტყვი — 61,3 პროცენტით, კამეჩი — 97,1%, ვირი — 40,4%, ცხვარი — 70,7%, თხა — 18,9%.

მაგრამ ეს „აღმავლობა“ თითქმის შეუმჩნეველი ტემპით მიდიოდა კერძოდ მეცხენეობისა და მეღორეობის დარგებში, ხოლო რაც შეეხება მეაქლემეობასა და მეჯორეობას აქ უკვე საქმე გვაქვს პირუტყვის რაოდენობის მნიშვნელოვან შემცირებასთან: 1912 წელს 1899 წლის დონესთან შედარებით შეადგენდა აქლემის რაოდენობა 94.4%, ხოლო ჯორისა-კი მხოლოდ 63,3 პროცენტს.

ახლა თუ 1916 წლის მონაცემებს ომამდელს, სახელდობრ 1912 წლისას შევადარებთ, დავინახავთ, რომ მეცხოველეობამ პირველი მსოფლიო ომის პირველსავე წლებში მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა. თუ 1912 წლის დონეს ასად მივიღებთ 1916 წელს ითვლებოდა: მსხვილი რქიანი პირუტყვი — 71,2%, კამეჩი — 58,1%, ცხენი — 53,0%, ვირი — 56,0%, აქლემი — 39,6%, ცხვარი — 36,6%, თხა — 97,1%, ღორი — 93,3%.

ამგვარად, ომის პირობებში ყველაზე დიდი დანაკლისი გა-

მეცხოველეობა ამიერკავკასიაში 1891 — 1916 წწ.

ცხოველის დასახელება	1891 წ.	1899 წ.	1903 წ.	1908 წ.	1912 წ.	1915 წ.	1916 წ.	პროცენტობით 1916 წელი 1899 წელთან	პროცენტობით 1916 წელი 1912 წელთან
1. მსხვილრქიანი	1.991.757	1.672.602	2.297.249	2.443.600	2.698.505	2.238.631	1.924.021	161,3	71,2
2. კამეჩი		288.083	412.841	447.291	567.899	495.927	330.348	197,1	58,1
3. ცხენი	364.679	322 103	368.987	359.970	353.137	235.329	187.251	109,6	53,0
4. ჯორი	79.960	13.835	5.776	11.696	8.764	7.947	—	63,3	—
5. ვირი .		67.459	90.979	108.441	94.753	69.607	53.423	140,4	56,3
6. აქლემი	14.176	17.124	21.030	21.233	16.180	20.916	6.418	94,4	39,6
7. ცხვარი .	4.278.344	4.286.795	5.732.829	5.722.952	7.317.892	4.201.779	2.656.530	170,7	36,3
8. თხა		367.180	427.316	433.808	436.662	506.531	424.151	118,9	97,1
9. ღორი	342.792	307.371	315.501	279.529	312.211	285.050	291.522	101,5	93,3
სულ	7.071.708	7.342.552	9.673.108	9.828.520	11.806.003	8.061.717	5.873.064	160,8	49,7

ნიცადა მომთაბარე მეცხოველეობამ, სახელდობრ მეცხვარეობამ, რაც, როგორც ვიცით, ამასთანავე, წარმოადგენდა ყველაზე უფრო სავაჭრო დარგს მეცხოველეობაში. ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი შესახებ მიზეზებისა, რომელთაც გამოიწვიეს მეცხვარეობის ასეთი დაცემა. ომის წლებში შედარებით ნაკლებად დაზარალდა მეთხეობა და მეღორეობა, რაც მეცხოველეობის ამ დარგთა თავისებურებით: აღწარმოების ტემპის შედარებითი სისწრაფისა და საერთოდ მძიმე სახალხომეურნეობრივი პირობებისადმი შემგუებლობის მხრივ მეტი მობილურობით უნდა აიხსნას.

1916 წელს ისეთი „ზოგადი" მაჩვენებელი, როგორიცაა, შინაური პირუტყვის საერთო რიცხვი 1912 წელთან შედარებით უკვე განახევრებული იყო, — 1912 წლის დონის 49,7 პროცენტს შეადგენდა.

მეცხოველეობის, ისევე როგორც საერთოდ სახალხომეურნეობრივ მოვლენათა დინამიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებელთაგანია მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული მონაცემები. ამ მხრივ საინტერესო სურათს წარმოადგენს ქვემოთმოყვანილი ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენი თავი პირუტყვი მოდიოდა ამიერკავკასიაში მოსახლეობის 100 სულზე მეცხოველეობის ცალკე დარგებისა და ადმინისტრაციულ ერთეულთა (გუბერნიების, ოკრუგების) მიხედვით (ცხრილი იხ. გვ. 770 — 771).

როგორც ცხრილიდან ჩანს, ამიერკავკასიაში პირუტყვის ხვედრიწონა მოსახლეობის ას სულზე უდრიდა: მსხვილფეხა რქიანისა 1899 წელს — 36,00; 1912 წ. — 44,06; ხოლო 1915 წ. — 33,86; ამასთანავე, შესაბამისი წლების მიხედვით უდრიდა: კამეჩისა—6,20; 9,27; 7,49; ცხვრისა—92,2; 70,50; 63,5; ღორისა — 6,61; 5,09; 4,31.

ეს მონაცემები გვიჩვენებენ, რომ მოსახლეობის ას სულზე 1899 წელთან შედარებით 1912 წელს რამდენადმე გაზრდილა ხვედრიწონა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა (კამეჩის ჩათვლით), ხოლო ყველა დანარჩენი პირუტყვის ხვედრიწონა კი დაცემულა. ზემოთ, სადაც მსხვილფეხა პირუტყვის სახალ-

პირუტყვის რაოდენობა ამიერკავკასიაში მოსახლეობის 100 სულზე
1899—1915 წწ.

ადმინისტრ ერთეულთა დასახელება	მსხვილფეხა რქიანი			კამეჩი			ცხენი			ჯორი			ვირი		
	1899[1]	1912	1915	1899	1912	1915	1899	1912	1915	1899	1912	1915	1899	1912	1915
1. ბაქ ს გუბ. .	20,87	40,28	30,94	8,55	15,70	1?,10	9,31	8,70	5,53	00,47	0,63	0,004	1,39	1,07	1,01
2. ბათუმის ოლქი	—	45,.8	29,28	—	1,22	1,37	—	3,96	1,5	—	0,35	0,036	—	0,58	0,19
3. ელ ს ავ ტ ბ ლ ის გუბ.	35,50	58,96	46,43	6,11	14,30	12,28	8,51	7,02	4,54	0,63	0,36	0,45	2,99	2,59	1,76
4. ზაქათალის ოკრ.	76,.0	55,50	47,50	23,30	45.60	36,50	8,97	3,68	4,12	—	—	—	—	0.33	0,35
5. ქუთ ისის გუბ.	35,60	30,20	25.45	2,89	2,06	1,71	8,08	2,61	1,84	2,53	1,06	0,05	3,51	0,06	0.05
6. სოხუმის ოკრ. .	—	32 81	21,10	—	12,56	9,44	—	9,07	6,03	—	0,31	0,14	—	0,27	0,14
7. თბილისის გუბ.	36,80	48.90	34 90	8,38	7,60	5,06	5,44	5,95	3,09	0,48	0.05	0,04	0,75	1,52	0,73
8. ერევნის გუბ.	57,50	39,10	29,40	4,73	4,16	3,25	5,73	3,98	2,08	0,12	0,08	80,05	2,35	2,76	1,94
სულ ამიერკავკასიაში	36,00	44,06	33,86	6.20	9,27	7,49	6,99	5,76	3,56	0,29	0.14	0,12	1,45	1,54	1,05

[1] 1899 წ. პირუტყვის რიცხოვნებასთან შეფარდებაში მოსახლეობის რაოდენობა აღებულია 1897 წ. აღწერის მონაცემებით.

ᲑᲘᲠᲯᲚᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲐᲛᲘᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ 100 ᲡᲣᲚᲖᲔ
1899—1915 ᲬᲬ. (გაგრძელება)

ადმინისტ. ერთეულთა დასახელება	აქლემი			ცხვარი			თხა			ღორი		
	1899	1912	1915	1899	1912	1915	1899	1912	1915	1899	1912	1915
1. ბაქოს გუბერნია	1,24	0,71	0,76	78,90	71,20	80,20	4.76	4,69	3,43	0,48	1,18	0,31
2. ბათუმის ოლქი .	—	—	—	—	33,02	13,16	—	5,19	3,83	—	0,35	0,22
3. ელ სავეტპ. გუბ. .	0,20	0,18	0,17	132,00	86,62	85,20	5,45	6,48	7,94	4,02	3,02	1,21
4. ზ ქათალის ოკრუგი	—	—	—	106,60	85,90	94.40	4,91	8,45	18,00	—	—	0,011
5. ქუთაისის გუბერნია	—	—	—	18,20	8,69	6,84	8,06	6,06	6,45	27,10	16,10	13,24
6. სოხუმის ოკრუგი	—	—	—	—	10,52	18,44	—	24,50	18,42	—	14,84	16,29
7. თბილისის გუბერნია .	—	0,03	0,04	131,70	113,90	79,80	13,50	5,00	5,60	4,83	5,43	6,12
8. ერევნის გუბერნია	0,60	0,55	0 78	115,00	66,70	62,20	9,48	9 64	13,5	0,17	0,23	0,34
სულ ამიერკავკასიაში .	0,36	0,26	0,31	92,20	70,50	63,5	7,90	7,13	7,66	6,61	5,09	4,31

ზომეურნეობრივ მნიშვნელობას ვიხილავდით, ჩვენ დავინახეთ, რომ იგი, როგორც პროდუქტიული (ძროხა) და მუშა-პირუტყვი (გამწევი ძალა), ისე იყო წეთანაწყობილი ამიერკავკასიის მთელ სოფლის მეურნეობას, რომ ყველა რაიონში, თვით არამიწათმოქმედურ ანდა ნახევრადმიწათმოქმედურ რაიონებსა და თემებშიაც, მეტნაკლები ზომით, ყველგან ყავდათ, ხოლო კერძოდ მიწათმოქმედების რაიონებში ხომ უიმისობა შეუძლებელი იყო.

მართალია, მსხვილფეხა პირუტყვის რამდენადმე დიდი ჯოგები ამიერკავკასიაში მცირე რაოდენობით ყავდათ, სამაგიეროდ ხარი და ძროხა, და ნაწილობრივ კამეჩი, აქ მოსახლეობის ძირითად მასებში, წვრილმწარმოებელთა შორის, საყოველთაოდ იყო გავრცელებული და, ამგვარად, დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა საერთოდ სოფლის მეურნეობაში. სწორედ მის ამ საყოველთაოდ გავრცელებულობასა და მიწათმოქმედებასთან შეთანაწყობილობის არსებულ ვითარებაში უნდა ვეძიოთ ახსნა იმისა, რომ მეცხოველეობის სხვა დარგებთან შედარებით მესაქონლეობა (მეძროხეობა) თითქოს მეტ ცხოველმყოფელობას იჩენდა[2].

თუ არას ვიტყვით მოსახლეობის ას სულზე ხვედრიწონისა და ნაწილობრივ აბსოლუტურ შემცირებაზე ცხენის, აქლემის, ჯორის და ღორისა, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეცხვარეობის ხვედრიწონის დიდი შემცირება, რაც როგორც ზემოთ დავინახეთ, პირობადებული იყო რიგი მოვლენებით ამიერკავკასიის რეფორმისშერმინდელი ეკონომიკური განვითარებისა.

თუ რამდენადმე უფრო შორეული წარსულის სურათსაც გადავხედავთ მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით შინაური პირუტყვის ხვედრიწონის დაცემა ამიერკავკასიის ცალკე გუბერნიების მიხედვით შემდეგი სახით წარმოგვიდგება.

---

[2] საბჭოთა პერიოდისათვის იხ. მ. კახეთელიძე, „საქართველოს სსრ მსხვილფეხა რქიანი მეცხოველეობის ეკონომიკის საკითხისათვის" (ეკონ. ინსტ. შრომები, VII, გვ. 141—156).

მოსახლეობის ახ სულზე მოდიოდა, გუბერნიების მიხედვით

1. მსხვილი რქიანი პირუტყვი

წლები	თბილისის	ქუთაისის	ბაქოს	ერევნის
1862	40,10	25,90	—	—
1865	50,70	32.60	64.10	54,50
1867	70.10	31,30	58,50	57,80
1868	69,50	27,90	86,10	58.80
1899	36,87	35 60	20,87	57,50
1912	48,90	30,20	40,28	39,10
1915	34,90	25,45	30,94	29,40

2. ცხენი

1862	12,30	7.40	—	—
1865	12.90	7,70	16,80	7,0
1867	9.90	8,50	19.20	8.00
1868	12,1	8,40	20,20	7 90
1899	5,44	8,98	9,31	5.73
1912	5,95	2,61	8.70	3,98
1915	3,09	1,84	5,53	2,08

3. ცხვარი და თხა

1862	200,10	43.90	—	—
1865	239,60	34,10	184,80	124.20
1867	275.30	36.30	185.60	117,00
1868	180,70	29,30	169,50	118,70
1899	145,20	26,26	93.66	124,48
1912	118.90	14,15	75,89	76,34
1915	84,40	13,29	83,63	75,70

ზემოთ წარმოდგენილ მონაცემებს (უფრო დეტალური ცნობები იხ. დამატებაში), როგორც იტყვიან, კომენტარები არ სჭირდება. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გადახვევებს, მოსახლეობის 100 სულზე შინაური პირუტყვის სისტემატური კლების ტენდენცია უტყუარი ფაქტის სახით დასტურდება. აქ მხოლოდ საჭიროა აღინიშნოს, რომ, როგორც ეტყობა, რეფორმის დროიდან დაწყებული, არსებითად რეფორმის პერიოდის მანძილზე, ემჩნევა მეცხოველეობაში ერთგვარი აღმავლობა. ეს ის დრო იყო, როდესაც „განთავისუფლებული“ გლეხობა თავისი კერძომესაკუთრული მეურნეობის

მოსაწყობად, როგორც იტყვიან, წელზე ფეხს იდგამდა, ვარდებოდა ვალებში, ვარდებოდა ახალ პირად დამოკიდებულებაში ოლონდაც მიწა და გამწევი ძალა (ხარი) შეეძინა, შინაური პროდუქტიული პირუტყვი (ძროხა) გაეჩინა, რათა საუკუნეებრივად დაბეჩავებული და მოხრილი იგი წელში გამართულიყო.

მალე აღმოჩნდა, რომ ამ გზაზე წარმოქმნილი მომხიბლავი მომავალი მხოლოდღა მაცდუნებელი მოჩვენებითობა იყო. იგი მსგავსად მირაჟებისა მალე გაიფანტა როგორც-კი, ერთის მხრივ, „არტახებ ახსნილმა“ ბურჟუაზიულმა მეწარმეობამ (კულაკმა, მევახშემ, შემსყიდველმა, ვაჭარმა, მემამულემ) თავისი ბადე გაშალა, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფომ, ბიუროკრატიამ, ეკლესიამ თავისი განახლებული მანქანა (გადასახადები, მიწის გამოსასყიდელი ოპერაციები, საერთოდ მრავალგვარი გადასახდელები და სხვ.) აამოქმედა.

ასე რომ 1870-იანი წლების ბოლოდან მაინც იწყება შეუჩერებელი ტენდენცია მეცხოველეობის დაცემისა; იგი ძლიერდება განსაკუთრებით 1890-იანი წლებიდან მოყოლებული. მეცხოველეობა ეცემოდა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მაჩვენებლების მიხედვით. ზოგიერთი, სახალხომეურნეობრივი თვალსაზრისით უმნიშვნელო გამონაკლისი, ცხადია, აქ მხედველობაში არ მიიღება. ბიუროკრატიული სახელმწიფოებრივი აპარატისა და სუსტად განვითარებული საზოგადოებრივი და კერძოკაპიტალისტური მეწარმეობის ცდებს მეცხოველეობის ამა თუ იმ დარგის გაუმჯობესებისა რამდენადმე რეალური შედეგი არ მოყოლია, უწინარეს ყოვლისა ამ მეურვეობის პოლიციური ხასიათისა და, მაშასადამე, უშუალომწარმოებელთა ძირითადი მასებისაგან მოწყვეტილობის, კიდევ მეტი, ამათ მიმართ მტრული, ექსპლოატატორული დამოკიდებულებისა და საერთოდ შედეგად უკანასკნელთა სიღარიბისა, საიდანაც თავის დაღწევის გზები დახშული იყო ბატონყმობის მძიმე გადმონაშთების და სხვ. ცნობილ მიზეზთა პირობებში.

XI

მეცხოველეობის პროდუქცია

მეცხოველეობის პროდუქცია, როგორც საერთოდ სოფლის მეურნეობის პროდუქცია მრავალ შემთხვევაში როგორც პროდუქტი (ნაწარმი) იმავდროულად წარმოადგენს აუცილებელ საშუალებას (პირობას) თვით ამ პროდუქტის (ნაწარმის), ე. ი. თვით თავის თავის აღწარმოებისა (რეპროდუქციის).

მაგალითად, ხორბალი (მარცვალი) მემცენარეობისაგან მიღებული სასურსათო პროდუქტია და ამავე დროს თესლიც (საშუალებაც) თვით მარცვლის (ხორბლის) აღწარმოებისათვის. მეცხოველეობის პროდუქციაა ცხოველი, ფრინველი, საკლავი პირუტყვი, და თვით ამ პირუტყვის პროდუქცია (რძე, კვერცხი, მატყლი), რაც ცხოველის ორგანული მოქმედების შედეგს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს თვით პირუტყვის ორგანული მოქმედების შედეგად მიღებულ პროდუქტთა შორის. მათში ე რ თ ი ა, რაც ბუნებრივი ეცოლუციის, ორგანული განვითარების პროცესში თავისთავად (ბუნებრივად) სცილდება (გამოეყოფა) ცხოველს, მაგალითად, კვერცხი და მ ე ო რ ე — რაც, როგორც სახმარი, სამრეწველო პროდუქტი, ხელოვნურად, ადამიანის მხრივ ჩარევის გზით მოიპოვება პირუტყვისაგან, მაგალითად, მატყლი, რძე.

მეცხოველეობის ამგვარი პროდუქციის დიდი ნაწილი, როგორც თვით პირუტყვიც, აუცილებელია თვით ცხოველის, ფრინველის აღწარმოებისათვის: კვერცხი — წიწილის გამოსაყვანად (გამოსაჩეკად), რძე — ხბოს, ბატკნის გამოსაზრდელად.

მეორეს მხრით, ცხოველის (ფრინველის) დაკვლით მიღებული პროდუქტები — ხორცი, ტყავი, ბუმბული, რქები, ძვლები და სხვ. ცხადია, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ პირუტყვის გამრავლებისათვის და, მაშასადამე, ისინი, როგორც პროდუქტები მიიღებიან (მოიპოვებიან) თვით ცხოველის მოქმედების (სიცოცხლის) შეწყვეტის შემდეგ.

მკაცრად რომ განვსაჯოთ ეს უკანასკნელი სახის პროდუქცია არცკი შეიძლება, ანდა მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება, ჩაითვალოს მეცხოველეობის (საერთოდ სოფლის მეურნეობის) პროდუქტებად, — მით უმეტეს რომ სახმარი საგნების, ე. ი. სავსებით მზანაწარმის თვისებას, ზოგიერთი გამონაკლისით, ისინი (ტყავი, მატყლი, რქა, ძვალი და სხვ.) მოიპოვებენ მხოლოდ მრეწველობაში შემდგომი გადამუშავების მეოხებით და ეს ტენდენცია მით უფრო ძლიერდება, რაც უფრო ვითარდება ინდუსტრია. თვით ხორცისა და კვერცხის სულ უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარებამდე აუცილებლობით განიცდის მრეწველურ გადამუშავებას (საკონსერვო მრეწველობა და სხვ.).

ამასთანავე, „საკლავი საქონელი წარმოების პროცესში მოქმედებს როგორც ნედლი მასალა და არა როგორც სამუშაო იარაღი, როგორც მუშა-საქონელი. ამიტომ იგი ნივთიერად შედის პროდუქტში, და მისი მთელი ღირებულება მთლად შედის ამ უკანასკნელში, ისე როგორც დამხმარე მასალის (მისი საკვების) ღირებულება. სწორედ ამიტომ წარმოადგენს იგი პროდუქტიული კაპიტალის დენად ნაწილს და არა იმიტომ, რომ გაყიდულ პროდუქტს — გასუქებულ საქონელს — იგივე ნატურალური ფორმა აქვს, როგორც ნედლ მასალას, ე. ი. ჯერ კიდევ გაუსუქებელ საქონელს“[1].

მაგრამ პირუტყვის მთელი ჯოგი არ შეიძლება მეწარმემ ერთბაშად და მთლიანად დაკლას. წარმოების უწყვეტელობისათვის აუცილებელია გარკვეული რაოდენობა პოტენციური (ფარული) პროდუქტიული კაპიტალისა, ანუ სხვა სიტყვებით

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, II, გვ. 206 — 207.

რომ ვსთქვათ, განსაზღვრული რაოდენობა თვით წარმოების საშუალებებისა, რაც შესაბამისი რაოდენობის მარაგის სახით უნდა არსებობდეს და, მაშასადამე, თანდათანობით უნდა შედიოდეს წარმოების პროცესში.

ჯოგის განსაზღვრული ნაწილი, როგორც მარაგი, როგორც წარმოების საშუალება დაცულია, შენარჩუნებულია წარმოების პროცესის უწყვეტელობისათვის, ხოლო მეორე ნაწილი გაიყიდება როგორც წლიური პროდუქტი. „კაპიტალის მხოლოდ ერთი ნაწილი გადაბრუნდება აქ ყოველწლიურად, სრულიად ისე, როგორც ამას ადგილი აქვს ძირითადი კაპიტალის, მანქანების, მუშა-საქონლის და სხვ. მიმართ, თუმცა ეს კაპიტალი დიდი ხნით წარმოების პროცესში ფიქსაციაქმნილ კაპიტალს წარმოადგენს, მაგრამ მაინც იგი არ შეადგენს ძირითად კაპიტალს კატეგორიული აზრით"[2].

ის რასაც აქ კ. მ ა რ ქ ს ი მარაგს უწოდებს და რაც ცოცხალი პირუტყვის განსაზღვრული რაოდენობის (მთელი ჯოგის ნაწილის) სახით წარმოგვიდგება, პირობითი აზრით, წარმოების პროცესში იმყოფება (ერთდროულად როგორც შრომის საშუალება და როგორც შრომის მასალა); — სხვარიგად შეუძლებელია პირუტყვის აღწარმოების ბუნებრივი პირობებისა გამო, სხვარიგად შეუძლებელი იქნებოდა რამდენადმე ორგანიზებული მეურნეობის წარმართვა. მაგრამ ჯოგის მოვლა-პატრონობისათვის საჭირო მარაგი აუცილებელია არა მხოლოდ თვით პირუტყვის სახით, არამედ აგრეთვე საკვების (თივის, მარცვლეულისა და სხვ.) გარკვეული მარაგის სახითაც, რაც ხარჯვის პროცესში შედის გასასუქებელი პირუტყვის ღირებულებაში.

ამასთანავე, თვით პირუტყვის, როგორც პროდუქტის, ე. ი. როგორც საკლავის წარმოებას მნიშვნელოვანი დრო სჭირდება, ამ სახით მისი აღწარმოება მეტნაკლებად ხანგრძლივ დროს მოითხოვს; — მეორეს მხრივ, პროდუქტიული პირუტყვის პროდუქტი, როგორიცაა რძე, შედარებით მეტად მოკლე

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, II, გვ. 206 — 207.

დროში იწარმოება და ერთი პირუტყვისაგან (მოცემული ეგზემპლარისაგან) გარკვეული პერიოდის მანძილზე, თანაც ერთხნობით მატებადი რაოდენობით, სისტემატურად, ყოველდღიურად, მიიღება; — მაშინ როდესაც თვით პროდუქტიული პირუტყვი, რასაც სახორცედ ასუქებენ ამ პროდუქტს, ხორცს, მთელი სიცოცხლის განმავლობაში აწარმოებს და როგორც პროდუქტს მას (ხორცს) მხოლოდ თავისი სიცოცხლის საბოლოოდ შეწყვეტის გზითღა იძლევა.

თავისებურია პირუტყვის, როგორც შრომის საშუალების ექსპლოატაციისა (მოხმარებისა) და აღწარმოების გზებიც. ხარი თუ ცხენი, როგორც წარმოების იარაღი, იმ გარკვეული დროის მეტნაკლებად დიდ ნაწილში მოიხმარება, რითაც ბუნებისაგან მისი სიცოცხლის ხანგრძლივობაა განსაზღვრული.

მოხმარების დაწყების პირველ პერიოდში, მაგალითად, ხარის წარმოებაში გამოყენებითობა, როგორც წესი, უმჯობესდება, ექსპლოატაციის პირველ წლებში მისი ძალა იზრდება, მერმე კი, დაძველებაში გადასვლის პროცესში, კლებულობს.

ამასთანავე, დაძველებული ეგზემპლარი მთლიანად იცვითება და მისი რემონტი შეუძლებელია, — იგი მთლიანად გადის ხმარებიდან. ცხენი თუ ხარი არ შეიძლება ნაწილობრივად იქნეს შეცვლილი ან განახლებული, იგი წარმოებაში მხოლოდ სხვა პირუტყვმა უნდა შესცვალოს. მუშაპირუტყვის აღწარმოების დრო თვით ბუნების მიერაა განსაზღვრული.

აღსანიშნავია ისიც, რომ მეცხოველეობის, ე. ი. ცხოველის წარმოების არა ყველა დარგი იძლევა მუშაპირუტყვს, — პირუტყვს, როგორც შრომის იარაღს. მატერიალური წარმოების ამ სფეროში, — მაგალითად, მეძროხეობაში, მეცხენეობაში, — შრომის ობიექტი (საგანი) შეიძლება იმავე დროს შრომის იარაღიც იყოს. მაგრამ მეცხოველეობის სრულ დარგში ცხოველი, როგორც მისი წარმოების პროცესში, ისე მერმეც თვით მისი (მაგ., ღორის, ქათმის) ან მისი პროდუქტის (ყვერცხის, აბრეშუმის პარკის) მოხმარებისათვის შემზადების (მრე-

წველური გადამუშავების) დროსაც მხოლოდღა შრომის ობიექტს (ნედლეულს) წარმოადგენს.

ამ მხრივ, მეცხოველეობის სხვადასხვა დარგები, როგორც თვით წარმომავლობით (ე. ი. მოშინაურების პროცესით), ისე ამ დარგებში ადამიანის მეურნეობრივი და წარმოებრივი მოქმედებით დიდი მრავალგვარობით განირჩევიან.

მაგალითად, თვით მოშინაურების ცნების აზრი ისეთ დარგებში, როგორიცაა მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მეფრინველეობა, მეღორეობა და სხვ. რამდენადმე განსხვავებულ ხასიათს ატარებს ისეთ დარგებთან შედარებით, როგორიცაა მეძროხეობა, მეცხვარეობა, მეაქლემეობა და სხვ.

ამ მხრივ ყველაზე საყურადღებო მომენტი ის უნდა იყოს, რომ, მაგალითად, მოშინაურებულ ხარს, ცხენს, აქლემს, ირემს და სხვ. ადამიანი სულ სხვა რამეს აკეთებინებს, უკეთ ვსთქვათ, სულ სხვარიგად ამოქმედებს, ვინემ ის ველურობაში აკეთებდა: — ახვნევინებს და, ამრიგად, სახვნელი იარაღის ნაწილად აქცევს, უღელს, კეხს, უნაგირს ადგამს, საპალნეს აკიდებს, ტვირთს აზიდვინებს, აჯდება, წველავს, კრეჭს და სხვ. ერთი სიტყვით, ადამიანი მას არა მხოლოდ გარემოს უცვლის (როგორც, მაგალითად, მოშინაურებულ ფუტკარს, ქათამს, ღორს და სხვ.), არამედ, ამა თუ იმ ზომით, თავისი შრომითი მოღვაწეობის პროცესებში აბამს, შრომის იარაღად ქმნის და, ამდენად, ამოქმედებს სულ სხვა რიგად, ვინემ აქამდე, „თავისთავისთვის არსებობის“, ე. ი. ველურობის პირობებში მოქმედებდა.

ფუტკრის, აბრეშუმის ჭიის, ქათმის, ღორის და სხვ. მოშინაურებაში (ხელისეულობაში) ადამიანის როლი და, მაშასადამე, ამ ცხოველთა ცხოვრებაში ადამიანის ჩარევა მათთვის უმთავრესად მხოლოდ-ღა გარემოს გამოცვლაში გამოიხატება და ამ ცხოველთა მოქმედება, ისე ვსთქვათ, „შინაგანი ორგანიზაცია“ არსებით გარდატეხას არ განიცდის; ადამიანი ამ ცხოველებს, მაგალითად, ფუტკარს, ახლაც ისევ იმავე ფუნქციას (თაფლის წარმოებას) ასრულებინებს, რასაც იგი, როგორც ფუტკარი იმთავითვე, ე. ი. ველურობაშიაც აკეთებდა. ეს მო-

მენტი მით უფრო ადვილია გასაგებად, და, ამასთანავე, მით უფრო მეტად ასახავს სინამდვილეს, რაც უფრო წარმოვიღგენთ მეცხოველეობის ამ დარგების გენეზისისა და ადრინდელი საფეხურების ვითარებას და ამავე დროს, იგი უთუოდ უფრო მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა მეცხოველეობის შესაბამის დარგთა ტექნიკურ-ეკონომიკურ ორგანიზაციაში განვითარების ადრინდელ საფეხურებზე.

1. მატყლი

მატყლი მეცხოველეობის, მეცხვარეობის, ისეთი პროდუქტთაგანია, რომელიც ძალიან ადრე გადაიქცა საქონლად და იგი, არა მხოლოდ შინაგანი, არამედ ადრიდგანვე, თვით ანტიკურ საზოგადოებაშიაც, საექსპორტო ვაჭრობის მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენდა.

საბჭოთამდელ ამიერკავკასიაში, ცხვრის ადგილობრივი ჯიშების შესაბამისად, ანსხვავებდნენ მატყლის რიგ ასორტიმენტს, რომელთა შორის ექსპორტერები და შემსყიდველებიც პირველ რიგში აყენებდნენ ქართულ, სახელდობრ თუშურ მატყლს.

1895 წ. თბილისში გამართულ მეცხვარეთა თათბირზე გამოსული სწავლული სპეციალისტები, კომერსანტები, მეცხვარეები ერთხმად აცხადებდნენ, რომ კავკასიურ მატყლთაგან „ყველაზე საუკეთესოა თუშური მატყლი“; ამავე თათბირზე გამოსულ პროფ. კ ულ ე შ ო ვ ს, აგრეთვე, დ. ქ ა დ ა გ ი ძ ე ს და სხვ. ამის დასამტკიცებლად ის საბუთიც მოჰყავდათ, რომ ადგილობრივ მატყლთაგან, როგორც შინაგან ისე საგარეო ბაზრებზე ყველაზე მეტ მოთხოვნებს აყენებდნენ თუშურზე, რაც ამასთანავე ყველაზე უფრო მაღალ ფასებშიაც იყიდებოდა[3].

თუშურ მატყლს იძლეოდნენ თიანეთის, დუშეთის, სიღ-

[3] КСХ, 1895 г., № 101, стр. 1719.

ნალის, თელავის, თბილისის, გორის, ახალციხის, ბორჩალოს მაზრები, ზაქათალის ოკრუგი, ყარსისა და თერგის ოლქები. საქართველოში გავრცელებული ცხვრის მატყლთაგან ცნობილი იყო აგრეთვე ი მ ე რ უ ლ ი დ ო ნ მ ა და შ პ ა ნ კ ა[4].

აზერბაიჯანულ მატყლთაგან ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ბ ო ზ ა ხ ი (განჯის, ყაზახის, თბილისის, ბორჩალოს, ალექსანდროპოლის მაზრებიდან), შ ი რ ვ ა ნ უ ლ ი (შემახიას, ბაქოს, გეოქჩაის, ყუბის, ჯევათის მაზრ.), ლ ე კ უ რ ი (ნუხის, არეშის, გეოქჩაის, შემახიას, ყუბის, ბაქოს მაზრ. და ზაქათალას ოკრ.), ყ ა რ ა ბ ა ღ უ ლ ი და შ ა ხ ს ე ვ ა ნ უ რ ი. სომხურთაგან განსაკუთრებით განირჩეოდა მ ა ზ ე ხ ი ს ა და ბ ა ლ ბ ა ს ი ს ჯიშის პირუტყვის მატყლი[5].

ამიერკავკასიური მატყლის დაახლოებით ასეთი ნომენკლატურა 1912 წელს ა. ქ ა ლ ა ნ თ ა რ მ ა, ამიერკავკასიური მეცხვარეობის ერთ-ერთმა გამოჩენილმა სპეციალისტმა, წარადგინა მეცხვარეთა პირველ სრულიად რუსეთის ყრილობაზე. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიური მატყლის პირველი „მეცნიერული კლასიფიკაცია“ 1852 წელს ჩაატარა კომს-ს მიერ ხარკოვიდან სწორედ ამ მიზნით მოწვეულმა ინგლისელმა სპეციალისტმა დ ე ბ ი ტ ა მ მ ა. ამ ღონისძიებით კომს მიზნად ისახავდა ხელი შეეწყო აქ მეცხვარეობისა და მატყლის ვაჭრობის განვითარებისათვის[6].

ამიერკავკასიაში ცხვარს კრეჭდნენ იალაღებზე, გაზაფხულობით, — აპრილის ბოლოს და მაისის დასაწყისში და შემოდგომობით, — აგვისტოს მიწურულსა და სექტემბრის დამდეგს. გაკრეჭის წინ, თუ ცხვრებზე ჭუჭყიან-ტალახიანი მატყლი იყო. გარეცხვის მიზნით, ფარას რამდენჯერმე გადარეკავდნენ მთის ანკარა მდინარეზე. 1880-იანი წლებ-დან აქ გავრცელდა ინგლი-

---

[4] იხ. დ. ა გ ლ ა ძ ე, „მასალები ქართული მატყლის სტანდარტიზაციისათვის“, ტფ., გ. რ ო ს ჩ უ პ კ ი ნ ი, „თუშური ცხვარი“, 1939, თბ.

[5] Л. К л а н т а р, „Характеристика кавказских пород овец“ (КХ, 1913 г., № 18, стр. 2—3; № 19, стр. 8); М. Н е с е в, „Закавказская шерсть“ (ЭТЗ, II, 136).

[6] „Двадцатипятилетие КОСХ“, прилож. № 20, стр. 54.

სური მაკრატელი, რაც „ძალიან მოხერხებული იყო“, მანამდე ხმარებულ ადგილობრივ იარაღთან შედარებით[7].

აპრილში ხდებოდა თხის ღინღლის ამოვარცხნა ხის სავარცხლით. თხის ღინღლისაგან მზადდებოდა ნაზი მაუდის ქსოვილები თივთიკის სახელწოდებით, რაც ძვირად ფასობდა და განსაკუთრებით ქალის კოსტიუმისათვის იხმარებოდა.

თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ამიერკავკასიელ მეცხვარეთა შორის არ იყო გავრცელებული მატყლის დახარისხების ხერხები, არსებითად არ სწარმოებდა ბაზრის მოთხოვნილებათა შესწავლა. ყველაზე მსხვილი მეცხვარეებიც მატყლს დაუხარისხებლად, კანძებად აბარებდნენ შემსყიდველებს. მხოლოდ ცალ-ცალკე ჰყრიდნენ ბარდანებში კრაველისა, შემოდგომისა და გაზაფხულის მატყლს.

1909—1913 წწ. ამიერკავკასიაში მატყლის საშუალოწლიურ პროდუქციას 300.000 ფუთამდე ანგარიშობდნენ[8]. კერძოდ 1913 წელს მატყლის მთლიანი პროდუქცია და ღირებულება (მწარმოებლებთან) უდრიდა[9]:

ქვეყნები	ფუთობით	% %	მანეთობით	% %
საქართველო	157.600	37,05	866.800	37,05
სომხეთი	85.700	20,14	471.400	20,14
აზერბაიჯანი	182 100	42,81	1.001.600	42,81
	425.400	100,0	2.339.800	100,0

ცხრილი გვიჩვენებს, რომ მატყლის წარმოებაში პირველი ადგილი ეჭირა აზერბაიჯანს, რომელზედაც მოდიოდა მთელი პროდუქციის 42,81 პროცენტი, მეორე ადგილზე იდგა საქართველო (37,05 პროც.) და მესამეზე — სომხეთი (20,14 პროც.).

მატყლის რეალიზაცია ჩვეულებრივ მაზანდის, ე. ი. მიწო-

[7] МУКЛЗПИСК, I, 288—289.

[8] „Труды Закавказского совещания по шерсти“ (Сырьевой Комитет при ВЭС ЗСФСР). 1924, Тифлис, стр. 200.

[9] ПСХЗ, приложение II, стр. 16—17.

დება-მოთხოვნის შესაბამისად ბაზარზე დადგენილი ფასის მიხედვით ხდებოდა. მევახშე-შემსყიდველებიც მათგან დავალიანებულ მეცხვარეთაგანაც მატყლს მაზანდის ფასზე ღებულობდნენ. მაგრამ ხდებოდა ისეც, რომ მსხვილი მეცხვარეები ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად მსხვილ შემსყიდველებს მატყლს აბარებდნენ გარიგების მიხედვით წინასწარ ფიქსირებულ ფასებში.

შემსყიდველები მატყლს იბარებდნენ იალაღებში სპეციალურად გამართულ პუნქტებში, სადაც მათ მიქონდათ ხოლმე ბარდანები და საწონი. მეიალაღე-მეცხვარეს შემსყიდველი უჰეტესწილად ანგარიშს უსწორებდა არა მთის ბინებში, არამედ თავის კანტორაში ან საწყობში, ჩვეულებრივ სამაზრო ცენტრებში, რომლებიც საერთოდ მატყლის შესყიდვის პუნქტებიც იყვნენ, როგორიცაა: თელავი, წნორისწყალი, სიღნაღი, ფასანაური, ახალქალაქი, ბაკურიანი, ბაშკიჩეთი, ერევანი, ალექსანდროპოლი, ახალციხეთი, ვორონცოვკა, ჯელალოღლი, კარაკლისი, ბაქო, განჯა, ნუხა, ყაზახი, ზაქათალა, ევლახი, ალდამი, ალდაში, გეოქჩაი და სხვ.[10].

ამიერკავკასიური მატყლის რუსეთში რეგულარული შეტანა დაიწყო მე-19 ს. პირველსავე ათეულ წლებში. არის ცნობები, რომ ეს საქონელი რუსეთში გაქონდათ მე-18 საუკუნეშიაც. ცარიზმის ადგილობრივი ადმინისტრაცია, გარდა იმისა რომ აქეზებდა აქედან მატყლის რუსეთში შეზიდვას, ამასთანავე ცდილობდა თბილისში მოეწყო მაუდის ფაბრიკა — აქაური მატყლის ბაზაზე[11].

მატყლზე დიდ მოთხოვნილებას აყენებდა შინაგანი ბაზარი, სახელდობრ საფეიქრო შინამრეწველობა. ეს პროდუქტი თავისი დრეკადობის, სიმაგრის, სიგრძის მეოხებით საუკეთესო ნედლეულად ითვლებოდა უხეში (მქისე) მატყლის გადამუშავებაზე დამყარებულ ნართის მრეწველობაში; ყველაზე დიდი ზომით მოიხმარებოდა იგი კერძოდ ნოხისა და ფარდაგის, აგრეთვე უხეში მაუდისა და შალის წარმოებაში.

[10] М. Исаев, „Закавказская шерсть" (ЭТЗ, II, 145 -146).

[11] Н. Дубровин, „Закавказье от 1803 до 1806", стр. 123.

მე-19 ს. 60-იანი წლებიდან უკვე ეითარდება მატყლის საექსპორტო ოპერაციები. პირველად, მნიშვნელოვანი რაოდენობით, აქედან მატყლი უცხოეთში გატანილ იქნა 1862 წ.[12]. ამ დროიდან მატყლის ექსპორტმა ერთბაშად სისტემატური ხასიათი მიიღო. ათიოდე წლის მერმე, ფოთი-თბილისს შორის რკინიგზის გახსნის წელს, აქედან გაზიდულ იქნა 80.000 ფუთამდე მატყლი — (670.000 მან. ღირებულებისა), ხოლო 1886 წელს ამ საქონლის ექსპორტმა მიაღწია 153.000 ფუთამდე, საიდანაც მოდიოდა: საფრანგეთზე — 146.025 ფ., თურქეთზე — 5.872 ფ., ინგლისზე — 925 ფუთი.

1880-იანი წლების მიწურულს საექსპორტო მატყლის რაოდენობამ 200.000 ფუთის, ხოლო ღირებულებამ 1,5 მილ. მან. გადააჭარბა. ამერიკავკასიიდან შავი ზღვით, სახელდობრ ფოთისა, ხოლო 1886 წლიდან ბათუმის ნავსადგურით დას. ევროპაში გაქონდათ აგრეთვე ირანული (ტრანზიტული) მატყლი.

ამიერკავკასიიდან ბათუმის ნავსადგურით უცხოეთსა და შიგარუსეთის გუბერნიებში გატანილ იქნა მატყლი[13]:

1910 წ. — 253.330 ფუთი
1912 წ. — 268.453
1913 წ. — 287.113
1914 წ. — 195.509
1915 წ. — 278.981

1909 — 1913 წწ. საშუალოწლიურად უცხოეთში გატანილი იყო მატყლი: საქართველოდან — 98.136 ფუთი, აზერბაიჯანიდან — 52.530 ფ., სომხეთიდან — 30.958. ამავე დროს, როგორც ზემოთ დავინახეთ, მატყლის მთლიანი პროდუქციის მხრივ პირველი ადგილი ეკავა აზერბაიჯანს, მაგრამ საქართველო ბევრად უფრო მეტ საექსპორტო საქონელს იძლეოდა ადგილობრივი მატყლის უპირატესობათა მეოხებით.

---

[12] არის ცნობები, რომ აქედან მატყლი (თუშური) საზღვარგარეთ, კერძოდ თურქეთში, გაქონდათ როგორც მე-18 ს., აგრეთვე მე-19 ს. რეფორმამდელ პერიოდშიაც (П. Гугушвили, „Сельск. хоз...", II, 288).

[13] ЭТЗ, II, 164—165.

ბათუმის ნავსადგურიდან გაზიდული მატყლის დაახლოებით 65 პროცენტი მიდიოდა უცხოეთში, დანარჩენი — რუსეთში. მაგრამ მატყლი რუსეთში მნიშვნელოვანი ზომით გაქონდათ საქართველოს სამხედრო გზით. ბაქოს ნავსადგურით, საერთოდ კასპიის ზღვითა და ვოლგით. — რაისი ალრიცხვა არ წარმოებდა. საერთოდ ამ გზებით რუსეთში გატანილი მატყლის საშუალოწლიურ რაოდენობას, 1900-იან წლებში, 20.000 ფუთამდე ვარაუდობდნენ.

საექსპორტო ამიერკავკასიური მატყლი 1900-იანი წლებიდან მიდიოდა უმთავრესად მარსელს, ჰამბურგს, ბრემენს, ლივერპულს, ნიუ-იორკს, ჩიკაგოს, ფილადელფიასა და მატყლის ვაჭრობის სხვა მსოფლიო ცენტრებში, სადაც ჩვენებური საქონელი ცნობილი იყო უმთავრესად „თუშურის", „თარაქამულისა" და „ნუხურის" სახელწოდებით.

მატყლის გადაზიდვა მნიშვნელოვან ოპერაციებს წარმოადგენდა ამიერკავკასიის რკინიგზისათვის; ქვემოთმოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს ამასთანავე მატყლის როგორც საქონლის მიმოქცევის დინამიკასაც.

1898—1908 წწ. ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურებიდან გაიგზავნა მატყლი (ფუთობით)[14].

წლები	სულ გაიგზავნა	მათს რიცხვში ამავე გზის სადგურებზე	მათს რიცხვში სხვა გზების სადგურებზე
1898	266.572	230.597	35.975
1899	247.024	200.875	46.149
1900	217.773	196.563	21.210
1901	167.265	118.074	49.191
1902	222.965	178.809	44.151
1903	271.541	239.497	32.044
1904	270.502	240.925	29.577
1905	298.169	229.158	69.011
1906	393.613	303.535	90.078
1907	210.974	147.109	63.865
1908	169.643	114.199	55.444

[14] А. Евангулов, „Данные о ввозе и вывозе шерсти в Закавказье" (ТПКССХ, 342—343).

აღებულ პერიოდში რკინიგზის სადგურებიდან გაგზავნილი მატყლის რაოდენობამ მაქსიმუმს მიაღწია 1906 წელს. აღსანიშნავია რომ ტვირთზიდვის სტრუქტურაში სისტემატურად იზრდება სხვა რკინიგზების, სახელდობრ შიგარუსეთის რკინიგზების სადგურებზე გაგზავნილი საქონლის ხვედრიწონა მთლიანად ტვირთზიდვის მასაში. საერთოდ მატყლის მთელი ტვირთბრუნვა ამიერკავკასიის რკინიგზებზე უდრიდა: 1879 წ. — 292.000 ფუთს, 1894 წ. — 315.000 ფ., ხოლო 1911 წ. — 414.000 ფუთს. ამ ტვირთბრუნვაში აბსოლუტურად გაბატონებული ადგილი, ცხადია, თბილისის სადგურს ეჭირა.

რა თქმა უნდა, თბილისში მატყლის მოტანა არ შეეძლო თვით უშუალომწარმოებელს; 1890-იანი წლების გასულს მსხვილ მეცხვარეთაგანაც იშვიათი იყო ისეთი მეურნე, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა თბილისამდე, რათა აქ საქონელი უშუალოდ ექსპორტერისათვის ჩაებარებია[15]. თბილისში ჩვეულებრივ საქმოსნობდნენ შემსყიდველები. მეცხვარეობის დიდ რაიონებს ჰყავდათ „თავისი" ვაჭარი-შემსყიდველები. თბილისელი შემსყიდველებიც დადიოდნენ იალაღებში, სადაც, ხშირად კიდევ მათ ჰყავდათ თავიანთი აგენტები. მთებში თავიანთ აგენტებს აგზავნიდნენ უცხოელი ექსპორტერებიც. რაიონებიდან, იალაღებიდან, მატყლის დიდძალი პარტიები თბილისში შემოქონდათ საჭაპანო ტრანსპორტით[16].

საერთოდ კავკასიაში თეთრი (საექსპორტო) მატყლის ვაჭრობის ცენტრს თბილისი წარმოადგენდა. აქ ჰქონდათ მთავარი კანტორები და საწყობები მატყლის ექსპორტერებს. აქ ხდებოდა მთელი საექსპორტო მატყლის 50 პროცენტზე მეტის დახარისხება, შეფუთვა და მერმე მისი გადაგზავნა გასაღების შორეულ ბაზრებზე[17].

---

[15] МУКЛЗПИСК, I, 259.

[16] А. Натроев, „К вопросу об организации склада шерсти в Тифлисе" (газ: „Кавказ", 1896 г., № 146).

[17] ЭТЗ, II, 165.

მეცხვარეობის რაიონებში გაბატონებული იყვნენ მატყლის შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ე ბ ი.

შემსყიდველს შესწავლილი ჰქონდა „მისი“ რაიონის მეცხვარეთა ყოფა-ცხოვრება. მეცხვარეს განსაკუთრებით სჭირდებოდა ფული გაზაფხულში, — მთაში წასვლის წინ, რათა გადაეხადა საბალახოს ქირა, მოემარაგებია პური, მარილი, ტანისამოსი, ფეხსაცმელი და სხვ. აუცილებელი პროდუქტები, რათა გადაეხადა ვადაგადაცილებული ვალი და სხვ [18].

შემსყიდველს, ცხადია, არ შეეძლო არ ესარგებლა მეცხვარის გაჭირვებით და არ გაეწია მისთვის „მეზობლური და მეგობრული დახმარება“, ე. ი. არ მიეცა სესხი, რაც როგორც წესი, გაიცემოდა მომავალში შესასყიდი მატყლის ავანსის სახით. ხშირად მატყლის ფასის მაქსიმუმის განსაზღვრაც ავანსის გაცემის დროს ხდებოდა, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა მევახშე-შემსყიდველისადმი წვრილმწარმოებლის დამოკიდებულებას.

მატყლის შემსყიდველი ყოველგვარი ხერხით ცდილობდა ესარგებლა, რათა რაც შეიძლება იაფად ჩაეგდო ხელში საქონელი. ის არ ერიდებოდა მეცხვარის მოტყუებას, — წონის, რაოდენობის, ხარისხისა და საერთოდ ყოველგვარი გაანგარიშების დროს.

ა. ს ა ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ცნობილი მეცხვარე, 1894 წ. წერდა: „წინად შემსყიდველები ფულის მოცემისას მეცხვარეებს ითანხმებდნენ დაბალ ფასებზე, რასაც კანძობრივად აწესებდნენ. მეცხვარეებმა, რათა შეენელებიათ ასეთი გარიგების სიმძიმე, იწყეს კანძების დაყოფა და ისინი ორი კანძისაგან აკეთებდნენ სამს“. მაგრამ შემსყიდველებმა „მალე შეამჩნიეს ეს უპირობა“ და მატყლის შესყიდვა იწყეს წონით — ფუთობით [19]. ცხადია, ისინი წონაშიაც მოხერხებულად ატყუებდნენ მეცხვარეებს.

---

[18] П. Г у г у ш в и л и, „Сельское хозяйство...“, т. IV, 788.

[19] А. С а п а р о в, „Заметки овцевода“, КСХ, 1894, № 23, стр. 401—402.

შემსყიდველები ყოველმხრივ ცდილობდნენ „თავიანთ“ რაიონებში მონოპოლიური მდგომარეობის განმტკიცებისა და, მაშასადამე, ფასების დაწევისათვის. გაზ. „დროებაში“ (1883 წ.) ვკითხულობთ: მატყლის „ზოგიერთ ვაჭართაგანს მოუნდომებია ხევის რამდენსამე სოფელში მატყლის ვაჭრობის მარტო ხელში ჩაგდება და ამიტომ პირი შეუკრავთ ამა და ამ ფასზე მეტს ნურავინ მივცემთო... ამის გამოისობით მატყლი ძალიან დაფოლებულა. თუმცა მოხევეებიც არ ჩამორჩენილან უკან და იმათაც პირი შეუკრავთ, რომ სანამ სხვა უფრო პირიანი ჩოდარი[20] არ მოვა მატყლი არ გაჰყიდონ“[21]. რა თქმა უნდა, წვრილმწარმოებელთა წინააღმდეგობას სულ მალე გასტეხდნენ შემსყიდველები.

ქართული პუბლიცისტიკა 1880-იანი წლებიდან სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს მატყლის ვაჭრობის საქმეს. 1883 წ. ალ. ყაზბეგი წერდა: გარდა შინაური ბაზრისა „ჩვენი მატყლი მიდის ევროპის და რუსეთის ბაზრებზედ... ჩვენი მატყლი ამ სავაჭრო ადგილებში სახელად ატარებს „შპანკას“ და ერთს საუკეთესო მატყლად ითვლება თავისის სიწმინდით, სირბილით, სიგრძით“. ამასთანავე ა. ყაზბეგი დასძენდა, რომ ჩვენი მატყლი „იმ ბაზრებზედ უფრო უკეთეს ადგილს დაიჭერდა, რომ სარეცხი მაშინები გვქონდესო“[22].

მაგრამ მატყლის სარეცხი მანქანების შემოღებისა და კერძოდ გასაღების „უკეთესი ორგანიზაციისათვის“ აქაური მეცხვარეები, მოწინავე ინტელიგენციის დახმარებით, ამაოდ იბრძოდნენ 1890-იან წლებშიაც... ყოველივე ეს მათი ნატვრის ობიექტი იყო თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. მეცხვარე ხშირად იძულებულია ისწრაფვოდეს მატყლის გაყიდვას. მომთაბარული ხასიათი მეცხოველეობისა აიძულებს მას მალე მოიცილოს თავიდან „ზედმეტი ტვირთი“,— მატყლი, — რისი სხვა ადგილას გადაზიდვა მას უძნელ-

---

[20] ჩოდარი — მატყლის შემსყიდველი, ვაჭარი.

[21] „დროება“, 1883 წ., № 180.

[22] გაზ. „დროება“, 1883 წ., № 7, — ა. მაჩხუბარიძის სტატია.

დება და ზოგან არცკი შეუძლია, მით უმეტეს, რომ უმრავლეს შემთხვევაში საბალახო ადგილები ძალიან დაშორებულია სავაჭრო ცენტრებს და თვით მეცხვარის სახლკარსაც[23].

მთიულეთში, ფასანაურიდან ყაზბეგამდე, 1880—90-იან წლებში მატყლის მთავარი შემსყიდველი იყო იოსებ აბულაშვილი. იგი თბილისელ მსხვილვაჭართა აგენტი იყო და თვითონ ფასანაურში ცხოვრობდა; მატყლის შესყიდვას თავისი ფულით ეწეოდა. ვარაუდობდნენ, რომ მთელი მთიულეთის მატყლის „მესამედი მის ხელში გადიოდა“[24].

ამავე ხანებში ბორჩალოს მაზრაში მატყლის შესყიდვის ფაქტიური მონოპოლია ხელთ ჰქონდათ ჩაგდებული თბილელ ვაჭრებს, რომელთაგან მთავარი შემსყიდველები იყვნენ: სტუკენი, ფრიდონიშვილი, შაუმოვი, კოსტანაშვილი და მურადოვი. ესენი წლიურად ყიდულობდნენ, დაახლოებით, 90.000 ფუთ მატყლს.

1895 წ. თბილისში გამართულ მეცხვარეთა თათბირზე გ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი აცხადებდა, რომ უმსხვილესი შემსყიდველი სტუკენი მთელს მხარეში კარნახობს მატყლის ფასს და „მეტის მიცემას ვერც ერთი შემსყიდველი ვერ ბედავსო“.

ბორჩალოში მატყლის შესყიდვას ეწეოდნენ ადგილობრივი მედუქნეებიც. ესენი უმეტესად საქონელზე გადაცვლითა და, მაშასადამე, მეცხვარეთა წინასწარი დავალიანებით იძენდნენ მატყლს[25].

დუშეთის მაზრაშიაც მეცხვარეები მედუქნეთა ხელში იყვნენ ჩავარდნილნი. ნაღდი ფულის პატრონმა მედუქნემ „ძალიან კარგად იცის და მოხერხებულადაც სარგებლობს იგი თავისი მდგომარეობის ხელსაყრელობით... მედუქნეები მხოლოდ მსხვილ მეცხვარეებს ეალერსებიან, ხოლო იმათ რომელთაც ცოტა მატყლი აქვთ (ხოლო ასეთია უმრავლესობა)

---

[23] „Сбыт шерсти кавказскими овцеводами“ (КСХ, 1896, № 120); КСХ, 1896 г., № 249; КХ, 1917 г., № 17—18.

[24] МУКЛЗПИСК. I, 289.

[25] КСХ, 1895 г., № 96, стр. 1639.

აგდებულად ექცევიან, კარგად იციან რა, რომ ასეთი გამყიდველები მათ ვერსად გაექცევიან... ასეთებს მედუქნეები ხშირად უარს ეუბნებიან მოტანილი მატყლის აწონაზე, რასაც ისე „თვალით ზომავენ“, ძლიერ დაბალ ფასს სთავაზობენ. უმეტეს შემთხვევაში თავისივე დუქნიდან გაცემული პროდუქტებით უხდიან... ამასთანავე ატყუილებენ ზომასა და წონაში, ხოლო თავის საქონელს აძლევენ (ჩაუთვლიან) მაღალ ფასებში“[26].

ჩვეულებრივ მთელი მიტანილი მატყლის ფასს მეცხვარე ერთად არ ღებულობდა, რადგან მატყლის მიზიდვა იწყებოდა ივნისში, ხოლო ფასების (მაზანდის) დადგენა ხდებოდა ოქტომბერში. ამ ხნის განმავლობაში მეცხვარე-გლეხს მისთვის აუცილებელი საქონელი მიჰქონდა მედუქნისაგან და ხშირად ისეც ხდებოდა, რომ საბოლოო ანგარიშის გასწორების დროს მეცხვარე ხელზე არამცთუ ნაღდ ფულს არ ღებულობდა, არამედ მას მედუქნის ვალიც ედებოდა მომავალი წლის მატყლის ანგარიშში[27]. ამ გზით მედუქნე საბოლოოდ „მიიმაგრებდა“ ხოლმე მეცხვარეს. ყოველივე ამას ზედ ერთვოდა ის გარემოებაც, რომ „მ თ ე ლ ს ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი ა ში მ ა ტ ყ ლ ზ ე ფ ა ს ს ა წ ე ს ებ ს ე რ თ ი კ ა ც ი. ბუნებრივია, რომ მასზეა დამოკიდებული მეცხვარის ყოფნა-არყოფნის საკითხიო“, — აცხადებდა 1909 წელს კსმს-ს ორგანოს მიმომხილველი[28].

აღსანიშნავია, რომ თბილისის ბაზარზე მატყლის ფასების აწევ-დაწევის გზით მონოპოლიური მდგომარეობისათვის ბრძოლამ ადგილობრივ და ჩამოსულ ვაჭრებს შორის მკაცრი ხასიათი მიიღო უკვე 1880-იანი წლების გასულს. 1892 წელს თბილისში მატყლის დიდი ზომით შესყიდვა დაიწყო ვარშავული მსხვილი ფირმის აგენტმა, იგი ფუთ მატყლში 7 მან.

---

[26] КХ, 1909, № 2, стр. 4—5.

[27] А. Натросв, „Об упадке цен на шерсть закавказского края“ (Газ. „Кавказ“, 1896 г., № 118); КСХ, 1895 г., №№ 100—101.

[28] იქვე, გვ. 6—7.

მეტს აძლევდა. მალე, 1893 წ., იგი აქედან მოიცილა ერთმა ადგილობრივმა ფირმამ მორიგებით: რომ უფრო იაფად მიაწოდებდა ქ. ვარშავაში მატყლს, ვინემ თვითონ იგი (ჩამოსული ვაჭარი) თბილისში იყიდდა ამ საქონელს. შეთანხმდნენ. ვარშაველმა თბილისი დასტოვა; ხოლო თბილისის ბაზარზე ფასები ამის შემდეგ მნიშვნელოვნად დაეცა [29].

საერთოდ მატყლის მსხვილი ექსპორტერები ბატონობდნენ წვრილ ადგილობრივ შემსყიდველებზე და კარნახობდნენ ფასებსაც და, ამგვარად, ითვისებდნენ „ნაღებს" მატყლის წარმოებისა და არსებითად მთელი მეცხვარეობისაც [30]. ამ კონტექსტში აღსანიშნავია რომ 1870-იანი წლებიდან, ე. ი. რკინიგზების გაყვანის დროიდან, აქ მატყლის ფასები საგრძნობლად გაიზარდა და კერძოდ თუშურის ფასმა 1 ფუთზე 8,5 — 10 მანეთამდე მიაღწია. მატყლზე ფასის აწევამ, ცხადია, გაადიდა მეცხვარეობის შემოსავლიანობა, რასაც არ შეეძლო არ გამოეწვია მეცხოველეობის ამ დარგის აღმავლობა. დაიწყო ზრუნვა მატყლის ხარისხის გაუმჯობესებისა, ჯიშიანი, ნაზმატყლიანი ცხვრების მოშენებისა და საერთოდ ფარების გამრავლებისათვის.

მაგრამ ამ მოძრაობას ლახვარი ჩასცა 1880-იანი წლებიდან, როგორც, ერთის მხრით, მატყლის მსოფლიო ბაზრებზე სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ავსტრალიის და, აგრეთვე, ჩინეთის, ინდოეთის, მონგოლეთის, ირანის პროდუქციის დაწოლამ, აგრეთვე, მეორეს მხრით, თვით ამიერკავკასიაში შემსყიდველ-ექსპორტერთა მიერ ფასების დაწევისათვის წარმატებით წარმოებულმა ბრძოლამ [31]. 1890-იან წლებში თუშური

---

[29] А. Сапаров, „Заметки овцевода", КСХ, 1894 г., № 23, стр. 402.

[30] „Заграничные агентуры для торговли шерсти" (КСХ, 1896 г., № 130, стр. 2234).

[31] „Закавказская шерсть как рыночный товар" (КСХ, 1896, № 121, стр. 2076); „Заседание особой комиссии при КОСХ по вопросу об упорядочении торговли шерстью" (КСХ, 1896, № 121, стр. 2072).

მატყლის ფასი 7 — 6 მანეთამდე დაეცა. პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში იგი 6,5 — 8 მანეთამდე აღწევდა[32].

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წლიურ ანგარიშგებათა მონაცემებით ბათუმიდან მატყლის გატანა უდრიდა[33]:

წლები	ფუთობით	წლები	ფუთობით
1884	341.000	1899	137.788
1885	80.000	1900	99.448
1886	186.000	1901	91.450
1887	260.400	1902	203.794
1888	193.130	1903	258.664
1889	249.860	1904	259.718
1890	445.036	1905	248.438
1891	228.098	1906	314.960
1892	191.332	1907	148.552
1893	309.070	1908	63.798
1894	93.682	1909	193.006
1895	116.994	1910	128.960
1896	89.652	1911	235.166
1897	123.938	1912	264.368
1898	103.168		

2. რძე

მეცხოველეობის პროდუქტთა შორის უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს რძე და რძის ნაწარმი. რძის გადამუშავება უძველესი და საყოველთაოდ გავრცელებული ფორმა იყო საოჯახო მრეწველობისა, რაც მე-19 ს. რეფორმისმერმე შინამრეწველობაში გადადის.

ნაკლებტრანსპორტაბელურობა და მალფუჭადობა აუცილებელს ხდიდა რძის ოჯახშივე გადამუშავებას; ხოლო კარაქი, ერბო და ყველი უკვე შეიძლებოდა დიდხანს შეენახათ და

---

[32] Р. Праховенский, „Краткий очерк овцеводства в России", 1912 г.; „Труды Первого Всерос. съезда по овцеводству в Москве", 1912 г.; „Труды Закавказского совещания по шерсти", 1924 г.

[33] დ. ღამბაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

შორ მანძილზედაც გადაეტანათ. ამიტომაც რძე ადრიდანვე სწორედ ამ სახით გადიოდა ბაზარზე, მაშასადამე, იქცეოდა საქონლად.

მაგრამ ქალაქების მახლობლად მდებარე სოფლებს, აგრეთვე საკურორტო ადგილებში უმი თუ მოხარშული რძეც სულ უფრო მეტი ზომით გაქონდათ გასასყიდად. ამიერკავკასიის ქალაქთაგან დიდ მოთხოვნილებას უმ რძეზე აყენებდნენ თბილისი, ქუთაისი, ბათომი, ელისავეტპოლი, ბაქო და სხვ. განსაკუთრებით ბევრ რძეს მოიხმარდა ბაქოს ნავთობის მრეწველობაში ჩაბმული მოსახლეობა. ეს მოთხოვნილება ზოგიერთ პერიოდებში, მიწოდებასთან შედარებით, იმდენად დიდი იყო, რომ გასასყიდად ბლომად გაქონდათ ცხვრის რძეც-კი.

ამ მხრით, კერძოდ თბილისის შესახებ ნ. კ ა ნ ც ე ლ მ ა ხ ე რ ი, 1901 წ. აქ გამართულ მეცხოველეობისა და რძის სპეციალისტთა ყრილობაზე, ამბობდა, რომ იგი „წარმოადგენს ვრცელ ბაზარს რძის გასაღებისა, რასაც უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს მერძეობის მეურნეობისათვის“[34].

როგორც თბილისის ისე სხვა ქალაქთა გარეუბნების მცხოვრებნი ინახავდნენ ძროხებს სწორედ რძის წარმოებისათვის, რასაც ჩვეულებრივ ქალაქშივე ჰყიდდნენ უმი სახით. საპრეწველო პუნქტების მახლობელ სოფლებშიაც 1880-იანი წლებიდან მაინც უკვე ჩნდებიან ისეთი წვრილგლეხური მეურნეობანი, რომელთაც 1 — 2 ძროხა ყავდათ, მეტი პირუტყვის შენახვა საერთოდ არ შეეძლოთ, და, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საკარმიდამო ნაკვეთზე გაშენებულ მცირეოდენ ბალ-ვენახსა და ბოსტანს, არსებითად რძისა და მის ნაწარმთა გაყიდვით „გაქონდათ თავი“. ცხადია, რომ „გლეხს, რომელსაც 1 ძროხა ჰყავს, მხოლოდ გაჭირვების გამო გააქვს რძე გასაყიდათ, რითაც აუარესებს თავისი ბავშვების კვებას“[35].

საერთოდ რძის მეურნეობის, კერძოდ მეძროხეობის გავრცელებულობისა და მოსახლეობაში ძროხების დანაწილების

---

[34] „Труды съезда по скотоводству и молочному хозяйств.“, стр. 44.
[35] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, III, 314.

სურათს წარმოადგენს თელავის მაზრის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფიერების დამკვირვებლის ა. არღუთინსკის მონაცემები[36]. როგორც ამ მასალებიდან ჩანს 1880-იანი წლების შუაში მერძეულ მეურნეობას აქ „ძლიერ მცირე ზომით ეწეოდნენ". რძე და მისი პროდუქტები „იშვიათად გაქონდათ გასაყიდათ" და ისინი უმეტესწილად ოჯახშივე მოიხმარებოდა. შეძლებულ ოჯახებსაც ჩვეულებრივ ხუთზე მეტი ძროხა არ ჰყავდათ. ძლიერ მცირე იყო მრავალძროხიანი მეურნეობა.

საერთოდ სახელმწიფო გლეხთა მხოლოდ 20,7 პროცენტს ჰყავდა ძროხა, ხოლო საშუალოდ ერთ კომლზე 0,8 ძროხა მოდიოდა. გლეხობის ამ 20,7 პროცენტიდან:

1 — 3-მდე ძროხა ჰყავდა	11,3 პროცენტს
3 — 10-მდე „	8,1
10 — 25-მდე	1,2
25-ზე მეტი	0,1

ძროხების საერთო რაოდენობის (6.133 თავი) თითქმის მესამედი (1.819) თავმოყრილი იყო 95 კულაკურ მეურნეობაში, რაც შეადგენდა ძროხიან მეურნეობათა (1.451) 6,5 პროცენტს. მეორეს მხრით, გლეხთა 79,3 პროცენტს სრულებით არ ჰყავდა ძროხა. ცხადია, უკეთესი არ იქნებოდა სხვა კატეგორიის გლეხობის ძირითადი მასების მდგომარეობა.

აღსანიშნავია, რომ 1880-იანი წლებიდან, მრეწველური თვალსაზრისით, მსხვილრქიანი პირუტყვის რძესთან შედარებით, მეტი მნიშვნელობა მოიპოვა ცხვრის რძემ. მართალია, ცხვრის რძე უმი თუ მოხარშული სახით მცირეზომით იყიდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ იგი სულ უფრო და უფრო დიდი ზომით გამოიყენებოდა ყველ-კარაქ-ერბოს წარმოებაში.

თვით 1860-იანი წლებიდან მეცხოველეობის გაუმჯობესებისა და კერძოდ მისი შემოსავლიანობის გადიდების მხრივ დასახულ ღონისძიებათა შორის თითქმის ყოველთვის საპატიო

[36] МИЭБГКЗК, V, I, 118.

ადგილი ეჭირა რძისა და რძის პროდუქტების წარმოებისა თუ რეალიზაციის საკითხსაც.

1870-იანი წლების დამდეგიდან ამ საქმეს ქომაგად გამოუჩნდა ენერგიული ადამიანი, რომლის მოღვაწეობამ ერთგვარი გამოცოცხლება შეიტანა საერთოდ მეცხოველეობის განვითარებისათვის ოფიციალური მეურვეობის დუნე მოძრაობაში. ეს იყო ნ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი რომელიც, პრესის მეშვეობით [37], საზოგადოებრივ თუ სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელობაში, თვით უშუალო მწარმოებელთა შორის — სოფლებსა და იალაღებშიაც-კი — დიდ აგიტაცია-პროპაგანდას და ორგანიზაციულ მუშაობას ეწეოდა რძის მეურნეობაში მრეწველური წარმოების დანერგვისათვის, რაც მას წარმოუდგებოდა როგორც ამოსავალი პირობა საერთოდ მეცხოველეობის გაუმჯობესებისა.

იმ მიზნით რათა საწყისი დაედვა კავკასიაში ყველის არტელური წარმოებისათვის ნ. ახვლედიანმა წინასწარ საფუძვლიანად შეისწავლა ამ საქმის მდგომარეობა რუსეთსა და უცხოეთში. 1869 წელს იგი ადგილზე სწავლობს იმ დროისათვის გახმაურებულ ვერეშჩაგინისა და აგრეთვე სხვა ყველის ქარხნებს რუსეთში. მან შეისწავლა არა მხოლოდ ქარხნული ფაბრიკაციის წესები, არამედ აგრეთვე ყველის წარმოების არტელური ფორმები; ამ არტელების საქმისწარმოება და ორგანიზაცია.

1871 წ. ის ბრუნდება კავკასიაში და უკვე იწყებს თავისი, აშკარად ხალხისნური იდეებით ნასაზრდოები გეგმების პრაქტიკულად განხორციელებისათვის მოღვაწეობას.

ნ. ახვლედიანმა უწინარეს შეისწავლა ადგილობრივი მსხვილრქიანი პირუტყვი და მერძეობის არსებული მდგომარეობა. სხვათაშორის იგი იმ დასკვნამდე მისულა, რომ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობები „სხვა ქვეყნებზე მეტად ხელსაყრელია მეცხოველეობის გავრცელებისა და გაუმჯობესებისათვის“, მაგრამ, სინამდვილეში იგი „არა მხოლოდ არ იზრ-

[37] გაზ. „დროება, 1872 წ., № 21, გვ. 4.

დება და არ უმჯობესდება, არამედ პირუტყვზე ფასების ზრდისა და რუსეთის სხვა ადგილებიდან მათი შემოყვანის გადიდების მიხედვით, თამამად შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ მეცხოველეობა ჩვენში რეგრესულ მოძრაობას განიცდის და კავკასიური პირუტყვის ჯიში ყოველდღიურად წვრილდება და სუსტდება. ამ არასახარბიელო მოვლენის მიზეზია... მეცხოველეობისადმი არარაციონალური დამოკიდებულება და ფულადი სახსრების სიმცირეო", — ასკვნიდა იგი[38].

სწორედ ამიტომ იყო, რომ ნ. ახვლედიანი დიდად მეცადინეობდა, რათა წვრილმწარმოებელთა არტელურ საფუძველზე, ე. ი. ასოციაციებში გაერთიანებით მოეწყო ყველის მსხვილი წარმოება და ამ გზით ხელი შეეწყო მეცხოველეობის შემოსავლიანობის გადიდებისა და, მაშასადამე, მისი საერთოდ რაციონალური მეურნეობის რელსებზე გადაყვანისათვის.

ნ. ახვლედიანი ცდილობდა გორის, დუშეთის, თიანეთის და სიღნაღის მაზრის გლეხთა არტელურ ყველის ქარხნებში მიზიდვას, მაგრამ ამაოდ. პირველად კახეთში ასეთი არტელის მოწყობის ცდა მარცხით დამთავრდა. მერმე, 1873 წ. მან გორის მაზრის რამდენიმე მემამულე დაითანხმა, რომელთაც „დიდის ხალისით მიიღეს მისი წინადადება". იმავე წელს თრიალეთში მოეწყო ყველის ქარხანა. განზრახული იყო 40 ოსური ძროხის შეძენა და სხვ.

თრიალეთის იალაღებში არტელური ყველის ქარხნის ამუშაევებით, როგორც თვით ნ. ახვლედიანი 1873 წ. კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებას არწმუნებდა, დადებითი გამოხმაურება ჰპოვა გლეხობაში და „ახლობელი სოფლების 100 კომლმა განაცხადა სურვილი შეუერთდეს თრიალეთის ყველის ქარხანას"[39]. იგი აცხადებდა, რომ სხვა სოფლებშიაც გლეხები გამოსთქვამენ სურვილს მიიტანონ რძე არტელურ ქარხნებში, თუ კი ისინი იქნებიან მოწყობილი.

მართალია, კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოე-

---

[38] ЗКОСХ, 1874 г., № 3, стр. 9—10.

[39] იქვე, გვ. 11—12.

ბამ ნ. ახვლედიანს ერთგვარი დახმარება გაუწია; — ყველის არტელური ქარხნების ორგანიზაციის საქმესაც ერთხანს სხვებმაც მოკიდეს ხელი, მაგრამ ასეთი არტელური გაერთიანებანი, გასაგები მიზეზებისა გამო, ადვილად იშლებოდნენ ხოლმე და მერძეობისა და მეცხოველეობის განვითარებაში მათ რამდენადმე რეალური როლი არ უთამაშნიათ. ამ არტელებში ადრე თუ გვიან ბატონდებოდნენ მემამულეები, კულაკები, და წვრილმწარმოებელთათვის იგი, ცხადია, მდგომარეობის არავითარ გაუმჯობესებას არ მოასწავებდა.

ეტყობა ნ. ახვლედიანის წამოწყების გამოხმაურებას წარმოადგენს პარიზული ქართული გაზეთის ფელეტონისტის განცხადება: „გორის მაზრაში იხსნება „ასოციაციური“ ყველის ქარხანა; შეესასვლელი თანხა იმხელაა, რომ მხოლოდ მდიდრებს შეეძლებათ შიგ მონაწილეობის მიღება. გლეხებს ნება ექნებათ ამ ქარხანაში რძის მოტანისა და გასაღებისა, რა იქნება ეს ქარხანა გლეხებისათვის, თუ არა „ასოციაციური გამტყავებელი“, რომელიც სერემის შეერთებით უფრო გაძლიერდება?“[40].

ამგვარად, აქ უკვე გამოაშკარავებულია რომ „ყველის საზოგადოებრივი ქარხნები“ კაპიტალისტურ საწარმოებს წარმოადგენენ და ამდენადვე მხილებულიც არის ხალხისანთა შეხედულების ბურჟუაზიული ხასიათი, ხასიათი შეხედულებისა, რომ თითქოს ასოციაციების გზით შეიძლებოდა ქვეყნის კაპიტალისტური განვითარებისა და, მაშასადამე, წვრილმწარმოებელთა პროლეტარიზაციის აცილება, — რისი ერთ-ერთი მესიტყვეთაგანი იყო ჩვენში ნ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი.

როგორც აღვნიშნეთ, რძის გადამუშავება უკვე მრეწველობის საკითხია და მეცხოველეობის, საერთოდ სოფლისმეურნეობის ეკონომიკის პრობლემათა ფარგლებს გარედ სდგას. შინამრეწველობის საკითხებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში ჩვენ უკვე გვქონდა მსჯელობა რძის შინამრეწველურ წარმო-

---

[40] გაზ. „დროშა“, პარიზი, 1873 წ., № 1.

ებაზე[41]; — ხოლო რძის ქარხნულ გადამუშავებას შეეხებით კაპიტალისტური მრეწველობის საკითხთა განხილვისას.

მერძეობის მეურნეობის განვითარებას ხელს უშლიდა საერთოდ მეცხოველეობის ჩამორჩენილობა. წველადობის დონე დაბალი იყო. ნ. მკურნალი, ქუთაისის გუბერნიის მეცხოველეობის დახასიათებისას, 1897 წელს წერდა: „ძროხები, იმის გამო რომ ზამთრობით მცირე საკვებს ღებულობენ, ხოლო ზაფხულობით უმნიშვნელო რაოდენობის მწვანე ბალახს, იძლევიან მცირე რაოდენობის რძეს და მჭლე, სუსტ, ნამატსო"[42].

მაინც, მერძეობის მნიშვნელობა სულ უფრო იზრდებოდა. 1901 წ. თბილისში — მეცხოველეობისა და რძის სპეციალისტთა თათბირზე — ს. აბოვიანცი აცხადებდა, რომ „კავკასიის ეკონომიკაში მერძეობის მეურნეობას უჭირავს საკმაოდ თვალსაჩინო ადგილი"[43].

აღსანიშნავია, რომ იმ რაიონებში სადაც ხელსაყრელი პირობები არსებობდა მეცხოველეობა, კერძოდ მეძროხეობა მნიშვნელოვან შემოსავალს იძლეოდა და, თავის მხრივ, რამდენადმე ავიწროვებდა კიდევაც მიწათმოქმედებას.

1912 წელს ი. სეგელი წერდა: „მეცხოველეობის მრეწველური ხასიათი უკანასკნელ წლებში გამოიხატა ამიერკავკასიის მთიანი ნაწილების მცხოვრებთა მისწრაფებაში სახნავი მიწები გადააქციონ სათიბ და საბალახო ადგილებად, იმ მიზნით რათა შექმნან საკვები მეწველი პირუტყვისათვის, რაც ფრიად კარგ მოგებას იძლევა რძის მიყიდვით ყველ-კარაქის მკეთებელი ქარხნებისათვის, რომელთა რიცხვი წლითი-წლამდე იზრდებაო"[44].

საერთოდ იმ დროიდან რაც პირუტყვის პროდუქტიულობა

---

[41] პ. გუგუშვილი, „შინამრეწველობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში" (ეკონ. ინსტ. შრომები, 1950, ტ. IV, გვ. 94 — 100).

[42] КСХ, 1897 г., № 180, стр. 390.

[43] „Труды съезда по скотоводству и молочному хозяйству", 51—52.

[44] И. Сегаль, „Сельское хозяйство на Кавказе" (газ. „Кавказ", 1912 г., №11).

მერძეული მეურნეობის მიმართულებას იღებს მიწათმოქმედების მთელი ხასიათი უფარდდება. იმას, რათა „მიღებულ იქნას ამ სახის ყველაზე ძვირფასი საბაზრო პროდუქტის რაც შეიძლება მეტი რაოდენობა". მაგრამ სწორედ ამ თვალსაზრისით უკვე მნიშვნელობა აქვს „რქიანი პირუტყვის აბსოლუტურ რაოდენობას კი არა, არამედ სწორედ რძის მომცემი პირუტყვის რაოდენობას და მის ხარისხს"[45].

ეს ტენდენცია, თავისთავად ცხადია, დამახასიათებელი მოვლენა იყო ამიერკავკასიაშიც ვაჭრული მეცხოველეობის განვითარებისათვის[46], მაგრამ საერთოდ მეცხოველეობის აღმავლობისა და სპეციალიზაციის მხრივ, როგორც ზემოთ დავინახეთ, იგი აქ გაუშლელი ყლორტებივით დარჩა.

8. ხორცი

ამიერკავკასიაში, როგორც მარცვლეულის მეურნეობაში, ასევე სოფლის მეურნეობის მეორე ძირითად დარგში — მეცხოველეობაში „კომერციული" მეურნეობა. ე. ი. კაპიტალისტური მეწარმეობა ნაკლებად იყო განვითარებული; ეს ითქმის უფრო მეტი ზომით დას. ამიერკავკასიაზე, სადაც საკლავი პირუტყვისა და ხორცის საქმის სპეციალისტის ე. ტ ურ კ ი ნ ი ს დახასიათებით, მცირემიწიანობა, საბალახოების უქონლობა, სათიბი ადგილების სიმცირე, მთის საძოვრებზე მისასვლელი კარგი გზების უქონლობა აბრკოლებდა საკვაჭრო მეცხოველეობის განვითარებას.

სწორედ ამის შედეგი იყო ის გარემოება, რომ 1900-იანი წლების გასულს და პირველი მსოფლიო ომის წინაწლებში დას. ამიერკავკასიის ქალაქებისათვის სოფელი იძლეოდა სულ მხოლოდ 2 — 3 პროცენტ საკლავ პირუტყვს, ხოლო დანარჩენი 97 პროცენტი შემოდიოდა ყარსის ოლქისა, ერევნის გუ-

[45] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 295 — 296.
[46] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 316.

ბერნიისა და ჩრდ. კავკასიიდან. თვით დასავლეთ ამიერკავკასიაში, სახელდობრ ქუთაისის გუბერნიასა, სოხუმის ოკრუგსა და ბათომის ოლქში საბაზრო, მაშასადამე, საკლავი პირუტყვის მოშენებას ეწეოდნენ უპირატესად სვანეთსა, ზემო აჭარასა და რაჭაში, საიდანაც საშუალოწლიურად სულ რაღაც 2.000-მდე მსხვილრქიანი პირუტყვი გაყავდათ ხოლმე გასასყიდად.

თბილისის სასაკლაოს სპეციალისტი ნ. კანცელმახერი, ეხებოდა რა საერთოდ კავკასიაში ხორცის ბაზრის საკითხს, 1901 წ. წერდა: „საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ კავკასიაში სავსებით არაა სპეციალურად სახორცე პირუტყვი... სასაკლაოზე მოდენილი პირუტყვი არაა სახორცე პირუტყვი, რამდენადაც სუფთა ხორცს ძლიერ მცირეს იძლევაო“[47].

მართლაც, ამიერკავკასიური პირუტყვი იმ ხანებში იძლეოდა საშუალოდ 42-დან 48 პროცენტამდე ხორცს. მხოლოდ ცალკეული, გასუქებული, ეგზემპლარები იძლეოდნენ მთელი სხეულის წონის 45 — 50 პროცენტ ხორცს, რაც მაგალითად, ინგლისური ჯიშის სახორცე პირუტყვთან შედარებით დაბალ მაჩვენებელს წარმოადგენდა[48].

ამიერკავკასიის ქალაქები სულ უფრო ზრდად მოთხოვნილებას აყენებდნენ ხორცზე, რითაც, ცხადია, ხელს უწყობდნენ პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარებას. კერძოდ თბილისის ბაზარი ამ მხრივ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო მთელს იმპერიაში და ყველაზე დიდი კავკასიაში. ქ. თბილისის ბაზარზე არსებული ფასები განსაზღვრავდნენ კავკასიაში საკლავი პირუტყვის მაზანდას.

ჩვეულებრივ საკლავი პირუტყვის ვაჭრები და საერთოდ მსხვილი მიმწოდებლები „თავიანთ პირუტყვს სხვა ბაზრებზე მიერეკებიან მხოლოდ მას შემდეგ რაც გაატარებენ თბილისის ბაზარზე, სადაც როგორღაც ხდება პირუტყვის შეფასება, და-

---

[47] ТССМХ, стр. 48.

[48] Д. Каллестинов, „Убойный вес закавказского тузомного скота“ (КХ, 1916 г., № 13—14, стр. 14—18).

ხარისხება და, ამისდამიხედვით, მერმე მას აგზავნიან ან დიდ სავაჭრო ქალაქებში, როგორც, მაგალითად, ბაქოში, ქუთაისში, ანდა უახლოეს ბაზრებზე"[49].

თბილისის სასაკლაოზე პირუტყვი უმთავრესად ჩრდ. კავკასიიდან (თერგისა და სტავროპოლის ოლქებიდან), ელისავეტპოლის, ბაქოს (განსაკუთრებით ლენქორანის მაზრა), ერევნის, თბილისის (უმთავრესად ბორჩალოს მაზრ.) გუბერნიებიდან და ყარსის ოლქიდან მოდიოდა[50]. 1900-იანი წლების დამდეგს თბილისის ბაზარზე საშუალოწლიურად იყიდებოდა, დაახლოებით, 65.000 — 90.000 მსხვილრქიანი და 200.000 — 250.000 წვრილფეხა პირუტყვი. აქედან ადგილობრივ სასაკლაოზე მიდიოდა დაახლოებით 70 — 80 პროცენტი[51].

თბილისის სასაკლაოზე დაკლული პირუტყვის რაოდენობა 1892 — 1915 წწ[52].

პირუტყვის დასახელება	1892 წ.	1895 წ.	1898 წ.	1904 წ.	1913 წ.	1915 წ.
მსხვილრქიანი[53]	44.035	48.139	58.498	63.222	75.999	102.732
წვრილფეხა პირუტყვი[54]	62.440	109.298	185.726	188.166	157.784	230.394
	106.475	157.437	244.224	251.388	233.783	333.126

როგორც ვხედავთ თბილისი მეცხოველეობას უყენებდა ხორცის სულ უფრო ზრდად მოთხოვნებს. 1892 წელთან შედარებით 1904 წელს, ე. ი. 12 წლის შემდეგ, დაკლულიბ

[49] Воронежский, „Тифлисский скотопромышленный рынок" (КСХ, 1903 г., № 494, стр. 1193); მისივე სტატია КСХ, 1902 г., № 33.

[50] КСХ, 1904 г., № 515, стр. 58.

[51] КСХ, 1904 г., № 519, стр. 8;—1905 г., № 580—581, стр. 254—272.

[52] КСХ, 1895 г., № 232, стр. 391;—1899 г., № 226, стр. 105;—1903 г., № 494, стр. 1193;—1905 г., № 580, стр. 254; КХ, 1917 г., № 5—6, стр. 9—10.

[53] მსხვილრქიან პირუტყვში შედის: ხარი, ძროხა, კამეჩი.

[54] წვრილფეხაში შედის: ცხვარი, ღორი, ხბო, თხა.

თითქმის ერთნახევარჯერ მეტი მსხვილი და სამჯერ მეტი წვრილი პირუტყვი, ხოლო 1915 წელს კი თითქმის ორნახევარჯერ მეტი მსხვილი და სამნახევარჯერზე მეტი წვრილი პირუტყვი, რაც უწინარეს ყოვლისა იმის მაჩვენებელია, რომ უფრო სწრაფად იზრდებოდა მოთხოვნა წვრილფეხა პირუტყვის, კერძოდ ცხვრისა და ღორის ხორცზე.

.. თბილისს შემდეგ ხორცზე დიდ მოთხოვნას აყენებდა ისეთი სამრეწველო ცენტრი ამიერკავკასიისა, როგორიც იყო ბაქო.

ქალაქ ბაქოს სასაკლაოზე დაიკლა პირუტყვი:

	მსხვილრქიანი	წვრილფეხა	ს უ ლ
1913 წ.	38.282	106.490	144.772
1915 წ.	48.589	112.974	161.563

როგორც თბილისის ისე ბაქოს ქალაქთა სასაკლაოს მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ომის დროს აქ მნიშვნელოვნად გაიზარდა პირუტყვის დაკვლა[55]. ამასთანავე, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ დროიდანვე შეწყდა ჩრდ. კავკასიიდან პირ-

[55] ომის წლებში „მთელის სიგანით გაიშალა ფრთები" ბაქოს სასაკლაოს ბაზაზე წარმომდგარმა მსხვილ შემსყიდველთა ფაქტიურმა სინდიკატმა. ქ. ბაქოს პოლიციმეისტრის ცნობით, ბაქოში ადრიდანვე არსებობდა ეს სინდიკატი, რომელშიაც შედიოდნენ ბაქოელი ვაჭრები მ. მამედოვი, გაჯი-სულთან კასუმ-ოღლი, ა. რზაბეკოვი, ა. მანაფოვი, ქერბალაიდადაშ მეხტიევი და სხვ. ამათ 1915 წლის დეკემბერში იმიერ კასპიის ოლქში, საიდანაც უმთავრესად მარაგდებოდა ბაქო ცხვრის ხორცით, შეისყიდეს 150.000-ზე მეტი ცხვარი. ამ პირუტყვს ისინი ინახავდნენ ალექსანდრეს ნავსადგურის მახლობლად, საიდანაც გაჯი-დადაშ-უსეინოვის გემებით პარტიობით, თვითეული 2.600—3000 თავის რაოდენობით, მოყავდათ რკინიგზის სადგურ ფუთას მახლობლად სოფ. ბახჩაში, ხოლო აქედან უკვე უფრო წვრილი პარტიობით (200—300 თავი) შეყავდათ თვით ქალაქში, სადაც წყვილ ცხვარს, რისი ფასი შესყიდვის ადგილას 16 — 17 მან. არ აღემატებოდა, ჰყიდდნენ ჯერ 46, მერმე 52, ხოლო ბოლოს 62 მანეთად. ამ ვაჭრებმა შესძლეს თავიანთთვის მონოპოლიური მდგომარეობის უზრუნველყოფა იმით, რომ მეტოქეები გამოდევნეს პირუტყვის შესყიდვის ადგილიდან, რისთვისაც ისინი „იყენებდნენ ყოველგვარ საშუალებას, თვით მოსყიდვისა და დამუქრების ჩათვლით" (ІІКБЗ, І, 198).

უტყვის შემოყვანა და, ამგვარად, მთელი ეს მოთხოვნილება საერთოდ ომის სიმძიმეებთან ერთად დააწვა თითქმის მხოლოდ ადგილობრივ მეცხოველეობას, რასაც, ცხადია, არ შეეძლო ამ გზით არ განეცადა დიდი, დიდხანს აუნაზღაურებელი, დანაკლისი.

4. მეცხოველეობის დანარჩენი პროდუქტები

მეცხოველეობის პროდუქტთაგან ტ ყ ა ვ ი უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ნედლეულს წარმოადგენს: იგი არა მხოლოდ შინაგანი ვაჭრობის, არამედ რძისგან განსხვავებით, მსგავსად მატყლისა და ჯაგრისა საექსპორტო საქონელიც იყო. ქვეყნის შიგნით ტყავის მნიშვნელოვანი ნაწილი სოფელშივე ნედლი ტყავის სახით, საქალამნე მასალად მოიხმარებოდა ხოლმე, ხოლო მეორე ნაწილი ტყავის ქარხნებში მიდიოდა ფაბრიკაციისათვის.

შინაგან ბაზრებზე გაყიდული ტყავის აღრიცხვა არ წარმოებდა. მოგვეპოვება ზოგიერთი ცნობა ტყავის საზღვარგარედ გატანის შესახებ. 1908 წ. ამიერკავკასიიდან უცხოეთში გატანილ იქნა: ცხვრისა და თხის ტყავი — 4.283 ფუთი, მსხვილრქიანი პირუტყვისა — 5.973 ფუთი.

1911 წელს ბათუმის ნავსადგურიდან გაზიდულ იქნა სულ 21 ათას ცალამდე ცხვრისა და მსხვილრქიანი პირუტყვის ტყავი. მათში მხოლოდ ცხვრისა — 14 ათას ცალამდე აღწევდა. 1912 წ. ბათუმიდანვე იქნა გატანილი 16 ათას ცალამდე ტყავი, მათ შორის 8 ათასზე მეტი ცხვრისა.

ბათუმიდან ნედლი ტყავი გაქონდათ უმთავრესად თურქეთს, გერმანიასა და ავსტრია-უნგერთში, მნიშვნელოვანი ზომით მიდიოდა ტყავი აქედან რუსეთში, კერძოდ ოდესასა და ნ. ნოვგოროდში[56].

---

[56] А. Новосильцов, „Закавказское кожсырье в настоящем будущем“ (ЭТЗ, II, 1925 г., стр. 78—79).

პირველი მსოფლიო ომის წინაწლებში, მსხვილფეხა პირუტყვისა და ცხვრის ტყავის საშუალოწლიურ მთლიან პროდუქციას 744 ათას ფუთამდე, ხოლო მის ღირებულებას 3,3 მილ. მანეთამდე (1913 წ. მწარმოებლებთან არსებულ ფასებში) ვარაუდობდნენ.

ამიერკავკასიიდან საკმაო ზომით გაქონდათ უცხოეთში აგრეთვე ჯაგარი. 1919 წ. გატანილ იქნა 6.783, ხოლო 1920 წ. — 5.197 ფუთი[57], ეს გაცილებით მეტი იყო, ვინემ ჯაგრის საშუალოწლიური პროდუქცია პირველი მსოფლიო ომის წინაწლებში (3,2 ათასი ფ.).

ჩვენ შევეხეთ მსხვილრქიანი და წვრილფეხა პირუტყვის. აგრეთვე მეფრინველეობისა და მეაბრეშუმეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. წარმოდგენილ მონოგრაფიაში არ შევიდა მეცხოველეობის დარგთაგან მეფუტკრეობა[58].

3. მეცხოველეობის პროდუქციის საერთო მასა ფიზიკურ და ღირებულებრივ გამოსახულებაში

პირველი მსოფლიო ომის წინაწლებში საერთოდ მეცხოველეობის პროდუქციის მასისა და ღირებულების შესახებ წარმოდგენას იძლევიან ქვემოთმოყვანილი ცხრილები, სადაც ნაჩვენებია: 1. მეცხოველეობის მთლიანი პროდუქცია ფიზიკური გამოსახულებით — ფუთობით და 2. ამ პროდუქციის ღირებულება — მანეთობით (ცხრილები იხ. გვ. 805— 807).

წარმოდგენილი ცხრილები უწინარეს ყოვლისა გვიჩვენებენ, რომ საერთოდ ამიერკავკასიის მეცხოველეობაში წამყვანი ადგილი, შეიძლება ითქვას, აბსოლუტურად გაბატონებული ადგილი ეჭირა მესაქონლეობას. მთლიანი პროდუქციის ღირებულების მიხედვით მთელს ამიერკავკასიაში მოდიოდა:

---

[57] М. Исаев, „Закавказская щетина и ее сбыт" (ЭТЗ, II, 114).

[58] ამის შესახებ თავმოყრილი მასალა, ჩანაწერები და თვით შავად დაწერილი გამოკვლევა 1942 წ. დამეკარგა.

მეცხოველეობის მთლიანი პროდუქცია
1913 წელს—ათას ფუთობით

პროდუქციის სახეები	საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯანი	ამიერკავკასია
მესაქონლეობა				
1. ძროხის ხორცი	701,0	397,4	663,4	1.761,8
2. ხბოს „	43,1	25,65	41,35	110,1
3. კამეჩის „	148,8	63,4	364,7	576,9
4. ბაქის „	14,3	4,5	34,1	52,9
5. ცხვრისა და თხის „	275,5	321,3	781,7	1.378,5
6. ღორის „	246,2	23,75	25,2	295,15
7. ღორის და ცხვრის ქონი	43,7	35,04	79,9	158,64
ჯ ა მ ი	1.472,6	871,04	1,990,35	4.333,99
8. რძე	18.945,75	6.523,8	15.943,85	36.413,4
9. ტყავი	267,8	154,49	322,1	744,39
10. მატყლი	157,6	85,7	18[illegible],1	425,4
11. ჯაგარი	2,6	0,3	0,3	3,2
ჯ ა მ ი	428,0	240,49	504,58	1.172,99
12. პირუტყვის ნამატი (ათას თავობით)	256,2	122,2	258,4	636,8
13. ნაკელი	46.397,5	24.826,2	53.291,0	124.514,7
ჯ ა მ ი	—	—	—	—
მეფრინველეობა				
14. დაკლული ფრინველი	453,8	116,2	381,8	951,8
15. კვეცები ქათმისა	422,1	92,7	338,7	853,5
16. ღინღლი და ბუმბული	21,7	5,15	16,5	43,35
ჯ ა მ ი	897,6	214,05	737,0	1.848,65
მეფუტკრეობა				
17. თაფლი	35,1	63,8	13,4	112,3
18. სანთელი	3,7	2,0	1,6	7,3
19. სკა (ნაყარი) ათას ცალობით	6,2	20,0	0,5	26,7
ჯ ა მ ი	—	—	—	—
20. მეაბრეშუმეობა (ნედლი პარკი)	135,0	6,0	171,0	312,0
	—	—	—	—

მეცხოველეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება
1913 წელს ათას მანეთობით
(მწარმოებლებთან არსებულ ფასებში)

პროდუქციის სახეები	ფასი 1 ფუთისა მანეთობით	საქართველო	% % ჯამთან	სომხეთი	% % ჯამთან	აზერბაიჯანი	% % ჯამთან	ამიერკავკასია	% % ჯამთან
I მესაქონლეობა									
1. ძროხის ხორცი	2,45	1.717,5	45,3	973,6	46.0	1.625,3	35.8	4.316,4	41,3
2. ხბოს „	4,32	186,2	4.9	110,8	5,2	178,6	3,9	475.6	4,6
3. კამეჩის „	1,30	193,4	5,1	82,4	3,9	474 1	10,5	749.9	7,2
4. ხაქის „	3,23	46,2	1,2	14,5	,7	110,1	2,4	170,8	1,6
5. ცხვრისა და თხის „	2,25	619,9	16,4	722,9	34,1	1.758.8	38,8	1.101,6	29,7
6. ღორის „	3.50	861,7	22,7	83,1	3,9	88.2	1,9	1.033,0	9.9
7. ღორისა და ცხვრის ქონი	3,75	163,9	4,4	131,4	6,2	299,65	6.7	594.95	5,7
ჯამი		3.788,8	1 0,0	2.118,7	100.0	4.534,75	100,0	10.442,25	100,0
8. რძე	0,60	8.367.5	100.0	3.914,3	100,0	9.566,4	100,0	21.848.2	100,0
9. ტყავი	4,50	1.2 5,1	54,6	695,2	588	1.449,4	58,8	3.349,7	57,3
10. მატყლი	5,50	866 8	39,4	471,4	39,9	1.001,6	40,6	2.339,8	40,0
11. ჯაგარი	50,00	13 ,3	6,0	15.0	1,3	15,0	0,6	161,3	2,7
ჯამი		2.203,2	100,0	1.181,6	100,0	2.466,0	100,0	5.850,8	100 .0

გაგრძელება

პროდუქციის სახეები	ფასი 1 ფუთისა მანეთობით	საქართველო	% % ჯამთან	სომხეთი	% % ჯამთან	აზერბაიჯანი	% % ჯამთან	ამიერკავკასია	% % ჯამთან
12. პირუტყვის ნამატი (ათას თავობით)	—	2.977,3		1.609,5		3.473,6		8.060,4	
13. ნაკელი	0,02	928,0		496,5		1.065,8		2.490,3	
სულ		18.264.8		9.320,6		21.106.55		48.691,95	
		73,5%		85,4%		79,2%		78,0%	
II მეფრინველეობა									
14. დაკლული ფრინველი	—	2.741,8	63,6	732,1	67.8	1.645,7	56.9	5.119,3	61,8
15. კვერცხი ქათმისა	3,20	1.350.7	31,3	296.6	27,4	1.083.8	37,4	2.731,1	33,0
16. ღინღლი და ბუმბული	10,00	217,0	5,1	51,5	4,8	165,8	5,7	433,5	5,2
ჯამი		4.300,5	100,0	1.080,2	100,0	2.894,5	100,0	8.284,2	100,0
		17,3%		9,9%		10,9%		13,3%	
III მეფუტკრეობა									
17. თაფლი	5,5	192,8	78 2	371,5	85.0	70,9	77,0	634,9	
18. სანთელი	12,00	44,4	18,0	24,0	5,6	19,2	21,2	87.6	
19. სკა (ნაყარი) ათას ცალ.	1,50	9,3	3.8	30,0	7,1	0,8	0,0	40,1	
ჯამი		246.5	100,0	425,5		90,0		762 6	
		1,0%		3,9%		0,3%		1,3%	
IV მეაბრეშუმეობა (ნედლი პარკი)	15,00	2.025.0		90,0		2.565,0		4.680,0	
		8,2%		0,8%		9,6%		7,4%	
სულ		24.845,8		10.911,3		26.656,65		62.418,75	
		100%		100%		100%		100%	

მხოლოდ მესაქონლეობაზე — 78,0 პროცენტი, ხოლო მეფრინველეობაზე, რასაც მეორე ადგილი ეჭირა, — 13,3 პროცენტი, მეფუტკრეობაზე — 1,3 პროცენტი, მეაბრეშუმეობაზე კიდევ — 7,4 პროცენტი.

აღსანიშნავია, რომ მეცხოველეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებაში ცალკეულ დარგთა ეს თანაფარდობა ერთნაირი არ იყო ამიერკავკასიის სხვადასხვა ნაწილში. კერძოდ საქართველოში მეცხოველეობის საერთო პროდუქციის ღირებულების (24.845,8 მილ. მან.) 73,5% მოდიოდა მესაქონლეობაზე, ხოლო მეფრინველეობაზე, რაც აქ შედარებით უფრო გავრცელებული იყო, — 17,3%. მეცხოველეობის პროდუქციის ღირებულებაში მეფრინველეობის ხვედრიწონის მხრივ საქართველოს პირველი ადგილი ეჭირა ამიერკავკასიაში.

სომხეთში მესაქონლეობის პროდუქცია შეადგენდა მეცხოველეობის საერთო მთლიანი პროდუქციის ღირებულების 85,4 პროცენტს და, ამგვარად, მესაქონლეობის ხვედრიწონის სიდიდის მხრივ მას პირველი ადგილი ეჭირა ამიერკავკასიაში. სომხეთი წინ იდგა აგრეთვე მეფუტკრეობის ხვედრიწონის მხრივაც, რაც აქ მთელი მეცხოველეობის პროდუქციის ღირებულების 3,9 პროცენტს შეადგენდა.

აზერბაიჯანში მეცხოველეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულების 79,2 პროცენტი მოდიოდა მესაქონლეობაზე; მეფრინველეობის ხვედრიწონა უდრიდა 10,9%-ს, მეფუტკრეობისა — 0,3%-ს, ხოლო მეაბრეშუმეობისა — 9,6 პროცენტს; ამ მხრივ აზერბაიჯანს პირველი ადგილი ეჭირა ამიერკავკასიაში.

ამიერკავკასიაში მეცხოველეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულების საერთო ჯამიდან (62.418,7 მილ. მან.) აზერბაიჯანზე მოდიოდა 43 პროცენტი, საქართველოზე — 40, ხოლო სომხეთზე — 17 პროცენტი.

ახლა თუ მეცხოველეობის პროდუქციის ღირებულების მხრივ დარგთა შინაგან შეფარდებებს განვიხილავთ დავინახავთ, რომ კერძოდ მესაქონლეობის პროდუქციაში წამყვან როლს მეწველი პირუტყვის პროდუქტი, — რძე — თამაშობდა,

რაზედაც მოდიოდა მესაქონლეობის მთელი პროდუქციის 45,8% — საქართველოში, 41,9% — სომხეთში, 45,3%—აზერბაიჯანში და 44,8% საერთოდ ამიერკავკასიაში.

რძის შემდეგ მესაქონლეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებაში მოდის ხორცი. მესაქონლეობის დარგთა შორის, ამ მხრივ, პირველი ადგილი ეჭირა ძროხის ხორცის ღირებულებას, რისი ხვედრიწონა უდრიდა: საქართველოში — 45,3%, სომხეთში — 46,0%, აზერბაიჯანში — 35,8%; ხოლო საერთოდ ამიერკავკასიაში — 41,3 პროცენტს.

ძროხის ხორცის შემდეგ ამიერკავკასიაში მოდიოდა ცხვრისა და თხის ხორცი — 29,7%, რისი ხვედრიწონა კერძოდ საქართველოში უდრიდა — 16,4; სომხეთში — 34,1; აზერბაიჯანში — 38,8. ცხვრის ხორცის შემდეგ ამიერკავკასიაში საერთოდ მოდიოდა: ღორის ხორცი (9,9), ხოლო კერძოდ სომხეთში — ჩბოს ხორცი (5,2), აზერბაიჯანში — კამეჩის ხორცი (10.5); საქართველოში ღორის ხორცის ღირებულების ხვედრიწონა უდრიდა 22,7 და, ამრიგად, იგი აქ უსწრებდა რა ცხვრისას, ძროხის ხორცის შემდეგ მეორე ადგილზე იდგა.

რა თქმა უნდა, მეცხოველეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება კიდევ არ გამოხატავს მეცხოველეობის მთელ სახალხომეურნეობრივ მნიშვნელობას. ამ მხრივ აქ გასათვალისწინებელია ისეთი უმნიშვნელოვანესი მომენტი, როგორიცაა მეცხოველეობის, კერძოდ მესაქონლეობის ერთ-ერთი ძირითადი „პროდუქტის“ სახელდობრ მუშაპირუტყვის, როგორც სატრანსპორტო საშუალების, როგორც გამწევი ძალის როლი და ეკონომიკური ეფექტურობა.

ქვემოთმოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, რომ საერთოდ სოფლისმეურნეობრივ შემოსავლიანობაში წამყვანი ადგილი მემცენარეობას ეჭირა, რომელზედაც 1909 — 1913 წწ. მოდიოდა მთლიანი პროდუქციის ღირებულების 71,3 პროცენტი. თვით მემცენარეობაში პირველი ადგილი ეჭირა მარცვ-

მეცხოველეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულების ხვედრიწონა საერთოდ სოფლისმეურნეობრივ შემოსავლიანობაში
1909—1913 წწ.—ათას მანეთობით
(1913 წელს მწარმოებლებთან არსებული ფასების მიხედვით)

დარგები	საქართველო		სომხეთი		აზერბაიჯანი		ამიერკავკასია		
	აბსოლუტ.	% % ჯამთან	აბსოლუტ.	% % ჯამთან	აბსოლუტ.	% % ჯამთან	აბსოლუტ.	% % ჯამთან	% % მეცხ. ჯამთან
I. მემცენარეობა საერთოდ[59]	59.000,4	70,2	23.516,9	68,3	72.378,8	73,1	154.896,1	71,3	
II მეცხოველეობა									
1. მეცხოველეობა (მეპირუტყვეობა)[60]	18.264,8	21,9	9.320,6	27,1	21.106,55	21.3	48.691,95	22,4	78.0
2. მეფრინველეობა	4.309,5	5,1	1.080,2	3,1	2.894,5	2,9	8.284,2	3,8	13,3
3. მეფუტკრეობა	246,5	0.3	425,5	1,2	90,6	0,1	762,6	0,3	1.2
4. მეაბრეშუმეობა	2.025,0	2,4	90,0	0,3	2.565,0	2,6	4.680,0	2,2	7,5
მეცხოველეობა საერთოდ	24.845,8	29,8	10.916,3	31,7	26.656,65	26,9	62.418,75	28,7	100,0
სულ აბსოლუტ.	83.846,2	100,0	34.433,2	100,0	99.035,45	100,0	217.314,85	100,0	
სულ %%-ულად	38,6		15,8		45,6		100		

[59] **მ ე მ ც ე ნ ა რ ე ო ბ ა შ ი** შედის: მარცვლეული, სპეც.-ტექნ. კულტურები, კარტოფილი, საკვები ბალახები, მრავალწლიანი ნარგავები, მებაღჩეობა-მებოსტნეობა, მემდელოება.

[60] **მ ე ც ხ ო ვ ე ლ ე ო ბ ა შ ი** (მესაქონლეობაში) შედის: მსხვილრქიანი და წვრილფეხა პირუტყვის პროდუქცია—ნამატისა და ნაკელის ჩათვლით.

ლეულის მეურნეობას, შემდეგ მოდიოდნენ ტექნიკური კულტურები, მევენახეობა და სხვ. დარგები.

კერძოდ მეცხოველეობის ხვედრიწონა საერთოდ სოფლისმეურნეობრივ შემოსავლიანობაში შეადგენდა 28,7 პროცენტს. მეცხოველეობის პროდუქციის ღირებულებაში გაბატონებული ადგილი, ცხადია, მესაქონლეობას, ე. ი. მსხვილრქიან და წვრილფეხა პირუტყვს ეჭირა; — ამათზე მოდიოდა მეცხოველეობის მთლიანი პროდუქციის 78,0%, ხოლო საერთოდ სოფლისმეურნეობრივი შემოსავლიანობის 22,4%; მეორე ადგილი ეჭირა მეფრინველეობის პროდუქციას, რომელზედაც მოდიოდა, თანმიმდევრობით 13,3% და 3,8%; მესამე ადგილი — მეაბრეშუმეობას — 7,5% და 2,2%, ხოლო სულ ბოლოს იდგა მეფუტკრეობა 1,2 და 0,3%.

ამიერკავკასიის მეცხოველეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებიდან (62.418.750 მან.), მოდიოდა: სომხეთზე — 31,7%, საქართველოზე — 29,8%, ხოლო აზერბაიჯანზე — 26,9%. მაშინ როდესაც საერთოდ სოფლისმეურნეობრივი შემოსავლიანობის მხრივ პირველ ადგილზე იდგა აზერბაიჯანი (45,6%), მეორეზე — საქართველო (38,6%) და ბოლოს — სომხეთი (15,8%).

ეხებოდნენ რა საერთოდ მეცხოველეობის პროდუქციის მნიშვნელობას ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის დამკვირვებელნი თითქმის ერთხმად აცხადებდნენ, რომ „...უმეტეს შემთხვევაში პირუტყვი აჭმევს და აცმევს ჩვენს გლეხობას და მეცხოველეობის შემოსავალი ფარავს მისი ფულადი ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილსო“[61].

პირუტყვი აძლევდა სოფლელს ესოდენ აუცილებელ საკუჭს მიწისათვის, როგორიცაა ნაკელი და ძალიან ხშირად თვით სათბობსაც — წივას სახით.

მეცხოველეობა საერთოდ თავისი პროდუქციის სახით იძლეოდა ფართო შინაგანი და საგარეო ვაჭრობის საგნებს და, ამგვარად, მსახურებდა ერთ-ერთ ყველაზე უმნიშვნელო-

---

[61] МУКЛЗПИСК, I, 86.

ვანეს რგოლად, რომელიც ერთმანეთთან და სხვა ქვეყნებთანაც აკავშირებდა ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს.

ის გარემოება, რომ მეცხოველეობის პროდუქტები, მაგალითად, მატყლი, ტყავი, აბრეშუმი, ჯაგარი, კვერცხი და სხვ. მსოფლიო ბაზრებზე გადიოდა და შემდეგ კიდევ, ნაწილობრივ, როგორც მრეწველობის პროდუქცია, მაგალითად, შალის, მაუდის, აბრეშუმის ქსოვილების სახით, უკანვე ჩვენს სოფელს უბრუნდებოდა — უდიდეს გავლენას ახდენდა უკანასკნელის მთელ ცხოვრებაზე.

კორესპონდენტები და ხელისუფლების საათანადო აგენტები აგვიწერენ, რომ უკვე 1890-იანი წლებიდან ბაზრებზე, კრებებზე, საეკლესიო დღესასწაულებში, დუქნებში, ყველგან სადაც ერთმანეთთან, მუშებთან, ინტელიგენციასთან უხდებათ შეხვედრა გლეხობა უდიდეს ინტერესს იჩენდა მსოფლიო ბაზრებზე — ოდესაში, ნ.-ნოვგოროდში, მოსკოვში, ჰამბურგში, ბრემენში, მარსელში, ლონდონში, ჩიკაგოში, ფილადელფიაში და სხვ. — მეცხოველეობის და საერთოდ სოფლისმეურნეობრივი ნედლეულის, ისევე როგორც, მაგალითად, მარგანეცისა და ნავთობის პროდუქტების არსებული თუ მოსალოდნელი ფასების საკითხისადმი.

მაგალითად, ბათუმის ქარხნებში, თუ ნავსადგურში დროებით საშოვარზე მოსული გურული, მეგრელი და იმერელი გლეხები დაქირავებული მუშის ხელფასის აწევ-დაწევის მოვლენებს მაშინვე უკავშირებდნენ მარსელში აბრეშუმისა და მატყლის, ხოლო ლონდონში კვერცხის ფასებს; — მათ საკუთარი მდგომარეობა უკარნახებდა ამ კონიუნქტურული მოვლენების მიხედვით შედარება-გაანგარიშებათა აუცილებლობას, რამდენადაც ეს მოვლენები სულ მალე უშუალო ასახვას ჰპოვებდნენ ხოლმე გლეხის მეურნეობის ბიუჯეტში.

ამგვარად, სოფლის მეურნეობის, კერძოდ მეცხოველეობის სფეროში საქონლური წარმოების განვითარებას და, მაშასადამე, სოფელსა და ქალაქს შორის კავშირის ზრდას, ამ საქონლის ნაწილის საექსპორტო, მსოფლიო ბაზრების, ობიექტად გადაქცევას არ შეეძლო ღრმა გავლენა არ მოეხდინა

გლეხობის, საერთოდ სოფლის წვრილმწარმოებელთა ძირითადი მასების, ყოფიერებისა და ცნობიერების განვითარებაში, არ შეეძლო, მეტი თუ ნაკლები ზომით, ბურჟუაზიული მსოფლიო ცივილიზაციის ორბიტში არ ჩაება და ამ გზით არ აემაღლებია მისი სულიერი კულტურა, არ განევითარებია მისი მოთხოვნილებები, მისთვის არ დაენახვებია კაპიტალისტურ ურთიერთობათა წინააღმდეგობანი და ნაპრალები და ასეთს პირობებში, სამრეწველო პროლეტარიატის უშუალო გავლენის მეოხებით, არ გაეძლიერებინა უკეთესი ცხოვრებისაკენ მისწრაფებანი და რევოლუციური სულით არ გაეჟღინთა მთელი ეს მოძრაობა.

XII

მსოფლიო და სამოქალაქო ომის პერიოდი

მსოფლიო ომის დაწყებისთანავე მეცხოველეობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. უწინარეს ეს გამოიხატა საკვები ბაზის მკაცრ შემცირებაში, რაც განსაკუთრებით აუტანელი შეიქნა სამოქალაქო ომის პერიოდში.

როგორც ვნახეთ ამიერკავკასიის მეცხოველეობა საკვები ბაზის მხრივ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ჯერ კიდევ 1890-იანი წლებიდან მოყოლებული. ახლა ეს ვითარება კიდევ უფრო გართულდა, მას მერმე რაც საბალახოების მხრივ მდიდარი ადგილები ყარსის ოლქისა ჩამოშორდა ამიერკავკასიას, რომელიც კიდევ, თავის მხრივ, 1918 წ. მაისში დაიყო ერთმანეთისაგან გათიშულ და ერთმანეთს დაპირისპირებულ სამ ბურჟუაზიულ—მენშევიკურ, მუსავათისტურ და დაშნაკურ — რესპუბლიკად.

თუ აქამდე ამიერკავკასიაში პირუტყვი საბალახოებზე ჩვეულებრივ ერთი გუბერნიიდან მეორეში დაუდიოდათ, ამიერიდან ამ მხრივ ეკონომიკურად ერთმანეთზე დამოკიდებული რაიონები სხვადასხვა სახელმწიფოებში მოექცნენ, რასაც ხალხის მოღალატე მთავრობათა პარპაშის პირობებში არ შეეძლო კიდევ უფრო არ გაემწვავებია საბალახოების საკითხი, რამაც, მაგალითად, მოძმე სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ნაციონალური შუღლისა და სისხლის მღვრელი შეტაკებების სახით ჰპოვა გამოვლინება[1].

ამასთანავე საერთოდ ქვეყნის მმართველობისა და მეურ-

---

[1] „Труды I съезда НКЗ ЗСФСР", 130—132.

ნეობრივ ურთიერთობათა მოუწესრიგებლობის პირობებში ე პ ი ზ ო ტ ი ი ს გავრცელებამაც დიდი ზიანი მიაყენა მეცხოველეობას.

აქ საჭიროა ითქვას, რომ ამიერკავკასიაში ადმინისტრაცია მანამდეც თითქმის არავითარ რეალურ ღონისძიებას არ ატარებდა პირუტყვის სხვადასხვა დაავადებათაგან დაცვისათვის. მხოლოდ აშვიათად, როდესაც ჭირი ან სხვა რაიმე ეპიდემია მეცხოველეობას ფართოდ მოედებოდა, ბიუროკრატია გაიხსენებდა ვეტერინარიის საკითხს, რაც მალე ისევ დავიწყებას ეძლეოდა[2]. ასეთს პირობებში, ცხადია, ჭირი ხშირად დიდ ზიანს აყენებდა მეცხოველეობას[3].

ჯერ კიდევ 1873 წ. ა. ფურცელაძე წერდა: „ძვირად გაივლის წელიწადი, რომ სოფლებს არ მოედოს ან საქონლის ჭირი, ან თურქული, ან სხვა სნეულება“... გლეხი ხშირად ნასესხები ფულით ყიდულობს მუშაპირუტყვს... და „...ერთიც ვნახოთ, ჯერ უღელში არ შეუბამს, რომ ჭირი, ან თურქული უმუსრავს ამ საქონელსა და რჩება... ყოველად უნუგეშო და ყოველგნით ხელ აღუპყრობელი“[4].

1874 წ. გორელი კორესპონდენტი იუწყებოდა: „აგერ თითქმის ათი წელიწადია გორის უეზდში გამოულეველი შეიქნა საქონლის ჭირი. აქამდის კამბეჩობას აგრე რიგად ვერ ერეოდა ჭირი, მაგრამ ახლა... კამბეჩობასაც წაუსვა ხელი“. ქვემოთ კორესპონდენტი აღნიშნავს, ერთი მხრით, ადმინისტრაციის უყურადღებობას ამ საქმისადმი და, მეორეს მხრივ, თვით მოსახლეობის მიერ საჭირო წესების დაუცველობას. პატრონი „რაწამს დაატყობს საქონელი კვდებაო... უყრის ყელში დანას და არიგებს ამ ხორცს ფასათ თუ უფასოთ მეზობლებსა და ნათესავებში... ამასთან ტყავი მიაქვთ ბაზარ ადგილას გასასყიდათ და. ...ამგვარად, ხორცითა და

---

[2] МУКЛЗПИСК, I, 85.

[3] МУКЛЗПИСК, III, 24;—IV, 79.

[4] ა. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, „სასოფლო წერილები“ („გუთნის დედა“, 1873 წ., № 15).

ტყავით ეფინება ეს სნეულება ყოველს მხარესა... მართალია... შეტისმეტი სიღარიბე აიძულებთ, რომ საქონლის პატრონმა ამოდენა ზარალში მცირე რამ მაინც აღიდგინოს, მაგრამ რით უნდა ავხსნათ პოლიციის დაუდევნელობა, რომელიც არ ადევნებს ამას ყურსა და არ უკრძალავს ხალხს ამ გვარს მავნებელს საქმეებსა". მაგრამ ბრალი მხოლოდ პოლიციას არ ედება. „უმთავრესი მიზეზი არის ჩვენი სოფლების მდგომარეობა, ვიწროობა, ბოსლების და ბაკების მოუწყობლობა, სოფლის ნეხვები და წუმპეები... უსუფთაობა... მე ვიცნობ მრავალს მოსახლე გაკეთებულს გლეხთა, რომელთაც ამ ხუთი წლის განმავლობაში სამი პირობა ამოუწყდათ საქონელი თითქმის მთლათ ერთიანათა და დღეს ისეთს უკანასკნელობაში არიან, რომ ამითი უსაცოდავესი აღარა მოიფიქრება რა... ორი თვე არ იქნება, რაც პატარა შეწყდა ჭირის ხმა და ახლა ისევ საშინელის სიცხოვლით ედება... სოფლებს, ხალხი შესცქერის გულხელდაკრეფილი და მისტირის ბედსა" [5].

1889 წ. ინგილო კორესპონდენტი იტყობინებოდა: „აგერ თვეზე მეტია რქოსან საქონელს ჭირი გაუჩნდა", და მეცნიერული დახმარება არსაიდან ჩანსო, ხოლო თვით „ინგილონი თავისებურად წამლობენ. საქონელს პირში ასხამენ ძმარსა და ნიორს, აგრეთვე მჟავე დოსაც. მყრალი სუნიც ჭირს არიდებს პირუტყვსაო და ამიტომ ბეღელში ძაღლის განავალს აკომლებენ, ან თვითონ პირუტყვს უსმენ რქაზედ, ტანზედ და სხვ. ზოგჯერ ჭირიან საქონელს „ფირზედ" მიერეკებიან. ფირი წმინდა ადგილია, საცა ჰმარხია ვინმე მოკლული კაცი, რომლის საფლავზეც ხე გაზრდილა. საფლავიცა და ხეც წმიდად მიაჩნიათ. მიჰრეკავენ ნახირს ამისთანა ფირზე, ერთ ბადია ფლავსაც მიიტანენ, სამჯერ ნახირს გარს შემოატრიალებენ, ღმერთს შეეხვეწებიან, რომ ჭირი აარიდოს საქონელს..." [6] — როგორც იტყვიან კომენტარები ზედმეტია! „განათლებული" ბიუროკრატია ამგვარ მოვლე-

[5] გაზ. „გუთნის დედა", 1874 წ. № 4, გვ. 3 — 4.
[6] გაზ. „მეურნე", 1889 წ. № 29 — 30, გვ. 7 — 8.

ნებს აკვირდებოდა როგორც: ეთნოგრაფიულ ეგზოტიკას და უკეთეს შემთხვევაში' კიდევ მეცხოველეობის მიმდევარ, ყელამდე ვალში ჩაფლულ გლეხობას „კეთილგონივრულ" რჩევას აძლევდა... რაციონალური მეცხოველეობის უპირატესობათა შესახებ...[7].

მხოლოდ 1900-იანი წლებიდან რამდენადმე გაუმჯობესდა ამიერკავკასიაში ვეტერინარული ზედამხედველობის საქმე[8]. „კავკასიის ვეტერინარული ნაწილის გამგეობამ" ჯერ კიდევ 1890-იანი წლებიდან გაიჩინა თავისი საგუბერნიო ვეტერინარები, მერმე ვეტინსპექტორები და ბოლოს პერიოდული ორგანოც; ეს ორგანიზაცია მოწოდებული იყო ხელი შეეწყო საერთოდ მეცხოველეობის მოვლა-პატრონობაში რაციონალური მეთოდების დანერგვისათვის, ამ სფეროში მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევათა პოპულარიზაციისათვის და სხვ. ამავე მიმართულებით მოღვაწეობდა კსმს-ის აპარატში შექმნილი მეცხოველეობის ბიუროც. მაგრამ მთელი ეს „პოლიციური ღონისძიებანი" და ის აპარატიც, რომელსაც იგი ცხოვრებაში უნდა გაეტარებია არსებითად მოწყვეტილი იყო უშუალო მწარმოებელთა ძირითადი მასებისაგან და, ცხადია, რამდენადმე მნიშვნელოვან დადებით შედეგებს ვერ მიაღწევდა[9].

პირველი მსოფლიო ომის წინაწლებში პირუტყვის ჭირის საწინააღმდეგო შრატი მზადდებოდა ზურნაბადში (ელისავეტპოლის გუბ.); მაგრამ 1917 წ. ზურნაბადის ჭირსაწინააღმდეგო სადგური დარბეული და ორი ვეტექიმი მოკლული იქნა, რის შემდეგაც ამ სადგურმა შეწყვიტა თავისი არსებობა.

---

[7] „Скотоводство и ветеринарный надзор в губерниях и областях Закавказского края" (Упр. ветерин. частью на Кавказе), 1913 г., Тифлис, вып. I и II.

[8] იქვე.

[9] იხ. მაგალითად, „Закавказский ветеринарный вестник", 1916 г., № 3—4, стр. 144—145.

1917—1918 წელს ჭირი გავრცელდა მთელს ამიერკავკასიაში, თვით ფრონტშიაც და უდიდესი ზიანი მიაყენა მსხვილრქიან პირუტყვს [10]. მაგალითისათვის საკმარისია აღინიშნოს, რომ ს. ციხისჯვარში (ბორჯომის რ.) თითქმის სულ, მთლიანად ამოწყდა ამიერკავკასიაში ყველაზე კეთილმოწყობილი, „რაციონალურ საწყისებზე დაფუძნებული“ დიდი მთავრის რომანოვის, მეძროხეობის ფერმა.

მართალია, 1917 წ. ოქტომბერში ქ. ქუთაისში დაარსდა ჭირსაწინააღმდეგო სადგური, მაგრამ პირველ ხანებში მისი საქმიანობა შეზღუდული იყო უსახსრობისა გამო. ეს სადგური მერმე გადაიტანეს სოფ. ტაბახმელაში (ქ. თბილისიდან ათიოდე კილომეტრის მანძილზე). სადგურს გადაეცა თავ. მელიქიშვილების ყოფილი კარმიდამო, მამული, 14 დეს. მიწა. ტაბახმელის სადგური დაზარალდა 1921 წ. მაგრამ სულ მალე აღდგენილ-განახლებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების მიერ და ამ დროიდან რეგულარულად ამარაგებდა ქვეყანას ჭირსაწინააღმდეგო შრატით.

აღსანიშნავია რომ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ჯერ შემცირდა და მერმე თითქმის საცსებით შესწყდა ჩრდილოეთ კავკასიიდან მსხვილრქიანი და წვრილფეხა პირუტყვის მოდენა, რაც მანამდე შეადგენდა ფრიად მნიშვნელოვან წილს ამიერკავკასიაში სახორცედ დაკლული პირუტყვისა. ამავე დროს დიდად გაიზარდა პირუტყვის დაკვლა არმიის საჭიროებისათვის. არმიას მრავალი პირუტყვი — ცხენი და ხარკამეჩი — სჭირდებოდა სატრანსპორტო საშუალების სახითაც. ცხადია, რომ არმიისათვის ამ მიზნით წაყვანილი პირუტყვიც სოფელს უკან არ უბრუნდებოდა.

ახლა, ომის წლებში, მთელი ეს მოთხოვნილება დააწვა ამიერკავკასიის მეცხოველეობას. ომის მხოლოდ პირველი

---

[10] „Чума рогатого скота в Закавказском крае“ („Закавказский ветеринарный вестник“, 1917 г., № 7—8, стр. 73—76).

ორი წლის განმავლობაში ამიერკავკასიამ არმიის საჭიროებისათვის მიაწოდა [11]:

მსხვილრქიანი პირუტყვი	297.054	თავი
წვრილფეხა პირუტყვი	63.362	„

შემდგომ წელს ეს მიწოდება კიდევ უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, რამდენადაც ჩრდილოეთ კავკასიიდან პირუტყვის შემოდენა არსებითად შეწყდა.

მსოფლიო და სამოქალაქო ომის წლებში კერძოდ მსხვილრქიანი პირუტყვის მდგომარეობას წარმოგვიდგენს ქვემოთმოყვანილი ცხრილი:

მსხვილრქიანი პირუტყვი ამიერკავკასიაში
(ხარი, ძროხა, კამეჩი და მათი ნამატი)

ქვეყნების დასახელება	1913 წ.	% ჯამთან	1916 წ.	% ჯამთან	1921/23 წწ	% ჯამთან
საქართველო	1.302.000	40,98	1.082.000	48,09	1.145.000 (1923 წ.)	48,37
სომხეთი	511.000	16,08	506.000	22,49	334.000 (1922 წ.)	14,11
აზერბაიჯანი	1.364.000	42,94	662.000	29,42	888.000 (1921 წ.)	37,52
ს უ ლ	3.177.000	100,0	2.250.000	100,0	2.367.000	100,0
პროცენტობით	100,0		70,8		74,5	

მსხვილრქიანი პირუტყვი 1916 წელს საქართველოში 220.000-ით ნაკლები იყო, ვინემ 1913 წელს; სომხეთში 1922 წელს ირიცხებოდა სულ 334.000 პირუტყვი, ანუ 1913 წლის დონის 65 პროცენტი, ხოლო აზერბაიჯანში 1921 წელს ითვლებოდა 888.000 პირუტყვი, ე. ი. 1913 წლის დონის 63 პროცენტი. საერთოდ ამიერკავკასიაში 1916

[11] Д. Колестинов, „Война и скотоводство Закавказья" (КХ, 1917 г., № 5—6, стр. 10).

წელს მსხვილრქიანი პირუტყვის რაოდენობა 1913 წლის დონის 70,8 პროცენტს შეადგენდა. მაგრამ მსხვილრქიანი პირუტყვი განსაკუთრებით დაზარალდა სწორედ შემდგომს 1917 — 1920 წლებში. სამწუხაროდ ამ პერიოდის შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ მოგვეპოვება. სპეციალისტთა საერთო დაკვირვების მიხედვით 1920 წლის ბოლოსათვის ამიერკავკასიაში სახეზე მყოფი მსხვილრქიანი პირუტყვის საერთო რაოდენობა 1913 წ. დონის დაახლოებით 50 პროცენტით შეიძლება განისაზღვროს.

მსოფლიო და სამოქალაქო ომის პერიოდში მეცხოველეობის დარგთაგან ყველაზე უფრო დაზარალდა მეცხვარეობა, რასაც სხვა დარგებზე უფრო მეტად დაარტყა საკვები ბაზის, საბალახოების შემცირებამა და თვით არსებულთა სარგებლობის მხრივ შექმნილმა არანორმალურმა ვითარებამ, რის შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

მეცხვარეობა-მეთხეობა ამიერკავკასიაში
(აბსოლუტ. ციფრ. დარგვალებულად)

ქვეყნების დასახელება	1913 წ.	% ჯამთან	1916 წ.	% ჯამთან	1921 — 23 წწ.	% ჯამთან
საქართველო	1.854.000	39,33	1.106.000	37,09	1.015.000 (1923 წ.)	41,55
სომხეთი	752.000	15,95	971.000	32,56	421.000 (1922 წ)	17,23
აზერბაიჯანი	2.108.000	44,72	905.000	30,35	1.007.000 (1921 წ.)	41,22
სულ ამიერკავკასიაში	4.714.000	100,0	2.982.000	100,0	2.443.000	100,0
პროცენტობით	100,0		63,3		51,8	

როგორც ცხრილი გვიჩვენებს 1913 წელს საქართველოში ირიცხებოდა 1,9 მილიონამდე ცხვარი და თხა, 1916 წ.— 1,1 მილ., ხოლო 1923 წ. — 1 მილიონზე ცოტა მეტი, ე. ი. 1913 წლის დონის დაახლოებით 55 პროცენტი; ცხადია, 1921 წლისათვის, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარე-

ბის დროისათვის მისი რაოდენობა მნიშვნელოვანად უფრო ნაკლები იქნებოდა.

სომხეთში 1913 წ. ითვლებოდა 752 ათასი ცხვარი და თხა. 1916 წელს მისი რაოდენობის ზრდა აიხსნება არა ბუნებრივი, არამედ მხოლოდ მექანიკური მატებით. ომის დროს, როგორც ცნობილია, ჩვენმა (რუსეთის იმპერიის) ჯარებმა დაიკავეს თურქეთის სახელმწიფოში შემავალი ისტორიულად სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, საიდანაც, ომის თეატრიდან, სომეხ და ქურთ მეცხვარეთა ფარები გადმოვიდნენ ერევნის გუბერნიის საბალახოებზე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან წლინახევრის შემდეგ, ე. ი. 1922 წ. სომხეთში ითვლებოდა მხოლოდ 421 ათასი ცხვარი და თხა, რაც 1913 წ. დონის მხოლოდ 56 პროცენტს შეადგენდა.

1913 წ. აზერბაიჯანში ითვლებოდა 2,1 მილ. მეტი ცხვარი და თხა, 1916 წელს იგი 0,9 მილიონამდე, ე. ი. 1913 წ. დონის 43 პროცენტამდე დაეცა; ხოლო 1921 წ. ირიცხებოდა 1 მილიონზე ცოტა მეტი, რაც 1913 წ. დონის 48 პროცენტსღა შეადგენდა.

საერთოდ ამიერკავკასიაში ცხვრისა და თხის რაოდენობა 1916 წელს 1913 წლის დონის 63,3 პროცენტამდე დაეცა. არაპირდაპირ მონაცემთა საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 1920 წელს აქ ცხვრისა და თხის საერთო რაოდენობა არ აღემატებოდა 1913 წ. დონის 40 პროცენტს. განსაკუთრებით დაზარალდა მეცხვარეობა; რაც შეეხება მეთხეობას წვრილრქიან პირუტყვში მისი ხვედრიწონაცა და თვით ზარალიც შედარებით უმნიშვნელო იყო. მართალია, 1921 — 1923 წწ. ცხვრისა და თხის რაოდენობამ 2,4 მილიონამდე მიაღწია და ამგვარად 1913 წლის დონის (4,7 მილ.) 51,8 პროცენტი შეადგინა, მაგრამ ამ საერთო ჯამში საქართველოსა და სომხეთის პირუტყვის რაოდენობა შესულია 1923 და 1922 წ. წ. მდგომარეობით, როდესაც, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში უკვე მიმდინარეობდა სახალხო მეურნეობის აღდგენა და, მაშასადამე, პირუტყვის რაოდენო-

ბაც 1920 წლის დონესთან შედარებით მნიშვნელოვანად გადიდებული უნდა ყოფილიყო.

მაგრამ მსოფლიო და სამოქალაქო ომის წლებში მეცხვარეობა და საერთოდ მეცხოველეობა დიდად დაზარალდა არა მხოლოდ რაოდენობრივად. მეცხოველეობამ დიდი ზიანი განიცადა ხარისხობრივი შედგენილობის დაქვეითების სახითაც. შესამჩნევად გაუარესდა ადგილობრივი ჯიშები და არსებითად საკვებით გაქრა ნაზბეწვიანი (მერინოსული) მეცხვარეობა.

ნაზბეწვიანი მეცხვარეობა, მიუხედავად ხელისუფლების მხრივ ერთგვარი ზრუნვა-წაქეზებისა, როგორც საერთოდ იმპერიაში, ისე კერძოდ ამიერკავკასიაშიაც ნელი ტემპით ვითარდებოდა. ჩვენში მერინოსული ჯიშის ცხვრების მოშენებას უპირატესად ეწეოდნენ რუსულ სოფლებში, რომლებიც ხელს უწყობდნენ აქ საერთოდ გაუმჯობესებული ჯიშის მეცხოველეობის გავრცელების საქმეს, რითაც კარგ მაგალითს აძლევდნენ ადგილობრივ მკვიდრთ [12].

1860-იან წლებში აქ ითვლებოდა ნაზმატყლიანი ცხვარი: თბილისის გუბერნიაში — 8.782 (1867 წ.), ქუთაისის გუბ.— 1.415 (1865 წ.), ელისავეტპოლის გუბ. — 25.560 (1868 წ.); 1912 წელს მთელ ამიერკავკასიაში ირიცხებოდა 32 ათასზე ცოტა მეტი, ხოლო 1915 წ. 23,5 ათასამდე ნაზმატყლიანი ცხვარი, რაც თითქმის მხოლოდ ელისავეტპოლის გუბერნიაში იყო თავმოყრილი.

1913 წ. მთელს იმპერიაში ითვლებოდა დაახლოებით 4,5 მილ. ნაზბეწვიანი [13] ცხვარი, რაც ცხვრის საერთო რაოდენობის 5 პროცენტს აღემატებოდა. ამიერკავკასიაში კი 1912 წელს ნაზბეწვიანი ცხვარი (32 ათასი) შეადგენდა ცხვრის საერთო რაოდენობის (4.318 ათასი) ერთ პროცენტზე ნაკლებს; მაშასადამე, იგი აქ ბევრად უფრო ნაკლებად

---

[12] П. Гугушвили. „Сельское хозяйство и аграрные отношения", т. II, 288, 293, 413, 660.

[13] 1870 წ. რუსეთში ირიცხებოდა 15 მილ. ნაზბეწვიანი ცხვარი, რისი რაოდენობაც მერმე სულ ეცემოდა.

იყო გავრცელებული, ვინემ საერთოდ იმპერიაში. 1917 წელს ნაზბეწვიანი ცხვრის რაოდენობა აქ 9 ათასამდე დაეცა, ხოლო 1921 წლამდე სულ რამდენიმე ასეულმა მიაღწია და ისიც უკვე გადაჯიშებული იყო [14].

დიდად დაზარალდა მეცხენეობაც.

მეცხენეობა ამიერკავკასიაში

ქვეყნების დასახელება	1913 წ	% ჯამთან	1916 წ.	% ჯამთან	1921/23 წწ.	% ჯამთან
საქართველო	121.000	38,17	77.000	39,49	75.000 (1923 წ.)	39,47
სომხეთი	37 000	11,67	32.000	16,41	14.000 (1922 წ.)	7,37
აზერბაიჯანი	159.000	50,16	86 900	44,10	101.000 (1921 წ.)	53,16
ს უ ლ	317.000	100,0	195.000	100,0	190.000	100,0
პროცენტობით	100,0		61,5		60,0	

1913 წ. საქართველოში ითვლებოდა 121 ათასი ცხენი, ხოლო 1923 წ. კი 75 ათასი, რაც 1921 წლის დამდეგისათვის მნიშვნელოვანად ნაკლები, 1913 წ. დონის დაახლოებით 50 პროცენტი, უნდა ყოფილიყო. სომხეთში 1922 წ. ირიცხებოდა 14.000 ცხენი, რაც 1913 წ. დონის 39 პროცენტსღა შეადგენდა. აზერბაიჯანში 1916 წ. ცხენის რაოდენობა თითქმის განახევრებული იყო 1913 წ. დონესთან შედარებით.

საერთოდ ამიერკავკასიაში თუ 1913 წ. დონეს ასად მივიჩნევთ, ცხენის რაოდენობა უდრიდა 1916 წ. — 61,5-ს, 1921/23 წ. — 60-ს.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიაში საერთოდ მეცხოველეობის მხრივ პირველი ადგილი ეჭირა აზერბაი-

[14] შად. „Закавказское совещание по шерсти—1924 г.", 1924, Тифлис, стр. 42.

მეცხოველეობის პროდუქტთა ცალობრივი ფასები თბილისის ბაზრებზე
1912 — 1920 წწ. მანეთობით[15].

საგნების დასახელება	წონა და რაოდენობა	1912	1913	1914	1915	1916	1917	1918[16]	1919[16]	1920[16]
ძროხის ხორცი I ხარისხის	1 გირ.	0,13	0,13	0,16	0,19	0,30	0,69	2,01	14,85	24,47
„ „ II ხარისხის	„	0,12	0,12	0,15	0,15	0,31	0,66	1,99	11,32	—
ხორცი ხბოს	„	0,19	0,20	0,19	0,24	0,44	0,92	3,00	12,00	—
„ ცხვრის	„	0,15	0,16	0,18	0,19	0,34	0,89	2,60	20,50	—
„ ბატკნის	„	0,17	0,33	0,33	0,21	0,48	1,14	3,67	23,50	—
„ ღორის	„	0,15	0,14	0,17	0,15	0,24	1,20	2,43	19,45	—
„ გოჭის	„	0,20	0,21	0,25	0,33	0,41	1,48	3,70	20,00	—
ქათამი	1 ცალი	0,87	1,08	1,32	1,53	1,52	5,00	23,67	89,17	—
ვარია	„	0,43	0,43	0,46	0,58	1,04	2,55	13,67	26,67	—
ბ ა ტ ი	„	1,28	1,34	1,49	1,74	2,90	4,18	23,17	97,50	—
ინდოური	„	2,16	1,99	1,10	3,60	3,44	10,82	50,00	118,75	—
რძე ნაღებმოუხდელი	1 კგრ.	0,05	0,05	0,05	0,06	0,09	0,28	0,59	4,58	8,76
რძე ნაღებმოხდილი	„	0,05	0,05	0,05	0,05	0,08	0,26	0,55	—	—
ერბო	1 გირ.	0,49	0,49	0,54	0,65	1,26	2,57	11,00	64,67	—
ყარაქი	„	0,42	0,40	0,46	0,67	1,23	2,97	8,92	23,50	—
ყველი ოსური	„	0,20	0,21	0,25	0,29	0,47	1,18	4,88	29,85	57,87
„ შვეიცარული	„	0,34	0,40	0,41	0,53	0,90	1,80	3,57	44,50	—
კვერცხი (ქათმის)	10 ცალი	0,23	0,27	0,26	0,29	0,48	2,37	4,25	24,75	50,6

[16] „საბაზრო ფასების მოძრაობა საქართველოს სსრ ქალაქებში 1912 — 1923 წ წ.“, 1924, გვ. 64 — 65;

[16] 1918 წ. წარმოდგენილია იანვარ-ივნისის, 1919 წ. — ივლის-დეკემბრის, ხოლო 1920 წ. — იანვარ-ივნისის მონაცემებით.

ჯანს, რომელზედაც 1913 წ. მოდიოდა: მსხვილრქიანი პირუტყვის საერთო რაოდენობის თითქმის 43 პროცენტი, ცხვრისა და თხის — 45 პროცენტამდე და ცხენის — 50 პროცენტზე მეტი. შემდეგ მოდიოდა საქართველო — იმავე თანმიმდევრობით 41, 39 და 38, ხოლო მერმე სომხეთი — 16, 16 და 12.

მეცხოველეობის დაცემა, ცხადია თავის ასახვას ჰპოულობდა მეცხოველეობის პროდუქტთა ფასების დინამიკაში.

საკმარისია ადამიანმა მხოლოდ გადაათვალიეროს ზემოთმოყვანილი ცხრილი (გვ. 824), რათა დარწმუნდეს თუ რაოდენ მოიშალა მთელ სახალხო მეურნეობასთან ერთად კერძოდ მეცხოველეობაც. მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მეცხოველეობის პროდუქტებზე ფასების აღმავლობა ძალიან ხშირად წინ უსწრებდა სოფლის მეურნეობის სხვა დარგთა, სახელდობრ მემცენარეობის პროდუქტთა, თვით პურის ფასებსაც-კი.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების მესამე და განსაკუთრებით მეოთხე წლიდან ქალაქების, სამრეწველო ცენტრების ბაზრებში ძალიან ხშირად უკვე საერთოდაც, მაღალ ფასებშიაც, არ იშოვნებოდა მეცხოველეობის პროდუქტები. მართალია, ომი პირველ ხანებში განსაკუთრებით დააწვა მუშა-პირუტყვს და ამას მოყვა მნიშვნელოვანი ცვლილებები ჯოგის სტრუქტურულ შედგენილობაში. მაგრამ სულ მალე საგრძნობი გახდა მწვავე ნაკლებობა პროდუქტიული, განსაკუთრებით მერძეული პირუტყვისა. სოფლის მეურნეობის დარგის საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციათა მსჯელობის საგანი გახდა საკითხი, რათა როგორმე დაეცვათ ომის განმანადგურებელი გავლენისაგან მერძეული და საჯ

პირუტყვი მაინც[17].

1922 წ. ამიერკავკასიის ეკონომიკურ თათბირზე გამოსული მეცხოველეობის სპეციალისტი, პროფ. თ ა მ ა მ-

[17] „О сохранении племенного, а также молочного скота, снабжающего молоком города и промышленные центры" (КХ, 1917 г., № 15—16, стр. 7—8).

შევი აცხადებდა, რომ „მეცხოველეობა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამიერკავკასიის ეკონომიკაში, მცირდებოდა რიცხვობრივად და უარესდებოდა თვისებრივადო“ [18].

ამავე თათბირზე გამოსული დათიევი ასე ახასიათებდა აზერბაიჯანის მეცხოველეობას: „ომამდელ დროსთან შედარებით მეცხოველეობა მნიშვნელოვანად შემცირდა, ცალკეულ სახეთა მიხედვით, სახელდობრ: მსხვილრქიანი პირუტყვი თითქმის 50 პროცენტით, ცხვარი — 75 პროცენტამდე, ცხენი — 90 პროცენტით. ამასთანავე ერთად გაუარესდა პირუტყვის თვისობრივი მდგომარეობა, როგორც შედეგი სოფლის მეურნეობის საერთო დაცემისა“.

მეცხოველეობის დაცემა თავის ასახვას ჰპოულობს კერძოდ მეცხოველეობის პროდუქტებით ვაჭრობაში. ქალაქების ბაზრებში რძე, რძის ნაწარმი, ხორცი ძნელი საშოვნელი გახდა. ძლიერ დაეცა საექსპორტო პროდუქტებით ვაჭრობა. როგორც ვიცით პირველი მსოფლიო ომის წინა ხანებში ბათუმიდან საშუალოწლიურად გაქონდათ 180.000 ფუთი მატყლი. ომის წლებში ეს ექსპორტი ერთხნობით საგსებით შეწყდა, ხოლო შემდეგ გატანილ იქნა[19]:

1919 წელს .	51.056 ფუთი
1920 წელს .	16.300 „
1921 წელს . .	7.600 „

ამგვარად, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისათვის ამიერკავკასიის მთელ სახალხო მეურნეობასთან ერთად მეცხოველეობაც ძლიერ დაცემული და დაზარალებული იყო. მაგრამ მეცხოველეობის მხრივ განცდილი ზიანი არსებითად უფრო მძიმე და ძნელად აღსადგენი იყო[20], ვინემ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებისა, თვით მრავალწლიანი ნარგავებისაც-კი.

---

[18] „Труды Закавказского экономического совещания“, 1923, Тифлис, II, 48.

[19] ЭТЗ, II, 166.

[20] შეად, მ. კახეთელიძე, „საქართველოს სსრ მეცხოველეობის სტრუქტურის საკითხისათვის“ (ეკ. ინსტ. შრ., VI, 223 — 244).

დამატება

სტატისტიკური მონაცემები

პირუტყვის რაოდენობა ამიერკავკასიაში რეფორმის პერიოდში
1862 — 1868 წწ.

ცხრილი 1

წლები	მოსახლეობა	ცხენი	მსხვილრქიანი	ცხვარი: უბრალო	ცხვარი: ნაზმატყლიანი	თხა	ღორი	ჯორი	ვირი	აქლემი
				თბილისის გუბერნია						
1862	577.248	71.173	231.223	1.071.073	5.991	77.938	221.829	25.974		428
1865	602.954	77.747	305.926	1.382.153	5.649	57.046	208.530	2.267		3.541
1867	614.387	60.566	431.195	1.656.065	8.782	26.631	102.454	14.902		1.100
1868	599.034	72.750	416.414	1.080.277	631	1.254	118.738	32.628		1.250
				ქუთაისის გუბერნია						
1862	352.725	26.045	91.278	63.480	4.680	86.850	119.870	4.325		—
1865	427.079	33.015	139.228	84.911	1.415	59.481	99.957	629	419	—
1867	696.394	58.911	217.624	154.962	116	97.356	236.932	956	6.086	—
1868	578.962	48.877	161.668	108.172	—	61.609	252.582	842	1.169	—
				ბაქოს გუბერნია						
1865	848.642	142.607	544.039	1.486.321	—	81.598	12.907	36.791		12.425
1867	834.544	160.152	488.211	1.445.082		104.385	10.868	39.698		12.668
1868	486.241	98.157	418.783	754.108		69.958	1.112	7.509		7.410
				ერევნის გუბერნია						
1862	41.455	34.432	128.187	351.601		61.862	1.965	15.654		1.990
1865	462.859	33.041	252.117	375.142			1.663	17.018		10.940
1867	445.016	35.385	257.345	520.664			1.900	14.406		9.450
1868	435.658	35.242	256.333	517.123			2.408	11.545		9.525

პირუტყვის რაოდენობა ამიერკავკასიაში რეფორმის პერიოდში
მოსახლეობის 100 სულზე

ცხრილი 2

წლები	ცხენი	მსხვილფეხა რქიანი	ცხვარი და თხა	ღორი
		თბილისის გუბერნია		
1862 .	12,3	40,1	200,1	38,4
1865 .	12,9	50,7	239,6	34,6
1867 .	9,9	70,1	275,3	16,7
1868 .	12,1	69,5	180,7	19,8
		ქუთაისის გუბერნია		
1862 .	7,4	25,9	43,9	34,0
1865 .	7,7	32,6	34,1	23,4
1867 .	8,5	31,3	36,3	34,0
1868	8,4	27,9	29,3	43,6
		ბაქოს გუბერნია		
1865 .	16,8	64,1	184,8	1,5
1867	19,2	58,5	185,6	1,3
1868	20,2	86,1	169,5	0,2
		ერევნის გუბერნია		
1865 . . .	7,1	54,5	124,2	0,4
1867 .	8,0	57,8	117,0	0,4
1868 .	7,9	58,8	118,7	0,5

პირუტყვის რაოდენობა ამიერკავკასიაში 1899 წელს

ცხრილი 3

ადმინისტრაციული ერთეულები	მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი კამეჩის ჩათვლით	ცხვარი	თხა	ცხენი	ვირი	ჯორი	აქლემი	ღორი	სულ
1. თბილისის გუბ. (1899)	438.937	1.277.991	131.893	52.807	7.318	4.748	—	47.489	1.961.183
2. ქუთაისის გუბ. (1899)	311.412	147.313	65.180	65.330	2.840	2.047	—	219.050	813.172
3. ბაქოს გუბ. (1901)	243.299	652.450	39.370	77.057	11.495	391	10.273	3.998	1.038.342
4. განჯის გუბ. (1899)	366.028	1.164.650	47.915	74.815	26.293	5.587	1.840	35 387	1.722.515
5. ერევნის გუბ. (1899)	516.824	954.334	78.673	47.581	19.513	1.060	5.010	1.447	1.624.442
6. ზაქათალას ოკრ. (1899)	84.085	90.048	4:149	7.580	—	—	—	—	185.862
სულ	1.960.585	4.286.795	367.180	325.170	67.459	13.833	17.123	307.371	7.345.516

პირუტყვის რაოდენობა ამიერკავკასიაში 1908 წელს

ცხრილი 4

ადმინისტრაციული ერთეულები	მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი კამეჩის ჩათვლით	ცხვარი	თხა	ცხენი	ვირი	ჯორი	აქლემი	ღორი	სულ
თბილისის გუბ.	638.661	2.381.315	82.333	88.098	30.683	229	481	81.798	3.303.598
ქუთაისის გუბ. .	202.879	67.559	40.668	44.433	1.692	1.035	—	196.725	554.991
ბაქოს გუბ.	374.807	965.127	60.364	100.982	10.389	180	12.665	2.818	1.527.332
განჯის გუბერნ.	621.843	1.056.388	115.832	57.515	20.346	2.806	3.566	9.953	1.888.249
ერევნის გუბერნ.	613.454	1.076.031	85.740	49.684	26.493	1.147	4.918	1.763	1.859.230
ბათომის ოლქი	119.285	79.127	25.725	7.793	1.283	321	—	502	234.036
სუხუმის ოკრუგი .	55.073	17.282	12.505	12.402	93	58	—	21.942	119.355
ზაქათალის „	84.088	90.018	4.149	7.580	—	—	—	—	185.835
სულ	2.710.090	5.732.847	427.316	368.487	90.979	5.776	21.630	315.501	9.672.626

ცხრილი 5

პირუტყვის რაოდენობა ამიერკავკასიაში 1907 წელს

ადმინისტრაციული ერთეულები	ცხენი	ვირი	ჯორი	აქლემი	მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	კამეჩი	ცხვარი	თხა	ღორი	სულ
1. ბაქოს გუბერნ.	74.238	10.132	172	12.061	305.646	94.963	865.611	47.571	2.078	1.412.472
2. ბათუმის ოლქი	5.286	1.106	245	—	65.382	1.883	53.569	38.519	290	164.280
3. განჯის გუბ.	66.967	15.969	3.488	1.618	241.669	49.710	588.766	49.196	25.427	1.042.810
4. ზაქათალის ოკრ.	3.072	582	5	—	18.817	31.058	52.279	3.948	39	110.400
5. ქუთაისის გუბ. (1906 წ.)	28.673	629	1.030	—	224.242	14.056	74.287	35.385	117.763	496.065
6. სუხუმის ოკრ.	12.756	351	123	—	126.016	12.433	30.523	20.887	11.208	214.297
7. თბილისის გუბ.	90.266	30.822	700	359	686.712	109.050	1.847.798	65.849	87.544	2.919.100
8. ერევნის გუბ. (1906 წ.)	36.734	27.038	829	3.391	549.729	56.926	945.879	105.903	2.518	1.728.947
ს	318.592	86.629	6.592	17.429	2.218.213	370.079	4.458.712	367.258	246.867	8.090.371

ბირუტყვის რაოდენობა ამიერკავკასიაში 1908 წელს

ცხრილი 6

ადმინისტრაციული ერთეულები	ცხენი	ვირი.	ჯორი	აქლემი	მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	კამეჩი	ცხვარი	თხა	ღორი	სულ
1. ბაქოს გუბ.	88.407	14.339	423	13.711	269.066	99.744	1.059.721	54.004	3.877	1.603.292
2. ბათუმის ოლქი	7.800	1.301	300	—	85.000	3.500	61.000	30.100	312	189.313
3. განჯის გუბ.	92.290	32.755	8.379	2.040	678.457	125.339	1.916.278	96.917	31.364	2.983.819
4. ზაქათალის ოკრ.	3.629	242	—	—	52.306	39.232	42.697		—	138.106
5. ქუთაისის გუბ.	24.306	656	865	—	237.173	13.401	60.168	57.683	142.867	537.119
6. სუხუმის ოკ-. რუგი	13.383	350	145	—	37.191	11.795	34.340	22.320	12.119	131.643
7. თბილისის გუბ.	90.266	30.825	700	359	686.712	109.050	1.827.798	65.849	87.544	2.899.103
8. ერევნის გუბ.	39.889	27.913	894	5.123	397.695	45.240	726.647	106.935	1.446	1.351.782
სულ	359.970	108.381	11.706	21.233	2.443.600	447.301	5.728.649	433.808	279.529	9.834.177

პირუტყვის რაოდენობა ამიერკავკასიაში 1910 წელს

ცხრილი 7

ადმინისტრაციული ერთეულები	ცხენი	ვირი	ჯორი	აქლემი	მსხვილრქიანი პირუტყვი	კამეჩი	ცხვარი	თხა	ღორი	სულ
1. ბაქოს გუბერნ.	83.878	12.153	204	13.453	276.763	95.855	840.362	52.603	6.033	1.381.304
2. ბათუმის ოლქი	4.109	397	162	—	36.392	884	36.566	20.223	507	99.240
3. განჯის გუბ.	79.915	27.821	4.970	1.408	685.210	159.803	1.198.164	84.939	41.317	2.283.547
4. ზაქათალის ოკრ.	4.453	281	—	—	53.785	42.929	60.226	6.127	—	167.801
5. ქუთაისის გუბ.	25.202	669	687	—	262.299	11.799	70.127	49.993	179.056	599.832
6. სუხუმის ოკრ.	14.131	405	180	—	29.781	12.094	37.638	26.492	16.320	137.041
7. თბილისის გუბ.	91.277	19.036	627	500	682.250	128.840	1.464.437	109.487	67.422	2.563.876
8. ერევნის გუბ.	42.675	29.623	866	5.929	419.363	44.667	715.520	103.335	2.528	1.364 506
სულ	345.640	90.385	7.696	21.290	2.445.843	496.871	4.423.040	453.199	313.183	8.597.147

პირუტყვის რაოდენობა ამიერკავკასიაში 1911 წელს

ცხრილი 8

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	ცხენი	ვირი	ჯორი	მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	კამეჩი	ცხვარი	თხა	აქლემი	ღორი	სულ
1. ბაქოს გუბერ.	78.869	11.259	4	382.740	157.866	677.594	47.552	6.981	10.938	1.373.803
2. ბათუმის ოლქი	6.866	1.658	487	75.737	2.233	61.130	27.130	—	715	175.956
3. განჯის გუბერ.	79.411	29.610	3.649	652.224	153.908	1.118.326	80.288	1.456	32.227	2.151.039
4. ზაქათალის ოკრუგი	2.988	221	—	47.025	36.232	59.682	4.440	—	—	150.588
5. ქუთაისის გუბ.	23.794	584	776	277.111	19.474	62.590	39.254	—	141.484	565.067
6. სუხუმის ოლქი	12.631	381	463	52.685	22.748	34.873	38.410	—	34.357	196.548
7. თბილისის გუბ.	87.960	19.884	679	666.649	125.819	1.281.503	108.298	490	66.412	2.357.694
8. ერევნის გუბ.	44.019	29.427	944	434 453	45.470	708 404	104.850	5.714	4.266	1.377.547
სულ	336.538	93.024	7.002	2.588.624	563.750	4.004.102	450.162	14.641	290.399	8.348.242

პირუტყვის რაოდენობა ამიერკავკასიაში 1912 წელს

ცხრილი 9

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	ცხენი	ვირი	ჯორი	მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	კამეჩი	ცხვარი	თხა	აქლემი	ღორი	სულ
1. ბაქოს გუბერ.	94.334	11.655	689	436.755	170.324	771.963	50.948	7.678	12.826	1.557.172
2. ბათუმის ოლქი	7.060	1.048	632	80.311	2.182	58.824	27.071	—	635	177.763
3. ელისავეტპოლის გუბერ.	80.630	29.757	4.222	676.741	164.172	994.220	74.387	2.406	34.674	2.060.909
4. ზაქათალას ოკრუგი	3.003	274	—	45.196	37.160	70.000	6.880	—	—	162.513
5. ქუთაისის გუბ.	25.733	606	1.049	297.169	20.346	79.581	59.647	—	158.652	642.783
6. სუხუმის ოკრ.	16.520	504	568	59.706	22.861	37.351	44.587	—	27.001	209.098
7. თბილისის გუბ.	83.185	21.286	738	683.265	106.187	1.590.433	69.804	465	75.895	2.631.258
8. ერევნის გუბ.	42.672	29.623	866	419.363	44.667	715.520	103.338	5.931	2.528	1.364.508
სულ	353.137	94 753	8.764	2.698 506	567.899	4.317.892	436.662	16.180	312.211	8.806.004

პირუტყვის რაოდენობა საქართველო-

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	წლები	ცხენი	მსხვილფეხა ნეკრანი პირუტყვი გარეკანონისა	კამეჩი	ვირი ჯორი
1	2	3	4	5	6
1. თბილისის გუბ. . .	1913	76.250	712.720	114.965	27.937
	1915	45.645	515.293	74.630	10.821
	1916	45.351	469.919	82.404	10.838
	1917	51.440	478.470	93.272	15.358
2. ქუთაისის გუბ. .	1913	24.048	287.443	18.643	1.530
	1915	19.065	263.335	17.698	1.031
	1916	17.562	373.767	16.492	706
	1917	18.207	399.801	20.009	943
3. ბათუმის ოლქი .	1913	5.872	82.803	2.594	1.507
	1915	1.848	35.971	1.684	380
	1916	—	—	—	—
	1917	2.945	60.519	3.331	249
4. სუხუმის ოკრუგი .	1913	14.338	62.025	20.477	1.075
	1915	12.660	61.033	19.812	611
	1916	14.277	112.276	27.563	409
	1917	15.704	102.858	28.202	512
ს უ ლ	1913	120.508	1.144 991	156.679	32.049
	1915	79.218	875.632	113.824	12.843
	1916[1]	77.190	955.962	126.459	11.953
	1917	88.296	1.041.648	144.814	17.062

[1] ბათუმის ოლქის გამოკლებით.

ზი 1918, 1916, 1917 წ. წ. ცხრილი 10

აქლემი	სულ მსხვილ-ფეხა პირუტ-ყვი	ცხვარი	თხა	ღორი	სულ წვრილ-ფეხა პირუ-ტყვი	სულ პირუ-ტყვი
7	8	9	10	11	12	13
454	932.326	1.487.756	70.520	83.208	1.641.484	2.573.810
53	646.442	1.175.758	82.513	90.176	1.348.447	1.994.889
263	608.775	845.777	72.117	54.213	972.107	1.580.882
871	639.411	1.291.913	91.944	69.922	1.453.779	2.093.190
—	331.664	80.308	54.000	166.311	300.619	632.283
—	301.129	70.801	66.751	137.067	274.619	575.748
—	408.527	85.571	52.026	187.843	325.440	733.967
3	438.963	79.866	55.415	248.318	383.599	822.562
—	92.776	55.749	27.997	120	83.866	176.642
—	39.883	1 6162	4.709	276	21.147	61.030
—	—	—	—	—	—	—
1	67.045	16.892	18.146	170	35.208	102.253
—	97 915	39.675	38.350	34.615	112.640	210.555
—	—	38.675	38.630	34.161	111.466	205.582
40	154.565	21.567	29.194	38.847	89.608	244.173
30	147.306	25.774	31.266	38.312	95.352	242.658
454	1.454.681	1.663.488	190.867	284.254	2.138.609	3.593.290
53	1.081.570	1.301.396	192.603	261.680	1.755.679	2.837.249
303	1.171.867	952.915	153.337	280.903	1.387.155	2.559.022
905	1.292.725	1.414.445	196.771	356.722	1.967.938	3.260.663

მოსახლეობა და მეცხოველეობა ამიერკავკასიაში

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	მეურნეობათა კატეგორიები	მეურნ. რიცხვი	მოსახლეობა	ცხენი: მათ შორის მუშაკები: 4 წელ. უფრ.	ცხენი: მათ შორის მუშაკები: 4 წელ. ქვემ.	ცხენი: სულ ცხენი
1	2	3	4	5	6	7
თბილისის გუბერნია	გლეხ.ტიპ. მეურნ.	139751	845284	30182	3307	44074
	კერძო მფლობელ.	488	7071	800	150	1277
	სულ	140239	852355	30982	3457	43351
ქუთაისის გუბერნია	გლეხ. ტიპ.მეურნ.	154101	803655	12066	1101	16310
	კერძო მფლობელ.	621	5084	768	128	1252
	სულ	154722	808739	12834	1229	17562
სუხუმის ოკრუგი	გლეხ.ტიპ. მეურნ.	27198	138997	10547	607	13733
	კერძო მფლობელ.	89	2252	411	30	544
	სულ	27287	141249	10958	637	14277
ბაკოს გუბერნია	გლეხ.ტიპ. მეურნ.	36653	191712	18529	1959	25622
	კერძო მფლობელ.	432	5813	587	55	794
	სულ	37085	197525	19116	2014	26416
ელისავეტპოლის გუბერნია	გლეხ.ტიპ. მეურნ.	128897	747576	38455	4666	55270
	კერძო მფლობელ.	1723	15022	2333	582	4144
	სულ	130620	762598	40788	5248	59414
ერევნის გუბერნია	გლეხ.ტიპ.მეურნ.	148597	842016	17849	2193	25937
	კერძო მფლობელ.	181	2064	161	40	294
	სულ	148778	844080	18010	2233	26231
	ჯამი	638730	3606546			187251

[1] ბათუმის ოლქსა და ზაქათალის ოკრუგში აღწერა არ ჩატარებულა.

1916 წ. აღწერის წინასწარი ცნობებით

ცხრილი 11

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი კამეჩის გარდა			კამეჩი		ცხვარი		თხა
			მათ რიცხვში				
ხარი	ძროხა	სულ მოზარდ-დის ჩათვლით	სულ	მეგა	სულ	მათ რიცხვში დედები	სულ
8	9	10	11	12	13	14	15
157550	137767	459840	81571	41875	809229	579387	71071
1279	5082	10079	826	391	36548	31870	1046
158829	142849	469919	82404	42266	845777	611257	72117
133762	114923	35837	16322	6951	64707	58756	46187
1501	6471	15390	160	63	20864	20367	5839
135263	121394	373767	16492	7014	85571	79123	52026
14410	49821	111673	27404	8523	21484	15848	29159
123	231	603	159	47	83	64	35
14533	50052	112276	27563	8570	21567	15912	29194
8188	42144	98104	51356	12957	100692	85728	11643
86	471	1181	593	83	2282	1617	271
8274	42615	99285	51949	13040	102974	87345	11914
75455	134900	38985	102106	44596	665014	531480	76407
2268	5747	16638	4250	1613	47140	44582	1768
77723	140647	406533	106356	46209	712154	576062	78175
131930	141738	461012	45297	—	880560	—	17989
199	476	1229	287	—	7927	—	736
132129	142214	462241	45584	—	888487	—	180725
		1924021	330343		2656530		424151

მოსახლეობა და მეცხოველეობა ამიერკავკასიაში 1916 წ. აღწერის წინასწარი ცნობებით.

ცხრილი 11 (გაგრძელება)

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	მეურნეობათა კატეგორიები	თხა: მათ რიცხვში დიდები	ღორი	აქლემი	ცხენი	სულ პირუტყვი
1	2	16	17	18	19	20
თბილისის გუბერნია	გლეხ.ტიპ. მეურნ.	52596	52933	249	10746	1529720
	კერძო მფლობელ.	846	1280	14	92	51162
	ს ულ	53442	54213	263	10838	1580882
ქუთაისის გუბერნია	გლეხ.ტიპ. მეურნ.	40095	156540	—	670	689123
	კერძო მფლობელ.	4885	1303	—	36	44844
	ს ულ	44980	187843	—	706	733967
სუხუმის ოკრუგი	გლეხ.ტიპ. მეურნ.	20420	38656	40	397	242546
	კერძო მფლობელ.	28	191	—	12	1627
	ს ულ	20448	38847	40	409	244173
ბაქოს გუბერნია	გლეხ.ტიპ. მეურნ.	9285	5146	396	583	293542
	კერძო მფლობელ.	192	114	1	4	5240
	ს ულ	9477	5260	397	587	298782
ელისავეტპოლის გუბერნია	გლეხ.ტიპ. მეურნ.	63514	4813	813	22866	1318614
	კერძო მფლობელ.	1512	248	51	424	74663
	ს ულ	65026	5061	864	23290	1393277
ერევნის გუბერნია	გლეხ.ტიპ. მეურნ.	—	283	4663	17503	1615244
	კერძო მფლობელ.	—	15	191	90	10769
	ს ულ	—	298	4854	17593	1626013
			291522	6418	53423	5877094

პირუტყვის რაოდენობა ამიერკავკასიაში 1915 წელს

ცხრილი 12

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	ცხენი	ვირი	ჯორი	მსხვილფეხა რქოვანი	კამეჩი	ცხვარი	თხა	აქლემი	ღორი	სულ
1. ბაქოს გუბ.	70.999	13.005	52	396.597	155.140	1.028.545	43.992	9.836	4.009	1.722.175
2. ბათუმის ოლქი	1.848	235	45	35.971	1.684	16.162	4.709	—	276	60.930
3. განჯის გუბ.	57.955	22.544	5.797	592.141	156.693	1.087.529	101.246	2.235	15.456	2.041.596
4. ზაქათალას ოკრ.	3.822	333	—	44.078	33.812	87.483	16.740	—	11	186.279
5. ქუთაისის გუბ.	19.065	527	504	263.335	17.698	70.801	66.751	—	137.067	575.748
6. სუხუმის ოკრ.	12.660	304	307	61.033	19.812	38.675	38.630	—	34.161	205.582
7. თბილისის გუბ.	45.645	10.821	631	515.293	74.630	1.175.758	82.513	53	90.176	1.995.520
8. ერევნის გუბ.	23.335	21.838	611	330.183	36.458	696.826	151.950	8.792	3.894	1.273.887
სულ	235.329	69.607	7.947	2.238.631	495.927	4.201.779	506.531	20.916	285.050	8.061.717

ბირუტყვის რაოდენობა საქართველოში 1917 წ[1]. ცხრილი 13

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	მეეურნეობის საერთო რიცხვი	მათ შორის: პირუტყვიანი	სრულიად უპირუტყვო	უმუშო პირუტყვო	უძროხო	ცხენი: მათ შორის მუშა ცხენი 4 წლამდე	4 წელზე ზევით	ცხენის საერთო რიცხვი	აქლემი	ვირი	ჯორი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
თბილისის გუბერნია	135.413	104.443	30.970	48.648	58.906	12.428	29.403	51.440	871	14.397	961
ქუთაისის გუბერნია	156.494	140.566	15.928	65.697	52.008	626	14.251	18.207	3	559	384
სუხუმის ოკრუგი .	25.738	23.914	1.824	8.943	5.034	296	12.702	15.704	30	414	98
სულ .	317.645	268.923	48.722	123.288	115.948	13.350	56.356	85.351	904	15.370	1.443

ცხრილი 13 გაგრძელება

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	მსხვილფეხა პირუტყვი (კამეჩის გარდა): მათ შორის მუშა ხარი	ძროხა	სულ მოზარდის ჩათვლით	კამეჩი: სულ	მათ რიცხვში მუშა	ცხვარი	თხა	ღორი	პირუტყვის საერთო რაოდენობა
1	13	14	15	16	17	18	19	20	21
თბილისის გუბერნია	156.872	151.044	478.470	93.272	42.089	12.919.13	91.944	69.922	2.093.190
ქუთაისის გუბერნია	145.718	132.201	399.801	20.009	7.956	79.866	55.415	248.318	822.562
სუხუმის ოკრუგი	13.539	48.314	102.858	28.202	8.434	25.774	31.266	38.312	242.658
სულ .	316.129	331.559	981.129	141.483	58.479	1.397.553	178.625	356.552	3.158.410

[1] „1917 წ. სასოფლო-სამეურნეო და საადგილმამულო აღწერა", გვ. 56—59.

შინაური პირუტყვი მოსახლეობის 1000 სულზე 1909 — 1918 წ.წ.[1]

ცხრილი 14

ქვეყნების დასახელება	ცხენი		მსხვილრქიანი პირუტყვი		ცხვარი		ღორი	
	1909 წ.	1918 წ.	1909 წ.	1918 წ.	1909 წ.	1918 წ.	1909 წ.	1918 წ.
1. ავსტრია	66	63	364	321	100	85	179	225
2. ბელგია	34	35	250	242	25	—	150	185
3. დიდი ბრიტანეთი და ირლანდია	49	56	264	282	715	620	80	71
4. გერმანია	70	49	333	300	124	75	357	255
5. დანია	198	192	834	710	269	157	543	208
6. ესპანეთი	25	27	116	155	775	825	115	188
7. იტალია	28	27	184	170	332	320	75	64
8. ნიდერლანდები	56	56	346	305	152	96	215	89
9. ნორვეგია	71	80	481	397	593	454	142	80
10. ფინეთი	115	117	526	515	363	427	78	136
11. სერბია	65	52	358	329	1176	1312	338	297
12. საფრანგეთი	82	61	363	336	440	248	185	120
13. შვეიცარია	38	33	385	389	43	58	152	93
14. შვეცია	106	123	498	445	187	243	168	109
15. არგენტინა	1.162	1.056	4.492	3.275	10.392	5.421	217	368
16. ბრაზილია	300	226	1.263	1.077	434	268	757	644
17. კანადა	297	420	1.007	1.170	377	355	405	499
18. კუბა	250	286	1.385	1.508	—	—	—	—
19. ა. შ. შტატები	229	203	751	646	622	461	520	703
20. ურუგვაი	534	402	7.857	5.659	25.210	8.321	173	220
21. იაპონია	31	28	27	23	—	—	6	16
22. ავსტრალია	468	506	2.553	2.423	21.202	17.216	177	237
23. ახალი ზელანდია	401	341	2.003	2.589	23.889	23.949	346	233

[1] ნაანგარიშებია ნაჩვენებ წელთან ახლო მონაცემების მიხედვითაც. იხ. „Мировое сельское хозяйство“ (сб. стат. экон. свед. за 1913—1920 гг.), М., 1922. стр. 152—159.

პირუტყვის მთავარი სახეების რაოდენობა და ხვედრიწონა მოსახლეობის მიხედვით საქართველოში 1913 — 1917 წწ.

ცხრილი 15

წლები	პირუტყვის საერთო რაოდენობა აბსოლუტ. მონაც.				ორივე სქესის მოსახლეობის 100 სულზე მოდიოდა			
	ცხენი	მსხვილფეხა რქიანი	ცხვარი და თხა	ღორი	ცხენი	მსხვილ-რქიანი	ცხვარი და თხა	ღორი
1913	120.508	1.301.670	1.854.400	284.254	5,3	57,3	81,7	12,5
1916	77.190	1.082.421	1.106.252	280.903	4,3	60,1	61,4	15,6
1917	88.296	1.186.462	1.611.216	356.722	4,5	60,8	82,6	18,3

მესამე ტომის დასასრული

ს ა ძ ი ე ბ ლ ე ბ ი

1. ს ა კ უ თ ა რ ს ა ხ ე ლ თ ა ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

აბაზაძე ნ. — 41—42
აბაზაძე — 617
აბაშიძე დ. — 367
აბაშიძე — 542
აბელოვი ნ. — 145, 189
აბესაძე ნ. — 656—657, 661, 733, 763
აბზიანიძე ნ. — 665

აბოვიანცი ს. — 798
აბულაშვილი ი. — 789
აბულაძე ი. — 656
აბხაზი ნ. — 737
აგლაძე დ. — 781
ადიგეზალოვი — 536, 539
ავალიშვილი ნ. — 61
ავგერინო — 235
Авдеев М. — 304—306, 309, 394, 419
ალექსეროვი გაჯი ალი ჯაფარ — 419
ალექსანდრე ბატონიშვილი — 133
ალექსანდრე, კახეთის — 661
ალექსეევ-მესხიევი ი. — 692
ალექსეევი — 690
ალიფინი — 137
ამილახვარი გ. — 167
ამირეჯიბი კ. — 98
ანანოვი — 15, 56, 78, 574, 612—613
ანდრონიკაშვილი ზ. — 738
ანდრონიკაშვილი ი. — 223, 295, 297, 300, 304, 306, 309—310, 419, 443, 509, 514—515, 530, 532, 540, 542, 544, 554—555, 589—590, 613.
ანდრონიკაშვილი მ. — 712
ანდრონიკაშვილი ს. — 78, 739
ანთაძე ი. — 131, 155, 197
ანჩაბაძე — 542
ანჯაფარიძე ა. — 694
Арасханянц А. — 184, 235—237
არგიშტი, ურარტეს მეფე — 443, 582
არდასენოვი — 92, 120
არამიანცი — 114
Арутинов Г. — 102
არუთინოვი — 419
არღუთინსკი-დოლგორუკოვი ა. — 35—38, 41, 100, 239, 341 — 342, 513, 520. 592, 794
არჯევანიძე — 540
ასად-ბეგი — 536
აუფერმანი — 91
აღა-მაჰმედ-ხანი, ირანის შაჰი — 534
აღალაროვი — 536
აღმაშენებელი დავით — 585—586
ახვერდოვი — 669
ახვლედიანი ნ. — 338, 518, 795—797

ბაგრატიონი ი. — 14
ბარიატინსკი ა. — 131
Бартольд В. — 130
ბასილ დიდი — 438
ბატალინი — 297
ბაქრაძე დ. 22, 266
ბახტაძე ი. — 219, 264, 495
ბახტაძე გ. — 756, 758, 763
Bages J. — 181.

ბებუთოვი ლუთფალი ბეგ — 548
ბეზმენოვი ნ. — 97

1. შეადგინეს ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა ეკონომიკურ მეცნ. კანდიდატებმა ლ. ს ა დ უ ნ ა შ ვ ი ლ მ ა — საკუთარ სახელთა; მ ე რ ი ი ს ხ ა კ ო ვ ა მ და ა. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ მ ა — გეოგრაფიულ სახელწოდებათა; მ ა რ ი კ ა პ ა ნ ე ლ მ ა, მ ე რ ი ძ ი ძ ი შ ვ ი ლ მ ა, ვ. კ უ რ ც ხ ა ლ ი ა მ და გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე მ — საგნობრივი საძიებელი.

ბეკლემიშევი — 665
ბელი პატრიკ — 62, 178
ბენკენდორფი ა. — 684
ბერძენიშვილი ნ. — 134, 147
ბიბერშტეინი — 665
ბილანიშვილი ზ. — 596
ბიხოლდტი ვ. — 97
ბობინინი ნ. — 704
ბოგდანოვი ა. — 584
ბოგოლიუბსკი ს. — 580
ბოლდუინი — 67
ბოლოტოვი ტ. — 515
Боле И. — 658
ბოცვაძე ს. — 756, 758
Bohm J. — 583.
Брылинский И. — 194
Бржозовский В. — 504
Буден — 604
ბურნაშევი ს. — 259
ბურგარდი — 235
ბურჯანიძე გ. — 728
ბუნიატოვი ს. — 480
Бутков П. — 663

გაბა — 178, 196
გაბლიანი ე. — 9
გაბუნია კ. — 419
გაბაიდულინი ა. — 659, 671, 735 — 736
გავრილოვი ნ. — 420
Gamba — 9, 573, 674, 677
გარეტი — 67—68
გარეჯელი გ. — 50—51, 73—75, 106.
Герсеванов М. — 180
გარდნერი ტ. — 235
გაჯი აბდულ რახმანი — 536
გედევანიშვილი რ. — 451, 517
გეევსკი — 451, 578, 712
გენა — 107—108
Генко — 6
გეელსიანი გ. — 92
გვრიტიშვილი პ. — 540
გვილდენშტედტი ი. — 659
Гиббинс Г. — 658
გიორგი მეფე, ვახტანგის ძე — 28
გიორგი XII — 620
გიორგაძე ბ. — 340
გიუზალიანი ტ. — 244
Гладков И. — 421
გოგიჩაიშვილი ფ. — 21, 35, 426
გოზალიშვილი გ. — 658
Гончаров А. — 568—569
გოთუა პ. — 420
გორბაჩოვი კ. — 712, 726
Горячкин В. — 77
გოგოტაშვილი გ. — 654
გოცირიძე ნ. — 605
გრიბოედოვი ა. — 225, 510
გრუზინსკი ი. — 538
გულბაათიშვილი ვ. — 93, 450
გულიევი ლ. — 419
გულისაშვილი შ. — 27
გულიშამბაროვი სტ. — 637
გურამიშვილი დ. — 657
გურიევი — 667

დადეშქელიანი ლ. — 419.
დადიანი დ. — 14, 219, 262, 266, 273.
დადიანი ვ. — 504, 542
დადიანი კ. — 259
დავით აღმაშენებელი — 585—586
დათიევი — 826
დანილევსკი კ. — 371
დანილოვიჩი რ. — 100, 307, 552
დარეჯანიშვილი — 712
Дебу — 67
დებიტამი — 576—577, 781
დედაბრიშვილი შ. — 450
დეიჩმანი ა. — 55, 712, 723, 737.
დეკაპრელევიჩი ლ. — 208—209, 257, 267.
Дервиз, фон — 9, 513—514, 530, 542, 606
Живилегов Л. — 658
დიასამიძე დ. — 219, 712
Дингельштедт В. — 144, 146, 180—181, 184
Докучаев В. — 95, 361—363
დომენტი კათალიკოზი — 28
დოლგორუკოვი ვ. — 684
დონდუკოვ-კორსაკოვი მ. — 684
დრეიფუსი ლ. — 235
დრობოგლავი ა. — 642, 646 — 648
დუდნევი დ. — 451
Дюкруаси И. — 44
Дубровин Н. — 783

Егиазаров С. — 139—140, 146, 150, 152—153, 155, 171, 420
ევანგულოვი ა. — 230, 308, 345, 785

Евецкий О. — 265, 273
ეინათოვი მ. — 151
ეკატერინე II — 663
ეკერტი — 95, 107 — 108
ელი ჯონ — 57
ელჩინი თ. — 257
ემერიხი — 687, 766
ემუხვარი — 542
ენგელსი ფ. — 158, 399, 401—402
ენუქიძე თ. — 145
ერისთავი გრ. — 161 — 163
ერისთავი რ. — 9, 610, 612, 621—622, 624, 686, 692
ერისთავი ვ. — 753
ერეკლე II — 143, 534
ერიცოვი ა. — 50, 169, 262, 530, 532
ერმოლოვი ა. — 222, 573, 672—673, 678
Эссен А. — 191, 198
Эфендиев М. — 734
ექსელბირტი — 91

ვარაზინი პ. ს. — 455, 458, 470—471
ვართანოსოვი მ. — 97
ვარონი — 583
Вартанянц В. — 231, 290, 387, 566
ვასილიევი ს. — 662
ვახტანგ V — 134
ვახტანგ VI — 7—8, 18—19, 28—29, 133, 145 — 148, 164, 183, 196, 240, 340—341, 463, 465, 510, 661
ვახტანგ გორგასალი — 133, 196
ვახუშტი ბატონიშვილი — 133—134, 196, 258—259, 261, 340, 362, 499, 581, 610, 619—620 344—345
Вейсенгоф С. — 137, 146, 152—153, 155, 178—179, 184, 186
ველისციხელი ნ. — 158—159, 344 — 345
Вермишев Х. — 9, 22, 35, 37, 42, 65, 79—80, 83, 86—87, 128, 151, 216, 236, 240—241, 271, 300, 345, 419, 476, 489, 495, 500, 501, 515, 589
ვესელოვზოროვი მ. — 419
ვერეშჩაგინი — 795
ვიზიროვი — 169, 369, 370
ვინტერი — 67
ვოიეიკოვი — 180, 638
ვორონცოვი მ. — 12, 227, 535, 573, 683
Воронцов-Дашков И. — 193 · 194, 347
Воронежский — 801
ვორონინი — 719
ვრანგელი — 219

Заваров С. — 9, 30, 90, 138—139, 343, 345, 385, 387, 564—565, 567
ზაიფერტ — 635
ზახაროვი — 257
ზეიდლიც ნ. — 604, 712
ზელინსკი ს. — 239, 297, 508, 605
Земмель Ю. — 59, 108—110
ზიულლადაროვი — 536, 539—540, 548
ზუბალაშვილი ს. — 219, 628

თავდგირიძე ნ. — 420, 723
თამარ მეფე — 132, 136
თარხნიშვილი — 466
თაყაიშვილი ე. 148, 596
თაყაიშვილი თ. — 256
თედორაძე მ. — 62
თეიმურაზ II — 619
თემურლენგი — 129
თუმანიშვილი ნ. — 167—168

იაგოდინსკი — 591
იაკიმოვი — 138
იანოვსკი — 671, 735
Ямпольский З. — 358
იაშვილი ნ. — 756, 758, 763
იბრეჰიმ-ხანი — 534
იგითხანოვი — 540
იედიგაროვი — 539—540
იევლევი — 257
ივანოვი ვ. — 710, 712
ივანოვი მ. — 571
ივანოვი ნ. — 98, 138
იოანე ბატონიშვილი — 621
იოსელიანი ე. — 21, 219, 712
იოსელიანი ი. — 50, 52, 55, 92, 94, 98, 106—107,
იოსელიანი პ. — 620
Исаев М. — 781, 783, 804
Исмайлов М. — 119—120, 407, 535, 690

ისმაილ-ხანი — 734
იულონ ბატონიშვილი — 133.

კავალინი ჯოვანი — 67
კაკაბაძე ს. — 132, 256, 259, 660—661
კალაძე ა. — 756, 758, 763
კალატუზოვი — 199
Кальвейт Э. — 9, 359—360, 543, 568, 614
Каллестинов Д. — 451—452, 800, 819
კალინინი მ. — 363
კალუგინი ი. — 579—580, 586—587
Каменский В. — 484—485, 577
კამსარაკანი ს. — 119, 358, 373
კანანოვი — 197
კანკრინი — 11, 223, 679
Канчер Е. — 87, 95, 97, 105
Канцельмахер — 618, 793, 800
Капорулин К. — 59
კარბელაშვილი ე. — 644—645
კარბელაშვილი ლ. — 450, 572
კარლი დიონიჯიო — 340
Карнаухова М. — 381, 410
კასტელა — 668, 673-674
კასუმოვი — 544
კაუცკი კ. — 432
კახაძე მ. — 438
კახეთელიძე მ. — 339, 772, 826
კეზელი დ. — 591
კერი ჰ. — 335—337
კესერი — 91
კეცხოველი ნ. — 218—219, 596
კვიტკა პ. — 119, 357
Klaproth — 367.
კასუმ ოღლი გაჯი სულთან — 802
Клинген И. — 404
კნორინგი, გენ. — 665
კოვალენსკი პ. — 665
კოლიჩევი ა. — 420
Колеснев С. — 363
კონსტანტინოვი ო. — 227
კოსტანაშვილი — 789
კოტეტიშვილი ვ. — 39, 220
კრაუზე — 91
კრასნოვი ა. — 363
კრიშტოფოროვიჩი — 114
კუკი ჯემს — 67
კულეშოვი პ. — 584, 780
Кулишер И. — 68, 662
კუჩაევი მ. — 94
კუჩენბახი, ფონ — 519—521, 548
კუხელი ი. — 694, 730

ლავრენტიევი — 263, 273, 613, 686
Lydekker — 583.
ლამბერტი ა. — 256—257, 296, 659
Латышев В. — 129
ლენინი ვ. — 78, 80—81, 86—87, 100, 122, 201—203, 253, 382—383, 399—400, 402—403, 406, 421, 442, 562, 793, 799.
ლეონიძე ლ. — 438
ლერისიე ა. — 712
ლეხურელი გ. — 629—630, 640
ლინდე — 705
ლიოკაობიტოვი ვ. — 675—676
Lipson E. — 64
Лискун Е. — 516, 518
ლისტი გ. — 11
ლიტვინოვი პ. — 221, 347, 611, 667
Литошенко Л. — 94
ლიუბომიროვი პ. — 660
ლოკატელი — 67
ლომოური ი. — 68, 217, 219, 630.
ლორთქიფანიძე ს. — 419
ლოსაბერიძე ა. — 131—132
ლუარსაბი, მეფე — 28
ლუკაშვილი დ. — 420
Лященко П. — 405—406, 416

მადათოვი — 535—536
მაევსკი ი. — 194
მაკალათია ს. — 9, 257, 511—512
Макаров — 450
მაკედონელი ა. — 658
მაკ-კორმიკი — 62
მამალაძე — 740
მამაცაშვილი ი. — 450
მამაცაშვილი ქ. — 99, 219
მამედოვი მ. — 802
მამულაიშვილი ა. — 131
მანაფოვი ა. — 802
მანთაშევი — 114
მარგულესი ჰ. — 635
Марко-Поло — 659
მარკოვი თ. — 342, 349, 365
მარრი ნ. — 605—606

მარქსი კ. — 23, 33, 143, 158, 336 — 337, 339, 401 — 402, 563, 776 — 777
მარლანია — 542
მარშანია — 542
მასლოვი ს. — 707.
მატვეევი ნ. — 200—201
მაღალაშვილი თ. — 666
მაჩაბელი მ. — 593—594, 597—598
მაჩაბელი ი. — 49, 166, 472
მაჩაბელი ს. — 35, 175, 239, 366, 621, 625, 645
მაჭავარიანი — 297
მაჭავარიანი ი. — 631, 633
მაჭუტაძე დ. — 288, 542
მახარაძე ფ. — 255
მგალობლიშვილი ს. — 686
მეიკლი ა. — 57, 59
მელაძე კ. — 694, 758
მელია ი. — 419
მელიქიშვილი გ. — 208
მელიქიშვილები — 818
მენაბდე ვ. — 209, 216, 219—220, 262
Мерхалев Д. — 396
მესხი ს. — 181, 338.
მეუნარგია ი. — 14, 262, 266 — 267, 273, 687
მეშჩერსკი ნ. — 547
მეხტიევი ქერბალაი დადაშ — 802
მთაწმინდელი გიორგი — 438
Миддендоф А. — 297
მირზა ახმედ ბეგი — 536
მირზაიანცი ს. — 154
მიქელაძე გ. — 53
მიშკარაბაში ი. — 133
Михайлов Е. — 662. 711—712
მკურნალი ნ. — 53, 343, 562, 628, 631—632, 635, 640—644, 798.
მოლჩანოვი ვ. — 420
Морэтт Ф. — 746
მოჩხუბარიძე ა. — 445, 590, 599, 788
მურადოვი — 789
მუხიანიძე ნ. — 451
მუხრან-ბატონი ი. — 14, 56, 60, 66, 78—79, 82, 84—85, 8:, 143, 548, 617.

ნადირ-შაჰი — 534, 541
Назарянц Т. — 190
ნათიშვილი — 98
ნათიევი ა. — 97
ნაკაშიძე მ. — 419, 542
ნატროშვილი ა. — 451, 509, 512, 572, 657, 659, 786, 790.
ნახუცრიშვილი გ. — 65
ნეიფელდტი — 235
ნემსაძე გ. — 656
ნენიგერი — 14
ნიკოლაი ა. — 71, 78, 117, 537, 556
ნიკოლაძე ნ. — 211
ნიკოლაევი — 719
Никольский В. — 218
ნიურიბეგოვი ბეიუქ ბეგ — 536
Новосильцов А. — 298, 803
ნოსოვიჩი დ. — 625
ნურიბეგოვი ჯანგირ ხან — 548

Одынец Р. — 75
ორბელიანი გ. — 541, 692
ორბელიანი მ. — 219
ორბელიანი ს. ს. — 219, 437—438, 464, 506, 529, 533, 541, 551, 571, 603, 607, 619, 657.
ორბელიანი ყ. — 692
ორბელიანი — 540, 548
Орлов Н. — 635, 638
ორჯონიკიძე ს. — 201, 203

ოქრომჭედლიშვილი ი. — 690
პაველ I — 663
Павлов Г. — 451
პალადიუსი — 61
პარეიცი — 99, 239
პასქალიდი — 729
პაპენმაიერი — 91
პეტრე I — 662
Петрович П. — 174, 179, 201, 293, 348, 356
Петрушевский И. — 735
Петцольд — 9, 17
პეოვაროვი — 91
პილადი — 235
პინდარი — 7
Пиотровский Б. — 129, 208, 262, 443, 582
პლინიუსი — 61
Полиевктов М. — 257, 659
Понятовский С. — 450
Праховенский Р. — 792
პრიცკერი — 650

Навроцкий М. — 190
პროში — 450—451
Псарев М. — 127, 140, 144, 172, 180, 184
პტოლომე — 658
Пыльцов Н. — 142, 297, 303—304, 498

ჟადოვსკი ა. — 684
ჟანგირაშვილი გ. — 630
ჟილინსკი ი. — 190
Жирнов А. — 539
ჟორდანია ნ. — 427, 431, 757
ჟორდანია თ. — 20, 25; 28, 262, 465, 510
ჟუკოვი — 191
ჟუკოვსკი პ. — 262

რაზმორდიუკი — 686—687
რაიკო ნ. — 686, 707
რანსომი — 107
რებროვი ა. — 707
Reineggs J. — 659.
რზაბეკოვი ა. — 802
Риттер К. — 658
რიშარი ი. — 234
რიხნერი — 235
რობაქიძე ალ. — 21, 28, 39, 42—43.
Robertson R. — 62, 280
როდოსელი აპოლონ — 7
როზენი — 678
რომანოვი მ. — 468, 521
რომანოვი ნ. — 419
Рожкова — 670—671, 678—679, 682
Россинский Д. — 658
როსტომ მეფე — 465
როსტომაშვილი ი. — 450—451, 616, 628—629, 648
როსტომბეგოვი აბდულბეგ — 536
როსჩუპკინი გ. — 781
Руднев Д. — 522
რუსა, ურარტუს მეფე — 128
რუსიაშვილი ა. — 450
რუხქიანი — 588
რჩეულიშვილი მ. — 752, 579—582, 584, 587
რცხილაძე ვ. — 114
Рыбушкин — 662

საკოვა ლ. — 581
საბაშვილი მ. — 363
Сакк Р. — 77, 107
სალმონი — 67
სარდური — 443, 582
Саркисян М. — 190, 345, 544
საფაროვი ა. — 578, 597, 663, 787, 791
სახოკია თ. — 216, 501—502, 508, 511, 543, 606
საჯაია — 427
Сегаль И. — 142, 250—251, 304, 343, 539, 545, 605, 683, 696—697, 724, 742, 751, 798
Серебряков И. — 5—6, 8, 16, 60, 65, 98, 151, 690
Сомнинч Н. — 59
Ситовский Н. — 450, 712
სიხარულიძე ჭ. — 596
Скибицкий М. — 470, 475, 485—486, 495—496, 553.
სლივიცკი — 546
Смецкий Н. — 451
სმირნოვი ვ. — 568
სმირნოვი ა. — 217, 374
სოფიევი ა. — 542
სტაროსელსკი ი. — 54
სტალინი ი. — 125, 127, 375, 430, 432
სტევენი ჭ. — 666
სტეკალოვი — 223
სტეპუნ — 91
სტრაბონი — 129
სტრაჟევსკი — 419
სტრუვე გ. — 360, 712
სტუკენი — 789
სულთანოვი ალი აღა — 544
სულხანიშვილი ი. — 49, 78, 65
სულხანიშვილი მ. — 712
სუმბათაშვილი მ. — 419
Сумбат-Заде А. — 119, 407, 535, 690

ტაგაბეკოვი — 169
Таратынов Н. — 172, 297—299, 388, 452
Тамамшев А. — 451, 516—517, 588, 826
ტარლოვსკი — 139
ტატიშვილი — 98
ტერნერი — 59
ტერ-პეტროსიანცი კ. — 156
ტერ-სთეფანოვი — 102, 120
ტიმოფეევი ს. — 210, 267, 285, 292—293, 296, 616.

ტიხეევი — 189, 384
Толочанов — 257
ტორმასოვი — 667, 669
ტრევიტიკი — 60
ტრესკოვსკი ვ. — 527
ტრიბოდინო კ. — 677, 680, 684
ტუგანოვი — 540
ტული ჯეტრო — 67—68
Туркин Е. — 526, 614, 799
Тускаев П. — 452, 548
ტყემალაძე ს. — 419

უგურლუბეგოვი — 536
უიტნი ჯ. — 69
უმიკაშვილი პ. — 8, 18, 134, 148, 240, 340
უმციეევი — 169
უოლრიჯი — 67
ურბნელი ნ. — 49, 72—73
უსეინოვი გაჯი დადაშ — 802
უსლარი პ. — 145
უტეი — 91
ფანასკერტელ-ციციშვილი დ. — 657
ფანა ხანი — 534
ფარაჯულა ბეგი — 536
ფაღავა — 542
Федотов К. — 13, 44, 102—103, 117
ფეიქრიშვილი — 53, 92, 100
ფირალიშვილი ა. — 345
ფლეტერი — 107—108
ფორერი — 78, 548.
Фортунатов А. — 294
Franklin T. — 57.
ფრიდონიშვილი — 789
ფურცელაძე ა. — 163, 338—339, 815
ფურცელაძე დ. — 133, 148, 196—197, 712
ფხაკაძე გ. — 262, 655, 658

ქადაგიძე დ. — 780
ქავთარაძე გ. 426
ქალანთარი ა. — 51, 345, 459, 461, 478, 497, 516—517, 523, 525, 529, 540, 546, 575—576, 578—579, 604, 781.
ქვარიანი ს. — 59, 285
ქუთათელაძე ი. — 701, 705, 712, 728, 731, 743, 748, 750
ქურდიანი ი. — 123

ღამბაშიძე დ. — 277, 637—638, 642, 764
ღვინეფაძე შ. — 720

ყაერიშვილი ბ. — 127
ყაზბეგი ა. — 445, 590, 598, 788
ყაზვინი ზ. — 584
ყანდაურალოვი პ. — 349
ყაუხჩიშვილი ს. — 7, 586, 658
ყორღანოვი სტ. — 151, 485, 488
შაბლოვსკაია მ. — 733
Шадинов Г. — 451, 617

შაეროვი ნ. — 658, 686, 688, 691, 696, 710, 712, 743, 748—751
შალიკაშვილი ს. — 739
Шан-Гирей — 189
შანიძე ა. — 22
შარაშიძე ნ. — 283
შარვაშიძე — 542, 617
Шарден Ж. — 260—261, 610, 617, 659
შაუმოვი — 789
შემოქმედელი ლ. — 429
შერემეტიევი — 282
შირამი ხან ოღლი — 169
შმიდტი ვ. — 451
Шопен И. — 484, 607, 620, 673
შტეკელი — 91
შტრანკი — 426

ჩარტორიისკი — 534
Черных А. — 654
ჩერნიშევსკი ნ. — 664
ჩერქეზიშვილი — 542
ჩილინგარიანი გ. — 728
ჩინგის-ყაენი — 129
ჩირაქე — 644
ჩიტაია გ. — 6, 9, 363, 660
ჩიქოვანი ი. — 419, 695
ჩიქოვანი მ. — 596
ჩიჩუა გ. — 542, 663—665
ჩიჯავაძე — 687
ჩოლოყაშვილი ერ. — 98
ჩოლოყაშვილი — 712
Чурсин Г. — 22
ჩხეიძე ვ. — 291
ჩხეიძე ს. — 196

ცაგარელი ნ. — 543
ციციანოვი პ. — 138, 227, 534—535, 672

ციციშვილი ი. — 367, 466
ცურმილინი, ფონ. — 184
ცურტაველი ი. — 656
ცხაკაია მ. — 477

ძეგველოვი — 426

წერეთელი გ. — 211
წერეთელი ვ. — 195
წერეთელი — 539—540, 542, 548
წულუკიძე — 542

ჭავჭავაძე ა. — 71, 224, 229, 737
ჭავჭავაძე დ. — 737—738
ჭავჭავაძე ი. — 7—8, 47—48, 60, 62—64, 135—136, 180, 210—213, 237, 245—246, 252—253, 282—283, 369—370, 409—410, 413—415, 454, 476—477, 480—482, 491—492, 503, 545, 604, 715
ჭავჭავაძე მ. — 420
ჭავჭავაძე ნ. — 541
ჭალელი ვ. — 693, 752
ჭიჭინაძე — 617
ჭყონია — 257

ხადილ-ბეგ-ხას-მამედოვი — 419
ხანაგოვი ა. — 146, 169, 190—191
ხანიველაშვილი ი. — 98
ხატისოვი ა. — 419
ხატისოვი ი. — 345, 575, 613, 622
Хаханов А. — 22, 41—42
ხიდაშელი შ. — 132
ხიზანიშვილი — 73
ხომერიკი ნ. — 430—431
ხონელი მ. — 139
ხოშტარია ა. — 426

Хромов П. — 381, 765
ჯაბარი მ. — 639
ჯავათ ხანი — 138
ჯავახიშვილი ივ. — 4—5, 132, 207, 209—210, 216, 219, 256, 261—262, 296, 581, 656
ჯავახიშვილები — 466
ჯამბაკურ-ორბელიანი მ. — 574
ჯამილინსკი მაჰმედ ბეგ — 536
ჯანაშვილი ი. — 334—337
ჯანაშვილი მ. — 196, 295
ჯანაშვილი — 712
ჯანდიერი ვ. — 35—36
ჯაფარიძე გ. — 733
ჯაფარ ყული აღა ახმედ ხანი — 536
ჯევანშირი — 129, 146, 501, 536—537
ჯიქია ს. — 148—149, 256, 258, 487
ჯორჯაძე დ. — 541
ჰეროდოტე — 7
Haxthausen A. — 129, 152 — 153, 155—156, 265 – 266,573, 607
ჰეროდოტე — 7
Hall W. — 181

2. გეოგრაფიულ სახელწოდებათა საძიებელი

აბარანი — 244
აბაშა — 91, 428, 625, 637, 753, 762—763
აგარა — 502
აგდამი — 753
აგდამის მაზრა — 586
ავსტრალია — 237, 245, 355, 404, 791, 847
ავსტრია — 235, 353, 636, 688, 709, 803, 847
აკვალა — 191
აზერბაიჯანი — 119, 124, 128—129, 170, 202—203, 220, 226, 232, 302—303, 315—319, 386, 389—390, 408, 430, 432, 443, 460—461, 467, 501, 536, 568—569, 579—580, 586—587, 608, 626, 648, 661, 671, 680, 696, 700, 733—734, 740—741, 742, 749, 782, 784, 805—811, 814, 819—821, 823, 826
აზია — 256, 403, 654
აკეთი — 753
აკულისი — 698, 753
ალაზანი — 131—132, 136, 181, 193, 203, 360, 666
ალის ველი — 658
ალბანეთი — 129, 443
ალექსანდერსდორფი — 49
ალექსანდრია — 585
ალექსანდროპოლი — 91—92, 100, 111, 156, 226, 412, 552
ალექსანდროპოლის მაზრა — 5, 26, 30, 111, 238—239, 248, 258, 262—266, 348, 508, 564, 580, 781, 783
ალვანი — 479
ამერიკა — 10, 62, 92, 106, 114—115, 213, 237, 245, 252, 256, 259, 267, 274, 280, 284—286, 291, 335, 349, 398—399, 401—403, 408, 412—417
ამიერკავკასია — 3—6, 9—12 და სხვ.
ანაკლია — 282
ანდამიჩი — 726
არარატი — 244, 586
არაშენდა — 167
არაქსი — 58, 126, 130—131, 138—139, 145, 171, 180, 190, 192, 202, 307, 457, 497
არგენტინა — 355, 399, 404, 844
არდებილის სახანო — 534
არეზი — 58, 498
არეშის მაზრა — 89, 91, 111, 171, 238, 297, 300, 302—303, 457, 529, 608, 702, 781
არზრუმი — 659
არპაჩაი — 202, 497
არჯევანი — 467
ასტრახანი — 44, 138, 223, 442, 662—665, 674
ასული — 232
ატენის ხეობა — 161—162
ატტიკა — 583
აფხაზეთი — 256, 262, 371, 530, 542
აღდაში — 586, 753, 783
აქსტაფა — 91, 111, 309, 763
ამტარაკი — 244
აშშ — 259, 355, 398, 402, 653, 745, 847
აძვა — 135
აჭარა — 216, 266, 478, 502, 508
ახალბაიაზეთი — 92, 174
ახალბაიაზეთის მაზრა — 99, 238, 348, 468, 471, 484—485, 564, 577—578, 608, 783
ახალდაბა — 167
ახალი ზელანდია — 355, 847
ახალი სენაკი — 638, 762—763
ახალქალაქის მაზრა — 26, 52, 57, 240, 348, 352, 427, 461, 471, 514—516, 548, 578, 783

ახალციხე — 92, 100, 241, 273, 427, 448, 487
ახალციხის მაზრა — 42, 241, 352, 448, 468, 472, 514—515, 578—580, 635, 781
აჯიკაბული — 91, 111
აჯინაურის ველი — 457
აჯიჩაი — 139

ბაბილონი — 129
ბათუმი — 92, 111, 104—106, 113, 185, 234—236, 238, 247—249, 253—254, 269—270, 272, 276—278, 282, 293, 309, 412—413, 445, 580, 616, 618, 623, 626, 634, 636, 638, 646, 730, 744, 754, 759, 763—764, 784—785, 792, 803, 812, 826
ბათუმის ოლქი — 110, 293, 296, 311—312, 321—324, 327—328, 330, 351, 389—391, 395, 458, 460, 472, 524, 528, 549—551, 598, 600—602, 608, 614, 618, 770—771, 800, 832—838, 843
ბაკურიანი — 783
ბალაჯარა — 104—106, 390—391
ბარალეთი — 52
ბარდავი — 585
ბაქო — 91, 101—102, 104—106, 185—186, 232—235, 252, 266, 269—270, 308—309, 432, 445, 468, 471—472, 474, 477—478, 493, 495, 521—522, 524, 528, 530, 532, 537, 552, 579, 586—590, 610, 623, 674, 730, 781, 783, 785, 792, 801—802,
ბაქოს გუბერნია—50—51, 56—57 93, 110—113, 120, 137, 184, 193, 247—249, 301—303, 309, 311—312, 321—325, 327—328, 330, 332—333, 338, 351, 378, 380—381, 385, 389—390, 395, 422, 458, 460, 468, 471—472, 474, 477—478, 493, 495, 522—524, 528, 530, 532, 536, 553, 586—588, 598, 600, 602, 608, 610, 618, 701, 770—771, 773, 801, 829—840, 842—843
ბაქოს მაზრა — 218, 238, 608, 781,
ბაქტრია — 658
ბაშკიჩეთი — 783
ბახვი — 761
ბელაქანი — 683—684
ბელგია — 76, 119, 235, 353, 847
ბერლინი — 634, 636
ბერშუეთი — 135
ბესარაბია — 276
ბიზანტია — 658
ბორდო — 56
ბორჩალო — 114—115, 220, 240, 265, 296, 523, 617, 666, 744
ბორჩალოს მაზრა — 12, 30, 59, 69, 100, 238, 240, 296, 352, 389—390, 461, 468, 513, 544, 579, 666, 781, 789, 801
ბორჯომი — 91, 111, 521, 617, 818
ბოსტანქალაქი — 196, 660
ბრაზილია — 847
ბრემენი — 785, 812
ბრეთი — 135
ბრიტანეთის ინდოეთი — 355
ბულგარეთი — 353, 635

განჯა — იხ. ელისავეტპოლი
განჯის სახანო — 684
გარნი-ჩაი — 190
გენიუგი — 491
გენუა — 236
გერმანია — 180, 235, 276—277, 308, 353, 430, 653, 803, 847
გეოგჩაი — 91, 111, 144, 714, 753, 781, 783
გოგჩაის მაზრა — 193, 238, 300, 302, 448, 529, 548, 552, 781
გიბრალტარი — 236
გიუარ-არხი — 202
გორი — 91, 111, 164, 167—168, 175, 191, 265, 268, 448, 744
გორის მაზრა — 21, 26, 30, 118, 238—239, 352, 356, 367. 579—580, 626, 781, 796—797, 815
გუდაუთი — 254, 282, 293
გუმბრი — იხ. ალექსანდროპოლი
გურია — 273—275, 283, 291, 408, 429, 478, 502, 508, 605, 618, 644, 720, 753, 756

დანია — 119, 354, 450, 847
დაღისტანი — 234, 460, 587
დაღისტნის ოლქი — 113, 394—395, 472, 579
დებედაჩაი — 666
დელიჯანი — 604, 609

დერბენტის გუბერნია — 684
დერპტი — 17
დვანის-წყალი — 134
დიდი არაგვი — 136
დიდი ბრიტანეთი — 353, 847
დიდი ლიახვი — 134—135
დიდი შაგრიანი — 171
დიდი ჯიხაიში — 192
დიოსკურია — 583
დიღომი — 14, 56
დოლიარი — 111
დონის როსტოვი — 44, 615
დუშეთი — 30, 265, 504, 744, 796
დუშეთის მაზრა — 26, 238, 352, 367, 579—580, 780, 789

ეგვარდი — 244
ეგვიპტე — 129, 355, 585,
ეგრისი — 261
ევლახი — 91, 111, 309, 762—763, 783
ევროპა — 4, 10, 95, 106, 172, 184, 234—236, 245, 256, 282, 284—285, 289, 297, 362, 401—417, 426, 518, 583, 629, 634—637, 653—654, 657, 668, 670, 685—692, 709—710, 717—719, 722, 746—748, 757, 784, 788
ეკი — 428
ელდარის არხი — 203
ელდარის ველი — 472
ელისავეტპოლი (განჯა) 50, 56, 91, 100, 110—112, 145—146, 168—171, 269—272, 309, 478, 530, 579, 598, 600, 605, 608, 618, 623, 666, 743, 753, 763, 783, 792
ელისავეტპოლის (განჯის) — გუბერნია — 26, 50—51, 57, 89, 111, 113, 119, 141, 184, 193, 238, 247—251, 297, 300—312, 321—333, 343, 351, 358, 373, 381, 385, 389—390, 395, 420, 458, 460, 468, 472, 474, 477, 493, 495, 511, 524, 528, 532, 536, 538, 548—551, 557, 586, 588, 598, 600, 602, 608—610, 696—698, 701—702, 723, 735, 751, 770—771, 801, 817, 822, 831,—837, 840—843
ელისავეტპოლის მაზრა — 5, 78, 89, 118, 238, 242, 296, 448, 457, 542, 553, 575, 584, 702, 741, 781
ერევანი — 49, 92, 100, 112—113, 168, 171, 174, 208, 233, 244, 269—270, 296, 412, 432, 510, 552, 579, 588, 763, 783
ერევნის გუბერნია — 26, 50—51, 57—58, 68, 70, 90, 99—100, 110—111, 120, 131, 139, 184, 211, 238, 244, 248—249, 298, 300—302, 306—309, 311—312, 321—325, 327—328, 330, 332—333, 343, 351, 358, 374, 378, 381, 385, 389—390, 395, 420, 458, 460, 468, 471—472, 474, 477—478, 484—485, 493, 495, 511, 524, 528, 532, 550—553, 567, 577, 587, 598, 600—602, 604—605, 608, 610, 618, 698, 701, 723, 743, 764, 770—773, 799, 801, 821, 829—837, 840—843
ერევნის მაზრა — 30, 90, 118, 183, 300, 448, 530, 564, 608
ერევნის სახანო — 510—511
ერვანდაკერტი — 139
ესპანეთი — 67, 256, 276—277, 354, 688, 847
ეჩმიაძინი — 58, 91, 111, 171, 608, 744
ეჩმიაძინის მაზრა — 300, 302, 374, 448, 511, 530, 548, 551, 564, 578

ვალე — 149—150
ვანის სამეფო — 443, 582
ვართაშენი — 753
ვარიანი — 167
ვარშავა — 791
ვარციხე — 56, 65, 193, 613
ვაღარშაპატი — 58, 154
ვაჩიანი — 52
ვენა — 634
ვენეცია — 659
ვირგინია — 335
ვლადიკავკაკი — 245, 415
ვოლგა — 579
ვორონცოვკა — 12, 101, 358, 783

ზანგი — 128, 190, 208, 443
ზანგეზურის მაზრა — 30, 89, 300, 449, 537, 553, 578, 702, 743

ზარზმა — 584
ზაქათალა — 92, 269—270, 490, 579, 753, 783
ზაქათალის ოკრუგი — 53, 247—249, 296, 300—302, 305, 308, 311—312, 321—325, 330, 378, 385, 395, 458, 491, 524, 528, 530, 532, 549—550, 598, 600, 601—602, 608, 684, 743, 764, 770—771, 781, 831—837, 843
ზემო აკულისი — 725—726
ზემო არცევი — 135
ზემო აჭარა — 800
ზემო სვანეთი — 614
ზემო სხვილისი — 149
ზემო ქართლი — 581
ზესტაფონი — 91
ზუგდიდი — 14, 208, 264, 268, 686, 720, 761—762
ზუგდიდის მაზრა — 274, 278, 281, 293, 348, 352, 372, 448, 477, 508, 530, 565, 644, 694
ზუგდიდის ოკრუგი — 720—722
ზურნაბადი — 539, 817
თავრიზი — 674
თბილისი—10—11, 44, 47, 49—50, 54, 62, 65, 91, 98, 101, 112—115, 134, 136, 150—151, 155, 162, 189, 191, 202, 223, 226—233, 240, 245, 252—253, 265, 268—273, 292, 297, 309, 360—364, 368, 388, 419, 430, 452, 498, 511, 521—522, 535, 539—540, 547, 549, 552, 566, 574—575, 584—585, 604, 609, 611, 616, 619, 623, 630, 633, 639—640, 645, 649, 677, 705, 707—716, 720, 726, 732, 744, 748, 755, 758, 763, 780, 783—786, 789—792, 798—802, 818, 824
თბილისის გუბერნია — 5, 10, 26, 51, 57, 59, 108, 110—115, 187, 238, 247—249, 300—302, 307, 311—312, 321—325, 327—333, 341, 351, 357—358, 367, 378, 380—381, 385, 389—390, 395, 415, 420, 422, 424, 458, 460—461, 467—468, 471—474, 476, 478—479, 504, 513, 524, 528, 532, 549—553, 557, 578—580, 588, 593, 598—602, 608, 610, 618, 684, 701, 720, 770—773, 801, 822, 829—844
თბილისის მაზრა — 20, 29, 56, 71, 78, 221, 238, 352, 357, 366, 448, 556, 579, 615, 621, 625—626, 781
თედოწმინდა — 167
თეთრი სოფელი — 29, 661
თეკლათი — 427—428
თელავი — 92, 268, 733, 737, 744, 764, 781, 783, 793
თელავის მაზრა — 26, 30, 54, 218, 274, 352, 448, 546, 554—556, 579, 592—593, 611—612, 626, 685, 737, 780, 794
თერგის ოლქი — 113, 579 — 580, 662—663, 801
თერგისპირეთი — 461
თემირხანშურა — 604
თიანეთი — 268, 479, 504, 594
თიანეთის მაზრა — 26, 352, 449, 548, 579, 593, 780, 796
თრიალეთი — 28, 465—467, 481, 528, 796
თურქეთი — 222, 226, 228, 232, 235, 264, 273, 276—277, 294, 296, 309, 394—396, 408, 477, 534, 548, 588, 635, 637, 659—661, 670—671, 685, 708, 720, 725, 727, 729—731, 764, 784, 803, 821
თუშეთი — 512, 579
იანეთი — 193
იაპონია — 355, 654, 688, 722, 724, 847
იაროსლავი — 442
იგდირი — 100
იმერეთი — 15, 257, 262, 265, 268, 273, 290, 612, 618, 620—621, 627, 666—667, 717, 724—725, 742, 753
იმიერკავკასია — იხ. ჩრდ. კავკასია
იმიერკასპიის ოლქი — 802
ინგლისი — 57, 60, 62, 68, 76, 143, 235, 237, 274, 276—277, 288, 308, 335, 336, 400—401, 408, 432, 451, 764, 781, 784, 792
ინგუშეთი — 6
ინდოეთი — 143, 180, 237, 245, 252, 285, 399, 404, 413, 534, 658, 688

ინდო-ჩინეთი — 355
იოკოგამა — 746
იორი — 133, 144, 481, 498, 585, 739
ირანი — 79, 146, 222, 226, 228, 232, 308—309, 420, 466, 511, 534, 587—588, 603—604, 658—662, 667, 670, 688, 729—731, 764, 791
ირლანდია — 273, 336, 353, 408, 847
იტალია — 130, 172, 235, 276—277, 297, 308, 354, 582, 653—654, 670, 688, 690, 709, 718, 724—725, 847
კავთისხევი — 29
კავკასია — 5, 7, 9—10, 12 და სხვ.
კავკასიონი — 497
კალიფორნია — 181
კალმიკთა ველი — 497
კალკუტა — 746
კანადა — 355, 404, 847
კანტონი — 746
კარაკლისი — 91, 111, 763, 783
კარასახ-კალი — 203
კარა-სუ — 763
კარიაგის მაზრა — 89, 702, 764
კარმირ-ბლური — 208, 442
კაროლიკა — 335
კასპიის ზღვა — 391
კასპიისპირეთი — 477
კახეთი—5, 17, 40, 130, 133, 158—159, 221, 230, 259, 360, 366, 412, 430, 481, 491, 499, 546, 579, 610, 620, 627, 661, 666, 714, 737, 739—740, 796
კეიტ-იანიხი — 484
კიზილ-აგაჩი — 232
კირბილი — 135
კობი — 486—487
კოდორი — 615
კოკანდა — 730
კოლხეთი — 7, 208, 583
კონტუათი — 694
კოპიტნარი — 763
კრწანისი — 147
კუბა — 753, 847
კუკია — 226
კულაში — 625, 636, 753
კულბითი — 135
კურდუკული — 100
კუხი — 694, 758, 761
ლაგოდეხი — 296
ლაზიკა — 7
ლანჩხუთი — 91, 625, 753, 756—757, 761,—763
ლენინაკანი — 111, 226
ლენქორანი — 91, 107, 232, 746
ლენქორანის მაზრა — 178, 296—298, 300, 302—304, 448, 521, 530—531, 538, 685—686, 801
ლეჩხუმი — 259, 372, 472, 744
ლეჩხუმის მაზრა — 293, 348, 352, 565, 644
ლიაკი — 309, 762—763
ლიახვი — 134, 168, 202
ლივერპული — 785
ლივორნო — 236
ლიონი — 745, 764
ლისის ტბა — 65
ლესიკინ — 753
ლინაური — 761
ლომბარდია — 67
ლონდონი — 60, 274, 278, 634, 636, 642, 647, 708, 746, 812
ლოკინო — 71, 707
მაზენდარანი — 531
მათხოჯი — 694
მალტის კუნძული — 236
მანგლისი — 28, 481
მარსელი — 234, 236, 413, 690, 746—747, 755, 762, 785, 812
მაჩხაანი — 52
მეგარისი — 583
მეთრევანი — 28, 465
მელაანი — 738
მეოტიის ჭაობი — 260
მექა — 130
მექსიკა — 256
მეჯვრისხევი — 135
მილანი — 746, 755, 762, 764
მილის ველი — 129, 182, 199, 457, 477—478, 497—498
მირზაანი — 223
მისრეთი — იხ. ეგვიპტე
მიუსიუსიანი — 763
მიქელგაბრიელი — 762
მოზდოკი — 663
მონგოლეთი — 791
მოსკოვი — 281, 421, 578, 662, 670—673, 683, 685, 687, 690, 705, 707—708, 718—719, 746—748, 812
მოსკოვის გუბერნია — 670

მტკვარი—126, 130—131, 135, 137, 178, 180, 185—186, 190, 192—193, 196, 220, 457, 481, 487, 497—498, 585, 696
მუღანი — 201—202
მუღანის ველი — 129, 182, 190, 193, 199, 457, 466, 471, 474, 497—498
მუხიანი — 91, 192, 763
მუხრანი — 14, 56, 220, 499
მუხრანის ველი — 498
მცირე აზია — 137, 659, 688
მცხეთა — 28, 465, 660

ნაბაკარი — 487
ნაგომარი — 753, 762
ნადიბაანთკარი — 487
ნაოღალევი — 428, 762
ნაროვანი — 486—487
ნატანები — 761, 763
ნაფარეული — 737
ნახჩევანი — 91, 111, 151—152, 684, 715, 763
ნახჩევანის მაზრა — 58, 183, 374, 586, 608
ნახჩევანის სახანო — 684
ნიგოითი — 279
ნიდერლანდია — 847
ნიეგოროდი — 671, 673
ნიუ-იორკი — 114, 335, 745, 785
ნიქოზი — 134
ნოვგოროდი — 803, 812
ნოვოროსიისკი — 281
ნორბაიაზეთი — 100
ნორვეგია — 847
ნოქალაქევი — 428
ნოღაელთა ველი — 497
ნუხა — 92, 171, 295, 491, 579, 666, 674, 682, 690, 696, 714—715, 717, 719, 722—723, 739, 753, 763—764, 781, 783
ნუხის მაზრა—297, 300, 302—304, 457, 490, 554, 578, 586, 608, 683—684, 686, 689, 702, 720, 740, 743

ოდესა — 64, 114—115, 213, 245, 415, 615, 683, 803, 812
ოდიში — 274
ოზურგეთი — 263—264, 296, 625, 757, 761, 764
ოზურგეთის მაზრა — 15, 274, 293, 296, 348, 352, 372, 448, 565, 644, 685, 693—694, 721, 741, 750, 753, 756, 762
ოთარშენი — 167
ორალი — 149
ორდუბათი — 531, 673, 725, 753
ოსმალეთი — იხ. თურქეთი
ოჩამჩირე — 254, 282, 293, 294,

პანკისის ხეობა — 610
პარიზი — 181, 634, 636, 708
პატარა ლიახვი — 134
პატარა შაგრიარი — 171
პეტერბურგი — 184, 282, 665, 708, 746, 761
პეტერბურგის გუბერნია — 115
პიატიგორსკი — 548
პირეი — 236
პოვოლოჟიე — 396
პოლონეთი — 350
პოლტავა — 263
პორტუგალია — 256

რაჭა — 44, 220, 257, 372, 428, 472, 744, 800
რაჭის მაზრა — 293, 348, 352, 372, 448, 644
რიაზანის გუბერნია — 115
რიონი — 91, 111, 192, 202—203, 287, 290, 343
რომი — 67, 583, 658
რომის იმპერია — 658
რსფსრ — 354, 421, 705
რუისის მთა — 134
რუსეთი — 10, 61, 78, 92—95, 100, 106, 115—123, 136—137, 140, 151, 159, 161, 173, 180, 184, 187, 189, 200, 212—213, 226—234, 237, 243—246, 253, 262, 280—282, 292, 297, 308—310, 349, 354, 362, 382—388, 394—399, 403—406, 410—417, 421—426, 431, 442, 466—467, 510, 518, 533—535, 538, 543, 562, 572, 578, 626, 628, 634, 646, 653, 660—680, 685—691, 706—710, 720, 722, 728, 734, 747, 764—765, 781—786, 788, 795—796, 803, 821
რუსეთის იმპერია — 115, 276, 333, 441, 673, 711

რუსთავი — 196, 585, 660
რუმინეთი — 354, 637, 688

საბერძნეთი — 235, 584, 658, 708
საბურთალოს ველი — 134
საბჭოთა კავშირი — 258, 600, 716
საგარეჯო — 51, 73, 106
სადირბო — 135
სათათრეთი — იხ. თურქეთი
სათხე — 52
სალიანის ველი — 199
სამგორის ველი — 131, 143
სამეგრელო—14, 256—267, 273—274, 278, 291, 296, 408, 542, 583, 604, 610, 618, 625, 661, 666, 685, 717—722, 753
სამურზაყანო — 511, 542, 615, 721
სამტრედია — 91, 115, 623, 625, 628, 632, 635, 637—638, 753, 762—764
სამუხი — 698, 723
სამუხის ველი — 457
სამშვილდე — 585
სამცხე — 579
სამხრეთ ამერიკა — 399
სამხრეთ ოსეთი — 579
სამხრეთ რუსეთი — 106, 190, 574, 665—666
სარატოვი — 664
სარდარაბადი — 58, 144, 182, 202—203, 497
სარი-დაღის ველი — 457
სარუჯის ველი — 457
სასალხინო — 687
საფრანგეთი — 84, 180, 235, 276—277, 335, 354, 432, 573, 634, 636, 653—654, 670, 674, 686, 688, 708, 718, 722, 725, 729, 745, 784, 847
საქართველო — 4, 9, 14—15, 21—22, 59, 68 79, 123, 128—135, 150—156, 164, 192, 200—203, 213, 216, 219—223, 227, 230, 253, 258—264, 272—279, 282—294, 313—319, 329, 340, 347—349, 352, 362—363, 371, 380, 382, 386, 389, 391—394, 408—409, 417, 421, 424—428, 430—433, 443, 445, 459—467, 486, 502, 517—518, 530—534, 542—549, 562, 572, 580—583, 588, 590, 600, 610—627, 635, 642, 646—651, 659—660, 664—671, 685—689, 692, 694, 700, 704, 715—716, 720—726, 733, 737, 740, 762, 781—785, 805—823, 825, 838
საწულუკიძო — 694
საქილაო — 753
საჯავახო — 625, 762—763
სევანი — 190
სენაკი — 91, 111, 263, 268, 625, 637, 694, 720, 753, 760—761
სენაკის მაზრა — 53, 114, 274, 278, 281, 293, 348, 352, 372, 428, 477, 565, 644—645, 721—722
სენაკის ოკრუგი — 720—722
სევასტოპოლი — 615
სერბია — 119, 847
სვანეთი — 359, 372, 543, 721
სვანეთის მაზრა — 372
სვირი — 91, 763
სიონი — 486—487
სიღნაღი — 52, 57, 92, 265, 666, 733, 744, 753, 783
სიღნაღის მაზრა — 26, 30, 54, 59, 78, 218, 242, 352, 360, 448, 477, 490, 542, 554—555, 579, 592—593, 611, 684, 738, 780, 796
სიცილია — 582
სოლოლაკი — 226
სომხეთი — 17, 79, 93, 120, 128—129, 156, 202—203, 220, 261, 315—318, 386, 389—390, 394, 430, 432, 443, 460—461, 569, 580, 585, 587, 620, 626, 635, 649, 661, 666, 700, 740, 782, 784, 805—811, 814, 819—821, 823, 825
სოხუმი — 254, 268—270, 272, 277—278, 282, 293, 580, 615, 744
სოხუმის ოკრუგი—247, 249, 274, 293, 321—324, 327—328, 330, 332, 351, 385—386, 395, 458, 460, 524, 528, 530, 542, 549—550, 598, 600—601, 606, 608, 614, 617—618, 664, 770—771, 800, 832—833, 838, 840, 842—844
სტავროპოლის ოლქი — 113, 801
სუათისი — 487
სურმალოს მაზრა — 300, 432, 448, 485, 530, 551, 578

სუფსა — 761
სუჯუნა — 753

ტაბახმელა — 818
ტავრიდის გუბერნია — 574
ტალიში — 265
ტანა — 161—163
ტეიშებაინი —208
ტირიფონის ველი—135, 202—203
ტირძნისი — 49, 73, 604
ტოსკანა — 67
ტრაპიზონი — 260
ტურინი — 708

უკრაინა—246, 356, 426, 569, 626
ულუხანლუ — 90, 111, 763
უნგრეთი — 353, 688, 803
ურალი — 396
ურარტუ — 128, 208, 443
ურუგვაი — 847
უფადარის ველი — 457
უფლისციხე — 499
უშაფანი — 428
უხათი — 486
უჯარი — 91, 111, 309, 763

ფასანაური — 487, 783, 789
ფერგანი — 658
ფილადელფია — 785, 812
ფინეთი — 847
ფოთი—101—106, 223, 234—236, 238, 253—254, 273, 276—282, 287, 289—290, 293, 309, 412, 623, 625, 634, 636,754, 784
ფრონე — 135
ფურტიო — 502
ფშავი — 579
ფშავის არაგვი — 136
ფშანი — 167—168

ქართლი — 5, 40, 133—135, 161, 221, 258—259, 340, 367, 412—413, 579—580, 620, 626—627, 666
ქედაბექი — 575
ქერჩი — 615
ქვათახევი — 510
ქვალონი — 428
ქვემო აკულისი — 726
ქვემო მლეთა — 487
ქვემოხეთი — 753
ქიზიყი — 271, 481, 579, 592, 657, 666
ქიურდამირი—50—51, 56, 91, 111, 753, 762—763
ქობულეთი — 763
ქოლაგირის ციხე — 733
ქორეისუბანი — 114
ქსანი — 21, 151
ქუთაისი — 91 — 92, 100 — 101, 110—111, 228, 256, 263, 265, 268, 270, 272, 288—289, 427, 448, 580, 611, 625, 632, 637, 639, 643, 659, 683, 686, 714, 727, 741, 753, 758, 761, 763, 792, 801, 818
ქუთაისის გუბერნია — 10, 14, 52, 65, 70, 111—115, 203, 211, 238, 247—249, 273—274, 276, 278, 280—289, 292—296, 311—313, 321—333, 343, 347, 350, 371, 378, 380—381, 385, 389—390, 395, 416, 422, 458, 460—462, 471, 474, 477, 511, 524, 528, 532, 542, 549—551, 562, 598, 600—610, 613—618, 623, 627, 633—644, 646, 649, 683—684, 694—696, 701, 726, 750, 755, 762, 770—773, 798, 800, 822, 829—838, 840—844
ქუთაისის მაზრა — 9, 53, 68, 78, 118, 192, 221, 274, 278, 281, 293, 342, 348—349, 352, 365, 372, 565, 685, 721, 750
ქურთისტანი — 604

ღორჯომი — 502

ყაბარდო — 580
ყაზახი — 169—170, 240, 259, 265, 271, 536—537, 544, 666, 781, 783
ყაზახის მაზრა — 26, 30, 50, 89, 218, 238, 242, 461, 537, 609, 702, 781,
ყაზბეგი — 789
ყარაბაღი — 130, 265, 455, 457, 467, 470, 475, 485, 489, 534, 536, 553, 586, 673—674, 734
ყარაბაღის ველი — 129, 498, 541
ყარაბაღის მაზრა — 467, 586
ყარაბაღის სახანო — 534
ყარაია — 133, 182, 186, 196, 201, 268, 296, 305, 309, 346, 364, 479, 575
ყარაიას ველი — 457, 471, 497—498, 541

ყარატყავა — 487
ყარალაჯი — 542
ყარაყალა — 617
ყარაჩაი — 137, 169
ყარსი — 113, 477, 552, 579, 587, 781
ყარსის ოლქი — 309, 394—395, 461, 472, 477, 499, 801
ყვარელი — 274
ყვირილა — 91, 111, 203, 763
ყიზლარი — 662—663
ყირიმი — 408, 626, 687
ყისყალი — 196
ყუბანის ოლქი — 113, 276, 350, 432, 580
ყუბის მაზრა — 30, 221, 265, 296, 300, 304, 530, 554, 684, 720, 781
ყულლარი — 692
ყულევი — 223, 282

შავი ზღვა — 10, 113, 203, 245, 254, 260, 273, 293, 372, 391, 394—395, 415, 426, 455, 478, 626, 634
შავი ზღვის გუბერნია — 478
შამშადილო — 259
შანხაი — 746
შარურის მაზრა — 226, 300
შარურდარალაგიოზის მაზრა—297, 302, 307, 578, 608, 744
შაქი — 265, 671—674, 733—736
შაქის სახანო — 673
შახსევანის სახანო — 534
შემახია — 658, 660, 674, 689, 696, 720, 722
შემახიას გუბერნია — 428, 468, 470, 536, 683, 686
შემახიას მაზრა — 221, 238, 300, 448, 529—530, 548, 552, 586, 608, 684, 686, 740, 781
შემოქმედი — 762
შვეიცარია — 119, 354, 450—451, 518, 847
შვეცია — 637, 847
შირაქი — 504
შირაქის ველი — 130, 457, 472, 477, 479, 490, 541
შირვანი — 265, 586, 658, 660, 667, 672—675, 720, 734
შირვანის ველი — 199, 457,
შირვანის სახანო — 673
შორაპანი — 91, 427, 625, 744
შორაპნის მაზრა — 293, 348, 352, 372, 448, 565, 644, 721, 750
შუა აზია — 130, 658, 670
შუა აღმოსავლეთი — 653
შუახევი — 502
შულავერი — 29, 240, 661
შუშა — 92, 146, 684
შუშის მაზრა — 89, 221, 238, 449, 478, 536, 553, 686, 702, 714, 743, 753, 763—764

ჩაბარუხა — 487
ჩანბაბი — 726
ჩარდახლუ — 575
ჩაქვინჯი — 761
ჩაჩნეთი — 580
ჩიკაგო — 785, 812
ჩილდირი — 427
ჩილი — 355
ჩინეთი — 295, 520, 654, 658, 688, 722, 724, 731, 791
ჩოხატაური — 753, 762
ჩრდილოეთ ამერიკა—67—68, 335, 349, 399
ჩრდილოეთ კავკასია—4, 112—113, 221, 226, 230, 246, 294, 383, 389— 391, 396, 421, 424, 430, 461, 477, 497, 582, 584, 600, 602, 607, 662, 800—802, 818—819
ჩრდილოეთ ოსეთი — 580
ჩერქესუ — 266

ცარაბადი — 682
ციმბირი — 722
ციხისჯვარი — 521, 818
ცხენისწყალი — 192
ცხინვალის მაზრა — 49, 73, 78

ძაკაგორსკი — 487
ძაუ-ჯიკაუ — 245
ძეგვისწყარო — 150
ძველი აღმოსავლეთი — 67, 128

წალენჯიხა — 761 — 762
წედისი — 44
წილკანი — 166
წნორისწყალი — 783
წყალთბილი — 149

ჭალადიდი — 428
ჭანვეთი — 258, 266
ჭარი — 666

ჭარ-ბელაქნის ოკრუგი—683—684
ჭიათურა — 91, 111, 759
ჭოლევი — 617

ხატის-სოფელი — 487
ხაშური — 91
ხეფინის ხევი — 258
ხიდისთავი — 429, 752, 762
ხმელთაშუა ზღვა — 582
ხონაშენი — 478
ხონი — 193, 637, 694, 750—751, 753, 760—762
ხორეზმი — 130
ხუნანის ველი — 134
ხრამი — 733

ჯავახეთი — 579
ჯან-იატაგი — 538
ჯებრაილის მაზრა — 89, 449, 553, 586, 608, 729
ჯევათი — 91, 111, 553
ჯევათის მაზრა — 137, 238, 477, 588, 591, 608, 781
ჯევანშირის მაზრა — 26, 89, 91, 111, 146, 169, 218, 238, 242, 296, 300, 538, 553, 702
ჯეირანჩალის ველი — 457
ჯელალოღლი — 783
ჯვარი — 487
ჯიხაიში — 694
ჯულფა — 90, 111, 552, 763
ჯუმათი —763

ჰამბურგი — 634, 785, 812
ჰოლანდია — 57, 76, 119, 235, 637

3. საგნობრივი საძიებელი

აბოლიციონისტური მოძრაობა — 273, 280, 408
აბრეშუმი — 625, 633, 652—674, 683—686, 689—694, 698, 703, 705, 707—708, 711—713, 718—723, 725, 733, 737, 746—749, 753—754, 765—766, 783
აბრეშუმის ალადმყოფობა — 688, 697, 725—726
— თესლი — 655, 664, 666, 676, 682, 685—687, 701, 717—718, 720, 722, 724, 730—731, 742
— გადამუშავება (მრეწველობა)— 146, 161, 654, 656, 659, 665—668, 669—670, 672, 677, 682, 688, 690, 705—706, 707, 714, 719, 722, 728, 745—746, 748, 765
— მრეწველთა ყრილობა — 728
— ნაწარმი — 652, 657, 659, 668, 670, 686, 745
— ნედლეული — 670—671, 745, 747
— პარკი — 655, 665, 673, 675—676, 680—681, 682—687, 689, 691, 697, 701—702, 704, 710, 735, 745, 748—749, 751, 753, 755—756, 759—762, 778
ძაფსახვევი მრეწველობა—674, 681—682, 685—687, 690, 695, 704, 715, 717, 724, 746, 749, 754, 763—764
— ჭია—655—657, 661, 663—666, 675, 681—682, 688—692, 694, 698, 702, 707—712, 717—724, 730, 735—739, 741—742, 744, 779
— ჯიშები — 658, 675, 708, 719—720, 745—746
აგრარული საკითხი — 257, 287, 401, 403—404, 407, 562, 570,
აგრონომი — 5, 84, 93, 103, 115, 119—120, 123, 336, 371, 373, 578, 582—583, 587, 648
აზნაური — იხ. თავადაზნაურობა
ალო — 21—22, 24, 26—33, 36, 38—45
ამპა-ჩარექობის სისტემა — 175
ამქარი — 155—158
ანდეზიტი — 128
ანეული — 107
ანტიკური საზოგადოება—61, 745, 780
აპეური — 31—32
არაყი — 293, 698, 743, 745
არგონავტები — 583—584, 657
არმია — 396—397, 420, 548, 819
არტეზიული ჭა — 201
არტელი — 21, 23—24, 31, 35, 37, 42, 195
არხი სარწყავი — 128, 130—134, 136, 138—139, 141, 143—145, 148, 150—151, 155—156, 160, 165, 167, 168—171, 175, 193, 197—198, 201, 359, 633
არხჩი — 155
ასლი — 303, 315—316, 318, 331
ასოციაცია — 18, 20, 22—25, 796—797
აქლემი—456, 551—553, 586, 768, 771—772, 779, 829, 831—844
აქცია — 678
აქციზი — 698
აქციონერული საზოგადოება — 108, 677, 722
ალალარი — 148, 170
აღწარმოება ცხოველის—563, 769, 775, 777—778

აღწერა — 42, 124, 265, 606
აჩაჩი — 9

ბაბილო — 275
ბაგური კვება — 336
ბაზარი — 107—109, 117, 242—246, 250, 252, 274, 279—289, 335, 398—399, 401—418, 425, 431, 556, 560, 615—616, 623—627, 633—640, 647, 650, 658, 703, 725, 727, 748—749, 755—757, 762, 782—788, 790—793, 800, 826
— საგარეო — 279, 406, 646, 746, 755, 764
— შინაგანი — 281, 415, 551, 749, 780, 788
ბალახი — 52, 145, 332, 379, 374, 457, 462
ბალბახი — 586—588, 781
ბამბა—172—174, 274, 298, 301, 303, 305—307, 340, 360, 362, 365, 373—374, 408, 690
ბამბის პლანტაცია — 155, 303—306, 310, 569
ბანკი — 194—195, 281, 289, 335, 347, 475, 759—761,. 775.
ბაჟი — 94, 107, 122, 308, 590, 680, 717, 719, 730
ბარდა — 315, 318, 331
ბარი — 112, 124
ბატი — 619—620, 624—625, 634, 639—640, 643—644, 824
ბატკანი—456, 464, 571, 596, 603, 775
ბატონყმობა — 13, 81, 84, 86, 121—122, 160—161, 165—166, 200, 339, 343, 406, 417, 563, 774
ბაღ-ბოსტანი — 271. 301, 359
ბაღ-ვენახი — 82, 128, 356—357, 543, 793
ბაღი — 11, 138—139, 149—150, 155—156, 160, 357. 364, 425, 651, 662, 664, 681, 707, 733—735, 739
ბაში — 153—154, 175
ბეგარა — 24—25. 161. 165, 256, 261, 660—661, 681, 733, 735,
ბეგი — 123, 148, 152—153, 168—169, 733
ბეღელი — 280
ბზე — 61, 97, 338, 560
ბოზახი — 586—588, 781
ბოსტანი — 155, 167, 332, 357—358, 793
ბოტი — 603
ბოქკო — 745
ბყოლა — 741—742, 754
ბრინჯი — 58, 172—174, 260, 265, 295, 313, 315—319, 331—332, 340, 373, 376, 379, 380, 389, 392, 408, 423
ბუმბული — 621, 647, 649, 776
ბურქუა — 38, 100, 337, 403, 421, 654, 679
ბურღული — 389—390. 395—396, 423

გადასახადი — 25, 329, 432, 462, 566, 614, 680, 695, 735, 774
გამოსაღები — 28—29, 170, 406, 463—464, 566, 647, 661, 683, 695
გამოფენა — 274, 292. 453, 547—548, 574, 603—604. 622—623, 633, 687, 708
— მეცხენეობის — 274, 547—548
— მეფრინველეობის — 633—634
— სოფლის მეურნეობის — 574, 603, 622—623
გამწევი პირუტყვი — 15, 21, 42, 516, 554—570, 774
გაღატაკება — 329, 560, 564—565, 597, 605, 618, 634
გემი — 626, 638
გზა — 289, 754, 744, 785, 799
გირავნობა — 289, 759—761
გირდავი — 153—154, 158, 175
გლეხი — 10, 12—13, 20, 25, 27—28, 34—63, 82—94, 124, 155, 160—171, 198, 241—243, 276, 291, 334, 341—343, 357, 365, 399, 425—430, 559—567, 592—597, 610, 621, 646, 682, 695, 711, 725, 733, 749—751, 790—797
— მოიჯარე — 83, 88. 123
— მცირემიწიანი — 342, 365
— საეკლესიო — 256

— საშუალო — 58
— სახაზინო — 559 — 682
—სახელმწიფო—22, 36—37, 300—, 361, 364, 384, 546, 553—557, 568, 577, 592—593, 608, 611—612, 677, 682, 686, 794
— ღარიბი და უღარიბესი — 36—37, 44, 58, 320, 329, 429, 616, 702
— შეძლებული — 50, 121
— შრომავალდებული — 81, 83—84, 86

გოგირდი — 95
გრენა — 694, 701, 704, 706—708, 711, 713—715, 717—733, 741—742, 780
გრენის ჯიშები — 718, 722—728, 730—732, 738, 780
გრენაკი — 655, 704, 706, 710, 717, 733, 746
გრენარი — 717—718, 721, 728—730
გრეკა—653—654, 666, 685, 691—692, 764—765
გუთანი — 5—6, 8, 11, 18—52, 89, 92, 95, 98, 103, 106, 108—121, 170, 292, 337, 402, 569
— სხვადასხვა სისტემის — 5—6, 9, 12—17, 48—54, 81, 91—92, 99—112, 117—121, 124, 292
— ქართული—4—5, 7, 9, 12—15, 18—19, 22, 48—49, 81, 97, 103, 106, 117—118, 124, 570, 717
გუთნეული — 18—46, 554—557, 565
— ასოციაციური — 25—26, 29, 31—32, 35, 42—43
გუთნის დედა—8, 13—28, 32—41, 47—48, 52, 56, 82, 84, 97—98, 134—135, 151, 162—165, 273—274, 338, 408, 450—451, 545, 576, 617, 623, 627—628, 737—739, 746

დაბეგვრა — 138, 161, 661
დარგთა შეთანაწყობა — 243, 320
დავარდნილთა წამოყენება — 594, 596—599
დაქირავებული შრომა — 81, 83, 86, 88, 157, 159, 591, 612
დაშნაკები — 46, 430, 432, 650, 704
დიფერენციაცია სოციალური—41, 593, 597
დობილო — 275
დონმა — 580, 781
დრენაჟი — 274, 336
დერგალი — 44, 336

ელევატორი — 285, 289
ელექტროფიკაცია — 201
ენდრო — 667
ეპიდემია — 173, 432
ეპიზოტია — 420
ერბო — 567, 792, 794, 824
ერობა — 93, 120, 123, 281, 427, 578, 648
ეროზია — 459
ერქუანი — 4
ესპარცეტი — 374
ეპიზოტია — 815—818
ექსპორტი — 165, 251—252, 255, 274, 276—279, 280, 283, 286, 290, 293, 308—310, 376, 386—388, 392—393, 408, 414, 417, 420, 638, 649, 660, 666, 685, 689, 708, 718—719, 747—748, 754, 762, 764—765, 769, 780, 784—785, 792
— აბრეშუმის — 660, 666, 685, 689, 719, 747—748, 754, 762, 764—765, 769
— ბრინჯის — 308—309, 430
— გრენის — 708, 728—731
— ყვერცხის — 634, 636, 642, 649
— მარცვლეულის—251, 255, 290, 381, 386—388, 392—393, 405, 408, 416
— მატყლის—783—785, 791—792

ვაზი — 95, 275, 369—370, 734, 741
ვაშლი — 428
ვაჭარი — 16, 37, 92—93, 241, 287, 376, 399, 406, 426, 429, 551, 560, 571, 603, 621, 638, 646, 667, 681, 689, 694, 696, 717, 729—730, 753—754, 757, 774, 785—789—791, 800
ვაჭრობა — 90—91, 154, 262, 284, 291, 409, 551, 586, 615, 622, 624, 635—636, 639—641, 645, 654, 669, 676, 688—689, 725,

745—746, 753, 762, 780—781, 788, 826
ვენახი — 11, 27, 92, 147—148, 159, 163, 243—244, 275, 297, 343, 362, 369, 393, 424, 440, 646, 698, 739
ვერცხლი — 656, 752
ვეტერინარია — 817—819
ვირი — 456, 682, 767—768, 770, 829, 831—838, 842—844

ზარაფი — 745
ზაქი — 455
ზეთოვანი კულტურა — 331
ზომაწონის ერთეულები—714, 750

თავადაზნაურობა—123, 148, 161—165, 167, 281, 329, 334, 425, 545—546, 595, 617, 631, 678, 693, 738
თაობა — 21—22, 24, 41, 43
თამბაქო—303, 332, 340, 360, 362, 371
თაოსნობა მეურნეობრივი — 13, 138, 243, 452, 593, 621, 624, 636, 660, 690, 692, 736
თაფლი — 712, 779
თემი — 21, 26, 34, 39, 142, 145, 148, 152—154, 157—158, 161, 167—168, 174—175, 300, 464, 594, 597—590, 595, 607, 751, 753, 772
თესლი — 389, 392, 402, 694, 721, 743
თესლბრენია — 286, 363, 365—367, 370, 372—374
თივა — 338, 560, 777
თიკანი — 464, 787
თოხი — 124
თუთის ხე — 662, 664, 673, 681, 675, 697—698, 706—707, 709, 711, 713, 723—724, 733—745
თუჯი — 16, 101
თხა — 131, 455, 596, 603—606, 611, 767—768, 771, 773, 782, 820, 821, 825, 829, 839, 841—844, 846, 830—832

იალაღი — 449, 454, 456, 458—462, 553, 560, 574, 577, 587, 589—591, 594, 696, 781, 783, 786, 795—796
იარაღმანქანები ს. 8. — 4, 9—11, 13, 15, 19, 47, 55, 92—93, 101, 106—107, 117, 120—125, 163, 570, 686
იარმარქტა — 547, 673
იმპორტი — 89—90, 94—95, 104—105, 112, 122, 244, 255, 294, 308—310, 312—313, 386—387, 391—394, 408, 420, 430, 585, 720, 725, 727, 759, 765
— აბრეშუმის — 759, 765
— ბრინჯის—308—310, 312—313
— გრენის — 725
— იარაღმანქანების—89—90, 94—95, 105, 122
— მარცვლეულის—255, 294, 381, 386—387, 392—394, 398, 420, 430
— მატყლის — 483
— პურის — 389, 393—394, 398
ინდაური — 619—620, 624—625, 634, 639—640, 643—644, 651, 824
ინკუბატორი — 630
ინოსტა — 301, 373—374
ირემი — 779
ირიგაცია — 126, 204, 285, 569
ირიგაციული ნაგებობა—129, 131, 137, 139—140, 201
იხვი — 619—620, 634, 639—640, 643—644
იჯარა მიწის — 81, 84—86, 88, 137, 157, 162, 197, 302, 342, 406, 548, 560, 614, 680, 683, 691, 698

კაბალა — 37, 88, 93, 406, 558, 563, 567, 714, 730
კავი — 9—10, 15—16, 51—53, 118—119, 124, 170, 555, 562, 570
კამეჩი — 30, 48, 83, 168, 170, 140, 423, 529—532, 555, 565—556, 569, 591, 767, 770, 772, 819, 831—838, 841, 843—844,
კანაფი — 331
კაპიტალი — 34, 275, 383, 431, 563, 669, 674, 679, 681, 688, 776—777
კაპიტალიზმი — 45, 201, 363, 398, 403, 406, 418, 688, 706
კაპიტალისტური მეწარმეობა — 19, 62, 244, 308, 121, 449,

597, 628, 691, 774, 797—799
კარაქი — 792, 794, 824
კარტოფილი—331, 353—355, 379, 392
კევრი — 124
კვერცხი — 259, 620—621, 625—628, 634—638, 640, 643, 649, 645—647, 649, 670, 775—776, 778, 824
კოლმეურნეობა — 125, 650—651
კოლონია—13, 40, 407, 416—417, 583, 678
კოლონიზაცია — 197, 201, 546, 193—194, 569
კოლონისტი—12. 50, 61, 90, 194, 282, 358, 547, 554, 557, 574—575, 592, 608
კოლონიური პოლიტიკა—243, 245, 346, 680, 747
კომერციული თაოსნობა — 27, 53. 287, 305, 308, 480, 614, 667
კომლი — 555, 565, 796
კონკურენცია—87, 245, 286—287, 291, 399—404, 411, 417, 591, 658, 689, 718, 728
კოოპერაცია — 126, 704, 714, 755 — 756, 758.
კრედიტი — 53, 93, 123, 285, 289, 564, 714, 725, 756, 759—761,
კრიზისი 284—286, 400, 407
კულაკი — 20, 24, 34—35, 37, 46, 119, 121, 154, 287, 289, 320, 329, 365, 421, 425, 453, 561, 566, 589, 591, 593, 614—615, 774, 797
კულტივატორი — 112, 292
კულტურათა შეთანაწყობა — 320

ლატიფუნდია — 123
ლიტრა-ჩარექობა — 175
ლობიო—265, 315, 316, 318, 319, 331, 367, 392

მაზანდა—552, 730, 749, 790, 800
მაზეხი—578—580, 586—588, 781
მამული — 16, 81—83, 114—116, 151, 153, 158, 161—166, 169, 295, 338, 347, 545, 589, 613, 617, 640, 732—738, 818
მანუფაქტურა — 668, 674, 682, 705, 719
მანქანა — 55—62, 63—64, 82—83, 97—98, 107, 112, 122—123, 336
მარაბა — 567
მარგანეცი — 626, 755, 759
მარილი — 273, 567, 787
მარცვლეული — 141, 207, 434, 449, 567—569, 616, 650—651, 775, 777, 779
მატყლი — 571, 573—574, 576—578, 581, 583, 585, 588, 626, 652—653, 690, 775—776, 780—792
მაუდი — 753
მაქმანი — 621
მაღლარი — 741
მაპალი—152—151, 168—169, 171, 698
მეაბრეშუმეთა ამხანაგობა—714, 758, 761
— კოოპერაცია — 714 — 716, 755—756
— საზოგადოება — 751
— ყრილობა — 705, 714, 716
მეაბრეშუმეობა — 304, 346, 449, 624, 649, 652—766, 779
მეაბრეშუმეობის კომიტეტი — 707—708
— კონგრესი — 709, 691, 693
— კურსები — 713
— მუზეუმი — 713
— სადგური—644, 709—713, 716, 726—728, 748, 755, 762, 682
მეაქლემეობა — 551 — 552, 767, 779
მებამბეობა —111, 115,—116, 173, 299, 304, 306, 346, 568—569, 668
მებაღეობა — 337, 449, 649, 681, 726, 744, 726
მებაღჩეობა — 449
მებოსტნეობა — 157, 172, 303
მედუქნე — 37, 51, 757, 789—790
მეთეთეობა — 698, 707, 713, 733—744
მევახშეობა — 93. 566—567, 591, 774, 783, 787
მევენახეობა—172—173, 243, 275, 303—304, 346, 357. 369, 371, 667—668, 676, 695, 739
მეთამბაქოეობა — 360
მეთხეობა — 603, 769, 820
მეიჯარე — 303, 462

მელიორაცია—127—204, 375, 377, 461
მემამულე — 24, 34, 46—47, 53, 55, 62—63, 85—88, 94, 81, 119—123, 145—148, 150—151, 154, 161—168, 174, 279—289, 296, 303, 328, 339, 343, 375, 383, 400, 453, 559—560, 573—574, 595—596, 604, 612, 614—617, 644, 687, 695, 733—739, 742, 774, 796—797
მემინდვრეობა — 334—375, 463, 561—562, 698
მემინდვრეობის სისტემები — 368, 370—374, 420, 432, 662, 697, 741
მენერგეობა — 70
მეოჩხარე — 595
მერაბი — 141, 152—155, 158
მერუე—155—156, 158—159, 174,
მერძეობა — 260, 452, 795, 797—798
მეტიზაცია — 580
მეტროპოლია—11, 245, 416, 418, 679
მეურნე—50—51, 53, 60, 93, 107, 158, 278, 280, 345, 349, 361, 450—451, 554—555, 594, 604, 628, 631—633, 693, 756—757, 786
მეურნეობა გლეხური — 59, 119, 242, 287, 305, 320, 333, 343, 348, 556, 558, 560, 562—563, 567, 615, 621, 624, 644, 647, 655, 660, 696, 793
—კერძომფლობელური —329, 333 557, 773
— კულაკური — 557, 794.
—მემამულური — 24, 37, 87—88, 242—243, 305, 329, 333, 348—449, 604, 733
— შარცვლეულის — 207, 436
მეფრინველეობა — 294, 619, 651, 779
მეფრინველეობის პროდუქცია — 623—625, 634, 639—641, 645—647, 812
მეფუტკრეობა — 449, 712—713, 779
მეღვინეობა — 159, 243, 612 — 616, 668, 695, 739
მეღორე — 614
მეღორეობა — 284, 607—618, 767, 769, 779
მეჩალტიკეობა — 295—313, 373
მეცხეხეობა — 533—551, 767, 778, 823
მეცხვარე — 464, 587, 591, 594—595, 598, 780, 783
მეცხვარეთა ყრილობა — 780—781, 789
მეცხვარეობა — 571—602, 629, 769, 772, 779, 781, 783, 787, 791, 820—822
— მერინოსული — 574, 583, 822
მეცხოველეობა — 294, 349, 356, 437—848
— ვაქრული—589, 593, 615, 612, 692, 769, 799
— მსხვილრქიანი—506—532, 557
— მომთაბარე—449, 460, 587, 788
— პროდუქტული—449, 571—651, 745—766, 775—813
მეცხოველეობის სპეციალიზაცია—799
მეძროხეობა — 506—528, 772, 778—779, 798
მეწარმეობა — 121, 609, 669, 697, 674, 718, 721, 728—729, 735, 759, 776
მეხრე — 8, 21, 23, 30, 32, 36—40
მეჯოგე—456, 461, 463, 553, 558, 560, 591, 604
მეჯოგეობა — 126, 437—553, 604, 698, 767, 814—848
მზისუმზირა — 331
მიგრაცია — 194, 198
მილდიუ — 275
მიმინო — 621
მინდი — 167
მიწა, სახმარი—21, 23, 40, 87—88, 110—111, 115, 118, 126, 130, 148, 150, 156, 165, 167, 171, 175, 193, 197, 244, 274, 292, 342, 349, 356, 360, 366, 370—371, 373—374, 377, 383, 399—400, 403—404, 406, 425, 449, 462, 463, 556, 557, 559, 560, 562, 598, 614, 662—663, 712, 739, 798, 818
მიწათმოქმედება — 3—126, 142, 157, 174, 194, 243, 302—303,

320, 329, 334—336, 340, 344, 346, 348, 353, 360, 363, 366, 371, 375, 398, 401—404, 406—407, 417—418, 449, 463—464, 548, 554—559, 564, 568, 590, 624, 634, 694, 772, 798.
მიწათმოქმედი — 160—161, 170, 303, 409, 735
მიწათმოქმედების სისტემები — 288, 399, 562
მიწათმოქმედების სპეციალიზაცია — 418
— ტექნიკა — 3—125, 142, 287, 343, 346, 401, 404
მიწათ-მოწყობა — 194
მიწათმფლობელობა—37, 110, 146, 291, 300, 321, 329, 400, 559, 597, 689, 857
მიწათსარგებლობა — 211
მიწის გადანაწილება — 357
— გამოფიტვა — 403
— განოყიერება — 339
— დასვენება — 334, 348, 360, 561
მიწის მუშა — 160, 303, 560—561
მოდგამი — 21—22, 24, 41—43
მომთაბარეობა — 454—505, 558, 569—570, 585, 589
მომთაბარე ტომები — 463—464, 552
მონასტერი — 24—25, 132
მონობა — 280, 383
მოიჯარე — 82, 86, 88, 137, 303
მონოპოლია — 681, 705, 729, 750—751, 755, 788—790
მორწყვა — 127—204, 295, 360, 374
მოსავალი — 93, 114, 268, 345, 394—395, 399, 401, 403, 450—451, 558, 561, 565, 614, 685, 704, 762
მოსავლიანობა — 126, 141—142, 250—251, 260, 265, 293—294, 313, 317, 338, 341, 343—344, 347—349, 369, 376—377, 382—383, 424
მოსახლეობა — 3, 7, 46, 51—56, 89, 93—94, 120, 130—144, 169, 171, 173, 198, 243, 246, 262, 274, 275, 281, 283, 298—307, 329, 339, 346, 360, 362, 369, 375, 380, 386, 392, 394, 420, 426, 430, 432, 449, 462, 555, 558—568, 589—592, 601—616, 627, 631—636, 640—644, 661, 667, 669, 672, 691—698, 703, 713—717, 722, 736, 829, 840, 846—847
მოურავი — 87, 152, 166—167
მოუსავლობა — 241, 345—346, 383, 394, 406, 416, 420, 429, 565
მოჯამაგირე—342, 565, 591, 596, 612
მრავალწლიანი ნარგავები — 21, 271, 316, 370—371, 382, 741, 826
მრეწველობა — 4, 103—107, 198, 202, 260, 290, 297, 306, 337, 346, 407, 425, 428, 431, 573, 580, 581, 645, 652—655, 665, 667, 670, 672, 679, 688, 693—694, 703, 705, 728, 747, 745, 749, 776—777, 783, 793, 795
— საოჯახო — 346, 705, 792
— საფეიქრო—202, 299, 306, 573, 580, 652, 665, 667, 670, 672, 675, 712, 747
მუშა — 19—20, 33, 36, 44, 58, 60, 63—64, 83—84, 86, 90, 421, 427, 430, 555, 696 705
მუშა-პირუტყვი — 460, 554—570, 572, 778, 825
მუშა სეზონური — 62, 82
მუშაძალა (მუშახელი)—5, 21—23, 26, 29, 31—33, 35, 40, 42, 84—87, 118, 420, 424, 634, 641, 655, 703
მუხედო — 392
ოცირემიწიანობა — 175, 203, 341, 357, 367, 371, 374—375, 406, 605, 613, 618, 634, 703, 799
მწარმოებელი, წვრილი—93, 242, 449, 559, 561, 563, 567, 599, 645, 711—715, 730, 749, 772, 787—788, 797
მწარმოებლური ძალები — 341, 398, 406
მწყემსი — 573, 590, 596—597, 606, 614

ნადელი — 146, 165, 338
ნათესი ფართობი — 265, 280,

330—333, 377, 391—392, 421, 432
ნამგალი — 83, 124
ნამჯა — 55, 560
ნატურალური გამოსაღები — 463, 696, 704
ნატურალური მეურნეობა — 41, 86, 90, 660—661
ნაყოფცვლა — 370
ნაცვალგარდობა — 64
ნეგოციანტი — 668, 673, 708
ნედლეული ს. მ. — 418, 571, 652, 668, 671—672, 676, 679, 688, 705, 745, 763, 765, 772, 779
ნეზვი — 603
ნერბი — 571
ნერგი — 714
ნიადაგის ნაყოფიერება — 250, 286, 287, 292, 334—362, 370
ნიადაგის დასვენება — 286 — 287
„ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი" — 339, 403
ნიადაგმცოდნეობა — 95—96
ნოხი — 667, 703, 783
ნუკრი — 603
ოგაფა — 9
ოიდიუმი — 275
ოსპი — 331
ოსტატი — 16, 58, 99, 102, 156—157
ოქოქა — 9
ოქრო — 656, 668, 672, 745, 765
ოჩხარი — 595
ოჯახი — 558, 567, 571, 625, 693—696, 702, 792, 794

პარკი აბრეშუმის — 657, 670 — 681, 691—693, 696, 698, 700—704, 714, 717—718, 723, 745—766
პარკის ამოხვევა — 670, 673—676, 681—682, 711, 738, 763,
— რეალიზაცია — 704, 713, 745—766
პარკოსანი კულტურები — 372
პებრინი — 688, 690—691, 708—709, 717—721, 725, 727, 740
პირუტყვი — 7, 29, 38, 118, 259, 260, 267, 420, 449, 452, 455, 456, 457, 459, 460, 463, 506—619, 620, 667—774, 776—778, 793—800, 818—821, 825—837, 841, 846—847
— მსხვილრქიანი — 455 — 461, 506—532, 547, 554—570, 582, 591, 606, 768—773, 794—795, 830—847
— პროდუქტიული — 775 — 814, 825
— სასაპალნე — 547, 558
— სახორცე—260, 775, 799—800, 818
— საჯიშე — 586, 825
პირუტყვის აღწარმოება — 777
პირუტყვის პროდუქცია — 775—813
პირუტყვის სულადობა—767, 833, 834, 835, 836, 837, 838, 843, 846
პლანტაცია ბამბის — 306
„ ბრინჯის — 306—307
„ თუთისხის — 172, 663, 675—676, 680—681, 691, 696, 698, 707, 709, 713, 733—745
პური — 11, 25, 61, 83—85, 138, 241—246, 250, 252, 261, 264, 267, 301, 334, 340, 342, 345, 359, 369—370, 373, 386, 398, 400, 405, 409—416, 420—424, 431, 461, 546, 787
პურით ვაჭრობა — 255, 280, 283, 381, 388, 398, 407, 409—426,
პურის ფასი — 398, 399, 400, 403, 405, 413, 418, 423
პურეულის მოსავლიანობა—349—353, 377
პურეულის მოხმარება—377, 385—386
პურფურაქის ბალანსი—319, 372, 376, 380, 384, 389, 392—394

რაბი — 130
რაიატი — 733—735
რანჯარი — 677, 680, 682, 734—735
რაჰდარი — 680
რენტა — 399—400, 403—404, 406
— აბსოლუტური — 400
— დიფერენციული — 400, 404
რეპროდუქცია ცხოველისა— 769, 775, 777—778
რკინა — 16, 19, 43, 45, 273
რკინიგზა — 44, 89, 90—91, 111, 243, 244, 251—254, 278—279,

287, 289—290, 309, 388—391, 399, 545, 547, 551—552, 558, 562, 613—616, 624, 626, 338, 757, 766, 785, 791
რკინიგზის ტარიფი — 279, 412
რძე — 572, 603, 606, 775, 792—799, 824—826

საბალახო — 27, 145, 174, 244, 366, 368, 454—458, 459—463, 548—561, 577, 587, 590, 593, 597—599, 606, 612, 614, 787, 789, 799
საბჭოთა მეურნეობა — 125, 650
საგადასახადო სისტემა — 683
საგლეხო რეფორმა — 160
საგუბარი — 130, 162
საღღვებელი — 100
საკვანახე — 463
სათიბი—82, 119—120, 358—359, 454, 559—561, 798, 799
სათხე — 455
საირიგაციო ერთეული — 175
— მშენებლობა — 198, 204
— ნაგებობა — 146, 175, 196
— სისტემა — 128, 172, 196—197, 199, 200, 202—204
— ტექნიკა — 132, 141, 159
საიჯარო ქირა — 88, 302, 462, 614
საკვები ბაზა—449, 451, 454—505, 567, 776, 777, 820
საღალო სისტემა — 559
სალეწი მანქანა — 55, 59, 86, 97, 100, 112
სამართალი ადათობრივი — 145, 147, 164, 169
სამეწარმეობო დარგი — 662
სამკალი მანქანა — 62, 84, 85, 102
სამკვედლო — 100
სანაშენო ფარა — 595
სანერგე — 114, 346, 713—714
სანიაველი მანქანა—56—57, 59, 98, 100, 101, 112, 119—120
სარგებელი — 241, 567
სარწყავი წყალი—128, 142, 148—149, 151—155, 157, 160, 162, 164, 168, 170, 172—174, 457
სასაკლაო — 566, 800
სასიმინდე — 266
სასუქი ნიადაგის — 287, 335—336, 342, 356—358, 402, 736
საფეტკრე — 712—713
საქონელი — 86, 89, 273, 552, 560, 565, 571, 585, 626, 637, 660, 667, 703—704, 715, 742, 717, 723, 732
საყაპე — 674, 682, 693, 696, 714, 715, 717, 723
საძოვარი — 138, 336, 372—373, 454—505, 545, 559, 562, 589—591, 598, 720, 799
— ალპური — 373, 454—456, 720
საწნეხი — 101
საწყავი — 750, 751
საჭაპანო გზა — 391, 412, 547, 558
სახაციცო — 621
სახვნელი იარაღი — 4—55, 89, 95, 110, 117, 120, 545—546, 554, 557, 569, 779
საჯინიბო — 549
სელი — 331, 340, 652
სეპარატორი — 112
სერვიტუტი — 168, 170, 171
სიმინდი—56, 252—254, 256—294, 314—319, 331, 349, 355, 365—378, 380, 387—391, 407—408, 413—416, 423, 429, 562, 626, 750, 755
სიმინდის მოსავლიანობა — 269—270, 290, 292, 348
სიმინდის ფასი — 278, 283, 286, 288
სირაჯი — 739
სოვდაგარი — 658
სოციალიზმი — 202, 430
სოციალური დიფერენციაცია — 418, 562
სოფელი — 21, 25, 40—45, 50, 58, 63—64, 87, 99—100, 118, 124, 129, 135, 145—166, 173—176, 242, 279, 297, 356—360, 365—372, 386, 452, 551—552, 560, 565, 577, 625, 630—635, 691—698, 713—714
სოფლის ბერეგეზია — 329, 592
სოფლის მოსახლეობა — 329, 386
სოფლის მეურნეობის გამოფენა—295—296, 578, 633
სპეციალიზაცია — 244—245, 696
სპეციალური კულტურა—364, 382, 391

სპეკულაცია — 92, 174, 421, 425, 426, 714, 758
სპირტი — 743
სტატისტიკა — 105, 124, 141, 199, 202, 224, 230—233, 247, 250, 265, 269, 270, 274—278, 293, 302, 306, 306—315, 321, 328—332, 348, 355, 377—390, 405—410, 422—423, 459—460, 495, 524—528, 569, 585, 587, 591, 608—609, 671, 684, 691, 697—702, 731—732, 747—748, 763—773, 782—785, 792, 820, 823—824, 827, 849
— აბრეშუმის ექსპორტის — 748
— ნედლეულის — 761
— მოსავლის — 311, 312
— ბრიჯის — 302, 306, 307, 311, 312, 379
— ირიგაციის — 199, 202, 204
— მარცვლეულის—141, 224, 247, 250, 269—270, 276—278, 293, 315, 321, 323, 328, 330, 332, 348, 350, 355, 378, 407—408, 422, 585, 591
— მატყლის ექსპორტის — 784—785, 792
— მეაბრეშუმეობის — 684, 691, 697, 698, 700—702, 731—732, 763—764
— მეცხოველეობის — 524—528, 608—609, 768—773, 820, 823, 827—848
— მოსახლეობის — 495
— პურეულის ექსპორტის—230—231, 238, 251, 254, 265
— პურეულის იმპორტის — 230—231, 233
— საძოვრების — 459, 460
— ს. მ. იარაღების — 105, 110, 113, 119, 120, 124
— ფასების — 405, 423, 747, 824
სტატისტიკური აღწერა—89, 118, 273, 362

ტექნიკა ს. მ. — 3—204, 288, 291, 628
ტექნიკური კულტურები — 243, 203, 346—347, 364, 381, 382, 391, 414, 562
ტექნიკური პროგრესი — 43, 45, 81, 83, 464
ტრანზიტი — 551, 658, 764, 784
ტრანსპორტი — 143, 289, 401—402, 421, 547, 552, 766
ტრაქტორი — 114—116, 125
ტყე — 130, 162, 274, 276, 291, 338, 360, 368, 372, 454—455, 462, 559—560, 609—610, 613—614

უგრეხელი — 260
ულაყი — 548—549
ურემი — 168, 340—341, 357, 558

ფაბრიკა — 299, 307, 336, 672, 674, 677, 682, 685, 690, 705, 722, 747, 763, 782
ფაბრიკანტი — 719, 729
ფარა ცხვრის—455, 577, 587, 590, 594, 781, 791, 821
ფარცხი—57, 112, 119, 124, 337,
ფასები—32, 54, 92—93, 100, 124, 147, 241, 244, 246, 252—253, 274, 276—279, 282—288, 292, 317, 349, 382—383, 398, 401—406, 412—424, 429, 590, 624, 640, 689, 693—694, 719, 726—730, 747—758, 782—800, 825
ფასი აბრეშუმის — 683, 756
— მარცვლეულის—252, 292, 401, 403—405, 414—416, 429
— მიწის — 424
— პურის — 401, 413—414, 416, 424—825
ფეიქარი — 336—337, 703
ფეოდალი — 3, 7, 13, 121, 166, 287, 591, 630
ფერმა — 11, 15, 56, 335—336, 401, 549, 579, 632, 818
ფერმერი — 335, 401
ფეტვი — 28, 207—208, 224, 257, 258, 265, 303, 315—331, 340, 365— 367, 378, 380
ფილატურა — 689—690, 719
ფილოქსერა — 275, 346
ფისკალური პოლიტიკა — 243
ფოთოლი თუთის — 742—745
ფოცხი — 63
ფრინველი—259—260, 284, 619—651, 775—776
ფრინველის ფასი — 635, 647
ფული — 32, 86—87, 90, 169, 241—242, 246, 253, 291, 320,

329, 399, 425, 429, 463, 575, 591, 612—615, 621, 631, 660, 667, 675, 695, 698, 702—704, 725, 749, 787, 789, 796,
ფურაქი — 392, 394
ფუტკარი — 712, 779
ფქვილი — 388—390, 392, 420—423, 430

ქათამი—619—651, 778—779, 824
ქალაქი — 90, 129, 157, 173, 242, 253, 281, 297, 381, 387, 392, 425, 449, 603, 616, 623, 625, 631, 639, 645, 753, 757, 793, 800, 826
ქარის წისქვილი — 56
ეარხანა — 92, 106, 109, 299, 308, 464, 669, 717, 746, 750, 753, 795—798
ქერელი — 652
ქერი—28, 57, 85, 172, 207—208, 254, 260, 265—266, 292, 303—322, 340, 343, 348, 350—352, 356, 365—378, 380, 387—390, 405, 422—423, 614
ქიასმა — 588
ქიაჰრიზი — 146, 151, 201
ქილა — 750—751
ქუნჯუთი — 303
ქურციკი — 603
ქუქანაკი — 132

ღალა — 18, 28, 165, 428
ღამის მეხრე — 37
ღვინო — 25, 159, 648, 661, 676, 715, 725
ღომი—260—267, 273, 291—292, 315—319, 349, 365
ღორი — 573, 596, 607 — 618, 768—779, 829—832, 839, 842—847

ყამირი — 614, 691
ყანა—27—28, 62—64, 149, 154—155, 160, 175, 203, 264, 275—276, 289, 430
ყაკი — 653, 691
ყველი — 625, 794, 797, 824
ყიშლაღი — 193, 449, 454, 456, 458, 459, 460, 461, 553, 560, 587, 589

• ყამა—28, 84, 122, 132, 259, 567, 621, 677, 733—734
ყურძენი — 741

შაქრის ჭარხალი — 331
შეთანაწყობა ს. მ. დარგებისა — 772
შემსყიდველი — 241, 397, 566, 609, 615, 621, 635, 641, 645—646, 689, 727, 729, 730, 749—750, 756, 758, 760, 774, 780, 782, 783, 786, 787, 788, 789. 791
შერია — 207, 260, 315, 318, 320, 327, 328, 380, 405, 423
შიმშილიანობა — 252, 280, 283, 382, 383, 415—416, 425, 427—428, 429, 406, 430, 432, 565
შინამრეწველობა — 44, 59, 98, 101—103, 119, 123, 346, 587, 634, 683—685, 695, 700, 703, 704, 724, 747, 792, 797
შინამრეწველობის კომიტეტი — 102—103
შიშაგი — 571
შრატი — 817 — 818
შრომამიგების სისტემა — 27, 37, 81, 87—88, 123, 406
შრომის ბარალი — 3—124, 303, 566, 776 — 778
შრომის მწარმოებლურობა — 121, 401
შრომის ორგანიზაცია — 19, 22, 38, 451
შრომის საზოგადოებრივი დანაწილება — 417

ჩაი — 362
ჩალა — 55, 267, 349
ჩალვადარი — 548
ჩალტიკი — 295, 297, 299, 302—304, 307
ჩანახი — 751
ჩარდახი — 98, 739
ჩარჩი, ვაკარი — 645, 695, 714—715, 748, 756 — 757
ჩობანი — 590—591
ჩოდარი — 788
ჩუთი — 555

ცარიზმი—11, 94, 102—105, 136—144, 150—152, 160—161, 195,

201, 243, 283, 284, 346, 358, 383, 410, 416—418, 573, 620, 648, 665—672, 678, 680, 706, 710, 716, 733, 747, 783
ცელი — 112, 124
ცერცვი — 392
ცხვარი — 26, 30, 356, 452, 455, 545, 566, 571—607, 613, 618, 767—773, 780—781, 791—794, 820—825, 829—847
— თურქული — 588
— თუშური — 576, 578—581, 587—588
— ესპანური — 583
— იმერული — 579, 582
— კოლხური — 582—584
— კავკასიური — 578, 580
— ლეკური — 577—579
— მერინოსი — 573, 575, 822
— ნაზმატყლიანი — 574, 576, 581—583, 585, 603, 791, 829
— ოსური — 578, 580
— სომხური — 588
— უხეშმატყლიანი — 581 — 582, 584
— ფშავური — 576
— ქართული — 577
— ძველკოლხური — 582—583
— ყარაბაღული — 586, 588, 781
— ყარაჩაული — 581
ცხენი — 26, 56, 63, 83, 356, 452, 456, 533—551, 564, 570, 572, 585—586, 573, 768, 770—773, 778—779, 818, 823—847
ცხოველი შრომის იარაღი—778—780

ძროხა — 356, 385, 429, 449, 455, 458, 545, 557—558, 566—567, 591, 596, 605—606, 753, 772, 774, 793—798, 819, 844

წარმოების ფასი — 399, 402, 403, 404
წველადობა 588, 798
წვრილ მეურნეთა ამხანაგობა—756
წვრილმწარმოებელთა არტელი — 796

პროლეტარიზაცია — 797
წივა — 358
წისქვილი — 56, 168
წყალი სარწყავი — 127—204
წყალსაცავი — 138, 201
წყლით სარგებლობის სისტემა — 137, 153, 146, 156, 161, 173—174, 176
წყლის ბეგარა — 163—164, 165
წყლის განაწილება — 175

ჭა — 145—146, 458
ჭადი — 260, 264—265
ჭაკი — 533
ჭაპანი — 19
ჭარხალი — 358
ჭვავი — 208, 260, 266, 303, 315—318, 320, 325, 330, 350—351, 353—355, 378, 380, 405
ჭედილი — 571
ჭია აბრეშუმის — 659—733
ჭირი საქონლის — 815—818
ჭირსაწინააღმდეგო სადგური — 817—818
ჭიჭნაური — 656—657

ხაზინა — 137, 194, 197, 459, 559, 668—669, 677, 680, 681, 705, 734—735
ხალხოსნობა — 34, 795, 797
ხარი—7, 15, 18, 21, 26—34, 36—37, 45, 51, 56, 60, 63, 156, 158, 244, 275, 340, 356, 429, 449, 506, 554—558, 562—569, 591, 772, 774, 778—779, 819, 844
ხარ-კაძეი — 7, 8, 21, 118, 554, 818
ხარკი — 661, 672, 703
ხბო — 456, 506, 596, 775
ხელოსნობა — 75, 101, 157
ხელსაფქვავი — 56
ხელფასი — 19, 32, 37, 86, 153, 159, 431, 655, 696
ხოდაბუნი — 63, 147
ხორბალი — 57—58, 85, 172, 208, 241—259, 261, 264—267, 261, 264, 292, 298, 303—304, 314—319, 330, 336, 340—343, 348, 350—356, 365—368, 371—380, 387—392, 401—407, 422—423, 775
ხორბალი გაზაფხულის — 250, 314—315, 348, 405, 422

— საშემოდგომო—251, 314—315, 372, 405, 422
ხორცი—572—573, 588—589, 640, 776, 799—800, 824, 826
ხურო — 98

ჯაგარი — 609
ჯამბარი — 31
ჯინიბი — 563
ჯოგი — 449—451, 455—457, 461, 558, 577, 591, 594, 603—606, 609, 776—777, 825
ჯოგის სტრუქტურა — 451, 825
ჯორი — 456, 585, 768, 770—772, 829, 831—838, 843—844

ჰიბრიდიზაცია — 580, 583, 587, 613
ჰიდრავლიკოსი — 130, 132, 139, 144
ჰუნე — 533

რედაქტორი ნ. ნარმანია
ტექრედაქტორი შ. ძოწენიძე
კორექტორი ბ. ღლელეკვა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VII — 59 წ.
ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂. ნაბეჭდი
თაბახი 46,53. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 41,12.
საავტორო თაბახი 38,89.
უე 03336. ტირაჟი 3000. შეკვ. № 201.
ფასი 26 მან. 70 კაპ.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
1-я типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.